ცოცილა არდაშელია

იათნანელი ამორძალები

• • •

ჟამი მოვალს!

• • •

სიყვარული სიკვდილის შემდეგ

ციალა არდაშელია

iaTnane l i am o rZa l ebi

•

Jami m ova l s!

•

s iyvaru l i sikvdi l is Semdeg

(`Seni raSebi Wixvineben, aqi l evs!~)

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2013

უაკ. (UDC) 821.353.1-32
ა-781

მითოსურ რომანში „იათნანელი ამორძალები“ აღწერილი ამბები ხდება უშორეს წარსულში, აიეტის მეფობის ხანაში. კუნძულ იათანანზე (დღევანდელ კვიპროსზე), ხმელთაშუა ზღვის აუზში რომ მდებარეობს, ცხოვრობენ მითიური აიაიელების შთამომავალნი, რომელთაც წინააპრებისგან მემკვიდრეობით მიიღეს მაღალი კულტურა, დამწერლობა, სარწმუნოება. დროთა ვითარებაში, მომხვდურთა მოძალების შედეგად, იათნანას მკვიდრნი დაძაბუნდნენ და გადაშენების პირზე მივიდნენ... ძველი ტრადიციის თანახმადვე, ამორძალთა მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ ქართველ, კერძოდ, კოლხ ქალებს.

„იათანანელი ამორძალები“ პირველად 1988 წელს დაბეჭდა გამომცემლობა „მერანმა“. მეორე გამოცემა განხორციელდა საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით. მესამე — გამომცემლობა „მერიდიანმა“.

რომანი „ჟამი მოვალს!“ — 80-იან წლებშია დაწერილი. იგი ნახევრადმითოსური ნაწარმოებია. მოვლენები ილიას მკვლელობის და შემდგომ განვითარებული პროცესების კვალზე მიმდინარეობს. რომანში ახლებურადაა გააზრებული ამირანის სახე და მისი როლი ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა და განვითარების პროცესებში.

დრამატული ნაწარმოები: „სიყვარული სიკვდილის შემდეგ“ ანუ „შენი რაშები ჭიხვინებენ აქილევს!“ – მითოსური თემის გაგრძელებაა, იგი აქილევსისა და ამორძალთა დედოფლის – პენთესილეას ორთაბრძოლის ასახვაა, ადამიანის რაობის, მისი ზნეობრივი ფასეულობების წარმოჩენაა.

„... არ ვიცი, რომელ უშორეს წინაპართა ფესვების კარნახით ხატავდა ავტორი ამ ცოცხალი სუნთქვით სავსე შთამბეჭდავ ამბებს, ის კი ცხადია, რომ მას სურს პირველყოვლისა ახალგაზრდობა დააფიქროს – ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რას უნდა გავუფრთხილდეთ, რათა არ ნაგვშალოს, არ წაგვლეკოს თანამედროვეობად წოდებულმა უსულგულო სტიქიონმა.

ქალბატონმა ციალა არდაშელიამ შესძლო უნიჭიერესი მწერლის სახელის მოპოვება – წინაპრებისგან ბოძებულმა ტალანტმა თავისი გაიტანა და ჩვენი ქართული ლიტერატურის უძვირფასესი შენაძენი – მკითხველის ხელთ არის.

ქალბატონ ციალა არდაშელიას – ნიჭით მძიმედ დატვირთულ მწერალსა და ბრწყინვალე მამულიშვილს მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებ. უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით – **ჭაბუა ამირეჯიბი**.“

მხატვრები: **ნუგზარ მგალობლიშვილი,**
ნანა გერასიმოვა

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2013

© ც. არდაშელია

ISBN 978-9941-10-750-4



და თუ ქვეყანა წარხდენილია,
ამის მიზეზი თქვენშივეა, იქვე იძიეთ“.
დანტე ალიგიერი

ნაწილი I

მესეფენი

ბიჭი კუნძულ სკიროსიდან შინ ბრუნდებოდა, იათნანაზე.

ჩქარობდა, ძალიან ჩქარობდა. უკვე ორ თვეზე მეტი იყო, არ ენახა გულისსწორი. მთელი ერთი დღე და ერთი ღამე მიცურავდა. ძალუმად აწვებოდა ნიჩბებს და განუწყვეტლივ ფიქრობდა გოგოზე, რომელიც, ვინ იცის, როგორ დარდობდა მის დაგვიანებას.

ბიჭი გომიშში, დედის ძმებთან და ბიძაშვილებთან ერთად ყვინთავდა ზღვაში, ეძებდა მარგალიტებს, და ერთი სული ჰქონდა, სანამ ძვირფასი მძივით დაუმშვენებდა თავის რჩეულს მაღალ, თეთრ ყელ-კისერს.

და აი, დილის ბინდ-ბუნდში გამოჩნდა იათნანას ნამგალივით მორკალული სანაპირო.

ბიჭმა ხელი შეუშვა ნიჩბებს, ღრმად და შვებით ამოისუნთქა. მერე გახარებულმა ჭიაფრად მოხასხასე აღმოსავლეთს ახედა. მზე ამოდიოდა.

ერთბაშად აიწვართა, ხელები ზეაღაპყრო და ფართო ღიმილი შეაგება ძოწისფერ მნათობს. წამიც და მის ბაგე-პირს მხურვალე ლოცვა-ვედრება მოსწყდა: „ჰოი, ცხრათვალა მზეო! მზეო ჯიღოსანო! მზეო სხივოსანო! სახენათელო და პირმცინარე ღვთაებავ ჩვენო!

ჰოი, ტკბილმოწყალევ, სასოებავ და ნუგეშო ჩვენო, მზეო-ბარბალო! შუქთა მკმეველო! ასულო დიაღმრთისაო! გაგვისინათლე და გაგვიიოლე ცხოვრების გზასავალი, რამეთუ შენი მოდგმა ვართ ჩვენ-აიაიას შთამომავალნი. რამეთუ შენი მადლი გვცხია ჩვენ და შენს უღრუბლო და უბინდო ხატებას ვეთაყვანებით დაწყივ-დაბადებიდან, რამეთუ შენს მოციაგე სახელს ფიცულობს მოდგმა შენი და მთელი ცისქვეშეთი – შენი სამეუფო და საბრძანისი!

ჰოი, ზეციურო ასულო დია-უფლისაო, მწევ და ქომაგო ჩვენო, მზეო ბარჩხალავ! გვიკურთხე და დაგვიმწყალობე დღენი ჩვენნი უკუნითი უკუნისამდე! დიდება შენდა, ზეციერო, დიდება შენდა!“

ბიჭი გალაჯული იდგა ორჩხომელში და კისერზე ხელებგადანასკვული, თვალმილულული ნელა-ნელა ირწეოდა ნავის რხევის კვალობაზე. ბაგეზე საამო ღიმილი დასთამაშებდა. მერმე როგორღაც ზანტად, დაიაზებით გაიზმორა. მზისგან გარუჯულ, პრიალა გულმკერდზე ხელის ნებები ჩამოისვა, ჰე, ჰეიო, შესძახა ომახიანად და ნიჩბებს მიუჯდა კვლავ.

ჰაერი მზით იყო გაჭოლვილი, მზის სხივებს აეთინათებინა ლურჯ-მწვანედ მობიბინე ზღვის ზედაპირიც. ტალღების ჩუმი ტყლაშუნი თუ არღვევდა იალონის იდუმალ გარინდებას.

დილის სიფრიფანა, მსუბუქ ნისლში ანაზდად გამოიკვეთა ჟანგისფერი, ფრიალო კლდე – სოლივით შეჭრილი ზღვაში.

ბიჭმა მსწრაფლ აარიდა მას მზერა.

ყოველი იათნანელი გაურბოდა ამ კლდესთან მიახლოებას, რადგან უხსოვარი დროიდან ეს კონცხი ითვლებოდა ფათერაკიან, საბედისწერო ალაგად. მის ხსენებასაც გაურბოდნენ, ვაშინერსო,[1] – იძახდნენ მასზე კუნძულის მკვირდნი. აქ, ზღვის უძირო სიღრმეებში ბინადრობდნენ მზეთუნახავი მესეფენი. ეს მაქცია დიაცები განაგებდნენ ტაროს-ამინდსა თუ უამინდობას, დარსა თუ ავდარს. კოჭებამდე გრძელი და ხშირი თმა ჰქონდათ მესეფეებს და ლაჟვარდისფერი თვალები.

ჯადოქრული სილამაზის წყალობით ზღვის ასულნი მყისვე ახვევდნენ თავბრუს ყველას, ვინც კი გაბედავდა და მიუახლოვდებოდა მათ სანახებს.

ჩვეულებისამებრ, მზაკვარი დიაცი ზღვის აქოჩრილ, თეთრმაქმანიან ტალღაზე შემოსკუპდებოდა ხოლმე, მომხიბლავ ზღვისფერ თვალებს ააჟუჟუნებდა, ქათქათა, ბროლის კბილებს გამოაჩენდა და შეუდგებოდა ოქროსფრად მბზინავი, სირმის თმის ვარცხნას ოქროს სავარცხლით, თან ისე გულისწამღებად ააღუღუნებდა მაფშალიასდარ ხმას, ისე ააკვნეს-აატირებდა, რომ უმალვე ბნიდავდა და თანგავდა ყოველ სულიერს თუ უსულოს; ნეტარებით წალეკილნი, ტან-იოგში დაშლილნი, დარეტიანებულ-დაბურსალებულნი უფიქრელად, უდარდელად და თვინიერად მიექანებოდნენ ზღვის ფსკერისკენ, სადაც იდგა ჯადოქართა დიდებული, ზურმუხტოვანი სრა-სასახლე და იქ... სამუდამოდ ივანებდნენ.

ბიჭი ნავს კონცხიდან საკმაოდ შორს მიაცურებდა, მაგრამ ჟამით-ჟამამდე შიშნარევი მზერით მალულად გახედავდა ხოლმე კლდის პირქუშ, გოროზ სილუეტს.

უეცრად ბიჭს თვალები გაუგანიერდა და ელდანაცემს, ნიჩბები ხელში შეაცივდა.

ტიტველი, რუხი კლდის ასაკიბ-დასაკიბ ბილიკს წყობა-წყობად შეჰყოლოდნენ შავმოსასხამიანი ლანდები. ტაატით, სვენებ-სვენებით მიიწევდნენ მაღლა, თხემისკენ და როცა ააღწიეს კინწიბუროს, ეს უცნაური რაზმი კლდის ქიმზე შეჯგუფდა, წამით თითქოს აირივნენ ერთიმეორეში.

[1] ტაბუ

მერმე ეს მოტორტმანე შავი გორგალი ერთბაშად გადაიხსნა და შუაში თეთრსამოსიანი არსება გამოჩნდა. შავმოსასხამიანებმა ხელში აიტაცეს იგი და მოზომილი, პატარა ნაბიჯებით მიკუსკუსდნენ ქარაფის კიდესთან. თეთრსამოსიანს მეყსეულად გადასძვრა თავსაბურავი და მზეზე თვალისმომჭრელად აელვარდა სამოსზე გადმოშლილი თმის ტევრი. შეჩოჩქოლებულმა შავმოსასხამიანებმა თითქოს სცადეს ქალისათვის თავსაბურავის წინანდებურად შემოხვევა, მაგრამ მერმე, ეტყობა, გადაიფიქრეს თუ სხვა რამ მიზეზით, თავშიშველი, გაბაწრული ქალი ციმციმ მიიტანეს ძგიდესთან, გააქან-გამოაქანეს და... ზღვაში მოისროლეს. ჰაერში გაიფრიალა გაშლილმა თმამ და... თეთრსამოსიანი ტალღებში გაუჩინარდა.

შავად შესუდრულები კიდევ ერთხანს ქანაობდნენ, იტკეპნებოდნენ ადგილზე, მერმე დაცალცალკევდნენ და ერთიმეორის მიყოლებით, წალიკ-წალიკ ჩაუყვნენ ბილიკს.

ბიჭმა ღრმად ამოიხვნეშა და აკანკალებული ხელი შუბლზე მოისვა:

„რა ხდება?...“

ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ყოველივე, რაც თავის თვალით იხილა, რასაც უცაბედად შეესწრო.

გაოცებული მზერა მიმოავლო ირგვლივ. მნათობი აღარსად ჩანდა. ცარგვალი ერთიანად დაეფარა ლეგა ღრუბლებს.

ანაზდეულად წამოუბერა ქარმა და ზღვის ტალღები ყალყზე შეაყენა. ისევ დაიზუზუნა ქარ-ბორიამ. ახლა უფრო ძლიერად, უფრო გამეტებით და ერთიანად მირეჯგვ-მორეჯგვა აზავთებული ტალღების რემა.

ბიჭმა შეშფოთებით მიაწყვიტა მზერა კლდეს. უეცრად მოვარდნილი ნისლის ჯანღში არც კონცხი ჩანდა, არც ნაპირი. დამფრთხალმა და აზრშერყეულმა სცადა ალალბედზე ეცურა, ეგების როგორმე მივადგე სანაპიროსო. მაგრამ ამის გაფიქრება იყო და ნიჩბები ხელიდან გაუცვივდა. მისგან შორიახლოს, აზვირთებულ ტალღაზე შემომჯდარ გრძელთმიან დიაცს ჰკიდა თვალი. ზისნახე[1] არ იღიმებოდა, აღარც თმას ივარცხნიდა ოქროს სავარცხლით, აღარც მღეროდა ჯადოსნური ხმით. წარბებს ქვემოდან მრისხანედ იმზირებოდნენ ჩამუქებულ-ჩაშავებული, დიდრონი თვალები.

წამიც და... მეორე დიაცმა ამოჰყო თავი ტალღებს ქვეშიდან. მას მოჰყვა მესამე, მეოთხე... მერმე მესეფეთა მთელმა ამ ლაშქარმა ერთმანეთს ჩაჰკიდა ხელები და... გალენჩებული ბიჭის თვალწინ უცნაური ფერხული გამართეს. ცერზე შემართული ტალღების ქოჩრებზე უვლიდნენ დავლურს გრძელთმიანი დიაცები. ხანგამოშვებით შეჩერდებოდნენ, თითქოს ძალას იკრებდნენ, მერმე ერთს შეჰკივლებდნენ გამყინავი, ჟრუანტელის მომგვრელი ხმით და ისევ განაგრძობდნენ როკვას: ხან ცისკენ აიტყორცნებოდნენ თვალშეუვლები სისწრაფით, ხანაც თავქვე მოექანებოდნენ და გამეტებით ენარცხებოდნენ გაცოფებულ ტალღებს, ხანაც ერთ ადგილზე ტრიალებდნენ ციბრუტივით, იგრიხებოდნენ და იკლაკნებოდნენ შლეგური ჟინითა და გახელებით, და თითქოს ხელჩართულ ბრძოლაში იწვევდნენ გარს მომდგარ უჩინარ მტრებს.

ცხენის ფაფარივით უფრიალებდათ ქარში თითბრისფერი თმები. თევზის ქერეჭივით შემოტმასნოდათ მოქნილ ტანზე ვერცხლისფერი, ბრჭყვიალა სამოსი. გოროზ სახეებზე თვალების ნაცვლად თითქოს უზარმაზარი კოცონნი ენთოთ და... იწვოდა და იხრუკებოდა ირგვლივ მთელი არემარე ამ გაუსაძლისი, აუტანელი მხურვალებისგან.

გაშმაგებული ზღვის ღრიალსა და გუგუნში, ჭექა-ქუხილის ზათქსა და ზრიალში, მესეფეთა წივილსა და კივილში – ამ ყურისწამღებ გნიასსა და ორომტრიალში უშველებელი ტალღები პაწაწკინტელა ნაფოტივით აბურთავებდა ორჩხომელს, რაღაც სასწაულით რომ უძლებდა გააფთრებულ შემოტევას და თითქოს რაღაც უხილავი ძალის მეშვეობით ნელ-ნელა, წვალებით, მაგრამ გარდაუვალად უახლოვდებოდა ნაპირს. ბიჭი გრძნობდა, მასზე რომ აღარაფერი იყო დამოკიდებული და ამიტომაც ხოფებს ჩაფრენილი, თვალდახუჭული მინებებოდა განგების ნება-სურვილს, რამაც ნავიანად უვნებლად გამორიყა იგი ქვიშაზე.

...და როცა ლასლასით მიმავალ სახეგანაცრისფერებულ, ქანცგაწყვეტილ და თვალებჩაცვენილ ბიჭს თემშარაზე შემოხვდა წელში მოკაკული, არგნიანი ბადიდი[1], იგი უანგარიშოდ, მისდაუნებურადვე მიაფრინდა მოხუცებულს სახეში და... რა ხდებაო, ბაბუავ, იათნანაზე, ჰკითხა მოუთმენელი ხმით და ბერიკაცმაც მყისვე, დაუყოვნებლივ მიუგო ჩიფჩიფით: - უბედურება, შვილო ჩემო, უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე! ნეტარმა ღმერთებმა ხელი აგვაღეს. უზენაესი დია-უფალი გაგვირისხდა! სასტიკად ვისჯებით ჩვენი უკეთურობისთვის!.. უგუნურმა იათნანელებმა სიკვდილით დასაჯეს ციცი გეგეშხე! ახავაია, ჩვენი ცოდვა. ახავაია!

– ციცი გეგეშხე!? – გაიოცა ბიჭმა, გულში კი გაივლო: „ნეტა... ვინაა ციცი გეგეშხე?“ მაგრამ ხმამაღლა რატომღაც აღარაფერი თქვა და მხოლოდ თვალი გააყოლა ცუხცუხით, ჯოხის კაკიკუკით მიმავალ მოხუცს, თავისთვის რომ მიბუტბუტებდა რაღაცას.

[1] მზეთუნახავი

[1] ღრმა მოხუცებული

სამსჯავრო

მარმარილოს სვეტების ღიობებში ჩანდა წვერწამახული კვიპაროსები და ლურჯად მოხასხასე ზღვის უბე.

ეს ტანასვეტილი, მუქმწვანე ხეები ბავშვობიდანვე სევდიან გუნებაზე აყენებდა, რადგან მათი ხილვა უნებლიეთ იწვევდა გლოვის შეგრძნებას, ხსოვნაში მაშინვე აღდგებოდა ხოლმე საფლავთა ბორცვები და მიცვალებულთა მივიწყებული სახეები.

ან ეგება... უფრო ღრმა, უფრო იდუმალი და შეუცნობი კაეშნის მატარებელი იყო მათი არამიწიერი მშვენება? ვინ იცის!..

მერცხლები ჟივილ-ხივილით წამდაუწუმ ჩამოიქროლებდნენ ხოლმე სვეტებთან, ლამის შიგ შემოჭრილიყვნენ.

ანაზდად შორს, ზღვის უსასრულო, ჰაეროვან სილურჯეში თოლიასავით მოფარფატე თეთრაფრიანი ნავი გამოჩნდა და მყისვე, ხსოვნის ფსკერიდან გამოიხმო აწ გარდასული, მივიწყებული სურათები, წარსულის ბუნდოვანი ანარეკლები, წამიერი შთაბეჭდილებანი. მერმე ეს ჩვენებანი ერთმანეთში აირია, დაბზრიალდა, თავდაყირა დადგა ყველაფერი, ფერები ერთმანეთში აიჭრნენ და...

თავად თითქოს ზემოდან მოექცა ამ რია-რიას და უცხოს მზერით დაუწყო თვალიერება ყოველივეს: ეს მშვიდი, ამაყი იერით მჯდარი ქალი თვითონ კი არა – ვიღაც სხვა, უცნობი და შორეული არსება გახლდათ თითქოს, სულგაცლილი, მიღმიერი სამყაროდან თუ ზესკნელის სანახებიდან გადმომზირალი, ოდნავი გაოცებითა და თან ცნობისწადილით შეპყრობილი, ერთობ გულმოდგინე მონდომებით რომ უჭვრეტდა თავის მიტოვებულ სხეულს.

მოულოდნელად შორეთიდან, უფსკრულის ძირიდან თუ ქვესკნელის ჯურღმულიდან გაურკვევლად და ბუნდად ახმიანდა რაღაცა. ხმაური თანდათან ძლიერდებოდა, იზრდებოდა და ჯიუტად და დაჟინებით ცდილობდა შემოენგრია თავდასაცავად აღმართული ჯებირები, მაგრამ ასევე ჯიუტად და დაჟინებით ისხლეტდა მას საგულდაგულოდ დაგმანულ-დახშული, თითქოს საგანგებოდ ამოქოლილი ყურთასმენა და გაურჩებულ-გაკერპებულ გონებამდე აღარ უშვებდა ამ აბეზარ მოძალადეს.

და ჟღრიალებდნენ უთავბოლოდ, რკინის კარების ჟანგიანი ანჯამებივით, უაზრო და უსაგნო ბგერები, ხოშკაკალასავით რომ ცვიოდნენ ძირს, ქვის ფილაქნებზე, ხან კიდევ ჩაქუჩის შეყოვნებული დარტყმის ხმას რომ გამოსცემდნენ და მერმე ჰაერში იკარგებოდნენ უკვალოდ და უმისამართოდ.

... სიჩუმე ისეთი მკვეთრი, სრული და მოულოდნელი იყო, რომ თავისდაუნებურად შეტოკდა. გონება უმალ გამოერკვა ბურანიდან. გულგრილი, უმეტყველო მზერა შეავლო ამაღლებულ ფიცარნაგზე გრძელ, დაბალ მერხთან სავარძლებში ყვავებივით ჩამორიგებულ შავმოსასხამიან მსაჯულთა შუბლდაბღვერილ, კუშტ სახეებს.

თუნთიას სიტყვა შეეწყვიტა და ახლა, ჩანდა, ისვენებდა, თავისივე რაკირუკით დარეტიანებული. პირი ფართოდ დაებჩინა ნაპირზე გამორიყული თევზივით და მოსასხამის სახელოთი ქლოშინით იმშრალებდა გახვითქულ, გაფიჟვინებულ სახეს. უზომოდ გამობერილი, ვეება მუცელი მერხის ძგიდეზე შემოედო და დასაკლავად გათოკილი ღორის ფერდივით უთახთახებდა. მოტვლეპილი და წაგრძელებული თავი ოფლისგან ალაპლაპებოდა.

„ერთობ გასჭირვებიათ დიდნოღელებს, რაკიღა ასეთ ვიგინდარაზე შეუჩერებიათ არჩევანი, თუმცა... ან კი ვინ უნდა მოეძებნათ სხვა, უფრო სულმდაბალი კაცი?“

დიაცს ძლივს შესამჩნევმა, გესლიანმა ღიმილმა შეურხია ტუჩები: „ვაი, დედასა ბედკრულო იათნანავ! ასე როგორ დაკნინდი და დაძაბუნდი!“

...თუნთიამ ამასობაში სული მოითქვა და... კვლავ უწყვეტ ნაკადად გადმოსკდა მის ბაგე-პირს სიტყვების ნიაღვარი, წარღვნითა და ღვარცოფით რომ ემუქრებოდა ირგვლივმყოფთ.

– ეს წარმოუდგენელი, საზარელი მკვლელობა...

– რჩეული ფინიკიელი დიდვაჭარი... უბრწყინვალესი, უგონიერესი, უკეთილშობილესი...

– ჩვენი ერთგული და ძლიერი მოკავშირის უგამოჩინებულესი, უღირსეულესი შვილი უფალი აპე...

– ესე ვერაგული მკვლელობა თხრამლს სცხებს მთელს ჩვენს კუნძულს, მთელს ჩვენს გვარტომს, მთელს იათნანას!

– შელახულია ჩვენი სტუმართმოყვარეობის ოდინდელი, მამა-პაპური, ღმერთების მიერ ნაკურთხი წეს-ჩვეულება!

– ესე გაუგონარი, არნახული, არსმენილი სისასტიკე დიაცისგან...

– მე, ვითარცა თარხონის ქურუმი და მსაჯული, მოვითხოვ...

– და ვითარცა იათნანელი, მთელი იათნანის სახელით...

– უნდა დაისაჯოს ისე... რომ...

– უნდა... უნდა... უნდა...

სჭექდა და ჰქუხდა უფალი თუნთია. ზანზარებდა სამსჯავროს კედლები.

„ნუთუ აღარა აქვს დასასრული ამ ტაკი-მასხრობას?“

შეურხევლად იჯდა წელგამართული ქალი და მოგონილი სიმშვიდით გასცქეროდა ზღვის კაშკაშა სილურჯესა და შორს მოფარფატე ნავს, თანდათანობით რომ უჩინარდებოდა თვალსაწიერზე.

დროგამოშვებით მის მჭიდროდ მოკუმულ ტუჩებს წყნარი ღიმილი ეპარებოდა, შეფარული ნიშნისგებით რომ იყო დაფერილი.

ანაზდეულად სიტყვათა ღვართქაფში ერთმა სახელმა გამოიყვანა ქალი იმ ზიზღიანი, გულგრილი გარინდებიდან, მთელი მისი არსება რომ მოეცვა. უნებურად სმენად იქცა, თუმცა გარეგნულად არაფერი დაიმჩნია. სახეზე ერთი კუნთიც არ შეტოკებია.

„ბოჩი?“

– ახლა მოვუსმინოთ ჩვენს წარჩინებულ პიროვნებას, დიდად პატივცემულ უფალ ბოჩის!

„ნუთუ ეს შენა ხარ, ბოჩი? რას დამსგავსებიხარ, ბიჭო? ვაი, შენ ჩემო დღეო! ასე რამ შეგცვალა, შე უხანოვ, ახავაი! რაფერ მოტეხილხარ ჯერაც ახალგაზრდა კაცი!... თუმცა... დიდინოღას საპატიო მაცხოვრებელი და სასახლის წარჩინებულთა ახლობელი ხომ გახდი! ძვირფას უცხოურ მოსასხამსა და ტანსაცმელშიც ხომ გამოწყობილხარ! თითებზეც აგე, რამდენი ბეჭედი აგიჩორჩხოლავებია!

მაშ, შენ უნდა მოუთხრო ახლა ამ უცხო (როგორც მაყურებელთა, ისე ვითომ ქურუმ-მსაჯულთა საკრებულოს შორის უმეტესობა არაიათნანელია, ამას თუ „ამჩნევ“, ბოჩი ძვირფასო?), მაშ, შენ უნდა ეზრახო-მეთქი ამ უცხო, ცნობისმოყვარე, უსაქმურ და ბნელ ბრბოს – წინასწარ მოსყიდულსა და დაქირავებულს – და მის შესაფერ ბერიკა ქურუმ-მსაჯულებს შენი ცოლის – თუნდაც ყოფილის, მაგრამ ოდესღაც საყვარელი ქალის, შენი შვილების დედის – თავს გადახდენილი სასტიკი ამბავი, შენგან მიტოვებულ, მაგრამ მაინც შენს საკუთარ კარმიდამოში, შენს საკუთარ ოხორეში[1] რომ დატრიალდა, ამბავი, შენვე რომ ჰკვებე და ასაზრდოე!

თუმცა... ეგების მარტო შენ არა?.. ასეა თუ ისეა, მაინც ფრიად საყურადღებო იქნება ამ ყურებდაცქვეტილი „რჩეული“ საზოგადოებისთვის შენი მონაყოლი...

აბა, ჰე! დაიწყე ჩემო ძვირფასო. მეც გულისყურით მოგისმენ – შენ რომ იცოდე!.. მართალია, იათნანელ მამაკაცთა ფასი კარგა ხანია ვუწყით იათნანელმა დედაკაცებმა, მარა მაინც! ვნახოთ... ეგება... ვინ იცის!..“

– უფალო ბადრა! ღირსეულო ქურუმ-მსაჯულნო!.. სიმართლე რომ ვთქვა, მე, ცოტა არ იყოს, მიჭირს აქ გამოსვლა სიტყვით... მაგრამ ვინაიდან საჭიროება და გარემოება ითხოვს, ვინაიდან ფიცი მაქვს დადებული ღმერთის საკურთხევლის წინაშე („რომელი ღმერთის, ბოჩი ძვირ-

[1] სახლი

ფასო? ფინიკიური თუ იათნანური ღმერთების წინაშე?“) იძულებული ვარ ვილაპარაკო ის, რაც ვუწყი და რასაც მე თავად შევესწარი...

– ბრძანე, გეთაყვა, ბრძანე, ჩვენ გისმენთ ყურადღებით! – შეაგება მთავარმსაჯულმა ღირსმა ბადრამ, ამასთანვე მთავარი ქურუმიც რომ გახლდათ დიდინოღასი და მეფე-დედოფლის შემდეგ პირველ დიდებულად რომ ითვლებოდა მთელს იათნანაზე.

ბოჩიმ ხმა ჩაიწმინდა, წამით იყუჩა, მერმე თავი აიღო, თვალები სადღაც შორს, სივრცეს მიუშტერა და ტკეპნა-ტკეპნით განაგრძო შეწყვეტილი სიტყვა:

– დაბა ნამარკელისგან მოშორებით, ამ რამდენიმე წლის წინ გავაწყვე ახალი კარ-მიდამო, გავმართე ახალი დოხორე[1]. ზაფხულობით იქ ჩამომყავდა ჩემი თი[2] დასასვენებლად, ძველ სახლში კი დარჩა ჩემი პირველი ცოლი... ორ ქალიშვილთან ერთად („სახელის წარმოთქმასაც გაურბიხარ, არა, ბოჩი ძვირფასო?“) უფროსი ვაჟები კი... ფინიკიის დიდნოღაში, ტიროსში ცხოვრობენ... („აჰა! ვაჟები ახსენე, შემოგევლე? შენს მიერ გადაკარგულნი უცხოეთში? ვაგლახ მე, ვაგლახ მე!“). წლეულს, ზაფხულსაც ჩავედი ჩემს მამულში ცოლშვილითურთ. თან გვახლდა ჩემი მეუღლის ძმა, აწ გარდაცვლილი აპე... მას ბევრი აქ დამსწრეთაგანი იცნობდა ალბათ.

– ვინ არ იცნობდა ესოდენ სახელოვან და დიდებულ კაცს – იათნანელთა დიდ მეგობარსა და მოყვარეს – ასე მუხანათურად და უწყალოდ მოკლულს ამ დედაკაცის მიერ! – წარმოთქვა მთავარმსაჯულმა შეუკავებელი რისხვითა და გულისწყრომით და თითი მიაშვირა განცალკევებით მჯდარ დიაცს. დარბაზში მყოფნი შეჩოჩქოლდნენ. აქა-იქ მუქარა, გინება და წყევლა-კრულვა გაისმა. მთავარმსაჯულმა უფალმა ბადრამ აცალა საკრებულოს ბოღმის გადმონთხევა და მხოლოდ ამის შემდეგ მოუწოდა მას სიჩუმისკენ. როცა ხმაური მინყნარდა, ბოჩის სთხოვა, განეგრძო სიტყვა. მაგრამ ბოჩი კარგა ხანს ხმას არ იღებდა სახეგაქვავებული. („ჰმ! შენ შინაგანად უკვე აიზღარბე, ბოჩი ძვირფასო... თუმცა არ იმჩნევ! მაგრამ ჩემზე უკეთ, აბა, ვინ გიცნობს, შემოგევლე!“).

– დიახ... იმას ვამბობდი... იმ სამწუხარო დღეს, უბედურება რომ მოხდა, მე შინ არ გახლდით... საქმეებმა შემაყოვნეს ნავსადგურში („უფრო უპრიანია სთქვა, ნავმისადგომის მეძავებმა დამაგვიანეს-თქო, ჩემო ბოჩი!“, საღამოჟამს, როცა დოხორეში დავბრუნდი... იქ უამრავი კათა[3] ირეოდა. ხოლო... ჩემი მეუღლე შუშუ მწარედ დასტიროდა გულგანგ-

[1] სასახლე

[2] ოჯახი, სახლეული.

[3] ხალხი.

მირულ თავის ძმას... – ბოჩი დადუმდა.

– უფალო ბოჩი, ალბათ უწყი, რომ ციცი გეგეშხე – შენი ნაცოლარი – არაფერს ამბობს იმაზე, თუ რამ ჩააგონა მას ეს მკვლელობა, რა მიზეზით ჩაიდინა ესოდენ საზარელი საქციელი. პირში წყალი ჩაუგუბებია და დუმს ჯიუტად: მხოლოდ ესღა განაცხადა, ღირსი იყო და მოვკალიო. მორჩა და გათავდა. სულ ესაა და ეს! ამადაც სამსჯავროსთვის ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანი იქნება, უფალო ბოჩი, შენი მოსაზრებანი ამ მკვლელობის თაობაზედ.

„ვაშა და დიდება შენდა, ღირსო ბადრავ!.. ნამდვილად ტომბა[1] ჭკუის კაცი ბრძანდები მე და ჩემმა ღმერთმა!

ოღონდ... შენ, შენ რისთვისღა ჩაგიღუნია თავი, ბოჩი გენაცვალე?.. რაო?.. აქედან შორს, ერთობ შორს ხომ არ გაგიტყუეს ფიქრებმა მეყსეულად?.. ეჰე... იქითკენ... გავლილი წლებისკენ?.. ან ეგება...“

ბოჩი კვლავ ჩუმად იყო. ციცი ოდნავ მოჭუტული თვალებით უყურებდა ქმარყოფილს.

მართლაც, ვინ იცის, ახლა, წლების გადასახედიდან, ასეთ უჩვეულო, ზარდამცემი ვითარების ფონზე, რამდენგვარი მოგონებანი არ წამოიშალნენ ანაზდეულად სულის უშორესი და ფარული მღვიმეებიდან, რა და რა სახის სურათები არ იხატებოდა ახლა წამიერად ორივეს თვალწინ. და, ვინ იცის, გონების თვალმა, რომელი შემთხვევა თუ შთაბეჭდილება, სიტყვა თუ მიხრა-მოხრა, გამოხედვა თუ უცაბედი შეხება, აზრი თუ ნაჩუმარი ფიქრის ნაწყვეტი, თითო-ოროლა ნაფლეთი თუ მთელი წყება მოვლენების – ამოატივტივა ხსოვნის ფსკერიდან, დროით და მანძილით რომ იყვნენ ერთმანეთისგან დაშორიშორებულნი, დაკუწულ-დაჩეხილნი, მაგრამ ერთი მთლიანის განუყოფელ ნაწილებს რომ შეადგენდნენ მაინც. რას უფრო მიაპყრო მზერა ამ უხილავმა თვალმა, რა შეარჩია?

თუმცა გონების თვალწინ დატრიალებული ამ აბურდულ-დაბურდული გორგალისთვის მეტისმეტად ძნელი იყო ნასკვის პოვნა, მით უფრო შეუძლებელი ჩანდა დალაგება და თანმიმდევრულად წარმოსახვა ყოველივე იმისა, რაც უკვე მოხდა, რამაც მედინი დროის წყალობით ჩაიარა და ახლა სიზმარეულ მოგონებადღა თუ შემორჩენოდა მეხსიერებას და, სხვათაშორის, რის დავიწყებასაც ზოგჯერ ასე გულმოდგინედ ცდილობდა ორივე – ხან ნებსით, ხანაც უნებლიეთ, მაგრამ, გინდა არ გინდა, განვლილი წლები და თავს გადახდენილი ამბები სამუდამო ტვიფარითაა აღბეჭდილი ხოლმე გონების უჩინარ დაფაზე და ჟამს ელოდება, რათა მიყუჩებულ-მიმალულმა თავი აიწყვიტოს, ერთბაშად მოსკდეს ნიაღვარივით და ერთიანად წალეკოს ცნობიერება.

[1] ღრმა.

შეხვედრა

თავქვეშ ხელებამოწყობილი, გაუნძრევლად გაშოტილიყო წნორის ჩრდილში და თითქოსდა თვლემდა. მაგრამ ფეხის უმცირეს ჩქამზე მსწრაფლ წამოსწია თავი. ჯერ ცალ იდაყვზე დაყრდნობილი, დაბლიდან შესცქეროდა უხმოდ, უსიტყვოდ. მერმე როგორღაც ზანტად წამოიმართა და... მსხვილი, მიჯრით მიწყობილი კბილები გამოაჩინა.

იდგა ასე სახეგადაბადრული და... ხმას არ იღებდა. წელს ზემოთ შიშველს, ზოლებიანი, მოკლე სელის ძიქვა[1] და რბილი წაღები ეცვა.

გოგომ ელვისუსწრაფესი მზერა ესროლა და შემდეგ ხაზგასმული დაუდევარი იერით აუჩქარებლად, დინჯად გასწია წნორის ტოტებზე მიბმული ორჩხომელისკენ. ის იყო თოკებს შეავლო ხელი და უცებ მხრის თავზე ცხელი სუნთქვა შეეფრქვა: - მე მოგეხმარები, ციცი!

მყის შემოტრიალდა. და ლამის იყო, ზედ შეასკდა, ისე ახლოს იდგა ბიჭი: იძულებული შეიქნა, თავად დაეხია უკან.

ბიჭს შეკავებული ღიმილისგან ფართო, თაფლისფერი თვალები უციმციმებდა. გოგომ შუბლი შეიკრა. აიმრიზა.

– საიდან იცი ჩემი სახელი? – ჰკითხა ანაზდად, საკმაოდ უკმეხი კილოთი და მზერა გაუმართა.

ბიჭი წამით დაიბნა. მოგრძო, ოდნავ ტლანქნაკვთებიან სახეზე სიწითლე წაეკიდა ერთბაშად. თითქოს აღარ იცოდა, სად წაეღო ხელები, სად დაემალა. და ეს ზორბა, კუნთოვან-ძალოვანი ჭაბუკი უცებ პატარა ბავშვივით უმწეო და უსუსური მოეჩვენა გოგოს.

ეოცა და რაღაც ესიამოვნა კიდეც ციცის ქვეშეცნეულად. ვერ კი გაიაზრა ოღონდ, მაინც რა მოეწონა! წამისწამში თვალში მოხვდა ბიჭის ხელების მტევანთა თითქოს სგანგებოდ თლილი გრძელი თითები და ლარივით სწორი ფეხები.

– საიდან ვიცი?.. დიდინოღადან![2] – მცირე ხნის შეყოვნების შემდეგ მიუგო ბიჭმა და საჩქაროდ დაატანა: - განა... შენ კი არ გახსოვარ? – და გამომცდელი, დაკვირვებული მზერით შეხედა სახეში. გოგომ ჯერ თვალი აარიდა, მერმე ზურგი შეაქცია და კვლავ ნავისკენ დაიხარა.

ახსოვდა, როგორ არა! პირველი იყო ჭიდაობასა და მშვილდოსნობაში. შეუძლებელი იყო არ ეცნო ბოჩი გაბელანი, მაგრამ ახლა რატომღაც გაგულისებულს, არ უნდოდა ამის გამჟღავნება. არადა, სიცრუის თქმასაც მოერიდა.

ბიჭი უხერხული ღიმილით შეიშმუშნა. ეტყობა, არ მოელოდა გოგოსგან ასეთ საქციელს.

[1] შარვალი.

[2] დიდი ქალაქი, დედაქალაქი.

– მე შენ ალიონიდან გელოდები აქ! – აღმოხდა უცებ და ისევ გვერდით დაუდგა ციცის. მან ხელი უშვა თოკებს, მობრუნდა:

– მე... მელოდებოდი?

– ხო, შენ!

– კი მარა... რათაო, რისი გულისთვისო? – კვლავინდებურად განგებისად შეიოცა გოგომ და წარბები აწკიპა.

– ნახვა მინდოდა შენი და იმის გულისთვისო! – მოსჭრა უცებ ბიჭმა, მერმე უბოდიშოდ გასწია გოგო განზე, ერთმანეთში ჩახლართული თოკები სწრაფად, მარჯვედ გახსნა და ასევე მარჯვედ დაამაგრა ხოფები ნავზე, მერმე ისევ წინ დაუდგა სახტადდარჩენილ, ენაჩავარდნილ ციცის და თვალებში ჩახედა ხანგრძლივი მზერით.

„ჰმ! ერთი ამას დამიხედეთ!“ – გაივლო გოგომ გულში გაოცებით. პირწმინდად გამქრალიყო ბიჭის ამასწინანდელი დაბნეულობა და ვითომც აქ არაფერიაო, ღიმმორეული, თამამად, კადნიერადაც კი მისჩერებოდა გოგოს.

– კი მარა... რა იცოდი, რომ აქ მოვიდოდი? – ენა დაება ციცის, თუმცა ძალიან ცდილობდა, როგორმე შეენრჩუნებინა სახეზე გულგრილი იერი.

– ვიცოდი!

ბიჭი უცებ ნავის კიდეზე ჩამოჯდა:

– სიმართლე თუ გინდა, გუშინაც გელოდებოდი აქ და გუშინწინაც. აი, ამ დილით კი... ბედმა გამიღიმა!

– რას მეუბნები!

– მზის მადლმა!

ბიჭი თითქოს ვერ ამჩნევდა გოგოს აგდებულ კილოს, მის აბზუებულ ტუჩებს. ციცი თუმც გაყინჩული იდგა მომღიმარე ბიჭის წინაშე, მაგრამ იქ, შიგნით, გულის სიღრმეში უცნაური წრიალი შესდგომოდა. თავისდაუნებლიეთ, ერთი კვირის წინანდელი ამბები დაუტრიალდა თვალწინ.

... შვიდი დღის წინ, ობიშხა[1] დღეს გამართულ შეჯიბრებებში ნამარკელელი ბოჩის სახელი ყველას პირზე ეკერა დიდნოღაში. მაგრამ ციცის თითქმის არანაირი ყურადღება არ გამოუჩენია მაშინ მის მიმართ, თუნდაც იმიტომ, რომ გარეგნულად მასზე ბევრად უკეთესი ბიჭები ეხვივნენ გარს. გარდა ამისა, ბოჩი გაბელანი ერთობ სიტყვაძვირი, მოუხეშავი და გულჩათხრობილი ჩანდა, ციცის კიდევ ხალისიანი, მკვირცხლი, ენამოსწრებული ყმაწვილები მოსწონდა ხოლმე. ესეც არ იყოს, საკუთარი წარმატებებით ისე იყო თავბრუდახვეული და აღგზნებული, სხვებისთვის, თუნდაც გამარჯვებულთათვის, ნაკლებად ეცალა.

[1] ობის დღა-პარასკევი, შვიდეულის მეშვიდე, უკანასკნელი, უქმე და დასვენების დღე კოლხ. კალენდარში.

ახლა კი, ბოჩის პირდაპირობამ და გულახდილობამ, რაღაცნაირად ამოაგდო თითქოს კალაპოტიდან, თავგზა აუბნია, თუმცა კი, რაც შეეძლო, ცდილობდა, არაფერი დასტყობოდა. ის კი არა, ერთობ უზრუნველი, უდარდელი იერი აისახა და თავადაც ნავზე ჩამოჯდა, ბიჭისგან მოშორებით.

– რითი ჩამოხვედი ასე დილაუთენია? – ჰკითხა სასხვათაშორისო ხმით და დახრილი ქუთუთოებიდან ალმაცერად გახედა ბიჭს, მზერას რომ არ აცილებდა გოგოს. იგი შეტოკდა. გოგოს ხმის ორჭოფულმა კილომ გამოიყვანა წუთიერი გარინდებიდან.

– გამოვცურე ზღვა.

– რაო? – გოგო უნებურად მთელი ტანით შებრუნდა მისკენ: – რა სთქვი?.. გამოვცურეო? – „ნამარკელიდან ნიშონამდე?.. ერთი კონცხიდან... მეორემდე?“

– ხო. გამოვცურე. რად გიკვირს?

ბოჩი ისეთი ალალმართალი, წრფელი ღიმილითა და თვალებით უყურებდა, რომ გოგომ საპასუხოდ ვერაფერი მოიფიქრა და გაჩუმება არჩია. მაგრამ მოუთმენლობით შეპყრობილს, დუმილი გაუძნელდა.

– კი მარა... რა გრჯიდა ასე ჯიმაგე?[1]

– ვინ გითხრა, რომ გავისარჯე?.. მე მსიამოვნებს ცურვა და მერე... წელანაც ხომ გითხარი, ნახვა მინდოდა შენი!

– აი, მნახე. რაი მერე? – წელში გასწორდა გოგო და გვერდზე ოდნავ თავგადაწეულმა, გამომწვევად შეანათა თვალები.

ბიჭი ლაჯებში ხელებმომწყვდეული პირუჩუმრად შესცქეროდა. და ამ მზერამ გოგოს მოულოდნელად გული შეუქანა, მერმე თითქოს ცხელი ტალღა გადაევლოო... თვალები დახარა.

– ლამაზი ცირა ხარ შენ, ციცი გეგეშხე, უსაშველოდ ლამაზი და... მომწონხარ ძალიან! – ხმადაბლა, მღელვარებაშეკიდებული ხმით ამოთქვა ბიჭმა უეცრად და გადმოიხარა, შეფაკლულ ლოყაზე მკვეთრი მოძრაობისგან ჩამოცურებული კულული ფრთხილად, სათუთად გადაუწია უკან. იმავე წამს მის მშვენიერ, ნიჟარისებრ საყურეს მიელაციცა თითებით. ისე ახლოს იყო ბიჭის უცებ გადაფითრებული სახე, ისეთ სითბოს და ალერსს აფრქვევდა ნაღვერდალივით ანთებული მისი თვალები, რომ ციცის წამით სუნთქვა შეეკრა. იჯდა მონუსხულივით ხმაგაკმენდილი და განძრევა ვერ მოეხერხებინა. გული კი, გული ისე გამალებით უცემდა, ლამის საგულედან ამომხტარიყო.

ფეხზე წამოიჭრა, რომ მღელვარება დაეფარა.

– ნუთუ მართლა? – გვიან შეეპასუხა ნაძალადევი სიცილით და ბიჭის

[1] ძმობილო.

მიერ ყურს უკან გადაწეული ბუწუწი თმისა, მისი გამოჯავრებით, ისევ ჩამოიშალა ლოყაზედ. ბიჭი კვლავ უყურებდა დაჟინებით, თვალმოუწყვეტლივ და ციცის ნელ-ნელა შეაცივდა ტუჩებზე დამცინავი ღიმილი. უხერხულობის დასაფარავად, ვითომცდა არაფერიო, ისევ ჩამოჯდა ნავის კიდეზე და ფეხები პატარა ბავშვივით ააქანავა.

ანაზდად ბიჭმა ოდნავ აბზეკილ ცხვირზე თითი დააჭირა და ენის მოჩლექით უთხრა:

– ხო. მართლა მასეა, ცირასქუა![1] და რას იზამ! – მერე თავი უკან გადაიგდო და ხმამაღლა, ლაღად, გულიანად გაიცინა. გოგომ კვლავ რომელიღაც ნადირს მიამსგავსა იგი, ოღონდ რომელს? ვეღარ გაიაზრა უცებ.

„შეხე, რა თავხედი ვინმეა!.. მაცალე... მე შენ გიჩვენებ სეირს!“

– შენ ოშორელი ხარ არა, წარმოშობით? – მოულოდნელად ჰკითხა.

– საიდან იცი? – გაიკვირვა ბიჭმა და უფრო ახლოს მიიწია მისკენ, სახეზე ჩააშტერდა. ციცი გვერდზე გაჩოჩდა.

აჰა! კარგია! იპოვა საბაბი ბიჭის გასაბიაბრუებლად და გასაქილიკებლად. წეღანდელი თავისი დაბნეულობის გამოც შურს იძიებდა ამით.

– საიდან უნდა ვიცოდე? კილოზე გეტყობათ და მერე... რ-ს ისე აგდებთ ზოგ სიტყვაში, თითქოს გეზარებათო მისი სრულიად გამოთქმა.

– მე იათნანაზე გავიზარდე. ოშორა ბუნდად მახსოვს.

– და მაინც იმათებურად უბნობ... – მცირე ხნის შემდეგ ნავზე ორივე ხელთ ჩაჭიდებულმა, მიამიტური ხმითა და უცოდველი სახით დაუმატა: – გამოგაძევეს, არა, დორიელებმა ოშორადან?

– რატომ? ჩვენით წამოვედით! – წყენის ჩრდილმა გადაუარა ბიჭს სახეზე. მოიღრუბლა. გოგომ უნდობლად ჩაიფხუკუნა.

– რა გაცინებს? – შეუტია ერთბაშად დაბღვერილმა ბიჭმა და თვალი თვალში გაუყარა. გოგო შეკრთა. არ მოელოდა ბიჭისგან ასეთ გულისმოსვლას. წამით დაიბნა. აირია.

– აღარ გედგომებოდათ და წამოხვედით იქიდან, ხომ მართალია? – შეარბილა კილო და წამწამები დააფახულა მზერადახრილმა. რატომღაც აღარ ინდომა საუბრის გამწვავება. თან თითქოს შეეცოდა ბიჭი და თავისი ფარული ნიშნისგების გამოც შერცხვა, ცოტა არ იყოს.

– მართალია ეგ! – უცებ დაეთანხმა ბიჭი და სახემოქუფრულმა მზერა ძირს დაიღო. შეატყო ციცომ, მტკივნეული იყო მისთვის ამ საგანზე ლაპარაკი, მტკივნეული და... უსიამო.

ფრთხილი, უჩუმარი მზერით შეათვალიერა ბიჭის დიდი, ქოჩორა თავი, მაღალი კისერი, მზისგან გაზანგული, განიერი ბეჭები. ბიჭმა უცებ ამოხედა. გოგო ისე შეჩქვიფდა, თითქოს ქურდობაში დაიჭირესო.

[1] ქალიშვილო.

იგრძნო, რომ მთელი სახე აელეწა. ყურებიც კი ნაკვერჩხალივით გაუხდა. გავწითლდიო? უარესად გაუვარვარდა სახე და ყელ-კისერი. მაგრამ ბიჭი თავის საფიქრალს მისცემოდა და გოგოს დარცხვენას თითქოს ვეღარ ამჩნევდა. მის დიდრონ, ლამაზ თვალებში უჩვეულო ნაღველი ჩაგუბებულიყო.

– ისინი ბევრნი იყვნენ, ჩვენ – ცოტანი! – თქვა ბოლოს ყრუ, დაბეჟილი ხმით და მუხლისთავებს დაებჯინა იდაყვებით.

– მერედა... თავიდან რისთვის შემოუშვით?

– თავიდან?.. თავიდან მოყვრებივით მოსულან. მერე და მერე მომრავლებულან... – გაჩუმდა. ერთხანს გახევებული იჯდა, მერმე შეირხა და თითქოს, ფიქრშიაო, განაგრძო: – ჩემი ბებია ამბობს – გაღმა-გამოღმა ზღვისპირეთში, მთელს ეგეის კუნძულებზე და უფრო შორს, ხმელეთზეც ჩვენი გვარტომისანნი ცხოვრობდნენო მხოლოდ. მაგრამ ჯერ აქაველებმა გამორეკესო ისინი თავიანთი მიწა-წყლიდან, მერე კი დორიელებმა. ჩვენიანები არამცთუ ხმელეთზე, კუნძულებზეც აღარ დააყენესო... აიაიას მოდგმის სისხლი და ოდინდელი წეს-ჩვეულება კუნძულებზე იათნანელებმაღა შემოინახესო წმინდად. ასე იძახის ჩემი დადი.[1]

„ამასვე ამბობს ჩვენი ქურუმი ნიცაც!“ - გაუელვა ციცის წამსვე.

– მართალი უთქვამს შენს ბებიას. იათნანაღა იყო დარჩენილი აქამდე შეურყვნელად, მაგრამ ახლა... არც ჩვენ გვადგია კარგი დღე. ამას შენც ხედავ!

– და მაინც... იათნანა – იათნანაა! – წამოიძახა უეცრად გახალისებულმა ბიჭმა, ტუჩები ყურთან მიუტანა და უჩურჩულა: – სანამდინ შენისთანები კიდევ არიან. ხომ ასეა, ციცი?

და ვიდრე რაიმეს მოისაზრებდა, ბიჭმა ხელში აიტაცა გოგო და... ნავში ჩასვა. თვითონ ხელის ბიძგებით წყალ-წყალ მიყვა მარჩხ მდინარეში ზღვის შესართავამდე, შემდეგ ორჩხომელის კიდეს გადმოალაჯა და ნიჩბებს მიუჯდა უშფოთველი, მშვიდი სახით.

გონსმოსულმა ციციმ ამასობაში ნავში შენახული ჭილოფის ფარფლებიანი ქუდი დაიხურა და წვრილი თასმებით შეიკრა ნიკაპთან. მერმე ნამზეური, წვრილი მკლავები მუხლებზე შემოიხვია და შინაგანად გაფაციცებულმა, ქვეშ-ქვეშად თვალყურის დევნება დაუწყო ბიჭის ყოველ მოძრაობას.

იათნანელი გასათხოვარი ქალიშვილების დარად წელს ქვემოთ დანაოჭებული, არშიაშემოვლებული, უსახელო, გულამოჭრილი მოკლე კაბა ეცვა, მუხლებს რომ ძლივს უფარავდა. ოქრომკედით მოსირმული ქამარი

[1] დიდედა, ბებია.

შემოერტყა წელზე, პატარა ფეხებს კი ლამაზი, მწვანე ფერის ჩაფულა[1] უმშვენებდა. ჭილოფის ფარფლებიანი ქუდიდან მხრებზე ტალღებად გადმოღვროდა ოქროსფერი სქელი, ხვეული თმა.

ჩვიდმეტი წლის იყო მხოლოდ და ყველაფერი უხაროდა და ახალისებდა ამ ქვეყანაზე: ეს იისფრად მოღაღანე უსაზღვროდ მაღალი და კრიალა ცა, მუქლურჯად ალივლივებული ზღვის ტალღები, მოციგლიგე ნიავი, თმებს რომ უწეწავდა ალერსიანად, გამჭვირვალე ნისლში ჩაძირული აიალონის მთა-კუნძულის შუაგულში ზვიადად რომ წამომართულიყო და ყოველი მხრიდან რომ მოსჩანდა მისი ბივრილისფერი მწვერვალები, თვალს ახარებდა ზღვის ვიწრო სანაპიროდან ერთიმეორეზე საფეხურებად შემოდგმული ზურმუხტოვანი ბორცვები. ტყიანი სერების, ხანაც კლდოვანი ბექობის თავზე აღმართული თეთრი მარმარილოს სვეტებიანი სამლოცველოები.

კოპწია ორ და სამსართულიანი ქვის და ალიზის სახლები, ზეთისხილის ბაღები, ქედების ფერდობებზე შეფენილი ზვრები, ხეხილნარი, ჭალები, ჩანჩქერიანი ხევხუვები. ტყით დაფარული მთების გრეხილი. ლურჯი და მწვანე ფერების ნიაღვარი. მზით გაბრდღვიალებული სანახები. ეს – იათნანა იყო – ბუნებისა და კაცთა ხელით მორთულ-მოკაზმული.

უხაროდა, რომ მკვიდრი იყო ღმერთებისგან დალოცვილი ამ მიწა-წყლისა, რომ მისი ენითუთქმელი მშვენების ნაწილს წარმოადგენდა – მისი მზისა და ცის მონათალს მცირეს.

უხაროდა, ჯან-ღონით სავსე რომ იყო და მარდი, სხარტი სხეული რომ ჰქონდა, ტოლს რომ არ უდებდა არავის არც ცხენის ჯირითში და არც ნავის ტარებაში. უხაროდა, დიდი დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი ს დროს დედაქალაქში, ჭუბურთაში რომ დაჰყავდათ მშობლებს, უფროს და-ძმებს და სახლიკაცებს, რათა პატარაობიდანვე შეჩვეოდა, შეთვისებოდა და შემდეგ, თავადაც მონაწილეობა მიეღო ღვთაებათა სადიდებელ ზეიმებსა და მსხვერპლშეწირვებში, კაბდურის[2] საგალობლებსა და საუფლო ცეკვა-თამაშობებში. თუმცა უფროსებისგან ესმოდა, ძველებური მადლი და ელფერი დაჰკარგაო მახვამურთა[3] ლოცვა-ვედრებამაც, მთელს იათნანაზე შეირყვნაო მამაპაპური წეს-ჩვეულება სხვადასხვა მიზეზთა გამო, მეტადრე კი – უცხოთესლთა ზეგავლენით, ასე რომ მომრავლებულანო მის დაბა-ქალაქებში და მაინც... ყველაფრის მიუხედავად, მშვენიერი, ლამაზი და კეთილი ეჩვენებოდა ეს ქიანა[4] და თავისი რინა[5] ამ

[1] ჩუსტი.
[2] ქურუმთა საგალობელი კილო.
[3] ქურუმები.
[4] ქვეყნიერება, ქვეყანა.
[5] არსობა, არსი, არსებობა.

ცისქვეშეთში.

ამგვარ მის სულიერ მღელვარებას ზედ დართვოდა ახლა ამ თითქმის უცნობ ბიჭთან განმარტოებით ყოფნის გამო გამოწვეული უჩვეულო განცდა.

ვერა და ვეღარ მორეოდა დაბნეულობის, შეშფოთების თუ... რაღაცნაირი შებოჭილობის უცნაურ, გაუგებარ გრძნობას, მისდაუნებურად რომ დაუფლებოდა მთელ მის არსებას. სხვა დროს არასდროს, არავისთან განეცადა მსგავსი ფორიაქი სულისა და არც არასდროს დასჭირვებია ამოდენა ძალისხმევა მის დასაფარავად.

ბიჭი კი თითქოს თავისთვის იყო, ძლიერად აწვებოდა ხოფებს და ორჩხომელიც სწრაფად და მსუბუქად მისრიალებდა ოდნავ მოტორტმანე ზღვის ზედაპირზე. იგი ვითომ ზედაც არ უყურებდა გოგოს, ისე იყო ჩაფლული თავის ფიქრებში, მაგრამ ქალის უტყუარი ალღოთი გრძნობდა ციცი, რომ ბიჭს გამუდმებით მისკენ ეჭირა თვალი. ზოგჯერ იჭერდა კიდეც მის ფარულ, ქვეშ-ქვეშა მზერას და ძლივს შესამჩნევ, წყნარ ღიმილს. ეს ჩუმი ღიმილი უფრო და უფრო უფორიაქებდა სულს, საგონებელში აგდებდა და, ცოტა არ იყოს, აღიზიანებდა კიდეც.

„რად მივეცი ნება, ჩამჯდარიყო ჩემს ნავში?.. თუმცა... ვინ მკითხა ნებართვა?“

ასევე დაუკითხავად მიეშველა ბიჭი ღუზის წყალში ჩაშვებაში. ანკესის გაწყობაც რომ დააპირა, ციცემ არასდიდებით არ დაანება და ბიჭიც იძულებული გახდა, მეთვალყურის როლს დასჯერებოდა.

– გიყვარს ანკესით თევზაობა? – ჰკითხა ცოტა ხმის შემდეგ. ციცემ ხმის კილოზე შეატყო, ბიჭი რომ იღიმებოდა.

„ნეტაი, რას იკრიჭება სულ, ეგ ოჯახქორიო“, გაიფიქრა გუნებაში წყრომით და ვითომ არაფერი გაუგონიაო, მომეტებული გულისწადინით და საქმიანი იერით ჩააშტერდა წყალს.

– გიყვარს, არა? – არ ეშვებოდა იგი ყურმოყრუებულ გოგოს.

– მიყვარს, კი.

– ოსაროთი[6] თუ გიყვარს ოჩხში[7] თევზაობა?

– ოსაროთიც მიყვარს.

– ძალიან?

– ძალიან!

– კიდევ... რა გიყვარს ასე... ძალიან?

– კიდევ მიყვარს... თავის-უფლება! – დაუმარცვლა გოგომ ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ანკესისათვის – მიყვარს, ჩემთვის რომ ვარ, მარ-

[6] თევზის საჭერი.
[7] თევზთ საბუნაგო ადგილი.

ტოკა, და ხელს არავინ მიშლის ფიქრსა თუ... საქმიანობაში.

– მეც მიყვარს მასეთი თავისუფლება! – არ ცხრებოდა ბიჭი, თითქოს არაფრის ბაიბურშიც არ იყო.

მერე ერთ ხანს იყუჩა და ციციმ იფიქრა, მგონი მეშველაო, მაგრამ ლაპარაკის საღერღელაშლილ ბიჭს თურმე რა გააჩერებდა!

– ბოდიშს ვიხდი, ციცი, რომ გაწუხებ, მარა... ძალიან მინდა გავიგო, – ბიჭი თავისებური ტკეპნა-ტკეპნით წარმოთქვამდა სიტყვებს, თან ტუჩებს ძლივს უყრიდა თავს: – წეღან რომ თქვი შენ, იმნაირი თავისუფალი ქალისა და თავის-უფალი კაცის სიყვარულზე რა აზრის ხარ, მაგალითად?

საფრთხე მყის იგრძნო გოგომ, გადარაჯდა, თუმც სახეზე არაფერი დაიმჩნია.

– სიშლეგეა ეს! – მოსჭრა ცივად და შუბლი უფრო შეიკრა.

– მაპატიე ციცი... ვერ გავიგე?..

– დია-ღმერთო? რა არის გაუგებარი? სიყვარული სნეულებაა ანუ... ერთგვარი სიშლეგეა-მეთქი და, ამიტომაც საძრახისი და სათაკილოა. გაიგე ახლა?

– ვერა. – გაიჭყანა ბიჭი და თავი გადააქნია, მერე კეფა მოიქექა და შემპარავი ხმით განაგრძო:

– ისე ჭკვიანურად უბნობ, ციცი, რომ, სწორედ გითხრა, ვითარცა ერთ უბირ ახალგაზრდას, მიჭირს გაგება, მარა... მაინც გავბედავ და შეგეკითხები კიდევ: პირადად შენ თუ ყოფილხარ ასეთ... საძრახის მდგომარეობაში, ანუ, ესე იგი... საკუთარი გამოცდილებიდან მეზრახები ასე, თუ?.. – ბიჭს ისეთი მოკატუნებული იერი ჰქონდა სახეზე, ისეთი უცოდველი კრავის თვალებით და მორიდებული ღიმილით შეჰყურებდა გოგოს ნიჩაბზე მკლავებდაყრდნობილი, რომ ციციმ ძლივს შეიკავა უცებ მოვარდნილი სიცილი. მაგრამ უმალვე მიიღო მკაცრი გამომეტყველება და მოემზადა, რათა საკადრისი პასუხი გაეცა თავხედი, ონავარი ბიჭისთვის, მიამიტობას ასე ოინბაზურად რომ თამაშობდა, ოღონდ ეს კია – თავის თავს ატყობდა, თანდათან უფრო და უფრო უჭირდა ეს კატა-თაგვობანას თამაში.

– არაა სავალდებულო, ყოველივე საკუთრივ შენ გამოსცადო. ზოგჯერ სხვათა გამოცდილებაც და მაგალითებიც საკმარისია ჭკვიანი კაცისთვის, – კვლავ დამრიგებლური კილოთი წარმოთქვა გოგომ და სიტყვა „ჭკვიანს“ ხაზი გაუსვა ბიჭის გამოსაჯავრებლად.

ბოჩიმ უხმოდ ჩაიცინა, მერმე ერთი ღრმად ამოიოხრა და ისევ ისე მოსაწყლებული იერით ეზრახა გოგოს:

– ხოო... ასეა ალბათ!.. მარა... შენ რომ ასეთი გონიერი ცირა ბრძანდები, ეგება ისიც აუხსნა და გააგებინო ჩემისთანა შტერსა და მიუხვედრელს, რანაირად შეიძლება თავიდან აიცილოს კაცმა ეს საჯაყი ავადმყოფობა? ანდა... რაფრად შეიძლება უწამლო უკვე დასნეულებულს და გაუბედურებულს-თქვა?

უყურე შენ! ეს ბიჭი თავდაპირველად მცონარა, უნდილი და უტყვი მოეჩვენა, სინამდვილეში კი... ხედავ, რა ენაგალესილი და ლაზღანდარა ვინმე ყოფილა? და მერმე მართლაც, არის რაღაც მასში... ნადირის...

„ფრთხილად, ციცი გეგეშხე!“

– რატომ გაჩუმდი, ციცი! – ბიჭს ნიჩბებისთვის ხელი შეეშვა და მოწკურული თვალებით უმზერდა გოგოს: – ის შენი სენია თუ სიშლეგე, გინდა თუ არა, მაინც ყველამ რომ უნდა მოიხადოს ყვავილ-ბატონებივით, ამაზე რას იტყვი, ა?

– რატომ ყველამ?.. ვინ მოგახსენა, რომ ყველასათვის სავალდებულოა? – აბრუ არ გაიტეხა ციციმ, თუმცა გრძნობდა, წინანდებური რიხი და თვითდაჯერება აკლდა ხმაში: ბოჩი კი ერთხანს თითქოს რაღაც საგონებელს მისცემიაო, დუმდა. მერმე თავი ასწია და დაოკებული მღელვარებით უთხრა:

– მომისმინე, ციცი: იათნანელი ქალიშვილები რომ გულადნი და უშიშარნი არიან, ეს ქვეყანამ იცის, მარა იათნანელი ცირები კაი ცოლებიც არიან აგრეთვე. შენ... არ გსურს ვინმეს ცოლობა?

– არა. არ მსურს.

– რომ გამოჩნდეს ბიჭი, ვინც ამ სურვილს გაგიჩენს?

– ეგეთი არავინ მეგულება ამ არემარეში!

– რომ გამოჩნდეს-მეთქი, მაშინ?

– უკეთუ გამოჩნდება, მერე... ვნახოთ. ახლა, თუ ღმერთი გწამს, ხელს ნუ მიშლი. ამდენ ქაქანში ერთი თევზიც ვერ დავიჭირე.

– როგორ არა, დაჭერილი გყავს. თან რამხელაა!

– აბა სად? – უნებლიეთ ამოსწია ანკესი ციციმ.

ბოჩიმ გულიანად გადაიხარხარა. მერმე უცებვე მოსხიპა სიცილი.

– განა მართლა არ იცი, ასეთი ბიჭი რომ უკვე გამოჩნდა ამ ა რ ე მ ა რ ე შ ი ?

გოგომ ბიჭისკენ მოიხედა, თვალები წაჭუტა:

– ნუთუ მართლა?

ბიჭი აღარ იღიმებოდა.

– ციცი! მომისმინე! შენ ჩემი უნდა გახდე დღესვე, გაიგე? დღესვე. მორჩა და გათავდა!

– რაო, რაო? – წამოიწია გაგულისებულმა გოგომ. მაგრამ ბიჭის აგიზგიზებულ თვალებს რომ შეეფეთა, უნებურად წამწამები აუხამხამდა, ვე-

ღარ გაუძლო ამ მწველ მზერას და მონუსხულივით დადუმდა!

– ხო, ცირასქუა. მასეა. შენი ნავითვე გაგიტაცებ დღესვე და ნამარკელში ჩაგიყვან. ნახავ აგერ! მერე... ირიკავონ, რამდენიც უნდათ ვიღაც-ვიღაცეებმა!

– შენ... იცი... რას გეტყვი? შენ მართლა და მართლა... – გაწყვეტილი მძივივით დაბნეულ სიტყვებს ამაოდ ეძებდა განრისხებულ-აღშფოთებული ციცი და თითებს უანგარიშოდ აფათურებდა გულისპირზე.

„როგორ ბედავს?... მთლად თავს გაუვიდა, ხო იცი!.. ამას ვინ ვგონივარ მე... ბოლოს და ბოლოს?“

– მარა, მანამდე უნდა გაკოცო უსათუოდ! – და თითქოს ნახტომისთვის მოემზადაო, ისე შეიმართა ბიჭი.

– შენ... ხომ არ შეიშალე? – ციცი უცებ ზეზე აიჭრა და შიშჩამდგარი თვალებით შეაცქერდა.

– კი, შევიშალე, მას უკან შევიშალე, შენ რომ თმაგაშლილი, კივილით მოაქროლებდი ცხენს მარულაში. და მაშინაც, საკურთხეველთან, კმევის დროს, თეთრსამოსიანი რომ როკავდი და სულისწამღებად გალობდი. ყვავილებისა და ტოტებისგან მოწნულ გვირგვინს რომ გადგამდნენ თავზე კაბდელები[1] და შენი მშვენიერი თმა ოქროსავით რომ ბზინავდა მზის სხივებზე – მაშინაც გადავცდი ჭკუას და დავიფიცე ცის ბინადარი ღმერთები – დია-უფალი ნანა და მზეღვთაება ბჟალარა[2], იმ თმას მხოლოდ მე უნდა მოვეფერო, სხვა არავინ-თქვა. და ეს ფიცი უნდა აღსრულდეს ახლავე, ამ წუთას!

სულ სხვა ბიჭი იდგა ახლა გოგოს წინ: ტანასხლეტილი, თვალებალაპლაპებული – მართლაც რომ ნახტომისთვის შემართულ ავაზას ჰგავდა – ქედფიცხელსა და შეუპოვარს.

ამ ფერისცვალებით გაოგნებული გოგო, მოჯადოებულივით მისჩერებოდა ბიჭს და არ ინძრეოდა..

მან ნაბიჯი წინ წადგა. ციცემ ანგარიშმიუცემლად დაიხია უკან და...

თვალისწამში ორთავენი წყალში აღმოჩნდნენ.

ბოჩიმ წამიერად გაბრუებულ გოგოს უშველა ნავში ამოსვლა, მერმე თავადაც ამობორტყდა ორჩხომელში.

– ნუ მეჭიდავები, ციცი, თორემ... ისევ წყალში ჩავცვივდებით. კაი, დაწყნარდი ახლა. ძა! დამშვიდდი!.. აი, შენი გერგელაც[3]. თმა მასე გქონდეს გაშლილი, მალე გაგიშრება. თუ გინდა, კაბაც გაიხადე – ნუ გეშინია, არ შეგხედავ, ზურგით დავჯდები. ხო, კაი, კაი. იყავი ეგრე. შენ რა, მხეცი ხო არ ggონივარ მართლა!

[1] კაბდურის მგალობლები.

[2] მზე (მოფერებით).

[3] ფარფლებიანი ქუდი.

... კიჩოზე ნახევრადმიწოლილმა, მკლავზე თავი ჩამოსდო ციცემ, თვალები დახუჭა და შეეცადა, დამშვიდებულიყო.

თევზის და მლაშე წყლის სუნი ცხვირში უღიტინებდა. მზემ დააცხუნა ზურგზე და ოხშივარი აუვიდა. ჩამოშლილი თმა თითქმის მთელ სახეს უფარავდა, მაგრამ თვალმინაბული მაინც გრძნობდა ბოჩის დაჟინებულ მზერას.

– გძინავს, ცი?

გაიტრუნა. მხოლოდ ბეჭები შეარხია ოდნავ.

– გაბრაზებული ხარ ჩემზე, არა? ძალიან?

გოგო კრინტს არ ძრავდა. უცნაური ის იყო, რომ სულაც არ იყო გულმოსული, პირიქით, რომ წარმოიდგენდა, როგორ ჩაცვივდნენ წყალში ორივენი, გუნებაში ეცინებოდა კიდეც. საოცარია, რატომ ვერ ახერხებს ამ ბიჭზე გაბრაზებას?

– ა, ციცი? ხმას არ მცემ? დამემდურე, ხო? ხომ არ გინდა კიდევ გაკოცო?

თავი აიღო შეშფოთებულმა. ბოჩის შეკავებული სიცილისგან ანაპერწკლიანებულ თვალებს რომ შეეფეთა, ტუჩზე იკბინა, რომ თავადაც არ წასკდომოდა სიცილი. ბოჩის არ გამოპარვია გოგოს გუნება-განწყობილების შეცვლა, ნიჩბებს ხელი უშვა და... აროხროხდა. გოგომ სცადა, არ აყოლოდა, მაგრამ ვეღარ შეძლო და...

– ჰო, რა სახე გქონდა, ცი... წყლიდან რომ თავი ამოყავი? ოხოხო! – ბიჭს მუცელზე ორივე ხელი მიეჭირა და იჭაჭებოდა. გოგო რაც უფრო ცდილობდა, მით უფრო ვერ ახერხებდა ამ ჯებირებგადმომსკდარი კისკისის შეკავებას.

და უცებ, მოხარხარე ბოჩის რომ უყურებდა, თავში გაუელვა, ეს ბიჭი გაჩენილია იმისთვის, რომ დატკბეს ამ ცხოვრების ყოველი სიამით, და წინ ვეღარაფერი დაუდგებაო. მაგრამ ეს იყო ბუნდოვანი, თითქოს წამიერი შეგრძნება, მაშინვე რომ გაქრა და გაუჩინარდა.

მერმე, როცა ცოტათი დაწყნარდნენ, ბოჩიმ ხოფებს წამოავლო ისევ ხელი და ჩუმი ხმით ჰკითხა:

– შევრიგდით ხომ ციცი? ა?

კვლავ მკლავზე ჩამოსდო თავი გოგომ, გაისუსა. თითქოს რაღაცნაირად ჯადოქმნილი იყო. ვერა და ვერ აეხსნა, რა ემართებოდა! ეგება მართლა ჯადო გამიკეთა ამ ბიჭმაო, ფიქრობდა შიშნეულად, აკი ოშორელებზე იძახიან, მენცარნი და მზაკვარნი არიანო.

თავი წამოსწია. ეუცნაურა ნავის მიმართულება, გაოცებით მოხედა ბოჩის. გოგოს უხმო შეკითხვაზე, მან მოკლედ უპასუხა, ნამარკელში მივდივართო.

– რა, რა, სთქვი? – წამოჯდა ერთბაშად ციცი.

– ნუ გეშინია, მართლა კი არ გიტაცებ, ძა... ჩემი დადი მინდა გაგაცნო. იცი რა ბებია მყავს? ნახავ აგერ!

– კი მარა...

– მიგიყვან და მალევე გამოვბრუნდებით. შეხედე, ა. ჯერ მზე სადა დგას? დაღამებამდე ნიშონში ვიქნებით, შენ ფიქრი ნუ გაქვს!

– ბოჩი, მომისმინე...

– ციცი, იცი, რას გეტყვი? ჩემს იქით შენ მაინც არ გაქვს გზა და მეც არ მაქვს შენს იქით გზა. ასე რომ, მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს. შენ ეს მითხარი...

– მოიცა, მოიცა... მე არაფერს მეკითხები, არა, ბოჩი გაბელაანთ ძეო? – აყელყელავდა ისევ გოგო.

– რავა არა. ხო გკითხე წეღან!

გოგო წამით თვალდაჭყეტილი მისჩერებოდა სახეგაცინებულ ბიჭს, ასე უტიფრად რომ უმართავდა მზერას. თავი გადაიქნია გოგომ:

– აი, თურმე რანაირი კაცი ხარ, ბოჩი გაბელანო, შენ!

– აბა!.. ესა თქვი! დადიც მეტყვის ხოლმე ზოგჯერ, შენ ისეთი მაკვარანცხი ვინმე ხარ, ვინც არ გიცნობსო. ისე, სიმართლე რო გითხრა, არ მიყვარს, ცუდუბრალოდ ფაფხური. აი, როცა ნაღდი საქმეა... ისე, მართლა, გლახა ბიჭი არ გეგონო, ცი! ამ ხელებს ხო უყურებ?.. ჰოდა, ბევრი რამ შეუძლიათ ამათ, ნეტარ ღმერთებს გეფიცები! შენ არაფერი მოგაკლდება, რაც საჭიროა. ნახავ აგერ! და... იცი მერე რაფერ მეყვარები?.. ო, შენც შეგიყვარდები. ისე შეგიყვარდები, უჩემოდ ერთი წუთითაც ვერ გაძლებ, მზისა და წყლის მადლმა! თუ არადა, ნახავ აგერ!

– მეტისმეტად ხო არ ხარ შენს თავში დაჯერებული, ბოჩი ჩემო, ჰა?

გოგოს მრისხანედ შეკრულ შუბლს რომ შეხედა, ბოჩიმ კეფა მოიქექა კვლავ და საოცრად მოსაწყლებული, თან გაფაციცებული თვალებით გამოხედა:

– მეტისმეტად არა, ციცი, მეტისმეტად არა, ღმერთებს გეფიცები. არ იფიქრო, მართლა ისეთი ბაქია და თავხედი ვიყო, რავარიც ვჩანვარ ალბათ შენს თვალში. ანდა... შენდა ღირსად მიმაჩნდეს ჩემი თავი, მარა... ახლა, რაკი მარტონი ვართ ნავში მე და შენ და... თან რო გამიგია, მენავესთან არ ჩხუბობენო...

– ეს ჩემი ნავი გახლავთ, უფალო ბოჩი! – შეატეხა სიტყვა გაგულისებულმა გოგომ: – და ამდენად, მენავეც აქ – მე ვარ! ხო არ გავიწყდება, ცურვა მეც რომ ვიცი და ეგება ნამარკელიდან ნიშონამდე ვერ გამოვცურო შენსავით, მარა... თუ საჭიროებამ მოითხოვა, აქედან ნაპირამდე მოვახერხებ, რაფერც იქნება!

– მართალი ხარ, ციცი, შენ! დასურო, შენ ხარ ამ ნავის მინჯე![1] – კვერი დაუკრა წამსვე ბიჭმა, მერმე მარჯვენა ხელის ფრჩხილებს ერთობ გულმოდგინედ დააცქერდა და ხმის გაგრძელებით დასძინა: – მარა... ნავი და ნავის მფლობელიც ახლა ჩემს ხელშია და ურჩობამ, ვნახეთ უკვე, რავარი ნაყოფიც გამოიღო! – თავი ასწია, მზერა გაუმართა გოგოს. ასი ჭინკა ხტუნავდა ბიჭის თვალებში და რომ არ გასცინებოდა, ციციმ სასწრაფოდ იბრუნა პირი.

– ჰოდა, აღარ ღირს, მე მგონი, წავიკიდოთ ხელმეორედ. ხო მასეა, ცი?.. ნახე, ამასობაში თმაც გაგიშრა. რათ იწნი? გქონდეს გაშლილი... თუმცა, ასეც გიხდება!

ბიჭის ქორული მზერა გოგოს შხვართი ფეხებიდან წამიერად ასხლტა და სახეზე მიელამუნა დაუფარავი ნდომითა და სურვილით.

...ნამარკელიდან ცოტა მოშორებით შეაჩერა ორჩხომელი ბოჩიმ. ნაპირზე გადმოვიდნენ თუ არა, ხელში ხელი ჩაჰკიდა გოგოს და ასე პატარა ბავშვივით ხელჩაჭიდებული, წაიყვანა იგი ქვაფენილიან ვიწრო ქუჩაზე. ერთი-ორჯერ სცადა ციციმ, ხელი გაეშვებინებინა, მაგრამ ბოჩიმ ისე მოუჭირა თავისი ვეება ტორი, რომ ბოლოს დანებება არჩია გოგომ.

ხმამაღლა, ხალისიანად ესალმებოდა ბოჩი შემხვედრთ, ქალ-ვაჟის დანახვაზე რომ ჩერდებოდნენ და აღტაცებულ მზერას აყოლებდნენ უცნობ ასულს.

ეს ოშორელთ ფონიაო[2], გზადაგზა უხსნიდა იგი ციცის, რომელიც პირველად იყო აქეთკენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა დამრეც ფერდობებზე, ტერასებად შეფენილ, იათნანურისგან გასხვავებულ კოხტა ორ-სამ სართულიან ქვის და ალიზის სახლებს, საცალფეხო, ქვის საფეხურებიანი ბილიკებით რომ უერთდებოდა მთავარ ქუჩას დაბისას.

მზე თანდათან უფრო და უფრო აცხუნებდა. წყალმოწყურებული ქალ-ვაჟი ქუჩის ბოლოს, ქვის ფილებით ლამაზად მოპირკეთებულ ჭასთან შეჩერდნენ. ამგვარი ჭები და წყაროები თითქმის ყოველი ქუჩის ბოლოს იყო. ბიჭმა ბადიით წყალი ამოიღო და იქვე, ლამაზადვე ნაშენ ნიშაში დადებულ მცენარეული ორნამენტით დამშვენებულ თიხის ჯამს დაწვდა, პირთამდე გააპიპინა და გოგოს გაუწოდა. ციცი ხარბად დაეწაფა ყინულივით ცივ წყალს. წყურვილი რომ მოიკლა, სველი ხელები დასიცხულ ლოყებზე მოისვა ღიმილით: „ოჰ, რა სიცოცხლეა!“ – გაიფიქრა სიამით და ამ დროს, მოულოდნელად ბიჭმა პეშვით წყალი შეაშხეფა სახეზე. გოგოს შეკრთომა-შეკივლებაზე, მეორეჯერაც მოუნაცვლა, მერმე მესამედაც, მეოთხედაც... ახორხოცებულმა, გული რომ მოიჯერა წუწაობით,

[1] პატრონი.

[2] უბანი.

მერმე ისევ ხელი ჩაავლო გოგოს და ლეღვისა და ბროწეულის ხეებით დაჩრდილულ შუკაში გადაუხვია. გაბარჯღულ ტოტებში მზე ვერ ატანდა და რაღაცნაირი, თითქოს მურუჟი სინათლე იდგა. გარშემო სიმშვიდე და მყუდროება გამეფებულიყო.

ბოჩი ხელს არ უშვებდა ციცის და ისე მიალაჯებდა გრძელი ნაბიჯებით, ოდნავ თავწინწახრილი. გოგო თითქმის სირბილით მოსდევდა გვერდში. ბიჭი ზოგჯერ შედგებოდა, მაღლიდან გადმოხედავდა და ალერსიანი, თბილი ღიმილით:

– ხო არ დაიღალე, ცი? – მოეფერებოდა თვალებით და: – ჩემი ცი, ჩემი ცი! – წამით მიიკრავდა გვერდზე და მერმე ისევ გააბიჯებდა მდუმრიად.

„ჩვენში ბიჭებმა კვანწია, ლაღი სიარული იციან, მოხდენილი მიხრა-მოხრა აქვთ, ეს კი... ერკემალივით დააბოტებს!“ - გაუელვა თავში გოგოს და ჩუმად ჩაეღიმა: „ეეჰ, ციცი გეგეშია! მგონი ამ ბიჭს ხელიდან ვეღარ დაუსხლტები. ქვესკნელში რომ ჩაძვრე, იქაც ჩამოგყვება ალბათ... ეტყობა, თუკი რაიმეს ამოიჩემებს, სანამ არ შეისრულებს გულისწადილს, მანამ არ მოისვენებს!“

შუკა მომთავრდა და ქვის დაბალი ყორეთი შემორაგულ სახლ-კარს მიადგნენ.

ორსართულიანი მომცრო ყუდე[1] ქვის საძირკველზე იდგა. ქვისგან ნაგები პირველი სართული ქვისვე ლამაზად გათლილი ფილებით იყო მოპირკეთებული. მეორე სართულზე ორი ფართო, თანაბად განლაგებული სარკმელი იყო გაჭრილი ქუჩის მხარეზე.

ბოჩი ალაგესკენ კი არ წავიდა, პირდაპირ ყორეს გადააბიჯა, გოგოც უმალვე გადაასკუპა და შიდა ეზოსკენ წააკიალა. ვო დადი, ვო დადიო, თან ხმამაღლა, მოუთმენელი ხმით დაიძახა რამდენჯერმე, ცოტაც და... სახლის ქვედა სართულის საუცხოო სვეტებით დამშვენებული აბარწიდან[2] თავსაფარწაკრული. ტანკენარი ქალი გამოვიდა და თვალი მოიჩრდილა, მერმე გაღიმებული გამოეშურა ქალ-ვაჟისკენ, მაგრამ უცებ შუა გზაზე შეჩერდა, თავსაფარი ნელა მოიძრო, თმაზე ხელი გადაისვა და გაუნძრევლად მდგარი, მიაშტერდა გოგოს. ციციც ადგილზე გახევებულიყო თითქოს და გაფართოებული თვალებით უმზერდა დიაცს, ღია წაბლისფერი, სქელი ნაწნავები უსურვაზივით რომ შემოგრაგნოდა თავზე. მის ღვთივმშვენიერ, თითქოსდა მარმარილოსგან ნაძერწ სახეზე უჩვეულო ნათელს აფრქვევდნენ დიდრონი, ჟრუნი თვალები. ყარყარა კისერი. სხეულის სხარტი აღნაგობა – უკვდავ ღმერთთა შესაგვანი. ნუთუ თვალები ატყუებდნენ ციცის? ხნიერი, ასაკოვანი დიაცი თუ... გასათხოვარი ცირა

[1] სახლი.

[2] აივანი.

იდგა მის წინ?

– დადი! შეხე – ვინ მოგიყვანე – ზისნახე მესეფე! როგორ მოგწონს?

მაგრამ ქალს თითქოს არა გაუგია რაო, გალურსული მისჩერებოდა გოგოს უცნაური, ჩაციებული მზერით. მერმე შეირხა. თითქოს ზმანებიდან გამოერკვაო, ხელის გულები ერთმანეთს შეატყუპა და ცისკენ თვალაპყრობილმა, ძლივს გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

– ჰოი, მზე-ბჟალარავ, გმადლობ ამ სასწაულისთვის!

მერმე პირდაპირ ციცისკენ გამოსწია მსუბუქი, პატარა ნაბიჯებით ისე, თითქოს მიწას არც აკარებსო ფეხს. დაუახლოვდა გოგონას თუ არა, ისევ შედგა და... მოულოდნელად სამჯერ შემოუარა ირგვლივ. ამის შემდგომ წინ დაუდგა, თავზე ხელი შემოავლო სამჯერვე: შემოგევლე მე, შემოგევლე მე, შემოგევლე მეო, დაიჩურჩულა ლოცვასავით და შუბლზე ეამბორა.

...მერმე ისხდნენ ჩუქურთმიანი, ვერცხლით მოჭედილი, თხის ნატით დაფენილ საკარცხლულებში მეორე სართულის აბარწაზე, ვაზის ტალავერით რომ იყო გადაბურული. ქვის პრიალა ზედაპირიან სვეტებსაც ვაზი შემოხვეოდა.

ტაბლაზე ედგათ ხასხასა ცისფრად შეღებილი, შროშანას ყვავილით საუცხოოდ მოხატული, ღვინით სავსე სურა და მაღალფეხიანი, იშვიათი ხელოვნებით ნაკეთები ლარნაკი – ხილით დამშვენებული.

აივნიდან დიდებული ხედი იშლებოდა. თვალსაწიერზე ილანდებოდა ბაღ-ვენახებითა და ყანებით მოფენილი დაბლობი, შუადღის ხვატში ჩაბინდული მდინარის დაკლაკნილი ზოლი და ტყიანი მთის კალთები.

... სანამ ზემოთ ავიდოდნენ, ბოჩიმ დაათვალიერებინა ციცის პირველ სართულზე მდებარე საოქრომჭედლო პალატი. ციცი გულწრფელი აღტაცებითა და განცვიფრებით სინჯავდა ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, თითბრისა და ბრინჯაოს ნაკეთობებს, სამკაულებს, ქვისა და მარმარილოს იშვიათ პატარა ქანდაკებებს, პირად ბეჭდებს.

პალატში ციცის ჯმუხი, ტანმაღალი, შავტუხა კაცი დახვდა, წინსაფარფარებული ბრინჯაოს თასს რომ უტრიალებდა. გოგონას დანახვაზე იგი თითქოს გაქვავდა ადგილზე და თვალდაუხამხამებლად, ოდნავ ღიად დარჩენილი პირით შესცქეროდა ციცის, ფარული მღელვარებისა და მორცხვობისგან ლოყები რომ ალანძვოდა და სულგანაბული რომ უსმენდა ბოჩის ახსნა-განმარტებებს.

ციცი პირველად იყო ოშორელთა კეთილად ნაგებ სახლში და თვალის წამიერი შევლებაც საკმარისი იყო მისთვის, რათა დარწმუნებულიყო იათნანურ და ოშორულ ნაგებობათა შორის სხვაობაში.

კრეტელთა დარად, ოშორელებსაც სახლის მეორე სართულზე გან-

ლაგებული ოთახებისკენ ასასვლელი კიბე შიგნიდან ჰქონდათ. სინათლე პირველი სართულის დიდ დარბაზში, სადაც საკურთხეველი და კერა იყო, ჭერის ჭის მსგავსი ხვრელიდან იჭრებოდა. იათნანელებიც ხმარობდნენ ფერად ბათქაშს კედლებისთვის, ოღონდ იათნანაზე მიღებული არ იყო ზღვის ბინადართა ფრესკები: ამჯობინებდნენ მცენარეთ და ფრინველთა ნახატებს. პალატების ნერჩისათვის[1] არც თაბაშირის ფილებს ხმარობდნენ – იატაკს ქვის თლილი ფილებით აგებდნენ. თუმც იათნანელებსაც თიხის მილებით გამოჰყავდათ საგანგებო წყალსაცავებიდან თუ წყაროებიდან – ასე ბლომად რომ იყო იათნანაზე – სასმელი თუ სახმარი წყალი, მაგრამ ოშორელთა მსგავსად, არც ცალკე აბაზანები და ფეხისადგილები გააჩნდათ და არც იატაკის ფილებს ქვეშ ჰქონდათ გაყვანილი თიხის მილები, საიდანაც სიბინძურე და ჭუჭყიანი წყალი გადიოდა.

არც ასეთი და ამდენი აივნები იცოდნენ, მთელ პირველ და მეორე სართულს რომ შემორტყბოდა. არც სახლის სარდაფებში ინახავდნენ სურსათს და ღვინოს. მარანი და სურსათის შესანახი ქვევრებისთვის ეზოში ცალკე ნაგებობა ედგათ, აგრეთვე პურის საცხობი, ყვერბი და საერთოდ სამზარეულო საცხოვრებელი სახლიდან მოშორებით ჰქონდათ.

მაგრამ ციცისთვის ეს თვალშისაცემი მსგავსება თუ სხვაობა შენობათა თუ მოწყობილობათა – მაინც არ იყო მთავარი. ის ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ რაღაცნაირ სხვა, უჩვეულო სულიერი წყობის გარემოცვაში აღმოჩნდა და ამ აღქმის თუ განცდის ძირითადი მიზეზთაგანი უთუოდ ბოჩის ბებია გახლდათ.

როცა ტაბლას აწყობდა, იგი თვალებით ესიყვარულებოდა ქალ-ვაჟს, თავის ჯადო ღიმილში ხვევდა ორთავეს და ციცი თავისდაუნებურად, ამ ღიმილის ანარეკლს იჭერდა ბოჩის ღიმილშიც.

მერმე, მცირე ხნით რომ იჯდა ქალ-ვაჟს შორის, ასევე უფრო მზერით ესაუბრებოდა ორივეს – ღიმილადქცეული. კრიალა კბილების მწკრივი თეთრად უელავდა, უჩვეულოდ ლამაზ თვალებში სევდის უჩინარი ჩრდილი ფარფატებდა დრო და დრო. ხოლო, როცა ჯამით ღვინოს წრუპავდა, რაღაც გაუგებარ სიტყვებს დუდუნებდა თავისთვის, საგალობელს ღიღინებსო თითქოს. შემდეგ დგებოდა და მიდიოდა, მარტო ტოვებდა გოგო-ბიჭს და ციცის ისეთი შეგრძნება უჩნდებოდა, თითქოს მათ შორის ტრიალებდა მაინც მისი ორანი, რომ ყველაფერი, რაც მის ირგვლივ იყო, თითქოს მიღმიერ, არაამქვეყნიურ სამყაროს განეკუთვნებოდა და თავადაც თითქოს ტკიბლ ბურანში მყოფი, ისე აღიქვამდა ყოველივეს, როგორც სიზმარეულს, ზმანებისეულს, არამიწიერს, იდუმალებით მოცულს და... გული მილევით უცემდა.

[1] იატაკი.

ბოჩი, ციცისკენ გადმოხრილი, შეთქმული ღიმილითა და თვალების უცნაური ციმციმით ამცნობდა ხმადაბლა:

– დადის მესიაკონ[1] ქალს ეძახიან, ციცი. იგი ახალგაზრდობაში მახვამური[2] იყო ბჟათას ოხვამეში[3], ოშორაში. დადი გრძნეული, მისანი ქალია მართლა, მრავალი სასწაულის მოხდენა ძალუძს დადის, ოღონდ... აღარ იქმს ამას. გაჭირვებულთა და სნეულთა შველაზე კი აროდეს ამბობს უარს. არამცთუ ძე-ხორციელი, ყოველი სულდგმული ეცოდება, ჭიანჭველა რომ ჭიანჭველაა – ფეხს არ დაადგამს, ცოდვაო იძახის. ყველასი ესმის, ყველას ყველაფერს უგებს... მშობლები რომ დამეხოცნენ... დადი გახდა ჩემთვის დედაც და მამაც. და არა მარტო ჩემთვის. დადის გაზრდილია უჩა ბეგოც, ძაძუც და კიდევ სხვები. ციცი, ვიცოდი, მოგეწონებოდა ჩემი დადი!

მონუსხული უჭვრეტდა ციცი ამ საარაკო დიაცს, რომელზეც თავადაც ბევრი რამ სმენოდა უფროსებისგან. უმზერდა და დადიც თანდათან თავისი ღიმილის შუქში ისე ანანავებდა, რომ მზად იყო მის კალთაში თავი ჩაედო მორჩილად და უსაზღვროდ ტკბილ და საამურ ძილს მისცემოდა.

როცა ისევ მარტო დაიგულვა თავი, ბოჩი კვლავ გადმოიხარა ციცისკენ და საიდუმლოთი სავსე ხმით აჩურჩულდა: – დადის ძველებური წიგნებით სავსე აქვს სკივრი. დადი ამბობს, იმ კირბებში უძველესი ანბანით სწერიაო ჩვენი გვარტომის თავგადასავალი უხსოვარი დროიდან... ჩვენო, ღმერთების დიდი დედის, ნანას ასულის – ქალღმერთ მზისა და ღვთაება ოკეანოსის შთამომავალნი ვართო. მათი შეუღლება მოხდაო კუნძულ აიაიაზე, საიდანაც ამობრძანდებაო თავად მნათობი ჩვენი.

შემდეგო, ურჩობისა და ამპარტავნობისთვის, განურისხდნენო ღმერთები აიაიელებს! სასტიკად დასაჯესო ისინი და კუნძული ზღვაში ჩაიძირაო. გადარჩენილი აიაიელნი მიმოიფანტნენო დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ნაწილი დამკვიდრდაო ხმელთაშუაზღვის სანაპიროებსა და ეგეოსის კუნძულებზე, ნაწილი – შუამდინარეთში, ნაწილი – დასაბამიერ სამშობლოში, კავკასიონის ქედებთან, კოლხ-იბერთა სამეუფოში, ნაწილი აითქვიფაო სხვა ტომებში... ოშორელნი, იათნანელნი, მაკრისელნი, ქორიბანტელნი, ჰეაკნი და სხვანი, აიაიელთა თურნი[4] არიანო. ასე ამბობს ჩემი დადი.

„ამასვე გვამცნობენ ჩვენი ქურუმნიც!“ – გაიფიქრა გულში გოგომ.

– მერმე? რა მოხდაო მერმე? – იკითხა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ციციმ დაუფარავი ცნობისწადილით.

[1] ბრძენი, გონიერი.
[2] ქურუმი, მლოცველი, მოწმინდარი.
[3] მზის საყდარი.
[4] შთამომავალი, მოდგმა.

– მერმე?.. არ ვიცი. დადი თვითონ გიამბობს ყოველივეს, მისი რძალი რომ გახდები! – ბოჩიმ თვალი ჩაუკრა გოგოს და გაიჭყანა თავისებურად. შემდეგ ხარისთავიანი, პატარა ყანწი ღვინით გაავსო, ორივე ხელით მაღლა ასწია, ჩვენი ბედნიერებისა იყოსო, თქვა და სულმოუთქმელად გამოსცალა. მერმე პირი ხელის ზურგით შეიმშრალა და გულღიად შესცინა გოგოს.

...უკან რომ ბრუნდებოდნენ, ბოჩის ისევ თავის ვეება ტორში მოემწყვდია ციცის პატარა ხელი და აღგზნებულ-აღტაცებული რაღაცას ელაპარაკებოდა დაგუდული ხმით. მაგრამ გაბრუებულ ციცის მისი მოსმენის თავიც აღარ ჰქონდა უკვე.

ნავში რომ სხდებოდნენ, ბოჩიმ ხელში აიყვანა იგი ერთბაშად,მერმე იდგა ფეხებგაბარჯგული, ბალღივით არწევდა გოგოს და იცინოდა ბედნიერი და კმაყოფილი სიცილით. მისი ღველფივით აბზვინვარებული თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები ცვიოდა გარშემო.

მერმე ფრთხილად დასვა გოგო ძირს და თავად ნიჩბებს მიუჯდა.

მიმწუხრის მიწურვილი მზე ნელ-ნელა იძირებოდა დასალიერში, თითქოს ენანებაო საბჟალუს[1] დატოვება. აჰა, ჩაიღვენთა ბოლოს, თუმცა ერთხანს კიდევ ენთო მეწამული დაფიონი. მსუბუქი და გამჭვირვალე სილურჯით შემოქობილი სანაპიროც თანისთანობით ჩაინთქა სიმრუმეში.

ცის უბე მყის გაივსო უთვალავი, ურიცხვი მურიცხებით.[2]

მთვარის მოვანების ჟამი დაისის ჰაეროვან სევდაში ჰხვევდა გარემოს.

იდუმალი ღამე იყო. უჩვეულოდ ბრწყინავდა მთვარიანში ჭავლმოდებული ზღვის ზედაპირი და ტალღების ძლივსშესაგრძნობი, ჩუმი დვრინიღა არღვევდა ამ ღვთიურ გარინდებას. ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცა დაუძლეველი ჟინითა და სურვილით თავისკენ ეწეოდა თითქოს ციცის. და მასაც მოუნდა, აფრენილიყო მაღლა, ზევით და ყვავილებივით დაეკრიფა თვალებბრიალა ვარსკვლავები, შეეკრა ისინი ერთ დიდ, საოცნებო თაიგულად და ჩამოეტანა ძირს, დედამიწაზე.

უკვე ვეღარ არჩევდა სიზმარ-სიცხადეს. უცნაური სიამით წალეკილი გული ძლივსღა ფეთქავდა თითქოს. ყელში რაღაც თბილი გორგალი აწვებოდა და თვალებიც უნებლიეთ ენამებოდა. რად, რისთვის, რის გამო! – ვერ გაერკვია ოღონდ ვერას დიდებით და არც ჰქონდა სურვილი, გამოეძია რაიმე.

– ცი, მიმღერე რამე! – ზმანებიდან გამოიყვანა იგი ბოჩის დაგუბულმა ხმამ. გამოფხიზლდა თითქოს წამიერად და გულაჩქროლებული, უხმოდ,

[1] მზისქვეშეთი.

[2] ვარსკვლავები.

უსიტყვოდ შეჰყურებდა განიერ, გაზიდულ მხრებს ბიჭისას, მთვარის თითბრისფერ სხივებში ბრინჯაოსავით მოლაპლაპეს, კრიალა კბილებს, ცეცხლივით ანთებულ თვალებს და... „ავაზა“! ელვასავით დაიკლაკნა გონებაში. მაგრამ... ეს ავაზა სულ რომ არ არის საშიში და ავი? პირიქით. საოცრად თვინიერი და მორჩილია იგი და... ისეთი სითბო, ალერსი და ნდომა იღვრება მისი თვალებიდან... მთელი მისი არსებიდან... რომ თავადაც უნებლიეთ ემორჩილება თითქოს ამ უხილავ, ძალუმ გრძნობას.

– რა... ვიმღერო? – უაზროდ ეკითხება კვლავ, გონდანისლული.

– რაც გინდა. სულერთია!

გოგომ თვალები მილულა. გაინაბა ისევ. მერმე წყნარი, ოდნავ აკანკალებული, სუსტი ხმით წამოიწყო:

– „თუთა ახალი, გუმაახალი,
ახალი თუთა, გამახარი,
ცაში კარი სი გომინჯი,
სი ჯვეში დო მა ახალი!“
„შენ, ახალო მთვარევ, გამაახლე!
შენ, ახალო მთვარევ, გამახარე.
შენ ცის კარიბჭე გამიხსენი,
შენ დაძველდი და მე მუდამჟამ
ნორჩად მამყოფე“.

იქოჩრებოდნენ ზღვის ტალღები, ორჩხომელი ირწეოდა აკვანივით და იაკიმი[1] მთვარის სხივებში სცურავდნენ სამთავენი: გოგო, ბიჭი და ვერცხლისფრად მომინანქრებული ზღვა.

...ნაპირზე მოციმციმე კვარები პირველად ციციმ შეამჩნია. ალბათ მაშხალებით აპირებენო ნიშონელნი ზღვაში სათევზაოდ გასვლას, გაივლო გონებაში, მაგრამ მეორე წამს გულზე გაჰკრა: „მე ხომ არ მეძებენო?“

ბოჩის სთხოვა, ქვიშონას შესართავთან ჩამოვალ, შენ კი ნავით გაბრუნდი უკანო.

არაო, იუარა ბიჭმა, მე უნდა მიგიყვანოო შინ. გოგოს არ სურდა მისი გამოჩენა ახლა აქ, ამ კათაში. მიუხვდა ბიჭი. კარგიო, ისე იყოს, როგორც შენ გწადიაო, ოღონდ, შენი ნავი არ მჭირდება, ისე გავცურავო უკან. სწრაფად აკოცა ლოყაზე გოგოს და დგაფუნით გადაეშვა წყალში, აბა კარგად იყავი, ციცი. ორ დღეში სტუმრებს ელოდეო, მოაძახა ხალისიანად, ხელი დაუქნია ფართო ღიმილით და ნამარკელისკენ მხარულით გასცურა. ციცი თვალს ადევნებდა, სანამ სიბნელეში არ გაუჩინარდა.

„ჰოი, მთვარევ წინამძღოლო! შენს ბედნიერ თავს ვლოცულობ! დაიცავი ბოჩი ფათერაკისგან, ავსულისგან, ალქაჯისგან, მზაკვარისგან.

[1] ძალიან ნათელი.

მშვიდობით მიიყვანე შინ, დაილოცოს შენი სახელი!“

იმ შიშისა და მოუსვენრობის მიხედვით, რასაც განიცდიდა ახლა, ხვდებოდა, რომ ამიერიდან მორჩილი უხდებოდა გრძნობას, აქამდე წარმოდგენა რომ არ ჰქონდა და რომელსაც ქვეშეცნეულად გაურბოდა კიდეც.

...ორ დღეში მართლა მოვიდნენ გეგეშიებთან სტუმრები: ორი ქალი და ერთი მამაკაცი. ციცის უმცროსმა ძმებმა ჭიშკართან ჩამოართვეს ცხენის აღვირები მოსულთ.

წამსვე იაზრა ციციმ, თუ ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ არაფერი დაიმჩნია, ოღონდ ეს კია: გული საშინლად აუფართხალდა. იმ საღამოს შემდეგ, ასე გვიან რომ დაბრუნდა შინ, უბრად იყო შინაურებთან. ოხორეში მიჩვეული იყვნენ, რომ იგი ზოგჯერ მარტოკა დადიოდა და იგვიანებდა კიდეც, მაგრამ წინასწარ ყოველთვის იცოდნენ ეს ამბავი. იმ საღამოს კი მეტისმეტად შეაგვიანდა და რაკი გაფრთხილებულნი არ იყვნენ, შეშფოთებულიყვნენ სახლეულნი.

მეზობლებისა და ახლობლების შეწუხებისთვის საყვედური უთხრეს. იცოდა, ღირსი იყო ამ საყვედურის, მაგრამ მაინც იუცხოვა იგი და... გაიბუსხა.

სტუმრებმა, რაკი ძალიან ცხელოდა, ეზოში, ვაზის ტალავერს ქვეშ მოიგუნებეს მოსვენება და მასპინძლებიც დაჰყვნენ მათ ნებას.

ისხდნენ ძელსკამებზე და დარბაისლურად საუბრობდნენ იმ მთისას, ამ ბარისას, უწინარესად, ცხადია, ამინდზე... რომ აგერ მეოთხე თვეა, თუმც შემოდგომის პირია, გვალვას მაინც არ დაადგა საშველი. ეტყობა, ფრიად გამწყრალია იათნანელებზე წყლის ღვთაება ვობი და ა.შ.

უბნობდნენ ყველაფერზე, ოღონდ არა იმ მთავარზე, რისთვისაც იყვნენ სინამდვილეში მოსულნი.

მასპინძლებიც, რასაკვირველია, ხვდებოდნენ, იმ სიშორიდან დარზე სამუსაიფოდ რომ არ იყვნენ მობრძანებული სტუმრები. დამხვდურებმა მაშინვე იგუმანეს, მაშვლობის ამბავი რომ ტრიალებდა აქ, ოღონდ ვისზე უნდა ეფიქრათ? ვინ იყო ხელის მთხოვნელი? – აზრზე ვერ მოდიოდნენ.

კარგა ხნის მიეთ-მოეთის შემდეგ მოსულთა ნაუბარში ბოლოს და ბოლოს გამოიკვეთა ის ოხორე, რომელიც აგზავნიდა ამათ გეგეშიების უფროსი ქალიშვილის სათხოვნელად. გაირკვა სასიძოს ვინაობაც.

მართალია, ბოჩი-შიტას და გაბელას სკირი[1] - ობოლია, დედ-მამა ადრე გარდაეცვალა, ჯერ კიდევ ოშორაში ცხოვრების დროს, არც და-ძმა ჰყავს. სამწუხაროდ, მარტოხელა ბიჭია, მაგრამ, სამაგიეროდ, ეს ოცდაორი წლის ყმაწვილი მთელს ნამარკელის მუხურში[1] გამორჩეულია თავის ტოლ-ამხანაგებში... რა გინდა მისი ხელიდან არ გამოვიდეს: ოქრომჭედლობა გინდა, ქვის ძერწვა-კვეთა, ხის დამუშავება, თუ მიწის მოვლა-მეურნეობა. და, რაც მთავარია, ბოჩი გაზრდილია მთელს იათნანაზე და ახლო-მახლო კუნძულებზე სახელგანთქმული დიაცის – ბრძენი შოუ ბჟალახეს – ოშორას კუნძულის მზის ღვთაების ყოფილი ქურუმის მიერ.

ამასობაში ხის დაბალ, მრგვალ მაგიდაზე, მიწაში ღრმად ჩასობილი, მსხვილი ფეხი რომ ჰქონდა, სუფრა გაიშალა.

ციცის დედა, მამა და შინ მობრუნებული, ქმარგაყრილი მამიდა სახტად იყვნენ დარჩენილი, მათთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ეს ამბავი, თუმცა გულმოდგინედ ცდილობდნენ საპატიო მოციქულებისთვის არ შეემჩნევინებინათ შეცბუნება. მართალია, გაუგონიათ და იციან, და დიდად სცემენ პატივს შოუს ჭკუას და განსწავლულობას, სმენიათ მისი ყოჩაღი შვილიშვილის სახელიც, მაგრამ... ქალის მითხოვება ყმაწვილზე, რომელსაც არც და-ძმა ჰყავს, არც მშობლები – არაა სასურველი, რადგან სახლობის მრავალრიცხოვნება დიდი სიკეთეა. ასეთ თიიში შესული ქალი არ დაიჩაგრება ოჯახური ჭაპანის ზიდვით, მაგრამ უმთავრესი, რასაკვირველია, მამა-პაპადან მომდინარე წესია – თვით ქალიშვილმა უნდა გადაწყვიტოს თავისი ბედი. თუკი მოიწადინებს ბოჩიზე გათხოვებას, მათი საფიცარი, უფროსი ასულის ნება-სურვილს წინ რა დაუდგება!

ჯერი ციციზე დადგა.

დედამ ალერსიანად მოიხმო გოგონა და ისიც მორცხვად თავდახრილი წარდგა მშობლების წინაშე. ბოლო წუთებამდე არ ჰქონდა გადაწყვეტილი, რა ეთქვა! ეს ორი დღე რაც ბოჩის დასცილდა, საშუალება მიეცა, თითქოს უფრო საზრიანად შეეხედა ყოველივე იმისთვის, რაც თავს გადახდა. აეწონ-დაეწონა. ბოლოს და ბოლოს, ერთი დღის ნაცნობობა ესოდენ გადამწყვეტი შესაძლოა არც ყოფილიყო.

და ახლა, უცხოთა და თავისიანების პირისპირ რომ აღმოჩნდა, რათა პასუხი გაეცა მათთვის, შეყოყმანდა. კვლავ აეწეწ-დაეწეწა ფიქრები, გონება დაეფანტა და... უწყალოდ დაიბნა.

განსაკუთრებით იმოქმედა მამის მღელვარებისგან ოდნავ გაბზარულმა, ყრუ ხმამ:

– წესია, შვილო, ქალი რო მოიწიფება, უნდა გათხოვდეს; წავიდეს თავისი დედ-მამის სახლიდან და ახალი ბუდე გაიკეთოს... აი, მოვიდნენ ეს საპატივცემულო კათა... იცნობ, შვილო, ბოჩია გაბელანს, ნამარკელელ ყმაწვილს?

[1] შვილი.

[1] მხარე, თემი.

– ვიცნობ! – უფრო ჩაღუნა თავი სახეალეწილმა და გულაჩუყებულმა.

– ეს დარბაისელი კათა გამოგზავნა, შვილო, ბოჩიმ... რას მიუგებ მათ?.. გსურს თუ არა ბოჩის ცოლობა? – ეს დედის სიტყვები იყო უკვე, უფრო მკაცრად და ცივად წარმოთქმული.

წამიერად თვალში მოხვდა ციცის იმ სამახსოვრო დღეს ბოჩის მიერ ნაჩუქარი იშვიათი ხელობის სამაჯური, წინააღმდეგობის მიუხედავად მკლავზე რომ გაუკეთა წამოსვლის წინ. და უცებ ისე ცხადად, ისე ახლოს გაისმა ბოჩის ლაღი, გულარხეინი სიცილი და დაჯერებული კილოთი წარმოთქმული სიტყვები: „სურს, როგორ არა, სურსო“, რომ მოიხედა კიდეც უნებური შეკრთომით, მართლა ხომ არ მიდგას ზურგს უკანო. ამ შეგრძნებამ კი ღიმი მოჰგვარა და რომ დაეფარა, ცოტა არ იყოს, უადგილო მხიარულება, თავი უფრო დახარა და ტუჩები მალულად მოიკვნიტა.

– ველოდებით, შვილო, შენს პასუხს! – ეს ისევ დედა გახლდათ.

– დიახ, მსურს! – ამოთქვა, როგორც იქნა.

დედა, მამა და მამიდა გაშეშდნენ თითქოს. თავად ციცისთვისაც საოცარ მოულოდნელი იყო ეს თანხმობა.

სამაგიეროდ, სტუმრებს სახეზე ნათელი მოეფინათ. თუმც ბოჩისგან საკმაოდ დაიმედებულნი მოდიოდნენ გეგეშიებთან, მგარამ მაინც საალალბედოდ ჩანდა ეს საქმე. ვინ უწყის, რა შეუჩნდება ერთბაშად ტვინში გასათხოვარ ქალიშვილს, უცებ რა შეუჩხიკინებს? ქალისგან ხომ საკვირველი არაა ათასგვარი მოულოდნელი საქციელი.

– შენ გაიხარე, შვილო! მზის მონათალი ხარ გარეგნულად, ცის ნათელივით თეთრი და სპეტაკი, წყაროსთვალივით წმინდა, ნუკრივით უმანკო, შროშანივით კდემამოსილი და ზუთხივით ხატული. ნეტარმა ღმერთებმა ორივენი – ის ჩვენი ბოხვერა, ობოლი ბიჭი და შენ – მზე და მთვარესავით შეგაბეროთ ერთი მეორეს! – დაილოცეს გახარებულებმა, წამოიშალნენ და სათითაოდ გადაჰკოცნეს მორცხვად განაბული გოგონა.

ქ ო რ წ ი ლ ი

რადგან ბოჩი ჩქარობდა, ქორწილი ერთ თვეში გადაწყდა. დაინიშნა დღეც: შემოდგომის მეორე თვის - გუმათუთას[1] ბოლო შვიდეულის ცაშხა[2] – ღმერთების დიდი დედის – კერიის, ცოლქმრობისა და ნაყოფიერების ქალღვთაება ნანას დღე.

ბოჩი ხშირად აკითხავდა თავის დანიშნულს და ხან ნავით

[1] ღვინობისთვე, ოქტომბერი.

[2] ცის დღე-ცაშ დღა – ხუთშაბათი.

სეირნობდნენ, ხანაც ცხენებს დააჭენებდნენ ტყისპირა მინდვრებსა და ახოებში, ხან ფეხით დახეტიალობდნენ ტყესა და ღრეში – სოკოების თუ მაყვლის საკრეფად.

ზოგჯერ ციცის დობილები და ძმობილები უერთდებოდნენ დანიშნულებს და ქალ-ვაჟის გასართობად მასხრობდნენ, ქილიკობდნენ, ლაღობდნენ...

ერთხელაც, ჯოხებზე „ამხედრდნენ“ და ბავშვური გატაცებითა და ხალისით „დააჯირითებდნენ“ თავიანთ „რაშებს“ და ხმამაღლა გაჰკიოდნენ:

„ეკენია, ეკენია,
კეკე ცხენსუ გეხენია,
ონაგირი ხარხუნტელი,
დუდი მონოჭკარჭკუნტელი“-ო. ხან კიდევ ნაკრუხალ მზეს ეხვეწებოდნენ:

„მორთია, ჩხანაია,
თოლეფ ობარჩხალაია,
მორთია ჩხანაია,
ოჭკუმალსუ ფჩანანია!“

ხან განმარტოებით ისხდნენ ზღვის პირას გვერდიგვერდ და სულგანაბულნი შეჰყურებდნენ ჩამავალ მზეს...

მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ერთად იყვნენ, ბოჩი საოცრად თავდაჭერილი იყო და ძალზე ცოტას ლაპარაკობდა. ციცისაც თანდათან უქრებოდა უანგარიშო შიშისა თუ გადამეტებული სიფრთხილის გრძნობა, სამაგიეროდ, უჩვეულო კრძალულება და რიდი ეუფლებოდა საქმროს მიმართ.

ბოჩი თვალებში შესცქეროდა ციცის და ერთთავად მზად იყო, ყოველი მისი, თუნდაც უმნიშვნელო სურვილი ამოეცნო და შეესრულებინა. რაკიღა ციცის დრო და დრო სიამოვნებდა ტოლ-მეგობრებში ყოფნა, ბოჩი თან ყვებოდა მათ.

ციცის ტოლ-სწორებში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ნება და ხვიჩა.

ნება თვალმარღი, სახემწყაზარი, გაკნაჭული გოგონა იყო. მისი მოღუღუნე, ნაზი ხმა გულისგულამდე აღწევდა, მითუმეტეს, თუ ხვიჩასთან ერთად მოიღერებდა ყელს და არაკრაკდებოდა.

ხვიჩა ტანწვრილი, ლურჯთვალება, მეოცნებე ბიჭი იყო. თუმცა ციცისთან ბავშვობიდან გახლდათ თანშეზრდილი, ახლა რატომღაც თავს არიდებდა მას და ციციც ძველებურად ვეღარ ეთამამებოდა ბოჩის რიდით და ხათრით, რადგან ატყობდა, ხვიჩას დანახვაზე ბოჩი თითქოს იზღარბებოდა. ერთხელ ვეღარ მოითმინა და იენამწარა კიდეც: იმ შენს

მეზღაპრეს, მგონი, ზეზეურად სძინავსო.

– ხვიჩა არავის არაფერში ჩამოუვარდება, თუმცა ასე გაჩხიკული კი გამოიყურება! – უთხრა წყენაგარეული ხმით ციცომ და მოიღუშა. მეცაო, ისეთი სახით იკითხა ბოჩიმ, ისე მაცილივით ატრიალებდა თვალებს, ციცის უნებურად გაეღიმა. ერთხელაც, ვითომ სასხვათაშორისოდ თქვა, შენ როგორ გგონია, მე ვერ ვამჩნევ განა, რომ შენი სოფლის თითქმის ყველა ახალგაზრდა შენზე როა შეყვარეული? და განა მარტო შენი სოფლის? ბევრს უნახავად უყვარხარ, მთელს იათნანაზე შენზე ლექსებს გამოთქვამენ და სიმღერებს მღერიანო?

– არ იცი, ხომ? – ჩაეკითხა და თვალებში ჩაუძვრა.

მხრები აიჩეჩა ციცომ. არაფერი მიუგო. გულწრფელად უკვირდა, თუ ვინმესგან გაიგებდა ქებას. სწორფერებში არ ეგულებოდა არც ერთი უსახური გოგონა და ბუნებრივად ეჩვენებოდა, თავადაც რომ არ იყო ულამაზო, გულმიუსვლელი. და შემდეგ: თუნდაც უმშვენიერეს არსებად შეერაცხათ, ამას თავის დამსახურებად ვერ მიიჩნევდა, რადგან კარგად უწყოდა, გარეგნული იერი ჩვენზე რომ არაა დამოკიდებული. ასეთებად არსთა გამრიგე გვაჩენსო, ფიქრობდა, ხოლო თუ პირად მის ღირსებას შეაქებდნენ, იმას, რაც თავის მონდომებისა და მოწადინების წყალობით ჰქონდა მოპოვებული, ასეთი ხოტბა სიამოვნებდა და უხაროდა კიდეც, თუმც ესეც კია: ამ შესხმით ქედმაღლობის, მედიდურობის, მით უფრო, დიდგულობის ნატამალიც არ შეჰმატებია. არც არასდროს გასჩენია ვინმეზე განსაკუთრებული შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი. უაზრო, ე.წ. ქალური კეკლუცობა და პრანჭვა-გრეხა სავსებით უცხო რამ იყო მისთვის, ისევე როგორც ცუდმედიდობა. შესაძლოა იმიტომაც, რომ ყოველთვის, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მხოლოდ სიყვარულს, კრძალვას და პატივისცემას გრძნობდა ყველასგან. მაგრამ ახლა, ბოჩისთან მარტო მყოფი, თავის თავს ამჩნევდა, რომ ზოგჯერ შეფარულად კეკლუცობდა კიდეც და თავს აწონებდა ბიჭს. ხანდახან ზედმეტადაც კი სარგებლობდა თავისი უპირატესი მდგომარეობით, და არც პატარ-პატარა ეშმაკობებს გაურბოდა ხოლმე.

ერთხელ სთხოვა ბოჩის, სახლამდე არ გამაცილო, მარტო წავალო. რათაო, ვერ გაიგო ბიჭმა. ასე მინდაო, უთხრა გოგომ. არაო, არ დაუთმო ბოჩიმ. ციცომ მაინც თავისი გაიტანა გაჯიუტებულმა. რაკი შენ ასე გსურსო!.. – ბოჩიმ გულზე მორჩილად მიიდო ხელი და გაეცალა.

უზარმაზარი ფიჭვის ძირში შედგა ციცი და მიმავალ ბოჩის უყურებდა. გული მოეწურა ერთბაშად. ბოჩის სიარულშიც კი ეტყობოდა გულნატკენობა. „რისთვის, რატომ გავანაწყენე?“ – გაუგებარი იყო თვით მისთვისაც ეს ახირებულობა.

თუთარჩელა დღესავით ანათებდა არე-მიდამოს. იდგა ხის ქვეშ, ჩრდილში, და სინანულით შესცქეროდა თანდათან როგორ შორდებოდა ბოჩი. იქნებ მოიხედოსო – ინატრა გულში ანაზდეულად, მაგრამ ბოჩი ოდნავ თავწახრილი, თავისებური გრძელი, მძიმე ნაბიჯებით მიალაჯებდა და ეტყობა, უკან მოხედვას აღარც ფიქრობდა.

– ბოჩია! – აღმოხდა უნებურად.

წამსვე შემოტრიალდა, თითქოს ამ ძახილს ელოდებოდაო, მეორე წამს გოგოსთან გაჩნდა.

უნდოდა ამ მორჩილებისთვის მოხვეოდა, ეკოცნა, მაგრამ... მხოლოდ ღიმილი შეაგება აღელვებულმა.

– რა იყო, ცი? – დაიხარა. თვალებში ჩახედა: – ხომ არ შეგეშინდა?

– არა. არაფერი. ისე დაგიძახე. მაპატიე. ახლა წადი. გაბრუნდი.

თითები ნაზად მოუთათუნა ლოყაზე გოგოს, მერე ყელზე ჩამოუცურა.

– არა უშავს, ციცი, ჩემი ჟამიც დადგება. გადაგიხდი ყველაფერს! – ჩურჩულით უთხრა და როგორღაც უცნაურად ჩაიცინა: – ოჰ, რომ იცოდე, როგორ ვიყრი ჯავრს ჩემი წვალებისათვის! – ხმა გაებზარა, ტუჩებზე ძლივს შესამჩნევმა, ნაწვალებმა ღიმილმა გადაურბინა. მერე ისევ დაიხარა ციცისკენ.

– როგორი სახე გაგიხდა, იცი? შეშინებული ხოხბის ბჟიტივით! რაო, შენ მართლა ხომ არ შეგეშინდა? – ჩვეულებისამებრ, თავი უკან გადაიგდო და ხმამაღლა გაიცინა:

– აკი ასეთი ვარო, ისეთი ვარო. არაფრის არ მეშინიაო? – უცებ თავისკენ მოიზიდა გოგო, მის ფუშფუშა, რბილ თმაში ჩამალა სახე და აბუტბუტდა:

– იმ დღეს, დადისთან რომ მიგიყვანე, არ უნდა გამომეშვი, უკან. მარა შენი მომეხათრა, ეწყინება მეთქი... არადა, რათ მინდოდა ეს ნიშნობა? – თავი დაუჭირა, სახეში ჩახედა ხანგრძლივი მზერით. თვალები მორღვეოდა ბიჭს, სახე მღელვარებისგან გადასტეტკვოდა. უცებ დაიხარა და სწრაფად, მხურვალედ აკოცა გოგოს რამდენჯერმე ტუჩებში, დახრილ ქუთუთოებზე, ბოლოს ხელი შეუშვა!

– წადი ახლა! მე აქედან გიყურებ! – უთხრა მბრძანებლური კილოთი და ციციც უხმოდ დაემორჩილა.

* * *

თუმცა ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ერთმანეთში არეულად, მაგრამ მაინც მკვეთრად, მკაფიოდ შემორჩა მეხსიერებას ის, რაც შემდეგ მოხდა...

განსაკუთრებული სიცხადით კი თვალწინ უდგას მაღლა, ბორცვის კინწიბუროში აღმართული სამლოცველოსკენ, ქურუმის წინამძღოლობით ამავალი ნეფე-დედოფლის ხატება. დედოფალს ხელში ყვავილები და მტრედი უჭირავს, ნეფეს – ბროწეულის ნაყოფი.

მზის კაშკაშა სხივებით ალიცლიცებული ცისქვეშ გორაკის ფერდობზე ამ აღმასვლას ისე აღიქვამდა, როგორც ზღაპრული, უცნობი და თვალწარმტაცი სამყაროსკენ დაუსაბამო, უბოლოო ლტოლვას. და როცა მარმარილოს მაღალსვეტებიან საკურთხეველთან მტრედი გაუშვა ცაში, წამსვე ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ქალღვთაება ნანას, რომელსაც ჩვილი ჩაეკრა მკერდში და რომელსაც ყვავილებს, მცენარეთა ნაყოფსა და მტრედს სწირავდნენ იათნანელები, თავისი სული მიუძღვნა სამერმისო, ზეციური ნეტარებისათვისო.

სამუდამოდ დაახსომდა ციცის აგრეთვე სიტყვა, ახალდაქორწინებულთ რომ მიმართა ქურუმმა, როცა მან ზედაშე დაუღვარა დედაღვთაებას:

– შვილნო ჩემნო – მზექალავ და მზეჭაბუკო! დიდი აიაიას გვარტომის მოდგმავ და ფესვო! ღვთაება ნანას საკურთხეველთან დაილოცა გულის კავშირი ესე. ქორწინება მოხდა თქვენის ნებით და ლოცვა-კურთხევით თქვენთა მშობელთა და მახვამურთა. ამიერიდან ერთარსება ხართ თქვენ, მთლიანი და განუყოფელი. ტკივილი თუ სიხარული ერთის – ტკივილი და სიხარულია მეორისთვის, სიკეთე და კეთილდღეობა ერთის – სიკეთე და კეთილდღეობაა მეორისთვის, დანაშაული და შეცოდება ერთის – დანაშაული და შეცოდებაა მეორისთვის. თქვენ, ორივენი თანასწორად ვალდებული ხართ ერთი მეორისა და ნეტარ ღმერთთა წინაშე!

ამიერიდან არ ეგების თქვენს შორის რაიმე დაფარული, გაუცხადებელი.

მე შევთხოვ ღმერთებს ჩვენსას: უზენაეს ქალღვთაებას ნანას – მშობელს და მფარველს ყოველთა სულდგმულთა, ჩვენს მზე-ბარბალს – მწეს და ქომაგს აიას ძე-თურთა, წინამძღოლ მთვარეს – მამას და მცველს ჩვენსას, ციურ მნათობ, დილის ციაგს და ცისკრის ვარსკვლავს, მწყემსთმფარველ ჯუმას, მრისხანე და სამართლიან თარხონს, წყალთა მეუფეს ვობის, ზღვათა ღვთაება ოკეანოსს, ცის კაბადონს და ყველა ჩვენს დიდებულ ღვთაებას – კურთხეულ ჰყონ კავშირი ესე წმინდა და ურღვევი, გამრავლოთ ვარსკვლავებივით, მზე და მთვარესავით შეგაბეროთ ერთმანეთს, და დღეგრძელგყოთ სამითაჟამიოდ!

...უკან გამობრუნებულნი, ვაზის თალარის ქვეშ გამოატარეს. ფერხთით ყვავილებსა და ლორთქო ჟვერებს უყრიდნენ. გუგუნებდა საქორწინო სიმღერა „კუჩხი ბედინერი“.

ყოველი ქორწილი – მთელი სოფლის დღესასწაული გახლდათ. ამადაც ყველანი – დიდიან-პატარიანად ზეიმობდნენ. იყო საყოველთაო სიხარული, მილოცვები, ლოცვა-კურთხევა, სიცილ-ტკარცალი, ცეკვა-თამაშობა.

ვის ჩიჩილაკი ეჭირა ხელში – თეთრი და ხუჭუჭა წილამურებით[1] დამშვენებული, ვის სუროს, დაფნის, თუთის, რცხილის ტოტები, ვის ყურძნის აკიდოები და ჯაგნები, ვის ხილით სავსე კალანჩხები და ფერად-ფერადი ყვავილები.

გეგეშიების ეზოში, რცხილის ვეება ჩეროში ისხდნენ სოფლის უხუცესნი: თმადათოვლილი, თეთრწვერა კაცები და დადბეჩა[2] დიაცები, ისინი, ვინც განაგებდნენ სოფელს, ზრუნავდნენ და მფარველობდნენ თითოეულ მის მკვიდრს, ზიარი და მონაწილენი იყვნენ ყოველი მათგანის ჭირისა თუ ლხინისა.

ნაშუადღევს, მას შემდეგ, როცა წესით და რიგით ჩატარდა პატარძლის სახლში საქორწინო წეს-ჩვეულება, ნეფე-დედოფალი ნავსადგურამდე მიაცილეს და... ნავების წყებაც ადგილიდან დაიძრა, მექორწილეებმა ნამარკელისკენ აიღეს გეზი.

საზეიმო ქარავანს მეწინავეობდა გამორჩეულად მორთულ-მოკაზმული ორჩხომელი, სადაც მეფე-დედოფალი იმყოფებოდა. გაჩირაღდნებული ორჩხომელი მაყართა მარჯვე ხელებს სწრაფად და მსუბუქად მიჰყავდა ზღვის წყნარად მოლივლივე ტალღებზე.

ეს განუმეორებელი სანახაობა ციცის მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა ერთ უმშვენიერეს, ღირსსახსოვარ მოგონებად და წარსულის წარმტაც სამკაულად.

...ნავში რომ ჯდებოდნენ, ბოჩი ანაზდად დაიხარა ციცისკენ და ყურში უჩურჩულა: – ჩემი მტირალა გოგო!.. იცი, არ მეგონა, თუ ჩემთან წამოსვლა ასე დაგაღონებდა!

ციცემ შეჰღიმა მხოლოდ. მშობლებთან გამომშვიდობებისას, ციცემ ცრემლი ვერ შეიკავა და ახლა ბოჩი ამ გულჩვილობას ნახევრად ხუმრობით და ნახევრად ეჭვგარეული კილოთი საყვედურობდა. თუმცა თვალები კი ეშმაკურად უთამაშებდა და სახეზე ბედნიერებისა და კმაყოფილების ღიმილი არ შორდებოდა.

* * *

ოშორელთფონი მაშხალებით და კვარებით გაბრდღვიალებული შეეგება მექორწილთ. ეს ზღაპრული შეხვედრაც დაახსომდა ციცის სამა-

[1] ჩიჩილაკის ბურბუშელა.

[2] საპატივცემულო მანდილოსანი.

რადჟამოდ და ის დიარაც[1], სამ დღე და ღამეს რომ გასტანა.

ქორწილის მეორე დღეს გაიმართა მარულა. მას მოჰყვა შეჯიბრი ჭიდაობაში, მშვილდოსნობაში, შუბის ტყორცნაში ანუ ისინდში. დარჩეული გოგონები და ბიჭები, ზოგი ხანმოთეულნიც – ეცილებოდნენ ერთი მეორეს პირველობაში, ანუ სიჩაუქესა და სიმარჯვეში.

გამარჯვებულთ ხაცეცი[2] მუხის ფოთლების გვირგვინს ადგამდა თავზე და ვერცხლის ან ბრინჯაოს თასით თუ სურით აჯილდოებდა.

როგორც ნიშონელნი, ისე ნამარკელელნი თავს არ იზოგავდნენ, ოღონდ ნეფე-დედოფლის თვალი დაეტკბოთ და გული გაეხარებინათ.

ბოჩიმ შუბის ტყორცნაში მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. შეკრებილებმა ჯილდოდ ციცის კოცნა მოითხოვეს. როცა ჰკოცნიდა, ბოჩიმ, ყურში ჩაუფურჩულა: – ასე ვიცით ჩვენ, ოშორელთფონელებმა!

ციცის გაეღიმა და გაიფიქრა:

„რაფერ უყვარს პირველობა ყველაფერში! რა ბავშვურად ყოყლოჩინა და თავმოთნე ხდება... თუმცა... უხდება კიდეც ეს თავმოწონება!“

წესით, ციცისაც შეეძლო მონაწილეობა მიეღო შეჯიბრებაში, მაგრამ ახლა ისე იყო აღგზნებულ-აფორიაქებული, ტვინისა და სხეულის დაძაბვის თავი აღარ ჰქონდა.

სანამ ქორწილი გრძელდებოდა, მეფე-დედოფალს, წესისამებრ, ცალ-ცალკე აწვენდნენ.

მეოთხე დღეს, დილაადრიანად გოგონებისა და ვაჟების გუნდმა მთელმა მაყრიონმა და მდადემ-სახემწყაზარმა ნებამ – მიაცილეს საქორწინო ქოხამდე ნეფე-დედოფალი.

ფაცხა მომცრო გორაკზე იდგა და ზღვას გადაჰყურებდა. იგი ლერწმისგან, ტირიფებისა და ხვიარებისგან იყო მოწნული. დაბალფეხებიან ხის მოჩუქურთმებული საწოლის წინ, სოხანეზე ეგო დიდი, ჭრელი ნოხი, ყვავილებით მოფენილი...

აქ, განმარტოვებით უნდა გაეტარებინათ ციცის და ბოჩის ერთი თვე. თვის გასვლის შემდეგ ისევ მაყრიონი მიაცილებდა ფაცხიდან ბოჩის სახლამდე, სადაც გაგრძელდებოდა ახალდაქორწინებულთა ჩვეულებრივი ცხოვრება – ყოველდღიური ოჯახური საქმიანობითა და საზრუნავით სავსე. მაგრამ შემდეგაც, კაი ხნის განმავლობაში ხაცეცი განსაკუთრებული მზრუნველობისა და ყურადღების საგანი გახლდათ ყოველი ახლობლისა თუ გარეულისთვის. ყველა ცდილობდა რითიმე ესიამოვნებინა მისთვის, ყველანი თვალებში შესცქეროდნენ და პატარძალიც, თავის მხრივ, თავს მოვალედ მიიჩნევდა, არავინ ეწყენინებინა, ალერსიანად და

[1] ნადიმი.

[2] პატარძალი.

თბილად მოქცეოდა შინაურსაც და გარეშესაც.

მაგრამ ის ერთი თვე, ქოხში გატარებული, სულ სხვა იყო მაინც, და ისიც ზღაპრულ ზმანებასავით შემორჩა ციცის ცნობიერებას.

საჭმელ-სასმელი ორ-სამ დღეში ერთხელ ამოჰქონდათ მათთვის დობილებსა და ძმობილებს. დანარჩენი დრო დილიდან საღამომდე ხან ზღვაზე იყვნენ და თევზაობდნენ, ხანაც ტყეში დაბორიალობდნენ და გვიან ბრუნდებოდნენ საოცნებო ფაცხაში – ყვავილებით, ბალახეულობითა და ფარდაგით მოფენილ სოხანეზე წვებოდნენ და უყვარდათ ერთმანეთი. მთვარე უწევდა სანათურის მაგივრობას, ხოლო თუ წვიმიანი ამინდი შეესწრებოდათ, რაც ასე იშვიათი იყო, სურნელოვანი ფიჭვის კვარი ანათებდა ამ ზღაპრულ ქოხს და ჯადოსნურ განწყობილებას უქმნიდა ორთავეს.

ციცი ვერ წარმოიდგენდა ვერასდროს, თუ ამდენი სინაზის, სიფაქიზისა და მიხვედრილობის შეგრძნება აღმოაჩნდებოდა ამ, ერთი შეხედვით, თითქოს ოდნავ ალიჟვერა ბიჭს – საოცარ, ჯერაც გაურკვეველ ურთიერთობაში არაფერი რომ არ ეშლებოდა. ეს იყო ალბათ ცით მომადლებული ნიჭი და უნარი, უფრო კი გუმანი და ალღო, ვიდრე ცოდნა, და ალბათ მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ ბოჩის უყვარდა. უყვარდა გულწრფელად, მთელი თავისი არსებით. ყველაფერი ეს აადვილებდა ურთიერთდაახლოებას, აადვილებდა სასიყვარულო ურთიერთობაში გამოუცდელი, გაუწაფავი და მიამიტი გოგონას ქალად ქცევას. ალბათ ამიტომაც მოიგონეს მათმა წინაპრებმა ეს განმარტოებული ქოხიც და ერთად და მარტოდ ყოფნის ეს ერთი თვეც, როცა არავინ და არაფერი გიშლის შეეგუო და შეეთვისო ერთი მეორეს. ალბათ ესეც იყო იათნანური ოჯახების სიმტკიცისა და სიწმინდის ბალავართაგანი.

იმ ერთ თვეს ციცი და ბოჩი იყვნენ ნამდვილი მეფე და დედოფალი. მოსამსახურედ და ქვეშევრდომად ჰყავდათ მთელი ქვეყნიერება, მთელი იათნანას კუნძული, ყოველი იათნანელი დედაკაცი და მამაკაცი.

ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ორჯერ ესტუმრა მათ დადი, ხელძღვენით დატვირთული. უფროსებს, წესით, არ ჰქონდათ უფლება სწვეოდნენ ახლადდაქორწინებულთ. მხოლოდ თანატოლები, ისიც ერთობ მცირე ხნით, თუ ხდებოდნენ ქოხის ბინადართა სტუმარნი.

დადის დანახვაზე მყისვე ის წამი მოაგონდა ციცის, როცა იგი კიბის თავზე მდგარი, ჯამით ხელში იდგა და ელოდებოდა პატარძლის მოახლოებას.

ციცემ, როგორც დიდი ხნის ახლობელ და ძვირფას პიროვნებას, ისე შეჰღიმა მაშინ და როცა დადიმ ჯამიდან ფეტვის მარცვლები გადააყარა თავზე, ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ზეციდან ბედნიერების

კალთა დააბერტყაო ქალღვთაებამ და ის კოცნა და მოხვევნაც ცის დედოფლის მშობლიურ მოფერებად აღიქვა.

ხოლო შემდეგ, როცა დადიმ დიდ მუხას შემოატარა ისინი ანთებული სანთლებით ხელში, როცა მარანში დალოცა საზედაშე ქარვისფერი ღვინოთი ნეფე-პატარძალი – თხემით ტერფამდე ჟღუანტელმა დაუარა ციცის. დადის წარმტაცი, შთაგონებული სახე და თვალები წარუხოცელი ტვიფარით აღიბეჭდა მის გონებაში და მას სიცოცხლის ბოლომდე არ ეწერა დავიწყების უკუნში ჩაძირვა.

...დადი ზუსტად იმდენ ხანს დარჩა, რამდენიც საჭირო იყო იმისათვის, რომ თავი არ შეეწყინებინა მათთვის. მართალია, ციცის გულით არ უნდოდა დადი წასულიყო, მაგრამ ქვეცნობიერად გრძნობდა, რომ ბოჩის აღარ სურდა მეტ ხანს მისი დარჩენა, თუმცა აღმერთებდა თავის ღვთივმშვენიერ ბებიას. (წესით, ქმრის არა თუ მშობლებს, ახლო ნათესავებსაც პატარძალი სახელით ვერ მიმართავდა: ან სხვა სახელი უნდა შეერქმია, ან გაურკვევლად, სახელდების გარეშე მოეხსენიებინა. ის კი არა, მეუღლისთვისაც, სხვათა თანდასწრებით, სახელი არ უნდა დაეძახა. ქმარიც ასევე უნდა მოქცეოდა ცოლს. ასეთი იყო ოდინდელი წესჩვეულება, მათი მშობლებიც ერთმანეთს მხოლოდ თოლიგეთი ანდა შურიგეთი მიმართავდნენ ხოლმე. მაგრამ ეს ძველებური წესი უცხოელთა წაბაძვით, ნელ-ნელა ისპობოდა, ახალგაზრდობა ნაკლებად მისდევდა მას. ციცის კი მოსწონდა ეს წესი და მით უმეტეს, დადისთან ცდილობდა დაეცვა იგი).

ბოჩი სიყვარულშიც ისეთივე ხარბი აღმოჩნდა, როგორც სხვა სიამოვნებათა მიმართ სჩვეოდა ხოლმე სულსწრაფობა... მუდამ მის წინ უნდა ეტრიალა ციცის, მხოლოდ მისით უნდა ყოფილიყო დაკავებული. ეჭვიანობდა აშკარად თუ ფარულად ყველასა და ყველაფრის მიმართ: ეჭვიანობდა ზღვისადმიც, თუკი ოდნავ მაინც დაახანებდა წყალში, ეჭვიანობდა ნიავის მიმართაც, თუკი ციცის სიამოვნებდა ნიავის ლამუნი, ეჭვიანობდა ყოველი წუთის, ყოველი წამის მიმართ, რომელიც მას არ ეკუთვნოდა.

მაშინ ახალისებდა და ართობდა კიდეც ციცის ამგვარი დამოკიდებულება და აღარ ეჩვენებოდა იგი მისი ხასიათის განსაკუთრებულ თვისებად, რომელიც შემდეგში უფრო ცხადად გამოიკვეთებოდა, გამოაჩენდა ამ მესაკუთრულ, მხოლოდ „ჩემი“ და „მე“-ს ბუნებას.

მაშინ კი, მაშინ ყველაფერი დიდებული იყო და თუკი ბედნიერება არსებობს ამ ქვეყანაზე, ციცი და ბოჩი ბედნიერნი იყვნენ.

...ერთხელ, გამთენიის ჟამს ზღვის საშინელმა გუგუნმა გამოაღვიძა ორივე. თითქმის ერთდროულად. წამოცვივდნენ და გავარდნენ გარეთ.

ზღვა ბობოქრობდა. მთებისოდენა ტალღები ცოფიანად ეხლებოდა ნაპირს, მერმე ნამსხვრევებად ქცეული, ერთიანად დაშლილ-დალეწილი, ხრიალით მიიხვეტავდა ქვიშა-ღორღს. მერმე ისევ საშინელი ბრდღვინვა-ღრიალით, უცნაური გაშმაგებით ასკდებოდა ნაპირს, რათა კვლავ დაფშვნილიყო ნაწილ-ნაწილ და... ამ ჯიბრიან წადილს არ უჩანდა ბოლო.

იყო რაღაც ზარდამცემი და დიდებულიც ამთაგორებული ტალღების ამ ლეწვა-ხეთქებაში.

– რა განრისხება იცის ზღვამ, არა, ციცი?.. რა ბუმბერაზულია მისი გულისწყრომა!

ბოჩი შეუკავებელი აღტკინებით გასცქეროდა ჩაშავებულ და გადარეულ სტიქიონს, მოგლეჯილ, დევისხელა ხეებს პატარა ნაფოტივით რომ აბურთავებდა.

– კაცის გულივითაა ზღვა!.. – თითქოს ხმამაღლა ფიქრობდა ბოჩი და დოინჯშემოყრილი, თვალს ვერ აცილებდა ამ გონისშემარყეველ სანახაობას. მართლაცდა! კაცის გულს არ ჰგავს ზღვა? როგორი წყნარი, მშვიდი, უდრტვინველი და ნაზი შეუძლია იყოს და... ამავე დროს, რა მძვინვარე, დაუნდობელი და სასტიკია – თუკი განრისხდა!

უცნაური ძრწოლვა და მღელვარება იპყრობდა ციცის, ასე აზავთებულ, ფაფარაშლილ ტალღებს რომ უმზერდა. აშინებდა და აფრთხობდა ეს ზათქი და გრიალი, თუმცა ცდილობდა ბოჩისთვის არ ეგრძნობინებინა თავისი შეშფოთება.

– მე... მშვიდი, წყნარი ზღვა უფრო მიყვარს, – ჩაილაპარაკა ციცემ ძლივს დაფარული კრთომით და უნებლიეთ უფრო აეკრა ბოჩის, მაგრამ ბოჩი თითქოს აღარ უსმენდა მას და თავის ფიქრებს უფრო ეხმიანებოდა: – ზღვა საოცარია ყოველთვის: მშვიდიც და გადარეულიც და როცა უყურებ... გინდა მოიარო ქვეყნიერება კიდით-კიდემდე!

აღარ წვიმდა, მაგრამ ცა ისევ ისე ჩამოქუფრულიყო. გაფუებული, შავლეგო ღრუბლები იწეწებოდნენ, ნაფლეთ–ნაფლეთებად დაქუცმაცებულნი, კვლავ უერთდებოდნენ ერთმანეთს და საოცარ სურათებს ხატავდნენ ცაზე: ხან ცხვირწამახულ, საბრძოლო გემებს წააგავდნენ ისინი, აფრებგაშლილთ, ხანაც კორტოხებზე შემომდგარ სასახლეებს და ეს ჩამოძენძილი, მუნაფილი[1] ცა, აყალყეებული ტალღების წრეგადასული გრიალ-გუგუნი, ჩამრუმებული ირგვლივეთი რაღაცნაირ არამიწიერ, არაამქვეყნიერ განწყობილებას ბადებდა.

ციცი და ბოჩი ხელიხელგადახვეულნი, ფეხშიშველნი მდუმრიად მიუყვებოდნენ სანაპიროს. ტერფები სველ, გრილ სილაში ეფლობოდათ, წვივებზე თეთრი ქაფი ეშხეფებოდათ და ისეთი შეგრძნება ჰქონდათ,

[1] მოღრუბლული, აქ – ჩაშავებული.

თითქოს უცებ, მოულოდნელად გამოირიყნენ სადღაც უდაბურ, უკაცრიელ ტრამალში – ძე-ხორციელის ჭაჭანება რომ არ იყო არსად და ამ ბინდის საუფლოში, ქვეყნიერების კიდეგან მხოლოდ ეს გაშმაგებული, ყურისწამღები გნიასი იდგა და აწრიალებული, უმწეო თოლიების უსუსური ყიპყიპი – სხვა არაფერი.

თითქოს მარტოოდენ ის და ბოჩიღა დარჩნენ ამ მრუმე ცისქვეშეთში, მიუსაფარნი, ეულნი, მიტოვებულნი ყოველი სულიერი არსების მიერ, გარიყულნი კაცთა მოდგმისაგან: მაგრამ მარტოობის ეს შეგრძნება სულაც არ იყო დამთრგუნველი, სულის შემხუთავი და უსასოო. პირიქით, თითქოს რაღაც საიდუმლოებას ნაზიარებნი, უხილავი ძაფებით უკავშირდებოდნენ ზესთაზეენურ ძალებს, თითქოს სული საოცარი ძალისხმევით ისწრაფოდა ამ მიწიერი ყოფიერებიდან გაღწევას და შორს, სულ სხვა, მიღმიერ, უკიდეგანო სივრცეებში განავარდებას.

იყო რაღაც ამ შეგრძნებაში ისეთი, რასაც ზოგჯერ ოხვამეში, კაბდელთა გალობის დროს რომ განიცდიდა ხოლმე.

ბოჩის ხანგამოშვებით ჟრჟოლა უვლიდა ტანში.

– შეგცივდა? – ჰკითხა ციციმ ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა და ყურადღებითა და თანაგრძნობით ახედა.

– არა. სიცივის ბრალი არაა ეს! – თქვა და უფრო მაგრად მიიკრა ქალი გვერდზე. თვალები უშტერდებოდა წამდაუწუმ. დროდადრო თითქოს ითიშებოდა კიდეც:

– ხომ რა პატარა და უსუსური ჩანს კაცი ამ ვეება ძალის წინაშე, – როგორღაც ყრუდ, სვენებ-სვენებით წარმოთქვამდა სიტყვებს: – და მაინც... ერთი სული მაქვს ზოგჯერ, შევერკინო მას და... ან ამ ტალღებივით დავილეწო, ან არადა თავად ამოვივლო ლაჯებში, დავფშვნა, დავამსხვრიო, მერმე მოვაჯდე ქეჩოზე და ნაცემი ფინია ძაღლივით გავიგდო წინ, ვაწკმუტუნო და ვავიშვიშო დამარცხებულ-დამცირებული და მოთვინიერებული, – კბილებში ცრიდა სიტყვებს, თვალებში უცნაური ალი ულაპლაპებდა.

ბოჩიმ წამით იყუჩა ისევ. აღარ კანკალებდა ახლა, თუმცა კუნთები დაჭიმული ჰქონდა კვლავინდებურად.

– არ მახსოვს, ციცი, გიამბე თუ არა შენ, ბიძაჩემზე, ფინიკიაში, ტიროსში რომ ცხოვრობს!

ციციმ თავი გააქნია უარის ნიშნად.

– მამაჩემის უფროსი ძმა ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა წასულა ოშორადან ფინიკიაში. ახლა იგი დიდი კაცია იქ, სახელიანი და უსაზღვროდ მდიდარი... ამ რამდენიმე წლის წინ იათნანაზე ჩამოვიდა, ჩვენი აქ ყოფნა გაუგია და... გვინახულა. მე მაშინ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ვიყავი.

პირველად ვნახე ბიძაჩემი – ლამაზი, ბრგე, თმაჭაღარა, თავაზიანი მამაკაცი. მაშინ ბაბუა ქუჯიც ცოცხალი იყო... ბევრი ისაუბრეს, თავს გადახდენილი ამბები მოიგონეს... ბოლოს, ჩემი წაყვანა მოინდომა ფინიკიაში გამოუშვითო, სთხოვა დადის და ბაბუას, სიმდიდრესთან ერთად სახელსა და პატივს შეიძენსო. მეო ყველაფერში ხელს შევუწყობო, მერმე ისევ დაბრუნდებაო თქვენთან. არ ქნეს ჩვენებმა. განსაკუთრებით არ ინდომა დადიმ: უკვე მოხუცებულნი ვართო ჩვენ, ერთადერთი ეს ბაღანა შეგვრჩაო და ვერ გავიმეტებთო უცხო ქვეყანაში გასაგზავნად. მაშინაო, ერთი-ორი წლით მაინც გამატანეთო, ჰაკაფთას[1], ბაბილონს და ფინიკიას მოვატარებ, ბევრ რამეს ნახავს საგულისხმოს, ყურადსაღებს და გამოსადეგსო. დადის არ უნდოდა მცირე ხნითაც გავეშვი, მარა შემატყო, სული რო მიკანკაწებდა და... შევეცოდე... ბაბუაც არ იყო უარს ამაზე.

ბოჩი გაჩუმდა. თვალწინ ერთბაშად წარმოუდგა ის სურათი, გახარებული რომ მივარდა ბებიას და კოცნა დაუწყო. არ მეგონა, თუ ასე გაგახარებდაო ჩვენგან წასვლა, ვითომ იხუმრა დადიმ, მაგრამ ცრემლიანი თვალებით კი იღიმებოდა. არა. არ იყო დადი მაშინ მართალი. მათი დატოვება კი არ უხაროდა, არამედ ის, რომ ნახავდა იმ შორეულ და უცნობ ქვეყნებს, ამდენს რომ ოცნებობდა მათზე, უხაროდა, რომ იმოგზაურებდა...

– მერმე? – ჰკითხა ციციმ წამიერად გარინდებულ ბოჩის. იგი შეირხა. თავი გაიქნია, თითქოს რაღაც აბეზარ ფიქრს თუ ჩვენებას იშორებსო.

– რა მერმე?.. მერმე აგერ ვარ ახლა, შენთან! – კვლავ მხარზე ხელი გადახვია ციცის და სახეში ჩახედა. ნაძალადევი მოეჩვენა რატომღაც ციცის მისი სიცილი.

– რა ნახე-მეთქი იქ? როგორ მოგეწონა იქაურობა?

– აბა, რა უნდა გითხრა, ციცი? – მხრები შეათამაშა ბოჩიმ და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა: – სულ სხვანაირი ქვეყნებია, სულ სხვანაირი ცხოვრება... ჯიმადის[2] ისეთი დოხორე უდგას ტიროსში, რომ სიზმარშიც ვერ ნახავს კაცი. აურაცხელი სიმდიდრის – ოქრო-ვერცხლის, მონა-მხევლებისა და გემების მფლობელია.

– ქალები? რანაირი ქალები ჰყავთ? ლამაზები თუ არიან? – შეაწყვეტინა ანაზდად ციციმ მოუთმენელი ხმით.

– ქალები?.. იცი, იმდენად ლამაზები როდი არიან, მარა... ისე უვლიან თავიანთ თავს, ისე იმშვენიერებენ სახეს და სხეულს სხვადასხვანაირი ფერ-უმარილით და ნელსაცხებლებით, ისეთ სამოსს და სამკაულებს ატარებენ, რომ... მათხოჯიც კი მიმზიდველად გამოიყურება.

---

[1] ეგვიპტე.
[2] ბიძა.

– კაცები თითო ცოლს არ სჯერდებიან, არა?

– ხო. მასეა ეგ! მათში მიღებულია მრავალცოლიანობა. მათი ღმერთები ამის ნებას რთავენ.

– ბიძაშენსაც... ბევრი ცოლი ჰყავს, არა?

– წეს-ჩვეულება აქვთ ეგეთი მაქაურებს...

– რამდენი ჰყავს მაინც? მითხარი...

– სამი სჯულიერი...

– ხოლო ისე, ისე ვინ მოთვლის, არა?.. – ციცი წამიერად გატვრინდა, მერმე თითქოს ფიქრშიაო, ისე იკითხა:

– შენი ჯიმადი ხომ ოშორელია?

– ოშორელიო? – უცებ სიცილი აუტყდა ბოჩის, მაგრამ ციცის მოღრუბლულ სახეს რომ შეხედა, სიცილი დაიოკა.

– ბავშვი ხარ, ციცი შენ, სულ მთლად ჩიჩქი! – უთხრა მერმე შემწყნარებლური ხმით და თვალებით გაუღიმა, მიესიყვარულა.

– დაიცა... რათა ვარ ბავშვი?.. რა ვთქვი ასეთი სასაცილო?

– რას დაგიდევს, გოგო, ხათა ჯიჯი[1] ოშორელობას? სასაცილოა, აბა არა!

– მისთვის სულ ერთია ვინ იქნება, არა?.. ეს გინდოდა წეღან გეთქვა, ხომ?

– ხათა ჯიჯისთვის მთავარია – იცხოვროს კარგად, თავის გუნებისდა მიხედვით, ხოლო სად, რომელ ქვეყანაში დაიდებს ბინას... ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მისთვის.

– გასაგებია. ამადაც ეპატარავა უთუოდ თავის სარბიელად ოშორა და უფრო ვრცელი და კათამრავალი ქვეყანა აირჩია! ჰაკაფთაში რომ მოხვედრილიყო – ჰაკაფთელი იქნებოდა, ბაბილონში – ბაბილონელი!

– აი შენ ენამწარობ, ციცი, მარა ბიძაჩემი მაინც დიდად წყალობს ოშორელთ და... საერთოდ, ჩვენი გვარტომის კათას. მის მზეს ფიცულობენ, ვინც კი იქ ცხოვრობს, ჩვენებური. ეგრეა!

– შენ... ვითღა გამოგიშვა?.. საკვირველია პირდაპირ!

– დადიმ ფიცი ჩამოართვა და... მეც შევფიცე ბებია და ბაბუას, დავბრუნდები-თქვა დათქმულ ვადაში.

– ფიცი რო არა, დარჩებოდი?

ბოჩიმ გვერდულად გამოხედა ციცის, რომელსაც დრო ეხელთა და მკლავებიდან დასხლტომოდა. ბოჩი ერთხანს უძრავად მდგარი, უყურებდა წინ მიმავალ ციცის.

– ციცი! – დაუძახა ბოლოს. ქალმა უკან მოუხედავად განაგრძო გზა. ბოჩი მსწრაფლ წამოეწია.

[1] ბიძა მოფეებით.

– ცი, რა მოგივიდა?

– გამიშვი რა ხელი...

– რა მოგივიდა-მეთქი? – უფრო მაგრად მოხვია მკლავები, თავისკენ მოაბრუნა თითქმის ძალით და სახეში ჩააცქერდა.

– არაფერი. რა უნდა მომსვლოდა? – ქალს ქუთუთოები დაეხარა, ტუჩები გაებუტა.

– მაინც, მაინც?

– არა, ერთი რამ მიკვირს ისე: ბიძაშენი იმდენ რამეს გპირდებოდა თურმე და... ვით არ დარჩი იქ? ლამაზი ქალებიც ბლომად გეყოლებოდა. სიმდიდრე, ძალაუფლება, განცხრომა. მეტი რაა საჭირო ბედნიერებისთვის? – ციცი შეჩერდა. თითქოს შესაფერის სიტყვებს ეძებდა და ვერ პოულობდა: – ნუთუ... ფიცის გატეხის შეგეშინდა? ბიძაშენი აკი არ მორიდებია წინაპართა ღმერთებს?

თითქოს პირველად ხედავსო, ბოჩი დაკვირვებული, დაჟინებული მზერით დასცქეროდა ციცის წამოგზნებულ სახეს, აბზინვარებულ თვალებს; ტუჩებზე გამომწვევი, დამცინავი ღიმილი გასწოლოდა ქალს. ამნაირი ციცი არასდროს უნახავს სხვა დროს.

ხელები შეუშვა ერთბაშად. განზე გადგა და გამძვინვარებულ ზღვას გახედა ფიქრიანი თვალებით.

– რად გაჩუმდი?.. არ იცი რა თქვა, ხომ?

მყის მოუბრუნდა შემართულ ქალს და... ხმის გაგრძელებით, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

– მე აღარ ვინდომე იქ დარჩენა და წამოვედი მარტო ფიცის გამო კი არა... აქაურობა მომენატრა მე ძალიან.

ციცი დადრკა. რატომღაც გული აუჩვილდა, თვალებზე ცრემლი მოადგა.

– შენ არ უწყი, ციცი... შენ ვერ წარმოიდგენ, რა პატარაა ჩვენი იათნანა იმ უზარმაზარი ქვეყნების წინაშე! ერთი ციცქნა, ნამცეცა და მაინც...

– ადრე ჩვენც ვიყავით დიდი, ჩვენც ვრცელი მიწა-წყალი გვეჭირა, სანამ... დავიფანტებოდით. თუ... დაგვფანტავდნენ! მოძალადენი! ჩვენი გვარტომელნი ახლაც ბევრგან სახლობენ და არავის ჩამოუვარდებიან თურმე არც მიწა-წყლის სიმრავლით და არც სიმდიდრით, მაგრამ...

მაგრამ ქვეყნის სიმცირე თუ სიდიდე რა ბედენაა!.. მთავარია... – წამით შეყოყმანდა, თითქოს ენა შეუბრკოლდა. მერმე შეეცადა ის აზრი, რამაც ახლა უცაბედად თავში გაურბინა და შეაკრთო, სიტყვიერად გადმოეცა: – სადაც არ უნდა იყო – დიდი თუ პატარა ცისქვეშ, მთავარია, მე მგონი – ვინ ხარ შენ თვითონ, რა სულიერი! აკი ვამბობთ კიდეც იათნანელები: რა სულიერი ხარო! ესე იგი, კაცის თუ ცხოველის სული გიდგასო.

– ჰოი, რა სასწაული გოგო ხარ შენ, ციცი გეგეშხე! – გაიცინა ბოჩიმ უეცრად და ქალს მყისვე შემოესალტა, თვალებში ღრმად, ხანგრძლივად ჩახედა კვლავ: – რანაირი თვალები გაქვს ახლა, იცი? ამ ზღვასავით ჩამუქებული და უძირო... ზღვასავით ცვალებადია შენი თვალების ფერი, ცი! – შმაგად დაუწყო კოცნა. მერმე უცებვე დაცხრა, ქალის თმაში ჩამალა სახე და აბუტბუტდა: – ეჰ, რამდენიც არ უნდა იხეტიალო უცხო ქვეყნებში, უნდა დაუბრუნდე მაინც შენს მშობლიურ ბუდეს. შენს სამუდამო ნავსაყუდელს. ასე არაა განა?.. რაფერ მიყურებ, ცი?.. ალბათ ფიქრობ... ოჰ, ჩემი საყვარელი მაცირია[1], ჩემი ჭკვიანი და სულელი გოგო! – მხარზე მოხვია ხელი: – მოდი, დავბრუნდეთ, ცი, ჩვენს დოხორეში!.. გვეყოფა ამდენი წანწალი!..

უკან რომ მოდიოდნენ, წამოჟინჟლა. ზღვა ისევ ისე ბობოქრობდა, გამედგრებით ეხლებოდა ნაპირს და ცხვირპირდალეწილი, ხრიალით, გულში ჩაბრუნებული ბოღმითა და მუქარით იხევდა უკან, რომ ხელმეორედ, უფრო მეტის გახელებით და ჟინით დაცხრომოდა თავის ოდინდელ დაუძინებელ მტერს, აგრერიგად რომ არ ეპუებოდა მის მრისხანებას.

ბოჩი უეცრად შედგა.

– ზღვაში შევალ ახლა მე, ციცი, და შენ... არაფრის შეგეშინდეს. აქ დამელოდე! – ძალიან მშვიდი, ძალიან წყნარი იყო მისი ხმა. თვალებში კი – მოუთოკავი, ველური ჟინი ენთო.

– ბოჩია, ხომ არ გადაირიე? – შეიცხადა ციციმ და მთელი ტანით ჩამოეკიდა ბოჩის მკლავზე.

– ნუ გეშინია, ჩემო გოგო!.. არაფერი მომივა. ნახავ აგერ!

ქალი ჩამოიშორა და ზღვისკენ გაალაჯა. განწირული ხმით იკივლა ციციმ და ქვიშაში ჩაემხო მუხლმოკვეთილი.

გონს რომ მოეგო, ბოჩი ჩაჩოქილიყო მის წინ და ეხვეოდა და ჰკოცნიდა:

– რა იყო, ცი?.. რა მოგივიდა? აი, შენთან ვარ, გენაცვალე! მაპატიე რა... ჭირიმე შენი, ჩემი საყვარელი მაცირია!

მდუღარე ცრემლები წასკდა ციცის თვალთაგან. გულამომჯდარი, პატარა ბავშვივით სლუკუნებდა და რაც უფრო მეტს ეფერებოდა ბოჩი, მით უფრო ვერ იკავებდა თავს.

– კაი რა, ციცი. რა მოგივიდა?.. დაწყნარდი რა, გევედრები, გემუდარები!

მერმე ერთბაშად ხელში აიყვანა ქალი და ქოხისკენ გააბიჯა. ზღვა ისევ ღმუოდა ცოფმორეული, ისევ წარღვნით ემუქრებოდა ქვეყნიერებას, მაგრამ ბოჩი ახლა მისკენ არ იხედებოდა.

[1] პატარა გოგო

იგი ღიმმორეული დასჩერებოდა ცრემლით მორწყული ციცის სახეს და გული უზომო სიამით უცემდა: „ციცის ვუყვარვარ... ციცის ვყვარებივარ თურმე მე!.. ჰეი, ზღვის ღვთაებავ, დიდო ოკეანესო!.. მზაკვარო მესეფენო!.. გესმით ჩემი?.. ციცის ვუყვარვარ მე, ცისა და წყლის მადლმა!“

* * *

სახლში მობრუნებულთ, მეორე თუ მესამე დღეს, ნებამ – ციცის მდადემ და სიყრმის მეგობარმა გაუმხილა ჩუმად, ხვიჩა ზღვაში დაიხრჩოო. არავინ უწყოდა დანამდვილებით, თუ როგორ მოხდა ეს: ამის წინეებზე ზღვა რომ იყო გავეშებული, მაშინ შესულა თითქოს საბანაოდ და აღარც უნახავსო მერმე ცოცხალი ვინმეს. ერთი კვირის შემდეგ შემთხვევით უპოვიათო მებადურეებს ნაპირზე გამორიყული მისი ცხედარი, ყვებოდა თვალცრემლიანი, სახედამწუხრებული ნება და ციცი გუმანით გრძნობდა, კიდევ რაღაცა „სხვა“, ფარული აზრი იმალებოდა მის სიტყვებში, ბოლომდე რომ არ ამხელდა ნება.

ეს იყო პირველი მძიმე დარტყმა, ახალი ცხოვრების დასაწყისში რომ მიაყენა განგებამ ციცის.

ხვიჩა მისი კბილა იყო, ერთად გაიზარდნენ, ერთად თამაშობდნენ პატარაობისას. ერთად იზიარებდნენ ლხინსაც და ბავშვურ გასაჭირსაც. ზღვისფერ, ღამაზ თვალებში მუდამ სევდა ედგა ხვიჩას მაშინაც კი, როცა იცინოდა. ნაღვლიანი იყო მისი სიმღერებიც და მსმენელთ უნებლიე ცრემლს ჰგვრიდა. მაგრამ ეს არ გახლდათ მძიმე კაეშნით გამოწვეული ცრემლები. არა. ნაღველი თითქოს მსუბუქი, ჰაეროვანი იყო, და დაფერილი ჩანდა მთვარის იდუმალი ხატებით. მერმე და მერმე უფრო ამჩნევდა ციცი, რომ იათნანური სიმღერების უმეტესობა სევდით იყო მოსევადებული: გულის სიღრმემდე შემძვრელი, მიმწუხრის სევდით. მოგვიანებით დადიმ აუხსნა: ესო, უხსოვარ დროში დაკარგული, ბედნიერი ცხოვრების ხსოვნაო, მახარია, სიმღერის კილო-კავში ჩალექილ-ჩაწურული. ესო, ფარული წუხილი და სინანულიაო, მოუბრუნებელ, ოქროს ხანაზე.

საბრალო ხვიჩა! ძმასავით უყვარდა იგი ციცის, აკი მაყრადაც მოყვებოდა ქორწილში, მაგრამ ახლა, როცა ცოცხალი აღარ იყო, თითქოს ერთბაშად აეხილა თვალი და მთელი სიცხადით შეიცნო მისი იდუმალი, გაუმხელელი გულისთქმა, მისი გრძნობის სიღრმე.

ბოჩისგან მალულად იგლოვა ბედდამწვარი ხვიჩა. მისმა დაღუპვამ აუხილა თვალი სხვებზედაც, სიყვარულის გამჟღავნებას რომ ვერ უბედავდნენ და მისი გათხოვება ბოჩიზე ცამოწმენდილზე მეხის გავარდ-

ნასავით რომ აღმოჩნდა მათთვის. ციცის ახლა აგონდებოდა ბოჩის სიტყვებიც, ადრე რომ უთხრა და რომლისთვისაც დიდი ყურადღება არ მიუქცევია მაშინ.

ასე იყო თუ ისე, ხვიჩას უბედო ბედი – მისი უდროო სიკვდილი მთელ მის ცხოვრებას გაჰყვა სხვის თვალისთვის შეუმჩნეველ მწარე ტკივილად და სიმძიმილად.

კაი ხნის შემდეგაც, ოდესღაც ხვიჩას გამოთქმულ ლექსს თუ სიმღერას რომ მოისმენდა, თავისდაუნებურად ცრემლები წანწკარით ჩამოსდიოდა თვალთაგან, გულზე ნაღველი შემოაწვებოდა, აი ისეთი ნაღველი, ძალიან ძვირფასი, ძალიან ახლობელი პიროვნების დაკარგვის მოგონება რომ იწვევს ხოლმე. და ეს ემართებოდა მაშინაც, თუნდაც ბოჩიც რომ ყოფილიყო მის გვერდით იმ დროს.

ოღონდ არ იცოდა, ხვდებოდა ბოჩი რაიმეს თუ ვერა, ეს კია – არასდროს დაცდენია საყვედურის მსგავსი რამ. პირიქით, თითქოს გამგებიანად აარიდებდა თვალს იმ წამებში და... ციციც ძლიერ მადლიერი რჩებოდა მისი ამგვარი გულისხმიერების გამო.

ერთხელ საგანგებოდ მოინახულა კიდეც ხვიჩას საფლავი. ეს იყო მიცვალებულთა ხსოვნის დღეს, შურიშდღას[1], ვარდობის თვეში.

იმ მზიან, მშვენიერ დღეს ველის ფერად-ფერადი ყვავილები მიფანტ-მოფანტა ხვიჩას სამარეზე, მერმე ერთხანს იჯდა სევდიანი და მდუმარე და იქ, შიგნით, გულის უშორეს მღვიმეებში დაძრულ ხვიჩას სიმღერას ღიღინებდა უხმოდ, და ამ ტანასხლეტილი, პირმშვენიერი, ნაღვლიანი ბიჭის სამარეზე მოტანილი მინდვრის ყვავილები იყო თითქოს სინანულის თუ გულის ტკენის ნიშანიც იმ დაუბრუნებელ და სანეტარო ჟამზე, სიყმაწვილე რომ ჰქვია. მერმე, დროთა ვითარებაში, თვით ჩვენივე გული იქცევა ხოლმე აუხდენელ და გაცრუებულ ოცნებათა და იმედების სასაფლაოდ, თან რომ დავატარებთ კუბოს კარამდე.

დ ა დ ი

... ზედიზედ თმაქოჩორა ბიჭები შეეძინათ ციცის და ბოჩის. ღმერთებს ჩუმად ევედრებოდა ციცი, რომ სწორედ ვაჟი გასჩენოდა, რადგან იცოდა, ბიჭის ყოლა უსაზღვროდ გაახარებდა ბოჩის. და მართლაც, ბიჭი რომ დაებადა, გაფაციცებით ეძებდა ბოჩისთან მსგავსებას, და პოულობდა კიდეც. მაგრამ სინამდვილეში, რაც დრო გადიოდა, ორივენი – გელა და გოჩაც უფრო დედაილები ხდებოდნენ. ბოჩისთვის კი – დედასთან მათი

[1] შაბათი – ამ დღეს გარდაცვლილის საფლავს ყვავილებით, ჟვერით ამკობდნენ.

ეს ალიკვალობა, პირიქით, სიამაყისა და სიხარულის წყაროდ ქცეულიყო: ჩემი ბოკვერები დედასავით ლამაზი და მომხიბლავები არიან, ხოლო ხასიათით ჩემისთანა ვაჟკაცები იქნებიანო, იტყოდა ხოლმე თავმოწონებით.

ხომ როგორ უყვარდა ბავშვები, ხომ თავს ერჩია, მაგრამ უმთავრესი ყურადღების საგანი მისთვის მაინც ციცი გახლდათ. როცა სახლში იყო და საქმიანობდა, ციცის ყველაფერი უნდა მიეტოვებინა და მის გვერდით ეტრიალა, მხოლოდ მისით ყოფილიყო დაკავებული, მხოლოდ მისთვის უნდა დაეთმო მთელი თავისი დრო და გულისყური. მუშაობის შემდეგ ხეთა ჩეროში, ფარდაგზე უყვარდა ხოლმე ბოჩის კოტრიალი ბავშვებთან ერთად, დიდხანს ეთამაშებოდა, ერკინებოდა, ებღლარძუნებოდა, მერმე ჰერი, ერთბაშად წამოუსვამდა ორთავეს ხელებს და მათთვის განკუთვნილ სენაკში შელალავდა. ციცის კი, უეჭველად, მის გვერდით უნდა მოეკალათნა. მერმე თავს კალთაში ჩაუდებდა და ხან რას უყვებოდა, ხან რას, ხანაც თვალმინაბული, გაშხლართული იწვა და თავს იმძინარებდა. ბავშვების გამო რომ მოუსვენრობას შეატყობდა ციცის - დადი მიხედავს, შენ ნუ გედარდებაო, გაუიოლებდა საზრუნავს და ციციც იძულებული ხდებოდა, დამორჩილებოდა მის ნება-სურვილს.

ხოლო დადი მართლა იყო ამ პატარა, მცირერიცხოვანი ფანიის[1] სული და გული, მისი გაჭირვების ტალკვესი. ჯარასავით ტრიალებდა და ფუსფუსებდა დაუზარელად, მოუღლელად, ახალგაზრდული ჯანით აღსავსე: დაქანცვა რა იყო, არ იცოდა, თუმცა კი სამოცდაათ წელს კაიხნის გადაცილებული იყო; ბადრი მთვარესავით სავსე, თითქმის უნაოჭო სახე თეთრად უქათქათებდა, წელში გამართული სიარული იცოდა და როცა გაიღიმებდა თავისი უჩვეულოდ მომხიბვლელი ღიმილით, უნაკლო, თეთრი კბილების რიგს გამოაჩენდა ხოლმე. შენო, შენს ქმარ-შვილს მიხედე, ისინიც გეყოფა მოსავლელადო, ეტყოდა ციცის. ბავშვებსაც ის დაგურგურებდა ნიადაგ, და ციცისაც და ბოჩისაც ხომ თავს ევლებოდა და ესათუთებოდა.

ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ თუ ხმას ამოიღებდა, პირიდან თაფლი გადმოსდიოდა თითქოს.

ყველაფერს ასწრებდა: ბალახ-ბულახის შეგროვებასაც, წამლების დამზადებასაც, საოჯახო საქმიანობასაც, მომსვლელთა მიღება-გასტუმრებასაც... არადა, საიდან არ მოდიოდნენ მასთან სნეულნი, ხეიბარნი, გაჭირვებულნი, უნუგეშონი, სასოწარკვეთილნი და დადიც თავისი უებრო წამლებით ყველას ჰკურნავდა. ყველას საშველს აძლევდა. დადი ზოგჯერ ენით უფრო არჩენს, ვიდრე წამლითო, ამბობდნენ მასზე სიყვარულით და ასეც იყო. – თუმცა რაღა წამლები და სიტყვა, ხანდისხან

[1] ოჯახი.

მარტოოდენ თვალის შევლებით, ხელსაც არ დააკარებდა, ისე შველოდა ავადმყოფთ.

როცა წამლების დამზადებას შეუდგებოდა, წინა სამი დღე და ღამე მარანში ჩაიკეტებოდა, მარხულობდა და ლოცულობდა. წინაპრათა სულებს მოუხმობდა, მკურნალობის ღვთაებას ცირცეს შემწეობას ევედრებოდა მხურვალედ.

ბოჩიმ ერთხელ უთხრა, ცოდვა ხარ დადი, შეეშვი ამ წამლებს, ისედაც უღმერთოდ იღლები, დაისვენე, ვეღარ გაუძლებ ამდენ ჯაფასო.

მეო, ჩემო მახარია, იმისთვის ვცოცხლობ, რომ გაჭირვებულს დავეხმარო და ამ საქმიანობას სიკვდილამდე ვერ შეველევიო.

არასოდეს, არავისგან დადის თავისი წამლობისთვის გასამრჯელო არ აუღია – არანაირი სახით. ჩემთვის რა უნდა იყოს ამაზე დიდი სიამოვნება, თუკი ვინმეს წავადგებიო, წამოცდა ერთხელ დადის და... ბოჩიც ჩამოეხსნა, ამის მეტად აღარ დაუშლია მისთვის აქიმობა.

დადის თავისი, საკუთარი მტილი ჰქონდა გაშენებული, სადაც მხოლოდ სამკურნალო მცენარეები ხარობდნენ და დადი თვალისჩინივით უვლიდა და უფრთხილდებოდა მას.

ტყეშიც დადიოდა ბალახებისა და ყვავილების მოსაგროვებლად. ხანდახან ციციც მიჰყავდა და გზადაგზა უხსნიდა ხოლმე რძია-რძიისა თუ ბაიას, ოშოშიასა თუ შხანკოლას, ცერეცოსა თუ ყვალმითას, ფურისულას თუ მატიტელას, ომბალოსა თუ ლენცოფას, იელის თუ კურკანტელას, მრავალძარღვას თუ ცირცველას, ქაცვის თუ ქამენიას და ათასი სხვა მცენარის სამკურნალო თვისებებს. მართლაც რომ განსაცვიფრებელი იყო დადის განსწავლულობა ამ საქმეში. ჯერ მარტო ყვავილების, ბალახების სახელები დაახვევდა თავბრუს კაცს, მარტო მათი დამახსოვრება ჩანდა შეუძლებელი. ჩვენო, სამწუხაროდ, თანდათან ვკარგავთო დიდ ცოდნას. კირბებმა, მართალია, შემოგვინახეს ჩვენი წინაპრების სიბრძნე, მაგრამ ახლა კირბებსაც საფრთხე ემუქრება, მათი წამკითხავნი და მცოდნენი თითზე ჩამოსათვლელნიღა დარჩნენო და ადვილი შესაძლებელია, ისიც დაიღუპოს, რაც გადაგვირჩა, ისევე, როგორც სხვაც ბევრი რამ გამქრალა ჩვენი დაუდევრობით თუ დროჟამის სიავითო, იცოდა ხოლმე თქმა.

ერთხელაც, ტყეში ყოფნის დროს, დადი დაწინაურდა. ციცი უკან მისდევდა მისურით[1] ხელში. რუზე რომ უნდა გადასულიყვნენ, უცებ დადიმ ნაბიჯი შეანელა, მერმე ერთბაშად შეჩერდა და სწრაფად ჩაიმუხლა, სახე ახლოს მიიტანა წყალთან, ყურადღებით დააჩერდა რაღაცას. რა იყოო, დადი, შეეხმიანა ციცი, მაგრამ მან ხელით ანიშნა – ჩუმად იყავიო და

[1] წნული კალათი.

ციციმაც ხმა გაკმინდა მყისვე. მერმე თვითონაც უხმოდ ჩაიყუნცა შორიახლოს.

დაჟინებით, შეურხევლად ჩასცქეროდა დადი წყალს. კარგა ხანს იყო ასე. ციციც არ ინძრეოდა და მოთმინებით ელოდა მის წამოდგომას.

როდის, როდის წამოიმართა დადი და მერმე უსიტყვოდ, ტანის თავისებური რხევით წინ გასწია. ციციც უხმოდ მიჰყვა.

კარგა ბლომად რომ მოაგროვეს ბალახეულობა – დადი არ ერიდებოდა არც შალდამში, არც შქერის თუ იელის ბუჩქებში ფორთხიალს. წაბლის ტოტებგადაბარჯღულ ჩრდილში მოიგუნება ბოლოს დასვენება. ციცის წამუყო და ისიც გვერდით მიუჯდა.

ოფლიანი შუბლი და სახე შეიმშრალა დადიმ ქიცატი, გრძელი ფეხები გამართა, თავი ხის კორძიან ტანს მიადო და გაინაბა. ბაგეზე წყნარი, ჩუმი ღიმილი დასთამაშებდა. ციციც გატრუნული იჯდა, რათა ხელი არ შეეშალა მის ფიქრთა დინებისათვის.

გამოხდა ხანი. დადი არ იძროდა. ციციმ იფიქრა, ალბათ ჩასთვლიმაო და ამ დროს, თითქოს იგუმანაო ციცის ნააზრევი, შეტოკდა, ირიბად გამოხედა, თვალები ეშმაკური ღიმილით უციმციმებდა:

– თითქოს საოცარი და დაუჯერებელია ყოველივე ის, რაც წეღან ვიხილე, მახარია! – ოდნავ წამღერებით, საამო ღუღუნით იცოდა ხოლმე დადიმ უბნობა. ციციმ ყურები ცქვიტა, სმენად იქცა, მაგრამ კითხვით არაფერი უკითხავს. დადიმ მცირე ხანს დააყოვნა და მერმე განაგრძო: – ჩემო მახა, ჭიანჭველანი, ვითარცა ზოგი სხვა ბინადარი ტყისა, თავიანთი, განსხვავებული ცხოვრებით ცხოვრობენ. აქვთ თავიანთი სახელმწიფო, ჰყავთ საკუთარი მეფე-დედოფალნი, ჯარის მეთაურნი, მხედრიონი. არიან ნოღათა, სოფელთა, ციხე-სიმაგრეთა ამგებნი უებრო. ომობენ ერთმანეთში ჟამიდანჟამამდე, ვითარცა კაცნი და ვითარცა კაცნი, ზავდებიან კიდეც. არიან შესაშური შრომისმოყვარენი... აი, შენ გეღიმება, მახარია, ამაზე, გარნა წეღან... წყალს რომ ჩავცქეროდი... - დადიმ აღარ დაასრულა და კვლავ ფიქრებს მიეცა. ციცი კი სულიმწარედ ელოდა, როდის გააგრძელებდა იგი დაწყებულ საუბარს. გულთმისანი ქალი იყო დადი და, ცხადია, იაზრა, ციცი ცნობისწადილით რომ იყო აწიაწებული. როგორღაც უცნაურად ჩაიღიმილა და შეწყვეტილი თხრობა განაახლა: – ჰოდა, იმას მოგახსენებდი, ჩემო მახა, რომ წეღან იმ დროს შევესწარ სწორედ, მეთაურთ ჯარი რომ გადაჰყავდათ რუზე. ერთი წყება დაიხრჩო წინამძღოლიანად, მეორეც, მესამეც... მეხუთე ხიდად გაწვა, რათა დანარჩენნი გადაეტარებინა გაღმა. დაიხრჩვნენ თვითონ, მაგრამ მოძმენი გადასხეს რუს მეორე მხარეს, სადაც დაბანაკებულ იყვნენ მხედრობანი მტერთა... მერმე აღარ ძალმიძდა მზერა, რამეთუ... – ისევ დადუმდა

დადი. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ, კვლავ რომ ამოიდგა ენა, ციცის ამცნო, თუ ვითარი შეუცნობია ჯერაც კაცთათვის ცხოველთა, მცენარეთა, ფრინველთა, მწერთა და საერთოდ, სამზეოს სულდგმულთა ბუნებითი თვისებანი, მათი წეს-განჩინება. ასე, მაგალითად, ფუტკართა და ზოგი ბალახისმჭამელ ნადირთა ყოფა-ცხოვრება ბევრ რამეში კაცისას ჰგავს და ზოგ შემთხვევაში კი – სჯობია კიდეცო.

ერთ ხანს ენამზეობდა დადი იმ უცნაურ გონიერებაზე, რასაც ზღვის თუ ხმელეთის ზოგიერთი ბინადარნი იჩენენ ხოლმე.

უღრან ტყეში უთავბოლოდ როდი დაძრწიანო ნადირნი, ეზრახებოდა ციცის, არამედ ცხოველთ აქვთო არსთა გამრიგეს ანუ ჟინი ორთას მიერ დაწესებული წეს-ჩვეულება თანაცხოვრებისა ურთიერთ შორის. ცხოველთ აქვთო თავისი შუკები, სამეთვალყურეო ადგილნი, მიწისქვეშა გასასვლელნი. ტყის ერთ მონაკვეთზე შეიძლება ცხოვრობდნენო სხვადასხვა ჯიშის ცხოველნი, ვთქვათ ირემი და გარეული ღორი, მელა და მაჩვი და მათ შორის, განსხვავებით კაცთა ნაშიერთგან, სუფევსო მშვიდობა, აღარ მოსდითო ჩხუბი და შეტაკებანი ერთიმეორეში. მოწესრიგებული აქვთო საზღვრები და ურთიერთობები. ამადაც არ ირღვევაო ჟინი ორთას მიერ დაწესებული წონასწორობანი.

ჩვენო, მიწის შვილთ გვგონიაო, ყოველივე ვუწყით სხვებზე, სინამდვილეში კი, მცირე რამ გაგვეგებაო ჩვენსავე არსზე, ჩვენს ბუნებით ხასიათზე, რამეთუ თავად პაწია ჭიანჭველები თუ ვართო იმ უსასრულობის წინაშე, სამყარო რომ ჰქვია, ისეთივენი, როგორადაც ჩვენ ჭიანჭველანი გვესახებიანო. ამადაც არა ხამსო მოკვდავთა გულზვაობა და ქედმაღლობა ერთი მეორის მიმართ და მეტადრე წინაშე ღმერთთა. ამადაც უნდა ცდილობდესო კაცთა მოდგმის ძე-თური იცხოვროს ისე, აღარ ერჩოდესო არა მხოლოდ სხვათა, არამედ ერთმანეთსაცო.

დადიმ იშვიათად თუ იცოდა ხანგრძლივი საუბარი, მაგრამ თუ ალაპარაკდებოდა, უნდა გესმინა სულ, თუმც ოდნავ ძველებურად უქცევდა და ზოგ სიტყვას ვეღარც იგებდა ციცი და მაინც ნატრობდა გულში, მალე აღარ გაათავებდესო ნეტა. მაგრამ იმედმა არ გაუმართლა. დადიმ ისევე უცებ შეწყვიტა რაგადი[1], როგორც წამოიწყო.

ტყიდან რომ გამოდიოდნენ, ციციმ კინაღამ ფეხი დააბიჯა უნასს, კისერაღერილი, სისინით რომ გასრიალდა განზე. მოულოდნელობისაგან შეჰკივლა.

დადის ერთბაშად სახე ეცვალა. თვალები უცნაურად მოეწკურა. ტუჩები ააცმაცუნა. გველი დაიკლაკნა, დაიგრიხა. თვალის დახამხამებაში დადიმ კუდში წაავლო ხელი, ზევით აიტაცა ასხმარტალებული უხსენებელი, მკლავზე დაიხვია სამაჯურებივით, მერმე ორი თითით თავი დაუჭირა და თვალები გაუშტერა. არასოდეს ენახა ციცის დადის სახის ასეთი გამომეტყველება. თითქოს სულ სხვა არსება იდგა მის წინ: უცხო, უცნობი და... არამიწიერი. ჩუმი, იდუმალი ღიმილი ურხევდა ბაგეს. მერმე დაიხარა და მიწაზე ფრთხილად დასდო გორგალი, რომელიც არც გატოკებულა. ერთხელაც მოუხედა თითქოს წელმოწყვეტილ ქვეწარმავალს და თავაწეულმა ისე განაგრძო გზა, თითქოს აქ არაფერიაო.

– მახარია ჩემო, გველი სიბრძნის ხატი იყო ჩვენთა წინაპართათვის და ამადაც სათაყვანო გახლდათ იგი, – უთხრა ციცის, შეცბუნება რომ შეატყო და ოდნავ ეშმაკური, მაცთური ღიმილით გაუღიმა, – ამადაც ქურუმნი ჩვენნი და მეფე-დედოფალნი თავიანთ გვირგვინს ამკობდნენ ხოლმე გველის გამოსახულებით. მაცალე ცოტა ხანს, შემოგევლე და შენც გასწავლი იმ შელოცვებს და თავად ირწმუნებ ზოგს რასმეს.

ციცის თანდასწრებით დადიმ პირველად გამოამჟღავნა თავისი ჯადოსნური უნარი, მერმე რამდენჯერმე გახდა მოწმე იმისა, თუ რა შეეძლო დადის შელოცვებს. რამდენჯერმე თვითონ ნახა ცნობამიხდილი, უგონოქმნილი კაცი რა აბრეშუმივით რბილი და ცვილივით დამყოლი ხდებოდა დადის ხელში.

ამიტომაც იყო შოუ ბჟალახეს მხოლოდ შოუ მესიაკონით რომ მოიხსენიებდნენ ხოლმე მთელს იათნანაზე. უზომოდ დიდი რიდი და მოკრძალება ჰქონდათ მისი და, გატეხილად რომ ვთქვათ, ეშინოდათ კიდეც ცოტათი, რადგან იყო დადის ხელობაში რაღაც მისნური, ჯადოსნური, ზებუნებრივი და ამდენად, ჩვეულებრივი გონისთვის შეუცნობი, აუხსნელი, მიუწვდომი, და ყველაფერ ამას კი, უსათუოდ ჰქონდა კავშირი ზესთაზენურ ძალებთან, მით უფრო, რომ იგი ოცდაათ წლამდე ქურუმად იყო ნამყოფი დიდი ბჟალარას სახელგანთქმულ სამლოცველოში, ოშორას კუნძულზე.

მართლაც, მცირერიცხოვანი გახლდათ გაბელაანთ ფანია, მაგრამ ყოველ სამეურნეო საქმეში – ხვნა იქნებოდა ეს, თესვა, თოხნა თუ მოსავლის აღება-დაბინავება, ნადი ეხმარებოდათ. იათნანელთა წესისამებრ – ერთი ყველასთვის იყო და ყველა ერთისთვის. და ყოველგვარ ხანდას[1] სიმღერით ასრულებდნენ, რამეთუ უსიმღეროდ ვერ წარმოედგინათ არსებობა იათნანაზე. სიმღერა იყო ყველაფრის და ყოველივეს წამალი: ყოველ გასაჭირს და ჭმუნვა-წუხილს სიმღერით ჰშველოდნენ, ყოველი სატკივრის სალბუნი სიმღერა გახლდათ, სნეულთ და დაჭრილთ სიმღერით ჰკურნავდნენ, სიხარულს და ლხენას ხომ სიმღერით აგვირისტებდნენ.

[1] ლაპარაკი.

[1] შრომა.

ერთად იბადებოდნენ სიმღერა და იათნანელი და... ერთადვე კვდებოდნენ!

... ერთხელ, მზის მიდრეკის ჟამს, დადი და ციცი მეორე სართულის აივანზე ისხდნენ, თითისტარზე ძაფს ართავდნენ და თან ტკბილად მუსაიფობდნენ, უფრო კი – დუმდნენ, თავ-თავის საფიქალს ფიქრობდა ორივე.

დადის სამფეხა სკამზე დაესვენებინა ფეხები და ხანგამოშვებით წინ გადაშლილი საუცხოო ხედით ტკბებოდა. ძლიერ იშვიათად უწევდა დადის აქ დასასვენებლად ამოსვლა, ამიტომაც, როგორც კი თავისუფალ დროს იშოვიდა, მაშინვე მეორე სართულის აივანს მიაშურებდა. თვალწარმტაცი სანახები, აივნიდან რომ მოჩანდა, საოცრად აგონებდა დადის თავის მშობლიურ ბჟათას და ქორონს და ამდენად ათმაგად უფრო ძვირფასი და სასურველი იყო მისთვის ეს შემოგარენი. თუმცა, ამ თავის ხვაშიადს იგი არავის უმხელდა, ციცისაც კი.

ბიჭები ეზოში თამაშობდნენ მეზობლის ბავშვებთან ერთად. ციცის თან მათზე ეჭირა თვალი და თან ნავმისადგომში წასულ ბოჩის ელოდებოდა და ხშირ-ხშირად ჭიშკრისკენ გაურბოდა მზერა.

ბოჩის ამჯერად დიდხანს არ დაუყოვნია. მალევე მობრუნდა. ჯერ საოქრომჭედლო პალატში ბეგოსთან შეიარა მცირე ხნით, მერმე ქალებს ამოაკითხა აივანზე. დადის შორიახლოს საკარცხლულში ჩაჯდა და გაყუჩებული, ერთხანს თვალს ადევნებდა თითქოს ქალების საქმიანობას, სინამდვილეში კი სულ სხვაგან ქროდა მისი გონება. მერმე საკარცხლულის სახელურს უცებ ხელი დაარტყა, სახეზე გადამწყვეტი იერი მიიღო და დადის მიმართა, ერთი ფინიკიელისგან გემს ვყიდულობ, ოქრო მაკლდება და შენ ხომ არ გამიმართავ, დადი, ხელსო, ვალს მალე დაგიბრუნებო, საჩქაროდ დაატანა ნათქვამს.

დადი უსიტყვოდ ადგა და თავის საძილე ოთახისკენ გასწია. ცოტა ხანში იქიდან გამოიტანა საკმაოდ მოზრდილი ჩახვია[1] და ბოჩის წინ, ტაბლაზე დასდო.

– ბაბუაშენის დანატოვარია, ბოჩია, შვილო, ეს! სულ ეგაა! ნეტარმა ღმერთებმა ბედნიერად მოგახმაროს!.. ოღონდაც... ვალი რა სახსენებელი იყო, შემოგევლე?.. ოდესმე განა დაგვიკავებია რაიმე შენთვის ან მე, ან სულკურთხეულ ბაბუას?

ბოჩი უხერხულად შეიშმუშნა და წამიერად დარცხვენილმა, ენის წვერზე იკბინა:

– ვიცი, განა არ ვიცი, დადი, რომ ჩემთვის არაფერს დაიშურებ... ვალი ისე ვთქვი... სხვათა შორის... – მერმე მოღუშულმა ფრთხილი, გადარაჯებული მზერა ესროლა ბებიას შუბლქვემოდან: – ისე... ვატყობ კი, დადი, რომ მაინც და მაინც გულზე არ გეხატებათ არც შენ და არც ციცის, ჩემი განზრახული... – გაჩუმდა ისევ. თითქოს ბოლომდე აღარ დაასრულა სათქმელი. დადიმაც იყუჩა და შემდეგ ჩვეული წყნარი, მშვიდი ხმით უთხრა:

– შენ უკვე ზრდასრული კაცი ხარ, მახარია! შენი საქმის შენ უკეთ უწყი!

თუმცა დადის ხმაში, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სითბო და ალერსი იდგა, თვალებიც ულიმოდა თითქოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ციცი გუმანით გრძნობდა, რომ იგი მალავდა თავის ნამდვილ გულისნადებს. ბებიის ხელების მოძრაობით, თუ რა გამალებით ართავდა იგი ძაფს, ან ეგების სახის წამიერი, მოუხელთებელი გამომეტყველებით, ბოჩი ხვდებოდა დადის უგუნებობას და, თვიასდაუნებურადვე, იბოღმებოდა.

– ერთი რამ ვერ გამიგია, დადი, რითია ცუდი, საკუთარი გემი რომ მეყოლება?.. ჩემს ნახელავს და ნაღვაწს მევე რომ მოვუვლი უშუამავლოდ?.. ბაბუა ქუჯიც ხომ ნაოსნობდა თავის დროზე? ხათა ჯიჯიც?

დადიმ მხოლოდ გაუღიმა. ბოჩიმ რომ დაინახა, არც დადი და არც ციცი შეპასუხებას არ აპირებდნენ, უკვე დაუფარავი გაღიზიანებით განაცხადა:

– ჰოდა, აბა, მე თუ მკითხავთ, კაცმა სწორედ ის უნდა აკეთოს, რაც თვითონ სწადია, თუ მართლა თავის თავის უფალია იგი! თუმცა... იათნანელებს კი გვიყვარს ძალიან თავისუფლებაზე ლაპარაკი, მარა... სინამდვილეში... აი, ახლაც ისე გამოდის: თქვენს ნება-სურვილზე სიარულს ჰქვიებია თურმე თავისუფლება! რაც თქვენ არ მოგწონთ, დასაძრახისი ყოფილა!

ციცემ და დადიმ სწრაფად შეხედეს ერთმანეთს, რაც, ცხადია, ბოჩის არ გამოპარვია. დადიმ თავი ანება რთვას, თითისტარი იქვე, საფერხესთან დადგმულ კალათში ჩასდო და ბოჩის მიაპყრო მზერა.

– ერთობ მძიმე ბრალი დაგვდევი, ბოჩია, შვილო, ერთობ მძიმე! – კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ მშვიდი ხმით უთხრა.

– მე... ბრალს კი არ გდებთ, დადი... მე მინდოდა მეთქვა, რომ... – ბოჩის ენა დაება, სიტყვებს ძებნა დაუწყო ცოტათი შეცბუნებულმა.

– სათქმელი შენი შენ უკვე თქვი, ბოჩია შემოგევლე! ახლა ეგების, მეც მაცალო!

– ბრძანე, დადი!

ციცისაც განზე გადაედო თითისტარი და შინაგანად გაფაციცებული, სმენად და მზერად ქცეულიყო.

– იმის თქმა მინდოდა, ბოჩია შვილო: შენთვის მე – არაფერი დამიშ-

[1] ქისა.

ლია! აბა, რაც არ ვიცოდი, რა უნდა დამეშალა, შემოგევლე? პირუკუ: თავადაც ხედავ. როს მთხოვე, შეგეწიე კიდეც, რაფერაც შემეძლო, ასე რომ ბრალდება შენი – თითქოსდა ჩვენ, მეტადრე მე – ვზღუდავდეთ თავისუფლებას შენსას, ვგონებ, მართებული არაა, ჩემო საყვარელო! ეს საყვედური, ალბათ, ზედმეტი სიფიცხისა და დაუფიქრებლობისგან მოგივიდა!

– მეც უარი არ მითქვამს, დადი! – დაცდა ციცის თავისდაუნებურად.

– არ გითქვამს, მარა ხო ვიცი, არაფრად გეპრიანება! – წამოვარდა ანაზდად ფეხზე ბოჩი და თვალებიდან ცეცხლი დააფრქვია.

– უკაცრავად ვარ, დადი... სიტყვა შეგაწყვეტინეთ...

– ბოდიშს ვიხდი... – ჩაიბურტყუნა ბოჩიმაც და სავარძელში ჩაჯდა ისევ.

დადიმ მცირე ხანს შეიცადა და განაგრძო:

– ხოლო შენ რომ თავისუფლების ხელყოფას ეძახი, სხვა არაფერია, ჩემო მახარია, თუ არა მოვალეობის შეგნება. მე რამდენადაც ვუწყი, კაცი მოვალეა თავის ძე-თურის, კერიის, თვისტომის, ქვეყნის წინაშე! მოვალეა დიდი ნანას, ნეტარი ღმერთების წინაშე და ამადაც, ნებსით თუ უნებლიეთ, შებოჭილია კიდეც თავის მოქმედებებში უსათუოდ. ალბათ ამითაც განსხვავდება იგი დანარჩენ სულიერთაგან... უკეთუ, კაცთა მოდგმის თვინიერი სხვას არვის გააჩნია სიყვარულით ნაკარნახევი გრძნობა-მოვალეობისა!

– დადი, მე მინდოდა მეთქვა... მე ვფიქრობ, კაცი სრული თავისუფალი უნდა იყოს ამ ქვეყნად. მორჩა და გათავდა!

– რა ბრძანე, ბოჩია შვილო, სრული თავისუფალიო?.. არა. არ ეგების ეგე! ვითარც სრული თანსწორი ვერ იქნების კაცთა მოდგმა, ეგრევე სრული თავისუფალი არ შეიძლება იყოს მისდღემში ამ სამზეოში და... ვერც ვერასდიდებით იქმს ყოველისფერს იმას, რაიც სწადია და სურს.

– რათა, დადი, რათ არ ეგების?

– იმად, ჩემო სიცოცხლევ, თუნდაც რომ იბადება, ცხოვრობს და კვდება ამ საწუთროში არა ნება-სურვილით საკუთარით, არამედ... არსთაგამრიგის წინასწარი განჩინებით და... ამ ღვთაებრივ წესრიგში არ ძალუძს მიწის შვილს რაიმეს შეცვლა-გადაკეთება. სრული თავისუფალი მხოლოდღა მაშინ იქნება კაცი, სული რომ დატოვებს სხეულს თვისას, რომლითაც შემოგარსულია იგი მისდაუნებურადვე. და... მიაშურებს სავანეს ცისას... მძიმე, გაუგებარი ენით ხომ არ გეზრახები, ბოჩი შვილო?.. ეგების სჯობია მერმისისთვის გადავდოთ ჩვენი საუბარი?

– არა. რათა! მე გისმენ, დადი, დიდი გულისყურით!

– კეთილი, დადა[1]. რაკიღა მასეა, მეც მსურს ვისარგებლო შემთხვევით... და გთხოვ, შენს გაზრდას, გამარკვიო ერთ რამეში: გაკლია შენ ისეთი რამ, რაც შენი ასაკისა და მდგომარეობის ყმაწვილ კაცს უნდა ჰქონდეს იათნანაზე?.. ოქროს ხელები გაქვს და გამჭრიახი გონება. მზეთუნახავი, გონიერი ცოლი გყავს და მარგალიტებივით ბაღნები. ქვეყანა შენ შემოგნატრის ასეთი განძის მფლობელს და ეს გასაგებიცაა: რამეთუ ღმერთთა დიდ წყალობას უნდა მიეწეროს ის, რომ ციცისთანა ციური მაცნე შემომზიანდა ჩვენს ოხორეში. ყველას უყვარხარ და გაფასებენ იმდენად, რომ ნოღის უხუცესნი სხუნუზე[1] გისწრებენ, რაიც დიდი პატივია ყოველი ახალგაზრდისთვის. ჰოდა, ესოდენ ძვირფას საუნჯეთა მფლობელმა, რა უნდა შეიძინო უფრო ღირებული უცხო ქვეყნებში ხეტიალით?.. ეგების სჯობდეს, ბოჩი შვილო, გავუფრთხილდეთ, შევინარჩუნოთ ის, რაიც გაგვაჩნია? მოვუაროთ იმას, რაიც, ჯერ არ დაგვიკარგავს?.. ეგეც მინდა უწყოდე, ჩემო მახარია: მარტოდენ ჭამა-სმისთვის, არც მხოლოდ განცხრომისა და სიამოვნებისთვის გაუჩენია ჟინი ორთას კაცთა მოდგმა. უწინარესად, სულიერი არსებაა იგი, სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე, სიკეთის მთესველი მოყვასთათვის.

ბოჩი შუბლშეკრული დასჩერებოდა თავისი წულის ჭვინტს, მერმე თავი ასწია, დაღვრემილმა გახედა ბებიას და უხალისოდ ამოღერღა:

– ეჰ, აბა, რა უნდა გეზრახო, დადი?.. მე მარტო ნიო–ამუნი[2] და ტიროსი მანახა ჯიჯიმ და... რანაირად ცხოვრობს იქ კათა, რა დოხორეები უდგიათ, რა საყდრები, რა ქალაქები აქვთ!

– მერედა, ჩვენც ხომ გვაქვს, შემოგევლე, ჩვენი დედაქალაქი – მშვენიერი ჭუბურთა, ჩვენი ნოღები, ოხვამეები[3], დოხორეები...

ბოჩი ფეხზე წამოიჭრა ისევ:

– დადი, აბა, რა მოსატანია ჰაკაფთის პირამიდებთან, ლუქსორის ანდა კარნაქის ტაძრებთან და სასახლეებთან, ჩვენი? სათამაშოები გეგონება კაცს, მზის მადლმა! არ ვიცი მე, რანი ვიყავით უწინ, ოდესღაც, მარა ახლა...

– დაამთავრე, მახა! რად გაჩუმდი?

– ეჰ... – ბოჩიმ ხელი ჩაიქნია და საკარცხლულში ჩაეშვა მძიმედ.

დიდხანს იყო გაჩუმებული დადი. ციცისაც ხმა გაეკმინდა, თუმცა გული უდუღდა აღშფოთებისგან, მაგრამ დადიზე ადრე რაიმეს თქმის უფლებას თავის თავს არ აძლევდა. კარგა ძალი დრო გავიდა ამასობაში.

ბოლოს დადიმ ნელი ხმით, სიტყვების ოდნავი დამარცვლით, ისე, როგორც ეს ბოჩისაც სჩვეოდა ხანდახან, დაიწყო:

---

[1] უფროსის მოფერებითი მიმართვა უმცროსისადმი.

[1] საბჭო.

[2] ეგვიპტის დედაქალაქი, ბერძ. თებე.

[3] სამლოცველოები.

– ჩემო მახარია, ბოჩია, შვილო, ერთი რამ მინდა უწყოდე: ყოველი გვარ-ტომი ცხოვრობს ისე, ვითარცა შეეფერება ეს მის ბუნებით თვისებას, სხეულისმიერს თუ სულისმიერს... თუმცაღა ბევრი რამ აქვს საერთოც კაცთა მოდგმას. გარნა ყოველი მათგანი მაინც თავთავისებურად ქმნის და აშენებს, მღერის და ცეკვავს, ტირის და იცინის... ზოგი უფრო ადრე მოევლინა ამ ცისქვეშეთს, ამადაც, ჩემო საყვარელო, უფრო მეტიც ნახა, შეითვისა, მეტი გამოსცადა ავიც და კარგიც, ანუ უფრო გრძელი გზა გამოიარა გ ა ნ კ ა ც ე ბ ი ს. ზოგი კი – ეს-ესაა ჩნდება... მაგრამ სუყველანი არსთა გამრიგის წეს-განჩინებით იშვნენ და ამადაც, პატივის გების და ყურადღების ღირსია სათითაოდ ყოველი მათგანი, რამეთუ... საყოველთაოა, კაცობრიულია გრძნობა სიკეთისა, მშვენიერებისა, ღვთიურობისა...

ჩვენი ქალაქები და საყდრები ვერ მოვლენო სიდიდით ჰაკაფთურთან, თუნდაც ბაბილონურთან, ბრძანებ შენ და მართალიც ხარ, ოღონდ ეს კია: უკვდავ ღმერთთა მიერ შექმნილს, მოკვდავთა ნახელავი ვეღარანაირად გაუტოლდება, ჩვენი აიალონის მთის არ იყოს და მაინც... დიდი ქვეყანაა ჰაკაფთა უთუოდ და დიდი ერია ჰაკაფთელები, ბაბილონელები და ზოგი სხვაც. გარნა მე ასე ვაზრობ: ჩვენი თვისტომთა სამლოცველოები და დოხორეები, დაბა-სოფლები თუ ქალაქები ჩვენი მთაგორიანი ბუნების ჩარჩოში ისე ზის, ვითარცა ოქროს ბეჭედში ზურმუხტის, ლალის, იასპის თუ ბივრილის თვალი. კაცის ხელით შექმნილი არ არღვევს ღმერთის მიერ შექმნილთან თანწყობას, თანაზომიერია და შეხამებულია მასთან მთელი თავისი აღნაგობით, სულით და ხორცით. უწყი ალბათ ისიც, მხატვართა ჩვენთა თავად ჰაკაფთელებიც რომ ბაძავენ ზოგ რამეში, რამეთუ... მოლივლივე ზღვის ტალღებივით მოძრავი, ხალისიანი, ფერადოვანი და ლაღი კედლის ნახატები ჩვენი ჩვენსავე ბუნების წიაღში იშვნენ და ამ დედაბუნების და ჩვენი ხასიათის შესატყვისნი არიან უცილოდ. ხოლო უცხოელთა აზრით, შეუდარბელია როკვა და სიმღერა ჩვენი... საზოგადოდ კი, მე აგრე მგონია: ყოველმა თესლტომმა, ისე, ვითარცა ყოველმა სულდგმულმა, უნდა უწყოდეს კარგად, რაის შემძლეა ამქვეყნად, რა ხელეწიფების და რა – არა. ყოყოჩობის და კუდაბზიკობის გამოისობით, ანდა სულაც სხვათა მიმართ შურის თუ ბრმა წამხედურობის წყალობით, არ უნდა წაეპოტინოს იმას, რაიც უცხოა და მიუღებელი მისი ბუნებითი ხასიათისათვის, რისი ქმნის უნარი არ უბოძებია არსთა გამრიგეს. ამის ცოდნა მოკვდავთა მიერ, ვფიქრობ, დიდი სიბრძნეა ამ ცისქვეშეთში.

დადი გაჩუმდა თუ არა, ბოჩი უმალვე შეეპასუხა:

– ეჰ, აბა, რა უნდა სთქვას კაცმა? ერთობ ძნელია საუბარი ქალებთან!

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა უცბად.

– რა მითხარი, შემოგევლე? – დაარღვია ბოლოს მძიმე დუმილი დადიმ და დასძინა:

– კარგად ვეღარ გავიგონე!

– აბა რაა დადი? მე ერთს ვამბობ, შენ კიდევ – სულ სხვას იძახი!

– დაჯექი, მახა! ნუ ცხარობ!.. რა არის, შვილო, ეს წარამარა წამოხტომა, ხელების ქნევა, ხმამაღალი ლაპარაკი? ვეჭვობ, ყვირილით დაარწმუნო ვინმე! და მერმე: ეგების გამაგებინო, ჩემო საყვარელო, როდიდან გახდა სათაკილო იათნანელი მამაკაცისთვის იათნანელ დედაკაცთან საუბარი?! საიდან მოიტანე, ვინ გასწავლა, ბოჩი შვილო, ამგვარი რამ?

– შენც არ თქვა, ახლა დადი, ფინიკიელებმა ხომ არ გაგაფუჭესო!

– მე არ მიხსენებია ფინიკიელნი, ჩემო მახარია!

– რა ვიცი, აბა! ყველაფერ ცუდს ფინიკიელებს ვაბრალით ხოლმე. თითქოსდა ჩვენ რძით დაბანილი, უცოდველი კრავები ვიყოთ! – არ შეეპუა ბოჩი ბებიას.

– მაპატიე, დადი, გული არ მითმენს... აღარ ძალმიძს თავის შეკავება. – ციცი, აქამდე გაფაციცებით რომ უგდებდა ყურს ბებია-შვილიშვილის სიტყვიერ პაექრობას, საუბარში ჩაერთო: – ტყუილია განა, ბოჩი, რომ ფინიკიელთა ზნე-ჩვეულებით, ქალს სიტყვის თქმის უფლება არა აქვს საკუთარ სახლშიც კი, არამცთუ ჯარობაში ილაპარაკოს რამე! ან ძაღლივით არ სცემენ ცოლებს, როცა მოეპრიანებათ? ეგება არც უშვერ ლანძღვა-გინებას ერიდებიან დიაცთა თანდასწრებით? ან არ სვამენ გონის მიხდომამდე? ან არ ჰყავთ ორი-სამი ცოლი და ამდენივე, თუ მეტი არა, ხასა? ოქროთი არ ყიდულობენ ქალებს და ასევე არ ჰყიდიან ოქროზე, თუ მოეგუნებათ? მარა... ეგება შენც, ზოგ-ზოგი იათნანელი მამაკაცივით, მოგწონს ყველაფერი ეს? სთქვი ბარემ პირდაპირ და ის იქნება!

ბოჩის თითქოს არ გაუგონიაო ციცის ნათქვამი, ისევ დადის მიუბრუნდა ბრაზისგან სახეაჭარხლებული:

– აკი შენ თავად ბრძანე წეღან, დადი, ყოველ თესლტომს თავისი ზნე-ჩვეულება აქვსო, თავისი ბუნების შესაფერია. იმათ ასე მოსწონთ ცხოვრება. ასე უნდათ. რამდენი კაციჭამია ტომი არსებობს დღესაც დედამიწის სხვადასხვა კუთხეში! ანუ შენი თქმით განკაცების საფეხურები რომ არ გაუვლიათ? ეგება იმათაც ბევრი რამ არ მოსწონთ სხვისი, კერძოდ, ჩვენი?

– კი, ჩემო მახარია. მართალს იტყვი, შემოგევლე: თავ-თავისი აქვს წეს-ჩვეულება ყველას, თავის ნიშატს მისდევს ყოველი სულდგმული, გარნა მონონებულს შენსას როს თავს მოახვევ სხვათა – ძალმომრეობით იქნება ეს თუ ვერაგობა-ცბიერებით და ამტკიცებ თანაც – ჩემი სჯობიაო შენსას, უვარგისიაო შენი, რაკიღა მე არ მომწონსო იგი, ამადაც, შენც

უნდა იცხოვროო ჩემებურად, ანუ გადიდგულებულ-გაზულუქებულხარ არა სიმაღლითა სულისმიერითა, არამედ სიმრავლითა ძალისმიერითა – აი, ეს უკვე, ვგონებ, საძრახისიცაა და ძნიად მოსათმენიც, ჩემო მახარია!

– მერედა, ვინ გვახვევს ჩვენ ძალით თავისას, დადი?

– საამისო პირი უჩანს დღევანდელ იათნანას, ჩემო საყვარელო! არა, მარტოდენ იარაღის სიმძლავრით და მომხვდურთა მრავალრიცხოვნებით ძლეულა გვარტომი ჩვენი. ამადაც მიმაჩნია: მეტი სიფხიზლის გამოჩენა მართებთ-მეთქი იათნანელთ, მეტადრე მამაკაცთ, რამეთუ კუნძულზე კი ვცხოვრობთ, გარნა კუნძული ჩვენი ღიაა ოთხივ კუთხით და გაშლილი, ყოველ მხრიდან გვიდგებიან უცხოელთა დრომონები და კატარღები. არც როდის უთქვამთ უარი იათნანელთ მშვიდობიან ურთიერთობაზე, უკეთუ კარგად უწყიან მშვიდობიანი ცხოვრების ყადრი და ფასი და არც როდის შემოუზღუდავთ თავიანთი ნოღები გალავნებით, არც ციხე-სიმაგრენი უშენებიათ აქაველთა, დორიელთა და სხვათა მსგავსად. შენც კარგად უწყი, ჩემო მახარია, რომ ჩვენში სხვატომელნი თავს ისე გრძნობენ, ვითარცა საკუთარ ოხორეში. მერმე, ვითარცა არაერთგზის მომხდარა, ვითომ მოყვრულად და მეგობრულად მოსული, ერთ მშვენიერ დღეს მტრად გიხდება. ჩვენს ოშორასაც ასე არ დაემართა განა და ბევრ სხვასაც? და კიდევ: თუმც გამიგრძელდა სიტყვა, მსურს საცნაურვყო შენთვის ჩვენთა ძველთა სიბრძნე: არა ხამსო მარტოდენ ლომთა და ვეფხვთა ნავარდი, ვითარცა ვირთხანი და თაგვნი ვერ იბოგინებენ მარტონი – თუმცაღა ურიცხვნი არიანო. უპრიანიაო ღლავს რომ სურდს ზუთხის ჩასანსვლა, ხოლო მშვენიერი ზუთხი რომ ცდილობდესო გადარჩენას თავის თავისას, – ეგეც ბუნებითი წესიაო ყოველთა სულდგმულთა, რამეთუ რაოდენი ხერხიცაა ცხოველთ შორის თავდასხმის, იმდენივეაო თავდაცვის საშუალებანიც. არ ეგებისო, მახა, გადაშენება ზუთხის – არც რაიმე სხვა სულდგმულის, უკეთუ ამით ისპობაო ზ უ თ ხ ი ს მ ი ე რ ი, მარტოდენ მისეული ს ი ლ ა მ ა ზ ე, რაც აგრეთვე დაუშვებელი ბოროტებაა არსთა გამრიგის წინაშე...

და ბოლოს, მე ასე ვფიქრობ ბოჩია შვილო: იათნანა საფრთხის წინაშე დგას და ეს, უწინარესად, ჩვენი წყალობაა, ჩვენ გვიდევს ამაში ბრალი ყველაზე მეტად.

– რანაირად, დადი?

– დაწყნარდი, მახა! დაიოკე გულისწყრომა... ამწამსვე მოგახსენებ ყოველისფერს: ამ ცოტა ხნის წინ შენ გვაუწყე თუ არა, დამხმარედ მოგიყვანთო მონა ქალს?

– მე... თქვენთვის ვზრუნავდი!.. მე თქვენ მეცოდებით და... იმიტომ!

– დიდი მარდი[1], მახა, რომ გეცოდებით თურმე, მაგრამ... რა გეზრახა შენ ამის თაობაზე შენმა მეუღლემ? რა უთხარი შენ, შემოგევლე, შენს ქმარს?

– სანამ სული მიდგას, მონას არ შემოვუშვებ-მეთქი ყუდეში, დადი!

დადი ადგა, ციცისთან მივიდა და შუბლზე ეამბორა:

– აი, ვინაა ნამდვილი იათნანელი! აი, ვის ძარღვებში მიედინება აიას თურთა შეურყვნელი სისხლი!.. ბოჩია შვილო, ერთი შეგონებაც უნდა შეისმინო, შენს ჩრდილს შემოვევლე: ვისაც არარად უღირს სხვათა თავისუფლება, ის საკუთარ მონობასაც იოლად შეეგუება!

– თქვენ... გესმით კი, რას ლაპარაკობთ, ქალებო? – ბრაზმორეულს, ენა ებორკებოდა და ცხვირის ნესტოები ებერებოდა ბოჩის: – ლამის მთელი ქვეყნიერება, ყველა მეზობელი ჩვენი, არამცთუ სხვის – საკუთარი ტომის შვილებს ჰყიდიან და ვაჭრობენ ამით, ჩვენ კი... გამოვკიდებივართ ჩვენი მამა-პაპის ყავლგასულ ზნე-ჩვეულებას და... სასაცილონი ვხდებით სხვათა თვალში! და დაგვცინიან კიდეც – ვარსკვლავეთიდან ჩამოსულ მზისწულებს გვეძახიან!

– მანამ ასე გვიწოდებენ, იათნანა ცოცხლობს. ოდეს არ დაგვიძახებენ ასე, აღარც იათნანა იარსებებს მაშინ ქვეყნიერებაზე, ბოჩი შვილო!

არც მანამდე და არც შემდეგ უნახავს ციცის დადის თვალების ამგვარი აკვესება, და არც სხვა დროს ყოფილა იგი ასე „ქადაგად დავარდნილი“!

შოუ ბჟალახე

ერთხელ დილაადრიანად დადიმ თავისთან იხმო ციცი.

რამდენჯერაც არ უნდა შესულიყო დადის სენაკში, ყოველთვის რაღაცნაირი მოკრძალების გრძნობა ეუფლებოდა ციცის.

უკვე მერამდენე წელი იყო, რაც ამ ოხორეში შემოდგა ფეხი. მაგრამ ის, ძველებური მოწიწება და რიდი, არა და არ უქრებოდა. ხომ როგორი გულთბილი, მოსიყვარულე და ალერსიანი დიაცი იყო დადი, მაგრამ რაღაც ჰქონდა ისეთი გარეგნობასა თუ ხასიათში, რაც მასთან ნამეტან გაშინაურებას გამორიცხავდა. ერთადერთი ბავშვები თუ იყვნენ შეთამამებული დადისთან. ისინი საღამოობით, ხანაც დილ-დილითაც ლოგინში ჩაუგორდებოდნენ და სანამ ზღაპრების გუდას არ დააცლევინებდნენ, მანამ არ შეეშვებოდნენ. მერედა, რა ზღაპრების მოყოლა იცოდა დადიმ! პატარები კი არა, დიდებიც სულგანაბულნი უსმენდნენ ხოლმე.

... დადის საკმაოდ მოზრდილი, გრძელი სენაკი ორად იყო გადატიხრული. ტიხარის შუაში კარის ნაცვლად მძიმე, ყავისფერი ფარდა ეკიდა.

[1] მადლობა.

სენაკის ორივე თვალის კედლები დაფარული იყო ზღვის ბინადართა, ზღაპრულ ფასკუნჯთა, საოცარ ფრინველთა და ცხოველთა ფრესკებით. ისინი ოშორელ დიდოსტატთა ნახელავი გახლდათ, ისევე, როგორც ოშორული იყო იშვიათი სილამაზის დოქები, სურები, თასები, დორები, ჯამები, კედლის თაროებსა და ტაბლებზე რომ იწონებდნენ თავს. ოშორა ხომ ოდითგან განთქმული იყო სწორუპოვარი ოქრომჭედლებით, ხისდამამუშავებლებით, ჯამ-ჭურჭლის დამამზადებლებით, ქარგვის, კერვისა და ქსოვის უბადლო ოსტატებით. გრძელ ტაბლაზევე ელაგა სხვადასხვა ზომის მაშები, მინის ქილები, სინჯარები, სპილენძის და თითბრის პატარა ქვაბები – თანგირები, საცერი-საწერი, წვეთმზომი, თიხის ქოთნები და ჯამები, მოჭიქული ჭიქები, ქვიჯა, კოჭობი და მრავალი სხვა ხელსაწყო თუ ჭურჭელი, რომლებშიც ათასგვარ ფხვნილებს, მცენარეთა თესლებს, სამკურნალო ნაყენებს, მალამოებსა და სალბუნებს ინახავდა დადი. კუთხეში დიდი სკივრი იდგა, ტყავის წიგნებით სავსე. სკივრის პაწია გასაღებს, ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებულს, უბეში ატარებდა დადი. ტიხარის მეორე ნაწილში წითელი ხის ჩუქურთმიან საწოლში, თავად ეძინა.

გაბელაანების სახლს არაჩვეულებრივი სილამაზის დგამ-ავეჯი ამშვენებდა. ისინი დადის მეუღლის – ქუჯი ბაბუას ნაოსტატარი გახლდათ: მაღალზურგიანი, მზის და ხარის თავებით ამოტვიფრული საკარცხლულები, მერხები, სამფეხები, ტაბლები, საწოლები – ყოველივეს განუმეორებელი ნიჭიერების ბეჭედი ესვა, ხოლო სკივრებისთვის შეუძლებელი იყო თვალი მოეწყვიტა კაცს. ზოგი რამ ბოჩის ნახელავიც იყო, ამით თავი მოჰქონდა კიდეც ბოჩის, დადისაც ეამაყებოდა, ბაბუას ხელობას ასე დიდებულად რომ ფლობდა შვილიშვილი.

სენაკში მუდამ ტრიალებდა საამო სურნელება, ყნოსვას რომ უღიზიანებდა კაცს და ოდნავ თავბრუსაც რომ ახვევდა ხოლმე. ერთადერთი სარკმელი მკრთალად ანათებდა ოთახს და საგნებსაც იდუმალი ელფერი დაჰკრავდა. იდუმალების შეგრძნება სენაკში შესვლისთანავე იპყრობდა კაცს: უნებურად ფეხაკრეფით იწყებდა სიარულს, ხმადაბლა, ლამის ჩურჩულით ლაპარაკობდა. მაღალ შანდლებში თაფლის სანთლების ციმციმი კიდევ უფრო აძლიერება ამ შთაბეჭდილებას. როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა დადი, რაც მეტად იშვიათი იყო მისი მოუცლელობის გამო, შეიყვანდა თავის სენაკში ციცის და სკივრს თავს ახდიდა. როცა კირბებს ხელს შეავლებდა დადი, ისეთი სასოება და სინაზე ეხატებოდა სახეზე, თითქოს თოთო ბავშვი უჭირავსო ხელში, მერმე გვერდით მოისვამდა ციცის და უხსნიდა გაუგებარი ან აწ გადავიწყებული სიტყვების, ნახატების თუ უცნაური ხაზების მნიშვნელობას.

ყოველი ასეთი განმარტოება დადისთან ერთად, უჩვეულო გუნებაგანწყობილებაზე აყენებდა ციცის, რაღაცნაირ, აუხსნელ შთაგონებას აძლევდა, თითქოს უხილავი ფრთები ესხმოდა და ლამის ცაში აფრენილიყო.

ახლაც დადის დაძახებაზე შურშურით გასწია მისკენ. დადი თავახდილ სკივრს მისჯდომოდა გაშლილ ორხოაზე, კალთაში ტყავის წიგნი ედო და თვალგაშტერებით ჩასცქეროდა.

ფეხაკრეფით, ჩუმად მიუახლოვდა.

დადის მუდამ თალხი ფერის, გულდახურული, ნაოჭებიანი გრძელი კაბა ეცვა, , ვერცხლის ფართო ქამრით შემოჭერილი. საქმიანობის დროს კალთის ბოლოებს აიკეცავდა-ხოლმე. კაბის ქვეშ ასევე თალხი ოსარე[1] მოუჩანდა. გვერდებზე ჩახსნილ გრძელ სახელოებს აიკრეფდა. მაგრამ ახლა პერანგისამარა, თავშიშველი იჯდა სამფეხაზე, თავისი სქელი, მშვენიერი ნაწნავები დაეშალა და მხრებზე გადმოღვროდა თაფლისფერი თმა, რომელშიც თეთრი თითქმის არ ერია. მხრებში მოხრილს, ბადე-შალი მოეხურა და გარინდებულიყო.

ერთადერთი სამკაული, რასაც დადი ატარებდა, იყო ოქროს უნატიფეს ძეწკვზე აცმული ქარვის ყელსაბამი. მას არც დღე და არც ღამე არ იშორებდა. თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა და ესათუთებოდა. ეს მით უფრო უცნაური ჩანდა, რადგან დანარჩენი სამშვენისების მიმართ საკმაოდ გულგრილად იყო განწყობილი.

ციცის მოახლოება მყისვე იგრძნო. ამოხედა. ფერგამკრთალი და ნაღვლიანი ეჩვენა ციცის მისი სახე, რომლისთვისაც წლებს ვერაფერი დაეკლო – თითქოს ბუნება, ნეტარი ღმერთები საგანგებოდ ინახავდნენ ამ ღვთაებრივ სილამაზეს და სიბერეს ახლოს არ აკარებდნენ.

– მოხველ, ჩემო მახარია?.. მოდი, შემოგევლე. დამიჯექ, აგერ, ახლოს ცოტა ხნით.

როცა ციცი მის გვერდით სამფეხაზე მოთავსდა, დადიმ ორივე ხელის მტევანი ერთმანეთს შეატყუპა და კალთაში ჩაიდო. ერთ ხანს კვლავ გალურსული იჯდა.

– ამ წიგნებს შენ გიტოვებ, ჩემო მახარია, – ამოთქვა მცირე ხნის შემდეგ თავისებური ღუღუნა, წყნარი, ოდნავ გაგრძელებული ხმით და ფიქრიანი თვალები მიაპყრო. – დანარჩენი შენ ალბათ უწყი, მეუფე თუმათისთან რომ ინახება. მეუფე თუმათი თავის რჩეულ გოგო-ბიჭებს ასწავლის მათ ამოკითხვა-ამოცნობას...

ხოლო შენ, უკეთუ ამის საჭიროებას შეიცნობ, შეგიძლიან მხოლოდ მეუფე თუმათის გადასცე ეგენი...

– დადი!.. შენ ისე ლაპარაკობ... – ჭირის ოფლმა დაასხა უცებ ციცის.

[1] პერანგი.

– არ შემაწყვეტინო, შემოგევლე. ჩემი ასაკისამ არ უწყის, როდის რა შეიძლება მოუვიდეს. ყოველისფერისთვის მზად უნდა იყოს, ჩემო სულისდგმავ, ჩემო თვალის სინათლევ... – მიესიყვარულა დადი და ისევ იყუჩა წამით, მერმე შეირხა. თავისებურად მოიღერა ყელი: – შენი იმედი მაქვს, მახარია, ვიცი რომ რიგიანად მოუვლი ყოველივე ამას. – ანაზდად გადაიხარა. ტაბლაზე დადებულ რაღაც გრაგნილს გადაწვდა: – აი, ამასაც შენ და ბოჩის გიტოვებთ... ეჰ, ბოჩია, ბოჩია! – უეცრად მოხეთქილი რაღაცნაირი სინანულით თუ გულის ტკივილით დაიჩურჩულა დადიმ და წამსვე ისევ გახევდა, თვალები გაეყინა: შინაგანი მზერით ალბათ ბოჩის თუ ხედავდა ახლა, სადღაც შორეთში გადაკარგულს თავის ხომალდიანად. მერმე თითქოს ფიქრშიაო, ისე წარმოთქვა ხმადაბლა: – ჰო, შენ და ბოჩიას გიტოვებთ ამ წიგნს და მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგღა წაიკითხავთ მას...

ციცის შემოხედვაზე, თვალებით გაუღიმა და ანიშნა, ხმა არ გაიღოო. ერთხანს რაღაც საფიქრალს მისცემოდა, შუბლი წამდაუწუმ ეჭმუხნებოდა და ფართოდ თვალებგახელილს, სახეზე უცნაური ჩრდილები გადაურბენდა ხოლმე. მერმე აიზეზეურა.

– კლიტეც შენთან იყოს, მახა! თვალისჩინივით გაუფრთხილდი ამასაც! – ყელიდან ოქროს ძეწკვი მოიძრო და გასაღებიანად გადასცა. შემდეგ წელზე შემოხვია ხელი ალერსიანად და თბილი ღიმილით უთხრა:

– აწი წადი, მახარია, შევიმოსები და მეც მალე გამოვალ!

კარებამდე მიაცილა და ისე გაისტუმრა გარეთ, რომ სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა.

მთელი დღე ისე ეჭირა თავი დადის, თითქოს ამ დილით არაფერი მომხდარიყო, მაგრამ ციცი მაინც როგორღაც დადარაჯებული იყო, უჩუმრად თვალყურს ადევნებდა. წამდაუწუმ თვალი უშტერდებოდა დადის. ხელში ხან რა შეაცივდებოდა ანაზდეულად და ხან რა. რაღაცნაირი წინაგრძნობა აწუხებდა ციცის. მოუსვენრობაში აგდებდა. გული დამძიმებული ჰქონდა.

საღამო ჟამს, ცოტა უქეიფოდ ვარ, მაპატიეთ, რომ გტოვებთო, თქვა დადიმ, თავისი განუმეორებელი, მომხიბლავი ღიმილით დაემშვიდობა ყველას და სენაკში განმარტოვდა.

გადევნება რომ დააპირა ციციმ, ღიმილითვე, მაგრამ შეუვალი გამომეტყველებით უკან გამოაბრუნა: არაფერი მჭირდება, შემოგევლე, ადრე დავწვები, გამოვშუშდები და ხვალ ისევ ჩიტივით ვიქნებიო, უთხრა.

დადის ზედმეტი თავაზი და უბნობა არ უყვარდა, იცოდა ეს ციციმ და ამიტომაც დაჰყვა მის ნებას. თუმცა კი მთელი ღამე წრიალებდა, თვალი წამითაც არ მოუხუჭავს.

დილაბნელზე ვეღარ მოითმინა და ჩუმად, ფეხაკრეფით შეიპარა მის სენაკში. დადი პირაღმა იწვა, გაშოტილი, თვალები დახუჭული ჰქონდა და ხელები გულზე დაკრეფილი.

დადი აღარ სუნთქავდა!

* * *

მოედინებოდა ულევად, უწყვეტად... ბოლო არ უჩანდა ამ ზღვა-მდინარეს, თითქოს წაელეკა ამ ურიცხვ კათას ირგვლივ ყოველივე, მაგრამ... ფხიზლობდნენ გამრიგეები და მეწესეები. და ყველაფერი მკაცრი, მითაჟამიდან მომდინარე, უძველესი, დაუწერელი წესითა და რიგით ტარდებოდა – თითოეულმა მოტირალმა, ჭირისუფალმა თუ მოსამძიმრემ იცოდა სად მდგარიყო, როდის ვისთან მისულიყო, რა ეთქვა, როგორ ეთქვა, ანდა როდის დაეტოვებინა იქაურობა.

არანაირი ზედმეტი ფუსფუსი, არანაირი ზედმეტი ხმაური. არაფერი არღვევდა საზეიმო გლოვის წეს-ჩვეულებას. საზეიმოს ვამბობთ, რადგან, ერთი მხრივ, გლოვა თითქოს სანახაობითს საზღვარს უახლოვდებოდა და ეს უცნაური ზეიმურობა თავისებურ ელფერს აძლევდა მწუხარების განცდას, მიცვალებულის ხილვა და ტირილი რომ იწვევს კაცში და ამასთან, თითქოს თავისებურად არბილებდა მას.

საიდან და ვინ არ მოდიოდა ნამარკელში! რა და რა ჯურის კათა. ზოგს ფერადი, ნაირნაირი ყვავილები მოჰქონდა, ზოგს უბრალო, ნორჩი ტოტები. თავჩაქინდრული, მდუმარედ დგებოდნენ ცხედრის წინ. მერმე ასევე უსიტყვოდ, უხმოდ ბრუნდებოდნენ უკან. ზოგი მამაკაცი, განსაკუთრებით ხნიერნი, თავში ორივე ხელის ცემით, ჩუმი ქვითინით და „ახავაი“, „ახავაის“ შეძახილებით ემშვიდობებოდა მიცვალებულს, ხოლო თმაგაშლილი დიაცები მოთქმითა და ვაივიშით – უსამძიმრებდნენ ჭირისუფალთ.

დაბალფეხებიან საწოლზე დასვენებულ, ყვავილებში ჩაფლულ დადის სახეზე სრული გულცივობა ეხატა, ლამაზ ბაგეს კი ძლივს შესამჩნევი ღიმილი შეჰყინვოდა.

ცხედრის თავთით მდგარი ციცი დამწუხრებული დასცქეროდა ამ ღვთაებრივად განსპეტაკებულ სახეს და ვერაფრით ვერ შერიგებოდა იმ აზრს, რომ დადი აღარ იყო, რომ ეს ტკბილმოუბარო ტუჩ-პირი სამუდამოდ დადუმდა, რომ სამისდღემშიოდ დაიხუჭნენ ეს გვირალი[1], შეუდარებელი თვალები. ის კი არადა, სულ ბოლო წუთამდე ეგონა, აი, ახლა, აი, ახლა წამოჯდება დადი, თვალებს მოიფშვნეტს და გაიკვირვებს,

[1] დიდრონი.

რა ღრმა ძილით მძინებიაო. მაგრამ... ვაგლახ! ამაო იყო ეს მოლოდინი: დადი გაუნძრევლად გაშოტილიყო ლოდივით ცივი და უგრძნობელი. და ციციც ანგარიშმიუცემლად მიყვებოდა თავის მწარე ფიქრთა დენას.

ოჰ, როგორი არაფრობა ყოფილა თურმე სიცოცხლე კაცთა! სადღაა ხსნა და საშველი ამ არყოფნისგან, ერთი ხელის მოსმით რომ აღმოფხვრის მიწაზე კაცის ნაკვალევს ისე, ვით ზღვის ტალღები წაშლიან ხოლმე ქვიშაზე ნატერფალს ფერხთა!

ციცი არასდროს შეხვედრია ასე პირისპირ სიკვდილს, საყვარელი არსების სამუდამო დაკარგვის საშინელება აქამდე არ განუცდია. და თუმცა, სწამდა და სჯეროდა – ეს არ იყო საბოლოო გაქრობა, რადგან სული სხეულის დროებითი ტყვე და ხიზანი, მარადიული და უკვდავი იყო და მარადიულობასვე დაუბრუნდებოდა და მაინც... ამ გაქვავებული სხეულის ხილვა და წარმოდგენა იმისა, რომ თავადაც, როცა იქნება მოუწევდა ასე უძრავად გაშხლართვა და ჭია-ღუათა ლუკმად ქცევა – ზარავდა და ძარღვებში სისხლს უყინავდა.

სულ ტყუილია, სულ ტყუილია ყველაფერი... ეს უამრავი კათა... გლოვა-ზარი... საქმიანი ფუსფუსი!.. თავის მოტყუებაა, მოჩვენებითია და ყალბი ეს გოზგოზი. ფუჭი და განქარვებადია ყოველივე. მტვრად იქცევა და მიწა შეჭამს ძე-ხორციელს და ამაოა ყოველი ძალისხმევა ამ გარდუვალობის წინაშე!

პატარა ნათია რომ მიჰგვარეს ეგზომ დაზაფრულს დარდისა და ტკივილისგან, უფრო აიფოფრა შინაგანად.

ესეც... ესეც... განწირულია! ამასაც უწევს წერა-მწერალის განჩინება... ესოდენ სასტიკი, უსამართლო, ულმობელი!

და მაინც, როცა პაწიამ თავისი ფუნჩულა ხელები მოუთათუნა ლოყებზე, ამ უმანკო თვალთა მზერამ და ღიმილმა, ამ უმწეო, ჩვილი სხეულის სილბომ და სითბომ ერთბაშად მოუფონა გულზე, მოესალბუნა და მოესათუთა სულის ტკივილებს.

გამეტებით ჩაიკრა ბალღი მკერდში და გაისუსა. ალბათ ამისთვის... მხოლოდ ამ უმანკო ღიმილისთვის ღირს მოსვლა ამ ქვეყნად! მხოლოდ ამისთვის... ამისთვის!... სხვა ყოველივე ამაოა და... წარმავალი!

... შვიდი დღე და ღამე, რაც დადი ესვენა, არ წყდებოდა ხალხის ნაკადი და ამ შვიდი დღე-ღამის განმავლობაში ციცისთვის ხელი არ გაუნძრევინებიათ ბოჩის და მის ახლობლებს თუ მოკეთეებს, შორეულ თუ ახლო მეზობლებს, თითქმის მთელ ნამარკელს.

დადის ცხედარს მორიგეობით ღამეს უთევდნენ დიდი თუ პატარა, ხანდაზმულები, თუ ახალგაზრდები, ქალები თუ კაცები. ღამისთევის დროს იყო დარბაისლური საუბარი, წარსულ დღეთა მოგონება, ახლის

მსუბუქი გაკილვა, სინანული და წუხილი დაუბრუნებელზე, სიკვდილის ულმობელობაზე, ამ სოფლის ამაოებათა გამო სევდა-ნაღველი და გულისტკივილი. იყო ზომიერი ოხუნჯობაც და მახვილსიტყვაობაც, მწუხარებას რომ შეეფერებოდა, იმგვარი.

სამძიმარზე მოსული არავინ რჩებოდა უყურადღებოდ საგანგებოდ არჩეული მეწესეებისაგან. მაგრამ ამ მხრივ ყველასაგან გამოირჩეოდა ძაძუ სულაბერე. ძაძუ დადის შორეულ ნათესავად ერგებოდა. ობოლი გოგონა შვილივით გამოეზარდა დადის. ბოჩიზე ბევრით არ იყო ძაძუ უფროსი. დადიმვე გაათხოვა იგი ერთ წესიერ, შრომისმოყვარე, ობოლ ბიჭზე. ქორწინების მეორე წლისთავზე საყვარელი ქმარი ზღვამ მოსტაცა ძაძუს. მერმე ერთადერთი ბიჭიც ხელიდან გამოეცალა და დარჩა სრულიად მარტო; დაცარიელებულ კარმიდამოსა და ძვირფასი მიცვალებულების საფლავებს ჰპატრონობდა და გლოვობდა.

პირქუში, მკაცრი გამომეტყველება, შავები, რომელსაც ის დღე და ღამე არ იხდიდა – ოსარეც კი შავი ეცვა ძაძუს – მთელი მისი აღნაგობა, ცხოვრების წეს-ყაიდა უნებლიეთ იწვევდა მის მიმართ მოკრძალებისა და პატივისცემის გრძნობას.

პირდაპირი, მიუკიბ-მოუკიბავი თქმა იცოდა ძაძუმ, მის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. ამიტომაც პატიობდნენ სიმართლის პირში თქმას, რაც წრეგადასულ მოურიდებლობასა და უკმეხობა-უხეშობაში არასოდეს გადადიოდა.

მთელ სოფელში ჭკუა ეკითხებოდა ამ ჯერაც ახალგაზრდა ქალს. მითუმეტეს, ჭირში ფასობდა მისი აზრი და სიტყვა. შოუ ბჟალახეს გაზრდილი რომ არის, ეტყობაო, ამბობდნენ მასზე თანასოფლელები. ძაძუმაც იცოდა თავისი თავის ყადრი. მაგრამ ქედმაღლობა, დიდგულობა და ამპარტავნობა მისთვის უცხო რამ იყო. თავისი საფიცარი დადის გარდაცვალება ისე იგლოვა, როგორც საკუთარი დედისა. დარდისა და მწუხარებისგან მობერებულ სახეზე მკაცრი, ოდნავ გოროზი იერი აღბეჭდოდა. თითქმის არასოდეს იღიმებოდა ძაძუ, მაგრამ თუკი გაიღიმებდა, მთელი სახე უნათდებოდა. პაწია, უფერული, თხელი ტუჩები ისე ჰქონდა მომუწული, თითქოს ეშინოდა, არიქა, ღიმილმა რამეფრად არ შემიტოკოსო. თვალებში მუდამ მზადყოფნა ედგა სხვათა დასახმარებლად. და ყოველივეს ისე იქმდა, თითქოს ეს მისი უშუალო და უპირველესი მოვალეობა გახლდათ ამ ქვეყანაზე. უბედურებას არ გაეტეხა ქალის ნებისყოფა, არც სიკეთის ქმნის უნარი და სურვილი ჩაშრეტილიყო მის არსებაში.

ძაძუს შინაგანი ბუნება, მისი გულის სითბო თუ დარდი და ვარამი განსაკუთრებით საცნაური ხდებოდა მაშინ, როცა ის მოთქმას იწყებდა. ეს

გახლდათ საოცარი, ჟრუანტელის მომგვრელი თვალუა[1]. მისი რაკრაკა ხმა თითქოს ზღვის ტალღებივით ირხეოდა და ლივლივებდა, გეგონებოდათ კი არ ტირის, მღერისო. გულისმომწყვლელი, სულის ამწეწავი და ამაფორიაქებელი იყო ეს გოდება. მსმენელებს უკითხავად გადმოსდიოდათ თვალთაგან ცრემლთა ნიაღვარი. როცა ძაძუ მოთქმას ამთავრებდა, უკვე ხმამაღლა ქვითინებდა სუყველა. საიდან ამოდიოდა ამ ტანმორჩილ ქალს ასეთი ძლიერი ხმა, ან ამ საგანგებოდ გულისმომკვლელ სიტყვებს რანაირად არჩევდა, ვინ მისცა ამ საერთოდ თავშეკავებულ და სიტყვაძვირ დიაცს ესოდენი შთაგონება?

ძაძუ ცდილობდა, არაფერს დასტყობოდა ბოჩის არყოფნა. ციცის თუ ბოჩის ახლობლები თვალ-წარბში შესცქეროდნენ, მზად იყვნენ, უსიტყვოდ, მორჩილად შეესრულებინათ მისი ყოველი ბრძანება თუ მითითება...

ძაძუ რომ მორჩებოდა თვალუას, მას შეენაცვლებოდნენ ლაბაშიების ასულნი – ბოჩის მოკიდებული დები. ლაბაშიების ფანიას ერთადერთი ვაჟიშვილი მოუკვდათ და ძველი წესისამებრ, ცოლ-ქმარმა შვილად აიყვანა ბოჩი, ხოლო დებმა ძმად მოიკიდეს იგი: ბოჩის თმა შეაჭრეს, დედისმაგიერისთვის ძუძუზე კბილი დაადგმევინეს, მერე დიდი დიარა გამართეს, დაიკლა უამრავი პირუტყვი – ხარი, ძროხა და ფრინველი. ამის შემდეგ ბოჩი ითვლებოდა ლაბაშიების ღვიძლ შვილად, ხოლო დებისთვის – ღვიძლ ძმად. და მართლაც, ჭირში ლაბაშიების თურმა ღირსეულად შეასრულა ახლონათესაობის ეს ოდინდელი წესი...

მეწესეებსა და გამრიგეებში გამოირჩეოდა ჟანგარა, ზორბა ტანის, კაჭაფეხებიანი, თმა შეჭაღარავებული კაცი; არავინ უწყოდა, რა გვარტომის იყო იგი, სადაური. ჯერ კიდევ ოშორაში ეპოვნა იგი დადის, სამი წლისა – უპატრონოდ მიგდებული. შებრალებოდა, წამოეყვანა სახლში, და გაეზარდა... შავ ბეგოს – ასე ეძახდნენ სიშავის გამო, ერთი თავისნაირი უსახური, მაგრამ გულკეთილი და მოხანდე[2] ქალი მოეყვანა ცოლად. ჩინებული სახლ-კარი გაემართა დადის ხელშეწყობით, გამრავლებულიყო. მაგრამ თავის გამზრდელს და კეთილისმყოფელს არ ივიწყებდა, ხშირად აკითხავდა, საქმეში ხელს წაუკრავდა ხოლმე. ყველას შინაურად მიაჩნდა და ისიც იფერებდა თავის მდგომარეობას. მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა უქმროდ დარჩენილ დადის და ობლად დარჩენილ ბოჩის. ციცის კი, ციცის ეთაყვანებოდა იმდენად, რომ თვალებში შეხედვას ვერ უბედავდა.

უჩა ბეგო ახლაც, ამ უბედურების ჟამს, ციცის და ძაძუს მარჯვენა

[1] მოთქმა.

[2] მშრომელი.

ხელი იყო. ზღვა ხალხის დახვედრას, გასტუმრებას, წესის და რიგის მიხედვით, – უჩა ბეგო თაობდა და ღირსეულადაც უძღვებოდა საქმეს.

ძაძუსთან ერთად ციცის წუთითაც არ მოშორებია ფათულია – ნათესაობაში ყველასგან გამორჩეული და საყვარელი მამიდა. ეამაყებოდა ციცის, გარეგნულად მამიდას რომ ამსგავსებდნენ.

წყნარი, მშვიდი, ფაქიზი მამიდა ფათულია მეტწილად თავისთვის იჯდა ხოლმე ჩუმად კუთხეში და უდრტვინველი იერით აფახულებდა თავის გრძელ და ხშირ წამწამებს; ათასში ერთხელ თუ ამოიღებდა ხმას და მაშინაც იმის შიში ჰქონდა, ვაითუ ზედმეტი რამე ვთქვაო. ჩუმად, უხმაუროდვე იცოდა საქმის კეთება. ხმამაღალი სიტყვა აკრთობდა. ისე დადიოდა, თითქოს ერიდებოდა, თავის ჩრდილისთვის ფეხი არ დაებიჯებინა. ადამიანთა შორის იჯდა, მაგრამ ხშირად მისი გონება სადღაც შორს ქროდა. თვალებში ამ დროს უცხო, მხოლოდ მისთვის საცნაური ზმანებები ედგა და მაშინ ძლივს შესამჩნევი, იდუმალი ღიმილი უტოკებდა მომხიბლავ ტუჩ-პირს. ყველანი არაამქვეყნიურ არსებას ეძახდნენ. სიფრთხილითა და სინაზით ექცეოდნენ როგორც შინაურები, ისე გარეშენიც. რაღაცნაირი მოწიწებისა და უხმო თაყვანების გრძნობას იწვევდა მისი უჩვეულო სილამაზე და ხასიათის თავისებურება. ციცი ხომ აღმერთებდა და აღმერთებდა თავის ღვთივმშვენიერ მამიდას.

თავიდანვე საოცარი ბედი დაჰყვა მამიდა ფათულიას. ნაბოლარას, ექვსი ძმის ერთადერთ დას, დედით და მამით ადრე დაობლებულს, ხელის გულზე ატარებდნენ ყველანი. ძმები ხომ, რომ იტყვიან, ცივ ნიავს არ აკარებდნენ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, პატარა ფათუ დაიკარგა. გოგონა სახლთან ახლოს მდებარე ტყეში შესულიყო ყვავილების საკრეფად და აღარსად ჩანდა, ფათულია დაიკარგაო, სოფელი ფეხზე დადგა. გადაჩხრიკეს მთელი ტყე, არ დატოვეს არც ერთი კუნჭულ-ალაგი, მაგრამ მიწამ უქნა პირი და ჩაყლაპა, თუმ ზემ აიტაცა, ფათულია აარსად ჩანდა. საღამო ბორჯში, განაწამები და სასოწარკვეთილი ძმები და თანასოფლელები ტყის პირას, სოჭის ძირში მოულოდნელად გადააწყდნენ მშვიდად მჯდარ გოგონას, უზარმაზარი ყვავილების თაიგული რომ ეჭირა ხელში.

მისცვივდნენ გახარებულნი, აქ როგორ და საიდან გაჩნდიო. აკი ეს ალაგიც ბევრჯერ მოვათვალიერეთო.

– აქ ოჩოკოჩმა მომიყვანაო, – თქვა ფათულიამ და დანდობილად შეჰღიმა ძმებს. ოჩოკოჩმაო, გადაირივნენ ძმები, რას ბოდავს ეს ბალღიო. მაშინ ფათულია მოუყვა თავისი წკრიალა ხმით, თუ როგორ მოხდა ყველაფერი.

კარგად ბლომად რომ მოუკრეფია სხვადასხვაგვარი ყვავილები და დიდი თაიგული რომ შეუკრავს – თან თურმე ყოველი ყვავილის სახ-

ელწოდებას იხსენებდა და რასაც ვერ მოიგონებდა, თავად სახელდახ-ელოდ არქმევდა – უცებ მიხვდა, რომ გზა დაებნა, მეტისმეტად შორს წამოუტყუებია ტყეში ყვავილების ძებნას. რომ დარწმუნებულა, გზას ვერ გაიგნებდა, ყვავილების კრეფა მაინც გაუგრძელებია, თუკი საშველი არ არის, ბარემ გულს მაინც ვიჯერებო. კი მაგრამ, არ შეგეშინდა, მხეცს შეეჭამეო, შეჰყვირა თურმე ერთ-ერთმა ძმამ.

– რატომ უნდა შევეჭამეო? – ისე გაუღიმია ფათულიას, ისეთი უმანკო გაკვირვებით, რომ ვიღაცას წამოუძახნია: – ეს ბავშვი ამ ქვეყნის არააო.

„ისე, მართალი ხარ, ბაბა, შენ. ტყის ოთხფეხა მხეცის კი არ უნდა გეშინოდეს, არამედ ორფეხა ნადირისო“, – უთქვამს რომელიღაცა მოხ-უცებულს.

ფათულიას ყვავილების კრეფა რომ მოუმთავრებია, უცებ რაღაც საშინელი ხმაური შემოესმა თურმე. თითქოს ვიღაცა ხეებს ძირფესვი-ანად თხრიდა და ლაწა-ლუწით ისროდა აქეთ-იქით; სანამ რაიმეს მოის-აზრებდა, უშველებელი დევ-კაცი წამოსდგომია თავზე.

– ვინ ხარ შენ, რა სულიერი, ან აქ საიდან გაჩნდიო, – დაუგრგვინვია ბუმბერაზს ისეთი ხაფი ხმით, რომ ტყე და მიწა შეზანზარებულა. ფათუ-ლიას კი თურმე წარბიც არ შეუხრია.

– მე ფათულია მქვია. ყვავილებს ვკრეფდი ტყეში და გზა დამებნა. შენ თავად ვინ ბრძანდები და რა გქვია ძიაკაცოო?

– მეო? – დაიბნა თურმე ბუმბერაზი ერთბაშად: – მე ოჩოკოჩი ვარ, განა ვერ მიცანი? – ბოლოს ძლივს ამოთქვა თურმე საქციელწამხდარმა.

– ოჩოკოჩი? ოჰ, ძალიან სასიამოვნოა შენი გაცნობა, ბიძია ოჩოკოჩი. მე შენ სულ სხვანაირი მეგონე! – მიუგო ფათულიამ და თაიგული გაუწო-და: – აი, მიირთვი ჩემგან საჩუქრად. დილას აქეთ ვკრეფ ამ ფერად-ფე-რად და ნაირნაირ ყვავილებსო.

– დიდად გმადლობ, მაგრამ... რანაირი გეგონე მაინც, სხვანაირი? ხომ არ მეტყვიო, – დაუბღვირა თურმე ოჩოკოჩმა.

– როგორ არა, გეტყვიო, მეგონა, ბანჯგვლიანი იყავი, ტანი სულ მთ-ლად ბალნით გქონდა დაფარული. წვერი წელამდე მოშვებული, თმაა-ბურძგნული, ბოროტი და ავი იყავი მეგონე. შენ კი... ჩვეულებრივი დევკაცი ყოფილხარ, კეთილი და უწყინარიო.

– ჰმ, ჰმ. საიდან იცი შენ, რომ კეთილი და უწყინარი ვარო? – ჩაჰკითხა თურმე ოჩოკოჩმა.

– აი იქიდან, წეღან რომ მოგესალმე, შენ დაიბენი და გაწითლდიო.

– უყურე ერთი ამ ეშმაკის ფეხსო! – ჩაიბუზღუნა თურმე ოჩოკოჩმა თავისთვის. მერმე ეუბნება: – დიდი მადლობელი ვარ საჩუქრისთვის, მაგრამ შენ დაიტოვე, ჯობია. ახლა კი წამოდი, თორემ ღამდება და შენ

მარტო შეგეშინდება ტყეში. შენიანებიც ალბათ გეძებენ და ჯავრობენო.

ოჩოკოჩს საჩვენებელი თითი გამოუწოდებია გოგონასთვის, ფათუ-ლიასაც ხელი ჩაუკიდნია და ერთად გამოუწევიათ. გზაზე ოჩოკოჩი გამოსტყდომია: მე, „ტყაში მაფამ“ გამომაგზავნა შენთან, გზა აებნა და მიეშველეო. მერმე დაემშვიდობა და ისევ ტყეს მისცა თურმე თავი.

ეს ბავშვი ნამდვილად ამ ქვეყნის არააო, კვლავ დაუსკვნიათ თანასო-ფლელებს ერთხმად. ჩანს, შემთხვევით გაჩნდა ჩვენ შორის, ღმერთებმა საგანგებოდ მოგვივლინეს საიდანღაცო და ლამის მუხლი მოუყრიათ ციცქნა მაცირიას წინაშე.

ერთხელაც ფათულია, უკვე წამოჩიტული გოგონა, სახლიდან გაპა-რულა: მეზობელი სოფლის ბიჭს გაჰყოლია ცოლად.

მესამე დღეს ძლივს მიაგნეს ძმებმა ერთ მთის სოფელში თავშეფარე-ბულ გოგო-ბიჭს. გამოეგება თურმე ჯარგვლიდან შეიარაღებულ და სი-ბრაზისგან გაცოფებულ ძმებსა და ნათესავებს ფათულია – უწყინარი და მშვიდი ღიმილით.

რისთვის შეწუხებულხართ, ჩემო ძვირფასო ძმებო, ჩემთვის ხომ ძალა არავის დაუტანებია. ამ ბიჭს მე ჩემი ნებით გამოვყევიო.

რაღას იზამდნენ, კბილების ღრჭიალით შეათვალიერეს თურმე ტროყა ბიჭი, ჯარგვლის კარს რომ იყო ნახევრადმოფარებული და პირში ჩალაგამოვლებულები და გულზე გახეთქილები, გამობრუნებულან უკან.

ექვსი თვის შემდეგ ფათულია დაბრუნდა სახლში, ძმებთან. ვერ შეეგ-უეთ ერთმანეთს და დავცილდი ჩემს ქმარსო, განუცხადა თურმე გულშე-მოყრილ ძმებს. ჰაი აქეთ, ჰაი იქეთ, მაგრამ მეტი ვერაფერი დააცდევინეს ქალს. ჩაიგუბა პირში წყალი და იყო ისე. ასე რომ, დღემდე არავინ იცოდა ნამდვილი მიზეზი ფათულიას შინ მობრუნებისა. ფათულიას ქმარმა კი რამდენჯერმე მიუგზავნა შუაკაცები ძმებს, თვითონაც, ერთხელ, იხელ-თა დრო და ფეხებში ჩაუვარდა, თურმე, ფათულიას ხვეწნა-ტირილით, დამიბრუნდიო, მაგრამ არაფერმა გაჭრა: ფათულია – ეს ნაზი, სათუთი ფათულია, შეუდრეკელი და მტკიცე პიროვნება აღმოჩნდა.

ხელის მთხოვნელი კი, იცოცხლეთ, არ დაჰკლებია ფათულიას, მაგრამ ქალის პასუხი ერთნაირი იყო ყველას მიმართ: გათხოვებას არ ვაპირებ საერთოდ და ჩამომეხსენითო. რაკი არაფერი სჭრიდა, თანდათანობით შეეშვნენ. მით უფრო, რომ ხმა დაირხა, ფათულია ქურუმად კურთხევას ეპირებაო.

ციცის თან ახლდა აგრეთვე მისი სიყრმის მეგობარი, გაუთხოვრად დარჩენილი ნება.

...ზღვის მიქცევა-მოქცევასავით მოედინებოდა და მიედინებოდა ზღვა ხალხის ნაკადი.

დიდი ნოღადან მოვიდნენ იათნანას დედოფლის, იამზეს წარმოგზავნილები: დარბაისელი მანდილოსნები და თეთრწვერა მოხუცები. მოიტანეს დედოფლის თანაგრძნობის სიტყვები, მიუსამძიმრეს ციცის და ჭირის სუფრაზეც დარჩნენ.

...დედაბერი ჯოხზე დაყრდნობილი, ბადიშებმა მიიყვანეს დადის ცხედართან. ამ საცოდავს სხვისი დატირების თავი სადა აქვს, ძლივს მოხვანხვალობსო, გაიფიქრა ციცემ და რომ ეგონა, აგერ-აგერ წაიქცევაო, უცებ თანმხლებნი ჩამოიშორა ბერდიაცმა, წელში გასწორდა, ყელი მოიღერა და ისეთი ხმით დაიწყო მოთქმა, გაოცებისგან ყველამ პირი დააღო, თვალები ჭყიტეს.

„ჩვენო საკვირველო შოუ მესიაკონო, ჩვენო სიამაყევ და თავმოსაწონებელო დადბეჩა! შენ მიდიხარ იქ, სადაც ღირსეულად განისვენებენ შენი სულმნათი წინაპრები! მიდიხარ ზესკნელში, ღვთისშვილებთან. მაგრამ მე რად მტოვებ, შემოგევლე, აქ? ამ გაძაღლებულ, უმაქნის სიცოცხლეს რაღას ვაქნევ უშენოდ?“

დიდხანს მოთქვამდა დედაბერი. გულაჩუყებული ხალხი ვინაობას კითხულობდა მისას, მაგრამ არავინ არაფერი უწყოდა. ციციც პირველად ხედავდა მას.

ბერდიაცის თანმხლებ ბადიშებს ძლივს დაფარული გულგრილობა ეხატათ სახეზე. თვალები აცაბაცა გაურბოდათ. თუმცა, დროდადრო ცდილობდნენ ღირსეულიიერი მიეღოთ სახეზე.

უნებურად, თავის პატარა ბიჭებს დაუწყო ძებნა ციცემ თვალით. ისინი თუ ხედავენ ყოველივე ამას, თუ გრძნობენ და განიცდიან დიდი ბებიას იმ პატივისცემასა და სიყვარულს, რასაც იათნანელები მიაგებენო მას, ფიქრობდა.

გელა და გოჩა ჯერ საამისო აღქმისთვის, რასაკვირველია, პატარები არიანო, განაგრძობდა ფიქრს ციცი. მაგრამ...

ყველაზე მეტად გულს მაინც ბოჩის დაუსწრებლობა უსერავდა.

„ბოჩი, შვილო!..“ რამდენი უთქმელი დარდი თუ სერვილი ჩააქსოვა დადიმ ამ ორ სიტყვაში, ამ გულღვიძლისმიერ ამოოხვრაშიო, წუხდა ციცი. ბოჩი კი ამ დროს, ვინ იცის, სად იმყოფებოდა. სად, რომელ ქვეყანაში „აკვარახჭინებდა“ სარფიან საქმეს; (ასე იცოდა ხოლმე თქმა, როცა რაიმეთი კმაყოფილი ხელებს მოიფშვნეტდა და მოშაინურად გაიღიმებდა).

მერე იყო ზარი: არნახული, არსმენილი. კუნძულის ყოველი საყდრის ქურუმები, ქადაგები და კაბდელები ერთად შეგროვილიყვნენ. წინ ქალები მიუძღოდათ დადის გაზრდილი ოშორელი მეუფე თუმათის მეთაურობით. უკან კაცები მოყვებოდნენ. მერმე ქალები განზე გადგნენ და მარტო ქურუმმა მამაკაცებმა დაიწყეს გლოვის ზარის გალობა.

ზარი სხვა დროსაც მოუსმენია ციცის, მაგრამ ამის მსგავსი – არასოდეს. ეს იყო სულის შემძვრელი გოდება. ციცის ტანი აებურძგლა. ჟრუანტელმა დაუარა და ერთბაშად... მდუღარება გადმოსკდა თვალთაგან.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი ერთხმად ზლუქუნებდა.

ქურუმთა ზარის შთაბეჭდილება ჯერ არ განელებულიყო, რომ უფრო საოცარი სურათის მხილველნი შეიქმნენ.

ჯერ კიდევ შორიდან მოისმა ცხენების ფეხთა თქარა-თქური. თეთრი ტაიჭები შემოაგელვეს მხედრებმა ორღობეში. სწრაფად გაიწ-გამოიწია ხალხმა და გზა უტიეს ცხენოსნებს, რომლებმაც ჭიშკრისგან მოშორებით მოწყვეტით შეაჩერეს ულაყები, დაქვეითდნენ, სადავეები მიუგდეს შემოგებებულ მეწესეებს და ეზოში შეიწკაპნენ. მუქი თავსაბურავებიდან გრძელი, ოქროსფერი თმები გადმოშლოდათ ყუყასავით შავ მოსასხამებზე. ტანმაღალ დიაცებს წინ მიუძღოდა შავი პირბადით სახედაფარული ქალი. წინამძღოლს ჯაჭვით მოჰყავდა პატარა, უცნაური ცხოველი. თუმცა გლოვის ნიშნად თავდახრილი მოაბიჯებდა, მიხრა-მოხრა, სიარული, მთელი მისი აღნაგობა და იერი მის დედოფლურ, ბრძანებლურ ბუნებას ავლენდა.

ცხედარს რომ დაუახლოვდნენ, წინ მიმავალმა პირბადე აიწია – განცვიფრების შეძახილი აღმოხდა ერთბაშად სუყველას.

არნახული მშვენების დიაცს უტყვი მწუხარება აღბეჭდოდა სახეზე. იგი ცხედრის შორი ახლოს შეჩერდა. მხლებლებიც შედგნენ – წინამძღოლისგან საპატიო მანძილზე.

ციცემ და მამიდამ სწრაფად გადახედეს ერთმანეთს. მამიდა ფათულიას თვალებში უცნაური ალი აენთო. იდგა თავაწეული და მოჯადოებულივით შეჰყურებდა უცხო ოსურ პატონს[1].

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. ამოდენა ზღვა ხალხს თითქოს სუნთქვა მოეპარა რაღაც სასწაულის მოლოდინში.

გულხელდაკრეფილმა მზექალმა მზერა მაღლა აღაპყრო. ქანდაკადქცეული, გლოვის სვეტივით აღმართული იდგა ერთ ხანს, გასუსული ხალხის წინაშე. მერმე დიაცი შეირხა. კიდევ წამი და ჟრუანტელისმომგვრელი, ხიბლიანი ხმით წამოიწყო:

„შოუ ბჟალახე, შოუ მესიაკონო, შენ ისე იცხოვრე, ვით შეჰფერის აიაიას მოდგმის ღირსეულ მახვამურ-ქალს. შენს ნაკვალევზე მხოლოდ სიკეთის მარცვლები გაბნეულან და გაღვივებულან, ამ მარცვლებს ტანი აუყრიათ, კვირტი გამოუსხამთ, ნაყოფით დახუნძლულან. ვით ბროწეულის ნაყოფსა და ყურძნის მტევნებშია ჩაწურვილი მზის მცხუნ-

[1] ქალბატონი.

ვარება, მზის ღვთაებრივი ჩხორია[1], ისე ავსებულა შენი სული უკვდავი მზის მადლით, რათა დაუბრუნდეს ღვთაების მარადიულ საუფლოს, ზეაღსავალს მისას.

ო, შოუ მესიაკონო, მზის ასულო და მზის მსახურო! სული შენი ფრთებგაშლილი მიისწრაფვის მზის საბრძანისში, რათა დაიმკვიდროს იქ ადგილი სამარადისო.“

მზე-ქალის ფეხებთან თავჩარგული უცნაური ცხოველი აწკმუტუნდა, როგორც კი იგი დადუმდა.

ამ ხმამ, თითქოს ქვესკნელიდან ამომავალმა, ყველას ცივ ურუანტელად დაუარა ტანში. მზე-ქალმა უცებ ფეხი თავზე დაადგა ცხოველს, კატის და ძაღლის ნაჯვარს რომ ჰგავდა. ცხოველმა ხმა ჩაიწყვიტა.

მოულოდნელად მზე-ქალმა თვალი თვალში გაუყარა ციცის, მერე მამიდა ფათულიაზე შეაჩერა გამჭოლი მზერა:

„მიცანი?“

„კი... ტყის დედოფალი ბრძანდები“.

„არ შემეძლო არ მოვსულიყავი, ხომ არ დამძრახავთ?“

„ვით ეგების ეგ!“

„ჩემს ფეხთით დამხობილ ძუკნას ხომ ხედავთ? ძვაბრაა. დადისგან გამოდევნილი და შეჩვენებული ძვაბრალე.

ყოველ მიწისშვილს ჰყავს თავისი ძვაბრა, იცით ეს თქვენ დადისგან. ეს ძვაბრა ჯერ ძალიან პატარაა. მერმე იზრდება. ხან კაჟან-დევად იქცევა, ხანაც გველეშაპად. გააჩნია, ვინ როგორ ასაზრდოებს და კვებავს მას. ზოგი თავიდანვე ახერხებს მის გამოძევებას თავისი გულ-გვამიდან. დადიმ ყმაწვილობაშივე შეძლო ეს. ჰოდა, დაძრწოდა ტყე-ღრეში ეს ნაგვემი, დაწიხლული, ბოროტი ძვაბრა: ხან ვის სახეს იღებდა და ხან ვის; ხან ვითომ ჭინკა იყო, ხანაც კუდიანი დედაბერი, ხან კიდევ ჯადოქარი და ელოდებოდა ჟამს, თუ როდის ჩასახლდებოდა დაუძლურებულ, ძაბუნ სხეულში. ამ წყეულმა თუ არ მოძებნა თავშესაფარი, ისე არ ძალუძს მოსვენება, რამეთუ დღენიადაგ მხოლოდ იმაზე ოცნებობს, როდის აქცევს ურჩხულად თავის მსხვერპლს.

დადის ნათლითმოსილი სული უკვე მიუწვდომელია ამ წუნკალი ხვადაგისთვის, მაგრამ შურისძიების წყურვილი მაინც ახრჩობს: ეგება თვალები ამოვჩიჩქნო, სხვა თუ ვერა მოვახერხე რაო. არა და არ ასვენებს ავი განზრახვა.

დროზე ვიგულთამხილავე ყოველივე ეს და აი, თქვენც ხედავთ: დავადე ხაჯალური[2] და ვაიძულე, ეგლოვა და ექვითქვითა გამარჯვებულის

[1] სხივები.

[2] ხის ბორკილები.

ცხედართან, რამეთუ ყველამ უნდა უწყოდეს: „არავის ძალუძს, ძე-ხორციელს ნათელი სულის მატარებელი სხეულის შებილწვა, სულის, ვინც დათრგუნა და სძლია ბოროტ ძვაბრას!“

მთელ იათნანაზე დაირხა ხმა: შოუ ბჟალახე დაიტირაო „ტყაში მაფამ“[1] და მისმა მხლებელმა მესეფეებმა.

დადი ქვის სარკოფაგში, კლდეში გამოჭრილ გამოქვაბულში არ დაუკრძალავთ ოშორელთა წესისამებრ, არამედ – მისივე ანდერძის თანახმად – დაასაფლავეს იათნანურად – თიხის კუბოში ჩასვენებული მისი ნეშტი ბორცვის ფერდობზე მიაბარეს მიწას.

შოუ ბჟალახეს (დადის) წიგნის შესავალი

„ჩემო მახარიებო, ჩემო ციცი და ბოჩია!

ის, რაც უნდა მოგითხროთ ახლა, სხვა ჟამსაც მოგისმენიათ ჩემგან ნაწყვეტ-ნაწყვეტ, აქა-იქ, მაგრამ ამჯერად მწადიან ერთად თავი მოვუყარო სუყველაფერს არა, რასაკვირველია, არამედ მხოლოდ ზოგ მათგანს. ვიმედოვნებ, გულისყურით გაეცნობით და ვითარცა საჭიროა, ისე გაიაზრებთ თქვენი დადის თავსგადახდენილ ამბებს.

...ჩვენს გვარში მისხით მისხამდე დამკვიდრებული წესის თანახმად, მშობლებმა ბჟალარას საყდრის მახვამურებს მიმაბარეს. ბჟალარას მახვამურებთან გავატარე მეტწილად ბავშვობა და სიყრმე, სანამ იმავ საყდარში მე თავად არ მაკურთხეს ქურუმად, მაგრამ რა საყდარი ეთქმოდა ჩვენს ბჟათას? სადღა იყო მისი ძველი დიდება, პატივი და სახელი?

...ჯერ კიდევ ბაბუაჩემს ახსოვდა, რა კრძალვით გვექცეოდნენ თურმე უცხოტომელნი ძველად, რამეთუ აიას კუნძულიდან გამოჰყოლოდათ წინაპართ ჩვენსას ცოდნის ნატეხნი, თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა ხოლმე.

ჩვენი ზვრებისა და ყანების სიუხვე და დოვლათი აურწყავი ჩანდა, მშვენივრად ნაგები ქალაქნი და საყდარნი თვალს სტაცებდა მნახველთ. ტყენი, წყალუხვი მდინარენი და ტბანი ფრინველთ, ნადირთ და თევზთ ვეღარ იტევდნენ. აგებდნენ და იღვწოდნენ ხალისით, სიმღერით, უჭაპანწყვეტოდ.

ადრე არა ერთგზის მითქვამს თქვენთვის, უცხოელთ ყოველთვის უკვირდათ-მეთქი ოშორელთა და საერთოდ, ჩვენი თესლტომის უდარდელობა, დაუდევრობა, უზრუნველობა, სილაღე და უშურველობა – ჩვენი ბუნებითი ხასიათის თითქოსდა ქარაფშუტობით ხსნიან ხოლმე ამას ისინი. ეს ეგების მართლაც ასე ჩანს სხვათა თვალში. თქვენ თავად უწყით,

[1] ტყის დედოფალი.

ახლაც კი, ჩვენს მოდგმას, არ დაელევა საბაბი და მიზეზი მოსალხენად. რაკიღა არსთა გამრიგის მიერ დალოცვილ, ნოყიერ მიწა-წყალზე ვსახლობთ და დიდი გარჯა და შრომა არ გვიწევს მაინცდამაინც საარსებო ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, ჩვენც ვითომდა ამისა გამო დროსტარებასა და დიარებს ვართ გადაყოლილნი. სინამდვილეში ჩვენი მოლხენის წეს-ჩვეულებანი ხსოვნა უნდა იყოს იმ შორეულ და აწ გარდასულ ბედნიერ დღეთა, როცა წინაპარნი ჩვენნი მკვიდრობდნენ აიაიას კუნძულზე, როცა აიელნი უზღუდო და უგალავნო ნოღათ აშენებდნენ, როცა უშიშრად და გულღიად ხვდებოდნენ ყველას, ვინც კეთილი ნებით მოდიოდა მათთან, შუბი და მახვილი ველურთ და გონებაჩლუნგთ სჭირდებათო მხოლოდ თავიანთი ვითომდა უპირატესობის დასამტკიცებლად, აცხადებდნენ აიაიელნი. თავად აიაიელთ ძალადობას ვერავინ გაუბედავდა, რამეთუ მახვამურნი მათი, ქალღვთაება მზე-ბარბალის მიერ ხელდასხმულნი, ისეთ ზებუნებრივ ძალებს ფლობდნენ, რომ მათი მეშვეობით თავისუფლად გადიოდნენ კოჭიმელსა და კიმკიმელშიც. ამადაც იყო კირკეს მოდგმა ესოდენ უდარდელი და ლაღი. მტერი არ ჰყავდათ და მტრობაც არ უწყოდნენ ამდენად. მერმე, როცა აიას შთამომავლებს მტრები გაუჩნდათ და მოუმრავლდათ კიდეც, კარგა ხანს ვეღარ ისწავლეს მაინც სხვათა სიძულვილი და მტრობა.

უცვლელი არაფერია ამქვეყნად. ჟამთა ვითარებაში აიას ქიანასაც შეეპარა ფერისცვალება.

ქურუმთა შორის თავი იჩინა მეტოქეობისა და მეშურნეობის ძაბრალისეულმა[1] გრძნობამ. ზოგმა მათგანმა ერთი მეორის ჯიბრზე ჩუმ-ჩუმად იწყო კირბების გაცემა იმათზე, ვისაც ბუნდი წარმოდგენა თუ ჰქონდა მათზე, მაგრამ რომელთაც ერთბაშად მოინდომეს დაუფლებოდნენ იმ უზარმაზარ სიბრძნეს, რასაც ხანგრძლივი, ბეჯითი მეცადინეობით, რუდუნებით, წვრთნითა და გარჯილობით იძენდნენ ხოლმე ხელდასხმულნი, ზოგმა ესეც აღარ იკმარა: დროდადრო იპარებოდნენ კუნძულიდან და ცდილობდნენ ველურ, კაციჭამია ტომებში გაევრცელებინათ ის ცოდნა, რისთვისაც ისინი ჯერ უმწიფარნი და შეუმზადებელნი იყვნენ. ყველაფერს თავისი ჟამი აქვს, მახარიებო. ვითომ ცოდნითა და ცრუ სიბრძნით შეფერილ-შეკაზმული უმეცრება და სიბრიყვე გაცილებით უფრო საშიშია უცოდინარობაზე, რამეთუ იგი სათავეა კაცთა შორის ბოროტების, ძალადობის, სისასტიკისა და ავზნეობის. მახვამურთა ერთმა ნაწილმა დაარღვია ჟინი ორთას[2] მიერ მოწესრიგებული სწორედ ეს თანაზომიერება.

[1] ეშმაკისეული.
[2] არსთა გამრიგე.

რა ბედნიერი იქნებოდა კაცთა მოდგმა, ყოვლისშემძლეობის ცრუ შეგნება რომ არ უბნელებდეს გონებას, არ უმრუდებდეს თვალთახედვის ისარს: რაგვარ დაითრგუნებოდა და დაიწიხლებოდა ბოროტი ძვაბრა, ასე რომ ხარობს და ნეტარებს მიწისშვილთა ფუჭი, უსაგნო მედიდურობით, რომ შიშის, სიხარბის, შურის გამოისობით კაცთა მოდგმის ნაშიერნი ზეცას კი არ მიელტვიან, არამედ ძირს, ქვეწარმავლურად დახოხავენ, ციდამტკავლურად ზომავენ თვალსაწიერს; სისინებენ, ქირქილებენ, ქირდავენ ერთი მეორეს და განუწყვეტლივ ანთხევენ ბოღმასა და შხამს, ღვარძლს თესვენ და დურბელას... და იწამლება ჰაერი ამ ლენცოფას გესლით, ხანჭკოლასავით მწარე დურდოთი.

ხრწნა და უმსგავსოება სულ ეფრო და უფრო ძალუმად იკიდებდა ფეხს აიაიელთა შორის. ერში შფოთი ჩამოვარდა. ატყდა კინკლაობა, დავა, ჩხუბი. საფრთხე დაემუქრა აიაიელთა არსებობას.

ღმერთები შემწყნარებელნი არიან, ჩემო მახარიებო, შეუგნებლად, უნებლიეთ ჩადენილი ცოდვათა მიმართ, იწყნარებენ მონანიებას, ხოლო მოაზრებულად ჩადენილი ცოდვა გონიერი არსების მიერ, დიდ გულისწყრომას იწვევს მათში. ამჯერადაც სასტიკად დაისაჯნენ აიაიელნი იმ დანაშაულობათა გამო, რასაც იქმოდნენ შეგნებულად. კუნძული ცეცხლმა და წყალმა შთანთქა. გადარჩენილი აიაიელნი მიმოიფანტნენ დედამიწის სხვადასხვა მხარეში, ერთმა ნაწილმა თავის მონათესავე, წარმომავლობით თავის გვარ-ტომელთა: თუბალ-კაინის, მოსოხთა, იბერთა და კოლხთა მიწა-წყალს მიაშურეს, სხვა ნაკადი კი დამკვიდრდა აქ, კუნძულებსა და გაღმა-გამოღმა ნაპირებზე და უფრო შორსაც, ხმელეთის სიღრმეში, სისხლით ახლობლებთან. ეს მოხდა უშორეს, უხსოვარ ხანაში, ოდის წინამძღოლობისას.

...გუდათისა და სქურის ბრძოლებში თუმც კი ძლეულან მომხვდურნი, მაგრამ არც ოშორელთ დასდგომიათ კარგი დღე; უეცარ შემოსევას აქამდე უცნობ, უშქ, ველურ ტომთა, დაემატა თურმე კუნძულზე არნახული მიწისძვრანი, მთის ცეცხლოვანი ამოფრქვევა, დიდროობა და მისთანა უბედურებანი.

ვითარცა ვთქვი, მაშინ მტერს კი ასროლინეს კუდით ქვა, გარნა დროთა განმავლობაში მოოხრებულ, ნახევრად დაცარიელებულ ოშორაზე, თავად ოშორელთა ნებართვითა და ხელშეწყობით, თანისთანობით, ნელ-ნელაობით დაუწყიათ ჩამოსახლება აქაველთაგან დევნილ და დამარცხებულ უცხო ტომელთ. თავად გასაჭირში ჩავარდნილი ოშორელნი ყოველისფრით უმართავდნენ ხელს ლტოლვილთ, დიდსულოვნად და გულმოწყალედ ეხმარებოდნენ, ვითარცა სჩვეოდათ ხოლმე ეს საზოგადოდ სხვათა მიმართ, მეტადრე, რომ ეს ბარიბარ მოხეტიალე, ტყიური

კათა უკიდურესად ღატაკი, ბოგანო და არარაის მცოდნენი ჩანდნენ. მათ აღარაფერი გაეგებოდათ მიწის მოვლისა, არც მშენებლობის ესმოდათ რაიმე. სამაგიეროდ, მერმე და მერმე ცბიერებასა თუ ვერაგობაში, სიხარბესა თუ შურიანობაში ტოლს არ უდებდნენ არავის. მით უფრო უცნაური და მოულოდნელი ჩანდა ეს იმგვარი ტომისაგან, ლამის უმად რომ მიირთმევდნენ ნადირ-ფრიველთა ხორცს და არა მხოლოდ ნადირთა!..

დრო გადიოდა. ოდეს ჩვენი მტერ-მოყვარენი დღემუდამ ძილ-ფხიზლობდნენ, რათა ათასგვარი ხერხითა და ფანდით დაუფლებოდნენ მიწა-წყალს ჩვენსას, ჩვენებურები ამ დროს ა გ უ ნ ა ს ანუ ბ ა ხ უ ა ს სადიდებლად გათენებიდან გათენებამდე ტაკი-მასხარაობდნენ, პამპულაობდნენ ოჩოფეხებზე შემდგარნი, თხის ტყავმოსხმულნი თავიანთ ცუღლუტობასა და ლაზღანდარობას ღვთის სამსახურს ეძახდნენ. გ ა ბ ა ხ უ ა ს ე ბ უ ლ ოშორელთათვის ბახუას სალოცავები იქცნენ თავაშვებულ ღრეობათა, ცრუ მისნობათა და ქადაგებათა ალაგებად.

და აი, ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს აღმოჩნდა, რომ ამ იოვოიოს და დელი დელას ძახილში ჩვენს საყვარელ ოშორაზე უცხოთესლნი-მოსული კათა-ველურთ და ტყიურთ რომ ვუწოდებდით შინაურობაში, ისე მომრავლებულიყვნენ, ისე ებარტყათ და ისე მკვიდრად დაფუძნებულიყვნენ ჩვენს ქიანაში, რომ... თითქმის აღარ დარჩენილიყო საცხოვრისი ჩვენთვის, კუნძულის პირვანდელ და ნამდვილ მკვიდრთათვის, მით უფრო, რომ რიცხობრივად მცირენი გახლდით: დროს ტარებასა და ღლაბუცობას გადაყოლილი ჩვენი დიაცნი თითო-ოროლა შვილს თუ აჩენდნენ და ისიც დიდი გაჭირვებითა და ყვედრებით. ჩვენ, ოშორელნი საკუთარ ქვეყანაში სტუმრად ვქცეულიყავით, ხიზანნი კი – მასპინძლებად მოგვლენოდნენ და ახლა ჩვენ გაგვხდომოდა საქმე სამოწყალოდ და სამათხოვროდ!

რაკიღა ისე გამოდიოდა, რომ ჩვენ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს ვუწყობდით მოსულებს ჩვენივე მამულთა მითვისება-მისაკუთრებაში, ბოლოს ბრიყვებად, უტვინოებად და სულელებად გამოგვაცხადეს. ჩვენი ნაგებ-ნაღვაწი სასახლენი, საყდარნი, ნოღანი თუ დაბა-სოფელნი უცხო ტომის მიერ ნაშენ-ნაღვაწად იქნა მიჩნეული და მონათლული. დამწერლობა ჩვენი – თავმოსაწონებლად და საამაყოდ რომ გვქონდა გადაქცეული, წერა-კითხვის უმეცარ, უვიც მოსულთ გაეთავისებინათ და უკეთ მოერგოთ თავიანთი საჭიროებისათვის. ასეთი ტუტრუცანანი, უნდილნი, უდარდელნი, ჩიტირეკიანი აბა რაის შემქმნელი უნდა ყოფილიყვნენო, დაასკვნეს მტერ-მოყვარეთა ჩვენთა-შინაურთაც და გარეშეთაც – მით უფრო რომ მოსულთ, უკვე აგრერიგად მოღონიერებულთ და მომძლავრებულთ, ქადილი შესწევდათ სხვათა წინაშე,

ჰოდა, იწყეს ურცხვად და უტიფრად მისაკუთრება ყოველისფერ იმისა, რაიც წინაპართ ჩვენსას შეექმნათ ოდესმე. გვიან გონს მოსულნი თავს ვინუგეშებდით იმით, რომ სიტყვიერ პაექრობაში ვჯაბნიდით მოსულთ და ვახერხებდით, ენით მაინც ჩვენი სახელი რქმეოდა ჩვენსას და ამითაც დიდად მადლიერი ვიყავით ჩვენი ბედის, ამითაც თავს ბედნიერად ვრაცხდით. მერმე, ეტყობა, ესეც გაგვიჭირდა, ოშორას ხსენებაზე უკვე გარშემო მყოფნი მხოლოდ მოსულთ გულისხმობდნენ. ახლა უკვე ჩვენ ვითვლებოდით გადიდგულებულ მოსულთა თვალში და სხვებისაშიც – საიდანღაც მოთრეულ, უცხო ტომად – ვინ უწყის, როგორ და რანაირად ჩამოთესლილთ ამ ღვთაებრივ კუნძულზე. რაკიღა ასე დავიჩაგრეთ სულიერად და ხორციელადაც (თუმც ხორცისმიერი სიმშვენიერე ჯერაც შეგვრჩენოდა, მაგრამ ამის წართმევასაც არანაირი ხერხებით არ თაკილობდნენ: ჩვენს დარჩეულ გოგო-ბიჭებს ოქროზე ყიდულობდნენ. დიახ, დიახ, ჩემო მახარიანო, ყიდულობდნენ მშობელთაგანაც კი, ოღონდაც თავიანთ ოხორეში შემოეყვანათ ისინი. და გაელამაზებინათ თავიანთი ჯიში და ჯილაგი.

რაკიღა ყოველივე: ძალაც, სიმდიდრეც, ცოდნაც მოსულთა ხელში აღმოჩნდა მეთქი-ანუ, რაკიღა მოსულნი ძალაუფლებას მთლიანად დაეუფლნენ, გადარჩენილი ჩვენი მოდგმა თანისთანობით მოსულთა ენაზე აჭიკჭიკდა. ჩვენი მელექსენი და მემუსიკენი, მთქმელნი და წიგნთა გადამწერნი მოსულთა ჰანგზე შეუდგნენ წინაპართა სასახელო საქმეთა გადაკეთებ-გადასხვაფერებას და მოკლე ხანში ბუმბერაზნი, გმირნი, ზეკაცნი და ღვთიშვილნი ჩვენნი იქცნენ მოსულთა ბუმბერაზებად, გმირებად, ზეკაცებად და ღვთიშვილებად. ჩვენი თავაშვებული, უზნეო ბახუაც აღარ შეგვარჩინეს, სახელი გადაარქვეს მათებურად და გაითავისეს.

რაკიღა მოსულთ უკვე ვერანაირად ვუმკლავდებოდით, მთელი ჩვენი ნიჭიერება, გვიან გამოფხიზლებული ტვინი და გონი წარვმართეთ ერთმანეთის მიმართ მტრობასა, შურსა და კინკლაობაში, ნაცვლად იმისა, რომ მჭიდროდ დავრაზმულიყავით ერთი მოდგმის ყველა ტომი საერთო მტრის წინააღმდეგ. ცოდვათა ჩვენთა სიმრავლის გამო ღმერთებმაც აღარ მოგვივლინეს უწინდებური დევგმირები, ერს რომ წინამძღოლობდნენ ხოლმე და ამარჯვებინებდნენ კიდეც.

მოხდა პირუკუ: გონით და ღონით ძლიერნი ჩვენი გვარტომელნი, მოსულთა სამსახურში ჩამდგარნი, თავიანთ ძირსა და ფესვს, თავიანთ სისხლ-ხორცს არამცთუ ეხმარებოდნენ, ყოველნაირად მტრობდნენ კიდეც, რამეთუ ერცხვინებოდათ ოშორელობა და აიას არსებობასაც ზღაპრად და მოგონილ ამბად მიიჩნევდნენ.

ბევრი, ვისაც არ უნდოდა სამარცხვინო ყოფა, ვისაც არ სწადდა ათქვეფილიყო მოსულთა გვარ-ტომში, სტოვებდა ოშორას და მთელი ფანიითურთ მიდიოდა საცხოვრებლად იმ ადგილებში, სადაც ჯერაც მკვიდრობდნენ და მტკიცედ იდგნენ ფეხზე ჩვენი თესლტომელნი. ძალიან ბევრნი შორეულ კოლხეთში, დიდი აიეტის – ჩვენი დედამთავრის ძმის – მზის შვილთა საბრძანისში სახლდებოდა, ხოლო ოშორაში დარჩენილნი, ვითარცა უკვე ვთქვი, მოსულთა ჯილაგში აღრეულნი, თანდათან კარგავდნენ თავის მეობას, ან არადა ყოველმხრივ შეიწრებულნი, სულს ღაფავდნენ და ილეოდნენ. ამ უკანასკნელთა შორის ვირიცხებოდით ჩვენ-ღვთაება მზის მახვამურთა დინო[1], მისი ძე-თურნი.

შოუ ბჟალახეს წიგნის გაგრძელება

...დამცრობილ-დაკნინებულ ბჟათას ოხვამეს თითო-ოროლაღა შერჩენოდა ღვთაების მსახური. ისინიც მიხრწნილი ბებერნი გახლდნენ, დღეს თუ არა, ხვალ რომ გადაეგებიან, – ისეთნი. ერთადერთი მე ვიყავ მათ შორის ახალგაზრდა. გარნა გადაღრჯუებულ მახვამურთაც აღარ ასვენებდნენ. მრევლი ხომ თითქმის აღარ გვყავდა და ამადაც ოხვამეს შემოწირულობანი აღარც შემოსდიოდა. ხელისუფალნი, მარტოოდენ მოსულთა და გადაგვარებულ ოშორელთაგან რომ იყო შემდგარი, ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ისედაც გაჩანაგებული საყდარი, უფრო გაპარტახებულ-განადგურებულიყო. ჩუმჩუმად, ვერაგულად ათასგვარ ხრიკს იგონებდნენ, ათასგვარ ფანდს მიმართავდნენ, რომ ვინიცობაა, თავისი სურვილით მიეტოვებინათ სალოცავი იმ დარჩენილ ქურუმთაც.

ჰოი, რამდენგვარი შესაძლოა თურმე იყოს, ჩემო მახარიებო, მიწისშვილთა სულმდაბლობა, გაუტანლობა, ქვებუდანობა!

საყდრის მარმარილოს ფილებს ფიორ-ფიორ გვპარავდნენ და გვტაცებდნენ. სვეტებს და თავხეებს ცულით გვიმსხვრევდნენ. ჩუმად, საკურთხეველში ქურდულად შეიპარებოდნენ ხოლმე და ბინძურ კვალს სტოვებდნენ მუნ თავისას.

დაიხსომეთ, ჩემო საყვარელნო შვილნო, ის, ვინც სხვის სალოცავს შეურაცყოფს, მოვა დრო და ჟამი და საკუთარსაც შეაგინებს და შებილწავს, რამეთუ უკეთური სულისთვის აღარაფერი წმინდა და სათაყვანო არ არსებობს ამქვეყნად, თვინიერ საკუთარი მძორისა.

თითო კაკალ მლოცველთაც გვიშინებდნენ-მეთქი, გეზრახეთ. გზად ხვდებოდნენ მალულად, მოკვლით ემუქრებოდნენ, ხანაც ქონების წართმევით, შვილთა გაყიდვით, გადასახლებით და კიდევ ვინ უწყის, რით არა.

[1] საძმო.

ჩვენი უხუცესი მახვამური თაია – წელთა სიმრავლისა და დარდისაგან დაუძლურებულ-დაბეჩავებული, მომიხმობდა ხოლმე ხშირად თავისთან და ცრემლთა ფრქვევით მომითხრობდა საყდრის ძველ დიდებაზე, ჩვენი გვარ-ტომის აწ გარდასულ სახელზე. მაძლევდა საიდუმლო სკივრთა გასაღებთ, რათა თვალი შემევლო უძველესი ტყავის წიგნთათვის, ჩვენს წინაპართ რომ დაეტოვებინათ შთამომავლობისთვის, მათ ერთადერთ მცველად და მფარველად თავის შემდეგ – მე ვეგულებოდი. და ალბათ საკუთარ სულს ისე არ უფრთხილდებოდა, ვითარცა მათ. რამდენი ამისთანა განძი დავკარგეთ და გავანიავეთო, ჩიოდა და ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლნი ჩამომჭკნარ ლოყებზე. ეს მცირედი ნაწილიღაა იმისი, რაც გვქონდა და რითაც თავი მოგვქონდა და ვამაყობდითო. ვინძლო ეს მცირედი მაინც შევინარჩუნოთ, ეს მაინც გადავურჩინოთო ჩვენ გვარტომელთა მომავალსო.

თაია რომ მოკვდა, მართლაც მეღა დავრჩი მეურვე ამ საიდუმლოდ გადამალული განძეულისა და კიდევ ორიოდე გადახუცებული მახვამური.

სასოწარკვეთილს, მხურვალე ლოცვად და ვედრებად დავარდნილს, ერთი საზრუნავიღა გამჩენოდა: თითქმის გადაგებული ჩვენი გვარტომის წმინდა განძი როგორმე შემენახა და მომევლო. მაგრამ ვისთვის ან რისთვისღა დამეცვა ეს საუნჯე? ვის სჭირდებოდა იგი? ჩვენიანთ – აღარ. ხოლო ჩვენი მტერი მხოლოდ სათავისოდ გამოიყენებდა.

ჟამჟამ სრული უიმედობა შემიპყრობდა, გული ჯავრით მეფლითებოდა და მეწეწებოდა. ერთ-ორხელ წამომიარა კიდეც სურვილმა, ყველაფერი მიმეტოვებინა და აქედან გავქცეულიყავ სადმე შორს, დასაკარგავში. კი, კი, მქონდა ასეთი სურვილიც, ჩემო მახარიანო.

ამგვარი სულიერი სიძაბუნისა და სულმოკლეობის ჟამს უეჭველად გამომეცხადებოდა ძვაბრა, ხან პირმშვენიერი ვაჟკაცის სახით, რომელიც დღე და ღამ ჩემს კართან იყო ატუზული, ხანაც კუდიანი ბებრუხანა დიაცის იერით, ოთხად მოხრილი, ძლივძლივობით რომ დაკვანჭალობდა საყდრის ეზოში. ესაა შენი ხვედრიც და მომავალიც, თუ არ გაეცლები აქაურობას, ჩამჩურჩულებდა ყურში უხილავი ძვაბრას სისინა ხმა. გაიქეცი. უშველე თავს. რად გინდა, ან ვის უნახავ განძს, არავის რომ არ სჭირდება, არავის რომ არ ენაღვლება? რა თავში იხლი? ან რა გინდა ამ ოხვამეში, სადაც აღარვინ დადის სალოცავადო? წადი. გაიქეცი. სადაც არ უნდა მიხვიდე, ყველგან სიამოვნებით მიგიღებენ, რამეთუ ღმერთთაგან ბოძებული გაქვს იმგვარი უნარი, ბევრ სხვა ქურუმს სიზმრად რომ არ მოელანდება, ორასი წელიც რომ იცოცხლოსო. სადაც ისურვებ ყოფნას, ყველგან გამორჩეული იქნები, და პატივდებული. თუ მახვამუ-

რობას არ ინდომებ, ბრძანდებოდე სასურველი ქალი, დედა...

ღამღამობით მიტევდა ძვაბრა განსაკუთრებით, სრულიად მარტო რომ ვრჩებოდი საკუთარ თავთან. რაღა დაგიმალოთ, მახარიანო, ლამის ეჯობნა, ლამის გადავეცდინე ამ ქასქანჯიელს. ისევ მარხვა და ლოცვა-ვედრება მშველოდა და საყდრისა და განძის მიმართ მოვალეობის გრძნობა, რასაც მეუფე თაია მინერგავდა იმთავითვე: მ ო ვ ა ლ ე ო ბ ი ს გრძნობა იმ ერის წინაშე, ვინც უკვე თითქმის გადაშენებულიყო, მ ო ვ ა ლ ე ო ბ ა წინაპართა სულთა ხსოვნის მიმართ!

წელანაც ვთქვი, რა და რა საშუალებათ არ ხმარობდნენ-მეთქი მოსულნი, რომ დავეშინებინეთ და ვაეძულებინეთ მიგვეტოვებინა იქაურობა. ვითარცა გითხარით, ბჟათას ქურუმთა შორის მხოლოდ მე გახლდით ახალგაზრდა და, სწორედ ჩემი მოშორება თავიდანვე ქცეულიყო ჩვენთა მტერთათვის უმთავრეს მიზნად. და თუმც კოვზი ნაცარში მრავლგზის ჩაუვარდათ – მიფარავდა და მწყალობდა ქალღვთაება „ბჟალარა“[1] და ჩვენი ღმერთები – მაინც არ იშლიდნენ განზრახულს, მით უფრო, რომ მათმა გულმოდგინებამ და მოწადინებამ მე არამცთუ დამაფრთხო და ფარხმალი დამაყრევინა, პირუკუ, უფრო გამაქეზა და აღმანთო ჩემი უბედური ერის და ჩვენი გავერანებულ-გატიალებული საყდრის დასაცავად და საქომაგოდ.

მე უკვე მაშინაც ვაქიმობდი სხვადასხვა სენით დაავადებულთ. ჰოდა, ვსარგებლობდი ამით და ხან მკურნალობის გზით, ხან ქადაგებით, ხანაც შეგონებითა თუ უბრალო თანაგრძნობით, ვცდილობდი ნუგეშინი მეცა გაჭირვებულთა და უმწეოთათვის, გამემხნევებინა სულით დაცემული და დავრდომილი თვისტომნი ჩემნი.

ეს ცდა და მონდომება, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ რჩებოდა ჩვენს მოძულეთ, და აი, ჯერ მოსყიდვა-გადაბირება დააპირეს ჩემი: დიდძალი ოქრო შემომთავაზეს, რათა ნებაყოფლობით უარი მეთქვა ბჟათას საყდრის სამსახურზე და უფრო მომცრო ოხვამეში გადავსულიყავ. რომ არ გამოუვიდათ ეს, და არც მათ უპირველეს და უდიდეს სალოცავში დავთანხმდი მახვამურობას – თუმც ნართაულად, გარნა საკმაოდ ნათლად მაგრძნობინეს, ურჩობა კარგს არაფერს მოგიტანსო – ძლიერ გაბოროტდნენ.

მე განმაცვიფრა ღმერთების ვითომ მსახურთა უპატიოსნებამ: ყველა ყველა და ამათ უნდა ჰქონოდათ ცოტაოდენად მაინც პირისწაყლი, სამართლიანობისა და სიმართლის გრძნობის მისხალი!

[1] მზე.

* * *

ერთხელაც... სენაკიდან დაღლილ-დაქანცული გარეთ გამოველ.

ნაშუადღევი იყო და მზის ჩახჩახა სხივებს აებრჭყვიალებინა ქვის ფილებით მოგებული ოხვამეს ეზო. სამლოცველოს ტანკენარი, ლამაზი ბოძები, ზემოდან ქვემოთკენ რომ ვიწროვდებოდა, და სახურავი მზის ათინათზე რაღაცნაირ, თავისებურ სინათლეს გამოაშუქებდნენ თითქოს.

კვიპაროსთა ხეივანში, ორუმეში[1] ჩამოვჯექ ძელ-სკამზე და შაშვის გალობას მივუგდე ყური. კარგა ხანს რაკრაკებდა ფრთოსანი და მეც სულგანაბული ვუსმენდი ამ გასაოცარი ფრინველის ლოცვა-ვედრებას, არსთა გამრიგის მიმართ აღვლენილს.

ანაზდად ჩემს ფეხებთან კენჭი დაეცა. უმალვე გამოვერკვიე. ეზოს განაპირა ბუჩქნარიდან ვიღაც ყმაწვილმა ხელი დამიქნია. მეუცნაურა ეს საქციელი. ფრთხილად მივიხედ-მოვიხედე. კაცის ჭაჭანება არ იყო გარშემო. ჩვენს სახლთან ახლოს, ჭასთან, მხოლოდ ერთი შაოსანი დიაცი საქმიანობდა რაღაცას.

ჯერ ვიფიქრე, ყურადღება არ მიმექცია თავხედი ჭაბუკისთვის, გარნა მან შეწუხებული სახით ხელმეორედ მანიშნა, მოდიო. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მაინც ავდექი და ნელი ნაბიჯებით გავწიე შქერის ბუჩქისაკენ. მივუახლოვდი თუ არა, ჭაბუკმა მოსულთა ენაზე სულმოუთქმელად, სხაპასხუპით მომაყარა, დილას აქეთია გელოდები და ძლივს, როგორც იქნა, მოგიხელთეო. თქმა რაიმესი არ მაცალა და ისევ ისევ აჩქარებით განაგრძო, შენთვის უსათუოდ დღესვე საიდუმლო უნდა მემცნო და სხვანაირად ვერ მოგახედებდიო, ბოდიშს მიხდიდა კენჭის სროლისთვის.

მადლობა ღმერთებს, ბოლოს რომ მაინც გამოჩნდიო. ამაღამ და, საერთოდ, ეს ორი-სამი დღე შენს სენაკში ნუ დარჩებიო, შენს სახლში გაათიე ღამე და ისედაც, ფრთხილად იყავი, შესაძლოა, შენიანებში მოღალტე ერიოსო.

თითქოს ნაცნობი სახე ჰქონდა ამ ახლადშეღერებულ ჭაბუკს. სადღაც ნანახი მყავდა უსათუოდ, ოღონდ სად, ერთბაშად ვერ მოვიგონე. შავი, ფართო თვალები უელავდა, წაბლისფერი, ხუჭუჭა თმის კულულნი შუბლზე მისწებებოდა და წარამარა, ხელის გულით იწმენდდა სახეზე მოხეთქილ ოფლს. ღაწვები წამოგზნებოდა. გაფიცხებულ, დამსკდარ ტუჩებს ენის წვერით ისველებდა.

იგი ნამდვილად ღელავდა, მაგრამ... ვინ იყო? რად ჩაიგდო თავი ხიფათში? რისთვის ენაღვლებოდა ჩემი ამბავი?

თვალებში შევხედე უსიტყვოდ. მზერა გამისწორა. უზაკველი და ნა-

[1] ჩრდილი.

თელი იყო ჭაბუკის თვალები. მერმე თავის ხელებისკენ წაიღო მზერა და რომ არ შემემჩნია მათი კანკალი, ერთმანეთში ჩახლართა თითები.

– ახლა ნურაფერს მკითხავ, მეუფე შოუ!.. სხვიმის... ეგება... – შეტრიალდა უცებ.

– სახელი!? სახელი მაინც მითხარ შენი!

– ნიკიფე მქვია! – მომიგო თავმოუბრუნებლად და კვლავ სხაპასხუპით გამიმეორა ნახევრად ზურგშექცევით მდგარმა: – არამცდაარამც არ დარჩე ამაღამ შენს სენაკში. იცოდე... ბევრ მოკეთესთან ერთად, ბევრი მტერი და მოძულე გყავს!.. კარგად მენახე!

იგი ადგილს მოწყდა და უკანმოუხედავად გაიქცა.

ჩვენს ყუდეს სულ სამიოდე პატარა თვალი ჰქონდა. ჯერ კიდევ თაიას ახალგაზრდობაში იყო აგებული მის მიერ. რაკი თაია უშვილძირო გახლდათ, გადაწყვიტა თურმე ოხვამის ახლოს დაედო ბინა, განძეულობაც იქ შეენახა და სიკვდილამდე თავის მეთვალყურეობის ქვეშ ჰქონოდა. მერმე და მერმე, თაიას სურვილითა და მისი ნებართვით, სახლში საცხოვრებლად გადმოსულან მახვამურნი, საკუთარი სახლ-კარი რომ არ გააჩნდათ, ან არავინ ჰყავდათ მიმხედავი, ანდა ერთობ შორს რომ ჰქონდათ ბჟათადან სამყოფელი და დაუძლურებულთ, სიარული უჭირდათ.

მეც, რაც დრო გადიოდა, ამ სადგომში ვარჩევდი ყოფნას, მით უფრო რომ კირბისნი და ოხვამის სხვა განძი, აქ მეგულებოდა, აკი მათი ზედამხედველობა თაიამ სიკვდილის წინ სწორედ მე დამაკისრა.

ალიზისგან ნაგები ეს ერთსართულიანი, გრძელი, დაბალჭერიანი შენობა საკმაოდ უშნო გახლდათ და მოუხერხებელი საცხოვრებლად. ოთახები ერთიმეორეში გადიოდა. ბოლო, უფრო მოზრდილში, მე დავიდე ბინა. ადრე მანდ თაია იყო დაყუდებული.

კედელში დატანებული საიდუმლო კარით ხოლმე გვირაბში ხვდებოდი, იქიდან კი ეზოს შორეულ კუთხეში ამოჰყოფდი ხოლმე თავს. ამ გვირაბისა და კარის არსებობის შესახებ მხოლოდ მე და თაიამ ვუწყოდით.

სადგომთან რომ მივბრუნდი, გოგუცა უკვე ჭასთან აღარ იდგა და რომც ენახა ჭაბუკი, ალბათ არც მიაქცევდა ყურადღებას, ისე იყო ჩაფლული თავის საქმიანობაში.

... არ იქნა და არ დაადგა საშველი დაღამებას. დრო უცნაურად გაიწელა: თითქოს არც აპირებდა მნათობი მოსასვენებლად წაბრძანებას.

სენაკში ვიჯექ და ხან ბალახ-ბულახებს ვარჩევდი, ხანაც კირბისს ჩავშტერებოდი, გარნა გული ვერაფრისთვის დამედო. თვალები უნებლიეთ სარკმლისკენ გამირბოდა. ჟამჟამ სისულელედ მეჩვენებოდა ჭაბუკის გაფრთხილება და ვცდილობდი, ფიქრი სხვა რამეზე გადამეტანა, გარნა... მაინც მეფიქრებოდა. ასე იყო თუ ისე, რაღაც მუხანათობას რომ მიმზადებდნენ, ამას გულიც მითქვამდა, გონებაც მიდასტურებდა.

ამასობაში მწუხრმაც მოაწია. ლოცვის შემდეგ ძილი ნებისა ვუსურვე ჩვენს ხანდაზმულ ქურუმ დიაცებს და გოგუცას, რომელიც ხშირად ღამე ჩვენთან რჩებოდა, რადგან თავის პატარა ბიჭთან ერთად საკმაოდ შორს, სოფლის ბოლოში ცხოვრობდა.

გაუხდელი მივწექი ხის საწოლზე საგონებელში ჩავარდნილი: გამოვსულიყავ მართლა გარეთ თუ არა? ჭოჭმანის მიუხედავად, ბოლოს მაინც ავდექი და რაკი ჭაბუკმა შინაგამცემზე მიმანიშნა, ჩუმად გადავატრიალე კლიტე, უხმაუროდ გავაღე საიდუმლო კარი და მალე, გვირაბის გავლით, საყდრის სამხრეთ ეზოში ამოვყავი თავი, იქ, სადაც მრავალი დიდრონი ბუჩქი და ყვავილნარი გვქონდა გაშენებული და საიდანაც დღეს ნიკიფემ კენჭი მესროლა.

თეთრ სამოსზე შავი მოსასხამი მქონდა მოხურული, მოსასხამის ქვეშ კი დახვეული თოკის გორგალი მეჭირა. საბელის, თოკის და ამდაგვარ რამეთა მარჯვე ხმარება ჯერ კიდევ ბავშვობაში გვასწავლეს ჩვენმა მშობლებმა, რომელთაც დარჩეულ ბედაურთა რემა ჰყავდათ და მთელს ჩვენს კუნძულზე განთქმული იყვნენ კიდეც ცხენოსნობით. თოკი თუ ბაწარი იარაღის მაგივრობას სწევს გამოცდილი კაცის ხელში. ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ჩემო საყვარელნო.

შქერის ტოტები გადავწიე და ისე მოვკალათდი, რომ ვერც ერთი სულიერი არსება ვერ შემამჩნევდა, თუ პირდაპირ არ მოადგებოდა ბუჩქს და არ გაჩხრიკავდა. ხოლო თავად მე სათვალთვალოდ უკეთეს ადგილს ვერც ვინატრებდი.

გაზაფხულის პირი იყო. გორაკის თავზე, კვიპაროსის წვეროკინზე შემომჯდარი თუთარჩელა მთვარის სხივებით განათებული ჩვენი საყდარი ზღაპრულად თვალწარმტაცი გამოიყურებოდა. წარმოუდგენელი ჩანდა ასეთ ლამაზ ღამეში რაიმე ბოროტების ჩადენა, თუ ავაზაკთა თავდასხმა მართლა იყო მოსალოდნელი, მაინცდამაინც ხელსაყრელი ჟამი ვერ შეერჩიათ საამისოდ, ასე ვფიქრობდი გუნებაში და ლამის გულარხეინად ველოდებოდი მოსალოდნელ საფრთხეს.

ისე ცხადლივ მახსოვს, მახარიებო, ყოველი ჩემი მაშინელი განცდა, ფიქრი, მღელვარება, თითქოს აი აგერ, გუშინ საღამოს მოხდა ყოველივე, თუმცა... სინამდვილეში, რამდენმა წელმა გაირბინა მას მერე!

უძრავად ჯდომამ, გაზაფხულის ღამის სიგრილემ, დაძაბულმა ლოდინმა თუ... რაღაც გაურკვეველმა წინაგრძნობამ თავისი ქნა: კანკალმა ამიტანა, ვერა და ვერ დავიოკე თავი. არადა, არც ავისმზრახველნი

ჩანდნენ სადმე. (ჭაბუკის გულწრფელობაში ეჭვის შეტანა არაფრით შე-
მეძლო: აშკარად ვატყობდი, რომ არ ცრუობდა, ჩემი წინაგრძნობაც ხომ
მიმოწმებდა მოსალოდნელ ხიფათს), ყველაფერი კარგი და კეთილი ისე
აგიხდეთ, შვილებო, როგორც იმ ყმაწვილის სიტყვა და ჩემი წინაგრძნობა
გამართლდა: შავმოსასხამიანი, ნიღბიანი ავაზაკნი ჩვენი ყუდის შესასვ-
ლელ კართან შეჯგუფულიყვნენ. ხომ როგორი ყურადღებით ვიყავ, რა
გაფაციცებით ვადევნებდი თითქოს თვალყურს სუყველაფერს და მაინც
გამომეპარა ის წამი, თუ საიდან და რანაირად აღმოჩნდნენ ისინი ჩვენი
სადგომის შესასვლელ ზღურბლთან. დიდი, ძველებური მუხის კარი
ება შენობას და შიგნიდანაც მაგრად იკეტებოდა ურდულით. ვით აპირ-
ებდნენ შეღწევას? ან კარი უნდა ჩამოეღოთ, ან უნდა შეენგრიათ. ერთიც
და მეორეც უეჭველად ხმაურს გამოიწვევდა და გამოაღვიძებდა შიგნით
მყოფთ. თუმცა... რა ბედენა იყო ეს ავაზაკთათვის? თუნდაც ფეხზე დამ-
დგარ ბებერ ქურუმ დიაცთ რა უნდა დაეპირისპირებინათ ხუთი მოძა-
ლადე მამაკაცისთვის?..

გარნა... ანაზდად, კარი უხმაუროდ გაიღო – ჩანდა, შიგნიდან ვიღაცამ
ურდული გადასწია!

აი, ეს იყო ყველაზე უფრო თავზარდამცემი – შინაგამცემი და მოღა-
ლატე მართლა რომ გვყოლია თურმე. ვინ უნდა ყოფილიყო ეს გარეწარი?
მაგრამ ამის განსჯის და წუხილის დრო აღარ იყო: მოძალადენი სენაკებ-
ში შეცვივდნენ. წამი და... ატყდა საშინელი კივილ-წივილი, ხმაური, ბრა-
გუნი, ლეწვა-მტვრევა...

გულ-ღვიძლი მეწვოდა, გარნა ნებისყოფის საშინელი დაძაბვით ვახ-
ერხებდი შემეკავებინა თავი, დამეთრგუნა და მომეთოკა წამოხტომის და
სენაკში შევარდნის სურვილი.

არ ვუწყი რამდენი დრო გავიდა. ასე მეჩვენებოდა, რომ უსაშველოდ
დიდხანს გასტანა ამ ამბავმა. ავაზაკნი უკვე გარეთ გამოფენილიყვნენ
და საყდრის ეზო-ყურეს მოსდებოდნენ ჩხრეკა-ჩხრეკით, ღარღალით,
ლანძღვა-გინებით: „სად წაგვიხვალ, სად დაგვემალები, შე მზაკვარო, შე
როკაპო! უჰ, შენი... როცა იქნება, მაინც მოგიგდებთ ხელში, გვაცალე!
შენს გადახუცებულ დედაბრებზე ხომ ვიყარეთ ჯავრი? შენი ჯერიც
დადგება მალე, შე კუდიანო! აი სეირი მაშინ იქნება! მოიცა! მოგწვდებით
შენც მალე!“

ნიღბებჩამოხსნილი, დაურიდებლად დაალაჯებდნენ ეზოში და ბილ-
წსიტყვაობით იკლებდნენ იქაურობას. მერმე საყდრის მრავალსაფეხუ-
რიან კიბესთან მოიყარეს თავი. წამით ხმა გაკმინდეს: ეტყობა, ჩუმად
ბჭობდნენ რაღაცას; აქამომდე თვალდახუჭული, გასუსული ვიჯექ და
ხმადაბლა ვლოცულობდი. კანკალმა სრულებით გამიარა. საოცარი

სიმშვიდე და სიდინჯე დამეუფლა. შიშის ნასახი რაა? ნასახსაც კი არ
ვგრძნობდი.

წამოვიმართე, ბუჩქის ტოტები მივწი-მოვწიე, შავი მოსასხამი მოვ-
იძრე, თოკის გორგალთან ერთად მკლავზე გადავიკიდე და... სავსე მთვა-
რის ნათელ შუქში გახვეული, გავეშურე ცარაზე[1] აღმართულ ბჟათას წინ
თავშეყრილ მომხვდურებისკენ.

– ჰე, ჰეი, ღამის დაუპატიჟებელო სტუმარნო! ვის დაეძებთ ამ წმინდა
სამყოფელში? – შევძახე შორიდანვე. ისინი ერთბაშად შემოტრიალდნენ
ჩემსკენ და მოულოდნელობისგან დაბნეულნი და ენაჩავარდნილნი, უხ-
მოდ მომაჩერდნენ.

ამ წუთზე იყო დამოკიდებული ყოველისფერი! თუ აქ მიმტყუნებდა
ძალა – დაღუპული ვიყავ. მაგრამ... რაც კი უნარი მქონდა, თითქოს მეყვ-
სეულად დაიძრა სულის ჩემის უშინაგანესი, საიდუმლო ფენებიდან; ვი-
გრძენ – წამოვიდა ის, აქამდე გაუცნობიერებელი ცხელი ტალღა და მე
უკვე აღარ ვიყავ მე – სხვა ვიღაცას, საოცარ, უცნაურ არსებას შეეცვა-
ლა ჩემი პირვანდელი სახე-ხატება და ეს უჩვეულო სულიერი, განაგებდა
ახლა მთელს ჩემს ნება-სურვილს, იგი მართავდა ჩემს ნებისყოფას.

– მე ხომ არ დამეძებდით, ვაჟკაცნო?.. აგერ ვარ, თქვენ წინაშე! –
თითქოს ჩემი ხმაც იყო, და არც იყო ჩემი, თითქოს სხვა, უხილავი, უც-
ნობი არსება ეზრახებოდა ამ თვალგადმოქაჩულ, პირდაბჩენილ, გამო-
თაყვანებულ ავაზაკებს, განძრევა რომ ვერ მოეხერხებინათ.

შორიახლოს შევდექ და მზერა მივუშტერე ხუთ ტოღო, თმააბურძგ-
ნილ და შავწვერებიან მამაკაცს, რომელთაც ისე დაიწყეს ქანაობა აქეთ-
იქით, ეს-ესაა მიწა გამოეცლებათ ფეხქვეშ და ძირს დაეძნეყებიანო. მხ-
ოლოდ ზმუილის მაგვარი ხმა აღმოხდათ პასუხად.

თვალის დახამხამებაში ხუთივეს სათითაოდ შევუკარი ხელები თო-
კით და ერთმანეთს გადავაბი, მერმე ჩემი შავი მოსასხამი დავფხრიწე
ნაჭერ-ნაჭერ, და ხუთივეს პირში ჩავჩურთე მჩვარი. არც ერთი არ გამძა-
ლიანებია: პირუკუ, თვინიერად და მორჩილად მიშვერდნენ ხელებს,
თითქოს სიზმარში იყვნენ და არა ცხადში. მერმე, ცხვრებივით ერთად
შექუჩულთ, ვეზრახე:

– ეყარენით დილამდე ასე აქ, ვიდრე მზე არ იხილავს თქვენს უკეთურ
ცხვირ-პირს!

შემდეგ იმავე ძალით დამუხტული, გავემართე ჩვენი სადგომისკენ.
პირველი, რაც მოვიმოქმედე, კარი მაგრად მოვხურე და ურდული გა-
ვუყარე ისევ. მხოლოდ მერმე შევიხედე სენაკებში.

ჩემს თვალწინ ამაზრზენი სანახაობა გადაიშალა: ნაცემ-ნაბეგვი, სა-

[1] ხელოვნურად გაკეთებული ბორცვი სამლოცველოს ასაგებად.

მოსშემოფხრეწილი, თმაგაწეწილი, სახეშეშლილი ქურუმი დიაცნი ზოგი ძირს ფორთხიალობდა ვიშვიშით, თავში ცემით და წყევლა-კრულვით, ზოგი ქვედამხობილი, უხმოდ, უსიტყვოდ ქვითქვითებდა, თმას იგლეჯდა და პირს იხოკავდა.

მინგრეულ-მონგრეული საწოლნი, გადაყირავებული ტაბლანი და სელნი უთანასწორო ბრძოლის უტყუარ სურათს ქმნიდა. ვიდექ შეძრწუნებული და თავში ჩაქუჩივით მიკაკუნებდა ერთი და იგივე აზრი:

„ნუთუ?.. ნუთუ ეს ბებერი, უძლური დიაცნიც არ დაინდეს მაგ არაკაცება? ამათ... ამათ რას ერჩოდნენ? ამათ... რა დაუშავეს?

ნუთუ... შესაძლოა ამგვარი სისაძაგლე ნაშობისგან დედაკაცისა?“

წარმოუდგენლად მეჩვენებოდა ყველაფერი ეს! და თან... დამნაშავედ ვგრძნობდი თავს ამ საცოდავთა წინაშე. ესენი ხომ ჩემი გამოისობით დაისაჯნენ ეგზომ სასტიკად.

მეორე სენაკის კარის ზღურბლზე წამიერად დავლანდე გოგუცას შავი სამოსელი. ერთბაშად ხმამაღალი ქვითინითა და პირის ხოკვით გამოექანა იგი ჩემსკენ. ფერხთ ჩამივარდა და აწიკვინდა:

– ო, მეუფე შოუ, მადლობა ღმერთებს, შენ მაინც რომ გადაურჩი მაგ მხეცთ და ნადირთ. ვავა, ვავა! რა უბედურება დატრიალდა ჩვენს თავზე, რა ნახეს ჩემმა დასავსებმა თვალებმა, დიდუ, დიდუ, დიდუ!

საშინელმა აზრმა შემძრა. – ეს დედაკაცია ის, ვინც მოძალადეებს კარი გაუღო! ვიდექ მეხდაცემულივით და ვგრძნობდი, ის უცნაური ძალა მტოვებდა, რამეთუ... საკუთარი გულის ბაგა-ბუგის ხმას მკვეთრად და გარკვევით აღვიქვამდი, ლამის ბუდიდან ამოვარდნილიყო იგი.

ხელის შეუხებლად ჩამოვიშორე სოხანეზე დამხობილი გოგუცა და პირველსავე მახვამურთან მივედი და ვცადე, წამომეყენებინა ფეხზე. მოხუცი ძაბული თავის ჩავარდნილ, უკბილო პირს ფართოდ აღებდა, მეჩხერ, ჭაღარა თმას საგულდაგულოდ, ღერა-ღერა იწიწკნიდა...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, მახარიანო, ასე იყო თუ ისე, შევძელ დამეწყნარებინა და მენუგეშებინა ის უბედური ბერდიაცნი. ახლა არ მახსოვს, ვერ ვიგონებ, რას ვეუბნებოდი მათ, ან საიდან მოდიოდა ის სიტყვები, მათ დასამშვიდებლად რომ იყო საჭირო. გარნა ახლაც წეღანდელივით ისეთი შეგრძნება მქონდა, მე კი არა, თითქოს ვიღაც სხვა მოძრაობდა და სხვა მეტყველებდა ჩემს მაგივრად და როს საცოდავი მოხუცნი დავაშოშმინე, ხმამაღლა განვაცხადე: – იქ, ღია ცის ქვეშ ყრიან გათოკილი ავაზაკნი, მზის ამოსვლისთანავე მთელ ბჟათას მოვუხმობთ და ასე გაბაწრულთ და შერცხვენილთ ჩავაბარებთ სოფელს სამსჯავროდ. ხოლო შენ... – მივუბრუნდი ერთბაშად გოგუცას – უსაშველო, უნაპირო ზიზღი და სიძულვილი ყელში მაწვებოდა ბურთივით, სულს

მიგუბებდა, სათქმელს მიხშობდა. ვეღარ მოვრეოდი ვერასგზით ამ მდაბალ გრძნობას: – ხოლო შენ... – გავიმეორე ისევ დაყოვნებით: – გაეცალე აქაურობას... სამუდამოდ!

და მოულოდნელად, ეს თითქოსდა მორჩილი, თვინიერი, მუდამ მშვიდი და წყნარი, დარბაისლური იერის მქონე შუახნის ქალი, ერთიანად გადასხვაფერდა და გარდაიქმნა. ისედაც წკვირალი სახე უფრო დაესხიპა, წვრილი, თხელი, ტუჩები ძაფივით გაეწელა, კბილები დაკრიჭა, ჯღამარა თვალები დაუელმდა:

– ოჰ, შე წყეულო მაზაკვალო და მენცარო! შე შეჩვენებულო კუდიანო! კრულ იყავ სამითაჟამიოდ. შენი ბრალია ყველაფერი, შენი, შე მზაკვარო, მზაკვარო, მზაკვარო! – მოკრუნჩხული ხელები წინ გამოიშვირა, თითქოს სახეში უნდა მცემოდა და თვალები ამოეთხარა ჩემთვის.

ტვინში სისხლი ამივარდა, თვალთ დამიბნელდა და... ცნობამიხდილს, ანაზდეულად დაუძლეველმა სურვილმა შემიპყრო, ყანყრატოში ვწვდომოდი და მიმეხრჩო ეს დედაბერი, ან არადა, თავი დამეჩეჩქვა მისთვის, ვითარცა ქვეწარმავლისთვის.

კი, ჩემო ძვირფასნო, კი, ჩემო მახარიანო, ასეთი სურვილი დამებადა მე ბჟათას უპირველეს მახვამურს, ჩემი დღე და მოსწრება ლოცვათა და მარხვათა მეტი რომ არაფერი მიქნია.

წავიწიე კიდეც მისკენ. ალბათ ყველაფერი ის, რაც გავიფიქრე და რასაც ამ წამში განვიცდიდი, სახეზე გამომეხატა, რამეთუ გაასპიტებული გოგუცა უცებვე დადრკა, მოიმჩვართა, მოეშვა ერთიანად და მხრებში თავჩარგულმა, უკან დაიხია ხელების სავსავით. ერთ ხანს იდგა ასე მოკუნტული, ნაცემი ძაღლივით და ვერ გაებედა მზერა მაღლა აღემართა, მერმე გაბრუნდა და უკან მოუხედავად, გატუსტუსდა გასასვლელისკენ.

დათრგუნვილი და განადგურებული შეველ ჩემს სენაკში, – წამიერად, გარნა მაინც იზეიმა ჩემში ბოროტმა ძვაბრამ და ლამის კაცისმკვლელად მაქცია, მართალია, მხოლოდ წარმოსახვაში, გარნა... ეს ხომ სულ ერთია, ბოლოსდაბოლოს.

...დაბადებიდანვე თან დაჰყვება, კაცთა მოდგმას ეს ბოროტი ძვაბრა და კეთილი, ნათელი ჩხორია – სულ ერთია რა წრეში, რა გვარტომში, რა გარემოებაში იშვები, ყველას, უკლებლივ ყველას თან დაყვება-მეთქი ბოროტებისა და სიკეთის დვრიტა: ოღონდ გააჩნია, ვინ როგორ და რანაირად ასაზრდოებს ამ კვეთს – ესაა სწორედ მთავარი. ბოროტი ძვაბრა ვერაგი და მახარიანო, მოხერხებულად იცის ხოლმე ჩასაფრება სულში და არ უწყი, რა დროს გამოტყვრება, როდის გიყელებს. ყოველთვის მზად უნდა იყოს კაცი მასთან შესახვედრად. ჰოი, რა მუხანათი და გაიძვერა

შეიძლება იყოს ეს წყეული ძვაბრალე! რა სისაძაგლის, რა და რა საზიზღრობის ჩადენა არ ძალუძს ამ მაცთურ, გახრწნილ მხეცს – სულში უჩინრად ჩაბუდებულს; რას არ მოისაზრებს, რა სიავეს არ დაბადებს, თუკი წამითაც არის თვალი მოუხუჭე, თუკი თავის ნებაზე მიუშვი, თუნდაც მცირე ხნით. ოოჰ!

იგივე გოგუცა, მახარიებო, ბევრს ვფიქრობდი ამ ქვებუდან, გლისპ დიაცზე იმხანად, ძალიან ბევრს. და შემდეგაც, ხშირად შემახსენებდა ხოლმე თავს, ვით მოუშორებელი კბილის ტკივილი.

... ავაზაკთა თავდასხმა ჩვენს ოხვამეზე და გოგუცას თანამონაწილეობა ამ საქმეში ჯერ კიდევ მონელებული არ მქონდა, რომ მოხდა კიდევ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: ნიკიფე ვიღაც უცნობ პირებს დანით აეჩეხათ, მერმე ის უბედური ჭაბუკი ტომარაში ჩაეგდოთ და მდინარესთვის გაეტანებიათ. ერთი კვირის შემეგ მეთევზეებს შემთხვევით ენახათ გვამი, რომელშიც ძლივს შეიცნეს საცოდავი ნიკიფე. არვინ უწყოდა, ვის რა დაუშავა ამ უწყინარმა, მშვენიერმა ყმაწვილმა ბიჭმა.

ნიკიფეს დაკრძალვაზე მეც წაველ. სამძიმარზე მოსულ კათაში ერთ-ერთი იმ ღამის ბოროტმოქმედთაგანი შევიცან, ნიკიფეს ახლო ნათესავი გამოდგა იგი. ეს ავაზაკი ისერიგად იქცეოდა, ვითომ ბუზიც არ აფრენოდა თავზე. იმღამინდელ სირცხვილს და თავლაფის დასხმას ისე უკვალოდ ჩაევლო მისთვის, რავარც ბევრ სხვა საძრახის საქმეს, რამეთუ მას და მის თანამზრახველთ მრავალი თანამგრძნობნი ჰყავდათ სოფელში. ამადაც, არხეინად და გამომწვევადაც დაიარებოდნენ ხალხში – დარწმუნებულნი, რომ დასჯით მათ და ავან-ჩავანთა მათთა, არავინ დასჯიდა – სოფლის სამსჯავროც შედგებოდა ისეთ პირთაგან, რაფერნიც თვითონ ბრძანდებოდნენ, ხოლო ზნეობრივ დამცირებას, აბა, რას დაგიდევს შუბლზე ძარღვგაწყვეტილი კაცი.

შევხედე თუ არა ამ არაკაცის უტიფარ, ურცხვ თვალებს, წამსვე ვიაზრე, ერთ–ერთი მკვლელთაგანი რომ იყო ნიკიფესი. ველარ დავრჩი ბოლომდე. ეს უკვე ჩემს ძალღონეს აღემატებოდა. ჰო, თავი ყინჩად კი ეჭირა იმ ავაზაკს, მაგრამ ჩემს წამიერ მზერაზე ფერ-ფურმა გადაჰკრა...

დღე და ღამე არ მასვენებდა ნიკიფეს სიკვდილი და ჩემი უნებლიე დანაშაულის შეგრძნება: დარწმუნებული ვიყავ, ის უბედური ბიჭი ჩემს გამო რომ დაიღუა. მე გადამარჩინა სირცხვილს და პატივის აყრას, თვითონ კი შეეწირა ამ ამბავს. ცხადი იყო, ნიკიფე ვიღაცამ დააბეზღა ამ გარეწრებთან. მსტოვარი მხოლოდ და მხოლოდ გოგუცა შეიძლებოდა ყოფილიყო. მხოლოდ მას შეეძლო ეგუმანა ნიკიფეს იმდღევანდელი ჩემთან მოსვლის მიზანი. გარნა ღმერთებო! რისთვის? რად ჩაიდინა ეს გაუგონარი, ზარდამცემი ბოროტება?

გულს ვასკდებოდი, საქმით კი – ვერაფერი მეღონა. ჩემი უმწეობა და უსუსურობა მევე მსპობდა, მიწასთან მასწორებდა, საკუთარ თავს მაძულებდა.

ნიკიფეს სიკვდილის შემდეგ ორი წელიც არ იყო გასული. ერთ დღეს, ასე სადილობის ჟამს, ძაბულიმ მაუწყა, შენი ნახვა უნდაო ვიღაც ქალს.

ტაბლას ვუჯექი და კირბიშებს ჩავკირკიტებდი. იმ თავდასხმის შემდეგ მტერნი შეგვეშვნენ ერთხანობა: თითქოს კიდეც დაშინდნენ და ველარ გვიტევდნენ ძველებურად, აშკარად. ბჟათას თითქმის ისევ დაუბრუნდა ძველი დიდება, ბევრმა ჩვენიანმა და მოსულთაგანმაც იწამა მისი ძლიერება, მით უფრო, რომ ოშორელთ თვალში, შოუ ბჟალახე თურმე ქალღმერთის მიერ უშუალოდ ხელდასხმული და ზიარებული მახვამური ყოფილა და ამადაც, შოუს სახელიც დღითი დღე იძენდა სასწაულთმოქმედის შარავანდს.

ჰო, იმას ვამბობდი, არ მეპიტნავებოდა ახლა არვის სტუმრობა, მაგრამ უარის თქმაც მეუხერხულებოდა.

სენაკში თავპირშეხვეული შაოსანი ქალი შემოვიდა. მარტონი რომ დავრჩით, თავსაბურავი გადაიძრო და საზარელი ქვითინითა და მოთქმა-გოდებით ფერხთ ჩამივარდა. გოგუცა იყო. სიმართლე რომ ვთქვა, ავღელდი, გულმა ყელში დამიწყო ცემა, იმდენად არ მესიამოვნა მისი დანახვა.

გოგუცა თავს ახლიდა აგურის ნერჩს, ჩემი კაბის კალთას ეპოტინებოდა და ჰკოცნიდა. სახე დასიებოდა ტირილისგან, ჭაღარა თმა ასწეწვოდა. საშინელი შესახედავი იყო მწუხარებისგან სახეარეული დიაცი.

– მე არ მაქვს უფლება შენთან მოსვლის, მეუფეო შოუ... მე ბოროტი, შურიანი და ცოდვილი დედაკაცი ვარ... შენ ხომ რამდენი სიკეთე გიქნია ჩემთვის, რა გულთბილად და ალერსიანად მიმიღე თავიდანვე. მერმეც, როგორი ყურადღებით მექცეოდი. მე ესეც მშურდა შენი. შენი სიკეთე და სილამაზე მშურდა, შენი ახალგაზრდობა მშურდა, შენი გონიერება და სიბრძნე მშურდა. ვერ მომენელებინა, რომ უცოდველი და უმანკო იყავ, ყველა რომ პატივს გცემდა, ყველას რომ უყვარდი და გეთაყვანებოდა. რა საერთო უნდა მქონოდა შენთან, რა მქონდა შენი საზიარო, საყვარელს შენ ვერ წამართმევდი და ვერც ვერაფერს დამიშავებდი ვერასდროს. ამის გამოც მძულდი. ისიც მაბოროტებდა შენს მიმართ, რომ ჩემნაირი ვერ იქნებოდი მისდღემში. ყოველნაირი შური და სიძულვილი არსებობს თურმე ამ ქვეყნად, მეუფეო შოუ: აი, ამდაგვარიც ყოფილა! ჰოდა, აღარ მომასვენა ბოროტმა ძვაბრამ... გავერიე იმ საზიზღარ, შავბნელ დანაშაულში, იმ ბინძურ საქმეში... კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი, ბევრი სიგლახე მაქვს ჩადენილი, შემოგევლე, მარა ლაპარაკისთვის დრო არა

მრჩება. უღირსი და ცოდვილი დედაკაცი წელმოწყვეტით მოვშავდი შენთან და მუხლის ჩოქვით, ყელგადაგდებული გევედრები: ბიჭი მიკვდება და მიშველე რამე, შენი მზის მადლმა. მიწია ცოდო-ბრალმა, მარა ჩემზე მობრუნებულიყო ცარგვალის რისხვა, რაღა ჩემს უცოდველ, უბრალო კრავს დაატყდა იგი! ერთადერთი ბიჭი მიკვდება, მეუფეო შოუ, ერთადერთი საფიცარი, თვალის ჩინი და სიცოცხლე ჩემი. სამი დღე და ღამე უგონოდ არის. რა არ ვქენი, ვის არ ვუხმე, ვინ არ შევაღონე ჩემი ხვეწნა-მუდარით. ყველაფერი ამაოა. ბიჭი სიცხისგან იწვის და ითანგება. შენ შეგიძლია იხსნა და გადაარჩინო ჩემი უმანკო ბაია. ვიცი, რომ არ ვარ შენგან შველის ღირსი. ვიცი, რომ არ მაქვს უფლება გთხოვო შეწყალება, მარა შენი კეთილი გულის ამბავი ვიცი მე და ამიტომ მოვბედე პირშავმა, უღირსმა დედაკაცმა შენთან და მუხლმოყრილი გევედრები, მოიღო მოწყალება და შეიბრალო ჩემი საცოდავი, უბედური ბიჭი!

კიდევ ბევრ რამეს შემომჩიოდა და შემომტიროდა ოთხად მოხრილი, გამწარებული ქალი. ვხედავდი, რომ წრფელი და გულისგულიდან წამოსული იყო ეს ვაება, წუხილი და სინანული, ვხედავდი ამას ყოველივეს თვალნათლივ და აშკარად და... მაინც, უნდა გამოვტყდე, არ შემტოკვია გული სიბრალულით. ეს დიაცი უკვე არ იწვევდა ჩემს არანაირ თანაგრძნობას. გული ჩემი სამუდამოდ დახურულიყო მისთვის და... აქ, უკვე არაფრის შეცვლა არ შემეძლო, თავს ვერ მოვიტყუებდი, რამეთუ... გოგუცას სახეს წამსვე და ჩემდა უნებურადვე, აეფარებოდა ხოლმე ნიკიფეს დედის შეშლილი თვალები, მისი ამაზრზენი, გულისშემძვრელი, სისხლისგამყინავი კივილ-წივილი და მოთქმა-გოდება. უძლური ვიყავ ამომეშალა ეს სურათი ჩემი გონებიდან – თუნდაც რომ სხვა, უფრო მძიმე მოგონებანი გამქრალიყვნენ უკვალოდ და უძიროდ.

გარნა... გონით ვძლიე გულცივობას – არსებობს, მახარიებო, ამგვარი თანაგრძნობაც და სიკეთეც – მხოლოდ გონით გასიგრძეგანებული, მხოლოდ გონით ნაკარნახევი, რომელშიც გული არ მონაწილეობს. ჰოდა, ამგვარი გონის რჩევა-კარნახით წავყევ გოგუცას.

გზაზე ენის ბორძიკით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, არეულ-დარეულად მიამბო თავისი თავგადასავალი, ის, რაც მე უკვე ვიცოდი ისედაც.

დიახ, ვიცოდი, რამეთუ... ალბათ ეს თქვენთვის გაუგებარი დარჩება, გარნა ადრე მეც ვერ დავიჯერებდი, თუ... შესაძლო იყო ამგვარი რამ...

პირველად სწორედ გოგუცასთან დამემართა ეგ. შემდეგ იშვიათად, მაგრამ მაინც მქონდა მსგავსი ხილვანი (ასე მომივიდა, ერთხელ – თუმათისთანაც). ზოგჯერ თვით ჩემთვისვე მოულოდნელად, თითქოს ტვინში რაღაც მეხსნებოდა და უცებ... ვით ხელისგულზე, ისე გადამეშლებოდა მავანის წარსული და... მომავალი.

მაშინ, როს თანხმობა განვუცხადე წამოსვლაზე, სიხარულისგან გადარეული ქალი ხელებზე წამეპოტინა საკოცნელად. წამით შევეფეთე მის თვალებს და უეცრივ... გველნაკბენივით შევტოკდი... უნებლიეთ უკუვდექ. ვიგრძენი, რომ სახე თითქოს სისხლისგან დამეცალა. იქ, შიგნიდან კი დაიძრა უჩვეულოდ ცხელი ტალღა და წამსვე, ელვისუსწრაფესად ჩემს თვალწინ გაირბინა ამ ცოდვილიანი დედაკაცის წარსულის სურათებმა.

ეს დიაცი თავის დის ქმარს ყვარობდა მანამდეც, სანამ და მოუკვდებოდა. ერთხელ მათ ქმარმა წაასწრო, გოგუცამ და მისმა საყვარელმა ბალიშით გაგუდეს კაცი და მერმე ეზოში, ხეზე ჩამოჰკიდეს, ვითომცდა თავი ჩამოიხრჩოო. ხანდისხან ავი ზნე მოუვლიდაო ამ საცოდავს და მაშინ თავად არ იცოდა, რას შვრებოდაო, „დასტიროდა“ მერმე გოგუცა მიცვალებულს. რაკი ქმარს ნათესაობა და სახლიკაცნი არ ჰყავდა – სხვა სოფლიდან იყო ჩამოსიძებული – შერჩა ეს მკვლელობა გოგუცას და მის საყვარელს. მერმე... საყვარელმა გოგუცას 13 წლის ულამაზესი გოგონა შეაცდინა. მეშვიდე თვეში რომ იყო გადამდგარი, მხოლოდ მაშინ გამოუტყდა ქალიშვილი დედას. გოგუცამ თავად დაიბრალა ორსულობა, ისე მოაწყო საქმე – ვითომ თვითონ იმშობიარა, თავისი ქალიშვილი კი ამასობაში სხვა სოფელში შეასაღა ვიღაც ვირგლას. საყვარელმა ახლა მომდევნო გოგონა ამოიღო ნიშანში – გარნა ამჯერად დროზე შეიტყო საფრთხე გოგუცამ და იმდენი ქნა, უმცროსი გოგონა შეართვევინა კიდეც საყვარელს. თვითონ კი ვითომ თავის შვილს – სინამდვილეში კი შვილიშვილს ზრდიდა.

გოგუცა თუმცაღა ცდილობდა ბოლომდე გულახდილი და გულწრფელი ყოფილიყო ჩემთან, გარნა მაინც ვერ ახერხებდა ამას, რამეთუ ნიკიფეს სახელი საერთოდ არ უხსენებია, მაინც დამიმალა ნიკიფეს ამბავი.

გოგუცასთან მეზობელნი შეკრებილიყვნენ. ჩემს დანახვაზე ყველამ მოკრძალებით მიტია გზა.

შევედი ოხორეში. საწოლზე უჩვეულო სილამაზის, ოქროსქოჩრიანი, სიცხისგან გათანგული ყმაწვილი იწვა, იგი ხროტინებდა და უაზრო თვალები მიეჩერებინა ჭერისთვის.

გულმა რეჩხი მიყო. თითქოს გარსშემოსალტული ყინულის ჯავშანი უცებ გალხვა.

ღმერთებო! ნუთუ შესაძლოა ასეთი სილამაზის გაჩენა დედამიწაზე, ცოდვილიან კაცთა მოდგმას შორის?

გახურებული ტილო მოვაშორე და გათარანებულ შუბლზე ხელისგული დავადე, ბიჭი იწვოდა. ჭირის ოფლით ეცვარებოდა აპრიალებული სახე და შუბლი. უმოძრაო თვალებში ჩავხედე. ბიჭი განწირული იყო. აღარაფერი ეშველებოდა.

ორი დღით ადრე რომ მენახა, ეგების... თუმც, ვის ძალუძს ძე-ხორციელს, განგების ნების შეცვლა? ასე უწერია თურმე წერა-მწერალს ამ საცოდავი ბიჭისთვის. რაიმეს შეცვლა ამ განჩინებაში შეუძლებელი იყო. სიბრალულის გრძნობამ თვალები დამინამა. გამოვტრიალდი გულჩათუთქული.

უბედური დედა თუ ბებია სახედაზაფრული, კივილჩამდგარ თვალებს არ მაშორებდა. მზერა ავარიდე.

– შენ ტირი, მეუფეო შოუ? – დაიხავლა ანაზდად და უკან გამომედევნა. – მაშ, აღარ არის ჩემთვის ხსნა და საშველი? დავიღუპე, ხომ მეუფეო შოუ? აღარაფერი მეშველება, ხომ? ახავაი, მე უბედური! ადრე რომ მოვსულიყავ, გადამირჩენდი ბავშვს. მარა წელი ვეღარ მოვათრიე შენთან. რა პირით უნდა შევხედო-თქო ბილწმა და დამნაშავე დედაკაცმა!

ამაოდ ვცდილობდი რაიმე სანუგეშო სიტყვა მეთქვა. თითქოს ყელი გადამეკეტა.

– ვავა, ვავა, მიტირეთ შემოგევლეთ, ცოცხლად მიტირეთ ცოდვილი დედა! მიტირეთ და ჩამქოლეთ, მე უბედური! მიწია ღმერთების რისხვამ ჩემი ცოდვებისთვის, მარა შენ, შვილო, შენ რათა? – უცებ მუხლებზე დაეცა და ხელები მაღლა აიშვირა: – არ არის სამართალი ეს! არ არის. არა! მე უნდა მეზღო, მე – პირადად! და არა ჩემს უბრალო, უცოდველ კრავს!..

მეუფეო შოუ! გაფიცებ დაუღლელი მზის მადლს, გაფიცებ ღვთაებას: შეევედრე, შეეხვეწე, რომ შემიბრალოს. გადამირჩინოს ჩემი ბიჭი. ოღონდ ახლა შემინდოს – ახლა მომიტევოს, და მთელი ჩემი სიცოცხლე ძაძით და ფლასით ვივლი და მუხლმოყრილი ვილოცებ დღენიადაგ, დაუცადებლად. გადამირჩინოს ოღონდ ჩემი ბიჭი. ისიც დედაა. მაგასაც ესმის დედის გულისტკივილი. დედა? დედა ვთქვი მე? ვაიმე, მე უხანო, ბედდამწვარი, ვინა ვარ მე?.. ვაგლახ მე, ახავაია! ვავა ჩემი ცოდვა! – ქალმა გამეტებით წაიშინა თავში ხელები და საზარლად აქვითინდა.

მისცვივდნენ. ხელები გაუკავეს, დაწყნარება სცადეს, ცოცხალ ბაღანას რაფერ სტირი, ვით ეგებისო ეს... გარნა თავპირდასისხლიანებული, გავეშებული დიაცი დაუსხლტა გამკავებელთ.

სენაკის შესასვლელ კარს ეცა, მიხურა და ზედ აეკრა. თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა: უზომო შიში, სასოწარკვეთა, შეძრწუნება – ერთმანეთში არეულიყო.

– არა. არ შემოგიშვებ!.. ჩემი ბიჭი არაფერ შუაშია, ნიკიფე! ნიკიფე! ნუ... მოდიხარ. აღარ დაგანებებ... ჩემი ჭიჭო უდანაშაულოა. მე, მე წამიყვანე – მე სასიკვდილე, მე მზებნელი დედაკაცი! გაბრუნდი, გეხვეწები! გემუდარები!.. გაფიცებ შენი უბედური დედის სახელს! ოოჰ! ჭიჭო არა!..

შეშლილი ქალი ფოთოლივით ცახცახებდა. კბილს კბილზე აცემინებდა, მერმე ვაიო, ერთი დაიღმუვლა და... გონწასული უგრძნობლად ჩაიკეცა აბარწის ნერჩზე.

* * *

ძე ხორციელს, თასკოჩის[1], არავის შერჩება ბოროტება. რა დღეს, რა ხვალ ცოდო მაინც უწევს, მას თუ არა, მის შვილს, ბადიშს, ბადიშის ბადიშს, უკვე ეზოდან გამოსულს მომესმა ზურგს უკან ვიღაც ბადიდის[2] ჩიფ-ჩიფი. თითქოს ნიშნისგებაც ისმოდა ამ ხმაში. აღარ მომიხედავს, მაგრამ რაღაცამ მწარედ გამკენწლა გულზე: მოხუცებულის სიტყვებმა ერთი ამბავი მომაგონა.

ერთხელ, უცხოელი მოხუცი ქურუმი მეწვია ბჟათაში.

კარგა ხანს ვისეირნეთ ჩვენი საყდრის ეზოს კვიპაროსების ხეივანში, მერმე ხის ძელსკამზე ჩამოვსხედით, საჩრდილობელში.

უცხოელი ქურუმი, რომელიც მრავალ ქვეყანაში იყო ნამყოფი, ხოლო ხელდასხმა ჰაკაფთის მზის ტაძარში მიეღო, ფრიად მჭევრმეტყველი, განსწავლული და გონებაგახსნილი მოძღვარი აღმოჩნდა. კარგა ხანს ვისაუბრეთ სხვადასხვა ერთა წარმოდგენათა, ღმერთთა რაობისა და სამყაროს არსის ირგვლივ. ბოლოს მეუფე ქსენონმა მითხრა, მე ყოველივე კარგად ვუწყი რა დღეშიც ხარ, რა და რანაირ ქსელებს არ ხლართავენ შენს გარშემო ჩემი გვარტომის უგუნური და ბრიყვი პირნიო. რა სულმდაბლობას, რა სისაძაგლეს არ სჩადიან ხოლმე, მაგრამ მე შენთვის ვლოცულობ და შევთხოვ ჩვენს ღმერთს, დაგიცვას და დაგიფაროს ბოროტისგანო.

მტკიცედ სდექ, შვილო! ღმერთთა უწყიან შენი სიწმინდე და ზრახვათა სიწრფელე, გონის უბოროტობა და გულის უმანკოებაო.

დიდ ხანს მეზრახებოდა შთაგონებით. მეო, აწი შეიძლება ვეღარ მოვიდე შენთან გარემოებათა გამო, გარნა გახსოვდეს, სულით შენთან ვარ, შენთვის ვლოცულობ, და აგრეთვე ჩემი გულბოროტი თანამოძმეთათვის, რათა გაუნათლდეთ გონება და მოწყალებისა და სიკეთის გრძნობა გაეღვიძოთო, რამეთუ, არვის შერჩებაო ბოლომდე ცოდო-ბრალი. არც ძე-ხორციელს და არც ტომსა თუ ქვეყანას, რამეთუ: ჩადენილი დანაშაული უსათუოდ იწვევს შურისგების გრძნობას და ასე დაუსრულებლივ, უწყვეტ ჯაჭვივით გრძელდებაო ეს უკეთური მდინარება სიავისა, ვიდრემდის არ აღსრულდებაო უკვდავ ღმერთთა განჩინება, უზენაესი ღვთაების ნება-სურვილიო.

[1] თესლკაცი.
[2] მოხუცი.

ჩვენი დამმონებელი გვარტომის ქურუმის კეთილშობილებამ – თუმც იგი ერთადერთი გამოდგა მათი ღმერთების მახვამურთა შორის – ერთხელ კიდევ საცნაურყო ჩემთვის, – სიკეთე და დიდსულოვნება ყველგან, ყველა ქვეყანასა და ყოველ თესლტომში ერთნაირი რომაა, რამეთუ ბუნებით, არსით თვისით, საყოველთაოა იგი, ზოგადკაცობრიულია და არანაირ საზღვრებს არ ცნობს. ბედნიერია ის გვარტომი, ვისაც ნეტარ ღმერთთა ეს დიდი წყალობა უხვად მოევლინება, ვის შვილებშიც ჭარბობს ყოვლისმომცველი, უანგარო და უანგარიშო სიკეთის გრძნობა – ისე, ვით იყო ეს ოდესღაც აიაიაზე, გარნა... დღესდღეობით, სამწუხაროდ ჩვენდა, ყველგან და ყველაფერში იჯაბნება და იწიხლება იგი, ხოლო მძლავრობს და ზეობს ძალადობა: ვინ ვის მოერევა ღონით, იარაღით თუ ცბიერება-ვერაგობით, ვინ ვის დათრგუნავს და დაჩაგრავს – აი კაცობრივი, მიწიერი რინას უმთავრესი მიზანთ-მიზანი, მისი არსისა და ყოფიერების თავი და ბოლო და სანამ ეს ასეა – გაუსაძლისია არსებობა სიკეთისა და მშვენიერებისა - ამ მზისქვეშეთში!

მოხუცმა ქურუმმა შემდგომ საქმითაც დაამტკიცა თავისი ერთგულება და დიდბუნებოვნება: განსაცდელში მყოფს მანძილიდან უხმოდ მამცნო მოახლოებული საფრთხე. მეც უსიტყვოდ მოვახსენე მადლობა. ჰო... ხდება ხოლმე, ჩემო მახარიებო, ზოგჯერ ამგვარი საუბარი შორი მანძილიდან – სამყაროს საიდუმლოს ზიარებულთა შორის.

...გოგუცას ამბავმა ერთ რამეშიც დამარწმუნა: ვიცი, შენ არ გეჭაშნიკება? – ციცი შემოგევლე. – ეს და აიფხორები, გარნა მაინც უნდა გაუწყო: ზოგმა დიაცმა, უკეთუ თავის თავს ნება მისცა, უკეთუ შუბლის ძარღვი გაიწყვიტა ანუ აიწყვიტა – ძალუძს იმდაგვარი ბოროტებისა და სიგლახის ჩადენა, კაცს რომ მისდღემში არც დაესიზმრება ხოლმე. რასაკვირველია, ყველაზე არ ითქმის ეს, გარნა, ისე, ეტყობა, ბუნებამ დაუწესა დიაცს: სხეულისმიერი სისუსტე აინაზღაუროს მოხერხებითა და ეშმაკობით. რას იზამ! ჩვენი ჯილაგის ღირსებანი თუ მანკიერებანი ჩვენ, დიაცთ, უკეთ გაგვეგება, მახარია... წარმოდგენილი მაქვს, ვით იღუშები... მაგრამ შენ უნდა იცოდე ეს, შემოგევლე, და მომავალში გაითვალისწინო, რათა... მეუფე თუმათივით, შენც ცალმხრივად არ შეაფასო კაცთა მოდგმა...

* * *

...მზემ ეს-ესაა აკრიფა ბარჩხალა ხსივები და ნელ-ნელა, დაიაზებით მიგოგმანობს დასავანებლად.

ვზივარ საყდრის ეზოში ძელსკამზე, ვუმზერ ჩემს წინ გადაშლილ

წარმტაც სურათს, მაგრამ უამური ფიქრებით დასევდიანებულს, უწინდებურ სიამეს აღარ მგვრის ბუნების სიმშვენიერე. აღარც მაფშალიას თუ შაშვის გალობა ატკბობს ძველებურად ჩემს ყურთასმენას. ყოველისფერი გაუცხოებულია თითქოს ჩემთვის, გულში სიცარიელეს, სულში კი კაეშანს დაუსადგურებია. მიცვალებულთა მზე და ეს ნაზი, წყნარი საღამო უფრო ამძაფრებს ამ განწყობილებას.

...ანაზდეულად ცხენის ჭიხვინი და პატარა გოგოს კივილი შემოიჭრა ჩემს ცნობიერებაში, და აი, თვალნათლივ ვხედავ: ფაფარგაშლილი, ქვიშისფერი ბედაური თავაწყვეტილი მიჰქრის გზაზე. მნათობს გაკიდებული რაშის ზურგზე ჭინკასავით შესკუპებულა პატარა გოგო. ქერა დალალებს ნიავი უფრიალებს და უწეწავს. თვალებში კვიმატური, ანცი ნაპერწკალნი უკიანთობს. ჟამიდან ჟამზე პატარა გოგო კივილითა და შეძახილებით აქეზებს ისედაც გახელებულ მერანს და მიჰქრიან ორთავენი შლეგური თავგამეტებით. აი, ცეროდენა მხედარმა ცხენი ზღვაში შეაგდო. და ახლა ცურვა-ცურვით, ნაპირ-ნაპირ მისდევენ ჩამავალ მზეს.

„ჰეი, საით, პატარა შოუ? საით მიჰქრიხარ, ძა?[1]“.

„ბჟალარას მივდევ, შოუ ცირასქუა, ბჟალარას უნდა დავეწიოთ მე და ქვიშორია“.

„პე, ამაოდ მისდევ, ძა, სულ ამაოდ. ვეღარ დაეწევით ჩხანაიას. ვეღარ!

„მერე რა, შოუ ცირასქუა, მერე რა? მაინც მივდევ. მაინც მივფრინავ! შენ კი... დაბერებულხარ, შოუ ცირასქუა, სულით დაბერებულხარ, შემოგევლე! მეცოდები, ძალიან მე-ცო-დე-ბი!“

იცინის პატარა შოუ, გულიანად ტკარცალებს თავგადაწეული. მერმე ენას უყოფს თავის დიდ ორეულს და... განაგრძობს სრბოლას.

მიჰქრის ქვიშორია. კისკისებს შოუ ქალი. მზე ჩადის, ცაზე მეწამული დაფიონი ანთია.

...ფართო, ვრცელ ეზოში კაცები ხედნიან ურა ცხენს, ულამაზეს ქვიშორიას. თოკით ხან აქედან ექაჩებიან, ხან იქედან, მერმე ახტებიან ზურგზე რიგრიგობით. მაგრამ ამაოდ. ამაყი, ლაღი, ქედფიცხელი და გულზვიადი ქვიშორია გოროზად აბრიალებს დიდრონ თვალებს. გაავებული აბაკუნებს შხვართ ფეხებს, ფრუტუნებს, ჯარასავით ტრიალებს ადგილზე მანამ, სანამ ძირს არ დაახეთქებს მხედარს.

უყურებს ამ სურათს პატარა შოუ-ქალი და მთელი მისი არსება, სხეულის თითოეული ძარღვი თრთის და კანკალებს, კივის და იხვეწება: გაუშვით. იყოს თავისთვის. ნუღარ აწვალებთ. ნუღარ დაიურვებთ!

მოთმინების ფიალა ევსებათ კაცებს. ოოხ! გაილახები ქვიშორია, შე მუდრეგო. და მერე როგორ! არა, აღარ აგცდება გაშოლტვა მაგარი!

[1] გოგო, ძღაბი.

...სულ პაწია, ცქნაფა გოგო იყო მაშინ, მამამ რომ ცული აიღო, ეზოს განაპირას მდგარ მაღალ, ტანკენარ ალვის ხესთან მივიდა – ხმობა შეჰპარვია. უნდა მოვჭრაო, თქვა და ცული მოიქნია. გულგახეთქილი მივარდა მამას პატარა შოუ: არ მოსჭრა ალვის ხე ბაბაია, თორემ მოვკვდებიო. ქვითინებდა გულამოსკვნილი და მამას მუხლებზე ეხვეოდა. მამამ ცული გადააგდო, ხელში აიტაცა მტირალი ბაია, მოეფერა, დაუყვავა: აღარ მოვჭრიო ბაბაია, ოღონდაც შენ არ იტირო, შენ დაწყნარდიო.

ასე გადაარჩინა მაშინ მშვენიერი ალვის ხე პატარა შოუმ.

ახლა... ახლა ქვიშორიას წვალებას რომ უყურებს, მზადაა, კვლავ ფეხებში ჩაუვარდეს მამას და ბიძებს: გაუშვით, რა გინდათ? რას ერჩით? იყოს თავის ნებაზე ქვიშორია!

ვერა. ვერ იქნება თავის ნებაზე ქვიშორია მამაძაღლი! ქვიშორია დაისჯება ურჩობისთვის სასტიკად...

ერთბაშად, თითქოს ვიღაცამ თუ რაღაცამ ხელი ჰკრაო, ადგილს მოწყდა შოუ. თვით მისთვისვე მოულოდნელად მივარდა ქვიშორიას და... თვალის წამში ზურგზე შეაფრინდა; თოკს ხელი უშვითო, ერთი კი მოასწრო დაძახება. ყალყზე შეიმართა ქვიშორია უმალ, ამ ჭინკა გოგომ ვითარ შემომბედაო, გადაირია. ერთი საშინლად, გაბმით დაიჭიხვინა, აიჯაგრა, მერმე დაბზრიალდა ჩიკორივით და რაკიღა ვერანაირად ვერ მოიშორა თავხედი გოგუცუნა, ისკუპა, ღობეს გადაევლო და ისარივით გავარდა შარა-გზაზე...

სადღაც უკან დარჩა დიდების წივილ-კივილი და ზრიალი. პატარა ალქაჯი ორივე მკლავით ჩაფრენია ქვიშორიას კისერზე და ზედ მისწებებია თითქოს.

მიქრის გავეშებული ქვიშორია ხან გზაწვრილებზე, ხანაც შუკებსა და ორღობეებში, ეწერსა თუ ტრიალ ველ-მინდორზე...

აღარაფერს და აღარავის ერიდება. თავდაუზოგავად ახტება ხაროებს, თხრილებს, ჯაგეებს, ღობეებს, მიქრის და თავადაც არ იცის, საით მიჭენაობს, საითკენ აქვს გეზი.

პატარა შოუ თვალდახუჭული, შიშნარევი აღტაცებით მისცემია ქროლვის სანეტარო განცდას, ყურებში ქარი უშხუის, თმა ასწეწვია და მაინც ერთი სურვილიღა ამოძრავებს: აღარასოდეს აღარ შეწყდეს ეს გამეტებული სრბოლა, ცის კიდურამდე იფრინოს ასე, დაუსრულებლივ...

ეს იყო არტახებდაწყვეტილი თავისუფალი სულის ლტოლვა უსაზღვროებისაკენ, და უძლეველი სწრაფვა უბოლოო მარადისობისკენ. ეს იყო ჟამი სულის აღზევებისა, მისი დღესასწაული!

მერმე... გამოჩნდა ზღვის უკიდეგანო სივრცე და ორთავემ დაურიდებლად შესტოპეს მის ვეება წიაღში. წყალმა თითქოს გახურებული

სისხლი გაუგრილაო, ქვიშორია შედგა. დაიფრუტუნა. სული მოითქვა, მოლბა, მოთვინიერდა.

აღერილ კოხტა კისერზე ხელი მოუთათუნა პატარა გოგომ ალერსიანი და მადლიერი ღიმილით უკვე ბედშერიგებულ პირუტყვს, მერმე დასავლეთისკენ აბრუნებინა პირი ფერებ-ფერბით, იქითკენ, საითაც მიყელყელაობდა ჭიაფერი მნათობი.

ცურვა-ცურვით, ნაპირ-ნაპირ გაეკიდნენ ბჟალარას პატარა გოგო და მისი დაურვებული ქურანი.

გოგონას ჟინი და წადილი ცხენსაც გადაედო თითქოს, ყელაღერილი, მარდად მიაპობდა ქვიშორია აქოჩრილ ტალღებს...

მისდევდნენ ორთავენი ბჟალარას, ნება-ნება რომ მირონინობდა ცარგვალზე; საცაა უნდა მისწეოდნენ კიდეც. ცოტაც და...

ჩხანაია[1] გაუჩინარდა უცებ ზღვის ტალღებში. შეჩერდნენ გაოგნებულნი. ცის კიდური ალისფრად ბრიალებს. მერმე ნელ-ნელა გაბაცდა დასალიერი, მერმე მრუმე ფერმა იძალა... და უცებ: „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, ხვიჩა, ხვიჩა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“ - გახმიანდა გოგონას გულში და... დახშირბინდდა.

...და როს აჟივჟივებულ თანასოფლელთა წინაშე თვინიერმა და მორჩილმა ქვიშორიამ და დაღლილ-დაქანცულმა, მაგრამ ბედნიერმა გოგომ შუკაში შეაბიჯეს, თითქოს ყურის ძირში დარეკა ვიღაცის წკრიალა ხმამ: – გარდაუვალია ნება უფლისა! დრო-ჟამს ვერავინ გაუსწრებს. მოწევნადი – მოიწევა, მოსახდენი – მოხდება! უკეთუ, ასე იყო დასაბამიდან და მის წინარე, ასე არის და ასე იქნება სამარადჟამოდ, მისხის მისხამდე!

...მეუცნაურა ჯეგე ჯიმადის სტუმრობა აქ, ჩემს სადგომში, სადაც ასე იშვიათად ამოდიოდა ხოლმე ჩემიანი. ჯეგე ჯიბუტი – დედაჩემის მკვიდრი ძმა – ისე იყო ჩაფლული ცხოვრების ყოველდღიურ ორომტრიალში, ისე იყო დღიური საქმიანობით დაკავებული – ვეღარ იცლიდა ხოლმე ღვთაებათათვის ლოცვა-ვედრების აღსავლენად.

დროსტარება, დიაცნი, ძმაკაცნი – აი, ჯეგე ბიძიას საზრუნავი.

კაცთა მიმართ დიდსულოვნად შემწყნარებელი გახლდათ და არასდროს უცდია მავან და მავანთათვის თავს მოეხვია თავისი ნება-სურვილი, თავისი ცხოვრების წეს-ყაიდა; არც თავისაში რევდა ვინმეს. გულღია, ხელგაშლილი, პურადი, მხიარული ჯეგე ჯიბუტი ყველას უყვარდა – მტერსაც და მოყვარესაც. თუმც, მტერი რომ ვახსენე, მთლად სწორი არ ვარ: მტერი ალბათ საერთოდ არ ჰყავდა ჯეგე ბიძიას ან თუ ჰყავდა – არა გამოჩინებული, არა – აშკარა.

[1] მზე (მოფერებითი მიმართვა).

მეოთხე ცოლი ისე შეირთო ჯეგე ბიძიამ, დანარჩენი სამი – ცოლყოფილი დღემდე ფიცულობდა მის მზეს. ვით ახერხებდა ამას ჯეგე ჯიჯი – მისი საიდუმლო იყო; ყველა ყველა და მიტოვებული ქალის შურისგებას, ან თუ გნებავთ წყევლა-კრულვას თუ ლანძღვა-გინებას გადაურჩე, მართლაც რომ ჯეგე ჯიბუტად უნდა დაიბადო.

რბილი, დახვეწილი მოძრაობა ჰქონდა, ქვეშ-ქვეშა გამოხედვა, კრიალა, ნათელი ღიმილი და მოზომილი სიტყვა-პასუხი. ბრგე, ახოვან, მწვანეთვალება ვაჟკაცს ისე მსუბუქად დაჰქონდა ტანი, თითქოს მიწას არც ეკარებაო.

მუდამ სუფთად, კოხტად ჩაცმულ-დახურული იყო. დიარაზე ყელს რომ მოიღერებდა, ლამის ცის კოჭიმელს უწევდა მისი პირველი ხმა. საუბრის დროს ლამაზ თითებს ისე ალერსიანად მოგიცაცუნებდა მკლავზე, ისე მოგელამუნებოდა და მოგელაციცებოდა თვალებით, რომ როგორი გაჯავრებულიც არ უნდა ყოფილიყავ, ცვილივით რბილი და კეთილმოსურნე ხდებოდი; იმგვარი შემპარავი ქათინაურების და თავაზიანობის ბადეში გაგხვევდა,– ივიწყებდი უნებლიეთ ყოველგვარ უსიამოვნებასა და საწუხარს, სიძულვილს და მტრობას, და ყოვლისმიმტევებელ კრავად ქცეულიყავ ლამის.

და თუმც თმაში ჭაღარა გამოერია, თავის თავისთვის, თავისი ბუნებახასიათისთვის არ უღალატნია, არც პეწი და სილაღე დაკლებია დღეის აქამომდე. ისევ ისე მოხდენილად დააჯირითებდა რჩეულ ბედაურს სოფლის შარა-გზებზე და ყველგან, ყველა ფანიაში სასურველ სტუმრად ითვლებოდა, რამეთუ ჯეგე ჯიბუტი უკადრისს არ იკადრებდა, იცოდა სტუმარ-მასპინძლობის და მეგობრობის, ახლობლობის, ნათესაობისა და მეზობლობის ფასი და ყადრი. ჯეგეს დანახვა სიხარულს და ხალისს იწვევდა; მისი უშრეტი, ულევი სიცოცხლისმოყვარეობა იყო ალბათ ის ჯადო, რითაც აგრერიგად ხიბლავდა გარშემომყოფთ, და აგრეთვე, ღმერთთაგან ბოძებული უზადო გარეგნობა, რაიც ძალაუნებურად იწვევდა აღტაცებას, თაყვანების გრძნობას, და... ნიჭიერება! დიახ, ნიჭიერება სიტყვის, სიმღერის, ქცევის. ყოველისფერს, რასაც იქმოდა თუ იტყოდა, ყოველისფერს ნიჭიერების ბეჭედი ესვა. ამადაც ჰპატიობდნენ ალბათ ბევრს რასმეს, მაშინ როს საერთოდ და საზოგადოდ – გამორჩეულობა, განსხვავებულობა – იწვევს ქვეცნობიერ, ხანაც შეუფარავ შურს და ბოღმას, ქიშპს და სიძულვილს მდაბიორთა სულებში.

იჯდა ახლა ჩემს პირდაპირ მშვიდი, წყნარი იერით, მომჩერებოდა უხმოდ თავისი წყლიანი, ფართო, მწვანე თვალებით, რომელშიც ღიმი ჩაღვროდა, გარნა ფიქრიანი და ნაღვლიანი მეჩვენებოდა რატომღაც ეს ჩუმი, იდუმალი ღიმილი:

– ახლა რომ გიყურებდი, მომეჩვენა, თითქოს დედაშენი მეჯდა წინ და ზუსტად შენი თვალებით, შენი უდრტვინველი სიმშვიდით და მოთმინებით შემომცქეროდა... ლამის მოგმართე კიდეც „მზეხა, მომისმინე-მეთქი“, – სევდა ისმოდა ჯეგე ბიძიას ხმაში, სევდა ილანდებოდა თვალთა და ხმის კილოში. ფიქრიანად, თითქოს თავისთვის უბნობდა ჯეგე ჯიჯი: – ერთადერთი არსება, საცოდავი დედაჩემის შემდეგ, ვისაც ნამდვილად, უსაზღვროდ და გულწრფელად ვუყვარვარ – ყველა ჩემი ცოდვის, უკეთური საქციელისა თუ ავი თვისების მიუხედავად, ჩემი დაიაა. საერთოდ, ხშირად მიფიქრია, ჩემო შოუ, და გავვოცებულვარ კიდეც ჩვენი დების – ოშორელ ქალთა ამ ესოდენ თავგანწირული სიყვარულის რაობის გამო... ბევრი სხვადასხვა ჯურის დიაცებს ვიცნობ, მარა ჩვენიანთ რომ სიყვარული ძალუძთ ... სულ ერთია – იქნება ეს დედაშვილური, და-ძმური, ცოლქმრული თუ მეგობრული სიყვარული – თქმა არ უნდა, გამონაკლისს არ ვგულისხმობ... – არსად შეხვედრია! ამგვარივე ძალის სიძულვილიც შეუძლიათ – სიყვარულის ტოლფარდი და თანასწორი! – ერთხანს იყუჩა.

– ხო, იმის თქმა მინდოდა, ჩემო ზისნახე...[1]

ვაკონა იცი შენ... ბედშავი ძოკის ძე? ერთი ყოვლად უწყინარი, ჩუმი, წყნარი, ბეჩავი და მოხანდე კაცია. ჰოდა, ამწინეებზე, ბერდოს ქორწილში ცოტა ნასვამი რომ იყო, წამოუხტა თურმე პოლიევქტ დორიელს. შენო, გგონია აღარ მახსოვს, რა ფანდებით და რა ხერხით წამგლიჯე მიწის ნაკვეთიო? გგონია, დამავიწყდა ყველაფერი? ჰაი, შე გუშინ ჩამოთესლილო ნაბიჭვაროო. მაპატიე, შოუ, ისეთი რამეები უძახა თურმე, ყველანი გაკვირდნენ. შეჰყვნენ-შემოჰყვნენ. პოლიევქტმა ხელი გაარტყა ვაკონას და ვაკონა – ეს ყოვლად უწყინარი კაცი, ეცა დორიელს ყორყში და ახრჩობდა. პოლიევქტს თანამოძმენი წამოეშველნენ. აირია დიარა. ვინ ვის ურტყამდა, ვერაფერს გაარკვევდი თურმე. რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერ ცნობდა, ვიღაცამ სატევარი იძრო. მამას გვიკლავენო, მოვარდა ვაკონას ქალ-ვაჟი: ეცნენ დორიელებს სატევარმომარჯვებულნი. ერთი მძიმედ დაუჭრიათ. ვაკონა კი ისეა თურმე გალახული, არავინ უწყის, გადარჩება თუ არა. გაუბედურდა ვაკონას მახორობა[2]. რაც მთავარია, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ თანასოფლელნი. რომ გადარჩეს ვაკონა, რაღაა აწი მისი სიცოცხლე? სამუდამოდ გაიფუჭა ურთიერთობა მოსულებთან... ეს კიდევ მარტო მას კი არა, მის შვილებსაც და შვილთაშვილებსაც ძვირად დაუჯდებათ; რა დღეს, რა ხვალ მოსულნი იმასაც წაღლიტავენ, რაც კიდევ შემორჩენიათ, რადგან ასეა თუ ისეა, მათ ხელშია ახლა, ჩემო მშვენიერო დისწულო,

[1] მზეთუნახავი.

[2] ოჯახი.

მთელი ჩვენი კუნძული. ისინი განაგებენ მის მკვიდრთა სვე-ბედს – ჩვენ-და სამწუხაროდ და სავალალოდ!..

ჯეგე ბიძია კვლავ დადუმდა. კარგა ხნის მერე, ისევ ამეტყველდა:

– მაპატიე, ჩემო შოუ, მარა... აი, რა ნაყოფი გამოიღო შენმა შეგონებებმა, ხელი გაანძრიეთ, ნუ დაგიღუნიათ მორჩილად ქედიო. გაუბედურდა სამუდამოდ ვაკონას ფანია, მისი ძე-თური... ძალა აღმართსა ხნავსო, ნათქვამია, და როცა დათვი მოგერევა, ბაბა დაუძახეო. როცა თავს ზევით ძალა აღარ არის, რა უნდა ქნა? იცოცხლე, კარგი იყო ჩვენი მამა-პაპა თავიდანვე ფხიზლად და მარჯვედ დახვედროდა ამ ვითომ მიამიტ და წრფელ მაწანწალებს – შეფარულ ავაზაკებსა და მტაცებლებს, რომელთაც ვირეშმაკობითა და ცბიერებით აჯობეს და მოაღორეს ჩვენი დოყლაპია, დროსტარებას გადაყოლილი მეფე-დედოფალნი და მათი წამბაძველი ერი, მაგრამ ახლა რაღა დროსია თითზე კბენანი?

გავიგე, რომ შენ განგიზრახავს თურმე გადავიწყებული ჩვენი ანბანი შეასწავლო ბავშვებს, გადავიწყებული ჩვენი სიტყვიერება აღადგინო. დიდებული სურვილია, ჩინებული განზრახვაა, ჩემო კარგო, მაგრამა... ვინ ამოგიდგება მხარში? ოშორელებს უკვე თითქმის აღარაფერი შერჩათ საკუთარი: არც ღმერთები, არც მამაპაპური წეს-ჩვეულები, აღარც საკუთარი ენა. გარეგნობით თუ იცნობ კიდევ ჩვენებურს, ხოლო უზნეობით – გადააჭარბეს კიდეც მოსულთ. ვინ იყო გარეული შენზე თავდასხმაში? ორი ჩვენებური, ოშორელი არ აღმოჩნდა განა?

– შენ გინდოდა გეთქვა ალბათ ჯიჯი, ყოფილი ოშორელნი-თქო... – ჩამოვართვი სიტყვა.

– მით უმეტეს! რა უნდა გააწყო ასეთ კათასთან, ჩემო მშვენირო? მარტოკა რას შეძლებ? თუნდაც შოუ იყო, ბჟალახე? იცი, შენმა ძმამ და უცხო ტომელმა რძალმა რა ბრძანა, შენს ზურგს უკან: რა საჭიროა, რაში გამოადგებათო ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ენა და ანბანი იმ ტომისა, ვინც უნდა გადაშენდეს და გაქრესო? ჩვენს სოფელშიც კი იშვიათად მეტყველებენო ამ ენაზე. სხვაგან, მით უფრო, რაში დასჭირდებათო იგი! გაიგე, შოუ? რაში დასჭირდებათ, რაში გამოადგებათო! გამოდგომაზეა დღეს საუბარი, და არა ოშორულ ღირსებასა და თავმოყვარეობაზე.

გამოგადგება კაცი? – გამოიყენე. არ გამოგადგება – რაში გენაღვლება: თავში ქვა უხლია, თუ გინდა. გამოგადგება სხვათა ენა – გამოიყენე, თუნდაც შენი, საკუთარის საზიანოდ. მთავარია: გამოგადგეს... შენდა საკეთილდღეოდ!

თქვენთან ვიყავი ამწინეებზე. დარბაისელი მამაშენი დასაბმელი დამიხვდა: ბრდღვინავდა გაალმასებული, ცეცხლს ყრიდა პირიდან. ამაოდ აწყნარებდა ჩემი სათნო დაია. მამაშენი ყველაფერს მას აბრალებდა:

ჩემს საკუთარ მახორობაში ჩემს მშობლიურ ენაზე ხმა ვერ დამიძრავს. ჩემს შვილიშვილებს ოშორულად ვეზრახები, ისინი კი – სხვა ენაზე მეჟღურტულებიანო. შენი ბრალია ესო. ბიჭებს სხვა გვარ-ტომის ცოლები რომ მოჰყავდათ, შენ ეფოფრებოდიო. სიყვარულს რა ძალა დაუდგება წინ? მთავარია კაცობა, თვარა რა მნიშვნელობა აქვსო ოშორელი იქნება თუ სხვა ტომელიო. აი, დასტკბით აწი. სიჭრელეს ნოღისას ანდა ნავსადგურისას აიტანს კაცი, მაგრამა საკუთარი ფანიის სიჭრელეს რაფერ უნდა გაუძლოო. ტურა რომ ტურაა, მელაზე არ დაქორწინდება მისდღემში, თუმცა კი ორთავე მხეცთა ჯილაგს ეკუთვნისო. მით უფრო, მართებს კაცთა მოდგმას გაუფრთხილდესო თავის ჯიშს. მასე რომ სულერთი გახდა ჩვენთვის ჯიშის რაობა, იმადაც მივედითო გადაგვარების პირზე. მოკლედ რომ ვთქვა, დიდხანს ბორგავდა და შფოთავდა მამაშენი. მზეხა კი, ყელგამოწევით ემუდარებოდა, გაჩუმდი, კაცო, რძლებმა არ გაიგონონო. გაიგონონ მემრე. მით უკეთესიო, მეყო, რაიც აქამომდე ვითმინეო. კი ამბობდა ამას, მაგრამა მაინც, თავისდაუნებლიეთ ხმას დაბლა უწევდა. ასეა, ბაბასქუა, საქმე... – ჯიჯი გაჩუმდა და თუმც ტაბლაზე კვლავინდებურად აკაკუნებდა თითებს, თან იმფერი დაკვირვებული მზერით მიცქერდა, თითქოს საგულდაგულოდ სწავლობსო ჩემი სახის ნაკვთებს, მაგრამ სინამდვილეში, ვატყობდი, ფრიად შორს რომ იყო ამწუთას ჩემგან და ამ სენაკიდანაც. მერმე დაბალი, ჩუმი ხმით წამოიწყო ისევ, ვითომც თავის გუნებაში ედავებაო ვიღაც უჩინარ არსებას:

– ეგება, აიაიელთა ძველი ცოდვების გამო ნეტარ ღმერთებს ჯერაც არ დასცხრომიათ რისხვა ჩვენი მოდგმის მიმართ?.. ანდა... ნამეტნავად ჭარბად ხომ არ ვიყენებთ ათასგვარ სათაკილო და უღირს საშუალებას იმის დასაბრუნებლად, რაიც დავკარგეთ? ანუ... ვერა და ვეღარ შევლევივართ მაძღარს, კმაყოფილს, ლაღ ცხოვრებას, თუმცაღა უკვდავთა ნებით, საფანელი გამოგვეცალა საამისოდ? ეგება... სამართლიანად დავიმსახურეთ ის ხვედრი, რაც განგვიმზადეს ცის ბინადართა?.. ან ეგება... სამართლიანობისა და უსამართლობის ჩვენეული, კაცობრივი საწყაოთი აწონილ-აზომილი სიმართლით ხელი არ მიგვიწვდება უკვდავთა სამართალზე, ისე, ვითარცა გონმიუწვდომელია ჩვენთვის სამყაროს საიდუმლოება?.. რას იტყვი ამაზე შენ, ჩემო შოუ?

არასდროს მომისმენია სხვა დროს ჯეგე ბიძიასგან ამგვარი მსჯელობა. იგი ერთობ რბილი, ერთობ ფრთხილი კილოთი წარმოთქვამდა სიტყვებს, თვალები კი უფრო მეტს მეტყველებდნენ, ვიდრე ენა. და მე დამცეცხლა არა იმდენად მისმა სიტყვებმა, რამდენადაც ბიძაჩემის შეფარულმა შეშფოთებამ და წუხილმა. ერთი შეხედვით დარდიმანდი, უზრუნველი, ქარაფშუტა ჯეგე ჯიჯი, ყველაფერს გარდა, ჩემს გამო დარ-

დობდა, ჩემი მომავალი სვე-ბედი აგდებდა საგონებელში...

რაც დრო გადიოდა, მეტად და მეტად მიპყრობდა სასოწარკვეთილების გრძნობა. არადა... არც სხვანაირად შემეძლო ცხოვრება!

ვერა. ვეღარ შევძლებდი განვრიდებოდი თანამოძმეთა წუხილ-სატკივარს. ვეღარ ჩავიკეტებოდი სენაკში და მარტოოდენ ჩემი სულის ხსნისა და გადარჩენისთვის ვეღარ აღვავლენდი ღვთაებისადმი ლოცვა-ვედრებას. ვეღარ დარჩებოდი მარტოდენ მახვამური.

გულს მიწყლავდა და სულს მიწეწავდა წინაპართა აჩრდილების კივილი მიღმიერი სამყაროდან. ვეღარ ამეტანა გულმშვიდად მამა-პაპათა საფლავების გადათხრა და მათი ძვლების ფრიალ-ფრიალი! ვეღარ დამეხუჭა თვალი და ვეღარ დამეხშო ყური ყოველივე ამის თვითმხილველსა და თვითმოწამეს! ვერა, ვეღარ შევრიგებოდი ჩემი გვარ-ტომის უბადო ხვედრს, თუნდაც უკვდავ ღმერთთაგან დასაზღვრულს – ჩვენთა ცოდვათა გამო!

გარნა ვუწყოდი კარგად, რა ღირსებანიც გააჩნდა აიას ბედკრულ შთამომავალთ – ყველა იმ მანკიერებათა და ნაკლთა თვინიერ! – უმთავრესი – შეწყალების გრძნობა გახლდათ ყოველი გაჭირვებულის და შევიწროებულის მიმართ, რა რჯულისაც არ უნდა ყოფილიყო იგი! და... უანგარო თავგამოდება!

ესეც რომ არა, აღარ შემწევდა ძალი, მშვიდად მემზირა, თუნდაც ცოდვით დამძიმებულ თვისტომთა გაქრობის შემზარავი სურათისათვის და აღარაფერი მეღონა, შეძლებისდაგვარად ხელი არ გამენძრია მათ მისაშველებლად. მით უმეტეს, რომ ვითარცა ნამდვილი ოშორელი, პატარაობიდანვე მარადის ჩაგრულთა, ვნებულთა და სნეულთა მხარეზე ვიყავ მთელი ჩემი არსებით, ვინც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რა გვარტომისანი.

უსამართლოდ დაჩაგრულთა მიმართ სიბრალულის და თანალმობის გრძნობა თანდაყოლილი გახლდათ-მეთქი ჩემთვის, გადმოცემული სისხლით და არა შეძენილ-შეთვისებული ცხოვრებისეული გამოცდილებით თუ გონისმიერი მონდომებით. ხოლო ახლა, ვითარცა ვთქვი, თვით თვისტომნი ჩემნი, მარტოოდენ დაჩაგრულ-შეიწრებულნი კი არა, სასიკვდილოდ იყვნენ გადაგებულნი.

ვერა, ვეღარ შევგუებოდი-მეთქი ამ აზრს. ვერა, ვეღარ ავიფარებდი გულგრილობისა და აუმღვრეველი სიმშვიდი ნიღაბს – ღრმად განსწავლულ, გონდაუნჯებულ ბრძენთ რომ სჩვევიათ, რომელნიც გაუვალ წყვდიადსა და უკუნს, სამყაროს უსასრულობასა და მარადისობას რომ ჭვრეტენ – ჩვენამდე რომ არსებობდა და ჩვენს შემდგომაც რომ იარსებებს მარადჟამს, მარადისობას, ვისთვისაც სულ ერთია, ვინ ხარ, სადაური,

დედამიწის რომელ კუნჭულ-ალაგში დაიბადე, კაცთა მოდგმის რომელ ნათესავს განეკუთვნები; – რომლისთვისაც არა აქვს მნიშვნელობა მიწის შვილთა ყოფიერებას საერთოდ და ქვეყნიერებისას საზოგადოდ – პირმეტყველთა ამ არარაობით დათრგუნვილნი, მორჩილად იდრეკენ ქედს, და თვინიერად, უდრტვინველად ეძლევიან სწრაფწარმავალი დრო-ჟამის მდინარებას, რამეთუ კაცთა სიცოცხლე – მალემსხვრევადი და წუთიერია და ამადაც, არ ღირს ამ მიწის მღილთათვის თავის ატკივება, ფიქრი და ზრუნვაო.

მაშ, რაღა დამრჩენია მე, ვითარცა ერთ ამ მიწისშვილთაგანს? რას ვაქნევ ჩემს უმაქნის, უსარგებლო და ფუჭ სიცოცხლეს, უკეთუ ამაოა ყოველისფერი? უკეთუ სიკეთე შობს ბოროტებას? ანდა რაღაა სიკეთე ბოლოს და ბოლოს?

მართალია ჯეგე ჯიჯი! ის, რაიც სიკეთე ჰგონია ერთს, მეორისთვის შესაძლოა უბედურება იყოს მხოლოდ. მაშ, ვით მოვძებნოთ ის ერთადერთი სწორი, უტყუარი და მართებული საზომი? ის ერთადერთი სწორი საწყაო?

ვერა. ვეღარ აღმედგინა ჯეგე ჯიბუტის სტუმრობის შემდეგ წონასწორობა. ვერა, ვეღარ მომეძებნა გამართლება ჩემი არსებობისთვის, რამეთუ სრული არარაობა ვჩანვარ უზენაესის წინაშე ჩემი ქმუნვითაც, ურვითაც და გნებავთ, სიხარულითაც.

ჯეგე ჯიჯი ალბათ ვერც წარმოიდგენდა ოდესმე, რამხელა ლახვარი ჩამცა გულში მისმა სიტყვებმა, მისდაუნებურადვე!

სულის ამ დაუსრულებელი შფოთვა-წრიალის ჟამს ხსოვნის ფსკერიდან უცაბედად ამომიტივტივდა აწ თითქოს გადავიწყებული, ან ეგების სულაც განგებ მიჩქმალულ-მიმალული, დავიწყების ნავლმიყრილი ხილვა თუ სიზმარ-სიცხადე – დიდი ხნის წინ განცდილი, გარნა ახლა ცხოველი სიმკვეთრით და მკაფიოდ გაცოცხლებული.

მოწიფული გოგო ვიყავ მაშინ, მამაჩემმა – ბჟათას ყოფილმა მახვამურმა რომ წამიიყვანა ერთ უდაბურ ალაგას; უნდა გაჩვენოო იმგვარი რამ, რისი უნახაობაც შენგან არ ეგებისო. მამა გახლდათ ის კაცი ჩემთვის, ვისთანაც თვინიერ სისხლის მიერი ნათესაობისა, სულიერ მახლობლობას რომ ვგრძნობდი იმთავითვე.

ბევრი მატარა ხან აღმა, ხან დაღმა; ციცაბო კლდეებსა თუ ხეთა ტევრებში, ვიდრემდისინ არ აღმოვჩნდით ერთ ბექობზე, საიდანაც ვით ხელის გულზე ისე გადამეშალა უჩვეულო, გასაოცარი სურათი. წამით თითქოს გული გამიჩერდა. გავქვავდი.

ძირს, სამი მხრიდან მთებით შემოზღუდულ უშველებელ ზღვისპირა დაბლობზე გადაჭიმული იყო ნახანძრალი, ნაოხარი ნოღა, შუაზე მდინა-

რის ფართო ზოლით გადაჭრილი.

ნანგრევნი... ნანგრევნი... მარმარილოს სვეტთა თუ ბურჯთა ვეება ნატეხნი... ქვათა ნაგლეჯ-ნაფლეთნი... ქანდაკთა, ბჭეთა თუ საკურთხეველთა ნამსხვრევნი... დალეწილი კარნი ძვალთშესალაგთა... მიყრილ-მოყრილი ჩონჩხები მიცვალებულთა – აკლდამათა ნერჩზე.

... დავლასლასებდით იმ იავარქმნილ, ნაპარტახალ ქალაქში უთავბოლოდ, აზრშერყეული, გულშეძრული და თითქოს უსასრულო შორეთიდან ჩამესმოდა მამაჩემის მოგუდული, ბოღმისა და ტკივილისგან ჩახლეჩილ-ჩახრინწული ხმა.

ესო, ჩვენი, ოშორელთ ყოფილი დედა-ქალაქიაო, აქო, ჩვენი მეფე-დედოფალთა სამყოფელი იყოო; იგიო, ღვთაებათა ჩვენთა წმინდა სამლოცველო ალაგს წარმოადგენდაო, აწ უკვე მიწასთან გასწორებულს და გაცამტვერებულს ჩვენთა მტერთა მიერო.

აქო, ოდესღაც ჩქეფთა და დუღდაო ცხოვრება ოშორელთა გვარტომისო, აქო, ამ დიდებულ და ჭრელ ნოღაში უშორესი ქვეყნიდან მოეშურებოდნენო გემთა ქარავნები წყება-წყებად, დატვირთულნი სხვადასხვაგვარი საქონლით, და აქედანვე გაჰქონდათო უთვალავი სიმდიდრე და განძეულობა. ნოღაში სხვადასხვა ჯურის, სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე თესლტომი ცხოვრობდაო და ყოველ მათგანს თავთავისი უბანი ჰქონდაო იმთავითვე. გადიოდა დრო და თანდათან უფრო და უფრო იზრდებოდა და მშვენდებოდაო გერგეთა – ოშორელთ დედაქალაქი და ამავდროულად, იზრდებოდა და მრავლდებოდაო რიცხვი უცხოტომელთა, რომელთაც დროთა ვითარებაში ემატებოდათ შეფარული შური, სიხარბე, ბოღმა და სიძულვილი ოშორის მკვიდრთა მიმართო.

გარნა ჩემამდე უკვე ვეღარ აღწევდა ნაუბარი მამაჩემისა. უსაშველოდ გაფართოებულ ჩემს გუგათა წინ, ვითარცა ცხადში, ხელშესახები სიცხადით წამომართულიყო იმდროინდელი გერგეთა და თვალნათლივ აღვიქვამდი ბრწყინვალებას და დიდებულებას მისას და... დაქცევის საშინელებასაც.

...ვეებერთელა, თეთრი სასახლე – გაბრდღვიალებულ-გაჩახჩახებული უთვალავი სანათურებით, კვარებით, მაშუქებით თუ კანდელებით – ძილისთვის ემზადება. საკურთხევლებთან ქურუმნი და დოხორეს ბინადარნი აღავლენენ ლოცვას ღვთაების მიმართ. იწვიან სანთლები და მურის საამო ნელსურნელებასაც შევიგრძნობ აშკარად, ცხადლივ.

ბრწყინვალე ხელმწიფე არგი – არდიანთა უძველესი თიიდან და დედოფალი ნათელი ანთიანთა უძველესივე თურიდან, – საძილე სენაკისკენ მიემართებიან. დოხორეში ერთი-მეორეს მიყოლებით ქრება შუქი და სენაკებში ისადგურებს სიბნელე. მხოლოდ აქა-იქღა ბჟუტავენ სასახლის მცველთა მაშუქნი.

გარეთ კი... ქარ-ბორიას გააქვს გრიალი. გამგელებული ასკდება იგი სახურავებს და კარ-სარკმელთ. ზოგან დიდრონ ხეებს თხრის ძირ-ფესვიანად, ზოგან-ბუჩქებს და ყვავილნართ. თითქოს ალქაჯთა და ეშმაკთა, მზაკვართა და ავსულთა ურიცხვი ლაშქარი მოდებია მთელ ნოღას ღრიანცელით, ზათქით და ზარით, და უპირებენ აღგვას პირისაგან მიწისა სახელგანთქმულ გერგეთას, რათა სამარადჟამოდ მოისპოს სახსენებელი მისი.

ხოლო ვერაგი და ცბიერი მტერი – მოყვრის ქურქით შემოპარულ-შემოხიზნული, სულგანაბული ელოდება ჟამს სანეტაროს, ზურგში რომ ჩასცეს მახვილი მუხანათურად.

და აი, დგება ეს ჟამიც – ნანატრი მტრისათვის და ავბედითი – ოშორელთა დედაქალაქისათვის და მისთა მკვიდრთათვის.

... გასუსულან ავისმზრახველნი, სულს იპარავენ. ცხადად ვარჩევ სასახლის სხვადასხვა კუნჭულ-ალაგებში მიმალულ და მიყუჟულთა ბოროტ სახეებს, სიავის მოლოდინით მოწკურულ თვალებს, აკაწკაწებულ კბილებს.

მოუთმენელი წადიერებით ელოდებიან იმ წამისწამს, როს მეორედ იყივლებს მამალი.

საბედისწერო ღამე დგება გერგეთასთვის და ყოველთა ოშრელთათვის.

აი, იყივლა კიდეც მამალმა მეორედ და... გასრიალდა, ვითარცა ქვეწარმავალი, ლანდი დოხორის ერთი კუთხიდან – მეორისკენ. მას უჩუმრად ფეხაკრეფით მიჰყვება მეორე, მესამე... მალულად, უხმაუროდ ფუთფუთებენ ხან აქ, ხან იქ და აი... ცეცხლის ალი აბრიალდა ერთგან, მეორეგან... ცოტაც და ბირბილებს ხანძარი. ცეცხლის ბოლში ეხვევა მთელი სასახლე და მის შორიახლოს განლაგებული წარჩინებულთა დოხორენი.

ქარი კი მძვინვარებს ისევ ისე და უმოწყალოდ, ულმობლად ფანტავს ირგვლივ ცეცხლის ნაპერწკალთ. დათარეშობს ავსული ქარი და გულმოდგინედ აღვივებს ახალ-ახალ კერათ კოცონთა, მარჯვედ მართავს ქარ-ბორია წინასწარ მოფიქრებულად, ერთდროულად ანთებულ ხანძრებს და მარჯვედვე სპობს და ანადგურებს ოშორელ თაობათა მიერ ათასწლეულობით ნაღვაწს და ნაშრომს, სათუთად ნალოლიავებსა და ნარუდუნევს.

იწვის გერგეთა – უწმინდესი და სათაყვანო ალაგი ოშორელთ ნათესავის.

კვამლი აღვიძებს მეფე-დედოფალს. შეთქმულებს გადარჩენილმა

ერთ-ერთმა მცველმა ეს-ესაა შეგლიჯა კარი ავისმაცნედ საძინებელ სენაკში ხელმწიფისა, გარნა უკვე ფეხზე არიან მეფე-დედოფალი. დედოფალი შეშფოთებული გარბის უფლისწულთა თვალისკენ. მას ფეხდაფეხ მისდევს მეუღლე, გარნა ბოლი სუნთქვას უხშობთ განწირულებს, წკვარამში ვეღარ აგნებენ გზას, ეცემიან, დგებიან, ფორთხავენ...

– გვიშველეთ! – ხავის დედოფალი ძალაგამოცლილი.

– გვიშველეთ! – უხმობს მცველთ ხელმწიფე სასომიხდილი.

– უშველეთ! – უსიტყვოდ კივის მთელი არსება ჩემი. კივიან თვალები ჩემი, ხორხი ჩემი, გული ჩემი.

– უშველეთ! უშველეთ! უშველეთ!..

მაგრამ... ვაგლახ! ამაოა ყოველივე. ვაგლახ! უკვე აღარ ძალუძს არავის შველა მათი! ვაგლახ! გაწირა ისინი წერა-მწერალმა! გამოტანილია მსჯავრი საბოლოო!

ბრიალებს სასახლე – უზარმაზარი კელაპტარი. იწვის და იფერფლება ოშორელთა საამაყო და სასახელო დედაქალაქი – გერგეთა!

ხაფანგში მომწყვდეული ნადირივით, შეშლილი სახეებით აწყდებიან აქეთ-იქით გერგეთელნი.

კივილ-წივილი, მოთქმა-გოდება განწირულ ბავშვთა, დიაცთა, ბებერთა, ძველთა და ახალთა – აყრუებს ყურთასმენას. იწვის უცხოთესლთა უბნებიც, რამეთუ ცეცხლმა და ქარ-ბორბალამ აღარაც ისინი დაინდო – ვეღარ გამოზომეს, ვეღარ გაითვალიწინეს ყოველი ავისმზრახველთა და... ბოროტების წილ მათაც ბოროტება მიეზღოთ!

...ცისკრისას, ნავსაყუდელში ჩუმად შემოპარულ, წინასწარ გაფრთხილებულ ხომალდთაგან გადმომსხდარ მეომართა რაზმები მიეშურებიან დედაქალაქისკენ, რათა საბოლოოდ მოუღონ ბოლო ცოცხლად გადარჩენილ მის მკვიდრთ.

ცისკრისას, ქარ-ბორბალა, ავნამოქმედარით თვისით თითქოს გულმოჯერებული, – ჩაცხრა, ჩაწყნარდა.

თენდება ღრუბლიანი, ნისლიანი, შავი დილა გერგეთელთათვის, რომელთაც წინ ელოდებათ უბედურება იმგვარი, ოდეს სანატრელი გაუხდებათ ცეცხლისგან სიკვდილი.

და... იწყება!

იწყება ჩეხვა, კუწვა, მუსრვა, ქელვა დედათა, ჩვილთა, ყრმათა, მოხუცთა, დავრდომილთა, სუსტთა, უძლურთა.

ხოცვა-ჟლეტა სასტიკი, უწყალო, ულმობელი. მძვინვარება და კბილთა ღრჭენა, ბრდღვინვა და ქშენა გაასპიტებულთა, პირზე დორბლმომდგართა: ჩახა-ჩუხი, ხათქა-ხუთქი, ჟღარუნ-ჟღრიალი აბჯარ-იარაღთა.

თვალნალივ ვხედავ ამას ყოველივეს, რამეთუ... თანადროული ვარ თითქოსამამბავთა, მოწმედ ათვითმხილველი საზარელ სურათთა. ოღონდაც მე თავად-უჩინარი გახლავართ, შეუვალი და უვნებელი მტერთაგან.

... შორეთიდან, უსაზღვრო შორეთიდან და ამავედროულად უახლოესი სამზერიდან ვუყურებ თითქოს ყოველისფერს ამას.

მწადიან: გადავეშვა ამ სისხლიან ორომტრიალში, გარნა... ადგილიდან ვერ ვიძვრი: მსურს თვალნი მაინც დავხუჭო, რომ აღარ ვიხილო სურათი საშინელი, გარნა ძალა აღარ მომდევს. ეგების დავიცო სასმენელნი ჩემნი-აღარ ძალმიძს ეგეც – არ მემორჩილებიან ხელები.

ღონეწართმეულს რაღაც ძალა – ჩემს ნება-სურვილზე ძლიერი – მაკავებს ადგილზე და თითქოს ხელფეხშეკრულს, არ მაძლევს განძრევის საშუალებას.

არა. არ უნდა გატოკდე! არა. არ უნდა დაწკურო თვალნი და ყურნი აღარ დაიხშო, ვითარმედ: სახილველია შენდა მიწის შვილთა კაცთამოდგმის სიმხეცე, გულქვაობა და მტარვალობა ეგოდენი, სისხლით თრობა ბორგნეულთა!

გადმოკარკლული თვალნი. ღრანჭნი მოქცეულნი. ყიჟინა ველური. შუბთა ძგერება. მახვილთ კვეთება.

ა, აახ!

ჩვილთა და ყრმათა დანთხეული ტვინი ქვაფენილებზე, თავები – მიხლილი ბოძებსა და ხანძრისგან გარუჯულ კედლებზე! გამოშიგნული სხეულნი, გათელილ-შებილწული ულამაზესნი ასულნი და ასო-ასოდ აქნილი თოთო ბავშვნი, წიწილასავით წაწყვეტილი თავები ბალღთა. დახლეჩილ-დაკუწული მკლავნი და ფერხნი. ცხელი სისხლი – ოხშივარადენილი! სისხლით მოთხვრილი ლაშები...

დია-უფალო!.. ნუთუ შესაძლოა მდედრის ნაშობთაგან სიბოროტე ეგოდენი?

დია-უფალო!.. რისთვის მამზერინებ ამ სატანჯველს უსაზმნოს?

ა. აახ!

პატარა ბიჭი ჩამძვრალა სასწაულებრივად გადარჩენილ ქვევრში. უსაშველოდ გაფართოებულ თვალთა შეძრწუნებული მზერა!

რა ხდება?!

გონმიუწვდომელია ამ ცეროდენასთვის საშინელება ესე და...

განცვიფრება! უზომო, წრეგადასული განცვიფრება იპყრობს მთელს მის პაწია არსებას.

აქამომდე ხომ მხოლოდ სიყვარული, სიკეთე და ალერსი ახსოვს გარშემომყოფთა, სიყვარული და სითბო ახსოვს და ფერება – დაუსრულებელი!

ახლა კი?.. რა ხდება ახლა?

შიშისგან ენაჩავარდნილი, ზარდაცემული პატარა ბიჭი ცახცახით ეკვრის ქვევრის კედელს და... მკაფიოდ, გარკვევით ჩამესმის ყურში მისი პაწაწკინტელა გულის ფეთქვა. ოჰ, რა გამალებით ტოკავს პაწია გული, რა გამალებით!

„დია-მიშველე!“

უხმო ვედრება ასკდება ქვევრის კედლებს და... ჩემამდე აღწვს შეყოვნებული რხევით.

„დია-მიშველე!“

სისხლმოწყურებული მოძალადე მომარჯვებული შუბით დაძრწის ეზო-ეზო, ახრჩოლებულ-აბოლებულ ნანგრევებში ეძებს საკბილოს – ჯერაც ვნებადაუმცხრალი. უძღებ, ხარბ თვალებს აცეცებს, ღოჯებიანი, ღლაბო პირიდან ლეზვი გადმოდის, სისხლში გასვრილ, ბანჯგვლიან ხელებში ჩაუბღუჯავს იარაღი და გამწარებით დაშლიგინობს მსხვერპლის ძებნაში. ვინიცობაა, გაუღიმოს ბედმა და ამ გავერანებულ ნაქალაქარში შემთხვევით გადააწყდეს ვინმე სულდგმულს.

ქვევრი?

ხოხოხო! ნადავლი უცილო!

„მიშველე დია!“

ჩემს ყურის ძირთან მესმის გახშირებული სუნთქვა!

ბაღანა ქვევრში?

ხოხოხო! მადლობა ღმერთებს!

ო, დიდო ძევეს! უნდა გაწყდეს, უნდა მოისრას ჯიში ბუნების ამ ლაღ შვილთა!

უნდა გაისრისოს ჯიში — ტიტანთა სკირის!

დაქვესკნელდეს და ჩაინთქას ლუსკუმსა და ღურღუმელში ყოველი მათგანი!

ამოიძირკვოს და ამოიფესვოს მზის შვილთა სახსენებელი!

ო, ძევეს!

– არ დანდობა, არ შეწყალება ოშორელთ ჯილაგის! სიკვდილი იქედნის ნაშიერთ!

ტარტაროსში! ტარტაროსში! ტარტაროსში! — სუყველა, დაუყოვნებლივ! ამწამსვე!

„ვავა დია!“

აფართხალებული სხეული ბიჭუნასი. აფართხალებული პაწია გული...

ეგ არა!.. მე, შე მზებნელო, მე!“

ბავშვისთვის დამიზნულმა შუბის წვერმა შიგ გულში გამიარა.

...გულწასული, ხელში ატატებული ვეტარებინე თურმე მამას მთელი

გზა ჩვენს ოხორემდე. ერთი თვე, ცნობამიხდილი ამ საშინელი ხილვით, ვბორგავდი სარეცელზე და უკვე არავის რომ არ ეგონა ჩემი მორჩენა... გამოვბრუნდი, პირი სააქაოსკენ ვქენი!

...ჯეგე ჯიბუტის სტუმრობამ თითქმის ამგვარივე ლახვარი ჩამცა გულში. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მეუფე უტასთან – ას წელს გადაცილებულ მოწმინდართან აველ მთის ერთ მივარდნილ გამოქვაბულში, სადაც განდეგილ ბერიკაცთან თავს იყრიდნენ ხოლმე ოშორელი ზიარებულნი საიდუმლო ღვთისმსახურების ჩასატარებლად და სადაც ადრე რამდენიმეჯერ მეც მიმიღია მონაწილეობა, გარნა ამჯერად დიდი ვერაფერიშვილი ნუგეში მომიტანა ამ შეხვედრამ. პირუკუ: ბჟათაში დაბრუნებულს, უფრო გამიმძაფრდა და აშკარად გამომეკვეთა უიმედობის, მიუსაფარობისა და განწირულობის შეგრძნება.

... ახლა, დროის ამ სიშორიდან უკეთ მესმის და უკეთ შევიცნობ მაშინდელ ჩემს გუნება-განწყობილების მიზეზ-სათავეს, რაიც უპირატესად მაინც ასაკით, ყმაწვილქალობით იყო უთუოდ განპირობებული.

მეუფე უტა მეზრახებოდა, ყოველი თესლტომი, ძე-თური ყოველი, ზეციური არსთა გამრიგის განჩინებით ევლინებაო ამ ქვეყნიერებას და მისსივე ნება-სურვილით ტოვებსო მას, ამადაც გარდუვალიაო ყოველი მათგანის ხვედრი. და თუმც ასეა და უწყიან ეგე მრავალთა, მაინც დიდი თუ პატარა სახელმწიფონი თავიანთ არსებობის ქვაკუთხედად, მის საფუძველთ-საფუძვლად მიიჩნევენო ბრძოლას და ქიშპს პირველობისთვის უხანო საწუთროში. ამ ჭიდილსა და გაწევ-გამოწევაში ხან ერთი იმარჯვებსო დროებით და აღზევდებაო, ხანაც მეორე. ხან ერთი ესაძირკვლება მეორეს, ხანაც მეორე მესამეს და ასე დაუსრულებლივ. ერთნი – სხვათა ბალავარზე აღაშენებენო რინას თავისას და გრძელდებაო ჟამთა დინება ურთიერთ ცილობასა და შეხლა-შემოხლაში, ურთიერთშთანთქმისა და გადაშენება-გადაგვარების ჟინსა და წადილში. გარნა... აღმავალიაო განკაცების საფეხურნი და აღარაფერი არ იკარგებაო ამ წუთისოფელში უკვალოდ და უძიროდ: არც ერთი გვარტომის სიკეთე და მადლი, ბოროტება და სიძულვილი, ორნატი მისი, ნაღვაწ-ნაშენი მისი: მისხალ-მისხალ აღინუსხებაო ყოველივე არსთა გამრიგის მიერ.

მოდგმამ ჩვენმა, მათ შორის აიაიელთა ნაშიერთაც – ოდესღაც, უხსოვარ დროში რომ იყოო განფენილი უვრცესს მიწა-წყალზე და რომელთაც დასაბამი მისცესო სულიერ რინას მრავალთა სხვათა, აწ ადგილი უნდა დაუთმოსო, სურს თუ არა, სხვა მოდგმის, სხვა გვარტომის შთამომავალთ მანამდის, ვიდრემდის...

ჟამი, მხოლოდ ჟამი განაგებსო კაცობრიული ცხოვრების გზასავალს. ამადაც ჟამის მოწევნამდე უნაყოფოაო და აზრსმოკლებული

ქმედება ყოველი. ხოლო ჟამი როს მოიწევაო, თუნდ უშორეს მომავალში იყოსო ნაგულისხმევი იგი, გარდუვალად აღორძინდებაო აწ ძლეული და დამცრობილი მოდგმა ჩვენი. მოძალეთა მიერ გამოქვაბულის კლდეზე დატყვევებული და დაბორკილი სული ცხოველი – განივთებული დევგმირის სხეულში, მოვა დრო და არსთა გამრიგის ნებით, აიწყვეტსო ჯაჭვს და მაშინ... გაბრწყინდებაო კვლავაც სახელი მისი ოდინდელი შარავანდედით, გახდებაო კვლავად ერთი უმძლავრესი დვრიტათაგანი მომავალი საკაცობრიო ყოფიერებისაო.

მანამდისინ კი?.. მანამდისინ გზა არ არისო სხვა, თვინიერ ჭირთათმენის, ლოდინისა და ლოცვა-ვედრების.

მაგრამ... ველარ მშველოდა უწინდებურად მხურვალე ლოცვა-ღაღადისი, მცირე ხნით თუ დამიამებდა გულის წყლულთ და სულის ვაებას, მცირე ხნით თუ გამიყუჩებდა სულიერ სატკივარს ჩემსას. მერმე ისევ ისე თავიდან იწყებოდა ტანჯვა, შფოთვა, გულის და ტვინის ღრღნა და თვითგვემა.

ასე ნელი-ნელ ვიწვოდი უხილავ სახმილზე და ვგრძნობდი, ცოტაც და... გაწყდებოდა ის ბეწვის ძაფი, ამ დუხჭირ, მიწიერ ყოფასთან რომ მაკავშირებდა.

მძიმე სულიერი მდგომარეობა რომ დაგისურათხატეთ ჩემი – ჯეგე ჯიჯისთან საუბრის შემდგომ, – ამით იმის თქმა მსურდა თქვენთვის ჩემო მახარიებო, რომ თავის მოკვლის სურვილი შეპირობებული იყო ყველა იმ უხილავი თუ ხილული მიზეზით, ზემორეთ რომ მოგახსენეთ.

და აი, ამ დროს... ჩემთან მოულოდნელად გამოცხადდა შიკრიკი ერთი. მაგრამ... მინამ ამ ამბავს გიამბობდეთ, ისევ მომინევს დავიხიო ათიოდე წლით უკან და გავიხსენო ის შემთხვევა, რამაც შეარყია ჩემი არსება მთლიანად და ვითარცა ყოველგვარი სულისმიერი განცდა, ეგეც შეუმჩნეველი დარჩა სხვათა თვალთათვის.

...იმ ხანად მპარაობა, ავაზაკობა, ძარცვა, კაცთა გატაცება და მონად გაყიდვა უკვე ისე მოხშირებული იყო ოშორაზე, რომ არც არავის უკვირდა და არც არავინ იყო დაზღვეული ამ უბედურებისგან. ერთი შემთხვევა, რომელიც უკვე გიამბეთ, ერთ-ერთი ჯაჭვი გახლდათ ავკაცობის იმ რგოლიდან, ოშორაზე რომ ხდებოდა და რაიც წინასწარგამიზნულ, გააზრებულ და მოფიქრებულ ბოროტმოქმედებას შეადგენდა მკვიდრი ოშორელთა მიმართა – თუმცა უნდა ვთქვა, იმ ავაზაკებმა სასჯელი კი აიცდინეს, მაგრამ მაინც ჭკუა ეყოთ და თავი გაარიდეს ჩვენს სოფელს, რამეთუ ჩემი ახლობელთა შურისძიების მაინც შეეშინდათ...

ასეთი დანაშაულობათა გვერდით თანაარსებობდა იმგვარიც, რომელზეც სწორედ ახლა უნდა გეზრახოთ...

ერთხელ... ეს იყო შემოდგომის პირზე, კარგად მახსოვს, მზე ჯერ კიდევ ძალუმად აცხუნებდა, თუმცა საღამოები გრილი იყო და ნესტიანი. ჰოდა, ერთხელ შემოდგომის ერთ მზიან დღეს ჩვენმა შორეულმა ნათესავებმა მომაკითხეს და მთხოვეს, წავყოლოდი თავიანთ დაბაში, ეგების რაიმე მეშველა თითქმის სასიკვდილოდ გადადებული ყმაწვილისათვის, რაღაც გაუგებარი და გაურკვეველი სენისაგან დღითიდღე რომ ილეოდა თურმე. დავთანხმდი, რასაკვირველია, ცხენი მომგვარეს და წამიყვანეს ილონში, ზედ ზღვის ნაპირს რომ ეკვროდა.

ყმაწვილი მართლაც მძიმე ავადმყოფი აღმოჩნდა. რაღაც მოჩვენებანი ჰქონდა და ციებ-ცხელებიანივით აძაგძაგებდა წამდაუწუმ. საუბარში ბიჭი თანდათან გამომიტყდა, რომ ტყეში ჭინკას შეეშინებინა თურმე. აქამომდე ყველას უმალავდა ამ ამბავს და პირველად მე გამიმხილა ეს საიდუმლო. შელოცვით დავუწყე მკურნალობა გაჩხიბულს.

ო, სიტყვის დიდო ძალავ! დაილოცოს შენი მადლი! კვლავ მერამდენედ ვიწამე, რა შეუძლია თურმე ენას, ამ ჯადო-თილისმას, და რამოდენა სიბრძნე და ცოდნაა თავმოყრილი ჩვენს კირბებში!

წარმოვთქვამდი ამ უძველეს, აწ თითქმის გადავიწყებულ სიტყვათ და აშკარად ვგრძნობდი მათ მომნუსხველ ზემოქმედებას. ჰოი, რა უშრეტი და ულევი ჩანდა ეს ჯადოსნური ნაკადი მარგალიტის მძივებივით ასხმულ-აკინძული! რა ხიბლი იყო ჩაღვრილი მათში!..

მალე ყმაწვილი საგრძნობლად მოკეთდა, მიმქრალ თვალებში სიცოცხლის სხივი ჩაუდგა. მერმე ბალახებისგან დამზადებული წამალი ვასვი და ბიჭი ორ დღეში ფეხზე წამოდგა.

ყმაწვილის მშობელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. უკან რომ ვბრუნდებოდი, ორი შეიარაღებული ახალგაზრდა გამომაყოლეს, რომ გზაში რაიმე ხიფათს არ გადავყროდი. მთელმა ფანიამ სოფლის ბოლომდე გამომაცილა...

გზად ნავსადგურის ბაზრობიდან მომავალი რამდენიმე ქალი და კაცი შემოგვიერთდა და ყველამ ერთად გამოვწიეთ ჩვენი ქორონისკენ.

ერთი მოკლე ხეობა უნდა გამოგვევლო. მოჩუხჩუხე ნაკადულთან გზავრებმა დასვენება გადაწყვიტეს. ხასხასა მდელოზე სწრაფად გაიშალა სახელდახელო სუფრა, უხვი ხორაგით სავსე. გაჩნდა ღვინოც და თუმცა ერთიმეორეში არეულად, უფრო მოსულთა ენაზე მეტყველებდნენ, გულღიაობა და გულითადობა ჯერაც ძველებური, ნამდვილი ოშორული შერჩენოდათ; ოშორელთა ჩვეულებისამებრ წამსვე დაუახლოვდნენ კიდეც ერთიმეორეს; აქამდე უცნობი, სხვადასხვა სქესის, ასაკის და ხელობის კათა მალე თითქმის შინაურნი გახდნენ.

მე ცოტა მოშორებით, განზე ვიჯექი, ყურადღებას და პატივისცემას

არ მაკლებდნენ თანამეინახენი, მაგრამ მათ შემყურეს გული მიკვდებოდა: ოშორული სამეტყველო ბუნებისთვის სრულიად უცხო და უჩვეულო ენაზე უბნობა ყურს სჭრიდა. საშინელი მოსასმენი იყო მათი გამოთქმა და ნაძალადევი, არაბუნებრივი კილო. სიმღერაც წამოიწყეს ცოტა შეზარხოშებულთ, მაგრამ არც ოშორული მრავალხმიანი გამოსდიოდათ და არც მოსულთა ერთხმიანი.

ამ სინანულს და გულისტკივილს ემატებოდა უცნაური ფორიაქი სულისა: თითქოს რაღაც ცუდის მოლოდინში ვიყავ, გული საფარსაგოს მითქვამდა. გამიმართლდა კიდეც წინაგრძნობა: ანაზდად მეხის დაცემასავით გაისმა გამყინავი, მჭახე შეძახილები. თვალისწამში მეკობრეთა ალყაში აღმოვჩნდით. ყველა მამაკაცს მყისვე იარაღი აყარეს და გაკოჭეს.

– ფოცხვერა! ფოცხვერას რაზმია! – დაირხა ჩურჩულით და ამ ცნობამ ცივ ჟრუანტელად დაუარათ ძარღვებში. ფოცხვერას სისასტიკე და დაუნდობლობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. განთქმული მეკობრე დროდადრო მოადგებოდა ხოლმე გემით ოშორას ნაპირს და თავზარს სცემდა არამარტო სანაპიროს, კუნძულის სიღრმეში მცხოვრებთაც. უხორცოსავით უხილავი, თვალშეუვლები და მოუხელთებელი იყო, თითქოს უჩინმაჩინის ქუდი ეხურა. ხან სად გამოჩნდებოდა და ხან სად. ვისაც ხელთ მოიგდებდა, არავის ინდობდა: დიდს თუ პატარას, ხნიერს თუ ახალგაზრდას – ყველას მონათ ყიდდა.

გულმა რეჩხი მიყო და რავარც ვიჯექი, ისევე დავრჩი ადგილზე დამბლადაცემულივით. კისრის მოტრიალებაც ვერ მომეხერხებინა: თავში აზრის ნატამალიც არ მიჭაჭანებდა. გათავდა! მორჩა! ძარღვებში სისხლგაყინულს, ყოველგვარი მოსაზრების თუ მოქმეების უნარი დამკარგვოდა, თუმცა როგორღაც უფრო უცხო მეთვალყურესავით აღვიქვამდი ყოველივე იმას, რაიც ირგვლივ ხდებოდა.

ამასობაში ერთი მძარცველი მეც მეცა. მან სწრაფად მომიფათურა ხელნი მკლავებზე, ყელ-კისერზე, თან უდიერად, უტიფრად იღრიჭებოდა. კბილი კბილს დავაჭირე.

უნდა მოვითმინო!.. უნდა მოვითმინო!..

ჩემმა გამცილებელმა ბიჭებმა მოულოდნელად გაიბრძოლეს და გასკვანჭულთ, სცადეს ჩემი გამოქომაგება:

– ამას... ხელი არ ახლოთ... ეს... მეუფე შოუა!

ჩემს მხლებელთ შოლტი უცხუნეს და უცხუნეს ზურგზე, თავ-კისერზე და ერთად შეყრილ კაცებთან მირეკეს ისევ ისე ლანძღვა-გინებით.

– ყო! მახვამურიც მოჰყვა ჩვენს ბადეს!.. დიახაც, ჩვენს ბედს აწი ძაღლიც არ დაჰყეფს! – აროხროხდა წამით შეჩერებული ახმახი მოძალადე, რომელსაც მყისვე მისცეს ბანი დანარჩენებმა.

წამიერად, წარბსქვემოდან თვალი ვკიდე ღაზლის გრძელი ნაჭრით თავწაკრულ, უჩვეულო ტანსაცმელში გამოწყობილ მეკობრეს, მარცხენა ხელს ჩემს ცხენს რომ უთათუნებდა კისერზე, მარჯვენათი კი დოინჯი შემოედგა და ზვიადი იერით უყურებდა მთელ ამ აურზაურს და ქოთქოთს. მისი სხარტად ნაგები ტანი უნებლიეთ იპყრობდა ყურადღებას და აგრეთვე ის ზიზღიანი გულციობა, რითაც უმზერდა ამ სანახაობას. ჩანდა, რომ ეს იყო ავაზაკთა მეთაური – ფოცხვერა.

როს მძარცველი კვლავ წამეტანა მკლავზე, ჩემდა უნებურადვე ფეხზე წამოვიჭერი და განრისხებულმა თვალებში შევხედე. მას ერთბაშად ხელი გაუშეშდა თითქოს. ეტყობოდა, რომ ჩემმა მზერამ ისარივით გაუარა გულში. შებარბაცდა, სახეზე მიწისფერმა გადაჰკრა.

მკვეთრი მოძრაობისგან მანიკი[1] გამეხსნა და სარტყელი ძირს დამიცურდა. თვალით მოვიძიე და ის იყო დავიხარე მის ასაღებად, რომ მეყსეულად ჩემს წინ მეკობრეთა მეთაური აღიმართა. მან ხელის კვრით განზე მიაგდო წამით დარეტიანებული ახმახი, და ელვის უსწრაფესად ჩემს სარტყელს დაწვდა, მერმე ტუჩებთან მიიტანა, მოწიწებით ეამბორა და თავდახრილმა, ორივე ხელით გამომიწოდა.

მეც უანგარიშოდ, უფიქრალად ჩამოვართვი იგი. და... ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ წამით. თითქოს გული გამიჩერდა და ირგვლივ ყოველივე წკვარამში ჩაიძირა. აღარავინ და აღარაფერი ჩანდა გარშემო ამ ორი აბრიალებული კოცონის გარდა, მეკობრის სახეზე რომ ენთო. მერმე... უცნაური, საამო სითბოს ნაკადი დაიძრა სადღაც, შიგნიდან, გულზე გადამევლო, და უცაბედად ჩემდა სავალალოდ, ვიგრძენ, ღაწვები რომ ამეფაკლა.

„ღმერთებო! ღვთაება ბჟალარავ!.. რა ხდება.. რას ნიშნავს... ყოველივე ეს?“ – თითქოს დაიკივლაო ვიღაცამ თუ რაღაცამ ჩემს არსებაში.

იგი ჩემს ხელთა მტევნებს მიწვდა ანაზდად და როცა მისი ცხელი ტუჩების შეხება ვიგრძენ ჩემს ცივ, მარმარილოსავით გაყინულ ნებებზე, უცნაურმა ჟრჟოლამ დამიარა თხემით ტერფამდე. წამით თითქოს ტანიოგში დავიშალე. მერმე... ნებისყოფის საშინელი დაძაბვით შევეცადე, თავს დავუფლებოდი, სახეზე არ გამომხატვოდა აღელვება, გარნა თავბრუდახვეულს, ღონე მომღებოდა. ძალა გამომცლოდა.

– მეუფეო შოუ! გევედრები... მომიტევე... – ენაარეული ბუტბუტებდა იგი და ისევ ისე მიკოცნიდა ხელთა ნებებს.

მეკობრეთა თავკაცი ფოცხვერა ჩემს წინ მუხლებზე დგას და პატიებას მთხოვს?.. ალბათ არა მარტო მე, სხვათაც, ვინც ამ სურათს უყურე-

[1] ბალთა.

ბდა, – თავი სიზმარში ეგონა.

გარნა... რა პატიება უნდა ფოცხვერა-მეკობრეს? რას მემუდარება ასე გულმხურვალედ – ვნებისგან მორღვეული თვალებით... ანდა... საიდან იცის ჩემი სახელი?

ორზოსავით[1] დაბნეულს და დამუნჯებულს, თანდათან დამიბრუნდა თვალთა ჩინი. ხელები წავართვი. იგი მყისვე ზეზე წამოიჭრა.

უკუდგა.

მერმე მოხდა უფრო ზღაპრული და სასწაული რამ: მისი ბრძანებით შეკოჭილთ ხელები გაუხსნეს, დაუბრუნეს წართმეული ნივთები როგორც დედაკაცებს, ისე მამაკაცებს და თვისუფლად გაუშვეს ყველანი ოთხივ კუთხით, მათ შორის, რასაკვრიველია, ჩემი მხლებელნიც. მეუფე შოუს უმადლოდეთო ამ წყალობას, – უთხრა მათ მეკობრეთა მეთაურმა, მერმე თავისი ხელით მომგვარა ცხენი, შემეშველა შეჯდომაში, თავადაც ნიავივით მოევლო თავის ლურჯას, ჩემთვის თითქოს გაუგებარ და მაინც ნაცნობ ენაზე გასცა რაღაც განკარგულებანი, მერმე მომიბრუნდა და თავდახრილმა გამომიცხადა, მე მიგაცილებო შენს ადგილსამყოფელომდე და...

აი, მე და მეკობრე ფოცხვერა მარტონი აღმოვჩნდით შარაგზაზე. ფოცხვერა მზერადახრილი, თვინიერი და მორჩილი იერით მომდევდა მოშორებით.

მზერა გულში ჩავიბრუნე. ვერა და ვერ ამეხსნა საქციელი მისი, ვერც დიდსულოვნება და სულგრძელობა ესოდენი, ვერც ეს გასაოცარი, მაღმერთებელი მზერა!

ჩემთვის უცხო და საკვირველი არ იყო თუნდაც სრულიად უცნობ პირთა თაყვანება და კრძალულება, სიყვარული და რიდი, რასაც ჩემს მიმართ იჩენდნენ. იმასაც ამბობდნენ, თითქოსდა შოუ ბჟალახეს სილამაზე უნებურად აქვავებსო სულდგმულს, განა ამ გარემოებისთვის არასოდეს მიმიქცევია ყურადღება; პირუკუ, რაღაც დანაშაულსაც კი ვგრძნობდი თითქოს, ასე რომ მოქმედებდა ვინმეზე ჩემი გარეგნობა, მაგრამ თუ ამ თავზეხელაღებულ, გულ-ბოროტ ავაზაკზეც რაიმე გავლენას მოახდენდა შოუ ზისნახე, ვითარცა ზურგს უკან და პირშიც მეძახოდნენ ხოლმე ოშორელნი, – ვერა და ვერ დამეჯერებინა. ნუთუ ეს თავაზიანი, მორიდებული კაცი ის გულმხეცი, ქედმაღალი, გაუტანელი და დაუნდობელი ფოცხვერაა, – ულმობლად, შეუბრალებლად რომ უსწორდება თურმე ყველას, ვისაც კი ხელთ მოიგდებს?

ან ნუთუ... შესაძლოა, ესოდენ სრულქმნილი აღნაგობის, ამგვარ თვალთა მქონე – იყოს ეგზომ ავი, გულქვა და ბოროტი, ვითარცა სახავდნენ მას ოშორელები? არადა, მისი მარტოოდენ სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა არა მარტო ოშორას, ახლომახლო კუნძულის მცხოვრებთაც. ფოცხვერას შურისძიების მსხვერპლნი უპირატესად მაინც ოშორელნი იყვნენ, რამეთუ ოშორელთა ყოფილ მონას მათ მიმართ პირადი მტრობა და ბოღმა ამოძრავებსო, ამბობდნენ მასზე.

მაშინ, როს ჩავთვალე, დავიღუპე-მეთქი, სწორედ მაშინ მოვიდა ხსნა და შველა და მერმე ვისგან?

ოჰ, ის მზერა... ყოველისფერმა შეიძლება მოგატყუოს, მაგრამ არა თვალებმა! ღმერთო ჩემო! ის გამოხედვა! ხელთა ის თრთოლვა!..

თავპირშებურვილი მომყვებოდა ახლა იგი საპატიო მანძილზე და ხმას არ იღებდა. მთელი გზა საყდრამდე ასე უბრად გამოვიარეთ.

საყდრისკენ ამავალი ბილიკის დასაწყისში დავქვეითდი.

ბილიკს ფეხით მინდოდა შევყოლოდი და საერთოდაც, ფეხით ვარჩევდი ხოლმე სიარულს, შიშიანობის მიუხედავად. ცხენით იშვიათად, საგანგებო შემთხევის დროს თუ ვსარგებლობდი.

ფოცხვერაც ჩამოხტა ცხენიდან და შორიახლოს შედგა მდუმარედ.

მეც გატვრინული ვიდექ ერთ ხანს და სუნთქვას ვიპარავდი. ჩემს სიცოცხლეში პირველად არ ვუწყოდი, რა მეთქვა, ან ვითარ მოვქცეულიყავ!

ბოლოს მეკობრე შეირხა. თავი ასწია:

– მეუფე შოუ!.. – ხმა ჩაუწყდა და ყელი ჩაიწმინდა. მერმე ანაზდად ხელი ჩაიყო გულის ჯიბეში და იქიდან რაღაც თხელი, ყვითელი ნაჭერი ამოიღო და გამომიწოდა:

– მეუფეო... ხომ არ ცნობთ ამ ნაჭერს?

გეზად გავხედე ჯერ მას, მერმე მის გამოშვერილ ხელს.

თვალაჭრელებულმა ვეღარ გავარჩიე, რა იყო ეს, რა ნაჭერი ეჭირა ან მე რისთვის მაჩვენებდა?

– ვეღარა ცნობ, არა, მეუფეო შოუ? აღარ გახსოვს, რამდენიმე წლის წინ... ამ ნაჭრით ერთ უბედურ, საწყალ მონას სისხლი და ჭირის ოფლი რომ მოსწმინდე?

უმალვე რაღაცამ დამკრა თავში და ტერფამდე ზრიალით ჩამიარა. მთელი ტანით შევბრუნდი მისკენ და უზომოდ გაოცებულმა, მზერა მივაწყვიტე მის ჯიქურად მომზირალ თვალებს.

ნუთუ?

– დიახ, მეუფეო შოუ... ის სასიკვდილოდ გამეტებული მონა მე გახლავართ – კოლხი ბერა – პონტოდან, ანუ... ფოცხვერა მეკობრე ამჟამად! – მწარე, გესლიანმა ღიმილმა დაუგრიხა ტუჩები. ფერწასულ სახეზე თვალნიღა კიანთობდნენ ვარსკვლავებივით. მაშ ეს ფოცხვერა...

[1] ბრინჯი.

გამახსენდა, ვით არა!.. ზაფხულის შუადღის ხვატი იდგა და მე ხეთა ჩრდილს შეფარებული, მივაბიჯებდი ორღობეში – მაშინაც სადღაც მეჩქარებოდა, ვიღაც გაჭირვებულ და სნეულთან მივეშურებოდი... უცებ რაღაც ყრუ კვნესა შემომესმა. მივიხედე. ორღობის გასწვრივ, თხრილის კიდეზე პირქვე ეგდო ნახევრად შიშველი კაცი და ყრუდ გმინავდა. მივიჭერ, სასწრაფოდ გადმოვაბრუნე, საშინლად გარუმბებული სახე სისხლით მოთხვროდა. ისეთი დაბეგვილ-დაჟეჟილი იყო, ძვალი და რბილი გაერთიანებული ჰქონდა.

მყისვე მოვახიე ნაჭერი ჩემს ყვითელ მოსასხამს, იქვე, რუს წყალში დავასველე და ფრთხილად მოვწმინდე სისხლი სახიდან, მერმე გავხსენი ჩახვია, ყოველთვის თან რომ დავატარებდი სარტყელზე ჩამოკიდებულს, ამოვიღე მალამო და სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან წავუცხე.

– ნუ იწუხებ თავს, მეუფეო შოუ! ეს ძაღლი იპოლიტე დორიელის მონაა! – მომიგდო გზად ჩავლილმა ქორონელმა. მე მხოლოდ ზიზღით გავაყოლე მას თვალი. მკვიდრმა ოშორელმაც თანდათანობით „აითვისა“, შეიგუა და შეისისხლხორცა მოსულთა ზნე-ჩვეულების უმთავრესი, ძირითადი ნიშან-თვისება: მონის ყოლა და მისი დაჩაგვრა-დაწიხლვა.

წამოდგომა ვუშველე ბიჭს. ასხლეტილი, თხელი აგებულების ყმაწვილი იყო, ხორბლისფერთმიანი. ცემისგან გადმობრუნებულ ტუჩებს იკვნეტდა, რომ არ დაეკვნესა. მხარში შევუდექ და წელზე შემოვხვიე ხელი. ფეხი გადადგა თუ არა, გმინვა აღმოხდა. უბნობის თავი არ ჰქონდა და მაინც ამოილუღლუღა მადლობის სიტყვები – ჩემით წავალ აწი, თქვენ ნუღარ შეწუხდებითო. არ დავანებე მარტოკა სიარული და ასე ბანცალ-ბანცალით, ძლივ-ძლივობით ვითარცა იქნა, მივაწიეთ მისი მფლობელის ოხორეს ოლაგემდე, მერმე დავემშვიდობე და გამოვბრუნდი.

– შენ იყავ ერთადერთი არსება, ვინც შეიბრალა... საწყალი, უღმერთოდ ნაცემი... მონა-ბიჭი, მეუფე შოუ! – ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მღელვარებაშეკიდებული ხმით მეზრახებოდა ფოცხვერა: – ის უბედური მონა კი იმად გაიზეპა ასე მაგრად, რომ გაბედა და... თვალი გაუსწორა მეზობლის პირმშვენიერ ასულს და აი... ერთ მშვენიერ დღეს, გოგონას თვალწინ მისმა ძმებმა ცემით მიმასაკლავეს... ყველაზე მწარე და მოუნელებელი ის იყო, რომ... თვალებ-მაყვალა დიანა, მათი და, მხიარულად და გულიანად, ჰო, დიახ, დიახ, გულიანად კარკაცებდა, როს... ცხვირპირდასისხლიანებულ და დაცემულს, ხელახლა წამომაყენებდნენ და ისევ ისე გამომიქანებდნენ სახეში!.. ის მონა სულ ყმაწვილი იყო მაშინ, მაგრამ მაინც კარგად ახსოვდა, ლაღი და თავისუფალი გვარტომის შვილი რომ იყო, რომელიც საბედისწერო შემთხვევამ მეკობრეებს ჩაუგდო ხელში. პონტოს ზღვის ნაპირებიდან წამოყვანილი ბოში[1] ბოლოს ოშორელ ვაჭარს მიჰყიდეს მეკობრეებმა. ბიჭს ახსოვდა ყოველი წყენა, შეურაცხყოფა, ტკენა და დამცირება, რაც მას მიაყენეს ოშორელებმა და შურისძიების წყურვილითა და ბოღმით ევსებოდა გული. და ელოდებოდა ხელსაყრელ დრო-ჟამს, რათა ჯავრი ამოეყარა. დადგა ეს ჟამიც! ბიჭმა მოახერხა ოშორადან გაქცევა. ო, ეს ცალკე მთელი თავგადასავალია, მეუფეო შოუ, საარაკო და დაუჯერებელი. ამით თავს არ შეგაწყენთ...მამა-პაპათა ღმერთები მწყალობდნენ და... გადავრჩი ხიფათს და განსაცდელს... ხოლო იმ ნაჭერს, რითაც მას ღვთაებრივმა ხელებმა სისხლი მოსწმინდეს და ამით მოუფონეს დაკოდილ გულზე, იმ ძვირფას ნაჭერს დღემუდამ გულის ჯიბით ატარებდა ყმაწვილი, ვითარცა ავგაროზს, ჯადოსნურ შანას. და როცა ჟამიდან ჟამზე დახედავდა მას, მის გაბოროტებულ, გაავებულ გულს მალამოდ ედებოდა იგი და მოაგონებდა უბედნიერეს წამებს, – ქალღმერთის სადარმა, ნორჩმა ქურუმმა რომ დაუამა არა ოდენ სხეულის, – სულის ტკივილნიც, და თუმც ამ ჯადომ ვერ შეძლო გაენელებინა მასში დაგუბებული ბოღმა და სიძულვილი, სისასტიკე და მძვინვარება, – იგი მაინც რჩებოდა სანუკვარ, საოცნებო და მარად გაუხუნარ მოგონებად, ხსოვნად საარაკო შოუსთან შეხვედრისა... მით უფრო, რომ ეს ზღაპრული სილამაზისა და სიკეთის ნორჩი ქურუმი ქალი, თუმც ცოტათი განსხვავებულ, გარნა მაინც ამ ბიჭის მშობლიურ კილო-კავზე მეტყველებდა!..

არ მახსოვს ზუსტად ასე, თუ დაახლოებით ამდაგვარად უბნობდა მაშინ ბერა, რამეთუ აქა-იქ თუ ვიჭერდი მის სიტყვათა აზრს – ისე ვიყავ ამ ბგერებით, ამ ხმის მიმოხვრით რეტდასხმული, ძლივს ვიოკებდი უცნაურ კანკალს, მთელ სხეულში რომ მივლიდა. ვერა და ვერ ამეხსნა ჩემი მღელვარების მიზეზ-სათავე, თუმც... გულახდილად რომ ვთქვა, მაშინ აღარც მქონდა რაიმეს გააზრების თავი.

თითქოს ბურანში ვიყავ. ცხენთან შეურხევლად მდგარი, უპეებდახრილი, ღონემილეული, – მთელი ჩემი არსებით მივცემოდი მეკობრის ხმის შეფარულ თრთოლვას. ეს მოცახცახე, მჟღერი ბგერები თითქოს აშკარად, დაუფარავად მეალერსებოდნენ მთელ სხეულზე... ხანაც სულის იდუმალ სიმებს არხევდნენ საამური შეხებით და... თავბრუს მახვევდნენ...

უძლური და უსუსური აღმოჩნდა ჩემი გონი წამსვე მოეშთო ეს გასაოცარი განცდა, მყისვე ჩაეხშო აზავთებული გულისთქმა.

ფოცხვერამ კვლავ მოიყარა მუხლი ჩემს წინ და შემომღაღადა:

– მეუფეო შოუ! ვიცი, რომ არ ვარ ამის ღირსი და მაინც... გევედრები: შეუნდე ცოდვილ ავაზაკს აურაცხელი დანაშაული და სიავე, რაც ჩაუდე-

[1] ბიჭი

ნია და... ილოცე, და შესთხოვე დედა-ღვთაებას, რომ ამას იქით... მხოლოდ გულმოწყალებისა და სიკეთის გზით იაროს!

მოზღვავებული ნეტარებით წალეკილს, ხმა არ მემორჩილებოდა, კრიჭაშეკრულს, ენა ვერ მომებრუნებინა პირში.

– დიდმა ნანამ და ჩვენმა ღმერთებმა შეგინდონ, დაგლოცონ და გფარავდეს მათი ძალა და მადლი-მეთქი, – ამოვთქვი ბოლოს ძლივს, სუნთქვაშკრულმა.

– ო, მეუფეო შოუ! უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მეხსომება ეს წამი! – დაიჩურჩულა ფოცხვერამ. შეგუბებულ ვნებას აფრქვევდა მისი თვალები.

მეყსეულად მან ჩემს ხელებში ჩამალა გავარვარებული სახე. უნებლიეთ დავიხარე და უნებლიეთვე გაფიცხებული ბაგით შევეხე ამ ცოდვილიან და მშვენიერ თავს.

მსწრაფლ ამომხედა გაოგნებულ-აფეთქებული თვალებით. ტუჩები კი როგორღაც საწყალობელმა, მოკრძალებულმა ღიმმა შეუთრთოლა.

სინაზემ შემარყია. ფრთხილად, სათუთად გადავუსვი ბაგეზე თითი. უცნაურად დადრკა, გაყუჩდა წამით. მერმე წამოიმართა, უეცრად სახეგადაფითრებულმა, ორთავე მკლავი შემომისალტა წელზე.

ვცადე, მაგრამ მზერა ვეღარ მოვწყვიტე ამ ღრმა, დაბინდულ მუქლურჯ თვალებს, გადაწმენდილ-გადასპეტაკებულ სახეს, ასე წარმოუდგენელი ძალით რომ მიზიდავდა თავისკენ, გონებას მირევდა და მზერას მინისლიანებდა.

უკვდავო ღმერთებო! რა საამო, რა ენით აუწერელი ნეტარება იყო ეს უჩვეულო წამიერი თრობა!..

მკოცნიდა ღაწვის თავებზე, თვალებზე, ნიკაპზე, მერმე გამძაფრებული ვნებით ტუჩებზე დამაკვდა... თითქმის უგონომ, ცნობიერებაწართმეულმა მის ფართო გულ-მკერდში ჩავმალე თავი.

არ ვუწყი, არ მახსოვს, რაოდენ ხანს გაგრძელდა ეს უცნაური თავდავიწყება. მერმე...

ბუნდად ვიგონებ, ვით მომიშორა მკერდიდან, ვით მივიდა ცხენთან ფეხარეული, შეჯდა. ადგილიდან დაძრა მერანი და... უკანმოუხედავად გაქუსლა. არც ის მახსოვს, როგორ ავათავე აღმართი და როგორ შევლასლასდი საყდრის ეზოში...

გონს რომ მოვეგე, საწოლზე ვეგდე სიცხისგან გათანგული!..

... ამ ელდას გადავურჩი, გარნა გულში სამუდამოდ დამრჩა იმ მშვენიერ თვალთა ელვა და ის წამიერი, მხურვალე ალერსი. ო, ის წარუდინებელი წამი... ამიერიდან მეკობრე კოლხი ბერას სახე სამუდამოდ ამოიტვიფრა სულის ჩემის უშორეს და უღრმეს შრეებში და არანაირ ძალას არ

ძალუძდა იქიდან მისი ამოშლა.

გადიოდა წლები. მას მერე ფოცხვერას სახელი აღარ მსმენია ოშორაზე.

მოკვდა თუ გადაიკარგა სადმე, არავინ არაფერი უწყოდა. ერთ გზობას კიდევ ჰყვებოდნენ მასზე ზღაპრებს, მერმე საფანელი რომ გამოელიათ, მიჩუმდნენ... ბოლოს, დავიწყებას მიეცა კიდეც მისი სახელი.

თავდაპირველად, რაც უფრო მონდომებით ვებრძოდი თავს, მით უფრო მეძალებოდა და საშველს არ მაძლევდა მისი სახე. ამადაც გონივრულად ჩავთვალე, გამენებებინა თავი ამაო და უშედეგო ბრძოლისა და თვითგვემისათვის და ჩემდაუნებლიეთ, დაუკითხავად ამოტივტივებულ მოგონებებს მორჩილად მივცემოდი, მოგონებებს ათასგვარი ფერადოვნებითა და მრავალნაირი სახიერებით რომ წარმოაჩენდნენ იმ დაუვიწყარ შეხვედრას, და მეც სრული თავდავიწყებით ვეძლეოდი ამ საოცარ, ჯერარგანცდილ, სანეტარო გრძნობას. ზმანებათა აქამდე უცნობი და ახალი ქვეყანა გადაიშალა ჩემთვის.

ო, ეს იყო ზღვარდაუდებ და წრეშემოუწერელ ოცნებათა, სურვილთა და ნატვრათა – საუფლო;

ხან ზღვისფერ თვალთა ელვა შოლტავდა სულს უჩვეულო მგზნებარებით, ხანაც მბნიდავდა მთრთოლვარე ხელთა ფრთხილი და სათუთი შეხება, საამო ჟრჟოლად რომ უვლიდა ძარღვებს. ხანაც მოხდენილი ტანის მიმოხვრა, მეფური აღნაგობა და იერ-სახე აღანთებდა გულს უშრეტი ცეცხლით და უსაზღვრო წადინად აქცევდა მონატრებას!

თითქოს აუხსნელი და გაუგებარი იყო გონისთვის ეს თავგანწირული ლტოლვა. მე ხომ თითქმის არ ვიცნობდი მას, მაგრამ თურმე ხანდახან წამიც კმარა, რომ შეარყიო და შესძრა წელთა მანძილზე გაწონასწორებული, მშვიდი, ცივი და აუმღვრეველი ბუნება ქურუმი ქალისა – განრინებულს ყოველგვარ ხორცისმიერ მღელვარებას, მამაკაცთან რომაა დაკავშირებული. ამადაც მესახებოდა უჩვეულოდ და ვერაგულად სულის ეს დაუოკებელი სწრაფვა; თუმც ამ წვასა და ლტოლვაში ამაღლებული, ციური ჭარბობდა ხორციელს. ამისდა მიუხედავად, მაინც ღალატად ჩავუთვალე ეს აღტკინება ქურუმ შოუს. განაწყენებულ-გაღიზიანებული „მე“ ღვთაების მსახურისა – აშკარა, თუ ფარული ხერხებით, ცდილობდა მოეშთო მასში ყოველივე ქალური, მიწიერი, ხორციელი ზრახვა თუ ნდომა. ტვინს მიბურღავდა და გულს მიღრღნიდა წამიერი სისუსტის მწვავე შეგრძნება. ძვაბრა ზეიმობდა: ვერაგი ძვაბრალე! მაგრამ იარაღს არ ვყრიდი და ბოლოსდაბოლოს მოიგო კიდეც ეს ბრძოლა შოუ მახვამურმა. შეიძლო ბჟათას მსახურმა გულის უშორეს კუნჭულში მიეჩქმალა

სანეტარო, საოცნებო სახე კოლხისა, შეიძლო ფერფლი მიეყარა მისი ხსოვნისთვის...

ასე გადიოდა დრო. და აი... წელთა შემდეგ, როს ყოველმხრივ შეჭირვებული და შეიწრებული სული ჩემი ლამობდა სამუდამოდ დაესვა წერტილი ამქვეყნიური ბორგვა-შფოთისათვის, როს ყოველივე ამსოფლიური ჩათვალა უაზროდ და ამაოებად მიწიერი არსებობა კი არარაის მაქნისად, როს ძვაბრალე ის-ის იყო ემზადებოდა სრული გამარჯვებისთვის...

ერთ დილით უცხო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გამომეცხადა სენაკში, მდაბლად მცა თაყვანი და რაღაც შეხვეული მომაწოდა უხმოდ. ამ უჩვეულო სტუმრობით შეფიქრიანებულმა, ფრთხილად გავხსენი შეკვრა; გულიდან დაძრული ანაზდეული კივილი ბაგეზე შემეყინა.

– ბერამ შემოგითვალათ, მეუფეო... იქნებ მოიღოსო მოწყალება და... ინებოსო სნეულის ნახვა, – ოშორელთ ენაზე მომმართა უცნობმა. პირქუში ჩანდა სტუმარი და ენაღეჭია.

გაკვირვებული და შეშფოთებული თვალებით გამაცილეს ქურუმებმა, ეზოში აჩქარებული ნაბიჯებით მიმავალი...

უხმოდ მივსდევდი უცნობს: თავი მიხურდა. გაშმაგებით მიცემდა გული.

ბერა აქ არის? მაშ, ბერა ცოცხალი ყოფილა! და აი, ამდენი წლის მერმე გამოჩნდა იგი!.. გავახსენდი!

ეს იყო ახლა მთავარი ჩემთვის. ხოლო სნეული... მძიმე ავადმყოფი – ამ აზრის გაცნობიერება ძალღონეს აღემატებოდა ჩემსას.

ჩავთავეთ დაღმართი და ტყეში შევრგეთ თავი. მდუმარება და მყუდროება იდგა გარშემო.

ჩემს სულს და წარმოსახვას კი უკვე გაესწრო სხეულისთვის. და ბორკილაწყვეტილი მიქროდა შეხვედრის ადგილისკენ.

„საით შოუ? საით გარბიხარ? უწყი კი... ვის მისდევ? ან ვისთან მიდიხარ?

ავაზაკთან, მეკობრესთან მიიჩქარი ასე – მოლოდინით აღტკინებული, შენ – მახვამური ქალი რამ დაგაბრმავა? რამ დაგიბნელა გონება? შეჩერდი, სანამ გვიან არ არის.

შეჩერდი-მეთქი, ქალო, სანამ დროა!“

„ის ჩამოვიდა!.. ავად ყოფილა. მძიმე ავად. ვინ იცის, ეგებ ვეღარც მივუსწრო ცოცხალს!.. ეგება?.. გესმის?..“

ოკრობოკრო აღმართს შევუდექით.

აღარ ილევა გზა. ჩემი მეგზური რამდენჯერმე შეჩერდა. ხელის შეშველება სცადა უსიტყვოდ. აღარ ვინდომე. არადა, რომ აღარ მთავრდება ეს დალოცვილი გზა? ვითარ გაიწელა დროც!

ოხ მე! რა მძიმე, ზოზინა და მოუხეშავია სხეული და რა მალია და

სწრაფი სული და წარმოსახვა!

ვითარცა იქნა, ავივაკეთ და მყისვე ვკიდე თვალი მწვანე მდელოზე მდგარ ფაცხას, ირგვლივ ხშირი ტყის მწვანე არშია რომ ერტყა.

მეგზურმა წამმიყო, მოიცადეო, თვითონ კი ფაცხაში შევიდა. მალევე გამოჩნდა ქოხის მოღიავებულ კარში და უსიტყვოდ მიმიხმო.

...სანამ თვალი მიეჩვევა სიმრუმეს და სანამ გულის ბაგა-ბუგს დავიოკებ დრო გადის.

მერმე თანდათან ვარჩევ საგნებს, საწოლს, მაღალ სასთუმალზე მისვენებულ თავს, თვალთა უჩვეულო ბრწყინვალებაღა ამხელს ამ უმოძრაო, ცივი სახის სიცოცხლის ნიშან-წყალს.

მთვარეულივით ვუახლოვდები. შორი-ახლოს ვდგები.

– შოუ!.. მეუფე შოუ! – ჩურჩულებს გაცრეცილი ბაგე. წამით აღვიქვამ ჩავარდნილ ლოყებს, მოშვებულ თმა-წვერს, სოთი ცხვირის სიფრიფანა ნესტოთა თრთოლვას.

ჩემი მოსასხამის კიდეებზე ფათურობს გრძელი, გამხდარი თითები, აკანკალებული, მუხლმოკვეთილი ვეშვები საწოლზე. ბერა ახლა ჩემს ხელებს ჰკოცნის და ეფერება. მდუღარე ცრემლი წკვარ-წკვარით ეცემა ხელის მტევანთ.

– შოუ... შოუ!.. შენ მოხვედი... მოხვედი ჩემთან!

„ნუთუ... ეს შენა ხარ, ბერა მზეჭაბუკო?..“ – ელვასავით გამიარა გონებაში და...

ცალ ხელს ვითავისუფლებ ფრთხილად, მერმე ჩემს მუხლებთან დახრილ მის თავს ისე მსუბუქად ვეხები თითებით, ვით პეპლის ფრთები ყვავილის ბუტკოს.

ეგების... არც ვეხები?

ნიავის ჩურჩულივით ისმის ამოოხვრა. უკვე შეუკავებლად მოედინება ცრემლი ჩემს თვალთაგანაც.

– ვითარ ველოდი ამ წამს!.. ვითარ ვნატრობდი! თუნდაც სიკვდილის ფასად მოსულიყო ის და აი, ამდენი ხნის მერმე... ვეღირსე! ო, ღმერთებო, გმადლობთ, გმადლობთ ამ სასწაულისთვის!

არ ვუწყი, არ მახსოვს, როდის წარმოითქვა ეს სიტყვები. სიტყვა კი არა სიტყვაში გაცხადებული ნაჭრილობევი გულის ფეთქვა, ენით უთქმელი მონატრება და სურვილი.

გაიხსნა ძველი იარა, მოწვეთავს სისხლი და იცლება გული თანდათან...

სიკვდილის ფასადო! ღმერთო ჩემო! მერმე მოვიდა ჩემს შეგნებამდე ამ სიტყვათა აზრი და მნიშვნელობა! მერმე, ის რომ აღარ იყო ცოცხალი, ჩემს სენაკში რომ აღმოვჩნდი მარტოდმარტო უნუგეშო.

ბერასთვის უკანასკნელი ყოფილიყო ის ავაზაკობა ქორონის ხეობაში.

მერმე ბევრი უხეტიალნია, ვითარცა მწირს, მოგზაურს, მოგვს – ღვთაება მთვარის მსახურს... უგვემია და უწამებია ხორცი, უძებნია კაცის ყოფიერების აზრი და მიზანი, ბევრი უწვალნია ჭეშმარიტების და სამართლიანობის შეცნობის ნარეკლიან გზაზე, ფეხის ტერფნი გადაყვლეფია და დასისხლიანებია ამ ძებნა-ხეტიალში, გული არაერთგზის დაჭრია, მრავალჯერ გაუთანგავს იჭვს და უიმედობას, უძილო ღამეებს. სასოწარკვეთილს, ხსნის იმედი წარხოცვია, დაცემულა და ისევ აღმდგარა... შეწყალებას და ცოდვათა მოტევებას შეჰვედრებია ღვთაებას. ბევრჯერ უსაზმნოდ უწამებია საკუთარი თავი, რათა ოცნებით მაინც მისწვდენოდა მზიურ სულს, რამეთუ ვერა და ვეღარ შეჰლეოდა დაუძლეველ წადილს ამ სულთან მიახლოების, ვერც მშობლიური პონტოს ნაპირთა ხილვის სურვილი განელებია.

„ცოდვით დაღდასმული სული!“ მაგრამ მეუფე შოუ ვერასდროს წარმოიდგენს ფოცხვერად წოდებულ ბერას ავკაცობის მთელ სიგრძე-სიგანეს. მართალია, მეუფე შოუს აღარ სწადიან ახლა მოისმინოს ბერას გულმხეცობის ამბავი, და მართლაც, არაა საჭირო მისმა სპეტაკმა ყურმა გაიგონოს, უბიწო გულმა განიცადოს კაცის სიმდაბლისა და ბიწიერების მთელი სიღრმე და სიგანე, ამადაც ბერა მხოლოდ ზერელედ, აქა-იქ გაიხსენებს უმთავრესს, რაც თავს გადახდა ბედუკუღმართ მონას, რამეთუ აღარ ძალუძს გაჩუმდეს, აღსარება არ უთხრას ქალღვთაებას.

...ოშორადან გაქცეულ მონას შურისძიების წყურვილი ახრჩობდა და იგი, ეს წყურვილი უსათუოდ და უეჭველად უნდა მოეკლა. ბოღმა და სიძულვილი გადმოენთხია, თხომურიანი[1] გულისთვის შვება მიეცა, რისხვა და წყრომა დაეცხრო რითიმე.

ეს იყო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მიზანი მისთვის, მისი არსებობის უმთავრესი პირობა. ამ მიზნის მისაღწევად გამოიარა ამდენი ხიფათი და განსაცდელი. თუ არა ეს მიზანი, სხვანაირად არც ისურვებდა სიცოცხლეს. სხვანაირად სიკვდილს ირჩევდა ამქვეყნად ყოფნას.

ჰოდა, ეწია კიდეც საწადელს: კოლხი მონა ბიჭი – სახელგანთქმული მეკობრე გახდა – ფოცხვერად წოდებული, რისხვად რომ მოევლინა კუნძულთა და ხმელთა მცხოვრებთ.

თავისი შეურაცხმყოფელი ძმები სათითაოდ ჩაიგდო ხელში ფოცხვერამ და მონებად დაყიდა ისინი: მათაც უნდა გამოეცადათ მონის ხვედრის სიმწარე და უკეთურობა, უნდა შეეგრძნოთ, ვითარი ასატანია თავისუფალი კაცის გადაქცევა ყველასთვის სათრეველა და დამცირებულ არსებად.

[1] ჩირქიანი, თხრამლიანი.

ბერამ შესძლო აგრეთვე გაეტაცნა თავისი პირველი ტრფობის საგანი – ამ ძმათა არანაკლებ გულქვა და გულზვიადი დაი. არა. მონად არ გაუყიდნია ამპარტავანი და ქედმაღალი დიანა, ასე რომ დასცინა და მასხრად აიგდო ყმაწვილი მონის წრფელი, მიამიტი გრძნობა – მართალია, ეფრო ძმების შიშით და რიდით ჩაიდინა მან ეს ბოროტი საქციელი, რადგან სხვა დროს მის თვალთა სხივები სხვას მეტყველებდნენ, გარნა ეს სულერთი იყო ახლა: მასაც უნდა ეზღო თავისი დანაშაული.

ცხვირწინ ააცალა იგი ბერამ ქმარ-შვილს, ჯერ თვითონ დაიცხრო ჟინი, მერმე თავის თანამოსაქმეთ მიუგდო საჯიჯგნად. მშვენიერი, გულქვა დიანა მალე ფრიგიის ერთ-ერთი ნავსადგურის კახპა დიაცად იქცა.

გამოხდა ხანი და...

...თავის ყოფილ მინჯესაც გამოსდო კაუჭი და მონად გაყიდული, ორმდინარეთის შორეულ გზას გაუყენა[1].

ავკაცობითა და სისატიკით გამძღარი, დროდადრო გულის ჯიბიდან იღებდა თავის უძვირფასეს ავგაროზს – მოსასხამის ნაგლეჯს და მაშინ... უმანკო, უცოდველ ყრმასავით წმინდა, წყაროსთვალივით სუფთა და გულჩვილი ხდებოდა გაბოროტებული, აზავთებული გული ნადირისა.

მაშინ ისევ ანათებდა და კაშკაშებდა ცხრათვალა მზე და ბადრი მთვარე. თვალისმომჭრელად ღაღანებდა ლურჯი ზეცა. თვალს ატკბობდა აისის მშვენება და დაისის მიბნედილი სინაზე. დაჩაგრულთა და მაშვრალთა ქომაგობის და მწეობის სურვილი უთბობდა გაყინულ გულს. ზრახვათა სიწრფელე და სიკეთე აცისკროვნებდა წამიერად მის ავბედით, უკუღმართ გზა-შარას – სისხლით, ცრემლით, ტკივილებითა და ტანჯვა-წამებით რომ იყო მოკირწყლული.

მერმე... ისევ მოდიოდა დაუოკებელი, დაუძლეველი ჟინი სისასტიკისა, სიავისა, უბადობისა...

ასე ყოფილა მითაჟამიდან: ერთ ბოროტებას მეორე მოსდევს, მეორეს – მესამე და მიექანება კაცი შეუჩერებლივ უფსკრულისკენ, ისე, ვით დაღმართზე დაგორებული ქვა-ლოდი გარდაუვლად ენარცხება ძირს, ვიდრე...

ვიდრე იმ ერთ უბედურსა თუ ბედნიერ დღეს განგებამ არ შეახვედრა ასე უცნაურად, ასე მოულოდნელად – მას, ვის ღვთაებრივ ხატებას და არამიწიერ სიკეთეს ატარებდა გულში შეფარულად, ელოლიავებოდა და ესთუთებოდა თვით საკუთარი თავისთვისაც გაუმხელელი სასოებით, სინაზითა და რუდუნებით.

ო, ამოუცნობია და გონმიუწვდომი ღმერთების ნება!.. ბედისწერის განჩინება, თუ ბედის ტრიალი!

კაცის მთელი ცხოვრება ზოგჯერ იმ ერთი წამისთვის მზადებაა.

[1] მესოპოტამია.

ცხოვრება მხოლოდ ის ერთი წამიერი გაელვებაა ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავივით, რომ მერმე დარჩენილი სიცოცხლე იმ ერთადერთი, განუმეორებელი წამის მოგონებით ცოცხლობდეს, მისით სუნთქავდეს და სულდგმულობდეს, და... იმ წამის მონატრებით დალიოს კიდეც სული!

ნატანჯი და ნაწამები სული კოლხი ბერასი ახლა ნეტარებს და იშვებს, რამეთუ კვლავ ეღირსა ესოდენ ნანინანატრი და ნაოცნებარი სახის ხილვას.

მერმე რა? შესაძლოა ხორცი დამჭლევდეს და დაილიოს, სამაგიეროდ, იზეიმოს აღზევებულმა სულმა!

კიდევ ერთი ნატვრა აქვს ამ ჯოჯოხეთგამოვლილ, ნაქვესკნელარ სულს – ერთხელ მაინც თვალი შეავლოს იმ ადგილებს, საიდანაც ამოძირკვეს და ამოფესვეს ძალით, ერთხელ და უკანასკნელად ნახოს ბავშვობისდროინდელ ხსოვნაში შემორჩენილი მშობლიური ცის ფერი და უკანასკნელად შეისუნთქოს იმ ველ-მინდორთა, იმ ზღვის ნელსურნელი, რომლის ბადალი და სწორფერი სხვაგან არსად შეიძლება იყოს თურმე, რამეთუ პონტოს ნაპირებზე დარხეული ლერწმის შრიალის მსგავსი სხვაგან არსად მოუსმენია.

ახლა, ამდენი წლების, ამდენი წვის და წვალების შემდეგ, ახლა ესმის და სჯერა, რომ აიაიას მოდგმას ეკუთვნის თავადაც, ახლა უკეთ ესმის, თუ რად იყო ესოდენ ტკბილი ოშორელთა ენის თითქოს განსხვავებული, და მაინც ესოდენ ახლობელი ჟღერადობა.

ახლა ბევრი რამ შეიცნო და შეიგნო გზაკვალაბნეულმა, ბედისგან ნამუხთლევმა და განწირულმა კოლხმა ბიჭმა, რომლის გულში მაინც სამარადისოდ გაუხუნარ მოგონებად დარჩა მშობლიური კუთხის ცად აზიდული მთების, მისი ველ-მინდრების ფერადოვნება, ფრინველთა განუმეორებელი ჭიკჭიკი, ნაკადულთა რაკრაკი და, დედის დაუვიწყარი: ნანა, შვილო!..

რაც ნაძარცვი და არმად ნაშოვნი განძი გააჩნდა, მონად გაყიდულ თვისტომთა გამოსყიდვას შეალია. მერმე ამ გამოხსნილ ჭაბუკთაგან თანდათანობით შეადგინა შეიარაღებული რაზმი, რათა ჩაეყვანა ისინი თავის დაკარგულ სამშობლოში თანამოძმეთა დასახმარებლად.

...მაგრამ, ერთხელაც... ფრიგიის ერთ-ერთ ნავსადგურში გადაეყარა ისეთ ამბავს, რომელსაც გულგრილად ვერ ჩაუარა: ახალგაზრდა, უცხო მონას დაუზოგავად, უწყალოდ სცემდა ოთხი შემთვრალი მეზღვაური. გონდაკარგულ, ცოცხალმკვდარ ჭაბუკს ერთი მათგანი დაიჭერდა, ხელებს გაუკავებდა და დანარჩენი სამი სათითაოდ, მორიგეობით ცხვირპირში უხათქუნებდა. საცოდავი უკვე ხრიალებდა, სისხლს ანთხევდა პირიდან და მაინც არ ეშვებოდნენ, სიცილ-ხარხარით აწვალებდნენ და

ხარობდნენ. სეირის საყურებლად შეყრილი ბრბო ხორხოცობდა. კმაყოფილი და გაქეზებული, სისხლმოწყურებული მეზღვაურნიც უფრო და უფრო ეშხში შედიოდნენ.

თვალთ დაუბნელდა. წამით თითქოს წაიშალა დროის და ადგილის შეგრძნება: ეს მას ულაწუნებდნენ თითქოს ასე უღვთოდ, ასე გამეტებით.

წამსვე სამივე მიწაზე გააგორა თითო მუშტის ამორტყმით. მეოთხემ ზურგიდან მიპარვით ჩასცა დანა. მოუტრიალდა. მართლაც ფოცხვერის სიმარდითა და სისწრაფით გააგდებინა ხელიდან დანა და ისიც გვერდით მიუწვინა უგონოდ ძირს დაყრილ მის ამხანაგებს, გარნა თავადაც უმტყუნა ღონემ და... ჩაიკეცა.

ჭრილობა თითქოს მოურჩა, გულზე ნაჭდევი, ფარული იარა კი – არა და არ ხორცდებოდა.

მერმე ძმობილთ სთხოვა და აი, ფარულად ჩამოიყვანეს იგი ოშორაზე, ქორონში, სიკვდილის პირზე მისული.

აქ, ამ ტაფობზე დადგეს სახელდახელოდ ჯარგვალი და რამდენიმე დღე-ღამეა ქოხის ღია კარიდან გასცქერის გაღმა გორაკზე აღმართულ სამლოცველოს, სადაც ეგულება ბჟალარას ქურუმი, მეუფე შოუ – თავად მზისდარი და მზის სნორი ასული. რამდენიმე დღეა აგერ, სუნთქავს იმავე ჰაერით, რომლითაც შოუ, ახურავს იგივე ცა, რაც შოუს. დღეს კი... დღეს უზომოდ შეურვებულმა ველარ შეძლო მეტის მოთმენა და აი...

ეწვია ზესთაზენური ნეტარება, გატანჯულ-გაწამებულმა სულმა კვლავ იგრძნო სიამე ამ უკვდავთა შესადარი, სპეტაკი ხელების შეხებით...

ეს გატანჯულ-გაწამებული სული გაეცლება მალე ხორცს, და წაიღებენ უსიცოცხლო სხეულს პონტოს ნაპირებისკენ. იქ, კოლხური წესისამებრ, ნეტარ ღმერთთა მიერ კურთხეულ მიწაზე, დაასაფლავებენ...

ერთი ნატვრა ექნება კიდევ ამ სამზეოდან გადახვეწილ სულს: მეუფე შოუს სიქველე და გულმოწყალება დარჩეს დიდხანს ამ ცოდვებით დამძიმებულ, დუხჭირ ქიანაში, დარჩეს იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც საჭიროა მისი არსებობა დედამიწაზე.

ბერამ ანაზდად სასთუმლიდან აკანკალებული ხელით გამოაძვრინა ქარვის ძვირფასი ყელსაბამი, გამომიწოდა და მთხოვა, მეტარებინა იგი მის სახსოვრად სიცოცხლის ბოლომე. ავკაცობით არა მაქვსო შეძენილი, ნუ შიშობო, დაატანა ნათქვამს. გული ამიდუღდა. თვალებზე ცრემლმომდგარმა, იქვე, ბერას თვალწინ გავიკეთე ყელსაბამი და უნებურად ნაზად მოვუსვი ქარვას თითები. მერმე დავიხარე, თავი წამოვუწიე სასთუმლიდან და დასიცხულ ლოყებზე ვეამბორე ცრემლების ყლაპვით.

– ო, რა შვებას ვგრძნობ ახლა!.. ყოველი ტკივილი დამიამდა, ვითარცა მაშინ... დიდი ხნის წინათ, გახსოვს შოუ? მალამოს რომ მისვამდი დაჟე-

ჟილ სხეულზე... მაშინ გადამარჩინე, ახლა კი...

– არა. არა. შენ არ მოკვდები, ბერა. შენ უნდა იცოცხლო, შემოგევლე... უკვდავ ღმერთებს შევავედრებ შენს თავს...

ხშირი, ხორბლისფერი კულულებით დამშვენებულ თავს და სიკვდილის აჩრდილით დაბინდულ თვალებს ვუკოცნიდი, ვეალერსებოდი და ვებუტბუტებოდი რაღაცას – თითმის ცნობიერებამიხდილი. არა. არას დიდებით არ მინდოდა დამეჯერებინა მისი განწირულობა. რამდენი ვინმე გადამირჩენია, რამდენი მიხსნია სიკვდილისგან და ნუთუ ეს?..

ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

– მე უკეთ ვარ ახლა შოუ! – არაამქვეყნიური ნეტარების ღიმილი მოჰფენოდა უსისხლო ტუჩებზე: – შენი ცრემლები უკვდავების წყაროს წვეთებივით მეპკურებიან!..

– შოუ... შოუ... შოუ! – გამოუთქმელი სინაზით მეფერებოდა ხელებზე: – ჩვენს ცირებსაც ჰქვიათ იქ, შორეულ კოლხეთში ამგვარი სახელი... კოლხ ასულებს!

– შოუ... შოუ... შოუ! – თვალმინაბულს, თითქოს წამით მიერულა. მერმე უცებ შეტოკდა. თვალი გააღო: – ნუთუ... აწი ვეღარასოდეს შევხვდებით ერთი მეორეს?.. ვეღარასოდეს მოგეფერები?.. ნუთუ... აქ, დედამიწაზე სიკვდილით მთავრდება ყველაფერი?..

ენითუთქმელი, უსაშველო განცვიფრება და ტკივილი იდგა მის უზომოდ გაგანიერებულ, კვლავაც, ძველებურად მშვენიერ თვალებში.

ქვესკნელში

ბერასთან განშორების შემდეგ რამდენიმე დღე-ღამე მკვდარივით ვეგდე თურმე საწოლზე. სწორედ მაშინ მოიხილა სულმა ჩემმა ქვესკნელიცა და... ზესკნელიც.

უცბად ვიგრძენი, სადღაც ქვევით, თითქოს უსასრულო სივრცეში ვვარდები. მივექანები დაბლა ამ კუნაპეტ სიბნელეში და დასასრული არ უჩანს დაცემას. აღარ ილევა ჯანღი ბურუსიც.

და, აი... ერთბაშად ფეხქვეშ რაღაც სიმაგრეს ვგრძნობ. ნელ-ნელა ვიმართები წელში და დაფეთებული ვაცეცებ თვალებს.

სად ვარ, ნეტა?

რუხი ღრუბლებით ჩამოძენძილი ცა ისე ახლოსაა, ლამის არის ხელით შევწვდე. მრუმე ფერი ადევს ირგვლივ ყოველივეს. ხრიოკ, ჟანგისფერ გორაკებზე გაჩაჩხულან ჯუჯა, ტოტებდაჯღვარკნილი, შიშველი ხეები.

ჩაჟამებულა ირგვლივეთი. დამშრალა მდინარეთა კალაპოტები. ტალახი და ლეყეფი ერთმანეთში აზელილა. შმორის, ზინზლის და კიდევ

რაღაცის საზიზღარი, მყრალი სუნი ტრიალებს. სუნთქვა მეკვრის. ლამისაა, დავიხრჩვე. გარნა უცნაური ძალა წინ მიბიძგებს და მეც ბორძიკით, ხელების ცეცებით, ტაატით მივიწევ – არ კი ვუწყი – საით! ვეცემი. ვდგები. ტანზე ეკალს მასხამს – შიში, ელდა, უკუნი.

დარეტიანებული, უაზროდ დაჭყეტილი თვალებით ძლივს-ძლივობით მივლასლასებ ჭუჭყიან, ბინძურ გზაზე. გზას ვამბობ, თვარა რა გზა ეთქმის ამ წუმპეს და ტლაპოს.

მაგრამ მაინც მივბანცალობ ურყუმში ნაბიჯარეული, სიმწრის ოფლში გაღვარული და აღარა აქვს დასასრული ამ მტანჯველ, უსაშველოდ გაწელილ გზა-შარას.

ანაზდად სავალი წყდება. ვჩერდები. წინ ტრიალი ველი იშლება. ძარღვებში სისხლი მეყინება მეყსეულად: ჩემს ირგვლივ წინაუკმო, მარცხნივ თუ მარჯვნივ დაბორიალობენ უცნაური აჩრდილები. თითქოს კაცის სხეული აქვთ, გარნა თავის ნაცვლად ზოგს მგლის თავი გამობმია კისერზე, ზოგს მელიის, ტურის, აფთრის, ფოცხვერის, დათვის, გველის, გომბეშოს, სვავის, ყვავის, ყორნის, ქორის, ძერის თუ ვისიც გნებავს! ხან ერთ ალაგას დაემხობიან ეს ცხოველ-ფრინველი ურჩხულები, ხან მეორეგან და იწყებენ გამწარებით მიწის ჩიჩქნას უზომოდ წაგრძელებული ცხვირებით, ფრჩხილებითა თუ ბრჭყალებით. მიწას ვამბობ, თვარა რაღა მიწა ეთქმის ამ კოლბოხებს, მაგრამ მაინც თხრიან, ეძებენ რაღაცას გაშმაგებით. გადარბიან ერთი ადგილიდან მეორეზე, მესამეზე და ასე დაუსრულებლივ გარბი-გამორბიან საზარლად თვალდაყვლეპილნი. ირგვლივ ვერაფერს ამჩნევენ და ხედავენ ამ გოროხების მეტს. საოცარი ისაა, ორმოები რომ კვლავ ივსებიან პირთამდე.

რაღაც ძალა კვლავ მერეკება წინ და მეც გაჩქარებით მივეშურები, ოღონდ საით? აქლოშინებული ვჩერდები მცირე ხანს და ვცდილობ, სული მოვითქვა.

ვხედავ: ამ უსხეულო ლანდებს ზურგზე მოუგდიათ კაცთა ჩონჩხები და მოკაკულნი, კვნესით, ხვნეშით მიუყვებიან კაჭარი ქვებით დახერგილ გზაწვრილებს. „ნანაია შური! ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?“

სული მიწუხს. მუხლები მეკვეთება.

სადა ვარ? რა ხდება ჩემს თავზე? რა ურჩხულების სამყოფელში მოვხვდი? ვინ არიან ამ ჯოჯოხეთის ბინადარნი?

... უეცრივ ვიღაც შემასკუპდა მხარზე, ძალზე მსუბუქად, მაგრამ მაინც ვიგრძენ მისი უჩუმარი შეხება და ფაჩუნი. ამ უხილავმა არსებამ ყურთან მომიტანა პირი და ახითხითდა: „გიკვირს არა, შოუ ბჟალახე? გიკვირს, ვინ არიანო ეს დაწყევლილი არსებანი?... ხი, ხი, ხი... ეგენი იქ, ზემოთ, შუასკნელში, ანუ თქვენებურად დედამიწაზე მცხოვრები კათაა

– მიწის უძღები შვილნი, გარნა... წამომყე! ყოველივეს უკეთ გეტყვის ქვესკნელის დედოფალი. წამო!“

ჭინკადქცეული ძვაბრაც კი ახლობლად მეჩვენება ამ უდაბურ, ტიალ ტრამალეთში, ამ ამაზრზენ ურჩხულთა შორის.

ვრცელ, დიდ დარბაზში, სადაც ანაზდეულად აღმოვჩნდი, ყურისწამღები გნიასი დგას. სხვადასხვა ცხოველებს და ფრინველებს მოუყრიათ აქ თავი და ყირაზე გადადიან: გორაობენ, კოტრიალობენ, ციბრუტივით ბზრიალებენ, კნავილი, ჩხავილი, ღმუილი, ბრდღვინვა, ღრიალი, ჭყივილი, სისინი, წივილი, კრუსუნი ერთმანეთში არეულა.

დარბაზის სიღრმეში, მომაღლო ადგილზე ოქროს ტახტზე ზის ქვესკნელის დედოფალი, თავზე გვირგვინის ნაცვლად გველთა გორგალი შემოხვევია. ისინი წამდაუწუმ ასვარსვარებენ თავიანთ გრძელ ლაკარტს და რაღაცას ეფუჩუნებიან ყურში დედოფალს, რომელიც ასევე წამდაუწუმ, ხმამაღლა კისკისებს. უნასი შემოხვევია აგრეთვე სკიპტრას, ხელში რომ უჭირავს დედოფალს. თვალთა ნაცვლად მას თითქოს ორი ბრჭყვიალა ღრმული აქვს. ტანზე თევზისფრად მბზინავი, გრძელკუდიანი კაბა აცვია.

ადგილზე ვქვავდები ბეწვაშლილი, ზარდაცემული.

ჩემს დანახვაზე სიცილ-კისკისი შეწყვიტა დედოფალმა. სკიპტრა მაღლა აღმართა და წამსვე სრული სიჩუმე ჩამოწვა.

„რისთვის გვეწვიე აქ, ჩემს საბრძანისში, შოუ ბჟალახე?“ – თითქოს კბილებში სცრის სიტყვებს ქვესკნელის დედოფალი. და თავის ყუყა, ქვისგამხვრეტ თვალებს იმდაგვარად მიშტერებს, რომ ისედაც ნირწამხდარი, სავსებით ვკარგავ ლაპარაკის უნარს. ქვესკნელის დედოფალი არ მეშვება და კვლავ მიმეორებს შეკითხვას. „დავიღალე, დედოფალო, ძალიან დავიღალე“, - ამოვღერღე რავარც იქნა: – დამღალეს ერთობ აუხდენელმა სურვილებმა და გადავწყვიტე... მოვისვენო სამუდამოდ!“

„ჰა, ჰა, ჰა“... – გადაიტკარცალა დედოფალმა და მას წამსვე აყვნენ დარბაზში შეკრებილი ხილული თუ უხილავი არსებანი. ზოგი გადაფიჩინდა კიდეც სიცილისგან. ცოტათი რომ შენელდა ღრიანცელი, დედოფალმა ისევ მომაპყრო თავისი ბრჭყვიალა თვალები და მითხრა კბილების კრაჭუნით:

„ხომ ნახე შენ, შოუ ბჟალახე, ჩემი ქვეშევრდომნი?“

„ვნახე, დედოფალო“.

„მერედა, ჰგვანან ისინი მოსვენებულთ?“ კვლავ გაისმა საერთო ხარხარი. ტვინგაყინულმა, აღარ ვიცი, რა ვუპასუხო.

„შოუ ბჟალახევ! შენ აქ ნახე ცოდვილი სულები, ზღვარი რომ არ იცოდნენ მოხვეჭის, თავკერძობის, დიდგულობის, ამპარტავნობის, შურის, სიხარბის, სიავის, უბადობის, ყოველგვარი ბოროტების!.. მოსისხარნი, კაცისმკვლელნი, მრუშნი, მეძავნი, მოშუღარნი, მოყვასთა გამყიდველნი, ცილისმწამებელნი, მაბეზღარნი, სისხლისამღრევნი არიან ისინი. ჰოდა, აქაც, ქვსკნელში ეძებენ იმას, რასაც ასე გამწარებით მიელტვოდნენ დედამიწაზე. რაკი ვერ პოულობენ და ჟინს ვერ იკლავენ, – მეტად და მეტად აფთრდებიან. ეს შენც ნახე, ჩემო ზისნახე, შენი მშვენიერი თვალებით. შენ იხილე აგრეთვე წელში მოხრილი ცოდვილნი, თავის მძორს რომ დაათრევენ, იმ მძორს, რომლის სიამოვნებისთვის ზევით, დედამიწაზე მრავალგვარ ბოროტებას სჩადიოდნენ.

შენი ადგილი არ არის მათ შორის, შოუ ბჟალახე, გარნა რაკიღა აქ ჩამოხველ შენი ნებით, უკან, ანუ ზევით შენი ნებითვე ვეღარ გაბრუნდები. ფასკუნჯი ერთობ იშვიათად გვეწვევა ხოლმე ზესკნელიდან და მაშინაც, რომ მოგვაკითხავს – თითქმის ყოველთვის ხელცარიელი სტოვებს აქაურობას, რამეთუ აღარავინ გვეგულება დედამიწაზე დასაბრუნებელი, მით უმეტეს, ზესკნელში გასაგზავნი.

უკვე კაი ბლომა ხანია არ გამოჩენილა. შენდა ბედად, შესაძლოა, სწორედ ახლა ჩამოფრინდეს და მაშინ... მოგიწევს ისევ უკან დაბრუნება, ჩემო ზისნახე!

ჟინი ორთას[1] ნება-სურვილის წინააღმდეგ წასვლა არამც და არამც არ ეგების ჩვენგან. შენც გმართებს დაემორჩილო ღვთიურ განჩინებას, რადგან შენს სულს არაფერი ესაქმება აქ, ჩემს საბრძანისში – ქვესკნელის სამეუფოში. სხვა გზა არ არის, უნდა დაელოდო ფასკუნჯის მოფრენას“...

* * *

თხრობა აქ წყდებოდა.

დიდხანს დასცქეროდა ციცი გრაგნილს უხმოდ, ცრემლისგან დანისლული თვალებით.

მერმინდელი ამბავი ზოგი ბოჩისგან იცოდა, ზოგი თავად დადისგან ჰქონდა მოსმენილი, ნაწყვეტების სახით. ზოგიც ყურმოკრულად გაეგონა.

სწორედ იმ დროს, როცა უმძიმესი სულიერი ტკივილებისგან სასოწარკვეთილების ზღვარს იყო მიღწეული, გამოჩნდა ქუჯი ხუხუნი – ბოჩის ბაბუა, დადის სიყრმისდროინდელი მეგობარი, კარგა ხანი რომ იყო სადღაც გადაკარგულ-გადახვეწილი.

უიმედოს, ეულად დარჩენილსა და დარდისაგან გულგასენილ შოუს, დაუჩოქა სალოცავის ეზოში ახოვანმა, თვალტანადმა, ხორბლისფერმა,

[1] არსთა გამრიგე.

ხუჭუჭთმიანმა ვაჟკაცმა – დიდრონ, თაფლისფერ თვალებში ცრემლი რომ უკიაფებდა და... თავისი გული და ხელი შესთავაზა.

მჭმუნვარე სანახავი იყო უხმოდ მტირალი, თმაულვაშშეჭაღარავებული მამაკაცი გულშემუსვრილი შოუსათვის და... მასაც წკანწკარით ჩამოუვიდა ცრემლი სალუქ ლოყებზე. გულის კოვზთან კი წიწკნიდა უთქმელი დარდი.

ცრემლებს ატანდნენ თითქოს წუხილს და ტკივილს იავარქმნილ ოშორულ საყდარ-სალოცავებზე, თითქმის დაკარგულ სამშობლოზე, გადაშენებულ-გადარჯულებულ თავის გვარ-ტომზე. დასტიროდნენ გაუბედურებულ, გავერანებულ აწმყოს, მიმქრალ წარსულს და უსიხარულო მომავალს.

ქუჯის თავის ახლობლებიდან თითქმის არავინ დახვედრია ოშორაში: ზოგი სენისგან მიცვლილიყო, ზოგი კიდევ გადახვეწილიყო კუნძულიდან.

ყველაფერი გადასხვაფერებული დაუხვდა ქუჯი ხუხუნს თავის მშობლიურ ქორონში და მთელს ოშორაში. შეცვლილიყო ირგვლივ ყოველივე და გაუცხოვებულიყო. ერთადერთი უცვლელი დარჩენილიყო ხატება ქურუმი გოგონასი – მთელი ამ ხნის მანძილზე მისი სიცოცხლისა და არსებობის საყრდენი რომ იყო, და აგრეთვე იმედი იმისა, რომ ეგება, ოდესმე ღირსებოდა დაუფლებოდა მის გულს!

შოუ ოცდაათ წელს გადაცილებული იყო მაშინ, ქუჯი ხუხუნი რომ დაუბრუნდა ოშორას, ხოლო 30 წლის შემდეგ ბჟათას ქურუმ-ქალს შეეძლო, თუ მოისურვებდა, გათხოვილიყო. განწირულობის, მიუსაფარობისა და თანალმობის გრძნობა თანდათან აახლოებდა მათ გულებს და ბოლოს და ბოლოს შოუ, თავდაპირველად შორს რომ დაიჭირა თურმე ქუჯის წინადადება, დათანხმებულა მის ცოლობაზე.

ქორწილის შემდეგ ბჟათას მახლობლად დაუდვიათ ბინა ცოლ-ქმარს. ერთადერთი გოგონა შესძენიათ შოუს და ქუჯის. ადრე გაუთხოვებიათ იგი თავისივე გვარტომის ვაჟზე და შორიახლოს დაუსახლებიათ.

...თვალგაშტერებით ჩასცქეროდა ციცი გრაგნილს და ახლა განსაკუთრებული სიცხადით და მკაფიოდ ეხატებოდა თვალწინ ვარდობის თვის ის კვირა დღე, უკანასკნელი რომ აღმოჩნდა დადისთვის და რომელმაც წინასწარ შეუმცდარად განჭვრიტა თავისი აღსასრულის ჟამი. ისევ ისე მერამდენედ ელანდებოდა ციცის იმდღევანდელი დღის ყოველი წვრილმანი, დადის თითოეული მოძრაობა, მისი თითოეული სიტყვა თუ გამოხედვა.

...რუს პირას, ძეწნის ჩრდილში მჯდარს წაადგა თავს. ყელი თავისებურად, ლამაზად მოეღერებინა და ჩამავალ მზეს მისჩერებოდა გაფართოებული თვალებით. ფერგამკრთალ სახეზე რაღაცნაირი უცხო, არა-

ამქვეყნიური იერი დასდებოდა.

ციცი ფეხაკრეფით მიუახლოვდა.

– ყუდეში ხომ არ შემოხვიდოდი, დადი? – გაუბედავად შეეხმიანა კარგა ხნის ჭოჭმანის შემდეგ.

დადი ისევ ისე იჯდა გაყუჩებული. არც განძრეულა, არც ხმა გაუღია, სახე ტანჯვის ხაზებს დაესერა და ახლა თვალნათლივ ხედავდა ციცი დადის ასაკსაც და იმ სიმწრის ნაკვალევსაც, რაიც დაეტოვებინა წარსულს მის ღვთაებრივად მშვენიერ სახეზე.

– მომიჯექი აგერ აქ, ახლოს! – მიმართა ანაზდად მოშორებით რიდით მდგარ ციცის, მზერად და სმენად რომ ქცეულიყო.

გვერდით მოისვა თუ არა, თავზე ხელი გადაუსვა და გაღიმება სცადა, მაგრამ ღიმილი როგორღაც მკრთალი, სუსტი გამოუვიდა; მერე ისე, თითქოს ფიქრშიაო, დაიწყო:

– იცი, ახლა სული მწარედ რა მენატრება, ჩემო მახარია?.. ჩვენს ღელეში ჩამადგმევინა ერთი ფეხი, იქ... სადაც ვჭყუმპალაობდით ხოლმე ბაღნები და კიბორჩხალებს და ღორჯოებს ვიჭერდით... და სადაც ბაყაყურს მასწავლიდნენ ჩემი ბიძაშვილნი და მაინც ვერასგზით რომ ვერ ვისწავლე ხეირიანად... ერთობ უნიჭო გამოვდექი ამ საქმეში... და იცი, კიდევ რა მენატრება? ჩვენი ეზოს წყურგილეს[1] წყალი! ოჰ... ისეთი ცივი და გემრიელი წყალი სხვაგან არსად დამილევია. თითქოს ყურში ჩამესმის ახლაც დიაჩემის ძახილი: – შოუ ნანა, წყალი ამომიცუნცულე თუნგულათიო!.. ჩემი დია! – დადის ხმა შეუთრთოლდა და მღელვარება რომ დაეფარა, გაჩუმდა. სახე ერთბაშად გაცისკროვნებოდა. თბილი, ალერსიანი ღიმილი უკანკალებდა ბაგე-პირზე. კალთაში ჩაწყობილ თავის უღონო, რძია-რძიასფერ ხელებს დასცქეროდა ერთ ხანს, მერმე ჩუმი ამოოხვრით, ძლივს გასაგონი ხმით დაიჩურჩულა:

– ეეჰ! პოტიკია[2] ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრება, მახარია! – თვალი მილულა, თითქოს ერთბაშად ძილმა თავი წაართვაო, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისევ გაახილა თვალი და დახანებით, სვენებ-სვენებით ამოთქვა:

– ყური დამიგდე, ციცი შვილო, და კარგად დაიხსომე, რასაც გეტყვი: ჩვენს მოდგმას – აიაიას ნაშიერთ, ცის უზენაესი ღვთაება – დიდი ნანა მფარველობს და იცავს.

– დანარჩენი ღმერთები, დადი? – შეჰბედა ციციმ, როცა დადიმ ისევ იყუჩა.

– დანარჩენი ღმერთები? – დადის იდუმალმა, ჩუმმა ღიმილმა გადაურბინა ბაგეზე: – ჩემო მახარია, შემოგევლე მე: ღმერთი ერთია სამყაროში

[1] წყარო.

[2] არაფრობა.

– შემომქმედი ცათა და ქვეყანათა, ხოლო დანარჩენი ღმერთები – მისი მსახურნი არიან მხოლოდ.

ჩემო თვალისჩინო, ჩვენთა წინაპართ უწყოდნენ ბევრი ისეთი რამ, რაიც ახლა, შესაძლოა, დაუჯერებლად და წარმოუდგენლად მოგვეჩვენოს. ჩვენთა ძველთა საიდუმლო ცოდნა წერია ამ კირბიშებში. ამგვარი კირბიშნი, შენს ჩრდილს შემოვევლე, ინახება სხვადასხვა მხარეში, მაღალ მთათა საუფლოში, შორეულ კოლხთა და იბერთა საცხოვრისშიც, ყველგან, სადაც კი ჩვენი გვარტომი სახლობს... ერთ მცირე ნაწილს შენ გიტოვებ აკი; დანარჩენნი... ბჟათას კირბთა მეტი წილი, თუმათისთან რჩება... – დადი შეჩერდა, მზერა გაეყინა წამით: – ო, ო, თუმათი... – თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა მერმე და ისევ დადუმდა კარგა ხანს. ტუჩებსღა აცმაცუნებდა მარტოოდენ. მერმე თავი გაიქნია, თითქოს რაღაც მძიმე, შავ ფიქრებს იშორებსო: – ჰო, იმას ვამბობდი, მახარია, მწყალობელი და მფარველი ჩვენი თესლტომის დიდი ნანაა-მეთქი და მისი თურნი: მზე, მთვარე და ვარსკვლავები და წყალთა ღვთაება ოკეანოსი, გარნა... ვაგლახ! იათნანელნიც, ოშორელთ მსგავსად, ივიწყებენ ამას და... ოჰ, ახავაი... – უცებ დადიმ თვალებზე ხელისგული აიფარა, ტუჩები ტანჯვის ღიმილმა დაუბრიცა: – ახავაი! შავი დრო მოდის, ქუგასანთელი მა[1], შავი დღე! ვაგლახ! ვაი, შენ ჩემო თავო!.. – აჩურჩულდა იგი ანაზდად შეძრწუნებული სახით და ფართოდ გახელილ თვალებში არაამქვეყნიური შიში ჩაუდგა. – ჰოი, რა ძლიერია ძვაბრა – ბოროტი სული! წყეული ძვაბრალე! ახავაი! რამდენი სისხლი... სისხლის ზღვა... სისლის მდინარენი... გუბენი და ტბანი... სისხლის წვიმა... დიდო ნანავ! შეიწყალე აიაიას ბედკრული მოდგმა... უგუნურნი... ბოჩია შვილო!.. შურისძიება... სასტიკი... ულმობელი... შეუბრალებელი... ცარცა! ბჟალარა ჩემო! თვალის სინათლევ ჩემო... მეცოდები! ჰოი... ბოჩია შვილო!

სიყვარული... მხოლოდ სიყვარული... ათასი წელი... ათასწლეულნი... მოვა იგი და იტვირთავს ცოდვას ყოველთა... რათა წმინდა სისხლით თვისით გამოისყიდოს... ო, უგუნური მოდგმა კაცთა... უღირსი... უმადური. ვერა! ვერ შეიფერებს ხსნას და შველას, ვეღარ იგუებს სულის სიდიადეს... ბოროტ ძალას გაუხსნის სულის ბჭეთ... ვერა! ვეღარ გაიგებს მოდგმა კაცთა... დიდ ხანს ვერა, ძლიერ დიდ ხანს!..

ვაგლახ! იძლია იგი, დაემხო სიყვარულის სალოცავი!

მოდის... მოთარეშობს ქარ-ბორია... გლეჯს და ანგრევს თავის გზაზე ყოველივეს... ჰოი, მშვენიერი ზამბახი – ველზე ამოსული მარტოხე. ეული. ვერა, ვეღარ გაუძლო, გადაიმსხვრა. ოჰ, რა ცოდვა ტრიალებს ჩვენს თავზე! რამდენი ავსული, მავნე, მზაკვარი!

[1] სანთლად შემოგევლე.

ძვაბრავ, წყეულო, ძვაბრავ!.. მოედინება სისხლი ღვარად... შეწირული ყრმანი... უმიზნო სისხლი... რად?.. რისთვის? ვისი გულისთვის?.. ათასი წელი, ათასწლეულნი. მოედინება სისხლის მდინარე... ზღვა... სისხლი... ვაი, ჩვენი ბრალი! ახავაი! იძირება სისხლის ზღვაში პატარა კუნძული... ბეწოღა რჩება ერთი... სულ ერთი ციცქნა. ფოთლისხელა. გულის ხელა... ერთი ფიორი... ნამცეცა... ქინცა...

ჰოი, საოცრებავ!.. იზრდება პაწაწკინტელა წერტილი. ფართოვდება. ნათელი ადგება ირგვლივ. შარავანდში ცურავს!..

მახა! სასწაული მახა! ცეროდენა კუნძული... უზარმაზარი ხდება!

დადიმ ღრმად ამოიქშინა. ძეწნის ტანს მიესვენა უცნაური ხილვით გასავათებული, ქანცგაწყვეტილი. წყნარი ღიმილი უკანკალებდა გათეთრებულ ტუჩებზე.

და იჯდა ასე. დიდხანს, უხმოდ, გაუნძრევლად. და ერთადერთი კურცხალი, ობოლი მარგალიტივით მოგორავდა მის ფერმითეთქვილ ღაწვზე. და კვლავ უცნაური, გამოუცნობი შუქ-ჩრდილი ენაცვლებოდა ურთიერთს მის სახეზე.

როდის-როდის გაუბედავად შეეხმიანა ციცი.

მან ხელის ნელი მოძრაობით ანიშნა, დამტოვეო მარტო.

მეორე დილით დადი ცოცხალი აღარ იყო.

ნაწილი II

საოცრებათა გალა

ციცი შეურხევლად იდგა და დაძაბული გასცქეროდა ხომალდს, გულისგამაწვრილებლად ნელა რომ შორდებოდა ნაპირს. უსიამო ხმით ყიპყიპებდნენ თოლიები. მზე შეუბრალებლად აცხუნებდა. ქალი ფეხს არ იცვლიდა და დაჟინებით მისჩერებოდა აფრებს, თოლიას ფრთებივით რომ ფართქუნებდნენ ნიავის ყოველ წამოქროლვაზე.

ციცისგან მოშორებით მდგარ ქალებისა და მამაკაცების ჯგუფში გამოირჩეოდა პატარა ტანის, შაოსანი დიაცი, რომელსაც ხელში აეტატებინა ციცის უმცროსი, წლინახევრის დადუ და გერგელა ქუდით სახეს უნიავებდა მალ-მალე. ხოლო უფროსი გოგონა, ოთხი წლის ნათია ორივე ხელით ჩაფრენოდა დედის კალთას და ბავშვისთვის შეუფერებელი სიდინჯით იმზირებოდა მოქურუხებულ წარბებს ქვემოდან. დანარჩენებიც ადგილზე გაშეშებულიყვნენ და სახეებზე გაურკვეველი, ბუნდოვანი ნაღველი თუ გაოცება აღბეჭდოდათ.

„ციცი, ყველაფერი კარგად იქნება, ნახავ აგერ! ოღონდ შენ ნუ იდარდებ, ძალიან გთხოვ. ბიჭებს არაფერს გავუჭირვებ. მერე ჯიჯიც ხომ იცი, რამხელა კაცია იქ. ბავშვებს ჩემთან გავაჩერებო, შენ ნურაფრის ფიქრი ნუ გექნებაო. მთელი ფინიკია და მისი დედაქალაქი მის ხელშია. უზარმაზარი კაცია. ფინიკიელთა მეფის მარჯვენა ხელია. ჰოდა, ჩვენს ბიჭებს განსაკუთრებით მიხედავს. ასე შემპირდა. მის სიტყვას კი წყალი არ გაუვა... ბიჭებს ყოველ ზაფხულობით ჩამოვიყვან იათნანაზე... შენ ოღონდ შენს თავს მიხედე. ძაძუს დიდი იმედი მაქვს. მარტო არ დაგტოვებს, მეუფე თუმათიც, უჩა ბეგოც, ცაქუ და ხიტუც შენთან იქნებიან. სამამაკაცო საქმეებს ისინი მოუვლიან. შენ არაფერში მოგიწევს ხელის განძრევა, ოღონდაც გოგონებს მიხედე. მამიდაშენიც შემპირდა, ხშირად ჩამოვაკითხავო. აბა შენ იცი. შენ ხომ ძლიერი ქალი ხარ, ცი. ვიცი, რომ ყოჩაღად იქნები. შენი იმედი მაქვს, მეც ამიტომ ვარ გულმშვიდად. ნუღარ იჯავრებ. ბიჭები უკვე დიდები არიან. დამიჯერე, ასე სჯობს მათთვის, მათი მომავლისათვის. ახლა უბრალოდ აღნავლდნენ იმიტომ, რომ შენ მიეფერე...

ციცი უნებურად მარცვლავდა გუნებაში ქმრის თითოეულ სიტყვას, მერმე ისევ თავიდან იწყებდა...

– კარგი ახლა, ციცი. წამოდი. ბაღნები ცოდონი არიან ამ სიცხეში. სხვებიც ფეხზე ჩამოწყდნენ. მამაშენს ამდენი სად შეუძლია? ან რისთვის აიტეხე საერთოდ ეს გაცილება ნავსადგურიდან? სახლში არ კმაროდა

დამშვიდობება?!

ციცემ ძაძუსკენ მიაბრუნა სახე. ძაძუს სიტყვა გაუწყდა. მოგონილი სიმხნევეც წამსვე გაუქრა. ციცი უყურებდა და ნიკაპი უკანკალებდა შეკავებული ტირილისგან.

– მოგიკვდეს ჩემი თავი, რა დღეში ხარ! – წაიბუტბუტა ძაძუმ და ტუჩი ჩაიკვნიტა.

– ამას... არ ვაპატიებ, ძაძუ! ჩემი ბიჭები... ჩემი ბოხვერა ბიჭები...! – ტირილმა ყელი გადაუკეტა. თავი დახარა. ცრემლები ნიკაპთან ესკვნებოდა. აქამდე ძაძუს მკლავებში გატრუნულია პაწია დადუ ხმამაღლა აღნავლდა, დედისკენ იწევდა, დია მინდა, დია მინდაო; ციცემ ჩამოართვა ბავშვი და გულში ჩაიკრა.

– ციცი დაწყნარდი, ბაბასქუა. მტერს და ავს! რა გაქვს, შვილო, სატირალი? ღმერთებს ნუ აწყენინებ!

– დავკარგე ბაღნები, ბაბა! – ტუჩები უთრთოდა ციცის და ღაპა–ღუპით ცვიოდა თვალთაგან ცრემლი.

– აბა, რას მაბობ, შვილო, არა გრცხვენია? მართლა გინდა ღმერთები გაარისხო? მტერი კი არაა, შვილო, მამაა ბოჩი და შენზე ნაკლებად როდი უყვარს თავისი შვილები, შენზე ნაკლებად როდი შესტკივა მათ სვებედზე გული! როგორ გეკადრება ასეთი საქციელი! გონს მოდი, შვილო! წავიდეთ ახლა სახლში. იქ იტირე, თუ მაინც და მაინც არ დაგიშლია...

ციცი უსიტყვოდ დაყვა მამის თხოვნას.

პატარა ნავსადგურის მცხოვრებნი ქვით მოკირწყლულ, მიხვეულ-მოხვეულ შუკებში გამოფენილიყვნენ. ყველას უნდოდა ერთხელ კიდევ თვალი მოეკრა ციცი გეგეშხესთვის, რომლის უბადლო მშვენება მისი დედამთილის – შოუ ბჟალახეს და მამიდა ფათულიას ტოლფარდად ქცეულიყო იათნანელთათვის.

ციცი პირგამეხებული მოაბიჯებდა გზაზე. ძაძუს ნათიასთვის ხელი ჩაეკიდა და მოშორებით მოსდევდა უკან, დანარჩენებთან ერთად.

მოდიოდნენ უჩუმრად, ნელი ნაბიჯებით და ნიავის ჩურჩულივით ასდევნებოდათ ნავსადგურელთა მითქმა-მოთქმა:

– დია-ბეჩა!.. რა მზეთუნახავი დიაცია მართლაც!

– ღვთაება ბარბალი ჩამობრძანებულა თითქოს ციდან!

– შოუ-ბჟალარაა, გაცოცხლებული!

– მარა მამიდა მისი ფათულია გეგეშხე უნდა გენახათ უწინ, რა იყო!

– ამბობენ, თითქოს ამათი ჯიში და მოდგმა „ტყაში მაფასთან“ არისო წილნაყარი!

– თავ-პირი რისთვისღა ჩამოსტირის ზისნახეს?

– მარმარის შუბლი რად შეუკრავს ამ სვებედნიერ დიაცს?

– რა გასჭირვებია ზინთხ[1] ბჟალარას?

ნავსადგურელთა ცნობისმოყვარეობა ჯებირებს ასკდება.

– ბოჩი გაბელანმა თავისი ჯერაც უმწიფარი, ნინველი ბიჭები ფინიკიის დიდნოღაში წაიყვანა?

...რა ხდება ნეტა?

– აღარ ვუყვარვარ, ძაძუ!

– ნუ სულელობ, ციცი!

– გეუბნები, არ ვუყვარვარ-მეთქი. საყვარელ არსებას ასეთ ტკივილს არ აყენებენ, ძაძუ!

– ბოჩის მიაჩნია, რომ ასე სჯობია ბიჭებისთვის. მამაა და ვერ გაამტყუნებ!

– მაგრამ, მე – დედა ვარ!

– ბოჩის სწამს და სჯერა თავის სიმართლის. მიაჩნია, რომ იქ უკეთ გაიწაფებიან ბავშვები და... იქიდან მობრუნებულნი, უკეთ გამოადგებიან თავის თვისტომს.

– ჰო, რასაკვრიველია! ბოჩის აწი ვით დააკმაყოფილებს ჩვენი ქურუმების ბჟუტური, ვითარცა ბრძანა ამის წინ!.. ფინიკიელთ ხომ ვერ წავართმევთო იმას, ყოჩაღნი, მარჯვენი, ხერხიანნი და ჭკვიანნი რომ არიანო. ჰოდა, საჭიროაო, ჩვენებმაც ისწავლონ მაგათგან ზოგი რამ, კერძოდ, გაქნილობა და მოხერხებულობა, რათა ცხოვრების შეჯიბრში არ დაიჩაგრონ, ტოლი არავის დაუდონო!

ძაძუმ გაჩუმება არჩია, რადგან თავადაც ციცის მხარეზე იყო და მხოლოდ ყასიდად, ციცისთვის რომ გაეიოლებინა მდგომარეობა, ესარჩლებოდა ბოჩის. ამას ციციც ხვდებოდა და ამიტომაც იყო, ბოჩისთვის სათქმელსაც, მას რომ ეუბნებოდა ხოლმე.

დადის დასაფლავების დღიდან ძაძუ არ მოსცილებია ციცის და მისივე თხოვნით გადმოსახლდა კიდეც გაბელანებთან, თუმცა თავის გამოკეტილ კარ-მიდამოს, და ძვირფას საფლავებს უწინდებურად ხშირად აკითხავდა, თვალის ჩინივით უვლიდა, თავს დასტრიალებდა ხოლმე. ძაძუ ყოველნაირად ცდილობდა შეემსუბუქებინა ციცისთვის მწუხარება, მარტოყოფნის სიმძიმილი. თავს არ იზოგავდა, რომ დადის უყოლობა ძლიერ არ დასტყობოდათ მას და მის ბავშვებს. მართლაც, ძაძუს უანგარო, ძალდაუტანებელმა თანაგრძნობამ და მზრუნველობამ ბევრად გაუადვილა ციცის ჭირ-ვარამის გადატანა, დადის შემდეგ იგი ყველაზე ახლობელ და ძვირფას არსებად იქცა მამიდა ფათულიასთან ერთად, მით უფრო, რომ დედაც უკვე აღარ ჰყავდა ცოცხალი ციცის.

ციცემ კვლავ მეუღლესთან განაგრძო დავა გუნებაში:

[1] მზეთუნახავი.

„რა უნდა ჩვენს შვილებს იმ სიშორეში, ბოჩი? იმ დასაკარგავში? ჩვენი ფარული მტრების ბუნაგში?“ „რამდენჯერ უნდა აგიხსნა, ციცი, რომ მტრის ბუნაგში უკეთ გაიწვრთნებიან-მეთქი ჩვენი ბალღები. სწორედ მტრის ზნე-ჩვეულებები უნდა იცოდე ზედმიწევნით, რომ მასთან ბრძოლასა თუ შეჯიბრში გამარჯვებული გამოხვიდე. დედაკაცო, გაიგე, აღარ არის სიყვარულობიას დრო – ისეთი მკაცრი და სასტიკი ჟამი დგება, რა დროს ქალური გულჩვილობა და ლოლიავია, ვეღარ ხედავ, ძალადობამ და სისასტიკემ ლამის წალეკოს მთელი ქვეყნიერება. ძალას-ძალა უნდა დაუპირისპირო, ცოდნას-ცოდნა, მოხერხებას-მოხერხება. გაიგე ეს ბოლოსდაბოლოს“.

– დადი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეგება ვერ გაებედა... – ახლა ხმამაღლა ფიქრობდა ციცი.

– მაინც იზამდა! მაინც თავისას გაიტანდა. განა არ იცი ბოჩის ხასიათი? როგორი ჯიუტი და თავისნათქვამაა! თუმცა, ჩემგან არ გესწავლება ეს...

– მართალი ხარ, ძაძუ. დადის შეგონებაც ვერ გაჭრიდა მასზე. განა არ ვიცი, მაგრამ... წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო. რა არ ვცადე, რა ხერხს არ მივმართე, დავემუქრე კიდეც, წავალ სახლიდან-მეთქი. ვინ არ მივუგზავნე. შენც რამდენჯერ ჩაგაყენე უხერხულ მდგომარეობაში, როგორ არ დავიმცირე თავი ტირილით და ვედრებით. შენ არ მომიკვდე! წარბიც ვერ შევარხევინე, არ გაჭრა არაფერმა... განა არ ვიცი? თავის ჯიმადის-ჯიჯის მიერაა ასე შეგულიანებული. მისი იმედი აქვს იმ სულწაწყმედილის, მომიტევოს ღმერთებმა! დედულ-მამულ გაყიდული კაცის ხელშეწყობით დიდგულობს! ჰმ! იმას კიდევ რა ენაღვლება? ალბათ უხარია კიდეც, თუკი თავისნაირ ერთგულ მონა-მორჩილს გაუზრდის ფინიკიას – აი, ესაა რომ გონებას მიმღვრევს, ჭკუას მაკარგვინებს, გესმის, ძაძუ? აი, რა ვერ მომინელებია და... ამას ბოჩი ვერ ხვდება?.. თუმცა, რატომაც არა? ხვდება, ძაან კარგადაც ხვდება ყოველისფერს ამას, მარა თავისას მაინც არ იშლის... ჩემს ჯინაზე, ჩემი გულის გასახეთქად! კი, კი... სულ ჯიბრში მედგა, იმთავითვე, გაცნობისთანავე. ამას ახლა ვხვდები, ახლა მოვდივარ აზრზე, მე ჩურჩუტი, შტერი...

ციცი ატყობდა თავის თავს, რაც არ უნდა ეთქვა ახლა, მხოლოდ შხამს და გესლს გადმოანთხევდა, მხოლოდ დანესტრავდა მეუღლეს, ამიტომ არჩია დადუმებულიყო.

დადუმებით კი დადუმდა, მაგრამ თავის წარმოსახვაში ისევ ისე ეპაექრებოდა და თან... სულ ერთი და იგივე სურათი უტრიალებდა თვალწინ, ერთსა და იმავეს უკირკიმალებდა დაჟინებით, ჯიუტად.

...შარშან, ზაფხულში თავის დედ-მამასთან რომ იყო რამდენიმე ხნით,

გეგეშიების მეზობელს, ბექა ცაცუას[1], ფინიკიაში მცხოვრები, წლობით უნახავი ვაჟი ესტუმრა ცოლ-შვილითურთ. ბავშვებმა ხომ ერთი სიტყვაც არ იცოდნენ იათნანურა, მათ მამასაც გადავიწყებოდა მშობლიური ენა, ძლივსღა ამტვრევდა თითო-ოროლა სიტყვას. ხოლო მისმა ცოლმა, ხოჭოსავით შავმა, ძვალმსხვილმა, მოკლეფეხებამ და უშნოდ ჩათქვირულმა დიაცმა სულ ცხვირაბზუებით და ტუჩების პრუწვა-ბრეცით მოიარა ნიშონი და მისი მიდამოები. სალოცავში, ცხადია, არც შეუხედავს, მიცვალებულთა საფლავებიც არ მოუნახულებია-საგოდებელში ასვლა მას კი არა, მის ბედოვლათ ქმარსაც არ მოსვლია თავში აზრად.

სულ ყრუ და მივარდნილი ადგილი უძახა ქალმა ნიშონს და მთელ იათნანას. სასაცილოდ არ ეყო იათნანური გართობა, ცეკვა-სიმღერა, თამაშობები. ისე ეჭირა თავი, ისე ცხვირაბზეკილი დაიარებოდა, ზედვე ეწერა სახეზე, რომ მოწყალება გაიღო მხოლოდ და იმიტომ ინება დაეთვალიერებინა აქაურობა.

ჭრელაჭრულა, ჭყეტელა ტანსაცმელში გამოწყობილი, თვალმარგალიტებითა და ოქროს ბეჭდებით დახუნძლული, მასხრად იგდებდა იათნანელი ქალების სადა ჩაცმულობას. ბეჩა, რა ველურები ყოფილან აქაურები, სამკაულის ტარება არა სცოდნიათო. იათნანელი დიაცების სიტურფემ და მოხდენილობამ კიდევ უფრო დაბოღმა და გააბოროტა, თუმც გარეგნულად აინუნშიც არ აგდებდა არავის. მართალია, ჩვენ შავგვრემანები, გრძელცხვირა და კაჭაფეხება დედაკაცები ვართ, სამაგიეროდ, მამაკაცების ყადრი ჩვენ უკეთ გაგვეგებაო, უფრო გაწაფულნი და დაოსტატებულნი ვართო სიყვარულის საქმეში. მამაკაცებს სულაც არ სჭირდებათო ლამაზი დიაცები, მთავარიაო, მამაკაცის სურვილისა და ჟინისათვის ალღოს აღება და მათი დაკმაყოფილებაო.

სახეზეც და თვალებშიც სულ მუდამ ეს ავხორცული ჟინი ეხატა, თითქოს აგერ-აგერ ადგაო ლოგინიდან და აგერ-აგერ ისევ საწოლში ჩაგორდებაო. მაგრამ... ყველაზე საშინელი სანახავი ციცისთვის – მისი ქმარი იყო. ეს ტანმაღალი, ნათელთვალება, ლამაზი ბიჭი სახეში შესციცინებდა თავის უსახურ და ჭირვეულ ცოლს.

ამის გახსენება ყოველთვის გუნებას უშხამავდა ციცის, შუბლზე ცივ ოფლს ასხამდა. ახლაც, ამ მოგონებამ უწინდებური ძალით დაზაფრა და ააფორიაქა.

...ანაზდად ერთ-ერთი სახლის ბჭესთან თავშეყრილ ქალებს გამოეყო ჭაღარათმიანი, ტანმორჩილი მანდილოსანი და ციცის წინ გადაუდგა. მას ხელი ჩაეჭიდა სრულიად ნორჩი, ფეხმძიმე გოგონასათვის, მორცხვად თავდახრილი ოდნავ რომ უძალიანდებოდა.

[1] ცაცას-სქუა ანუ ცაცაშვილი.

– შოუ ბჟალახეს ზისნახე რძალო! შენი მზისსწორი დედამთილის სახელს და მის სხივნათელ სულს გაფიცებ: ერთი თხოვნა შემისრულე!

წამიერად შემკრთალი ციცი შეირხა, გაოცებით შეაჩერდა დარბაისლური გარეგნობის ჭაღარა დიაცს:

– ბრძანე, დადბეჩა! თუკი ძალმიძს რაიმე...

– ეს ჩემი პირველი რძალია, შემოგევლე, უფროსი ვაჟის ცოლი. მოუსვი მუცელზე ხელი და თვალებში ჩახედე ხანგრძლივად!

გაკვირვებულმა ციციმ უსიტყვოდ, მორჩილად შეასრულა ქალის თხოვნა.

– შენ გაიხარე, ციცი გეგეშხე! მუდამჟამ მზეგრძელი გამყოფოს დიაუფალმა და ჩვენმა ღმერთებმა! სულკურთხეული ბებიაჩეისგან გამიგია, ლამაზი დიაცი თუ მუცელზე მოეფერება ორსულს და თვალებში ჩააშტერდება, უეჭველად მასავით სახიერი ბაღანა დაიბადებაო. ჩემი რძლისთვის სილამაზე არ დაუკლია ჟინი ორთას, ვენაცვალე მის სახელს, თავად ხედავ ამას შენი მზისდარი თვალბით, მარა შენ სულ სხვა ხარ, ცისიერო, ნათელო ბჟალარა! დიდმა ნანამ ინებოს ეგება, ამას იქით შენი სწორუპოვარი სიტურფე მართლა დაებედოს ჩემს შვილიშვილს!

– ეჰ, მთავარია, ბედნიერი იყოს, დადბეჩა, თორემ სილამაზე და სიტურფე არ აკლია ჩვენი თურის გოგო-ბიჭებს! – მიუგო გულაჩუყებულმა ციციმ და ცრემლიანი თვალებით გაუღიმა უცნაურ დიაცს. მან კვლავ ენამზიანად დალოცა ციცი:

...მოსახვევიდან ანაზდეულად თეთრთმიანი, გრძელწვერება მოხუცი გამოჩნდა, რომელსაც წინ პატარა ბიჭი მოუძღოდა.

– დია! ჭიაბერი! ბაბუა ჭიაბერი ჩამოსულა! – წამოიძახა ძაძუმ. ბაბუა ჭიაბერი მაღლა, მთაში ცხოვრობდა და იშვიათად, დღესასწაულებზე თუ ჩამოდიოდა ბარში თავისი განუშორებელი გუდასტვირით. მელექსე-მომღერლის სტუმრობა ყველას სასიამოვნოდ რჩებოდა, მეტადრე ბავშვები ეწეოდნენ ხოლმე სიხარულით ცას;

ახლა, ზაფხულის ამ პაპანაქება სიცხეში მისი სტუმრობა უჩვეულოდ მოეჩვენა ყველას. ციციმ ბავშვი, მის მკლავებში ტკბილად რომ ეძინა, ფრთხილად გადააწოდა ძაძუს და შორი-ახლოს შეჩერებულ უსინათლო მოხუცთან მივიდა, მოკრძალებით მიესალმა და მკერდზე აკოცა პატივისცემის ნიშნად. ბერიკაცმა აცახცახებული ხელებით თავი დაუჭირა ციცის, შუბლზე ეამბორა და მერმე თითები მოუსვა სახეზე, თვალებზე.

– ციცი, შვილო!.. – წაიდუდუნა და ისევ მოუფათურა თითები სახეზე.

– მიცანი, ჭიაბერ ბაბუა? – ნერწყვი ძლივს გადაყლაპა ციციმ და ნაღველმორეულმა, თვალცრემლიანმა ღიმილით დასძინა: – ხომ მშვიდობით ბრძანდები, ჭიაბერ ბაბუა?

– ციცი, შვილო... – თითქოს არ გაუგონიაო ციცის მოკითხვა, კვლავ თავისთვის ბუტბუტებდა ბერიკაცი და მისი სპეტაკი, ნათელი სახე უცხო შუქს გაენათებინა. ჩაშრეტილ თვალებში კურცხალი უბრჭყვიალებდა.

– დიდი ტანჯვა... უჩვეულო... მსხვერპლი საშინელი... გვირგვინი ცისიერი... – გაურკვეველ სიტყვებს ისროდა ბერიკაცი და ახლა თავზე ეფერებოდა ციცის, კრძალვით რომ მოედრიკა ქედი მის წინ.

ამ უცნაური სურათის მხილველნი ციცის თანმხლებნი ადგილზე გახევებულიყვნენ. ხმის ამოღება ვეღარ გაებედათ. მერმე მოხუცმა რბილი მოძრაობით ჩამოიცილა ციცი, ხელის მტევანი უსიტყვოდ დაადო ბიჭს თავზე და ადგილიდან დაიძრა.

– ჩვენთან ხომ არ წამობრძანდებით, ჭიაბერ ბაბუა? – დაადევნა ციცემ, როცა გამოერკვა და გაოცებული მზერა გააყოლა ტაატით მიმავალ ბერიკაცს. მას ხმა არ გაუცია, ისე განაგრძო სიარული.

საგონებელში ჩავარდნილნი, ფიქრებში წასულნი მიდიოდნენ გზაზე და დღევანდელი დღის შეხვედრებზე ფიქრობდნენ, თითქოს განგების რაღაც ძალა ერია მათში, მაგრამ ამ დღის უცნაურობანი თურმე ჯერაც არ დამთავრებულიყო.

* * *

საკუთარმა გმინვამ გამოაღვიძა. გული ამოვარდნას ჰქონდა. ვერ გარკვეულიყო, ცხადში იყო თუ სიზმარში.

– რა იყო, ციცი? – თითქმის ერთდროულად წამოიძახეს ძაძუმ და მამიდა ფათულიამ: – ცუდი სიზმარი ნახე, არა?

„სასწაული იყო დღევანდელი დღე!“ – გაურბინა თავში.

– კი, ცუდი სიზმარი ვნახე! გული კინაღამ გამისკდა... ეს რა ამბავია, რა თქეში მოდის!

– ამ თავსხმამ გამომაღვიძა წეღან მეც. მერმე შენმა კვნესამ გული გადამიტრიალა. რა ნახე ამისთანა, ძა?

– მამიდა, შენც წვიმამ გამოგაღვიძა თუ... ჩემმა გმინვამ? – წაუყრუა ციცემ ძაძუს კითხვას.

– მე საერთოდ არ დამეძინა ამაღამ რატომღაც... შამფურზე წამოგებულივით ვწრიალებდი... – დაიჩივლა მამიდა ფათულიამ თავისი მინაზებული, რბილი ხმით.

– დაიღალე, მამიდა და იმიტომ ალბათ. შენ სად შეგიძლია ამდენი მღელვარების ატანა!

– კიდევ კარგი ნავსადგურში არ წავიყვანეთ. გინდა არ გინდა მეც მოვდივარო რომ დაიჩემა, გახსოვს! – თქვა ძაძუმ: – თორემ დაღლა და მღელვარება მაშინ უნდა გენახათ ამისი.

ციცი წამოჯდა. წვიმის ხმაურს მიუგდო ყური. „როგორი მოწმენდილი ცა იყო, თითქოს ზეთი გადასდიოდა და რა უცებ გაწვიმდა!“ – გაიფიქრა ნაღვლიანად.

– რა ხათქა-ხუთქი გააქვს სახურავს! რა მერეხი მოდის! – ხმამაღლა თქვა და გულზე ხელი მიიჭირა. გულს ისევ ბაგა-ბუგი გაუდიოდა.

– მიყვარს წვიმა... წევხარ შენთვის და ათას რამეზე ფიქრობ... – თქვა მამიდა ფათულიამ.

– საფლავებს სულ მიანგრ-მოანგრევს ეს თქეში! – შეშფოთება და წუხილი ისმოდა ძაძუს ხმაში.

– ვინ იცის, ზღვა როგორ ღელავს! – ციცემ ღრმად ამოიოხრა. სიჩუმე ჩამოწვა. წვიმა თქიშინით მოდიოდა და ჭექა-ქუხილის ხმა ჟამიდან ჟამზე სახლს აზანზარებდა. ელვა წამიერად გაანათებდა ჩაკუპრებულ სივრცეს და მაშინ იდუმალი ელფერი ედებოდა საგნებსა და გარემოს. დაქუხებაზე ქალები კრთებოდნენ. კარგა ხნის დუმილის შემდეგ ფათულიამ დაარღვია სიჩუმე;

– რა სიზმარი ნახე, ციცი გენაცვალე, ასე რომ აგაღელვა?

– მგონი წვიმა უკლებს!

– ასე იცის ზაფხულის წვიმამ. ბანზე რად აგდებ, ციცი, სიტყვას? თუმცა... ძალიან თუ გიჭირს, ნუღარ იტყვი, იყავი...

– არა, არა, ძაძუ, უნდა მოვყვე. იქნებ გულზე მომეშვას ცოტა... – ციცემ წამით იყუჩა და მერმე იდუმალი ხმით წამოიწყო: – იცით... ვითომ სუყველანი ხომალდზე ვართ... ზღვა საშინლად ღელავს... ვეება ტალღებს მოაგორებს და ჩვენს გემს აქეთ–იქით ისვრის... ბოჩიმ ვითომ ჩემი გოჩა და გელა ანძაზე ააგზავნა აფრების ჩამოსახსნელად. ბიჭები რის ვაი-ვაგლახით მიბობღავდნენ ზემოთკენ... რას შვრები-მეთქი, მინდა ვუკივლო ბოჩის, ბავშვებს ვით უშვებ ასეთ საქმეზე-მეთქი, მაგრამ ხმა წამერთვა თითქოს, პირიდან ზმუილის მეტი არაფერი ამომდის...

შეძრწუნებული სახეებით შევცქერით, რაფერ იღუნება ანძა, ეს-ესაა შუაზე უნდა გადატყდეს. ბიჭები შეჩერდნენ. ვერც მაღლა ადიან და ვერც დაბლა ჩამოდიან. სასოწარკვეთილი თვალებით იყურებიან. გოჩა! გელა! ჩამოდით ძირს როგორმე-მეთქი, მინდა ვუყვირო ბიჭებს, მაგრამ არა და არა. ხმა აღარ მემორჩილება, არა და არ ამომდის გამშრალი ყელიდან. უცებ... ვითომ შენი ქმარი, მამიდა – შენს ქმარს მე ხომ არ შევსწრებივარ, მის დღეში არ მინახავს, მარა ვიცი, რომ ეს კაცი შენი ქმარია. ჰოდა, ეს კაცი გამწარებული ხელებს უქნევს ბიჭებს, რაღაცას უყვირის შეშლილი თვალებით, ბოჩია კი, ვითომ აქ არაფერიაო, დგას, როგორც იცის ხოლმე ფეხებგაჩაჩხული დგომა, დოინჯი შემოუდგამს, დამცინავი ღიმილით მიყურებს და კრინტს არ ძრავს. კაცო, რას გაშეშებულხარ, მიეშველე ბაღ-

ნებს, ვერა ხედავ, ვარდებიან-მეთქი, მინდა ვუთხრა და შენ არ მომიკვდე: ენას ვერ ვაბრუნებ პირში, უცებ ბოჩია მეუბნება: არაფერია, მიეჩვევიან, გაუძლებენ, გაიწაფებიანო, რას ლაპარაკობ, კაცო? რა დროს გაწაფვაა? ვიძირებით-მეთქი!

– დედა, გვიშველეე! – მესმის ამ დროს ჩემი ბიჭების განწირული კივილი და ვხედავ, რაფერ მოსწყდნენ ანძას და ძირს წამოვიდნენ... ვაიმე, შვილებო-მეთქი, ვიბღავლე შეშლილმა და... ის იყო, გამომეღვიძა კიდეც...

– დღევანდელი დღის დარდი ჩაგყვა და ამისაა ეგ სიზმარიც. ნუ გეშინია, ჩემო ციცი... ყველაფერი კარგად იქნება.

– ნეტამც მასე იყოს, ძაძუ, შემოგევლე. მარა, ვინ იცის... ეგება, რა უჭირთ... ეგებ ვითარ ქარიშხალში მოყვნენ... მოგიკვდეთ დედა, ჩემო ბუხუნა ბიჭებო!

– დაწყნარდი, ჩემო საყვარელო. ღმერთები გულმოწყალენი არიან, არაფერს დაუშავებენ შენს ბიჭებს, ილოცე და ევედრე „თუთაშ ჯღვერს“, დაიცვას ისინი ფათერაკისაგან, ხიფათისაგან...

– სულ ვლოცულობ, მამიდა. ჩუმად, გულშიც ვლოცულობ!.. მარა, ვინ იცის, განგება რას მიქადის!..

– ეჰ, ბედისწერის ამბავს რას გაიგებ, ჩემო ციცი! აგერ, ჩვენი ძაძუ, შორს სად მიდიხარ? სიკეთის და კარგის მეტი ვის რა ახსოვს მისგან? ბედისგან კი ასე დაიჩაგრა!.. მიუწვდომელია ჩვენთვის განგების ნება, ჩემო საყვარელო!.. ჩვენ ვერასოდეს ვერ ჩავხვდებით, რად გვარგუნეს ღმერთებმა ასეთი ხვედრი და არა – სხვანაირი. რამეთუ საიდუმლოებითაა მოცული გონებისთვის ჩვენი დაბადებამდელი და სიკვდილის მერმინდელი რინა! ჩვენ უმწეო ბაღნებივით ვართ, თუმცა კი ერთობ ამაყად და ქედმაღლურად გვიჭირავს თავი.

– მე მგონი, ღმერთები საერთოდ არც ერევიან კაცის ცხოვრებაში. ან ისე, რომ ვთქვათ, რად უნდა ჩაერიონ, გეთაყვათ, საცოდავი ჭიაღუის სხმარტალში, ცხოვრება რომ გვიქვია!

– მე ის მაოცებს, მამიდა, შენი ქმარი რამ მასიზმრა? მე ხომ არასოდეს მინახავს იგი! – სცადა ციციმ სხვა ლარზე გადაეტანა საუბარი: – საიდან სადაო? მართლაც რომ სიზმარი საოცრებათა გორგალია.

– იცი, ჩემო საყვარელო, მე ქმარი არასდროს მყოლია!

ციცის ენა ჩაუვარდა. გაშტერდა. მამიდის მშვიდმა და უწყინარმა კილომ უფრო გააოგნა, ვიდრე თავად ამ სიტყვებმა.

– ეჰ, ჩემო კარგო... არა მარტო სიზმარი, ცხოვრებაც საოცრებათა გალაა ხშირად.

– მამიდა, არაფერი მესმის...

– გასაგებია, ჩემო კარგო, შენი დაბნევა... მარა, რაკი დავიწყე, აწი აზრიც არა აქვს დაფარვას, თუმცა... მაინც სჯობია, ჩვენს შორის დარჩეს ყოველივე.

– რასაკვირველია... ცხადია... – ერთდროულად წამოიძახეს ორთავემ: ძაძუმ და ციციმ.

– ეჰ, ჩემო ძვირფასებო, – დაიწყო მამიდა ფათულიამ ნაღველნარევი, წყნარი ხმით: – თქვენ ჩემზე ნაკლებ როდი მოგეხსენებათ, რომ ცხოვრება უჩვეულო და მოულოდნელი შემთხვევებითაა სავსე. ამაღამ, ძილგატეხილი რომ ვწრიალებდი ლოგინში, რატომღაც დიდი ხნის წინანდელი ამბავი გამიცოცხლდა მეხსიერებაში. თავი შემახსენა ძველმა ჭრილობამ... და რაკი არც ერთს არ გვეძინება, ასე ვატყობ მე, მოგიყვებით ბარემ ის საიდუმლო ამბავს, რაც აქამდე სულ ორიოდე კაცმა ვიცოდით...

მე სახლიდან არ გავპარულვარ, ჩემო ციცი, როგორც ეს ჩვენებმა უწყიან დღემდე, არამედ... ძალით გამიტაცეს. დიახ, დიახ, ძალით გამიტაცეს, ციცის ვენაცვალე... შენი არ იყოს, მეც მარტოდმარტო მიყვარდა ტყე-ღრეში ხეტიალი. ხან რას დავეძებდი და ხან რას. დავბოდიალობდი ჩემთვის ასე მარტოკა და წარმოდგენა არ მქონდა, თუ შეიძლებოდა რაიმე საფრთხეს გადავყროდი. თურმე საფრთხე ჩამსაფრებოდა...

ია-იების, წიწინდარას[1] კრეფით გართულმა ვერ შევამჩნიე, თავს ვით წამომდგომოდა რამდენიმე ახალგაზრდა კაცი. მათ ფრიად მოურიდებლად მაუწყეს, რომ დაუყოვნებლივ ცოლად უნდა გავყოლოდი ვინმე ხუტა გოგიბერეს. თუ ამას არ ვიზამდი – ხუტა გოგიბერე უსათუოდ თავს მოიკლავდა. თვითონ სად არის, თვითონ რად არ მეუბნება სათქმელს-მეთქი, გავიკვირვე. სათქმელი ერთხელ მზიას პირით შემოგითვალა. მარა შენ სასტიკი უარი უთხარიო. თქვენ ვინ ბრძანდებით-მეთქი, თავაზიანად ვეკითხები კვლავ ამ არამკითხეებს და რატომღაც მგონია, ყველაფერი ეს ხუმრობაა, მართალია, საკმაოდ უხეირო, მარა მაინც ხუმრობა. ჩვენო მისი ბიძაშვილ-მამიდაშვილები, მისი მეგობრები და მოგვარენი ვართო. თქვენ უკვე გცოდნიათ ჩემი პასუხი და აბა მაშ, რისთვისღა გარჯილხართ-მეთქი. რომ ვიცით შენი პასუხი და ისიც ვიცით, თვითონ რომ ვერ ბედავს შენთან მოსვლას, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მისი თანადგომა და უნდა წამოგვყვე ახლავეო. კი მარა, რომ არ მინდა მისი ცოლობა. არც მნდომებია ოდესმე, და არც მომავალში არ ვაპირებ მასზე გათხოვებას-მეთქი! ეგ სულ ერთია! ეგ ჩვენც ვიცით, მარა მაინც უნდა წაგიყვანოთო. მერე მოგინდება მისი ცოლობაო. თქვენ რა იცით. რა მომინდება მერე და რა არა-მეთქი და საერთოდ, თქვენ ჩემს მაგივრად რატომ ფიქრობთ? რა უფლების ძალით-მეთქი? ეს ყველაფერი ტყუილი

[1] მარწყვი.

წყლის ნაყვაა. ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, მოგიტაცოთ და გათავებული ამბავიაო. ჩემი სურვილის წინააღმდეგ-მეთქი? მაინც არ ვიშლი ჩემსას, თუმცა უკვე ვგრძნობ, რომ ესენი არ ხუმრობენ და ეტყობა არც არაფრის წინაშე დაიხევენ უკან. თუნდაც შენი სურვილის წინააღმდეგო, მომიგეს უტიფრად. იათნანელები თუ ხართ-მეთქი, ვეკითხები უცებ და ვართ, აბა, არაო, გაიკვირვეს ძალიან. მერედა, თუ იათნანელები ხართ, განა არ იცით, რომ ჩვენში ძალდატანებით არ ხდება ქორწინება და ყოველგვარი ძალადობა გულისამრევი და საზიზღარი რამ არის-მეთქი. ვიცითო ეს ყველაფერი, მარა სხვა გზა არა გვაქვსო. ჩვენი საყვარელი ბიძაშვილი თავს მოიკლავს, თუ შენ მისი ცოლი არ გახდებიო, ამიტომ გიტაცებთო. თქვენი საყვარელი ხუტაიას ცოლი მე მაინც არასოდეს ვიქნები, თუნდაც ასჯერ მოიკლას თავი-მეთქი, ეს იცოდეთ და მერე, ნუთუ არ გეშინიათ ჩემი ძმების? ისინი ხომ ასე არ დატოვებენ ამ საქმეს-მეთქი. ესეც ვიცითო. მარა არც ჩვენ გვიძოვია ბალახი, დახვედრას ჩვენც როგორმე შევძლებთო. ერთი იყო მათ შორის, ოჰოჰო, ჰო... ქვის გამხვრეტი: წვრილი, შავი თვალები ბოროტად უელავდა. ეტყობოდა, იგი იყო ამათი სული და გული. იგი აგულიანებდა სხვებსაც. სწორედ იმან მითხრა, გირჩევნია ნებით წამოხვიდე, თორემ ძალით წაგათრევთო.

– მე ჩემი ნებით არ მოგყვებით, მარა რაკი ერთ ქალს ამდენი შეიარაღებული მამაკაცი დამდგომიხართ თავზე და მემუქრებით, იძულებული ვარ დაგემორჩილოთ, მაგრამ გაფრთხილებთ კი, იმ თქვენი ხუტაიას ცოლი მაინც არასოდეს არ გავხდები და ეს ამბავიც თქვენთვის კარგად არ დამთავრდება-მეთქი; არ მეგონა, თუ ამდენ ტლიკინს შევიძლებდი, მაგრამ გასაჭირის ჟამს აღმოვაჩინე, თურმე გონებაც გვარიანად მიჭრიდა და ენაც. ვატყობდი, ყოყმანობდნენ, ერთი პირობა, თითქოს შეეშინდათ კიდევ ცოტა, მარა იმ წვრილთვალებამ, მოკონას რომ ეძახდნენ, გაიხმო ყველანი განზე და დიდხანს ეჩურჩულებოდა რაღაცას, ალბათ აჯერებდა თავის სისწორეში. ჩემთან რომ დაბრუნდნენ, მოკონამ დამიბღვირა, შეჯექი ახლავე ცხენზე შენი ნებით, თვარა ძალით შეგსვამთო, ან სულაც გაგკოჭავთ და ისე წაგიყვანთო. მეტი რა გზა იყო, შევასრულე მისი ბრძანება. შევჯექი ცხენზე. ვიღაცამ ხელის შეშველება დამიპირა, მაგრამ ერთი ისეთი გადავხედე, ახლოს მოსვლა ვეღარ გაბედა. აღშფოთებისგან ვკანკალებდი. ეს ძალადობა – მაცოფებდა. და მერე ვინ? იათნანელი ძალაობდა იათნანელზე. და თანაც მამაკაცი – დედაკაცზე!..

მატარეს მერმე ტყეში მთელი დღე. შეღამდა თუ არა, ცეცხლი გააჩაღეს. შვლის მწვადები შეწვეს, მეც მომართვეს, ცხადია, მარა პირი არ დამიკარებია არაფრისთვის. კრიჭაშეკრული ვიჯექი და გამწარებული, გუნებაში ვემუქრებოდი სუყველას, მაცალეთ, თქვენს ოხტში

ამოვალ-მეთქი, საერთოდ კი ცდილობდნენ ზრდილობიანი და თავაზიანნი ყოფილიყვნენ, რაც მწარე, გესლიან ღიმილს მგვრიდა. ახალგაზრდები იყვნენ მაინც და ჩემს გართობას ცდილობდნენ თავისებურად. ოხუნჯობდნენ, მასხრობდნენ კიდეც. ზოგი ქალიშვილი თავის დღეში არ იფიქრებს გათხოვებაზე, თუ ძალა არ დაატანეო. შენ ქურუმობისკენ გიჭირავს თურმე თვალი, ვიცითო ესეც. ჰოდა, კარგი ყმაწვილის ცოლობა, ბევრი შვილების დედობა გირჩევნია უნაყოფო ქურუმობასო. თავიანთი გასამართლებელი საბუთებიც ჰქონდათ ამ ვიგინდარებს. მერმეც, არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ყოველ მოძალადეს მუდამ მოეპოვება თავის გასასამართლებელი მიზეზი. ძალადობას შენივე სიკეთით ჩავდივარო, ირწმუნება იქამდე, რომ ზოგჯერ მსხვერპლს იძულებულს ხდის, მადლობაც კი უთხრას ამ „სიკეთისთვის“. მარა მე რომ ერთხელ კოპი შევიკარი, მერე შუბლი აღარ გამიხსნია. ამასობაში ჩემი „საქმროც“ შემოგვიერთდა გზაზე. ახლა მას ელაზღანდარებოდნენ და თან ხმამაღლა შენატროდნენ, ასეთი საცოლე გარგუნა გამჩენმაო... მერმე ის იყო, მეორე დღეს, საღამოს ამიყვანეს მთაში და იქ ხუტას მოკეთის ორსართულიანი ქვის სახლში გავათიე ღამე. მე და ხუტა მარტო დაგვტოვეს. როგორც იქნა პირისპირ აღმოვჩნდი ჩემს „საქმროსთან“. იგი თვალებს ვერ მისწორებდა, ელეთ-მელეთი მოსდიოდა ყოველ ჩემს შეხედვაზე. გამომიტყდა, მეო ვერასდროს ვერ შეგბედავდი მოტაცებას, ჩემს ნათესავებსა და მეგობრებს რომ არ შევეგულიანებინეო. მივხვდი, რომ დავიყოლიებდი ისე მოქცეულიყო, როგორც მე მინდოდა. და მართლაც ასე მოხდა: ჩემს უნებური არაფერი მოუმოქმედნია, რასაც ვეტყოდი, მორჩილად ასრულებდა ყოველივეს: მესამე დღეს ჩემი ძმები და ნათესავები ჩვენს კვალს რომ მოჰყვნენ და თავზე დაგვადგნენ, წამში ვიაზრე, რომ შეიძლებოდა სისხლი დაღვრილიყო, რადგან ჩემმა მომტაცებლებმა, რაკი ერთხელ შეტოპეს, უკან დახევას აღარ აპირებდნენ. მაგრამ ხუტა დავითანხმე იმაზე, რომ გავეშვი ჩემ ძმებთან და ყველაფერს როგორც საჭიროა, ისე ვიზამ-მეთქი. მენდნენ... გამიშვეს, ხუტას წყალობით, ცხადია. ძმებთან ყველაფერი მე დავიბრალე, მე მოვატაცებინე თავი, რადგან შემეშინდა, რომ თქვენ ამ ბიჭის ცოლობაზე უარს მეტყოდით-მეთქი. არ მიჯერებდნენ თავდაპირველად. მარა, რომ იტყვიან, ნემსის ყუნწში ვძვრებოდი, ოღონდ ჩემი ძმები და ნათესავები დამერწმუნებინა ჩემს უსაქციელობაში. ამაზე მთლად შეიშალნენ. შენო, გეგეშიების ოხორეში გაზრდილმა ცირასქუამ, ასე თავს ლაფი ვით დაგვასხიო, თავი რაფერ მოგვჭერი საქვეყნოდ და ვით გაიპარე სახლიდანო, რად და რის გამო დაარღვიე ჩვენი წეს-ჩვეულებაო და ათასი სხვა რამ მითხრეს ამდაგვარი, ასე რომ მიწასთან გასწორებულ-გაცამტვერებულს და შერ-

ცხვენილს, ისღა დამრჩენოდა, თავი უნდა მომეკლა. მარა მე მზად ვიყავ, კიდევ უარესი ნაცარ-ტუტა დამეყარა თავზე, ოღონდ ჩემი ძმები სისხლის ღვრას ამეცდინა. მიკვირდა, საიდან აღმომაჩნდა ამდენი მოხერხება, ეშმაკობა, ტყუილების თქმის უნარი – მოკლედ, მთელი ხელოვნება სხვისი მოღორებისა! მერმე ვის ვატყუებდი? საკუთარ ძმებს, თავს რომ მერჩია თვითეული მათგანი! რომ შევატყვე, ფონს ვერ გავდიოდი ჩემი სიცრუით, უკანასკნელ ღონეს მივმართე – ტირილი და ვიშვიში დავიწყე.

ვითარც იქნა, დავაჯერე ჩემი ძმები და ნათესავები, რომ ყოვლად უმსგავსი და სამარცხვინო საქმის ჩამდენი გახლდით ჩემივე ნებით და სურვილით. დაჯერებით კი დამიჯერეს, მარა ყველაზე უფროსმა ძამამ ყველაზე მეტად მომიკლა გული: რაკი ასე შეგვარცხვინე, ამიერიდან მოკვეთილი იქნები ჩვენი ოჯახიდანო. იყავი, ეგდე ამ შენს ქარიყლაპია ქმართან და დაივიწყე, რომ ოდესმე გყავდა ძმები და გქონდა დედმამისეული სახლ-კარიო. ადვილად წარმოიდგინეთ ალბათ, რა სასტიკი განაჩენი იყო ჩემთვის ეს სიტყვები. თითქოს ცა ჩამომენგრა და მიწა გამერღვა ფეხქვეშ. მარა ღმერთებს მაინც მადლობას ვწირავდი, რომ უსისხლოდ დამთავრდა ეს ამბავი. მერმე კიდევ ექვსი თვე დავრჩი ჩემ „ქმართან“, რომელიც ჭირის დღესავით მძაგდა, რადგან იგი მიმაჩნდა ჩემი უბედურების მიზეზად. იგი ერთხელაც არ მომკარებია: ასეთი იყო ჩემი ნება! ექვსი თვის შემდეგ მივატოვე „ქმრისეული“ სახლი – ამდენი ხნის შემდეგ შეუძლებლად მიმაჩნდა ჩემს ძმებს რაიმე ეჭვი აეღოთ: ხასიათით ვერ შევეგუეთ-მეთქი ერთმანეთს, განვაცხადე და გუდათას საყდარს შევაფარე თავი, სადაც ჩვენი ნათესავი იყო წინამძღვრად და მთავარ ქურუმად. მისთვის არ დამიმალავს ჩემი ცოდვები და მერმე მისი წყალობა იყო, რომ ძმები შემირიგდნენ და სახლში მიმიღეს. ოღონდ ჩემი უკან მობრუნების ნამდვილი მიზეზი დღემდე არც ერთმა მათგანმა არ იცის... – მამიდა გაჩუმდა: ყველანი ღრმა ფიქრებს მიეცნენ. ამ ამბავმა სამთავეს საკუთარი წარსული მოაგონა. დრო კი მიდიოდა. წვიმამ ჯერ უკლო, მერმე შეწყდა კიდეც.

– წვიმამ გადაიღო! – ხანგრძლივი დუმილი ძაძუმ დაარღვია.

– კი, გადაიღო. ის კი არადა, მთვარეც გამოჩნდა!

– მართლა? – მამიდა ფათულიამ თავი წამოსწია ბალიშიდან, მერე წამოჯდა. ჭვიტეს[1] მიუშტერა თვალი.

– ეჰ, ნეტავი ძე-ხორციელად არ გავჩენილიყავ ამ ქვეყნად! – ანაზდეულად ფათულიას ხმაში უჩვეულო სასოწარკვეთა გაისმა.

– რათა მამიდა? რატომ ამბობ მასე? – გული მოეწვა ციცის და თვითონაც წამოჯდა. შეეცადა სიბნელეში გაერჩია მამიდას სახის გამომეტყველება.

– ჩემივე ხორცი მამძიმებს, ჭირიმე, ჩემი ცოდვები და სხვისიც სულს მიშფოთებს. ამდენ დახოცილ ფრინველს და პირუტყვს რომ ვუყურებ, ამდენ დანთხეულ სისხლს, გული მიწუხს, ამდენი სიდუხჭირე და ვარამი – გულს მისივებს – სხვისიც და ჩემიც. მეგონა, საყდარში სული დამიმშვიდდებოდა, მაგრამ ყველგან ერთნაირია ყველაფერი. ყველგან ერთი და იგივეა!.. ეჰ, რამდენი გაჭირვებული მოდის ჩვენთან ოხვამეში, რამდენი თხრამლია დაგროვილი, რამდენი ბალღამი. ყველას შველა უნდა. ყველა ითხოვს თავის წილ ბედნიერებას. თავის წილ სიკეთეს. მაგრამ... სადაა ბედნიერება? ეჰ, სჯობდა ნამდვილად – მიწის შვილად არ გავჩენილიყავ. თუ მაინცდამაინც გაჩენა იყო... ფრინველად მაინც მოვვლენოდი ამ ქვეყანას. აი, ვთქვათ... შაშვად. იყო შაშვი მგალობელი. ღმერთი ჩვენი მწყალობელიო... ან არადა... ყელყარყარა გედი ვყოფილიყავ! გედი ერთხელ გალობს თურმე, ისიც სიკვდილის წინ და... მხოლოდ ერთხელ უყვარს.

ციცი გაოცებით მისჩერებოდა მამიდას, მკლავები მუხლებზე რომ შემოეხვია და მისთვის უჩვეულო მღელვარებით ლაპარაკობდა. „დასურო. უცნაური დღეა დღევანდელი დღე!“ – გაიფიქრა ციცემ და ამ დროს ძაძუ გაეხმიანა:

– ციცი, გეთაყვა, რატომ გეძახდა დადი ცარცას? სულ მინდა გკითხო და მისდღემში მავიწყდება, გულიდან გადამცილდება ხოლმე.

– ჩემო ძაძუ, ცარცა ანუ კირკე ჩვენი მოდგმის დედამთავარია. აიას კუნძულის პირველი მფლობელი იყო იგი და მისგან, ამ მზის ასულისგან, წამოვიდა ჩვენი შთამომავლობა! – ფათულიამ წამით იყუჩა და მერმე:

– ქალებო! მოდით გავიდეთ გარეთ, აბარწაზე. მაინც არ გვეძინება ამაღამ და... ნაწვიმარზე ჰაერი წმინდა იქნება და სურნელოვანი. აქ სული მეხუთება როგორღაც...

ჯერ ციცი მიჰყვა მამიდა ფათულიას, მერმე ძაძუც გავიდა აივანზე მთქნარება-მთქნარებით.

ციცი ამჩნევდა, მამიდასი არ იყოს, მასაც უცნაური ფორიაქი შედგომოდა სხეულში, აწრიალებული, ადგილს ვერ პოულობდა თითქოს.

– მთვარის აღვსების ჟამია ამაღამ! – დაიჩურჩულა მამიდა ფათულიამ საიდუმლო ხმით და აივნის ბოძთან მიფარფატდა, ცალი ხელი შემოხვია და თვალმინაბული ლოყით მიეკრა. იგი თითქოს ზეზეურად თვლემდა, უცხო ზმანებებში წასული. ციცი შეშფოთებული მზერით, ფარულად უჭვრეტდა მის მიბნედილ, მთვარის სხივებში თეთრად მოქათქათე სახეს, ბეჭებზე ჩანჩქერივით გადმოღვრილ თმას...

ფათულია ანაზდად შეტოკდა, ხელები მთვარისკენ გაიწვდინა და თავისთვის აჩურჩულდა, ძაძუმ და ციცემ უნებლიეთ გადახედეს ერთ-

[1] სარკმელი.

მანეთს, ფათულიას უჩვეულო სილამაზე რაღაც იდუმალ, თითქოს შიგნიდან წამოსულ შუქს გაესხივოსნებინა. და ციცის მოეჩვენა, თითქოს მოწყდა იგი ადგილს და კისერგადაწეული, მკლავებგაშლილი ნელ-ნელა აფრინდა ზევით, მაღლა... არა. ეს უკვე აღარ იყო ქალის სხეული: ყელმოღერილი თეთრი გედი ლაღად, ამაყად მიაპობდა ცის უსაზღვრო სილურჯეს!

ვოისა

სულის ფსკერიდან დაიძრა მოგონებათა წყება, თითქოს არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდა ამაღამდელ ამბებთან და მაინც...

გუმათუთა[1] დგას, ყურძნის კრეფის ჟამი. ჰაერში თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებს. დღე და ღამე მხიარულება და ჟრიამული არ წყდება დაბა-სოფლებსა და ქალაქებში, მთელს იათნანაზე.

ყველას ეზო-კარში ნადია, ყველანი ერთი მეორეს შველიან.

ხეებზე შეხუნძლული გოგო-ბიჭები გიდელებში კრეფენ ყურძენს და თან სიმღერაში ეჯიბრებიან ურთიერთს, მოსავალს ვეღარ იტევენ საწნახელები, ლაგვინები, ჭურები, მარნები. მსუყე, დაყურსული „დამორჩილია“ სათითაოდ ყველა ოჯახში. ყველგან გუგუნებს „ვოისა“, „რაშოვდა“, „ორერა“, „აგუნა“...

ჟამია ქორწილებისა, ერთმანეთის გადაპატიჟებისა, დროის უზრუნველი ტარებისა, სახიობობისა, ბახუას საყოველთაო ზეობისა. ვაზის და ღვინის ღვთაება ბახუა-თავაწყვეტილი დაჯლიგინობს კარიდან კარში და ხის ოჩოფეხებზე შემდგარი, ციკნის ტყაპუჭით შემოსილი სახიონის თანხლებით ლაზღანდარობითა და ცუღლუტობით იკლებს მთელ კუნძულს: ხან ვის კერიას მიადგებიან და ხან ვისას – კარი ყველგან ღია ხვდებათ. ყურძნის აკიდოებით თავდამშვენებული, ზურგზე გადებული ვაზის რტოებით მორთული კომბლით ხელში სოფლი-სოფლად დაცუღლუტობს ლხინის და ღვინის ღვთაება – უზრუნველი, ჯირკუტალა, ჯაგვარა, ჭკუამხიარული, ენამოსწრებული, მკვეხარა და ცრუპენტელა, კეთილი და უბოროტო, ურიდი და ღლაბუცა. თვალებში ასი მზე უგიზგიზებს, მრგვალ, ბუტკუცუნა ლოყებზე კი – ცეცხლი წაჰკიდებია...

ერთ მშვენიერ საღამოს იგი ციცის ოხორესაც ეწვია, – სადაც ახალგაზრდა მსახიობელებს, მეფერხისეებს, მენესტვეებს, მომღერლებს მოეყარათ თავი სახელდახელოდ ახოხოლავებული მომაღლო „სახილველის“ გარშემო და მობახუსეთა გამოჩენამდე ჯანჯუხას და ფელამუშს შეექცევიან, თიხის ჯამებით მაჭარს სვამენ და სურნელოვანი ხილით იტკბობენ პირს.

[1] ოქტომბრის თვე.

კვარები და მაშხალები აღარცაა საჭირო – ისეთი კაკაჩია ღამეა.

ყურთამდე მოღიავებულ ეზოს ჭიშკარში აუწერელი ჟრიამულითა და გნიასით შემოცვივდნენ ბახუა და მისი ამფსონები – მათ სიცილ-ხარხარით შემოუარეს გარს ეზოში შეკრებილთ, ყვავილები და ვაზის ტოტები მიმოყარეს ირგვლივ, მერმე აცვივდნენ „სახილველზე“ და სახელდახელოდ გაითამაშეს ბახუას მოგზაურობის ამბავი.

აი, ჯერ კიდევ ფხიზელი, ნახევრად შიშველი, ვაზის რტოებითა და ყვავილებით მორთულ-მოკაზმული ყმაწვილი ღვთაება ეპაექრება თავის მხიარულ და ენამახვილ მხლებლებს და სჯობნის კიდეც მათ ენამოსწრებულობაში, ქილიკობაში, ხელში ონავრულად ათამაშებს ვეება ყანწს, თანმხლებთა ყანწებისგან საგრძნობლად განსხვავებულს ზომით და წონით. რაკი ღვთაებაა, სასმისიც საგანგებოდ დიდი უნდა იყოს. ამალა ადგილიდან ადგილზე გადადის და ხან ერთ ოხორეს მიადგება, ხან მეორეს... მასპინძელი ყანწითვე ეგებება სასურველ სტუმრებს: ვაზის ღვთაებამ უნდა დალოცოს კერიის ფუძე და ჭერი, მისი ძე – და მომავალი, მოსავალი და ვენახი.

ბახუა ილოცება: ხვავი და ბარაქა არ მოკლებოდეს ამ მახორობას, იმრავლოს და იხაროს მისმა ძე-თურმა, მთელმა ოხორემ, თიიმ და დინომ.

სიტყვიერ დალოცვას არ სჯერდება მასპინძელი: ყანწით უნდა შეისვას ღვინო შუშხუნა. ბახუა უარზეა, წინ ჯერ კიდევ რამდენი ჰყავს დასალოცი და სადღეგრძელებელი. მასპინძელი ჯიუტობს, იგი განაწყენებულიცაა, ღვთაება რომ არ კადრულობს უბრალო მოკვდავთაგან მირთმეულ სასმისს. რა გაეწყობა: უნდა დალიოს ბახუამ ეს ყანწიც, რამეთუ ეს დღე არ უნდა იყოს წყენის, დამდურების და გულნაკლულობის დღე. ყანწი დაილია ბოლომდის. გაამოს ბახულია!

ახლა მეორე ოხორის პატრონი რომ არ გაებუტოს, სვამს მის მიერ მოწოდებულ ყანწსაც, ვერც მესამეს ეუბნება უარს, თუმცა კი იშველიებს უეჭველ საბუთს: მთელი იათნანა უნდა მოიაროს, მოინახულოს თითოეული დოხორე, დალოცოს და ადღეგრძელოს თითოეული მათგანი და მართალია, ღვთაებაა და შეუძლია უზომოდ სვას და მაინც არ დათვრეს, გონი არ დაკარგოს ჩვეულებრივი მოკვდავივით, მაგრამ ღვთაების შესაძლებლობებსაც ხომ აქვს საზღვარი!

არა და არა! აღარ ჭრის არანაირი შეგონება. იათნანელის ოხორე, მისი ფუძე-ჭერი უნდა დაილოცოს ღვთაებისგან. ამას არ უნდა დიდი ლარი და ხაზი. ხოლო... უღვინო დალოცვას რა ფასი აქვს! სად თქმულა, სად გაგონილა!

ჰოდა, ბახუაც სვამს ბოლომდე და ყანწს ცერა თითის ფრჩხილზე აპირქვავებს – ასე მტერი დაგელიოთ!

ამალა გახარებულია: ყოჩაღ, ვაშა და დიდება შენ, ბახულია!

ბახულია იკრიჭება შეჟინჟღილებული: შექება ღვთაებასაც სიამოვნებს თურმე!

ასე კარიდან კარში დახეტიალობს ბახულია და ეშხში შესული, ენად გაკრეფილი, ცლის და ცლის ყანწებს ფსკერამდე და ყველას – დიდს თუ პატარას, ქალს თუ კაცს – ეღლაბუცება და ეკურკურება...

აცუნცრუკებული, თავს გასული ბახულია ლაღობს და ხარობს და თუმც უკვე ფეხიც ეშლება, ენაც ერევა და ჭკუაზედაც მთლად კარგად ვერ ბრძანდება, მაინც არ ანებებს თავს წინამძღოლობას და... ბილწსიტყვაობასაც. აქაოდა, ღვთაება ვარ და ყველაფერი მეპატიებაო, მთლად აიშვა თავი, ყიამყრალობს გაუთავებლად. მხლებლებიც ვალში არ რჩებიან და... არის ერთი ღლიცინი, ხორხოცი, რია-რია.

„ჩქინი ბახულია გობიხვინაფილი, ჩქინი ბახულია დღას ვადინაფილი, ჩქინი ბახულია ვარჯგინაფილი, ჩქინი ბახულია ჩქინი მჭყოლოფელი, ჩქინი ბახულია დღას ვაღურელი, ჩქინი ბახულია სქანი გოლუაფირი“.[1]

გოზგოზებენ ნიღბიანი სახიონნი, ეფერებიან და ესიყვარულებიან უკვე გამობრუჟულ ღვთაებას, აბრუს რომ არ იტეხს მაინც. მერმე მთლად თავს აიწყვეტს და... ხან მიწაზე კოტრიალებს და ფეხებს პლაკავს, ხანაც ერთ ადგილზე იწყებს გვანგვალს. დატორღიალობს აქეთ-იქით, ცხენივით ჭიხვინებს ხანაც და კომბალს ხელში ატრიალებს: ვიღაცას ემუქრება და ლანძღავს თვალგადმოქაჩული, ხანაც ეშმაკურად იჭყანება და ენას უყოფს გარშემომყოფთ. მერმე რაც ძალი და ღონე აქვს მორთავს ბღავილს: ვო-რე-რა, ვო-რე-როშა! რე-რა-შა, რე-რა-შა...

ამალა ცდილობს ბანი უთხრას, როგორმე შეუწყოს ხმა: არა, არ გამოდის არაფერი, რადგან ორივე მხარე გამოთაყვანებულია უკვე და აღარაფერი ესმით ერთმანეთის, მაგრამ მაინც აქეზებენ და ცეცხლს უნთებენ ისედაც გახელებულ ბახუას, შლეგურად, წრეგადასულად რომ ღრეობს და ტაშფანდურობს. ბოლო არ უჩანს ღვთაების უსაქციელობას. მაყურებლები უბოროტოდ ხითხითებენ. ილაჯგაწყვეტილ და გამობენტერებულ ბახულიას ხან ერთ მხარეს მოისვრიან ბურთივით, ხან მეორეს... არის ერთი ვაი-უშველებელი, გნიასი, ჟივილ-ხივილი. ბახუა, რომელსაც დავიწყებია თავისი ღვთიური წარმომავლობა, ლამის ერთ ვიგინდარა ლოთი-შფოთად იქცეს, ბრბოს სამასხარაოდ და საპამპულაოდ.

ისე მოხდენილად და ოსტატურად ასახიერებენ ნიღბიანი მსახიობელნი ბახუას და მისი ამალის თავაშვებულობას, რომ ყველანი სიცილისგან იგუდებიან...

[1] ბახულია გათქვირულო, ბახულია არც როდის დაკარგულო, ბახულია არ მორეულო, ბახულია ჩვენო მწყალობელო, ჩვენო ბახულია არასდროს მკვდარო, ჩვენო ბახულია, შენ შემოგევლეთ ჩვენ.

ამ საერთო ორომტრიალში უცებ ვიღაცამ ხაფი ხმით დაიყვირა: – ე-ახ! ეს რა მოძვრება ჩვენსკენ!

უცებ ჩამოვარდნილ სამარისებურ სიჩუმეში გაისმის შეშფოთებული შეძახილი: ძვაბრა! ძვაბრა! ძვაბრა!

არიქა, ძვაბრა შემოპარულა მოზეიმეთა რიგებში. უჩუმრად, მალულად – მოხოხავს იგი.

ტყდება განგაში, ალიაქოთი. წინ და უკან გარბიან და გამორბიან ყვირილით, კივილ-წივილით, ყიჟინით.

ჰეი, ძაბრალე! მაშ დრო იხელთე არა, შე მუხანათო! ბახუა დაუთვრიათ და გაუტიალებიათ! გალეშილი ღვთაება იქნება ჩემი საკბილო გახდესო, არა? ნასმურევს იოლად მოვერევი და დავიმორჩილებო, არა?

უცებ ფხიზლდებიან ბახუას თანმხლებელნი და თვითონ ბახუაც შემართულია უკვე! სწრაფად იკვრება წრე და შუაში მოქცეული ძვაბრა ამაოდ ცდილობს დაუძვრეს მოალყეებს, გაიქცეს, თავს უშველოს, რადგან იცის, გამოფხიზლებული კაცები მას ხეირს არ დააყრიან. მაგრამ უკვე გვიანაა. ძვაბრა მომწყვდეულია, ვერა, ამ რკალს იგი ვერ გაარღვევს ვერასდიდებით!

ჰო, შე წყეულო ძაბრალე! მისდღემში რომ ჩასაფრებიხარ კაცთა მოდგმას შენი კუდიანებით, ალქაჯებით, ჭინკებით და ოჩოკოჩებით! ახლა სად წაგვიხვალ! მოუხმე თუ ვაჟკაცი ხარ შენს ქვეშევრდომებს, შენს მონა-მორჩილ ხელქვეითებს: ავსულებს, ჯადოქრებს, მაზაკვალებს. აბა ჰე! – თუ გიშველიან ისინი, მაგასაც ვნახავთ:

წრედშეკრულებმა აღმართეს კომბლები და... უჟაპუნებენ და უჟაპუნებენ ამ ქვებუდანა, ვერაგ და გაუტანელ ძვაბრას – სულ რომ იმის ცდასა და ფიქრშია, ვის რა ავნოს, ვის როგორ და რანაირად უხიმანდროს! აარა! არ უნდა გაიხაროს ამ ავსულმა, ამ ბოროტმა ურჩხულმა! დავცხოთ მაგას, ძმებო, დავცხოთ, შეუბრალებლად!

ვოისა! – დაიძახა ანაზდად ვიღაცამ წკრიალა ხმით.

ვოისა! – აჰყვა მას მეორე.

ვოისა! – დაიგუგუნა რამდენიმე ხმამ ერთდროულად.

... ტანწერწეტა ასულს ვაზის მსხმოიარე ტოტი დაუჭერია ხელში და გოგმანით შემოვიდა წრეში. მას მოჰყვა მეორე, მესამე – მთელი გუნდი თეთრსამოსიანი, ვაზის რტოებით მორთული გოგონებისა!

„ციცი! დააკვრიდი ამ ასულს! ვერაფერს ამჩნევ?“ – თითქოს დადი ეჩურჩულება ყურში: იგი უხილავად აქაა, ამათ შორის ტრიალებს.

უნებურად შეჩქვიფდა ციცი.

„ვერა, ვერაფერს, დადი!“

„რტოს დააკვირდი, შვილო რტოს!.. თუმცა... ჰო... ვეღარ დაინახავ!..

ველარ მიხვდები. შენ მართალი ხარ! ჟამი არ დამდგარა ჯერ!“

„მაპატიე, დადი... ველარ გავიგე, რისი თქმა გსურს?“

„არაფერია, შვილო, არაფერი. ეს ძალიან შორეული ამბებია!.. ჯერ ჟამი არ არის საამისო“.

ვოისა, ვოისა, ვოისა, რერო. ვოისა შვა-რაი-და!

სი ვარაიდა, შვა-რა-იდა, ვოისა, შვა-რა-იდა.

გუგუნებენ ბანები, მას ერთვიან მეორე ხმები – თანწყობიერად, შეხმატკბილებულად. პირველი კი – პირველი ანაზდად განზე გაიჭრა, მერმე დაიძაბა, დაიჭიმა სიმივით და... უცნაური კივილით თითქოს ცას შეასკდა: ჰა-რი-რა!

ტანზე ბუსუსებმა დააყარა ციცის. მამიდა ფათულიამ ძაძუსკენ გააპარა მზერა. იმათაც სახე შეცვლოდათ. დაძაბულნი, სახედასხეპილნი ისხდნენ.

პირველი ხმა კი კვლავ ჟრუანტელის მომგვრელად მიაპობს ცის თაღედს, ლამის კოჭიმელს მისწვდეს.

როკავენ მხრებზე ხელებგადახვეული ალვისტანა ბიჭები და გედებივით ყელმოღერილი ქალწულები, შუაში ჩაუყენებიათ სახეგაბრწყინებული ბახულია და თვალმახარა ასული და ერთხმად მღერიან ცისა და ღვთაების სადიდებელს.

მერმე... ცეკვა-ცეკვითვე მიუახლოვდნენ მოლზე მსხდომთ. შედგნენ წამით. ვაჟებმა თავი დახარეს მოკრძალებით, გულზე ხელმიჭდობილებმა. წამსვე წამოფრინდნენ სუყველანი – ჭაღაროსან-ახალგაზრდიანად. ფათულია და ძაძუმაც კი ხელი ხელს ჩაჰკიდეს და... ერთად აცეკვდნენ.

ჰარირა კი კვლავ თავიდან იწყება და თანდათან მაღლა მიიწევს...

თუთარჩელა ღამე ნელინელ გაბაცდა. ცას მტრედისფერმა გადაჰკრა. კიდევ ცოტაც და... ვეებერთელა ცეცხლის ბურთი ამოგორდა მთის მწვერვალიდან. მზე ამოკაკანდა.

ჰა-რი-რა – მზის სადიდებელი გალობა – თითქოს ყურძნის მტევნებში ჩაწურული, უშურველად იღვრება ირგვლივ... თითქოს მთელი იათნანა ეგება მნათობის ამობრძანებას ცის კაბადონზე!

ცეკვავდა მამიდა ფათულია. ცეკვავდა ძაძუც – შაოსანი და მუდამ მგლოვიარე ძაძუ, ცეკვავდა ჭარმაგიცა და ყმაწვილიც, ქალიც და კაციც, დიდი და პატარა.

...ფერხისაის შემდეგ ანაზდად ფათულია მამიდამ უჩურჩულა ციცის: „ასე მგონია, ოდესღაც, უხსოვარ დროში ვცეკვავდი სწორედ ასე და ამნაირად. და მგონია: კიდევ ვიცეკვებთ სწორედ ასე და ამნაირად, ოღონდ... სულ სხვა დროში!“

ჩემს გულში ხომ არ ჩამოიხედა მამიდამო, გაუელვა ციცის, რადგან

ისიც ამგვარივე განცდას შეეპყრო: თითქოს ოდესღაც იყო ასე და... მომავალშიც, ოდესმე უსათუოდ ამგვარადვე განმეორდებოდა ყველაფერი!

ციცი გეგეშხე

...ერთხელ დილაადრიანად, შორეული ზღვაოსნობიდან ახლად დაბრუნებულმა ბოჩიმ – ციცისთან ალერსით გული რომ მოიჯერა, ფრთხილად შეაპარა: ქალი ჩამოვიყვანე ერთი ფინიკიიდან, იყოს სახლში, შენ და ძაძუს საქმეში ხელს წაგიკრავთ, გიჭირთ, ხომ ვხედავ ამას. ჰოდა, გამოიყენეთ ყველაფერში და მეც მასიამოვნებ ამითო.

– ისევ დავიწყოთ თავიდან დავა? – ჰკითხა ციციმ.

– გაიგე, დედაკაცო, ეს ქალი შენი მოახლე იქნება და ამის იქით ნუღარ იჩხრიკები.

– მოდი, გულახდილი ვიყოთ, შენ გინდა ხარჭა გყავდეს სახლში ისე, როგორც ეს ფინიკიელებშია მიღებული, – არ დაუთმო ციციმ.

– თუნდაც ასე იყოს, შენ რა გიშავდება ამით? შენ ჩემი სჯულიერი და საყვარელი მეუღლე ხარ, ჩემი შვილების დედა. ის დედაკაცი თუ აქ ეგდება და დროდადრო, – ბილწად ჩაიცინა, – დიაცის მაგივრობასაც გასწევს, შენ რა გაკლდება ამით, ანდა რა გენაღვლებაო.

ელდანაცემი, პირუჩუმრად შესცქეროდა ციცი. იათნანელობის უკვე არაფერი ეცხო ბოჩის. გარეგნულადაც შეიცვალა: შესუქდა, თვალები სმისგან ჩაუწითლდა, ღიპი წამოეზარდა, ხშირი თმაც შეუთხელდა, სახეზე ნაოჭები გაუჩნდა: არა სიბერის, არამედ უზნეო, გარყვნილი ცხოვრების ნაკვალევი.

– ეს ხომ ჩვენი წესი არ არის, ბოჩია! – ერთხელ კიდევ შეახსენა ძველი საბუთი გულშეკუმშულმა. თუმცა იცოდა, უკვე ამაო რომ იყო ეს ყველაფერი.

– რა სულ წესი დაგიჩემებია, ქალო, შენ? – იღრიალა ანაზდად ბოჩიმ და თვალებიდან მრისხანების ნაპერწკლები დაყარა: – ვინ მისდევს თქვენი, სულელი დიაცების მეტი, ამ მითაჟამინდელ ზნე-ჩვეულებას? გაიგე, დედაკაცო, ჩემი შეძლების კაცის დოხორეში უამრავი მოსამსახურე და მონა უნდა ტრიალებდეს. შენ კიდევ ამოგიჩემებია რაღაც შტერული აზრი და ერთის შემოშვებასაც აღარ მანებებ! აქაოდა, დღემუშის[1] ზნე-ჩვეულებას პატივს ვცემო. სასაცილო ხარ და მეტი არაფერი!

– მაშინ ჩვენ, მე და შენ, იათნანური წესით უნდა განვქორწინდეთ, ბოჩია!

– რაო? – იბღავლა კვლავ და საწოლიდან წამოიჭრა.

[1] ძველი.

– ნუ ყვირი, თუ კაცი ხარ, ბავშვები არ გააღვიძო. რაკი ფინიკიური წესით შენ შეგიძლია გყავდეს სამი სჯულიერი ცოლი და რამდენიც გინდა, იმდენი საყვარელი, მოიყვანე ის ქალი ოხორეში. ოღონდ რაკიღა მე არა ვარ ფინიკიელი, მადლობა ღმერთს, და რაკი მე იათნანური წესით დავქორწინდი შენზე, იათნანური წესითვე დავცილდებით ერთმანეთს და წავალ ამ სახლიდან – სანამ იათნანელი ქალი ვარ, იათნანური წესით მინდა ვიცხოვრო და იათნანელად მოვკვდე.

ავარდა, დავარდა, სულ ცოფები ჰყარა ბოჩიმ პირიდან და ბოლოს ისეთი გინების კორიანტელი დააყენა, რომ უნებურად ყურებზე ხელები აიფარა ციციმ. თავის სიცოცხლეში ვერ იფიქრებდა, თუ შეიძლებოდა ძე-ხორციელს ესოდენ ბილწი, უხამსი სიტყვები დასცდენოდა. „ღმერთო დიდებულო! სად ისწავლა ასეთი რამ? კიდევ კარგი, გოგონებს სძინავთ და ძაძუც წასულია სახლიდან – გაუელვა თავში – თუმცა, ვინ იცის, სძინავთ კი ბავშვებს ამ ალიაქოთში?“

ბოჩი რომ ცოტათი დაწყნარდა და თითქოს დამშვიდდა კიდეც, ციციმ ხმადაბლა, მშვიდად უთხრა: – მორჩი ფინიკიურ ლანძღვა-გინებას, ხომ? ახლა იქნება ცემაზე გადახვიდე? ესეც ხომ იმათი წესია!

ერთხანს უყურა კაცმა გაბოროტებული, ხაფანგში მომწყვდეული ნადირის თვალებით. ამასობაში ციციმ დაამთავრა ჩაცმა და ოთახის მილაგებას შეუდგა მშვიდი სახით, თუმცა სხეულის ყოველი ძარღვი უთახთახებდა აღშფოთებისაგან.

ღმერთმა უწყის, შეამჩნია თუ არა ბოჩიმ გარეგნული სიმშვიდის მიღმა რა ცეცხლიც ტრიალებდა ციცის გულში, ყოველშემთხვევაში, უხმოდ შეიმოსა და უხმოდვე გაივდა სახლიდან.

მთელი დღე თითქოს ბინდგადაკრული გონებით დადიოდა ციცი. ხან რა უვარდებოდა ხელიდან და ხან რა. ძაძუც არ იყო შინ – ქმრისეული კარმიდამოს დასახედავად წასულიყო რამდენიმე დღით. ძაძუს სიმხნევე და მხარდაჭერა ყოველთვის ძალას ჰმატებდა ციცის. ის რომ ყოფილიყო ახლა – ასეთ ლანძღვა-გინებას და ყვირილსაც ვერ გაბედავდა ალბათ ბოჩი, – ძაძუს დიდი მორიდება ჰქონდა. თუმცა... ახლა შესაძლოა, არც ძაძუსთვის გაეწია ანგარიში, ისეთი გახელებული ჩანდა. გოგონებმა – ნათიამ და პატარა დადუმაც იგრძნეს ალბათ თუ... იგულთამხილავეს ციცის გუნება-განწყობილება, ნუკრებივით უხმოდ, ფეხდაფეხ დასდევდნენ დედას, თვალ-წარბში შეჰყურებდნენ.

ნაშუადღევს, მზე რომ გადაიხარა, გოგონებს დაუბარა, საგოდებელში ავდივარ, იქიდან შეიძლება ზღვაზე წავიდე, თქვენ ფეხი არ მოიცვალოთ უჩემოდო.

ეზოდან გამოსულს ბოქულია გამოეკიდა. ვერაფრით – ვერც მუქარით, ვერც ბრძანებით – უკან ვერ გააბრუნა ძაღლი, სანამ არ სთხოვა და არ შეემუდარა – მარტო ვტოვებ ბაღნებს და სახლს და ხომ უნდა მიმიხედოო. ბოქულია მორჩილად გაბრუნდა.

მართალია, საკმაოდ გულგრილი იყო შინაური ცხოველების, განსაკუთრებით კი – კატის მიმართ, მაგრამ ძაღლის გონიერება და ერთგულება ყოველთვის ანცვიფრებდა. ხოლო დადის საყვარელი ძაღლის – ბუთქიას ამბავი ხომ საარაკოდ იქცა მთელს ნამარკელის მუხურში.

სანამ დადი ესვენა სახლში სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ ყმუოდა ბუთქია, არც ჭამდა, არც სვამდა. გულისმომწყვლელი სანახაობა იყო ძაღლის ესოდენი გლოვა. ხოლო როცა დადი დაასაფლავეს, ძაღლმა როგორღაც მოახერხა ჯაჭვის გაწყვეტა და მაშინ მიუსწრეს, ნახევარზე რომ ამოეთხარა სამარე თათებითა და ცხვირით.

ისევ დააბეს. სამი დღის შემდეგ დარდისა და უჭმელობისგან ბუთქია სიცოცხლეს გამოესალმა. საცოდავი ბუთქია! რა კაცივით გონიერი, თბილი თვალები და გამოხედვა ჰქონდა ხოლმე, თითქოს იღიმებოდა კიდეც, როცა ეფერებოდნენ! არადა, როგორ სიამოვნებდა ალერსი. განსაკუთრებით აუწერელ სიხარულს ჰგვრიდა დადის მოფერება და ტკბილი სიტყვა! და აკი ვეღარც გადაიტანა საყვარელი არსების დაკარგვა!

როგორი ერთგულება და სიყვარული შესძლებია თურმე ამ ოთხფეხა ცხოველს!

ღმერთებო! დაილოცოს თქვენი სახელი! თქვენი გაჩენილია ყველა სულდგმული ამ ქვეყანაზე, თქვენი წეს-განჩინებითაა მოწესრიგებული ბუნების ყოველი მოვლენა, ხოლო ჩვენ, დადის თქმის არ იყოს, ხშირად ვეღარ ჩავწვდომივართ მათ სიდიადეს და იდუმალებას!

ბუთქიას გახსენებამ, თავისდა გასაოცრად, ციცის ცოტაოდენი გადაუყარა გულიდან ნაღველი.

სასაფლაოზე რომ მიდიოდა, გზად ველის ყვავილები დაკრიფა და დადის სამარეზე მიყარ-მოყარა, მერმე მოშორებით, ლოდზე ჩამოჯდა და... ერთბაშად ტირილი აუვარდა.

დიდხანს ტიროდა. ძალიან დიდხანს. ცრემლებმა თითქოს შვება მოჰგვარეს. გულზე ოდნავ მოეშვა.

უეცრად მკლავზე თითქოს იდუმალი შეხება იგრძნო. გაინაბა. ნაცნობი, საყვარელი ხმა აფუჩუნდა ყურის ძირში:

„ციცი, შვილო, რად ტიროდი, შემოგევლე?“

„დადი!? შენ?“

„ჰო, მე ვარ, შვილო!“

„დადი... მიჭირს, ძაან მიჭირს!“

„ვიცი, შვილო“...

„ყველა მოთმინებას მირჩევს, დადი. მეუფე თუმათიც. როდემდე? როდემდე ვითმინო? აივსო მოთმინების ფიალა, დადი!“

„მოვა დრო... გარნა სჯობდეს ეგების... რომ აღარ მოვიდეს...“

„ნუთუ ამაზე ცუდი დრო მოვა? ამაზე უარესი გველოდება?.. ბოჩია მთლად გატყიურდა დადი, ჩემი ბოჩია... შენი ბოჩია!.. ვეღარ ვპატიობ, შვილები რომ წამგვარა... ფართო სარბიელი სჭირდებათო ჩვენს ახალგაზრდებს. ეს სარბიელი ფინიკია და ჰაკაფთააო ჩვენებისთვის. რაც მე დამაკლდა, ჩემმა შვილებმა უნდა აინაზღაურონო. ჯიჯიმაც შეაგულიანა, და... ასე დამღუპა, დადი, ჩემმა ბოჩიამ, შენმა ბოჩიამ“... „ეჰ, ბოჩია, ბოჩია!.. არ ვიცი, ვგონებ, დავაკელი რაღაც, რაღაც გამომრჩა... ეგების იმად, რომ უღვთოდ დაღუპული მშობლების ერთადერთი წული ესღა დაგვრჩა და... არ ვიცი, არ ვიცი... რაღაცა კი მოხდა... რაღაც გამომეპარა და ვეღარ განვჭვრიტე ალბათ, ჩემო მახარია!...“

„ეჰ, დადი!.. თვითონ რაც არის... იმას აღარაფერი ეშველება!.. ღმერთებიც ვეღარ შეცვლიან ალბათ კაცის ბუნებით თვისებებს.

ამ დილით კი უტიფრად, ურცხვად გამომიცხადა, ხასა უნდა მოვიყვანოო სახლში. ამას უკვე ვეღარ მოვითმენ, დადი. რამდენიც არ უნდა მიჩიჩინონ, ვეღარ მოვითმენ-მეთქი ამას, დადი!

ყურძნის მტევანი ხომ დაგიწურია, დადი? აი, ასე დამეწურა გული ტკივილებისგან. და განა დღეს დაიწყო ეს?.. წვეთწვეთობით, თანისთანობით დაიცალა გული ბოჩის სიყვარულისგან. ყოველი წყენა, ბოჩი რომ მაყენებდა, ამ სიყვარულს მოგლეჯდა ნაწილ-ნაწილ, მიქუცმაცებდა და... დავცარიელდი ბოლოს, დადი!.. ამადაც, მოთმინებას ვეღარ შევძლებ აწი. აქამომდე კიდევ ვახერხებდი თავის მოტყუებას. დღეის ამას იქით – აღარ!.. მორჩა!

უსიყვარულოდ ცხოვრება კაცთან, თუნდაც ქმარი იყოს იგი, უზნეობაა. მხოლოდ მოვალეობისთვის, შვილების გამოც რომ იყოს ნაკარნახევი, ვეღარ გავიზიარებ ბოჩისთან სარეცელს, დადი! ეს ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. საკუთარი თავის მიმართ ძალდატანებაც უზნეობაა აკი. მე ასე მწამს და მჯერა. ასე გამიგია შენგანაც, ჩემებისგან, იათნანელებისგან!“

„ეჰ, რა უნდა გითხრა, ჩემო მახარია? ვითარ განუგეშო?.. იათნანელ და, საზოგადოდ, უმეტესობას ქალთა, ფაქიზი, ნაზი სული აქვს. ეს ბევრმა ჩვენმა მამაკაცმა დაივიწყა, შემოგევლე, ვით ყვავილს სჭირდება სათუთი მოვლა, ასევე დიაცის სულს! თუ არადა, დაჭკნება იგი უდროოდ მოუვლელობით, უყურადღებობით, გულგრილობით. უხეშობა და ალიჟვერობა[1] კლავს სიყვარულს და აშთობს სინაზეს. ეს ბევრმა როდი

[1] სიტლანქე.

უწყის, მახა! ჰგონიათ, ვითარმედ უდიერობითა და სიტლანქით უფრო დაიმკვიდრებენ მტკიცე ადგილს ცოლის გულში და თავის მამრულ „ძლევამოსილებასაც“ ამით უფრო განიმტკიცებენ! ო, რა სასტიკად ცდებიან ასეთნი, ჩემო მახარია! გარნა... ისევ სიყვარული, მოთმინება და სათნოება თუ გვიშველის, შემოგევლე. მეც ბევრი მიფიქრია თავის დროზე ამგვარ რამეებზე და... ქალღვთაება ნანაც და ბჟალარაც თითქოს მკარნახობდა ამასვე: მოთმინებით, სიყვარულით და დიდსულოვნობით შეუძლიაო დიაცს გადაარჩინოს ჯერ მახორობა[1] თვისი, ქმარ-შვილი თვისი, მერმე ქვეყანაცო. მე აგრე ვგონებ, ჩემო მახა: დიდი ნანას ნათელმა – დიაცთა თანალმობამ, უნდა იხსნას კაცთა მოდგმა სიძულვილისაგან, სისასტიკისაგან, სიავისა და ბოროტებისგან. შენც მოთმინება და სიყვარული გმართებს, შენც, ჩემო სიცოცხლევ. უნდა გაუძლო, უნდა აიტანო სანამდისინ შესაძლოა, სანამ ძალა გეყოფა!“

„სანამდისინ შესაძლებელია, კი, დადი, მარა... მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი?“

...სასაფლაოდან წამოსულს, ზღვისკენ გაუწია გულმა. უკაცრიელი ბილიკი შეარჩია, რომ არავის გადაყროდა. ახლა კაციშვილთან არ ძალუძდა შეხვედრა. მარტოდ მარტო სურდა თავის ფიქრებთან და... ზღვასთან დარჩენა. ზღვა იყო ციცის დარდის წამალი. ზღვის ყურება ნაღველს უქარვებდა, გულს უამებდა. შეეძლო, დილიდან საღამომდე შეურხევლად მჯდარიყო და ეცქირა ზღვისთვის.

ანაზდად ტყიდან გამოვარდა ახალგაზრდა, ფეხშიშველი, ტანსაცმელშემოფხრეწილი, თმააწეწილი ქალი და წინ გადაურბინა. მერე მოშორებით შეჩერდა. ჭინჭებში გახვეული რაღაც ნივთი გულში ჩაეკრა და თვალებს აცაბაცად ატრიალებდა.

მიხვდა, ხანგა[2] რომ იყო. ბაიასფერ, დალეულ სახეზე წვეტიანი ცხვირიღა შერჩენოდა.

– ჩემი შვილი... ჩემი ოქროსქოჩრიანი ბოში, დედა შემოევლოს. შეხედე, რა ლამაზია! რა შვილი მყავს, ხედავ? ო, ჩემო თვალისჩინო, ჩემო სიცოცხლევ, ნუ გეშინია, შვილო, ნუ! შენ თავს არავის დავანებებ, – ჩახლეჩილ-ჩახრინწული ხმით რატირუტობდა ქალი და თან გამალებით არწევდა გულში ჩახუტებულ ნივთს და თვითონაც ზღვის ტალღასავით ირხეოდა და ქანაობდა.

გულდამწვარი, თავზარდაცემული შესცქროდა ციცი ამ უბედურ ქალს და ცრემლები თავისდაუნებურად ღვარღვარით მოედინებოდა თვალთაგან. ქალი სულ ნინველი იყო, თითქმის ბავშვი. იდგა ასე კარგა

[1] სახლ-კარი.

[2] გიჟი.

ხანს და ბაწრით შეკრულ ჩვარს ანანავებდა რაღაცნაირი საწყლური ღიმილით. ოჰ, ამ ღიმილმა თითქოს დანით დაუსერა გული ციცის. ამ ღიმილს ვერ ივიწყებდა მერეც, დიდი ხნის მერეც.

უცებ შეშლილი ქალი ერთი უცნაურად შეხტა, დიდუ, მოდიან, მომდევენო, დაიწივლა და ადგილს მოწყდა, კვლავ ტყეში დურთა თავი. დამწვარზე თითქოს მდუღარე გადაასხესო, ისედაც გულმილეულ ციცის ამ შეხვედრამ უარესად შეუღონა გული.

მერმე გაიგო, ფოთოლა ყოფილიყო, შაფიდან. ქმარმა აიძულა თურმე ფინიკიური ღვთაება ბაალისთვის შეეწირა პირმშო. ამით უნდოდა ეამებინა დიდმოხელე ფინიკიელისთვის, ვისგანაც გამოელოდა სახელოს. შესრულებით კი შეასრულა ქალმა ქმრის ნება-სურვილი, მაგრამ თავად ვეღარ გადაიტანა ეს ამბავი და ჭკუიდან შეიშალა. მას შემდეგ დადის თურმე ასე სოფელ-სოფელ, ხანაც ტყე-ღრეში დაეხეტება და ზვარაკად შეწირულ თავის შვილს ვითომ ანანავებს და უმღერის.

...ციცის მაშინვე მეუფე თუმათის სიტყვები მოაგონდა, როცა ბიჭების წაგვრით გაავებულმა, თავი ვერ შეიკავა და სანახავად მოსულ მეუფესთან დაიჩივლა ბოჩის საქციელის გამო.

– უსაყვარლესო შვილო ჩემო, ჩემო მშვენიერო ციცი, – მეუფე თუმათის თვალები დაენამა, ხმაშიც სევდა-ნაღველი გამოერია: – შენ მარტოდენ როდი ხარ ამ დღეში. მარტოდენ შენს დოლმახოროში[1] როდი ხდება ამგვარი ავკაცობა. ჩვენი მამაკაცები ისე გათავხედდნენ, თავს ისე გაუვიდათ, რომ უკვე აღარაფერს ერიდებიან, არაფრად აგდებენ იათნანურ წესებს, რამდენი შემთხვევაა უკვე იათნანაზე, რომ იათნანელი თავის პირმშოს სწირავს უცხოელთა კერპებს.

– ნუთუ?.. ნუთუ ამგვარი საზიზღრობაც ხდება, მეუფე თუმათი? – შეიცხადა ციცემ.

– ხდება, ხდება, ჩემო საყვარელო! ზოგი ჩვენი უგნური მამრი აიძულებს ცოლს, ფინიკიელთა წაბაძვით, ჩაიდინოს ეს საზარელი ზორვა. დედები თავს იკლავენ, აღარ ანებებენ შვილთ, მაგრამ ქმრებს ძალით, მუქარით თავისი გააქვთ. მართალია, ჯერ კანტიკუნტად ხდება ეს, მაგრამ მალე, ისე ვატყობ, მოხშირდება სისხლიანი მსხვერპლთშეწირვა ყრმათა. ახლა, ქვიშონაში, ჩვენი საყდრის მახლობლად, განზრახული აქვთ თურმე ააგონ ბაალის სამსხვერპლო და ეს ყველაფერი ჩვენი უფლისწულის ნებართვითა და ხელისშეწყობით ხდება; რაც ფინიკიელ ქალზე იქორწინა, ნამეტანი თავი აიშვეს და გაპარპაშდნენ ისედაც გაკადნიერებული ურჯულოები. ჩვენ, იათნანელ ქურუმთ, ხომ უკვე აღარაფერს გვეკითხებიან, რა ხანია. ის კი არადა, აბუჩად გვიგდებენ,

[1] სახლეულობაში.

გვამასხარავებენ! სულ მალე ალბათ იათნანელი ქალებიც გაიყიდებიან ოქროზე! – თუმათის თვალებში წამიერად გაკრთა ციცისთვის უკვე ნაცნობი საშიში ელვა, მაგრამ მყისვე ალაგმა მეუფემ თავისი რისხვა და ისევ ისე თვინიერი, მორჩილი იერი მიიღო სახეზე.

– მერედა, რად ვითმენთ ამდენს, მეუფე თუმათი? რად ვართ ჩუმად?

– ჯერ არ დამდგარა ჟამი, ჩემო მშვენიერო. ჯერხნობით მოთმინება გვმართებს. შენც ჯერხნობით მიუტევე შენს ქმარს ბაგით – გულით კი – არა! გულში შეინახე ყოველი წყენა და შეურაცხყოფა. მერმე კი...

– მერმე ერთობ გვიან ხომ არ იქნება, მეუფეო?

თუმათიმ მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით დააქნია თავი:

– ღმერთებმა ჩვენზე უკეთ უწყიან ჟამი, ჩემო ზისნახე! ჩვენ, კაცთა უბადრუკ მოდგმას, გვგონია – ჩვენი სულმოკლეობისა და სულსწრაფობის გამო, რომ ღმერთები აგვიანებენ თავიანთ რისხვას თუ წყალობას. არ არის მაგრე! მოახლოებულია ჟამი ნაცვალგების, მანამდე კი... უნდა მოვითმინოთ. შენც უნდა გაუძლო და აიტანო შენი ქმრის ჭირვეულობა და უპატიური მოპყრობა... გარკვეულ დრომდე!.. ჩვენს მამაკაცთ ცოლები, მეუღლენი კი არ უნდათ რომ ჰყავდეთ, არამედ ყურმოჭრილი მონები. არა უშავს რა, მოეკითხებათ სათითაოდ სუყველას!.. შენ შვილთ კი, დაიფარავს და დაიცავს დედა ღვთაება, ნუ შიშობ! ღმერთები დიდსულოვანნი და მოწყალენი არიან იმათ მიმართ, ვინც იცავს და ინახავს მათ მცნებათ. ილოცე, ჩემო საყვარელო, და შესთხოვე მათ მფარველობა!

...საკმაოდ შორს გასცურა ნაპირიდან. მერმე პირაღმა გაწვა და ცარგვალს შეაცქერდა. მოსარკულ ცაზე ერთადერთი პაწია ღრუბლის თეთრი, ფაფუკი ფთილა გზააბნეული ბატკანივით დაყიალობდა მუქ სილურჯეში.

იწვა ასე გარინდული და თვალდაუფახულებლად უჭვრეტდა გაღუებულ დასალიერს.

და ნიაღვარივით მოხეთქილ აზრთა მორევში ჩაძირული ხან რას ჩაუღრმავდებოდა ძირისძირობით, ხან რას. მართლა და მართლა, რას ვწვალობთ ამდენს, რისთვის ვიჭყლიტავთ ტვინს? რას ჩავკირკიტებულვართ? ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ დროებით მოვევლინეთ ამ ცისქვეშეთს? ამ დედამიწას? ბოლოს და ბოლოს ხომ მდგმურნი ანდა სტუმარნი ვართ მხოლოდ წუთისოფლის? მაშ, რას ვძიძგნით, რას ვკორტნით ერთმანეთს, ამ ხანმოკლე გზა-სავალის მონაკვეთში? რატომ ხოცავენ და ჟლეტენ ერთმანეთს მოდგმა კაცთა, ტომთა, ერთა? რა უსაშველო, დაუძლეველი სისასტიკე და სიძულვილი ჩაბუდებულა ამ ორფეხა პირმეტყველ ცხოველში? რა გაუძღომლობა ჭირს ამისთანა? რა აღუვსებელი საწყაულია?.. ნუთუ მხოლოდ სიკვდილია ამ ყველაფრის წამალი?

ვითარ თქვა ერთხელ დადიმ? სიკვდილი სულ არ არისო საშიში. კაცი მხოლოდ მდგომარეობას იცვლისო. სიკვდილის ცხოველური შიში ჩვენში ველურმა, უცხო ტომებმა მოიტანესო. ჰოდა, ეგება დადგა ჩემთვისაც ეს ჟამი? ეგება სჯობს, სწორედ ახლა გარ-და-ვი-ცვა-ლო!

დავიღალე ძლიერ! დამექანცა სული უზომოდ. იგი, ტუსაღივით, სხეულში გამომწყვდეული, ლამობს განთავისუფლდეს ამ მძიმე ჭუჭყიანი, ბინძური ჭურჭლისგან; სწყურია, აფრინდეს მაღლა, ზეცაში და გაინავარდოს ლაღად, ბორკილებდაწყვეტილმა!

ბოლოს და ბოლოს, რას ვკარგავ აქ, ამ უსამართლო, მტრობით და სიძულვილით დამძიმებულ დედამიწაზე? წარსული თითქოს აღარც ყოფილა: იყო და... არა იყო რა! სიზმარივით თუ მოაგონდება კაცს განვლილი წლები და თავს გადახდენილი ამბები – მცირე თუ დიდი, სიხარული თუ სატკივარი. იყო და... არა იყო რა! აწმყოსეული არსებობაც არ არსებობა იქნება ხვალისთვის. ჰოდა, რაღას ველოდო, რად ვუცადო გაურკვეველი ხვალეს მოსვლას? აი, გავყვები ახლავე მზის ამ ციმციმა ბილიკს...

დაიცა!.. რას მეჩურჩულება საამური ხმა?

„ამოდი ჩემთან, ასულო ჩემო! გამოჰყევ ამ ნათელ ჩხორიას. იგი პირდაპირ ამოგიყვანს ჩემთან. მე მოგიქსოვ ჩემ სხივთაგან საოცნებო ბადე-საქანელას. გარწევ და განანავებ ჩემს ნათელ ჩქერალში, მოგივლენ უტკბილეს ზმანებათ. შენს სულში დაივანებს ჩემი ღვთაებრივი გამონაშუქი და მუნ, ზეგარდმო საუფლოში, დაივიწყებ ყოველივე მიწიერს, წარმავალს, უხანოს, ცვალებადს, რამეთუ წუთია – წუთი-სოფელი, მუხთალი და გაუტანელი, უბადო და სწრაფგანქარვებადი.

მე, მხოლოდ მე ვარ წარუვალი, უკვდავი და უცვალებელი, ჟამი-დაუსაბამო, უბოლოო.

ამოდი ჩემთან, მზის საბრძანისში, ჩემო მშვენიერო! ამოჰყევ ჩხანაიას შარა-გზას, შენთვის რომ ჩამოუშვი ციური სამყოფელიდან. სულ ცოტაც და ზღვისა და ცის შესაყართან, ბჟადალუსთან[1] დავივანებთ მე და შენ.

მოაშურე ჩემს ბილიკს, ასულო ჩემო, ისწრაფე ჩემსკენ. რა დაგრჩენია იქ, ცოდვილ და ბინძურ მიწაზე, სადაც მხოლოდ ტკივილებია, ტანჯვა და ურვაა და სადაც ასე უხანოა სიხარულიც და ბედნიერებაც.

მუნ ჟამი წარმავალია, ცხოვრება – წუთიერი. იყო და... არა იყო რა!

იყო და – აღარ იყავი თითქოს.

იყო და – აღარც გიცხოვრია თითქოს. აღარც გყვარებია. აღარც გძულებია.

მუჭში მოქცეულ სილასავით ნელ-ნელა იცრება სიცოცხლის დღენი

[1] დასალიერი.

– ცოტაც და, მუჭში აღარაფერი დაგრჩება – სიცარიელის მეტი: სიცარიელე და უკუნი ბნელი.

აქ, მზის საუფლოში მოლაციცე სხივთა ჩქერალია, აქ ნეტარებაა მარადიული, სიამე ზესთაზენური და მყუდროებაა უშფოთველი.

დაუბრუნდი შენს წინაპართა წიაღს, მზის საცხოვრისს, ასულო ჩემო!“

„ო, არა, ჩვენო ცხრათვალა მზევ, ზღვის ტალღები უფრო საამოა და რბილი. მის წიაღში – ელოდება ჩვენს ასულს ბროლის ციხე-კოშკი: ზურმუხტითა და ლალით მოოჭვილი. ზღვის ფსკერზე ელოდება წინაპართა მამამთავარი – ბრძენი ოკეანოსი. ჩვენსკენ, მშვენიერო, ჩვენსკენ!“ – ებუტბუტებიან და უხმობენ თავისკენ პელიაგონში[1] მობინადრე ლაჟვარდთვალა მესეფნი...

აი, შემართავს ორთავე მკლავს მაღლა და... მზის ბილიკით აფრინდება უსასრულო სივრცეში, ან არადა... ჩაეშვება ქვევით, ქვესკნელში და... მოისვენებს სამუდამოდ.

– დია, ჩვენ? ჩვენ რას გვიპირებ?.. ვის ხელში გვტოვებ? – ნათია და დადუს ხმაა. თითქოს სამართებელი დაუსვესო გულზე.

„მართლაცდა, ვის ხელში სტოვებ, დედაკაცო, ამ უსუსურ, უმწეო, უმანკო ღლაპებს? ვის ხელში? ჰოი, ჩემო ტანლერწამა და თვალხატულა მაცირებო, ხომ შეიძლება თქვენც გაგიყენონ ჰაკაფთის, ან ფინიკიის გზას... ან... აქავე, იათნანაზე გამოგზარდონ, თუ „საქმემ“ მოითხოვა, უცხოელთა მხევლებად!

„ჩვენ... ჩვენ რას გვიპირებ, დია?“

ვერა. ვერსად გაექცევი ამ კივილს, ციცი გეგეშ-ხე! ვეღარ დაემალები შენი საკუთარი სისხლისა და ხორცის მოწოდებას.

ასეთი ყოფილა დედის გული. ეგეც არ იყოს, ეგება გოგონებზე არანაკლებად სწორედ გოჩას და გელას სჭირდება ახლა შენი არსებობა?

თვალი აარიდა მზის მომნუსხველ ბილიკს. ყური დაიხშო მესეფეთა სანუკვარ ჩურჩულ-ბუტბუტზეც და...

ნაპირისკენ გამოსცურა.

ფიჭვნარის ოროში[2] მეზობლის ქალები ისხდნენ. უქმეებში, საღამოს პირზე იკრიბებოდნენ ერთად კარის მეცეცხლურნი. ბანაობის შემდეგ ზოგი ქარგვას იწყებდა, ზოგი ქსოვდა. თან საუბრობდნენ, თან თვალი ეჭირათ იქვე ნაპირთან ახლოს, ზღვაში მოჭყუმპალავე პატარებისკენ. თითო გასაჭირი ყველას ადგა: ერთს – ქმრისგან, მეორეს – შვილებისგან, მესამეს – მამამთილ-დედამთილისგან და ა.შ. ბევრი ჩიოდა ქალიშვილების გაუთხოვრობას. აბა, ვის უნდა წაყვნენო! ჩვენი ვაჟები ხშირად

[1] ზღვის შუაგული.

[2] ჩრდილი.

ამჯობინებენო ფინიკიელ და უცხოელ ქალებს, რომელთაც ან ბევრი ოქრო აქვთ მზითვად, ან კიდევ თავზე საყრელად გააჩნიათ უტიფრობა და თავხედობაო. ჰოდა, რჩებიანო ჩვენი კდემამოსილი, მზისდარი ასულები უქმროდ, უოჯახოდ. ბიჭების დარდით გულგასიებულ ციცის ცალკე კიდევ ნაღველი გასჩენოდა – თავისი გოგონების მომავალი ბედი...

ბაასით რომ გულს მოიოხებდნენ, რომელიმე მათგანი სიმღერას წამოიწყებდა... ხანაც ზღაპრებს და თქმულებებს ყვებოდნენ, ხანაც დარდს იქარვებდნენ ხუმრობა-მასხრობაში. ასე, ერთმანეთის გვერდიგვერდ იდგნენ. ჯერ კიდევ არ მოშლილიყო მათში ერთმანეთისადმი თანადგომის, თანაზიარობის ოდინდელი ზნე-ჩვეულება.

კარგა გვარიან ხანს დარჩა ციცი მათთან. შინ მობრუნებულს, ბოჩი პირველი სართულის აივანზე დახვდა.

– სად იყავი ამდენ ხანს? – შეუღრინა, როგორც კი ციციმ კიბეზე ფეხი შედგა და... ბოლთის ცემა შეწყვიტა.

ციციმ ხმის გაუცემლად ჩაუარა და ის იყო, შიგნით შესვლა დააპირა, კაცი წინ გადაუდგა:

– პასუხის ღირსადაც არ მთვლი, არა?.. სად იყავი-მეთქი ამდენ ხანს? რად დაიგვიანე?

– ზღვაზე ვიყავი!.. გამატარე!

მისდა გასაოცრად, გზა დაუთმო ბოჩიმ.

– აქამდე? და პატარები ასე უპატრონოდ დაყარე? – დაადევნა მხოლოდ.

– ბაღნები დიდები არიან უკვე. თვითონ მიხედავენ თავიანთ თავს! – დაუგდო სიტყვა და შიდა კიბით მეორე სართულზე ავიდა, ბავშვების საწოლ ოთახში შეიხედა.

ციმცამი არ ისმოდა.

„ვინ იცის, ეგება მშივრები დაწვნენ?“ – გული მოეწეწკა. საწოლთან მივიდა. – გძინავთ, ჩემო მერცხლებო? – დაიჩურჩულა. გოგონები ხმას არ იღებდნენ.

საბნები ამოუკეცა ორთავეს ფრთხილად და ფრთხილადვე, ფეხის წვერებზე გამოვიდა ოთახიდან. გზადაგზა სველი თმა გაიშალა და ჩანჩქერივით გადმოეღვარა მხრებზე. რაკი ბოჩიც ამოსულიყო დარბაზში, თავად აივნისკენ ქნა პირი. არ უნდოდა ახლა მასთან მარტო დარჩენა.

ნათელი ღამე იყო, ბადრ მთვარეს დღესავით გაენათებინა არემარე. სასიამოვნო ნიავი უქიქინებდა სახეში და შვებით სუნთქავდა.

– ციცი! – მკლავში ხელი წაატანა ანაზდად ბოჩიმ. ციციმ არ დაანება ხელი. ბოჩიმ ახლა მეორეც შემოხვია გაძალიანებულ ქალს:

– მე ამ დილით ცოტა... გავცხარდი. ზედმეტი მომივიდა. მაპატიე!..

– უცებ თმაზე მიეალერსა, მერმე მხარზე ჩამოუცურა ხელის მტევანი: – როგორ გიბზინავს თმა... პატარა გოგოსავით გამოიყურები და... ისევ ისე მშვენიერი ხარ, ვით უწინ... – ხმა გაებზარა, თვალები მოერღვა: – მრავალი ქვეყანა მოვიარე, ცი. იცი შენ ეს, მარა... მზის მადლმა, შენი ბადალი ქალი არ შემხვედრია არსად!..

„ცი! ჰმ. რამდენი ხანია, ასე არ დაუძახნია...“

– შენ ყველაზე ლამაზი, ყველაზე სასურველი და საყვარელი ქალი ხარ ჩემთვის ამ ქვეყნად, ცი!.. გეფიცები ღმერთებს!.. ეგრეა ეს!.. ჩემს გულში შენ ვერავინ ვერასდროს შეგცვლის... ოღონდ შენს სიჯიუტეს გამოვყავარ ხოლმე ზოგჯერ მოთმინებიდან და... შემდეგ... უნდა გაიგო – მამაკაცური გულარძნილობა სხვაა – რას იზამ – თურმე ასე მოდგამს ჩვენს ჯილაგს ეგა – სიყვარული კიდევ – სხვაა!.. შენ ჩემთვის ყოველთვის ის გოგონა იქნები, ნავში რომ მოგიმწყვდიე პირველად მკლავებში და გაკოცე!.. გახსოვს?

– დაამთავრე?

სხვა დროს ალბათ ააღელვებდა ეს მთრთოლვარე, ვნებიანი სიტყვები, ეს ხმა, ეს კილო, თვალთა გამომეტყველება. მაგრამ ახლა ერთი სიმიც არ შერხევია სულში. თითქოს ლოდი ედო გულში: იქ სამუდამოდ დასამარებულიყო ბოჩისადმი სიყვარული და ამას, აწი ვეღარაფერი უშველიდა!

– ციცი... შევიდეთ ჩვენს სენაკში... – ხმა უფრო შემპარავი, რბილი და ალერსიანი გაუხდა ბოჩის, მაგრამ ციცი გრძნობდა, ძლივს რომ იკავებდა იგი უცებ მოხეთქილ რისხვას. მაგრამ ციცისთვის უკვე სულ ერთი იყო ყველაფერი.

– მე გარეთ მინდა ყოფნა კიდევ!

– გარეთ?.. აკი ისედაც გარეთ არ იყავი მთელი დღე?.. შევიდეთ სენაკში, ცი. ნუღარ მიბრაზდები... დაივიწყე ამდილანდელი წყენა... იცი, რამდენი მაქვს შენთან საჩიარი?..[1] ახალი დოხორეს აგება გადავწყვიტე... მინდა ლამაზი სახლი იყოს... მარმარილოთი გაწყობილი... მინდა, შენ მხარში ამომიდგე... ის ქალიც... იმისთვის მჭირდებოდა, რომ...

– აღარ მსურს, შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი!

– რათა, ციცი? რა მოხდა ისეთი? – მხრებში ჩაავლო ხელები ანაზდეულად, ახლოს მოიზიდა, სახეში ჩახედა ალაპლაპებული თვალებით: – რად ჯიუტობ, ციცი?.. რად მიდგები ჯიბრში?

– მე გიდგები ჯიბრში?!

– ციცი, მომისმინე... შენ არ იცი... შენ ფრჩხილადაც რომ არ ღირან, უცხოეთში იმფერ ქალებს თავს ვით ევლებიან ასობით მოსამსახურენი, მონები... შეხედე შენს ხელებს?.. ამ მშვენიერ ხელებს თვითონ უწევს ლა-

[1] სალაპარაკო.

მის ყველაფრის კეთება. ნუთუ შენ გაწყენდა უზრუნველი ცხოვრება? მიპასუხე, რად მეურჩები?

„ჰმ! თითქოს აღარც ყოფილა ამდილანდელი ჩხუბი!.. თითქოს არც ხარჭის შემოყვანა შემოუთავაზებია სახლში!.. აი, საითკენ წარიმართა საუბარი... ჰმ! თურმე მარტო ჩემი კეთილდღეობისთვის ზრუნავს და იღვწის ასე თავგამოდებით! თურმე „ჩემი სიყვარულით“ ლამობს მეორე დიაცის შემოყვანას ოხორეში. ჩემი სიბრალული და სიცოდვილი აიძულებს თურმე წლობით დაიკარგოს იათნანადან!.. იმ უცხოელ ქალებსაც „ჩემი სიყვარულის გამო“ ეტანება, თუმცა ისინი, თურმე ნუ იტყვით, ჩემს ფრჩხილადაც აღარ ღირებულან!

რამდენნაირი, რამდენგვარი შეიძლება იყოს თურმე კაცის ფლიდობა! რა უტიფარი, რა ურცხვი შეგიძლია იყო შენ თურმე, ბოჩი გაბელანო!“

ხელები ცივად გააშვებინა.

– ბავშვებს უნდა დავხედო!

მაგრამ კაცი ახლა გასასვლელში აიყუდა და ანთებული თვალებით ბურღავდა. ქალის გულგრილი, უწადინო, ყოველგვარი სურვილისგან დაცლილი სახე და ხმა თავისდაუნებურად გონებას აკარგვინებდა.

– რად გინდა გამომიყვანო მოთმინებიდან, ციცი? – მეტისმეტად რბილი ხმითა და დაყვავებით უთხრა ანაზდად: – რად გინდა ეს-მეთქი, მიპასუხე?.. ეგება...

აღარ დაასრულა, უფრო სწორად, ვეღარ გაბედა დაემთავრებინა უცებ გაელვებული აზრი. რადგან ამ ქვეყნად ერთი რამ მტკიცედ სწამდა და სჯეროდა: იათნანელი დიაცის უღალატობა, პირდაპირობა და სიწრფელე!

გაწყდეს, საცა წვრილიაო, გაივლო გუნებაში ციცემ.

– ხო, ბოჩია! ჩვენ ჯერ განვქორწინდებით და მერმე... გინდა სახლი აიშენე და გინდა სრა-სასახლე!.. არც შენი ფინიკიელი დიაცი მენაღვლება არაფერში, თუნდ ასი მოგიყვანია ერთად!

– ესე იგი... შენ... – გაჩუმდა, კბილით დაიჭამა ტუჩები.

– კი, ბოჩია, მაგრეა. აღარ მიყვარხარ უკვე, კარგა ხანია!

გარღვეულივით შებარბაცდა კაცი. გულზე ხელი მიიჭირა უნებლიეთ.

„მგონი, არ მოელოდა ამას!.. კი მარა... რატომ? უცნაური კათაა მამაკაცების მოდგმა!“

წამიერი დაბნეულობის შემდეგ გონს მოეგო ბოჩი. თვალები დამცინავად წაჭუტა, ბაგეზე კი – გამქირდავი ღიმილი გაუწვა:

– ვინ... ვინ არის „ის“, თუ შეიძლება გავიგოთ?

– ვინ „ის“? – თავი განგებ მოიმიამიტა ციცემ.

– მორჩი! იცი შენ, რასაც გეკითხები! – გამოსცრა კბილებში ისე, რომ

გამგმირავ მზერას არ აცილებდა ქალს.

„ჰოი, რა ტაკიმასხრობაა ყველაფერი ეს, თუმცა... რაკი დავიწყეთ, უნდა ბოლომდე მივიყვანოთ ბერიკაობა!“

– ა, ა? ჰო, მივხვდი რას მეკითხები... არის ერთი... თუმცა... შენთვის რა მნიშვნელობა აქვს...

– შეუძლებელია! სტყუი! უსირცხვილოდ სტყუი!

– რატომ? რატომაა შეუძლებელი? – ძალიან მშვიდად, ძალიან წყნარად ჰკითხა და მხარს ზემოდან გახედა სახეარეულ კაცს, სიბრაზისგან კბილებს რომ აკრაჭუნებდა უჩუმრად.

– ციცი! ნუ გამომიყვან მწყობრიდან. ძალიან გთხოვ!

– არა, რა არის შეუძლებელი-მეთქი, გეკითხები? თუკი შენ არ გენაღვლებოდა, რომ მარტო მტოვებდი ამდენი ხნით, გამოჩნდა კაცი, ვისაც ჩემი მარტოობა დაენანა: შენი ბოჩია უცხოეთში დროს ატარებს, ერთობა, განცხორმაშია – შენ კი აქ მარტო წვალობ, ლოდინით თვალები ამოგღამებია. ვის რაში სჭირდება შენი ერთგულება? ბოჩიას დიდი ხანია აღარ უყვარხარ. რომ უყვარდეო, საყვარელ ქალს ტყუილაუბრალოდ ამდენ ხანს და ამდენჯერ მარტო არ სტოვებენო. შენც ხომ სისხლი გიდუღს, ახალგაზრდა ქალი ხარ. მოფერების და ალერსის ნაცვლად შენი ქმარი უცხოეთში დანავარდობს. რაც მთავარია, იგი არად აგდებს შენს შეჭირვებულ ყოფას, შენს გრძნობებს, შენს სურვილებს, შენს დარდს თუ წუხილს – წაგგვარა ბიჭები; მას შემდეგ თვალებზე ცრემლი არ შეგშრობია. მერე რა? შენს ბოჩის არა ენაღველბა რა, არა ესაქმება რა შენს დარდთან, შენს წუხილთან, არაფრად გაგდებს, ანგარიშს არ გიწევს არაფერში. ყველა კახპაში გცვლის და გღალატობს. შენ კი მაინც ლოდინით გულგაწყალებული გზას გასცქერი? შეიძლება ასეთი კაცი კიდევ უყვარდეს იათნანელ ქალსო? რას იტყვი? ვგონებ, სავსებით საკმარისი მიზეზებია, რომ კაცი გადაიყვარო.

გამძვინვარებული ბოჩი მხრებში სწვდა ანაზდად და ჭანჭყარი დაუწყო შეშლილი სახით:

– იცი, რას გეტყვი? შენ... შენ რა გგონია, მართლა და მართლა, რა გგონია შენი თავი? შენ იცი... შენზე არანაკლები ქალები... შენზე ახალგაზრდები, ბედნიერად ჩათვლიან თავს ჩემს ერთ ალერსზე. შენ... თავს გაგივიდა... შენ და, საერთოდ, თქვენ, იათნანელ ქალებს... თქვენ არ აფასებთ... თქვენ არ იცით, სხვაგან როგორ ექცევიან ქალებს... თქვენ, აქაოდა, იათნანელი დიაცები ვართო!.. მე შენ გაჩვენებ... მე შენ გიჩვენებ იათნანელობას! ინანებ... განანებ... თუ კაცი ვყოფილვარ!..

ცაროს სტუმრობა

ცოტა არ იყოს გაუკვირდა ციცის ცაროს სტუმრობა. მაგრამ არაფერი დაიმჩნია და თავაზიანად შეეგება დიაცს. ცარო წარჩინებული დოჩი რატიანის მეუღლე იყო. ცოლ-ქმარი დედაქალაქში ცხოვრობდა და გაზაფხულობით ჩამოდიოდნენ ხოლმე ხანდახან ნამარკელში. ფრიად თავაზიანი, ყურადღებიანი და დარბაისელი ქალი გახლდათ ცარო. მოვლილი და ნაპატიები სხეული ჰქონდა. ტანად პატარა, მაგრამ კოხტა აღნაგობის იყო. სილამაზით მაინც და მაინც ვერ დაიკვეხნიდა: ძალზე ტუხა გახლდათ, თვალებიც მეტისმეტად წვრილი ჰქონდა, კბილები კი უსწორმასწორო, მოყვითალო. ტუჩები მოპრუწული. მაგრამ ისეთი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთი საუბარი იცოდა და თავის დაჭერა, რომ ძალაუნებურად იპყრობდა ყურადღებას. გონიერი, განათლებული და თავდაჭერილი მანდილოსნის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ციცის დანახვა ყოველთვის იწვევდა მასში აღტაცებას. შერჩეული სიტყვებით იცოდა ხოლმე ქათინაურების თქმა. ამას ისეთი უბრალოებითა და თავაზიანობით იქმოდა, უხერხულობისა და ამრეზის გრძნობას აღარ იწვევდა ციციში.

კაი ხანი იყო არ ენახა იგი. ცარო ისევ ისე კოპწია და გაპუნტულებული ეჩვენა.

როცა ძვირფასად მოქარგულ მოსასხამს იხდიდა, უნებურად თვალში მოხვდა ციცის – ასევე ძვირფასი სამკაულებით დამშვენებული მისი პუტკუნა ყელ-კისერი, მკლავები და თითები. გრძელი, ალმასისთვლიანი ოქროს საყურე ეკეთა, თავზეც მოოჭვილი ოქროს რგოლი გაეკეთებინა. ყნოსვის გამაღიზიანებელ, საამო სურნელს აფრქვევდა ირგვლივ მისი სამოსი.

ციციმ სტუმარს ხილი და იათნანური ბადაგი გამოუტანა. ცარომ ჰკითხა, მარტონი ხომ ვართო და დასტური რომ მიიღო, კმაყოფილებით გაიღიმა.

მერმე ატამი აიღო და უყნოსა. ოჰ, ისეთი სურნელოვანი ხილი, როგორიც იათნანაზეა, სხვაგან არსად მეგულებაო, თქვა ღიმილითვე და ისევ ლარნაკზე დადო. კოტიტა თითები ჰქონდა, ფრჩხილები ხენდრსოფრად შეღებილი. იათნანურად გამართულად საუბრობდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, ნასწავლი რომ ჰქონდა ენა.

– ჩემმა დოჩიმ რომ გაიგო, აქეთ მოვდიოდი, მიწამდე თავდახრით მოკითხვა დამაბარა შენთან. – ცარო ისევ ისე იღიმებოდა და ოდნავ იდუმალი, ნაჩუმათევი აზრიანობა დაჰკრავდა ამ ღიმილს.

როგორც მოითხოვდა სტუმარ-მასპინძლობის წესი, საუბრობდნენ აქეთურზე, იქეთურზე, თუმცა ორივენი მშვენივრად გრძნობდნენ,

რომ ეს იწილო-ბიწილო მხოლოდ შესავალი უნდა ყოფილიყო მთავარი სათქმელის.

ცარო ეზრახებოდა ციცის თავის ერთადერთ ბიჭზე, დედური სიამაყითა და ცოტა თავმოწონებითაც, უქებდა გარეგნობასა და გონებრივ ღირსებებს. მერმე დედაქალაქის ჭორებსაც გადაწვდა.

და უცებ, ამ თითქოსდა არაფრისმთქმელ მიეთ-მოეთში ცარო მკლავზე მსუბუქად შეეხო ციცის და თქვა:

– ციცი, შენთან რა მაქვს დასამალი – მე სულით და ხორცით ფინიკიელი ქალი ვარ, თუმცა... მამა იათნანელი მყავდა. მოგეხსენება – შვილი დედისაა, ვინც რა უნდა თქვას. ტყუილად ჰგონიათ მამაკაცებს, უცხო ქალი რომ მოჰყავთ ცოლად, შვილს მაინც ჩემებურად აღვზრდიო. მამაჩემსაც ასე ეგონა ალბათ, თუმცა ადრე კი გარდამეცვალა, როცა ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. ენა ფინიკიურად ავიდგი. დედა ფინიკიურად წარმოვთქვი პირველად და არა იათნანურად. და ეტყობა, დედის რძესთან ერთად პირველად და სამუდამოდ შევისისხლხორცე ფინიკიური სული.

ამ გრძელ შესავალს იმიტომ მოვყევი, რომ მინდა იცოდე – მე, იათნანელი მამის შვილს, ფინიკიელი დედის დაკვირვების უნარი გამომყვა, ამიტომაც, ჩემი შეფასება იმისა, რაც იათნანაზე ხდება, მაინც... უფრო უცხოელის თვალით იქნება დანახული. ძლიერ კი გამიგრძელდა სიტყვა... მაგრამ რატომღაც ჯერ მინდა გიამბო ცოტა რამ ჩემი ყმაწვილქალობის შესახებ და დარწმუნებული ვარ, გამიგებ, რატომ დამჭირდა ეს ყველაფერი, თუმცა... იქნებ შენ ახლა დრო არა გაქვს, ან არა ხარ გუნებაგანწყობილებაზე, მომისმინო? თუ მასეა, იქნებ სჯობდეს შემდეგისთვის გადავდოთ ეს საუბარი?

– არა, რათა? მე ახლაც მზადა ვარ, გულისყურით მოგისმინო.

– მადლობელი ვარ. ჰო, ერთი რამ კიდევ... სანამ არ დავამთავრებ, გთხოვ არ შემაწყვეტინო სიტყვა.

– აგრე იყოს! – ბაგე გაეხლიჩა ციცის. ცარომაც ყველა კბილი გამოაჩინა; და დაიწყო ოდნავ გატყლარჭული მანერით:

– დედაჩემი ფინიკიელი დიდვაჭრის და ჰაკაფთელი ქალის ნაშიერი იყო. დედ-მამა ადრე დახოცვია. მამამისს უზარმაზარი ქონება დარჩენია. ხოლო დედაჩემი ერთადერთი მემკვიდრე იყო მისი. ბავშვობა და ახალგაზრდობა, ცხადია, უზრუნველად, ფუფუნებასა და განცხრომაში გაუტარებია. მეურვეების რჩევით, გაჰყოლია მამისტოლა დიდვაჭარს. ქმარი მალე მოკვდომია და უმდიდრესი ახალგაზრდა ქვრივი, სანდომიანი და ეშხიანი, მალე ქცეულა მთელი ქალაქის საოცნებოდ. მაგრამ დედა არ თხოვდებოდა თურმე.

მის სასახლეში თავს იყრიდნენ რჩეული მამაკაცები. იყო, თითქმის

ყოველ დღე, ნადიმობა, მოლხენა, დროს-ტარება. დედაჩემი შესანიშნავად უკრავდა, იყო კარგი მომღერალი, ქალის კვალობაზე განსწავლული და ჭკვიანი, მახვილი გონებისა, ენამჭევრი, მხიარული და მოარშიყე. გარს თაყვანისმცემლების მთელი გუნდი ეხვია. მიდიოდა დრო. და აი, თაყვანისმცემელთა მთელ ამ ჯგროში დედამ, ერთ მშვენიერ დღეს, გამოარჩია ღარიბი, უსახელო, მაგრამ ულამაზესი მამაკაცი, იათნანელი ბუხუტი – მამაჩემი, და იქორწინა მასზე. სულ რამდენიმე წელიწადი იყვნენ ერთად, დედაჩემისგან ვიცი, ბედნიერი ცოლ-ქმრობა ჰქონდათ. მამაჩემი უეცრად სახადისგან გარდაიცვალა... ბუნდად მახსოვს იგი. მახსოვს, დიდი, ფართო ხელები ჰქონდა. მახსოვს კიდევ მხრები, რომელზეც ვიყავი ხოლმე შესკუპებული. და თუმც საშინელ სიმაღლეზე მეგონა ჩემი თავი, მაინც რატომღაც შიშის გრძნობა არ მქონდა. დედაჩემი ისევ დაქვრივდა. ამბობენ, გულწრფელად და კარგა ხანს იგლოვაო ახალგაზრდა ქმარი, მერე დრომ თავისი ქნა და დედაჩემი კვლავ ჩაება მხიარული დროსტარების ფერხულში. თავის მოვლას გადაყოლილი, მახსოვს, დღეში რამდენჯერმე იცვლიდა ჩაცმულობასა და სამკაულებს. ჩემს გასაწვრთნელად საუკეთესო ფინიკიელ და ჰაკაფთელ მასწავლებელთ ქირაობდა. ფული არ ენანებოდა და საერთოდაც, ერთობ ხელგაშლილი, პურადი, გულუხვი ქალი გახლდათ. როგორც წეღანაც გითხარი.

მეც, დედის წაბაძვით, დაუდევრად ვფლანგავდი ოქროს: წუწურაქობა – ფინიკიელთა საერთო სენი, დედაჩემივით, ჩემთვისაც უცხო იყო, გულახდილად რომ ვთქვა.

უკვე კაი გვარიანად შეღერებული გოგო ვიყავი და გათხოვებაზე გული არ მიმდიოდა, გათხოვილი ქალების კარჩაკეტილი ცხოვრება, თავისუფლებას დაჩვეულს, არაფრად მეჭაშნიკებოდა. მოვასწრებ-თქო მამაკაცის მონა-მორჩილად ყოფნას, ვფიქრობდი გუნებაში და გულარხეინად ვეძლეოდი ლხენა-შექცევას. ყველაფერი მეიოლებოდა და მეადვილებოდა. სიყვარულსაც თითქოს ვეთამაშებოდი. ასე მეგონა, სულ სიცილ-კისკისში, ცეკვა-სიმღერაში და ლხენაში გავატარებდი ცხოვრებას, მაგრამ... მოგეხსენებათ ალბათ, ხანგრძლივი და მუდმივი არაფერია ამქვეყნად, არც ბედნიერება – ცხადია. უეცრად ხელიდან გამომეცალა დედა. ეს იყო ცამოწმენდილზე მეხის გავარდნა ჩემთვის. სიცოცხლით სავსე დედაჩემი და სიკვდილი? ვერანაირად ვერ შემეთავსებინა ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენა ერთმანეთისთვის.

ძლიერ განვიცადე ეს მოულოდნელი უბედურება და... პირველად ჩემს სიცოცხლეში დავფიქრდი ცხოვრებაზე და... შემეშინდა. შემეშინდა მარტოობის, და სწორედ შიშმა გადამაწყვეტინა გათხოვებაც.

ცარო თუმც ერთობ დალაგებულად, თანმიმდევრულად და საკმაოდ

ენამჭევრად ყვებოდა თავის თავგადასავალს, მაგრამ ამ მძივივით აწყობილ თხრობაში, ზოგ ისეთ „წვრილმანს“ სტოვებდა, რაც, მისი აზრით, არასახარბიელოდ გამოჩნდებოდა სხვების თვალში და რაც უცხოს შეიძლებოდა საჩოთიროდ ანუ სულაც გასაკიცხ-გასაკილავად ჩვენებოდა. ამდენად, არც უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. ასე მაგალითად, ცარომ საჭიროდ სცნო „ჩაეგდო“ თავისი ცხოვრების ის მონაკვეთი, როცა ის, დედამისივით, სახელგანთქმული ჰეტერა იყო ფინიკიის დედაქალაქში. და ეს ბუნებრივად მიაჩნდა, რამეთუ იათნანაზე ამ სათაკილოდ მიჩნეული ხელობით თავს ვერ მოიწონებდა, მით უმეტეს ციცისთან, ვისი გულის მოგებასაც ცდილობდა რატომღაც ყოველთვის, პირველი გაცნობისთანავე, და ახლაც ხომ, მით უფრო კანიდან ძვრებოდა – მართალია მოზომილი, მოფიქრებული წინდახედულობით, რომ როგორმე უფრო კარგი და მიმზიდველი გამოჩენილიყო მის თვალში, ვიდრე სინამდვილეში გახლდათ. რაკიღა შიშმა დამრია-მეთქი ხელი და რაკიღა გათხოვება ვინდომე, - განაგრძობდა ცარო, – არჩევანზე მიდგა საქმე. და მეც თვალი დავადგი დოჩის – რომელიც თუმცა ბლომა ხანია ცხოვრობდა ტიროსში, მაგრამ თავს მაინც უცხოდ, უთვისტომოდ და ეულად გრძნობდა ამ დიდ ქალაქში, და ჯერაც ვერ შეთვისებოდა, ვერ შეგუებოდა მის ავ-კარგს. ეს იქიდანაც ჩანდა, ძლიერ დიდხანს რომ განიცდიდა საყვარელი ქალის ღალატს, ქალის, ვისი გულისთვისაც მიატოვა დანიშნული, დედამამა, სამშობლო და ვისი გამოისობით ათასი რამ საფრთხე და გასაჭირი გამოიარა. დედაჩემი მფარველობდა და ქომაგობდა დოჩის, რადგან მამას თურმე ახლო ნათესავად ერგებოდა იგი.

არჩევანი შევაჩერე-მეთქი იმიტომ ვამბობ, ჩემო ძვირფასო ციცი, რომ... უფრო ხშირად გულის სატრფოს დედაკაცი ირჩევს ხოლმე, და არა პირუკუ, ვითარცა მამაკაცებს ჰგონიათ ხოლმე ეს. მით უფრო ისეთი თავისუფალი ზნის მქონე ნოღაში, როგორიც ტიროსია ან... თუნდაც თებე როა, და განსაკუთრებით კი იმ წრეში, სადაც მე ვტრიალებდი.

დოჩიზე მე უფრო ადრე შემივარდა გული, ვიდრე მის ცოლობას გადავწყვეტდი, მაგრამ... გარემოებათა გამო, გულის ხვაშიადს არ ვამჟღავნებდი... რადგან ვატყობდი, მარტო მე როდი ვიყავი მის მიმართ ასე განწყობილი. მაგრამ ეს საკმაოდ გრძელი ამბავია და ახლა მის მოყოლით თავს არ შეგაწყენ, ჩემო ძვირფასო ციცი, რადგან ისედაც გამიგრძელდა სიტყვა.

ასე იყო თუ ისე, მე და დოჩი დავქორწინდით, მაგრამ დიდხანს არ მოგვიწია ცხოვრებამ ტიროსში. ნამეტანმა ხელგაშლილობამ ვალებში ჩაგვაგდო და იძულებული გავხდით, მიგვეყიდ-მოგვეყიდა, რაც ჯერ კიდევ შეგვრჩენოდა და დაგვეტოვებინა ტიროსი. დოჩისაც სწორედ გა-

საჭირის ჟამს მოაგონდა, რომ არსებობს სამშობლო-ქვეყანა, სადაც შეიძლება თავი შეაფაროს კაცმა. გაჭირვება მაჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, სწორედ ჩვენზე იყო ნათქვამი. ამგვარად, ჩამოვედით იათნანაზე, როგორც მაშინ გვეგონა, დროებით, ასე ვთქვათ, სულის მოსათქმელად, ძალ-ღონის მოსაკრებად, რომ მერმე ისევ დავბრუნებოდით ჩვენს ლაღ და უზრუნველ ცხოვრებას ტიროსში.

რა ვიცოდი მე მამაჩემისა და ჩემი ქმრის სამშობლოზე აქამდე? ძალიან ცოტა რამ და ისიც ბუნდად. იათნანა უფრო ზღაპრულ ქვეყანად მესახებოდა, სადაც ცხოვრობს ხალისიანი, თავისუფლებისმოყვარე, ჯიშიანი და ლამაზი ერი. და მართლაც, პირველი, რაც იათნანაზე ჩამოსვლისთანავე თვალში მეცა, ეს იყო მის მკვიდრთა განსაცვიფრებელი სილამაზე და... სილაღე.

გამაოცა აგრეთვე იმ უშურველობამ, რითაც იათნანელი გასცემს საკუთარ სარჩო-საბადებელს, თავის ავლა-დიდებას. მაგრამ მალე მივხვდი ერთ რამეს: უცხოელთა მიმართ, ამ ერთი შეხედვით, გასაოცარ კეთილგანწყობისა და გულითადობის მიღმა, იმალება ღრმადშეფარული შინაგანი უპირატესობის გრძნობა, ხან გაცნობიერებული, ხანაც გაუცნობიერებელი. იათნანელი ღირსეულ მეტოქედ არა თვლის არაიათნანელს, არა აიაიელს. ერთი სიტყვით, იათნანელი ჰელიოსის მოდგმაა, ამის შეგრძნება კი საკმარისია იათნანელის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და თავმოსაწონებლად. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს უცხოელთა ხან დაფარულ, შენიღბულ, ხანაც დაუფარავ, შეუნიღბავ შურსა და მტრობას.

გასაოცრად მეჩვენებოდა იათნანელი მამაკაცის დამოკიდებულება დიაცისადმი, ის უდიდესი რიდი და კრძალვა, რასაც იგი იჩენდა დიაუფლისადმი, დედისადმი, მეუღლისადმი და, საერთოდ, დედათა სქესის მიმართ. მაგრამ... აგერ უკვე ოცი წელია ვცხოვრობ აქ და ამ ხნის მანძილზე იათნანაზე მოხდა საგრძნობი, ფრიად საგულისხმო და მნიშვნელოვანო ცვლილებანი, განსაკუთრბით ქალისა და კაცის ურთიერთობაში, ის, რამაც მე შენთან მომიყვანა, ციცი, და მათქმევინა აღსარებასავით.

სამწუხაროდ, იათნანელ მამაკაცთა დიდი ნაწილი დღეს ის აღარაა, რაც ამ ოციოდე წლის წინ იყო. შესაძლოა, ბრალი ამაში ასე მოჭარბებულ უცხოელთაც მიუძღვის და აგრეთვე ოქროს დიდძალ მოზღვავებას, რამაც, ჩემი აზრით, გაამძაფრა და გამოკვეთა კრიტიკული მიდგომა დაწესებულ-განმტკიცებულ წეს-ჩვეულებისადმი. აღმოსავლური სისასტიკე და გოროზობა მამაკაცისა, მისი უპირატესი და გადამწყვეტი ადგილი ფანიაში, საზოგადოებაში, ქვეყნის მართვა-გამგებლობაში და, საერთოდაც, ყველა საქმეში, – ერთობ საცთური და მისაბაძი აღმოჩნდა იათნანელი მამაკაცისათვის და ისიც თანდათან, ნელ-ნელა, თითქოს

ერთი შეხედვით შეუმჩნევლად, მაგრამ გარდაუვალად ხდება ისეთი, როგორიც არიან საერთოდ და საზოგადოდ კაცები ყველგან, დედამიწის ყოველ კუთხე-კუნჭულში.

თითქმის ჩემს თვალწინ მოხდა-მეთქი ეს ფერისცვალება, რისი დანახვაც იათნანელ დიაცს, ჩემი აზრით, ჯიუტად არ უნდა, ყოველ შემთხვევაში, დედაკაცთა უმრავლესობას. რას ვგულისხმობ ჩემს სიტყვებში? ალბათ შენც დამეთანხმები ციცი იმაში, რომ მამაკაცს ბუნებით უყვარს, როცა ის მბრძანებლობს, სულ ერთია სად: საკთარ ოხორეში, თუ სხვაგან, გარეთ. მამაკაცს უყვარს აგრეთვე, როცა ის თავისით გასცემს. ყოველ შემთხვევაში, მას ასე ჰგონია, ასე სჯერა და სწამს. დაე, იყოს ამ ცთუნებაში, ასე ეგონოს, თქვენ კი... მაპატიე, ციცი, სავსებით გულახდილი მინდა ვიყო შენთან, თუ, რასაკვირველია, საწყენად არ დაგრჩება ეგ.

– რავა გეკადრება, გეთაყვა. მე დიდი გულისყურით გისმენ.

– გმადლობ, ციცი. ჰო. იმას ვამბობდი, თქვენ ზომაზე მეტ პატივს დებთ მამაკაცებს – თქვენი თანასწორობის მიუხედავად – და მაგათგან ისეთსავე სიმტკიცეს და ერთგულებას მოითხოვთ, როგორიც თავად შეგიძლიათ იყოთ. იათნანელ მამაკაცს ეჩვენება, რომ თქვენ მეტად ბევრს და თითქმის შეუძლებელს მოითხოვთ მათგან. მამაკაცთ ჰგონიათ, რომ თქვენ ეძალებით, ჰკვეცავთ მათ თავისუფლებას – ანუ თავისუფლად მბრძანებლობის უფლებას – და ისინიც გარბიან. ამ სირბილში კი ხშირად ვარდებიან ისეთ მახეში, აქამომდე რომ ვერც წარმოიდგენდნენ და ვერც გაითვალისწინებდნენ. თქვენ თითქოს აიძულებთ მათ ჯიბრში ჩაგიდგნენ, დაგიპირისპირდნენ. მაგრამ, ღმერთებს ვფიცავარ, აღარ ღირს არც ერთი მათგანი ამდენ დავიდარაბად.

ამ დროს, უბრალოდ, სრულიად მარტივად, შეუმჩნევლად, მოჩვენებითი მორჩილებისა და თვინიერების, პირფერობის (რაც ასე მოსწონთ მამაკაცებს) მეოხებით, ყოველ ჭკვიან, გონიერ ქალს შეუძლია გასტეხოს ნებისმიერი მათგანის – ვინც და როგორიც არ უნდა იყოს იგი – წინააღმდეგობა და თავის ირგვლივ ლეკვივით აწკმუტუნოს, დაიხვიოს თითზე და თავის ნება-სურვილზე ათამაშოს.

... ჩვენი ქროწინებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ დოჩისაც შეუჩნდა სიახლისა და თავნებობის ჭია. მალე ხარჭაც გაიჩინა. მაგრამ მე წარბიც არ შემიხრია. პირიქით, ვითომ ვუთანაგრძნობდი კიდეც. საჩუქრებს ვუგზავნიდი მის საყვარელს, გულითადად მოვიკითხავდი ხოლმე. დოჩის მალე მობეზრდა ის ხარჭა. მერე ისევ გაიჩინა ახალი. ამჯერად ორი ერთად, ფინიკიური წესით, სჯულიერადაც შეირთო ერთი მათგანი.

ვითომ თანაგრძნობით ვეკიდებოდი მის ხუშტურებს და ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დოჩი მაინც ჩემთან უფრო არჩევს

ყოფნას. არც პატივი მომკლებია მისგან, არც ყურადღება. მართალია, ტიროსში ვერ დავბრუნდით, მაგრამ, სამაგიეროდ, აქ მტკიცედ მოიკიდა ფეხი, სიმდიდრეც შეიძინა და სახელიც. მეც დავრჩი მისთვის უპირველეს მეგობრად და უპირველეს თანამეცხედრედ.

ცარომ შეისვენა. ციცი შინაგანად გაფაციცებული, გრძნობდა, რომ მთავარი აწი უნდა თქმულიყო. დანარჩენი მხოლოდ ჩვეულებრივი წილადობილა იყო.

– უნდა გითხრა, ციცი, დაუფარავად, კარგად ვიცნობ ბოჩის, ვიცი... თქვენი ოჯახური უსიამოვნებანი და ბოჩის აზრიც, რადგან ერთობ გულახდილია ჩემთან, ვითარცა მეგობართან. ამდენად... შემიძლია დარწმუნებით და დაბეჯითებით განვაცხადო, რომ ბოჩის ისევ ისე უყვარხარ, უყვარხარ ძლიერ, ვნებიანად, ვითარცა ქალი, ვითარცა ცოლი და... შვილების დედა. მაგრამ... ბოჩი ბუნებით დაუდგრომელი, მოუსვენარი და ჯიბრიანი ხასიათისაა.

წელანაც ვამბობდი, ყოველ ქალს შეუძლია-მეთქი ნებისმიერ მამაკაცს მოუძებნოს გასაღები, თუ ეს ქალი ჭკვიანია, ხერხიანია, მოქნილია. მოკლედ, თუ აქვს უნარი იყოს მსახიობელი. ჩვენი ცხოვრებაც ხომ სახიობაა მხოლოდ და ჩვენ, ასეა თუ ისე, მსახიობელნი გახლავართ სუყველანი, მეტნაკლებად. ოღონდ... ვით ნამდვილ სახილველში, ისე აქაც, ზოგი მსახიობელი ნიჭიერია, ზოგი უნიჭო, ზოგი კარგად ანსახიერებს გმირს, ზოგიც საშუალოდ, ზოგი ცუდად და ა.შ.

იათნანელი დედაკაცები კი, მე ასე ვგონებ – ერთობ პირდაპირნი, გულწრფელნი და გულახდილნი ხართ, რაც ღირსებასთან ერთად, ნაკლიც არის, რადგან... მიმაჩნია, რომ ცხოვრება მაინც ბრძოლაა და იმარჯვებს ის, ვინც უფრო მოხერხებულია, წინდახედულია და მომთმენი, ის, ვინც მარტო გრძნობებს კი არ არის აყოლილი, არამედ გონს უფრო ეკითხება რჩევას, ვიდრე გულს.

ციცი კარგა ხანია მიხვდა ცაროს სტუმრობის ნამდვილ მიზეზს. ის ბოჩის მიერ იყო მოგზავნილი შერიგების „მოსაკვარახჭინებლად“, ეს ჭკუის დარიგებანი და შეგონებანიც ბოჩიასგან უფრო მომდინარეობდა, მისგან იყო გეზმიცემული და დაგეშილი ეს დიაციც, კიდევ რომ აპირებდა ენამჭევრობას და დათაფლული ენით ოჯიჯის[1] ქსოვას. მაგრამ ციცის თვალების გამომეტყველებამ მიახვედრა, რომ მისი ენამზეობა ფუჭი და უსარგებლო იყო, ისევე როგორც უსაგნო და არაფრისმთქმელი იყო ციცისთვის მისი პირადი მაგალითი – თუნდაც შეფერადებულ-შელამაზებული.

ცარო შინაგანად აიწურა რატომღაც, თითქოს დამნაშავე ყოფილიყო რაღაცაში, თითქოს რაღაც ვერ მოიქცა თუ ვერ თქვა ისე, როგორც საჭირო იყო, როგორც მოითხოვდა გარემოება. წამიერად ბოჩის მიმართადაც გაუჩნდა ამრეზილობის თუ უკმაყოფილობის გრძნობა აქ გამოგზავნისთვის; ამასთან ციცის უსიტყვოდ, უხმოდ გამოხატულმა გულგრილობამ თუ სიამაყემაც გააღიზიანა ერთი პირობა. მერმე ისევ თავს შეუწყრა, აბრუ არ გაიტეხა და შეეცადა, დაფანტული გონების მოკრებას, თუმცა უკვე აშკარად შესამჩნევი იყო, რომ მისი მოციქულებრივი მისია მარცხისთვის იყო განწირული.

ციციც, რასაკვრიველია, გრძნობდა სტუმრის სულიერ მოძრაობას და უხერხულობიდან რომ გამოეყვანა, სცადა სხვა ლარზე გადაეტანა საუბარი, მაგრამ ცარო დაჟინებით ებღაუჭებოდა იმ აზრს, რომ ბოჩის სურვილი თუ განზრახვა, შესაძლოა, სათანადოდ სწორად, მართებულად ვერ გადმოსცა ან არადა, ციცემ იგი ისე ვერ გაიგო, როგორც საჭიროა, ამიტომ უფრო ნათლად უნდა აეხსნა მისთვის ბოჩის გულისწადილი:

– ციცი, უნდა გითხრა მიუკიბ-მოუკიბავდ, რომ ბოჩია მზადაა მოიქცეს ისე, რაფერც შენ ჩათვლი საჭიროდ, ისე, როგორც შენ გეპრიანება. ახლა შენზეა დამოკიდებული ეს საქმე...

მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ ციციმ მზერად და სმენად ქცეულ ცაროს მიუგო:

– ჩემო ცარო, დღეს შეიძლება ისე იყოს, ვითარცა მე მინდა, მარა ხვალე... ხვალ დარწმუნებული ვარ, ისევ თავიდან დაიწყება ყველაფერი... მე მინდა შენი გულახდილობის წილ მეც გულახდილობით გიპასუხო – ყველა მიწისშვილი, შენც კარგად უწყი ეს, ცდილობს იცხოვროს ისე, როგორც თვითონ მიაჩნია სწორად. ჩვენში ნათქვამია: ჰკითხე ასსა და ჰქმენ გულისაო. რასაც გული გეტყვის, ისაა მთავარი. არა მგონია, ასეთ დროს სხვისი მაგალითი, ანდა რჩევა-დარიგება გამოადგეს ვინმეს ჭკუის სასწავლად... მეუფე თუმათი ბრძანდებოდა ამწინეებზე ჩემთან და მასაც ეგევე მოვახსენე.

– მეუფე თუმათი? – ცაროს სახე შეეცვალა, წამით უსიამოვნო გრძნობამ შუბლი შეუჭმუხნა. – მეუფე თუმათი? – გაიმეორა კვლავ და მერმე ხმადაბლა დასძინა: – სულ ერთხელ ვნახე იგი და... ასე მგონია რატომღაც – რომ შეეძლოს, მამაკაცის გასაგისს არ დატოვებდა დედამინის ზურგზე ეს მახვამური დიაცი... და მერმე... – ცარო გაჩუმდა. თითქოს ენას კბილი დააჭირაო, აღარ დაასრულა სათქმელი.

ციცის ოდნავ ჩაეღიმა. რა მახვილი თვალი ჰქონიაო ამ დიაცს, გაივლო გუნებაში, ხმამაღლა კი წარმოთქვა:

– მეუფე თუმათი სინამდვილეში ძლიერ გულისხმიერი და კეთილი ქალია და განსწავლული ფრიად. ოღონდ ეგაა. ერთობ გოროზი იერი აქვს

[1] მახე ჩიტებისათვის.

სახეზე... იგი ჩვენი ოხორეს ახლობელი პიროვნებაა!

გონებაში წამსვე აღიდგინა თუმათის წინანდელი სტუმრობა და ისევ ისე გადაიმარცვლა ხსოვნაში ის სიტყვები, რაც მაშინ ითქვა მათ შორის.

პირველი, რაც იკითხა თუმათიმ, ბოჩია ხომ არააო სახლში და უარი რომ მიიღო პასუხად, თითქოს შვებით ამოისუნთქა. გულმენცარი ქალი გრძნობდა, ბოჩია დასანახავად რომ ვერ იტანდა მას ჯერ კიდევ ოშორაში ცხოვრების დროიდან. თუმცა არასოდეს – ალბათ დადის ხათრითაც – არც სიტყვით, არც საქციელით არ გამოუხატავს თავისი განწყობილება, არ გამოუმჟღავნებია გულისნადები.

დადის სიცოცხლეში თუმათი უფრო ხშირად დადიოდა მათთან. ბოჩის, თუ შინ იყო, არ დაელეოდა საბაბი, განრინებოდა ქურუმ ქალთან საუბარს, დადი და თუმათი კი, ერთად რომ შეიყრებოდნენ, არაიშვიათად იგონებდნენ ხოლმე ოშორას ამბებს და ჩანდა, ამ საუბრებით იქარვებდნენ სამშობლოს მონატრებით გამოწვეულ სევდას.

ამისწინანელი სტუმრობის დროს ციციმ დიდი გაჭირვებით, თავის თავზე თითქმის ძალაობით ამცნო მას საქმის ვითარება, როცა თუმათიმ ნართაულად, მაგრამ საკმაოდ გასაგებად აგრძნობინა, მე ყველაფერი ვიცი, რაც თქვენს ოხორეში ხდებაო. მისი გამჭოლავი, მახვილი მზერა ნახევრად დახრილი უპეებიდან თითქოს სულის ფსკერში უძვრებოდა ციცის, ცნობისმოყვარეობით, ობობას საცეცეებივით დაურიდებლად ფათურობდა მის სულში, და ასევე დაურიდებლად, უბოდიშოდ და კადნიერად ამოჰქონდა იქიდან სააშკარაოზე შეფარული გულისნადები.

მაგრამ ამჟამინდელი სტუმრობის დროს მეუფე თუმათის ადრინდელივით აღარ უხსენებია მოთმინება. პირიქით, გააფრთხილა ციცი, ეს საქციელი უკვე არ უნდა ეპატიებინა ბოჩისთვის, რადგან თუკი ციცი ახლაც დაუთმობდა ან წაუყრუებდა ბოჩის და ხასას შემოაყვანინებდა სახლში, ამით უკვე სხვათაც, მცირე მორწმუნეთ და მერყევთ, ცუდ მაგალითს მისცემდა. და ისედაც მეტისმეტად თავგასული მამაკაცები წესად და ჩვევად აქცევენო იათნანელთათვის ესოდენ უცხო და მიუღებელ ჩვეულებას, ასევე ლამობენო დასაბმი მისცენ სისხლიან ზორვას – უცხო კერპთათვის პირმშოების შეწირვასო.

ციციმ ქურუმის თვალებში კვლავ დაიჭირა ის ავბედითი, საშიში ნაპერწკლები, ასე რომ აფრთხობდა და აწრიალებდა მის გულს. მისი ოდესღაც ლამაზი, ახლა კი ნაოჭებისგან დაღარული, პირქუში სახე, მოღუშული წვრილი წარბების რკალი, მჭიდროდ მოკუმული, პატარა უფერული ტუჩები შინაგან, დაფარულ რისხვას და მძულვარებას ისარკავდა და დადის საამო, მომნუსხველი ძალისგან განსხვავებით, დამთრგუნველად მოქმედებდა თანამოსაუბრის ნებისყოფაზე. ციციც, თუმცა ერთი პირობა შეაცბუნა ამ მზერამ, როგორც სხვა დროსაც მოსვლია ხოლმე ეს, მაგრამ ამჯერად შიგნით, გულისგულში ეთანხმებოდა მეუფის განწყობილებას, იზიარებდა და იწონებდა მის ნააზრევს და ამდენად, მისდაუნებურადვე, ემორჩილებოდა კიდეც მის ნება-სურვილს. ოღონდაც ეგ იყო – ცაროსთან არ აპირებდა ამის გამხელას, თუმცა მრავლის მეტყველი დუმილი და მზერა თავისთავად მიანიშნებდა მის თანაზიარობას მეუფე თუმათისთან.

დადისთან უბნობისას საერთოდ ქედმაღალი, გულზვიადი და გოროზი იერის მქონე თუმათის – თვინიერი, მორჩილი და თავმდაბლური გამომეტყველება ეხატებოდა სახეზე, თუმცა... ქვეშეცნეულად ციცი გრძნობდა, შინაგანად თუმათი თითქოს ეურჩებოდა, უპირისპირდებოდა რაღაცაში დადის. მისი ეს დათაფლული ღიმილი, მეტისმეტად ხაზგასმული თავაზიანობა-მოკრძალება – ნაძალადევი, ყალბი ეჩვენებოდა ციცის.

დადი კი, დადი თავის ჩვეულებისამებრ, მუდამ თბილი, რბილი, ალერსიანი და მოსიყვარულე იყო თუმათისთან, როგორც საზოგადოდ ყველასთან, მაგრამ... თუმათის მიმართ, მაინც რაღაცნაირ განსაკუთრებულ გულითადობას იჩენდა, თითქოს საგანგებოდ, საგულდაგულოდ ხუჭავდა თვალებს, რომ არ შეემჩნია ის „რაღაცა“ მეუფეში. დადის სახესა თუ სიტყვა-პასუხში ერთთავად მზადყოფნა, თანაგრძნობა და გამგებიანობა გამოსჭვიოდა თუმათის მიმართ.

ციციც აიძულებდა თავის თავს დადისნაირად მოპყრობოდა თუმათის, მასავით გულისხმიერი, ყურადღებიანი ყოფილიყო მისადმი. თუმათიც თითქოს გულითადობით პასუხობდა მას და მაინც ციცი ვერა და ვერ იყო თუმათისთან ბოლომდე გულახდილი, ის „რაღაც“ განიზიდავდა მის გულს ამ ქალისაგან. თავადაც ვერ აეხსნა, სახელდობრ, რა იყო ამ შინაგანი გულმიუსვლელობის, უნდობლობის მიზეზი; არადა, მათ შორის ნამდვილად არსებობდა ეს თვალისთვის უხილავი, მოუხელთებელი ჯებირი, რომლის გადალახვა ციცის გულს ჯიუტად არ სწადდა და რის გამოც ასე შებოჭილად გრძნობდა ხოლმე თავს მასთან. შესაძლოა, ეს თუმათის თვალების ბრალიც იყო, რომელიც დროდადრო რაღაცნაირი ყინულიანი სიცივით უბზინავდა; ან იქნებ ის გამგმირავი მზერა იყო დამნაშავე, უნებური კრთომითა და შიშითაც კი რომ აღავსებდა ციცის გულს და ტანში ზრინავდა ხოლმე. ან იქნებ თუმათის ხმა ვერ ფარავდა მის მბრძანებლურ, ყინჩ ბუნებას, ვინმესგან შეპასუხებას ან მით უმეტეს, წინააღმდეგობას რომ ვერ ითმენდა.

თუმცა ალაგმული, მოთოკილი, მაგრამ მაინც უზარმაზარი ძალა იღვრებოდა ამ თითქოსდა გაჩხინკული, ძვალტყავად ქცეული მახვამურის-

გან, ყბა ყბაზე რომ ჰქონდა აცმული; როცა უბნობდა წვრილი, გამხდარი ყელის ძარღვები ებერებოდა და უთრთოდა და ციციც ჯადოქმნილივით, მონუსხული თვალს ვერ აშორებდა მას.

* * *

...ბოჩიმ ერთი-ორჯერ კიდევ სცადა შერიგება ხან ძაძუს, ხან მამიდა ფათულიას მეშვეობით, მაგრამ ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა.

რაკიღა ხელი ჩაიქნია ციცისთან შერიგებაზე, ბოჩიმ სულ მალე თავისი ძველი სახლიდან მოშორებით ახალი, ჩინებული სასახლე ააგო. გაავსო იგი შინამოსამსახურეებით და ხარჭებით. მალევე გადმოიყვანა იქ თავისი ფინიკიელი შუშუ და შეუდგა ახალ ცხოვრებას.

ციცი გოგონებითურთ დარჩა ძველ ყუდეში და რაკი ბოჩი უკვე არად დაგიდევდათ იათნანურ წესებს, ციციმაც ქურუმების ჩაურევლად, ჩათვალა განქორწინებულად თავისი თავი.

პირველ ხანებში ბოჩი გოგონებს ვერ ელეოდა. განსაკუთრებით უმცროსი უყვარდა, დადუ, პირწავარდნილი მამა რომ იყო გარეგნულად. დააპირა კიდეც წაეყვანა იგი თავის ახალ დოხორეში, მაგრამ დადუმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არც ძვირფასმა საჩუქრებმა გასჭრა და არც არანაირმა ხვეწნამ და მუდარამ.

ციცი ცდილობდა გაენელებინა ბავშვებში გაბოროტების გრძნობა მამის მიმართ, მაგრამ ატყობდა, ტყუილი წყლის ნაყვა იყო ყველაფერი, ანდა პირუკუ ნაყოფი მოჰქონდა მის შეგონებებს ამიტომ თავი დაანება, მოეშვა ამაო მცდელობას.

მოკლე ხანში ბოჩი დიდი ნოღას ხუნუს[1] წევრად აირჩიეს, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბოჩიმ იყიდა ეს ადგილი და დედაქალაქშიც წამოჭიმა საკუთარი სახლი.

ამასობაში, მთელ იათნანაზე ფრიად საგულისხმო ცვლილებები ხდებოდა. ქურუმთა საბჭო სინამდვილეში გაუქმდა, რადგან ახალი ხელისუფალი, ქვრივი დედოფლის იამზეს ვაჟი – უფლისწული ვაჩე მას აღარაფერს ეკითხებოდა. არც ეს, ეგრეთწოდებული არჩეული სხუნუ წარმოადგენდა სუფთა იათნანურს. უმეტესობა ადგილებისა იქ დაიჭირეს ფინიკიელებმა, რადგან ვაჭრობა ძირითადად მათ ხელში იყო, ამიტომაც ადგილების მეტი რაოდენობით შესყიდვაც მათვე მოახერხეს. ვაჩეს მეუღლე-ფინიკიელი დიაცი, ფარულად თუ აშკარად, ყოველნაირი ხერხებითა და საშუალებებით ხელს უწყობდა თანამემამულეთა დაწინაურებას.

[1] საბჭო.

ამ მოსაჩვენებელ სხუნუშიც ფეხი ამოაკვეთინეს დედაკაცებს, რომელთაც ძველად, იათნანური წესით, იმდენივე წარმომადგენელი ჰყავდათ საბჭოში, რამდენიც მამაკაცებს და ისეთივე უფლებებით სარგებლობდნენ, როგორც ისინი.

რაც შეეხება ბოჩის და ციცის ვაჟებს, ისინი მართლაც იწაფებოდნენ და ოსტატდებოდნენ ტიროსში და თუმც ჯერაც ჩამოჰყავდა ბოჩის ისინი ზაფხულობით იათნანაზე, თანდათან ივიწყედნენ იათნანურს და იათნანას.

ბოჩიმ ერთი გზობა, მათი მეშვეობითაც სცადა ციცისთან შერიგება, მაგრამ რაკიღა ამითაც ვერაფერს გახდა – საბოლოოდ დაემშვიდობა ამ აზრს.

გავიდა დრო და ხანი.

ერთხელ, ზღვისკენ მიმავალ ციცის ვიღაც უცნობმა ახალგაზრდა მეთევზემ ჩაუარა და სალამი უთხრა. ფიქრებში წასულმა ციციმ გვიან მოუხედა უცნობს. მეთევზის მიხრა-მოხრამ და წამიერმა თვალის შევლებამ გონებაში უცებ წამოუტივტივა ერთი მოგონება.

...ტოტებგაბარჯღული ცაცხვის ჩეროში თავი მოეყარათ გოგო-ბიჭებს და ჟრიამულობდნენ. მეზობლის გოგონას, ფაციას ყმაწვილი მამიდაშვილი ჩამოსვლოდა მთიდან და ნათიასთან, ციცის უფროს ქალიშვილთა მოეყვანა სტუმარი. ახალშეღერებულ ნათაის საამხანაგოდ გული უფრო მოზრდილებისკენ მიუწევდა ხოლმე, ამიტომაც ორი თუ სამი წლით მასზე უფროს ბიჭს ხალისიანად შეეგება.

ციცი იმ დროს წაადგა თავს თამაშში გართულ გოგო-ბიჭებს, როცა „დასჯილ“ სტუმარს მსხალი უნდა ჩამოერეკა ხიდან და ჭოკა სად არის, ჭოკა მომეცითო, იძახდა.

– აგე, ლაფაროში გდია ჭოკა! – ღიმილით უთხრა ციციმ ბიჭს, რომელსაც ციცის დანახვაზე ანაზდეულად სიტყვა შეშრობოდა პირზე და ნახევრადწამომჯდარი, კისერგადაწეული შეჰყურებდა ქალს.

„დია-ღმერთო!“

ლურჯი, ბიბინა, ხვიჩასნაირი თვალები უმზერდნენ დაუფარავი აღტაცებითა და... გაკვირვებით. ეს ისეთი მსგავსება იყო, ისეთი წარმოუდგენელი და დაუჯერებელი, რომ წამით გაუელვა თავში, ეგება მართლა ხვიჩაა! ეგება ხვიჩა არ დამხრჩვალა მაშინ ზღვაში და აი... ამდენი ხნის შემდეგ გამომეცხადაო ფერუცვლელი. იგივე აღფრთოვანებული გამომეტყველება თვალთა! იგივე ღიმილი!

გონს რომ მოეგო, რა სულელური აზრები მომდისო, დატუქსა თავი.

ლაღი და თამამი ბიჭი ჩანდა გიო: მხიარული, ენაკვიმატი, მკვირცხლი გონების, მაგრამ ციცისთან ზედმეტად მორიდებული და უტყვი ხდებო-

და ხოლმე.

და აი, გიო უცებ გაუჩინარდა. ამ ყინწორა ბიჭს უკვე მოესწრო თავი შეეყვარებინა „ოშორაფონის“ გოგო-ბიჭებისთვის და ამიტომაც მის ასეთ უცაბედ დაკარგვას ნათიაც განიცდიდა ერთ ხანობას, მაგრამ დრომ თავისი ქნა და გიო თანდათან გადაავიწყდათ.

...საღამო ჟამს, ნაპირზე ჩვეულებისამებრ, თავის ამოჩემებულ ფიჭვის როკზე მჯდარი გულდამძიმებული ციცი მისჩერებოდა ზღვის უსაზღვრო სივრცეს. აღარაფერი ახალისებდა და ახარებდა, დღე და ღამ მხოლოდ თავის ბიჭებს დასტრიალებდა ფიქრით.

ზღვის ყურება სევდა-ნაღველს და მწარე ფიქრებს უნელებდა და ახლაც, მისდა უნებურად, ღიღინი დაიწყო. ძველი სიმღერა მოაგონდა, ბავშვობისდროინდელი.

უცებ ხვინჭის ხრაშუნის ხმამ გამოარკვია. მოიხედა. გიო იყო. ერთი პირობა ვეღარც იცნო. მარტო თვალებიღა დარჩენოდა დალეულ სახეზე.

– გამარჯობა, ციცი!

– გაგიმარჯოს, გიო! – „ციცი?.. როდის აქეთია ასე რომ გამიშინაურდა?“

– როგორ ხარ, გიო? უცებ ვერც კი გიცანი... როდის ჩამოხვედი? – არაფერი შეიმჩნია ციციმ. „ბავშვია, ეპატიებაო“, გაიფიქრა მიმტევებლურად.

ბიჭი მოშორებით დაჯდა, მკლავები მუხლისთავებზე შემოიხვია და გაირინდა.

დარდიანი ჩანდა ბიჭი, გაცრეცილი.

„რა დაემართა? ავად ხომ არ იყო? ან... ეგება უსიამოვნება შეემთხვა რამე?“ – ხომ მშვიდობაა, გიო? – მოუნაცვლა კითხვა.

– მე სახლში ვიყავი თქვენთან ახლა... დადუმ მითხრა, დედა ზღვაზეაო და აქეთკენ გამოვწიე, – ერთბაშად ამოთქვა ბიჭმა და მერე ისევ ხმა გაკმინდა.

– ჩემთან საქმე გქონდა რამე? – ალმაცერად გახედა ბიჭს, მიწას რომ დაჟინებით დასჩერებოდა.

– კი მქონდა! – დააქნია თავი ბიჭმა და პირდაპირ შეხედა სახეში.

– გისმენ, ჩემო კარგო! – „თუ რამე მნიშვნელოვანი უნდა მითხრას, ასე ცეტი და უგუნური რაფერ იქნება, ამაზე აქ დამიწყოს უბნობა?“

– მე... მე მინდოდა მეთქვა... – ბიჭს ენა დაება, გაჩუმდა და კვლავ მიწას დააცქერდა.

– ეგება სჯობია შინ წავიდეთ და იქ ვისაუბროთ? – „რაღაც უჭირს უთუოდ და... ვერ ამხელს?“

უცებ წამოდგა. ბიჭიც მაშინვე წამოიჭრა.

– არა. არა. იქ არა! – ისეთი შიში გამოეხატა ერთბაშად სახეზე, ისეთი თვალები გაუხდა, რომ ციცის უნებურად გაეღიმა:

– კარგი, გიო. რახან ასე გეშინია ჩემი სახლის... აქ მითხარი აბა, სათქმელი...

ფიჭვის ხორკლიან ტანს მიეყრდნო და ღიმმორეული შეაჩერდა სახეზე. „როგორ ჰგავხარ, ბიჭო, ხვიჩას! რა სასწაულია ეს! ასეთი გაწლიკული და ფერდაკარგული ხომ ზედგამოჭრილი ხვიჩაა მაინც“. გული შეეკუმშა. ეჰ, ხვიჩა, ხვიჩა! იმ გარდასულ, დაუბრუნებელ ხანაზე აუტირდა გული რატომღაც.

– მე ცოლის შერთვა გადავწყვიტე, ციცი! – მიახალა გიომ ანაზდად და ანთებული მზერა მიუშტერა.

„ეუჰ! აბა შენ ყოფილხარ, რა! ნუთუ სხვა ადგილი ვერ იპოვე, ბიჭო, ამის სათქმელად... ეჰ, მართლა, რას ნიშნავს ბალღობა და სიშტერე“.

– მერე რაო? ქალი არ მოგყვება თუ?.. – ხუმრობის კილოთი დაეკითხა ციცი.

– ციცი! გთხოვ... ძალიან გთხოვ, ნუ მამასხარავებ!

შუბლი შეიკრა ერთბაშად ქალმა:

– მე შენ კარგ ყმაწვილად გიცნობ, გიო. ჯერ-ერთი, შენთვის მე ციცი არა ვარ, და გარდა ამისა...

– მე შენ მიყვარხარ, ციცი! – შეაწყვეტინა უცებ გიომ განწირული ხმით: – ეგება ეს შეშლილობაა, მარა მე... უშენოდ არ შემიძლია, გესმის, ციცი? არ შემიძლია. მორჩა და გათავდა! თუ შენ ცოლობაზე უარს მეტყვი, თავს არ ვიცოცხლებ, იცოდე!

თვალები ამღვრეოდა, სახე აფორაჯებოდა ბიჭს. ქალის წინ ვიღაც უცხო, უცნობი და... საშიში კაცი იდგა ახლა.

და სანამ განცვიფრებული ციცი გონს მოვიდოდა, ბიჭი მუხლებზე მოეხვია, სახე კაბის ნაკეცში ჩამალა და ყრუდ აქვითინდა.

– მე ვცდილობდი გადამევიწყებინე... ჩემს მზეს გეფიცები!.. ვცდილობდი... მარა ვერ შევძელ!.. ხომ ხედავ, ველარ შევძელ!.. სიკვდილი მირჩევნია უშენობას. ვიცი, განა არ ვიცი, შენი ღირსი რომ არა ვარ არანაირად, არც შენი ტოლი... მარა ჩემი ბრალი არაა... პირველი დანახვისთანავე შემიყვარდი... სიცოცხლე არ შემიძლია უშენოდ... ან ეგებ შენ მომკლა სულაც, შენი ხელით სიკვდილი ბედნიერება იქნება ჩემთვის! – ლუღლუღებდა გიო და ციებიანივით კანკალებდა, მუხლისთავებს და ხელებს უკოცნიდა ციცის და ღვარ-ღვარად ჩამოსდიოდა ცრემლი ალეწილ ღაწვებზე.

შესძრა და შეარყია ამ სურათმა ციცი. ახლა ხელისკვრა, ანდა ბიჭის გაბიაბრუება დაუშვებლად ჩათვალა. ასეთ ასაკში შელახული თავმოყვა-

რეობა ადვილად პოულობს ხოლმე გამოსავალს დაუფიქრებელსა და ხშირად საბედისწერო საქციელში. ციცის ეს არ უნდა დაეშვა. მეტადრე, რომ ამ ყმაწვილისადმი რაღაცნაირი თბილი, მშობლიური გრძნობა გააჩნდა.

უნდა დაეყვავებინა და როგორმე ცნობაზე მოეყვანა ბიჭი.

ერთხანს აცალა, რომ გული მოეოხებინა. მაგრამ ბიჭი არ წყნარდებოდა, არ მშვიდდებოდა: პირიქით, სულ უფრო და უფრო ფიცხდებოდა და ეგზნებოდა.

– ადექი ახლავე! რა წესია მიწაზე ხოხიალი? თავმოყვარეობა არა გაქვს?

ალბათ ეს სიტყვები და კილო იყო ის უებარი საშუალება, რამაც გიო გამოაფხიზლა და ფეხზე წამოაყენა.

გაოცებით შეაჩერდა ქალს.

– ჩემი დაღუპული სიყრმის მეგობრის ხსოვნის გამო – ასე ძაან რომ ჰგავხარ, გპატიობ ამ უმგვან საქციელს. ახლა წადი და როცა მოერევი შენ თავს, მერეღა შეგიძლია დამენახვო! და გახსოვდეს ერთი რამ: მამაკაცი, რომელსაც არ ძალუძს სძლიოს არასაჭირო გრძნობას, პატივისცემის ღირსი არ არის!

„ამ დღესაც მოესწარ, ციცი! გუშინდელი ღლაპები რაებს გიბედავენ!“ – გაივლო გუნებაში უფრო საკუთარ თავზე განაწყენებულმა. როცა ეს თმაქოჩორა ბიჭი ცრემლთა ფრქვევით ხელებს უკოცნიდა, წამით წაიშალა დროის სამანი, თავი ისევ პატარა, ნორჩ გოგონად წარმოიდგინა – იმ შორეული ხანის ციცი გეგეშხედ, ყმაწვილი ბიჭები თავს რომ ევლებოდნენ და ზედ დაჰფოფინებდნენ. ამ წვრილი, თეთრი კისერის, სალუქი კანის შეხედვაზე უსაშველო სურვილი გაუჩნდა, ნაზად მოფერებოდა, მიალერსებოდა – ქალური სურვილითა და ნდომით.

ციცი ცდილობდა, მამრის ხსენება სამუდამოდ ამოეგდო გულიდან. საკმარისად მიაჩნდა, რაც იწვნია და იგემა სიყვარულის გამოისობით. და მაინც... არ ელეოდა ფარული თუ აშკარა თაყვანისმცემელნი. იმასაც კარგად ატყობდა, გულს ასე იოლად რომ ვერ მოერეოდა. რადგან... ზოგჯერ გასაოცარი ძალით მოენატრებოდა სითბო და სიყვარული, თანაგრძნობა და ნუგეში, მაგრამ გაკერპებული, გაჯიუტებული ნებისყოფა ყოველნაირად თრგუნავდა და ახშობდა ამ სურვილსა და მონატრებას. შინაგანი ჭიდილისაგან დაღლილ-დაქანცულ გულს ისევ რკინის სალტეს შემოაკრავდა და... ამაყად კისერაღერილი ზეიმობდა მორიგ „გამარჯვებას“!

ახლა კიდევ ეს მოულოდნელი, უცაბედი აფორიაქება! გამწარდა თავის თავზე და მერე როგორ!

– ციცი!.. მე მინდა გითხრა...

– ჩემი სათქმელი მე უკვე გითხარი! – ხაზგასმული სიმკაცრით დაუმარცვლა ბიჭს და ზურგი შეაქცია.

„ჰოი, ძვაბრავ, ძვაბრალე! შე წყეულო მზაკვარო და მაკვარანცხო! ეშმაკეულო საცთურო და ბოროტო სულო!.. რაფერ მიყელე!“

და გაახსენდა ერთბაშად დადის შეგონება: არავინ უწყის, საიდან და როდის გამოტყვრება ძვაბრა. სულიერი არსება ყოველჟამს მზად უნდა იყოსო მის მოსაგერიებლად!

სამსჯავრო

(გაგრძელება)

... ხანგრძლივი დუმილი, რაც ბოჩის ჩაფიქრებას მოჰყვა, მსაჯულთა უხუცესმა ბადრამ დაარღვია:

– მაშ, შენ ადასტურებ, უფალო ბოჩი, რომ შენმა... პირველმა ცოლმა ციცი გეგეშხემ მოკლა უფალი აპე – ფინიკიელი დიდვაჭარი და ფრიად წარჩინებული კაცი – შენი მეორე ცოლის ძმა?

ბოჩიმ მხრები აიჩეჩა. იგი ისევ სადღაც, ქურუმ-მსაჯულთა თავებს ზემოთ იყურებოდა:

– ვგონებ... აგრე უნდა იყოს!

– დიახ... დიახ, რასაკვირველია! – ღრმად პატივცემულმა უფალმა ბადრამ ჩაახველა და მერმე დასძინა: – სამსჯავროს სურს გაიგოს შენგან, უფალო ბოჩი, იმ განძის თაობაზე, ბებიას რომ დაუტოვებია შენთვის და რის გამოც, ვითარცა ჩანს, მოხდა ეს უბედურება!

ბოჩის კვლავ სივრცისთვის მიეშტერებინა მზერა. მერმე შეირხა, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო, ხმა ჩაიწმინდა:

– ადრე... კაი ხნის წინ შევუთვალე მე... მაგას. ერთი ახლობელის პირით... დაებრუნებინა ჩემთვის ნაწილი იმ კირბიშებისა, დადიმ რომ დაგვიტოვა.

– მერმე? დაგიბრუნათ კირბიშები თუ... არა?

– არა. არ დაუბრუნებია.

– რათაო? რა მიზეზით გითხრა ვარი!

– არც ვარი უთქვამს და... არ ჰო!

– ჰმ, ჰმ... ესე იგი პასუხის ღირსიც არ გაგხადათ... არა?.. გასაგებია, გასაგებია! სხვანაირად ვერც მოიქცეოდა ეგეთი დიაცი. დიახ. მაშასადამე, როცა თქვენს მიერ გაგზავნილი უფალი აპე ეახლა ციცი გეგეშხეს...

– აპე სიძველეთა მოყვარული და დამფასებელი იყო... – შეაწყვეტინა

ანაზდად უფალ ბადრას ბოჩიმ: – მე და ჩემმა მეუღლე შუშუმ ვიფიქრეთ... ჩვენ გვეგონა... აპე საერთო ენას გამონახავდა... მაგასთან!

– მოუნახავს კიდეც საერთო ენა და ეგაა! – წამოისროლა ვიღაცამ როყიო ხმით დარბაზში. ყრუ სიცილმა გადაუარა შეკრებილთ.

– სიჩუმე იყოს! – წამოიკრიფა ძონძროხა მსაჯული თუნთია და ხარის თვალები გადაუბრიალა ხალხს. მერმე მოსასხამის კალთები ძლივსძლივობით აიწია და ქშენა-ქშენით ჩაეშვა საკარცხლულში. მსაჯულთუხუცესმა ბადრამ აცალა დარბაზს დაწყნარება და კვლავ ბოჩის მიუბრუნდა:

– ჰმ, ჰმ... მაშასადამე, ამ განძის ნიადაგზე მომხდარი ჩხუბის დროს, ვითარცა ირკვევა, გაბოროტებულმა ქალმა მოჰკლა უფალი აპე... ამას შენც უარს არ ჰყოფ, უფალო ბოჩი, არა?

– რის გამო მოჰკლა აპე, ეგ, უპრიანია, თავად ქალს ჰკითხოთ, ღირსეულო მსაჯულო!

– ჰმ, ჰმ... რასაკვირველია, რასაკვრიველია... მაგრამ, სამწუხაროდ, ციცი გეგეშხე არ კადრულობს პასუხის გაცემას... მადლობელი ვართ შენი, უფალო ბოჩი! შეგიძლია წაბრძანდე ან... თუ გნებავს, დარჩე ბოლომდე და... სხვათაც მოუსმინო!

„რად არ იცინით, ღმერთებო? იათნანელი მამაკაცი თავის, თუნდაც ყოფილ ცოლთან აგზავნის თურმე ვიღაც გადამთიელს, რათა მისი მეშვეობით დაიბრუნოს ბებიის მიერ დანატოვარი წმინდა წიგნები, რომელიც... მას არ ეკუთვნის!.. გარნა ბედისწერამ ეგეც არ მაკმარა!“

...იმ დღეს დილიდანვე უსაშველოდ ცხელოდა. შილიფად ჩაცმული ციცი სამფეხაზე მჯდარი, სურნელოვან ბალახ-ბულახებს არჩევდა სახლზე მიდგმულ საგანგებო სათავსოში. გოგონები მეზობლის გოგო-ბიჭებთან ერთად ზღვაზე გაკრეფილიყვნენ საბანაოდ.

ნაღვლიან ფიქრებში წასულმა ვერც შეამჩნია უცხოს მოსვლა. თავი რომ ასწია, ასე მიეჩვენა: წისქვილის ვირთხა მომჩერებიაო ნემსის ყუნწივით წვრილი თვალებით. გაუკვირდა ეს სტუმრობა: რისთვის შემოეხეტა ეს ცხვინჯა[1], ქარაქუცა ფინიკიელი ჩემს ოხორეშიო, – გაიფიქრა ამრეზით და უპასუხოდ დატოვა აპეს მეტისმეტად ქლესური და მაღალფარდოვანი მისალმება. მერმე ვითომ სასხვათაშორისოდ, კაბის კალთები გაისწორა, რადგან ფინიკიელის ქურდული, ხარბი მზერა დაიჭირა. რა გნებავთო, ჰკითხა საკმაოდ უკმეხად, უდიერადაც კი, და ფინიკიელის თავს ზევით მიაცქერდა რომელიღაც წერტილს.

ანაზდად აპე მის გვერდით აღმოჩნდა.

– ოსურპატონი[2] ციცი... სულ ასე მარტო როდემდე უნდა იყოთ? ოჰ, ასეთი მზეთუნახავი ქალი...

ფინიკიელი იწმაწნებოდა, ხელებს იფშვნეტდა და თავის ჭიან, წვეტიან კბილებს წარამარა აჩენდა.

ზიზღიანი მზერა ესროლა სახეში წამიერად: „რა მუცლის გვრემა ასტყდომია ამ ქონდრისკაცს, ნეტაი?“

ფინიკიელი უფრო ახლოს მიუცუცქდა და გაზინთული, დაელმებული თვალებით ახედა.

„მართლა, ვირთხას არ ჰგავს ეს ოჯახქორი!“ – გაუელვა თავში და კინაღამ გაეცინა.

– ოჰ, რა მშვენიერი თმა გაქვს, ციცი... რა თეთრი, სპილოსძვლის ფერი სახე, რა მკლავები, რა კისერი, რა ძუძუ-მკერდი! ვერ გამიგია, რა ნახა ბოჩიმ ჩემს მათხოჯ დაში. ოჰ, ოჰ... – შეუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა ფინიკიელის ლაქარდიანი ენიდან სიტყვების კორიანტელი: – ოჰ, რამდენ მამაკაცს სწვავს შენი სურვილი, ციცი! შენ ამ ქოხში კი არა, ყველაზე უბრწყინვალეს სასახლეში უნდა იჯდე დედოფლად... და დედოფლები შენ უნდა გემსახურებოდნენ, რადან შენს მშვენებასთან ვერ მოვა ვერც ერთი ქალის სიტურფე დედამიწის ზურგზე! შენ უნდა გეთაყვანებოდნენ, როგორც ქალღმერთ ასტარტას!

აცალა, დაცლილიყო. ბოლოს სხვათაშორის, ვით ძაღლს მიუგდებენ ხოლმე გამოხრულ ძვლებს, ისე უთხრა:

– იმისთვის მოხვედი, რომ ეს სისულელეები როშო? აბა, მოუსვი ახლავე აქედან!

იხტიბარი არ გაიტეხა აპემ. თუმცა, შეეტყო მაინც, რომ საშინლად ემწვავა ქალის სიტყვა და კილო. ყვიციანი სახე გაუმწვანდა.

– ოსურპატონი ციცი... მაპატიე, მაგრამ... მე საქმეზე გიახელი, თუმცა შენმა სილამაზემ თავბრუ დამახვია, თავგზა დავკარგე... რაღა გასაკვირია? მე კი არა – ჩემისთანა საცოდავ ჭია-ღუას კი არა – თვით მზეს და მთვარეს დაუბნელებს თვალებს შენი იგავმიუწვდენელი მშვენება, მე...

– რა საქმე უნდა გქონდეს შენ ჩემთან? – შეაწყვეტინა კვლავ გოროზად ციციმ და თვალი თვალში გაუყარა. ყოველგვარი ზრდილობა-თავაზი განზე გადასდო. არავითარი სტუმარ-მასპინძლობის გრძნობა არ გააჭაჭანა გულში. ჯიქურ, ვით მტერი მტერს, ისე ზომავდა თავითფეხამდე.

– მე... ისა... რომ... მე ბოჩიამ... – აბლუყუნდა უცებ აპე ციცის მზერისგან ნირწამხდარი. თვალები აცა-ბაცა გაურბოდა და ხელებს გამეტებით იფშვნეტდა: – მე ბოჩიმ გამომგზავნა შენთან, ქალბატონო ციცი, რათა... მე...

– რაო, რაო? ვინ გამომგზავნაო, რა ბრძანე?

[1] დიდცხვირა.

[2] ქალბატონო.

– დიახ, ჰო, ბოჩიამ. ბოჩიამ გამომგზავნა. რატომ გაიკვირვე ასე? – ეტყობოდა, დაეუფლა თავს, ხმაში რიხი ჩაეღვარა ანაზდად. ციცის თავისი სჭირდა და აპეს განცდებისთვის სულაც არ ცხელოდა. მერმე, კარგა ხნის მერმე აღადგინა გონებაში იმ საბედისწერო შეხვედრის ყოველი წვრილმანი.

– შენ... ბოჩიამ გამოგაგზავნა... ჩემთან? – გულზე ხელი მიიდო ციციმ უზომოდ განცვიფრებული სახით. „თუმცა... რატომაც არა! ამ ქვეყნად, ყველაფერია მოსალოდნელი“... – მერედა, რაო? რა მინდაო ბოჩი ბატონმა? რისთვის გაგსარჯა ძვირფასი სტუმარი და ნათესავი? რა დაგაბარა?

– მისი ბებიის დანატოვარი – უძველესი კირბების დაბრუნებას მოითხოვს შენგან, ოსურპატონი. ხოლო... რაკიღა მე, შენი მონა-მორჩილი, სიძველეების მცოდნედ ვითვლები... ჩემზე უკეთეს შემფასებელს იგი ვერ იპოვის. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩათვალა თვითონ, ჰოდა... – უკვე აღარ უსმენდა ფინიკიელის ლაქლაქს. „ღმერთო დიდებულო! ბოჩიამ აპე გამომიგზავნა კირბების წასაღებად!“

ენაწართმეული, გულზე ცეცხლმოკიდებული შეურხევლად იჯდა და უაზრო თვალებით შესცქეროდა აპეს. ასე შეურაცხყოფილად მაშინაც კი არ უგრძვნია თავი, ოხორეში ფინიკიელი ხასის მოყვანა რომ შესთავაზა ბოჩიმ!

„დია ღმერთო! დია ღმერთო! ნუთუ... ნუთუ...“

ახლა სულ ერთი იყო მისთვის, ცა ჩამოექცეოდა თავზე თუ მიწა გაუსკდებოდა ფეხქვეშ.

– მაგრამ მე მართლა ამისთვის არ მოვსულვარ შენთან, ციცი... ეს ჩემთვის, რასაკვირველია, საბაბი იყო. საამისოდ მე თვითონ შევაგულიანე ჩემი დაია... მე შენი ნახვა მინდოდა, ციცი. ამდენი ხანია ვიწვი და ვიდაგვი შენთვის! ამდენი ხანია ვითმენ შენს სიყვარულს. ამდენი ხანია ვწვალობ, ვიტანჯები. მეტი აღარ შემიძლია. მზადა ვარ, მთელი ჩემი ქონება შემოგწირო – ქონება კი იმდენი მაქვს, მთელ იათნანას იყიდის! მზადა ვარ, ვიყო შენი ყურმოჭრილი მონა, ოღონდაც შენი ალერსის ღირსი გამხადე: თუ გინდა აქედან გავიქცეთ, ვიცხოვროთ სადაც გინდა, სადაც ინებებ – ტიროსში თუ თებეში... შენს ქალიშვილებს ნამდვილ მამობას გავუწევ: მე გავამზითვებ... დედოფალივით იცხოვრებ და იმეფებ ჩემს გულზე სიცოცხლის დასასრულამდე, როგორც უსაყვარლესი და უძვირფასესი მეუღლე. შენ, მზისდარ ქალს, რა გინდა აქ, ამ ქოხში? შენ...

ცნობიერება უბრუნდებოდა და... თანდათან ჩაწვდა ფინიკიელის სიტყვების აზრს და მნიშვნელობასაც. უცებ მოზღვავდა რაღაც შეუცნობი ბნელი და... ერთიანად წალეკა მთელი მისი არსება.

– გაეთრიე ახლავე აქედან, შე ვირთხავ შენა! და შენი ფეხი არ ვნახო

აქ მეორედ, თვარა... – წამოიწია. რისხვისგან გონდაკარგულს გულმა ყელში დაუწყო ცემა.

ფინიკიელი გველნაკბენივით დაიკლაკნა. უცებ თვალებში ავი ნაპერწკლები გაუკრთა წამიერად, მაგრამ ეტყობა, სძლია თავს, სქელ ტუჩებზე დათაფლული, მაამებლური ღიმილი გაუკრთა ისევ, თუმცა ყუყასავით შავ დაწვრილებულ თვალებში შეფარული გაბოროტება და ღვარძლი ჩაღვროდა.

– ოჰ, ეს მიტოვებული, დაწუნებული იათნანელი ქალები და მაინც... ასეთი ამაყები, ასეთი დიდგულები და... ასეთი მშვენიერები! – ჩაიბუტბუტა და ხელები მოისრისა კვლავ უცნაური მანჭვა-გრეხით.

ოფლის და კიდევ რაღაც მყრალი, მხოლოდ ფინიკიელებისთვის დამახასიათებელი სუნი ეცა ცხვირში ციცის და სანამ გულდაღადრული, აზრშერყეული რამეს მოისაზრებდა, უცებ ფინიკიელი ეძგერა და სოხანეზე წამოაქცია. ისეთი მოულოდნელი იყო ეს თავდასხმა, რომ ციცი წამით გაშტერდა, დაიბნა, მაგრამ მეორე წამს უკვე ფეხზე იყო. ისევ ეტაკა აპე. რომ არ ეგონა, ისეთი ღონე აღმოაჩნდა ამ მტკაველა დასხირპულ ჩიაკაცს. აღარ უშვებდა მკლავებში ჩაბღუჯულ ქალს, რაღაცას ლუღლუღებდა, ბლუკუნებდა, ოხრავდა და ქშინავდა.

უსაშველო ზიზღის გრძნობამ ლამის დაახრჩო... „ამ ზღმურტლიანმა, ბინძურმა ვიგინდარამ ხელი როგორ შემახოო“, გაუელვა სიბრაზისგან გაცოფებულს, წამიც და...

აპემ ჯარგვლის მეორე კუთხეში მოადინა ბაყვანი.

ფინიკიელი, როგორც იქნა წამოიკრიფა და... ანაზდად მის ხელში დანამ გაიელვა.

– გაგათავებ ახლავე, შე გველო, ასპიტო! – დაკრეჭილ კბილებში გამოსცრა და მოკუზული, მოპარული ნაბიჯებით წამოვიდა ქალისკენ.

სიძულვილის ტალღამ ერთბაშად ჩაძირა ციცი ღურღუმელში. გონება დაუბნელდა. მერმე ისევ გაუნათდა თითქოს თავში.

ხელი დასტაცა სამფეხა სკამს, იქვე, მის ფეხებთან რომ ეგდო გადაყირავებული და... ხელებში გაუქანა ფინიკიელს, მეორე წამს ისკუპა, ძირს დავარდნილ დანას თვალის დახამხამებაში დაავლო ხელი და შიგ გულში აძგერა. ჩანს, ამაოდ არ დააქროლებდა ყმაწვილ-ქალობისას უბელო ცხენებს და ამაოდ არ ითვლებოდა ნიშონას მუხურში და მთელ იათნანაზეც საუკეთესო მოხმალავედ და მორბენლად! თუმცაღა – კაი ხნის წინ იყო ეს ყველაფერი, ჯერ კიდევ მაშინ, გოგონები რომ ბიჭების თანაბრად იწვრთნებოდნენ, როცა დედაკაცი დედაკაცობდა და მამაკაცი მამაკაცობდა იათნანაზე!

მოღნიოშებულ კარებში უცებ ძაძუს შეძრწუნებული სახე დალანდა.

არ ახსოვს, რამდენ ხანს შესცქეროდნენ ერთმანეთს: ალბათ სულ ერთ წამს, მაგრამ ასე მოეჩვენა, საუკუნეა ვუყურებთ ერთი მეორესო.

ძაძუ მყისვე ციცის გვერდით გაჩნდა და თვალისწამში დანა გამოსტაცა ხელიდან:

– ეს ფინიკიელი ძაღლი მე მოვკალი! – გამოსცრა კბილებში და გასასვლელისკენ გაემართა.

– ვით ბედავ! მომეცი ახლავე!

თავისავე ხმამ შეზარა ციცი. უტეხი ძაძუც კი შედრკა მისი მზერის წინაშე. მცირე ხანს თვალებით ბურღავდნენ თითქოს ერთმანეთს, თუმცა ციცემ უკვე იგუმანა, რომ ეს ორთაბრძოლაც მოიგო.

ძაძუმ დანას ხელი შეუშვა და იგი ძირს, სოხანეზე დაეცა. ციცი მსწრაფლ დაწვდა დანას.

გარედან აჩქარებული ფეხის ხმა მოისმა.

გოგონები ზღვიდან დაბრუნებულიყვნენ.

ძაძუს გვერდით, მოღიავებულ კარში ნათიას და დადუს თვალებს რომ შეეფეთა, დანა უნებურად ხელიდან გაუვარდა. მკლავები მოწყვეტით ჩამოუცვივდა. თვალები მოხუჭა და წამით გაქვავდა.

მერმე შეირხა, ხელები წინ გაიშვირა და მთვარეულივით, არეული ნაბიჯებით გასწია კარისკენ. ისეთი შეგრძნება დაეუფლა, ეს წინ გაწვდილი სისხლიანი ხელები თითქოს ვიღაც სხვისი იყო.

გზა უტიეს ძრწოლაატანილებმა.

ბანცალ-ბანცალით გავიდა ეზოში. სახე გაჰყინვოდა, თვალებიც. თავში სრულ სიცარიელეს დაესადგურებინა.

ძეწნის ჩეროში ჩამოჯდა. ქვეცნობიერად ის ალაგი მოძებნა, სადაც დადის უყვარდა ხოლმე მუხლის ჩადრეკა-მოსვენება.

ხელები კვლავ წინ ჰქონდა გაშვერილი უაზროდ. არა. ეს მისი ხელები არ იყო, ის ამბავიც თითქოს არ ეხებოდა ციცის, რაც ამ ხელებმა ახლახანს ჩაიდინეს.

* * *

... გულგრილი იერით იჯდა მერხზე და არაფრისმხედველი, ჩამქრალი თვალებით უმზერდა ზღვის სივრცეს. სინამდვილეში კი შიგნით, გულმუცელი ემღვრეოდა, ნაირნაირი აზრები არ ასვენებდნენ. ტვინს უხვრეტდნენ, აფორიაქებდნენ.

„...იმის მიხედვით, თუ რა ფუსფუსი ატყდა მცველებს შორის, ციცი მიხვდა, რომ ერთობ მნიშვნელოვანი და საპატივცემულო პიროვნება მობრძანდა მასთან. და მართლაც, დედოფლის ვაჟის – ვაჩესგან გამოგზავნილი დიდმოხელე ბაგი ღამბაში აღმოჩნდა ეს ჭარმაგი, წვერ-ულვაშ-

შეჭაღარავებული კაცი, ერთობ მედიდური მიხრა-მოხრა რომ ჰქონდა, თვითკმაყოფილი იერი და დაჯერებული გამოხედვა.

ციცი მოგონილი გულგრილობით შესცქეროდა, თუ როგორ მიურბენინეს მას ხის საკარცხლული, რომელსაც იგი დიდხანს ირგებდა. დამჯდარიც კარგა ხანს ხვანცალობდა, სანამ მოხერხებულად მოკალათდებოდა და ხელსაყრელ მდგომარეობას შეირჩევდა საუბრის დასაწყებად. როგორც იქნა, ამოიკეცა უფალმა ბაგიმ მოსასხამის კალთები, სახელოები ფაქიზად და საგულდაგულოდ გაისწორა, შემდეგ კოტიტა ხელის მტევნები სახელურზე ჩამოასვენა და დაკვირვებული მზერით მიაჩერდა ნარზე ჩამომჯდარ ციცის, ერთმანეთში ჩახლართული ხელები რომ კალთაში ჩაეწყო და უდრტვინველი, მშვიდი იერით იმზირებოდა.

ერთხანს ორივენი მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს, თითქოს ზვერავენო ერთიმეორეს. შემდეგ ციცემ სახე მიაბრუნა და მზერა ორკეს[1] მიუშტერა, საიდანაც მუქილურჯი ცის ნაგლეჯი მოჩანდა. გულგრილი იერით ცდილობდა შეენიღბა დაძაბულობა და შინაგანი მოუსვენრობა, ძარღვებში რომ შესდგომოდა.

მოსულმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა. ეს იმის ნიშანი იყო უთუოდ, სიტყვის სათქმელად რომ შეემზადა. ციცემ შეუმჩნევლად მუშტი მომუჭა.

– შვილო ჩემო, ჩვენი დიდებული დედოფალი იამზე, უფალი ვაჩე და მისი მეუღლე და მთელი სასახლე დიდად სწუხს ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა... – შემპარავი, ფრთხილი ხმით ლაპარაკობდა უფალი ბაგი.

ციცი შეურხევლად იჯდა და კვლავ ხაზგასმული დაჟინებით მისცქეროდა ჭვიტეს[2].

– ჩვენ ყველას, და მათ შორის მეც, რასაკვირველია, ფრიად გვადარდებს და გვაღონებს შენი ბედი, შენი გოგონების მომავალი!..

ციცი ისევ უძრავად იჯდა, მხოლოდ მწარე, დამცინავმა ღიმილმა შეუტოკა ტუჩები წამიერად: „დარდით აღარა ხართ სწორედ!“

როცა მიხვდა, რომ ქალი არ აპირებდა ხმის ამოღებას არც ზრდილობისა და არც მოჩვენებითი მადლიერების გამო, უფალმა ბაგიმ შუბლი შეიჭმუხნა, ხმაში მკაცრი კილო გამოურია: – შენ დედა ხარ, უწინარეს ყოვლისა, და როგორც ყველა დედა, შენც უსათუოდ შენს თავზე უფრო შვილების კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე უნდა ფიქრობდე!

ციცემ სარკმელისთვის თვალმოუშორებლივ, თითქოს მხოლოდ ტუჩებით დამარცვლა სიჩუმის შემდეგ:

– თუ ჩემს ვაჟებს გულისხმობთ, უფალო ჩემო, ისინი კარგა ხანია გულმოდგინედ ემსახურებიან დიდ ფინიკიას, ხოლო გოგონები... გო-

[1] ფანჯარა.

[2] საჭვრეტი, სარკმელი.

გონები, მართალია, ჯერ პატარები არიან, მაგრამ ღვთით, არ დაიკარგებიან, მიხედავენ თავიანთ თავს – ესეც არ იყოს, განგების ნებას ვერავინ წაუვალთ!

– ჰმ, ჰმ... რასაკვირველია, რასაკვირველია... მაგრამ დედის მოსიყვარულე გული... მოჩიტულ გოგონებს განსაკუთრებით სჭირდებათ დედის მზრუნველი ხელი. მერმე, რამდენადაც ვიცით, მოხუცებული, ავადმყოფი მამა გყავთ... – სტუმარი ერთ ხანს მსჯელობდა საერთოდ დედებისა და შვილების მოვალეობის გრძნობაზე, გამწარებულ სიბერეზე. საზოგადოდ დედაკაცის გულჩვილობაზე, მის კეთილსა და სათნო ბუნებაზე, კერძოდ კი, იათნანელი ქალების კდემამოსილებასა და მოკრძალებულობაზე. და როცა ჩასთვალა, რომ ყველაფერ ამაზე ერთობ ენამოქარგულად იუბნა, წამიერად შეისვენა.

ციცი მიხვდა, რომ იგი უკვე მიახლოებული იყო მთავარ სათქმელს. მცირე ხანს მოლოდინით შესცქეროდა უფალი ბაგი ქალს, იქნებ სიტყვა ჩამომართვასო, ანდა შემეპასუხოს მაინცო, მაგრამ ციცის კვლავინდებურად პირში წყალი ჩაეგუბებინა. მაშინ თავად უფალმა ბაგიმ წამოიწყო ძლივს დაფარული გაღიზიანებით და...

ციცისთვის ნათელი შეიქმნა ამ იწილო-ბიწილოს დედა-აზრი.

უფალი ბაგისთვის გულისგამაწვრილებელი, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ციცემ, როგორც იქნა, აღირსა მოსულს პირდაპირ შეხედვა, და სიტყვის გაწელვით წარმოთქვა:

– მე, ვითარცა გავიგე, თქვენ და ჩვენს ძვირფას მსაჯულთ უნდათ დანაშაული ვაღიარო, ანუ განვაცხადო, რომ... ჩემს ყოფილ ქმარზე შურისძიების მიზნით – რამეთუ მან დიდი შეურაცხყოფა მომაყენა – და აგრეთვე იმისთვის, რომ მინდოდა დამენარჩუნებინა ბოჩის ბებიისგან ნაანდერძევი საუნჯე – ძველთაძველი კირბიშები – მოვკალი ჩემი ნაქმარევის მეორე ცოლის ძმა – უდანაშაულო შუამავალი, ფრიად პატივცემული დიდვაჭარი უფალი აპე... ჰოდა, ახლა ვნანობ ჩემს საქციელს და ვთხოვ ხელისუფლებას და სამსჯავროს შემიწყალოს, ვითარცა ოთხი შვილის დედა და ვითარცა დიაცი. ასეა თუ არა, უფალო ჩემო?

– იახა, იახა, იახა![1] – სასწრაფოდ დაუკრა კვერი კმაყოფილების ღიმით სახეგაბწყინებულმა უფალმა ბაგიმ. დიახაც რომ ციცი გეგეშხემ ყოველივე ზუსტად, ჩინებულად გაიგო. დედოფალი იამზე, უფლისწული ვაჩე და ქურუმთ სამსჯავრო გაითვალისწინებს ამ გულწრფელ სინანულს, რამეთუ ჩვენს გულმოწყალე დედოფალს („სინამდვილეში რომ არაფერი ეკითხება!“) და ტახტის მემკვიდრეს უფლისწულ ვაჩეს („ფინიკიელი დედაკაცის კალთას გამოკერებულს“) არ სურთ უკიდურს სასჯელს მიმართონ, მაგრამ... თუ ციცი გეგეშხე უწინდებურად გაჯიუტდება და გაკერპდება... ო, ო, მაშინ მას არ აცდება სამარცხვინო სასჯელი: კონცხიდან ზღვაში გადაგდება, რამეთუ მკვლელობა, მით უფრო უდანაშაულო უცხოელის და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ჩვენი მეგობარი და მოკავშირე ქვეყნის მკვიდრის – სწორედ რომ ამგვარ სასტიკ სასჯელს იმსახურებს!

[1] დიახ.

„თქვენ საშინლად გაფრთხობთ ის ამბავი, რომ იათნანელი სწორედ ფინიკიელის მკვლელი აღმოჩნდა – თანაც ვითარი ფინიკიელის? „უდანაშაულოსი“! აი, მოკლული რომ იათნანელი იყოს...“

– ჩემი გოგონებიც ხომ იმისთვის მანახეს აქ წუხელის, რომ... უკეთ გამეგო ყოველივე, რაც შენ მიბრძანე წეღან, არა, უფალო ჩემო? – შეაწყვეტინა ანაზდად ენადგაკრეფილ სასახლის კარის დიდმოხელეს. იგი წამით შეცბა. შეიშმუშნა.

– ჰმ, ჰმ... მათ თვითონ ისურვეს ნახვა...

– ო, დიახ... მამაჩემი რომ მძიმე ავად არ იყოს, იმასაც შემახვედრებდით... დედაჩემი სამწუხაროდ, უკვე ცოცხალი აღარ არის და... ამდენად ვეღარ გამოგადგებათ. – შეჩერდა წამით და მერმე, თვალმოწკურულმა დამცინავად განაგრძო:

– მაგრამ... უფალო ჩემო, სინამდვილეში რომ მაგრე არ ყოფილა, რავარც შენ ბრძანებ?

– როგორ თუ... სინამდვილეში? – ყბა მოექცა უფალ ბაგის მისდაუნებურადვე.

– დიახ. სინამდვილეში სულ სხვანაირად გახლდათ ყოველივე და... არა ისე, თქვენ რომ გინდათ იყოს!

– არ მესმის... რისი თქმა გსურს ამით? – დიდმოხელეს ხმაში ძველებური რიხი ჩაეღვარა. თვალები დალურსა.

– იმის თქმა მინდოდა, უფალო ჩემო, რომ... ვით თქვენ ხელს არ გაძლევთ სიმართლე, ისე სიცრუე მე არ მიჯდება ჭკუაში. ამდენად... ვეღარ გამოვა იმდაგვარად, თქვენ რომ გწადიათ!.. ეჰ, მოგიწევთ, გინდათ თუ არა, ბოროტი დამნაშავის დასჯა! არაა სხვა გამოსავალი და... რას იზამ!

მერეც, კაი ხნის მერეც ციცის ღიმილს ჰგვრიდა ბაგის დორბლებმომდგარი პირის, დაყვლეპილ-გადმოკუსული თვალების გახსენება და აგრეთვე წარმოდგენა იმისა, თუ რა ფაცხა-ფუცხით მიაშურა უფალმა ბაგიმ გასასვლელს.

... თუმცა, ჩუ!

ქალბატონი შუშუ ლაპარაკობს, ბოჩის ძვირფასი თანამეცხედრე! აი, ბოჩიას სახლეულის და მისი ცხოვრების ოხორჯას[1] კი უნდა მოუსმინოს

[1] დედაბოძი.

გულისყურით.

საშუალო ტანის, ჩათქვირებული დიაცი მწუხარე სახით, პირზე ოქრორიდე აფარებული იდგა სამსჯავროს წინაშე.

ციციმ უნებლიეთ, თვით მისთვისაც მოულოდნელი ქალური ცნობისწადილით შეათვალიერა მისი გარეგნობა.

„ვერაფერს იტყვის კაცი, ლამაზი ქალია, ცოტა... ზედმეტად მსუქანი და... ჟანგარა რომ არ იყოს!.. ვერა, მაინცდამაინც ვერ დაუწუნებ ბოჩის გემოვნებას, კაცმა რომ თქვას!“

ხოლო დიაცის მგლოვიარე იერმა უნებლიეთვე თანაგრძნობისა და სიბრალულის გრძნობა აღუძრა გულში.

„რაც არ უნდა იყოს... ძმა მოუკვდა საცოდავს!.. პატარა ამბავი ხომ არაა?“

სმენად იქცა, თუმც კვლავ უმეტყველო თვალებით იმზირებოდა და სახეზეც სრული გულგრილობა ეხატა.

შ უ შ უ

– ამ ქალს მე და ჩემი საცოდავი ძმა ჭირის დღესავით ვძაგდით, თითქოს მე ძალით შემოვიჭერი მის ყუდეში, თითქოს მე ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ ბოჩიმ დიდი ხვეწნა-მუდარით არ ჩამომიყვანა ამ მიყრუებულ, მივარდნილ მხარეში!

ჩვენ, ფინიკიელებს ვაჭრუკანებს, ზღვის მეკობრეებს, უჯიშოებს, გაიძვერებს და ვერაგებს გვეძახის აქ ზოგ-ზოგი. ჩვენს ღმერთებს მასხრად იგდებენ, ჩვენს მოგვებს – ყასბებს უწოდებენ და ათასგვარ გარყვნილებას აბრალებენ. ნათესაობის გრძნობაც არ გაგვაჩნდეს ვითომ, რაკიღა ძმას შეუძლია ცოლად შეირთოს საკუთარი და. მერედა, რითია ცუდი ეს! განა ნათესაობის გრძნობა ამით უფრო არ განმტკიცდება? აბა, იათნანაზე ყვავი ჩხიკვის მამიდა როა, ესაა თავმოსაწონებელი?

– ასე ხომ არ გეზრახებოდა დამნაშავე ციცი გეგეშხე, პატივცემულო შუშუ? – ჩამოართვა სიტყვა მსაჯულთუხუცესმა ფრიად მოკრძალებული კილოთი.

– პირადად ჩემთან საუბრობას აბა, ვითლა იკადრებდა ეგ მზისწული, უფალო მსაჯულო! მარა ვიცი მე, რასაც უბნობენ და რასაც ფიქრობენ აქ ჩვენზე. ჩვენ თურმე მდაბიორნი ვართ, მაშინ როცა ამ დედაკაცის წონა ოქრო მარტო ფეხებზე უკეთია დედაჩემს. დიახ!.. ვიცოდე მაინც, რითი ამაყობენ და ამპარტავნობენ ასერიგად იათნანელი ქალები? ჩვენო, დიაცებიო, კაცთა თანასწორნი ვიყავითო, გაიძახიან.

ჩვენ, ფინიკიელი დიაცები, სწორე გითხრათ, არ ვეჯიბრებით მამაკაცებს არასფერში. ჩვენთვის ჩვენი მამების, ძმების, ქმრების სიტყვა წმინდათაწმინდაა და წყალგაუვალი. ან რა ქალის საქმეა, თქვენი ჭირიმეთ, ჯირითი და მშვილდოსნობა!

არა, რა გვაქვს ჩვენ ვინმეს დასაძრახი, გეკითხებით? ჩვენი ქალები, ეს საყოველთაოდაა ცნობილი – უფრო მეოჯახენი, ქმარ-შვილის მოყვარულნი და ერთგულნი არიან, ვიდრე სხვები. ამიტომაცაა, თქვენი კაცები, და არა მარტო თქვენი, უპირატესობას ჩვენ გვანიჭებენ! დიახ! სილამაზე როდი გახლავთ მთავარი, ღირსეულნო, არამედ ქალურობა და სითბო. დიახ! დიახ! ხოლო ფინიკიელ ქალებზე უფრო ქალურნი, ვითარცა წელანაც ვთქვი, დედამიწის ზურგზე არსად იპოვებიან. აი, ამაზეა ბოღმითა და შურით რომ სკდებიან იათნანელი დიაცები. ამათი ღმერთებიც ხომ ამათსავით შურიანები და ღვარძლიანები არიან.

– პატივცემულო შუშუ! უკაცრაული თუ არ ვიქნებით, ეგება...

– მოითმინეთ, უფალო ჩემო, მოითმინეთ! მე ჯერ არ დამიმთავრებია ჩემი სათქმელი!

ჩვენ, ფინიკიელი ქალები ასეთი მორჩილი, თვინიერი და ღვთისმოსავები რომ ვართ–მეთქი, ეს როდი ნიშნავს იმას, ლაპარაკი არ გვეხერხებოდეს, ენა არ გვიჭრიდეს, ანდა ვინმეზე ნაკლებად ვარჩევდეთ ავსა და კარგს, თეთრსა და შავს. ნურას უკაცრავად!

აქაოდა, ნოყიერი მიწა-წყალი გვაქვსო, ყოვლად უქნარა და უმაქნისები არიან აქაურები. ჩვენ, ფინიკიელებმა, ვიცით გარჯის ფასი, რომ იტყვიან, ქვასაც კი წვენს გამოვადენთ. ამიტომაცაა რო ბრიყვნი და უგნურნი ქვაწვიას გვეძახიან.

ჩვენ, ჩვენი გამჭრიახობისა და მოხერხებულობის წყალობით ავაღორძინეთ აღებ-მიცემობა მრავალ ქვეყანაში. ყველგან შემოგვაქვს ფუფუნება და სიმდიდრე. სხვა რომ არაფერი, ჩვენმა დამწერლობამ სათავე დაუდო ბევრ სხვა ტომელის ანბანს. მართალია, თქვენც გაბადიათ თურმე რაღაც დამწერლობა და ეგების... ის უფრო ძველიც იყოს ჩვენზე. მერე რა? რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას, როს თქვენ ასე მცირენი ხართ, ხოლო ჩვენ – ესოდენ მრავალრიცხოვანნი და დიდი? თუმცა ამაზე ერთმა ყოყოჩა იათნანელმა იენამწარა, მრავალრიცხოვანნი ვირთხები და თაგვებიც არიან, ლომები და ვეფხვები კი – ერთობ ცოტანიო, მარა ამგვარ ენაჭარტალა ბაქიებს რა დალევს თქვენში?.. ჰო, იმას მოგახსენებდით: რა გვჭირს-მეთქი ჩვენ ვინმეს გასაკილი, ვინც არ უნდა იყოს ის? ჩვენ, უგონიერეს და უძლიერეს თესლტომს მთელს ქვეყნიერებაზე? სულ მალე ჩვენ დავეუფლებით მთელ სამყაროს, დიდსა და პატარა ქვეყნებს, დავსახლდებით და მოვმრავლდებით დედამიწის კიდით-კიდემდე. ჩვენი ენა და ჩვენი ღმერთები იქცევიან ყველასთვის საერთო ენად და

სათაყვანო ღმერთებად – ვინც ნებით არ იზამს ამას, ვინც ნებაყოფლობით არ იწამებს ჩვენს კერპებს, იმათ ძალით ვაწამებთ და ვაიძულებთ, გახდნენ ჩვენნაირები. დიახ, ვაიძულებთ, იყვნენ უკეთესები! და საერთოდაც, ერთი უნდა ვიკითხო, რა საჭიროა ამდენი ხიჭუ-მაჭუ ტომების არსებობა? დროა უკვე – ყველანი გერთიანდნენ ერთ დინოში – ჩვენი წინამძღოლობით!

– პატივცემულო შუშუ... შენი ძმის მკვლელობის ამბავს დავუბრუნდეთ ეგება...

– აბა, რა უნდა ვთქვა ჩემი ძმის მკვლელობაზე? – იყვირა უცებ შუშუმ კაპასი ხმით და ისედაც აჭარხლებულ სახეზე ცეცხლი წაეკიდა, მოზრდილი ცხვირი აუცახცახდა: – ამ საზიზღარმა, ბოროტმა და სისხლმოწყურებულმა დედაკაცმა მოჰკლა ჩემი ღირსეული, პატიოსანი და ბრძენი ძმა – ფინიკიელთა თვალი და სიამაყე!.. შეხედეთ, შეხედეთ, რაფერ ზის, რა სახე აქვს? და რა გველურად ეღიმება? ვითომ მკვლელი ეგ კი არა, ვიღაც მითავარია[1] იყოს! აი, ასეთი უტიფრები და უკეკები არიან იათნანელი ქალები და... ასეთი ურცხვები!

– პატივცემულო შუშუ! ჩვენთვის გასაგებია შენი აღშფოთება და გულისწყრომა. ჩვენ აქ ყველანი ღრმად და გულწრფელად თანაგიგრძნობთ, რამეთუ უფალი აპე მარტოდენ შენ და ფინიკიელებმა როდი დაჰკარგეს: იგი ჩვენი, იათნანელების დიდი მეგობარი და კეთილისმყოფელი იყო ამავე დროს. ამდენად, ჩვენთვისაც დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისია მისი დაღუპვა; გვერწმუნე, ჩვენც მისი ჭირისუფლები გახლავართ. ჩვენი ბრწყინვალე დედოფალი იამზე და უფლისწული ვაჩე – უმამაცესი და ლომგული მბრძანებელი იათნანისა, ფრიად მოწადინებული არიან წვრილად გამოვიძიოთ საქმის ვითარება და დამნაშავეს საკადრისი მივუზღოთ. უკეთუ ჩვენი, იათნანური წესის თანახმად...

– რის გამორკვევა და გამოძიებაა საჭირო, აღარ მესმის? მკვლელი ხომ აგერა ზის, უნდა დაისაჯოს იგი სასტიკად. მორჩა და გათავდა!

– დიახ, დიახ, რასაკვირველია... მარა ჩვენ, ვითარცა ქურუმ მსაჯულებმა უნდა დავადგინოთ ზოგი რამ და, კერძოდ კი, განძის საკითხი...

– რა განძზეა ლაპარაკი ბოლოს და ბოლოს? რა განძს უნდა წარმოადგენდეს რაღაც ტყავის წიგნები? – შეატეხა კვლავ სიტყვა მსაჯულთუხუცესს ზომაზედ მეტად აპილპილებულმა და გაფიცხებულმა შუშუმ: – კვლავ ვიმეორებ: მოხდა საზარელი მკვლელობა და მკვლელი აგერაა!.. ამ ქალს ვძულდით-მეთქი მე და ჩემი ძმა უსაშველო სიძულვილით და მხოლოდ შემთხვევას ეძებდა, რომ დავეხოცეთ. იმ დღეს მეც დაუნდობლად გამისტუმრებდა შავეთს, იქ რომ ვყოფილიყავი.

[1] გადამთიელი.

– გასაგებია ყოველისფერი ეს, პატივცემულო შუშუ, მარა ის კირბიშები...

– განა ადრე არ გითხარით ამის თაობაზე? – პირში ეცა კვლავ მსაჯულთუხუცესს გაანჩხლებული ქალბატონი შუშუ, რომელიც თანდათან უფრო და უფრო წიწმატდებოდა: – განა არ იცით, რომ ის ვითომდა განძი ანუ კირბები არც მე და არც ჩემს ძმას არაფერში გვჭირდებოდა, მაგრამ, რაკიღა ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ ბოჩიმ ის მე მისახსოვრა, ამიტომ მე მეკუთვნოდა წესით და რიგით. ამ უტიფარ დიაცს კი არ სურდა მისი დაბრუნება და უსირცხვილოდ მიითვისა იგი! ჩემს საცოდავ ძმას უნდოდა დაებრუნებინა ისინი თავისი ნამდვილი პატრონებისთვის და...

ციცის უცებ სიცილი წასკდა (შემჩნეული ჰქონდა, უკიდურესი დაძაბულობის ჟამს სიცილი აუტყდებოდა ხოლმე. ახლაც ასე დაემართა): „ნამდვილ პატრონებსო!“ ჰა, ჰა, ჰა...

იცინოდა თავშეუკავებლად, ხმამაღლა, თითქმის ძველებური, ახალგაზრდული სიკისკასითა და ხალისით.

თვალებით მოძებნა ბოჩი, პირველი რიგის კუთხის სკამზე რომ ჩამჯდარიყო მხრებში თავჩარგული.

გრძნობდა, მისი სიცილი ისრებივით ეყრებოდათ თავზე დარბაზში მყოფთ, რომელთა უმრავლესობა არაიათნანელი იყო (ხელისუფლებამ წინასწარ იზრუნა იმისათვის, რომ დარბაზი გაევსო უცხოელებითა და თავისი თანამზრახველებით).

სამარისებური სიჩუმე ჩამოდგა. მსაჯულებიც კი გაქვავებულიყვნენ. ღვთისმოშიშ შუშუსაც ენა ჩაეგდო მუცელში. მაგრამ მალე მოეგო გონს ქალბატონი შუშუ და ვაიო, ისეთი ხმით იჩხავლა, რომ ციცემ უნებურად ყურებზე აიფარა ხელი.

შუშუ გაბმული, გამყინავი ხმით გაჰკიოდა. თმებს იწეწავდა და პირს იპოტნიდა მოჩვენებით. მერმე მოულოდნელად გულისპირი ბოლომდე ჩამოიხია და იატაკზე გაგორდა:

– მიშველეთ! ხედავთ?.. იცინის!.. დაგვცინის ჩვენ: მკვდარსაც და ცოცხლებსაც! ჰოი, დიდო ღმერთებო! ეს ქალი ცოცხალი უნდა იყოს და ჩემი ღირსეული ძმა მიწაში ლპებოდეს? მოკალით ეს გველისწიწილი! ეს აფთარი, როკაპი! – წიოდა შუშუ ნამეტნავად გაშიშვლებული და ფეხებს ისე ასხმარტალებდა, რომ მსაჯულნი იძულებული შეიქმნენ, თავები დაეხარათ. ამასობაში ქალბატონ შუშუს მისცვივდნენ და ხელში აყვანილი გაიტანეს გარეთ.

– წყეულიმც იყავით! წყეულიმც იყავით! – გაჰკიოდა შუშუ მთელი ხმით.

ბოჩი კვლავ თავჩაქინდრული იჯდა, გაუნძრევლად.

გუგუ გეგეში

თვალებს არ უჯერებდა.

„ვაიმე! ამას აქ რა უნდა?“ - თითქოს მახვილი გაუტარესო გულში, მაგრამ ნებისყოფის საშინელი დაძაბვით შეიძლო გულგრილობის აფარება სახეზე.

„მაშ, ღვიძლ ძმასაც ამხედრებენ დის წინააღმდეგ? ყოჩაღ, იათნანელებო! აი, თურმე სადამდე შეგიძლიათ დაეცეთ! ოღონდ მიზანს მიაღწიოთ და ყოველგვარი სისაძაგლის ჩასადენად მზად ხართ თურმე! იცით, რომ სხვანაირად ჩემი ბედოვლათი ძმა დაკარგავს უზენაესი ხელისუფლების კეთილგანწყობას, ჰაერივით რომ სჭირდება, რადგან ხელის გაუნძრევლად, მხოლოდ სუფრებისა და ნადიმების ზედამხეველობისთვის ეძლევა გასამრჯელო. და ესეც უდარდელად და უზრუნველად ატარებს დროს, მით უფრო, რომ ვინ იცის, მერამდენედ ქმარგანაშვებ ფინიკიელ ქალზე აპირებს დაქორწინებას. თავი მოაქვს კიდეც ამით!.. რომ სწორედ გუგუ გეგეში გახდა ღირსი ქალის ქმრობისა, ამით ხომ ქალმა, სხვებთან შედარებით, უპირატესობა მიანიჭა სწორედ მის მამრულ სიძლიერეს... ახავაი ჩვენი ცოდვა!“

– მაშასადამე, შენც ადასტურებ, პატივცემულო გუგუ, რომ შენს დას ნამდვილად სძულდა ან გარდაცვლილი უფალი აპე და შუშუ, დიდად პატივცემული დაი მისი?

– დიახ, უფალო ბადრა. ჩემი და საერთოდ ვერ იტანს ფინიკიელებს, მისდა სამწუხაროდ და სავალალოდ!

– ადასტურებ იმასაც, რომ განძის გამო მოჰკლა ციცი გეგეშხემ ფინიკიის დიდვაჭარი, და საპატიო მოქალაქე უფალი აპე?

– დანამდვილებით ვერ გეტყვით, ღირსეულნო ქურუმ-მსაჯულნო, მაგრამ... ალბათ ასეა! – მერმე შეჭოჭმანდა ცოტა და დაუმატა: – აბა, სხვანაირად... ვერ ახსნი მის საქციელს.

– მონავ! საცოდავო მონავ! – აღმოხდა უნებლიეთ ციცის, მიტკალივით გადაფითრებულს. გუგუ ჯერ შეკრთა თითქოს, წამით თითქოს თავიც დახარა, მაგრამ მერე ჩასუქებული კისერი დისკენ მიიდრიკა (აქამდე არც ერთხელ არ შეუხედავს მისთვის) და სახეში რომ არ უყურებდა ისე, მჭახე ხმით მიაძახა: – მე მონა არ ვარ, ჩემო დაია, არა! მე – თავისუფალი იათნანას თავისუფალი ნოღელი ვარ და თავისუფლად გამოვთქვამ ჩემს აზრს! და შენ ძალიან ცდები, როცა ასე უსაფუძვლოდ და უნიადაგოდ გძულს ჩვენი ძვირფასი მოკავშირენი და ერთგული მეგობარნი – ფინიკიელები! მე არავისზე ნაკლებად არ მიყვარს ჩვენი იათნანა! მაგრამ გულზე ხელის ბრაგუნისგან შორსა ვარ. არც ზედმეტი თავმოყვარეობა მაწუხებს. არც სიძულვილი ვიცი მავანის მიმართ, რაკი ის იათნანელი

არაა! შენ კი, ეს ბოროტმოქმედება იმიტომ ჩაიდინე, რომ თავმოყვარეობის შელახვად ჩათვალე ფინიკიელის გამოგზავნა შუამავლად. სიძულვილმა დაგაბრმავა, ჩემო დაო, და აი მოკალი კიდეც აპე – ყველასათვის ეგზომ საყვარელი და ძვირფასი კაცი, ჩემი უგულითადესი მეგობარი. აი, რა უბედურებამდე მიგიყვანა მტრობამ და სიძულვილმა!

– ვაშა! ყოჩაღ შენ, ძმაო გუგუ! – („კიდევ კარგი, მამა და დია ვერ ხედავენ ამ სურათს“), - მაგრამ: თავისუფალი იათნანას თავისუფალო მოქალაქევ, რამდენი ოქრო დაუჯდა ხელისუფლებას შენს მიერ ამ „თავისუფალი აზრის“ გამოთქმა?

– ჩუმად! როგორ ბედავ ხელისუფლების შეურაცხყოფას? მართლაცდა, ნამეტანი თავს გაუვიდა ამ დიაცს!

გაფუყული ფინიკიელი მსაჯულის გვერდით მჯდარი მსაჯულთუხუცესი ბადრა ფეხზე წამოვარდა გაავებული. ღაჟღაჟა ლოყები და ღაბაბი აუთახთახდა სიბრაზისაგან. მაგრამ ციცი უკვე აღარ უსმენდა არავის. მისთვის კვლავ ყველაფერი სულერთი გახდა. თუმცა შიგნით გულ-ღვიძლი ეთუთქებოდა და ტვინი ებურღებოდა.

„ვაგლახ, ოდინდელნო ბრძენნო ქურუმნო! სადა ხართ?.. ვის ხელში ჩავცვივდით? ჩვენო დიდო დედა-ღვთაებავ, რად დაგვსაჯე ასე?..

ახავაი, ჩემო შვილებო, სად გტოვებ, რა მოგელით მომავალში?..

მაგრამ ბოლომდე უნდა შეისვას სიმწრის ფიალა, განგებამ რომ გამიმზადა ასე საგულდაგულოდ. ამ პამპულა ე.წ. ქურუმ-მსაჯულთაც და ამ ტაკიმასხრულ სამსჯავროსაც უნდა გავუძლო ბოლომდე. არაა სხვა გზა!!“

... და როცა უკანაკსნელი სიტყვის თქმამ მოუწია, ანუ როცა „მონანიების“ და „ცრემლთა ფრქვევის ჟამი“ დადგა, ბინდგადაკრული გონება ერთბაშად გადაეწმინდა.

წამოიმართა. მოსასხამი, რომელიც აქამდე ფინიკიელთა წესისამებრ მთელ ტანზე ჰქონდა მოხვეული – უფრო სწორად – მოახვიეს თითქმის ძალდატანებით – გადაიგდო. იათნანური სამოსი ეცვა: უსახელო, გულამოჭრილი გრძელი კაბა, წელზე ფართო ბალთიანი სარტყლით შემოჭერილი. თმაც იათნანური წესით, კეფაზე დაეგრაგნა.

ხელები შემართა და ჭერისკენ აღაპყრო მზერა:

– ჰოი, დიდო ნანავ – უზენაესო ქალღვთაებავ ჩვენო! გულმოწყალე დედავ – ბჟალარავ ჩვენო! ბადრო მთვარევ – წინამძღოლო და მამავ ჩვენო! ღმერთებო ჩვენო! სულებო წინაპართა! მოტევებას და შენდობას გთხოვთ, რამეთუ... უარსავყოფ იმ მოდგმის ნაშიერობას, ოდესღაც იათნანელნი რომ ერქვათ. აღარა ვარ ამიერიდან იათნანელი ასული! მოვკვდები, ვითარცა არარა ქვეყნის და არარა თესლტომის უგვარფესვო შვილი!

* * *

... როცა მცველებით გარშემორტყმული გამოჰყავდათ სამსჯავროდან, თვალი შეასწრო სახედაღვრემილ დიაცთა ჯგუფს, განცალკევებით რომ აწურულიყვნენ ხეთა ჩრდილში. გასასვლელთან ახლოს, ღია თაღედის ქვეშ დედაქალაქის წარჩინებულ მამაკაცებს გუნდ-გუნდად მოეყარათ თავი, მათგან ცოტა მოშორებით ბოჩია იდგა განმარტოებული. გაშეშებულს, გულზე მკლავები დაეკრიფა, სახეზე მიწისფერი დასდებოდა.

უცაბედად ციცის გონებაში ამ ცოცხალი მძორის მიღმა გაიელვა უწინდელი, ახალგაზრდა, ხალასი ბოჩიას ხატებამ;

ალბათ ბოჩიც არ მოელოდა ამგვარ დასასრულს: კონცხიდან ზღვაში გადაგდებას. იათნანაზე უმაღლესი სასჯელი – კუნძულიდან სამუდამოდ გასახლება იყო. მკვლელობის შემთხვევაშიც – რაც ასე იშვიათი გახლდათ იათნანაზე უწინ – ქურუმთა სამსჯავრო, ადგილობრივ არჩეულ უხუცესთა თანამონაწილეობით განიხილავდა საქმეს და მხოლოდ ყოველმხრივი აწონ-დაწონვის, აზრთა უერთიერთგაცვლისა და ბჭობა-მსჯელობის შემდეგ გამოჰქონდა განაჩენი, რომელიც მეფეს უნდა დაედასტურებინა.

ოჰ, რა ზრიალი, რა ჩოჩქოლი გამოიწვია მსაჯულებსა და დარბაზში მსხდომთა შორის ციცის სიტყვამ. სახეანთებულნი, თვალებგადმოკარკლულნი მუქარით, ლანძღვა-გინებით აბზეკდნენ მისკენ თითს:

– რა თავხედობაა!

– მონანიების ნაცვლად ბრალს აქეთ გვდებს!

– როგორ ბედავს!

– რა მკრეხელობაა!

– ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჭკუაშერყეულია.

– დაისაჯოს ესე სასტიკად!

– დაისაჯოს ულმობლად, უწყალოდ, შეუბრალებლად!

ჩანდა, მეტისმეტად ემწვავათ, განსაკუთრებით იათნანელთ, დიაცის მიერ ასე გამომწვევად უარის თქმა იათნანელობაზე! და... ფინიკიურ-იათნანური სამსჯავროს ესოდენი შეურაცხყოფა!

„ჰმ, თითქოს თვითონ ყოველ ფეხის ნაბიჯზე არ თელავდნენ და არ შეურაცხყოფდნენ იათნანელის სახელს! ოჰ, რა თვალთმაქცობაა ყოველივე ეს! – მწარედ ეღიმებოდა ციცის: – თუმცა, რა გასაკვირია: კაცის ბუნება ხომ ასეთია – სხვას არასოდეს ჰპატიობს იმ დანაშაულს, რასაც თავად სჩადის ხოლმე უჩუმრად.“

...ბოჩიმ წინ წამოიწია. თითქოს რაღაცის თქმა დააპირა. ზურგი შეუბრუნა ქალმა. და უცებ, საიდანღაც, თითქოს მიწიდან ამოძვრენო, გოგონები მივარდნენ ციცის და მუხლებზე მოეხვივდნენ მოთქმითა და გოდებით. ამაოდ ცდილობდნენ მცველები ისინი ქალისათვის მოეშორებინათ, გოგონები ხმამაღალი ქვითინით ეხუტებოდნენ დედას, მთელ ტანზე ეკვროდნენ და გაშმაგებით ჰკოცნიდნენ.

ნელ-ნელა დაუბრუნდა გონი თითქოს ქანდაკადქცეულ ციცის. ო, ამეების ატანა ერთობ ძნელი აღმოჩნდა მისთვის.

– კმარა, შვილებო! დაწყნარდით, შემოგევლეთ! მტერს ნუ გააცინებთ. გამაგრდით, თქვან სანთელო! თქვან გოლუაფირო! ჩემო მერცხლებო!.. გენაცვალოთ დედა! – ედუდუნებოდა გოგონებს ცრემლების ყლაპვითა და თავს უკოცნიდა ორივეს.

– დია! დია!

„ოჰ, ეს განწირული ძახილი! როგორ ან ვით გაექცევი შენი სისხლისა და ხორცის ამ სასოწარკვეთილ კივილს! მაგრამ... უნდა გაუძლო! უნდა სძლიო სისუსტეს და გულჩვილობას. უნდა! ასეა საჭირო, ციცი!“

– გამაგრდით-მეთქი. მე გიბრძანებთ თქვენ – თქვენი დია! არა გრცხვენიათ, რა ამბავში ხართ? ხომ არ გავიწყდებათ, ჩემი შვილები რომ ხართ? შეწყვიტეთ ტირილი! გესმით თუ არა ჩემი? მე უნდა მოვკვდე – ასეთია ღვთაების ნება. სამაგიეროდ, მე – თქვენში ვიცოცხლებ... თქვენს შვილებში... აბა, ასწიეთ თავები მაღლა. ქვეყანა თქვენ გიყურებთ. ნუ ათქმევინებთ მტერ-მოყვარეს – გლახაკი შვილები ჰყოლიაო ციცის! აბა, მარჯვედ!

ციცემ ხელი დაუქნია ტირილისგან სახედაოსებულ გოგონებს, გაოგნებულნი რომ შესცქეროდნენ ამაყად მომღიმარე დედას:

– ციცი! არ შედრკე! – მოესმა ანაზდეულად ციცის და უნებლიეთ შეტოკდა. ნაბიჯი შეანელა. თვალი მოავლო დიაცთა ჯგუფს. პირგამეხებულ ძაძუს გვერდით სახეგადაფითრებულ მამიდა ფათულიას ჰკიდა მზერა.

თბილი ტალღა გადაევლო გულს.

„ჩემო კეთილნო!.. რომ იცოდეთ... მზადა ვარ შევხვდე სიკვდილს მშვიდად, უდრტვინველად!.. ერთადერთი, რაც სულს მიშფოთებს – თქვენი სვე-ბედია! ჩემი იათნანას მომავალი!.. მაგრამ უფლის ნებას ვერსად წაუვალთ. თუ გასაწირია – გაიწირება იათნანა! თუმცა... ჩვენ რომ გაწირვა გვგონია, ეგებ სულაც არ ნიშნავს გაწირვას და მხოლოდ... გარდასახვას გულისხმობს მომავალ დროში?.. ვინ იცის... უკვდავთა აზრებს, ჩვენ, მოკვდავნი, ვეღარ ვწვდებით! თუმც... მაინც მგონია, ჩემი მოკლე ჭკუით, ცოცხალმა კაცმა მინამ სული უდგას, ხელი უნდა გამოიღოს, მინამ ღონე ერჩის, ფარ-ხმალი არ დაჰყაროს. ერთი რამ მჯერა კიდევ: დიდი ნანა არ გაიმეტებს იათნანას, დაიცავს და დაიფარავს თავის გაჩენილთ. დადისაც

ხომ სჯეროდა ეს. დადიმაც ეგ მიანდერძა! მაშ, კურთხეულ იყოს სახელი ჩვენი დია-უფლისა სამარადჟამოდ!“

– ვინ იყო? ვინ იყო? – ხელჯოხიანი მცველები ციბრუტივით ტრიალებდნენ, მაგრამ მოზღვავებულ ხალხში გზა ვერა და ვერ გაეკვლიათ.

დიაცები ჯიუტად არ იცვლიდნენ ფეხს. იდგნენ გაკერპებული სახეებით და აინუნშიც არ აგდებდნენ ჯოხების ზუზუნს, მცველთა ლანძღვა-გინებასა და მუქარას.

დამეხილივით იდგა ბოჩიც.

ზღვის მიქცევა-მოქცევასავით შხუილით ასკდებოდა წარსულის სახეები. მოგონებათა ტალღები ხან აქეთა ნაპირს მიახეთქებდნენ უწყალო გამეტებით, ხანაც იქით, ხანაც სიღრმეში ჩაყვინთავდნენ და აყლაპინებდნენ მლაშე წყალს – გაგუდვამდე, სულის შეხუთვამდე. მერმე ისევ ამოისროდნენ ზედაპირზე, გაიგდ-გამოიგდებდნენ, გაჰკრავ-გამოჰკრავდნენ წინ და უკან, წინ და უკან. აგორავებდნენ და აკოტრიალებდნენ ძალის მიხდომამდე.

თვალსაწიერზე ჩნდებოდნენ ზღვები, უსასრულო სივრცეები, გზები... უცხო ქალაქები, სასახლეები... მშვენიერი ასულები... ნდომა და განცხრომა... სიამეთა მორევები... ოქრო-ვერცხლთა და თვალ-მარგალიტთა ბრწყინვალება და... ლტოლვა, ლტოლვა დაუსრულებელი, უძღომელი ჟინი და მოუთოკავი წადინი, ნატვრა დაუცხრომელი და სურვილი – უკიდეგანო, ზღვარდაუდები, წრეშემოუწერელი.

და იყო ზეობა სიამაყისა და პატივმოყვარეობისა: კმაყოფილება და ტკბობა ამპარტავნული.

რა შეგრჩა ახლა ხელთ? ან თუ ისწრაფვი რაიმესკენ?

როგორ არა! ახლა უფლისწულისა და მისი მეუღლის ყურადღება და ნდობა გწადია, რომელსაც თანდათანობით აღწევ კიდეც. რადგან გუმანით თუ ალღოთი გრძნობ, რომ ერთპიროვნული მართვის ანუ გახელმწიფების და მძლავრობის გზაზე უცხოელთა გარდა – შენი და შენისთანათა ხელშეწყობა დასჭირდება – იათნანური, ძველებური მართვა-გამგეობის სრულიად გასაუქმებლად, საკუთარი გვარტომის ნელ-ნელა დასათრგუნად, მონების ფარად გადასაქცევად. რადგან ძალადობაზე, მძლავრობაზე დაფუძნებულ ყოველ ხელისუფლებას სჭირდება ნახირად ქცეული ბრბო და არა პიროვნებანი, რათა უკეთ მართოს ისინი. ამიტომაც ყოველნაირად ეცდება, ჯოგიდან გამოყოფილნი, ისევ ისე შელალოს ნახირში.

შენს თავმოყვარეობასა და სიამაყეს მოესალბუნება ვაჩეს ყურადღება, ნდობა და შენი... საჭიროების შეგრძნება!

მაშ, რათა ხარ ახლა განადგურებული? მიწასთან გასწორებული? რა ვერ განჭვრიტე? რა ვერ გაითვალისწინე? რაღად ქირქილებს ძვაბრა შენს გულში?

ციცი კი... უნდა დასჯილიყო ურჩობისთვის. ხელისკვრისთვის, სიამაყისთვის, პირდაპირობისთვის, ქედმოუხრელობისთვის. ვერა და ვერ გეპატიებინა დიაცისთვის, რომ დაგჯაბნა (შენ ასე გეგონა, შენ ასე ფიქრობდი, რომ დაგჯაბნა, თორემ, აბა ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ბოჩი გაბელანის მომრევი? მისი დამჯაბნელი? ან ვითღა იკადრებდი გასჯიბრებოდი დიაცს?), მაგრამ მაინც... ვერა და ვერ მოგენელებინა მისი მარტოოდენ არსებობაც კი – სინდისის მხილებასავით რომ იყო ამ ქვეყნად – ეს გიშფოთებდა სულს, გიფრთხობდა ძილს, გიწეწავდა ძარღვებს – ხოლო გაღიზიანებულ-შელახული პატივმოყვარეობა გიბიძგებდა სიავისკენ, უბადოსკენ – ნიშნის მოსაგებად!

შენ ქვეშეცნეულად, იქნებ არაცნობიერად, მაგრამ ელოდებოდი ამ შედეგს, ელოდებოდი ნაყოფს შენი „მოღვაწეობისა“.

და აი, მიიღე კიდეც იგი. მაშ, რა გაწუხებს?

რად ხარ ფრთებჩამოყრილი? რად ჩამოგტირის ცხვირ-პირი? რად გეჩვენება, რომ უსუსური და უმწეო იქნებოდა ახლა შენი ყოველი სიტყვა! რატომ გგონია, რომ საოცრად პატარა, უბადრუკი და საცოდავი ჩანხარ ქალის თვალში?

და რომ... არაფერს შეუძლია ახლა ამ შეგრძნების გაქარწყლება?

რა პატარა და საცოდავი ჩანდი მაშინაც, როცა გოგონები, შენი ღვიძლი შვილები, ორთავე შენი სისხლი და ხორცი – ეთხოვებოდნენ განწირულ დედას. შენ არ შეგეძლო, შენ უფლება არ გქონდა, მდგარიყავი მათ გვერდით, გაგემხნევებინა, ანდა ნუგეში გეცა მათთვის: ისინი სამუდამოდ უცხონი დარჩნენ შენთვის, ისევე, როგორც გაგიუცხოვდა, შენდა უნებურადვე, – შენი ვაჟები!

დასჯერდი მაყურებლად ყოფნას – თითქოს შენ სრულებითაც აღარ გეხებოდა ის უბედურება, რაც ციცის და შენი შვილების თავზე დატრიალდა.

მართლაცდა, სიკვდილიც კი უმნიშვნელო და ჩვეულებრივი ჩანს – ამ ერთპირი სულმდაბლობის ფონზე!

დიაცთა სამსჯავრო

(მეუფე თუმათი)

გამოქვაბულის ფართო სენაკი მკრთალად გაენათებინა ნიშებში ჩარიგებულ კანდელებს. შესასვლელთან თავსაბურავიანი, გრძელსამო-

სიანი დიაცები იდგნენ და ყოველ მომსვლელს აჩერებდნენ:

– შურისგება! – ამბობდა ახალმოსული და მაშინვე გადაჯვარედინებული შუბები გაიწეოდა და თავიდან ფეხებამდის მოსასხამში გახვეული ქალი შედიოდა გამოქვაბულში, სადაც სინესტის, ობის, კელაპტრებისა და საკმევლის სუნი ერთმანეთში არეულიყო.

სიჩუმე იდგა. მხოლოდ სამოსის შრიალი თუ არღვევდა იდუმალ გარინდებას. ყველანი მოუთმენლად შესცქეროდნენ იელისფერ კრეტსაბმელს, გამოქვაბულის სიღრმეში რომ ეკიდა. ფარდის მიღმა ეგულებოდათ მეუფე თუმათი, ანუ ოშორელი თუმათი, როგორც ეძახდნენ მას იათნანელები, რადგან იგი შოუ ბჟალახეს მიერ იყო ჩამოყვანილი ოშორადან.

იათნანის ყოველი კუთხიდან მოეყარათ აქ თავი და ელოდნენ მეუფე თუმათის გამოჩენას. აგერ უკვე თვეზე მეტი იყო იგი კარჩაკეტილი, განმარტოებული მარხულობდა და ლოცულობდა ამ წმინდა გამოქვაბულში დღისით და ღამით.

... ძაძუს მოლოდინში ქვის სკამზე მჯდარი თუმათი გატვრინულიყო.

ვერა, ვერანაირად ვერ მოეშორებინა თავიდან გარდასული, შორეული ამბები, ასე დაჟინებით, ასე ჯიუტად რომ ეძალებოდა მის გონებას.

თუმათი გაგოში! ეტყობა, ვერასდიდებით ვერ გაექცევი ახლა ამ მოზღვავებულ მოლანდებებს; გინდა თუ არა, ისევ ისე უნდა გამოიარო შენს წარმოსახვაში ის ჯოჯოხეთი, გინდა თუ არა ისევ ისე უნდა ეწამო და იტანჯო, მართალია, წამისწამში, თითქოს ელვის უსწრაფესად და მაინც... მტკივნეული განცდით, ჯერაც, ამდენი წლის მერე, მოუშუშებელი იარებით, დაუამებელი წყლულებით გულდასერილმა. თუმცა წლები რა ბედენაა? წლები ვით წარხოცავდნენ შენს გულში სიძულვილის, ბოღმის გრძნობას, დაუმცხრალი შურისგების ჟინსა და წადილს. ო, არა. პირიქით. თანდათან უფრო ღვივდებოდა, მწიფდებოდა და მტკიცდებოდა ნაცვალგების სურვილი!

თვალისწამში ენაცვლებიან ერთი მეორეს არა ტკბილი, საამო, არამედ სწორედ უამური, უჟმური, მწარე, გულისმომწყვლელი მოგონებანი წლების წინანდელი კი არა – თითქოს გუშინდელი დღისა.

...ოშორას ქვეყნის ზღვისპირა პატარა ქალაქი, ოდესღაც სახელგანთქმული კარისა, წყალუხვი, მდორე მდინარე ნოღელა, რომელის ნაპირზე დგას ძველებური სახლი, სადაც ცხოვრობს ოდის ჟამიდან წარჩინებული, მაგრამ აწ დამცრობილი, მოსულთაგან შევიწროებული და მაინც თავმომწონე გაგოშთა გვარის ობოლი გოგონა – ჩუმი, წყნარი, მორცხვი, მამა-პაპათა ძველ, გარდასულ დიდებას ფერადოვანი სურათებით რომ ხატავს თავის ზმანებათაგან გახურებულ ტვინში. ამ მეოცნებე

და უზადო მშვენებით შემკულ გოგონას მოულოდნელად სწვევია პირველი, დიდი, ყოვლისმომცველი და ყოვლისწამლეკავი სიყვარული ქერაკულულებიანი, სხარტი, ენამახვილი იათნანელი მზეჭაბუკისადმი, თავის მდიდარ ნათესავებთან რომ სტუმრობს კარისაში.

პირველი ელდა. გულის პირველი ცახცახი, ზღვის ტალღასავით უცაბედად მოვარდნილი, ჯერ არგანცდილი გრძნობა, გრძნობა ისეთი, როგორიც შეუძლია განიცადოს უმანკო, წმინდა გულმა – ზეციური აღმაფრენით შეპყრობილმა, მგზნებარემ, უშუალომ, წრფელმა და ამასთან უზომოდ ამაყმა, დიდგულამ, თავმოყვარემ.

გოგონას ერთი წუთით, ერთი წამითაც ვერ წარმოუდგენია ყოფნა თავისი მხიარული და ენამოსწრებული იათნანელი ჭაბუკის გარეშე და ისიც დღე და ღამეს ატარებს მასთან და მხურვალედ ეფიცება უსაზღვრო, უკიდეგანო, უბოლოო და დაუსრულებელ სიყვარულს და ერთგულებას. მეცხრე ცაზე ასული გოგონა აისის ღმერთქალის საუფლოში გრძნობს თავის თავს და მადლობას სწირავს ღვთაებას, ასეთი ბედნიერება რომ არგუნა წილად.

დაინიშნა დღე დაწინდვის – იათნანადან უნდა ჩამოვიდნენ მზეჭაბუკის მშობლები და გოგონაც სულსწრაფად ელოდება იმ დროს, როცა ის და მისი მზისდარი ჭაბუკი სამუდამოდ დაუკავშირებენ ერთმანეთს თავიანთ ბედს. მაგრამ... კაცი ბჭობდაო და ღმერთი იცინოდაო.

დანიშნული დღის წინა საღამოს ვნებათაღელვისგან თავგზააბნეულ, გულჩაქროლებულ გოგონას მშვენიერკულულებიანი სატრფოს ნაცვლად გამოეცხადა მაცნე და, ჰოი საშინელებავ! – აუწყა დაუჯერებლი ამბავი! დილაუთენია მზეჭაბუკმა მდიდარ, ქვრივ ფინიკიელ ქალთან ერთად დატოვა ქალაქი და არც არავინ უწყის ხომალდის გზაკვალი, მისი ასავალ-დასავალიო!

... სამი დღე და ღამე უგონოდ იყო ბედკრული გოგონა, სამი დღე და ღამე ებრძოდა სიკვდილს მისი უღონო, უსუსური სხეული. მხოლოდ მეოთხე დღეს გამოახილა თვალი და დაუბრუნდა ცნობიერება. თუმათი გამობრუნდაო, გაიხარა სახლში დიდმა და პატარამ, შორებელმა თუ ახლობელმა, მთელმა ქალაქმა!.. მაგრამ... სინამდვილეში თუმათი მოკვდა, მოკვდა იმ წუთას, როცა შეიტყო საყვარელი ვაჟის ღალატი. მოკვდა თუმათის გული, მაგრამ გონი – არა.

გონმა ერთხელ და სამუდამოდ შეიძულა და შეიზიზღა მამრთა მოდგმა იათნანელი მზეჭაბუკის სახით და თავის გულში საბოლოო განაჩენი გამოუტანა მას.

... თუმათი ბახუას მახვამურთა თაბუნს შეუერთდა და სულ ცოტა ხანში უპირველესი ადგილი დაიჭირა მათ შორის. ბახუას მახვამურნი

ყოველ გაზაფხულსა და შემოდგომაზე ღვთაების საპატივცემულოდ, მის სადიდებლად მართავდნენ ხოლმე დიდ ზეიმებს, რაც აღვირახსნილ ორგიებში გადადიოდა ხოლმე. მაგრამ თუმათი ამ თავაშვებულობის უბრალო, ჩვეულებრივი მონაწილე როდი გახლდათ. ო, არა! ის, თავის გულში ამოჭრილ შურისძიების ჟინს წინასწარ მოფიქრებულად და გააზრებულად ასხამდა ხორცს. თანმიმდევრული შეუპოვრობით ხლართავდა – ერთი შეხედვით თითქოს უვნებელ, სინამდვილეში კი – მომაკვდინებელ ქსელს. შეუბრალებელი, ცივი გონებით ზომავდა და წონიდა თავის მომავალ მსხვერპლს და შეუბრალებელი და ცივი გონებითვე ანხორციელებდა ჩანაფიქრს თვისას.

თუმათი ამ თავის ანგარიშიანობას და ცივ გონებას საჭიროებისდამიხედვით ნიღბავდა ხან მოჩვენებითი გულგრილობით, ხანაც მგზნებარე, მხურვალე ვნებიანობით და ნდომით.

ბახუას მახვამურის ერთი ღამის ალერსისთვის ბევრი ოშორელი მზად იყო, სიცოცხლეც კი გაეწირა. ძმა ძმას არ ინდობდა, სასიკვდილოდაც კი იმეტებდნენ ერთმანეთს ბახუას თვალწარმტაცი ქურუმისთვის, ოღონდ ეგაა: თავად თუმათის არასოდეს სისხლის ღვრამდე არ მიჰყავდა საქმე, ისე ახერხებდა განზრახულის განხორციელებას. სამაგიეროდ აუწერელ სიამოვნებას ანიჭებდა ამ გაპირუტყვებული ხვადაგების – როგორც ამრეზით იტყოდა ხოლმე – ხილვა, ასე იოლად და ადვილად რომ წირავდნენ ერთი მეორეს. იქედნურად ნიშნს უგებდა ყოველ მათგანს და ზეიმობდა და ხარობდა თავის გულში, ამ ერთი შეხედვით, თითქოს თავმომწონე, ბღენძია, ყოყლოჩინა მამრების შეხედვაზე, მის წინ რომ მიწაზე ხოხიალობდნენ წყალობის მოლოდინში.

და აი... მოულოდნელად, გაუთვალისწინებელი უბედურება დაატყდა თავს:

თუმათი დაფეხმძიმდა. და არც კი იცოდა ვისგან, მაგრამ... ვისიც არ უნდა ყოფილიყო – მამრის თესლი არ უნდა გაეხარებინა, ნაყოფს დღის სინათლე არ უნდა ეხილა. ეს ურყევად და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და თუ მუცელში თავისთავად არ გაუწყალდებოდა, მაშინ დაბადებისთანავე უნდა მოეშთო იგი. ჩვეულებრივად, ბახუას აღვირახსნილი მახვამურები თავიანთი ვნების „წმინდა ნაყოფს“ - ასე უწოდებდნენ ისინი ღვთაება ბახუას ორგიებში ჩასახულ სიცოცხლეს – აძიძავებდნენ, ანდა მავანთ და მავანთ მიუგდებდნენ ხოლმე კარზე, და მერე აღარ არსებობდა მათთვის ჩვილი, აღარ კითხულობდნენ, რა ბედი ეწეოდა – ცოცხალი დარჩებოდა თუ სულს გააცხებდა. თუმათისთვის ეს გზა მიუღებელი გახლდათ. მას ისიც ვერ ეპატიებინა თავის თავისთვის, ისიც ვერ მოენელებინა – უნდოდა თუ არა, იძულებული რომ შეიქნა თავის არსებაში ეტარებინა საძულველი ნაყოფი.

არავის, ორგიებში მონაწილე თვით უახლოეს მეგობარ-მახვამურთაც აზრად არ მოსვლიათ თუმათის ორსულობა. თუმცა ჭეშმარიტი მეგობარი თუმათის არასდროს ჰყოლია. და არც ოდესმე გასჩენია სურვილი ვინმესთან სიახლოვისა. მისი პატივმოყვრული ბუნება მეგობარს ვერ ჰგუობდა, მას მხოლოდ მბრძანებლობა შეეძლო. ამიტომაც, სადაც არ უნდა ყოფილიყო, რანაირ ვითარებაში არ უნდა ჩავარდნილიყო – ყველგან და ყოველთვის უნდა ეპირველა, ან არადა... ქედმაღლურად, ზვიადურად დაეტოვებინა სარბიელი, გასცლოდა იქაურობას, ვითარცა მისთვის არახელსაყრელს, ანუ არაშესაფერისს.

ერთი შეხედვით ამ სუსტ, თითქოს უსუსურ სხეულში შეფარულად, თავდაპირველად შესაძლოა, თვით მისთვისაც გაუცნობიერებლად, – ბობოქრობდა უსაშველო, უნაპირო თავმოთნეობისა და პატივმოყვარეობის გრძნობა, წყენისა და შეურაცხყოფისათვის სამაგიეროს გადახდის დაუოკებელი, აულაგმავი სურვილი. და ეს გრძნობა ქვეშეცნეულად ნაკარნახევი იყო – ყველგან და ყველაფერში პირველობის წყურვილით, დღე და ღამ ჭიასავით რომ ღრღნიდა და აწვალებდა მის გულს.

...ერთხელაც იყო და, ბახუას დღესასწაულების დროს, თავაწყვეტილ მახვამურ დიაცთა დიდმა დასმა ქორონი გამოიარა. ჯერ მდინარე სქურში იბანავეს დასიცხულმა ქალებმა. წყალში კარგა ხნის ჭყუმპალაობის, ქვიშაში კოტრიალის, ლაზღანდარობა-ცუნდრუკის შემდეგ, თუმათიმ მოულოდნელად შესთავაზა თავის დობილებს, რაკიღა აქა ვართ, მოდი, ბარემ მოვინახულოთ ჩვენი „წმინდა“ ალაგი – ბჟათა და ბჟათას სახელგანთქმული „მოწმინდარები“ და ერთი ჩვენებურად, ბახუას შესაფერისად და საკადრისად მოვიკითხოთო.

მოწონების შეძახილებით შეხვდნენ ამ წინადადებას. ატყდა ერთი სიცილ-ტკარცალი, წიოკობა და რია-რია. დიაცებს განსაკუთრებით ეამათ ბჟათას მახვამურთა წმინდანობის გაქილიკება და მასხრად აგდება. ავყიობასა და ყიამყრალობაში თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. დასასრული აღარ უჩანდა დიაცთა ხვინტრიცს და ბილწსიტყვაობას. ბოლოს, მოიჯერეს გული და მოიქავეს ენა თუ არა ბჟათას ქურუმთა განქიქებით, თუმათის წინამძღოლობით ყიჟინით, გნიასით შეუდგნენ საყდრისკენ ამავალ გზა-წვრილს.

უეცრივ ფერდობის თავში გამოჩნდა ბაიასფერ სამოსში გამოწყობილი, ტანკენარი დიაცი, რომელსაც ხელი ჩაეკიდა პატარა გოგოსთვის და თავდაღმართზე ნელი ნაბიჯებით ჩამოდიოდა.

თითქმის სუყველამ ერთდროულად დაინახა იგი.

– ნეე! ვინაა ნეტაი?

– დია-ღმერთო!!! რა ლამაზია!

– შოუ ბჟალახე!.. შოუ ბჟალახე!

არ ახსოვს, პირველად ვინ წარმოთქვა ეს სახელი, ბავშვობიდანვე უცნაურად რომ აღიზიანებდა და აფორიაქებდა მის სულს. აქამომდე არასდროს ენახა თვალით საარაკოდ ქცეული ეს მისანი დიაცი-მახვამური: იგი რაც გათხოვდა, იშვიათად ეჩვენებოდა ქორონელებს და დღენიადაგ საკუთარ ოხორეში, ანდა ბჟათას საყდარში ტრიალებდა.

შოუ ბჟალარა! აი თურმე როგორია იგი!

რაღაცამ უნასივით უკბინა გულზე და მერმეღა გაიაზრა, ეს ღრმად შეფარულმა შურის გრძნობამ შეახსენა თავი, იმთავითვე, პატარაობიდანვე რომ არ ასვენებდა და ძილს უფრთხობდა.

შოუ ბჟალახე. ჰმ! აი სად და რა ვითარებაში შეყარა მას განგებამ – უფრო სწორად, ქვეცნობიერად თვითონ მიისწრაფოდა ამ შეხვედრისკენ!

დიაცი თანდათან ახლოვდებოდა და რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი მათ შორის, მით უფრო ეკეცებოდა მუხლები თუმათის. რატომღაც კანკალატანილს, ასე ეჩვენებოდა, თითქოს თავად ღვთაება მზეს აედგა ფეხი და აგერ, ა, ახლა, ამ წუთას მოაბიჯებდა ნება-ნება დამრეც ბილიკზე ბახუას მახვამურებთან „სალაღობოდ“. და უძლეველი, თვით მისთვისაც მოულოდნელი სურვილი ეწეოდა, ანაზდეულად მუხლი მოეყარა ამ ცოცხალი ღვთაების წინაშე და... მდუღარე ცრემლთა ფრქვევით ეთხოვა პატიება ყველაფრისთვის, ყოველი თავისი შეცოდებისთვის, ყოველი უკეთური აზრისთვის, რასაც კი მის თავში გაუვლია ოდესმე.

– შეხედეთ! შეხედეთ! სულ პატარა გოგოს არ ჰგავს ეს მენცარი... უმანკო და უცოდველსახიან მაცირიას!..

– ამ დროს, ღამღამობით, მგელზე ჯდება თურმე ეს, ვითომდა წმინდანი, და ვინ იცის, რა სიავეს არ სჩადის!

– ტ ს ს ... ჩუმად: რაებს ბოდიალობ, ძა! არ გაიგონოს!..

თუმათიმ მხარს ზემოდან ერთი ქორულად მოუხედა თავის ენაწაგდებულ დობილებს და მერმე ანთებული მზერა კვლავ მიუშტერა შოუ ბჟალახეს, ღიმილიანი თვალებით რომ თავს უქნევდა მოტიკტიკე გოგონას, შვლის ნუკრივით რომ მოსდევდა გვერდზე.

ბახუას მახვამურებს რომ მიეახლა, შოუმ ნაბიჯი შეანელა და დახრილი წამწამებიდან მეყსეულად ელვისებური მზერა სტყორცნა მათ. თითქოს თავგზადაკარგულ წიწილებს ალალმა დაჰქროლაო, ყველამ, უკლებლივ ყველამ სასწრაფოდ გზა მისცა დიაცს (ყოველშემთხვევაში, მერე ასე წარმოესახა ეს სურათი თუმათის). ერთადერთი თუმათი იდგა გახევებული და უტეხი მზერით, ჯიქურად შესცქეროდა სახეში დიაცს. შოუ შეჩერდა. შეხედა ნორჩ მახვამურს, გზაზე რომ გადასდგომოდა

გამომწვევად.

– გინდოდა გეთქვა რამე, ძღაბო?[1] – სულისშემძვრელი იყო შოუს ხმა, ხოლო თვალები... ო, ეს გასაოცარი. ჟრუნი[2] თვალები, ზღვა გრძნობას რომ იტევდნენ მიტევების, სიბრალულის, სიყვარულის და კიდევ, ენით უთქმელი რაღაცის...

– მე... მე მინდოდა... – თითქოს ალისქარი ჩაუვარდაო პირში, წახდა, გაფუჭდა უცებ ბახუას უდიერი მახვამური და საცოდავად მხრებაწურულს და მობუზულს, ერთი საზრუნავიღა შერჩენოდა ახლა, როგორმე, რამენაირად გაეძლო სურვილისთვის და მართლა არ ჩამხობილიყო მიწაზე ამ დიაცის წინაშე.

შოუმ წამით თვალებში ჩახედა ნირწამხდარ მახვამურს, შინაგანად რომ ძაგძაგებდა დანაშაულზე წასწრებული ბალღივით:

– ოშორელი ქალის ბერე[3] სტირის... ო, მწარედ სტირის საფლავში, ახ-ავაი! – დაიფუჩუნა მეყსეულად მხოლოდ ბაგით და ტკივილის, სიბრალულის თუ კიდევ, ვინ იცის, რის გრძნობამ თვალები დაულიბრა, ტუჩები შეუთრთოლა, წამი და... დაიძრა.

ანგარიშმიუცემლად, დაუთმო გზა. წამიერად განაბული, გატვრინული ბავშვი შეირხა და ასკინკილით გაედევნა დედას, ალვასავით კენარი, ნელა რომ მიირხეოდა გზა-წვრილზე.

თუმათი კი ელდანაცემი, სახეგამტკნარებული იდგა გახირული შუაგზაზე და საშინელებაჩამდგარი, გაყინული თვალებით გასცქეროდა ქვექვეით მიმავალ დიაცს.

– რაიო, რა გითხრა თუმათი მაგ ავსულმა მზაკვარმა, ასე რომ დაიზაფრე?

თუმათი შეტოკდა. მერმე დამდუღრულივით ერთი შეჰკივლა და თავის დობილს ყანყრატოში წვდა უცებ:

– ხმა... ხმა ჩაიწყვიტე ახლავე, შე კახპავ! კახპავ! კახპავ!

მერმე უცებვე ხელი უშვა გაოგნებულ ქალს, მიწაზე დაეცა და...ხმამაღლა, თავშეუკავებლად აზლუქუნდა.

იმავე საღამოს შოუს ფერხთით ჩამხობილი თუმათი ცხარე ცრემლთა დენით აღსარებას ეუბნებოდა იმას, ვისაც რატომღაც უმხელდნენ ისეთ საიდუმლოთ, რომელთაც ღმერთებსაც კი უმალავდნენ ხოლმე ხანდისხან.

---

[1] გოგო.

[2] ყველა ფერის ნარევი.

[3] ჩვილი, ბავშვი.

* * *

„მაშ, დგება ჟამი ნაცვალგების!“

„შენიც, მეუფე თუმათი – შენი პირადი შურისგების!“ – ჩაესმა თითქოს ყურის ძირში. წამიერად შეკრთა.

საოცარია განგების ძალა! იათნანაზე ცხოვრების მხოლოდ მეათე წელს გაიგო თუმათიმ, რომ მშვენიერკულულებიანი, სახემზიანი დოჩი, ფინიკიიდან დაბრუნებული, დიდნოღაში დამკვიდრებულიყო თავის ახალ მეუღლესთან ერთად.

და მაშინ... ო, მაშინ კვლავ დაუძლეველი ძალით იფეთქა მასში აქამდე თითქოს მიყუჩებულმა შელახული თავმოყვარეობისა და ოდესღაც ესოდენ დამცირებულ-შეურაცხყოფილი ქალობის გამო სამაგიეროს ზღვევის ყოვლისწამლეკავმა გრძნობამ.

და, აი, შენ თუმათი გაგოშხემ, ბახუას ყოფილმა მახვამურმა, ამჟამად კი იათნანას მზეღვთაების ქურუმმა, ყველაფერი იღონე, რაც კი შეგეძლო, რათა საზოგადო გულისწყრომას შერთვოდა და შენივთებოდა შენი პირადული ბოღმაც. ანდა... იქნებ პირიქითაც იყო, მაგრამ ახლა ამას არა აქვს შენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა.

ჟამმა დაჰკრა, თუმათი გაგოშხე, - იათნანას გადარჩენისა და შენი პიროვნული ნაცვალგების ჟამმა! დიახ! შენ ყველაფერი მოიმოქმედე – ყველა შესაძლებელი და შეუძლებელი ხერხი და საშუალება იხმარე, რომ ჩამოერეკა ამ ჟამს. შესაძლოა, არც თუ მაინცდამაინც მოსაწონი და ზნეობრივად მართებული იყო შენი განზრახვის მისაღწევად ნაგულვები გზა-სავალი, მაგრამ... მთავარი – მიზანი იყო შენთვის. მიზანი კი ერთი გქონდა – სამაგიერო მიგეგო ყველა იმისთვის, ვინც აგრე რიგად ამცირებდა, აბუჩად იგდებდა იათნანას ქურუმობას, ვინც შეუწყნარებლად ბღალავდა იათნანურ წეს-ჩვეულებას. სამაგიერო უნდა გადაგეხადა გადამთიელთათვის, იათნანას დამონებას რომ ესწრაფოდნენ, შური გეძია აგრეთვე შენი პირადი შეურაცხმყოფელთათვის!.

ო, ო, მარტო შენ თუ უწყი, რა ჯოჯოხეთური შინაგანი წვა და წამება გამოიარე ამ ხნის მანძილზე. ვერა. ვეღარ შეიქმენ შენ – თუმათი გაგოშხე – შოუ ბჟალახეს მოწაფე და მიმდევარი, თუმცაღა იგი გწრთვნიდა და გწაფავდა საამისოდ ჯერ კიდევ ოშორადან მოყოლებული. არა. შენ სხვა გზა აირჩიე, სხვა კვალს დაადექი, ვიდრე შენი მოძღვარი. დიახ. კარგა ხანია გაიყარა თქვენი გზა-შარა და ვერც ვერასდროს შეერთდებიან ისინი. ამიერიდან შენ – შენი გზით ივლი – შოუ ბჟალახემ – თავისით იარა, იმ გზით, შენ რომ გულით მისდღეში არ გეთნეოდა. შემდეგ. თვითმხილველი და თანამონაწილე გახდი შოუს ცხოვრებისა, რადგან მასთან დარჩი და შოუსვე მოწადინებითა და ხელშეწყობით ბჟათას მახვამურად იქეცი.

შენ თვითმხილველი იყავი იმისა, თუ დღითიდღე როგორ მატულობდა მტრობა ბჟათას ოხვამის და განსაკუთრებით კი იმ სასწავლებლის მიმართ, შოუს თაოსნობით რომ იყო შექმნილი. მასში და შოუს თავგამოდებულ საქმიანობაში ხედავდნენ ოშორას დამპყრობნი ოშორას მკვიდრთა გამოღვიძებისა და აღორძინების საწინდარს და რაკი ცოლ-ქმარს აშკარა მტრობით ვერაფერს აკლებდნენ – შოუს შორსმჭვრეტელობისა და ნათელხილვის გამო – ამჯერადაც მიმართეს ვერაგულ საშუალებას – ღამით, მოულოდნელად ავაზაკები თავს დაესხნენ საკუთარ სახლში შოუს ქალიშვილსა და სიძეს, და ამოხოცეს ისინი – ბოჩი მხოლოდ იმიტომ გადარჩა იმ ავბედით ღამეს, რომ საშინელი წინაგრძნობით შეპყრობილმა ბებიამ თითქმის ძალით დაიტოვა შვილიშვილი თავისთან, გაჯიუტებულ სიძეს კი ვერაფრით გადაათქმევინა წასვლა.

და თუმც ქუჯიმ შეძლო შოუს ნათელხილვის წყალობით, მიეგნო და სამაგიერო მიეზღო დაქირავებული მკვლელებისთვის, ოშორაში მათი დარჩენა უკვე შეუძლებელი შეიქმნა. ცოლ-ქმარი ახლობლებითურთ აიყარა და იათნანაზე გადასახლდა.

შენც აღარ ისურვე ბჟათაში ყოფნა და... მათ გაჰყევი. თუმცა, შოუს სიცოცხლეში ყოველნაირად ცდილობდი დაგეფარა შენი ნამდვილი გულის ზრახვა, არ გაგემჟღავნებინა შენი ნაჩუმარი გულისთქმა, უფრო სწორად, შენ თავადაც გაურბოდი მათზე ფიქრს იმხანად.

დიახაც, რომ შენ მიმართე ყველა საშუალებას მიზნის მისაღწევად, გამოიყენე ყველა და ყველაფერი, მათ შორის – ბედკრული ციცის ხვედრიც. დიახაც, შენ დღე ცისმარე უხმობდი საშველად როგორც უხილავ, ფარულ ძალებს, ისე ხილულთ, დიახაც, თუ ხელგეწიფებოდა, ამწვავებდი და ამძაფრებდი კიდეც საგანგებოდ – ყოველ ხელსაყრელ ვითარებას.

დიადი მიზანი მიიღწევა მხოლოდ შეუპოვარი, ზოგჯერ ულმობელი, დაუდნობელი ბრძოლით და ამ სასტიკ რკინებაში შენ უნდა იპირველო, შენ უნდა გახდე ახლო მომავალში იათნანას უზენაესი ქურუმი – იათნანელთა ბედის გამგებელი. შენ, სწორედ შენ უნდა იქცე სალოცავ კერპად იათნანელთათვის და შენთვის უნდა აღავლინონ სამადლობელი ლოცვა-ვედრება, რამეთუ შენ ზეგარდმო ძალებმა მოგავლინეს ამ ბედშავი, სვეუბედური და გასაწყლებული თესლტომისთვის ხსნად და ნუგეშინად. შენი სახელი უნდა შეიმოსოს მომავალ თაობათათვის დიდების შარავნდით.

შენი სახელი უნდა ქუხდეს და გრგვინავდეს ამ ცისქვეშეთში სამითაჟამიოდ.

...ერთბაშად დაბერებული, სახედალეული ძაძუ მეუფე თუმათის ფეხ-

თით, კველაზე[1] მოკალათებულიყო. ქუთუთოებდახრილი თუმათი დაძაბული ყურადღებით უსმენდა დიაცის მიერ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ოხვრითა და ვიშვიშით მონათხრობს:

– გაურბოდა ჩემთან შეხვედრას მას მერე ბოჩია და მეც თავს ვარიდებდი, სწორედ გითხრა. რაკი ერთხელ გული მოვიოხე და მდინარე რომ ვერ გარეცხავდა, ისე გავთათხე... ჰოდა... მას უკან აღარ მინახავს და აი... იმ საღამოს... სამსჯავროს შემდეგ მოვიდა ჩემთან. მე ფოთო და ხაბუ მარგველიანებთან ვიყავი იმ დღეებში ბინად. კი ვფიქრობდი გუნებაში, მომნახავს-მეთქი და შერჩეული მქონდა კიდეც სიტყვები, რითაც უნდა „შემემკო“, მარა... შევხედე და... შეძრწუნებული, დაზაფრული ვუყურებდი კაცს, რომელიც ბოჩია იყო თითქოს და... არც იყო ბოჩია. ცოცხალმკვდარი იდგა იგი ჩემს წინ და ყბა უკანკალებდა. რაღა დაგიმალო? თავი ვერ შევიკავე და... ავქვითინდი, დიდხანს ვალტობდი მის გულმკრდს ჩემი მდუღარე ცრემლებით... იგი ხმის ამოუღებლად მეფერებოდა თავზე ხელით... და ვგრძნობდი, რაფერ გაშმაგებით უძგერდა გული...

– ო, ის შეჩვენებული, ის შეჩვენებული ისა... – ჩაიდუდუნა მეუფე თუმათიმ თავისთვის და თვალებიდან ნაკვესები დაყარა, მაგრამ ძაძუმ წაუყრუა მის სიტყვებს და ისევ განაგრძო ცრემლისგან მოგუდული ხმით:

– მითხრა ბოლოს, უნდა დავიხსნა ციცი, რადაც არ უნდა დამიჯდესო. ან თავი ცოცხალი არ მინდაო. ვიცი, თქვენც რომ რაცხას აპირებთ. ძალიან ცოტა დრო რჩება. ძლიერი დაცვა დაუყენესო, ხელისუფალთ ეშინიათ, რამე არ მოხდეს. ჰოდა, ერთობ ფრთხილობენ, მარა მე ვერაფერი შემაჩერებსო. ვაუწყე, ციცი სასტიკი წინააღმდეგი რომ იყო გაქცევის: შემოგვითვალა, ტყუილა-უბრალოდ ნუ გაირჯებით, განაჩენი უნდა შესრულდესო. ჩემი აქედან გაქცევა დანაშაულის აღიარება იქნება. ამ სიამოვნებას კი არ მივანიჭებ ჩემს მტრებსო. ციცის უტეხი ხასიათის ამბავი რომ ვიცით, საგონებელში ვართ ჩავარდნილები, ვჭოჭმანობთ, არ ვიცით, როგორ მოვიქცეთ-მეთქი, ვუთხარი. ძალით გავიტაცებ, ან მის თვალწინ მოვიკლავ თავსო. სულ ერთია, სიცოცხლე მაინც არ მინდა ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდაო. ვიცოდი, ვერც ბოჩიას გადავათქმევინებდი სიტყვას, ვერ შევაცვლევინებდი განზრახულს. მაინც ვცადე. ამაოდ. თავის აზრზე იდგა მტკიცედ, შეურყევლად. ასეთმა ჯილეხმა ხასიათმა დაღუპა აკი. ახლაც არ იშლიდა თავისას. თუმცა... ისე კი... ისეთი თვინიერი, ლმობიერი და საწყალი მეჩვენებოდა... თითქოს ბოჩია კი არა, მისი ლანდი იდგა ჩემს წინ.

უბედურება და სხვადასხვა ჭირი ჩემთვის ახალი როდია, მეუფე თუმათი. თითქოს შევეგუე და შევეჩვიე კიდეც მას. მაგრამ ახლა... ჩემ ძალღონეს აღემატებოდა ბოჩიას ყურება. უხმო ტირლი მახრჩობდა. ბოჩიაც დუმდა. ხმას არ იღებდა გალურსული. ბოლოს წასვლას დაეპირა. მოვიდა ახლოს. დაიხარა და თავზე მეამბორა, მერმე შუბლზე. შევამჩნიე, ხელები უკანკალებდა. ამან მთლად გადამრია. გული უფრო ამომიჯდა. ვერა და ვერ ვიოკებდი თავს.

– დაწყნარდი, ჩემო დაია, შენი ჭირიმე. გთხოვ, გულს ნუ იხეთქავ. ხომ იცი, ჩემს გოგონებს შენ უნდა მოუარო... შენ უნდა გაუწიო... დედობაც და მამობაც. – მითხრა კარებში შემდგარმა. ისეთი ღრმა, შეფარული განწირულება და სასოწარკვეთილება მომესმა მის ხმაში, რომ შევწყვიტე ტირილი. ცრემლები ერთბაშად შემაშრა. აქამდე თვალებს ვერ მისწორებდა ბოჩი, გაურბოდა თითქოს ჩემს მზერას, ახლა კი, ახლა პირდაპირ მიყურებდა ვედრებით, სასოებით, სიყვარულით და... კიდევ რაღაცნაირი საწყალი თვალებით... მერე მზერა ძირს დაიღო: შენს ლოცვებში მეც მომიხსენიე... ხანდახან, ჩემო ძაძუო, - თქვა და სასწრაფოდ შებრუნდა. ოთახიდან გავიდა. დანარჩენი... შენც იცი, მეუფევ...

– თქვი, ძაძუ!.. შენგან მინდა მოვისმინო.

– მეც სხვებისგან მაქვს გაგონილი, მეუფეო.

– სულ ერთია, მაინც მომიყევი.

ძაძუმ წამიერად გაოცებით შეავლო თვალი მეუფე თუმათის დასხეპილ და ფერმიტეტკილ სახეს, მერმე ღრმად ამოიოხრა და განაგრძო:

– იმ საღამოს... შესულა სატუსაღოში რამდენიმე კაცი. ციცის განთავისუფლება უცდიათ, ვითარცა მოსალოდნელი იყო, ციცის გამტაცებლები იძულებული გამხდარან, ხელცარიელი გამობრუნებულიყვნენ უკან. ყველას მოუსწრია უვნებლად მიმალვა, მხოლოდ... ბოჩი დაიღუპა – მცველებთან შეტაკების დროს! და... უჩა ბეგო! ეს საცოდავი არავინ უწყის, საიდან, როგორ გაჩნდა იქ!

– ჰმ! დანაშაულის გამოსყიდვა სცადა ვითომ მაგ წყეულმა და უკეთურმა სულმა! – გესლიანად ჩაიღიმილა მეუფე თუმათიმ. ხოლო ბეგოს სიკვდილის ამბავი თითქოს არც გაუგონიაო, მგლის ყური გამოიბა.

– გამოისყიდა კიდეც... თავისი სიკვდილით, მეუფეო!

– ვერა, ჩემო ძაძუ! ვერ გამოისყიდის! სხვა ბევრი რამეც აქვთ გამოსასყიდი იათნანელ მამაკაცებს! მეტადრე – ღმერთების ჩვენის შეგინებაშეურაცხყოფა! – თუმათი წამოიმართა. თვალები შეუკავებელი რისხვით უელავდა. ძაძუმ ხმის ამოღება ვეღარ გაბედა. ასე განრისხებული, ასე შეუპოვარი არასოდეს უნახავს მეუფე სხვა დროს.

ძაძუმ თავისი პაწია, უფერული ტუჩები მოკუმა. შუბლზე აკანკალებული ხელი გადისვა. შეზარა მეუფე თუმათის სიტყვების აზრმა, მისმა კილომ და განსაკუთრებით კი სახის გამომეტყველებამ.

[1] პატარა ხის სკამი.

„რა სასტიკია შურისგების გრძნობა!“ - გაჰკრა გულზე მტკივნეულად. მზერას ვერ უმართავდა მეუფე თუმათის ცივად მბზინავ თვალებს, რომელშიც დიაცის უტეხი ნება გამოკრთოდა. ამ თვალების პატრონს შეუძლებელი იყო გადაეხვია ერთხელ ამორჩეული გზიდან, მიზნისაკენ რომ მიჰყავდა იგი. და არც არავის დაინდობდა, თუკი ვინმე წინ გადაეღობებოდა, არანაირ დაბრკოლებას, არანაირ წინააღმდეგობას არ შეეძლო მისი შეჩერება. ან სიკვდილი, ან მიზნის აღსრულება, ეწერა მარხულობისგან, ღამის თევისა და მძიმე დარდისგან დამდნარსა და გაცრეცილ სახეზე.

წამიერად თითქოს რაღაც საერთო დალანდა ძაძუმ მეუფე თუმათისა და საკუთარ განწყობილებას შორის, რაღაც ისეთი, რამაც შეაძრწუნა და რამაც თითქოს მძიმე კირთების ქვეშ დააყენა მისი სული, მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, რანაირადაც არ განიზიდავდა ახლა მეუფე თუმათის შეუვალობა-ურყეობა – ძაძუ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ფანატიზმამდე მისული რწმენის თანამონაწილე და თანამოზიარე ხდებოდა. აქ უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, ძალიანაც რომ მოეწადინებინა. აქ თითქოს განგების გარდაუვალი ხელი ერია. უნდოდა თუ არა, მეუფე თუმათის ნების მორჩილი აღმსრულებელი უნდა ყოფილიყო, ხოლო თუმათის ნება იგივე ღმერთების ნება გახლდათ. ასე არწმუნებდა საკუთარ თავს ძაძუ, მაგრამ აწრიალებულ სულს მოსვენება და სიმშვიდე მაინც ვერ ეპოვა.

...დიდი ხნის ლოდინის შემდეგ კრეტსაბმელი გადაიხსნა და გამოჩნდა მეუფე თუმათი.

იგი წამით ადგილზე შედგა თავაწეული და მოწკურული თვალებით სივრცეში რომელიღაც წერტილს მიაშტერდა. მცირე ხანს იდგა ასე გაქვავებულივით. მერმე შეირხა და მსუბუქი, წყნარი ნაბიჯებით გაემართა ქვის სავარძლისკენ, მომაღლო ბაქანზე რომ იყო მოთავსებული. ყველანი ფეხზე დამდგარნი, მზერაგამახვილებულნი და ფერმიხდილნი, შესცქეროდნენ მეუფე თუმათის თითოეულ მოძრაობას.

მეუფე თუმათი ფრთხილად ჩაეშვა სავარძელში, რომლის მაღალ საზურგეზე გამოჩუქურთმებული იყო ხარის ორი დიდი თავი, რქებზე ბორჯღალა მზე რომ ადგათ.

მდუმარებდა მზეღვთაების ქურუმი. შეკრებილთაც ხმა გაეკმინდათ. თითქოს ერთმანეთის სუნთქვაც კი ესმოდათ.

მეუფე თუმათის თვალთა უპეები ჩაშავებოდა უძილო ღამეებისა და მძიმე მარხვისაგან. მჭიდროდ მომუწულ, თხელ, უფერულ ტუჩებზე ძლივს შესამჩნევი მწარე ღიმილი გასწოლოდა. პატარა, ოდნავ კეხიანი ცხვირის სიფრიფანა ნესტოები უთრთოდა.

კელაპტრების შუქზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა ქურუმის თავზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს გვირგვინი, რომლის შუაგულში აგრეთვე ბორჯღალა მზე იყო ამოტვიფრული. მის გრძელ, იელისფერ სამოსზე იშვიათი ოსტატობით მზის პატარ-პატარა დისკოები იყო ამოქარგული. წელზე ოქრომკედით მოსირმული ოქროს ფართო ბალთიანი ქამარი ერტყა. მხრებსა და გულმკერდზე სწორი, ხშირი, ჭაღარა თმა ჩამოშლოდა.

მეუფე თუმათი თვალმილულული, სახეგამტკნარებული კარგა ხანს შეურხევლად იჯდა საკარცხულში, რომლის სახელურებისთვის ჩამოესვენებინა თავისი გამხდარი, დაძარღვული, შიშველი მკლავები.

სიჩუმე გრძელდებოდა: დაძაბული, დამუხტული სიჩუმე, რომლის დარღვევას შეკრებილთაგან თითქოს არავინ აპირებდა.

ბოლოს მეუფე თუმათიმ თვალები გაახილა. თითქოს ძილ-ბურანიდან ეს-ესაა გმოერკვაო, ქუთუთოები ნელა ასწია, ორად გაყოფილი წვეტიანი ნიკაპი წინ წამოსწია და ირგვლივ მიმოატარა მზერა. ქალები შეიშმუშნენ. მეუფე თუმათის ბასრმა, გამჭოლავმა მზერამ თითქოს ელდად დაუარათ სხეულში, კანი აებურძგლათ.

– უზენაესი ღვთაება ჩვენი, დიდი დედუფალთ-დედუფალი ნანა და ღვთაება მზე-ბჟალარა სასტიკად განრისხებულია ჩვენზე! – ისე ამოთქვა მეუფე თუმათიმ, თითქოს პირი არც გაუხსნიაო.

საერთო გმინვა აღმოხდათ ქალებს. ამ ერთიან ამოოხვრაში იყო რაღაც ზარდამცემი, შიშისმომგვრელი.

მეუფე თუმათიმ თლილი ხელის მტევნები ერთმანეთს შეატყუპა და თვალი ჭერისკენ აღაპყრო:

– დარეკა ჟამმა, დანნო ჩემნო და შვილნო ჩემნო! დარეკა ჟამმა! – კვლავ მარტო ტუჩებითღა წარმოთქვა, მერმე ისევ საზურგეს მიაწვა ბეჭებით და წარბს ქვემოდან შეათვალიერა თითოეული მათგანი.

ამ გამგმირავმა მზერამ თვალები დაახრევინა შეკრებილთ, თავები ჩაკიდეს, მოიკუნტნენ.

– ნიცა! შენ გვეზრახე! – მიმართა, შორიახლოს მდგარ მოხუც ქურუმს.

ბერმა ქურუმმაც ხელისგულები ერთმანეთს შეატყუპა და თუმათის მზერა გაუსწორა:

– ჩვენთან ყველაფერი მზად გახლავს, მეუფეო! ციცის მკვლელობამ მოთმინების ფიალა აღავსო. ნიშანსღა ველოდებით!

– ციცი... ციცი... – მეუფე თუმათიმ თვალები მოხუჭა წამით, გაყინულ, უძრავ სახეზე ჩრდილმა გადაურბინა: – ეს მსხვერპლი... საჭირო იყო ალბათ! – თითქოს თავისთვის ჩაიბუტბუტა, მერმე ისევ ასწია ქუთუთოები, ცივი, მსუსხავი მზერა მოავლო საკრებულოს:

– ცაბუ! ფუცუ! მზისახარ! მზეხა! ჟუჟუ! ძაბა! მზევინარ! გუგული! მზია! ნათია! – მეუფე თუმათი სათითაოდ მიმართავდა ყოველ მათგანს და ისინიც, მზადყოფნის ნიშნად, თავებს ხრიდნენ მორჩილად:

– ყოველივე მზად არის, მეუფე თუმათი!

– აღსრულდეს ღმერთების ნება!

– იდიდოს დიდი ნანას სახელი უკუნითი უკუნისამდე!

– კეთილი და პატიოსანი. შენ, შენ რას გვეტყვი, ფაცურა? რატომ გაჩუმებულხარ?

ფოთქი, ბავშვური სახის მქონე ქურუმი ფართოდ გახელილი, თაფლისფერი თვალებით ისე შეტოკდა სკამზე, თითქოს შოლტი გადაუჭირესო. კრძალვით ამოთქვა:

– ჩემი რაზმიც მზად გახლავთ, მეუფეო თუმათი!.. კარგა ხანია ვემზადებით ჩვენც.

– დაიცავით თუ არა სრული საიდუმლოება?

– დიახ, მეუფეო! ჩვენს რაზმში არიან ციცის გოგონებიც, ამაზე ციციმაც კი არაფერი იცოდა, მაგრამ...

– მაგრამ რა? – იკითხა მეუფე თუმათიმ მბრძანებლური ხმით, როცა ნორჩმა ქურუმმა სიტყვა გაწყვიტა.

– ისა, რომ... – ფაცურა დაიბნა. თვალები უმწეოდ აახამხამა. საცოდავი იერი გადაეკრა სახეზე. ტუჩების თრთოლვა რომ დაეფარა, გამწარებით იკვნეტდა მას.

მეუფე თუმათის მრისხანე მზერამ მოძებნა ჭროღათვალება, დროული მახვამურის თვალები:

„ღაღანა! ნაადრევი ხომ არ იყო ფაცურას კურთხევა?“ – უხმოდ შეეკითხა. ღაღანამაც უხმოდ, თვალებითვე გასცა პასუხი:

„შესაძლოა... ვიჩქარეთ!“

მეუფე თუმათი წამოდგა. მაღალ, გამხდარ კისერზე შესამჩნევად უთრთოდა დაბერილი ძარღვები. სრული სიჩუმე იდგა დარბაზში. ერთმანეთის გულისცემაც კი ესმოდათ თითქოს.

მეუფე თუმათიმ მცირე ხანს იყუჩა, მერმე დაიწყო თავისი გრძელი სიტყვა, რომელსაც თითქმის ჩურჩულით, სვენებ-სვენებით, აღმართზე ამავალივით წარმოთქვამდა. მერმე თანდათან შეუმაღლა ხმას, შინაგანი წვითა და გზნებით ანთებული, ხაზგასმული სიმკვეთრით მარცვლავდა თითოეულ სიტყვას:

– ძვირფასო დანნო, სულისმიერო შვილნო ჩემნო, ასულნო ცათა და მზისანო! აი, აქ, ამ წმიდა ალაგას, შევიკრიბენით ისინი, ვინც ჩვენი უკვდავი ღმერთების ერთგული მსახურნი და მორჩილნი დავრჩით. თქვენი უმეტესობა ხანმოთეული ბრძანდება და ჩვენ ყველას გვახსოვს, რანი ვიყავით გუშინ და რანი ვართ ახლა, დღეს. გახსოვთ ალბათ ისიც, ვით მოდიოდით უჩუმრად ჩემთან – ჩვენი ქალღვთაების წმიდა სამლოცველოში – უნუგეშონი, სასოწარკვეთილნი და მიზიარებდით ხოლმე თქვენი გულის ვარამს, შიშსა და წუხილს იმის გამო, რაც ხდებოდა და ხდება ჩვენს სათაყვანო, ღმერთების მიერ დალოცვილ იათნანაზე, მის კურთხეულ და მადლიან მიწა-წყალზე.

და ეს ჩვენი საერთო სატკივარი მატულობდა დღითი-დღე, თვიდან თვემდე, წლითი-წლობით, მოაქჟამამდე.

რაღაა დასამალი? ჩვენ, იათნანელი მახვამურები უძლურნი აღმოვჩნდით შეგვეჩერებინა ჩვენი გვარტომის ზნეობრივი, სულიერი თუ ხორციელი დაცემისა და გადაგვარების გულისმომკვლელი მსვლელობა.

თუმც ცა თავზე ემხობათ, ჭერი ენგრევათ, კერა ნელ-ნელა უცივდებათ, გარნა მათი ნათესავი ოშორელთა მსგავსად, მხართეძოზე წამოწოლილი იათნანელები უზრუნველად, უდარდელად შესცქერიან ყოველისფერ ამას – იმ იმედით, დაიცა, ეგების მოხდეს სასწაული და თავისით გადავრჩეთო. ეგების ნეტარმა ღმერთებმა კვლავაც მოგვხედონ მოწყალე თვალებით და არ გაგვწირონო. მანამდისინ კი, მანამდისინ ყოველგვარი საშუალებით ვეცადოთ მაძღრისად ცხოვრებასო. გარნა იათნანელებს დაავიწყდათ ის გარემოება, რომ ღმერთები შველიან მხოლოდ მამაცებს, გულადებსა და მორწმუნეებს და არა ლაჩრებს, გულდედლებს და მკრეხელებს, წინაპართა სახელის და მათ საფლავთა შემგინებლებს, თავის ღმერთთა უარისმყოფელებს და სხვათა კერპების თაყვანისმცემლებს, ავისმზრახველებს, ზნეწამხდრებს.

გადაივიწყეს მამა-პაპათა წეს-ჩვეულება: ლაღად, ლამაზად და სავსედ ცხოვრებაც რომ შეეძლოთ და მტრის მტრულად დახვედრაც იცოდნენ. გადაივიწყეს, რომ ძალგულოვანი მებრძოლები იყვნენ თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის, რომ არც არავის სჩაგრავდნენ და არც არავის ეჩაგვრინებოდნენ.

სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის სახელით იცოდნენ შემართებაც და თავგანწირვაც. ამადაც ვერც ვერავინ ერეოდათ. ახლა? ახლა მტერს, ჩვენდა სამტროდ, აურჩევია არა ოდენ შუბი და მახვილი, არამედ ცბიერება და ვერაგობა. გადაუწყვეტია, მძორების გროვად გვაქციოს, ზეზეურად რომ ლპება და იხრწნება.

ხოლო ჩვენ? რას ვუპირისპირებთ მტრების ფანდსა და ხერხს? მცონარობა შემოპარულებს, ოშორელებივით დაგვხშობია-მეთქი გულისყური, გონებაზე ბინდგადაკრულებს, განზე გადაგვიდვია ჟანგიანი იარაღი და ნელანელაობით ვიძირებით შმორიან წუნწუხოში.

მტრის მიერ ხერხიანად ნაგებ რაგვში[1] ბევრი ჩვენი თესლტომელივით ჩვენითვე ვყოფთ თავს, ოსტატურად ნასროლ ოჯიჯში ვიხლართებით და გულარხეინად მივცემივართ მშვიდ ძილს. გვძინავს, როს მტერი ძილფხიზლობს და გადარაჯებული, ჩვენი სულის ამოხდომის ჟამს ელოდება მელურად.

ჩვენი მამაკაცების უმრავლესობამ არ იკმარა ის, რომ დაივიწყა წინაპართა წმინდათა-წმიდა წეს-ჩვეულება: აბუჩად იგდებენ, ზოგან კი დაანგრიეს კიდეც ჩვენი სამლოცველოები და სანაცვლოდ ცდილობენ დაამკვიდრონ უცხო კერპთა თაყვანება. აიძულებენ დიაცებს ფინიკიელთა სისხლიან ღვთაებას – ბაალის შესწირონ თავიანთი პირმშოები, აიძულებენ – შელახონ ნათესაობის, სისხლშეურევლობის მამაპაპური ზნე-ჩვეულება.

მიწა ჟივდება უსაზმნოდ დაკლულ კურატთა სისხლით. იათნანელ მამრთა დიდზე დიდ ნაწილს სიამოვნებას გვრის ეს სისხლიანი ზორვა. მიუშვი ისინი ნებაზე და სისხლით მორწყავენ მთელ დედამიწას, მთელ ქვეყნიერებას! მათ სხვანაირად არც შეუძლიათ ეტყობა – ან ერთმანეთის სისხლი უნდა დაღვარონ, ანდა ტყეში ხოცონ უმწეო ნადირნი და ფრინველნი, რასაც ნადირობას ეძახიან და ამით მოიკლან სისხლის წყურვილი. სწორედ მამრთა ჩვენთა ხარბი, უძღომელი ვნება მოერეკება იათნანას ნაპირებისკენ სხვადასხვა ჯურის გადამთიელთა გემებს – არა ოდენ საქონლით დატვირთულებს, არამედ... მომსკდარან ღვარცოფად უზნეო, გარყვნილ დიაც-მახვამურთა ურიცხვი ლაშქარი – კდემაშემოძარცულნი, თავაშვებულნი, ავხორცნი!

მოვარდნილა უტიფარი, ურცხვი, ტლანქი სიშიშვლე: ჩლუნგი და უგვანი! რამეთუ ურცხვობა და ავხორცობა სხეულისა – დელგმაა და მეხთატეხა, მეწყერია და ზვავი, თქეშია და მერეხი! ამ ზნეწამხდარ დიაცთა დასთა-დასებითაც განუზრახავთ უცხოტომელებს იათნანას წახდენა.

ჰოი, ღმერთთა დიდო დია-უფალო! ნათელო მზეო ბარბალო! ბადრო მთვარევ! ზღვათა მეუფევ ოკეანოსო! ცისკრის ვარსკვავო და დილის ციაგო! ჩვენო დიდებულო ღვთაებანო! დამხობილია თქვენი წმინდა სალოცავები ჩვენი უღირსი მამრთა წყალობით! დამცრობილია ჩვენი დედოფლის ძალაუფლება და გადამთიელი კახპა დიაცი მართავს იათნანას – იათნანელი მამაკაცის მეშვეობით, ანუ სულმდაბალი და მხდალი უფლისწული ვაჩე სათამაშო ტიკინად ქცეულა ფინიკიელთა ხელში! იგი მზად არის თავისი უბადრუკი ტახტისთვის და სიმდიდრისთვის სულითხორცამდე მიეყიდოს უცხოტომელებს, ხელი აიღოს თავის გვარტომზე, გაწიროს მთელი ქვეყანა.

[1] მახე ნადირთა.

სუყველამ უწყით, ამის წინ გამართულ თავიანთ ტაკიმასხრულ სამსჯავროზე არც ერთი ჩვენი მახვამური დიაცი არ მიუწვევიათ, ის კი არადა, ახლოსაც არ გააკარეს არავინ სამსჯავრო შენობას. უწყით აგრეთვე, ვითარ უპატიურად მოეპყრნენ ჩვენს წარგზავნილებს, ციცის შეწყალებას რომ ითხოვდნენ – მოციქული დიაცები გაკოჭეს და საპყრობილეში ჩაყარეს!

დიახ! მოხდა იათნანაზე არნახული, არსმენილი სისაძაგლე! ფინიკიელთა ხელქვეითებმა შებღალეს უწმინდესი იათნანური ზნე-ჩვეულება! ფინიკიელთა საამებლად ფეხქვეშ გათელეს მთელი იათნანას ღირსება!

შებღალულია-მეთქი ჩვენი წეს-ჩვეულება, ჩვენი სჯული, ის, რაც გვიანდერძეს ჩვენთა მამა-პაპათა, ის, რაც გვიწერია ჩვენს ღვთაებრივ კირბისებში და გადმოგვეცა უხსოვარი, ოდის დროიდან!

ადრე, ჩვენთა დიაცთა უპირატეს მდგომარეობას ასაზრდოებდა არა ველურთა და ტყიურთა თავაშვებულობა – არამედ გონითა, სიკეთითა და საზრიანობით გასიგრძეგანებული, პირად ღირსებებზე დაფუძნებული – თავისუფლება! ამადაც იყო, ჩვენი დიაცნი ახერხებდნენ ხოლმე მოეთოკათ და აელაგმათ მამრთა თავგასულობა, წრეგადასული ძალაუფლებისმიყვარეობა!

ახავაი! რა ხდება ახლა?

ჩვენი მზისდარი ასულები – გაბერწებულნი, პატივაყრილნი და დამცირებულნი უცხო თესლთა მონა-მხევლებად იქცნენ ლამის!

ახავაი!

გვერღვევა სახლის დედა-ბოძი, რამეთუ ბევრი ჩვენ დიაცი ვეღარ უძლებს მამაკაცთა ამ შემოტევებს! და თუ დედა-ბოძი წაგვექცა, მაშ იათნანაც აღარ იარსებებს.

მაშ, უნდა მოისპოს განა და გაქრეს სამუდამოდ ამ ცისქვეშეთში აიაიელების შთამომავალთა სახსენებელი, რათა მომრავლდეს, მოსუქდეს და მოღონიერდეს ჩვენსავე მიწა-წყალზე ჩვენივე სისხლით ნაკვები და გაკეთებულ-დამშვენებული მოძულენი ჩვენი, კვირტში ამოყვანას რომ გვიპირებენ უჩუმრად თუ დაუფრავად?

ნუ იქნების ეგე!

ციცი გეგეშხეს ამბავიც გვარწმუნებს, იათნანას ძალუძს თავდაცვა და გადარჩენა, თუმცაღა ძვირი, ერთობ ძვირი დაგვიჯდება თავისუფლება!

გარნა... იათნანა უნდა დარჩეს იათნანად!

ამ ვრცელ სამზეოში ყველას გააჩნია თავისი მზვარე და იგი ხელშეუვალი უნდა იყოს სხვათათვის!

ხოლო ოდეს ჯანსაღ სხეულს შეეყრება ავი სენი, დროულად უნდა მოიკვეთოს დაავადებული ნაწილი, მინამ მძიმე სნება არ მოსდებია მთელ ტანს!

დედა-ღვთაება მოითხოვს ჩვენგან: უცხოთესლთან ერთად იათნანადან გაძევებულ იქნან იათნანელი მამაკაცები – ღრმა მოხუცთა, ჩვილთა და უშვილ-ძირო მახვამურთა გარდა!

ეს სასტიკი სასჯელი დაიმსახურეს მათ ღმერთთა ჩვენთა შეურაცხყოფისთვის, იათნანური წეს-განჩინების შებღალვა-შებილწვისთვის, იათნანას თავისუფლების ხელყოფისთვის!

და არ უნდა დაიღვაროს წვეთი სისხლი – არც უცხოელთა და არც იათნანელთა! არც ერთი წვეთი სისხლი – ასეთია ნება ღვთაებისა!

გაძევება, მოკვეთა სიკვდილზე უარესია იმისთვის, ვისაც იათნანური თავმოყვარეობა ოდნავ მაინც შერჩენია. უკეთუ მის სისხლში არ მინავლებულა აიაიას ნიშატი, უნდა ეცადოს, გამოისყიდოს თავისი დანაშაული და დაუბრუნდეს სამშობლოს – იათნანას! თუ არადა, სამარადჟამოდ ჩაირაზება მათთვის ჩვენი კუნძულის კარები! ვეღარასოდეს იხილავენ ისინი მამულის ცას და მთებს, ვეღარასოდეს დაიმარხებიან მამა-პაპათა წმინდა მიწაში!

დიაცები შეძლებენ დაიცვან იათნანას თავისუფლება!..

ჟამი რომ დადგება, ჩვენი დია-უფალი კვლავ გვამცნობს თავის ნებასურვილს და ჩვენც მორჩილად აღვასრულებთ მის ღვთიურ განჩინებას!

მანამდე კი, მანამდე უცვლელი და ურყევი იქნება ეს გადაწყვეტილება – უკეთუ გვსურს გადარჩეს ცის მოდგმა, მზის ჯიში და ჯილაგი!

თუმათი დადუმდა. ავბედითი სიჩუმე ჩამოწვა მღვიმის თაღებს ქვეშ, სიჩუმე, დატენილი ჭექა-ქუხილით!

– დაე, აღსრულდეს ღვთაების ნება! – დაიგუგუნა მერმე ერთხმად მთელმა დარბაზმა.

მუშტად შეკრული ხელებით დიაცთა საკრებულოს გამოჰქონდა თავისი განაჩენი მამრთა მიმართ.

– ჰოი, სისასტიკევ! ველურო სისასტიკევ! – დაიჩურჩულა ნორჩმა ქურუმმა და გონწასული გაიშხლართა ძირს. საერთო აღტკინების ჟამს არავის შეუმჩნევია ფაცურას წაქცევა. მაგრამ მეუფე თუმათის ქორულ მზერას არ გამოჰპარვია ყმაწვილი ქალის გულის შეწუხება. როცა ყიჟინა მიწყნარდა, თუმათიმ თვალით ანიშნა გვერდით მდგომ დიაცს და...

გულშეღონებული ფაცურა პატარა სენაკში გაიტანეს, რათა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფს, თავად აღარ ეხილა, თუ ვით აღასრულებდნენ ღვთაების განაჩენს იათნანელი ქურუმი ქალებისა და მეუფე თუმათის მიერ წლების მანძილზე საიდუმლოდ გაწვრთნილი დიაცთა

საგანგებო რაზმები, რომელთა ნაშიერთ შემდგომში ამაზონებს, ანუ ამორძალებს დაარქმევენ უცხო ტომელები.

ლაშქრობა იათნანაზე

ნიკას გამგზავრება

ნავსადგურის ყურეში ღუზაჩაშვებულ, დილისთვის გასასვლელად გამზადებულ ხომალდებს, დრომონებს, კატარღებს და ორჩხომელებს რომ გადახედა, გაოცების შეძახილი აღმოხდა...

ცუდი დღე დაუდგებათ მაგ ბედშავ ამორძალებს. მთელი ქვეყნიერება ამხედრებულა მათ წინააღმდეგო, გაიფიქრა.

ეტყობა, მართლა ძალიან საშიშ და სახიფათო მტრებად მიაჩნიათ ეს მეომარი ქალები, რაკიღა ასე ერთპირად და ერთსულოვნად აღმდგარან მათ დასალაშქრავად. თუმცა, დამიანე ბიძიას თქმით, ოქრო დიდი ოხერი რამაა. კარგი გასამრჯელოს მიღების და ნადავლის ჩაგდების წყურვილს აქ ბევრი სხვადასხვა ტომის ხალხისთვის მოუყრია თავი, მეტწილად მცირე აზიელები არიან: ფინიკიელები, ფრიგიელები, ლიდიელები, კილიკიელები და კიდევ, ვინ იცის, ვინ არა...

ბევრი მისი თანატოლიცაა ქალაქიდან: მათაც თავის გამოჩენის სურვილი ამოქმედებთ. ბრძოლაში პირველად ღებულობენ მონაწილეობას და თუმცა დიაცებთან უწევთ ომი, მაგრამ ჩანს, ანგარიშგასაწევნი არიან, რაკიღა ასე საგულდაგულოდ მოემზადა მთელი მილეთი.

დედას არ უნდოდა გაეშვა იგი ამ ლაშქრობაში. დედა და დები – ჰელა და ელენა ცხარე ცრემლით ტიროდნენ, მაგრამ ნიკამ თავისი გაიტანა მაინც: ესეც არ იყოს, სიტყვა სიტყვაა: არისტრახოს და ნიკიფეს – პატარა ბიძაშვილებს დაქადნებით შეჰპირდა: ცოცხალ ამორძალებს ჩამოგიყვანთ მონებადო.

რაკიღა გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს და ურყევად იდგა თავის აზრზე, რა უნდა ექნათ გზა დაულოცეს, თუმცა დედა და დები ჩუმ-ჩუმად იღვრებოდნენ ცრემლებად. გამომშვიდობებისას მამამისს, თითქოს ყოჩაღად ეჭირა თავი, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ იწიწკნიდა ულვაშებს, მიხვდა, მღელვარებას ძლივ-ძლივობით რომ იოკებდა.

დედა კი სულ წყევლა-კრულვას უგზავნიდა იმ მოსასპობ, ამოსაწყვეტ და არდასარჩენ ურცხვ დიაცებს, ასე რომ დაუკარგეს მოსვენება მთელ ქვეყნიერებას.

ერთადერთი, ვინც ამ გაწამაწიაში და ფუსფუსში სიმშვიდეს ინარჩუნებდა – ბაბუა გახლდათ. მას არც თანხმობა და არც უარი არ უთქვამს, როცა უფროსი ვაჟი ჩვეული მოკრძალებითა და რიდით დაეკითხა ნიკას

განზრახვის თაობაზე. ბაბუამ გაჩუმება არჩია რატომღაც, მხოლოდ მხრები აიჩეჩა. და ეს დუმილიც და უხმო მოძრაობაც, უფრო თანხმობის ნიშნად მიიჩნიეს.

ბაბუა რამდენიმე წლის წინ დახეიბრდა: ორივე ფეხი ჰქონდა წართმეული. დილით, კარგ ამინდში ჩაიყვანდნენ ბაღში, მისთვის საგანგებოდ გაკეთებულ წნულ სავარძელში მჯდომარეს, და დასვამდნენ ზეთის ხილის ძირში, საიდანაც იშლებოდა ზღვის მშვენიერი ხედი, ხოლო ავდარში, აივანზე იჯდა და საღამომდე გაჰყურებდა ზღვის სივრცეს. ბაბუას თავგადასავლებითა და ფათერაკებით სავსე ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი. მრავალ ქვეყანაში ყოფილა, მრავალი რამ უნახავს და განუცდია და, ამდენად, მოსაგონებელიც და საფიქრალიც ალბათ ბევრი რამ გააჩნდა. ისიც შეურხევლად, მოუწყინებელი გულისყურითა და აუმღვრეველი სიმშვიდით გასცქეროდა ამ უსაზღვრო სილურჯეს და, ვინ იცის, ამ დროს სად ქროდა მისი გონება, რა გარდასული სურათები ეხატებოდა თვალწინ.

უკანასკნელად... ბაბუასთან მივიდა გამოსამშვიდობებლად. ბაბუა ოცნებაჩამდგარი თვალებით უჭვრეტდა ზღვის ლურჯ უდაბნოს, მზის სხივებზე თევზის ტანივით რომ იქერცლებოდა და ბრჭყვიალებდა.

ბაბუამ თვალით ანიშნა, შორიახლოს დაგდებულ ჯორკოზე ჩამომჯდარიყო. მაინცდამაინც დიდად არ ეპიტნავა ახლა ეს დაყოვნება ნიკას, რადგან ერთი სული ჰქონდა, სანამ საომარი აღჭურვილობით დამშვენებული, გააჯირითებდა ცხენს ქალაქის ქუჩებში. ეგებ არეთასთვისაც მოეკრა თვალი შორიდან, ან ეგება... ერთი სიტყვით, ეჩქარებოდა, როდის გამოეჭიმებოდა თანატოლებს საომრად მორთულ-მოკაზმული.

მეტი რა ჩარა იყო, ჩაიმუხლა.

ბაბუა კარგა ხანს უცქეროდა დაკვირვებული მზერით. მისი ცისფერი, კამკამა თვალები ჩვეულებრივზე უფრო წყლიანი ეჩვენა. ლამაზი, მოკლე, თეთრი წვერით დამშვენებული მოხუცის სახეს თითქოს რაღაცნაირი უჩვეულო ათინათი დასთამაშებდა.

გრძელი თითები ერთმანეთში ჩაეხლართა. იჯდა, უყურებდა უსიტყვოდ. ამ დაჟინებულმა და, ცოტა არ იყოს, უცხო მზერამ შეაკრთო ნიკა, უხერხულობისგან შეიშმუშნა.

– რაო, სად მივდივარო, ბიჭო? საით გაგიწევია? – ჰკითხა ანაზდად მოხუცმა ოდნავ ხრინწგარეული, წყნარი ხმით.

„ერიჰა! ახლა თუ ყველაფერი თავიდან დავიწყე“...

– ბაბუა, ხომ იცი... მეჩქარება...

– არა, საით მიეშურები-მეთქი, გეკითხები მე და მიპასუხე, თუ შეიძლება.

ნიკა დაიწმაწნა ისევ. მერმე ცოტა გაგულისებულმა, მოკლედ მოუჭრა:

– საომრად მივდივარ ბაბუა!

– აჰა, საომრად! საომრად! ჰმ-ჰმ... – ბაბუამ ხმა ჩაიწმინდა: – ერთი ეს მითხარი, გეთაყვა, თუ შეიძლებოდეს, ვის ეომებით? ვისთან გიწევთ ჩხუბი?

„ჰმ! ვითომ არ იცის!“ – გაიფიქრა გაღიზიანებულმა.

– ამორძალებთან, ბაბუა. იათნანას კუნძულის ამორძალები უნდა დავლაშქროთ.

– აჰ. იათნანა!.. ამორძალები!.. – ბაბუამ კიდევ რაღაც ჩაიდუდუნა ცხვირში, თავისთვის.

წამოიწია.

– აბა, კარგად, ბაბუა...

– იჯექი მანდ! – უბრძანა უცებ ისეთი ხმით, რომ უნებლიეთ დაემორჩილა.

– მაშ, ისე გაგიხდათ ელინებს და ფინიკიელებს საქმე, რომ ქალების დასალაშქრავად მიდიხართ, არა?

მხრები შეაქანა ნიკამ. არ იცოდა, რა ეპასუხნა. ბაბუა ახლა ისევ ზღვას უმზერდა, თითქოს შვილიშვილის არსებობა სრულიად გადაავიწყდაო. კვლავ წამოიწია ნიკა ასადგომად. ბაბუამ მაშინვე იგრძნო მისი მოძრაობა, ირიბი მზერით გამოხედა:

– მერედა, იცი შენ, ვინ არიან ამორძალები, ან რა კუნძულია იათნანა?

– ბაბუა, რა დროს ეგენია? მაგვიანდება! – დაიჭყანა ბიჭი. თითქოს ნემსებზე ზისო, ისე ცქმუტავდა.

– არსადაც არ გაგვიანდება. მოესწრები კაცთა კვლას, ჰმ... უკაცრავად, ქალთა კვლას.

– ქალები არა! – გაუტრიზავა განაწყენებულმა: – რა ქალებია ეგენი! მამაკაცებივით ხმარობენ თურმე შუბს და მახვილს და მამაკაცებივით იბრძვიან. მოსვენება აღარ არის მაგათგან. მთლად თავს გაუვიდათ. დროა, ერთხელ და სამუდამოდ ვასწავლოთ ჭკუა. და ვასწავლით კიდეც: დიაცებმა თავიანთი ადგილი უნდა იცოდნენ. დედაწულიანად ამოვჟუჟავთ და ეგ იქნება! – სულმოუთქმელად, სხაპასხუპით წარმოთქვა ის, რაც აქამდე ასჯერ ჰქონდა მოსმენილი და გაგონილი უფროსებისგან.

ბაბუა ახლა ღიმილჩამდგარი თვალებით უცქერდა და ამ უწყინარმა, ჩუმმა ღიმილმა რატომღაც სიტყვა გაუწყვიტა.

– შენ ბალღი ხარ და გასაგებია, მაგრამ... – დაარღვია დუმილი ბაბუამ ფიქრიანი ხმით, მერმე თითქოს რაღაც იაზრაო, ენაზე იკბინა, გაყუჩდა.

– შენ იცი თუ არა, რომ ამორძალების ქვეყანა შენი წინაპრების სამ-

შობლოა! – მიახალა უეცრად. თითქოს ისარი გაურჭვესო გულში, ისე შეტორტმანდა ბიჭი. ბაბუა თვალს არ აცილებდა. ნიკა გონს მოეგო წამიერი დაბნეულობის შემდეგ, წელში გაიმართა, კისერი ამაყად ააღერა და ისე გაუსწორა ბაბუას მზერა:

– მე ელინი ვარ და არაფერი მაქვს საერთო ბარბაროსებთან!

– ხმა გაიწყვიტე, ლეკვო!

ბაბუას თვალებში მრისხანების ნაპერწკლები აენთო და ისეთი მწველი და სუსხიანი გახდა მისი მზერა, რომ ძალაუნებურად თვალები დახარა, ისევ ჯორკოზე დაეშვა და...

ერთბაშად თვალი შეასწრო დანარჩენ ჯალაბს: დედ-მამა, დები, პატარა ძმები მოშორებით შემდგარიყვნენ და ისე შემოსცქეროდნენ ორთავეს. ახლოს მოსვლა და საუბარში ჩარევა, ბაბუას რიდის გამო, ვეღარ გაებედათ.

– ერთი ამას უყურეთ ელინი... ბარბაროსი! – ბაბუას თვალებში ის საშიში ნაპერწკლები აღარ კიაფობდნენ ახლა. მაგრამ ჯერაც საავდროდ გამზადებულ, მოქურუშებულ ცას მიუგავდა ისინი.

– დღეს თითქმის არ არსებობს ელინი, რომელსაც ე.წ. ბარბაროსის სისხლი არ ედგას ძარღვებში. და ბევრი რამ კარგი და ღირებული, რაც გააჩნიათ, „ბარბაროსული“ სისხლის წყალობაცაა. ასეა ეს, და ის მიწა-წყალიც, რომელზეც ახლა მკვიდრობენ, ოდესღაც წაართვეს პელაზგებს – ამ ქვეყნების ძირძველ მაცხოვებელთ, მილეთიც და ბევრი სხვა ქალაქიც ამორძალთა-პელაზგთა სისხლისმიერ ნათესავთა, დაარსებულია. დიახ, ასეა სწორედ. ხოლო იათნანა, რომლის დასაპყრობადაც შენ მიბრძანდები, ყმაწვილო, იმ ძველი, ელინებამდელი ხალხის ერთი უმცირესი შტოა და იათნანელი ამორძალები იარაღით იცავენ თავიანთ წინაპართა სამკვიდროს, იცავენ თავიანთ თავისუფლებას. ხოლო, თუ მთლად ზუსტად გინდა იცოდე, პაპაჩემი კუნძულ იათნანადან იყო, დედა ამორძალი ჰყავდა, მამა მაკრიალელი პელაზგი. ცხრა წლამდე წესისამებრ იათნანაზე იზრდებოდა დედასთან. მერმე ხმელეთზე გადმოსვეს... მრავალ ქვეყანაში ხეტიალის შემდეგ დაეფუძნა ჯერ თებეში, მერმე ტიროსში, ტიროსიდან გადმოვსახლდით აქ, მილეთში. აი, საიდან არის შენი ფესვი და ძირი, ყმაწვილო! აი ვინ იყვნენ შენი შორეული წინაპრები. აი, ვისი სისხლი გიდგას ძარღვბში... სისხლი კიდევ... წყალი არ გახლავთ, არც ღვინო, რომ ადვილად შეიძლებოდეს მისი გადაღვრა ან გამოცვლა!.. სისხლმა შეიძლება მეათე თაობაშიც იყივლოს... თუმცა, თქვენთვის, ახლანდელი ახალგაზრდებისთვის, ამას მნიშვნელობა არა აქვს. თქვენ მარტო დღევანდელი დღით ცხოვრობთ, მარტო დღევანდელი დღის სიამოვნებასა თუ გართობას მისდევთ და ეძებთ, მარტო დღევანდელობით

სულდგმულობთ! ხოლო რა იყო გუშინ, და რა იქნება ხვალ – ამაზე თქვენ ყველაზე ნაკლებად ფიქრობთ. ომიც თქვენთვის თავშესაქცევი გართობაა და დროსტარება. თუმცა... შეიძლება... ეს ასეც უნდა იყოს!

ბაბუა დადუმდა. არასოდეს უნახავთ იგი სხვა დროს ასე აღელვებული. ასე გაცხარებული და არც არასდროს ულაპარაკნია მასთან ამდენი. დინჯი და მშვიდი ბაბუა თვალებით უფრო საუბრობდა, ვიდრე ენით.

კარგა ხანს დამეხილივით იჯდა. მისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ის გარემოება, რომ „ბარბაროსის“ სისხლი ჰქონია თურმე ძარღვებში, მაშინ როცა ტოლ-ამხანაგებში თავი მოჰქონდა წმინდა ელინური წარმომავლობით. ამ ამბავმა დიახაც რომ დასცა თავ-ზარი. პირველი აზრი, რამაც გაუელვა, იყო: „კიდევ კარგი, ჩემს მეგობრებს არ ესმით ეს საუბარი!“

– ამ ზოგ-ზოგ ყოყლოჩინა ქურდებს არა მარტო მიწა-წყალი და ქონება აქვთ ნაპარავი – სისხლიც ნაქურდალი აქვთ: ჯიშიანი სისხლი პელაზგთა, ანუ აიაელების! - მოესმა ბაბუას სიტყვები. ვერ კი მიხვდა, სახელდობრ, ვის გულისხმობდა ბაბუა ქურდებში: ელინებს თუ ფინიკიელებს, მაგრამ საშინლად გაუკვირდა ერთი რამ: როგორ გამოიცნოო ბაბუამ ჩემი ნაჩუმათევი ფიქრი.

– და შენ ყმაწვილო, ერთი რამ გახსოვდეს: ამორძალები ჰელიოსის მოდგმაა და თავადაც მზესავით თვალშეუდგამი, სწორუპოვარი სილამაზითა და ამაღლებული სულით ბრწყინავენ. ახლა წადი. რომც დაგიშალო, ვიცი, არ დაიშლი. შენს ასაკში მეც მასე მოვიქცეოდი ალბათ!.. კაცთა მოდგმა საერთოდ ეტყობა იმისთვისაა გაჩენილი, რომ ბრმა და ყრუ იყოს მშვენიერების მიმართ, ნაჯახით, ცეცხლით, მახვილითა და შუბით უნდა მოსრას, გადაჯეგოს და გადათქეროს მშვენიერების სამკვიდრებელი!

* * *

ძია ერასტოს ხმა ნანინასავით ჩაესმოდა ყურში. ძილ-ბურანში ჩავარდნილი, ამაოდ ებრძოდა თავს, დამძიმებული ქუთუთოები ვერა და ვეღარ ასწია. არის ხოლმე ისეთი წამი, ძილქუში რომ დაგაწვება, გინდა ხმა ამოიღო და ენა ვერაფრით ვერ მოგიბრუნებია პირში... წვალობ, ჯახირობ, მაგრამ ყველაფერი ამაოა.

– შენზე ამბობენ, ძია ერასტო, იათნანაზე ხარ ნამყოფი, ამორძალებთანო, მართალია?

სწრაფად გამოფხიზლდა. წამოჯდა. სამარისებური სიჩუმე იდგა გარშემო. ყველანი უხმო მოლოდინით მისჩერებოდნენ ძია ერასტოს, რომელსაც ხმა გაეკმინდა.

საოცარი კაცი იყო ძია ერასტო: ჭარმაგი, ბრგე, ახოვანი ვაჟკაცი, შეჟღალებული წვერ-ულვაშით, კეხიანი, მაღალი ცხვირით, ფართო ბეჭებით, ოდნავ მხრებში მოხრილი ისე დადიოდა მათ შორის, როგორც ბებერი ძერა წამოჩიტულ ბახალებში. ხნიერნიც და ახალგაზრდანიც ძიას ეძახდნენ ამ ენაწყლიან, ხალისიან, მუდამ მოცინარი სახის მქონე კაცს.

ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გუმბათი დამხობოდათ თავზე და ღუზაჩაშვებული ხომალდი ნელ-ნელა ირწეოდა, ძილისა და მოსვენებისკენ ეწეოდა მოლაშქრეებს, ძია ერასტო კი ჩამჯდარიყო ახალგაზრდებს შორის და თავისებურად, ცოტა ტლანქად და უხეშად ენამახვილობდა. ირგვლივ ყველანი ხორხოცობდნენ და უფრო და უფრო აქეზებდნენ, რომ მეტად გაელესა ენა, უფრო უხვად გადმოეფრქვია ოხუნჯობის ნიაღვარი.

ძია ერასტოსაც ჭავლი არ ედებოდა ენაზე და იყო ერთი გაუთავებელი მხიარულება და გოზგოზი.

ახლა კი, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, ერთმანეთის გულის ბაგაბუგიც ესმოდათ.

იმავე ხმამ, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ იკითხა:

– რატომ გაჩუმდი, ძია ერასტო? ტყუილია განა?

– არა, მართალია ეგ, ყმაწვილებო! – მცირე ხნის შემდეგ როგორღაც ამოოხვრით თქვა ძია ერასტომ.

– მართალია?.. ნუთუ? – ერთად წამოიძახა რამდენიმე ხმამ, უფრო ახლოს მიიწიეს ძია ერასტოსკენ: – არა სტყუი, ძია ერასტო?

– არა, არ ვტყუი, ბიჭებო. ერთი თვე ვცხოვრობდი ამორძალებთან, იათნანაზე, მაგრამ ეს იყო დიდი ხნის წინ, მაშინ თქვენ დაბადებული არც იქნებოდით, მეც სულ ახალგაზრდა ვიყავი იმ დროს.

– მერე? მერე, ძია ერასტო? როგორ მოხვდი ამორძალებთან? მოგვიყევი რა, ძია ერასტო, ძალიან გთხოვთ! – აჟრიალდნენ ყველანი ერთხმად. და უფრო შეამჭიდროვეს წრე ძია ერასტოს გარშემო. რომც ნდომებოდა, ამ რკალს ალბათ, ვეღარ გაარღვევდა იგი.

– რა გაეწყობა, მოგიყვებით, ყმაწვილებო! – დათანხმდა იგი ბოლოს, ეტყობა, შინაგანი ყოყმანის შემდეგ, – რაკი ასე ძალიან გინდათ... თუმცა, ვფიცავარ ზევსს, ახლა ამის გახსენება მაინცდამაინც დიდად არ მსიამოვნებს...

ერასტო ფეხებგაჩაჩხული იჯდა გემბანზე და ახალბედა მოლაშქრენი, მოწადინენი და მოსურნენი ომის ხელოვნების დაუფლებისა, გარს შემორტყმოდნენ ნაცადსა და გამოცდილ მეომარს, ვით ღლაპები მიმინოს და კაშკაშა, მთვარით განათებულ ღამეში, ზღვის ტალღების ნელ ტყლაშუნში, ზღვაურის საამო შარიშურში, რომელიც აუხსნელ, იდუმალ

და ზღაპრულ იერს აძლევდა ირგვლივ ყოველივეს, მზერად და სმენად ქცეულნი, – სულგანაბულნი უსმენდნენ მის უჩვეულო თავგადასავალს.

ძია ერასტო

– როგორც გითხარით, ყმაწვილებო, დიდი ხნის წინანდელი ამბავია ეს, მაშინდელი, როცა პირტიტველა ბიჭი ვიყავი ჯერაც.

კუნძულ ხიოსზე ვცხოვრობდით. მამაჩემს მიწის პატარა ნაკვეთი ჰქონდა და მისი შემოსავლითა და მეთევზეობით ვირჩენდით თავს ჩვენი მრავალრიცხოვანი ოჯახი. და-ძმებში ყველაზე უფროსი მე გახლდით. ამიტომ მამასაც ყველაზე ადრე მე ამოვუდექი მხარში.

ერთხელ, ეს იყო გაზაფხულის ბუნიობის ჟამი, მამა შეუძლოდ გახდა და ყანაში მუშაობაც მარტო მე მომიწია.

მივუყვებოდი ერქვანს ოფლში გაღვარული, დაღლილი, მაგრამ გადაბრუნებული ბელტების სუნი, აფეთქებული გაზაფხულის სუნთქვა ცხვირში მიღიტინებდა და სიამით მიძგერებდა გულს და მეც გრძნობამორეული, ჩემთვის, ჩუმად ვღიღინებდი.

უცებ რაღაც უჩვეულო ყიჟინა შემომესმა ზღვის მხრიდან. ყური ვცქვიტე. სმენად ვიქეცი. მტერი ხომ არ შემოგვესია მოულოდნელად ან მეკობრეები ხომ არ დაესხნენ თავს სანაპიროს-მეთქი. ამის გაფიქრება იყო და დავინახე, მინდორზე ჭენებით როგორ მოჰქროდნენ უცხო მხედრები.

სანამ რამეს გავაცნობიერებდი, რამდენიმე მათგანმა ჩამიქროლა, თვალის დახამხამებაში ამიტაცეს ზევით, გამკოჭეს, მერმე ერთ-ერთმა ცხენის გავაზე მომიგდო ტომარასავით და შემდეგ ისეთივე უცნაური კიჟინით ზღვისკენ გაქუსლეს

სანაპიროს რამდენიმე გემი მოსდგომოდა. წამიც და... ღრმა მუცლიანი ხომალდის ფსკერზე მოვადინე ზღართანი.

ყველაფერი ეს ისე ელვისებური სისწრაფით მოხდა, რომ ვერც კი გავიაზრე ხეირიანად, რა უბედურება ტრიალებდა ჩემს თავზე.

როცა გონს მოვეგე, შევნიშნე, რომ ჩემს გვერდით ასევე გაბაწრული კაცები ეყარნენ. ყველას მჩვარით გვქონდა პირი გამოტენილი.

არც დაყვირების, არც მით უმეტეს, ერთმანეთთან დალაპარაკების საშუალება გვქონდა. მივხვდი, რომ გვიტაცებდნენ და ასე თევზებივით გვყრიდნენ გვერდი-გვერდ. მაგრამ ვინ იყვნენ ჩვენი გამტაცებლები?

თვალები ლამის შუბლზე მქონდა აცვენილი. ასე მეგონა, ყველაფერი, რასაც ვხედავ, და რაც ხდება ჩემს გარშემო, სიზმარია-მეთქი. ანდა ჭკუიდან გადაცდენილად უნდა ჩამეთვალა თავი და დამესტვინა. ალბათ ასეც მოვიქცეოდი, პირი რომ გამოტენილი არ მქონოდა ჩვრით და ხელფეხი-შებოჭილი თოკით.

მოკლე ტუნიკიანი, მკლავშიშველი, ოქროსთმიანი მზეთუნახავები იყვნენ ჩვენი გამტაცებლები. ბავშვობაში განაგონი მქონდა თქმულებები ამორძალებზე, მაგრამ მათი ამბავი როგორც ზღაპრები და მითები, ისე ჩამითვლია. და აბა, როგორ წარმოვიდგენდი, რომ სინამდვილეში, მართლა არსებობდნენ და არამცთუ არსებობდნენ, გვიტაცებდნენ კიდეც!

მადლობა ღმერთებს, თვალები არ აუხვევიათ, ეტყობა, ეს გამორჩათ, ანდა ჩათვალეს, რომ ჩვენს მზერას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა მათთვის – ჩვენი გამტაცებლები არხეინად მიმოდიოდნენ და ისე იქცეოდნენ, ისეთი უდარდელი, დაუდევარი სიცილ-კისკისით და ტკრციალით, გეგონებოდათ, ადამიანები კი არა, მართლა თევზები დაუჭერიათ, ერთად შეუქუჩებიათ ასხმარტალებულნი და მალე სუყველას ერთ საერთო კასრში გადაუძახებენო. მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, ყმაწვილებო, იმდენად საოცარი, არაჩვეულებრივი და დაუჯერებელი ჩანდა ჩვენს ირგვლივ ყველაფერი, რომ სულ არ მედარდებოდა, რა მომივიდოდა ხვალე, რა ბედს მიმზადებდა ჩემი წერა-მწერალი.

ალბათ მართლა ძალიან სასაცილოდ გამოვიყურებოდით, რადგან ჩვენი გამტაცებლები წამდაუწუმ კისკისებდნენ, რაღაცას ჟღურტულებდნენ ჩვენთვის გაუგებარ ენაზე, მერმე ცხენებს ესათუთებოდნენ, ეფერებოდნენ ჩვენს თვალწინ ისე, თითქოს ჩვენ აღარც ვარსებობდით, ანდა უსულო საგნები ვყოფილიყავით. მაშინ პირველად ჩემს სიცოცხლეში ვინანე, რატომ ცხენად არ გამაჩინეს ღმერთებმა-მეთქი, რომ ამ მზეთუნახავების ალერსის ღირსი გავმხდარიყავი. თქვენ იცინით, ბიჭებო, მაგრამ სხვების არ ვიცი და მე ნამდვილად ამას ვფიქრობდი, რადგან დედის მუცლიდან შეუძლებელი იყო შობილიყვნენ ესოდენ სრულყოფილი სილამაზის დიაცები.

თმები მოკლედ ჰქონდათ შეჭრილი და ახლა, როცა მუზარადი აღარ ეხურათ, მზის სხივებზე ისე ბზინავდა და ლაპლაპებდა ისინი, თითქოს მართლაც ბაჯაღლო ოქროსი ყოფილიყვნენ. ტანმაღალნი იყვნენ, თეთრები და ისე მოხდენილად და მსუბუქად დადიოდნენ, თითქოს დაფრინავენო. შხვართ წვივებზე ვერცხლისფერი წვივსაკრავები შემოერტყათ. და ისე შვენოდათ საომარი აღკაზმულობა, თითქოს დედის მუცლიდან გამოჰყოლოდათ იგი.

– ნუთუ მართლა ასეთი ლამაზები არიან ამორძალები? – იკითხა ანაზდად ვიღაცამ ეჭვნარევი ხმით.

– ოოხ! – გმინვასავით აღმოხდა ძია ერასტოს. მცირე ხანს იჯდა გაყუჩებული, მერმე სვენებ-სვენებით ამოთქვა: – სანამ თქვენ თვითონ არ ნახავთ, ბიჭებო, მანამ არ დაიჯერებთ, რომ დიაცის მუცლიდან შეიძლება იშვას ისეთი სრულქმნილი არსებანი, როგორიც ამორძალებია!

ძია ერისტო ისევ გაჩუმდა. დანარჩენებიც დუმდნენ.

– მერე? ერასტო ძია, მერე რა მოხდა? – გაისმა ბოლოს ვიღაცის მოგუდული, მღელვარებაშეპარული ხმა.

ძია ერასტომ ღრმად ამოიხვნეშა:

– ჰო, იმას ვამბობდი, ყმაწვილებო! თვალები ღია მქონდა და გაუნძრევლად ვიწექი იმავე ადგილას, სადაც დამანარცხეს. უცებ ვიღაცის თეთრმა, მშვენიერმა ხელებმა ჩვარი ამომიღო პირიდან.

– რაო, ხომ არ გაგიტკბა, ბიჭო, წოლა? იქნებ დარჩენილიყავი ასე დილამდე, ჰა? – დახვეწილი, მშვენიერი ბერძნულით შემესიტყვა ამორძალი და გაიცინა. მერმე თოკის შეხსნას შეუდგა.

ოჰ, ღმერთო! არასოდეს მსმენია აქამდე ასეთი რაკრაკა, საამო სიცილი. თვალები მოვხუჭე. ოღონდ ეს ხელები შემახე და თუ გინდა ისევ კვლავ გამთოკე-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ ხმა თითქოს წამერთვა, ენა აღარ მემორჩილებოდა.

პასუხად გაუგებრად წავილუღლუღე რაღაცა. მან ისევ გადაიკისკისა და მეც გამოლენჩებული, აზრდაკარგული, მორჩილად და თვინიერად ვასრულებდი ყოველ მის ბრძანებას, რასაც იგი უხმოდ, ხელების დედოფლური მოძრაობით მანიშნებდა (ის სიტყვები იყო ერთადერთი და უკანასკნელი, რაც მე მოვისმინე მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჩვენ მივცურავდით იათნანასკენ).

ფეხებზე კი შეგვხსნეს თოკი, მაგრამ ხელებზე დაგვიტოვეს. გვავახშმეს. მერე დასაძინებელი ალაგები მიგვიჩინეს და დაგვტოვეს მარტო. ყველაფერი ეს ხდებოდა უსიტყვოდ, უხმოდ, მარტო ხელების მოძრაობით. ეტყობა, ასე ერჩიათ ჩვენთან ურთიერთობა ჯერხნობით.

ისე ვიყავი გაბრუებული, როგორც მაშინ, როცა მსუბუქი, შუშხუნა ღვინო ჟრუანტელად დაგივლის ხოლმე ძარღვებში და ტან-იოგში დაგშლის. არაფერზე არ ვფიქრობდი: არც წარსულზე, მით უმეტეს მომავალზე, იმაზე, თუ რა მელოდა ახლო ხანებში. ახლაც არ ვიცი, მართლა დაგვალევინეს რაიმე ნექტარი თუ ისე გამოვშტერდით, ერთი კია: ცხვრის ფარასავით მორჩილად ვასრულებდით ყოველივეს, რასაც გვიბრძანებდნენ. მე მეგონა: საოცრად ლამაზ, ჯადოსნურ სიზმარს ვხედავ-მეთქი და, სიმართლე რომ ვთქვა, სულ არ მინდოდა გამოვფხიზლებულიყავი.

მერეც, გემიდან რომ ჩამოგვსხეს, გამობენტერებული ვიყავი კარგა ხანს. ერთ რამეს კი ვხედავდი, ლამაზი ბუნების წიაღში რომ მივდიოდით.

არც მანამდე და არც შემდეგ, თუმცა მერე მრავალი ქვეყანა მოვიარე, ეგეთი აბანო არ მინახავს, როგორშიც გვიკრეს თავი. არც ასეთი ნელ-საცხებლის სუნი მიყნოსია ოდესმე – ასეთ ნელსაცხებლებს ალბათ

ოლიმპოზე, ღმერთები და ღმერთქალები თუ იცხებენ.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემს დაბინდულ წარმოსახვაში არსებობდნენ მხოლოდ ის მშვენიერი, თეთრი ხელები და ამორძალის ენითგამოუთქმელი, სანეტარო სიცილი მედგა ყურში. ოღონდ ერთხელ კიდევ შემხებოდნენ ის ხელები, ოღონდაც ერთხელ კიდევ მომესმინა ის სიცილი და მზად ვიყავი, დაუყოვნებლივ ჰადესში, პლუტონის სამეფოში გავმგზავრებულიყავ.

ყველაფერი თითქოს ძილ-ღვიძილში ხდებოდა. ისიც თუ როგორ ჩაგვამწკრივეს ახალთახალ ტანსაცმელში გამოწყობილნი, დაბანილ-დავარცხნილნი და გალამაზებულნი. მერე რომელიღაც ქალღმერთი მოგვეახლა: მხარზე ოდნავ გვადებდა ხელს, რაღაცას წარმოთქვამდა, მერე გამოგვაცალკავებდნენ და სათითაოდ მივყავდით ასეთსავე მშვენიერ ქალღმერთთან.

ვგრძნობდი, რომ პირზე სულ ერთთავად, სულელური ღიმილი დამთამაშებდა. ჩემს მეწყვილესთან რომ მარტო დავრჩი, მახსოვს, საჩვენებელი თითი შევახე მკლავზე – რომ დავრწმუნებულიყავი, ცოცხალი არსებაა თუ მარმარილოს ქანდაკება-მეთქი. თუმცა ეს მარმარილოს ქანდაკება მოძრაობდა, თვალებს ახამხამებდა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ უხორცო ქალღვთაება იყო, ღმერთების მიერ გამოგზავნილი საგანგებოდ ჩვენდა გასაბრიყვებლად და მოსაღორებლად. მერე გავთამამდი და ხელის მტევანზეც მოვკიდე ხელი – იგივე თეთრი, მშვენიერი ხელი აღმოჩნდა, მე რომ გემზე თოკი შემხსნა. გვერდულად ავხედე. სახეზე ვეღარ ვიცანი. ვეღარც ვიცნობდი, რადგან თითქოს ყველა ერთმანეთს ჰგავდა, ვეღარ გამოარჩევდი ერთს-მეორისაგან. ის სიცილიღა ჩამრჩენოდა ძალუმად გულის ერთ კუნჭულში, თუკი იმდაგვარად გაიცინებდა, როგორც გემზე, მაშინ „ის“ იქნებოდა, მაგრამ გაიცინებდა კი?

ჩემმა მეწყვილემ შემომღიმა – ალბათ ისეთი ბრიყვული, შტერული გამომეტყველება მქონდა, შევებრალე, მოწყალება გაიღო და ღიმილით გამამხნევა.

ჰოი, ნეტარებავ! ცა გამეხსნა. მზემ შემომცინა თითქოს. ჩემი ამორძალი მე მიღიმოდა.

სახე გამებადრა. ტუჩები ყურებამდე გამეხა და მერე ვეღარც მოვუყარე თავი პირს.

სადღაც, ჰაეროვან სვეტებიან ტაძარში შეგვიყვანეს. უცხო, არგაგონილი ჰანგები იფრქვეოდა გარშემო. სიყვარულის ღმერთის საკურთხეველთან მივიტანეთ ყვავილები და ხილის ნაყოფი – ჯერ რომ არასოდეს თვალით არ მენახა – ისეთი. მერმე, უჩვეულოდ მოხატულ, ლამაზ, მარმარილოს დიდ დარბაზში იყო გაშლილი საერთო ქორწილის სუფრა.

ჩვენ ჩვენი მეწყვილეებით ვისხედით ჭრელ ფარდაგებზე და ვსვამდით ოლიმპოს ღმერთების სასმელს ამბროზიას და ნექტარს. შევექცეოდით უცხო, უგემრიელეს საჭმელებს. მერე ჩვენი ამორძალები როკავდნენ. ფერხულს უვლიდნენ ხან ერთად, ხანაც მარტონი. ეს იყო უნაზესი, უმშვენიერესი ფერხისაი მზის ასულთა: თავად სილბო, თავად სიფაქიზე, თავად ალერსი...

ვეღარ წარმომედგინა, თუ ამ საოცარ, ნაზ ქმნილებებს ოდესმე მახვილი ეჭირათ ხელში.

მათი დედოფალი მომაღლო ტახტზე იღერებდა ყელს. ცოტა ქვემოთ, უფრო მომცრო ტახტზე უმშვენიერესი ყმაწვილი ნახევრად წამოწოლილიყო ყურთბალიშებზე.

ამორძალების დედოფალიც თხოვდებოდა ამ დღეს და მერე, როგორც გავიგე, ასეთი ქორწილი მეორდებოდა ხუთ წელიწადში ერთხელ – გაზაფხულის ბუნიობის ჟამს.

ახლაც იდგა ბუნიობა. და ამორძალები ქორწინდებოდნენ მათ მიერ მოტაცებულ მამაკაცებზე!

და ეს ქორწილი ჰგავდა ოლიმპოს ღმერთებისა და ღმერთქალების ქორწილს, რადგან ამის შესადარ სილამაზეს და დიდებულებას სხვას ვერაფერს წარმოისახავდა კაცის უბადრუკი გონება. და შენ იყავი ერთ-ერთი ამ ღვთაებათაგანი. და შენ გვერდს გიმშვენებდა ერთ-ერთი ამ ქალღმერთთაგანი – მზის შთამომავალი!

მერე ცალ-ცალკე დაგვანაწილეს ლერწმისა და ყვავილებისაგან მოწნულ ქოხებში, სადაც ერთი თვე უნდა დავმტკბარიყავით ერთიმეორის ალერსით და სიყვარულით...

ერასტო ძია ისევ გაჩუმდა. სხვებიც გატრუნული, სულთქმაშეკრულნი ისხდნენ.

ნიკას გული გამეტებით უცემდა. არც დანარჩენები იყვნენ უკეთეს დღეში.

– მერე? მერე რა მოხდა, ერასტო ძია? – იკითხა ვიღაცამ ჩამწყდარი ხმით.

– მერე? აბა რა გითხრათ, ჩემო ბიძიებო? თუკი ამ ცოდვა-ბრალიან დედამიწაზე, კაცთა მოდგმას შორის არსებობს ბედნიერება, – ბედნიერი ვიყავი იმ ერთ თვეში, რაც მე ჩემს ამორძალთან გავატარე. მაგრამ როგორც ყველაფერს ამქვეყნად, ბედნიერებასაც დასასრული აქვს. ღმერთები მსხვერპლს მოითხოვენ ბედნიერების სანაცვლოდ. იმ ერთი თვის ზღაპრული, საარაკო და არაამქვეყნიური ნეტარება უნდა დასრულებულიყო..

– რომ ამბობენ, აბა, ამორძალები ხოცავენო მამაკაცებს, ძია ერასტო, ტყუილია?

– ტყუილია, მაშა! ჭორია, რასაკვირველია! უგონებენ ამორძალებს ბოღმიანი, შურიანი კაცები, – ერთბაშად გაცხარდა ძია ერასტო: – განა ვერა ხვდებით, რომ ტყუილია?

– გვიამბე, აბა, რა მოხდა მერე ძია ერასტო?

– მოასვენეთ, ბიჭებო, კაცი. ეგება ეძნელება წარსულის გახსენება, – გამოიჩინა რომელიღაცამ გულმოწყალება და სცადა დაეშოშმინებინა ამხანაგები, მაგრამ ყველანი ისე იყვნენ აღტკინებულ-აღგზნებულნი, რომ ახლა მათზე ვერ გაჭრიდა ვერანაირი შეგონება. ეს ციებ-ცხელებიანი ცნობისწადილი უნდა დაკმაყოფილებულიყო.

საერთო გულისთქმა, ეტყობა, იგრძნო თვით ერასტომაც, თუმცა დიდი გულთამხილაობა და მისნობა არც სჭირდებოდა ყმაწვილთა სურვილის გამოცნობას. ერასტო ძია თანახმა გახდა გაეგრძელებინა თხრობა:

– ერთი რამის თქმა დამავიწყდა წელან თქვენთვის, ყმაწვილებო. როცა მე ამორძალებთან მოვხვდი, თუმცა ძალზე ახალგაზრდა კი ვიყავი, მაგრამ უკვე ცოლშვილიანი გახლდით. როგორც ხდება ხოლმე ჩვენში, მშობლებმა შემრთეს ჩემი ტოლი გოგონა ჩვენივე სოფლიდან. წლინახევრის ბიჭიც მყავდა უკვე და მეორეზეც ფეხმძიმედ იყო ჩემი ცოლი, როცა განგებამ ამორძალის ქმრობა მარგუნა წილად.

ვითარცა გითხარით, ამორძალები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ ქორწინდებიან. ასე რომ, მთელი ცხოვრების მანძილზე შეიძლება რამოდენიმე ქმარი გამოიცვალონ. მთავარია მათთვის – შვილების, შთამომავლების გაჩენა. ცხადია, მხოლოდ გოგონებს იტოვებენ, ხოლო ბიჭებს ცხრა წლამდე ზრდიან, მერმე ჩასხამენ გემებში და ხმელეთზე გადმოსვამენ ხოლმე მამების სამშობლოში.

...თეასთვის მე პირველი მამაკაცი აღმოვჩნდი. თითქმის სულ ბავშვი იყო გარეგნულად, თუმცა 18 წლის კი იყო უკვე. თხელი, ნაზი, ლერწამივით მოქნილი გახლდათ და სათუთი ბუნების. ერთბაშად, უცებ შემიყვარა თეამ. შესახედავად მეც არა მიშავდა რა მაშინ, გვარიანი ბიჭი ვიყავი.

მე, რომელსაც ქალისა და კაცის ურთიერთობა ცოლ-ქმრულ მოვალეობად რომ მიმაჩნდა მხოლოდ, უცებ წამლეკა ჯერ არგანცდილმა, საოცარმა გრძნობამ. უცებ მივხვდი, რომ არსებობს კიდევ სხვა რაღაც – ენით უთქმელი, საარაკო.

თეა ჩემთვის თითქოს არც იყო მიწიერი, ცოცხალი არსება. თრთოლვითა და კანკალით, მოწიწებითა და უზომო კრძალვით ვეხებოდი მის ღვთაებრივ სხეულს. იგი ჩემთვის ციდან გამოგზავნილი საჩუქარი იყო – არ ვიცი რატომ და რისთვის, რა დამსახურების გამო ნეტარი ღმერთებისგან ბოძებული. დიახ, ასეთი შეგრძნება მქონდა, ყმაწვილებო, და

მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა, ჩვენ მაინც ახალგაზრდები ვიყავით: ცოცხალი, ხორციელი არსებანი.

...თეამ ერთი-ორჯერ წამიყვანა თავის სალოცავებში: მზეს და მთვარეს, ციურ მნათობებს, ვარსკვლავებსა და ზღვის ღვთაებებს ეთაყვანებიან, რომელთა სახე-ხატებად მიიჩნევენ – განსაკუთრებით ხარს, ლომს, ირემს, გარეულ ტახს, ცხენსაც კი, ხოლო მცენარეებიდან: მუხას, რცხილას და... რასაკვირველია, ვაზს! მაგრამ უმთავრესი, უზენაესი ღვთაება მათთვის მაინც ღმერთების დედა, ცის და სამყაროს უსაზღვროების განმგებელი ქალღმერთი ნანაა.

უჩვეულოა მათი თაყვანების წეს-ჩვეულება: სისხლიან მსხვერპლთშეწირვას არ ცნობენ.

საოცარია მათი სატაძრო ცეკვები და საგალობლები. საოცარია მათი საკრავები. და უცნაური ის გახლავთ აგრეთვე, რომ საჯაროობის მოყვარულნი, მაინც ინარჩუნებენ განმარტოების, თავისთავთან მარტო ყოფნის უნარს. რამდენჯერ შემინიშნავს, ერთად ყოფნისა და ალერსის ჟამსაც კი, უცებ ჩემი თეა თითქოს ეთიშებოდა ამქვეყნიურს და სადღაც, ჩემთვის მიუღწეველ და თვალშეუდგამ სივრცეებში ქროდა მისი გონება, თუმცა ეს წამიერად ხდებოდა, მე მაინც ვგრძნობდი, რომ თეას სული იმწუთებში რაღაც სხვა, იდუმალ ძალებს ეკუთვნოდა და ჩემთან მხოლოდ მისი ტანი – ამ სულის ჭურჭელი რჩებოდა. სამაგიეროდ, საოცარი იყო იქიდან მობრუნებული თეას სითბო და სინაზე. ამის გადმოცემა, მით უმეტეს აღწერა, შეუძლებელია, ყმაწვილებო...

ერთხელ, თეას მივუსწარი, როცა ის, მარტო დარჩენილი, თავისთვის ცეკვავდა და მღეროდა ხმადაბლა, როგორც კი დამინახა, როკვა შეწყვიტა. მერე ამიხსნა, მარტო როცა მღერი და ცეკვავ, მღერი და ცეკვავ მხოლოდ შენთვის, შენი სიამოვნებისთვის და ამ დროს ყველაზე ახლოს ხარ ღმერთებთანო.

ხომ ასე ვიყავი სიყვარულისგან გონმიხდილი და დაბურსალებული, მაინც ვკითხე ერთხელ: როგორ იმეტებთ ასე თქვენს ნაფერებ მამაკაცებს, ანდა თქვენს შვილებს, პატარა ბიჭებს-მეთქი. თეას ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. მოიღრუბლა; წამით ყუჩად იყო. მერე წყნარი, სევდანარევი ხმით წამოიწყო:

– ადრე, ჩვენს კუნძულზეც დედაკაცნი და მამაკაცნი ერთად ცხოვრობდნენ თანასწორად, შეხმატკბილებულად. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს დედაკაცნი მბრძანებლობდნენ მამაკაცებზე, მაგრამ სინამდვილეში – მამრი უფრო ძლიერი და გონიერი ყოფილა მაშინ და დედაკაციც ამიტომ გალაღებული და თავისუფალი გამოიყურებოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში მამაკაცებს თავიანთი პატივმოყვარეო-

ბისა და ამპარტავნობის წყალობით მოუნდათ საკუთარ დიაცთა მონად გადაქცევა ისე, როგორც ეს იყო მათ მეზობელ ქვეყნებში. ბოროტმა მარცვალმა იწყო ზრდა და... უცხოელთა წაბაძვით, ჯერ სისხლიანი ზორვა შემოიღეს. მერე თანდათანობით უცხო ღვთაებასთან პირმშოთა შეწირვაც დაიწყეს. იათნანაზე მომრავლდნენ უცხოელი მოგვნი და ვაჭარნი. ისინი, იათნანელ მამაკაცთა ხელშეწყობით, ავრცელებდნენ მთელს იათნანაზე თავიანთ რწმენას. იათნანა ნელ-ნელა კარგავდა თავისუფლებას, მრავალ სხვა თანამოძმეთა მიერ დასახლებულ კუნძულთა მსგავსად. იათნანის ქურუმებმა კუნძულის უბედურებაში მამაკაცებს დასდეს ბრალი – სავსებით სამართლიანად, რამეთუ მამაკაცი, ჩანს, ვერ ძლებს სისასტიკის გარეშე, ვერ ძლებს თუ ვინმეზე არ მბრძანებლობს: სახლში ცოლზე და შინაურზე, გარეთ – მეზობლებზე, ნათესავებსა და მოკეთეებზე: ანდა მთელ ერზე, მთელ ქვეყნიერებაზე. სწორედ ეს სწრაფვა ძალაუფლებისადმი აქცევს მათ დაუნდობელ, სასტიკ და ბოროტ არსებებად – ეს თვისება კი მომავალში მრავალ უბედურებას უქადისო კაცთა მოდგმას. ხომ გინახავს, რა მტრობა და შუღლი აქვთ მამრ ცხოველთ მდედრის გამო? თითოეული მათგანი თავად ცდილობს დაისაკუთროს მდედრი. მერედა, რა მძვინვარენი, რა გულბოროტნი და სასტიკნი ხდებიან ერთიმეორის მიმართ, როგორი გააფთრებით უსწორდებიან ერთმანეთს. ასეა მამაკაცებშიც. ძალადობა და სისხლის წყურვილი ჭარბობს მათში. ჩვენმა სათნო დედოფალთ-დედოფალმა დიდმა ნანამ, ბჟალარამ და ნათელმა მთვარემ არ ინებეს დაეშვათ იათნანაზე მამრთა მძლავრობა და გულზვავობა. დედაკაცნი აჯანყდნენ: ძალადობას ძალადობა დაუპირისპირეს...

ერთ ღამეს მოულოდნელად დაესხნენ თავს როგორც უცხოელ, ისე საკუთარ მამაკაცებს. ერთად შეჰყარეს, შეკოჭეს, ჩაყარეს გემებში და სამუდამოდ გააძევეს იათნანადანო.

– ნუთუ... ყველა მამაკაცი? – ვიკითხე შეცბუნებულმა.

– ყველა! უკლებლივ ყველა: ღრმა მოხუცთა, ქურუმთა და ჩვილთა გარდა.

– ჰო, მაგრამ... ვით მოახერხეს ეს ქალებმა, როგორ შეძლეს? – ვკითხე კვლავ ცნობისწადილით ანთებულმა.

თეას შემწყნარებლური ღიმილი შეეპარა ბაგეზე.

– წელთა მანძილზე მზადდებოდა ყოველივე. წელთა მანძილზე ყოველ სამლოცველოსთან იქმნებოდა საიდუმლო ქალთა რაზმები, რომელნიც ჩუმათვე იწვრთნებოდნენ და ბოლოს, დადგა შურისძიების ჟამიც... სწორედ იმ ხანებში უმშვენიერეს დიაცს ციცის – მამაკაცთა, უფრო სწორად კი – ფინიკიელთა სამსჯავრომ სიკვდილი მიუსაჯა, მხოლოდ იმიტომ, რომ მან თავისი ქალური ღირსება და პატიოსნება დაიცვა. ციცი კონცხიდან გადააგდეს ზღვაში – ჩაიდინეს მანამდე გაუგონარი და არნახული სისასტიკე იათნანაზე. ჰოდა, აივსო მოთმინების ფიალა... მას შემდეგ მამრს არ ვაჭაჭანებთ კუნძულზე. თუ ძალით მოგვიხტებიან, ძალითვე ვპასუხობთ და ვამარცხებთ კიდეც. ამორძალთ ჯერ ბრძოლა არ წაუგიათ. მამრის იარაღითვე ვებრძვით მამრის ძალმომრეობასო.

ჰო, მაგრამ... მთელს ქვეყნიერებაზე მამრი უფრო ძლიერია მდედრზე, უფრო ღონიერიც, გონიერიც და ამიტომ მძლავრობს იგი უფრო სუსტზე-მეთქი, შევბედე ცოტა თავმოყვარეობაშელახულმა, თუმცა მენიშნა კი ბევრი რამ თეას ნათქვამში. (თვალწინ დამიდგა ჩვენი სახლობის სურათი: ჩემს ცოლს, აბა, ხმას ვინ ამოაღებინებდა ოჯახში – იგი ყველაფერში, შინ თუ გარეთ, ქმრის, ანუ ჩემი სრული მონა-მორჩილი იყო. და ეს სადღაც ჩემს თავმოყვარეობას და გულს უფონებდა, ასევე იყო დედაჩემი მამაჩემის მიმართ. და ეს იყო მითაჟამიდან. ასე ვიყავით მიჩვეულნი, ასე გვზრდიდნენ და ვისაც ვიცნობდი, ყველანი ასე იქცეოდნენ. მაშ, რა გამონაკლისი უნდა ყოფილიყო იათნანა?).

თეა ჩუმი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მისმენდა, მერე ისე, ვით პატარა ბავშვს მოუყვებიან და აუხსნიან, იმ კილოზე დამიწყო ლაპარაკი, თითქოს თვითონ – ეს სრულებით ნორჩი ქმნილება – დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე ყოფილიყო.

– ყოველთვის ასე როდი იყო, ერასტო ჩემო, ყოველთვის მამრი როდი მძლავრობდა. ადრე, ძალიან შორეულ ხანაში, მდედრი განაგებდა ყველაფერს და კაცთა მოდგმაც ადრე უფრო კეთილი, გულმოწყალე, რბილი ბუნების იყო.

„ბოროტი და კეთილი მარცვალი დიაცშიც არის და მამრშიც. ნუთუ მარტოოდენ მამრი ატარებს ამ სიავის დვრიტას? ნუთუ ყველა თქვენი ქალი ერთნაირად კეთილია, ერთნაირად უბოროტო, უეშმაკო, უვერაგო“-მეთქი, მინდოდა მეთქვა, მაგრამ გულში ჩავიბრუნე სათქმელი და ამის ნაცვლად სხვა რამ ვკითხე:

– მაშ, თქვენი ამბოხის ჟამს არავინ დაგიხოციათ, თეა?

თეას ლოყები შეუფაკლდა.

– ჩვენზე ათასგვარ სიცრუეს ავრცელებენ, ათასგვარ სისულელეს გვიგონებენ, რათა სახელი გაგვიტეხონ და გაამართლონ თავიანთი შემოსევანი იათნანაზე... მაგრამ ერთ რამეში არ ტყუიან: იათნანადან იათნანელი მამაკაცების ასე სამარცხვინოდ გაძევება, თუმც ამის ღირსნი იყვნენ – სიკვდილზე უარესი იყო მათთვის. ჩვენ მაინც ვცდილობდით სამართლიანნი ვყოფილიყავით მათ მიმართ – სწორედ ამ ამბოხის შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა შეიკედლეს შეჭირვებული აქაველთა ბელადი.

ხოლო მან სიკეთის სანაცვლოდ, მოტყუებით გაიტაცა თურმე ჩვენი დედოფალი და იქ ცოლად შეირთო, მაგრამ დიდხანს არ უცოცხლია თურმე უცხოეთში... ამორძალი სხვა ქვეყანაში ვერ ძლებს...

ერთხელ, მიმწუხრისას, ჩვენი ეზოს განაპირას მდგარ რცხილას ძირში შევამჩნიე თეა, ბარტყი რომ ეჭირა ხელში და დაჩოქილი, ეალერსებოდა და ესიყვარულებოდა. შორიახლოს შევდექი. კარგა ხანს გაოგნებული ვიდექი და შევცქეროდი ამ სანახაობას. რამხელა სითბო და სინაზე იყო თეას მოძრაობაში, რა სასოება გამოხატვოდა სახეზე, როგორი ღუღუნა იყო მისი ხმის კილო – რამოდენა სიტკბოება და სილბო ჩაღვრილიყო მასში!

მერმე გამოვერკვიე და შეუმჩნევლად დავადექი თავს. შეკრთა. აჟუჟუნებული, დამორცხვებული თვალებით ამომხედა:

– ერასტო, შეხედე... რა პაწიაა; რა უმწეო! ამ საცოდავმა, ეტყობა, ვერ გამოზომა და გადმოვარდა ბუდიდან... ნახე, როგორ კანკალებს? როგორ უფართქალებს გული? – თეა წამოდგა და ფიქრიანად თითს უსვამდა ბარტყს ზურგზე.

ამორძალი ქალი ამიერიდან ჩემს წარმოსახვაში აღიბეჭდა არა მახვილით, არამედ შაშვის ბარტყით ხელში, – სასოებით, რუდუნებით რომ დაჰგურგურებდა უმწეო არსებას.

ერთხელ თეამ წამიყვანა ამორძალთა სამხედრო წრთვნაზე. გზაზე განმიმარტა, ახლადშეუღლებულნი არ ღებულობენო მონაწილეობას ვარჯიშში, რადგანო როკვა – ფერხისაი, წვრთნა და სხვა ამგვარი რამენი სასტიკად აკრძალულია, როცა ჩვილი ესახებაო დიაცს საშოში.

ხოლო ბავშვების თაყვანება პირდაპირ განსაცვიფრებელია იათნანაზე. ბავშვი არის ის ცოცხალი კერპი, რომლის ერთი გაღიმებისთვის ამორძალი მზად არის ნემსის ყუნწში გაძვრეს... სიცოცხლე გაწიროს.

ძია ერასტომ იყუჩა.

– მერე, მერე ძია ერასტო? – შესძახეს აქეთ-იქიდან.

– თეამ დამასწრო ბერი დიაცების სამხედრო ვარჯიშს... თქვენ თვითონ დარწმუნდებით მალე, ჩემო კარგებო, რომ ის, რაც მაშინ მე ვნახე, ზღაპარი არ იყო, არც მოჩვენება, არ შეიძლება ჩვეულებრივმა დიაცმა ასეთი რამეები მოიმოქმედოს. ალბათ, მართლაც ღვთისშვილნი არიან, როგორც თვითონ ამბობენ.

– ნუთუ მართლა მამაკაცებივით ღონიერნი არიან, ძია ერასტო?

– რასაკვირველია, არა, მაგრამ ასეთი სიმკვირცხლე, სისხარტე და მოქნილობა, ასეთი ხმარება სატევრისა, ფარისა, მშვილდ-ისრისა, ცხენთა ასეთი ტარება ჩვენში მხოლოდ ჯამბაზებს თუ შეუძლიათ. მოხერხებით, ეშმაკობით, ხრიკებითა და ფანდებით უფრო აღწევენ ამ ზღაპრულ

სიჩაუქეს და სიმარჯვეს. ესენი ხომ სამი წლიდან უკვე ცხენზე არიან. ბავშვობიდანვე საგანგებოდ იწვრთნებიან. და განა მარტო სამხედრო ხელოვნებაში? ასევე იწაფებიან სიმღერაში, ცეკვაში, ლექსთა გამოთქმაში (შეჯიბრიც კი აქვთ თურმე მოლექსეებს) ხატვაში, ძერწვაში, კალიგრაფიაში, საოჯახო საქმიანობაში...

საერთოდ, ყველაფერში უჩვეულონი არიან. რაკი მამაკაცები არ ჰყავთ, თვითონ ხნავენ, თესავენ, მკიან... მართალია, მძიმე შრომა არ უწევთ, რადგან ბუნება საოცრად უხვი და ნაყოფიერი აქვთ. ბუნებრივი მოსავლითაც შეუძლიათ იოლას გავიდნენ. ზამთარი თბილი, წვიმიანი იცის იათნანაზე...

ჰყავთ დედოფალი, რომელსაც... ირჩევენ, დიახ, ირჩევენ ათი წლის ვადით. ყველაზე ლამაზი, ყველაზე გონიერი და ყველაზე დახელოვნებული მხედარი უნდა იყოს იგი. არჩევნებში ყველა მონაწილეობს 17 წლიდან. იმართება საერთო თავყრილობა, სადაც ირჩევენ უხუცესთა საბჭოს. უხუცესები კი თავის მხრივ ირჩევენ დედოფალს... ყველას შეუძლია თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი და ვინც მეტ ხმას მიიღებს, ის იქნება იათნანას დედოფალი ათი წლით.

დედოფალი თავის მხრივ, ყველა მნიშვნელოვან საშინაო თუ საგარეო საქმეს უხუცესთა და ქურუმთა საბჭოს ეკითხება. ერთპიროვნულად ვერაფერს გადაწყვეტს, მათი თანხმობის გარეშე. ხოლო ქურუმთა საბჭოს არჩევნებში მარტო ქურუმები მონაწილეობენ. თითქოს რაღაცით ჰგავს მათი წესი ჩვენს ქალაქთა წყობას, ოღონდ იქ მართლა დემოკრატიაა და არა მოჩვენებითი... ხოლო მონობა და მონური შრომა კანონით სასტიკად აკრძალულია იათნანაზე.

...ამ ბერი დიაცების წვრთნის შემდეგ ჩემმა თეამ ცოტა არ იყოს ცბიერი ღიმილით მითხრა: – შენ რომ გენახა ახალგაზრდათა ვარჯიში, მათი სიმარდე, ძალგულოვნება და შემართება, შეიძლება, მართლა არ დაიჯერო, რომ ისინი ჩვეულებრივი, მოკვდავი დიაცთა ნაშობნი არიანო. თან ცოტა არ იყოს ქედმაღლურად განმარტა: ჩვენიანები ეხმარებოდნენ ილიონელებს აქაველთა წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ილიონელები ჩვენი მოდგმის არიანო. მათ დახმარება უთხოვიათ ჩვენებისთვის და იათნანელებსაც გაუგზავნიათ ჯარი დედოფლის – თათიას მეთაურობით. მედგრადაც ებრძოდნენ ჩვენიანნი აქაველებს, მაგრამ აქაველთა ჯარში მყოფმა მირმიდონელთა ბელადმა, ჩვენივე სისხლის და ხორცის აქილევსმა ორთაბრძოლაში მოჰკლა დედოფალი თათია. სტყუიან თქვენები: ელენეს მოტაცება როდი იყო ომის მიზეზი... აქაველებს დიდი ხანია თვალში ეჩხირებოდათ ილიონის სიმდიდრე, დოვლათი, და საბაბს ეძებდნენ საომრად. პელაზგთა მოდგმის აქილევსს, აქაველთა მიერ

ოდესღაც დაპყრობილ თესალიელთა მამაც ვაჟკაცს, თავიდან აღარ უნდოდა თურმე მონაწილეობა მიეღო ამ ბრძოლაში, რადგან კარგად უწყოდა, რომ ილიონელნი ნათესავად ერგებოდა. გაიპარა კიდეც სახლიდან და ქალურად გადაცმული, იმალებოდა ერთ-ერთ კუნძულზე ახლობლის სახლობაში. მაგრამ ვიღაც ნაძირალამ დაასმინა აქაველებთან და ისიც იძულებული გახდა გამოეყვანა თავისი მხედრიონი აგამემონის მხარეზე. თუმცა დიდ ხანს ახერხებდა უშუალოდ არ მიეღო მონაწილეობა ძმათამკვლელ ომში. ბოლოს მეგობრის სიკვდილით გამწარებული ჩაება ბრძოლაში. ერთ-ერთი შეტაკების დროს გადაეყარა ჩვენს დედოფალს, რომელმაც წამოსძახა: შენ რა ვაჟკაცი ხარ, შენი ქვეყნის დამპყრობელთა მხარეზე იბრძვი, ნათესავების წინააღმდეგო.

აქილევსი უზომოდ ამაყი და ფიცხი იყო, პელაზგთა ფიცხელი სისხლი დიოდა მის ძარღვებშიც და ღვთიშვილად მოჰქონდა თავი. ჰოდა, არ აპატია ვაჟკაცობის დაწუნება მოწინააღმდეგეს. მით უმეტეს დიაცს. ორთაბრძოლაში გამოიწვია თათია. დედოფალმა მიიღო გამოწვევა, რამეთუ თათიას ძარღვებშიც ჩქეფდა პელაზგური ამაყი სისხლი. ღირსეულ მეტოქეობაში თათია იძლია აქილევსისგან... ოდითგან ასე მოსდგამდა ჩვენს ჯილაგს: ჩვენი გამორჩეული დიდი გმირები, სულით და ხორცით დევგმირები – იღუპებოდნენ თანამოძმის ხელისგან – მათი მტრების საამებლად. ამჯერადაც ასე მოხდა.

– ძია ერასტო, ამორძალებს ცალი ძუძუ მართლაც ამომწვარი აქვთ, როგორც ამბობენ ხოლმე? – იკითხა ვიღაცამ, როცა ძია ერასტო მცირე ხნით გაჩუმდა.

– ზღაპარია ეგ. ჭორი და მოგონილი ამბავია. ყველაფერი ჩვეულებრივი ქალივით აქვთ, ოღონდ... მაინც არ არიან ჩვეულებრივი დიაცები!

ერთხელ თეას ვუთხარი, აი თქვენი წინაპრები თავიანთი გვარტომის გადაშენებას გაექცნენ და ამისთვის გააძევეს მამრები კუნძულიდან, მაგრამ როგორც ვატყობ, გადაშენება მაინც ვეღარ აგცდებათ, რადგან ძალიან მცირერიცხოვანნი ხართ და რაც დრო გაივლის, უფრო შემცირდებით-მეთქი, ხუთ წელიწადში ერთხელ შობადობა და ისიც, თუ მამრი გაჩნდა, კუნძულიდან აგდებთ, რაღა რჩებით-მეთქი?

თეამ გულისყურით მომისმინა. მერე ნაღვლიანად დააქნია თავი, სწორია რასაც შენ უბნობო. ყველა ცდის მიუხედავად, მაინც ვილევით და ვიშრიტებითო. ჰოდა, რას ფიქრობთ სამერმისოდ-მეთქი, ვკითხე ცოტა იმედმოცემულმა. დიდი ნანას ნება-სურვილით დადგება ჟამი და დედაკაცნი და მამაკაცნი ისევ ერთად იცხოვრებენ იათნანაზეო, მომიგო თეამ და განაგრძო: ჩვენგან ისევ დაიბადებიან ღმერთკაცები. ისინი შეებრძოლებიან ბოროტ ურჩხულებს და მავნე სულებს, სძლევენ მათ

და მაშინ ყველა მდედრი და მამრი იცხოვრებს მხოლოდ სიყვარულით, სიკეთით, სიამატკბილობით, როგორც ეს იყო ადრე. აღარ იქნება კაცთაკვლა, ძალადობა, სიძულვილი, მტრობა. იათნანელი თუ ფინიკიელი, ყველა იქნება თავისუფალი, თავის მფლობელი, და მხოლოდ სიყვარული და სათნოება იმეფებს ქვეყნიერებაზე ისე, როგორც ეს იყო ოდესღაც, აიაიას კუნძულზე. ასე ამბობენ ჩვენი ქურუმები და უხუცესები.

– მერედა, როდის დადგებაო ასეთი ჟამი? როდისო?

– მხოლოდ ღმერთებმა უწყიან იმ ჟამის მოსვლა, ღმერთთა ნებას ვერსად წაუვალთ, რამეთუ არაფერი არ ხდება ამ ცისქვეშეთში მათი ნება-სურვილის გარეშე და ჩვენც გვმართებს მოთმინებით და მორჩილებით ველოდოთ მათ განჩინებას და ჟამის მოწევნასო.

– ღმერთთა თუ... ქურუმთა? – შევაპარე ფრთხილად.

– ეგ სულ ერთია! ქურუმები ღმერთთა ნებას გვამცნობენ ხოლმე.

თეა წამოდგა. მისმა სახემ მამცნო, აღარ მსურს საუბრის გაგრძელებაო. მეც გავჩუმდი, მაგრამ გულ-ღვიძლი ამემღვრა და ენის წვერზე ვიჭერდი სიტყვებს: თქვენ გაიძულებენ ასე იცხოვროთ! მაშასადამე, აღარა ხართ თავისუფალი, რადგან იძულება და თავისუფლება არ შეიძლება ერთმანეთის გვერდი-გვერდ თანაარსებობდეს-მეთქი.

მაგრამ აღარაფერი ვთქვი. არ მინდოდა ეგზომ გული ჩამეწყვიტა. თეასთვის, ეგზომ მეწყენინებინა.

...ერთხელ ქოხში გვეწვივნენ თეას დედა ნანუ და დისწულნი: მზეხა და ბუხუტია. თეას დედა ნადედოფლარი ყოფილა. ეტყობოდა კიდეც ეს მიხრა-მოხრასა და იერზე. შიგნით არ შემოსულან, ცაცხვის ჩეროში მოიგუნებეს მოსვენება. თეამ დედის მიერ მოტანილი კალათიდან ამოალაგა ხორაგი და იქვე, მდელოზე სახელდახელო სუფრა გაშალა.

თეას დედა თავის ოდნავი დაქნევით მომესალმა და ამის შედეგ საერთოდ აღარ შემოუხედავს ჩემთვის. მის ოდესღაც ალბათ მართლა ძალიან ლამაზ სახეზე ნაოჭები მომრავლებლიყვნენ. თხელი, უფერული ტუჩები მჭიდროდ ჰქონდა მოკუმული. იშვიათად თუ იტყოდა რამეს. სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, თითქოს კბილებში სცრისო. თეა, ჩანდა, უფრო მისი თვალების გამომეტყველებითა და წარბების მოძრაობით ხვდებოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა. დაძაბულობისა და მღელვარების დასაფარავად თეა ზედმეტად ფუსფუსებდა, თან ჩემს მზერას გაურბოდა თითქოს. დედამისმა, ეტყობა შენიშვნა მისცა ისე, რომ სახის კუნთი არ შესტოკებია, თითქოს არც პირი გაუღია. ერთი ორჯერ, ვითომ სასხვათაშორისოდ, ისეთი გამგმირავი მზერა მესროლა დახრილი ქუთუთოებიდან, რომ ჭიანჭველებმა დამირბინეს სხეულში. არ ვიცოდი, სად ჩავმძვრალიყავი, ხელები და თვალები საით წამეღო. დედამ რაღაც უთხრა თეას. თეამ

სწრაფად გამომხედა ყურებიანად გაწითლებულმა, მერე ისევ განზე წაიღო მზერა, თვალები აუხამხამდა, ქვედა ტუჩი მოიკვნიტა, რომ ანაზდად მოწოლილი ცრემლი შეეკავებინა.

ვერც წასვლა გამებედა და დარჩენაც მეუხერხულებოდა, და ვიჯექი ასე, დამნაშავე პატარა ბიჭივით თავჩაქინდრული, დაძაბული, და ერთი სული მქონდა, როდის დამთავრდებოდა პურობა.

უხერხული მდგომარეობიდან პატარა ბიჭმა გამოგვიყვანა; როგორც კი ცოტა დანაყრდა, მაშინვე ანცობა დაიწყო. არავინ არაფერს უშლიდა, პირიქით, მისი მედიდური ბებია ალერსიანი ღიმილითა და სითბოჩამდგარი თვალებით თითქოს აქეზებდა კიდეც ბალღს, მიდი, მიდიო. თეაც არ იმჩნევდა ბავშვის უსაქციელობას, რომელმაც სულ მცირე ხანში მოასწრო ღვინის დაქცევა, თიხის ჯამის დამტვრევა, ჩემი ულვაშის ამოწიწკნა – მოფერების ნიშნად! – სუფრის გადაყირავება. ასეთ შემთხვევაში ჩვენში ბავშვებს მიტყეპავენ ხოლმე გემოზე, ანდა დატუქსავენ მაინც და სტუმრებს გაარიდებენ. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ: ბიჭის ონავრობა მისიანებში მხიარულ სიცილ-კისკისსა და ხალისს იწვევდა მხოლოდ: ბუხუტიას და – თვალხატულა, ლერწამივით აშოლტილი გოგო – მორცხვი და კდემამოსილი რომ ჩანდა, ბიჭს ხანდახან, ეტყობა, ჭკუას არიგებდა ჩუმი, ძლივს გასაგონი ხმით, მაგრამ ბუხუ აინუნშიც არ აგებდა დის შენიშვნებს და რაღაცას ისე ეტლიკინებოდა, სახეს ისე მანჭავდა, რომ საერთო სიცილსა და მხიარულებას იწვევდა. მერე ბუხუ, როგორც მოფერებით ეძახდნენ პატარას, ეზოში გაიჭრა ყიჟინით და ხის ცხენზე ამხედრებულმა, კარგა ხანს იჯირითა მდელოზე, მერმე ოფლში გახვითქული, დაღლილ-დაქანცული კალთაში ჩაუჯდა თეას, კისერზე ხელები შემოხვია, ლოყა ლოყაზე მიადო და გაირინდა. თეა თავისი ღუღუნა ხმით რაღაცას ეჩურჩულებოდა ბიჭს, თმას უჩეჩავდა, ფუნჩულა ლოყებსა და ხელებს უკოცნიდა, ეფერებოდა, ესიყვარულებოდა. თეადან ბიჭი ბებიას კალთაში გადასკუპდა და ახლა ბებიას ალერსსა და მოფერებაზე გაიტვრინა.

როცა სტუმრებს ვაცილებდით, თეას დედა კვლავ თავის ოდნავი დაქნევით დამემშვიდობა ისე, რომ ამჯერადაც სახეში არ შემოუხედავს ჩემთვის, თითქოს მთელი ამ ხნის განმავლობაში ცოცხალი არსება კი არა, რაღაც ლანდი თუ უსულო საგანი ეჯდა გვერდით. შევატყვე, თეა განსაკუთრებულად მორიდებული იყო დედასთან. რაღაცნაირი კრძალვა თუ დაფარული შიში იგრძნობოდა მის საქციელში. დედის მბრძანებლური ხმა, ამაყი, თავდაჯერებული იერი, მისი მოხრა-მოხრა, გამჭოლი, ბასრი თვალების გამოხედვა – ყველაფერი ამ დიაცის პატივმოყვარულ ბუნებასა და სისასტიკეს ამჟღავნებდა. ო, ეს დიაცი ალბათ არაფრის წინაშე არ დაიხევდა უკან, თუ საჭიროება მოითხოვდა!

მათი წასვლის კარგა ხნის შემდეგ თეას უცებ ვკითხე (სხვათაშორის, თეას უფროსი და – თავის ახალ ქმართან განცალკევებული, ვეღარ იცლიდა ჩვენთან სტუმრობისთვის), როცა ჟამი დაუდგება, ბუხუტიაც უნდა გააძევოთ არა, კუნძულიდან-მეთქი. აბა რაო, მომიგო თეამ საკმაოდ უხალისო ხმით. მერედა, ასე რომ გიყვართ ერთმანეთი? ასეთია ჩვენი წესი, განა არ გითხარიო, საკმაოდ უკმეხად მომიჭრა თეამ უცებ სახეგადაფითრებულმა და თვალი ამარიდა. არ სიამოვნებდა, როცა ამისთანა რამეებზე საუბარს ჩამოვუგდებდი: ან ბანზე ამიგდებდა სიტყვას, ან არადა ისეთ სახეს მიიღებდა, წეღანდელი ლაპარაკის არ იყოს, კითხვას ვერ შეუბრუნებდი. ... ხოლო ერთხელ, გვიან საღამოს უეცარმა წივილ-კივილმა ფეხზე წამოგვყარა. გარეთ გავცვივდით გულგახეთქილები. მოპირდაპირე ბორცვის თავს ცეცხლი წაჰკიდებოდა: ხანძრის ბრიალა ენები ცის ჩამუქებულ თავანს ლოკავდა. თეამ მარჯვენა ხელი შემოირტყა ლოყაზე ისე, როგორც ჩვენში იციან ხოლმე დედაკაცებმა:

– ნუშას ფაცხა იწვის! – დაიყვირა ისეთი განწირული ხმით, მისგან სხვა დროს რომ არასდროს მსმენია და ადგილს მოწყდა. მეც მივყევი უანგარიშოდ. მაგრამ თეა ნიამორივით ისე გარბოდა, ვეღარ დავეწიე.

აღმართი რომ ავათავე სულმოუთქმელად, ცეცხლი უკვე ჩანავლებულიყო. ირგვლივ პირქუში სახით იდგნენ ამორძალები. დიდი და პატარა მდუმარებდა. მხოლოდ დროგამოშვებით ვიღაც წამოიკვნესებდა და ისევ სიჩუმე ისადგურებდა. შეკრებილთა შორის აქა-იქ მოჩანდნენ მამაკაცებიც – ამორძალთა ამჟამინდელი ქმრები. ვერავინ ვბედავდით ხმის ამოღებას. თეაც გაქვავებულიყო და თვალებმოწყლიანებული მისჩერებოდა ღველფს, მომაკვდავივით რომ ღაფავდა სულს. შეურხევლად მდგარ თეას უჩუმრად მივუახლოვდი და ის იყო იდაყვზე უნდა მომეკიდა ხელი ფრთხილად, რომ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ანაზდად დედამისი გაჩნდა ჩვენს გვერდით. მან რაღაც ხმადაბლა გადაულაპარაკა ქალიშვილს. თეა შეტოკდა, თითქოს ბურანიდან გამოერკვაო. დედამისმა ახლა დიაცების სხვა ჯგუფისკენ გასწია ტანის ოდნავი რხევითა და სახის ამაყი გამომეტყველებით. მის მიახლოებაზე თითქოს რაღაცა იდუმალმა შრიალმა გადაუარაო ამორძალებს, მერე ისევ სრული სიჩუმე ჩამოვარდა. თეამ ცრემლით მორწყული სახე პატარა ბავშვივით ხელის ზურგით შეიმშრალა და მითხრა, ქოხში დაბრუნდიო. მეც მალე მოვალო, დაატანა ნათქვამს და გვერდზე გაექცა მზერა. რა მოხდა-მეთქი, ძლივს ამოვილუღლუღე რატომღაც შიშისაგან ატანილი ხმით. თეამ ბაგის ძლივს შესამჩნევი მოძრაობით, მოკლედ მომიჭრა, მერე გეტყვიო და თვალით მანიშნა, დატოვე აქაურობაო. უსიტყვიდ დავემორჩილე. გამოვტრი-

ალდი და ჩვენი ქოხისკენ გავწიე წელმოწყვეტილივით. ფეხები თითქოს უკან მრჩებოდა, შევნიშნე, ყველა მამაკაცი ასევე უხმოდ, მორჩილად მიეშურებოდა თავ-თავიანთი ფაცხებისკენ... ჩვენი ამორძალები ნახანძრალთან რჩებოდნენ, ბორცვის წვერზე.

თეა მხოლოდ გამთენიის ჟამს დაბრუნდა ფაცხაში. გვერდით რომ მომიწვა, ვიგრძენი, ერთიანად ცივი იყო ყინულივით. არა თუ მოფერებას, ხმის ამოღებასაც ვერღარ ვბედავდი რატომღაც. გუმანით ვხვდებოდი, ეს გათოშილი სხეული სულის უჩვეულო მღელვარების ნიშანი იყო. ბოლოს, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, როგორც იქნა, გავბედე და ვკითხე, რა მოხდა თეა-მეთქი. ნუშამ თავი გამოიწვა ფაცხაშიო, მომიგო შეყოვნებით, უსიცოცხლო ხმით. თითქოს მარტო ტუჩებით ლაპარაკობდა, მაგრამ მე მაინც გავიგონე მისი ნაჩურჩულევი. თავი გამოიწვაო? ძარღვებში სისხლი გამეყინა.

...ერთხელ საღამოს პირზე, ბინდბუნდში გადავეყარეთ მას მე და თეა. ის იყო მისალმება დავაპირე, მაგრამ ქალმა თვალი აგვარიდა, შავი თავსაფარი სახეზე ჩამოიწია და უხმაურო ნაბიჯებით გაგვეცალა. თეას შევხედე გაოცებით. მეუცნაურა მისი სახე. მიტკლისფერი დასდებოდა, თვალები ჩამუქებოდა. კარგა მანძილი რომ გამოვიარეთ მდუმარედ, მერმე თეამ მითხრა, ის დიაცი ამორძალთაგან განკიცხულ-გარიყულიაო. ჩემი თხოვნით თეამ მიამბო მისი თავგადასავალი. ნუშას როგორღაც მოუხერხებია თურმე გადაემალა თავისი ქმარი. ქალურ ტანსაცმელში გამოწყობილი, ორი წელი იმალებოდა კაცი ტყეში. ამ ხნის განმავლობაში ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს ის და ნუშა. მაგრამ მესამე წელს საიდუმლო გამჟღავნდა. ნუშას დაორსულებისა და მისი ჩუმი მშობიარობის ამბავი მეხივით გავარდა მთელს კუნძულზე. გასაოცარი და თითქმის წარმოუდგენელი იყო ეს ეშმაკობა და ხერხიანობა, რასაც ქალი იჩენდა თურმე, რათა დაეფარა საიდუმლოება. ბოლოს, მაბეზღარას წყალობით, მთელი ეს მონდომება წყალში ჩაეყარა...

კაცი საჯაროდ გაასამართლეს და ფიცის გატეხისა და კანონის დარღვევისთვის, კონცხიდან გადაგდება მიუსაჯეს. ნუშა კი, რაკი ჩვილბავშვიანი იყო, შეიწყნარეს და სიკვდილით არ დაუსჯიათ, მაგრამ სამაგიეროდ, სამუდამოდ მოიკვეთა ამორძალთაგან და თუმცა იათნანაზე ცხოვრების უფლება დაუტოვეს, შვილები ჩამოართვეს და თავად ყველასაგან გარიყულს, მარტოდ-მარტო უნდა ეცხოვრა ტყეში. არავის არ ჰქონდა უფლება გაკარებოდა, ან მითუმეტეს, ვინმე დახმარებოდა, თუნდაც სული რომ გასძრომოდა, სალმის თქმაც კი ეკრძალებოდა ყველასგან განკიცხულ საბრალო ქალს.

– მაშ თავი დაიწვა... – ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამოვთქვი მე: –

ვეღარ გადაიტანა... ეტყობა, ვეღარ გადაიტანა...

– ჰო, ვეღარ გადაიტანა... – დამეთანხმა თეაც ჩამწყდარი ხმით.

უცებ თეა ჩამეხვია და ყრუდ აქვითინდა, დიდხანს, დიდხანს ტიროდა გულამოსკვნით და მკერდს მისველებდა მისი ცრემლის ნაკადული. მეც ძალაუნებურად მცვიოდა ცრემლი თვალთაგან. მერე, თეა, როგორც იქნა, დაწყნარდა და ცივი, უსიცოცხლო ხმით განმიცხადა, ხვალ დიდნოღაში „სხუნუზე“ მივდივართო. ყველანი და მეც ორი-სამი დღით უნდა დაგტოვოო, „სხუნუ“ მათებურად საბჭოს ნიშნავს. რისთვის და რატომ იკრიბებოდნენ დიდნოღაში ან რა უნდა გადაეწყვიტათ იქ, ამაზე თეას არაფერი უთქვამს. ეტყობა, ამის თაობაზე ლაპარაკი ეკრძალებოდა უცხოსთან, რადგან მე მაინც მათთვის უცხოელად ვრჩებოდი.

ორი დღის შემდეგ თეა დაბრუნდა დიდი ნოღიდან სახეგამშრალი, თვალამოღამებული, მდუმარე. რა მოხდა იქ, მათ მთავარ ქალაქში, რაზე ჰქონდათ ბჭობა, არაფერი ვიცი. ოღონდ ვგრძნობდი, რომ მაინცდამაინც სასიამოვნო არ უნდა ყოფილიყო ამორძალთა თათბირი; თეას სახე და თვალები ვერ ფარავდნენ იმედგაცრუებასა და გულისტკივილს.

მერე ის იყო, თეამ გამომიცხადა, ჩვენი ერთად ყოფნის დრო იწურება, ჩვენ მალე უნდა დავშორდეთ ერთმანეთსო.

ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა, მაგრამ მაინც დაუჯერებლად მეჩვენებოდა ჩვენი განშორება: გულთან ახლოს არ მიმქონდა, უფრო სწორად, არ მინდოდა ამაზე მეფიქრა, იმდენად სავსე იყო ჩემი სული თეასთან ყოფნით, იმ ბედნიერებითა და ნეტარებით, რასაც მისი სიახლოვე მანიჭებდა.

ახლა კი თითქოს ერთბაშად კეტი მდრუზესო თავში, დავბარბაცდი.

რაც თეასთან ვიყავი, მთელი ეს ერთი თვე, არ მომგონებია არც ცოლი, არც შვილები, არც დედ-მამა და და-ძმა, არავინ და არაფერი, რაც ჩემს წარსულს განეკუთვნებოდა. თუ გავიხსენებდი, ბუნდოვნად, როგორც ოდესღაც ნანახ სიზმარს, აწ გაუჩინარებულს.

– რა თქვი, თეა?.. ჩვენ უნდა დავცილდეთ ერთმანეთს? – ძლივს ამოვიკნავლე გულშემოყრილმა.

– ჰო. – დამიმოწმა თეამ თავის დაქნევით. შევხედე თეას. და თუმცა თავგზადაკარგული ვიყავი, ჩემმა დანისლულმა გონებამ და თვალებმა მაინც შეამჩნიეს სევდის კვალი მის ღვთაებრივად მშვენიერ სახეზე.

– ასეთია ჩვენი წესი, ერასტო! მამაკაცის ჭაჭანება არ უნდა იყოს ჩვენს კუნძულზე. ხომ იცი ეს!

– არ მესმის... რათა, რისთვის? ვინ გამოიგონა ასეთი სასტიკი წესი? რა უფლების ძალით?

ალბათ ჩემი გაოცება ისე ახლოს იყო ბრიყვულ, რეგვენულ გაუგე-

ბრობასთან, რომ დამწუხრებულ, უსაზღვროდ დაღონებულ თეას უცებ სახეზე ღიმილი მოერია.

თეა ადგა, მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა ალერსიანად.

ავხედე. ისე უსაშველოდ მიუწვდომელი და შორეული მეჩვენა ახლა მისი კაეშნიანი, ცრემლით დანამული თვალები, რომ თავი ვერ შევიკავე, ხელებში ვტაცე ხელი და გაშმაგებით დავუწყე კოცნა.

– თეა, თეა! აკი გვიყვარს ერთმანეთი, აკი უერთმანეთოდ აღარ შეგვიძლია?

თეა ჩუმად ტიროდა.

უცებ წელში გავიმართე.

– მე არსადაც არ წავალ აქედან. მორჩა და გათავდა!

– თუ აქ დარჩები, სიკვდილი არ აგცდება! – თავი გადააქნია თეამ და ცრემლები ხელის გულით შეიწმინდა.

– მოვკვდები. მერე რა? ადამიანები სიკვდილის შვილები ვართ. ჰოდა, მეც სწორედ ახლა მირჩევნია სიკვდილი! – განვაცხადე მტკიცე ხმით.

– არა, ჩემო ძვირფასო. შენ უნდა გადარჩე. შენ... უნდა დაუბრუნდე უვნებლად... შენიანებს! – გაუჭირდა წარმოთქმა, შენს ცოლ-შვილსო.

დავუჩოქე და ცრემლები წამსკდა ისევ:

– არავინ მინდა, მე შენს მეტი. არავინ და არც არავინ მეყოლება შენს შემდეგ და არც არავინ მყოლია, - ვბლუკუნებდი უაზროდ, ჭირვეული ბალღივით და ცრემლები მახრჩობდა.

– შენს სიკვდილს მე ვერ გადავიტან. მაშასადამე, მეც თავს მოვიკლავ! – მითხრა თეამ მშვიდად, ძალზე მშვიდად. და ამ სიმშვიდემ და უწყინარმა კილომ გადამრია. როგორ? თეა უნდა დაღუპულიყო ჩემი გულისთვის? არა და არა. მოვიქცევი ისე, როგორც მას სურს, როგორც მას მიაჩნია საჭიროდ...

ერთი თვის თავზე შეგვყარეს ისევ ერთად, დაგვადებინეს ფიცი, რომ სამუდამოდ დავივიწყებდით გზას იათნანასკენ, დავივიწყებდით ამორძალებს და მათ სამყოფელს, აქ გატარებულ დღეებს, ხოლო თუ ვინმე გაბედავდა, ფიცს გატეხდა და მოიწადინებდა უკან დაბრუნებას, იმათ ღმერთთა სასჯელის გარდა, არ აცდებოდათ თვით ამორძალთა რისხვა, ანუ სასტიკად და დაუნდობლად გაუსწორდებოდნენ თავხედს და ფიცის დამრღვევს.

ასე და ამგვარად, როგორც იტყვიან, გუდა-ნაბადი აგვიკრეს, გემში ჩაგვყარეს გაბაწრულ-გაკოჭილნი და უახლოეს ხმელეთზე გადმოგვსხეს... ყველაფერი მოხდა ისე, როგორც მოიგუნებეს ამორძალებმა.

...მერმე მე ბევრი მახეტიალა განგებამ სხვადასხვა მხარეში, ბევრი ძირ-მწარე მასვა, სანამ... ჩემს ქვეყანაში, ჩემს ცოლ-შვილთან დამაბრუნებდა. მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია, ყმაწვილებო;

ერასტო ძიამ თხრობა დაამთავრა. სანამ იგი ყვებოდა, მეთაურებმა რამდენჯერმე დაუცაცხანეს ახალგაზრდებს, ძილს ნუ იფრთხობთ, მოისვენეთო, მაგრამ იმ ღამეს ძილი ბევრს არ ეწერა...

* * *

...გემბანზე პირაღმა გაშოტილი იწვა და თვალდაუხამხამებლად შესცქეროდა ურიცხვი ვარსკვლავებით მოჭიქულ ცარგვალს, უკვე ფერგაცრეცილ, ნამგალა მთვარეს, ცალი ყუნწით რომ ჩამოკონწიალებოდა ცის თაღედს, არჩევდა ზედ მოქანავე პაწია ჭინკებსაც და ყველაფერი ეს – ზღვის უსასრულო სივრცე – ახლა მტრედისფერი რომ გადაჰკროდა, აჭახჭახებული ცა - თითქოს არაამქვეყნიურ იდუმალებას მოეცვა, თითქოს ყველაფერი უხილავი ღმერთების ანარეკლს ატარებდა.

დიდხანს ებრძოლა თავს. ბოლოს, ვეღარ გასძლო... კიჩოსთან ახლოს მოკალათებულ ერასტო ძიას მიუჩოჩდა. იგი თვალებდახუჭული იწვა.

– ერასტო ძია! – დაუძახა ხმადაბლა. გრძნობდა, რომ არ ეძინა.

– რომელი ხარ? – თავი წამოსწია თვალდაჭყეტილმა.

– მე ვარ, ნიკა!

– რა იყო ბიჭო, არ გეძინება? – დაამთქნარა და პირზე ხელი აიფარა.

– არ მეძინება, ძია ერასტო, მინდა... ერთი რაღაც გკითხო, თუ შეიძლება.

– რა გინდა, ბიძია! მითხარი, აბა, გისმენ!

– ძია ერასტო, იათნანაზე ამორძალებთან მართლა საომრად მიდიხარ?

– ეუჰ! შენ ვინ ყოფილხარ, კაცო?

ძია ერასტომ გრძელი ფეხები გაჭიმა და გაიზმორა:

– მაშ, აბა რისთვის მივდივარ თუ იცი?.. შური უნდა ვიძიო ძველი წყენისთვის...

– ჰო, მაგრამ... ეს ხომ დიდი ხნის წინ იყო...

– შურისძიება არასოდეს არ არის გვიან, ბიძია! დაიხსომე ეს. ახლა კი – წადი და დაისვენე, დაიძინე.

– ძია ერასტო!

– რა გინდა, კაცო? რა ჭია შეგიჩნდა ამ შუაღამისას?

– ძია ერასტო, მაპატიე... მარა... თუ იგონებდი... თუ იგონებდი მერე, შინ რომ დაბრუნდი... თეას?

ძია ერასტო გაილურსა. უცებ, ნიკამ ქვეშეცნეულად იგრძნო, რომ იგი რაღაცნაირ ნიღაბს ატარებდა აქამომდე, თითქოს ხანდახან ბერიკასა-

ვით თამაშობდა, სხვების თვალის ასახვევად. ახლა კი... ახლა თითქოს მოიმჩვართა. სახე ეცვალა, კარგა ხნის დუმილის შემდეგ წამოჯდა და ყრუ, ჩამწყდარი ხმით მიუგო:

– ახლოს მოიწი, ბიძია. უფრო ახლოს, მასე. ახლა კარგად მიგდე ყური. მე შენ კაი ხანია გაკვირდები. კარგი ბიჭი ჩანხარ, გონიერი, კეთილი. სხვებივით ყველაფერზე არ ჭიხვინებ. ჰოდა, რასაც გეყტვი, კარგად დაიხსომე: ჯერ თუმცა ძალიან ახალგაზრდა ხარ, მაგრამ როგორც წეღან ვთქვი, ჭკვიანი ბიჭი მგონიხარ და ზოგ რამეს თუ ვერ გაიგებ, იგრძნობ უთუოდ...

ერასტო ძიას ტუჩ-პირი სულ ახლოს მიჰქონდა ბიჭის ყურთან, მისი ცხელი და ხშირი სუნთქვა სახეზე ეფრქვეოდა. ხმას ხან აუწევდა, ხანაც ჩურჩულზე გადადიოდა:

– ბევრს ასე ჰგონია, რომ დიდ გასამრჯელოს დავხარბდი და იმიტომ ვიგდებ თავს ხიფათში, ამ სიბერის ჟამს საომრად მივდივარ სადღაც დასაკარგავში, საიდანაც, არავინ უწყის, ცოცხალი დავბრუნდები თუ არა... ზოგს კიდევ სჯერა, რომ შურისძიება მამოძრავებს... კარგად მომისმინე, ბიძია: კაცი ბინძური პირუტყვია საზოგადოდ. ცხოვრება ხდის ასეთს და იმიტომ! ან ეგება... სულაც იბადება ამგვარი? ვინ იცის... ერთი კია: ცხოვრებაში მიწიერ, წამიერ სიამეს არჩევს ყველაფერს ამაღლებულს, ზეციურს, ღვთიურს, ხოლო მიწიერ სიამეში ზოგი რას გულისხმობს და ზოგი რას – ძალაუფლება იქნება, სიმდიდრე თუ ქალებთან განცხრომა – მზად არის ყველაფერი ჩაიდინოს, ყოველგვარი სისაძაგლე და ბოროტება ამეებისთვის! ასეთი კაცი ცხოვრებისგან მოითხოვს რაც შეიძლება მეტი ულუფა მიიღოს, ერგება ეს მას თუ არა, ამაზე ფიქრით თავს არ იტკივებს. უნდა, მორჩა და გათავდა!.. რა გზით, რა საშუალებით მიიღებს ამას, არა აქვს ამასაც მნიშვნელობა, მთავარია – მიიღოს და რაც მეტს ღებულობს, მით უფრო მეტი უნდა, ანუ უფრო და უფრო პირუტყვდება.. და არანაირ საშუალებას არ დაერიდება, ოღონდ თავისი გაინაღდოს!.. ამას არ გაგიტყდება, ცხადია... მაგრამ ეს ასეა!.. ხოლო ზოგისთვის მთელი ცხოვრება - ამ ულუფისთვის თუ გასამრჯელოს მისაღებად გაწეული ჭაპანწყვეტაა. სურვილი ერთი აქვს ორივეს, – ოღონდ მიღების და შოვნის საშუალება და ხერხია სხვადასხვანაირი.

ხოლო გულში, დაბადებითვე ჩასახული ღვთაებრივი ნაპერწკალი თანდათან ქრება, იფერფლება – ზოგიერთში – უკვალოდ, სამუდამოდ! დარჩება მხოლოდ ის, რაც ხელით შესახებია, რაც თვალით დაინახვება და ყურით მოისმინება, და რაც ისევე წარმავალია, ხრწნადია, წუთიერი და უხანოა, როგორც ყველაფერი მიწიერი... ხოლო ის დაფარული ნაპერწკალი ვისაც შერჩება...

გამოტეხილად გეტყვი, ჩემო ბიძია, სიმართლეს: იათნანაზე მივდივარ, რათა სიკვდილის წინ უკანასკნელად თვალი შევავლო იმ ადგილს, სადაც ოდესღაც მართალია, მცირე ხნით, მაგრამ ბედნიერი ვიყავი, სადაც პირველად შევიგრძენი, რომ შეიძლება, მეც ღვთის შვილი ვიყო, რომ ჩემშიც ღვივის თურმე ის ნაპერწკალი, რომლის მოსპობასაც ასე გულმოდგინედ ცდილობს მუხთალი, უბადო წუთისოფელი... მართალია, ბოლომდე ვერ შევიძელი გამეღვივებინა ის ნაპერწკალი... წყეულმა ხორციელმა სძლია სულიერს. ცოდვილიანი სიცოცხლე ვარჩიე სამარადჟამო ნეტარებას, რადგან თეასთვის, თეას გამო სიკვდილი ამ ნეტარებას მპირდებოდა.. მე ფილოსოფოსი არა ვარ, შვილო, არც პოეტი და არც ქურუმი. ერთი ჩვეულებრივი უბრალო ჯარისკაცი გახლავართ – ბრძოლებში გამოჯეკილი, ნათრევი და ნახეტიალევი მრავალ ქვეყანაში... ბევრი რამ მინახავს, მომისმენია და გამომიცდია კიდეც. ბევრი შხამიც მისვამს, ცოტა სიტკბოც და ერთ რამეს ცხადად ვგრძნობ... რაც დრო გადის: ღმერთები არასდროს გვტოვებენ ჩვენ ყურადღების გარეშე, თვალყურს გვადევნებენ, გვითვალთვალებენ, ოღონდ ჩვენდა შეუმჩნევლად, უხილავად, ფარულად და სასწორზე იდება ჩვენი ცოდო-მადლი. სულ ტყუილა ჰგონია ზოგ ვინმეს, რომ ჩვენს ნება-სურვილზე ვიყოთ თითქოს მიშვებული და რაც მოგვეპრიანება, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. გამკითხველი კი არავინაა! ნურას უკაცრავად, ჩემო ბიძია... ის სასწორი ყოველთვის უტყუარია და ვაი, ჩვენ, თუ ცოდო-ბრალმა გადაწონა სიკეთე-მადლი!

მაგრამ... კაცთა მოდგმა მაინც ვერაფერს სწავლობს თურმე, ჩემო ბიძია... იგი ჭკუათხელი ფარასავითაა, საითაც ერკემალი გასწევს, იქითკენ მიედინება უფიქრელად, უზრუნველად, უსიტყვოდ. კიდევ კარგი, თუ ერკემალი ცოტათი ჭკვიანი გამოდგა და ფლატეს და ხრამს გაარიდა უტვინო ფარა, თუ არადა, პირდაპირ გადაეშვება უფსკრულში ისე, რომ უკან არც მოიხედავს...

აგერ ახლაც: სხვადასხვა ფარის ვაცებს მოუნდათ იათნანზე გალაშქრება, რადგან... ყველას თვალში ეჩხირება იგი თავისი უჩვეულო წესის გამო... ესეც არ იყოს: უხვი და დოვლათიანი მხარე თავისთავად აღძრავს ამ სიმდიდრის დასაკუთრების სურვილს... ჰოდა, რომ გაამართლოს თავისი მტაცებლური ჟინი, მოძალადე იშველიებს მის მიერვე შეთხზულ ზღაპრებს ამორძალთა სისასტიკეზე, ვერაგობაზე, გაუტანლობაზე და... კიდევ, ვინ უწყის, რას არ იგონებენ...

ჰოდა, მიერეკებიან ვაცები ამ უგუნურ, უვიც და გონებაჩლუნგ ფარას იქითკენ, საიდანაც გამოელიან საბალახოს ანუ, უბრალოდ და მარტივად რომ ვთქვათ: როჭიკს, ულუფას...

სამართლიანობის, სიკეთისა და თავისუფლების სახელით უნდა დაითრგუნოს და მოიშთოს იათნანა! მახვილით უნდა განიკითხონ უზნეო ამორძალები, რათა... იზეიმოს თურმე – ზნეობამ!..

ასეთია, ჩემო ნიკა, სარჩული თუ საფანელი ყოველგვარი სიავისა!.. ასეთია კაცობრივი საწყაო სამართალისა! და... რას იზამ!..

– მაშ, აღარ ყოფილა საშველი, ძია ერასტო, ამ ქვეყნად?.. მაშ.. კაცი არაფრობაა?

– კაცობის საზომი სინდისიერებაა, ჩემო ბიძია, სინდისი კი... მხოლოდ რჩეულთა ხვედრია!.. აბა სინდისიერება და ზნეობრიობა საყოველთაო რომ იყოს, აღარც იქნებოდა ეს გაუთავებელი სისხლისღვრა, ძალადობა, მძლავრობა, უსამართლობა არა მარტო სხვათა მიმართ, თვისტომთა შორისაც!

– მერედა... სად არიან ის რჩეულნი? რად არ ჩაერევიან კაცთა შავბნელ საქმეებში?.. ან ნეტარი ღმერთები რად დუმან?

– მაგდენი რომ ვიცოდე, ჩემო ბიძია, მეც იმ რჩეულთაგანი ვიქნებოდი. მე კი – მხოლოდ ერთი უბრალო ჯარისკაცი ვარ-მეთქი, წეღანაც გითხარი, ოღონდ... შესაძლოა, ცოტა უფრო საზრიანი, ვინემ ეს ბრბოა... ჰოდა, ჩემი მცირე გონით, ერთ რამეს ვხვდები: ღვთის რჩეულთ ან მობეზრდათ ამ უგუნური ფარის დამოძღვრა – ანუ ტყუილა-უბრალოდ წყლის ნაყვა, ანდა... უძლურნი არიან წინ აღუდგნენ უმეტესობის ნებასურვილს; უმეტესობას კი, ჩემო ბიძია, თურმე სისასტიკის გარეშე არ შეუძლია არსებობა. სისასტიკე მიწყივ-დასაბამიდან ზის კაცის ბუნებაში ხან ფარული, ხანაც დაუფარავი სახით... თუ გინახავს მოთვინიერებული მხეცები? მომთვინიერებელი ჯოხით ადგას თავს მის მიერ გაწვრთნილ ვეფხვებს, ავაზებს, ლომებსაც კი და აკეთებინებს იმას, რასაც უბრძანებს. მაგრამ... საკმარისია მხეცებმა იგრძნონ, მწვრთნელს ყურადღება მოუდუნდაო, მაშინვე აიშვებენ თავს, ისევ ისეთი ველური ხდებიან, როგორებიც იყვნენ მოთვინიერებამდე. ასეა ეს კაცთა მოდგმაშიც. ხელისუფლება ჯოხით ადგას თავზე ადამიანებს: ეს შეიძლება – ის არაო. მაგრამ თუკი ადამიანებმა იგრძნეს კანონის სისუსტე, უფრო სწორად, კანონის გამტარებელთა უძლურება, ანუ მოღერებული ჯოხის უღონობა, იცოცხლე, მაშინვე იქცევიან მხეცების ხროვად: თავის ნებაზე მიშვებულნი, ერთმანეთს ყელს გამოღადრავენ, დასჭამენ და ამოხოცავენ ერთმანეთს ისეთივე სისასტიკით და უფრო მეტადაც, ვიდრე ეს ტყის ბინადართ სჩვევია ხოლმე.ოღონდ ნადირთაგან განსხვავებით, ეს „გონიერი არსება“ თავის გვარტომს და ჯილაგს დაერევა უწინარეს ყოვლისა.

ეჰ, კმარა, ჯერ შენ ერთობ პატარა ხარ საიმისოდ, რომ გაერკვე ამ მუხთალი ცხოვრების ავკარგში. ის კი არადა, მე, ამ ხნის მოვიყარე აგერ

და... მეც მიჭირს ეგა – ხან რას ვფიქრობ და ხან – რას. ხან ეს აზრი მომდის თავში – ხან ის. საბოლოოდ, გამოდის რომ... არც არაფერი მესმის და არც არაფერი გამეგება!..

„მაგრამ... მე მინდა გავიგო, გეყურება, ძია ერასტო? მე მინდა გავიგო... სად არის ჭეშმარიტება!.. მინდა ვიცოდე იგი! მინდა! გესმის შენ?“

გულში ჩაიხშო ყვირილი ბიჭმა. ჩაიკლა გულში ანგარიშმიუცემლად ბევრი სხვა კითხვაც, რომლებზეც პასუხი თავად ცხოვრებას უნდა გაეცა მისთვის... მერმისს.

შემოსევა

– იათნანა! იათნანა! – იბღავლა უეცრად ვიღაცამ.

ამ საერთო რია-რიასა და ალიაქოთში, ამ ფართოდ დაბჩენილი პირების, უაზრო, შეშლილი გუგების და აღგზნებულ-ალეწილი სახეების ნიაღვარში უცებ ისეთი მარტოობის და მიუსაფრობის გრძნობა დაეუფლა, ისეთ ზედმეტ და უსარგებლო არსებად წარმოიდგინა საკუთარი თავი, რომ ლამის გაქანებულიყო და გემბანის ბოძისთვის ეხეთქა შუბლი, ან არადა, წყალში გადამხტარიყო.

მარტოობის შეგრძნება ამ უსახო, უპიროვნო ჯგროში ლამის ყმუილს ანდომებდა – ეს ხროვაც, როცა იქნებოდა, იყნოსავდა მის სულიერ განწყობილებას, გეშს აიღებდა უთუოდ და მაშინ... „არ ამცდება ალბათ, დაფლეთა და ნაკუწ-ნაკუწად ქცევა!..

ძია ერასტო? ძია ერასტო სადღაა ნეტავ?“

გაფაციცებულმა თვალებმა მოძებნეს იგი ამ ბრბოში. ძია ერასტო სადღაც გემბანის კუთხეში მიყუჟულიყო. ღრანჭმოქცეულს, თვალები დავიწროებოდა. უსაშველო ზიზღს თუ სიძულვილს დაემახინჯებინა მისი პირისახე. მერმე, თითქოს რაღაც იაზრაო, მზერა მოწყვიტა ხალხს, კუნძულისკენ შებრუნდა, პირი დააღო და... საერთო დგანდგარს შეუერთა თავისი როხროხა ხმა. თან მუშტებს მაღლა იქნევდა მუქარის ნიშნად!

დანარჩენ ხომალდებზეც ორომტრიალი და აურზაური იდგა. შორიდან ხედავდა, როგორ აჟღრიალებდნენ მაღლაშემართულ შუბებსა და სატევრებს!

მერმე... თითქოს სიზმარში ხდებოდა ყველაფერი და ვიღაცის უხილავი ხელი ატარებდა თავის ნებაზე.

... ნაპირზე გადმოსულებს ლურჯად ჩაბინდული ტყეების უჩვეულო მდუმარება შემოეგებათ: ირგვლივ ძე-ხორციელი არ ჭაჭანებდა. უკაცრიელ სიჩუმეს მოეცვა არე-მარე. სადღა არიან ამორძალები? რატომ არავინ არ ჩანს? ნუთუ ვერ შენიშნეს მტრის ხომალდები? ან იქნება

შენიშნეს, შეშინდნენ და დამფრთხალნი, მიმოიფანტნენ? ან...

ათასგვარი „ან“ უტრიალებდა თავში. ჟრიამული და ჩოჩქოლი როგორღაც თანდათანობით მიწყარდა და მიყუჩდა.

ნიკას წარმოდგენა არ ჰქონდა, რასაკვირველია, სარდლობის ბრძოლის გეგმაზე. იცოდა ერთი რამ: უყუყმანოდ და უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა უფროსების ყოველი ბრძანება.

საბრძოლო ეტლები წინ გამწკრივდნენ. მერმე – ცხენოსნები. ცხენოსნების შემდეგ – ფეხოსნები – მძიმედ შეჭურვილი ჰოპლიტები დაეწყვნენ.

სტრატიოტებს, საერთოდ, ქედმაღლურად, მედიდურად ეჭირათ თავი ჰოპლიტებთან – აქაოდა, ჩვენ ცხენებზე ვართ ამხედრებულნიო.

მიიგრაგნებოდნენ ისე, ვით საავდრო შავი ღრუბლების გროვა, ვით საბუნიოდ ატეხილი, ერთმანეთს ჩახლართულ-ჩაწნული უხსენებელთა გორგალი, უდაბნოში რომ მიიზლაზნება და წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება ხოლმე.

რაც უფრო წინ მიიწევდნენ, კუნძულის სიღრმეში - ამორძალები მით უფრო ხშირ-ხშირად ესხმოდნენ თავს საფრებიდან.

უცნაური კივილით მოაგელვებდნენ ცხენებს და გავეშებული მომხვდურნიც, მხეცური ბრდღვინვით, ღრიალით, ყიჟინით ეკვეთებოდნენ ხოლმე მსუბუქად აღკაზმულ, მაგრამ შეუპოვარ, მამაც დიაცებს, ასე მარჯვედ რომ ხმარობდნენ იარაღს და მედგრად იბრძოდნენ.

იყო რაღაც უსაზღვროდ არაადამიანური, ტყიურული, ნადირული ამ ჟინსა და გახელებაში, თავაწყვეტილი ბრბოს ამ გაშიშვლებულ, შეუფერავ და შეუნიღბავ ველურობასა და აღტკინებაში.

თუმცა ამორძალები თავგანწირულად იბრძოდნენ, მომხვდურთა სვლა მათი მთავარი ქალაქისკენ, მათი დედა-ბუდისკენ იყო შეუჩერებელი, ბედისწერასავით გარდაუვალი და უსიკვდილო.

... ზართატეხით, დგრიალით, ზრიალით შეჯლიგინდნენ მომხვდურები მათ უზღუდო, უგალავნო, ყოველ მხრივ გაშლილ და დაუცველ ქალაქში.

გადმოსკდა და გადმოპირქვავდა ფარული სიძულვილი და ბოღმიანობა ფინიკიელთა და იონიელთა, ზიზღი და მტრობა ლიდიელთა და კილიკიელთა...

არ იყო დანდობა არავის: არც ბერდიაცთა და არც ჩვილ ყრმათა. იყო მხოლოდ სისასტიკე მძვინვარებდა მხოლოდ მრისხანება...

მთელ ამ გაბმულ, საშინელ, შფოთიან და სისხლიან ძილ-ღვიძილში – ამაზრზენი ხილვებითა და მოჩვენებებით რომ იყო აღსავსე, მთელ ამ გულისმომწყვლელ ყოფაში, – ბიჭი ახერხებდა შინაგანად მეთვალყურედ დარჩენილიყო და თითქმის შორიდან ეცქირა იმ საზარელი ამბებისათვის, რაც მის თვალწინ დატრიალდა. ამაში უშველა იმ ნიღაბმა, ძია ერასტოს რომ დაუნახა სახეზე და იმ სიტყვებმაც, რაიც იმ ღირსახსოვარ ღამეს უთხრა, და აგრეთვე იმ გარემოებამაც, რომ პირველსავე შეტაკებაში მკლავში და ბარძაყში დაიჭრა, - ეს მოხდა მაშინ, როცა ამორძალი ცხენდაცხენ მოეჭრა; ცდილობდა, მოეგერიებინა მისი მოქნეული შუბი და თავად არ გამოიყენა ხელსაყრელი მდგომარეობა საპასუხო დარტყმისათვის.

ცხენიდან ჩამოვარდა და ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა, ამხანაგები რომ არ მოშველებოდნენ. საცოდავი ამორძალი ცხენიანად აკუწეს და გადათელეს...

და თუმც ორივე ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა. მაინც მიეცა საბაბი, რამდენადმე განრინებოდა ბრძოლებს. უკვე მის ძალღონეს აღემატებოდა ემზირა, რა უმოწყალოდ ჩეხავდნენ სისხლმოწყურებულნი დამარცხებულ ამორძალთა მშვენიერ სხეულებს. ასეთ დროს გულის რევა ეწყებოდა და მისი შეკავება ისევე შეუძლებელი იყო, როგორც იმ ბრბოსი, ყასბის გულმოდგინებითა და გულგრილობით რომ ფლეთდა და კეპავდა ამორძალთა ჯერ კიდევ ცოცხალ, მფეთქავ სხეულთ.

საერთო აღტკინების ჟამს, თვალისასახვევად, სხვებთან ერთად თავადაც მორთავდა ხოლმე ღრიალს, და ზოგჯერ თავს იჭერდა იმაში, რომ ეს მოჩვენებითობა შეიძლება ნამდვილობად ქცეოდა. და მაშინ შეძრწუნებული, თავზარდაცემული, სულიერად განადგურებული მიწაზე ემხობოდა და გულამომჯდარი ტიროდა.

ბრბოს თავაშვებულობა და ველურობა თურმე ისეთივე გადამდები ყოფილა, როგორც სახადი, ჭირი და სნება!

არ შორდებოდა იმის შეგრძნება, რომ საშინლად გრძელ და მტანჯველ სიზმარში იყო, რომელიც არა და არ მთავრდებოდა.

... ერთხელ, თავაწყვეტილი ღრეობის ჟამს ერთმა დორელმა სტრატიოტმა სუფრაზე ამორძალის თავი დააძრო აბგიდან და თანამეინახეებს თვალწინ დაუტრიალა.

– შეხედეთ ამას! რა მშვენიერი თავია! ცოცხალი ამორძალის სამაგიეროდ ეს მიმაქვს საჩუქრად ჩემებისათვის. რას იტყვით, მამაცნო ვაჟკაცნო, ცუდი ძღვენი იქნება განა? – დორიელმა ისეთი ხორხოცი ასტეხა, გეგონებოდათ, მთელ გულ-ღვიძლს ამოატანსო ამ ხარხარს.

წამით განაბული სუფრა ერთბაშად აზრიალდა. გაისმა მოწონების შეძახილები, ტაშისცემა, ატყდა ფეხების ბრაგუნი, ღრიანცელი. ზოგს აშკარად შეეტყო, რომ შეშურდა დორიელის საზრიანობა: მე როგორ ვერ მოვიფიქრეო ასეთი ჭკვიანური რამ.

ერთსულოვანი მოწონებითა და შექებით გაამაყებულმა სტრატიოტმა ერთხელ კიდევ დაატრიალა თავი უბედური ამორძალისა და, მერე

ტუჩებში დორბლიანი კოცნა დააჭდო ანაზდეულად.

სუფრა გადაირია!

... შეუმჩნევლად გამოიძურწა, მერმე რომელიღაც ხესთან მიდგა და... თავისივე ნარწყევს დასჩერებოდა უცნაური გაკვირვებით: „აკი შენც შეჰპირდი შენს ბიძაშვილებს მშვენიერ ამორძალებს ჩამოგიყვანთ საჩუქრადო?“ - აქირქილდა უცებ ვიღაც ყურის ძირში. შეტოკდა. მერმე მოიბუზა, მოიკუნტა. „მე... ცოცხალ ამორძალებს ვგულისხმობდი. მე...“ „არა უშავს რა, შეგიძლია წაჭრილი თავებიც ჩაუტანო. იმ სტრატიოტმა ხომ მოიფიქრა ასეთი რამ? შენ რითი ხარ მასზე ნაკლები?“

დაჰყურებდა თავის ნარწყევს და სურვილი გაუჩნდა – გაგორებულიყო შიგ, თავი ეხლია მიწისთვის, სანამ... სული არ ამოხდებოდა...

მთელი ამ საშინელი სიზმრიდან კიდევ ერთი მკვეთრი მოგონება გამოჰყვა. ეს იყო უკვე ბრძოლების გათავების შემდეგ, როცა აოხრებული დედაქალაქიდან გემებისკენ ბრუნდებოდნენ.

გზად, ტყის პირას, ჭალაში დაბანაკდნენ.

მცირე ხნით შესვენება გადაწყვიტეს მეთაურებმა. ამით მაშინვე ისარგებლა ნიკამ და ტყეში შევიდა, რუს სათავეს აუყვა კოჭლობით.

უეცრად, უზარმაზარ ლოდებს შუა თვალი ჰკიდა მძიმედ დაჭრილ ამორძალს. ისიც, ეტყობა, ხოხვით, ტანჯვა-წვალებით მოსულიყო რუსთან და წყალს დასწაფებოდა. მტრის გამოჩენა მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის. სანამ ბიჭი გამოერკვეოდა, დაჭრილი ამორძალი ფიცხლად წამოიჭრა ზეზე. საკაპარჭედან ისარი ამოიღო და თვალისდახამხამებაში გამოსტყორცნა. ისარმა შხუილით ჩაუქროლა ყურის ძირთან.

გონს მოეგო. ბერძნულად გასძახა: ნუ გეშინია! ღმერთს გეფიცები, არაფერს გერჩი. ხომ ხედავ, მეც დაჭრილი ვარო! მაგრამ ამორძალმა თავისი მარცხით გამწარებულმა, რაღაც უცნაურად დაიკივლა, მერმე მყისვე დანა იძრო და გულში ჩაირტყა.

იგი პირქვე ჩაიკეცა, ლოდებზე.

გახევებული იდგა კარგა ხანს. ყელში რაღაც გაეჩხირა თითქოს. წამდაუწუმ იგონებდა ამორძალის თვალების გამომეტყველებას, როცა ისარს ესროდა: უსაშველო, უსაზღვრო სიძულვილი, ზიზღი და მტრობა ენთო მის აბზინვარებულ თვალებში.

გულდასერილი, ფეხის თრევით მიუახლოვდა ამორძალის ჯერაც თბილ სხეულს. გადმოაბრუნა.

ულამაზესი არსება იწვა მის ფერხთით. გრძელ, ლამაზ ფეხებზე საომარი წვივსაკრავი შემოერტყა, მოკლე ტუნიკი ეცვა და ქათქათა მკლავები აქეთ-იქით გადაყროდა. ბავშვურ, ნორჩ სახეზე მწარე ტკივილისა თუ სინანულის ღიმი შერჩენოდა. ღია, ბივრილისფერ თვალებში ცივი

გულგრილობა ჩაყინულიყო.

ოქროსფერი, მოკლედ შეკრეჭილი თმა მოუჩანდა კოხტა, ლამაზი მუზარადიდან. ვერცხლის ფართო სარტყელზე ცარიელი კაპარჭი ეკიდა. მოჭედილი პატარა ფარი და ხმალი გვერდზე ეგდო. ძუძუ-მკერდი, მთელი უბე სისხლში მოთხვროდა, სისხლის გუბე იდგა ლოდებს შუაც.

ეს ღვთაებრივი ასული, სიყვარულისა და ალერსისთვის გაჩენილი, ალერსისა და სიყვარულის ნაცვლად განგების უცნაური კარნახით მამაკაცურად შეჭურვილიყო, მამაკაცურად უნდა ებრძოლა და... ვაჟკაცივით უნდა მომკვდარიყო!

დასცქეროდა თვალგაშტერებით და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს დების: ჰელას თუ ელენას სხეული ეგდო მის წინაშე, მისივე დანით გულგანგმირული!

მერმე გულ-მკერდზე ხელები დაუკრიფა ცრემლთა ყლაპვით.

ღიად დარჩენილი თვალები დაუხუჭა. ფარ-სატევარი მკერდზე დაადო ისე ფრთხილად, თითქოს ცოცხალი ყოფილიყო, თითქოს ეშინოდა არაფერი სტკენოდა.

მერმე დაუჩოქა და... შუბლზე ეამბორა.

უმძიმდა განშორება და იქვე, მახლობლად ლოდზე ჩამოჯდა, თავზე ხელები შემოიწყო და ღრმა ფიქრებმა წაიღო.

„უკვდავო ღმერთებო! ნუთუ კაცი ნადირზე დაბლა მდგომი არსებაა?.. მხეცებიც აღარ დაერევიან ხოლმე ერთმანეთს ასე გამეტებით!.. კაცი კი, კაცი კვლასაც აღარ სჯერდება – უეჭველად სისხლში უნდა დაიბანოს ხელები და... დასტკბეს ნამოქმედარით! გაიხაროს სხვისი ტანჯვა-წვალებით!..

დია-უფალო!.. ღმერთებო! მაშ, ვინა ვარ მე?.. მეც ხომ ამ სისხლმოწყურებულთა ჯილაგისა ვარ? და... ამდენად, ჩემშიც მკვლელი ზის! აკი მეც წამოვედი ჩემის ნებით ამორძალთა დასახოცად! მეც ხომ უნდა დამეღვარა მიწის შვილთა სისხლი!.. მეც იმათთაგანი ვარ თურმე, ვინც მოფიქრებულად, სიამოვნებითა და ხალისით ჰკლავს თავისსავე მსგავსთ!

დღეს თუ არა... ხვალ – მაინც წამოვიდოდი! თუ ნებით არა, მიბრძანებდა ჩემზე ძლიერი, ღონიერი, ცბიერი და მომაკვლევინებდა – სულ ერთია, რა მიზნით (თავისი მიზნის გამართლებას ყოველთვის ეცდება მკვლელი!)

გამიგონია, ჯერაც არსებობენო კაციჭამია ტომები. (ნეტავ, თუ არსებობენ ლომიჭამია ლომები და ვეფხიჭამია ვეფხვები?)

ჩვენც ხომ ამ კაციჭამიათა მოდგმა ვართ? ჩვენშიც ხომ მინაბულა და მიყუჩებულა თურმე კაციჭამიას გეში და მხოლოდ ჟამსღა ელოდება, ეძგეროს თავისსავე მსგავს ქმნილებას და შესანსლოს-შეახრამუნოს?

ღმერთებო! ნუთუ აღარ მოსწყინდა თქვენს ბრწყინვალე თვალებს ერთი და იგივე სურათის მზერა?.. ან.. იქნებ იცვლება რაღაცა და... დროთა ვითარებაში... უკეთესი ვხდებით?..

ვერა გამიგია რა!.. აღარაფერი მესმის!“

„ნიკა! გეყოფა ამდენი ფიქრი და დარდი!“

ზე აიხედა. ჰოი, საკვირველებავ! უმშვენიერესი, გრძელთმიანი უიარაღო ამორძალი თავს წამოდგომოდა.

კოჭებამდე კაბა ეცვა – თეთრი, უმტვერო, თაფლისფერი ტალღოვანი, სქელი თმა მკერდსა და მხრებს უფარავდა. ჟუჟუნა თვალებში იდუმალი ღიმი ჩადგომოდა.

პირუჩუმრა შეჰყურებდა ელდანაცემი და ადგილიდან ვერ იძროდა. დიაცმა ტუჩებზე თითი მიიდო და თვალით ანიშნა, გამომყევიო. გატრიალდა თვითონ და საპირისპირო აღმართს შეუყვა. ალვასავით მიირწეოდა ტყის სიღრმისკენ. ბიჭიც მთვარეულივით მისდევდა. რა ძალას უნდა შეეჩერებინა ახლა?.. რომ ებრძანებინა, უფსკრულში გადავარდიო, დაუყოვნებლივ გადაეშვებოდა.

მუხის ქვეშ შედგა ამორძალი. ბიჭიც მოშორებით გაჩერდა.

მათ ქვემოთ გადაშლილიყო აქოჩრილი, ზურმუხტისფერი ტყე-ველი. შორს, ზღვის ცისფერი ზოლი ილანდებოდა.

ამორძალი დიაცის მარმარილოსებრ სახეზე კუნთი არ ტოკავდა, მხოლოდ თვალებში ეტყობოდა სიცოცხლის ნიშატი: თვალები უციმციმებდა უცნაური შუქით და ეს ღვთაებრივი, მუქი ცისფერი თვალები ირეკლავდნენ თითქოს ცისა და ზღვის უსაზღვრო და დაუსაბამო სილურჯეს.

– შეხედე, – უთხრა თითქოს გაუგებარ და მაინც გასაგებ ენაზე, – შეხედე! ეს შენი წინაპართა საუფლოა – ახლა იავარქმნილი, გავერანებულ-გატიალებული... აქ მალე მოვა სხვა ტომი. სხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვა სისხლის მქონე და დასახლდებიან, დაეფუძნებიან მკვიდრად კუნძულსაც სახელს გამოუცვლიან კვიპროსს დაარქმევენ და... მოისპობა შენი წინაპრების სამკვიდრო, ვით შენს სისხლში ნელ-ნელა ქრება ნიშატი იათნანური. შენს მონაგარში ეს მცირეოდენი დვრიტაც აღარ იქნება. სხვა სისხლი ახმაურდება მათ ძარღვებში. სხვა ყლორტი გამოისხამს ნაყოფს. და იქნება ასე მრავალ საუკუნეს, ათასწლეულებში.

მაგრამ... ათასწლეულების შემდეგ შენ მოხვალ აქ ისევ.

მოხვალ განახლებული, გაძლიერებული შენს თანამეწყვილესთან ერთად, მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი და გამობრძმედილი ათასგვარ უბედურებაში.

მოხვალ და დაიჩოქებ წარმოსახულ საფლავთან ისე, ვით ახლა

მოუყარე მუხლი ამ უდროოდ დაღუპული გოგონას ცხედარს.

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა მშვენიერი ამორძალი თუ... ციური მაცნე და გაოგნებულს, ბუნდად ესმოდა მისი ხმა და სიტყვები.

მეყსეულად ამორძალთა დედოფალმა ხელი დაადო თავზე ბიჭს:

– ხოლო ცრემლი შენი და ცრემლი შენნაირთა – წმინდაა, ჩემო კეთილო!.. გადარეცხავს იგი უთუოდ ჭუჭყსა და სიბინძურეს დედამიწაზე და... გააღვიძებს კვლავაც აიაიელთა ანუ კოლხ-იბერთა მოდგმაში ცოდო-მადლის აწ მივიწყებულ გრძნობას და...

გადაიკარებს! გაბრწყინდება ზეცა კუნძულის თავზეც! თუმც... ამაზე ნუღარ ვიუბნებთ მეტს, ჩემო ნიკა!

დროა, დაუბრუნდე სისხლითუძღებ თანამოლაშქრეთ შენსას! ოღონდ... – დედოფალი დაიხარა და თვალებში ჩააცქერდა ხანგრძლივად:

– ოღონდ: არჩევანი შენზეა, ნიკა!.. რომელ გზას აირჩევ? ადვილს თუ ძნელს?.. ნარეკლიანს თუ... ვარდყვავილებით მოფენილს?

ვის მხარეზე დადგები: ძლეული სიკეთის თუ... გალაღებული ბოროტების?.. სიმართლის თუ... სიცრუის?

არჩევანი შენზეა, ნიკა!

...თავი რომ ასწია, ისევ იმ ადგილას იჯდა, საიდანაც წაიყვანა იგი ამორძალთა დედოფალმა თუ... ციურმა მაცნემ.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. მხოლოდ დროდადრო, ქვემოთ, ჭალაში დაბანაკებულ მოლაშქრეთა ღრიანცელის ხმა ამოჰქონდა სიოს.

თითქოს არც არსად წასულა აქედან. ყველაფერი ისევ ისე იყო. მკვდარი ამორძალი გოგონაც ისევ პირაღმა ესვენა მიწაზე. ოღონდ ეგაა: თავი უბრუოდა და თვალებიც უჩვეულოდ ეწვოდა.

წამით ხელისგულებში ჩამალა გახურებული სახე:

„ნუთუ... სიზმარში ვიყავი... ან ხომ არ მომეჩვენა დედოფალი? ანდა... მე კი ვარ „მე“?.. ვინ ვარ სინამდვილეში? ვინ მეზრახებოდა წეღან?.. ამორძალთა დედოფალი თუ... ეგება... ძილქუში დამაწვა და.. არსადაც არ მომიცვლია აქედან ფეხი? ან... ეგება მილეთიც სიზმარია და იათნანაც ძილბურანში მომელანდა?“

ბარბაცით ჩაუყვა ბილიკს. ბარძაყის ტკივილმა ამცნო, რომ იათნანაზე იმყოფებოდა, ეს ჭრილობები ამის უტყუარი ნიშანი იყო.

ერასტო ძია კვლავინდებურად არც ცოცხლებში ჩანდა და არც მკვდრებში. მისი ასავალ-დასავალი ვერა გაიგეს რა: უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

...ბრუნდებოდნენ გამარჯვებული მოლაშქრენი და თუმც, ბევრი გამოაკლდათ, ერთობ ბევრიც, სამაგიეროდ, ხომალდები და დრომონები ვეღარ იტევდნენ ნაალაფარს. რაც მთავარია და განსაკუთრებით საგუ-

ლისხმო – საკუთარ ქვეყნებში მიჰქონდათ საშვილიშვილოდ თავმოსაწონებლად და საბაქიბუქოდ – ამბავი აქამდე დაუმარცხებელ ამორძალთა გაჟლეტისა. მართალია, როგორც ამბობენ, მცირე ნაწილმა თავს გაქცევით უშველა თურმე, მაგრამ აბა, რა სახსენებელი იყო ის ერთი მუჭა გადარჩენილები ამ ურიცხვ დახოცილთა გვერდით?

ბრუნდებოდა თავ-თავიანთ ქვეყნებში მოზეიმე და მოდაფდაფე ლაშქარი და.. ზოგს ნადავლად მიჰქონდა უთვალავი ოქრო-ვერცხლი, ზოგს საუცხოო ჯამ-ჭურჭელი, ფარჩა-ქსოვილი და სხვა ძვირფასეულობანი, ზოგს ამორძალთა წაჭრილი თავები და ზოგს კიდევ – რა გინდა რა! მაგრამ... არც ერთს არ მიჰყავდა ცოცხალი ტყვე ამორძალი!

საერთო სიხარულს ამით, შესაძლოა, ჩრდილი მისდგომოდა, მაგრამ საამაყოდ ამორძალთა მოჭრილი თავები რჩებოდა, ძღვნად რომ უნდა მიერთმიათ თავიანთი ახლობლებისათვის „სახელოვან“ მეომრებს – იმის ნიშნად, რომ ზღაპარი და მოგონილი ჭორი კი არ გახლავთ ამორძალთა ამოხოცვა, არამედ ნამდვილი, წყალგაუვალი ამბავიო!

... იდგა მოაჯირთან უალაფო, უძღვენო და მტკივანი მკლავ-ბარძაყიღა იყო დასტურად მისი მონაწილეობისა ამ არნახულ ხოცვა-ჟლეტაში.

იდგა დაღონებული და დათალხული თვალებით გაჰყურებდა მიწის ვიწრო ზოლს, თანდათან რომ პატარავდებოდა. დღე ილეოდა.

დაჭრილი მზე ამორძალივით ღაფავდა სულს და ნელა ჩადიოდა დასალიერში. აი ცოტაც და...

ერთდროულად გაუჩინარდა იათნანას კუნძულის გამოსახულება და მზის ვეება, სისხლიანი დისკო.

1988 წ.

„დე ეს ოდინდელი მწარე ტანჯვა, უსაშინლეს
საუკუნეებით დაგროვილი, ჩანერგილია ჩემს
სხეულში, რომლისგანაც მზის ცეცხლით
გამლხვალი მჟონავი წვეთები გამუდმებით
ეცემიან კავკასიის კლდეებს“.
მიჯაჭვული პრომეთე
ესქილე

ძახილი

ერთხანს გაუნძრევლად იწვა და თვალდალურსული ყურს მიუგდებდა საკუთარ გულისცემას. არა და არ წყნარდებოდა იგი: ისეთი ბაგა-ბუგი გაუდიოდა, ლამისაა ბუდიდან ამოვარდნილიყო.

მერე თანდათან, ნელ-ნელა შენელება იწყო ხმაურმა: თითქოს ნაპირზე ამოვარდნილმა მოფართხალე თევზმა კვლავ მორევში ჩაიყურყუმალაო. მაგრამ მშვიდად ყოფნა მაინც არ ეთქმოდა მის მდგომარეობას, ვინაიდან „ის“, რამაც ასე ერთბაშად, თითქოს ძალუმი ხელისკვრით გამოაღვიძა, ისევ ისე ხმიანობდა, მართალია, ნაკლები, მაგრამ მაინც მკაფიო, საცნაური ძლიერებით. ამ „ხმის“ რხევისგან ჯერაც ტოკავდა სხეულის თითოეული ნაკვთი...

დამძიმებული ქუთუთოები ფრთხილად ასწია და ფრთხილადვე მიმოატარა მზერა გარშემო, თითქოს ეშინოდა – ვაითუ, პირისპირ შევეჩეხო „იმასო“...

ალიონის მურუჟი შეფერადებული ჩანდა, ფანჯრის ფარდას მსუბუქი ნიავი არხევდა და მისი გამახვილებული, დაძაბული ყურთასმენა ახლა უმცირეს ჩქამსაც კი აღიქვამდა.

კვლავ მიაყურადა გულის ფეთქვას. ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს ამას წინათ დათითოებული, დაცალკევებული ნაწილები სხეულისა, ისევ ისე შეერთებულიყვნენ, რათა გაერთმთლიანებულთ, უფრო მკვეთრად, უფრო ცხოვლად შეეცნოთ იმ იდუმალი, უჩინარი ხმისაგან მოგვრილი განცდა! არა, ეს არ გახლდათ ძილ-ბურანში ჩავარდნილი, მთვლემარე გონების წამიერი ჩვენება, არც სიზმარეული რამ ხილვა, –იგივე „ხმა“, ან უფრო სწორად, მისი ექო, თუმცაღა ძლივშესაგრძნებად, მაგრამ შემტევი სიჯიუტითა და დაჟინებით კვლავაც ატოკებდა მის ძარღვებს.

მერე წამით თითქოს გულმა ხმაური შეწყვიტა, წამითვე სული და სხეული თითქოს გაითიშა ერთიმეორისაგან და მყისვე საშინელ წკვარამსა და სიცარიელეში ჩაიძირა მისი გონება, და ახლა, ამ ანაზდეულად ჩამოწოლილ უკუნეთში, ისევ ისე მძლავრად, მომწოდებლური ჟინითა და წადინით გაისმა იგივე ძახილი თუ... გმინვა-კვნესის ხმა, რამაც წეღან ასე

ძლიერ აუჩქროლა სისხლი ძარღვებში.

სწრაფად წამოჯდა საწოლში და თვალები ღია სარკმელს მიაწყვიტა.

„აღარ თენდება?.. აღარ დაადგა საშველი?“ – შემოჰკვნესა გულმა. მოუთმენლობით შეპყრობილმა მისმა მზერამ, უნებლიეთ, მძინარე მეუღლეზე გადაინაცვლა. წამით უცნაურად განსპეტაკებული და გულგრილობამდე მშვიდი ეჩვენა ქალის სახე. ეს უძრავად გაშოტილი სხეული ამწუთას მართლაც ჭურჭელიღა თუ იყო იმ სულისათვის, უკიდეგანო და უსაზღვრო სივრცეებში რომ მიმოქროდა ბორკილებდაწყვეტილი, ან ეგების... სულაც აქვე, შორიახლოს ტრიალებდა, რომ ისევ დაბრუნებოდა თავის გალიას, რათა უწინდებურად მორჩილად და თვინიერად ეტვირთა ყოველდღიური ცხოვრებისეული ჭაპანი, მისი ჭირ-ვარამი.

ეგების თავადაც „იქ“ იყო, ამ რამდენიმე ხნის წინ? იქნებ იმ უსასრულო ვარსკვლავიერ მხარეში დარიალობდა მისი სულიც და იქიდან, იმ დაუსაბამო შორეთიდან ჩაესმა ის უზეშთაესი, ზესთაზენური „ხმა“ – მოწოდება თუ ბრძანება ერთდროულად?

ბალიშზე მიდო კვლავ თავი. მკლავები საბანზე დააწყო და გარინდებულმა სარკმელს მიუშტერა ისევ თვალები. გაყუჩდა.

...ჯერ კანტიკუნტად, თითო-ოროლად გაისმა ფრთოსანთა ჟივილი. მერმე ერთობლივად, გაბმულად აჭიკჭიკდნენ, თითქოს უხილავი დირიჟორის წკეპლის დაქნევაზე. ცას მტრედისფერმა გადაჰკრა.

„თენდება!“ – შვებით ამოისუნთქა და... ზეაიჭრა. ისეთი სიმსუბუქე და სისხარტე იგრძნო ერთბაშად ტანში, თითქოს მეყვსეულად ჩამოსცილდა სამი ათეული წელი და ისევ ის ცქვიტი, მარდი ყმაწვილი გახდა.

ფოსტლებში წაყო ფეხი, ჩოხა მოიცვა და აივანზე გავიდა. სამშვიდობოზე გასული პატიმარივით ლაღად მხრებგაშლილმა, ხარბად ჩაისუნთქა განთიადის გრილი, სუფთა ჰაერი და კისერზე ხელებგადანასკული მიაჩერდა დაკბილული, ლილისფერი ქედების გრეხილიდან ამაყად, მედიდურად ამოზიდულ ზეთავს მწვერვალისას.

შეჭაღარავებული თხემიდან ჯერ მნათობის ალისფერი ყუა გამოჩნდა, მერმე ნელ-ნელა იწყო ამოგორება გავარვარებულმა, დიდმა დისკომ. მცირე ხნის შემდეგ იგი მთის ფხაზე შემოჯდა.

„მზე ამოკაკანდაო“, გაივლო გუნებაში ალერსიანად და წელში აწვართული, ისევ მოდუნდა და დაზარებით გაიზმორა.

ფრთოსანთა გუნდი გაორკეცებული ძალითა და ხალისით არაკრაკდა. ამ მრავალხმიან და თანწყობიერ ორკესტრში გამოირჩეოდა შაშვების წარმტაცი სტვენა-გალობა.

„ჰოიდა, ლილეო!“ – დაიძრა ანაზდად იქ, სადღაც გულის უშორესი, უღრმესი ფსკერიდან.

„ლილეოდა, დიდება შენდა,
დიდება შენდა, ზეციერო!“

უფრო და უფრო ფრთებს შლიდა საგალობელი და ზეცისკენ მიიწევდა თავდავიწყებული ნდომითა და გახელებით.

გათენდა. ცის გუმბათს კრიალა, ღაღანა იისფერი გადაჰკრავდა.

„გოთანდუ! დიდებუან ბჟაქუ, ფართას გელებარჩხალუ!“[1] – გახმიანდა გულში ხალხური ლექსი და კვლავ ნებიერად გაიზნიქა. სხეულში ავაზას მოქნილობა და ძალა ჩასდგომოდა, სულში კი – ჩქერალებად ეღვრებოდა მზის სხივები.

„ჰოიდა, ლილეოდა და ლილეო!“

იდგა ერთხანს ასე შეურხევლად, თავუკანგადაგდებული, განაბული და ჩუმი, ნეტარი ღიმილით მიუგდებდა ყურს სულის სიღრმიდან წამოსულ მელოდიას, მთელი მისი არსება რომ მოეცვა.

„რემა!“ – დარეკა უცებ იმ „ხმამ“.

„რა დროს სიმღერაა, რემა? იჩქარე. საშურია ყოველი წამი. შენ ხომ გზა გელოდება, რემა, გრძელი, შორეული გზა. შენ გზა გეძახის-მეთქი, რემა! ჟამმა დარეკა. ჰაი, ჰაი, რომ ჟამმა დარეკა, ჟამი გიხმობს და მოგიწოდებს, რემა!“

თავი I

ჰე, ჰეი. ეს ბილიკიც მოთავდება მალე და შუკა-შარაც. მერმე დაიწყება აღმართი.

ჰე, ჰეი. ბარჩხალა მზე უკვე გადაიწვერა დღიური შრომა-საქმიანობისგან მოღლილ-მოქანცული და მოსასვენებლად მიბრძანდება დასალიერში, მთვარე კი – ფერმიმქრალი და მილეული უღონოდ ჩამოკონწიალებულა ცის თაღედზე, ლამისაა ყინწი მოსწყდეს და ბზრიალ-ტრიალით წამოვიდეს ძირს – დედამიწისაკენ! მაგრამ არა... თანდათან, ნელ-ნელა იკრებს ძალ-ღონეს, ივსება ფერ-ხორცით – მზისგან ნაბოძები მადლით და სიკეთით.

„თუთა ახალი, ღორონთ სი გუმაახალი, ახალი თუთა გუმახარი, ცაში კარი სი გომინჯი, სი ჯვეში დო მა ახალი!“[2]

ბიჭმა ეშმაკური ღიმილით ჩაუპაჭუნა თვალი ნამგალა მთვარეს და: „სი ჯვეში დო მა – ახალიო“, გაიმეორა სამჯერ, ცალ ფეხზე შემოტრიალდა და კვლავ ხტუნვა-ხტუნვით გაეკიდა თხებს, ეჟვნების ჟღარუნით რომ მიკუნტრუშებდნენ მის წინ.

ცხვირში საამოდ უღიტინებს შემწიფებული ყურძნისა და სიმინდის ტაროების-ფუჩეჩების სურნელი.

ჰეი, ჰეი. ხილის ჭამა აწი შეიძლება თამამად – დადი არ დაუშლის. მარაშინა (მარიამობა) ეს-ესაა გავიდა. ამიერიდან ნაკურთხია ჭყინტი სიმინდიც, ყურძენიც და ეს ჩაფულა ლეღვიც. სულო ცოდვილო, მარაშინამდეც მიურთმევია უმწიფარი ყურძენი თუ ლეღვი (ყოვლად წმინდა მიუტევებს ამ შეცოდებას), სამაგიეროდ, ჭიაკოკონა ღამეს ყველაზე დიდი კოცონი დაანთო და ყველაზე მაღლა გადახტა, ყველაზე ბევრი იმღერა, იცეკვა და იმხიარულა კიდეც... ხოლო ახლა, ამ ბროწეულის ხეს ვერ ჩაუვლის ისე, ბატონო ჩემო, ვერა!

ბიჭი ღობეზე შეხტა და ბროწეულის ტოტს წაეპოტინა. „ბერ-წული“ მზის ნაყოფიაო, ამბობს დადი, მზის ჩხორიამ დააორსულაო ბროწეულის ყვავილები. ჰეი, ჰეი... მზის შვილია ეს ბროწეული და ეს სოფელიც. ეს ხვიჩა ბიჭიც – ასკინკილათი რომ მისდევს წვერებცანცარა თხებს – მზის თურია, მისი შთამომავალია!

ჰე, ჰეი... ცხრათვალა მზეა დედა ყოველი სულდგმულისა, სიცოცხლის დვრიტა ყოველი არსისა.

და ხმამაღლა შემოსძახა ანაზდად:

„ბჟა-დია ჩქიმი, თუთა – მუმა ჩქიმი,
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხები და დო ჯიმა ჩქიმი[1]“.

ბიჭი ერთბაშად შედგა და ოდნავ ღიად დარჩენილი პირით, ადგილზე გახევდა.

ორღობის ბოლოში წვერულვაშეჭაღარავებულ კაცს ქვიშისფერი ბედაურისთვის კისერზე შემოეხვია ცალი ხელი, მეორეში მოკეცილი მათრახი ეჭირა და... ღიმილით უყურებდა.

ბიჭს ნუშისებრი თვალების ჭრილი ჰქონდა. მოგრძო, ხორბლისფერი სახე და ხორბლისფერივე ტალღოვანი თმა, სოთი ცხვირი და თხელი ტუჩები. ოდნავ ჭორფლიანი ღაწვისთავები ოფლის წვეთებს დაეცვარა. ფეხშიშველას, ძიქვააკაპიწებულ, მაღალკანჭება ბიჭს – სახელოებაკრეფილი კოპლებიანი ჩითის პერანგიდან ბავშვურად სუსტი, ნამზეური მკლავები მოუჩანდა.

– ვინ გასწავლა, ბიძი, შენ ეს სიმღერა?

ბიჭმა ძლივსძლივობით მოსწყვიტა მზერა უცნობის სხივიან, ცისფერ თვალებს, შეიშმუშნა:

[1] „გათენდა. დიდებული მზე ფართოდ გამობრდღვიალდა“

[2] მთვარე ახალო, ღმერთო, შენ განმაახლე, ახალო მთვარევ გამახარე, ცის კარი შენ გამიხსენი, შენ ძველი და მე – ახალი.

[1] მზე — დედაა ჩემი, მთვარე — მამაა ცემი, ჩახჩახა ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი!

– ჩემით ვისწავლე, ბატონო... – ჩაილაპარაკა ბოლოს ძლივს გასაგონი ხმით, რატომღაც დარცხვენილმა და მზერა ძირს დაიღო. მერმე ხელში შერჩენილ უმწიფარ ბროწეულს ერთი ახედ-დახედა და შორს მოისროლა.

– რა გქვია, ბიძი, შენ სახელი?

ბიჭმა თხილის წნელი ორად მოღუნა და დახრილი ქუთუთოებიდან ქვეშ-ქვეშ გახედა კაცს, რომლის თვალებიდან უცნაურად მომნუსხველი შუქი იღვრებოდა და ბიჭს თითქოსდა თავის ჯადოსნურ ბადეში ხვევდა.

– ჯონდოია... ჯონდო, ბატონო! – შეყოვნებით გასცა პასუხი.

– გვარი?.. რა გვარის ხარ, ბიძი?

– ოდიშარია.

– ო, ო, ყოჩაღ. კაი ბიჭი ხარ შენ, ჯონდოია ოდიშარიავ!

ბიჭი შეტოკდა. თავისდაუნებურად სახე დაესხიპა. ვერ იტანდა, როცა დიდები ენას უჩლექდნენ. „ვიცოდე ნეტა, რატომ ვარ კარგი?“ – გაივლო გულში ამრეზით, მაგრამ უცნობის მზერას რომ წააწყდა კვლავ, დადრკა. მოლმობიერდა ერთბაშად.

– ჰეი, ჯონდოია ბიჭო, თხები გაგექცა!

– სად გაიქცევიან, ბატონო? სახლში მივლენ.

– შორს ცხოვრობ აქედან, ჯონდოია?

– არა, რატომ! აი, იმ ფერდობის ძირშია ჩვენი ოხორე.

– ჰოო... მართლა არ ყოფილა შორს.

უკვე ერთად მიაბიჯებდნენ გვერდიგვერდ. ბიჭმა კვლავ მალულად გეზად შეათვალიერა უცნობი კაცი. მერმე მზერა ცხენის შხვართი ფეხებისაკენ გაექცა. წამით სულთქმა შეეკრა: „ე-ახ!“ – გულში ჩაიბრუნა ჩუმი ნატვრის ოხვრა, მაგრამ სასწრაფოდ შეეცადა, სახეზე გულგრილობა აეხატა.

– მოგწონს ჩემი ცხენი, ჯონდოია ბიჭო?

ბიჭი შეკრთა. ალმური წაეკიდა სახეზე. შერცხვა, რომ ნაჩუმათევ ნატვრას მიუხვდნენ. ნანაია შური, რა გულთმისანი ყოფილა ეს კაციო, გაიფიქრა უნებლიე გაოცებით და დიახ, ბატონოო, დაუდასტურა თავჩაღუნულმა, სახეალეწილმა.

– კაი ცხენია ...ნამეტანი! – დაამატა უცებ დიდი კაცის კილოთი და ისევ იყუჩა. ერთხანს მდუმარედ იყვნენ ორთავენი. მერმე ბიჭმა თავი ასწია, დაბლიდან მაღლა ახედა უცნობს და უცებ მოსწყდა მის ბაგეს:

– მე თქვენ გიცნობთ, ბატონო! – თქვა თუ არა, მყისვე ენაზე იკბინა შემცბარმა, თვითვე ეოცა თავისი სითამამე.

– გიცნობო?.. საიდან, ჯონდოია ბიჭო? – ახლა კაცის გაოცების ჯერი დადგა.

კოპებშეკრული ბიჭი წამით ჩუმად იყო, ეტყობა, თავისთვის აზრობდა

რაღაცას, მერმე ისე, თითქოს ფიქრშიაო, გაიმეორა: – გიცნობთ კი. ჩვენს ეკლესიაში ხართ დახატული, კედელზეც და სვეტის თავზეც.

– ეკლესიაში?!

– ჰო, დიახ. ოღონდ... ოღონდ... იქ შუბი და ფარი გიჭირავთ ხელში და... უწვერული ბრძანდებით!

უცნობმა გაიცინა. ბიჭმა სწრაფად ახედა. დია! როგორ იცინის ეს კაცი? თითქოს... რუ რაკრაკებსო. არა. უფრო სხვანაირად... საარაკოა პირდაპირ!

ბიჭმა გონებაში ვერ მოძებნა ფარდი სიტყვა და ისევ მოიქუფრა.

– აქედან რა მანძილია თქვენს ეკლესიამდე, ჯონდოია ბიჭო?

– აქვეა, ახლოს, ბატონო! – ბიჭს შეკრული შუბლი გაეხსნა, ისევ გამოცოცხლდა: – აგერ, ეს შარა რომ მოთავდება, გორაკი გამოჩნდება ერთი, ჩვენს პირდაპირ. ე, მაქაა, გორაკის თავზე. ჩემი დადი ამბობს, ჩვენი ოხვამე[1] I უძველესიაო მთელს ამ მხარეში და ყველაზე ძლიერი წმინდა გიორგი ჩვენა გვყავსო.

– ნუთუ მართლა?

– დიახ, ბატონო!

– ილორის წმინდა გიორგიზეც ძლიერიაო, განა? – დაეკითხა უცნობი ისევ. იგი წამდაუწუმ იღიმებოდა და თეთრ, ქათქათა კბილებს აჩენდა.

– ჯეგე მისარონი ძლიერიაო, ძალიან ძლიერი! – პირდაპირ პასუხს თავი აარიდა ბიჭმა. მერმე ჰეი, ჰეიო, დაიძახა უცებ, წინ გავარდა და ტყრუშულ ღობეზე აბღოტებულ თხას წკეპლა გადაუჭირა, კვლავ წინ გაიგდო. მერმე შედგა და უცნობს დაელოდა, ტაატით რომ მოჰყავდა კისერაღერილი, თვალაბრიალებული ბედაური. ბიჭის შეფარული ცნობისწადილით ანთებული მზერა ქურდულად გადაინაცვლებდა ხოლმე კაციდან ცხენზე, და პირუკუ.

ღვინისფერ ჩოხა-ახალუხში გამოკვალთული, ასხეპილი აღნაგობის, საშუალოზე ოდნავ მაღალი, ხანში შესული მამაკაცი ჭაბუკური სიკისკასით მოირხეოდა თავისი მშვენიერი ცხენის გვერდით. მხარზე მოხდენილად გადაეგდო თეთრი ყაბალახი. თავზე სვანური ქუდი ეხურა.

მონადირეა? მაგრამ თოფი რომ არა აქვს თან? არც მეძებარი ახლავს. მაშ, ვინ უნდა იყოს? ნუთუ მართლა საყდრის კედლიდან გადმოვიდა და აგერ, ა, ამ სოფლის შარაგზაზე მორონინობს ჯონდოიას გვერდით?

არა, ჩვეულებრივი კაცი რომ არაა – ეს ცხადზე უცხადესია. ამას გუმანით ხვდება ბიჭი. რაღაც სხვანაირია უსათუოდ. კი, ასეა ეს.

„რაღაც სხვანაირიაო“, ასკვნიდა ბიჭი თავის გუნებაში, როცა რაიმე უჩვეულოს, ამოუხსნელს ანდა გაუგებარს გადააწყდებოდა. ამ სიტყვე-

[1] ეკლესია

ბით იმშვიდებდა თითქოს თავს და ახლაც, ამ სიტყვებმა ოდნავ დაუცხრო და დაუშოშმინა მისდაუნებურად აფორიაქებულ-აწრიალებული გული.

– შენ კარგად მღერი, ჯონდოია ბიჭო, ერთობ კარგად! ხომ არ იმღერებ კიდევ „მზე – დედაა ჩემი“?

სხვა ვინმეს რომ ეთხოვა ახლა, ჯონდო არასდიდებით არ დათანხმდებოდა: არ უყვარდა, რამეს რომ ავალებდნენ უცხოები, მით უმეტეს, სიმღერას თუ უკვეთავდნენ ხოლმე.

როცა ემღერებოდა, მაშინ მღეროდა. მორჩა და გათავდა. ეს შინაგანი, თანდაყოლილი სიამაყის გრძნობა – ეგებ ამპარტავნობასთანაც წილნაყარი – გაუცნობიერებლად ბუდობდა ბიჭის არსებაში. იგი მრავალ სხვა მანკიერ თუ ღირსეულ ნიშან-თვისებასთან ერთად, დასაბამიერი გახლდათ ბიჭის ჯიშისა და ჯილაგისათვის და ათასწლეულების ტევრში გამოვლილი, დღემდე ინარჩუნებდა თავის, შესაძლოა, ავბედით ძალმოსილებას.

მაგრამ ვერ გააწბილებდა ახლა ბიჭი ამ უცნობ, ჭარმაგ კაცს, ხათრს ვერ გაუტეხდა ვერანაირად და ესეც, ეს ნიშან-თვისებაც, აუხსნელი და გაუგებარი რჩებოდა თვით მისთვისაც, რადგან სულის ხვეულებში ჩაკარგულ-ჩახლართული, იგი ჟამიდან ჟამზე, მისდა უნებურად, იწყებდა ზედაპირზე ამოტივტივებას, მისდა უნებურად შეახსენებდა ხოლმე თავის თავს.

ბიჭმა, ცოტა არ იყოს, გაუბედავი ხმითა და დარცხვენილი იერით წამოიწყო სიმღერა. მერმე თანდათან გული მოეცა, სძლია მორიდების გრძნობას და... ხმას აუწია.

დაამთავრა თუ არა ჯონდომ სიმღერა, უცნობმა მათრახიანი ხელი გადახვია გაჩხინკულ მხარზე, გვერდზე მიიკრა: – ჩინებულია, ჯონდოია ბიჭო, ჩინებული. აი, ეს მესმის!

ბიჭს რატომღაც ეს შექებაც ეამა ახლა, მეტადრე მოფერებამ გაუბადრა სახე.

– მაგრამ... წელან შენ, თუ არ ვცდები, ცოტა სხვანაირად იმღერე, ხომ მართალია, ჯონდოია ბიჭო?

– სხვანაირად?

– ჰო, სხვანაირად. აი, ასე... – და უცნობმა თავად წაიღიღინა: „მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამა ჩემი“. ხომაა ცოტათი განსხვავებული, ჯონდოია ბიჭო?

გატრუნული ბიჭი შეირხა უცებ:

– კი. განსხვავებულია, ბატონო.

„დედაია, სასწაული პირდაპირ!“ პირველად მართლა ცოტა სხვანაირ კილოზე იმღერა – ერთი ბეწოთი, სულ ფიორისხელად განსხვავებულად. მაგრამ ამ კაცმა როგორ შეამჩნია ეს? ანდა... ასე ზუსტად რაფერ გაიმეორა?.. ჩანს, რომ... ძალიან კარგად მღერის თვითონაც. ეუჰ! სადაა ახლა ნათია? რას შეუწყობდნენ ხმას ერთმანეთს! ნეტა, ვისთან მიდის აქეთკენ? ვისი სტუმარია ეს კაცი ამაღამ?“

– ჩვენს სოფელში ხომ არ მობრძანდებით, ბატონო? – თავისი აზრით, ცოტა შორიდან შემოუარა სათქმელს ბიჭმა და კრძალვით შეავლო კვლავ თვალი. უცნობი თითქოს წამით შეყოყმანდა და:

– თქვენთან მოვდივარ, ჯონდოია ბიჭო, თქვენს სოფელში.

– ჩვენთან?.. ოხ. რა კარგია! – აღმოხდა უცებ გახარებულს. მცირე ხანს აწვალებდა ხელში წკნელს, მერმე წარბებსქვემოდან ფრთხილი მზერა ესროლა უცნობს და:

– ვისთან მიბრძანდებით, ბატონო, ჩვენს სოფელში, თუ შეიძლება, რომ... – სიტყვა გაწყვიტა და ენა მოიკვნიტა. ბიჭს ახლა ყურებიც ნაკვერჩხალივით გახდომოდა და რომ დაეფარა ერთბაშად მოზღვავებული უხერხულობის გრძნობა, თავი უფრო ჩაღუნა. უცნობმა ჩუმად ჩაიცინა, მერმე ქოჩორი მოუჩეჩა ბიჭს და:

– ჯერ არ ვიცი, ვისთან მივიდე, მარა... მე მგონია, ვისაც არ უნდა მივადგე ამ შეღამებულზე, ყველა მიმიღებს. ასე არაა, ჯონდოია ბიჭო?

– დიახ. რასაკვირველია, ბატონო! სტუმარი ღვთისაა. – სხაპასხუპით, სულმოუთქმელად მიუგო ბიჭმა, თითქოს შეეშინდა, პასუხი არ დამიგვიანდესო, მერმე ისევ დადუმდა წამით. წარბები შეიკრა ფიქრიანად. ჩანდა, რომ თავის თავს ებრძოდა, გავბედო თუ არაო, ნამეტან უზრდელობაში ხომ არ ჩამომართმევს უცნობი, რადგა ისედაც, ვგონებ, გადავაჭარბე და ენად გავიკრიფეო; ელვის უსწრაფესად ენაცვლებოდა აზრები ერთმანეთს, მერმე ისეთი სახით, თითქოს მდინარეში ჩასაყვინთავად ემზადებაო, წარმოთქვა: – ჩვენთან ხომ არ წამობრძანდებით, ბატონო, ამაღამ? ჩვენებს სუყველას ძაან გაუხარდება თქვენი სტუმრობა.

ბიჭის ვედრებითა და მოლოდინით სავსე თვალები და ჭირის ოფლით დანამული შუბლი უფრო მეტს მეტყველებდა, ვიდრე მისი სიტყვები.

ღიმმორეულმა უცნობმა კვლავ ხელი გადახვია ბიჭს, ძალუმად მოიზიდა თავისკენ: „არა. არ გადავჯიშებულვართ ჯერ, იუ ჩემო. ვცოცხლობთ, ჯერ კიდევ!“ – გაუტრიზავა გონებაში ვიღაცას და ბიჭის გაცისკროვნებულ სახეს კვლავ მოესიყვარულა თვალებით. ჯონდოიას გაბედულება შემატა უცნობის ალერსმა და სითბომ: – დადის ძალიან უყვარს სტუმრები...

და მერმე უცნობმა უკვე წვრილად იცოდა ოდიშარიების ფანიის[1] ამბავი, აზრიანად და დალაგებულად მოყოლილი ბიჭის მიერ სოფლის

[1] ოჯახის

შარაგზაზე.

დადი, ასე ვეძახითო სუყველანი ბებიას პატივისცემის ნიშნად, და უფროსი დაი – ნათია არიანო ამჟამად შინ, ხოლო ბაბაია, დედა და შუათანა ძმა – დორო – ცოლითურთ, ბიცოლა ცოცოთი, – მთაში იმყოფებიანო; ბაბა – ანტიფო ოდიშარია მეჯოგეა და განთქმული მონადირეა მთელს ჩვენს კუთხეში. ჯონდოიას მრავალჯერ მიურთმევია თურმე ბაბას მიერ მოკლული ჯიხვის, ირმის, შვლის, არჩვის და თქვენ წარმოიდგინეთ, დათვის ხორციც. ხოლო სხვა წვრილფეხა ნადირი და ფრინველი სათვალავში არცაა ჩასაგდებიო. ბაბა მალე ჩამორეკავს მთიდან ნახირს. დედა და დორო მოსახმარებლად არიან ასული ბაბაიასთან. უფროსი ძმა ბენია – კომერსანტია. დიახ, კომერსანტი. ტრაპიზონში და სტამბოლშიც დაცურავს გემით და კიდევ იქით, უფრო შორს. ბენიამ (ბენიამინი ჰქვია, მაგრამ შინაურობაში ბენიას ვეძახით, ხან ბარდღუსაც და ბუჭუიასაც) პირველად ფოთში ნახა ზღვა – დიდი ჯიჯიმ – ბებიას ძმამ ჩაიყვანა თურმე იქანა, სულ პატარა ბავშვი რომ იყო, მაშინ. ჰოდა, შეიშალა თურმე ბარდღუ, გადაირია. უსიკვდილოდ ზღვაზე უნდა ვიცუროო, აიჩემა და გათავდა. ვერაფრით გადაათქმევინეს. გაჯავრდა თურმე ბაბაია: ჩვენს ძე-თურში ზღვაოსანი ვინ იყო, რომ ეს მამაძაღლი გამოვიდესო, წყრებოდა თურმე ძალიან, მარა, დადიმ ბარდღუს... ე.ი. ბენიას დაუჭირა მხარი. ბაღანას ნუ უშლი იმას, რაც გულით სწადია. გვეყოფა ჩვენს მოდგმაში მჭედლები, მეჯოგეები და მონადირეებიო. ახლა ზღვაოსანიც რომ გამოგვერიოს, არაფერი დაშავდებაო, უთხრა თურმე ბაბას. დადის სიტყვა კანონია მარტოდენ ჩვენს ოხორეში კი არა, დადის დიდი რიდი და ხათრი აქვს სუყველას ჩვენს სოფელში იმიტომ, რომ ჩვენი დადი – სხვანაირი ქალია. კი, ასეა ეს. ბაბუა რომ უეცრად მომკვდარა, დადი სულ ახალგაზრდა ყოფილა. ბაბა მუცელში დარჩენია. ძალიან ჰყვარებია ქმარი. არ დაბრუნებულა მშობლებთან. ბაბაია მარტოკამ გაზარდა... ჰო, შუათანა მაზლი ბეგლარი რომ გარდაცვლილა, სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, მისი ახალშობილი გოგო წამოუყვანია გასაზრდელად, თვითონ აწოვებდა თურმე ძუძუს, ხოლო თავისი ჩვილი გაუძიძავებია... ერთხელ აბრაგები მიუხტნენ თურმე სახლში და საქონელი გაიტაცეს. დადის ბაბუას თოფი და დამბაჩა ჩამოუხსნია კედლიდან, შემჯდარა ცხენზე და გაკიდებია ყაჩაღებს. დაწევია. სროლა აუტეხია. აბრაგები არ მოელოდნენ თურმე ქალისაგან ასეთ სიმამაცეს და... დამფრთხალნი, გაქცეულან. ბებიამ უკანვე წამოასხა საქონელი. ბაბა სუსტი და ავადმყოფი ბაღანა ყოფილა ძალიან და დადის შეშინებია, არ მომიკვდესო და ჯერ კიდევ სულ ჩიჩქი გაუტანებია მთაში მაზლისთვის – პანტე ჯიმადისთვის[1]. მეჯოგეებთან ყოფნა და მთის ჰაერი გამოაკეთებსო. მართლაც, მას მერე ბაბაიას ფრჩხილიც არ წამოსტკენია არასოდეს. დევივით არის ახლაც. ცოლიც, ე.ი. დედაჩემი – დადის შეურთავს ბაბაიასთვის, დიახ, თავისი შერჩეული ქალი მოჰგვარა ცოლად... ჩვენი ნათიაც დადიმ ჩაიყვანა დაბაში, ნათლიებთან და სასწავლებელში მიაბარა. ნათიამ ჩვენ, ძმებს, სუყველას გვასწავლა წერა-კითხვა და ანგარიში. დადიმაც იცის წერა-კითხვა, მისთვის ნათლიას, მხეიძის ქალს უსწავლებია, მონაზონს. დადი ამბობს, წერა-კითხვა ყველამ უნდა იცოდესო, რომ წმინდა წიგნი – სახარება წაიკითხოსო და კიდევ... შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიო“. არის თურმე ასეთი დიდი კაცი, პოეტი. ძალიან დიდი ხნის წინ ცხოვრობდა. ჰოდა, დადიმ ზეპირად იცის ბევრი მისი ლექსი, მეგრულადაც გამოთქვამს ხოლმე ლექსებს დადი. კი, სხვანაირი ქალია დადი. ნათიას რომ მოტაცება დაუპირეს ქებურიებმა, დადი ამხედრდა ცხენზე და დაბაში ჩავიდა. არავინ იცის, საიდან შეიტყო დადიმ ეს ამბავი. ახლა იძახის, სიზმარში ვნახეო. ალბათ, მართალია ეს, იმიტომ, რომ ზოგჯერ ისეთ სიზმრებს ნახულობს, წინასწარ იგებს რაღაცეებს, რაც მერე უნდა მოხდეს... ჰოდა, ჩავიდა თუ არა დაბაში, ქებურიებს შეუთვალა დადიმ, ტყვიას ჩავუჯენ გულში იმას, ვინც ჩემს შვილიშვილს ძალადობას დაუპირებსო. ტყუილია, ცოცხალი არ გადამირჩებაო და ჯეგე მისარონის სახელი და ქმრის სული დაუფიცია. ყველამ იცის ჩვენში, რომ ელპიტე გვარამხემ ამაო ქადილი და ტრაბახი არ იცის. თუ იტყვის – შეასრულებს კიდეც თავის სიტყვას, მით უმეტეს, თუ წმინდა გიორგის სახელი და მეუღლის სული დაიფიცა. ჰოდა, შეშინდნენ ქებურიები და ხელი აიღეს განზრახულზე. მარა დადიმ მაინც წამოიყვანა ნათია დაბიდან, ეშმაკს არ სძინავსო, იტყვის ხოლმე... დადი კაი მხედარია. ისე დააჭენებს ცხენს, რო... ცხენიც კაი ჰყავს, ძალიან, მარა... თქვენს ბედაურთან... ვერ მოვა. კი. თქვენი სჯობია ნამდვილად. მე ცხენოსანი არა ვარ ჯერ, მარა დადი მეუბნება, იქნებიო. ალბათ, ვიქნები მართლა. დადის ნათქვამის ყველას გვჯერა და... ცოტათი კიდეც გვეშინია მისი, მარა სამართლიანი ქალია. უბრალოდ არ გაგვიბრაზდება. ყველაზე მეტად ტყუილს ვერ იტანს. არავის აპატიებს სიცრუეს... დადი მეც შემპირდა, ბარდღუ რომ ჩამოვა, დაბის სკოლაში წაგიყვანო.

...ის იყო აღმართი აივაკეს და ანაზდად მათ თვალწინ აისვეტა ბორცვის წინწიბუროზე წამომდგარი გუმბათიანი თეთრი საყდრის სილუეტი.

მდუმარე და მყუდრო შებინდების ჟამს, შორს, მუქი იისფრად მოხაზული კავკასიონის მთაგრეხილებისა და ჰაეროვანი, ზურმუხტისფერი სერების ფონზე ეს პატარა, თეთრი საყდარი ჩუმ ვედრებასავით

[1] ბიძა, მამის ძმა

გარინდებულიყო უსაზღვრო სილურჯეში.

უცნობი უძრავად იდგა თავაწეული და მოჯადოებულივით შეჰყურებდა საყდარს. მერმე წამით თავის პატარა თანამგზავრისაკენ გააპარა მზერა.

ბიჭმა საყდრის დანახვაზე მსწრაფლ გადაიწერა პირჯვარი და თავდადრეკილმა, გულხელდაკრეფილმა ჩაიბუტბუტა ლოცვა.

– ესაა ჩვენი ჯეგე მისარონის წმ. გიორგის სალოცავი ოხვამე[1]! – წარმოთქვა მერმე ბიჭმა ხმადაბლა და კვლავ თვალისწამში სამჯერ გადაისახა პირჯვარი.

– თქვენი სურათი იქაა დახატული!.. – დასძინა უცებ და უცნობს დანდობილად შეჰღიმა.

ცოტა ხნის წინ ბიჭის ანც, ონავრულად მოციმციმე, ჭროღა თვალებში ახლა სპეტაკი, უმანკო ნათელი ჩაღვრილიყო.

თავი II

– ჯუკუ!
– უტა!
– ჭიჭი!
– მიცვა!
– მიხა!
– ალე!

ბავშვები უკვე მორბოდნენ ამ ხმის შესახვედრად, მორბოდნენ ჟივილ-ხივილით, სტვენა-სტვენით, ხტუნვა-ხტუნვით. ჯონდომ თავის უმცროს ძმებს შეატოვა თხები, მარაკაში შერეკეთო, უბრძანა. ხოლო ერთმა მათგანმა, რომელსაც ჯონდომ რაღაცა უჩურჩულა, ელვასავით სწრაფად შეანათა მომწვანო-მოცისფრო თვალები სტუმარს და მყისვე შებრუნდა, უკანვე მოკურცხლა.

ჯონდომ კი, დიდი კაცის სიდინჯითა და სიდარბაისლით შეუღო ჭიშკარი და ეზოში შეიპატიჟა სტუმარი. შემდეგ ცხენს მეორე მხრიდან შემოუარა, კისერზე თითები მოუთათუნა და შეეცადა ლაგამისათვის ჩაევლო ხელი, მაგრამ ცხენმა დაიფრუტუა და ფეხები გაგულისებით დააბაკუნა. კაი, კაი ქვიშორია, ნუ ფიცხობ, არ გაგეკარები, პატონსქუაო[2], მოუბოდიშა მერანს, ცოტა არ იყოს შემკრთალმა ბიჭმა და განზე გაიწია. შემდეგ... სტუმარს ოდნავ მოშორებით მიჰყვა უკან და სამთავემ შეაბიჯა

[1] თხების სადგომი
[2] ბატონიშვილი

ოდიშარიების ვრცელ ეზოში.

ჯონდოს ოჯახის უფროსი მამაკაცის როლი ეკისრა და გულმოდგინედ ცდილობდა ზუსტად, ღირსების გრძნობით შეესრულებინა იგი. სტუმარიც, მხარი რომ აება თავისი პატარა მასპინძლისათვის, ისე ვით თანატოლი თანატოლისაგან, იფერებდა თორმეტი-ცამეტი წლის ყმაწვილის თავაზსა და პატივს.

კოინდრით დამშვენებული ფართო ეზო უზარმაზარი ზურმუხტის თვალივით ხასხასებდა საღამოს ბინდბუნდში. რიკულებიანი ოდა-სახლის მოჩუქურთმებულ სვეტებს ვაზი შემოხვეოდა. ჰაერში თავბრუდამხვევი, მათრობელა სურნელი ტრიალებდა. ისლით გადახურული სამზადიდან იისფერი კვამლი მიიკლაკნებოდა მაღლა და ცის ღაღანა სილურჯეს ერწყმოდა. ეზოს კუთხეში უშველებელ ცაცხვს ლაღად გაეშალა ვარჯები და გარშემო მთელ არემარეს დაპატრონებოდა, ცაცხვის ჩეროში მდგარ ქვის მრგვალ მაგიდას ხის ჯორკოები შემორიგებოდა. მოშორებით, ჭის ქვის გვიმის თავზე ოწინარზე ჩამოკიდებული სათლი კონწიალობდა. ოდის უკან, სარის მაღალი ღობის მიღმა დატაროებული სიმინდის ყანა აქოჩრილიყო.

შეფაკლული ცის ტატნობი, მწვანე და ლურჯი ფერების ნიაღვარი, მსუბუქი და გამჭვირვალე სილურჯე – ჰაეროვან ბურუსში ამოვლებული ირგვლივეთი და მთელი სამყაროც – თითქოს მარადიულ მდუმარებასა და პირველქმნილ მყუდროებას მოეცვა.

ჭიშკართან შორიახლოს წამიერად შემდგარი კაცი მთელი თავისი არსებით მისცემოდა სიჩუმის ამ ნაზ მელოდიას. იგი ისე აღიქვამდა ამ სურათს, როგორც ირეალურს – უხსოვარ დროში, ოდესღაც ნანახს და ახლა სულის მღვიმეებიდან თითქოს უცაბედად ამოტივტივებულს, უხილავი და იდუმალი ძალის მიერ ხელახლა განცხადებულს.

მერმე წამისწამში გაუელვა, ჩვენებური გლეხი თუ შეელევა ამოდენა მიწის ფართობს მხოლოდ თვალის გასახარად, მხოლოდ სილამაზის გულისთვისო... სადღაც გენებში მიჩქმალული ეს ლტოლვა მშვენიერებისადმი, თითქოს დაუდევარი და უშურველი გულგაშლილობა ეგების ქვეშეცნეული, ალღოსმიერი – ათასწლეულებიდან წამოსული ჩანდა ან ეგებ... ვინ იცის... სად, რა სიღრმეებში იღებდა სათავეს, სად იყო ჩამარხული მისი ფესვი და ძირი.

სამზადის ღია კარიდან წამით თავი გამოჰყო ცახოცით თავწაკრულმა ქალმა და სწრაფადვე შიგნით გაუჩინარდა.

...იდგა გარინდებული და სულში ეღვრებოდა მიმწუხრით დაბინდული კამკამა ცისა და მინდვრის უნაზესი, უფაქიზესი სევდა, სიჩუმისა და მყუდროების მთრთოლვარე მელოდია – კოლხურ სიმღერასავით ნატიფი და

დახვეწილი.

...ოდასა და ჭიშკარს შორის გაყვანილ, ხვინჭით დაფარულ ბილიკზე სტუმრისაკენ მოეშურებოდა თეთრკაბიანი, გრძელნაწნავებიანი, თავ-შიშველი ასული.

უცებ, ერთბაშად, თითქოს ერთი ხელის მოსმით დაიკარგა გარე სა-მყარო, სადღაც ბურუსში ჩაინთქა ოდა-სახლიც და ეზო-კარიც, ლიცლი-ცა ცა და ლილისფერში მოცურავე მთების გოდოლები – ყველაფერმა სადღაც უსასრულობასა თუ ცნობიერების ღრმა უფსკრულში ჩაყვინთა მეყსეულად და თვალთა არესთვის დარჩა მხოლოდ ეს ვიწრო საცალ-ფეხო ბილიკი – უსაზღვრო შორეთიდან სარტყელივით დაქანებული და ამ გზა-ბაწარზე მისკენ ფარფატით მომავალი ტანკენარი ქალწული.

– მობრძანდით... მობრძანდით, ბატონო! – თითქოს მიღმიეთიდან შემოესმა ეს ზანზალაკივით წკრიალა ხმა.

„შეუძლებელია!“ – გაუელვა გაოგნებულს, აზრშერყეულს. გული ამ-ოვარდაზე ჰქონდა, სახსრებში ღონე ელეოდა.

მერმე ნებისყოფის საშინელი დაძაბვით სცადა რეალობას დაბრუნე-ბოდა და ბურუსიდან დაბრუნებულმა გონებამ წამსვე აღიქვა თვალის-მომჭრელი სითეთრე კბილებისა, ფართოდ გახელილი თაფლისფერი თვალების უმანკო კდემა და რძიარძიასფერი სახის უეცარი აყირმიზება.

უცებ წალეკა რაღაცნაირმა თბილმა, ნაზმა ტალღამ. მერმე... კაცის ქორული მზერა ასულის ოდნავ დახრილ თავ-კისერს მისწვდა: „ყელმო-დრეკილი გედი!“ – გახმიანდა მის გულში სადღაც, ოდესღაც მოსმენილი თუ ამოკითხული სიტყვები და თვალის დახამხამებაში გუმბათიანი, თე-თრი საყდარი შემოცურდა ანაზდეულად გონების თვალსაწიერზე და ანაზდეულადვე განიმქრა ყოველივე მოცისფრო-მოიისფრო ნისლში.

...ქალიშვილმა ურთხმელის დიდი, გრძელი მაგიდიდან, დარბაზის შუაში რომ იდგა, მაღალზურგიანი, ჩუქურთმებით დამშვენებული ურთხ-მელისვე სკამი გამოსწია მზერადახრილმა და დაბრძანდითო, სთხოვა სტუმარს. მერმე ბოდიში მოიხადა, წამით დაგტოვებთო და... ოთახიდან გაფრთხიალდა. სტუმარი ერთხანს გაშეშებული იდგა. მერმე ნელ-ნელა გადაეწმინდა თვალებიდან ლიბრი და შეეცადა, აბურდულ-დაბურდული აზრები და დაფანტული გონება მოეკრიბა.

ირგვლივ მიმოატარა მზერა.

დარბაზის მუქიყავისფერი კედლები შიშველი იყო, მხოლოდ ერთ-გან ეკიდა დიდი ნოხი, რომლის ტოტი მთლიანად ფარავდა ტახტს, რომელზეც მუთაქები და ყურთბალიშები ენყო. ნოხის შუაგულში მოზ-რდილი სურათი ეკიდა: გრძელ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, თავზე თეთრყაბალახწაკრული, წვერ-ულვაშით დამშვენებული ბრგე, ლამაზი

ვაჟკაცისათვის ხელმკლავი გაეკეთებინა ტანწერწეტა, მაღალკისერა, თავდახურულ, მედიდური სახის ყმაწვილ ქალს.

სურათის ქვეშ თოფ-დამბაჩა და სატევარი გადაეჯვარედინებინათ. ცოტა ქვემოთ, ნოხის კიდეზე ვარდისფერბაბთიანი ჩონგური იწონებ-და თავს. შემდეგ სტუმრის მზერა ჩუქურთმებიანმა ბუხარმა მიიპყრო. ყველაფერს – მაგიდას, სკამებს, ბუხარს მარჯვე, გემოვნებიანი ოს-ტატის ხელი ეტყობოდა. ჭერზე, მაგიდის თავზე, იშვიათი სილამაზით ნაკეთები უცხოური ლამპა ეკიდა. დარბაზის ერთ კუთხეში, ფანჯარას-თან ახლოს, წიგნების თაროებსა და პატარა მაგიდას შეავლო თვალი. იქითკენ გაემართა აუჩქარებელი, დინჯი ნაბიჯებით. თაროებს ქვემოთ ილიას სურათი მიეკრათ, ხოლო თავად თაროებზე ილიას, აკაკის, ალ. ყაზბეგის და სხვათა წიგნები ელაგა, მაგიდაზე – „ივერიის“, „მოამბის“, „ჯეჯილის“ და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთების დასტები ეწყო. თაროზე, თვალსაჩინო ალაგას გამოეფინათ გოგებაშვილის „დედა ენა“ და „ბუნების კარი“.

დაუფარავი გაოცებითა და ინტერესით ათვალიერებდა სტუმარი ყველაფერ ამას. სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის მთისპი-რა, პატარა სოფელში ამ წიგნების და ჟურნალ-გაზეთების ხილვა, ჯონ-დოიას „კომერსანტი“ ძმის ხელი ეტყობა აქაურობასო, ის იყო გაიფიქრა და გამარჯობათ, ჩემო ბატონოო, მოესმა ზურგიდან. სწრაფად მო-ტრიალდა. შორიახლოს მაღალი, სანიადაგო კაბაში ჩაცმული, თხელი, მედიდური სახის ასაკოვანი ქალი იდგა და თავშეკავებული ღიმილით უმზერდა. „დადია!“ – გაივლო გულში და სწრაფადვე დაუბრუნა სალა-მი მასპინძელს, მიეახლა და გამოწვდილი ხელი მოწიწებით ჩამოართვა, მერმე ტუჩებთან მიიტანა მანდილოსნის ხელის მტევანი, ეამბორა და რემა გეგეჭკორიო, წარუდგინა თავისი თავი. – ელპიტე ოდიშარიაო, შეაგება მასპინძელმა და დასძინა:

– მოხარული ვარ ესოდენ საპატიო და ძვირფასი პიროვნების სტ-უმრობით ჩვენს ღარიბულ ოხორეში, ჩემო ბატონო! – ქალი წყნარად, თითქმის დამარცვლით წარმოთქვამდა სიტყვებს მკერდისმიერი, საამო ხმით: – მართალია, სახლში კაცები არ გახლავან, თუ... რასაკვირველია, ჯონდოს არ ჩავთვლით... – ქალს წამიერად ძლივს შესამჩნევმა, ოდნავ ცბიერმა ღიმილმა შეუტოკა უფერული, თხელი ბაგე: – მაგრამ... ასეა თუ ისეა, მარტოდ დარჩენილი დედაკაცები ვეცდებით შეძლებისდაგვარად ღირსეულად დავუხვდეთ ეგოდენ საპატიო, უცხო სტუმარს.

– ძალიან გთხოვთ, ქალბატონო, ნუ შეწუხდებით ზედმეტად. ჩემთვის საკმარისი იქნება, თუ ერთ ღამეს გამათევინებთ თქვენს ოხორეში. ხვალ, სისხამზე ისევ გზას უნდა გავუდგე.

გათამაშდა ჩვეულებრივი კოლხური ცერემონიალი სტუმარ-მასპინძელს შორის: ბოდიშებით, ურთიერთთავაზით, ზომიერი ქება-შესხმით, საგანგებოდ შერჩეული ფრაზეოლოგიით და მიხრა-მოხრით. თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნატიფ სიტყვა-პასუხში, კრძალვა-სა და თავმდაბლობაში. თანაც ისე, რომ დედაკაცსა და მამაკაცს შორის უზუსტესი მანძილი იყო დაცული.

ქალის უკან ანაზდად თვალი ჰკიდა ხორბლისფერნაწნავებიან ასულს და მის გვერდით მდგარ ჯონდოიას წაგრძელებულ კისერსა და აცქვეტილ ყურებს. ვით ძველ ნაცნობს, შეთქმული ღიმილით გაუღიმა ბიჭს, რომელსაც თვალები გაუბრწყინდა ერთბაშად და საჩქაროდ ამოეფარა დას დარცხვენილი და კმაყოფილი იერით.

– ახლა უკაცრავად ვარ, ჩემო ბატონო, მცირე ხნით დაგტოვებთ. ნათია, შვილო, სტუმარი არ მომიწყინო მანამდე.

კვლავ ურთიერთთავაზი, ბოდიშები და ელპიტე ოდიშარია დარბაზიდან გავიდა.

– ეს წიგნები, ალბათ, თქვენია, არა, ნათია? – კარგა ხნის დუმილის შემდეგ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო სტუმარმა და ქალიშვილს თაროებისაკენ ანიშნა თვალით, მერმე უცაბედი მღელვარების დასაფარავად, ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა. დასტური რომ მიიღო, გააგრძელა: – ჯონდო მიამბობდა, რომ... თქვენ თურმე წერა-კითხვასა და ანგარიშს ასწავლით როგორც შინაურებს, ისე გარეშეთაც.

– ნათიას სუყველანი მასწავლებელს ეძახიან! – განაცხადა კვლავ გათამამებულმა ჯონდოიამ და სტუმარს თავმომწონე და ამაყი მზერა გაუსწორა.

– ოჰ, რა მაკვარანცხი ბაღანა ხარ შენ, ჯონდოია. მოასწარი ხომ უკვე? – ლოყებშეფაკლულმა ქალიშვილმა ალერსიანად წაუქიმუნჯა ძმას.

– მე ხომ ტყუილს არ ვამბობ, ნათია! ეს ხომ სიმართლეა! – ბიჭმა უფროს დას წრფელი გაოცებით ახედა.

– ჰო, კაი, კაი... გეყოფა! – დაუტატანა ძმას ნათიამ გულის გარეთ და კეფაზე კვლავ მსუბუქად წაუთაქა.

– წადი ახლავე, გაიქეცი. დადის მიეხმარე...

– ბიჭი გავიდა თუ არა ოთახიდან, ნათია კვლავ სტუმარს მიუბრუნდა დარცხვენილი იერით: – თქვენთან ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მაგრამ... ისეთი მოუსვენარი და დაუდეგარი ბაღანაა, რომ გულს შეგიწვრილებს ხანდახან. – ნათიას ძლივს შესამჩნევი, თბილი ღიმილი უთამაშებდა ტუჩებზე.

– ჯონდო ნამდვილი ვაჟკაცია. ღირსეული ოდიშარიაა! – შეაგება სტუმარმა თითქოს უკვე თავსდაუფლებულმა და მაინც...

„ნუთუ?.. ნუთუ შესაძლოა ასეთი მსგავსება?“ – ირეოდა აზრი. იდგა და თვალი ვერ მოეწყვიტა ამ თითქოს არამიწიერი, არაამქვეყნიური, უმანკო მშვენებით სავსე ქალწულის სახისათვის და გულის არეში ჩაღვრილი სითბო საამო ჟრუანტელად უვლიდა ძარღვებში.

„ნუთუ?“.. ხსოვნის ფსკერიდან ლამობდა ამოხეთქვას მინავლებულ-მივიწყებული მოგონება.

ქალიშვილი ლამფის ანთებას შეუდგა. გარინდებული სტუმარი გამოერკვა, წუმწუმა გამოართვა ნათიას და თვითონ აანთო. მერმე ოდნავ ყრუ, გაბზარული ხმით უთხრა:

– თუ ნებას დამრთავ, ნათია, გარეთ, აივანზე დავჯდები ცოტა ხანს.

– კი, ბატონო. როგორც გენებოთ. გარეთ, სუფთა ჰაერზე მოისვენეთ, სანამ ვახშამი მზად იქნება. ახლავე მუთაქას მოგართმევთ...

...თამადა, სოფლის მჭედელი და გვარში უხუცესი პართე ოდიშარია, სანამ მორიგ სადღეგრძელოს იტყოდა, აღუღუნებულ ბუხართან მიყუჟული უმცროსი ოდიშარიების ჭროღა, ცისფერი, თაფლისფერი, შავი თვალების ჭვრეტის არეში მოქცეული სტუმარი, გულმოდგინე დაკვირვებისა და შესწავლის საგნად ქცეულიყო.

ჩუმ-ჩუმად ეღიმებოდა ულვაშში. ჟამიდან ჟამზე ნიკაპზე მოკლედ შემოკვერცხილ, ჭაღარა, კოხტა წვერზე ხელისგულს ჩამოისვამდა ხოლმე და ღიმილით შეათვალიერებდა ბალღების ცნობისმოყვარე, აციაგებულ თვალებს. უხმაუროდ, უფაციფუცოდ, ძალდაუტანებელი რიდითა და მოკრძალებით მიდი-მოდიოდნენ და ემსახურებოდნენ ისინი სუფრას – ბებიის გამჭოლი მზერის ქვეშ.

ბავშვების თვალებში დროდადრო ჭინკების უშქი ლაშქარი მალაყებს გადადიოდა. სტუმრის მზერა ხშირად ჩერდებოდა ლაჟვარდთვალება, მკვირცხლი ალესა და ბუდეშურათვალება, შავგვრემან მიხასკენ.

ლაზი და შავშელი ობოლი ბიჭები სტამბულიდან ჩამოეყვანა თურმე ბენიამინ ოდიშარიას, ანუ ბენიას, ანუ ბარდღუს თუ ბუჭუს (ძნელი გასარკვევი ჩანდა, რომელს ეძლეოდა უპირატესობა ამ სახელებში), და თავის უმცროს და-ძმებსა და ძმისშვილებთან ერთად პატრონობდა მათ.

ვიდრე სუფრასთან დასხდებოდნენ, რემა გამოელაპარაკა ორივეს – ალისა და მუჰამედს, – ოდიშარიები ალეს და მიხას რომ ეძახდნენ. ჯონდოიამ თავმომწონედ უთხრა რემას, ალემ და მიხამ დედაენა სულ ზეპირად იციან, თავიდან ბოლომდეო. მართლაო, გაიოცა რემამ და თავზე ხელი გადაუსვა დამორცხვებულ ბავშვებს.

– აბა, იქნებ, მითხრათ რომელიმე ლექსი დედაენიდან, – სთხოვა მათ სტუმარმა. ალემ დაასწრო მიხას. წინ წამოდგა, სახე შთაგონებული გაუხდა, კამკამა, ლურჯი თვალები აუციმციმდა, ერთი ღრმად ამოისუნთქა

და დაიწყო:

„მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი“...

ოდნავი, სულ ოდნავი აქცენტით გამოთქვამდა სიტყვებს ალე და ერთბაშად ჩამოვარდნილ, სამარისებურ სიჩუმეში, მთიანი სამეგრელოს შორეული, მივარდნილი სოფლის ოდა-სახლში განსაკუთრებული ძალისხმევით აჟღერდა პატარა ლაზი ბიჭის მიერ მღელვარედ, თითქოს ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმული, ფოლადივით ნაჭედი ქართული სიტყვა.

როცა დაამთავრა, რემამ თავზე აკოცა ბავშვს და ყოჩაღო, უთხრა ხმადაბლა და იგრძნო, ყელში თითქოს ბურთივით მოაწვა რაღაც.

– მეც ვიტყვი ლექსს! – ახლა ბუდეშურათვალება მიხამ განაცხადა მორცხვი ღიმილით და ალეს ამოუდგა გვერდში, თან ნათიას მავედრებელი თვალები შეანათა.

– თქვი მიხა, შემოგევლე. შენც უთხარი ლექსი სტუმარს! – წააქეზა იგი ნათიამ ალერსითა და სითბოთი სავსე ხმით.

მიხამ მკერდი წინ წამოსწია, სახეზე ერთობ სერიოზული გამომეტყველება აისახა, თავი მაღლა აიღო და:

– „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა... და შენც ქართველო სწავლითა, სამშობლო გაახარეო“.

რემა მიხასაც მოეფერა, მასაც ყოჩაღო, უთხრა და ცერა თითით თვალთა უპეებზე დადენილი ცრემლი შეიმშრალა ფარულად.

– კიდევ ვიტყვი, ნათია მასწავლებელო! – ახლა ისევ ალე წარდგა წინ.

– ბაღნებო, კმარა, გეყოფათ. ნამეტანი ნუ შეაწუხეთ სტუმარი! – გაისმა დადის მკაცრი ხმა.

– პირიქით, ქალბატონო, პირიქით. მაწუხებენ კი არა... ბედნიერი ვარ, ამ ბავშვებს რომ ვუსმენ...

მერმე ის იყო დარბაზში შემოიწკაპნენ ტანასვეტილი, ჩოხიანი, გრუზათმიანი, ნათელსახიანი ახალგაზრდები და ხანდაზმულები – ნათესავები, ახლობლები, მეზობლები – ოდიშარიები, გვარამიები, ფაჩულიები, გურგულიები...

სუფრას კოლხური მკაცრი წესით უძღვებოდა პართე ოდიშარია – ბეჭებში გაზიდული, ლურჯთვალება, ხუჭუჭთმიანი და ენამზიანი დევკაცი. მის გვერდით, ხელმარჯვნივ, იჯდა პართეს რძალი, ოჯახის უფროსი და მეთაურ-წინამძღოლი, ელპიტე გვარამხე ანუ დადი, რომლის მახვილ მზერას არ ეპარებოდა არაფერი, არც ერთი მოძრაობა, არც ერთი სიტყვა თუ კილო თანამეინახეთა, და თუმც სახეზე მშვიდი, აუღელვებელი იერი ჰქონდა, დახრილი წამწამებიდან ნასროლი მზერა საკმარისი იყო, რომ შვილისშვილებს და ახლო ნათესავებს მყისვე გამოეცნოთ მისი სურვილი.

თითქმის ხმისამოუღებლად იჯდა და მაინც განაგებდა იქაურობას – ვით ბრძოლის ველს გონიერი და გამოცდილი მხედართმთავარი. შინაურების ეს მორჩილება სულაც არ გახლდათ მონური ქედმოდრეკილობის ანდა ლაქუცური პირფერობის ნიშანი. არა, აქ სხვა რამ იყო საგულვებელი – ფესვი უფრო ღრმად საძიებელი. სუფრის თითოეული წევრი – მეზობელ-ნათესავიანად გამსჭვალული გახლდათ ქალის მიმართ იმ მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით, რასაც პიროვნების ჭკუა, გონიერება, მთელი მისი ცხოვრების წეს-ყაიდა, სიტყვა თუ საქციელი იწვევს ხოლმე სხვებში, რაც მის მიმართ თავისთავად ბადებს მოკრძალებას, მიმართვისა თუ ურთიერთობების განსაკუთრებულ ფორმას, თავისებურ, გამორჩეულ ფრაზეოლოგიასაც კი.

შინაგანად დამუხტულ-დაძაბული, ფარული, მაგრამ ცხოველი ინტერესით შესცქეროდა სტუმარი ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა და რასაც გონების თვალით აღიქვამდა. ეს, თითქოსდა უბრალო, უსწავლელი გლეხის ქალი უდახვეწილესი, არისტოკრატიული ოჯახის გვირგვინად გამოდგებოდა. „საიდან... რანაირად?.. საიდანაა ეს შინაგანი, სულისმიერი დიდებულება? საკუთარი ღირსების შეგრძნების გრძნობა? და სხვათა მეობისადმი პატივისგების უნარი?“

თითქოს რემას გულში ჩამოიხედაო, სუფრის წინამძღოლმა ახალი საადღეგრძელო წამოიწყო: – ნება მიბოძეთ ამ სასმისით შევსვა ადამიანის თავისუფალი რინას[1] სადღეგრძელოო.

რემამ ყურები ცქვიტა: სმენამ ხომ არ მომატყუაო. მაგრამ განცვიფრება გულშივე ჩაიბრუნა. მზერად იქცა. ფეხზე წამომდგარი, კლასიკური სილამაზის, ქერა გოლიათის ბაგე-პირიდან მოედინებოდა ძარღვიანი, მსუყე სიტყვების ნაკადი, ხოლო დიდრონი, ზღვასავით უძირო ლურჯი თვალებიდან იფრქვეოდა სიკეთის, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობისა და კეთილმოსურნეობის ისეთი სხივები, რომ ძნელი იყო არ მოქცეულიყავი ამ მზერის ტყვეობაში. მთაკაცი ენამჭევრობდა, როგორც ძველი მახვამური[2] თუ მენცარი[3].

კარგად მახსოვსო ბატონყმობა, ბუბუნებდა თამადა, თუმცა პატარა ბაღანა ვიყავი მაშინ. მამაჩემს და ბაბუას უტუ მიქას ლაშქრობაში ვახლდი. მახსოვს, რა სასტიკად ეპყრობოდნენ ბატონები ყმებს, როგორ შეურაცხყოფდნენ და ამცირებდნენ მათ ადამიანურ ღირსებებს, კაცურ თავმოყვარეობას. ზოგ თავადთაგანს დავიწყებული ჰქონდა უმთავრესი მცნება – ადამიანის უფალი მარტოდენ ღმერთი რომ შეიძლება იყოს და ძეხორციელი სხვა არავინ.

[1] ყოფიერება

[2] მლოცველი-მქადაგებელი

[3] მეცნიერი.

მართალია, ბატონყმობა კაი ხანია გადავარდა, მართალია, ანაკლიიდან უკვე აღარ ისმის მოტაცებული და გაყიდული გოგო-ბიჭების წივილ-კივილი, მარა ჩემი უბირი ჭკუით და გონით ასე ვფიქრობ, ჩემო ბატონო: ქვეყნის გაყიდვა და ღალატი ახლა სხვანაირად ხდება, სხვა ხერხებითა და ფანდებით. კი – ადამიანი ახლა თითქოს უფრო თავისუფალია, უფრო გალაღებული, სიმდიდრეც მეტი შეიძინა, წელში გაიმართა, მოღონიერდა, გაეხსნა გზა სწავლა-განათლებისაკენ, მარა... სინამდვილეში ისევ ისე გრძელდება კაცის მიერ კაცის ჩაგვრა და დამონება, კაცის მიერ კაცის ღირსების შელახვა. ისევ ისე იყიდებიან ჩვენი გოგო-ბიჭები უცხო ძალაზე, უცხო თესლის გვარტომზე – სულით, რაც, ჩემი აზრით, ყველაზე უფრო საშინელია. დიახ, ჩემო ბატონო, ახლა ხდება სულის გაბინძურება, მისი გახრწნა-გადაგვარება და ეს გაგრძელდება ალბათ მანამ, სანამ ადამიანი მართლა, ნამდვილად არ გახდება თავისუფალი, თავისუფალი არა საკუთარი სინდისისა და ღმერთის, არამედ თავისივე თანამოძმის წინაშე. მანამ სანამ სამართლიანობა და სამართალი არ იზეიმებს მთელს დედამიწაზე! და მე მინდა, ჩემო ბატონო, ამ მომავალი, ნაღდი, ჭეშმარიტი რინას სადღეგრძელო დავლიოთ, იმ თავისუფალი და სამართლიანი რინასი, ჯერ თვით ადამიანის საკუთარ სულში რომ იწყება.

„ვოი, შური საყვარელი, რინა მუში მამარდა რე, რინაში ნება ქორდასუნი, ქიანა მუში მაფართარე!“[1]... მოტევებას გთხოვთ, ასე რომ გამიჭიანურდა სიტყვა, ასე რომ დაგღალეთ ეგება ჩემი უთავბოლო ღარღალით, მარა ზოგი ღვინის ბრალია, ალბათ, ზოგი უმეცრების, უფრო კი თქვენმა დიდსულოვნებამ და ყურადღებამ გამათამამა ეგზომ, ჩემო ბატონო!

ფეხზე წამომდგარმა დალია რემამ ბოლომდე ეს უჩვეულო და მოულოდნელი სადღეგრძელო.

...სადღეგრძელოს სადღეგრძელო ცვლიდა ტრადიციისამებრ, როგორც წესი და რიგი იყო, ისე.

ახალგაზრდები ფეხზე ადგომით, მეტწილად უსიტყვოდ, უხმოდ ცლიდნენ სასმისს, უფროსებს უთმობდნენ სარბიელს. პატარა ღვინის ჭიქებით, ნება-ნება ისმებოდა უბადლო ოჯალეში, სისხლს ნელა, თანდათანობით ეპარებოდა თრობა, თუმცა ნამდვილ თრობამდე ჯერ კიდევ ერთობ შორს იყვნენ, მაგრამ აღგზნებული სურვილი უკვე სადინარს ეძებდა.

რემა ატყობდა, რომ ყველას – თამადისა და თვით დადის ჩათვლით, სწადდათ და ვერ გაებედათ მისთვის სათხოვარი. ბოლოს მაინც დადიმ

[1] ვაი, სულო საყვარელო, ყოფნა რა მადლია, ყოფნის უფლება რომ იყოს, ქვეყნიერება რა ფართეა!

გაამჟღავნა საკრებულოს გულისთქმა:

– რემა ბატონო! შორს განთქმულია თქვენი დიდებული სიმღერების ამბავი. ნათიას გარდა, არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონია ბედნიერება მოესმინა თქვენთვის. დღეს ასეთი უჩვეულო, ბედნიერი შემთხვევის წყალობით გიხილეთ ჩვენს შორის. ეგება დაგვდოთ პატივი და... – ქალი წამით შეჩერდა. თითქოს შესაფერის სიტყვას ეძებდა აზრის დასამთავრებლად. თან შეკავებული ღიმილით გადახედა სუფრის დანარჩენ წევრებს.

– გთხოვთ, გთხოვთ, რემა ბატონო... თუ შეიძლება... – გაისმა ყოველი მხრიდან. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თამადის ბუხუნა ხმა.

– სიამოვნებით, ბატონებო, სიამოვნებით შევასრულებ თქვენს თხოვნას... თუმცა, სუფრაზე არ მიმღერია აგერ უკვე შვიდი წელია... – წამით იყუჩა. ირგვლივაც უცებ უხერხული დუმილი ჩამოვარდა. რემა წამოდგა: – ერთი პირობით ოღონდ... – და კედელზე ჩამოკიდებულ ჩონგურისკენ გაიხედა. წამსვე რამდენიმე ხელმა ჩამოხსნა ჩონგური კედლიდან და მიართვეს. რემამ თავის დაკვრით გადაიხადა მადლობა, მერმე გოგონებს შორის თვალით მოძებნა ნათია და წყნარი ნაბიჯებით მისკენ გაემართა. მიდიოდა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ხატს უახლოვდება სათაყვანებლადო. მივიდა, შორიახლოს შეჩერდა, თავდახრილმა, ჩონგური გაუწოდა და ამოთქვა: – ოღონდ ჯერ ნათიამ იმღეროს!

– უი! – ხმადაბლა შეიცხადა ქალწულმა.

– გთხოვთ, ნათია!.. მე ვიცი, რომ თქვენ და თქვენი ფანიას[1] თითქმის ყველა წევრი მღერის. თუ პატივს დამდებთ...

– როგორ გეკადრებათ, ბატონო... ჩემი სიმღერა რა მოსატანია... – დაბნეული ქალწული უმწეოდ ახამხამებდა თავის უსაშველოდ გრძელ და აპრეხილ წამწამებს.

– ნათია, რასაკვირველია, უარს არ ეტყვის სტუმარს და იმღერებს! – დაასწრო ყველას თამადამ და მყისვე მთელი სუფრა აჰყვა მას. ნათიამ ბებიას შეავლო უჩუმრად თვალი. დადის, მკაცრად მოკუმული ბაგე-პირი, თანხმობის ღიმილმა შეუტოკა.

ნათია ტახტზე ჩამოჯდა და ნაწნავები გაისწორა. მერმე ნელა, აუჩქარებლად შეუდგა ჩონგურის აწყობას. აწყობა რომ დაამთავრა, თავისი ჩამოქნილი გრძელი, თეთრი თითები ერთბაშად დაუსვა სიმებს და წამით გაიტრუნა. თვალები სივრცეს მიუშტერა. თითქოს სიჩუმის ანგელოზმა ჩამოიარაო, ყველას ხმა გაეკმინდა რაღაც სასწაულის მოლოდინში. თავის ადგილზე დაბრუნებული რემაც სუნთქვაშეკრული, გულის უცნაური ბაგაბუგით შესცქეროდა ყელმოღერებულ, ღვთაებრივი მშვენებით განათებულ ასულის სახეს.

[1] ოჯახის

„ნუთუ... ნუთუ შესაძლოა ამგვარი მსგავსება?“

სულის სიღრმიდან ანაზდეულად დაიძრა შორეული, თითქოს ნავლწაყრილი მოგონებათა ნაკადი და ერთბაშად წალეკა მთელი ცნობიერება.

„...საყდრის ეზო-ვრცელი, ხასხასა მწვანე მოლით აბიბინებული. ირგვლივაც მწვანე, ლურჯ და იისფერ ფერებში ცურავს ყველაფერი. ჩამავალი მზით დაფერილი დაფიონი. უამრავი ხალხი ირევა ეზოში. ცაცხვის ძირში თავი მოუყრიათ ახალგაზრდებს. ჟრიამული. სიმღერა. ცეკვა-თამაში.

გოგონების გუნდიდან ანაზდად გამოგოგმანდა თეთრკაბიანი, გრძელნაწნავებიანი, ტანწვრილი ასული.

ფათულია ლოლუა! ზმანება და ნატვრა ოდიშის ყმაწვილკაცების.

ნარნარი მიმოხვრა. თავთუხისფერი ნაწნავები, წარმტაცი, თავბრუდამხვევი რონინი.

ფათულია ლოლუა – თეთრი გედი – მიუწვდომელი ოცნება და სურვილი, ფარული ნდომა და ლტოლვა, მძაფრი წყურვილი და მხურვალე ვნება, ჟინი და გახელება, ზესკნელისა და ქვესკნელის ციაგ-მადლი, ბრალი და სიკეთე – ოდიშის ყმაწვილკაცებისა.

ფათულია ლოლუა! მიუწვდომელი, ვითარცა კაშკაშა ვარსკვლავი ცაზე.

მაგრამ... ე-ახ! საკვირველება! რა ხდება?

მოულოდნელად წრეში შემოიჭრა შავჩოხიანი, წელში აწვართული, ოქროსქოჩრიანი, მოხდენილი ჭაბუკი და შევარდენივით გაშალა მკლავები.

ე-ახ! საოცრებავ!

ფათულია ლოლუას ეცეკვება ბონდო მალია!

პატარა ბიჭის ტვინს არ შეეძლო გაეაზრებინა მაშინ, რად იყო ეს გაუგონარი და საარაკო ამბავი. მხოლოდ მტკივნეულად შეკუმშული გულისძგერა ამცნობდა, თავად რომ არ შეეძლო ასე გაეშალა ხელები და ეცეკვა... ფათულია ლოლუასთან! და მერმე... შქერის ბუჩქს ამოფარებული გულმდუღარე ტირილი. ცხარე ცრემლები... დასტიროდა ბიჭი თავის უბედურ სვე-ბედს, რომ ასე გვიან მოევლინა თურმე ამ ქვეყანას, რომ ასეთი უმწეო, ასეთი უსუსური იყო ბედის უსამართლო განჩინების წინაშე, რომ... არსაიდან ჩანდა ხსნა და საშველი.

და კიდევ: სიცხით გათარანებული პატარა ბიჭი წამდაუწუმ ბორგავს საწოლში, გულზე მაჯლაჯუნასავით აწვება რაღაც, სული ეხუთება, თავი უხურს, პირი უშრება და თითქოს იხრჩობა. და შორეთიდან, თითქოს მიღმიეთიდან ჩაესმის დედის ხმა: ფათულიას სთხოვეთ, ფათულია მობრძანდეს ჩვენსაო.

მერმე სასთუმალთან, თავთით მჯდარი ქალი ჩონგურით ხელში მღერის თუ გალობს...

უტკბილესი ხმა თაფლივით წვეთ-წვეთად ეღვრება სულში, გულს უფონებს, თვალებს ნეტარებით უწკურავს: შოუ ნანა, შოუ სქუა...

წითელა-ბატონებსაც უამებს ეს ღუღუნა ხმა. ეხსნებიან ბიჭს და ...კარში ილალებიან უჩუმრად.

მარიამ ღვთისმშობლის დარი ქალი მობრძანდაო ჩვენსას და მარიამის მადლი და სიკეთე მოიტანაო თან. დედის და მამიდის ნათქვამი სიტყვები ქვეშეცნეულად ილექებიან სულის ფსკერზე სამუდამოდ და სამუდამოდვე პოულობენ იქ ნავსაყუდელს, რათა, ერთხელ, როცა იქნება, როცა დადგება ჟამი, ამოტივტივდეს უღრანიდან და ხელახლა გააცოცხლოს და გაასინათლოს ფერფლმიყრილი მოგონება, ოდესღაც, თითქოს უხსოვარ დროში ნანატრი ოცნება და მიუწვდომელი წადილი.

მარიამ ღვთისმშობლის დარი ქალი – ფათულია ლოლუა! ბავშვობაში გულში ჩარჩენილი უტკბილესი და უსათუთესი ჰანგი – შუაზე გაწყვეტილი და დაკარგული უდაბნოეთში.

...მარიამ ღვთისმშობლისდარ ასულს ხელში უჭირავს ახლაც ჩონგური და მისი სათნო და სპეტაკი ბაგე-პირიდან მოედინება... საგალობელი ვედრებისა, სულის სიმებს რომ ტკბილმწარედ არხევს და ატოკებს, გულს რომ ესალბუნება:

„აშო ჩელა, სი ჩერჩელა, ჰოუ, ნანა, სქანი ცოდა“...

ოჰ, მართლაც რა სიამით აკვნესებს ხოლმე გულს ეს სევდიანი ჰანგი. იგი ხან ზესკნელში აგაფრენს თითქოს, ხანაც ქვესკნელს ჩაგახედებს...

...„ჰოუ ნანა, სქანი ცოდა“... უნუგეშოდ კვნესის ჩონგური.

მქრქალი ღიმილი მოფენია ქალწულის ბაგეს. უძირო სევდას იტევს მისი დიდრონი, ფართოდ გახელილი თვალები.

ჯერ ნელა, დვრინით აყვნენ.

„ჰოი, ნანავ! დიდო ღვთაებავ: უსასრულო და დაუსაბამო სივრცეებიდან მომზირალო! მერმე საუკუნეთა წყვდიადში ჩაკარგულ-ჩაძირულო, მერმე ისევ აღმდგარო ღვთისმშობელო!

ჰოი, ნანა! ჩემო მზეო, ჩემო დედავ, მშობელო ნათელისაო.

შენ მზისა უბრწყინვალესო, დედაო ნათელისაო, გონებითა წმიდითა, ვითარცა უზეშთაესსა ყოველთასა-ყოველნი გადიდებენ შენ!..

მეოხ გვეყავ, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო ქალწულო, რამეთუ ღმერთი, გვიშევ ჩუენ, რათა აცხოვნეს სულნი ჩუენნი!..“

როცა ქალწულმა ჩონგური გადმოაწოდა, თვალმინაბული რემა ჯერაც ლოცვას იმეორებდა თავის გულში.

ყველანი სულგანაბულნი მისჩერებოდნენ ოცნებასა თუ ფიქრებში

ღრმად ჩაძირულ კაცს, რომლის სულმა წამიერად მოიხილა სამყაროს უსასრულობა.

გამოფხიზლდა რემა. მყისვე დაუბრუნდა ცნობიერება. ხიბლიანი ღიმილით ჩამოართვა ჩონგური ქალიშვილს და:

„მახა, მა სქანოთ კირიბი ვორდა
ირ გაჭირებაში გოლუაფარი,
მახა, მა სქანოთ სანთელი ვორდა,
ხატიშ წოხოლე ონდღულაფარი“...[1] – მოედინება სულის მდუღარება, იხსნება კრიალა ცის თავანი. მოედინება, მორაკრაკებს უტკბილესი ხმა, გულის უღრმესი ფენებიდან დაძრული, ვარვარა, დიდი მზის ჩხორიაში განბანილ-ამოვლებული და სულში უთბილეს და უნაზეს ჩქერალებად იღვრება.

მერმე... ხელიხელ გადახვეულნი, ვარსკვლავებით მოჭახჭახებული ცის ქვეშ, კაკაჩია ღამეში როკავენ მთვარის სხივებით ნათილისმარ მინდორზე ნასმურნი, სისხლადუღებულნი, აღგზნებულ-აფორიაქებულნი.

„ვოისა, ვოისა, ვოისა რერო, ვოისა შვა რაიდა“...

...უჩვეულო ხალისი და ჟრიამული დგას ოდიშარიების ეზო-ყურეში. ცეკვავენ და მღერიან სუყველანი: ახალგაზრდები, ხანდაზმულები, ბავშვები, დიდი და პატარა. მარტო დადია გადმომდგარი აივანზე, ბირკვილს მკლავებით დაყრდნობია და ნაღველნარევი ღიმილით უყურებს თავის გალაღებულ ფანიას – ოდიშარიებისა და გვარამიების ძე-თურებს. და ვინ იცის, რა ტრიალებს ახლა მის სულში, რატომ უწყლიანდება მისდაუნებურად თვალები, რა და რა მოგონებებს აღძრავს მასში ეს ზღაპრულად ღამაზი ღამე!

თითოეული ამ მროკველთაგანიც აკი თავ-თავისებურად განიცდის ამ ღამის ეშხს და ღვინისგან მოგვრილ ზარხოშს. თითოეული ახლა ღვთისაგან შეპყრობილივითაა, ჯადოქმნილივითაა თავ-თავისებურად და ლამობს, თავის გუნებისდა კვალობაზე, მიეცეს აზავთებულ გულისწადილს თავდავიწყებით. შემდეგ ...თითქოს გულმოოხებულნი, წრის შუაგულში ანთებული კელაპტარივით ჩაიყენებენ თეთრსამოსიან კდემამოსილ ქალწულს და გარშემო ფერხულს უვლიან გალობა-სიმღერით. ასე, ალბათ, წარმართულ სალოცავს თუ შეავედრებდნენ სულს და სიცოცხლეს ძველი კოლხ-იბერიელნი.

და უცებ ამ რიტმულ ფერხისაიში გაისმა რემას ზარივით წკრიალა ხმა: ჰა-რი-რა!

არასოდეს, არც უწინ და არც მერე არ აჟღერებულა ასეთი გასაოცარი ძალისხმევით რემას წარმტაცი ხმა. არც არასდროს მანამდე ასეთი გზნებითა და ზეციური ზეშთაგონებით არ უმღერია „ჰარირა“ – მზის საგალობელი. ზევით, სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა ეს საკვირველი, არამიწიერი ხმა, სულის უფსკრულები რომ გამოევლო და ახლა დაუოკებელი ჟინით, წადინით და აღტყინებით სწადდა გადაელახა მზის ჩხორიით გაბრწყინებული მწვრევალები მთათა გრეხილებისა, გადაელახა ზესთა-ზენური სამანები, გაეღწია ცის საუფლოში და შერწყმოდა და შენივთებოდა ერისიონის ლაჟვარდებს.

ეს იყო ზეკაცის გულიდან ამოხეთქილი კივილი ოდესღაც, უხსოვარ დროში, ლესქერი საუკუნეებისა თუ ათასწლეულების წინათ დაღუპულ ბედნიერებაზე: წრეგადასული, ზღვარდაუდები ღაღადისი დაკარგულ თავისუფლებაზე.

„დაგვაყენეთ!.. დაგვაყენეთ!“.

...კელაპტარივით ენთო წრეში თეთრსამოსიანი, ტანწიორა ასული. ხორბლისფერი ნაწნავები ტოკავდნენ მაღალ მკერდზე, კრძალული, მორცხვი ღიმი დასთამაშებდა გონისშემარყევლად მომხიბლავ ბაგეპირს, უციალებდა დიდრონ თვალებს.

და მოეჩვენა რემას: ხელშიც ანთებული კელაპტარი ეჭირა ქალწულს და აკიანთებდა არემარეს ის თვალით უხილავი, უჩინარი სინათლის შუქი, ისე, როგორც არაერთგზის მოლანდების თავის ბავშვობაში.

„თუთაში ჯღვერ! სქან ბედნიერ დუდს ვახვამანქ...[1]

„თუთაში ჯღვერ! – მორდუს ჩურჩული ჩადგომია ახლა სხეულში.

მარანში ქვევრის სარქველს აკრავს ანთებულ სანთლებს მორდუ[2] და მუხლებზე დამხობილი ბუტბუტებს: „წმინდა გიორგი – ჯეგე მისარონ: სქან ტიბინი სი ქომუჩი, ჩილი და სკუა გამიბრალი, ქოფრთხილე ირი ფათერაკიშე – მთვარე წინამძღოლო, შენს ბედნიერ თავს ვლოცულობ, ჩემი ცოლ-შვილის სასამრთელოდ, ფუძე-ნერჩი დამიცავი, დამიცავი ყოველი ჭირისაგან, ფათერაკისაგან, სიცხისაგან, სიცივისაგან, ცუდის შეხვედრისაგან“.

...და ჯეგე მისარონთან დაყრილი ბოძალები. მნათეების დამწყალობება. ღვთით შეპყრობილთა, სალოსთა ქადაგებანი და წინასწარმეტყველებანი, მშვილდში გატარებულ სულით ავადმყოფთა უაზრო თვალები!..

...რემას თვალწინ ცოცხლდება ათასწლეულებში მინავლებული სურათ-ხატი: ცის დედოფლის მოთაყვანენი და მსასოებელნი როკავენ და ხელაპყრობილნი ევედრებიან ღვთაებას ბედნიერებას, სიყვარულს, სიკეთეს!

[1] მახა, მე შენთვის კრავი ვიყო, ყველა გაჭირვებაში შემოსავლები, მახა, მე შენთვის სანთელი ვიყო, ხატის წინ დასაღვენთი.

[1] მთვარევ წინამძღოლო, შენს ბედნიერ თავს ვლოცულობ...

[2] გამზრდელი.

...ათასწლეულების უღრანიდან მოემართება ცის სინაზითა და მშვენებით შემოსილი, მთვარის სხივებით განსპეტაკებული, მზის სინათლესა და ჩქერალებში განბანილი ღვთაება, სიკეთის კალთას შეფარებულ კოლხ-იბერთა მოდგმასთან.

მერმე? რა მოხდა მერმე?

საუკუნეთა ჯანღსა და ნისლში დატრიალდა ქარ-ბორბალა. წაილეკა. მოისრა. ნამუსრევიღა დარჩა. ნატეხი მცირე. ნამცეცი, ნაფცქვენი იმ დიადიდან.

ცის დედუფალთ-დედუფლის, დიდი ნანას კაბა დაიფხრიწა. გაუფერულდა და გაიცრიცა ნათელი ხატება.

იძალა მამრულმა – ჯიუტი, ურჩი ერკემალი ეძგერა ცის თაღედს ვარსკვლავთა უშქი ლაშქრით. თავნება ერკემალს რქებზე მზე და მთვარე მოჰქონდა.

იძლია სინაზე, კდემა და სათნოება დედუფალთ-დედუფლისა – ცის ღვთაებისა და მეუფისა-ცის დია-სახლისისა.

წარუძღვა წინ ვერძი ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვლავთა რემას და გადათქერეს და გადაჯეგეს ცის ლაჟვარდები.

აყირავდა ცის გუმბათი. აირია ცისქვეშეთი. იმძლავრა მზის ბარბალმა[1] და მთვარის ღვთაებამ.

იმძლავრეს მზისა და მთვარის მახვამურებმა. მწარე გოდება აღმოხდათ სასოწარკვეთილ და დარბეულ ცის მახვამურებს: „რინაში ნება ქორდასინი, ქიანა მუში მაფართარე – არსებობის უფლება რომ იყოს, რა ფართოა ქვეყნიერება!“

დიახაც რომ ფართოა სამზეო, წრეშემოუწერელია სამყარო, უსაზღვრო და უსასრულოა ქვეყნიერების კიდე-განი, თვალშეუვლებია ქიანა[2] და ოქიანე[3], მაგრამ ვაგლახ, რა ვიწროა და პატარა იგი თავისუფლებადაკარგული სულისათვის!

...როკავდნენ და მღეროდნენ ოდიშარიები და გვარამიები, ფაჩულიები და გურგულიები მთვარით ნათილისმარ მინდორზე. ზღვის ტალღებივით ირწეოდნენ, ტორტმანობდნენ მკლავებგადაჭდობილნი, ფეხის წვერებზე შემდგარნი, გარშემო უვლიდნენ ტანკენარ მზისდარ ასულს და... სივრცეს მიაპობდა რემას ზარივით წკრიალა, სულისშემტაცი ხმა: „ჰა-რი-რა!“

ანაზდეულად, ამ საერთო აღტყინების ჟამს, რემას გარკვევით, მკაფიოდ შემოესმა კვლავ ნაცნობი გმინვა-კვნესა.

<u>დაბარბაცდა.</u> თითქოს ლახვარი გაუყარესო გულში.

[1] ბორბალი ანუ მზის ღვთაება

[2] ცა და მიწა ანუ ქვეყანა

[3] ოკეანე

„რა დროს ცეკვა-სიმღერაა, რემა?“ – მტკივნეულად უჩხვლიტა გულზე რაღაცამ და თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშო, ირგვლივ ყველაფერი აყირავდა.

დაუკუნეთდა.

თავი III

პაექრობა

მდინარეს ჯერ აღმა-დაღმა, ნაპირ-ნაპირ მიუყვებოდა.

ქურციკის სიმარდით მიაქვს სხარტად ნაგები ტანი. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ფრთები გამოესხა...

სხეული მჩატე, უწონო გახდომია. წამიც და... უფსკრულისკენ დაქანებულ ზეთავს მოექცა.

ცადაწვდილი, ქარაფოვანი კლდეები ანაზდეულად შუაზე იპობიან, რათა გაატარონ იგი. ირმები, ჯეირნები, არჩვები, ჯიხვები აღარ უფრთხიან, ახლოს მოდიან მასთან – თვინიერნი, მორჩილნი.

კვლავ მარჯვედ ახტება ღარტაფებს, ღრმა ხაროებს, ორწოხებს, ბნელ ხევ-ხუვებს. მსუბუქად გადარბის ქვის ხორგებზე.

მერმე დაიწყო გავაკება. მდინარე გრიალ-გრიალით მიექანება თავდაღმართზე.

კვლავ აღმა აუყვა კალაპოტს. დაფერდებული გორმახები ერთი ამოსუნთქვით აათავა. და უცებ... ელდანაკრავივით შედგა. თვალშეუვლებ, უძირო უფსკრულს საზარლად დაუბჩენია ხახა.

გულმა რეჩხი უყო. შეყოყმანდა.

ანაზდად გაღმა, შორს, ქალის სილუეტს მოჰკრა თვალი. ოქროსფერ თმის დალალებს ნიავი უფრიალებს. სახეს ვერ ხედავს მისას, მაგრამ გუმანით ხვდება: ისაა, აქამდეც რომ წინ მიუძღოდა უჩინრად, ფარულად, გზას უკვალავდა, წინამძღვრობდა, მფარველობდა...

იმედი მოეცა ისევ. და მევსეულად მანძილზე უსიტყვო გადაცემა მიიღო. უშიშრად ისკუპა. ფრენა-ფრენით გადაევლო უფსკრულს.

მიწაზე დადგა ფეხი თუ არა, ქალის შორეული სილუეტი მყისვე გაქრა. გაუჩინარდა.

... საღამოს ბინდბუნდი წვება. მზე მთების კორტოხებს ეფარება. მაგრამ ჩამომდგარი ბინდი როდი აფიქრებს, არც საზრდოს დარდი აქვს, არც თავშესაფრისა. გარეულ ნადირთა შეყრის შიშიც არ აწუხებს, თუმცა სატევრის გარდა სხვა რამ იარაღი არა აბადია რა. ცხენიც იქ, ქვემოთ, ოდიშარიების კარ-მიდამოში დატოვა.

მთვარეულივით უფიქრელად, უდარდელად, გულარხეინად მისდევს უხილავი ციური მაცნის მიერ ნაჩვენებ ვიწრო, დაკლაკნილ ბილიკებს.

ჯანღი ჩამოწვა. თითს თვალთან ვერ მიიტან და... მაინც უცდომლად, ფეხმარდად მიიწევს წინ.

აი, მღვიმეც. თითქოსდა ელოდა კიდეც მას. მისკენ მიისწრაფოდა ქვეშეცნეულად – აქვე, სადღაც ახლომახლოს ეგულებოდა თითქოს.

... მღვიმე საკმაოდ მოზრდილია, განიერი. შიგ უკუნი დგას, მაგრამ თვალი მალე მიეჩვია ბნელს. კუთხის გასწვრივ ქვის სკამლოგინზე ნადირთა ტყავებია გადაფარებული. თითქოს მართლა ნაცნობია აქ ყოველივე. თითქოს ეს წუთია გავიდა აქედან მღვიმის ბინადარი. ნაკვერჩხალი გამოქექა ნაცრიდან და იქვე, შორიახლოს დაყრილი ფიჩხები და ხმელი ტოტები შეუკეთა აბირბილებულ ყებურს.[1]

... შიმშილის, წყურვილისა და სიცივის გრძნობა ისევე გაქრობია, როგორც დაღლილობის. ამისდა მიუხედავად, ეფიცხება ცეცხლს და სიამოვნებას ჰგვრის მისი მზერა, ვითარცა გამოქვაბულის წინაპარს მისას გულზე ეფონებოდა ალბათ აპრიალებული ალის ყურება. არაფერზე არ ფიქრობს ახლა, არც არაფერი აოცებს. გაშლილი სუფრა რომ დახვედროდა აქ, არ გაუკვირდებოდა. ქალღმერთი დალი რომ გამოეცხადოს, ანდა ოჩოკოჩი, ანდა „ტყაში მაფა“ – არც ამას იუცხოებს. არც პირცეცხლა ვეშაპის თუ ცხრათავიანი დევის გამოჩენა ჩააგდებს საგონებელში. არანაირი ავი სული, ალქაჯი თუ მავნე ტარტაროზი, როკაპი, კუდიანი ბებერი თუ ურჩხული-წარბს ვერ შეახრევინებს, ვერ შეაკრთობს წამიერადაც კი – უშიშრად, ცარიელი ხელებით მიეგებება ყოველგვარ ფათერაკს. ხოლო ეს თვითდაჯერება და თვითრწმენა, გრძნობს, რომ უხილავი ძალებიდან მოდის. ისინი მფარველობენ, გზას უკაფავენ, უიოლებენ სიარულს, ეშველებიან გასაჭირში, ამიტომაც წინ ვერაფერი დაუდგება, ვერაფერი შეაფერხებს, ვერანაირი ძალა ვერ დააბრკოლებს მის გზასავალს, ახლოსაც ვერ გაეკარებიან მავნე სულები, არამცთუ ზიანი მიაყენონ, ანდა დაუშავონ რამე.

...ზის ჯორკოზე ფეხებგაჩაჩხული, თავზე ხელები შემოუწყვია და თვალგაშტერებით მისჩერებია ცეცხლის პრიალა ალს. ერთიანად მიშვებული, მთვლემარე გონი, თუმცა ზანტად, მაგრამ ნელ-ნელა უბრუნდება რეალობას, თანდათან ფხიზლდება და ქვეცნობიერად ემზადება თავის მეორე „მედ“ ქცეულ თანამგზავრთან შესახვედრად. თუმცა, ცოდვა გატეხილი სჯობია, იგი, ის თანამგზავრი, არც არასდროს მოსცილებია. იგი მასთან იყო ძილ-ღვიძილში, დღისით თუ ღამით, ყოველ წუთს, ყოველ წამს, რადგან მის განუყოფელ, დასაბამიერ ნაწილად ქცეული

[1] კერა

– არასდროს ტოვებს, ყოველთვის თან ახლავს, ოღონდ ეგაა: ხანდახან ისე იმალება, ისე უჩინარდება, თითქოსდა, სინამდვილისეული კი არა – მისი ფრთალაღი ფანტაზიის ნაყოფი იყოს მხოლოდ. მაგრამ ახლა, მღვიმეში, ღამის გასათევად შემოხეტებულს – მომავალი, გადამწყვეტი და გარდაუვალი შეხვედრის წინ – მაშინ, როდესაც ახლოს არის ჟამი წარმოუდგენელი, საოცარი, საარაკო პაემნისა, მან, ამ ჩვენებამ თუ მისმა განუყრელმა ორეულმა – კვლავ ფერ-ხორცი შეისხა, მკაფიო ფორმა შეიძინა, სული ჩაიდგა და... ხელახლა გამოეცხადა.

მაშ, თავიდან უნდა დაიწყოს მათ შორის ის საუბარ-დიალოგი, რამაც მთელი მისი არსება შეარყია მაშინ, სულის სიღრმემდე შესძრა და ააფორიაქა.

ახლა, იმ გადამწყვეტი ჟამის დადგომის წინ, ისევ ისე უნდა შეეტოქონ ერთიმეორეს.

***

„...ვეება ტორები ნელა ზელდნენ, ტკეპნიდნენ, სრესდნენ, ამრგვალებდნენ თეთრ გორგალს. კარგა ხანს გრძელდება ეს საქმიანობა. მერმე წაქათი სავსე კოთხო გარეთ გააქვს და მალევე ბრუნდება უკან.

ბუხართან, სამფეხა სკამზე ჩუმად მჯდარ სტუმარს ერთი გახედა ცერად და ტაბლა ახლოს მიაჩოჩა ცეცხლთან. მერმე ღვინით სავსე დოქი შემოდგა და ისევ გარეთ გავიდა... როცა შემობრუნდა, პერანგის სახელოები უკვე ჩამოწეული ჰქონდა, ხელები დაბანილი.

ბუხარში ცეცხლი გუზგუზებდა და ხანგამოშვებით ნაპერწკლებს ტკაცატკუცით ყრიდა. მაგიდაზე დადგმული ლამფა მკრთალად ანათებდა საკმაოდ მოზრდილ, ორად გადატიხრულ ოთახს. მძიმე, ყავისფერი ხავერდის ფარდით დაფარულ ტიხარს იქით მასპინძლის საძინებელი იყო. ყველგან: თაროებზე, სკამლოგინზე, ფანჯრის რაფებზე, სკამებზე-წიგნები, ჟურნალ-გაზეთები ეყარა უწესრიგოდ. წიგნები ეწყო ბუხარზეც, იატაკზეც და ყველგან, თითქმის ფეხის ყოველ ნაბიჯზე. თითქოს საწიგნეთად ქცეულიყო აქაურობა.

„კველაზე“[1] მოკალათებულმა მასპინძელმა ღვინის ჭიქები სასმელით გაავსო.

– შენ გაგიმარჯოს, რემა! – მასპინძელმა ჭიქაზე ოდნავ მიუჭახუნა ჭიქა სტუმარს და ერთბაშად გამოცალა.

– გაგვიმარჯოს, იუ! – ხმადაბლავე წარმოთქვა სტუმარმა, ნახევარზე მოსვა და ისევ ტაბლაზე დადგა ჭიქა.

[1] სამფეხა, პატარა სკამი.

– დალიე, რემა! კარგი ღვინოა, სუფთა „ოჯალეშია“ – ჩემი დაყენებული. – წამით იყუჩა. მერმე: – რამდენი ხანია, არ გვინახავს ერთმანეთი და აი, რა ღარიბულად გიმასპინძლდები: მჭადით, ყველითა და მწნილით. – მასპინძელი ტკეპნა-ტკეპნით, თითქოს ეზარებაო, ისე წარმოთქვამდა სიტყვებს!

– როგორ გეკადრება!

– გულახდილად რომ გითხრა, არც მქონდა სხვა რაიმე გამოსატანი. ხორცს კაი ხანია, სათოფეზე არ ვეკარები და...

– ხორცს არც მე ვეტანები მაინცდამაინც. ასე რომ, ტყუილად ნუ მეგბოდიშები.

– არ გებოდიშები, ისე ვამბობ. ეს ცხელი მჭადი და ყველი მაინც მირთვი!

– გმადლობ. გიახლები აგერ.

მასპინძელმა ყალიონს დინჯად, გულდაგულ დაუწყო ტენვა, მერე მაშით ნაკვერცხალი აიღო და მოუკიდა.

– შენც ხომ არ მოსწევ? კარგი თუთუნია, ტრაბზონული, ლაზების ჩამოტანილი.

– არა. გმადლობ, არ ვეწევი.

მასპინძელმა კვლავ გეზად გახედა სტუმარს, ხელები ლაჯებში რომ მოემწყვდია და ჩაციებით მიშტერებოდა ტაბლაზე შემომდგარ დოქს. მასპინძელმა ისევ შეავსო ჭიქები.

– მოდი, ჩვენი შეხვედრის დავლიოთ! – პირში გადაუშვა ღვინო და მერმე ცარიელი ჭიქა ხელში შეატრიალა ჭახრაკული ღიმილით:

– მაშ, შენ ამბობ, რომ საგანგებოდ ჩამოხვედი ჩემთან. ჩემი ნახვა გინდოდა და იმიტომ.

– კი. შენი ნახვა მინდოდა ძალიან. კაი ხანია!

– აჰა... – თავისთვის ჩაიდუდღუნა მასპინძელმა.

– მაშ, ნახვა გინდოდა ჩემი, თანაც – კაი ხანია!

– კი. კაი ხანია.

– მერედა... რატომ არ მოხვედი აქამდე? – ახლა ჯიქურად მიაპყრო თვალები სტუმარს. იგი მცირე ხანს დუმდა, მერმე ისე, თითქოს ფიქრშიაო, თქვა:

– შენი გზა-კვალის მიგნება არც ისე იოლი აღმოჩნდა და მერე... ვიფიქრე, ეგება არც ესიამოვნოს-მეთქი დაუპატიჟებელი სტუმრის მოსვლა, მით უმეტეს, რომ...

– რაო, რაზე გაჩუმდი?

– შენზე ამბობენ, ადამიანებს გაურბისო. განმარტოებულად იმიტომ ცხოვრობს, რომ არავის ნახვა არ სურსო.

– მართალია ეს. სწორი უთქვამთ.

– ჰოდა, მეც ამიტომ ვიკავებდი თავს... აქამდე!

– კი მარა... შენ სხვა ხარ მაინც. რაც არ უნდა იყოს, ერთად ვსწავლობდით გიმნაზიაში და... თითქოს ვმეგობრობდით კიდეც, თუ არ ვცდები...

– კი, ეგრე იყო.

მასპინძელმა ცალყბად ჩაიცინა და თმაშეთხელებულ ჯიშიან თავზე ხელისგული გადაისვა, მერმე გაუპარსავ, ჩავარდნილ ლოყებზე ჩამოაცურა ხელის ნებები.

– მაშ, ჩემი ნახვა გინდოდა... – კვლავ უამურად ჩაიცინა და ყალიონში ხელახლა შეუდგა თუთუნის ჩატენვას.

– რაო, რა გაინტერესებდა მაინც?.. თუმცა, ვგონებ, ვხვდები, რაც გაინტერესებს... – ყალიონი მოქაჩა და ცეცხლს მიუშტერა თვალი.

– ისე, კარგად გამოიყურები. ახალგაზრდულად, თუმცა... თმა გაგჭაღარავებია. წვერ-ულვაშიც.

– წლებს თავისი მიაქვს. ვბერდებით.

– მართალია. დრო გარბის. „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“. არადა, თითქოს გუშინ იყო, გიმნაზია რომ დავამთავრეთ.

– ოცდარვა წელი გავიდა!

– ოცდარვა?.. ჰო, სწორია. ოცდარვაა გასული. მას მერე, მგონი არც გვინახავს ერთმანეთი, არა?

– მხოლოდ ერთხელ შევხვდით ქუთაისში ერთმანეთს.

– ჰო. მართალი ხარ. ახლად ჩამოსული ვიყავი ჟენევიდან.

– ისევ... ჩვენი შეხვედრის იყოს!

– ეგრე იყოს! – ამჯერად ჭიქა გამოცალა რემამ ბოლომდე: – მართლა კაი ღვინოა, ეს დალოცვილი!

– ხო გითხარი, სუფთა „ოჯალეშია“-მეთქი. აქაურ წყალწყალა ღვინოებს არ ჰგავს.

– „ადესაც“ კაი იცის აქეთკენ.

– არა უშავს. დაილევა, გაჭირვების ჟამს.

ისევ გაჩუმდნენ.

– შენზე ამბობენ, დადის და ძველებურ, მივიწყებულ სიმღერებს აგროვებსო, მართალია? – ანაზდად პირდაპირ, გამომცდელად შეხედა თვალებში მასპინძელმა.

– მართალია! – თავი დაუქნია სტუმარმა.

– რაღაც გუნდიც შეგიქმნია, თურმე...

– ეგეც მართალია.

– აჰა...

მასპინძელმა იყუჩა ერთხანს.

– მაშ, ძველებურ სიმღერებს აგროვებ და გუნდიც შექმენი!.. ჰმ! – თითქოს ბუხარს ელაპარაკებაო, წამოიწყო ისევ მასპინძელმა, თან თვალს არ აშორებდა ცეცხლის ალს.

– კი.

სტუმარი თითქოს ვერ ამჩნევდა მასპინძლის ირონიულ კილოს და ღიმილს, და ბეჯითი მოწაფესავით პასუხობდა კითხვებს.

– დავლიოთ! – მასპინძელმა კვლავ შეავსო ჭიქები: – შენს გუნდს გაუმარჯოს, რემა! – გვერდულად ჩაიღიმილა.

– მეტი არ გვინდა.

– ეს ღვინო არ ათრობს, ნუ გეშინია! – ერთბაშად გამოცალა. მერმე ცარიელ ჭიქას ფრთხილად, რატომღაც ერთობ ფრთხილად გახედა ოდნავ მოჭუტული თვალებით. ხელში შეატრიალა და ტაბლაზე ასევე ფრთხილად დადგა. ტუჩები ხელის ზურგით შეიწმინდა. მერმე ისევ ყალიონი გაირჭო პირში.

– თუ შეგიძლია მითხრა, რემა ბატონო, – დაიწყო სიჩუმის შემდეგ მძიმედ, სიტყვების გაწელვით, თან შუბლქვემოდან უყურებდა სტუმარს თვალისდაუხამხამებლად: – თუ შეგიძლია-მეთქი მითხრა, რატომ აგროვებ ამ ძველ სიმღერებს, რისთვის?.. ან მომღერალთა გუნდის შექმნა რაში დაგჭირდა?

– რატომ არა, გეტყვი. – გამოცოცხლდა სტუმარი. – მინდა არ დაიკარგოს, გადარჩეს დავიწყებას არ მიეცეს ჩვენი საოცარი, უნიკალური სიმღერებია. გურიაშიც ვიყავი ამას წინათ, სიმონიშვილებთან, ერქომაიშვილებთან. შარშან რაჭა-ლეჩხუმშიც გახლდი. სვანეთშიც ავედი. იმერეთიც მოვიარე. კახეთშიც ვაპირებ გადასვლას. მინდა ყველა კუთხის სიმღერა შეისწავლოს გუნდმა, ყველა თავისებურებებით...

– კი მაგრამ... ვისთვის გინდა ისინი-მეთქი? – შეაწყვეტინა ერთბაშად მასპინძელმა და ბასრი, გამჭოლი მზერა გაუყარა თვალებში.

სტუმარი წამით დაიბნა. აირია.

– ვერ გავიგე, იუ?

– ვისთვის, რისთვის გინდა-მეთქი გადარჩეს ეს სიმღერები, კაცო, გეკითხები!

– ჩვენი... მომავალი თაობებისათვის, რასაკვირველია... იუ! ჩვენი ხალხისათვის... – რატომღაც ენა შეუბრკოლდა რემას. თვალები აუხამხამდა.

– აი, თურმე, რა! – ჩაიცინა მასპინძელმა გამკილავად. თავი გაიქნია და ყალიონი გულმოდგინედ გამობერტყა, მერმე ცერა თითით გამოწმინდა და სული შეუბერა, მერმე გვერდულად გახედა სტუმარს: – მერედა, სადა გყავს ხალხი, რემა ჩემო, ან... რა მომავალ თაობებზე მეზრახები?

– ვერ გავიგე...

– ნუთუ ასე გაუგებრად ვლაპარაკობ, ბიჭო? სადა გყავს-მეთქი ხალხი? რომელ ხალხს გულისხმობ?

– ჩვენ ხალხს, ჩვენს ქვეყანას...

– რა ჰქვია ამ შენს ქვეყანას, რემა? სახელი არა აქვს?

ახლა უკვე სტუმარი მისჩერებოდა დაჟინებით მასპინძლის ღრმად ჩამჯდარ, მოყვითალო ფერის თვალებს, რომელიღაც მტაცებელ ფრინველს რომ აგონებდა, მაგრამ, სახელდობრ, რომელს, ვერა და ვერ გაეხსენებინა.

– საქართველოზე მოგახსენებ, იუ... – შეყოვნებით, რატომღაც კვლავ ენის ბორძიკით წარმოთქვა და მზერა მოარიდა, კვლავ ცეცხლს მიაჩერდა.

– ხა, ხა, ხა... – თავი უკან გადაიგდო და ახარხარდა მასპინძელი. დიდხანს, ხმის ჩახლეჩამდე იცინოდა, ცოტა არ იყოს ბრაზიანი, ავი სიცილით. მერმე, გული რომ მოიჯერა, თვალები ხელის ზურგით ამოიწმინდა, თავი გადაიქნია ისევ და ბუხარში შეაპურჭყა.

– შენ, თურმე, ისევ ძველი ილუზიებით ცხოვრობ, რემა ჩემო! – სინანულის და რაღაცნაირი შემწყნარებლური კილო ისმოდა მასპინძლის ხმაში: – საქართველოო... ღმერთო ჩემო, საქართველოო!

– მე... არ მესმის შენი ირონია, იუ... და გულახდილად რომ გითხრა:...

– რა, რა არ გესმის, კაცო? ჭურში ხომ არ ზიხარ?.. სადღაა საქართველო? რომელ საქართველოზე მელაპარაკები? ფიქციაზე? არარსებულზე, გამოგონილ ფენომენზე? ფა-ფუ! იყო და... არა იყო რა. იყო ოდესღაც და აღარ არის. ან... შეიძლება არც არასდროს ყოფილა. ძველი საქართველოც ფანტაზიის ნაყოფი იყო, ალბათ.

– შენ... შენ ერთ დროს... – აღარ დაამთავრა რემამ. გული ძალუმად აუძგერდა. ნერწყვი გაუშრა პირში.

– ახ, ასე არ ვფიქრობდი, არა, ოდესღაც! ადამის დროს... ხა, ხა, ხა... აი, თურმე რა!.. შენ კიდევ იმ დონეზე დარჩი, არა? საინტერესოა, საინტერესოა, ღმერთმანი!

– დონე?.. რა შუაშია დონე, არ მესმის! – „ეს კაცი მართლა ვერ არის კარგად, თუ“...

– შენ მე შერეკილი ხომ არ გგონივარ, ა? – თითქოს მიუხვდაო ნააზრევს, მასპინძელმა დამცინავად წაჭუტა თვალი. ერთხანს ასე თვალმოწკურული უყურებდა, მერმე განაგრძო: – ვინა ხარ შენ, ამას თუ მეტყვი, ძალიან დაგიმადლი, რემა ბატონო!

– ვერ გავიგე...

– რა, რა ვერ გაიგე, კაცო? ვინა ხარ-მეთქი, გეკითხები? რა გქვია, რა გვარის ხარ?.. ნუ შიშობ, არ გადავმცდარვარ, ჯერჯერობით, ჭკუიდან.

რემა ხომ ხარ, გეგეჭკორი? ასეა, არა? მეგრელი აზნაური. უფრო სწორად, შენი წინაპრები ეკლესიის მსახურნი იყვნენ ადრე, მერე გახდნენ აზნაურები, უფრო მოგვიანებით. მაგრამ ახლა, ამჟამად ხარ მეგრელი აზნაური – რემა გეგეჭკორი. ხომ ასეა?

– რა შუაშია მეგრელი აზნაური, იუ? მე...

– ვიცოდი, ამას მკითხავდი. გიპასუხებ: ძალიან შუაშია, ჩემო კარგო. ძალიან შუაში. შეიძლება მე-12 საუკუნეში არ ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ახლა, მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ერთობ დიდი მნიშვნელობა! ჰოდა, შენ, მეგრელ აზნაურს – ვინ დაგავალა ამ ე.წ. საქართველოს მომავალზე ფიქრი და ზრუნვა? ვინ გკითხავს შენ საქართველოს ჭირისუფლობას?.. მაგრამ შენ ისეთი თვალით მიყურებ... აშორდია ხომ გაგიგონია, რემა ბატონო?.. გაგიგონია! კეთილი და პატიოსანი! აშორდიას მოძღვრების თანახმად, შენ რომ ქართველი არა ხარ, ესეც ხომ მოგეხსენება? მაშასადამე...

– მაპატიე, იუ. მაგრამ... ვინაა, კაცო აფერისტი აშორდია? ეს... ეს ყოვლად გაოხრებული აზნაურობის მაძიებელი ვიგინდარა? ვინ ჰკითხავს აშორდიას, ვინა ვარ მე? მერედა... შენ ნუთუ არ იცი, ვინ დგას მის ზურგს უკან? ვინ გეშავს, ვინ აქეზებს? და საერთოდ, უკაცრაული პასუხია და, ეს მამაძაღლი აშორდია ვინაა-მეთქი? რა მოსატანია აქ მისი სახელი?

– დაიცა, დაიცა, ნუ ცხარობ... მე კარგად ვიცი, ვინ და რა ძალები დგას აშორდიას ზურგს უკან, მაგრამ მავანნი და მავანნი რომ... იგეშებიან? რომ ეგებიან ანკესზე? ამაზე რას იტყვი?

– ვინ ეგება, იუ? მასავით ბნელი და უკეთური...

– კარგი. აშორდია და მისი მიმდევრები გარეწრები და უკეთურები არიან და ადვილად შეეკვრებიან ხოლმე ეშმაკს, მაგრამ რას უშვრები განათლებულ გიორგი მუხრანცკის? – მუხრანელს ხომ აღარ კადრულობს უკვე ბაგრატოვანთა ნაშიერი – მუხრანცკი თურმე უკეთ ჟღერს მავანთა ყურისთვის! ჰოდა, ბაგრატოვანთა ამ განათლებულ ნაშიერს ვითღა ჩაუსახლდა სულში ეშმაკი?

– ასეთები ყველა კუთხეში და ყველა წოდებაში არიან-მეთქი, სამწუხაროდ...

– ჰოდა, სწორედ ასეთების წყალობით ხომ დავკარგეთ აფხაზეთი? კი. ჩათვალე, რომ დაკარგულია. „აფხაზია – ეტო ნე გრუზიაო“, ხომ დაუსვა ბეჭედი ვინმე ვორონოვმა! ახლა ჯერი სამეგრელოზეა... სამხრეთ საქართველო კაი ხანია, მორღვეულია, შიდა და ქვემო ქართლი ჯეროვნადაა „ათვისებული“ უცხო ტომების მიერ და, საერთოდ, ქართლი თითქმის უკვე აღარ არსებობს. ტფილისში... უკაცრავად, ტიფლისში... ჰო, მართლა ტფილისში თუ ხარ ნამყოფი ამ ბოლო დროს? არა? ჰოო, გეტყობა...

დიახ. იმას ვამბობდი, ტფილისი წალეკილია... შემოხიზნული და მაინც უმადური, მტაცებელი სომხის ბურჟუაზია განაგებს ტიფლისს – დაშნაკუნცის ლოცვა-კურთხევით! ტიფლისის ქუჩებში ქართულს თითქმის ვერ გაიგონებ... ესე იგი, დედაქალაქიც აღარ გაგაჩნია. ჰო, სადღაც, კუნჭულში ქუთეისი ხლაფორთობს რაცხას ვითომ, საცხა კახეთიც გაჯიუტებულა გაქირ ვირივით და... მორჩა! მოგჭამა ჭირი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმულმა ოდესღაც დიდმა საქართველომ. იღაღადონ ახლა ქვებმა რამდენიც უნდათ, სანამ არ მოსწყინდებათ, სანამ ბურთს არ ჩასჩრიან პირში, კაპიტალის მფლობელნი... ჰო, მართლა, ილიას მკვლელობაზე რა აზრისა ხარ?

– რა აზრის უნდა ვიყო? როგორ გგონია?

– მაინც, მაინც!.. არ გეწყინოს, შენი შეურაცხყოფა კი არ მინდა... მე სხვა რამ მაინტერესებს...

– რა უნდა გითხრა?.. დიდი უბედურება მოხდა, უზარმაზარი ტრაგედია... ამაზე შეიძლება სხვანაირი აზრი იყოს?

– რატომ არა! არის სხვანაირი აზრებიც და საკმაოდ მრავალრიცხოვანი არიან ისინი, ვინც „სხვანაირად“ ფიქრობს. მაგრამ ახლა მე სხვა რამ მინდა გკითხო – ვინ მოკლა ილია, ეს თუ იცი?

– ვიცი!

– მაშ, იცი?

– ვიცი-მეთქი, გეუბნები.

– არ მითხრა ახლა – ილიას მკვლელების უკან სხვები დგანანო, ვთქვათ, ცარიზმის „ოხრანკა“, დაშნაკელები და სხვანი და სხვანი. არა, ისე არ გამიგო, რომ ამათ გამოვრიცხავ. სულაც არა. მაგრამ მით უარესი-მეთქი ჩვენთვის. ჰოდა, შე დალოცვილო, ყოველივე ამის შემდეგ რომელ საქართველოზე მელაპარაკები? რომელ თაობებზე ზრუნავ? ვის უნდა შეუნახო განძი? ამ ერთმანეთის მოშურნე და მოქიშპე ტომებს, ოდესღაც დიდი საქართველოს ამ უბადრუკ ნაშიერებს, ყელგამოწვდილი რომ ემუდარებიან თავის გამაუბედურებელს, თავისი პატივის ამხდელს – არ მინდა ჩემს მშობლიურ ენაზე სწავლა და შენი სკოლები გამიხსენიო, რომ რაც შეიძლება მალე გადავჯიშდე და გადავგვარდეო?

– კი მაგრამ...

– რა მაგრამ, ილიას მკვლელთა შთამომავლებზე ზრუნავ, კაცო? – მასპინძელი წამომდგარიყო და ოთახში ბოლთას სცემდა, ზურგზე ხელებშემოწყობილი.

– ილია გარეწრებმა მოკლეს, იუ. ყველა ხალხში არიან ასეთები, ჩვენ ამ მხრივ, სამწუხაროდ, გამონაკლისები არა ვართ.

– ქვეყანა, რომელიც ილიას მკვლელებს წარმოშობს-მეთი, ჩემი აზ-

რით, სიცოცხლის ღირსი არაა. ანდა რა ერზეა ლაპარაკი, კაცო? სადღაა ერი და ბერი? სადღაა საქართველო-მეთქი? განა ილიამ უკეთ არ უწყოდა, თუ ვინ იყვნენ ესენი? ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ორპირი და მანკიერიო, განა თვითონ არ ბრძანა? ერი, რომელიც საკუთარი ხელით იჭრის ყელს და თან ტაშ-ფანდურა გაუმართავს, ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერიო? ან "ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა! გენიოსი ბარათაშვილი განა თავისიანებმა არ გაწირეს?.. და რომელი ერთი ვთქვა?..

– ეს... ეს მეტისმეტია! ასე არ შეიძლება, იუ, ასე არ შეიძლება...

– ახ, მეტისმეტია? ასე არ შეიძლება, არა? იცი, რას გეტყვი, რემა ბატონო?.. თუმცა... ჯანდაბას! სხვა გზა არ არის, ხომ უნდა აგეხილოს თვალი როდისმე?.. მაშ კარგი...

მასპინძელი გაჩუმდა. სტუმარსაც ხმა გაეკმინდა. მძიმე, აუტანელი დუმილი კარგა ხანს გაგრძელდა. მერმე მასპინძელმა თავი ასწია, სტუმარს მიუბრუნდა და გაბზარული ხმით უთხრა:

– რასაც ახლა მოგიყვები, ძეხორციელისთვის არ მითქვამს აქამდე. პირველი შენა ხარ და... ყველაფერი ჩვენს შორის უნდა დაიმარხოს, მანამ, სანამ... მოკლედ, ეს ჩემი საიდუმლო აღსარებასავით იქნება, ან... რაც გინდა, ის დაარქვი. მთავარია, შენთან ვამბობ იმას, რასაც მხოლოდ ჩემს გულში ვატარებდი აქამდე. შენ უნდა მომისმინო. კარგად მომისმინო. აკი იმისთვის მოხვედი ჩემთან, რომ... სხვა დროს ეგება მეც არ მომინდეს თხრობა. ჰოდა, უნდა მომისმინო ახლა. ეს შენთვისაც საჭიროა, შენც უნდა იცოდე, ეს!

– მე გისმენ, იუ. მზადა ვარ, თუნდაც დილამდე გისმინო!

– კეთილი. მაშ, ყური მიგდე. დაიცა, ცოტა ხანს მაცალე... ოღონდ... – და ეს ბრგე, ახოვანი კაცი კვლავ ფიცხლად ზეაიჭრა, ზურგზე ხელები შემოიწყო და ისევ ისე ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში.

გალიაში გამომწყვდეულ ნადირს ჰგავდა ახლა, მძვინვარება ვერდაოკებულს, საკუთარ გულს რომ ასკდება თავისსავე უმწეობითა და უძლურებით გახელებული. კარგა ხანს მიმოდიოდა ოთახში, ხან წრეს არტყამდა მაგიდის გარშემო, ხანაც კედლიდან კედლამდე დაალაჯებდა გავეშებული და მისი მოგრძო-მოყავისფრო სახე, მაღალი, კეხიანი ცხვირი, ფართო თვალები და წვრილი, ორად გაყოფილი ნიკაპი – ყველაფერი ამ კაცის დაუოკებელ ტემპერამენტსა და ენერგიაზე მეტყველებდა.

რემა მონუსხულივით იჯდა და მზერა ვერ მოეცილებინა ამ ძლიერი, დაკუნთული სხეულის ბორგვისათვის. თანდათან იგი დაცხრა. ეტყობა, მოთოკა აზავთებული ვნება. და როცა ისევ რემას გვერდით დაეშვა სამფეხა სკამზე, უკვე სრულიად დამშვიდებულ-დაწყნარებული ჩანდა. ხმაც ისევ ისე მონოტონური, ემოციებისაგან დაცლილი გაუხდა. ეტყობა, ამ

წამიერ აფეთქებას, მწყობრიდან გამოსვლას თვითონაც არ მოელოდა და ახლა უჩუმრად გულში ძრახავდა კიდეც თავის თავს მოუთმენლობისა და სიფიცხის გამოჩენისათვის.

აუჩქარებლად, დინჯად ბუხარს შეშა შეუკეთა. შემდეგ ასევე აუჩქარებლად და დინჯად გააბოლა ყალიონი და მშვიდი ტონით დაიწყო:

– შენმა სიტყვებმა თითქოს მოშუშებულ იარას კვლავ პირი გაეხსნა ამაღამ, მონელებულ-გადახარშული დარდი ისევ განმიახლა. გული ამატკივა და ფიქრები ამიშალა ხელახლა. მაგრამ რა გაეწყობა?.. გაწყდეს, საცა წვრილია... ვეცდები, ბევრი ლაპარაკით თავი არ შეგაბეზრო. მოკლედ, კონკრეტულად გეტყვი სათქმელს. რასაც ვერ ვიტყვი, შენ უნდა შეავსო შენს წარმოსახვაში, ანდა იგულისხმო სიტყვებს შუა. ერთი სიტყვით, იგულთამხილავო მენცარივით.

...შენც კარგად გახსოვს, ალბათ, ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის დროს ჩვენს სალოცავ ხატად რომ იყო ქცეული ილია. გახსოვს, ალბათ, რამხელა ბედნიერება იყო „ივერიის“ მორიგი ნომრის გამოსვლა და მისი ხელში ჩაგდება. ისიც გეხსომება, ხშირად ღამეებს რომ ვათენებდით ილიას სტატიებისა და წერილების კითხვა-გადაწერაში.

დიახ, ეს ის დრო იყო, როცა ილიას თქმითვე, ლეთარგიული ძილისაგან ვიღვიძებდით, ნელ-ნელა, გაჭირვებით, წვალებით, მაგრამ მაინც ვახელდით თვალს, ვფხიზლდებოდით... ჯერ ბევრი რამ გაუცნობიერებელი, უფრო ინსტინქტური იყო, მაგრამ ყინული თანდათანობით ლღვებოდა. არარაისგან, დაძაბუნებულ-დაკნინებული, დუხჭირი გონებისაგან ჭეშმარიტების თითო-ოროლა მარცვალი თავთავდებოდა და რაც უფრო იზრდებოდა ჩვენი თვითშეგნება, მით უფრო გვიცხოველდებოდა ოცნება და ნატვრა ილიას სულისმიერ ლაშქარში ჯარისკაცად ყოფნისა. თუ საჭიროება მოითხოვდა, – მზად ვიყავით იარაღი აგვეღო ხელში, თუმცა...

რა ბევრი გავაგრძელო, შენ ჩემზე ნაკლებად როდი მოგეხსენება იმჟამინდელი ჩვენი გუნება-განწყობილება. ერთს დავძენ მხოლოდ: ილია პირადად მე, მე-19 საუკუნის უბადრუკ საქართველოში განსხეულებულ დავით აღმაშენებლად მესახებოდა, თითქოს ამირანის მძლეთამძლე სული გაცოცხლებულიყო მასში. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო მიმტკიცდებოდა ეს რწმენა.

მერე ის იყო, გიმნაზია დავამთავრეთ. შენ შინ დაბრუნდი, მე კი – ევროპას მივაშურე, რომ... რაც შეიძლებოდა გამეწურთნა გონება, ასე ვთქვათ, შევიარაღებულიყავი ცოდნა-განათლებით და... ისე დავბრუნებულიყავი ილიას სულისმიერ ლაშქარში. ჩემი ყველაზე სანუკვარი, ყველაზე მხურვალე ოცნება და ნატვრა იყო, რომ რამენაირად გამოვდგომოდი

ჩვენს გაუბედურებულ სამშობლოს...

ევროპაში წასვლამდე ვცადე ილია მეხილა, შორიდან მაინც შემევლო მისთვის თვალი, მაგრამ სამწუხაროდ ჩემდა, ილია იმ დროს ტფილისში არ აღმოჩნდა – პეტერბურგში ყოფილიყო წასული. არადა, მთლად რომ არაფერს წარმოვადგენდი, არც ისე მინდოდა წარვდგომოდი ჩემს სათაყვანებელ კერპს. ე.წ. ქართველური პატივმოყვარეობის საკმაოდ დიდი დოზა იყო უთუოდ გარეული ჩემს ამ „თავმდაბლობაში“: ეტყობა, სისხლში გვაქვს ჩალექილი, მემკვიდრეობით გადმოცემული ეს მძაფრი სურვილი სახელის მოხვეჭისა; ამაში, ჩანს, რუსთაველმაც ითამაშა საკმაოდ დიდი როლი, აკი ჩამოგვირაკრაკა კიდეც: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსაო“. ვახუშტიმაც ხომ მშვენივრად დაგვისურათხატა ჩვენი ეროვნული ნიშან-თვისება და მათ შორის, სახელის მაძიებლობის უზარმაზარი წყურვილი, ზოგჯერ თუნდაც ქვეყნის საზიანოდ... „დღეისის მაძიებელნი, ხვალისის არა გამომკითხველნიო, მომღერალ-მგალობელნიო“... ალბათ, როგორც ჩანს, გამონაკლისი არც მე ვიყავი...

ევროპაში ჩემი ყოფნის და ე.წ. ჩემი განსწავლის პერიოდზე სიტყვის გაგრძელებას არ ვაპირებ; ერთი რამ კი საგულისხმოა: სადაც არ უნდა ვყოფილიყავი: ჟენევის, ბრიუსელის თუ მიუნხენის უნივერსიტეტებში, ერთი ამოჩემებული აზრი მოსვენებას არ მაძლევდა: ჩემი სწავლა-განათლებით ვერავის გავაკვირვებდი, მათ შორის, ილიასაც, ხოლო იმ საქმისათვის, რის წინამძღოლადაც ილიას ვრაცხდი ჩემს გუნებაში – თანხა იყო საჭირო, თანაც საკმაოდ დიდი თანხა. აი, ფული რომ მქონდეს ბლომად და მივართვა იგი ილიას, რომ უკეთ გაუძღვეს იმ საქმეს, რასაც ესაკმევლება-აი, ეს მესმის, ეს უკვე ნიშნავს რაღაცას-თქო – ასე აზრობდა ჩემი ჭაბუკური გახურებული ტვინი. მაგრამ როგორ, რანაირად, რა ხერხით და მანქანებით, რა ჯადოსნური საშუალებით გამხდარიყო განძის მფლობელი ღარიბი სტუდენტი, ხშირად, უსახსრობის გამო რომ შიმშილობდა?

„სეზამ... გააღე კარი!“ მაგრამ... კარი არ იღებოდა. ზღაპარი და ცხოვრება შორიშორს იდგნენ ერთმანეთისაგან. ყაჩაღი და ბანდიტი კი – ვერასდიდებით ვერ გავხდებოდი. ბანკებს, ფოსტას და მატარებლებს ვერ დავეცემოდი, რადგან ამგვარად ნაშოვნი ფული, ჩემი აზრით, წმინდა საქმისათვის ვერ გამოდგებოდა – როგორც არ უნდა შეალამაზონ ზოგ-ზოგმა ეს აქციები უცხოური გამოთქმებით – ეს ექსპროპრიაცია მთელი არსებით მიუღებელი იყო ჩემთვის – ვერა, ვერ გავხდებოდი იმათი მიმდევარი, ვინც საბოლოო მიზნით ამართლებს ყოველგვარ სისაძაგლეს – მაკიაველის მეთოდები გამორიცხული გახლდათ ჩემთვის. არადა,

რამდენიც არ მეჭყლიტა ტვინი და მელესა გონება – საშველი არ ჩანდა: ააფრინე ალალიო, რაც არ არის, არ არიო...

არადა, ეს აკვიატებული იდეა მოსვენებას არ მაძლევდა. იგი თანდათან მიპყრობდა და მიმორჩილებდა იქამდე, რომ ღამეებს მატეხინებდა. სიზმარში თუ ცხადში განძი მელანდებოდა და ის ბედნიერი წამი, ილიას რომ ფეხთით დავუდებდი მოწიწებით და თან სართად ჩემს ბედოვლათ თავს მივაყოლებდი, რომ ჩემი სიცოცხლის და ერის ბატონ-პატრონად და გამგებლად ყოფილიყო ის, ვინც საქართველოს უკვდავი სულის ხორცშესხმად მესახებოდა, ვინც მის მხსნელად, ქომაგად და მოსარჩლედ, ერის გონებისმიერი საზრისის განმასახიერებლად მეგულებოდა და ვითარცა ასეთს – უზომოდ ვეთაყვანებოდი. თან, ყველაფერს გარდა, ვატყობდი ჩემს თავს, ნელ-ნელა მეძალებოდა ბოღმა და გულისწყრომა იმ ხვედრის გამო, ბედმა რომ არგუნა ჩვენს ქვეყანას. შურიანი არასდროს ვყოფილვარ, სხვისი არაფერი მეხარბებოდა, მაგრამ ევროპის ამ ე.წ. პატარა ხალხების ცხოვრებას რომ ვუყურებდი „თუნდაც შორიდან, მეთვალყურის მზერით“ – გულზე ვსივდებოდი: ჩემდა უნებურადვე, სული მეძენძებოდა. რითი არის-მეთქი ამათზე ნაკლები ჩემი მამული? რითი ჩამოუვარდება – ბუნების მშვენიერებითა და მინა-წყლის სიუხვით თუ მის მაცხოვრებელთა სილამაზით და ნიჭიერებით? კულტურის და ისტორიის სიძველით თუ ცხოვრების წეს-ყაიდით? განსაკუთრებით ამ ე.წ. მცირე ხალხების სიმაძღრე და თვითდაჯერება მეჩხირებოდა თვალში – მათი სულიერების დაცემის ფონზე! – წამიერი პაუზა და მერმე...

ნუთუ მართლა ვართ დასჯილი-მეთქი ღვთისგან ჩვენი ცოდვებისთვის იმით, რომ გეოგრაფიულად ისეთ განედში მოვხვდით, სადაც გარშემორტყმული აღმოვჩნდით საშინელი მტაცებლებით, რომელთა მადა და სურვილი ამოუპირავი გამოდგა იმთავითვე და სისასტიკე – ზღვარდაუდები? ყოველივე ამას დაემატა ისიც, რომ ჯვრით ხელში მათზე ბევრად უარესი სატანა დაეუფლა ჩვენს ხორცსა და სულს-მეთქი? – ვფიქრობდი გამწარებული და წამდაუწუმ ვიმეორებდი თუ ხმამაღლა, თუ გულში:

„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს, მოყვარესა მტერსა ვუფრთხი, მემოყვრება, მოცინარობს“. მაშინ ჯერ კიდევ ვერ გამეაზრებინა, რომ საწყაო წყავს, ღმერთი ხედავს. ყველა იმის ღირსია, რაიც დაიმსახურა ღვთის თვალში...

ჰო, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ერთხელ ბედნიერი ან ეგების... უბედური შემთხვევის წყალობით – არ ვიცი ახლა, რა დავარქვა ამას: გადავდგი ნაბიჯი, რომელმაც ძირისძირობამდე შეცვალა ჩემი ცხოვრება, რამაც ცამეტი წელიწადი მახეტიალა ქვეყნიერების კიდით კიდემდე და

ფანატიკური რწმენით შეპყრობილს – დაჟინებით, გულმოდგინედ, გობსეკის შეუპოვრობით, მაგროვებინა ნანინანატრი თანხა.

...ერთხელ, ანტვერპენის სანაპიროზე სეირნობის დროს დამებადა აზრი... გავყოლოდი რომელიმე გემს მეზღვაურად. ეს აზრი თანდათან ჭკუაში მიჯდებოდა და აი... ბედმა გამიღიმა და ერთ ინგლისურ სავაჭრო ხომალდზე, შორეულ ინდოეთში რომ მიდიოდა-მოვეწყვე მატროსად, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი – დაცული მიუნხენის უნივერსიტეტში, რომელიც ახლა არაფერში მჭირდებოდა – საიმედოდ გადავინახე სხვა საბუთებთან ერთად და... შევუდექი ჩემთვის უჩვეულო საქმიანობას.

ეს იყო 1895 წლის ივლისის 18. ზუსტად 25 წლის გახლდი მაშინ.

ეტყობა, ჩვენში, ყველაში მეტ-ნაკლებად ზის ბედნიერების მიღწევის იმედი, ანუ ასე ვთქვათ, ნატვრისთვალის მოპოვების ბავშვური რწმენა. ჰოდა, ცამეტი წელი არ გამნელებია ეს რწმენა და იმედი – ცამეტი წელი! მიუხედავად უამრავი ხელმოცარვისა და სასოწარკვეთისა – არ გამხუნებია ლურჯი ფრინველის კუდით დაჭერის ყმაწვილკაცობისდროინდელი ოცნება, რომელმაც ყოველგვარ პირადულზე ხელი ამაღებინა, რადგან პირადი ბედნიერება და სიხარული განიზომებოდა ჩემთვის მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რაიც ამოვიჭერი გულში და იგი, ეს პირადული არსებობდა იმდენად, რამდენადაც ხელს მიწყობდა იმ მიზნის მიღწევაში – ესოდენ სასიცოცხლო აუცილებლობად რომ ქცეულიყო ჩემთვის.

ამ ცამეტი წლის ბრძოლის, ჭირ-ვარამის, ჭაპან-წყვეტის, იმედის თუ უიმედობის, წამიერი სიხარულის თუ ჯოჯოხეთური ტანჯვის პერიპეტიების აღწერას აღარ შევუდგები, რათა დროც მოვიგო, ჩემი ნერვებიც დავზოგო და შენი გულიც დავინდო, და გულაჩვილებულს – ცრემლები არ გაღვრევინო.

ისე, რა არ გადამხდა თავს ამ ხნის განმავლობაში – დანტეს ჯოჯოხეთიც გამოვიარე და სალხინებელიც, მაგრამ უკეთური, უპატიოსნო აზრი ან ქმედება ახლოსაც არ გამკარებია, გულში არ გამჭაჭანებია. ეს შემიძლია დავიფიცო ღმერთის წინაშე: ყოველთვის წმინდა და მართალი ვიყავი საკუთარ სინდისთან და, მაშასადამე, უფალთანაც. სხვანაირად, არც ექნებოდა აზრი ჩემს საქციელს, სხვაგვარად ჩემი თავგანწირვა (ახლა შემიძლია ეს თამამად ვთქვა!) ცხადია, დაკარგავდა იმ დანიშნულებას, რისთვისაც იგი იყო მოწოდებული და რის გამოც მომიწია ამდენი მსხვერპლის გაღება: სამშობლოს, დედ-მამის, და-ძმის მიტოვება, ოჯახის შექმნაზე უარის თქმა – საყვარელი ქალის დაკარგვა, სხვადასხვაგვარი ფათერაკისა და ხიფათის გადატანა, ყოველდღიური ცხოვრებისეული ცთუნების ძლევა – ანუ გამუდმებული ბრძოლა-რკინება ეშმასთან, ჩვენს სულში რომ ჩაბუდებულა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს – უბრალო მეზღვაური ინგლისური სავაჭრო გემის კაპიტნის, ჯონ ვილსონის თანაშემწედ ვიქეცი; ჯონ ვილსონს, ღმერთმა გაანათლოს მისი სული, შვილივით შევუყვარდი: არ ვიცი კი, რად, რისთვის, რა ღირსებათა გამო გამომარჩია სხვებში. ასე მგონია, ჩემი ბობი ხარ, ჩემი სისხლი და ხორციო, მითხრა ერთხელ გრძნობათა მოჭარბების დროს, რაც ასე იშვიათი იყო ენაძუნწი, გულჩათხრობილი ინგლისელისათვის, უფრო ზუსტად – ირლანდიელისათვის! ბობი, ერთადერთი ბიჭი, ყმაწვილობისას, 14 წლისა მოკვდომოდა. ცოლიც მალე მიჰყოლია მას და დარჩენილიყო მას მერე ასე ცარიელ-ტარიელი, ეული. როგორ წეღანაც ვთქვი, გულჩათხრობილი კაცი იყო, გულს ადვილად არავის გადაუხსნიდა და ვითარცა თითქმის ყოველი ინგლისელი თუ ირლანდიელი საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე გახლდათ, და ამასთან, უაღრესად ნაკითხი, განათლებული. ძველი, არისტოკრატიული წარმოშობის იყო; მერე, დროთა ვითარებაში, დაკნინებული გვარის წარმომადგენელი საქართველოს იცნობდა კოლხეთით და იბერიით. ხშირად გვქონდა გულითადი საუბრები, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში. გამუდმებით ყალიონი ჰქონდა პირში გაჩრილი, მგონი, ძილშიაც ქაჩავდა მას – სხვათა შორის ეს ყალიონი, იმ სულკურთხეულის ნაქონია, მან მისახსოვრა სიკვდილის წინ. საერთოდ, ეს გასაოცრად კოლორიტული ფიგურა, ჟიულ ვერნის ნაწარმოებების გმირებს მაგონებდა, უფრო კიკაპიტან გრანტს.

ჰოდა, აბოლებდა ჯონ ვილსონი წამდაუწუმ თავის განუშორებელ ყალიონს და ყურადღებით, მთელი გულისყურით, ისე, როგორც ინგლისელებს სჩვევიათ ეს საერთოდ, მისმენდა. დროდადრო თავს გააქნევდა ხოლმე. ეს იყო და ეს. ამით თუ გამოხატავდა თავის რეაქციას მოსმენილის მიმართ და... აგრეთვე იმ თითო-ოროლა შეკითხვით, რომელსაც ახლა რომ ვიგონებ, ისე ოსტატურად, ისე მოხერხებულად, თან საქმის ისეთი ღრმა ცოდნით მისვამდა, რომ ამით თავისდა სასურველ კალაპოტში აქცევდა ჩვენს საუბარს და მისთვის საჭირო და აუცილებელ ინფორმაციას ამომწურავად იღებდა. ჯონ ვილსონზე გაუთავებლად შემიძლია ვილაპარაკო. მოკლედ, მისი დიდი თანამემამულის სიტყვებით რომ ვთქვა, ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა. ერთხელ, საუბარში თქვა: ჩვენ ირლანდიელები, ძველი იბერიელები ვართო: დიახ, ასე ბრძანა!

ჰოდა, ამ ჯონ ვილსონმა სიკვდილის წინ თავისი ქონების ნახევარი მე დამიტოვა, მეორე ნახევარი კი – ინგლისის ერთ-ერთ საქველმოქმედო საზოგადოებას. ეს მართლაც რომ ღვთისაგან ბოძებული წყალობასა-

ვით იყო-ალბათ, ჩემი წვალების თუ ტანჯვის საზღაური! ამ სასწაულს ზღაპრადაც ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ ხანდახან, ათასში ერთხელ ცხოვრებაშიც ხდება თურმე ზღაპრული სასწაულები. როგორც ჩანს, ზღაპარიც არ იქმნება მთლად უნიადაგოდ, რაღაც საფანელი მასაც გააჩნია უთუოდ...

ნაჩუქარი და ჩემი დაგროვებული ერთმანეთს რომ მივუმატე – კაი გვარიანი თანხა გამოვიდა. ამ სახსრით უკვე შეიძლებოდა პირნათლად წარვდგომოდი ჩემს იდეალს.

მეტი დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ ერთ მშვენიერ დილას უცებ „აღმოვაჩინე“, რომ 38 წლის გავმხდარიყავი. ამდენ დავიდარაბასა, წოწიალსა და ფართიფურთში დრო თვალსა და ხელს შუა გამპარვოდა. უკან დარჩენილიყო ახალგაზრდობა და, მაშასადამე, ჭაბუკური აღტყინების საუკეთესო ხანა. თავისთავადაც, უამვითარებოდაც ეს მოვლენა – სიბერის მოახლოების ჟამის შეგრძნება, ვერაფერიშვილი სასიამოვნო ამბავი გახლავთ ყოველი ადამიანისათვის, ხოლო ახლა, ჩემთვის, მით უფრო საგანგაშო ვითარება შექმნილიყო.

ჩემთვის ახლა საშური იყო ყოველი წუთიც კი. ამიტომაც, დაუყოვნებლივ გამოვწიე საქართველოსკენ – აღარ მეცალა სავიშვიშოდ, თავში ხელის საცემად თუ გლოვა-ვაებისთვის. ნანატრი, ნაოცნებარი განძით ვბრუნდებოდი სამშობლოში...

იუმ შეისვენა. კარგა ხანი იყო თავჩაქინდრული და ხმას არ იღებდა. თხრობის გასაგრძელებლად თუ იკრებდა ძალ-ღონეს. რემაც გაუნძრევლად იჯდა და მზერად და სმენად ქცეულიყო.

– თითო დავლიოთ კიდევ!

– შენი დაბრუნებისა იყოს, იუ! – მსწრაფლ აუბა მხარი სტუმარმა.

– ჩემი დაბრუნების? კაი ექვსი წელია უკვე აქა ვარ და ეჰ, ნეტამც არ დავბრუნებულიყავი საერთოდ. – ბაგე-პირი დაუგრიხა მწარე ღიმილმა, ერთბაშად გადაჰკრა ღვინო და ისევ გაჩუმდა ფიქრებმოძალებული. მერმე თავი გაიქნია, თითქოს უამურ აზრს იშორებსო და: – ჰო, სჯობია განვაგრძო, თორემ... ვინ იცის, ამაღამ ეგებ ვერც დავამთავრო... ჰო, გემით რომ დავცურავდი სხვადასხვა ქვეყნებში, ზოგჯერ უცნაური ხილვები მქონდა ხოლმე!

ხანდახან ღამღამობით მეწვეოდა ჩუმად ჩემი ოდინდელი სტუმარი – მწუხარე სახის რაინდი და... გავაბამდით საუბარს იქითურზე, აქეთურზე. ის თავის იბერიას მისურათხატებდა – მე – ჩემსას... მერე შევსხდებოდით ორივენი ჩვენს ბედაურებზე და თავაწყვეტილნი დავქროდით ხოლმე ფანტაზიის საუფლოში და ტოლს არ ვუდებდით ერთმანეთს წარმოსახვათა ფერადოვნებასა და ზეაღმატებულობაში. ჟამით ჟამამდე

ჩამოვუქროლებდი ხოლმე ჩვენს შორეულ სანახებს. იმ ადგილებს, სადაც ოდესმე დავვანებულვართ, სადაც ოდესმე შეუღწევია ჩვენი გონების მზერას.

სხვათა შორის, პირველად ზღვის გაშლილ სივცეში რომ გავიდა ჩვენი გემი, უცაბედად ვიგრძენი, რომ რაღაც სხვანაირად ამიჩქამდა სისხლი ძარღვებში, აშკარად შევატყვე ჩემს თავს, რომ თითქოს ავტროვდი, (დააკვირდი: ტროა?.. ატროებული?.. მიგანიშნებს რამეს?), ადგილს ვეღარ ვპოულობდი. მერე გავაცნობიერე – კაი ხნის მერე, რომ ეს ჩემ წინაპართა – თავგადაკლულ ზღვაოსან ლაზთა სისხლის ყივილი იყო უთუოდ, იმ ლაზთა, ვიკინგებზე ბევრად ადრე რომ მეკობრეობდნენ ზღვებისა და ოკეანეების სივრცეებში და რომლებმაც ჯერ კიდევ როდის უწიეს თურმე ამერიკის კონტინენტს, როგორც ფიქრობს ხოლმე ახლა ზოგი კარტოგრაფი და გეოგრაფოსი.

ხანდახან მართლა მგონია კიდეც, რომ რეინკარნაციაგამოვლილი სული ვარ-მეთქი და რატომღაც უფრო ხმელთაშუა ზღვის აუზს დასტრიალებდა ჩემი ფიქრი და გონება. ეგების ამიტომაცაა განსაკუთრებით, გამორჩეულად რომ მიყვარს და მიზიდავს იტალია – ძველი ეტრურია – კირკეს შვილის რომანოსის თუ ტროელი პელაზგის – ენეოსის სამკვიდრო! ჩემი განაყარი ბიძაშვილები მგონია სიცილიელები, სარდინიელები, ტოსკანელები და მართლაც რომ გასაშტერებელი მსგავსებაა ჩვენსა და მათ შორის, და აგრეთვე... გასკონელები. ო, გასკონია-ბასკეთი...

შენ უნდა თავად ნახო, რა მსგავსებაა ჩვენსა და მათი დაბა-სოფლების, მდინარეების თუ მთების სახელწოდებებს შორის!.. სავსე მაქვს რვეულები ჩანაწერებით, შენიშვნებით... ბევრი მიფიქრია ამაზე: გასკონია-ბასკეთის, პირინეების იბერიისა და კავკასიის იბერიას და საერთოდ, ევროპის სამხრეთის, აფრიკის ჩრდილოეთის სანაპიროებსა და ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს მკვიდრთა წარმომავლობის შესახებ... მითოლოგია, ლეგენდები, თვით არგონავტიკა ხომ ფრიად საგულისხმო ცნობებს შეიცავს, რომელთაც გაშიფვრა სჭირდებათ და რომელთა საიდუმლოებებზე ახლა თავს იმტვრევენ ევროპელი მეცნიერები... ძველი კოლხეთი... იბერია, არიან-ქართლი, ქალდია-ქალდეველები, თუბალ-იბერები, სასპერები-მოსოხები, კოლხები, კირკე და კირკეს შვილი რომანოსი – რომის დამაარსებელი, ეტრურია და ეტრუსკები (სკუა, სკუ, სკი, სკირი, სქირი – რა კავშირია მათ შორის? სკი თუ დაბადებას ნიშნავს და სკუ – საბადებულს – ფსკერი, აფსკი, ფსკა რა მიმართებაშია მათთან?), ეტრუსკების მეფეს – ვაკუნა ერქვა (მოკონა, ვაკონა – მინდა-არმინდა – აკი ახლაც ჰქვიათ მამაკაცებს სამეგროლოში?). პასიფაეა – ყოვლის, ყველაფრის

მანათობელი – აიეტის და კირკეს და – მინოსის მეუღლე... არგოლიდა და არგოსელები – პელოპონესის პელაზგები და მ-არგ-ალ-ები...

კრეტის მიწაზე პირველად რომ დავადგი ფეხი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს ოდინდელ სამშობლოში მოვედი-მეთქი და აი, ამდენი ხნის განშორების შემდეგ შემომეგებება პასიფაეა ალერსიანი ღიმილით და ვითარცა სასურველ და მონატრებულ დისწულს-სტუმართმოყვრულად შემიპატიჟებს თავის ბრწყინვალე, ლაბირინთიან, ლეგენდარულ სასახლეში. გარს შემომეხვევიან მხიარულ ფერხულში ჩემი ძველი დობილები – კუნძულ სქერიას ასულები (სამეგრელოს სქურის და სქერის ასულთა დარად!) ანდა სკიროსის ქალწულები და კრეტის უმაღლესი მთის მწვერვალ მოდიდ-ან წამიძღვებიან თემის-კირამდე – ამორძალთა სამყოფელისკენ.

ამორძალები ხომ – ეს ზღაპრული სილამაზისა და სიმამაცის ასულები ხშირად, ძალზე ხშირად მესიზმრებოდნენ ხოლმე გემზე ყოფნის დროს. ქარში გაშლილი ოქროსფერი თმების ფრიალით, ურაცხენებზე ამხედრებულნი, თავაწყვეტით რომ მიჰქროდნენ ფართო ველ-მინდვრებზე... თუ ოკეანეებისა და ზღვების უსაზღვრო სივრცეებში. ჩემდა უნებურად ვეძებდი ხოლმე ხან ამორძალთა ნაკვალევს, ხანაც ატლანტიდის თუ აიაიას კუნძულს – მზის ასულის – კირკეს საბრძანისს.

ეჰეი, პენთესილეავ – ამორძალთა პირმშვენიერო დედოფალო და ფეაკელნო ასულნო – ტროელთა თანამოძმენო და თანამდგომნო! ეჰეი, იავარქმნილო და ამოწყვეტილო ტროავ – ესოდენ ვერაგულად, ცბიერად მოღორებულო და ძლეულო ილიონელებო – ძმანო და თვისტომნო – ჩემი ბავშვობისდროინდელო სევდავ და გულისტკენავ, გაუცნობიერებელო წუხილო და დარდო, და... ფარულო ცრემლო! რატომ მეწევა ასე თქვენსკენ ჩემი გული და ღამეულ ზმანებებში რად მიხმობთ გამუდმებით?

ილიონო და... ერისიონო, შატილიონო და მხედრიონო, სიონო და კავკასიონო, აპოლონ კავკასო და დევყალიონო, ასტერიონო – კრიტოსის მეფევ და ევროპის ქმარო, დიდონავ და დეა-დიავ! ჰერა პელასგიავ და კურეტის კუნძულზე ნაშობო ხარის ღვთაება ზევსო – ქურუმ კურეტების მიერ გაზრდილო (კურატი? კურო?) პელასგიკოსო! ფელეშთუმელნო – ზღვის შვილნო და ქორედ-ის მთავ, ო-კიანევ და ო – კიროევ – ასულო ზღვათა ღვთაებისა, ტიტანთა მოდგმის ღვთაება პრომეთევ – ძლეულო ახალი მოდგმის ღმერთების მიერ და ამირანო ჩვენო – რად მიხმობთ-მეთქი, რას მესაიდუმლოებით? სულის რომელ ქარაგმის ამოხსნას ცდილობთ? რომელი იეროგლიფის? რომელი პირამიდისკენ მახედებთ – ეგვიპტის თუ... თუშეთის? რათ მირხევს სულის იდუმალ სიმებს თქვენი სახელების მაგიური ჟღერა? რას მაგონებთ მზის წულნო და მოდგმავ

ბარბალ ღვთაებისა? ლეგენდარულო ნეფერ-ტიტი და ბჟალარას ნატეხნო, კოსმიურნო თესლნო თუ ცთომილთა გარდასულო ბინადარნო, გენუკვით: ამიხილეთ დაბინდული მზერა, ათასწლეულების ტევრში ჩაკარგული გეზ-ნიშანი გამისხივოსნეთ კვლავ!

ვინა ვართ ჩვენ, ბოლოს და ბოლოს? საიდან მოვედით?

საით წავალთ? სადაა ჩვენი ძირი და ფესვი? აქ – კავკასიონზე თუ იქ, ჰიმალაის კავკასიაში? რადა მაქვს ისეთი შეგრძნება დროდადრო, რომ უსასრულო, უბოლოო სივრცეებშია თითქოს განფენილი სული ჩემი და საცხოვრისი ჩემი?

გაიხსნება კი ოდესმე საიდუმლო ქარაგმები და იეროგლიფები გარდასულ საუკუნეთა? გაიხსნება კი ოდესმე „ამა ენასა შინა დამარხული საიდუმლოებანი ქვეყნიერებისანი“ – სამყაროის მარადისობით დაღდასმულნი?

თუ უფლის ნება იქნება, თუკი დადგება ჟამი საამისო, ალბათ, გაირკვევა, აეხდება ბეჭედი ცხრაკლიტულში, ცხრა მუხის ძირას, ცხრაწყაროსთან დაფლულ კოსმოგენიურ ასო-ნიშნებს. მანამდე კი...

თუმცა... აქვს კია მნიშვნელობა აპოკალიფსის მოლოდინში – ვინ-ვინ იყო, ვინ ვინაა და სადაური? ვინ ვისი დვრიტაა და ვინ დაუდო სათავე საზრისს ადამიანისას? ვინ როდის განვლო განკაცების საფეხურები? სად შეჩერდა-უფრო სწორად – სად შეაჩერეს? რისთვის, რა მიზნით?

შორეული მომავლის საქმეა ალბათ რკვევა-დადგენა ყოველივე ამისა და მაინც... ცნობისწადილის ჭია მიღრღნიდა ტვინს და სულს მიფორიაქებდა გარდასულ ჟამთა ჩვენებანი...

***

...ბათუმის ნავსადგურში, მიწას რომ ფეხი დავადგი-ვიტირე! დიახ, ვიტირე! ცრემლები ღვარად გადმომსკდა თვალთაგან. თავისით მოედინებოდნენ ისინი, ჩემდა დაუკითხავად და სიმართლე რომ ვთქვა, არც მიცდია თავის შეკავება და წარმოიდგინე, სრულებითაც არ მრცხვენოდა ამ ცრემლების. ვტიროდი. მორჩა და გათავდა. აქ მე ყველასთვის უცხო და უცნობი ვიყავი. სხვა დროს არც არასდროს ვყოფილვარ ბათუმში, მაგრამ აქ მაინც ყველაფერი ახლობელი და ძვირფასი იყო ჩემთვის: ეს ცა, ეს ჰაერი, ეს მიწა, ეს ხე, ბუჩქი, სახლი, ქუჩა, ადამიანები, ყოველი გამვლელი: ის შუბლისქვემოდან მომზირალი აჭარელიც – თავისებური კილოკავით მოლაპარაკე, ვისთვისაც რელიგიურ ფანატიზმს ლამის უცხო და შორებელი გაეხადა ყოველი გურჯი. მზად ვიყავი, ყოველ მათგანს მივვარდნოდი, დამეკოცნა, ყოველ მათგანის მკერდზე დამეღვარა მდუღარე ცრემლი, რადგან მან თუ არა, მე ხომ ვუწყოდი, ლაზების არ იყოს

– სისხლისმიერი ძმა რომ იყო ჩემი და იმ ავბედითი უნდობლობისა და იჭ-ვიანობის ყინულს დროთა ვითარებაში გაალხობდა მოყვასის სითბო და სიყვარული...

ჩემს წარმოსახვაში იმ მომავალი, ერთიანი საქართველოს საუკეთესო ნაწილად წარმომედგინა ეს კუთხე, გაღმა-გამოღმა მხარითურთ, აწ და-კარგულ ლაზებიანად: ტრაპიზონსა თუ სტამბოლში ხან რომ ბერძნობენ თუ ფრანგობენ, და ხანაც თურქის ჩალმა ახურავთ თავზე – კაპადოკიელ ჭან-მესხების თუ... ჰერეთელების დარად. – დრო-ჟამის ანუ მძლავრობის მოწოლისდა კვალობაზე! იმთავითვე ჩვენი შავბნელი, სისხლიანი ისტო-რიის ჩარხი ხომ ამ მძლავრობაზედ ტრიალებდა ჩვენდა საუბედუროდ: მისით განიზომებოდა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი!

... იმავ საღამოს ჩავჯექი მატარებელში და ტფილისში გამოვემგზავრე. შეგნებულად, ჯიუტად არ ვიხედებოდი სამეგრელოსკენ, მშობლიური სოფლისკენ, სადაც მოხუცებული დედ-მამა მეგულებოდა, რომელთაც მთელი ამ ხნის განმავლობაში წერილებით თუ ვეხმიანებოდი. გული შეგ-ნებულად გავიქვავე. თავს იმით ვინუგეშებდი, ჯანმრთელად რომ იყვნენ, ცოცხლობდნენ და იობის მოთმინებით ელოდებოდნენ თავიანთ „უძღებ“ და გზააბნეულ შვილს, რომელიც რა დღეს, რა ხვალ ცხოვრებისაგან ნაცემ-ნაგვემი, მაგრამ უვნებელი და... მონანიებული – დაუბრუნდე-ბოდა მშობლიურ ბუდეს, მოსიყვარულე, ლოდინით გულგადალეულ მშობლებს. ასე სწამდათ და სჯეროდათ მათ. მეც მწამდა და მჯეროდა, რომ უვნებელი დავუბრუნდებოდი ჩემს კერას. და აი, მართლა, მე დავბ-რუნდი, მაგრამ... ჩემი გზა მიემართება არა მშობლიური ინჩხურიასკენ, არამედ – ტფილისში.

მატარებელში მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

ტფილისის გარდა სხვაგან არ გამსხლტომია ფიქრი. თითქოს გასა-ოცარია ეს, მაგრამ ვახერხებდი, დამემუხრუჭებინა აზროვნება – არც იქით, არც აქეთ არ გამეხედა გონების თვალით: მარტო ერთი აზრი მი-ტრიალებდა თავში-საქმე მისაკურნს იყო მისული, ახლოს, ძალიან ახ-ლოს ვიყავ მიზანთან და, მაშასადამე, მმართებდა მთელი ჩემი შინაგანი ძალების მობილიზება. ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ინტელექტს, გონს შეუძლია მართოს ადამიანის ნებისყოფა, იყოს გამგებელი მისი სურვილების.

...გაუნძრევლად ვიწექი ნარზე და უკვე მერამდენედ, სხვადასხვა ნი-უანსებით და დეტალებით წარმოვიდგენდი ილიასთან შეხვედრის სუ-რათს.

მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჩემს ქვეყანას ვიყავი მოშორებული, ერთხელაც რაა, ერთხელ არ გაჩუჩუნებულა თავში აზრი, რომ შესაძლე-

ბელი იყო ილია ცოცხალი არ დამხვედროდა, ანდა მე მომსვლოდა რაიმე უბედურება და ილიას უნახავად სული დამელია სადმე უცხოეთში. არა. ერთი წამითაც არ ვუშვებდი ასეთ აზრს. ეს საარაკო თვითრწმენა თუ თვითდაჯერება, შესაძლოა, მანიაკალურიც ჩანდეს სხვის თვალში, მა-გრამ... ჩემი აზრით, აქ სხვა რამეა უფრო საგულვებელი ...მაგრამ ამაზე ახლა არ შევჩერდები!..

ასე იყო, თუ ისე, მთვარეულივით მივიწევდი საბოლოო მიზნისკენ – მართალია, დედა რა ვნახეო არა, მაგრამ მაინც: საკმაო ოდენობის განძ-ით, რათა პირშეურცხვენლად წარვდგომოდი ერის სულიერ მამას, მის უგვირგვინო მეფეს.

კითხვა-კითხვით, როგორც იქნა, მივაწიე „ივერიის“ რედაქციას. კაი ორი წელი ხდებოდა, რაც გარემოებათა გამო, თითქმის მოწყვეტილი აღმოვჩნდი აქაურ ამბებს. უკანასკნელად ჩვენებური ნიკო ბაგრატიონი ვნახე ალექსანდრიაში, ბურებთან მიმავალი. მას შემდეგ არავის შევხ-ვედრივარ საქართველოდან. მხოლოდ ინგლისის პრესის საშუალე-ბით ხანდახან მეძლეოდა საშუალება გავცნობოდი ოფიციალურ ინ-ფორმაციას დიდი იმპერიის ერთ-ერთ განაპირა „ოკრაინაზე“ და შიგ მცხოვრებ „ტუზემცებზე“, რომელნიც დანარჩენი კაცობრიობის თვალ-ში სამხრეთელი რუსები გახლდნენ, ხოლო თავად რუსების განმარტებით – კავკასია ხომ სამხრეთის ციმბირი იყო. თუმც კი შინიდან ვღებულობ-დი ბარათებს და ცხადია, არც მე მქონდა ჩემიანებთან და ჩემს ახლო-ბლებთან გაწყვეტილი მიწერ-მოწერა, მაგრამ ბოლო ხანებში ეს კავშირი დაირღვა მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა და ამიტომაც იყო, ალბათ, უცაბედად რაღაცნაირი სიფრთხილის თუ შიშის გრძნობა დამეუფლა. „ივერიის“ მეორე სართულის კიბეს რომ ავუყევი, თანდათან უფრო და უფრო მიძლიერდებოდა ეს გრძნობა.

აქამომდე თითქოს მშვიდად და წყნარად გამოვიყურებოდი გარეგ-ნულად, მაგრამ ახლა, როცა ასე დავუახლოვდი იმას, რაც ამომემიზნა ცხოვრებაში და რაც ჩემი არსებობის უმთავრეს საზრუნავს წარმოად-გენდა – შეკრთომა თუ შიში შევატყვე-მეთქი ჩემს თავს და... ვიგრძენი, ფეხები უკან მრჩებოდა, აზრები დამფანტვოდა.

„რაო? რა განძი მოგაქვს ვითომ ამისთანა? – აქირქილდა ანაზდად იქ, შიგნით ჩემს სულში ვიღაც უცხო, კირკიტა და მავნე არსება. ანუ ჩემი ორეული – ეგეც არ იყოს, თუ გიფიქრია იმაზე, როგორ შეხედავს თავად ილია შენს საქციელს? ხომ შეიძლება იფიქროს, რომ ვიღაც დამთხვეულ, შერეკილ კაცთან ანდა... სულაც ყაჩაღთან აქვს აქმე? ან კიდევ უარესი – მანიაკთან? ეგება სჯობია, სანამ გვიან არაა, გაბრუნდე უკან? თუ მაინც-დამაინც არ დაიშლიდი, ეგებ აჯობებდა გამოგეგზავნა ეს შენი განძია თუ

რაღაც ოხრობა ისე, რომ შენ თვითონ არც გამოჩენილიყავი? აკი მარცხენამ არ უნდა იცოდესო რასა იქმს მარჯვენა!.. მაგრამ, არა. შენ სულმა წაგძლია, ანდა მთლად უარესი: შენ გინდა თავი მოიწონო ილიას წინაშე, აქაოდა, შემომხედეთ, როგორი თავგამოდებული კაცი ვარო საქმისათვის, როგორი უანგარო, გულწრფელი და სულგრძელი გახლავართ, როგორი გულუხვი და უშურველი: სასტუმროშიც კი აღარ გაჩერდი, თავი რომ მოგეწესრიგებინა – სადგურიდან პირდაპირ აქეთკენ გამოქანდი. საცა ამდენი წელი ითმინე, ახლა რა გეტაკა, რა სულსწრაფობა გჭირს იმისთანა, წამითაც რომ არ გინდა გახედ-გამოხედვა, აზრის მოკრება-დალაგება, გულდინჯად საქმის მოაზრება!.

სახელის მაძიებლობა და პატივმოყვარეობა თითქმის დედის მუცლიდან რომ გვაქვს თანდაყოლილი-მეთქი, წეღანაც აღვნიშნე. რასაკვირველია, სახელისათვის ზრუნვა თავისთავად ურიგო საქმე არ უნდა იყოს. იგი, პირიქით, ამქვეყნიურ არსებობას ერთგვარ მიზანსაც ანიჭებს, თუკი ეს ზრუნვა და მაძიებლობა არ გადაიზრდება ერთიმეორის მიმართ გაუტანლობაში, დაუნდობლობაში, შურში, შუღლში და ასე შემდეგ, რითაც ესოდენ „მდიდარია“ ჩვენი ისტორია: სხვათა შორის – არანაკლებ სხვებისაც! მოკლედ, ჩემ თავს შევატყვე, წინანდელი რიხი და თავდაჯერებულობა საპნის ბუშტივით გამსკდარიყო. სანაცვლოდ, საოცარი უმწეობის გრძნობა დამეუფლა.

...ერთბაშად ზვავივით მოვარდნილი უამური, მღვრიე ფიქრებისგან გულდამძიმებული, ინერციით განვაგრძობდი გზას, უფრო სწორად, მივითრევდი ტანს, ფეხებს აჯა-ბაჯა ვდგამდი, თითქოს 38 წლის ათასჭირვარამგამოვლილი კაცი კი არა, არამედ ისევ ისე გამნაზია ახალდამთავრებული ყმაწვილი ვიყავი, სატრფოსთან პირველი პაემნის მოლოდინში ფერფური რომ მისდის და გული უკანკალებს.

...რედაქციის კარი უკვე შინაგანი ბრძოლით გასაცოდავებული, საწყალი კაცის იერით შევაღე. ჩემს თავში ამდენი მოულოდნელი სიგლახეების აღმოჩენით დათრგუნული, ძლივსძლივობით ვითქვამდი სულს. აღელვებამ ისე დამრია ხელი, რომ აღარც მახსოვს როგორ ვიკითხე ენის ბორძიკით, ბატონი ილია თუ ბრძანდება-მეთქი რედაქციაში.

წარმოდგენილი მაქვს ახლა, რა შთაბეჭდილებას მოვახდენდი დამხვდურებზე. ჯერ ერთი, ილია, კაი ხანია, უკვე აღარ იყო „ივერიის“ რედაქტორი და მეორეც...

თანდათან მომივიდა სინათლე თვალში, თანდათანობით აღვიქვი, რომ ოთახში ორი კაცი იმყოფებოდა. ერთი, ასე დაახლოებით ჩემი ხნის მამაკაცი, შუბლშეკრული მიმზერდა. რატომღაც თვალში მომხვდა მისი ბანჯგვლიანი, დიდი ხელები, საქაღალდეზე რომ ეწყო. მეორე კი – ბებერი ჩანდა, ჩია ტანის, სათვალიანი, თმაჭაღარა; სუფთად გაპარსული პირი და წვრილი, შავი თვალები ჰქონდა.

მახსოვს, სწრაფად გადახედეს ერთმანეთს. შუბლშეკრულმა კვლავ რატომღაც მტრული მზერით შემათვალიერა, მერმე მზერა გადაიტანა დიდ, შავ პორტფელზე, ხელში რომ მეჭირა და ვინ ბრძანდებით, სადაურიო, გამოსცრა კბილებში და გამგმირავი მზერა ახლა სახეზე მომასო.

უარესად დავიბენი. ამხელა კაცი დამნაშავე პატარა ბავშვივით ვახამხამებდი თვალებს. პირგამშრალი, ენით ვისველებდი ტუჩებს.

– მე?... უკაცრავად... მე მეკითხებით? – ძლივს ამოვილუღლუღე საქციელწამხდარმა.

– დიახ. თქვენ! აბა, აქ სხვა ვინაა, რომ ვკითხო? – მკვახედ მომახალა და გესლიანად, ნიშნისგებით ჩაიღიმილ-ჩაიხვიხვინა.

– მე... – შევეცადე თავი მომეყარა დაბნეული აზრებისათვის, გაწყვეტილი მძივის მარცვლებივით რომ გამბნეოდა: „რა დავუშავე ამ კაცს?“

– იცით, მე... უცხოეთიდან ჩამოველ ამ დილით. უფრო სწორად, ბათუმიდან... და... ბატონ ილიას ნახვა მინდოდა...

– ა, ა... გასაგებია!... – თქვა ბერიკაცმა და სათვალე ცხვირზე ჩამოიწია, დაკვირვებით ამხედ-დამხედა.

„რა არის გასაგები?... და საერთოდ... რა ხდება? რამ დაგაბნია იულონ ფაღავა?“ – შევუძახე საკუთარ თავს უკვე ცოტათი გონსმოგებულმა.

– მაშ, თქვენ არაფერი იცით, არა? – ისევ ისე მკითხა სათვალიანმა კაცმა, რომლის ხმასა თუ სახის გამომეტყველებაში უფრო მეტი გულისხმიერების თუ თანაგრძნობის ნიშანი დავიჭირე, ვიდრე იმ შუბლშეკრულ ვაჟბატონში, რატომღაც თავის თავს რომ მამადლიდა.

– რა... რა უნდა ვიცოდე? – ავმა წინათგრძნობამ გული გადამიქანა და... ერთბაშად სავსებით გამოვფხიზლდი, შინაგანად გავფაციცდი ცუდის მოლოდინში.

– ილია ცოცხალი აღარ არის, შვილო, აგერ მესამე თვეა უკვე! –

თუმცა მყისვე მივხვდი ამ სიტყვების საშინელ მნიშვნელობას, მაგრამ როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე მაშინ, როდესაც არ გინდა დაიჯერო, უაზროდ, ექოსავით გავიმეორე:

– როგორ თუ... ცოცხალი არ არის?..

– დიახ. არ გახლავთ ცოცხალი! ილია მოკლეს! – ახლა იმ შუბლდაბღვერილმა მესროლა ტყვიასავით ეს სიტყვები.

– როგორ თუ... მოკლეს?! – ვიგრძენი, სახე დამიგრძელდა უსაშველოდ, თვალები შუბლზე ამიცვივდა. „რას ჩმახავს ეს უბედური?“ – გამირბინა თავში ელვისუსწრაფესად და უკვე შემართული, მძულვარე-

ბით სავსე თვალებით მივაჩერდი. მზად ვიყავი, ყელში ვწვდომოდი ამ არამზადას და მიმეხრჩო.

– რით ვერ გაიგეთ, ბატონო, ბოლოს და ბოლოს? ილია მოკლეს-მეთქი, გეუბნებით. სიცოცხლეს გა-მო-ასალ-მეს! – დამიმარცვლა ბოლო სიტყვა.

– სანდრო! – საყვედურნარევი ხმით შეუძახა სათვალიანმა შუბლშეკრულს და წამოდგა: – დაბრძანდით, ყმაწვილო! – მომმართა საჩქაროდ კარებში აყუდებულს. ჩემს დამხვდურებს აქამდე აზრად არ მოსვლიათ, სკამი შემოეთავაზებინათ ჩემთვის. მოხუცებულმა, მისი ასაკისთვის მოულოდნელი სიმარდით, შემოურბინა მაგიდას, სკამი გამომიწია და მეც უანგარიშოდ, უფიქრელად დავეშვი მასზე, უფრო სწორად, დავეგდე ძალღონეწართმეული. ჩემი დიდი, შავი ჩანთა იატაკზე აღმოჩნდა. მოხუცმა წყლით სავსე ჭიქა მომიცუხცუხა. მექანიკურად ჩამოვართვი, და ნერწყვგამშრალ პირთან მივიტანე, რომ რამდენიმე ყლუპი მომესვა. მახსოვს, ხელის კანკალის გამო ჭიქიდან წყალი გადმოიღვარა. კბილებს კაწკაწი გაუდიოდა. ვერა და ვერ მოვრეოდი მღელვარებას, მთელი ჩემი არსება რომ შეეპყრო.

– დაწყნარდი, შვილო, დამშვიდდი. მოსვი წყალი!.. ეჰ, რას ვიზამთ! ასეთი უბედურება დაგვატყდა თავს... ჩვენი სათაყვანებელი ილია აღარ გვყავს. დაობლდა ჩვენი ერი. მოგვიკლეს ჩვენი სახელოვანი შვილი, ჩვენი უგვირგვინო მეფე!..

მოკლესო? ილია მოკლესო?!

ეს იყო ცის დამხობა ჩემს თავზე! მეხის უეცარი გავარდნა.

მიწა გამომეცალა თითქოს ერთბაშად ფეხქვეშ და ჩემს ირგვლივ ყველაფერმა ტორტმანი დაიწყო.

„დაობლდა ერიო... ჩვენი სათაყვანებელი ილია... მოგვიკლესო!.. კი მაგრამ... ვინ მოკლა? ვის შეეძლო ილიას მოკვლა? თუ არა მტერს, საქართველოს დაუძინებელ, ვერაგ მტერს!“ კი, ილია შეიძლებოდა მომკვდარიყო, მომკვდარიყო თავისი ბუნებრივი სიკვდილით. ამ აზრს გაჭირვებით, მაგრამ შევეგუებოდი მაინც როგორმე. მაგრამ... მოკლესო?!

ილია მოკლესო?!

– ვინ... ვინ მოკლა ილია? – ისევ დამება ენა და გულმა ყელში დამიწყო ცემა.

– ისევ ჩვენ, ჩემო ბატონო, ისევ ჩვენივე ხელით: საუბედუროდ და სავალალოდ ჩვენდა!

„როგორ თუ... ჩვენ? რას ბჟუტურობს ეს ბერიკაცი?

ილიას მოკვლით ხომ საქართველოც მოიკლა, მოიკლა მისი სული... და როგორ? ქართველების ხელით მოხდა ეს არნახული, არსმენილი ბარ-

ბაროსობა?

შეუძლებელია! წარმოუდგენელია! ღმერთო დიდებულო!

ჭკუიდან არ გადამიყვანო, არ შემშალო და არ გადამრიო. გევედრები, გემუდარები, რამეთუ... არ ძალმიძს დავიჯერო, რომ, ჩვენ, ქართველებმა... ჩვენივე ხელით დავამხეთ ჩვენი დიდება!“

...იმ დღეს სამუდამოდ მოკვდა ჩემთვის ეს უბადრუკი ქვეყანა და მისი უბადრუკი ტომები. დიახ, ტომები, რადგან ერი – ერთობ ამაღლებულად ჟღერს ამ ნახირისათვის!..

...კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, შუბლშეკრულის სიტყვები გავიგონე, მოხუცს რომ მიაყეფა ჩემს გასაგონად:

– ის დღე დაიქცეს, როცა სურამის გვირაბი გაიხსნა!

დიახ, ასე, ზუსტად ასე ითქვა ეს ფრაზა. მაშინ, იმ წამს არა, მაგრამ შემდეგ მომაგონდა ჩვენი მემატიანის სიტყვები: „თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც ამათ სხვა მტერი წაართმევდა რასმეს... ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მოსისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათო“. ანუ: „კახელების აღმა ხნული, ქართველებმა დაღმა ფარცხესო“. – ჯერ დამცრობა ნახე ქართველის მცნებისა? აკი ამიტომაც იყო, ყველამ რომ წაგვკრა თითო ხიშტი!

... ქუთაისში სწავლის დროს არაერთხელ გადავწყდომივართ, შენც გეხსომება, ალბათ, მსგავს გამოხდომებს, მაგრამ მათ შედარებით ადვილად ვხსნიდით უმეცრებით, სიბრიყვით, საქართველოს და მისი ცალკეული კუთხეების ისტორიის არცოდნით, ან საიდან უნდა სცოდნოდათ, ვინ ასწავლა, სად უნდა ესწავლა! – ყველას ხომ არ ჰქონდა ოჯახში მამაჩემივით, საგვარეულო ბიბლიოთეკა! ხოლო ის გარემოება, ბელიავსკის ტიპის მასწავლებლები საგანგებოდ რომ გამოგვყოფდნენ: „მენგრელებს“, „იმერეტინებს“, „გურიიცებს“ ერთმანეთისაგან და შემდეგ: „კარტლო-კახეტინცებისაგან“ და ა.შ. – გასაგები გახლდათ! აბა, რა ძნელი მისახვედრი იყო, რა მიზანს ემსახურებოდა ეს დაყოფა! დევიზი: – დაჰყავი და იბატონე! – ახალი ხილი ხომ არ არის ბიზანტიის თავგადაკლული მემკვიდრისათვის, როგორადაც რაცხს თავის თავს რუსეთის იმპერია? მაგრამ... ქართველის პირისგან ნათქვამი...

...ჰმ! სურამის გვირაბიო! და ამას რუსეთის მოხელე კი არა, არა მდაბიო ვინმე, არამედ „განათლებული“, ე.წ. ინტელეგინტი ქართველი, „ივერიის“ მუშაკი ამბობდა!

მაშასადამე, მართლა დაგვკარგვია თურმე ერობის ძირითადი ნიშან-თვისება – ერთიანობის შეგრძნება, მაშასადამე, მართალი იყო ილია, როცა ჩიოდა, დავთითოებულვართ, დავრჩენილვართ ცალკეული

ტომების ხელოვნურ ნაერთად თუ მექანიკურ ჯამად, რომელთაც ერთმანეთის არაფერი ესმით, არაფერი გაეგებათ. სამარცხვინო კუთხურობა, ურთიერთმტრობა, კინკლაობა, მეშურნეობა და მეშუღლეობა ვერ მოგვიშლია. ამ მოძიძგილავე ტომებისთვის საქართველო და ქართველი, თვით ილიას თქმითვე, მხოლოდ ქართლელიღა დარჩენილა. „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისთვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათიო.“ მაშასადამე, ცამდე მართალი იყო ილია, როცა, უპირველეს ყოვლისა, ამ ერთობის აღდგენას მოითხოვდა, ერის არა მხოლოდ სხეულის – სულის გაერთმთლიანებას ისახავდა მიზნად; და შემდეგ: ჩვენ, ისეც დაქსაქსულთა, ერთმანეთთან გადამტერებულთა, რაღა წოდებრივის საგნების წამოსაყენებლად გვეცალოსო, რომ ამბობდა.

ილიას მკვლელნი, ყველაფერს გარდა, სწორედ ამ ერთობის მოძულენი და, მაშასადამე, საქართველოს უბოროტესი მტრები არიან. წიწამურში გასროლილი მუხთალი ტყვია გამიზნული იყო საქართველოს აზრის და გონების მოსაშთობად.

მკვლელს რომ შესძლებოდა, საქართველოსაც მოკლავდაო, აკი უბრძანებია თურმე აკაკის. შეძლეს და მოკლეს კიდეც, რადგან-სწორედ ილია განასახიერებდა საქართველოს უკვდავ თანამდევ სულს.

...მშობლიურ სოფელში ჩემი სახლ-კარი გადაბუგული დამიხვდა: „ერთობის, ძმობის, თანასწორობისა და თავისუფლების“ სახელით ცეცხლისთვის მიეცათ მამაპაპეულ ოდა-სახლი. ჩემს მოხუცებულ მშობლებს იმერეთში, ხონში, სიძე-ქალიშვილთან შეეფარებინათ თავი. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა გარდაცვლილა – ეტყობა, გადატანილმა ელდამ იმოქმედა მოხუცზე – გულმა უმტყუნა თურმე – (სხვათა შორის, ხანძარმა გაანადგურა ჩვენი საგვარეულო წიგნთსაცავი – საუკუნეების განმავლობაში ნაგროვები უძვირფასესი ხელნაწერები თუ ნაბეჭდი წიგნები). გასაცოდავებულ-გაუბედურებულ დედას ცოცხალს კი ჩავუსწარი, მაგრამ მალე, რამდენიმე თვეში ისიც მიიცვალა... ერთადერთი ნუგეში მისთვის ის გახლდათ, რომ ჩემს უნახავად არ მიაბარა სული უფალს.

...დიდი ხანი არ იყო გასული ჩემი ჩამოსვლიდან, რომ შემთხვევამ მოიტანა და პირისპირ შევხვდი იმ კაცს, ჩვენს სახლ-კარს რომ ცეცხლი წაუკიდა: თავისი გადარჩენილი რაზმით გრიშა გაგულია ტყეში იმალებოდა. მეც, ერთი მოკეთის მიერ დაგზაკვალიანებულმა, იმ ტყეში დავიწყე ხეტიალი, ეგება სადმე გადავეყარო გაგულიას რაზმს-მეთქი; მართლაც, მალე ამიხდა ნატვრა. ერთ მშვენიერ დღეს ტყეში მობოდიალეს,

თავს დამესხნენ გაგულიას რაზმელები, შემიპყრეს და ჯერ უდიერად გამჩხრიკეს, მაუზერი უბოდიშოდ ამომაცალეს, მერე თვალი ამიხვიეს და ჯიკავ-ჯიკავით მიმგავრეს თავიანთ ბელადს.

მწყემსების თუ მეტყევის მიერ მიტოვებულ ჯარგვალში გაგულიას გარდა კიდევ რამდენიმე, რომ იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებული ახალგაზრდა დამიხვდა. შედიოდნენ და გამოდიოდნენ საქმიანი იერით და აღგზნებული სახეებით. მათი მეთაური წარამარა რაღაც განკარგულებებს იძლეოდა უცნაურად გამყინავი, უსიამო ხმით. მისი მბრძანებლური იერი, მიხრა-მოხრა, თვითკმაყოფილი, თავის თავში დარწმუნებული კაცის მანერები შორიდანვე, ერთი თვალის შევლებითაც, თვალში საცემი იყო და გონებაში მკვიდრად ჩამებეჭდა (როგორც მერე გავიგე, გაგულიას რაზმს უკვე არ ედგომებოდა ჩვენში და მგონია, ჩრდილოეთ კავკასიაში თუ რუსეთში აპირებდნენ გადაბარგებას).

ამ კაცის ნახვა მინდოდა არა შურის საძიებლად, არამედ სხვა რამ გრძნობა მამოძრავებდა მის მიმართ, სხვა რამე მქონდა გუნებაში განზრახული, ამიტომაც არ დავერიდე თუნდაც ასეთი გზით მასთან მოხვედრას.

ალექსანდრიაში, ბურებთან მიმავალ ნიკო ბაგრატიონს რომ გადავეყარე-მეთქი შემთხვევით, მახსოვს, ვკითხე, ბურებთან რა გინდათ, ნიკო ბატონო, განა საქართველოში დაილია-მეთქი საქმე. იმათთან მივდივარ, ვინც ეროვნული თავისუფლებისთვის იბრძვისო – მომიჭრა ბაგრატიონმა. განა ჩვენში არ იბრძვიან-მეთქი თავისუფლებისთვის, რომ გავიოცე, როგორ არა, იბრძვიანო, მომიგო ნიკომ ორჭოფული ღიმილით, ვეშაპის ხახაში მოქცეულნი, იმის ნაცვლად, უწინარესად ამ ვეშაპისაგან დაიხსნან თავი, აუფრიალებიათ კლასობრივი ბრძოლის ალამი და ერთმანეთს დარევიან, ხოლო ასეთ უგუნურ ხალხთან არაფერი მესაქმებაო-მიპასუხა.

სხვადასხვა წყაროებით გარკვეული წარმოდგენა მქონდა ამ ე.წ. კლასობრივ ბრძოლებსა და მის ნიადაგზე დატრიალებულ მოვლენებზე, კერძოდ, სოციალ-დემოკრატებზე. სხვათა შორის, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დავიტერესდი მარქსიზმით და საკმაოდ საფუძვლიანად გადავიკითხე მარქსისტული ლიტერატურა. სტუდენტობის დროსვე გავიცანი ორი ჩვენებური ახალგაზრდა, ერთი ხალხოსანი გახლდათ, ჯაბადარის მიმდევარი, მეორე – მარქსისტი იყო. ამ თითქოსდა ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებული მოძღვრების მიმდევართ ერთი საერთო, დამახასიათებელი თვისება აღმოაჩნდათ: ეს იყო საშინელი მტრობა-სიძულვილი ყოველივე მშობლიურის, დედულ-მამულის და მათ მიერ თავადაზნაურულ-ფეოდალურად მონათლული ისტორიისა და კულტურის მიმართ.

ამასთან, საინტერესო ის გახლდათ, რომ ორივეს ერთობ ბუნდოვანი, ზერელე ცოდნა ჰქონდა საკუთარი ქვეყნის ისტორიაზე. ალბათ, სწორედ ამ უცოდინარობიდან და უვიცობიდან იყო გამომდინარე მათი ეგოდენ აგდებული, დამცინავი, ქილიკური დამოკიდებულებაც ჩვენი წარსულისადმი. უმეცრება ხომ ყოველთვის აგრესიულია, შემტევია! ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია სხვათა შორის, ეს ორი ახალგაზრდაც სანიმუშო მაგალითი იყო ამ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებისა.

ისინი მოსისხლე მტრებზე უფრო მოძულენი აღმოჩნდნენ ყოველივე მშობლიურის მიმართ, როგორც ჩამორჩენილისა და დრომოჭმულისადმი. საგულისხმო ისიც იყო, რომ ისინი რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობისა და განუყოფლობის მიმართ რუსებზე უფრო რუსები გამოდგნენ და ამას – იდეის მსახურებით და ერთგულებით ხსნიდნენ. დავა-კამათი შეუძლებელი ჩანდა ამ მართლმორწმუნე დოგმატიკოსებთან. განსაკუთრებით მარქსისტი იყო მედგარი და შეუვალი, რომელიც ჩლუნგის, ბრიყვის თვითდაჯერებით თუთიყუშივით იმეორებდა სხვადასხვა ბროშურებიდან ამოკრებილ „სიბრძნეებს“ და მარქსისტულ „აფორიზმებს“. იგი, ეს ვაი-თეორეტიკოსი, რუსულ თარგზე გამოჭრილი მოძღვრებით აპირებდა მთელ მსოფლიოში დაემკვიდრებიან საყოველთაო ძმობა, თანასწორობა და თავისუფლება — პროლეტარიატისა. ამ ვითომდა ინტერნაციონალურ იდეას უყოყმანოდ და უფიქრელად სწირავდა საკუთარ ქვეყანას და ერს, რომლის ისტორია ისე იცოდა, როგორც ჩინელმა – ისლანდიის. სამაგიეროდ, თავზესაყრელად ჰქონდა აზნაურული კუდაბზიკობა და საჭირო იყო თუ არა, ყოველთვის წინ სწევდა თავის „მეს“, თავის ძვირფას პერსონას და როგორც შევატყვე, ამ თავის უზომო პატივმოყვარეობას ანაცვალებდა, თუ საჭიროება მოითხოვდა, არამცთუ საქართველოს – მთელი ქვეყნიერების ინტერესებს, თუმცა... კაცობრიობის ბედნიერი, საამური მომავლისთვის თავშეწირულ მებრძოლად სახავდა თავის თავს.

ერთი სიტყვით, ჩემთვის საკმაოდ ცნობილი იყო ეს მოძღვრება და მის მიმდევართა შინაგანი სამყარო. ხოლო ილიას მკვლელობა უტყუარი საბუთი გამოდგა ჩემი ადრინდელი ვარაუდების სისწორისა და მაინც...

ვინ არიან ისინი? რამ წარმოშვა მშობლიურის მიმართ ასეთი მძულვარებით შეპყრობილი პირები? რა კვებავს და ასაზრდოებს ამგვარ ფენომენს? რა პოხიერი ნიადაგი ჰპოვეს მათ ჩვენში?

თითქოს ყველაფერი გასაგები იყო ჩემთვის და მაინც მსგავსი კითხვები ტვინს მიხვრეტდა. მოსვენებას მიკარგავდა. და გადავწყვიტე – უნდა შევხვედროდი უსიკვდილოდ მათ ერთ-ერთ ბელადთაგანს.

... და აი, ერთმანეთის პირისპირ აღმოვჩნდით კიდეც მე და რევოლუციონერ-მარქსისტი, გაგულია გრიგოლ დავითის ძე.

გაგულიამ წამიერად შემავლო თვალი შემოსასვლელთან შეჩერებულს, მერმე ისევ მიაბრუნა თავი და შეწყვეტილი ლაპარაკი განაგრძო თავისი მჭახე, მყივანი ხმით, თან აგდებულად, სხვათა შორის მომიგდო – ჩქარა თქვი, ვინა ხარ, რა საქმე გაქვს ჩემთანო.

სანამ ხმას ამოვიღებდი, უფრო დაკვირვებით, ხანგრძლივი მზერით შევათვალიერე იგი. თუმც ნახევრად ბნელოდა ქოხში, მაგრამ თვალი მალე შეეჩვია სიბნელეს და უკვე კარგად ვარჩევდი ყაჩაღის სახის ნაკვთებს, მის ამპარტავნულად შეკრულ შუბლს, ამრეზილ, მედიდურ გამომეტყველებას, მოღუშულ სახეზე წვრილ ტუჩებს. პატარაობის მერე არ მენახა და ისე რომ შემხვედროდა სადმე, ალბათ, ვერც ვიცნობდი. დიახ, მაღალი, ლამაზი ახალგაზრდა კაცი იყო, აი ისეთი, ქალები რომ სულს აბნევენ ხოლმე...

შეიძლება ეს უცნაურად ან მეტისმეტად თავდაჯერებული კაცის ნათქვამად ჟღერდეს, მაგრამ ამ პიროვნებას ვიცნობდი-მეთქი უკვე თავფეხიანად. ამგვარი მბზინავი თვალები ყველა ქვეყანაში შემხვედრია, სადაც კი ფეხი დამიდგამს. ეს თვალები არ შეგეშლება სხვაში. ამ თვალებმა უნასივით მიკბინეს გულზე მყისვე, შემოსვლის უმალ – კაცისმკვლელის და ჯალათის თვალებია ისინი – სიამოვნებით რომ იფშვნეტენ ხელებს ადამიანის სისხლის დანახვაზე და ამავე დროს, შეუძლიათ ფარისევლურად „მამაო ჩვენოც“ კი წარმოთქვან თავიანთ მსხვერპლთან, მათდა „სულის საცხოვნებლად“! არა, მთლად იოლი გამოსაცნობი როდი არიან ისინი – სხვათა შორის, წარამარა იცვლიან ხოლმე ელფერს და ხშირად მომხიბლავი ღიმილიც დასთამაშებთ ტუჩებზე. მაგრამ დაკვირვებული მზერის, ალესილი ალღოს და გამოცდილების მქონე კაცი შეუმცდარად გამოარჩევს მათ ათას სხვაში.

ამ კაცთან საუბარი მხოლოდ ერთგვარი ჟინის დაკმაყოფილება თუ იქნებოდა ახლა, თორემ სხვაფრივ უკვე უინტერესო გახლდათ მისი პერსონა. ოღონდ ეგაა: ცნობისმოყვარეობას იწვევდა მაინც ჩემში ის, თუ როგორ დაიჭერდა თავს ჩემთან.

რაკი ვდუმდი, მარტო ხომ არ გინდა ჩემთან ლაპარაკიო – დამეკითხა ცუდად დაფარული გაღიზიანებით და სახედამანჭულმა ბასრი, იჭვიანი მზერით ამათვალ-ჩამათვალიერა. ჩოხა-ახალუხი მეცვა, წვერ-ულვაშმოშვებული ვიყავი, ყაბალახი წარბებამდე მქონდა წაკრული. არა, შეუძლებელი იყო გაგულიას ვეცნე და მაინც მისმა მზერამ წამით გული შემიქანა რატომღაც.

ჩემთვის სულერთია-მეთქი, ვუპასუხე და ფეხი მოვინაცვლე.

– თუ მასეა, აბა, დროზე... დროზე თქვი სათქმელი!.. – დამიღრინა

მოუთმენელი ხმით და მაგიდაზე თითების კაკუნს მოჰყვა, თან კვლავ წამიერად გამზომა თავით ტერფამდე გამჭოლი მზერით.

მე იულონ ფაღავა გახლავართ-მეთქი, – განვაცხადე საკმაოდ მშვიდი ხმით. გაგულია ზეაიჭრა ანაზდად და მაუზერის ბუდისკენ მალულად წაიღო ხელი.

მშვიდად, გაუნძრევლად ვიდექი კედელსმიყუდებული და ყურადღებით მივჩერებოდი. გაგულია აიმღვრა. სახე დაეღმიჭა. თვალები აცაბაცად გაექცა. რისთვის გარჯილხართო, შეყოვნებით, ოდნავი ენის ბორძიკით ამოთქვა ბოლოს და წარბებს ქვემოდან კუშტი, თან დადარაჯებული მზერა მესროლა.

უნებლიე ირონიული ღიმილი ჩამოვირეცხე სახიდან: ზოგ-ზოგი რამეები მაქვს გასარკვევი შენთან და ამიტომ გეახელ ბანაკში-მეთქი – დავუმარცვლე რაც შეიძლებოდა უდრტვინველად, თითქოს ყველაფრის მიმართ განურჩეველი ხმით. გაგულიამ თვალით ანიშნა თავის ამხანაგებს, დაგვტოვეთო და იმათაც ის-ის იყო გასვლა დააპირეს, მაგრამ მე მტკიცე ხმით განვაცხადე – ეგენი ხელს არ შემიშლიან, პირიქით, მინდა დაესწრონ ჩვენს საუბარს-მეთქი.

გაგულიამაც კვლავ წამუყო თავისიანებს, დარჩითო. ვიღაცამ ჯორკო მომიჩოჩა მაგიდასთან ახლოს და დაბრძანდითო, ცალყბად შემომთავაზა გაგულიამ. ხაზგასმული ზრდილობით გადავუხადე მადლობა და დგომა მირჩევნია-მეთქი, მოვახსენე. როგორც გენებოთო, გაურკვევლად ჩაიბურტყუნა გუნებაწამხდარმა. თვალის ხშირ-ხშირ პარპალზე ვატყობდი, ჩემი დაკვირვებული, ყურადღებიანი მზერა, უშფოთველი იერი და გულარხეინობა საგონებელში აგდებდა, ანერვიულებდა, თუმცა ცდილობდა, თავი ისე დაეჭირა, ვითომ აქ არაფერიაო. რაკი მე დუმილს განვაგრძობდი, გაგულიამ წამოიწყო:

– ვინ გითხრათ... – შეასწორა, – საიდან გაიგეთ ჩემი ადგილ-სამყოფელი?

– ამას აქვს განა შენთვის რაიმე მნიშვნელობა? – მოვუნაცვლე კითხვა ისე, რომ მზერა არ მომიცილებია მისი მოქურუშებული სახისათვის. გაგულიამ პასუხი არ გამცა. მე შევიცადე და მერმე, არც ვაციე, არც ვაცხელე, პირდაპირ ვაჯახე:

– მართალია, რომ შენ და შენმა რაზმმა გადაწვა მამაჩემის – გიორგი ფაღავას დოხორე?

– მართალია! – დამიდასტურა ჯიქურადვე და თვალი თვალში გამიყარა უტიფრად, გამომწვევად. რატომღაც კვლავ უნასის შეგრძნება გამიჩინა ამ აღერილმა კისერმა და რაც მთავარია, ავად აელვარებულმა თვალებმა, თითქოს ეს-ესაა გეტაკება და თავის შხამიან ლაკარტს ჩაგასობსო.

– თუ შეიძლება გავიგო – რისთვის, რა დანაშაულისათვის დაისაჯა ასე სასტიკად გიორგი ფაღავას ოჯახი?

– ჰქონდა დანაშაული! – უცებ ხმადაბლა ჩაილაპარაკა გაგულიამ და თვალი ამარიდა ანაზდეულად: ჩემი მონოტონური ხმა, აუმღვრეველი კილო ჩანდა, რომ აბნევდა: – ჰქონდა დანაშაული! – გაიმეორა მერმე ისევ და ახლა სადღაც ჩემს თავს ზემოთ დაიწყო ყურება:

– კერძოდ რა, თუ შეიძლება გავიგო?

– თავადი გიორგი ფაღავა სასტიკად, უსამართლოდ ექცეოდა თავის ნაყმევებს. ასე მაგალითად, უსამართლოდ დაიჩაგრნენ გლეხები: ლაბარტყავა, ბერულავა, მონიავა... – წარბშეუხრელად, გაზეპირებული ლექსივით ჩამომირაკრაკა გაგულიამ.

– საბუთი?

საბუთი? არავითარი, ანდა დაახლოებით ისეთი, როგორიც ილია ჭავჭავაძეს „მოუძებნეს“, ხელწერა ერთი იყო: სასტიკი თავადი და საწყალი, დაჩაგრული გლეხები. სინამდვილეში გიორგი ფაღავას „დანაშაული“ ის იყო, რომ თავად-აზნაურთა წოდებას მიეკუთვნებოდა და კერძოდ, – მის ლიბერალურ ფრთას, რომელიც სოცფედერალისტებს თანაუგრძნობდნენ. ამასთან, გიორგი ფაღავა საკმაოდ გავლენიანი, განათლებული და თვალსაჩინო პიროვნება გახლდათ ჩვენს კუთხეში. ჰოდა, იგავარაკის არ იყოს, მიზეზად ესეც კმაროდა, რომ დასჯილიყო სხვებისთვის, ასე ვთქვათ, ჭკუის სასწავლებლად, მავანთა და მავანთა დასაშინებლად; ამ აქციით, აგრეთვე, ერთობის ანუ რევოლუციონერების ძლიერება უნდა დამტკიცებულიყო უბირი ხალხის თვალში, ე.ი. დაენახვებინათ, რომ არაფრის წინაშე არ დაიხევდნენ უკან, რამეთუ ასეთი გახლდათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ტფილისის კომიტეტის გადაწყვეტილება.

როგორ არ გაგახსენდებოდა ისევ ილია, რომელიც წერდა, რომ თავადაზნაურობამ, როგორც წოდებამ, როგორც ცალკე კრებულმა თავისი დრო მოჭამა, მაგრამ თავადს, აზნაურს, ვით ცალკე კაცს – ადამიანობა ხომ შერჩა და ვინ რას ემართლება, რომ დღეს კაცი ისე არ გაუვლის გვერდით თავადს თუ აზნაურს – წიხლი არ ჰკრას; ან მის ხსენებაზე დორბლები არ წამოჰყაროსო.

ოჰ, ილია, ილია! როგორ უშლიდი, როგორ ეღობებოდი გზაზე შენი დიდბუნოვნებით, შენი კაცთმოყვარეობით – ვითომ სამართლიანობისთვის მებრძოლ ამ ავაზაკებს!

– თქვენმა პარტიამ რომ დაგავალოს, საკუთარ დედას ყელი გამოჭერიო, თუკი იგი ჩვენი მოწინააღმდეგეა იდეოლოგიურად და ხელს გვიშლისო – რას იზამდი! როგორ მოიქცეოდი?

– ეს რა, დაკითხვაა? – ყბა მოექცა ბრაზისაგან გაგულიას, მოწკურულ თვალებში კი ის ნაცნობი, უნასისეული ბზინვა გამოუკრთა.

– არა, რატომ! უბრალოდ, როგორც დაზარალებულს და ამასთან, აწ განსვენებული გიორგი ფაღავას ვაჟს, მაინტერესებს – გიორგი ფაღავას ნათლულის – გრიგოლ გაგულიას საქციელის საფანელი.

გაგულიას, ეტყობა, გაუჭირდა ყელში მოწოლილი ბოღმის მორევა. გონების თვალით ვხედავდი, როგორ აკრაჭუნებდა უჩუმრად კბილებს თავში სისხლავარდნილი, მერმე უცებ წამოიჭრა და:

– ჩვენთვის, სოციალ-დემოკრატებისთვის, დედაც და მამაც ჩვენი პარტიაა. რასაც ის გვიბრძანებს, იმას, დიახაც რომ სიტყვის შეუბრუნებლად ვასრულებთ და შემდეგ: ჩვენ, რევოლუციონერებს არ გვწამს ღმერთი, ეკლესია და მღვდელი. არც ძველ ტრადიციებს – ნათელმირონობას, ძიძიშვილობას და სხვა ამგვარ რამეებს დაგიდევთ. ესენი სუყველაფერი დრომოჭმული, ფეოდალური წესწყობილების გადმონაშთია და უნდა მოისპოს და განადგურდეს მისი მატარებელი კლასივით! – სხაპასხუპით მომაყარა და მერმე თავმომწონე, ამაყი იერით გადახედა თავის ამხანაგებს. მთელი ჩვენი დიალოგის მანძილზე მე ერთდროულად მათზეც მეჭირა თვალი მალულად. უმეტესობა ახალწვერულვაშაშლილი, თითქმის ნინველი ბიჭები იყვნენ. ისინი უსიტყვო მორჩილებისა და თაყვანების გამომხატველი თვალებით შესცი ცინებდნენ სახეში თავიანთ მეთაურს, როგორც პარტიის ნების და სიმტკიცის გამომხატველს, მის ერთ-ერთ ურყევ, უდრეკ და ბრძენ წინამძღოლს.

– ეს უკვე გასაგებია ჩემთვის, რომ არავის და არაფერს არ სცემთ პატივს, – წამით ვიყუჩე და მერმე რაც შეიძლებოდა გულგრილი სახითა და ხმით განვაგრძე:

– მაგრამ ეგება ამიხსნა, რა მიზანს ისახავთ, რა გამოძრავებთ, როცა ასეთ შავბნელ საქმეებს სჩადიხართ?

– ჩვენ... ხალხის მომავალი ბედნიერი ცხოვრებისთვის ვიბრძვით, როცა არ იქნება მჩაგვრელი კლასები, მოისპობა მონობა, სიღარიბე, როცა ყველანი თანასწორნი იქნებიან, ყველა ერთმანეთის ძმა და მეგობარი გახდება ანუ დამყარდება სოციალიზმი! – ბეჯითი მოწაფესავით ჩამომირაკრაკა კვლავ გაგულიამ გაზუთხული ფრაზები. და ისევ ისე თავმომწონედ გადახედა თავისიანებს, მერმე მე მომაჩერდა ცუდად დაფარული ნიშნისგებითა და ქედმაღლური იერით, აქაოდა, ხომ ჩაგჭერიო, ხოლო „შავბნელს“ რაც შეეხება, წაუყრუა – ეტყობა, უმჯობესად მიიჩნია ამჟამად მგლის ყური გამოება და არ გამოკიდებოდა ამ სიტყვის კვალიფიკაციას.

– კაი დაგემართოთ, კაი ლოზუნგებია! – მოვუწონე მეც პროგრამა

და კვლავ დინჯად, აუმღვრეველი სიმშვიდით გავაგრძელე: – საწინააღმდეგოს ვერაფერს იტყვის ადამიანი, მაგრამ საინტერესოა ფრიად, რის ფასად მოხდება ყველაფერი ეს, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, რა დაუჯდება აწ ესოდენ დაბეჩავებულ ხალხს ეს მომავალი საამური, აქამდე არნახული და არგაგონილი ბედნიერი ცხოვრება?

– დიადი მიზანი უმსხვერპლოდ არ მიიღწევა – როცა ხეს ჭრიან, ნაფოტები ცვივა! – კვლავ პათეტიკურად განაცხადა თვალებგადმოქაჩულმა რევოლუციონერთა ბელადმა და უარესად გაიყინჩა.

– აჰა, მაშასადამე, მიზანი ამართლებს საშუალებას, როგორც მაკიაველმა ბრძანა, არა?

– მაკიაველი არ ვიცი მე ვინაა, – აგდებულად ამიქნია ხელი – მაგრამ ძველი, დამპალი წესწყობილების დასანგრევად და ახლის ასაშენებლად, არ უნდა მოერიდო არანაირ საშუალებებს, არანაირ მსხვერპლს, როგორი დიდიც არ უნდა იყოს იგი! – გაგულიამ წვრილ წელზე შემოჭერილი ქამარი გაისწორა, მკერდი წინ გამოსწია და ამასთან, უთუოდ გაიფიქრა: „ვიღაც-ვიღაცების აზრი – მარქსის გარდა, ჩვენთვის საინტერესო არ გახლავსო!“

– გასაგებია, ჩემო ბატონო. კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდებისო – ნათქვამია, მაგრამ... რამდენადაც ვიცი, მარქსმა განვითარებული ევროპის ქვეყნების მუშათა კლასისთვის შექმნა თავისი მოძღვრება და, შესაბამისად, შეიქმნა პარტიებიც, ხომ მართალია?

– მერე რა? ლენინს მიაჩნია...

– უკაცრავად, ლენინის აზრი ამჯერად არ მაინტერესებს. ჯერ მარქსს მივყვეთ. თუკი ის მართალია, რომ მარქსისტებისთვის სოციალიზმი უმაღლესი იდეალია და იგი მხოლოდ განვითარებულ, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიძლება აშენდეს, თანაც რამდენიმე ქვეყანაში ერთდროულად – მაშ, როგორ ესადაგება ეს მოძღვრება რუსეთს, თუნდაც – საქართველოს, სადაც შენი თქმითვე, ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობები არ მოშლილა, სადაც მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ტომობრივი დაქსაქსულობა და მტრობა სუფევს და სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, მარქსის თქმითვე, ჩამორჩენილი გლეხობაა? და მერე, რაც მთავარია, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი, ბათუმისა თუ ტფილისის ორი კინკილა, ისიც ძირითადად, არაქართველი მუშებისაგან შემდგარი ფილიალი – რა უფლების ძალით ლაპარაკობს მთელი ხალხის სახელით?

– ნურას უკაცრავად. ჩვენთვის, სოციალისტებისათვის, მნიშვნელობა არა აქვს რაოდენობას, არც ეროვნებას. ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ერთიანობისთვის ვიბრძვით!

– პირდაპირ პასუხს თავი აარიდა გაგულიამ და უფრო გაიბღინძა, რომ დაეფარა თავისი პოზიციის სისუსტე.

„აბდა-უბდა, გადასკუპდა!.. ერიჰაა. კარგადაა ამათი საქმე!“ – გამეცინა გუნებაში სარკასტულად.

– გამოდის, რომ მუშათა კლასის პარტიისთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, არსებობს თუ არა მუშათა კლასი, და არც მის რაოდენობას ექცევა თურმე ყურადღება – რაც არის, ისიც ბაჯაღლო ოქროაო, ფიქრობთ ალბათ და ამიტომაც თურმე უფლებას აძლევთ თქვენს თავს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას თავს მოახვიოთ თქვენი ძალაუფლება ანუ დიქტატურა. ფრიად საგულისხმო ამბავია!.. აი, შენს რაზმშიც ხომ არა მარტო გლეხის შვილებს – აზნაურებსა და სემინარიელებსაც ვხედავ. არც ერთი თქვენგანი არ არის მუშა და მაინც, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრებად ითვლებით... ამ პრინციპით კი ეთიოპიაშიც შეძლება დამყარდეს მუშათა კლასის დიქტატურა და აშენდეს სოციალიზმი, თუმცა ეთიოპიაში საერთოდ არაა მუშის ჭაჭანება!

– დიახაც. რატომაც არა? რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ბოლშევიკებისა შეუძლებელს შეძლებს.

– ძალითა და ხიშტით, არა? ანუ ძალად მაცხონეს პრინციპით?

– დიახაც. რევოლუცია იმის რევოლუციაა, რომ ძალით და ხიშტით დაამყაროს სამართლიანი წესწყობილება! – თავის პასუხით კმაყოფილმა, ამპარტავნულად ჩაიღიმილა, „ეგეც შენო!“ – მომიგო ნიშნი თვალებით და უფრო გაიჭიმა.

თუმცა თავიდანვე ვიცოდი, აბსურდი რომ იყო ამ ახალგაზრდა იეზუიტთან დავა-კამათი, და თუმცა შიგნით ყველაფერი მიდუღდა, საუბრის შეწყვეტა არამც და არამც არ მინდოდა მაინც. თითქოს რაღაც ეშმაკი შემიჩნდა ტანში და მიჩხიკინებდა, არ დათმოო. თითქოს რაიმე აზრი ჰქონდა ამ თვითკმაყოფილ, უმეცარ დემაგოგთან სიმართლის გარკვევას. თითქოს წყლის ნაყვა არ იყო ჭეშმარიტების დადგენა – ამათთან!

– კეთილი და პატიოსანი. რევოლუცია, ცხადია, თავისთავად უკვე ნიშნავს ძალადობას. მას შეუძლია უმრავლესობას ძალით თავს მოახვიოს უმცირესობის ნება, შეუძლია მოსპოს და დაანგრიოს როგორც ძველი წესწყობილება, ისე ერის კულტურული მონაპოვარიც! – წამოვიწყე მონოლოგი, რომელსაც ჩემთვის უფრო წარმოვთქვამდი, ვიდრე ამათთვის: – დავუშვათ ისიც, რომ ხიშტით და თოფ-ზარბაზნებით შეძლებს იგი დაამყაროს ახალი, ვითომცდა უკეთესი წესწყობილება, მაგრამ... რამდენადაც ვიცი, რევოლუციას არ ძალუძს ერთბაშად ადამიანის ბუნების, მისი ფსიქიკის შეცვლა, ამისთვის განვითარების გრძელი გზა – ანუ ევოლუციაა საჭირო. ეთიოპიაში კი სოციალიზმის ძალით თუ ნებაყოფლობით მშენებლობის მცდელობას მხოლოდ იდეის პროფანაცია ე.ი. მისი გაუფასურება შეიძლება მოჰყვეს, რადგან ეთიოპიის ანდა თუნდაც საქართველოს ხალხი არ არის მზად ამ ახალი იდეის აღსაქმელად, მის ცხოვრებაში გასატარებლად. მართალია, ახლა დაჩქარებულია ტემპები ცივილიზაციის და კერძოდ, დემოკრატიის განვითარებისა, მაგრამ არა იმდენად, რომ უცებ, ერთი ხელის დაკვრით შეიცვალოს ადამიანის ფსიქიკა. ძალით თავს მოხვეული კი უფრო დაამახინჯებს და დააბნელებს მის ცნობიერებას...

შემდეგ: ურელიგიო, ათეისტებად ქცეული ხალხი ხომ ნახირს დაემსგავსება? ხალხს ღმერთს ართმევ – რას აძლევ სანაცვლოდ? მუცლის ამოყორვის, მაძღრისად ცხოვრების ანუ მატერიალიზმის გაფეტიშება ხომ სრულ გაპირუტყვებამდე მიიყვანს ისედაც არასრულყოფილ ადამიანს?.. ანდა, როცა, ვთქვათ-გლეხი ლაბარტყავა დაეპატრონება ფაღავას თუ ჯაიანის ავლა-დიდებას, რა გარანტიაა, რომ წინანდელი ფაღავას ნაცვლად არ გამოიჩეკება მასზე ბევრად უფრო ხარბი, გაუძღომელი, სასტიკი ლაბარტყავა?..

ხოლო, რაც შეეხება წოდებებს და თანასწორობის იდეას, დემოკრატიას და ლიბერალიზმს, მოდის აგერ გამათანაბრებელი მე-20 საუკუნე, რომელიც, ალბათ, თავისთავად, უმტკივნეულოდ, უსისხლოდ, ისევ და ისევ ევოლუციის გზით – გადაჭრის კულტურულ ევროპაში ამ პრობლემებს. ანუ: თანასწორი იქნებიან: ნიჭიერი და უნიჭო, საქმიანი და უქნარა, უნარიანი და უუნარო და ა.შ. – ამ გრძელ ტირადას რომ ვამბობდი, უცებ ისევ ილიას სიტყვები ამომიტივტივდა გონებაში: „სისხლი და მახვილი ვერაფერი წამალია ქვეყნის და ხალხის ცხოვრების განკარგებისათვის. ამისთვის კაცობრიობამ მოიგონა უკეთესი საშუალება – წარმომადგენლობითი მმართველობა!“

ილია ევროპულ დემოკრატიულ პარლამენტარიზმზე ოცნებობდა! და განა ილიამვე ახალი სული არ შთაბერა ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დიდი განმანათლებლების მიერ შემუშავებულ ჭეშმარიტად ჰუმანურ, პროგრესულ მოძღვრებას – ბუნებითი სამართლის შესახებ! ვისთვის, რისთვის გაისარჯა? ესენი – მარქსისტულ ბროშურებზე აღზრდილი რუსეთუმეები, უწიგნურნი და უვიცნი – შეისმენდნენ განა ამას? აკი დარჩა კიდეც ილიას ხმა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა! ეჰ, ილია! ილია!

– ესეც არ იყოს – სისხლი სისხლით არ მოიბანება! – წამიერი დუმილის შემდეგ დავძინე, ცოტა არ იყოს გაოცებულმა იმით, გაგულია პირში რომ არ მეცა ჩვეულებისამებრ. – ხვალ უწინდელი ლაბარტყავას ადგილზე მყოფი ფაღავას თუ დადეშქელიანის ნაშიერი – არავინ უწყის, რას მოიმოქმედებს, რადგან ამჯერად ის იქნება უპოვარი და დაჩაგრული.

ამიტომაც, ყოველ რევოლუციას მარტოდენ უსაზმნო, უაზრო სისხლისღვრა, ადამიანების განუკითხავი ხოცვა-ჟლეტა, მორალისა და ზნეობის დაცემა როდი მოაქვს მხოლოდ – არამედ ისედაც არასრულყოფილი ადამიანის ბუნების გაველურებას, ფსიქიკის გადაგვარებას იწვევს, ამიტომ...

– არაა ეს სწორი! – შემაწყვეტინა გაგულიამ, ალბათ თვითონაც გაკვირვებულმა იმით, ამდენ ხანს რომ მაცალა: – შეცდომაა ეს! – თქვა და ქამარი კვლავ გაისწორა წელზე, გაიარ-გამოიარა ოთახში გამარჯვებული კაცის გატოტოჩებული იერით: – ჩვენი რევოლუცია გონებასაც შეცვლის, ადამიანის ბუნებასაც და ფსიქიკასაც, და საერთოდ, სუყველაფერს. ჩვენი რევოლუცია შექმნის სრულიად ახალ ადამიანს, ძველთან რომ არაფერი ექნება საერთო – ისეთს! ყველა ქვეყნის მუშები შეერთდებიან ერთ ძმურ ოჯახში. აღარ იქნება არც წოდებები, არც განსხვავებანი ეროვნებათა შორის. ყველანი იცხოვრებენ შეხმატკბილებულად, ბედნიერად! – რიხიანად, თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული კაცის კილოთი წარმოთქვამდა სიტყვებს გაგულია. შემდეგ ფეხებგაჩაჩხული, წელზე დოინჯშემოდგმული დამიდგა წინ. აბა, ახლა თუ ბიჭი ხარ, შემეკამათეო – მაქეზებდა თითქოს გამომწვევად. ვაცალე, დამტკბარიყო თავისი მოჩვენებითი გამარჯვებით, მერმე ერთობ უცოდველი, მიამიტი გამომეტყველებით შევეზრახე:

– კეთილი და პატიოსანი, ჩემო ბატონო. დამყარდა, ვთქვათ, ეს ნანატრი, საამური ცხოვრება ანუ კომუნიზმი. გაიმარჯვა სამართლიანობამ – ანუ საყოველთაო თანასწორობის იდეამ! მაგრამ... რა ენაზე ილაპარაკებენ ასეთი უეროვნო ადამიანები – ერთმანეთში? ხომ საინტერესოა ფრიად!

გაგულია ანაზდად შეცბა. ეტყობოდა, საშინლად არ ეჭაშნიკა ეს კითხვა. სახე უნებურად მოექუფრა. დაიღმიჭა. ცხვირი წამიერად ინდოურივით ჩამოუშვა, მაგრამ მყის მოეგო გონს და:

– იქნება რაცხა საერთო ენა... – მომიგო ნაძალადევი დაუდევრობით, არხეინი კილოთი და ვითომც აქ არაფერიაო, კვლავ გაიარ-გამოიარა მამლის გაფხორილი იერით.

– მართალი ბრძანდებით, ჩემო ბატონო. რაკი თქვენს რევოლუციას ყველაფერი შენაძლება თურმე – ერების და ენების პრობლემასაც იოლად გადაჭრის ალბათ. ბოლოს და ბოლოს, სულაც ექსპერანტოზე ილაპარაკებენ სუყველანი... თუ გაჭირდა. მაგრამ მანამდე? სანამ მსოფლიო პროლეტარიატი ერთმანეთს შეეთქვიფება, სანამ ძმურად გადაეფსკვნებიან ერთიმეორეს და სანამ ერთ ენაზე აჭიკჭიკდებიან, ერთი სიტყვით, სანამ ამქვეყნიური სამოთხე დამყარდება, მანამდე ხალხები ხომ არ დამუნჯდებიან? ხომ უნდა უთხრან რაცხა ერთმანეთს?

გაგულიას ხაფანგში მომწყვდეული ვირთხასავით გაუხდა თვალები. მე გონს მოსვლა არ ვაცალე და მივაყოლე: – თუმცა, რა საკითხავია? ნოღელი გლეხი, მაგალითად, სარატოვის ან ლიეჟის სოფლებში მცხოვრებ გლეხებს უენოდაც გაუგებს, რაკიღა – ერთი კლასის – გლეხობის წარმომადგენლები იქნებიან. ასევე, ბათუმელი და ჩიკაგოელი მუშისთვის რა დიდი ბედენაა, ვთქვათ, ტერიტორიული, კულტურული, ნაციონალური, ენობრივი ანდა ფსიქიკური განსხვავებულობა? რაკიღა მუშები არიან, უამყველაფროდაც ადვილად შეეთვისებიან ერთმანეთს, და ერთ სულ და ერთ ხორც იქნებიან!.. თუ არადა... აგერ არაა რუსული ენა? აბა, სანამ აღთქმული სამოთხე დადგება, ორი მილიონი ქართველი ას მილიონ რუსს ქართულად ხომ არ დაუწყებს მუსაიფს კომუნიზმის იდეალებზე? რომც დაუწყოს რა, ვინ მოუსმენს? ანდა... ეგება სჯობია, სანამ გვიან არაა, დაფიქრდეთ, თუთიყუშივით ბრმად რომ იმეორებთ სხვათა ნათქვამს, თქვენს დასაკლავ დანას თვითვე ხომ არ ჩხრეკთ? მტრის წისქვილზე ხომ არ ასხამთ წყალს სხვათა წაბაძულობით, მტრისას, რომელსაც ახალი, უფრო მოხერხებული ნიღაბი აუფარებია თავისი მგლური ბუნების დასაფარავად? ეგებ აჯობებს მოუხმოთ კეთილგონიერებას და მიხედოთ თქვენს საკუთარ თავს?

გაგულია აიზღარბა. როგორც ჩანს, წამიერმა დაბნეულობამ გაუარა: სიმკვირცხლეს და მოსაზრებულობას ვერ წაართმევდი ამ ბღენძია, მამალივით გაფხორილ ყოყლოჩინას:

– ჩვენ მტრებად მხოლოდ ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის კლასებს ვთვლით! – მოსჭრა ცივად გაგულიამ და სახეზე მრისხანე, მკაცრი გამომეტყველება აისახა.

– ჰოო... ანუ ხალხის ნახევარს!.. მაგრამ მეორე ნახევარს, უფრო სწორად – უმრავლესობას რას უშვრებით? მით უმეტეს თუ არ ვცდები... შენც ვგონებ, აზნაური ხარ! – შევახსენე ვითომდა მორიდებული ხმით.

– მე... ყოფილი აზნაური ვარ! – წყენანარევი ხმით გამიტრიზავა გაგულიამ, – ე.ი. წარმოშობით ვარ აზნაური! – შეასწორა ნათქვამი: – ხოლო ახლა – რევოლუციონერი გახლავართ და სოციალიზმის იდეალებს ვემსახურები, როგორც რიგითი ჯარისკაცი!

„ტერორით, პროვოკაციებით, ძარცვა-გლეჯით, უზნეობით, არა“? – გამიელვა თავში, თან ამ „რიგითმა ჯარისკაცმა“ უნებლიე ღიმილი მომგვარა:

– მაგრამ მარტო შენ ხომ არა ხარ ყოფილი აზნაური? – უკვე ჟინატანილი, არ ვეშვებოდი. მტყუანს ტყუილის კარამდე უნდა მიყვეო, ისე იყო ჩემი საქმე: – ბევრი სხვაცაა რევოლუციონერი ანდა თანამგრძნობი თავად-აზნაურთა წრიდან. მაშასადამე, ეს წოდება მოსასპობი კი არა,

ხელიხელ საგოგმანებელი ყოფილა შენისთანას და შენნაირებს რომ უზრდის რევოლუციას, და რაღას ერჩით? რას აშავებს? მადლობის მაგიერია? – უცებ სიცილი ამიტყდა. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ სიცილს ველარ ვიკავებდი. რაც უფრო მეტ ხანს ვიცინოდი, მით უფრო და უფრო იბოღმებოდა გაგულია – რევოლუციონერთა ანუ ყაჩაღთა რაზმის ბელადი. თვალები უვიწროვდებოდა, სახე ესხიპებოდა. ჩემს თავში კი ფიქრები ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს: „ვაი ჩვენი ბრალი, ვაი ჩვენი ბრალი! ჭერი გვექცევა თავზე! სხვები, უცხოტომელები ეპატრონებიან ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს სარჩო-საბადებელს, ლუკმა-პურს გვაცლიან, პირიდან ენას გვგლეჯენ, გვაწიოკებენ, სულში გვაფურთხებენ – ესენი კიდევ – მსოფლიოს ხალხთა და კაცობრიობის ბედზე ფიქრით თავს იკლავენ ვითომ, მსოფლიო პროლეტარიატის ჭირ-ვარამი არ ასვენებთ და მათდა საკეთილდღეოდ, საცა მიუწვდებათ, წიწილებივით თავს აცლიან საკუთარი ერის შვილებს!.. ვისაც თავისი არ სტკივა, სხვისი როგორღა ეტკინება?.. და შემდეგ: უკუდო ხარი თავისთვის არ იყო, სხვებს ბუზებს უგერიებდაო – ისეა ამათი საქმე! ნუთუ ამ გუდამშიერი აზნაურების მიერ დაზუთხული უცხოური „თეორიებით“ უნდა ისაზრდოოს ჩვენმა გაუბედურებულმა ხალხმა?.. ვაი, ჩვენი ბრალი. ახავაი!“

გული რომ ვიჯერე სიცილით, ხაზგასმული თავაზიანობით დავემშვიდობე დამხვდურებს, ყბა რომ მოქცეოდათ სიბრაზისაგან და თვალები გადმოცვენაზე რომ ჰქონდათ: – აპა, არა? თავიანთ ბუნაგში დავცინე, მასხრად ავიგდე ეს სახელგანთქმული „ვაჟკაცები“ – შიშის ზარს რომ სცემდნენ ახლომახლო სოფლებს და მთელს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს! ...და ამას მონელება არ უნდოდა?

კარში რომ გავდიოდი, უცებ მოვუტრიალდი გაგულიას, სიძულვილით მოწკურული თვალებით რომ მაცილებდა: – ჰო... დამავიწყდა კინაღამ... ჩემი იარაღი დამიბრუნეთ, თუ შეიძლება!

– დაგიბრუნებენ... დაგიბრუნებენ... როცა საჭირო იქნება! – ჩაიბურტყუნა ერთბაშად მზერადახრილმა და უაზროდ ააფათურა ხელები მაგიდაზე: არ ესიამოვნა, რომ დავიჭირე მისი ავი მზერა.

...სანამ კარს გამოვიხურავდი, გავიფიქრე გუნებაში გულცივად: აი ახლა, ან ახლა დამახლიან ზურგში ტყვიას-მეთქი. ამ აზრს უკვე შეგუებული ვიყავი. – და რატომღაც სრულიად მშვიდად აღვიქვამდი საფრთხეს. ჩემი მისიკვდილება სრულებითაც არ წარმოადგენდა ამათთვის რაიმე პრობლემას. „ღმრთისა არ მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენისო“, – ამათთვისაა ზედგამოჭრილი.

თითქოსდა, რა საერთო უნდა ჰქონდეს დოსტოევსკის პერსონაჟს ამ კუდაბზიკა, მარქსისტული ბროშურებით „განსწავლულ“, ვითომდა

განათლებულ (ეს ვითომცდა განათლებული ხომ ყველაზე საშინელი რამაა!) მეგრელ აზნაურ რევოლუციონერთან, არადა, ჩემდაუნებურად ამეკვიატა სმერდიაკოვის ფრაზა: „ა კოლი ბოგა ნეტ, ზნაჩიტ, ვსიო დოზვოლენო“. „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშასადამე – ყველაფერი დასაშვებიაო"! დიახაც, რომ აქვთ საერთო: აკი, ამ ურწმუნო მანიაკებს მიაჩნიათ, რომ მათთვის ყველაფერი ნებადართულია, დასაშვებია, ოღონდაც მიზანს მიაღწიონ. ანუ: ვითომდა საზოგადო სიკეთის სახელით! სინამდვილეში კი – პირადული კეთილდღეობისა და ერთპიროვნული ბელადობისთვის ანუ ტირანიისთვის რომ იბრძვიან ასე თავგამოდებით!

ჩემთვის ნათელი შეიქმნა ილიას მკვლელობისა და მომავალ უბედურებათა მიზეზ-სათავე. სულით და ხორცით ყაჩაღები ანუ ექსპროპრიატორები, როგორადაც თავიანთ თავს ვითომ კულტურულად უწოდებენ – ეს სამშობლოდაკარგული, გაბოგანოებული, მაგრამ ამასთან პატივმოყვარეობის ჭიით დაღრღნილი უკუდო ამპარტავნები (ყველაზე დიდ უბედურებად მიმაჩნია ამპარტავნობა და კერძოდ – ქართული – შეზავებულ-შენივთებული უმეცრებასთან და მათ ფეხის ხმას აყოლილი უტვინო, ჭკუანაღრძობი ანდა ლამაზი ფრაზებითა და ლოზუნგებით მოტყუებულ-ნაცთუნები, ბრიყვების გუნდი), თუ ესენი სახელმწიფოს სათავეში მოექცნენ: შაჰ-აბასის თუ თემურ-ლენგის შემოსევები სანატრებელი გაუხდება ხალხს.

არადა, ყველაფრიდან ჩანს, რომ ახლანდელი მარცხის მიუხედავად, ეს უტიფარი მოძალადეები ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას, რადგან უსათუოდ გამოიყენებენ ხალხში დაგროვილ უკმაყოფილებას, არსებული რეჟიმის მიმართ გაუცნობიერებელ თუ გაცნობიერებულ სიძულვილს, ამასთან, ამათი მოკავშირე იქნება: ხალხის საყოველთაო უმეცრება, ჩამორჩენილობა, რელიგიური რწმენის დაკარგვა, რაც მეთოდურად განახორციელა ჩვენში რუსეთის იმპერიამ, დაამკვიდრა კაცთა მოდგმის ყველაზე ბნელი და ქვენა ინსტინქტები: შური, სიხარბე, სისასტიკე, სიბნელე, თავხედობა და მსგავსი მანკიერებანი, ხოლო მეგზურად წაიმძღვარებენ ალოგიკურ, „აბდაუბდა, გადასკუპდა“ – თეორიას, ანუ ბრბოს გასაბრიყვებელ, ურცხვ და დემაგოგიურ, ფარისევლურ და ცრუმეცნიერულ „მოძღვრებას“ – კაცთა ვითომდა თანასწორობის, ძმობისა და თავისუფლების დროშა რომ აუფრიალებიათ.

ლამაზ ლოზუნგებს ამოფარებულ ამ ყაჩაღთა ხროვისათვის საყრდენი სწორედ ეს ბნელი, უწიგნური, უკულტურო, ყრუ ბრბო იქნება, რომლის ველური გახელება და უსაზმნო სისხლისღვრა ხელს აძლევთ მათ, რათა უფრო ადვილად ჩაიგდონ ხელში ძალაუფლება. ეს ხროვა იმათი ნაშიერია, საკუთარი ქვეყნის შვილებს რომ ჰყიდდნენ გადამთიელებზე, თავის

რჩეულ გოგო-ბიჭებს ხშირად ნებაყოფლობით რომ აგზავნიდნენ ფეშქაშად სულთნებისა და შაჰების ჰარამხანებში, წინ რომ მიუძღოდნენ ქვეყნის ასაოხრებლად წამოსულ ველურთა ურდოებს, ესენი იმ „დიდკაცთა“ მოდგმაა, თავიანთი პატარა სამშობლოს სარბიელი რომ ეცოტავებოდათ ხოლმე და დიდ ასპარეზს ეძებდნენ სახელის მოსახვეჭად: დიდ გემებს ხომ დიდი ოკეანე თუ ზღვები სჭირდება! რა საკადრისია, აბა, ჭყუმპალაობა პატარა, ციცქნა მდინარესა თუ ღელეში, როცა არსებობს ვეება სივრცეები. – ნიჭიერებას ხომ სჭირდება ფართო ასპარეზი! – არადა, ნიჭის ნაკლებობას მართლა არ განიცდიან!... ესენი, სხვათა კარზე დაწინაურებული დიდი დომესტიკოსების, ყულაღასარებისა და ვეზირების შთამომავალნი არიან, დიდის გულმოდგინეობითა და ერთგულებით რომ ემსახურებოდნენ თავიანთი ქვეყნის დაუძინებელ იმპერიებს.

დღევანდელი ე.წ. მომავალი დიდი „მოღვაწენიც“ პირადი განდიდებისთვის მზად იქნებიან დაუნდობლად, უმოწყალოდ, კოკებით დააქციონ (და აქცევენ კიდეც) სისხლი თანამემამულეთა და ყოველივე ამ სისაძაგლეს და უკეთურობას მონათლავენ მათგან გაუბედურებული ხალხისადმი სიკეთისა და სიყვარულის გრძნობით.

ილიას მკვლელებმაც აკი „ხალხის სასიკეთოდ“ მოაშთვეს „გლეხთა დამჩაგვრელი, სასტიკი მემამულე“, ანუ მოაშთვეს საქართველოს რაობისა და ყოფიერების წმიდათაწმიდა სიმბოლო, მისი სიცოცხლის დვრიტა, მისი საფუძველთ-საფუძველი. ესენი, ეს ფანატიკოსები, ყველაფერს, ყოველგვარ ბოროტებას გაამართლებენ ამ ე.წ. კლასობრივი ბრძოლის თეორიით; ამ ლოზუნგის ქვეშ მზად იქნებიან ამოჟუჟონ მთელი ერი – ყველგან, ყველა ქვეყანაში! – და დაიყვანონ იგი თუნდაც ერთ კაცამდე – და ეს ბარბაროსობა მოხდება ისევ და ისევ სამართლიანობის, ძმობის, თანასწორობის, ინტერნაციონალიზმის, დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით! – აი, ესაა სწორედ თავშესაქცევი ამბავი დღევანდელ თუ იმ მომავალ სისხლიან მარულაში, რომელიც უნდა გაიმართოს. გურიის ტრაგედია მხოლოდ შესავალია მომავალი სისხლიანი მასკარადისათვის.

***

...ორი კაცი გამოაყოლეს ფაღავას „გასაცილებლად“ ყაჩაღთა ბანაკიდან. წინ მიმავალ ბეხრენ მამაკაცს სახე თითქმის მთლიანად დაეფარა ყაბალახით. მხოლოდ ყუყასავით შავი თვალები, ცხვირის ჭვინტი და შავი ულვაშები მოუჩანდა. თოფ-იარაღში ჩამჯდარი, იგი ზანტად მიითრევდა ვეება ტანს. მეორე, ფაღავას უკან რომ მოჰყვებოდა თითქმის კვალდაკვალ, გამოკვანწული ახალგაზრდა იყო, კოხტა აღნაგობის. მასაც ცხვირ-პირიღა მოუჩანდა თავზე წაკრული ყაბალახიდან. და თითქოს ჩახმახივით შემართული, გაფაციცებულ მზერას არ აცილებდა მათ შუა მიმავალ, უიარაღო და ამჯერად რატომღაც თვალაუხვეველ „სტუმარს“.

კარგა გვარიანად რომ გამოსცდნენ იმ ალაგს, სადაც გაგულიას რაზმი დაბანაკებულიყო – უცებ გაწვიმდა. ჯერ კანტი-კუნტად, თითო-ოროლად მოდიოდა წვეთები. მერმე მოუხშირა. ელვამ გაჰკვესა და მოკუპრული ცის თაღი გაანათა. დაიგრგვინა. წამიც და კოკისპირულმა წვიმამ დასცხო. განუწყვეტლივ ელავდა და გრუხუნებდა — ცას თითქოს სარქველი მოეხსნაო, თქიშინით ჩამოდიოდა ნიაღვარი. საშინელი ჭექა-ქუხილის ხმა აყრუებდა იქაურობას. უსიერი ტყე ავისმომასწავებლად გუგუნებდა.

წამისწამში გაილუმპნენ, თუმცაღა უზარმაზარი მუხის გადმობარჯღულ ტოტებს შეაფარეს თავი. ფაღავას მხლებლები შიშს აეტანა და აცახცახებულნი, ისე მიკვროდნენ ხის ტანს, თითქოს შიგ შეძრომას ლამობენო.

ფაღავა უძრავად იდგა თავაწეული და სახე მიეშვირა თქრიალით მომავალი წვიმისათვის: ელვა წამდაუწუმ შოლტავდა ხეთა კენწეროებს. ცას გუგუნ-გრიალი გაუდიოდა. ფაღავამ თვალი შეასწრო, რომ მისმა უფრო ახალგაზრდა მხლებელმა რამდენჯერმე სწრაფად, ქურდულად გადაიწერა პირჯვარი. „გაგიჭირდა, ბიძიკო, და ღმერთი გაგახსენდა, არა?“ – გაუელვა ნიშნისგებით და გესლიანად ჩაიღიმილა. თავად მუხისაგან მოშორებით მშვიდად და წარბშეუხრელად სველდებოდა, რადგან მშვენივრად უწყოდა, არანაირი ხშირი ფოთლები და ვარჯები ვერ დაიფარავდა ახლა მას ამ მერეხისგან.

თითქოს მეორედ მოსვლა იწყებოდა. შეუძლებელი იყო ბურუსში გარჩევა, სად იყო ცა და სად დედამიწა. მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარბორბალამ ხეებს ლაწალუწი აუყენა.

თავით ფეხებამდე გალუფხული, თავშიშველი თითქოს გულგრილი ცნობისმოყვარეობით, მშვიდად აყურადებდა გამძვინვარებულ სტიქიონს, თითქოსდა სულერთი გამხდარიყო მისთვის, თითქოსდა სრულებით არ ადარდებდა – ღვართქაფი წალეკავდა აქაურობას და მასაც

მოიყოლიებდა ყარაულებიანად, თუ გადაურჩებოდა ამ საშინელ მეხ-თატეხას.

ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, როგორც სხვიმის არაერთგზის მოსვლია ეს გემზე, ოკეანის უდაბურებასთან პირისპირ მყოფს.

...თითქოს აღარაფერი არსებობდა ამ ცისქვეშეთში გემის ბაქანზე ერთადერთი არსების კიდეგან. თითქოს მოირღვა ქვეყნიერების სამანე-ბი. ცისა და ოკეანის უკიდეგანობაში ჩაიკარგა ადამის ძე, მარტოდმარ-ტო დარჩენილი, ეული.

ვინა ხარ? სადაური? რა ჯიშის, რა ჯილაგის?

რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას მარადისობისთვის? და რა ციცქნა, რა ნამცეცა ჩანს ყოველი შენი სატკივარი თუ საზრუნავი, ფიქრი თუ დარდი, ოცნება თუ იმედი – ამ უსასრულობის წინაშე, შენს ჩანთქმას რომ ლამობს!

შიში გეძალება... უძლურების შიში გიპყრობს... და გენანება. რაღაცა გენანება. რა, რა გენანება?

ა, ა, არ გინდა ამ სამზეოდან წახვიდე პატარა, უსახელო კაცად?

მაგრამ თუ წასვლა გარდაუვალია – აქვს კი აზრი იმას, რა ბარგი-ბარხანით წახვალ აქედან – ცარიელით თუ სავსეთი? სახელიანი იქნები თუ უსახელო? ვთქვათ და, მოგიხვეჭია სახელი – რა მერე? სახელით დაიჭერ განა იმას, რაც ულმობლად გეწვევა, როცა... ჟამი დადგება? ჰმ! მაშინ ნახეთ სიმუხთლე ჟამისა! და „ვისაც გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისად“!

...შიში თანდათან ქრება. დნება თოვლივით. უჩინარდება ნისლივით და წამსვე თავისუფლდები ამქვეყნიური ბორკილებისგან – უჩუმრად და შენდაუნებურად რომ ატარებ გაჩენის დღიდან. თავისუფლდები ყოველ-გვარი ჭირ-ვარამისგან თუ სვე-კეთილობისაგან;

...შეუზღუდავია შენი თვალსაწიერი, შემოუფარგლავია ადგილ-სა-მყოფელი და ბინადარი ხდები მიღმიერების, უსაზღვროების! სიხარუ-ლატანილი, ფრთაგაშლილი მიელტვი ცის იისფრად მოღაღანე უსასრუ-ლობას, რამეთუ შენ თავად განუყოფელი ნაწილაკი ხარ ამ უკიდეგანო სივრცის. დღეს იქნება თუ ხვალ, საბოლოოდ შეუერთდები მას, შეერ-წყმი და შეენივთები სამყაროს, რათა მერე ისევ დაუბრუნდე ამ სამზეოს, ვინ იცის, რაგვარი სახით, და არც არავინ უწყის, სად იქნება შენი დედულ-მამული, დედამიწის რომელ კუნჭულ-ალაგს დაგისაზღვრავს საცხოვრისად არსთა გამრიგე. მაგრამ მთავარია – შენ ისევ დაუბრუნდე-ბი ამ ცისქვეშეთს – განახლებული, განწმენდილი – ფრთებშეუკვეცავი სურვილებითა და დაუოკებელი ზესწრაფვით სინათლისკენ.

...მიწამდე იხრებიან დევივით ხეები, ლიწინ-ლიწინით იმსხვრევიან

დიდრონი ვარჯები. ჩაჟამებულ-ჩამობურუსებულ ირგვლივეთს ხანგა-მოშვებით წკეპლავენ ელვის შოლტები. არ წყდება გუგუნ-გრიალი. ის კი არადა, უფრო და უფრო ძლიერდება – „ნამდვილი ტროპიკული ავდარ-ია!“ – გაივლო გულში ფაღავამ და მხარზემოთ გადმოხედა თავის მხლე-ბლებს – თვალდაჭყეტილები, ფერწასულები რომ მიკუნჭულიყვნენ ხის ძირში და საწყალობლად, უჩუმრად ყურყუტებდნენ.

ეჰეი! სადაა შენი ძალი და ღონე, ქადილი და გულზვიადობა მზვაობა-რო, ქედმაღალო ძეო ადამისაო? სადაა შენი ზარბაზნები, თოფ-იარაღი, ტყვია-ნამალი, რომ გაუმკლავდე ამ ღვარცოფს, ამ დელგმას? შეაჩერო ეგება ეს მეხთატეხა! ჰა?

რაღას უდგახარ? მიდი, დასცხე. შეუტიე. შეერკინე. შეები. რაღას აყოვნებ-მეთქი? ნუთუ შიშმა შეგიპყრო, შიშმა წაგახდინა, დაგაბეჩავა, წაგართვა ჭკუა-გონება, დაკარგე ნიჭი და უნარი ყოველგვარი? ნუთუ ეგზომ უმწეო და უსუსური ხარ სტიქიონის წინაშე? მაშ, მარტოდენ ერთ-მანეთთან ჭიდილსა და კინკლაობა-ჩხუბში ბრძანდებით უშიშრები, დიდ-გულები? ურთიერთთან ცუდმედიდობთ მხოლოდ და მხოლოდ? ვაგლახ! რა მალე, რა სწრაფად განქარდა თქვენი შემართება, ამპარტავნობა და მედიდურობა, უდიერობა და უტიფრობა ზღვარდაუდები?

აბა, ჰე! დააძრეთ მაუზერები და ესროლეთ ცას-მეთქი! შეაკავეთ ეს ლეშქერი, წინ აღუდექით-მეთქი ზეცის რისხვას, თავს რომ დაგვატყდა ეგ-ზომ უცაბედად, ეგზომ მოულოდნელად – ალბათ ცოდვათა გამო ჩვენთა!

ჰო, რაღას უცდით? რად აყოვნებთ-მეთქი? ვერა ხედავთ განა, რომ ვიხრჩობით და ვიღუპებით! ნუ ახანებთ! ატეხეთ განგაში. ჩქარა, ჩქარა, თქვე საცოდავებო, თქვე უბადრუკებო, თქვე ჭია-ღუებო – სანამ კიდევ არაა გვიან!

ახ, თქვე ვიგინდარებო, აღარ ძალგიძთ განა ხელის გატოკება?

ეჰეი! ამქუხარდი, აგრგვინდი ცავ და მიწავ! აზვირთდი, მძლავრო სიმ-ფონიავ ბეთჰოვენისა! აყალყდი, აამთაგორე ტალღების რემა და მილეწ-მოლეწე, მიანგრ-მოანგრიე ზათქით და დგანდგარით – აქაურობა! გად-მოსკდით და გადმოზვავდით ფაფარაშლილო ზვირთებო ენგურისა და გადათქერეთ აქაურობა! მიასწ-მოასწორეთ ეს დამყაყებული, აშმორე-ბული ქვეყნიერება!

აბა, ჰა. აბა, ჰე!

საოცარი ის იყო, რომ მას პირადად თითქოს არ ეხებოდა სტიქი-ონის მძვინვარება. თითქოს თავად შეუვალი გახლდათ ყოველგვარი ხი-ფათისაგან და მხოლოდღა შორიდან მეთვალყურეობა დაკისრებოდა ამ წარღვნასა და მერეხში!

იდგა და თითქოს ნიშნს უგებდა ამ გასაცოდავებულ, უცებ დაგლახ-

ავებულ და დაპატარავებულ არსებათ და... თან, ვერც უგებდა, რამეთუ... თავისდაუნებურად შეპარვოდა სიბრალულის გრძნობა აწ უკვე ყოველმხრივ გაბითურებულ – ყოფილ ბღენძია და სასტიკ მოძალადეთა მიმართ!

ერთი პირობა გაიფიქრა, გავაფრთხილებ, ხის ძირში ნუ ხართ ჩაყუნცული-თქო, მაგრამ... ენა ვერ მოატრიალა პირში, ხმა აღარ დაემორჩილა.

ისევ დაიგრუხუნა. თითქოს ათასმა ზარბაზანმა ერთდროულად მისცაო ბათქი. ირგვლივ შეზანზარდა ყველაფერი. მერე ისევ იელვა და... წყვდიადი ჩამოდგა.

გონს რომ მოვიდა, პირველი, რაც გაიფიქრა იყო: „ნუთუ დაგვარტყა?“ და მყისვე: „გადავრჩი?!“

ფრთხილი მზერა განზე გააპარა. დამეხილი მუხა ხრჩოლავდა. გოგირდის და ნატისუსალის სუნი იდგა გარშემო. ქარიშხალი ჩამდგარიყო. ცა ზანტად ცრიდა წვიმის წვეთებს. ჯანღი შეთხელებული ჩანდა.

კარგა ხანს განძრევას ვეღარ ბედავდა. შიშობდა, ვაითუ წართმეული მაქვს მოძრაობის უნარიო. მერმე ნელ-ნელა გაატოკა ჯერ ერთი ფეხი, მერე – მეორე, შემდეგ ხელებიც...

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. არაფერი დაშავებოდა. მხოლოდ ეგაა: თავი უბრუოდა და სხეულიც ნაცემ-ნაბეგვივით ჰქონდა. წყლით გაჟღენთილი, დამძიმებული ჩოხა-ახალუხი ყინულის ჯავშანივით შემოსალტვოდა ტანზე. შეაჟიჟინა რამდენჯერმე.

„რა დროა, ნეტავ?“ – რატომღაც დროით დაინტერესდა. გაგულიას ბუნაგიდან რომ წამოვიდნენ, შუადღე იყო. ახლა, ალბათ, საღამოა, გაიფიქრა. „ჰო, მართლა, სად არიან ჩემი ყარაულები?“

ახლაღა მოაგონდა თავისი მხლებლები. წამოიწია. უნებური შიშნარევი მზერით კვლავ გახედა აბოლებულ, შუაზე გადაჩეხილ, ვარჯებდალეწილ მუხას. მერმე აიზეზეურა და თითქოს პირველად დგამსო ნაბიჯებს – ტაატით, ნელა გაემართა ნამეხარი ხისკენ.

მხლებლებიდან ერთს – ძონძროხას – სული გაეცხო. დასახიჩრებულ-დანახშირებული მისი გვამი მუხის შორიახლოს ეგდო. მეორე, ახალგაზრდაც დამწვარ-გაშავებული გაშხლართულიყო. საშინელი ტრუსის სუნმა ცხვირში უსიამოდ შეუღიტინა. რამდენჯერმე დააცემინა. მერმე გულზე ყური დაადო ახალგაზრდას. სუნთქავდა. აღარ დაუხანებია.

ძლივსძლივობით მოიკიდა ყმაწვილი ზურგზე და... ჟამგზაკვალდაკარგული, ალალბედზე გაემართა იქითკენ, საითკენაც გუმანი ეწეოდა.

ქშენა-ხვნეშით მიაბიჯებდა ჟალტამში, ხან ეკალ-ბარდებში იხლართებოდა და გაჭირვებით, წვალებით მიიკვლევდა გზას. ბიჭი ჟამიდან ჟამზე ყრუდ კვნესოდა. არაქათგამოცლილი, ოფლში გახვითქული

– ძირს დებდა ყმაწვილს სულის მოსათქმელად, მერმე ისევ მოიგდებდა ზურგზე და, რის ვაი-ვაგლახით და ჭაპან-წყვეტით მიაბოტებდა ჭანჭყრობში – არ კი იცოდა, საით! შავი დეევებივით შემორტყმოდა გარშემო ბუმბერაზი ხეები. მართალია, წვიმამ და ჭექა-ქუხილმა გადაიღო, მაგრამ უკვე ღამდებოდა და საშიში სიჩუმე ისადგურებდა უღრან ტყეში.

...მიდიოდა ბორძიკით, სვენებ-სვენებით, ხვნეშა-კვნესით და თითქოს დასასრული არ უჩანდა გზა-სავალს. ეს რაღაც მოჯადოებულ წრეში ტრიალს ჰგავდა, საიდანაც თავის დაღწევა შეუძლებელი ჩანდა. თითქოს მთელი დასაბამიერი ცოდვა – საკუთარი და სხვათა – მოეკიდებინა ზურგზე და ტალად დამდგარი – გარშემო უვლიდა უდაბურ კარავს.

ხშირად სიზმრებია ბავშვობაში: გზააბნეული, უთავბოლოდ დაბორიალობს ლიანებითა და ხვიარებით გახლართულ ტყის ტევრში. ეცემა, დგება. უნდა გაიქცეს და ვერა და, ვეღარ ახერხებს. ვეღარ გამოდის ამ უდაბურეთიდან, თუმცა როგორ არ წვალობს, როგორ არ ცდილობს; ამაოა ყველაფერი! საშველი არ ჩანს. გული ამოვარდნაზე აქვს და... სიმწრის ოფლში გაღვარულს – ეღვიძება. მერმე დიდხანს, დიდხანს ვერ იძინებს ძილგამკრთალი. ან არადა, ზის ზღვის პირზე და უყურებს, როგორ ბორგავს ზღვა, როგორ მოათამაშებს ტალღების გორებს და ბრაზიანად ახლის ნაპირს, მერმე ნამსხვრევებად ქცეული, დაშლილ-დალეწილი, ხრიალით იხევს უკან, მერმე ისევ ქაფმორეული, გაავებული აწყდება ნაპირს და აი, ერთბაშად, წამოიმართა მთატალღა: დაიგრაგნა, აიფოფრა და საზარელი ზათქითა და ღრიალით გამოექანა მისკენ. – გული გაუცივდა; იწევს და ვეღარ დგება, უნდა იყვიროს, მიშველეთო და ხმა აღარ ამოსდის ყელიდან. საშინელების მოლოდინში თვალებს ხუჭავს და... იღვიძებს, ფხიზლდება.

თითქოს ახლაც გრძელდება ის გრძელი, გაუთავებელი, კოშმარული სიზმარი. ისევ ისე იწელება დრო, ბოლო აღარ უჩანს სატანჯველს, მაგრამ გაკერპებული". ჯიუტად, დაჟინებით მიიწევს წინ, აღარ ეპუება შიგნიდან, სულის შორეული კუნჭულებიდან დაძრულ სასოწარკვეთის გრძნობას. რადაც უნდა დაუჯდეს, უნდა გააღწიოს აქედან, უნდა გაიყვანოს ეს ბიჭიც სამშვიდობოზე. თავის თავს უკვე აღარ დაეძებს – მთავარია, ბიჭი გადაარჩინოს. მორჩა და გათავდა. სხვა ყველაფერი წყალსა და მეწყერს წაუღია. უკვე თითქმის იმედგადაწურულს და სასომიხდილს,

მოციალე შუქი აუკიაფდა.

...მღვიმეში თავი შეეფარებინათ მონადირეებს, ერთი მათგანი ფაღავას ძიძიშვილი გამოდგა.

გაგულიას რაზმელი – ხუხუტია ახვლედიანი – გადარჩა. იგი ფაღავას ძიძიშვილის სახლში დამალეს და შინაური წამლებითა და მალამოებით

მოუშუშეს დამწვრობა. წასვლის დრო რომ დაუდგა, სთხოვა მასპინძლებს, ჩემს გადამრჩენელთან შემახვედრეთო.

„...ოთახში შევედი თუ არა, ბიჭი მყისვე წამოხტა გამწე ტახტიდან. ჟანგარა სახეზე თვალები უცნაურად უბრწყინავდა. მარცხენა ხელი შავი ნაჭრით ჰქონდა ჩამოკიდებული, მარჯვენათი კი შავი ფერისვე ბლუზის ღილ-კილოებს აწვალებდა. „ვეღარ აუვალ ახლა ამის მადლობებს-მეთქი“, – გავივლე გულში რატომღაც უსიამოდ, ამრეზით. ამ შეხვედრაზე თავდაპირველად უარი განვაცხადე, მაგრამ ისე შემეხვეწა ჩემი ძიძიშვილი, ხათრი ვერ გავუტეხე და დავთანხმდი პაემანზე. ხუხუტია ახვლედიანმა ყოველგვარი სალამ-ქალამის, მადლობების, ბოდიშებისა და შესავლის გარეშე, უცებ უბიდან ამოიღო მაუზერი და გამომიწოდა:

– ეს თქვენია, ბატონო, ინებეთ!

დავხედე იარაღს, მერე დაკვირვებით, გულისყურით გავსინჯე. მართლაც ჩემი იყო. ყაჩაღს გაოცებით მივაშტერდი. სიმართლე რომ ვთქვა, ჩემი მაუზერი არც მომგონებია მთელი ამ ხნის განმავლობაში, უფრო სწორად, ჩავთვალე, რომ იგი გაგულიამ დაინარჩუნა. საკვირველია პირდაპირ! მთელ იმ დავიდარაბაში, რაც თავს გადაგვხვდა იმ დღეს – ეს მაუზერი როგორღა გადარჩა? როგორ არ დაიკარგა? ან... ამ ბიჭთან საიდან აღმოჩნდა იგი-თქო, გავიფიქრე გაოცებულმა.

– აი, ამ მაუზერით... უნდა მოგვეკალით თქვენ – მე და უჯუშიას! – თვალდახრილმა, მღელვარებამოკიდებული ხმით მითხრა წითელრაზმელმა. შევხედე კვლავ: რას ჩმახავს ეს ბიჭი, რას მიედ-მოედებამეთქი – გამიელვა თავში.

ამიხსნა: როცა სოფელს დავუახლოვდებოდით, წინ მიმავალი უჯუშია თურმე მოულოდნელად მომვარდებოდა, გამაკავებდა, ხუხუტი ახვლედიანი კი საფეთქელში მომადებდა ჩემს საკუთარ მაუზერს, გაგულიამ რომ ჩაუდო უბეში და... გამათავებდა.

თვითმკვლელობის იმიტაცია? კი მაგრამ, რატომ, რისთვის იყო საჭირო ეს? თუ სიკვდილი გადამიწყვიტა გაგულიამ, უფრო უპრიანი არ იქნებოდა განა იქვე, ბუნაგში გავესაღებინე, ან არადა, ტყეში მივესიკვდილებინე, ან სულაც სადმე უფსკრულში გადავეჩეხე. ვინ მიპოვიდა? ვინ იყო გამკითხავი? რომც ყოფილიყო ვინმე, ტყეში ათასი ფათერაკი ხდება ახლანდელ დროში, მით უმეტეს, მარტოკა რომ დაყიალობ. მე შენ გეტყვი და, მოწმე გამოგიჩნდება ვინმე თუ რა? რომ გამოჩნდეს კიდეც, მის მოსყიდვას რა დიდი ამბავი უნდა? რაღაც გროშზე სულს არ მიჰყიდის ეშმაკს, თუ რა?

მაგრამ, არა. თურმე არც ისე მარტივად და იოლად ყოფილა საქმე, როგორც მე მეგონა. ადვილი შესაძლებელია, არ დამალულიყო ჩემი

„ვიზიტის“ ამბავი გაგულიასთან: ტყეს ათასი ყური და თვალი აბია. ესეც არ იყოს, ფაღავა უთუოდ შემთხვევითი სტუმარი არ იყო გაგულიასი. მაშასადამე, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო, ნათქვამია. ჰოდა, გაგულიას და მის რაზმელებს არ უნდა დაბრალებოდა იულონ ფაღავას უცაბედი გაქრობა-გაუჩინარება. ამჟამად ხელს არ აძლევდა ეს ამბავი გაგულიას და იმიტომ! ყველაზე უპრიანი იყო – თვითმკვლელობა, გაურკვეველი მიზეზით. ვინ იცის, რამ შეუჩხიკინა ტვინში 12-13 წელიწად გადაკარგულ ადამიანს, ან რა ცოდვამ უწია? ჰოდა, იმტვრიონ მერმე თავი – რატომ და რისთვის ჩაიდინა ეს საქციელი!

შესაძლოა, იჭვისმაგვარმა გრძნობამ მაინც გაიჩუჩუნოს ზოგ-ზოგის თავში, მაგრამ რა ბედენაა, ვინ რას გაიფიქრებს? ანდა, რა ანგარიშგასაწევია მავანთა და მავანთა ეჭვი? ხოლო ვინც მაინც არ დაიშლის კირკიტს, თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი. მთავარია, ხელჩასაჭიდი საბუთი არავის არაფერი ექნება; ჰოდა, თუ არ დაიჭერ – ქურდი არ არის. მორჩა და გათავდა. მაშასადამე, ეს გველხოკერა ფაღავა უნდა გაქრეს.

ამგვარი ფანდ-ხრიკებით მათთვის უსიამო ადამიანების შავეთში გასტუმრება თურმე ნაცადი ხერხი ყოფილა გაგულიასა და მისთანებისთვის.

ხუხუტია ახვლედიანის ნაამბობიდან:

„ახლაც მთელი ბანძა დარწმუნებულია, ბატონო, რომ ბოჯო პაპასკირმა თავი ჩამოიხრჩო. სინამდვილეში კი, ჩვენ... მე და უჯუშიამ ვქენით ეს საქმე. ის უბედური ბოჯო პაპასკირი ნამეტანი ენაკვიმატი ყაზახი იყო. ხალხში, საჯაროდ ამასხარავებდა წითელრაზმელებს: იცოცხლეთ, კაი რამაა, გლეხებს რომ მიწებს დაურიგებენ და მუშებს – ფაბრიკა-ქარხნებს, მარა... მოსავალი ვის დარჩება – აგია საკითხავი: მუშებსა და გლეხებს თუ... მუშურ-გლეხურ მთავრობასო! ანდა: აქვს იმას მნიშვნელობა, ვინ გაძარცვავს საწყალ ყაზახს: მემამულე, ბურჟუაზია თუ მუშურ-გლეხური მთავრობაო – ყბას გვიქცევდა რევოლუციონერებს. კომუნებს რომ ააშენებენ – ყველაფერი საერთო ექნებათ თურმე კომუნისტებს. ცოლებიც საერთო იქნებაო, იძახიან. ჰოდა, ცხონებულა ზოგ-ზოგი ყაძახის სული და ეგაა: ვისაც ვინ მოუნდება, მიუწვება კიდეც იმას – თუნდაც ბელადის ცოლიც იყოსო.

ამგვარად ლაზღანდარობდა და აცინებდა ხალხს ის უბედური ბოჯო. ლამაზი ცოლი ჰყავდა ბოჯოს. გაგულიამ, არავინ იცის, რაფერ მოახერხა ეს, მარა ბოჯოს ცოლი საყვარლად ქე გაიხადა. ისე, ამგვარ რამეებში ნამეტანი... გაიმასქნებული კაცია გაგულია. თუ გულში ამოიჭრა ვინმე – არავის დაინდობს. ერთხელ, ერთი ჩვენი ერთგული ყაზახის ქალიშვილი შეაცდინა. ნამეტანი ფინთი ვინმეა ასეთ რამეებში. მაშინ ძლივს დაიძვრინა თავი, ერთ ჩვენს რაზმელს შეასაღა გაბახებული ქალი. ერთხელ

კიდევ თავისი ახლობლის თლად ჭყინტი ბაღანა გააუპატიურა. მაქედანაც მშრალი გამოვიდა, თუმცა ბევრი ფული კი დაუჯდა. ფულით, ჩემო ბატონო, ახლანდელ დროში გუბერნატორის ცოლსაც იყიდის კაცი ჩვენში. ჰოდა, ბოჯოს ამბავს გიყვებოდით... ჯერ კიდევ ხუთი წლის გამოსვლებამდე მოხდა მაგი ამბავი. ერთ ღამეს ბოჯოს ცოლს ჩუმად გააღებინა კარი გაგულიამ.

ჩვენ, მე და უჯუშია შევიპარეთ სახლში. უჯუშიამ მძინარე ბოჯო მოგუდა ბალიშით, მერე გამოვათრიეთ გარეთ და მის ეზოში, ვაშლის ხეზე ჩამოვკიდეთ საკუთარი თოკით. გაგულია მას მერეც აკითხავდა ჩუმად ბოჯოს ქვრივს. მერე ბოჯოს ცოლმა თავი მდინარეში დაიხრჩო... თუ დაახრჩვეს, ვერავინ ვერაფერი გაიგო დანამდვილებით. მარა, ვიცი მე – გაგულიას საქმე იყო მაგი. არ უნდოდა, ალბათ, მოწმე ჰყოლოდა: ქალების ამბავი მოგეხსენებათ, ენაჭარტალები რომ არიან ნამეტანი“.

ახლაც არ ვიცი, რატომ მიამბო ყველაფერი ეს ხუხუტია ახვლედიანმა. უჯუშიას საშინელმა სიკვდილმა შეზარა თუ... სინანულმა გაიღვიძა მის გულში და თავის, ასე ვთქვათ, გადამრჩენელთან გადაწყვიტა გულის ამოფერთხვა და ცოდვების მონანიება? ერთ რამეშიც გამიტყდა ხუხუტია: აქედან გადაკარგვას რომ აპირებდა საერთოდ და დღეის ამას იქით არასდროს დავუბრუნდებიო ამ მხარეს და არც გაგულიას და მის რაზმს გავეკარები ახლოს ოდესმეო. არც ის დაუმალავს, თავდაპირველად როგორ მოხვდა გაგულიას რაზმში.

დედამისს წვრილი ბავშვები დაეყარა და თავის სახლის ამშენებელ ხუროსთან ერთად გაქცეულიყო სოფლიდან. საგულისხმოა ის ამბავი, რომ ქალმა არა მარტო ქმარ-შვილი მიატოვა, არამედ ხალხის თვალში უფრო უარესი, საძრახისი საქციელი ჩაიდინა: ექვსიოდე თვის წინ მკვდარ ძმაზე ძაძები რომ ემოსა, ისე გაიჩინა საყვარელი. ძმის სიკვდილი კი, მოგეხსენებათ, რა უბედურებად ითვლება ჩვენში და როგორი გლოვა იციან ძმამკვდარმა დებმა. ჰოდა, ვითარცა მოსალოდნელი იყო, იმ ხუროს მალე მიუტოვებია ქალი და ბავშვებს კი სამუდამოდ დამღად დარჩათ კახპა დედის შვილობა. ჩანს, შინაგანად გაბოროტებულ-დაბოღმილი ყმაწვილი სიძულვილის და შურისგების გრძნობამ მიიყვანა ძალადობის ბუნაგში – გარეგნულად თანასწორობის, ძმობის, ერთობის დროშას რომ აფრიალებს – უმეცართათვის თვალში ნაცრის შესაყრელად! სხვათა შორის, როგორც შემდგომში შევიტყვე, უმეტესად ასეთი დაკომპლექსებული ახალგაზრდებით ივსებოდა და ივსება თურმე ამჟამადაც გაგულიასნაირთა წითელი რაზმები.

...ასეთი ახალგაზრდებისთვის ძალმომრეობა, სისხლისღვრა და სადისტიკე, კომპენსაციაა უთუოდ თავიანთი არასრულფასოვნებისა:

სოციალური, ან გონებრივი თვალსაზრისით. ხშირად იარაღისადმი ტრფიალი და მისი უქონლობაც განაპირობებს თურმე რაზმში შესვლას, ანდა შური და სიხარბე, ანდა პირადი ანგარიშები და რაც მთავარია, ურწმუნოება და უმეცრება, სულიერი სიღატაკე და უბადრუკობა უბიძგებს ხოლმე მათ დაადგნენ ტერორიზმის, ანუ რევოლუციის გზას და ამით გასაქანი მისცენ სისხლში ჩალექილ, მემკვიდრეობით გადმოცემულ წინაპართა ცოდვა-ბრალს.

ნათქვამია, გამოსაშვები სისხლი უნდა გამოიშვასო. ჰოდა, უშვებენ კიდეც ბლომად და თავად, არცთუ იშვიათად, იზიარებენ ხოლმე ხვედრს თავიანთ მსხვერპლთა!.. საზოგადოდაც ხომ ადამიანში მხეცი უფრო ზის, ვიდრე ანგელოზი. ჰოდა, როცა სარბიელი მიეცემა, ეს სიმხეცე ხან რა ბოროტების სახეს იღებს და ხან რანაირს...

სენეკა შენიშნავს ერთგან, მოსწრებულად – ჩვეულებრივ ცხოვრებაში ყოველი მკვლელი ისჯება კანონით, მაგრამ ჯარისკაცის ტანსაცმელს თუ ჩაიცვამ, მიდი, ჟუჟე რამდენიც გინდა და რამდენიც შეგიძლია, თუნდაც მთელი ხალხი ამოჟლიტე – არ მოგეკითხება, პასუხს არავინ მოგთხოვს. პირიქით, გმირადაც შეგრაცხავენო. წითელი რაზმელებიც რევოლუციის ჯარისკაცებად თვლიან თავიანთ თავს და ამიტომაც, როგორც უნდათ და რამდენიც სურთ, – იმდენს ხოცავენ. ხოცავენ ყველას, ვინც არ მოეწონებათ, ვინც ეწინააღმდეგება მათ შლეგურ აზრს, ან არ ეთანხმება, ისე, უბრალოდ – კლასობრივი თანამოძმე იქნება ის, თუ არაკლასობრივი – რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რაც შეიძლება მეტი სისხლი უნდა დაიღვაროს. მე შენ გეტყვი და... „განათლებული“ საფრანგეთის რევოლუცია არა ჰყავთ მეგზურად, იაკობინელები არ აქეზებენ, არ უნათებენ გზას თუ – რა! კლავენ მაშინაც, როცა არ ეთანხმებიან ერთმანეთს, კლავენ ამის გამო, იმის გამო, ანდა სულაც ისე მოუნდება სისხლის დაღვრა, სისხლში ხელის დაბანვა და ღვრის და იბანს ხელებს სისხლში, ანდა: დალევს კიდეც სისხლს, ჭიქით იქნება თუ სხვა რამ ჭურჭლით. ნაკუწ-ნაკუწ აჩეხავს კიდეც მსხვერპლს და ა.შ. მიზეზ-საბაბს რა დაულევს მკვლელად დაბადებულს, ვის ძარღვებშიც მოედინება დასაბამიერი ცოდვის მღვრიე დურდო, მხეცის ქვეცნობიერი თუ ცნობიერი ინსტინქტები: მთავარია – გული მოიოხოს და დაიკმაყოფილოს კაცთაკვლის ჟინი, გაძღეს ვით სვავი-მძორით. სვავს, აბა, ვინ ჰკითხავს – სისხლს რადა სვამ, სვავო, რადა ხარ სვავიო? სხვათა შორის ადამიანი, როცა ნადირობს, ეტყობა, მაშინაც ამ მოკვლის ჟინს იკმაყოფილებს: ასე მგონია მე; შინაურ საქონელს თუ ფრინველს როცა ყელსა ჭრის, ჩანს, სისხლის წყურვილი ამოძრავებს მაშინაც ქვეცნობიერად. მოგვწონს თუ არა, ასეა ეს, ჩემო ბატონო და ჰე, მოიკალი თავი თუ გინდა!

ფაღავა გაჩუმდა. თავჩაქინდრული რემა თავის ხელებს დასჩერებოდა დაჟინებით და დუმდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ფაღავამ განაგრძო ყრუ, მოგუდული ხმით:

– მე თითქმის მოვიარე ჩვენი ყველა კუთხე-კუნჭული, ჩემო რემა. ბევრი რამ ვნახე, მოვისმინე, შევიცანი... ვიფიქრე, ვიჭყლიტე ტვინი და წინანდელ დასკვნამდე მივედი:

ჩვენ, როგორც ჩანს, ცოდვებით დამძიმებულები ვართ, დიდად შემცოდენი უფლის წინაშე. ნუ დავაბრალებთ ყველაფერს სხვას, თუმცა მომხვდურთა ნაკლებობას არასდროს განვიცდიდით. ჩვენ ეტყობა: დავიმსახურეთ ჩვენი ხვედრი ამპარტავნობის, ცუდმედიდობის, მუცელღმერთობის, შურიანობის და სიხარბის გამო. ჩვენი ცოდვის საზღაურია-მეთქი მეტწილად ჩვენი ხვედრი. და ამაში მე თავად დავრწმუნდი – ჟამთააღმწერელის დაუხმარებლადაც! შორს სადმე წასვლა არც იყო საჭირო – ჩემიანების, ჩემი უმცროსი დის და სიძის, ჩემი ნათესავების, ახლობლების, ნაცნობების ოჯახებიც კმარა სამაგალითოდ, რომელთათვის ერთადერთ საზრუნავად ქცეულა მხოლოდ სამსახურში დაწინაურება ანუ კარგი გასამრჯელო, ჩინ-მედლები ანუ კაი ცხოვრება, თავისი ნაშიერების უზრუნველყოფა სარჩო-საბადებლით, რაც შეიძლება ბლომად, მაძღრისად მუცლის ამოყორვა და ა.შ.

რიგიანი ცხოვრება, რასაკვირველია, სულაც არაა საძრახისი. პირიქით, ადამიანმა სწორედ ღირსეულად უნდა იცხოვროს თავად და აცხოვროს თავისი შთამომავლობა, ოღონდ... არა სულიერი დაკნინებაგაღატაკების ხარჯზე, არა ზნეობრივი კომპრომისების ხარჯზე – რაგინდარა საშუალებებით მოპოვებული კეთილდღეობის ანგარიშზე! კაცი პურსა სჭამს იმისათვის, რომ კაცურ კაცად აცხოვროს თავისი შთამომავლობაო – ფუჭი, უმაქნისი სიტყვებია ამ მუცელღმერთა ლუარსაბ თათქარიძეებისთვის. ალბათ, მეტყვი, ამ უბადრუკი რევოლუციონერების „უტყუარ“ და „წყალგაუვალ“ საბუთებს: ეს ყველაფერი ე.წ. მაღალი საზოგადოების მანკიერებანია, თვარა, რაც შეეხება ჩვენს გლეხებს, მუშებს და საზოგადოდ, დაბალ ფენას, ისინი ხომ ფრთიანი ანგელოზებია ლამის!..

აქედან მოშორებით სოფელია ერთი „სახელგანთქმული“ ავაზაკებით, საქონლის, ცხენის ქურდებით, ზოგ მათგანს სულაც არ ეთაკილება ხოლმე თავისი „ხელობა“. პირიქით, თავი მოაქვთ კიდევაც ზნედაცემულობით, რამეთუ – თავისებურად, თავიანთი გაგებით – ინახავენ ოჯახს! მერე რა, რომ ნაპარავ სარჩო-საბადებელს ეზიდებიან თავიანთ ფაცხებსა თუ ჯარგვლებში... გამართლება? გაჭირვება და სიღატაკე. კი. არის ეს არგუმენტი, ვინაიდან მონტესკიეს თქმით, კუჭზე მზრუნველ ადამიანს

ვერ მოსთხოვ მაღალ იდეალებსო, მაგრამ... უმთავრესი მაინც – ასე მგონია, – უღმერთობაა, ურწმუნოებაა, თუმცა... საზოგადოდაც, როგორც ზემოთაც ვთქვი, ადამიანთა მოდგმის უმეტესობას – ჩვენში იქნება თუ სხვაგან – ძვალ-რბილში გასჯდომია ბიწიერება და უკეთურობა, რომელიც ყოველ ხელსაყრელ მომენტში ზვავივით მოსკდება და წალეკვით ემუქრება ხოლმე ყოველივეს... სულიერს და ამაღლებულს: ძველ იტალიურ თუ ინგლისურ, თუ სხვათა ქრონიკებშიც რომ ჩაიხედო – იმდენი ბოროტება და სიგლახეებია აღნუსხული, რომ... მოკლედ, ესენი ეტყობა, ზოგადკაცობრიული მანკიერებანი არიან-მეთქი.

აკი ყველა დრისა და ყველა ეპოქაში მდაბალი სანჩო-პანსები სძლევდნენ ამაღლებული სულის დონ-კიხოტებს? ხოლო მარკუს ავრელიუსის ხსენებაზე უსათუოდ ამოტივტივდება ნერონი თუ კალიგულა. დავით აღმაშენებლის ხსენებას უთუოდ მოჰყვება ბაღვაშთა სახელები და ა.შ. ანუ: მუხთალი და ცრუ წუთისოფელი მიწყივ ავის მქნელია! ანუ: სიკეთის და სიყვარულის ჯვარზე გაკვრა — არ ახალია — ძველია!

როგორც ჩანს... ადამიანის დასაბამიერი ცოდვისშვილობაც თითქოს გამამართლებელ საბუთად გამოდგება, მაგრამ... ეს ხომ, საერთო ჯამში, ნუგეში არ არის?..

...ძველ კოლხ-იბერთა დიდების – ქუჯი ერისმთავრის, ფარნავაზის, გორგასლის, დავით აღმაშენებლის თუ თამარის, გუბაზის, გიორგი ჭყონდიდელის, ცოტნე დადიანის, თევდორე მღვდლის, თუნდაც სამასი არაგველის, დიდგორის თუ ბასიანის, ხრესილის თუ კრწანისის გმირთა და სხვათა და სხვათა – ამ გამორჩეულთა სახელების მოხმობა ვერაფერი ნუგეში მგონია!. ჩემი აზრით... პირიქით, ეს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ზეკაცები, ნიცშეს თქმითაც, – უფლის მიერ არიან ხელდასხმულნი, როგორც დიდი ზიარებულნი და უფლის ნებითვე და საკუთარი ძალისხმევითაც წარმართავენ ცხოვრების მდინარებას მათთვის დასაზღვრულ ფარგლებში და მარტოსულებად რჩებიან ამ უსაშველოდ ბნელ მასაში, მდაბიორთა ჯოგში, ხელჯოხის ანუ იარაღის მეშვეობით რომ უნდა მოიყვანო თურმე უსიტყვო მორჩილებაში...

მაგრამ ...საოცარი და საკვირველი ისაა, ასეთი საყოველთაო უზნეობის და უღირსობის ფონზე, – კუდი რომ ყავარზე გვაქვს გადებული! მავანთა და მავანთა უკუდო ამპარტავნობას და კოკობზიკობას ხომ საზღვარი არა აქვს!..

სულ არ მჭირდება მეცნიერების გამოკვლევა იმისთვის, რომ დავინახო ზოგადად ადამიანში ბიწიერი, პატარა ტირანუკა რომ ზის: ოჯახში იქნება ეს თუ გარეთ – სხვაზე მბრძანებლობის ჟინი უსათუოდ უნდა მოიკლას. ხოლო, თუ გარეთ საამისო სარბიელი მიეცა, იცოცხლეთ –

გაიხარებს, და მერე როგორ გაიხარებს მისი მძლავრობისკენ მიდრეკილი გენი და პატივმოყვარეობით დაღრღნილი გული!.. რასა იქმს ამ დროს ჩვენში ხალხის სულიერი მწყემსი, – სამღვდელოება?.. რასა იქმს და, წლითიწლობით იზრდება „ქუაბ-ავაზაკთა“ რიცხვი. სოფელში ჩვენს მღვდელთან ინახავდნენ თურმე წითელრაზმელები – იარაღს. დიახ, დიახ „სოციალისტი“ მღვდელი მფარველობდა ამ ყაჩაღთა ბანდას, გიორგი ფაღავას ოჯახის აწიოკებასა და სახლ-კარის გადაწვაშიც ედო თურმე თავისი წილი.

ასეა, ჩემო ბატონო. შემთხვევითი არც ისაა, ჩვენი ტფილისის სემინარია ლამის რევოლუციონერთა ანუ მოძალადეთა სამჭედლოდ რომ იქცა! რა მოხდა, რანაირადო – რიტორიკულ კითხვას სვამს ზოგ-ზოგი. ის მოხდა, რომ არ შეიძლება ყმაწვილების, მოზარდების სულში პროტესტის გრძნობა არ დაბადოს ამ რუსულმა, ორთოდოქსალურმა, დოგმატურმა, სქოლასტიკურმა „პრავოსლავიემ“, რომელიც რუსულ სახელმწიფოებრიობასთან ერთად, ბიზანტინიზმის – ამ ფარისეველი, ვერაგი, ცბიერი იმპერიის, იდეოლოგიის მემკვიდრეა.

ბიზანტიაში ხომ, და მისი წაბაძვით რუსეთში, მძლავრობასა და უსამართლობაზე აგებულმა სახელმწიფომ აკი მეტწილად დაიქვემდებარა რელიგია, იგი თავისი ბინძური პოლიტიკის ინტერესების სამსახურში ჩააყენა, ლამის აკურთხებინა და გზა დაულოცა ძალმომრეობას, იმპერიულ ზვიადობას. დღევანდელი ზოგიერთი ჩვენი „სულიერი მამა“ პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში აბეზღებს ხელისუფლებასთან მათთან აღსარებაზე მისულ უბირ მორწმუნეთ, ისე, ვით ხდებოდა ეს ბიზანტიაში და ხდება დღემდე „ერთმორწმუნე“ რუსეთში. დასავლეთის კათოლიკურმა სარწმუნოებამ, ინკვიზიციის თუ იეზუიტიზმის გამოვლით, ასეა თუ ისეა, თითქოს ამ მხრივ რაღაც ბალანსი შეინარჩუნა. თუმცა... მე არ ვარ ექსპერტი ამ საქმეში და ვერ ვიტყვი ცხადია, დაბეჯითებით, რომელი დოგმატია უფრო სწორი და მართებული – მე რომ მკითხოს კაცმა, ქრისტეს და სახარების სიყვარული უნდა იდგეს მაღლა ყოველგვარ დოგმატზე. ვიცი ის, რომ რუსული ყაიდის, ბიზანტინიზმთან ნაჯვარი „პრავოსლავიე“ – დიდმპყრობელური შოვინიზმისკენ, რუსული მონარქიზმის გაღმერთებისკენ რომ მიისწრაფვის, მას უკმევს გუნდრუკს... აბა, ერთი მითხარი, სად მოსკოვის სამთავრო და სად კამჩატკა თუ კურილიის კუნძულები? სად კავკასია, ციმბირი თუ ურალი და სად რუსეთის მოსკოვია? აკი არც მალავენ თავიანთ დერჟავულ პრეტენზიებს! ვლადივასტოკიო, ვლადი კავკაზიო და სულაც: ვლადიმირიო!

ჩვენი ყმაწვილები ან ამ ე.წ. რუსული ყაიდის მართლმადიდებლობას უნდა გაჰყვნენ, რადგან ყოველივე ქართულის იგნორირების ანდა დევნის

ვითარებაში სხვა გამოსავალი არაა, ან უნდა დაკარგონ თავისთავადობა, გამოლენჩდნენ , გამოთაყვანდნენ. ანდა: უნდა იქცნენ ისევ და ისევ რუსული ყაიდის ფანატიკოს-დოგმატიკოსებად, ვთქვათ, დუხობორებად ანდა სტაროვერებად ანდა პროტესტის სხვა, უფრო „რევოლუციური“ ანუ მახინჯი ფორმა უნდა მონახონ! ჰოდა, მონახეს და... მივიღეთ კიდეც სემინარიელი ყაჩაღები და „სოციალისტი“ მღვდლები...

ჩვენი სულიერი გადაგვარების ნიშნად აკი გუგუნებს კიდეც ჩვენს ეკლესიებში – რუსულ ჰანგსა და რუსულ ენაზე – „ჩვენი ხელმწიფე იმპერატორის“ და მისი ძლევამოსილი მხედრიონის სადიდებელი!.. „ჩვენს ხელმწიფე-იმპერატორს დღეგრძელობა და სიცოცხლე მრავალჟამიერ“. „ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებით“... „ხელმწიფე-იმპერატორის ნება-სურვილით“, „ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორი“...

ვინ ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორია, კაცო?

როგორ თუ... ვინ? რას კადრულობთ, ბატონო ჩემო? ჩვენი მირონცხებული ხელმწიფეა!.. (ხელმწიფე-იმპერატორის ჩინ-მედლებით მოსყიდულთა უკიდურესი აღშფოთება).

– როგორ, კაცო? რუსთა იმპერატორი განა ჩვენი ხელმწიფეა? მაშ, ვინღა არიან ბაგრატიონები? – საპასუხო კითხვა!

– რა დროს ბაგრატიონებია, ბატონო ჩემო? მათ უკვე კაი ხანია, მოჭამეს თავისი დრო, აკი ნათქვამია, დრონი მეფობენო... ახლა ჟამი რომანოვებისაა, ანუ ჟამი რუსთა ზეობისა! რაო, რაო, ბაგრატოვანთა წინაშე ჩადენილი ცოდვა არ შერჩებათ რუსთ ხელმწიფეებსო? როცა იქნება, ამ ე.წ. რომანოვების ანუ ფონ-ფონების დინასტიას სასტიკად მიეზღვება ამ ცოდვის გამოო?..

როგორ გეკადრებათ? ყოველი მონარქი, მით უმეტეს – რუსეთის – ღვთისგანაა ნაკურთხი – ჯერ ერთი! ხოლო, ჩვენი ვალია, მივსდიოთ მათ გზას. ასეა ეს, ჩემო ბატონო!

„ჩვენი ხელმწიფე-იმპერატორის“ ჩინ-მენდლებით მოსყიდულ ამ საცოდავ მონებს დავიწყნიათ საკუთარი დედ-მამა და დედინაცვალსა თუ მამინაცვალზე, ლოცულობენ! დაუვიწყნიათ ღვთივკურთხეული ქართული ენა...

როგორ თუ ჯვრით ხელში შემოვიდა ჩვენში სატანა და უარესი გვიქნა ვიდრე თემურ-ლენგმა, შაჰ-აბასმა? როგორ თუ სარწმუნოების ანკესზე წამოვეგეთ! ჩვენს ეკლესიას ავტოკეფალია წაართვეს? კი, შესაძლოა, ეკლესიები გაგვიძარცვეს, უზარმაზარი განძი, ქონება გაზიდეს რუსეთში, ეპარქიები დაგვიხურეს, ფრესკები გადაგვითეთრეს, რუსული წირვა-ლოცვა შემოიღეს და ამით ხალხისთვის უცხო გახადეს ღვთისმხაურება.

მერე რა? ალბათ, ასე იყო საჭირო, ბატონო!

რუსულმა ეკლესიამ დააკანონა მონობა, განდევნა ქართული ენა და აკურთხა თვითმპყრობელობაო?

გენაცვათ, ერთა შერწყმისა და ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის ახლა მთელი მსოფლიო. რა დროს კუთხურობა და ნაციონალიზმია! ჩვენ სულით რუსები ვართ უკვე – და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. პატარა ერის ხვედრია – დიდმა უნდა შეიფაროს და... შეითვისოს იგი: ეს ბუნებრივი პროცესია, ჩემო ბატონო. ამას ვერაფერი შეაჩერებს. შერწყმით, ანუ ასიმილაციით ყველა „ინაროდეცი“ და „ნაცმენი“ – ველიკორუსად იქცევა! მოიშლება ყოველგვარი განსხვავებულობა, ყოველგვარი ზღვარი ჩვენსა და მათ შორის და ეს უდიდესი მონაპოვარი იქნება საერთოდ კაცობრიობისათვის და მით უმეტეს – ჩვენთვის! ამით ყოველგვარი კონფლიქტები, ომები, უკმაყოფილება ერთა შორის – მოისპობა. აკი უკვე ვერ ბედავენ ჩვენზე თავდასხმას – მავანნი და მავანნი? ჰოდა, ამაზე დიდი ბედნიერება შეიძლება რაიმე იყოს ჩვენი ხალხისთვისო?

ისე, საინტერესო არ არის განა მარქსისტული მოძღვრებისა და რუსული იმპერიული კონცეფციების ერთგვარობა? რა შესანიშნავად ავსებენ ისინი ერთიმეორეს, როგორადაც არ ასავსავონ ხელები ორივე მხარემ ცალ-ცალკე?

რაღაც დიდი, სატანისეული საიდუმლოება დევს ამ ებრაელის მიერ შექმნილ „ფილოსოფიაში“, მუდმივი არეულობისკენ რომ უბიძგებს კაცობრიობას! თალმუდისტთა თუ სიონისტთა თეორიებიც – ებრაელთა განსაკუთრებულობასა და „გოიმებზე“ ებრაელთა მსოფლიო ბატონობის ჟამის მოახლოებაზე რომ ქადაგებს – ფრიად საგულისხმოდ მეჩვენება მე, და მიმატებული ნიცშეს მიმდევართა რასიზმი და ფანატიზმი – ყოველივე ამის მსხვერპლი იქნება, ალბათ, მეოცე საუკუნე!.. იგი მსხვერპლი იქნება ამ სატანისეული ექსპერიმენტებისა, ანტიქრისტეთა აღზევებას რომ გამოიწვევს და საერთოდ, ჩემი აზრით, რუსული და საერთოდ ყოველგვარი იმპერია – თავისი არსით – სწორედ რელიგიურობის, ჭეშმარიტი ქრისტიანობის წინააღმდეგაა მიმართული, იგი ნაღდი ქრისტიანიზმის ამოძირკვის საუკეთესო საშუალებად მიმაჩნია მე!

მაგრამ... მივყვეთ ჩვენი რუსეთუმეების მსჯელობის ხაზს თანმიმდევრულად: ნამეტანი აიშვეს თავი გლეხუჭებმა, ჩემო ბატონო! გაგონილა მაშა, საქმეა განა, გუშინდელი ჩვენი ყმები თავს რომ წამოგვასხდნენ?.. ბუნტოვშჩიკები... ყაჩაღები... არამზადები... სათითაოდ უნდა ჩამოჰკიდო ისინი სახრჩობელაზე. დახვრიტო. გადაასახლო ციმბირში – სამუდამოდ! მოსპო და გაანადგურო ერთიანად. დიახ, აღვირახსნილობა მოიტანა, ჩემო ბატონო, ე.წ. ლიბერალიზმა და დემოკრატიასთან გადამეტებულმა ლოლიავმა.

აფსუს, ძველო დროო! ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად... ხოლო უფრო სიღრმეში თუ შევიჭვრიტებით, საუკუნეების სიღრმეში – ვაჰ, თურქეთის თუ ირანის, ეგვიპტის თუ ერაყის ბაზრებში გაყიდულო გოგო-ბიჭებო! აფსუს, რა დრო იყო!.. მაგრამ... ამასთან, ხომ გავაკეთილშობილეთ, თურმე როგორც უცხოელები ამბობენ, — ახლო აღმოსავლეთის ხალხთა სისხლი! აბა, თუნდაც დღევანდელი თურქი ის ველური სელჯუკია, რამდენიმე საუკუნის წინ რომ იყო? მერე რა, რომ სამაგიეროდ, ჩვენ გადავჯიშდით? ულამაზესი რასა — ვიქეციით — ნახირად! ასეა ეს, ჩემო ძამია... — სამწუხაროდ ჩვენდა!.. — ანუ: ასე იტყვის... ზარათუშტრა! — ფაღავამ უგემურად, თავისებურად ჩაიცინა-ჩაიხვიხვინა, მერე ჩაწყვეტილი ხმით განაგრძო: — დიახ, ასეა, ჩვენი საქმე: გადაშენების პირზე ვართ-მეთქი მისულები — სხვათა „დამამშვენებლები!“ და ვიმეორებ: არა მხოლოდ გარეშე, მოძალადე მტრების წყალობით!.. ნაცარქექიას ჭკუა და მოხერხებაც რომ დავკარგეთ? ანუ: „დასრულდა ჩვენი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა!.. და... „განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქმნელი, არ იქმნებისო“. მით უმეტეს — თუ ფურთხის ღირსიც ხარ!

და რაც მთავარია კიდევ: სიძულვილი თანამოძმეთა მიმართ... სიძულვილი უსაშველო, უნაპირო. სიძულვილისგან დამახინჯებული სახეები. მოღრეცილი ღრანჭები, გადმოკარკლული თვალები. ღორის ტილს რომ ფეხზე დაისვამ... ვაჰ, დრონი, დრონი!

სიყვარული? სიყვარული მოყვასისადმი?

ვინაა, ბატონო, ჩემი მოყვასი? უნიფხვო კაკულია?

ვაჰ, დრონი, დრონი...

სიყვარული მამულისადმი?

რომელ მამულზეა, ჩემი ბატონო, საუბარი? მტკაველ-მტკაველ რომ ვყიდით უცხოტომელებზე? ოღონდაც დღეს გავახაროთ ჩვენი გულის ჭია? დღეს ამოვიყოროთ მუცელი?

„მამულის ხსენებაზედ ეხლანდელს ქონდრისკაცს თავისი ნეხვდაყრილი სახნავი მიწა წარმოუდგება ხოლმეო“, – აკი ბრძანებდა ილია.

ეჰ, ილია, ილია!

მართლაცდა, სადღაა მამული? ანდა ერი? ერი შეიძლება უწოდო ამ შარახვეტია ქარაქუცებს, რომელთა თვალსაწიერი საკუთარ ნეხვმოყრილ მიწას, საკუთარ ვიწრო ორღობეს, საკუთარ ნაჭუჭსა და სტომაქს რომ არ გასცილებია?.. კი, ერი შეიძლება მონობაში მოხვდეს, მაგრამ სულიერად დაუმორჩილებელი, ამაყი დარჩეს!

ეჰ, სულკურთხეულ ილიაზე უკეთ, აბა, ვინ უწყოდა – რანიცა ვართ ახლა, რად ვიქეციით, რას დავემსგავსეთ! მართლაცდა, ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი? ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ორპირი და მანკი-

ერი... მართლაცდა, სად იპოვი დედამიწის ზურგზე ეგზომ ამპარტავან, კუდაბზიკა შემოდგომის აზნაურებს – სასტიკსა და დაუნდობელს ერთიმეორის მიმართ, ხოლო ქედწახრილსა და თვინიერს – სხვათა წინაშე! დაიცა... აგერ მაგიდაზე მიდევს აკაკის ლექსი, მომისმინე:

„...მე ის მაღონებს, დღევანდელ ქართველს ძველი ანდერძი რომ ავიწყდება და ეროვნების მაგარი ციხე შეუგნებლობით შიგნიდან ტყდება.

მტერი იძახის: ვინ გაიგონა
ახლანდელ დროში ეროვნებაო?!
მხოლოდ ერთია „მუშათ საკითხი“
გულს დაიბეჭდეთ მარქსის მცნებაო.
ამას ჩვენ გვირჩევს და თავისათვის
კი – სულ სხვანაირად გაიყურება.
სცდილობს კისერი მოგვატეხინოს
და მით თავის ერს ემსახურება.
ჩვენს ქართველებს კი „მეცნიერების
უკანასკნელი სიტყვა“ ჰგონიათ
და მიაჩნიათ ჭეშმარიტებად,
რაც კაჭკაჭივით გაუგონიათ!
მტერს ის უნდა: მოტყუებულ ერს
უფრო ადვილად ჩაიგდებს ხელში
და ღონემიხდილს შინაურ ბრძოლით
ადვილად მაგრად წაუჭერს ყელში.
სულს მოიბრუნებს ჩვენს ნაოხარზე
ჩვენი დაჩაგვრა მისთვის ლხინია!
ყველა მათგანი, სიტყვით ბულბული
საქმით იგივე „ტიმოშკინია“!
სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა...
სულ სხვა აქვთ გულში მათ დაფარული —
ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური
ძმობა, ერთობა და სიყვარული.
მაგრამ არ სჯერათ ეს უბრალო რამ
დღეს მეთაურად გამოსულებსა...
იმას არ ეთქმის „ადამიანი“
ვინც აღიარებს მარტო თვის ერსა
და სხვა ტომებს კი ისე შეჰყურებს
ჩასაყლაპავად, როგორც მტერი მტერს.
დეე სუყველამ იბედნიეროს
თვის სამშობლოში, თავის მხარეში,

რომ მოძმე იყოს ერთი მეორის
და არა მონა, ყმა და ფარეში.
ვისაც არ ესმის ეს წმინდა მცნება
და სხვის დაჩაგვრა გულში აქვს მარად,
უნდა ავიღოთ მასზე მახვილი.
და მოვიხმაროთ... მაგრამ კი ფარად.
ვაი! ეს რჩევა დღევანდელ ქართველს
ვერ შეუგნია... არ ეყურება!
ჰგონია თავს დებს სამშობლოსათვის
მისივე მტერს კი ემსახურება.
აი ეს არის მე რომ მაღონებს
ძველი ანდერძი რად გვავიწყდება?
და ეროვნული ქართული ციხე
შეუგნებლობით შიგნიდან ტყდება!“

უკეთ ვერ იტყვი, რაც გვჭირს!.. — ფურთხის ღირსზე ნაკლები არ არის მე მგონი... მაგრამ... მაგრამ... ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულიაო — არა, ჩემო რემა? ვიცი ასე იტყვი შენ! არადა ეს ლექსი მართლაც სკოლის მოწაფესავით – უცებ დავიზუთხე, დიახ, როგორც ყოველთვის – ჩვენი აკაკი სწორუპოვარია! როგორი მართებული სურათია დახატული ჩვენი დუხჭირი ყოფიერებისა! ვერა, ვერანაირი „ქვათა ღაღადი“ ვეღარ გვიშველის მეთქი განწირულებს. ყოვლაწმინდა ღვთისმშობელმაც ჩვენი ცოდვებისა და უგუნურების გამო — როგორც ჩანს, ჩვენს მფარველობაზე თავის წილხვედრ ქვეყანაზე, ანუ როგორც აკაკი ამბობს — თავის საუფლისწულოზე ხელი აიღო! ხელი აიღო ალბათ თავის სისხლით ნათესავ-ბაგრატიონებზეც!.. ასეა ეს, ჩემო ძამია, ასეა!.. არ მითხრა ახლა, გარეშე მტრების გამო ვართ ასეთ ვითარებაშიო. უამისობაც არაა ცხადია. მართლაც ვიყავით და ვართ დღესაც ხიდად გადებული აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის — მაგრამ... ჩვენში ერთსულოვნება რომ ყოფილიყო-მეთქი, ასეთ უბედურ დღეში არ ჩავვარდებოდით. კარგ შვილებსაც შევიგუებდით, შევიფერებდით — ვაჟას სიტყვებით რომ ვთქვა. ანუ: რაც მოგივა დავითაო... მოკლედ, რაც დავთესეთ პრინციპში — იმას ვიმკით!..

... მოკლედ... განძი მიწაში ჩავმარხე. მასაც, ჩემთან ერთად, მიწა შეჭამს. მე კი აქ, ამ უღრანი ტყის მახლობლად, ზღვის ნაპირზე დავიდე ბინა, რათა დარჩენილი სიცოცხლის წლები აქ, განმარტოებულად დავასრულო. როგორც ხედავ, გამოვერიდე ადამიანებს, გულზიდვა მეწყება მათი უმეტესობის დანახვაზე, რადგან ამ ე.წ. ჰომო საპიენსს შეუძლია იყოს ყველა პირუტყვზე უფრო უარესი პირუტყვი...

ჰოდა, ვმკვიდრობ აქ, ჩემთვის, მარტო, მაგრამ, რაც მთავარია, თავს თავისუფლად ვგრძნობ! ბერობა-ჩემი საქმე არ არის! მონოზნურ განდგომილებას მე ვერ შევძლებ! ამისთვის სხვანაირი სულიერებაა საჭირო: მე არა მაქვს პრეტენზია საამისოდ, თუმცა... არანაირი ვალდებულების ჯაჭვი არ მაკავშირებს არავისთან – არც ნათესავებთან, არც ახლობლებთან და საერთოდ, არც ერთ სულიერთან. მაქვს რამდენიმე ქცევა მიწა: ვხნავ, ვთესავ, ვიწევ ჩემ სამყოფ მოსავალს. მოვაშენე ოჯალეში, სხვათა შორის, შენ ჩემს დაყენებულ ღვინოს მიირთმევ. მყავს შინაური და გარეული ცხოველები, რავარც შენ თვითონ ნახე. ჰო, აქედან ოციოდე ვერსზე სოფელია ერთი მივარდნილი, მიყრუებული. ბევრი ცუდი ხალხი ცხოვრობს-მეთქი მაქ, გითხარი წეღან.

ერთხელ მეც დამიპირეს გაქურდვა. ჩემმა ნაგაზებმა კუდით ქვა ასროლინეს.

ამ კუთხის სოფლებში ეკლესიებიც აქვთ, ზოგი ძალიან დიდი ხნის წინ ნაგები. მერე რა? რუსთ-ხელმწიფე იმპერატორზე აღავლენენ იქაც ლოცვებს მათთვის გაუგებარ ენაზე (რა თქმა უნდა, გაბრიელ ეპისკოპოსისნაირთ არ ვგულისხმობ, ღვთის რჩეულნი რომ არიან)...

საუბედუროდ ჩვენდა, თურმე მარტო სახელმწიფოებრიობა არ დაგვიკარგავს!.. რელიგიური ფანატიზმი, იცი ეს შენ, საერთოდ უცხოა ჩვენთვის. გემზე მეზღვაურთა შორის, სხვადასხვა რჯულის მიმდევარნი იყვნენ. მათთან ურთიერთობისა და სიახლოვის მთავარი საზომი ჩემთვის ყოველთვის კაცობა იყო და არა ის, თუ ვინ რომელ ღმერთზე ლოცულობდა. ყოველთვის მძაგდა და მძაგს ახლაც დოგმატიზმი და მათ შორის, რუსულიც — უფრო სწორად, მათი სინოდი და ეგზარხოსები – დერჟიმორდა მღვდელმთავრებიანად – ერთ-ერთმა მათგანმა აკი ამბიონიდან დასწყევლა კიდეც ქართველი ერი – უპრეცედენტო ამბავი მსოფლიო ისტორიაში! აკი ამას შეეწირა კიდეც ერთ-ერთი ჩვენი რჩეული მამულიშვილი – დიმიტრი ყიფიანი! ხოლო როგორ გაძარცვეს ივერიის ეკლესიები და რა განძი გაზიდეს აქედან „ერთმორწმუნე“ ბარბაროსებმა – ამას ხომ ვინ დათვლის!... რასაკვირველია, მათაც ჰყავთ რადონეჟცები, საროველები, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საერთო სავალალო სურათს ვერ შეცვლის...

ეკლესიის მსახურთა უმეტესობა ისე შორსაა ქრისტიანობისა და მაცხოვრის სულისაგან, როგორც ცა და დედამიწა!.. და საერთოდაც, ჩემი აზრით და ღრმა რწმენით, ქრისტიანობა უფრო მომავლის სარწმუნოებაა – უფრო სრულქმნილი ადამიანისა და საზოგადოებისა, რადგან, როგორც ჩანს, ამ ორმა ათასმა წელმა – უფალმა რომ უწყალობა კაცობრიობას – ვეღარ განკურნა ადამის ძეთა სულიერი წყლულები, ვეღარ

სცხო ზეგარდმო მადლი და ნიჭი ჩვენს თხრამლიან, სახიჩარ ყოფიერებას და საზოგადოდ, ამ დედამიწაზე, ალბათ, არც არასდროს მიიღწევა ადამიანის სრულყოფილება, – მით უმეტეს, სოციალური კეთილდღეობა ისე, რომ სულს არაფერი ევნოს, სული არ დაკნინდეს და არ გადაგვარდეს... ანუ: „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის“ სათნოება ჩემი აზრით, ჯერ – შორსაა კაცობრიობისგან, ერთობ შორს! იგი ოცნებად თუ რჩება მხოლოდ...

სასუფეველი ცათა შინა თუ არსებობს, მხოლოდ რჩეულთათვის ალბათ! რადგან: კაცთა მოდგმის ბიწიერებას საზღვარი არა აქვს აქ, დედამიწაზე-მეთქი. ხოლო გონისმიერი ბიწიერება – საშინელი რამაა! ბიწიერ გონს ძალუძს, არამცთუ მარტოდენ წარმოდგენა ყოველგვარი სისაძაგლისა, სიბინძურისა არამედ მისი ხორცშესხმაც. და რაც ყველაზე ამაზრზენია, ეცდება კიდეც გაამართლოს თავისი გარყვნილება ანუ სიკეთედ წარმოსახოს ბოროტება და უკეთურობა...

... ჰო, ამ ბიწიერ გონს შეუძლია-მეთქი გაველურების, განადირების, უზნეობის გზაზე წაიყვანოს არა მარტო ცალკეული პირები, არამედ მთელი ხალხები და ქვეყნები და საბოლოო ჯამში – კაცობრიობა, და ჩაძიროს იგი ბოროტების ჭაობში, საიდანაც სისასტიკის, სიძულვილის, ძალადობის, გარყვნილების ლპობაშეპარული, ზინზღლიანი მცენარეთა ყლორტებიღა ამოიყრის თავს. ასე იყო ეს დასაბამიდან: უპირატესად — სწორედ ეს ბიწიერი გონი მართავდა და მართავს ხოლმე დღემდე მეტწილად ქვეყნებისა და ერების ბედ-იღბალს... და საერთოდ, მე რომ მკითხოს კაცმა, კაცობრიობის მთელი ისტორიაც სისხლიანი მარულაა მხოლოდ, ურთიერთხოცვის, დაქცევის და აოხრების. აკი ამბობს კიდეც დანტე თავის „ღვთაებრივ კომედიაში“: „გამუდმებული მტრობის, დაუსრულებელი სისხლისღვრის ადგილია კაცთა საცხოვრისიო“. ჭეშმარიტად. ასგზის მართალია დიდი იტალიელი... მხოლოდ აქა-იქ უდაბნოში ვით ოაზისი, გამოკრთება ხოლმე სიკეთის მარცვალი, მაგრამ რა პატარაა, რა უსუსურია იგი და უმნიშვნელო იმ ოკეანესთან – ბოროტება რომ ჰქვია!..

... ინდონეზიაში ყოფნის დროს მიამბეს იქაურებმა: არსებულა რაღაც სექტა, რომლის წევრებიც როკვით ექსტაზში შესულები, წინასწარ საამისოდ შეგულვებულ თანამოძმეს, რასაკვირველია, – ამ უკანასკნელის სრული თანხმობით და მზადყოფნით, – ამოაჭრიან ხოლმე ცოცხლად გულ-ღვიძლს და მერმე ჯერაც ოხშივარადენილს, იქვე, ნაწილ-ნაწილ გლეჯენ მენადებივით და იქვე მიირთმევენ: ამ გზით ცდილობენ, თურმე, „ეზიარონ“ – უზენაესს! ამის შემდეგ ეძლევიან ერთმანეთში, ცხადია, განურჩევლად – სქესობრივ ორგიებს, ჯგუფურ სექსს და არა მხოლოდ

იქ ხდება ასეთი ამბები... ესენი სულაც არ არიან რომელიმე ველური ტომის წარმომადგენლები. უმეტესობა თეთრკანიანი, ე.წ. ცივილიზებული ერების შვილები გახლავან თურმე!.. და ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი კაციჭამია სექტებია გაბნეული დედამიწის ზურგზე! სხვადასხვა ნიღბით ანდა სულაც უნიღბოდ რომ სჩადიან შავბნელ საქმეებს! რამდენი ველურობა და ვანდალიზმი მკვიდრობს ჯერაც ამ, ვითომდა ცივილიზებულ ცისქვეშეთში – უფლის მიერ ბოძებული თავისუფალი ნების გამოისობით თუ მისი სახელით!.. თუ – უმისოდაც! ერთი რამ ცხადია, ჩემო რემა: ხალხებს, რასებს, სხვადასხვა რელიგიებს, სექტებს თუ კასტებს — საშინლად სძულთ ერთმანეთი, ვერ იტანენ ერთმანეთს და მხოლოდ ხელსაყრელ ჟამს ელოდებიან – გადმოანთხიონ ეს ბოღმა და სიძულვილი ანუ როგორც არაერთხელ ყოფილა წარსულში – დაერიონ და ამოხოცონ ერთმანეთი. – უნებურად მოგაგონდება ხოლმე დიდ იმპერატორთა და საერთოდ, კაცთა მოდგმის ერთი უბრწყინვალესი და ურჩეულესი წარმომადგენლის – მარკუს ავრელიუსის სიტყვები: – მის თანამედროვეთა მიმართ თქმული: „ბილწნი ნახე – როგორ თვქლეფენ, ხვრეპენ, მრუშობენ, გაზებსა და განავალს გამოჰყოფენ და ასე შემდეგ. და მერე როგორ მზვაობენ, მრისხანებენ ან რა ზიზღით დაგყურებენ მათი ბრიყვული სიმაღლიდან – შენ! ბილწნი. ცოტა ხნის წინათ მონური მორჩილებით ემსახურებოდნენ რამდენს! მერედა, რა ფასად და... რად იქცევიან ცოტა ხნის შემდეგ!“ ამაზე არა ნაკლები სარკაზმი როდია გენიოსი მათემატიკოსისა და მოაზროვნის პასკალის სიტყვებში: „რა საზარელი ქიმერაა ადამიანი! რა ენიგმა, რა ურჩხული, რა ქაოსი, წინააღმდეგობების როგორი ხლართი, რა სასწაული! სამყაროსეულ არსთა მსაჯული, მიწის ბრიყვი მატლი, ჭეშმარიტების საცავი. ეჭვებისა და შეცდომების აღუვსებელი საწყაული. სიბილწის ბუდე, სამყაროს დიდება, ბუნების უბადრუკი ნაშთი და ნარჩენი“. აკი, ჩვენი რუსთაველის თქმითაც: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი, გულია ჟამ-ჟამ ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი, გული-ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი, ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერცა პატრონი რომელი!“ ანდა: „ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს და რაღ მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს“-ო, ეს კი რუსთაველის დიდი შთამომავლის დასკვნაა. ხოლო ერთი აღმოსავლელი პოეტის აზრით: „ამ წუთისოფლის დაწყევლილ კვანძებს ვერ ახსნის ბრძენთა გონი და ენა“-ო. „ნახეთ, რარიგად ერთმანეთი შეგვძულებია! ჩვენ აღარ ველით შეწყალებას და შევრდომობას, „ვინაიდან დანტესვე აზრით: „ცოცხლად შთენილნი დღენიადაგ სჭამენ ურთიერთს, თავად ისინიც, საერთო ციხეში რომ ცხოვრობენო“.

სამწუხაროდ, ასე იყო ეს უწინარეს საუკუნეებში, უხსოვარ დროს და

ასეა — ახლაც, დღესაც! ვინაიდან: „რა ქნან? ასეთია მათი ბუნება. და თუმცა ხანდახან მაინც ცდილობენ საერთო, საზოგადო საქმეს დაუქვემდებარონ თავიანთი ანგარება, ყველა ამნაირი ცდა სხვა არაფერია, თუ არა პირფერობა, გულმოწყალეობანას თამაში, ყალბი ქველმოქმედება, ვინაიდან თავი და თავი – მაინც ურთიერთსიძულვილია“, პასკალის ამ სიტყვების, ამ მოსაზრების დაგვირგვინება მასზე ბევრად ადრე ნათქვამი დანტეს სიტყვებია, წეღანაც რომ გავიხსენე: „გამუდმებული მტრობის, დაუსრულებელი სისხლისღვრის ადგილია კაცთა საცხოვრისი“-ო და ყველაფრის სათავე: ანგარება და სიხარბეა ანუ: შენი-ჩემიას-საზრისი!..

აბა, თუ კაცი ხარ, მითხარი: რას გვერჩოდა, ვთქვათ, ჯალალ-ედინი – სხვა მტარვალებს რომ თავი დავანებოთ: – ცხრა მთას იქით გადაკარგულს – მივუარდი, წავგლიჯე რამე? ან: დედ-მამა მოუკალი, ან ახლობელი, სისხლის ზღვაში რომ აბანავა ასი ათასი თბილისელი! რას გვერჩოდა-მეთქი, თუ არა სურვილი – სხვისი ქონების, სხვისი სარჩო–საბადებლის დასაკუთრების? და რამდენი ასეთი ჯალალ-ედინები, თუ ჩინგის–ხანები, თემურ-ლენგები, და სხვანი და სხვანი – დასავლეთელი თუ აღმოსავლეთელი დამპყრობი ახსოვს ისტორიას? აკი ადამიანის ამ გაუმაძღრობაზე, მის დაუოკებელ პატივმოყვარეობაზე ჩივიან თვით ქრისტეს მოციქულებიც! აკი მოციქული პავლე ასე მიმართავს თავის მოწაფეებს: „ნუ კბენთ ერთმანეთს, ფრთხილად იყავით – ერთმანეთი არ მოსპოთო!“. აკი თავის ბრწყინვალე ქადაგებებშიც ოქროპირი ჩივის: „ვერაფერს ვაღწევთ ვედრებით. ვერაფერს – რჩევებით და დარიგებებით, ამიტომ მხოლოდ ტირილი გვმართებსო“. აკი ამიტომაც: „იგი მიენდოს სოფელსა, ვინაც თავისა მტერიაო“, აკი ჩვენი ვაჟაც, ლამის სიღატაკებში რომ აღმოხდეს სული, ჩივის: „ფლიდია ესე სოფელი, ფლიდთა საყრელი ხელისა, კარგებსა ჩაგრავს, უმსგავსთ კი – კალთას აფარებს, შველისა!“, ამიტომაც იქნებ სჯობდა: „წვიმად მოვსულიყავიო!“ გესმით თქვენ, ადამიანებო, როგორი ტრაგედიულია ეს ნატვრა!.. – დიახაც, დედამიწა თუხთუხებს ამდენი ცოდო-ბრალისგან. და არავინ უწყის – როდის წაილეკება ადამიანთა მოდგმა ამ ახალი წარღვნისაგან! ან თავად როდის გასკდება უსასრულობაში მობზრიალე ეს პაწაწკინტელა ბურთი? ან გეგულება იქნებ ვინმე დავით აღმაშენებელივით დამწერი: „გალობანი სინანულისანისა?“

ზოგჯერ, სიმართლე რომ გითხრა, თვით ღმერთის არსებობაშიც მეპარება ხოლმე ეჭვი, ჩემო რემა! არავითარი კანონზომიერება – ყველაფერი ქაოსია!.. არავითარი ისტორიზმი – ყველაფერი განქარვებადია... ალოგიკურია... და საერთოდ: რისთვის გაჩნდა ამქვეყნად ამდენი ხიჭუ-მაჭუ, ამდენი ერთმანეთის მოძულე, ერთმანეთის სისხლისმსმელი

ხალხები? ნუთუ მხოლოდ დედამიწის სტომაქის გასაძღომად-მეთქი? მის გასაპოხიერებლად?

ანდა, ვითღა ითმენს უფალი თავის გაჩენილში ამდენ სიბილწეს და სიაძაგლეს! ხატად თვისადო?! ჰმ!.. ნუთუ, ბერბიჭაშვილის თუ გაგულიასნაირნი არიან ხატად ღვთისად გაჩენილნი, კაცო?.. ძველი რომაელები ამბობდნენ – ადამიანი ადამიანისთვის მგელიაო. ვიცი, შენ შემეპასუხები: იგივე რომაელმა სენეკამ თქვა – ადამიანი ადამიანისთვის წმინდაო. რომელმა გადაწონა? ვისი სიტყვები შეისმინა კაცობრიობამ? იქნებ – მაცხოვრის?

...იულონ ფაღავა ხან სვენებ-სვენებით, თითქოს ყლუპ-ყლუპით სვამსო წყალს, ისე წარმოთქვამდა სიტყვებს, ხანაც ნაკადულივით რაკრაკით – შეუსვენებლად მოედინებოდა მისი ბაგე-პირიდან სიტყვების ნიაღვარი – ათასში ერთხელ თუ შეეპასუხებოდა სმენადქცეული რემა, თორემ სხვა მხრივ, იულონ ფაღავას მჭევრმეტყველურ მონოლოგს არაფერი არღვევდა და თუმც ყალიონის წარამარა ქაჩვით, ხანაც ბოლთის ცემით გარეგნულ მშვიდ იერს ინარჩუნებდა, მაინც ჩანდა მისი ვერდაოკებული შინაგანი მღელვარება, ვერდაუნჯებული გონის ბორგვა და შფოთვაწყვეტება.

...საწოლის თავთით დაკიდებულ ილიას სურათთან შემდგარი, მცირე ხანს მდუმარებას მისცემოდა, მერმე ისევ შეირხა, რემას მოხედა მხარს ზემოთ და განაგრძო შეწყვეტილი საუბარი:

– აი, ამაზე, ნამდვილად ვლოცულობ, როგორც ღვთის შვილზე, რომელიც რაღაც გაუგებრობის ნიადაგზე მოევლინა მე-19 საუკუნის უბადრუკ, დაჩიავებულ ე.წ. საქართველოს... დავით აღმაშენებლის სული განსხეულდა-მეთქი ილიაში, ვთქვი წეღან და როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ შევიფერეთ „ბედნიერი“ ერის შვილებმა: ამაოდ ჩივის და წუწუნებს კიდევ ერთი ჩვენი დიდკაცი: „თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება, ჩემო სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრებაო“! არ გეკადრებაო. არადა, სწორედ ისე მოხდა, როგორც ეკადრებოდა ამ დუხჭირ ქვეყანას!..

რაც დრო გადის, წმინდანის შარავანდედით იმოსება ჩემთვის ილიას სახე, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის იგი მარად დარჩება წმინდანად, შერაცხავს თუ არა მას ოდესმე წმინდანად ქართული ეკლესია... და იცი კიდევ რას ვფიქრობ, ჩემო რემა? არ სტყუოდა ის ბრძენი გერმანელი ფილოსოფოსი: კავკასიურ ანუ ქართულ გონს ძალუძს ახალი ცივილიზაციის შექმნაო, რომ ამბობდა. განა ილია მსოფლიოს გამგებლად არ გამოდგებოდა — თავისი სიბრძნით, გონიერებით, შრომისმოყვარეობით, სამართლიანობით, ანუ კაცური კაცობით? ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობაო — განა ილიასნაირებზე არაა ზედგამოჭრილი? დიახაც, ილისნაირებს ძალუძთ სწორედ ქვეყნიერების მართვა, ოღონდ... მანამდე თუ შინაურმა მენადებმა არ დაფლითეს,არ დაგლიჯეს, თუ საკუთარ ქვეყანაში ბდღვირი არ ადინეს — უჩემოდ ვით იმღერაო!.. რა ილიას შესადარებელია თავისი ზნეობით, მაგრამ აკი პეტრე პირველმა-ბაგრატიონმა — სლავების, სკვითების, სელჯუკებისა და მონღოლთა ნაშიერებს — ამ მომთაბარე ტომებს — არ შეუქმნა განა უზარმაზარი იმპერია“ ჩვენდა სავალალოდ და საუბედუროდ? და რამდენი მისნაირი „ამშვენებდა“ ირანის თუ ერაყის, ეგვიპტის თუ ავღანეთის და სხვათა და სხვათა სასახლეებს? მერე ჩვენ რა? — წამიერი დუმილის შემდეგ ისევ ალაპარაკდა ფაღავა:

თეთრი ირმის ამბავი გეცოდინება... ილიას მკვლელობის ადგილზე რომ მივიდა თურმე, მონადირეთაგან სასიკვდილოდ დაჭრილი!.. ილიას ანგელოზი იყო უთუოდ! და... მოიკლა ისიც – ილიასთან ერთად!.. ალბათ ამ თანადროულობაში – არ იყო ილიას ღირსი ჩვენი ქვეყანა და.. ღმერთმა წაართვა იგი უღირს შვილებს, თავისთან წაიყვანა, გაარიდა ცოდვის ნაშიერთ ერთი დიდი, ჭეშმარიტი ქართველი! „ჩვენი საწყლობის მოზარევ, მანდ დაისვენო ეგება?!“

დიახ. ქართველობის უკანასკნელი მოჰიკანი დაკარგა მომაკვდავმა საქართველომ – იბერიულ-კოლხურმა მოდგმამ! საერთოდ კი: თუკი ოდესმე არსებობდა და რაიმეს წარმოადგენდა საქართველო, თუკი მართლა ზეობდნენ დავითი და თამარი, ჩემი აზრით, უწინარესად იმიტომ, რომ ძლიერი იყო ქართლი. დიახ. ქართლი ადუღაბებდა, ქართლი აკავშირებდა მტკიცედ, ქართლი აერთიანებდა სხვადასხვა ნათესავ ტომს – თავისი მაღალი სულიერებით, თავისი ენით, რელიგიით, კულტურით, თავისი გულღიაობით, სიწრფელით, კაცთმოყვარეობით. გახსოვს, ბალღობაში რომ ვმღეროდით: „ქორთუ, ქორთუ, ეკუმხაშე მორთუ, ართი თხირიშ გურ უღუდდო, თით ჩხოროშა გორთუ! – ქართველი, ქართველი, აღმოსავლეთიდან მოსული! ერთი თხილის გული ჰქონდა და ისიც ცხრად გაყოო!..

როცა მოირღვა ქართლი, როცა მოიშალა და დაძაბუნდა მისი კულტურა – მოირღვა და დაძაბუნდა სრულიად საქართველო, ქრისტიანნი ანუ — ქართველნი! საცა ჟამი შეიწირვისო... ამა ენასა შინა დამარხულ არსო...

ჩემი აზრით, ქართლი არ არის მარტოდენ ტომობრივი, კუთხურობის შემცველი ცნება: არა იგი უსაზღვროა, შორს განფენილია, სამყაროსეულია, კოსმოგენიურია... ანუ: იბერიულ-კოლხურია! ანუ ქალდევურია!

ჰო, ილია ხანდახან გრიგოლ ხანძთელადაც წარმომიდგებოდა ხოლმე,

მაგრამ, ვაგლახ, გაუბედურებულ, ზღუდეებმორღვეულ, დაუძლურებულ ქვეყანას ვეღარ უშველა, ვეღარ უწინამძღვრა ისე, როგორც იყო მოწოდებული იმიტომ, რომ, დიდი ქართლი აღარ არსებობს. ისევე, როგორც არ არსებობს დიდი იბერია და კოლხეთი! გრიგოლ ხანძთელის დროს კი – არსებობდა! არსებობდა იბერიის ანუ ქალდეის დიადი სული და ამიტომაც შეძლო ფიზიკურად ჯერაც დაქსაქსული ტომების სულიერი გაერთიანება...

დასავლეთ საქართველოს ქართველობას – ანუ აფხაზებს, ანუ ჭანმეგრელებსა და სვანებს მიიჩნევენ საქართველოს გაერთიანების მოთავეებად ადრეულ შუა საუკუნეებში. კი ბატონო, მასეა! თუმცა... არანაირი გაერთიანება არ მოხდებოდა, რომ არა ქართული ენა, ქართული ქრისტიანობა, ქართული კულტურა. ვერც ბაგრატ მესამე, ვერც დავით აღმაშენებლი იქმოდა რამეს, რომ არა ეს მყარი საძირკველი! ჩემი აზრით, შემდეგმა ისტორიულმა მოვლენებმაც აკი დაადასტურეს ეს ჭეშმარიტება!

...თემურ-ლენგის რვაგზისმა გამანადგურებელმა შემოსევამ ხერხემალში გადატეხა ქართლი და, მაშასადამე, სრულიად საქართველოც. ვეღარ გავუძელით ეტყობა ამდენ მეხთატეხას, სისხლის წვიმებს, ველურთა გავეშებულ შემოტევებს... უფლის გზას ავცდით, ალბათ, და იმიტომ! სხვები კი, ჩვენსავით მცირერიცხოვანნი თუ მრავალრიცხოვანნი ერები ევროპისა გადაურჩნენ ამ ქარტეხილებს და აღმშენებლობის და აყვავების გზაზე შემდგრებმა, უკან მოგვიტოვეს დიდი ხანია. თუმცა ერთი ევროპელი მეცნიერის თქმით, თემურ-ლენგი თუნდაც ერთხელ რომ შემოსეოდა ევროპის ნებისმიერ ქვეყანას — იგი ფეხზე ვერ დადგებოდაო საუკუნეების განმავლობაში – ჩვენ კი რვაჯერ გადაგვიარეს! თამარის დროინდელი 12 მილიონიანი ერი — მაშინ საფრანგეთში 2 მილიონ ნახევარი მაცხოვრებელი თუ იყო — ახლა შენც ქე ხედავ – სულსა ვღაფავთ, მარტოღა ფიზიკურ არსებობას განვაგრძობთ, ისიც დიდი ვაი-ვაგლახით. ოღონდ სანამდე? არავინ უწყისს!

***

...რასაც ფაღავა ხმამაღლა არ ლაპარაკობდა, ის მის წარმოსახვისა და გონების დაფაზე აღიბეჭდებოდა ხოლმე. ზღვის სიახლოვეს ცხოვრება კი იმიტომ ირჩია, რომ იმთავითვე იზიდავდა გაშლილი სივრცე. ხევ-ხუვებში სული მეხუთეაო იტყოდა ხოლმე. ამიტომაც იყო, მთის მწვერვალიდან გადმოხედვა უსაზღვრო სიამოვნებას რომ ანიჭებდა: მთის თხემიდან ვით ხელისგულზე, ისე იშლებოდა უსაზღვროება ველ-მინდვრებისა... თავის ფელუკას ხშირად დაატარებდა აღმა-დაღმა. ჰორიზონტს მიღმა

ყოველთვის იყო რაღაც შეუცნობი, იდუმალი, ასე ძალუმად რომ იზიდავდა მის სულს. ჰორიზონტი კი, არასოდეს მთავრდებოდა და მაშასადამე, დაუსრულებელი იყო ლტოლვაც. ხმამაღლა არ უთქავამს ისიც, რომ შველი ჰყავდა მოშინაურებული. წინა ზამთარს კარს მოადგა გზა-კვალარეული. შეიკედლა. კოლხური ხოხბები და კაკბები ლამის სახლში შემოჭროდნენ. გრძნობდნენ, რომ აღარ ერჩოდა მათ სახლის პატრონი, რადგან ნადირობაზე დიდი ხნის წინათ აეღო ხელი. სხვები, იცოცხლეთ, არ ინდობდნენ ამ მშვენიერ ფრინველებს, მაგრამ, საბედნიეროდ, ჯერჯერობით აქ ისეთი მასშტაბური სახე არ მიეღო ნადირ-ფრინველთა ხოცვა-ჟლეტას, როგორც სხვაგან. თუმცა, უწყოდა ფრიად კარგად, აქაც რომ შემოაღწევდნენ ადამიანები თოფ-იარაღით და მიჯეგ-მოჯეგავდნენ და მოსრავდნენ აქაურობას, სულ მალე აქაც გააქრობდნენ მათ სახსენებელს.

დილაობით კონცერტებს უმართავდნენ ხოლმე შაშვები და მაფშალიები, თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიანო გალობაში. ღამღამობით კი ტურების კივილი და მგლების ღმუილი ართობდა. თითქოს მართლაც „ფაღურად“ ცხოვრობდა აქ, რადგან თავს თავისუფლად და ლაღად გრძნობდა. ევროპაში ყოფნისას ვერ ეგუებოდა ჰაერში გამოკიდებულ, მიწას მოწყვეტილ, თითქოსდა მხეცთა გალიებისაგან შემდგარ მრავალსართულიან სახლებს, ვერ ეწყობოდა პიჯაკებს, ჰალსტუხებს, ფართხუნა შარვლებს. ჩვენებური ჩოხა-ახალუხი ბევრად უფრო პრაქტიკული და კოხტა ეჩვენებოდა. თავდაპირველად, ვერ ხვდებოდა ამ თავისი სულიერი წუხილის მიზეზს. შემდეგ და შემდეგ გაიაზრა ის გარემოება, რომ ადამიანი მოწყდა დედამინას, ძალა დაატანა თავის სულს, თავის ნებასურვილს და ცივილიზაციის სახელით, ნებსით თუ უნებლიეთ, მოთხარა, ამოგლიჯა ნიადაგიდან თავისი ფესვები. რაც დრო გავა, ალბათ, უფრო შეგვიპყრობსო გაუცხოების გრძნობა ერთმანეთის და დედაბუნების მიმართ – ფიქრობდა სინანულით. ის, რაც ევროპაში უკვე თვალნათელია, ჩვნშიაც იჩენს თავს უთუოდ და მაშინ ეგების გვიან იყოს უკვე თითზე კბენანი. რაკიღა ბუნებას ბრძოლა გამოვუცხადეთ, რაკიღა დაუნდობლად ვასახიჩრებთ მას, ანუ თანდათანობით ვანგრევთ იმ საძირკველს, რომელსაც ვეყრდნობით, უეჭველად დავისჯებით ამის გამოც სასტიკადო. არ გვაპატიებს დედაბუნება ამ ძალადობას მის მიმართ. შურს იძიებს უცილობლად ამ უგუნურ, ყოყლოჩინა ჰომო – საპინესზეო.

– შეიძლება შენც მკითხო ზოგიერთივით – მარტო რაფერ ძლებ, არ გბეზრდება მარტოობაო. და გულშემატკივრულად მირჩიო ეგება ცოლის შერთვა. მგონი, გაგიელვა კიდეც თავში ასეთმა აზრმა, ჩემო რემა! ხომ მართალია? დუმილი დასტურის ნიშანია. ჰოდა, უნდა მოგახსენო

გულწრფელად და პატიოსნად: სრულებით არ მაწუხებს მარტოობის გრძნობა. თავადაც ხედავ, რამდენი მეგობარი მახვევია გარშემო ჩემი უტყვი ცხოველების სახით. ამ პოინტერს რომ უყურებ, ზოგ ადამიანზე უფრო გონიერი და ერთგულია. ჩემს ვილის ისე ვესაუბრები ხოლმე, როგორც მეგობარს და მასაც ყველაფერი ესმის, მიგებს და მითანაგრძნობს კიდეც.

შემდეგ... ეს წიგნები მიწევენ ადამიანების მაგივრობას. ესენიც ერთობ უღალატონი და ერთგულები არიან. და, რაც მთავარია, ბუნებასთან სიახლოვე ისე მივსებს სულს და გულს, სხვა აღარაფერი მომინდება ხოლმე. ჩემში უთუოდ გაიღვიძა ატავისტურმა გრძნობამ... მიწას რომ ხელით ვეხები, უზომოდ მსიამოვნებს, მსიამოვნებს მისი სურნელი. მსიამოვნებს ფეხშიშველა სიარული... მიწასთან სიახლოვე საერთოდ...

ხომ ასე განდეგილად ვცხოვრობ თითქოს, მაგრამ არასოდეს მიფიქრია-მეთქი ბერად შედგომა... ალბათ იმიტომ, რომ ბერად შემდგარს იმ პირუტყვებისთვისაც უნდა მელოცა, ვითომ ადამიანები რომ ჰქვიათ! მეორეც, არანაირი სურვილი არ გამაჩნია-მეთქი დავთრგუნო ჩემში, ანდა ვებრძოლო ჩემს ბუნებრივ მოთხოვნილებებს.

აქაც ილიას მიმდევრად მიმაჩნია ჩემი თავი, მისეული განდეგილის მრწამსს ვიზიარებ... ისე, საერთოდ, სულიერად მდიდარი ადამიანი, – მე კი ასეთად ვრაცხ ჩემს თავს, – ყოველგვარი მოჩვენებითი თავმდაბლობის გარეშე – შეუძლებელია მარტოობას განიცდიდეს, მით უმეტეს ასაკში რომ შედის. თუ არ ვცდები, დაახლოებით ამასვე ამბობს შოპენჰაუერი: სიბერისა და მარტოობის სულით ღატაკებს უნდა ეშინოდეთო...

სხვათა შორის, სულიერი სიმდიდრისათვის სულაც არაა აუცილებელი მოიარო მთელი ქვეყნიერება კიდით კიდემდე! თუ სულით მწირი და დუხჭირი ხარ, ასეთად დარჩები თუნდაც მსოფლიონავალი იყო...

როგორც ამბობენ, ჟიულ ვერნს, მგონი, ფეხი არ გაუდგამს თავისი კაბინეტიდან, მაგრამ ბევრ მოგზაურზე უკეთ შეიცნო, სხვაზე რომ არაფერი ვთქვა – და გაითავისა მრავალი ქვეყნის ზნე-ჩვეულება და ბუნება და, რაც მთავარია, შეძლო სხვებისათვის დაენახვებინა თავისი შინაგანი მეთი დანახული და აღქმული ქვეყნიერება... რასაკვირველია, ღვთით მომადლებული ნიჭის წყალობით! და საერთოდ, გულახდილად რომ ვთქვა, მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს უზენაესის მიმართ. ქედს ვიხრი, ცხადია, მისი ყოვლისშემძლეობის, დაუსაბამობისა და უსაზღვროების წინაშე, მაგრამ ჩემი არარაობის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად ვუწყი, ამაოებათა ამაოა ყოველივე ამ ცისქვეშეთში, რომ მიწა ვარ და მიწადვე მივიქცევი, ვუწყი, სიმუხთლე ჟამისა და ისიც, წუთისოფლის სტუმრები რომ ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება, რომ

ღამის სიზმარივითაა ესე სამყოფელი კაცთა, რომ ჭია-ღუა ვარ მხოლოდ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ყოველივე ამისდა მიუხედავად, მინდა, რომ აქ, დედამიწაზე სანამ ვარ, სანამ სული არ გაცლია ჩემს სხეულს და სხვა სამყაროში არ გადახვეწილა, მინდა ვიყო ისე, როგორც მე მსურს, როგორც მე მწადია – რასაკვირველია – შეძლებისამებრ! ანუ ვიყო ჩემი თავის უფალი – გესმის? თავისუფალი, თუნდაც იმ სიკვდილ-სიცოცხლის დასაზღვრულ ფარგალში – უზენაესმა რომ დამიწესა...

ხოლო სახელმწიფო – მონარქიული იქნება ის თუ რესპუბლიკური – ის მაინც მოძალადეა პიროვნების, ასეა თუ ისეა – მაინც დამთრგუნველია, რასაკვირველია, მეტ-ნაკლებად (სხვათა შორის, ქართულ ენაში მშვენივრადაა ასახული კიდეც ეს გარემოება: ძალა-უფლება, ე.ი. ძალის უფლება, ხელის უფლება!).

... ჩემი ადრინდელი უსაზმნო სწრაფვა და ლტოლვა საქართველოს... უკაცრავად, ე.წ. საქართველოს თავისუფლებისკენ – ახლა მესახება, როგორც ერთგვარი მონობის გამოვლენა, მისი ნაირგვარობა. დიახ, დიახ! იდეის ფანატიკური მიმდევარი ხარ თუ საკუთარ გულისთქმათა თუ სურვილების – ეგ სულერთია. იგი გარკვეულწილად მონობაა მაინც პიროვნებისა, მისი შინაგანი მეობის დაკაბალებაა, თუნდაც რაგინდარა კეთილშობილური მიზანი არ გამოძრავებდეს...

არადა, ადამიანს, თუნდაც მონობაში დაბადებულს, უნდა შეეძლოს იყოს არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ სამყაროს და მსოფლიოს მოქალაქეც, უნდა ძალუძდეს ამ სააქაოშიც ეზიაროს ზესთაზენურ სიბრძნეს, მისწვდეს ტრანსცენდენტურს, შეიმეცნოს ყოფიერების ჭეშმარიტი არსი და კოსმიური საიდუმლოებანი... ისე რომ, მიწიერი არ უარყოს და მშობლიურსაც არ მოწყდეს! მოკლედ, მინდა ვირწმუნო, რომ თავი ჩემი მე მახლავს და რაკი ასეა, ღარიბად არ ვიხსენები...

საერთოდ, ამ ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ვფიქრობ რუსთაველზე... ალბათ, მართლაც მე-12 საუკუნის საქართველოში თუ იყო შესაძლებელი შობილიყო ასეთი ზეგენიალური პიროვნება!..

მისი გმირები არც ერთ ერს არ განეკუთვნებიან. აქაც მართალი იყო ილია და ტყუილად ედავებოდა მას ჩემი საყვარელი პოეტი აკაკი. რუსთაველის გმირები ყველასია, რადგან ისინი ზოგადკაცობრიულ იდეალებს ესწრაფვიან. ავთანდილი ვითომ არაბია, ტარიელი – ინდოელი, მაგრამ ტარიელი რომ არაბი იყოს, ხოლო ავთანდილი ინდოელი – ამით არაფერი შეიცვლება მათ ხასიათში, მათ სულიერ წყობაში. ასევე, ჩააცვი თუ გინდა მათ ქართული სამოსი, მაინც უცვლელნი იქნებიან, რადგან ისინი მსოფლიოს მოქალაქენი არიან და არა რომელიმე კერძო ქვეყნისა – თავიანთი რაინდული თუ მდაბალი ბუნებით. დიახ, მდაბალი

– რადგან ადამიანური სისუსტეები არც მათთვის – ამ რაინდული კასტის წარმომადგენელთათვისაა უცხო – თუნდაც ქალის დავალებით მიპარვით მოკვლა მძინარე კაცისა რად ღირს! ასეა... ასეთია ბუნება მიწის შვილისა და რუსთაველიც, ჩემის აზრით, იმიტომაა ზე გენიოსი, რომ თავის რჩეულ გმირებსაც არ ინდობს და პირუთვნელად წარმოაჩენს მათ ღირსება-ნაკლოვანებას.

სხვა საქმეა, პოეტი რა საძირკველზე აგებს თავის გმირთა სახეებს, რა საფანელს უდებს მათ – ეს პოეტის, ასე ვთქვათ, ლაბორატორიაა. ჩემი აზრით, ეროვნული ჩარჩო ასეა თუ ისეა, რამდენადმე მაინც ზღუდავს ხოლმე შემოქმედს და საერთოდ, პიროვნებასაც.

ეგებ ეს ამბავი სხვებზე უკეთ სწორედ თავად შემოქმედმა უწყის, მაგრამ... ვერ გაქცევია სისხლის ყივილს, ხან ძალუმად, ხანაც ქვეცნობიერად რომ ხმაურობს მის ძარღვებში. რუსთაველმა სძლია ამ შემბოჭავ არტახებს, ალბათ იმიტომაც, რომ... მართლაც ბედნიერი ერის შვილი იყო! მას არ სჭირდებოდა თავისი ქართველობის მტკიცება: მან ეს თავისი უბადლო, სწორუპოვარი ლექსით ანუ ქართული ენით შეძლო! ესაა სწორედ ჩემი აზრით, მისი ეროვნულობა და ზეგენიალურობაც. მსოფლიო ლიტერატურაში მისი ბადალი არავინ არ მეგულება მე პირადად... ისევე როგორც ჩვენი ვაჟა – დიახ, ვაჟა-ფშაველა გახლავთ მსოფლიო უნიკუმი!

ისე კი – ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, – გაუბედურებულ-დაგლახავებული ქვეყნის ნაშიერთ აბა, რა გვეთქმის!.. ისე, ვცადე მეც ვითომ დამეწყვიტა ამქვეყნიური ყოველგვარი ბორკილები, მაგრამ... როგორც ხედავ, ვერ შევძელი ბოლომდე: ისევ ისე ამ ე.წ. მშობლიური ანუ მაინც საყვარელი მიწის ნაგლეჯი ვირჩიე უკანასკნელ ნავთსაყუდელად!..

***

...და თუმცა ცეცხლს იყო მიფიცხებული, რამდენჯერმე მაინც შეაჟრჟოლა რემას. ეს გულ-ღვიძლიდან დაძრული სიცივე გახლდათ, სხეულს ყინულოვან ნაკადებად რომ უვლიდა. ასეთ დროს ლოცვა შველოდა ხოლმე, გულში უჩუმრად, უხმოდ წარმოთქმული ლოცვა, მაგრამ ახლა რატომღაც ვეღარ მოეგონებინა ვერც ერთი მათგანი. დაფანტულ-გალალულიყვნენ ისინი გონების არედან და დაცარიელებული სულიდან. კარგა ხანს გაგრძელდა მძიმე დუმილი. მერმე, დიდი ხნის მერმე შეძლო რემამ აზრების მოკრება და ხმის ამოღება. მუხლებზე ხელებდაბჯენილი, ნაღვერდალს მიჩერებული, შეესიტყვა იგი მასპინძელს თავისი წყნარი, მშვიდი ხმით.

– მე ამაღამ იმდენი რამ მოვისმინე... ისეთი რამეები გადაგხდენია

თავს, იმხელა სულიერი ტკივილები გადაგიტანია, რომ... არც კი ვიცი, რა გითხრა... ერთი რამ კი ნათელია ჩემთვის, რომ შენ, ნუ კი მიწყენ, იუ, და მაინც მეტისმეტად დრამატულად აღიქვამ ისედაც დამძიმებულ ვითარებას... თუმცა... მარტო შენ არ მოგდის ეს!.. ეტყობა, ჩვენ, საზოგადოდ, ძალიან ემოციურები ვართ და, ალბათ, ამის ბრალიცაა ეს გარემოება... ხოლო რაც შეეხება შენს განდგომას: ჩემის აზრით, ესეც ჩვენი საერთო სენის – ამპარტავნობის თავისებური გამოვლენად მიმაჩნია იგი: ღვთისადმი დაუმორჩილებლობის, განგებისადმი პროტესტის ერთგვარი ფორმაა იგი. შენი თქმის არ იყოს, ჩვენ ხომ მოჭარბებულად მოგვდგამს ეს თვისება. ჩვენი ამირანიც ხომ ქედმაღლობის გამო მიაჯაჭვეს კლდეზე!

– ამირანი ღმერთთან მებრძოლი გმირია!

– ჰოდა, შეიძლება ამიტომაც დაისაჯა-მეთქი! ეს გოროზობა – შერწყმული პატივმოყვარეობასთან ხომ ხშირად ქცეულა კიდეც ჩვენი უბედურების მიზეზად. როგორც ჩანს, ქრისტიანობამაც ვერ გვიშველა მაინცდამაინც, ვერ განგვკურნა ამ სენისაგან, იმიტომ რომ, ეტყობა, ძალიან მაგრად ზის იგი ჩვენს არსებაში, ღრმად აქვს ფესვები გადგმული...

— მეც მაგას ვამბობ, ქრისტიანობამ, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ეტყობა, ჩვენშიც ვერ შემოაღწია“, ღრმად, მკვეთრად!... არ ვგულისხმობ, ცხადია, ჩვენს წმიდა მამებს, ქრისტეს რჯულისთვის თავშეწირულებს

— მაპატიე, მაგრამ მაგაში ვერ დაგეთანხმები, ჩემო იუ.ილიას თქმითვე, აკი ქრისტეს რჯულისთვის თავშეწირული ერი ვართ!.. იმდენი წმინდანი და მოწამე, რამდენიც ჩვენ გვყავდა, ალბათ არ დაიძებნება სხვაგან არსად — დედამიწის ზურგზე! ჩვენი უბედურება — ურიცხვ მტერთა გამანადგურებელი შემოსევების გარდა, სხვა რამე მგონია...

– რა მაინც?.. რატომ გაჩუმდი?

– ჰო, აი, რა უნდა მეთქვა: მე მგონია, ჩვენი ხალხის გასაოცარი ნიჭიერების და სიცოცხლისმოყვარეობის წყალობით, სიცოცხლის უძღები წყურვილის გამო ვერა და ვერ შევგუებივართ, ეტყობა, ამაოებას ამა სოფლისას – ვერასდიდებით!.. ამიტომაა ალბათ მეტწილად ღვთის მიმართ მორჩილების კი არა, ხშირად მეამბოხის სულს ვატარებთ ხოლმე... ჩვენი ამირანივით – შეიძლება, ჩვენდა უნებურად, ქვეცნობიერადაც კი! არადა...

გენიალურმა ქართულმა სიტყვამ – წუთისოფელმა – უკვე დაიტია მთელი სიგრძე-სიგანით ჩვენი წამიერი ყოფიერების – რინას – არსი ამ მზისქვეშეთში. უფრო მეტიც: წუთისოფლის სტუმრები ვართო და ამით თითქოს მოგვიჭრა მეტისმეტად თავგასულობის თუ თავმოთნეობის წადილი – რაკიღა დროებით მოვლენილები ვართ ამ მიწაზე, რაკიღა უფლის ნებით მოვექეცით დაბადება-სიკვდილის ფარგალში ანუ დასაზ-

ღვრულ დროში და რაკიღა მოგვეცა ნების თავისუფლება – ჩვენზეა დამოკიდებული – რას ავირჩევთ: სიკეთეს თუ ბოროტებას. კაცის გულში კი, აკი, ორივე ბუდობს, ბუდობს დასაბამიდან, გაჩენის დღიდან — დღემდე!

ჰოდა, ამდენად ბიწიერი გონის გვერდით უსათუოდ არსებობს ნათელიც, კეთილიც. იმთავითვე ერკინებიან ისინი ერთმანეთს. ამ ჭიდილში ხან ერთი იმარჯვებს – ხან მეორე. კეთილის ნიადაგზე სიყვარულის ყვავილი აღმოცენდება ხოლმე, ბოროტისაზე – სიძულვილი და მტრობის შხამიანი ლენცოფა.

ბოლოს და ბოლოს, შენც კარგად უწყი ეგ, ჩემო იუ, თუ თვით ადამიანის გული რომაა ჯოჯოხეთის და სამოთხის ადგილსამყოფელი! დამონებულ ერში კი, როგორიც ჩვენია, ცხადია, ბოროტი უფრო ჭარბობს. ჰოდა, ასეთ ვითარებაში სიკეთის მატარებელმა შეძლებისდაგვარად უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ სიკეთის მხარეზე დააყენოს სხვაც, მით უმეტეს – კაცთა საკრებულო ანუ მთელი ხალხი, მთელი ქვეყანა! მოგაგონებ იოანე მინჩხის სიტყვების: „ჟამმნი ჩემნი ვითარცა რაი სიზმარნი განქარდებიან და დღითიდღე მოაკლდების რიცხვსა აღრიცხულთა დღეთა ჩემთასა, და ყოვლისავე დამხსნელ არს სიკვდილი, აწ ვიღვაწოთ, მოსვლამდე მისსაო!“

ვიღვაწოთო, გესმის? მით უმეტეს თუ ის ერის წინამძღოლია, უნდა აკეთოს ის, რასაც ილია აკეთებდა და... რაც არ დააცალეს, სამწუხაროდ ჩვენდა...

– საქმეც ეგაა, რომ... არ დააცალეს! და ვინ არ დააცალა, ეს ხომ შენც მშვენივრად მოგეხსენება! ამიტომაც ვამბობ: არ არსებობს შეგნებული ბრბო. თუნდაც ე. წ. თავისუფალი ქვეყნის ბრბო იყოს იგი. – უცებ მოჭრა ფაღავამ და ჰაერი ხელის მკვეთრი მოძრაობით გააპო:

და შემდეგ განაგრძო: შენ რომ კაცთა საკრებულოს ეძახი, ჩემო რემა, იგი მხოლოდ სიავისთვისაა გაჩენილი-მეთქი. ბრბოს მხოლოდ სისხლი სწყურია... ბრბომ ჯვარზე უნდა გააკრას სიკეთე – „ჯვარს აცუ ეგე, ჯვარს აცუ ეგე!“ – ესაა მისი მოწოდება და დანიშნულება ამქვეყნად. ცხოველური, ქვენა ინსტინქტებით შეპყრობილი ბრბო სასტიკი და დაუნდობელია-მეთქი დასაბამიდან დღემდე!.. ერთი პატარა წკიპი, ერთი პატარა ბიძგია საჭირო, რომ მრავალთა თავყრილობა ერთბაშად იქცეს ველურთა ხროვად-მეთქი!

ამ სულით პლებეებმა არ აჩეხეს განა ღვთაებრივი პითაგორა! არ დაფლითეს ორფეოსი? სიცოცხლე არ მოუსწრაფეს სოკრატეს? უმოწყალოდ არ დევნეს პლატონი? განა არ გვემეს და ჯვარს არ აცვეს მაცხოვარი – მათი სულის გადამრჩენელი-მეთქი? ყაჩაღი ბარაბა არ არჩიეს

ქრისტეს?

ჰოდა, ამიტომაცაა ალბათ დღემდე ავაზაკური გზით მიედინება მისი ცხოვრება, ერთი ფილოსოფოსის თქმის არ იყოს! იქითკენაც ჰქონია გზა! კანონზომიერი იქნება დასასრულიც... მე მგონი, შორს აღარაა-მეთქი აპოკალიფსისი!.. მანამდე კი, მანამდე ეს უმეცარი, ხარბი, შურიანი, რეგვენი და ბნელი ბრბო მომავალი მიწიერი სამოთხის აშენების ილუზიით უნდა კვებონ მავანთა! დიდებულად, შესანიშნავად მოფიქრებული აზრია სატანის მიერ, ვერაფერს იტყვი!.. ვინაიდან: „მეძავ არს სოფელი ესე და სიყვარულსა ერთისა თანა არა დაადგრების“ ეს ე.წ. დღევანდელი ცივილიზაციაც, ფლობერის თქმით, აკი სანდომიანი კახპაა! და ამაოა მოწოდება მავანთა: „ადამიანებო, იყავით ადამიანი!“ ვინაიდან... ყველაფრის ქვაკუთხედი, მისი თავი და ბოლო — ეშმაკის ოქროს კვერთხია — რუსთაველის თქმით ანუ — ოქრო, ფული განაგებს მსოფლიოს!

საერთოდ კი — ყველა დროის ტირანიებისა და დემაგოგებისათვის საყრდენი ყოველთვის ეს ბნელი ბრბო გახლდათ და არა – პიროვნებანი! – საჩვენებელი თითი მაღლა ასწია ფაღავამ თვალებაკვესებულმა: – ისე, კაი სანახავი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, მკრეხელთა და მძარცველთა, გონებით მწირთა და დუხჭირთა, ცრუთა და ორპირთა, ფარისეველთა და მაწანწალათა, ღატაკთა და მედროვეთა, ქარაქუცათა და ბოგანოთა მიერ – კაცთა ძვლებზე აგებული – სამოთხე!

ფაღავას სიცილი აუვარდა ანაზდად, იცინოდა ხმის ჩახლეჩამდე – ავად, ნიშნისმოგებით. მერე უცებვე შეწყვიტა სიცილი, ბუხარში შეაწიტა და მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ განაგრძო: – ზოგიერთი „კეთილმოსურნე“ წეღან გითხარი, ცოლის მოყვანასა და შვილების გაჩენას მირჩევს-მეთქი. ჰმ! ჰმ! თურმე მესამე ანდა მეოთხედასელებს – ეს სულერთია – უნდა გავუზარდო – საკბილო! ნურას უკაცრავად! არ გავუზრდი-მეთქი გლადიატორების სისხლიან არენად ქცეულ ქვეყნიერებას, სვავებივით სისხლმოწყურებულ მსოფლიო მაგნატებს – საკბილოს ანუ: საზარბაზნე ხორცს-მეთქი! იმათ, რომლებიც ვერა და ვერ ძღებიან სიმდიდრით, სხვათა უბედურების ფასად რომაა მოხვეჭილი – ნურას უკაცრავად, ჩემო ბატონო! ნურას უკაცრავად! არ გახლავართ მაგ ჭკუაზე. ეგ საკენკი სხვებს დაუყარონ. მე კი... მშვენივრად ვუწყი, დღეს იქნება თუ ხვალ – მენშევიკების თუ ბოლშევიკების თუ მათთა მსგავსთა – წერა რომ გახდება ეს ე.წ. საქართველო და, არა მარტო საქართველო. მსოფლიო მოიმკის იმას, რაც დათესა და რისი ღირსიცაა და ახიც იქნება! ხოლო ილიას მკვლელ ქვეყანას უკეთესი ხვედრის მოლოდინი არც უნდა ჰქონდეს-მეთქი. ჰოდა, არც ვაპირებ გავახარო სალახანები ჩემი შვილების დახოცვით,

ვერა, ვერ ეღირსებიან მაგ სიამოვნებას ეგძაღლთაპირები, ეგ პირსისხ-ლიანი ოლიგარქები!

– ისე გამოდის, ჩემო იუ, რომ ყველანი, შენს გარდა და მეც მათ შო-რის, ბრიყვი და სულელი ვყოფილვართ? – მშვიდი ხმით შეეპასუხა რემა და ულვაშებში ჩაიღიმილა: – მით უმეტეს, მე მთლად წყალწაღებული გამოვდივარ! საკუთარის გარდა, სხვის ბავშვებსაც რომ ვზრდი!

– სხვისას ზრდი?!

– ჰო. ჩვენი სოფლის ობოლი ბიჭია ერთი, ხოლო მეორე... არ ვიცი, რუსისაა თუ უკრაინელის – მიტოვებული ბაღანაა... მაგრამ ეს არაა მთა-ვარი, მთავარი სხვა რამ გახლავთ... – შეჩერდა წამით.

– შენ... შენ ხომ ამ სოფლის არა ხარ, ჩემო რემა! შენ ეს – ზოგადად ცხოველები... ადამიანებად რომ არიან წოდებულნი – გიყვარს და... გე-ცოდება! ეჰ, აბა, რა უნდა გელაპარაკო! – თავი გადააქნია ფაღავამ სინ-ანულით. – მე კი, შემჯავრდნენ-მეთქი, რადგან მათი უმრავლესობა მიწის მღილებადაა მართლა გაჩენილი, მხოლოდ მიწის გასანაყოფიერებლად დაღოღავენ ეს სახელოვანი თუ უსახელო ჭიაღუები – მეტი არაფერი! – კვლავ შეაპურჭყა ბუხარში ფაღავამ მერე ჩაიცინ-ჩაიხვიხვინა თავისე-ბურად და განაგრძო: – ისე კი, მე რომ მკითხოს კაცმა, ადამიანი მარტო ლუკმა-პურის საშოვნელად არ უნდა იბადებოდეს ამ ქვეყნად...

... ჰო, მართლა, ადრე ამ გასაცოდავებულ ე.წ. საქართველოს ბრბო მაინც არ ჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, გამოკვეთილი ბრბო. ავი იყო თუ კარგი, აქ ძირითადად მაინც პიროვნებანი იბადებოდნენ. ახლა კი... ახლა ყველაფერ სიკეთესთან ერთად – ახლა საკუთარი ბრბოც გაგვიჩ-ნდა-მეთქი, ასე ვთქვათ, მშობლიური, ეროვნული, უკაცრავად... ინტერ-ნაციონალური ბრბო – რუსეთუმე სოციალ-დემოკრატების თუ სხვათა და სხვათა გულის გასახარად და მათ საამებლად! – ისევ აიტეხა სიცილი ფაღავამ. მერმე სავსე ჭიქა ღვინო ერთბაშად გადაუშვა პირში. დინჯად, აუჩქარებლად მოიწმინდა ბაგე ხელისგულით, მერმე ტაბლაზე დადე-ბულ ყალიონს გადაწვდა კვლავ და თან ცერად გახედა ხმაგაკმენდილ რემას: თითქოს უჩუმრად იწვევდა ისევ საპაექროდ.

რემამ მშვიდად ჩამოისვა თავის ჭაღარა, მოკლე წვერზე ხელი, შემ-დეგ მშვიდადვე გაისწორა ულვაში და ფიქრიანი ხმით თქვა:

– და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, მე ღრმად მწამს და მჯერა, იუ, რომ საქართველო ღირსია და უნდა გადარჩეს კიდეც, როგორც კაცო-ბრიობის ერთი პატარა, მაგრამ უმშვენიერესი სამყოფელთაგანი, მისი თვალ-მარგალიტი, მისი ფუძე და ძირი: რადგან...

– დაიცა, დაიცა, თუ ღმერთი გწამს! – კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა ფაღავამ: – ვინაა, კაცო, გადარჩენის ღირსი? ქვეყანა, ვის წიაღშიც

ილიასნაირთა მკვლელები იბადებიან? არ შემშალო ახლა! – ფაღავამ ჰომერული სიცილი აიტეხა ისევ. დიდხანს, დიდხანს იცინოდა ხრინწგა-რეული ხმით. მერმე ხველება აუვარდა. როგორც იქნა, მოიბრუნა სული, თან ხელისგულით ამოიწმინდა ცრემლმოდენილი თვალები და ზიზღნა-რევად ამომარცვლა:

– ერთი ეს გამაგებინე, თუ კაცი ხარ: რა შავ ქვად და ცხელ ნაცრად უნდა გადარჩენა ამ ე.წ. საქართველოს, თუნდაც იბერიის ან კოლხეთის მემკვიდრე იყოს იგი? ვთქვათ და, უფალმა მოიღო წყალობა და, შენი თქმით, გადაარჩინა მართლა – რაკი თვითონ არაფერს ღონობს საამისოდ. ვის რად არგია ამისთანა ხალხის ყოფნა-მეთქი? ქართველთა ბუნება ორ-გულ არსო, ვინა თქვა?.. რას შესძენს ისედაც ურიცხვი ცოდო-ბრალით დამძიმებულ კაცობრიობას ამ ერთი მტკაველა დაქსაქსულ-დაკორტ-ნილი და დაძიძგნილი, ბოროტებაში ჩამხრჩვალი ქვეყნის არსებობა?

ან ამ არაკაცობრიულ, ეფემერულ, წინასწარ დადგმულ სპექტაკ-ლებში მისი მონაწილეობა? რა როლი უნდა შეასრულოს მან? სტატისტის თუ... სატანის?

– იუ, მაპატიე, მაგრამ... შენ მგონი გაბოროტება გალაპარაკებს ასე! – კვლავ ნირშეუცვლელად შეესიტყვა რემა: – შენი თქმით, ამ კაცო-ბრიულ, წინასწარ დადგმულ სპექტაკლში ხომ სულ რამდენიმე ხალხის ნაღვაწ-ნაშრომი იმსახურებს კაცობრიულსავე ყურადღებას: შუმერების კულტურა, ვედებისა და ავესტის შემქმნელნი, ჩინელობა და ძველი ეგ-ვიპტე. ხოლო მრავალრიცხოვნება რომ სულაც არ ნიშნავს სიდიადეს – ეს შუმერულმა, იგივე, კოლხ-იბერიულმა ცივილიზაციამ, ებრაელობამ, ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა დაამტკიცეს. ათენში, მე მგონი, სულ ოცდაათიათასამდე მაცხოვრებელი თუ იყო, მაგრამ სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო პლატონი ეყოფათ ათენელებს თავმოსაწონებლად. ებრაელობას რაც შეეხება, ამ ერთმა მუჭა ხალხმა ჯერ კიდევ ჩვენს წელ-თაღრიცხვამდე მ-II საუკუნეში მწყემსი მეფის ბაგიდან იღაღადა უკვდა-ვი ფსალმუნის, სხვას რომ თავი დავანებოთ!

– ებრაელობა თავის თავს მიხედავს! აი, ჩვენ კი, ჩვენ ვერანაირი კონცეფციები თუ თეორიები ვერ გვიშველის-მეთქი, რადგან... ერთობ სუსტნი და უძლურნი აღმოვჩნდით განსაცდელის წინაშე, წერა-მწერალ-მა რომ მოგვივლინა. თან გასაოცარია, კაცო, ჩვენი ამბავი: თვით ტომას მორსაც არ სჯეროდა თავის უტოპიური სოციალიზმის. ჩვენ კი რომის პაპზე უფრო კათოლიკეებად მოგვაქვს თავი! „ვიდრემდის, უფალო, და-მივიწყებ მე სრულიად! ვიდრემდის გარე მიიქცევ პირსა შენსა ჩვენგან?“ – ამაო ღაღადისია, რადგან უფალმა მართლაც „გარემიიქცია პირი“ ჩვენგან... სამუდამოდ, ვითარცა უღირს შვილთაგან. ასეა ეს, ჩემო ბა-

ტონო, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ეს ამბავი!

– ცდები-მეთქი და თან საშინლად მკერეხელობ, იუ!.. ერმა, რომელმაც...

– მოიცა, თუ ძმა ხარ! – უკმეხად შეატეხა კვლავ სიტყვა ფაღავამ, – მოიცა ერთი. შევეშვათ ამ მაღალფარდოვან სიტყვებს: ერმა, რომელმაც შვა პეტრე იბერი, დავით აღმაშენებელი, თამარი, შოთა რუსთაველი და ა.შ. ვიცით ბატომო ეგ! აკი ჩვენს გონზეც ითქვა ეს! მერედა, ხალხი რა? რას მატებს ხალხს გამორჩეულთა დიდება? ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს-მეთქი ზეკაცთა – ამ რჩეულთა და ზიარებულთა კასტის ერთადერთობას და მარტოსულობას. მართალია ნიცშე: მთელი კაცობრიობა, ალბათ, სწორედ ამ ზეკაცებისთვის და ღვთისშვილებისთვის შეიქმნა – მათდა საწამებლად და სატანჯველადვე. სხვა დანარჩენი – გინდ სახელიანი იყავი, გინდ – უსახელო – მიწის მღილები და ჭიანჭველები ვართ-მეთქი, მხოლოდ ნიადაგის გასაპოხიერებლად გაჩენილნი-მეთქი ამ ქვეყიერებაზე. ანუ: გრ. ორბელიანის მუშა ბოქულაძის თქმით: „სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!“ მორჩა და გათავდა!

– იუ, მაპატიე, მაგრამ, გარდა იმისა, რომ შენ მკრეხელობ, ივიწყებ, აგრეთვე, რომ ჩვენმა ერმა, სხვას ყველლაფერს რომ თავი დავანებოთ – შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი და უსრულყოფილესი დამწერლობა: თანაც – სამი! და წეღან რომ ვთქვით – ის მრავალხმიანი, პოლიფონიური, მართლაც კოსმიური, ღვთაებრივი სიმღერები და ცეკვები, რომელსაც ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში მღეროდნენ-მეთქი ჩვენი წინაპრები. – რემა ხმადაბლა, მშვიდად, დაბეჯითებული კილოთი ლაპარაკობდა:

– ეს სიმღერები, საგალობლები და ცეკვები სასწაულია, იუ და თუ მართალია ის, რომ სიმღერა ერის სულის, მისი ფსიქიკის გამომხატველია, მაშინ უზარმაზარი, ზესთაზენური სამყაროს სიდიადე და უსაზღვროებაა ამ ჰანგებში განფენილი...

ამას წინათ, ჩვენი გუნდის რამდენიმე წევრი და მე – გურიაში გახლდით-მეთქი, სიმონიშვილებსა და ერქომაიშვილებთან. კახეთიდან იყვნენ-მეთქი სტუმრები... ყველამ ჯერ ჩვენ-ჩვენი კუთხის ვიმღერეთ, მერე – ერთმანეთის...

ეს განუმეორებელი, ზღაპრული საღამო იყო, იუ! ქართლურ-კახურ „მრავალჟამიერების“, „შენ ბიჭო ანაგურელოს“, „ჩაკრულოს“, „წინწყაროს“ „შავო მერცხალოს“, სვანური „ლილეს“, მეგრული „ოდოიას“ თუ „ჩელას“, გურული „შავი შაშვის“ და „ხასანბეგურას“ და მრავალ სხვათა მსგავსი არაფერი მეგულება ამქვეყნად.

ამასთან, ჩვენში ხომ სუფრა მხოლოდ ჭამისთვის არ იშლება. ეს შენც

კარგად მოგეხსენება. ჩვენი სუფრის წეს-ყაიდა ხომ ათასწლეულებში გამოვლილი რიტუალია – სიცოცხლის სიყვარულით, ერთმანეთის სიყვარულით – გაჯერებული და ასეთად რჩება იგი დღემდე – თამადობის იერარქიით დამშვენებული! – მიუხედავად მისი ერთგვარი დაკნინებისა!

ამ სასწაულ, უბადლო სიმღერებსა და ცეკვებს ხომ ჩვენი ხალხის შვილები ქმნიდნენ-მეთქი, იუ! ამას დაუმატე ჩვენი ხალხური თუ კლასიკური პოეზია, ხუროთმოძღვრება, ჩვენი სასულიერო თუ საერო ლიტერატურა... ამაზე ხომ ვილაპარაკეთ კიდეც და შენც ხომ დამეთანხმე ამაში!

– პიროვნებანი, ყოველივე ამას პიროვნებანი ქმნიდნენ და არა – ბრბო-მეთქი! „მრავალ არიან გამოჩინებულ და მცირედნი რჩეულნიო“, აკი სახარებაც ამას ქადაგებს!.

– დიახ, რჩეული პიროვნებანი! მაგრამ ისინი, ის პიროვნებანი ხომ ჩვენი ხალხის ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი იყვნენ, იუ! ერთი შეხედვით, არც გამოირჩეოდნენ შეიძლება სხვებისაგან არაფრით და ამ დროს მათი პოეტური ზეშთაგონება სადინარს ეძებდა, რომ გადმოღვრილიყო და... გადმოიღვარა კიდეც ცალკერძ – ღვთაებრივ სიმღერებში, ცალკერძ – ლექსებში... „იქნება ვეფხვის დედაი, ჩემზედ მწარედა სტირისა, მივიდე, მეც იქ მივიდე სამძიმარ ვუთხრა ჭირისაო“... გაგიგონია მსგავსი რამ სადმე?

ჩვენი სიმღერების, ლექსების, ცეკვების, ხალხური პოეზიის ბადალი, მართლაც რომ ბევრი არ დაიძებნება-მეთქი დედამიწის ზურგზე – თუ საერთოდ უნიკუმი, განუმეორებელი არ არის!.. ეს ხომ შენც იცი იუ? ისიც იცი, რომ მე ურაპატრიოტიზმი არ მალაპარაკებს ამას... მართალია, შენსავით მსოფლიონავალი კაცი არა ვარ, მაგრამ სამიოდე წელი ტარტუს უნივერსიტეტში ვისწავლე და მოვასწარი რაღაც-რაღაცების აღქმა. ე.წ. „ევროპის ფანჯრიდან“! ჰოდა, თუ თავისუფლება ეღირსა ჩვენს ხალხს, იუ – არადა, თავისუფლების ღირსია ყოველი სულდგმული ამ ცისქვეშეთში – ის დაუმტკიცებს ქვეყნიერებას, რომ ძალუძს უძველეს კოლხიბერიულ, წარმართულ კულტურაზე დამყნობილი, მეორე სახარებისეული „ოქროს ხანა“, მეორე მე-12 საუკუნის მსგავსი კულტურა შექმნას, ღვთის წყალობით და მადლით! მე ღრმად მწამს და მჯერა-მეთქი ეს, იუ, ღრმად მწამს და მჯერა ისიც, რომ ჩვენი სულიერება, ახლა ღრმად დაფარული და გაიდუმალებული – იპოვის თავის სარბიელს... და სადინარს.

ჩვენ, მართალია, ინდო-ევროპული რასა არა ვართ, რომლის აღზევების ჟამია ახლა, მაგრამ ზოგი მეცნიერის ვარაუდით, აკი კავკასიურმა რასამ, კერძოდ, ქართველურმა დაუდო თურმე სათავე თეთრ რასას... და საერთოდ მერწმუნე, კავკასია ერთ-ერთი უიდუმალესი ადგილია დედამიწის ზურგზე!

ჩვენ ძველი, ერთობ ძველი ერი ვართ, იუ. ჩვენს ძარღვებში ორმოცი საუკუნის, თუ მეტის არა, – სისხლი მოედინება – ხანდახან თავში რაღაც დამარტყამს ხოლმე, თითქოს დავრეტიანდები უცებ – ახლა ეს სიტყვები რომ წარმოვთქვი, დაახლოებით ორმოცი საუკუნის წინათ ჩემი შორეული წინაპარიც ხომ ასევე მეტყველებდა-მეთქი!..

არა, ჩვენ არ დავბერებულვართ, არ დავშრეტილვართ სულიერად, თუმცა... ფიზიკურად ბევრჯერ მოგვსპეს და გაგვანადგურეს, იუ. ჩვენი პოტენცია, ესეც ალბათ სასწაულია, მაგრამ არ ამოწურულა. შემონახულია იგი ჯერაც და ელოდება თავის ჟამს, რომ ხელახლა გამოვლინდეს სრულყოფილად და თუ სიკეთისკენ წარიმართება მისი გზა-სავალი – ჩვენ კიდევ ვიტყვით-მეთქი ჩვენს სათქმელს, იუ! შესაძლოა, მეორე არგონავტული მითიც შეიქმნას – ვინ იცის! დაფარულ არიან გზანი უფლისანი...

ხოლო ჩვენს ამჟამინდელ მდგომარეობას რაც შეეხება... დიახ, ჩვენ დასნებოვნებული ვართ, კაი ხანია. მართალია ისიც, რომ სულიერწყობა-დაშლილი ჩვენი ხალხის უმრავლესობა ეგუება ძალმომრეობას – მორჩილი და თვინიერი ხდება ძალის წინაშე – დათვი რომ მოგერევა, ბაბა დაუძახეო, ესეც ჩვენი ხალხის მიერაა ნათქვამი, რადგან გაჭირვება აღმართს გახნევინებს...

დიახ, ჩვენ დაავადებული ერი ვართ ამჟამად, იუ, მაგრამ... თუ ორგანიზმის რომელიმე ნაწილი დასნებოვნებულია, ვით შეიძლება ჯანსაღი იყოს მთელი სხეული? თუ კაცობრიობის რომელიმე ნაწილს სტკივა და იტანჯება, განა მთელიც შეწუხებული არ უნდა იყოს? რადგან ჩვენი იაკობის თქმის არ იყოს, ერის გადაგვარება და გაქრობა მარტო მის კერძო უბედურებას როდი შეადგენს, იგი ნამდვილი დანაკლისია თვით კაცობრიობისთვისაც, რომელსაც აკლდება ერთი თავისი ნაწილი, ანუ წევრი, უშრება ერთი წვეთთაგანი, რომელნიც ავსებენ შეერთებულად კულტურის მსოფლიოს ზღვას... და მერე – როგორი წევრი?...

თავისუფალი პიროვნებისთვის, ისევე როგორც თავისუფალი ქვეყნისთვისაც, სხვისი თავისუფლებაც საკუთარივით ღირებული და პატივსაცემი უნდა იყოს! აქეთკენ ისწრაფოდა და ისწრაფის დღესაც ევროპული ინდივიდუალიზმი და დემოკრატია. თუმცა ჩვენ, ჩვენი ბედუკუღმართობის წყალობით, ჩამოვრჩით ამ პროცესს... რადგან კარგა ხანია აგონიაში ვიმყოფებით და იმიტომ! – განაგრძობდა რემა რბილი, მშვიდი ხმით და ნაღველნარევი ღიმილით იგრეხდა დროდადრო ულვაშს – ექვსი საუკუნეა აგერ სისხლში ვფართხალებთ, ვწვალობთ და ვიტანჯებით უზარმაზარ იმპერიებს შეჭიდებულნი – ჩვენ ხომ თანასწორ ძალებთან არასოდეს გვქონია მეტოქეობა!.. და არავინ, დედამიწის ზურგზე არავინ

აღმოჩნდა ჩვენი მშველელი, მფარველი მაშინ, როდესაც ყველას – ტომით ნათესავი თუ არა, კაპიტალი მაინც ჰყავს დამცველი. ჩვენ, პირიქით, ყველამ – მცირემ თუ დიდმა, ყველამ მართლა წაგვკრა თითო ხიშტი... ყველამ გვიბიძგა უფსკრულისკენ...

ჩვენი დაღმართი კი – მეცამეტე საუკუნიდან დაიწყო: ჯერ მონღოლებმა, შემდეგ ოსმანებმა და სპარსელებმა გადაუკეტეს გზა ჩვენს ბუნებრივ განვითარებას, ჩვენს აღმასვლას. არადა, ხომ გვქონდა ჩვენც „ოქროს ხანა“-მეთქი – ხომ იყო სახარებისეული საქართველო, რომელიც კაცობრიობის კულტურის, მაღალგანვითარების უბადლო ნიმუშს წარმოადგენდა გარსმოჯარულ სიბნელეში. აკი შენი თქმითაც რუსთაველის ბადალი უნივერსალური, ზეგენიოსი პოეტი და მოაზროვნე მსოფლიოში თითო-ოროლა თუა! – ვაჟაზე რომ არაფერი ვთქვათ!

განვითარების უმაღლეს დონეს მიღწეული, ჩვენი დასავლური ყაიდის პატრონყმობა უნდა გადაზრდილიყო იმ ურთიერთობაში, რამაც თითქოს ერთმანეთის მოქიშპე და მაინც ერთიანი ევროპა ეგზომ დააწინაურა. ჩვენ არ დაგვცალდა, არ დაგვაცალეს, თორემ... თორემ...

ჩვენც ხომ ამ გზით მივდიოდით და ვუსწრებდით კიდეც დასავლეთს!.. მონღოლების შემდეგაც გვქონდა პატარ-პატარა გამონათებები, კარგად იცი ეს შენ...

ხოლო ის ჩვენი მონად გაყიდული გოგო-ბიჭები შენი თქმითაც, ხომ ხშირად ეგვიპტის თუ ერაყის მბრძანებლებად და დედოფლებად გვევლინებოდნენ. იანიჩრების თუ მამლუქების არმია ხომ უმთავრესად ჩვენი სისხლით და ხორცით იკვებებოდა – ჩვენდა სამწუხაროდ! კარგად მოგეხსენება ისიც, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ რუსეთის მხარეზე მარტო 12 ქართველი, ბრწყინვალე გენერალი იბრძოდა, პეტრე ბაგრატიონის ჩათვლით!.. ხოლო თავად რუსეთის დიდი სახელმწიფოს ანუ საშინელი იმპერიის სულისჩამდგმელი პეტრე პირველი ხომ შენივე თქმით, ბაგრატიონი ბრძანდება, კერძოდ, კახთ ბატონის ერეკლე I-ის ანუ ნაზარლი-ხანის ნაშიერი. ხოლო ჩვენს კონდოტიერ ბეგლარ-ბეგებს, ყულარაღასებს, ფაშებსა თუ ვეზირებს – ვინ დათვლის!..

უმშვენიერესი, ულამაზესი რასა, რომელმაც მართლაც გააკეთილშობილა, ახლო აღმოსავლეთის ხალხთა სისხლი – განა ასე არ მოიხსენიებენ ჩვენს წინაპრებს ჩვენში ნამყოფი თითქმის ყველა ევროპელი მოგზაური, მისიონერი-ბერი, ისტორიკოსი, ფილოსოფოსი თუ მწერალი...

ახლა, თურმე, ზოგი ჩვენი მტერ-მოყვარე მეზობელი ევროპული ენციკლოპედიებიდან ამ შეფასების ამოღებას ცდილობს – დიდი თანხის გაღებით!..

ნუ შემაწყვეტინებ, ძალიან გთხოვ, იუ, ამას სრულიადაც არ ვამბობ

იმიტომ, რომ ჩვენი თავი ფრთიან ანგელოზებად დავსახო. არა, მაგრამ ხომ ფაქტია ისიც, რომ ყველაფრის მიუხედავად, არ გავბოროტებულვართ სხვათა მიმართ! არ დაგვიკარგავს შეწყნარების, ლმობიერების უნარი და, ბოლოს და ბოლოს, კვლავაც დავრჩით – სტუმართმოყვარენი — სისხლის წვიმების დროსაც, მაშინ, როდესაც სხვა რჯულის ხალხები საკუთარ სისხლში გვაბანავებდნენ, გვითქვამს: „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არისო“.

– სამაგიეროდ, ერთმანეთი ხომ დავჭამეთ? სიძულვილი, შური და ბეზღობა – აი, რა შემოვირჩინეთ წარსულიდან. მერედა, რა ულმობლად, რა სასტიკად ვუსწორებთ ხოლმე ერთმანეთს ანგარიშს – სულ მცირე რამის გულისთვისაც! რა სიამოვნებით ვახრამუნებთ ერთიმეორეს! ხოლო თუ ჩავთვალეთ, რომ რომელიმე ჩვენებური, თუნდაც ძმა – გვეღობება საკუთარი კეთილდღეობის გზაზე – მტრისას! შხამიანი, გესლიანი მორიელი მონაგონია ჩვენთან. ამასთან... საგულისხმო ისაა, ვითომ საზოგადო ინტერესების დამცველის ნიღაბს ოსტატურად რომ ვირგებთ – სინამდვილეში საკუთარი კუჭისათვის, ულუფისათვის ანუ როგორც ძველი მემატიანე იტყოდა, როჭიკისთვის ვიბრძვით ასე გააფთრებით!..

ასეთი შეუწყნარებელი რომ ვყოფილიყავით სხვათა მიმართ – ქვეყანა ბაბილონის გოდოლივით არ დაგვექცეოდა და შიოს მარანი არ გახდებოდა და ყველა გამვლელ-გამომვლელს ხიდად არ გაედებოდა-მეთქი.

ისტორიულად მოგვდგამს-მეთქი, კაცო, ერთმანეთის გაუტანლობა, ორგულობა, ღალატი, შური, ბეზღობა. გარნისი განა ივანე ათაბაგის შურიანობამ არ წაგვაგებინა – შემდგომ დიდი ტრაგედიის დასაწყისად რომ იქცა? შადიმან ბარათაშვილი? ბაზალეთი? კრწანისი? 32 წლის შეთქმულება? ხომ არ დაგველიენ-მეთქი ზოგ-ზოგი ფალავანდიშვილის, ყორღანაშვილის, მათ შორის აშორდიას – მსგავსნი? არ გვყავდნენ განა მოღალატე ათაბაგი, ჯაყელი, დადიანი თუ გურიელი – ზოგი სხვისი და ზოგი ჩვენი სისხლისა?

განა მონღოლებთან პირველი დამარცხება ათაბაგისა და ლაშა-გიორგის დამსახურება არ იყო? ანუ: სამეფო კარის უნიათობისა, დაუდევრობისა და ყოყლოჩინობის შედეგი? ხომ საგულისხმოა ისიც, რომ დავით აღმაშენებლის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელია, ლაშასი კი – ივანე მხარგრძელი, ის ივანე, ვინც ათაბაგობა გამოსძალა თუ გამოსტყუა თამარ მეფეს?... ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლში წვიმების დროსაო – ვინ თქვა? როცა საზოგადო საქმე ეწირება პირადულს, როცა მეა აღზევებული ჩვენზე, როგორც ილია ბრძანებს – იქ მარცხი გარდაუვალია.

„რა ვქნა ცოდვილმა? გულსა და სულს ცეცხლი მედება, როს საქართველო დანგრეული მომაგონდება“-ო, თითო-ოროლა ვახტანგ თუ

ალექსანდრე ორბელიანი, თუ დიმიტრი ყიფიანი ვეღარ უშველის უზნეო, უღირსებო საზოგადოებას – ქვეყანას – მძარცველების, მომხვეჭელების ბუნაგად რომ ქცეული!

„ჩვენი ივერი მშვენიერი არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამა, გულთსაკლავი და სავალალო“!

ასეა ჩვენი საქმე! ვერაფერს იზამ-მეთქი.

– თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევას, შენი თქმითვე, ერთი პატარა ქვეყანა კი არა, მთელი ქრისტიანული ევროპა ვერ გაუძლებდა! ჩვენ კი – ასეა თუ ისეა, გავუძელით-მეთქი, გადავიტანეთ მრავალი თემურ-ლენგი, შაჰ-აბასი და მართალია, ტანჯვით, წვალებით, მაგრამ მაინც მოვაღწიეთ მეოცე საუკუნის კარიბჭემდე!..

– ჰოდა, რისთვის მერე? მეც ამას ვკითხულობ სწორედ? არ სჯობდა საერთოდ აღგვილიყავით პირისაგან მიწისა!.. ღმერთო, დიდებულო! ამას თუ გადარჩენა ჰქვია!

– უფალმა უკეთ უწყის, ვის რა ბედი არგუნოს. ეტყობა, ჩვენ, ტანჯვა-წამების გზით დაგვაკისრა შეგვესრულებინა ჩვენი ძირითადი მისია ამქვეყნად!

ახლა რემაც წამოდგა, ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. თვალები ანთებოდა.

– რა მისიაა მაინც ეს? საინტერესოა ფრიად, მე და ჩემმა ღმერთმა! – კვლავ გვერდულად ჩაიღიმილა ფაღავამ, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა რემას ასეთი ფერისცვალებითა და კვლავ ყალიონის ტენვას შეუდგა მოჩვენებითი სიდინჯით.

– სიყვარულის მისიაა ეგ, ჩემო იუ, სიყვარულის!..

– სიყვარულისაო?.. ჩვენ?!

– დიახ, ჩვენ. რადგან... ყველაფრის მიუხედავად, არ გავბოროტებულვართ-მეთქი სხვათა მიმართ, თუმცა ხშირად ერთმანეთს ვმტრობთ, – არ დაგვიკარგავს-მეთქი ტოლერანტობის უნარი, სხვათა შეწყალების გრძნობა. და, საერთოდ, უნდა გითხრა, არა ვართ მარტივი ბუნების და ფსიქიკის ხალხი. რადგან ათასწლეულების სიმძიმე გვაწევს ზურგზე – ქვეცნობიერად – თავისი სიავით თუ სიკარგით, ცხადია, უფრო სიავით... კი, მართალია ისიც, რომ ბოროტება უფრო ჭარბობდა ამ გრძელ გზა-სავალზე, სისხლის წვიმები და იავარყოფა უფრო მეტი იყო, იყო სრულიად გაქრობის საფრთხეც და... რამდენგზის მერე! დღესაც ამ საფრთხის წინაშე ვიმყოფებით. და სწორი ხარ იმაში, რომ დღეს იქნებ უფრო მეტადაც, ვიდრე ოდესმე!.. აკი ილიას თქმითვე – საშინელი უფსკრულის პირას ვდგავართ! ჩვენს ფსიქიკაში დაილექა უთუოდ სისხლიანი, ავბედითი წარსულის უკეთურობა და ჭირ-ვარამი. ამ ხანგრძლივმა —

მძიმე და მწარე დრო-ჟამმა, ჩვენმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდად გადებამ შენი თქმის არ იყოს სიკეთესთან ერთად – უამრავი უბედურებაც მოგვიტანა. დიახ, ბედის უკუღმართობამ თავისი დამღა დაგვასვა-მეთქი, თავისი ტვიფარით აღგვბეჭდა! რა დასამალია და ქვესკნელში ძრომა გვასწავლა და ზესკნელშიც ფრენა და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ – იმერნიც და ამერნიც – ქრისტიანული სულისა და კულტურის მატარებელნი დავრჩით – ალბათ უძველესი კულტურის დანაშრევებით და ეგებ – მისი წყალობითაც, რამეთუ, ჩემი აზრით, უზარმაზარი წარმართული კულტურის საფუძველზეა დამყნობილი ჩვენში ქრისტიანიზმიც.

ამდენად, არ შეიძლება გავიწიროთ და კიდევ: როგორი უცნაურიც არ უნდა იყოს, სოციალ-დემოკრატთა ნიჰილიზმისა და შენი აზრების თანდამთხვევა საქართველოს მომავლის თუ აწმყოს მიმართ – თქვენ სუყველას გავიწყდებათ ერთი „პატარა“ რამ: სახელდობრ ის, რომ არსებობს ღვთიური განჩინება, რომ... მეორე იერუსალიმად წოდებულ მცხეთაშია დაფლული უფლის კვართი, ღვთისმშობლისა კი – ხობში, რაც სულ არ მიმაჩნია შემთხვევით ამბად, რომ გრაალის ბარძიმი აქ ინახება, რომ არსებობს მისტიური სული და დანიშნულება კოლხ-იბერიისა ანუ გეორგიანელთა, რომ საქართველო დიახაც რომ წილხვდომილი ქვეყანაა ღვთისმშობლისა და მას მისი მადლი და წმიდა გიორგის მახვილი იფარავს და იცავს, ამდენად, კოლხ-იბერიას უფალმა ყველაზე დიდი მისია დააკისრა-მეთქი ამ ქვეყნიერებაზე – სიყვარულის მისია!

– ნეტარ არიან მორწმუნენი! – კვლავ გვერდულად ჩაიღიმილა ფაღავამ: – სხვას თუ არა, მესამედასელებს ხომ შევძენთ კაცობრიობას!

– არა უშავს რა, იუ. არა უშავს! წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო, ნათქვამია.

– თუ დარჩა რამე – კი, ბატონო. მაგრამ მე მიყივლია აგერ, მამლისა არ იყოს და...

– შენ მართალი ხარ იმაში, რომ დამონებულ ერში განსაკუთრებით იჩენს თავს მიდრეკილება როგორც მორჩილებისაკენ, მონობისაკენ, – ისე მძლავრობისაკენ. რადგან მძლავრობა ანუ ტირანია და მონობა – მედლის ორი მხარეა. შენ მართალი ხარ იმაშიც, როცა ქართლის მეწინავე როლზე ლაპარაკობდი.

მეც ბევრი მიფიქრია ამაზე. დიდი კოლხური ანუ იგივე იბერიული ცივილიზაციისათვის ქართლს უნდა ეწინამძღვრა და ასეც მოხდა. და როცა ქართლი მოირღვა-დაიშალა – დაქუცმაცდა ერთიანი, მძლავრი ქართული სახელმწიფოებრიობა და კულტურაც, თუმცა... საოცარი ისაა, რომ ჩვენი ბუნების მრავალფეროვნება, ჩვენი კუთხეების თავისებურება

და განუმეორებლობა გადარჩენის პირობებსაც ქმნიდა წარსულში და ქმნის დღესაც: როცა ერთი კუთხე მოსწორდებოდა მიწასთან, იცი შენ ეს, მეორე ინახავდა იავარქმნილ სულიერ სიმდიდრეს, მის საუნჯეს და ასე, თითქოს, მორიგეობით ენაცვლებოდნენ ერთი მეორეს... დღესაც; ილიას, აკაკის, ბარათაშვილს, ყაზბეგს, გოგებაშვილს რომ თავი დავანებოთ, – ერთმა პაწაწკინტელა კუთხემ ქვეყნისამ შვა-მეთქი ვაჟა-ფშაველა – ეს უნიკუმი კაცობრიული კულტურის საგანძურისა – ჯერაც შეუსწავლელი, შეუცნობი, არდანახული რომ არის მსოფლიოს მიერ მისი – დღეს დამცრობილი სამშობლოს – პატარა სივრცის გამო!... ამიტომაც ვერ აღქმული, ვერ დანახული კაცობრიობის მიერ! და ასევეა ეს ჩვენშიც-მეთქი, სამწუხაროდ ჩვენდა! – წამით ისევ დადუმდა რემა, შემდეგ განაგრძო მღელვარება შეკიდებული ხმით:

– შენ წეღან მაძღარი და თვითდაჯერებული ევროპა ახსენე. დიახ, დღეს მატერიალურად, ტექნიკურად ბევრად დაწინაურებულია დასავლეთი ჩვენზე და ეს მისმა ბედნიერად აწყობილმა ისტორიულმა განვითარებამ მოუტანა მას. ჩვენ ახლაც შეგვიძლია მატერიალურად ასევე დავწინაურდეთ, თუ ხელი გამოვიღეთ და თუ ბედმაც გაგვიღიმა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის მთავარი...

დასავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებს, როგორც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს ეს, მოუწევს ბევრი რამ შეიძინოს და შეითვისოს „ჩამორჩენილი“ კავკასიისაგან, კერძოდ, ჩვენგან, ქართველებისგან. და საერთოდ, ქართული ენა, ჩემი და არა მარტო ჩემი აზრით — სამყაროს ერთ-ერთი საოცრებათაგანია, კოსმიურ ძალებთან წილნაყარია... იყო და არა იყო რაო, წუთისოფელი, საწუთროო, გარდაცვალებაო და რომელი ერთი ვთქვა; გეგულება სადმე მსოფლიოში თუნდაც... ოთხპირიანი ზმნა? მითარგმნე რომელიმე ევროპულ ენაზე ერთი სიტყვით — ამაშენებინა, შემომელანძღა, შემომაკვდა, და ა.შ. და რამდენია ასეთი მარგალიტები მომობნეული ამ მართლაც ღვთივკურთხეულ ენაში?

დიახ, დიახ, შენი სარკასტული ღიმილის მიუხედავად – ეს ასე გახლავს-მეთქი! ჩვენი უძველესი კულტურა, ჩვენი ცხოვრების წეს-ყაიდა, ჩვენი ნათესაური, მეზობლური თუ მეგობრული ურთიერთობა და კავშირები, ჩვენი ნათელმირონობა, ჩვენი ძუძუმტეობა – ჩვენი სითბო და სიყვარული, ჩვენი ასმათობა და ტარიელობა – ქალ-ვაჟის ეს წმინდა ქართული დაძმობა, რომლის მსგავსი სხვაგან არსად მეგულება, ყველაფერი ეს – ჩვენს სიმღერებსაც თუ გავითვალისწინებთ მეთქი – ინდუსტრიული ქვეყნების გამოფიტული სულისთვის, ზესახელმწიფოების პრაგმატული და ვაჭრუკანული არსისთვის – სულიერების ანკარა წყაროდ დარჩება, და უნდა არ უნდა, მოუწევს მომავალში დაეწაფოს მას, რადგან

შენ წარმოიდგინე, ამჟამად ერთ ციცქნად ქცეული ქვეყნის არსებობის მაგიური ძალა – სიყვარულია-მეთქი, ისევ ვიმეორებ ღვთით ბოძებული ეს უდიდესი მადლი! მე ასე მწამს და ასე მჯერა, ჩემო იუ!..

აკაკის „გამზრდელში“ და ვაჟას „სტუმარ-მასპინძელში“ აღბეჭდილი ჩვენი ზნეობრივი კოდექსების და საერთოდ, ქართული ფენომენის შესწავლა – მომავლის საქმედ მიმაჩნია. შესასწავლია ჩვენი პოლარული ხასიათებიც, უაღრესი კეთილშობილების ფონზე უაღრესი ზნედაცემულობა... ხოლო თუ გავიწირებით, ესეც ღვთით იქნება: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“-ო, ბრძანა ჩვენმა ზეგენიოსმა პოეტმა...

თუმცა... ამ ზოგად ლაპარაკს ეგება სჯობდეს... – რემა გაჩუმდა ერთბაშად. ფაღავაც თითქოს ენაჩავარდნილი იჯდა განუძრევლად და თვალმოუშორებლად შესცქეროდა აღელვებულ რემას.

მერე იგი შეირხა და ისე, თითქოს ზმანებაშიაო, თქვა:

– შენ თუ იცი, იუ, ჩემი უფროსი ვაჟი, კოკი, თხუთმეტი წლისა რომ დამეღუპა ამ რამდენიმე წლის წინათ...

ფაღავა შეტოკდა, სახეზე ჩრდილმა გადაუარა.

– არა... არაფერი გამიგია...

– თუმცა, საიდან გეცოდინება? ეს შენს ჩამოსვლამდე მოხდა, 1906 წელს... მე მინდა ახლა გიამბო ...ჭრილობა ჯერაც პირშეუკრავია, მაგრამ მეც მინდა გული გადაგიხსნა, ამაღამ ძილი მაინც არ გამეკარება, ჰოდა... – იყუჩა ისევ. თითქოს გაქვავდაო, თვალები გაუშტერდა.

– თუ გიმძიმს, არ გინდა, ჯიმაია...[1] სამწუხაროდ, არაფერი ვიცოდი... – ფაღავას ხმასა და კილოში დაუფარავმა სითბომ და თანაგრძნობამ გამოჟონა. თვალებში თითქოს ერთბაშად გაუქრა სუსხი და ყინული.

– არა, – თავი გაიქნია რემამ, თითქოს აბეზარ ჩვენებებს იშორებსო, თვალებზე მოისვა ხელისგული: – არა, ამაღამ სჯობს! სხვიმის ეგებ ვერ შევძლო!

რემამ ბოლთის ცემა შეწყვიტა და ბუხართან ნებიერად გაწოლილ პოინტერს თავზე გადაუსვა ხელი. ძაღლმა არ იუცხოვა მისი მოფერება. პირიქით, გაიტრუნა, კუდი ნელა გააქნია სიამოვნების ნიშნად – თავის პატრონის გასაკვირად!

მერე წელში გაიმართა ისევ და კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში, თითქოს გაფანტულ აზრებს იკრებდა. შემდეგ ჩუმად ამოიხვნეშა, სამფეხა სკამი მისწია ბუხართან ახლოს, ჩამოჯდა და...

რემამ უამბო ფაღავას ის, რაზეც ის ლაპარაკს გაურბოდა საზოგადოდ, რის გახსენებასაც თავს არიდებდა წლების განმავლობაში, თუმცა, რაღა გახსენება უნდოდა იმას, რაც დღემუდამ ღრღნიდა მის სულს, რაც

[1] ძამია

სამუდამო ტკივილად ჩაკირულიყო მის არსებაში და მხოლოდ გულის ძგერის შეწყვეტასთან ერთად თუ ეწერა გაქრობა.

...თხუთმეტი წელი ის-ის იყო შეუსრულდა კოკის. მამის ნაყიდი ახალი ჩოხა-ახალუხი ჩაიცვა იმ კვირა დღეს. მამაპაპეული ქამარ-სატევარიც პირველად შემოირტყა ბეჭედივით წვრილ წელზე და ცხენს ნიავივით მოევლო გახარებული. ისედაც თვალტანადი, კიდევ უფრო დაამშვენა ამ ახალმა სამოსმა. მამის სისხარტე და მოქნილობა გამოჰყვა ყმაწვილს და დედის სითბო და სინაზე. ზნეკეთილი და ზრდილი, დიდსა და პატარასთან თავაზიანი, გულჩვილი და უეშმაკო – იგი ყველას უყვარდა. ყველა, დიდი და პატარა შეჰხაროდა და შენატროდა ამ ცოცხლად ხორცშესხმულ ღვთაებრივ სილამაზეს. ვის შეიძლებოდა კოკი გაემეტებინა სასიკვდილოდ? რომელ სულიერ არსებას, თუ არა ადამიანის სახემიღებულ ურჩხულს, სატანას?

ყმაწვილი მიიჩქაროდა „ჯარალუაზე“, ხატობის შემდეგ რომ იმართებოდა წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში. ბიჭმა, გზა რომ შეემოკლებინა, ტყით არჩია სიარული, თუმცა საშიში დრო იყო და ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯა, ერთობის სახელით, არც ისე იშვიათი ამბავი გახლდათ.

ტყეში, ბილიკზე მიმავალ კოკის სამი თავით ფეხებამდე შეიარაღებული რაზმელი გადაუდგა ანაზდეულად და ყმაწვილმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო ისე ჩამოაგდეს ცხენიდან, გახადეს ჩოხა-ახალუხი, აართვეს მამაპაპეული, ვერცხლით მოსევადებული ქამარ-სატევარი, წიხლებიც ჩააზილეს და ასე შერცხვენილ-დამცირებული, სულის სიღრმემდე შეურაცხყოფილი, დააგდეს გზაბაწარზე.

ბიჭმა ხელის ფათურით მოიძია იქვე ახლომახლოს დაგდებული ქვა, მოიქნია და ზურგში მოახვედრა იმას, ვინც იმ სამთაგანში ყველაზე უფრო მახინჯი იყო გარეგნულად, ვინც ყველაზე უფრო მეტს ბილწსიტყვაობდა და ვინც ყველაზე მეტს გულმოდგინებას იჩენდა ბიჭის შეურაცხყოფაში, წამდაუწუმ ვინც დედის სულს უტრიალებდა, და ისედაც თავმოყვარეობაშელახულ და გამწარებულ ყმაწვილს — კიდევ უფრო ასწორებდა მიწასთან.

ეს იყო, რასაკვირველია, ღირსებაშეგინებული ყმაწვილის ბუნებრივი, ანგარიშმიუცემელი, გულისმოსაოხებელი ქმედება, მაგრამ ეს თითქმის უაზრო, ბავშვური თავგამოდება სიცოცხლის ფასად დაუჯდა კოკის. ყაჩაღი მოუტრიალდა, გამოქანდა და ხანჯალი ჩასცა გულში უმწეო, უიარაღო, თითქმის შიშვლად დარჩენილ ყმაწვილს. და განა ერთხელ? რამდენჯერმე...

დანარჩენმა ორმაც იმარჯვა და... მსხვერპლი ლამის ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს...

...ამ დროს მეზობელი სოფლიდან შინ ბრუნდებოდა მაყრიონი. ცოტაც რომ დასცლოდა, ზედ გადააწყდებოდნენ კიდეც ყაჩაღებს და იქნებ ბიჭიც გადარჩენილიყო, მაგრამ ასეთი ყოფილა ბედისწერის ულმობელი განჩინება: კოკის არ უნდა ეცოცხლა. ხალხის თქმით, ასეთ სრულყოფილ მშვენიერებას ღმერთი დიდხანს არ აჩერებს ქუჟყიან, ბინძურ დედამიწაზეო. კოკი საამქვეყნიო არ იყოო, დასტიროდნენ ყმაწვილს შემდეგ უზომოდ დამწუხრებული თანასოფლელები.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა – დიდიან-პატარიანად. მდევრებმა, რომელთა შორის უმეტესობა მაყრიონის ხალხი იყო, მალე მოუჭრეს ყველა გასაქცევი გზა ყაჩაღებს, ისინი ალყაში მომწყვდეულნი, უთავბოლოდ ისროდნენ და ამაოდ ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ხაფანგისთვის.

ელვის უსწრაფესად მოედო გაღმა-გამოღმა გორაკებზე შეფენილ სოფლებსაც ეს საზარელი ამბავი. რისხვით შეპყრობილი ხალხი თავქუდმოგლეჯილი მორბოდა რემა გეგეჭკორის სახლისაკენ და როცა შეიტყვეს, ავაზაკები გაუკოჭიათ მდევართო, ერთმუშტად შეკრული დაიძრა მათ შესახვედრად.

რემას შეატყობინეს ეს საზარელი ამბავი. იგი იმ დროს მივიდა ავაზაკებთან, განრისხებულ ხალხს ფეხქვეშ რომ მოექცია ისინი და უმოწყალოდ ზეპავდნენ: ვისაც რა მოხვდებოდა ხელში, იმას ურტყამდა; ზოგი ფეხებით ზედშედგომას ცდილობდა თავისსავე სისხლსა და ნარწყევში მოფხარკალე ავაზაკების სხეულზე. ამაოდ ცდილობდნენ მოთავეები მოეგერიებინათ გაცოფებული ხალხი.

რემას დანახვაზე ზედახორა მსწრაფლ დაიშალა, წამით გაქვავდნენ ადგილზე, მერმე უსიტყვოდ, უხმოდ გაინ-გამოიწიეს და გზა დაუთმეს უბედურ მამას.

...პირველი გრძნობა, რაც დაეუფლა რემას, როცა ძირს, მიწაზე დაყრილი, გაბაწრული ავაზაკებისკენ მიდიოდა, იყო უკიდეგანო, ზღვარგადასული სიშმაგე, აულაგმავი, მოუთოკავი სურვილი, ყანყრატოში წვდომოდა სათითაოდ სამივეს და საკუთარი ხელებით მოეხრჩო-მოეგუდა.

და როცა თვალებზე ბინდგადაკრული, თითქმის უგონოდ ქცეული, აკრეფილი ნაბიჯებით ნელა მიიწევდა ყაჩაღებისაკენ, ეს სურვილიღა ამოძრავებდა მხოლოდ – შურისგების წრესგადასული, უნაპირო სურვილი. სხვა ყველაფერი წკვარამში ჩანთქმულიყო. ეს იყო ჯოჯოხეთური სატანჯველი, არნახული, არსმენილი. ასეთი გრძნობის არსებობას აქამდე ვერასოდეს წარმოიდგენდა: ენამოსწრებული, მხიარული, კაცთმოყვარე და ცოტათი დაუდევარი რემა გეგეჭკორი ახლა გააფთრებულ, დაკოდილ ნადირად ქცეულიყო, რომელიც პირისპირ უნდა შეყროდა გულში დამჭრელ თავის დაუძინებელ მტრებს.

„რემა! რემა“ რემა!“ – მოულოდნელად რაღაცამ დარეკა მის გულში. შეჩერდა. იგრძნო, თვალებში სინათლე დაუბრუნდა თითქოს, დანისლულ-დაბინდული გონება ნელ-ნელა გადაეწმინდა. წამიც და: აყალყებულ მხეცს, მის სულში რომ მჯდარა და ამის თაობაზე აქამომდე წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა, თითქოს სწვდა ქეჩოში და ძალუმად მოუგრიხა კისერი, მერმე მიწაზე დაანარცხა თავქვე და... ზედ ფეხით შედგა.

ამ წამიერი დაბნეულობით თუ შეყოვნებით, ეტყობა, ისარგებლეს ყაჩაღებმა და ორმა მათგანმა არაადამიანური, განწირული ხმით იბღავლა: – ჩვენ არ მოგვიკლავს ბიჭი, ამან, ამ წუპაკმა მოკლაო, და ხელი მიაშვირეს შავწვერულვაშა, ზღარბივით თმაჯაგარა და ცემისაგან სახედალილავებულ გონჯ კაცს, ახლა წელმოწყვეტილი უხსენებელივით რომ იკლაკნებოდა მიწაზე და სისხლს ანთხევდა პირიდან.

„მე უნებურად სახეზე ავიფარე ხელები და ზურგი შევაქციე სამთავეს.

– უხ, თქვენი!.. – კვლავ იხუვლა აქამდე გასუსულმა, ხმაგაკმედილმა ხალხმა და ყაჩაღებს მიესია ისევ.

– შეჩერდით! – ეს ჩემი ხმა იყო და არც იყო თითქოს. მერმე ამ „სხვა“ ხმამ ყრუდ, ძლივსგასაგონად განაგრძო: – გაუსამართლებლად არ შეიძლება ამათი დასჯა... ესენი უნდა გავასამართლოთ, როგორც ჩვენი წესი და რიგია...

– მე... მე არ მომიკლავს, გეფიცები ღმერთს... ამან... ამ შეჩვენებულმა, ამ წყეულმა აჩეხა ბაღანა... – თითქოს გული მოეცათო, იღრიალა კვლავ ორმა ყაჩაღმა, უწყალოდ დაჟეჟილ-დაბეგვილნი, სისხლს რომ აფურთხებდნენ პირიდან და ხელებს შურღაიასკენ იშვერდნენ.

– ღმერთს გეფიცებითო, გესმით, ხალხნო? ღმერთს გეფიცებითო... ღმერთის ხსენებასაც ბედავენ ეს გარეწრები, ეს უწმინდურები... ჩავქოლოთ ეს ურჯულოები, გავუჩეჩქოთ თავი უხსენებელივით...

– შეჩერდით-მეთქი, ხალხო, გამიგონეთ... სამსჯავროს... სამსჯავროს უნდა გადავცეთ ესენი-მეთქი!

– რა სამსჯავრო უნდათ ამათ, ამ უწმინდურებს, ამ გარეწრებს? ამ ღვთის გარეგანებს?! რას ბრძანებ, რემა ბატონო? ეს ნადირები აქვე უნდა ჩავხოცოთ, ტყიურებს რომ შეეფერებათ, ისე! – აყაყანდნენ აქეთ-იქიდან მკვლავებდაკარწახებული, სამოქმედოდ გახაზირებული კაცები, ზუსტად ისეთი იერით და გამომეტყველებით, როგორითაც საქონელს წამოაქცევენ ხოლმე მიწაზე, რათა მოხერხებულად გამოსჭრან ყელი.

– ხალხო... გთხოვთ... არა მაქვს ყვირილის თავი... – მერმე ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით დავუმატე: – ჩვენც ხომ არა ვართ მხეცები... ესენი უნდა გასამართლდნენ ჩვენი, კაცური, ადამიანური კანონებით-მეთქი!

ხალხი უხალისოდ, უკმაყოფილო ბუზღუნ-ბუზღუნით, მაგრამ, ბო-

ლოს და ბოლოს, დაჰყვა ჩემს ნებას, რადგან... მამა ვიყავი და, მაშასადამე, გადამწყვეტი სიტყვა მე მეკუთვნოდა. ოღონდ... ერთ რამეში მეც დავუთმე მათ: სასამართლო უნდა ჩატარებულიყო ჩვენი, ხალხური, ოდითგან მიღებული ადათ-წესით და არა რუსული, ანუ ოფიციალური კანონებით! და მართლაც, ბავშვის დასაფლავების შემდეგ სამ დღეში ჩვენი სოფლის მახლობლად, გორაკზე შეფენილ ტყეში, ვეებერთელა ცაცხვის ძირში შედგა ეს სამსჯავრო — ასე ვთქვათ, ადგილობრივი მთავრობის დაუკითხავად. ხალხმა ძველებური წესისამებრ, აირჩია „სხუნუ – რჩეულთა შემადგენლობაში“ – ჩვენს მხარეში პატიოსნებით, ჭკუით და სიმართლისმოყვარეობით ცნობილი პირები. თავის მხრივ ამ „სხუნილმა“ – კათამ[1] აირჩია დუდკოჩი[2] – ბერა ნადარაია – 80 წელს მიტანებული, მთელს ჩვენს კუთხეში გონიერებითა და პატიოსნებით სახელგანთქმული გლეხკაცი და „ალმახუნეები“[3], ასევე ხალხისგან პატივდებული პირები.

ასეთი თავყრილობა, ალბათ, შენც მოგეხსენება, ოდითგანვე ცნობილია ჩვენში, მაგრამ რუსული მართლმსაჯულების წყალობით იგი მივიწყებული და უგულებელყოფილია და ძალზე იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში თუ მიმართავენ მას; ამბობენ, უტუ მიქას ლაშქრობა ასეთი „სხუნილი კათას“ მიერ იყოო გადაწყვეტილი. ამ აღმასრულებელი ორგანოს და მისი თავკაცის მიერ მიღებული განაჩენი შეუცვლელი და საბოლოოა.

„სხუნუმ“ საქმის დაწვრილებითი და ყოველმხრივი შესწავლისა და გარჩევის შედეგად გამოარკვია, რომ ყაჩაღები პირადად არ იცნობდნენ კოკი გეგეჭკორს და არც მის მშობლებს, არანაირი პირადული, მამა-პაპათაგან გადმოსული მტრობა არ ყოფილა ამ გვარებს შორის. დადგინდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ გაძარცვის მიზნით დაესხნენ რაზმელები ყმაწვილს და ამ ქმედების დროს ერთ-ერთმა ყაჩაღთაგანმა, კერძოდ, მაჟარა შურღაიამ ხანჯლით აკეპა უდანაშაულო ბიჭი. სხვათა შორის, არც კოკის მიერ ნასროლი ქვა დარჩენიათ ყურადღების მიღმა. თავისთავად ამ მეტად საინტერესო პროცედურის აღწერისგან ახლა თავს შევიკავებ, თუმცა მეტად ჭკუისსასწავლია და სამაგალითოა იგი მართლმსაჯულების თვალსაზრისით, იმის ნათელსაყოფად, თუ რა მიუდგომელი, სამართლიანი და გონივრულია ხალხის სამსჯავრო...

„სხუნუმ“ ყაჩაღების მეთაურს – მაჟარა შურღაიას სიკვდილის განაჩენი გამოუტანა – ჩამოხრჩობით, ორ დანარჩენ ავაზაკს კი – მარჯვენა ხელის, ცალი ყურის ჩამოთლა და სამუდამო გაძევება მშობლიური

[1] დარჩეული ხალხი

[2] თავკაცი

[3] გვერდში მდგომნი (სიტყვა სიტყვით) ანუ ნაფიცი მსაჯულებივით

კუთხიდან“...

...თავიდან სამსჯავროს არ დასწრებია რემა. ვეღარ შეძლო. მაგრამ ბოლოს მაინც არ მოუთმინა გულმა და იმ დროს მივიდა ცაცხვის ძირას, როცა განაჩენი ის-ის იყო გამოაცხადეს.

მანამდე, გზად მიმავალმა, შეიტყო, რა მოხდა სამსჯავროზე.

...უცებ, თითქოს რაღაც ძალამ ხელი ჰკრაო, რემა პირდაპირ გაემართა იქითკენ, სადაც შურღაია იდგა, მცველებს შუა მოქცეული.

...სიკვდილმისჯილ ყაჩაღს რომ უახლოვდებოდა, ანაზდად მომაკვდავი შვილის სახე აეფარა წინ და საშინელებაჩამდგარმა თვალებმა შემოჰკივლა:

„რისთვის?.. რატომ?“

...ასე ეჩვენა, უსაშველოდ დიდხანს მიდიოდა ხელებგაკრულ, თავჩაქინდრულ და დაჩეჩქვილი ავაზაკისკენ, რომელმაც რემას დანახვით გამოწვეული ჩოჩქოლის გამო თავი ასწია და... გაქვავდა.

ყურებში შიშინი გაჰქონდა სიჩუმეს, გულ-ღვიძლიდან დაძრული ცივი ნაკადული ძარღვებში ჟრიალ-ჟრიალით უვლიდა. მომაკვდავი შვილის ხილვით განცდილი ჯოჯოხეთური სატანჯველი ხელახლა უნდა გამოევლო: „ღმერთო ჩემო!.. რა დავაშავე? რა ცოდვებისთვის? ნუთუ რაიმე ცოდვამ მიწია?

მაგრამ... შენ რათა შვილო? მე, მე მწეოდა ეს ხვედრი მე! პირადად“!..

რაღაც წარმოუდგენლად საშინელი წამის მოლოდინში ხალხს სული გაენაბა. სუნთქვა მოეპარა თითქოს ცაცხვის მარადშრიალა ფოთლებსაც. გალურსულიყო ყოველი სულდგმული, მთელი არემარე.

...რემას დავიწროებულ თვალთა არეში მხოლოდ მკვლელის გაბიჟვინებული სახე მოჩანდა, რომელიც ყოვლისმომცველ, ყოვლისწამლეკავ შიშს რაღაც საზარელი ცხოველის ნიღბად ექცია.

ყაჩაღისგან შორიახლოს შედგა, სატევარზე ხელდადებული. მკვლელი უკვე მთელი სხეულით ცახცახებდა, პირუტყვული შიშით შეპყრობილს, შეშლილი თვალები აცა-ბაცა გაურბოდა.

რემამ კიდევ ერთი ბიჯი წარდგა წინ და სახეზე დააშტერდა ყაჩაღს. ახლა, ამ წუთას აუცილებლად, უსიკვდილოდ, ყოველ მიზეზს გარეშე უნდა სცოდნოდა, ჰქონდა რაიმე ნასახი ადამიანისა – მკვლელს, თუ... ხორცშესხმული ურჩხული, კაცის ორანში განსხეულებული სატანა იდგა მართლა მის წინაშე?

მკვლელს უცებ თავი მოწყვეტილივით ჩამოუვარდა. ისედაც ჩია ტანის – მუჭივით დაპატარავდა, დაჩუტული ბურთივით ჩაიფუშა. „შეიცან თავი შენი“-ო – უცებ, მოულოდნელად გაურბინა თავში ამ აზრმა რემას!

რემამ უფრო ახლოს მიიწია მისკენ:

– გეშინია, ხომ? – ძლივს გასაგონი ხმით ჩაჰკითხა კანკალატანილ, სახეარეულ მკვლელს: – ჰო, თუ არა?.. მიპასუხე!

ყაჩაღმა თავი დააკანტურა და უფრო მეტად აძაგძაგდა. კბილს კბილზე აცემინებდა, განუწყვეტლივ ქშუტუნებდა და ტუნტყლს და ნერწყვს ერთად ყლაპავდა.

– საზარელი ყოფილა სიკვდილის შიში, ხომ? – კვლავ ძლივს გასაგონად ჩაეკითხა რემა და სახე სახესთან მიუტანა ლამის.

ყაჩაღის ხშირ-ხშირი სუნთქვაც და კბილების კაწკაწიც ესმოდა ახლა გარკვევით, თავის გულის ბაგაბუგთან ერთად.

– ჰო, თუ არა, გეკითხები!

კვლავ თავი დააქნია ყაჩაღმა უანგარიშოდ, ინსტინქტურად და თან ტუჩებს ისე იჭამდა, სისხლი წურწურით გადმოსდიოდა ჟანგარა ბაგეპირიდან. სისხლიც შავი ფერის მოეჩვენა რემას რატომღაც, შავი სისხლი... ჰმ!

– როცა ყამას[1] უყრიდი გულში... ბიჭს, და ჩეხავდი მაშინ, მაშინ თუ გაიფიქრე, – იმისთვისაც... ვისაც სიცოცხლეს ართმევდი – საშინელი რამ იყო სიკვდილი?

პაუზა ისევ:

– მიპასუხე!

– აარა... არ მიფიქრია... არ მიფიქრია! – იბღავლა ანაზდად ყაჩაღმა არაადამიანური ხმით და... ძირს დავარდა, მიწაზე კოტრიალი იწყო ღმუილით. თავს მიწას უხათქუნებდა, ზმუოდა, ხრიალებდა, პირიდან სისხლს და დუჟს ერთად ანთხევდა.

მცველები მისცვივდნენ. ფეხზე წამოყენება სცადეს. აღარ ნებდებოდა, კვლავ დასაკლავი პირუტყვივით საზარლად ღმუოდა, თავს მინას უბათქუნებდა კვლავ, თითქოს მისი გაჩეჩქვა სწადდა, ისე, ვით შხამდაკარგულ გველს სჩვევია ხოლმე ეს. და რაღაცნაირი საარაკო, ველური ძალა ჩასდგომოდა თითქოს დასხირპულ სხეულში.

შეეშვითო, უბრძანა რემამ გამკავებლებს მოღლილი, მოსავათებული ხმით, და გამოტრიალდა.

... საშინელი ბორგვისა და ღრიალის შემდეგ ყაჩაღი თითქოს დაშოშმინდა და მიწაზე პირქვედამხობილს, არაქათგამოცლილს, უილაჯოს, დროდადრო თუ შეაძაგძაგებდა კონვულსიური ტოკვა.

შურღაიას ორი ამხანაგი სახეგამტკნარებული, მოკუნტულ-მობუზული იდგა და აცახცახებულთ, მზერა ვერ მოეწყვიტათ ამ ამაზრზენი სურათისთვის – ნუთუ ეს იყო მაჟარა შურღაია – თავზეხელაღებული, ქვისგამხვრეტი მზერის მქონე, უშიშარი, სასტიკი და დაუნდობელი შურღაია, – ნუთუ ეს იყო მათი მეთაური და წინამძღოლი, რომლის შიშით თვით მისსავე ამხანაგებს და თანამდგომებს სული ეპარებოდათ ხოლმე და რომლის ბარობაზე, ზღაპრის არ იყოს, ცაში ფრინველი ვერ გაჭაჭანებულიყო და დედამიწაზე „ჭიანჭველა“?

ახლა, მთელი ამ ზღვაკათას წინაშე ეს მრისხანე, გულქვა ყაჩაღი ნაცემ-დათეთქვილი მიწაზე ფორთხიალობდა უკანასკნელ ვიგინდარასავით, ფრჩხილებითა და კბილებით ფხოჭნიდა ნიადაგს, და ზმუოდა შიშატანილი – ვითარცა სულდგმული კაცი კი არა, არამედ ვითარცა ტყიური, ველური მხეცი, რომელიც სასიკვდილო რაგვში მომწყვდეული, მოახლოებული აღსასრულით ზარდაცემული და გონდაკარგული – იკრუნჩხებოდა მათ თვალწინ.

დიახ. ენით აუწერელი სანახაობა იყო. ზოგს გულზიდვა დააწყებინა, ზოგს კიდევ თვალი აერიდებინა ყაჩაღის ამ სიკვდილისწინა აგონიისთვის და ელდანაცემი, სადღაც ზევით, სივრცეს მიშტერებოდა, ზოგი კიდევ გულშეღონებული, განსაკუთრებით ქალები, ჩუმად მიიპარებოდნენ, რათა არ ემზირათ ადამიანის ესოდენ წახდენისათვის, მისი არარაობად ქცევისათვის.

რემაც ერთხანს იდგა ცნობაწართმეული, აზრშერყეული, განადგურებული. თავში სრული სიცარიელე ჰქონდა, სულშიც. მერმე ნელ-ნელა დაუბრუნდა მოსაზრების უნარი, ძალა მოიკრიბა და „სხუნუს“ თავკაცს, ბერა ნადარაიას მიმართა აღელვებისგან ჩახრინწული ხმით:

– ბერა ბატონო! ეს კაცი ისედაც დასჯილია, რადგან... ბოროტ მკვლელად გაუჩენია იგი არსთა გამრიგეს! დღევანდელი დღე კი – ტანჯვად და წამებად ეყოფა სიცოცხლის ბოლომდე... ჩემი თხოვნა იქნება თქვენთან და პატივცემულ „სხუნუს“ წევრებთან – გაუშვათ ესენი, დაე, თავიანთი ცოდვა, როგორც მძიმე ჯვარი, ისე ზიდონ სიკვდილამდე. მათ სასჯელად ესეც ეყოფათ.

სამარისებურ სიჩუმეში რემას სიტყვები ზარის რეკვასავით გახმიანდა. ხალხი ჯერ შეტოკდა, შემდეგ განცვიფრების ღრმა ამოოხვრა აღმოხდა. შემდეგ ისეთი დუმილი ჩამოვარდა, თითქოს სიჩუმის ანგელოზებმა ჩამოიარესო.

ყველას მზერა მიესო ბერა ნადარაიას.

თავკაცმა – ბერა ნადარაიამ – თოვლივით თეთრთმიანმა და თეთრივე წვერულვაშით დამშვენებულმა დარბაისელმა, ახოვანმა მოხუცმა, რომლის ჭკუა-გონება, სიდინჯე, სამართლიანობა, მიუკერძოებლობა და კაცთმოყვარეობა, საარაკოდ იყო ქცეული მთელს იმ მხარეში, ყველასათვის მოულოდნელად, მხარი დაუჭირა რემა გეგეჭკორს და განაცხადა: – რადგან ამას დაღუპულის მშობელი ითხოვს, ჩვენი ვალია, ანგარიში

[1] ხანჯალი

გავუწიოთ მასო.

ხალხმა სიტყვის დამთავრება არ აცალა მას და ატყდა საშინელი აურზაური. ყველამ ერთად ამოიდგა ენა, ყველა ერთხმად აყაყანდა.

როგორ? „სხუნუ“ თავის გადაწყვეტილებას ცვლის? მაშ, ეს მკვლელები და ავაზაკები დაუსჯელად უნდა გავუშვათ? რომ კიდევ იპარპაშონ თავისუფლად და კვლავ ჩაიდინონ დანაშაული? დახოცონ, გაძარცვონ ადამიანები, გააუბედურონ ოჯახები? რემა ხომ არ შეიშალა? ეტყობა, უბედურებამ გონება აუბნია, თავგზა დაეკარგა... თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს. მაგრამ „სხუნუ“ იმის „სხუნუა“, რომ სამართლიანად განსაჯოს ყოველივე. რემა ამ ქვეყნისა არაა. იგი ცაში დაფრინავს, მაგრამ ჩვენ, ჩვენ ხომ არა ვართ ანგელოზები? არც წმინდანები. რაკი ჩვენ ჩვეულებრივი, უბრალო მოკვდავები ვართ, ჩვენი კაცური კანონით, მამა-პაპათაგან დადგენილით – უნდა ვიმოქმედოთ. ჩვენ, აქ თავშეყრილი კათა, მოვითხოვთ სხუნუს მიერ ერთხელ გამოტანილი განაჩენის აღსრულებას და ამას წინ ვეღარაფერი დაუდგებაო.

ყველას კარგად ახსოვდა ის ამბავი, რაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა ამ მხარეში. სადღაც რუსეთში, ჩხუბის დროს მოკლული ბიჭის მამამ, რაკი უშუალო მკვლელი ვერ მოიხელთა, ამ ჩხუბის ერთ-ერთი თვითმხილველი, თავისი შვილის ამხანაგი — საშინელი წამებით მოკლა შვილის საფლავზე იმ მოტივით, თუ იქ იყავი, რატომ არ მიეშველე ჩემს ბიჭსო. ეს შემზარავი მკვლელობა შერჩა გვილავას, რადგან... პოლიციის ოფიცერი იყო.

ეს ამბავი ხალხის ხსოვნაში სამუდამოდ აღიბეჭდა, როგორც შურისძიების ნიადაგზე არაკაცობის უსაშინელესი გამოვლინება, რომელიც ფულის და გავლენის წყალობით – დაუსჯელი დარჩა, თუ, რასაკვირველია, არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ არსებობს ღვთის სასჯელი, რომელსაც ძე-ხორციელი ვერსად გაექცევა თავისი ნაგრამით თუ მოდგმის მოდგმით. აქ კი, ახლა...

კი ბატონო, არის შემთხვევები, რომ უნებლიეთ მამას შვილი შემოკვდომია და შვილს – მამა. არის მკვლელობა მესისხლეთა შორის. ისიც მართალია, რომ ადამიანები ომში ხოცავენ ერთიმეორეს, მაგრამ ისე, ტყილუბრალოდ გასწირო ღვთისშვილი, დაუნდობლად მოუსწრაფო სიცოცხლე ადამიანს, მით უმეტეს, უცოდველ ყმაწვილს – არაფრის გამო, რადგან სიცოცხლესთან შედარებით არაფერია სამოსი, ქონება, ოქრო-ვერცხლი თუ სხვა რამ განძი, რაც შეიძინება – ეს ნიშნავს, რომ დაბადებითვე ბოროტი მკვლელის მღვრიე სისხლი მოედინება შენს მურტალ, ბინძურ ძარღვებში. ამიტომ ასეთი არაკაცი, სხვათა სიცოცხლის ხელმყოფი "უნდა ცოფიანი ძაღლივით მოისპოს, რათა კიდევ რამე უბედურება არ დამართოს სხვებს და დანარჩენებმაც რომ ჭკუა ისწავლონ, და მერე... სად გაგონილა, ვის სმენია „სხუნუს“ გადაწყვეტილების შეცვლა? ეს ხომ რუსის სამართალი არაა!

ეს ნაძირალა უკვე მკვდარია, ხალხნო, სულიერად. ისღა დარჩენია, წავიდეს და თავის საფლავი თვითონ გაითხაროსო, შეეცადა რემა ხალხის გადარწმუნებას, მაგრამ რაკი არაფერი ჭრიდა, ხალხი თავისას არ იშლიდა, – რემამ უკანასკნელ საშუალებას მიმართა: შავი ნაჭერი, თავზე რომ ჰქონდა წაკრული გლოვის ნიშნად, ერთბაშად მოიძრო და ძირს დააგდო: თუ ჩემს მწუხარებას სცემთ პატივს, უნდა შემისრულოთ, რასაც გთხოვთო.

მუცელში ჩაუვარდა ენა სუყველას. გაშრნენ. გაშეშდნენ — ამ თავშიშველი კაცის განსპეტაკებული სახის შეხედვაზე.

მერმე, კაი ხნის დუმილის მერმე, გამოერკვნენ. რაკი არ იშლის რემა, დაე ისე იყოს, როგორც მას სურს, ოღონდ... სხეულისმიერი სასჯელი ორ დანარჩენზე ძალაში დარჩესო, მოითხოვეს, მაგრამ რემამ აქაც თავისი გაიტანა.

...ორი დღის შემდეგ სოფლის მახლობლად, ტყის პირზე იპოვეს ხეზე ჩამოკიდებული მაჟარა შურღაია. მის ამხანაგებს ფანქრით აჩხაბაჩხად მიეჯღაბნათ ქაღალდის ნაგლეჯზე: ხალხის განაჩენი სისრულეში მოვიყვანეთ, ხოლო ჩვენ ამიერიდან სამუდამოდ გადავიკარგებით ჩვენი კუთხიდანო.

ფაღავამ ღვინო ჩუმად გადააქცია მჭადზე: ღმერთმა გაანათლოს კოკის სულიო“... ჩაიდუდუნა და თასი ბოლომდე გამოცალა. წამით უაზროდ, არაფრისმხედველი თვალებით მისჩერებოდა აბარბალებულ ცეცხლს, მერმე ღრმად ამოიოხრა და ჩაიბუტბუტა.

– ყოველნი წარვალთ და... განვიბნევით!.. მცირე ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა: – და მაინც, ასე მიმაჩნია: – მთავარია ვინ მართავს ბრბოს თუ... ხალხს!

***

...ფაღავამ მინავლებულ ნაღვერდლებს მაშით შეუჩუჩხურა, მერმე შეშის პატარა ნაჭრები შეუკეთა. ისევ აბრიალდა ცეცხლი. ფიქრებში წასული ორი ჭარმაგი მამაკაცი უხმო გარინდებით მისჩერებოდა მოცეკვავე ცეცხლის ენებს. დღემდე აუხსნელი რჩება ადამიანზე ცეცხლის ზემოქმედების საიდუმლო, მისი მაგიური მიზიდულობის ძალა. მას ძალუძს გამოიხმოს ადამიანის გულში, მის ღრმა კუნჭულებში მიმალული ნაირგვარი, ბუნდოვანი, ზოგჯერ საგანგებოდ ნაცარმიყრილი ხსოვნა, და ნაზი სევდითა და იდუმალი წუხილით შეაფერადოს ისინი.

ფაღავამ ისევ ამოიდგა ენა. ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

– იცი, რაზე ვფიქრობ ახლა, ჩემო რემა, ეტყობა, მე მართლაც შენი თქმის არ იყოს, ერთობ დრამატულად ვუყურებდი და... ვუყურებ ამჟამადაც იმ ტაკიმასხარაობას, ცხოვრებას რომ ეძახიან. არადა, იმთავითვე, ბავშვობიდანვე დამჩემდა ეს ე.წ. სერიოზულობა. ალბათ, ღმერთმა გაჩენისთანავე გამწირა და იუმორის გრძნობა არ მარგუნა. არადა, ვისაც მასხრობის უნარი გააჩნია, ვინც, ასე ვთქვათ, იუმორისტულადაა განწყობილი თავის გარშემო მყოფთა და უწინარესად, საკუთარი თავის მიმართ, მისთვის ეს ცხოვრებისეული ჯახირი და ჭაპან-წყვეტა ბევრად უფრო იოლია და ადვილად ასატანი. ის კი არადა, მე და ჩემმა ღმერთმა, სულაც მასხარად დაიბადო სჯობია, რომ ეს ხანმოკლე საწუთრო ლხენა-შექცევასა და ხუმრობა-ლაზღანდარობაში გალიო... როგორც შეეფერება სწორედ წუთისოფლის სტუმარს...

შეისვენა და მერე ისევ განაგრძო:

– რაც შენ არ გაგაჩნია, სხვაში ის უფრო გიზიდავს ადამიანს. ამიტომ მიყვარდა, ალბათ, პატარაობიდანვე იუმორისტული წიგნების კითხვაც... ის კი არადა, ცოდვა გამხელილი სჯობია, ზოგჯერ ცოტა მშურდა და მეხარბებოდა ხოლმე კიდეც იმათი ბედი, ვინც იმპერატორების თუ პატარა მეფუკების სასახლეებში პამპულაობდნენ, მთელ თავიანთ სიცოცხლეს ჯამბაზობაში ატარებდნენ, სამაგიეროდ, პატივი და წყალობა არ აკლდათ ძლიერთა ამა სოფლისათა, მაშინ, როდესაც მავანნი და მავანნი – მათი თანამედროვენი თუ თანამოძმენი – გილიოტინაზე ადიოდნენ სწორედ იმიტომ, რომ ბერიკაობის ეს ნიჭი და უნარი არ ჰქონდათ ღვთით მომადლებული.

ისე, თუ გახსოვს, ანეკდოტი რომ ანეკდოტია, იმასაც ისე უხეიროდ ვყვებოდი ხოლმე, რომ ერთხელ ბესო ზამბახიძე შემეხვეწა კიდეც... თუ ძმა ხარ, შეეშვი ამ ანეკდოტებს. არაა შენი საქმე მათი მოყოლაო. მაგრამ, სამაგიეროდ, თუ გახსოვს, როგორ მიყვარდა სხვათა, ნაღდ ენაკვიმატთა მოსმენა!.. განსაკუთრებით, ბესო ზამბახიძისა და შენიც, თუმცა, იშვიათად თუ ამოიღებდი ხმას, მაგრამ თუკი იტყოდი, ისე მოსწრებულად და თან ისეთი მშვიდი, სერიოზული სახით, რომ სიცილისაგან ვიგუდებოდით ხოლმე...

...ეჰ, კარგა ხანია, გადავეჩვიე ასეთ სიცილს. ზოგჯერ, იშვიათად, ნასვამს თუ შემიჩხიკინებს რაღაც ჭინკის მაგვარი და ისიც ძაან მცირე ხნით... თუმცა, ამას წინათ ბესო ზამბახიძე მესტუმრა აქა და ბევრი მაცინა... ისევ ისეთი დარჩენილა, როგორიც იყო, – ანგალი, ენამახვილი, ლაზღანდარა... სადღაც რუსეთში, გუბერნატორადაც კი ყოფილა ერთხანობა;

ვიცი, თავი დაუქნია ღიმმორეულმა რემამ.

ჰოდა, ისე მომიყვა თავისი უცაბედი გაგუბერნატორობის ამბავი, რომ... ჩავბჟირდი. ქვეშევრდომნი რომ შემოდიოდნენ ჩემთან კაბინეტში და ლამის შუბლს ურტყამდნენ იატაკს, თუმც გარეგნულად ვიფერებდი ვითომ ამგვარ პატივს და თაყვანებას – სინამდვილეში გულში ვხარხარებდი და მზად ვიყავი, პანღური ამომერტყა თითოეული მათგანისთვის... ერთ ადგილას, მაგრამ არ ვშვრებოდი ამას იმიტომ, რომ ვიცოდი, მეც მარიონეტი ვიყავი „ვიღაცის“ ხელში და ამდენად, თამაშის თანამონაწილეცო... სულ მიკვირს და გამკვირვებია ზოგი ჩვენი თანამემამულის გაბღენძილობა და ამპარტავნობა, მეტისმეტად სერიოზულად რომ აღიქვამენ ხოლმე თავიანთ როლს ამ საერთო საცირკო წარმოდგენაში, „ზემოდან“ დაწერილი წესით და რიგით რომ მიმდინარეობს; ამ ვითომ ერთი შეხედვით, ჩიტირეკია, ჭკუამხიარულმა კაცმა – განმაცვიფრა. თავისი ცხოვრების დრამატულ მომენტებსაც საოცარი იუმორის გრძნობით ყვებოდა... ჰო, სხვათა შორის, შენც გახსენა, გახსოვსო, როგორი სიცილი იცოდა რემამო, ხშირად იმისთვის, რომ რემას რაკრაკა, გულიანი სიცილი გამეგონა, ათასგვარ მაიმუნობას ვიგონებდიო, – თქვა. კაცი, რომელსაც გულიანი სიცილი არ შეუძლია, არ იქნება ბოროტი რომ არ იყოსო... ჩვენცო, ქართველები, შესაძლოა, იუმორის გრძნობამ ასეა თუ ისეა... მოგვიყვანა აქამომდეო.

ეგება მართლაც ასე იყოს... თუკი ყოფნა ეთქმის ჩვენს სულის ღაფვას, ცხადია!..

ხშირად ჩვენებურის შემყურეს გამივლია კიდეც გულში, რა აცინებს ამ უბედურს, კურკლი უხმება-თქო... არადა, მართლაც საიდანაა, კაცო, ეს შენი არ იყოს – უჩვეულო სიცოცხლისმოყვარეობა, უძღებობა, უბოლოო სწრაფვა არსებობისადმი – თუნდაც დუხჭირი და უბადრუკი იყოს ეს არსებობა?.. მართლაც საოცარია პირდაპირ...

– და საიდანაა თუნდაც ეგზომ დიდი ნიჭიერება – თუნდაც წამიერად მაინც შეალამაზოს, შეაფერადოს თავისი უღიმღამო ყოფა-ცხოვრება, არა?

– ჰო, კაცო, საიდან?

– ეგებ ეს ჩვენი ბედოვლათობაც, გულარხეინობაც, ზოგჯერ ჭკუამხიარულებაც და ყოყოჩობაც – სისხლში დალექილი – მემკვიდრეობაა – გამოყოლილი იმ დროიდან, როცა ბედსვიანი, უზრუნველი ყოფიერება გვქონდა?

– შეიძლება. შეიძლება მასეცაა, თუმცა... მე მაინც მგონია, რომ „ის“, ვინც ზემოდან დამზერის ჩვენს ქოთქოთ-ფუსფუსს – სარკასტულად ეღიმება ალბათ ჩვენს ამაოებაზე, ვითარცა ჩვენ გვგვრის ხოლმე ღიმილს

ჭიანჭველათა რია-რია... ისე, მხიარულად თუ ჭმუნვით გაივლი ამ წუთისოფლის გზა-შარას, თუ გზაწვრილს, რა ბედენაა? ბოლო მაინც ერთია: მიწა ხარ და მიწადვე მიიქცევი. რაც მთავარია, დასაზღვრულია შენი ამქვეყნიური არსებობის სამანი, – ჰოდა, რაკიღა არც მოსვლას გეკითხება არავინ და არც წასვლას – ამ ორ თარიღს შუა დარჩენილ მონაკვეთში ქენი რაც გინდა, რაც გსურს – კისერი და კინჩხი გიტეხია თუ გინდა – მაინც არაფრის შეცვლა ძალგიძს ბედისწერის უჩინარ წიგნში, წერამწერლის მიერ გამოტანილ განჩინებაშიო. „განგებასა ვერვინ შეცვლის, არ საქმნელი არ იქნებისო“... ერთადერთი, რაც შეგიძლია ალბათ ესაა – ეცადო – გაახარო შენი გულის ჭია. მორჩა და გათავდა. სხვა ყველაფერი თავის მოტყუებაა!

– ვითომ?.. მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა...

– ოჰ, ეს შეგონებანი... მომკლეს ამ შეგონებებმა, ისევ ისე ყოფიერების სერიოზულობისკენ რომ მოგიწოდებენ! სერიოზულად უნდა აღიქვა თურმე, შენი როლი ამ საყოველთაო აბსურდულ თეატრონში, კაცობრიული ცხოვრება რომ ჰქვია. სერიოზულად უნდა ითამაშო დიდი იქნება თუ პატარა – როლი, რათა კარგად მოატყუო მაყურებელიც და, რაც მთავარია, საკუთარი თავი. ჰმ!.. ჭეშმარიტად, დიდი მისია გვაკისრია, ღვთის მადლმა... მაგრამ სად წაუხვალ ეკლესიასტეს ცნობილ შეგონებას: ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს?

– მანამ, სანამ აქა ვართ, თუნდაც დროებით, მანამ სანამ გადავალთ სხვა განზომილებაში! რადგან, წმინდა მამების მოძღვრების თანახმად, ამქვეყნიური არსებობა სხვა არაფერია, თუ არა კაცის გამოცდა – მომავალი – სხვა არსებობისათვის! აკი სიკვდილი დასასრული კი არა – გარდაცვალებაა მხოლოდ, ჩვენი დალოცვილი ქართულის თანახმადაც! მაშასადამე, სიკვდილი რაღაც სხვად ქცევაა!..

ამიტომ... ვიდრე აქა ხარ, ეტყობა, უნდა ემზადო მთელი შენი ცხოვრებით, იმ სხვა არსებობისათვის ანუ სხვა განზომილებაში გადასასვლელად...

ხოლო, ვინ როგორ გაივლის ამ გამოცდას – ეს უკვე ალბათ თვითონ პიროვნებაზე დამოკიდებული... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, ჩემო იულიანე!

***

ირიჟრაჟა. რემას თვალებს კი რული არა და არ ეკარებოდა. პირაღმა იწვა გაშოტილი და შინაგანად აფორიაქებულ-აწრიალებულს, განძრევა ვერ გაებედა, გვერდი ვერ მოენაცვლებინა იმის შიშით, ვაითუ მასპინძელს ძილი დავუფრთხოო. ცდილობდა, სუნთქვაც კი მოეპარა.

სანამ ლოგინში ჩაწვებოდა, რემა აივანზე გავიდა მცირე ხნით. თეთრი ღრუბლების ფთილებით მოჩითულ ცაზე აქა-იქ გაბნეულიყო ბარჩხალა ვარსკვლავები. სავსე მთვარე ირმის ცურვით თიმთიმებდა. მოშორებით კი ძილმორეული ზღვა საამოდ ფშვინავდა. „ღმერთო ჩემო! რა ენით აუწერელი სილამაზეა!“ – გაიფიქრა რემამ და გარინდული, ხარბად შესცქეროდა თვალწარმტაცად ამოქარგულ ცის თაღედს. ასეთი ცა სხვა დროს არასდროს უნახავს.

ღმერთო!

ალბათ, ამ წუთებისთვისაც ღირს ამქვეყნად სიცოცხლე! ამგვარი მშვენიერების ხილვამაც ათქმევინა ალბათ გენიოს პოეტს, წამო, შეჩერდიო!

და ანაზდად, გულის უშორესი მღვიმიდან დაიძრა საკრალური სიტყვები ლოცვისა: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“...

მერმე, უკვე ლოგინში მწოლიარეს, კვლავ აეშალა ფიქრები. წელანდელი, სულში ჩაღვრილი ღვთიური სიმშვიდე და უდრტვინველობა ისევ დაერღვა, ისევ აეწეწ-დაეწეწა აზრები. წარსულის სურათები, ზოგი გადავიწყებული, ზოგიც საგულდაგულოდ მიმალული გულის უშორეს კუნჭულებში, – ერთბაშად მოზღვავდა და ერთბაშადვე ჩაითრია თავის მღვრიე მორევში, ააბურთავა, ააგორავა. ელვისუსწრაფესად ენაცვალებოდნენ ისინი ერთიმეორეს ხან ჩახლართულ-ჩაბურდულები, ხანაც გათითოებულნი, ერთმანეთისგან გაცალკევებულნი. ზოგ მათგანზე უფრო ხანგრძლივად ჩერდებოდა მისი გონების მზერა, ზოგსაც უცებ გადაურბენდა წამიერად, მეყსეულად. მრავალწახნაგოვანი და მრავალფეროვანი იყო წარსულის სურათები და ამ სიმრავლიდან ხამუშ-ხამუშ ხან ერთზე შეჩერდებოდა მისი მზერა და დაკვირვებით ჩაუკირკიტდებოდა ხსოვნის ფსკერიდან ამოტივტივებულ და თვალწინ დატრიალებულ ამ ფერადოვან ნაგლეჯს ერთი მთლიანი ხატოვანი სურათისა, ხანაც მეორეს. მთელ ამ დაბურდულ თუ გადახსნილ გორგალში ახლა, რატომღაც, ერთი ეპიზოდი უფრო ეძალებოდა, რატომღაც ამ ერთ მკვეთრად, ცხადად წარმოსახულ მონაკვეთს წარსულისას ჩაშტერებოდა დაჟინებით.

...რემას მეზობელი გლეხები კვირტია და მალაზონია სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებოდნენ ერთმანეთს. მტრობა კი დაწყებულიყო იმის გამო, რომ კვირტიას ღორი შეჩვეოდა მალაზონიას ბოსტანს და ცხადია, არ სჯერდებოდა მარტო ღობის განგრევას. ერთ მშვენიერ დღეს გაგულისებულმა, წონასწორობადაკარგულმა მალაზონიამ თოფით მოკლა მეტისმეტად თავგასული და უდიერი ღორი. აი, აქედან ატყდა ვაი-უშველებელი. დღე ისე არ გავიდოდა, რომ მზეობლებს ჩხუბი არ მოსვლოდათ. იყო ერთი გაწევ-გამოწევა, ლანძღვა-გინება, მუქარა.

აწიოკებული იყო მთელი სოფელი და განსაკუთრებით ის უბანი, სადაც კვირტია და მალაზონია ცხოვრობდნენ. ვინ არ ჩაერია მეზობლების დავა-ჩხუბში – სოფლის უხუცესნი, მღვდელი თუ პოლიცია – არაფერმა გაჭრა. პირიქით, რაც დრო გადიოდა სულ უფრო და უფრო მწვავდებოდა მდგომარეობა.

შვილმკვდარი რემა გარიდებული იყო სოფლის ყოველგვარ რია-რიას, იგი თითქმის არ გამოდიოდა სახლიდან და განმარტოებული, ფიქრსა და დარდს მისცემოდა. მაგრამ მეზობლების გაუთავებელმა ჩხუბმა მის ყურამდეც მიაღწია.

ერთხელ, დაბაში, ეკლესიაში მიმავალი, მოულოდნელად გადაეყარა კვირტიას და მალაზონიას მაშინ, როცა ისინი ორღობეში შეყრილ ხალხის წინ ერთმანეთზე მიიწევდნენ სარებით.

რემა შეზარა და ადგილზე გააქვავა არა იმდენად მათმა ლანძღვა-გინებამ, არამედ მოჩხუბართა გამხეცებულმა სახეებმა: ისეთი სიძულვილი ენთო ორთავეს თვალებში, ისე გააფთრებულნი უტევდნენ ერთიმეორეს, ისე საშინლად მოქცეოდათ ღრანჭები, რომ აშკარა იყო, ხელი არ აუკანკალდებოდათ, რათა ახლა, ამ წუთას ყელი გამოეჭრათ ურთიერთისათვის, აი, ამან, ამ სიძულვილმა – უსაშველო, წრეგადასულმა, ველურმა სიძულვილმა გააქვავა რემა. რისთვის, რატომ სწირავდნენ ასე უწყალოდ, ასე გამეტებით ერთმანეთს გუშინდელი კეთილი მეზობლები, ნუთუ ერთი ღორის გულისთვის? ხოლო მათი ცოლები იმის ნაცვლად, დაეშოშმინებინათ, დაეწყნარებინათ, პირიქით, მწარე ენით აქეზებდნენ და აგულიანებდნენ თავიანთ ჭკუიდან გადასულ ქმრებს, ანუ ცეცხლზე ნავთს ასხამდნენ აშკარად და დაუფარავად – თავიანთი წიოკობით და კაპასობით. ზოგიერთი ე.წ. გამშველებლის თვალებში მოჩვენებითი თანაგრძნობის მიღმა, იქნებ გაუცნობიერებლად, ბოროტი წადილი ილანდებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს – დაეცხოთ ერთმანეთისთვის! ანუ დაღვრილიყო სისხლი. ბევრი კი, უბრალოდ, სეირის საყურებლად შეგროვილიყო მოჩხუბართა გარშემო.

რემა შინ მიბრუნდა მყისვე და თავის ხელით გამოიყვანა ბოსელიდან მოზვერი და კვირტიას მიჰგვარა თავისივე ხელით: ეს ჩემგან მიიღე საჩუქრად მოკლული ღორის სანაცვლოდო, – უთხრა ისეთი უწყინარი, მშვიდი კილოთი, რომ კვირტიას ენა მუცელში ჩაუვარდა. გაშტერდა. მალაზონიამაც, ამის გამგონემ, კარგა ხანს დაკარგა მეტყველების უნარი.

სირცხვილისა და უხერხულობის გრძნობამ, რემას საქციელით გამოწვეულმა, შეარიგა მოძულე მეზობლები ერთმანეთს. ამ შემთხვევამ რემაც გამოიყვანა კარჩაკეტილობიდან. სოფლიდან განდგომილი, ძალაუნებურად ისევ ჩაერთო მის ყოველდღიურ საქმიანობაში. ამავე შემთხვევამ ხელახლა მიიყვანა იგი თამუნიასთან. თუმც... მანამდეც ესტუმრა მას ერთი-ორჯერ, მაგრამ ახლა თამუნიას სახე და მასთან შეხვედრის სურათი მეყსეულად დაჩრდილა მეუღლის დაფეთებულ-გაფართოებულმა თვალებმა. ეს თვალები ახლა ყველა დანარჩენ წარმოსახულ ჩვენებებს ფარავდა და მთელ ამ ღამისეულ წყვეტება-ბორგვაში ბარათიდან ის სიტყვები იმარცვლებოდა გონებაში, ქორწინებამდე რომ გამოუგზავნა რემას: „სხვაზე მათხოვებენ. თავს არ ვიცოცხლებ. მე უშენოდ არ შემიძლიაო“.

რემამ უკვე იცოდა სიკვდილის „ფასი“ და მისგან მოგვრილი სიმწრის „გემო“, რადგან არცთუ დიდი ხნის წინ დაკარგა საყვარელი არსება. უეცრივ, ტვინის ანთებით გარდაიცვალა უმშვენიერესი მზეხა ჩიქოვანი – რემას დანიშნული! ჯერაც არ მოშუშებოდა ჭრილობა, ჯერაც ღია იყო იარა და აი, ეს ბარათი... რემას გულმა განგაშის ზარი ჩამორეკა და მოსალოდნელი უბედურების ასაცილებლად ისწრაფა... უნდა გადაერჩინა სიცოცხლე, როგორც თავად ფიქრობდა მაშინ. შემდეგ კი... ვერაფერი უშველა თავის პირმშოს. კოკის სიცოცხლე თითქოს შეიწირა ოდესღაც დედამისის გადარჩენილმა სიცოცხლემ. ჰმ!.. რატომ აეკვიატა ეს აბსურდული აზრი ამაღამ? აეკვიატა ჯიუტად. დაჟინებით...

შენ, რაო თამუნია? რა უნდა მითხრა? რას შემომცქერი სევდანარევი მზერით და ნაღვლიანი, ძლივს შესამჩნევი ღიმილით? რაო, ჩემო? რა უნდა მეზრახო?

– აღარ გეძინება, არა, რემა?

რემა გაიტრუნა. სული განაბა.

– ტყუილა ნუ იმძინარებ თავს, არ დაგვეძინება ამაღამ მე და შენ!

– ჰო... ალბათ, ეგრეა. იუ! ეტყობა, მართლაც ვერ დავიძინებთ ჩვენ ამაღამ. თუმცა... რაღა ღამეა, ინათა უკვე...

წამიერი დუმილის შემდეგ რემამ ისევ წამოიწყო: – ჩემი მამიდაშვილი თამუნია მხეიძე თუ გახსოვს შენ, იუ?

– თამუნია მხეიძე?.. როგორ არ მახსოვს, კაცო! თამუნიაზე მგონი, მთელი ჩვენი კლასი იყო შეყვარებული. მეც ელეთმელეთი მომდიოდა ყოველ მის დანახვაზე!.. ეგეთი იშვიათი სილამაზე არსად შემხვედრია სხვაგან... რაზე გაგახსენდა ახლა მხეიძის ქალი, რემა?

– იცი, თამუნია სენაკის დედათა მონასტრის იღუმენიაა... მაგას საქმრო მოუკვდა ადრე. შენ მაშინ უკვე ევროპაში იყავი. ჰოდა, მონაზვნად აღიკვეცა. ძალიან უყვარდათ მას და საცოდავ ვანიკო ერისთავს ერთმანეთი... იბადებიან თურმე ასეთი ადამიანები, გედივით ერთხელ რომ შეუძლიათ მხოლოდ სიყვარული და მაინც... ამისდა მიუხედავად... თა-

მუნიას რომ ვუყურებდი, მენანებოდა, ძალაუნებურად მენანებოდა... არ მემეტებოდა მისი მშვენება მონასტრისთვის, მომიტევოს უფალმა და... ახლაც არ მემეტება ასე დაჭკნობისთვის, თუმცა... კაციშვილმა არ იცის დანამდვილებით, ჭეშმარიტად რა სჯობია ამქვეყნად!..

ჰო, იმას ვამბობდი, ბიჭი რომ დამეღუპა, ერთხანს ვფიქრობდი ბერად შედგომაზე. ავედი თამუნიასთან მონასტერში რამდენჯერმე. ვსუბრობდით. არ მითქვამს მისთვის ჩემი განზრახვის შესახებ. თამუნია შეიძლება ხვდებოდა, მაგრამ არ იმჩნევდა... ისე ვლაპარაკობდით საერთოდ, ამა სოფლის ამაოებაზე, წუთისოფლის უხანობაზე, ღვთის სიყვარულზე... უფრო სწორად, თამუნია ლაპარაკობდა უფრო, მე ვუსმენდი და ძალაუნებურად ისევ ისე მიწიწკნიდა გულს ძველი სევდა. თუმცა თამუნიას წყნარი, თითქოს არაამქვეყნიური ხმა სიმშვიდეს მძენდა, სულს მიამებდა და მაინც, ის ძველი ნაცნობი სევდა გულს მიწურავდა, ისევ ისე მაფორიაქებდა.

თამუნიას ნაადრევად დამზრალ-დამჭკნარი სილამაზე, მისი გადაყვითლებული სახე, გამხდარი, გრძელი, ოდესღაც მშვენიერი თითები, კრიალოსანს რომ მარცვლავდა – უსაშველო სევდით მივსებდა გულს... გახსოვს, წეღან რომ თქვი შენ, არ მსურს დავთრგუნო ჩემში ბუნებრივი მიდრეკილებანიო, – მენიშნა შენი სიტყვები, მაგრამ მაშინ არაფერი გითხარი.... მონასტერში ველაპარაკებოდი აგრეთვე ახალგაზრდა ბერმონაზვნებსაც...

ზოგჯერ, მათ რომ ვუყურებ, არაბუნებრივი მეჩვენება ხოლმე ბრძოლა საკუთარ თავთან, ჩახშობა ყოველივე იმისი, რაც თვით ღმერთმა გააჩინა ამ ცისქვეშეთში ადამიანის ხანმოკლე, წამისწამისიერი არსებობისათვის... არადა, ღმერთთან მიახლოება, სულის განწმენდა-განსპეტაკება... ხომ თავისთავად დიდებული რამ არის!..

ჰო, მაგრამ ჩემის აზრით, ეს უნდა ხდებოდეს თავზე ძალდაუტანებლად, ბუნებრივი სურვილით და მოთხოვნით. ასეთი კი, ასი ათასიდან ერთი თუ იქნება გამორჩეული. დანარჩენები? შველის დანარჩენს ლოცვები, მარხვა, ხორცის გვემა გაუთავებელი?.. წყლის ნაყვა ხომ არ არის-მეთქი ეს ყველაფერი? ხშირად მიფიქრია, ის ხორციც ხომ თავისებურად მშვენიერია, განუმეორებელია, თუმცა ბევრს იგი ჭუჭყიან, ბინძურ ჭურჭლად მიაჩნია, მაგრამ სხეული ადამიანისა ხომ როგორც ბილწი, ისე ამაღლებული სულის მატარებელიცაა? სულის ჭურჭელიცაა? თუმც გონებით, ტვინით მწამს, რომ ყოველივე ამაოა, წარმავალია ამქვეყნად, შენი თქმის არ იყოს – ამაოებათა ამაოება და ყოველივე ამაო არს, და მაინც, ვიდრემდის აქა ხარ, ამ საწუთროში, ამ სამზეოში, – რისთვის უნდა დაიხშო ყური და დაიბრმვაო თვალი ამ მიწიერი მშვენიერების

აღსაქმელად? რუსთაველის თქმით – ამ უთვალავი ფერებით შემკული, სოფლის შესატკბობად-თქო, – ვფიქრობდი და ტვინს ვიჭყლეტდი, ვაზრობდი...

ჩემს თავზე დატეხილი უბედურება აღვიქვი, როგორც ღვთის რისხვა, წინაპართა ცოდვის შედეგი და ამდენად გარდუვალი, ბედისწერისეული... და მაინც... გამიჭირდა, ძლიერ გამიჭირდა ამ უბედურების გადატანა... ამისდა მიუხედავად, მაინც გადამძლია წუთიერმა, წამისწამისმა ცხოვრებისეულმა მოვლენებმა, მისმა ყოველდღიურმა ჭირ-ვარამმა თუ ლხინმა, სიყვარულმა სიმღერისადმი, მცირე თუ დიდმა საზრუნავმა, თუნდაც ჩემს აფთიაქზე, სოფელში რომ გავხსენი და გაჭირვებულები უფასოდ რომ იძენენ ხოლმე წამლებს... მოკლედ, ამ სოფლიურმა საცთურმა გადამძლია და... დავრჩი ერისკაცად. ვერ შევდგი ფეხი სასულიერო ძმობაში, ვერ აღმოვჩნდი ამ დიდი პატივის ღირსი, ალბათ, ჩემი გულნამცეცობისა თუ სიხარბის წყალობით.

ეს ყველაფერი იმისთვის გავიხსენე, ჩემი იუ, რომ ერთხელაც, თამუნიასთან, უფრო სწორად იღუმენია ანასთან სტუმრობის დროს, სხვა მრავალ სატკივართან ერთად, ვეღარ დავმალე ბევრი ჩემი მკრეხელური აზრიც და გავანდე თამუნიას.

თამუნიამ, ჩვეულებისამებრ, გულისყურით მომისმინა და მერმე დამშვიდება დამიწყო და სხვათა შორის, მითხრა, რომ ამქვეყნად ყოველ ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს ღვთითო. შენ უნდა აკეთო ის, რისი მოწოდება და მისწრაფება გაქვს და რასაც გული და გონება გკარნახობსო, უნდა აკეთო შენი საქმე პატიოსნად, წრფელად, უანგაროდ და ასეთი საქმე ყოველთვის კურთხეულია უფლისაგან, ყოველი კეთილი საქმე სულიწმინდის მადლით არის მოფენილიო.

მოკლედ, მარტივად, უბრალო ენით მელაპარაკებოდა ისეთ რამეებს, რაც თითქოს მეც კარგად ვუწყოდი, რასაც თითქოს მეც მშვენივრად ვხვდებოდი, რაზეც მეც ასევე მიფიქრია, მაგრამ... თამუნია-ანასგან ნათქვამი მაინც სხვანაირად, რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობით აღვიქვი, სხვანაირად აჟღერდა ჩემთვის მისი სიტყვები.

მე მორწმუნე კაცი ვარ, ცხადია, მაგრამ ჩემი წინაპრებისაგან განსხვავებით, ბევრად უფრო ნაკლებადა ვარ განსწავლული და ჩახედული საღმრთო, წმიდა წერილებში...

ჰოდა, თამუნია-ანა ჩემთვის თავისი ცხოვრებითაც და განსწავლულობითაც დიდი ავტორიტეტია და არა მარტო ჩემთვის... ან ძალიან რომ მიყვარს, იმიტომ უფრო თუ იმოქმედა მაშინ მისმა ნათქვამმა, არ ვიცი... ეგება, ასეცაა!..

ჩვენი საუბრის ბოლოს თამუნიამ მითხრა, შენ თუ იცი, ჩვენს მონ-

ასტერში რომ გადმოვიდა დაი ანასტასია-დარია მარშანიაო. ვერ მოვისაზრე უცებ, ვინ დარია იყო. აი, შენი გიმნაზიისდროინდელი მეგობრის, იულონ ფაღავას ყოფილი საცოლეო. მართალი გითხრა, არც ის ვიცოდი, თუ დარია შენი დანიშნული იყო და არც ის – მონაზვნად რომ აღიკვეცა. შენ რომ ბერობა ახსენე წუხელ, მინდოდა ამის თაობაზე მეკითხა და თავი შევიკავე. მაგრამ ახლა ყველაფერი ერთბაშად მომეძალა და ეს კითხვაც, მაპატიე და, მოსვენებას არ მაძლევს! – რემა დადუმდა. დუმდა ფაღავაც. რემას უხერხულობის გრძნობა დაუფლებოდა და უკვე ნანობდა თითქმის, რომ აჰყვა გულისთქმას თუ ცნობისწადილს და შესაძლოა, ძველი იარა გაუხსენა იუს. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ფაღავამ, დაბეჟილი ხმით წარმოთქვა:

– ჰო, იყო მასე... კაი დიდხანს გვქონდა მიწერ-მოწერა – მე და დარიას... მერე... რომ შევატყვე, მიჭიანურდებოდა ჩამოსვლა, მოვწერე, ნუღარ მელოდები-თქვა. – გაყუჩდა ისევ ფაღავა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. ორთავე მძიმე ფიქრებს მისცემოდა.

– ასე რომ, შეიძლება ერთი ადამიანის ბედნიერებაც შეიწირა ამ ჩემმა ე.წ. ეროვნულმა განძმა! – დუმილის შემდეგ დასძინა თავის ნათქვამს ფაღავამ და უამურად ჩაიცინა. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაამატა: – თუმცა... ვინ უწყის, ვისთვის რაა ბედნიერება!... საკითხავი – აი, ეს არის!

***

...მღვიმიდან გამოსულს, განთიადსა და სიგრილესთან ერთად ერთბაშად შემოეგება უცნაური მდუმარება და სიჩუმე, ირგვლივ რომ გამეფებულიყო. შედგა ღამენათევი, ხილვებსა და ჩვენებებთან ჭიდილით გასავათებული. მღვიმის შესასვლელის ძგიდეს მიეყუდა წამიერად და თვალმილულულმა, საკუთარ გულის ცემას მიაყურადა. მტრდების გუნდივით ისევ წამოეშალა ფიქრები. უღონოდქმნილი – უსუსურად, უხალისოდ იგერიებდა მათ, თავის მორევში ჩათრევას რომ უპირებდნენ კვლავაც.

ანაზდეულად მარცხენა მხარზე რაღაც ფაჩუნის მაგვარი შეიგრძნო, თითქოს უხილავი, პაწია არსება შეასკუპდა ზურგზე და ბუქნაობას შეუდგა.

„ძვაბრალე!“ – გაუელვა მყისვე თავში და ერთი ხელის დაკვრით გაუქრა მოთენთილობა. შინაგანად შეიმართა, დაიძაბა, სახე დაესხიპა, საპაექროდ თუ საბრძოლველად შეემზადა თავისდაუნებურადვე.

„მაშ, არ იშლი შენსას, არა?.. ადიხარ ხომ მწვერვალზე?“

„ავდივარ!.. ეს ერთი აღმართიღა დამრჩა მგონია და...“

„ჰი, ჰი, ჰი, ერთი აღმართიო, ჰი, ჰი, ჰი... არავინ უწყის, რამდენია დარჩენილი სინამდვილეში...“

„ეგება მასეცაა, ეგება მართლაც უსასრულო და უბოლოა იგი და მაინც...“

„მაინც ადიხარ, არა?“

„კი. ასე მაქვს განზრახული“...

„მე კი გირჩევ „გაბრუნდი! სანამ დროა, სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა, გაბრუნდი უკან!“

„ვერა. ვეღარ ვიზამ ამას. ეს ხმა... მიხმობს ისევ ისე, თავისთან მეძახის... იქ, ქვემოთ ვეღარ, მოვისვენებ, სანამ...“

„რატომ შეჩერდი?.. ჰი, ჰი, ჰი... ტანჯულის ხმა აღარ დაგაყენებს მშვიდად არა, თავად – ტანჯულს? ეს გინდოდა გეთქვა? სწორად მიგიხვდი თუ არა?“

„ეგება ასეც იყოს!“

„ყველას ტანჯვის მოზიარედ რად მიგაჩნია შენი თავი? ვინა ხარ, ბოლოს და ბოლოს?.. რად იღებ შენს თავზე ამოდენა პასუხისმგებლობას? ვინა ხარ-მეთქი შენ – ამისთანა?“

„მე იგი ვარ, ვინც იცის ტანჯვის ფასი ამქვეყნად!.. დიახ, მე ბევრი ვიტანჯე ამ წუთისოფელში, ბევრჯერ მოვკვდი და... ისევ გავცოცხლდი, მაგრამ... ჩემი ტანჯვა რა მოსატანია იმასთან... იმის ტანჯვასთან“...

„ტანჯვა-ტანჯვაა, – დიდია იგი თუ მცირე... შენ კი... თუმცა ეგების ხმამაღლა არ ამბობდი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ემდუროდი ბედს, ხომ ასეა, ჩემო რემა?“

„კი. ასეა. ცხოვრებაში არაფერმა არ გამიმართლა-მეთქი, ვფიქრობდი ხოლმე ერთ ხანს“...

„უიღბლო კაცად მიგაჩნდა შენი თავი, ხომ? ოღონდ ეგაა – არაფერს იმჩნევდი, გარეგნულად ვერ შეგატყობდა ადამიანი, რომ... „ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ ცრემლზე მწარეაო“. არა? გიყვარდა შენ ეს გამოთქმა, ხომ მართალია?“

„მართალია. საერთოდ, მიყვარს აკაკი... მისი დიდებული პოეზია!“

„ჰოდა, რა არის – ეს? ამპარტავნობის თუ... ქედდადრეკილობის ნიშანი?“

„ამპარტავნობის – არა!“

„მაშ, სიამაყის?.. მორჩილებასთან წილნაყარისა?.. გაჩუმდი, არა? ესე იგი...“

„შესაძლოა, ორთავე იყოს... არ ვიცი...“

„ჰმ, ჰმ... მაშ, შესაძლოა... შესაძლოა... გამაგებინე, რად დაუმალე შენს ძველ მეგობარს ზოგი რამ? ესეც სიამაყის ბრალი ხომ არაა? ან ხომ არ

ითვალთმაქცე?“

„არა. არ მითვალთმაქცია... ჩავთვალე, რომ მამაკაცს არ შეშვენის ჩივილ-წუხილი და წუწუნი. არადა, შესაძლოა, ასე გამოსულიყო სხვის თვალში, – თუნდაც მეგობრის“...

„იმ ღამეზეც კრინტი არ დაგიძრავს... გახსოვს ის ღამე, გაუნძრევლად რომ იწექი ოთხი დღე და ღამე, ჭერს მიშტერებული?“

„რა დამავიწყებს იმ ღამეს! მე მაშინ მეორედ მოვკვდი, ჩემს კოკისთან ერთად!“

„პირველად?..“

„პირველად... მზეხა რომ წამართვა განგებამ, მაშინ...“

„სწორია. მასეა. შენი პირველი სიყვარული... როგორ გიყვარდა!.. პირველად მაშინ გესტუმრე მეც, გახსოვს?“

„არა, პირველად მაშინ არ მობრძანებულხარ, ძვაბრა! შენ ცრუობ!“

„ჰო... მართალი ხარ... პირველად გეწვიე, ჰო, მართლა, როდის გეწვიე პირველად?.. ვეღარ ვიხსენებ ახლა. ნუ იღიმები დამცინავად. ნამდვილად არ მახსოვს. მომაგონე, თუ კაცი ხარ?“

„უნივერსიტეტი რომ მივატოვე“...

„ჰო, ჰო. გამახსენდა. ძალიან განიცდიდი, მახსოვს. ეს პირველი დარტყმა იყო, მგონია, ცხოვრებამ რომ მოგაყენა... ძალიან გინდოდა ექიმობა, ო, როგორ გინდოდა!“

„მინდოდა, კი!“

„ის იყო მესამე კურსი დახურე და... მამაშენის გარდაცვალების ამბავი მოგივიდა... საღ-სალამათი, ახალგაზრდა კაცი გამოეცალა ოჯახს...“

„ეს მართლაც პირველი, მოულოდნელი დიდი უბედურება იყო. ჩემთვის, პირველი მძიმე დარტყმა!..“

„და იძულებული გახდი აკადემიური შვებულება აგეღო. მაშინ გეგონა, რომ...“

„მეგონა, დავბრუნდებოდი ისევ ტარტუში, მაგრამ“..

„არა მარტო უსახსრობამ და ოჯახურმა სიდუხჭირემ შეგიშალა მაშინ ხელი...“

„მახსოვს, შენი მეშვეობით, მირჩევდნენ გაბესკირიას ქალის შერთვას, მდიდარიაო ძალიან!“

„არ ინდომე, რომ მოგეყვანა გაბესკირიას ქალი. არადა, ხომ ეწეოდი საწადელს, ექიმი გახდებოდი: არ ინდომე! წვალების გზა ირჩიე. დედის და უმცროსი და-ძმის მზრუნველობა მარტომ იკისრე თითქმის – უქონელმა, უპოვარმა.

გაბესკირიას ქონება ხელ-ფეხს გაგიხსნიდა: არ ინდომე. ეს იყო შენი პირველი, დიდი შეცდომა, – მეორე შეცდომა ჩაიდინე მაშინ, როცა სიბრალულის გრძნობით შეპყრობილმა, ღატაკი გლეხის ქალი სიბრალულის გამო შეირთე ცოლად, ანუ უსიყვარულო ცოლქმრობა ირგუნე თავად, შენივე ნებით. არც მაშინ დამიჯერე. ჰოდა, რა მოიგე საბოლოოდ?.. სულ ერთიაო, ჩემი გული მზეხას შემდეგ მაინც მკვდარიაო და სხვას მაინც გავახარებო, – არწმუნებდი საკუთარ თავს, გახსოვს?.. ჰი, ჰი, ჰი... სხვის გახარებას ცდილობდი, მაშინ, როდესაც შეგეძლო უწინარესად, საკუთარი გულის გახარებისთვის გეზრუნა. აკი ამ სხვათა სიბრალულმა, ჭაპან-წყვეტაში გაგატარებინა მთელი ცხოვრება. რა მოიგე-მეთქი? ერთხელ არ გაგიხარია. ერთხელ არ გალაღებულხარ. მირჩევნია, მე მომაყენონო ტკივილი, ვიდრე მე მივაყენოო სხვას, მირჩევნია მე მომატყუონო, ვიდრე მე მოვატყუოო... და ასე შემდეგ“...

„არც ასეა საქმე... ჩემი ცოლი ისეთი ღირსეული ადამიანი გამოდგა, რომ მე იგი – შემიყვარდა.“

„ჰმ... ჰმ! როგორ ოცნებობდი ევროპის უმაღლეს სასწავლებლებზე, როგორ გინდოდა მოგევლო ქვეყნიერება, ცოდნით და სიბრძნით აღჭურვილიყავი!.. რას მიაღწიე?.. მიყრუებულ სოფელში ჩაიმარხე და შენი ჯანი და უნარი შეალიე სხვების სამსახურს, უფასო აფთიაქიც კი გახსენი.

„რათა სხვების?.. ჩემიანების“...

„ჰი, ჰი, ჰი, შენიანების? შენიანებად მიგაჩნია შენ ყველა ამ ცისქვეშეთში! რა მერე? ვინ დაგიფასებს?“...

„არა დაფასებისთვის...“

„ვიცი, ვიცი... ყველაფერი ვიცი, რა მერე? შენ რა-მეთქი? ტანჯვის მეტი რა შეგხვდა?... მე ხომ ვუწყი, მე ვერ მომატყუებ და თვალს ვერ ამიხვევ: დაწყლულებულ-დაიარებულ გულს დაატარებ მკერდში და რა წუთში გიღალატებს იგი – არ იცი!“

„ასე უწერია ჩემს წერა-მწერალს. განგებას ვერ გადაუხვალ... მე არ ვდრტვინავ, არ ვჩივი. შევეგუე ბედისწერის განჩინებას და ვაკეთებ მხოლოდ იმას, რასაც გული მკარნახობს!“

„ბედისწერა, ბედისწერა... თავად ადამიანი ქმნის თავის ბედისწერას“...

„კი, ამაში გეთანხმები: ადამიანის ხასიათში, მის ბუნებაშია ჩადებული მისი ბედისწერა“.

„მით უმეტეს: აწი მაინც გმართებდა მიგეხედა შენი „ხასიათისათვის“. შენ კიდევ რაღაც აფთიაქი და ხალხური წამლების შესწავლა დაიწყე! მანამდე – მომღერალთა გუნდი შექმენი თუ რაღაც ობროდობა აიკვიატე და ახლა ამას ალევ შენს ჯანსა და უნარს. თუ მაინცდამაინც უსიმღეროდ ვერ ძლებ, იმღერე შენთვის რამდენიც გინდა, ვინ გიშლის? მარა ეს დავიდარაბა და წინ და უკან სირბილი სხვადასხვა კუთხეებში — რაღად აი-

ტეხე? რისთვის? ვინ გეტყვის მადლობას-მეთქი!“

„მაშინ, იმ ოთხ დღე და ღამეს, უგონოდ რომ ვიყავ და ყველას გადადებული რომ ვეგონე, ვიხილე ჩვენება... ჯვარიდან ჩამოხსნილი მაცხოვრის ფეხებთან დამხობილი ღვთისმშობელი... მისი გაწამებული და მაინც არაამქვეყნიური ნათლითმოსილი სახე და... თითქოს ჩამესმა, გამაგრდი, უბედურებას არ გაეტეხვინოო, რამეთუ... შენ სხვათა მშველელის და მკურნალის დანიშნულება გეძლევა ამიერიდანო. ეს იყო მესამე ღამეს... დილით გამოვიხედე. წამოვდექი და უცებ... მოულოდნელად თითქოს წიგნი გადამეშალაო ჩემს თვალწინ... სიტყვა-სიტყვით აღვადგინე დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ბებიის – აწ მივიწყებული ნათქვამი, ანუ აღვიდგინე იმ ბალახების სახელები და მათი მომზადების წესები, რითაც ის მკურნალობდა სხვადასხვა სენით დაავადებულთ... ღვთის ნებით მოხდა ეს და, იცოდე, ვერანაირი ეშმასეული ძალა ვერ გადამიბირებს, ვერ გადამძალავს...“

„მაშ, გამოდის, რომ შენი არ იკმარე და ახლა სხვათა ტანჯვა-წვალებაც აიკიდე ზურგზე!“

„ეს ჩემი ბედისწერისეული განჩინებაა-მეთქი, გიმეორებ. ასე ინება უთუოდ უფალმა!.. შეძლებისდაგვარად უნდა ვუწამლო სხვათა გულის თუ სულიერ იარებს, ბალახ-ბულახით იქნება ეს თუ სიმღერებითა და საგალობლებით. ეს უწინარესად ჩემთვისაცაა შვება, ნუგეში. სალბუნი დაწყლულებული გულისა!“

„მახსოვს, როგორ გძაგდა ყოველგვარი ძალადობა და როგორ ოცნებობდი გეცხოვრა სამართლიანი, თავისუფალი ძმობისა და ერთობის ქვეყანაში!“

„მართალია. ვოცნებობდი ამაზე ადრე და ახლაც... ვოცნებობ“!

„ვინაიდან... ადამიანი ყველაზე მეტად უსამართლობას ვერ იტანსო...

მერედა, ოდესმე ყოფილა სამართლიანი ხანა? მჩაგვრელისა და ჩაგრულის გარეშე არსებულა კაცობრიობა – მიწყივ დასაბამიდან-დღემდე? მიუხედავად იმისა, რომ ბედმა ანუ შენი თქმით, ბედისწერისეულმა განჩინებამ გიმტყუნა და გარგუნა მონობასა და მუდამ განსაცდელში ყოფნა – შენ მაინც არ იშლი შენსას! როდემდის?“

„უფლის შეწევნით და მისივე ნებით – არავის ძალუძს, ძე-ხორციელს, დაიმონოს ადამიანის სული!“

„დაე, ეგრე იყოს, რაკიღა ასე გწამს და გჯერა!... მაგრამ... ზემოთ, მაღლა ნუღარ ახვალ!.. ეს ერთი რჩევა მაინც მიიღე ჩემგან. ერთხელ მაინც დამიჯერე შენს სიცოცხლეში. ცოდვის კითხვის მეტს სხვას ვერაფერს იხილავ იქ, მაღლა. გონს მოეგე-მეთქი, დაფიქრდი. ადამის ყოველი ძე ატარებს საკუთარი ტანჯვა-წვალების ტვირთს. ყველანი აკი

საკუთარ ჯვარს ზიდავენ ხოლმე-თქვენი უფლის ნება-სურვილით. შენ კი... არ კმარხარ არამცთუ შენი და გარშემომყოფთა ჯვარის ზიდვას, გწადია, შეეჭიდო მოურეველს... კაცთა საზრისისთვის მიუწვდომელს, შეუცნობს!.. შეჩერდი-მეთქი გეგეს ყმავ, სანამ ჯერ კიდევ გვიან არაა!..“

„გვიანაა უკვე შენი ყოველგვარი შეგონებანი, ძვაბრავ! ისარი ნატყორცნია – უკან ვეღარ დააბრუნებ!“

IV თავი

მწვერვალზე

გოლიათი ფართო გამოქვაბულის შესასვლელთან, უზარმაზარი ქვის სავარძელში იჯდა გაუნძრევლად და მზერა წინ გადაშლილი სივრცისათვის მიეშტერებინა.

იაზრა წამით, რომ ქონდრისკაცისა და ბუმბერაზის შეხვედრას ჰგავდა ახლა ეს სურათი გარეშე თვალისათვის. არადა, სწორედ მისი მეორე „მე“ ქცეულიყო ამ გარეშე, უცხო მეთვალყურედ და გულდასმით, კრიტიკულად აღნუსხავდა გონების უხილავ დაფაზე ყოველივე იმას, რაც მისი თვალსაწიერის არეში ხდებოდა. წამიერად ისიც გაიფიქრა, სიზმარი ხომ არააო, რასაც ვხედავ და ხომ არ აღვიქვამ ერთი იმ უჩვეულო ხილვათაგანს, არაერთხელ რომ მზმანებია სხვა დროსაცო.

პირველი, რაც თვალში მოხვდა მაშინვე, ეს იყო გოლიათის ვეება ხელის მტევნები და მათზე უსურვაზივით შემოჭდობილი მსხვილი ჯაჭვი.

ჯაჭვი რკინისაა, ალბათ, აბა, სხვა რა უნდა იყოსო, – გაივლო გუნებაში. „ნუთუ თვალებიც საცრისოდენა აქვს? ოქროს კბილი თუ უჩანს ღიმილის დროს?.. გოშია, გოშია სადღაა?.. ეგება მართლა სიზმარში ვარ, ან არადა... ტვინი მეღრძო და... შევქანდი!“..

– მოხვედი? – მოესმა ანაზდეულად, მოულოდნელობისაგან შებარბაცდა. მერმე დამფრთხალი მზერა მიაწყვიტა დევკაცს. იგი კვლავ შეურხევლად იჯდა. სახე ისევ ისე ნახევრად მიბრუნებული ჰქონდა და თვალმოუშორებლივ გასცქეროდა მის წინ გადაჭიმულ უსასრულო სივრცეს.

– გელოდები, კარგა ხანია! – გაისმა კვლავ თითქოს საიდანღაც, ქვესკნელიდან თუ ჯურღმულიდან ამოსული ხმა. ისევ შეტორტმანდა წამიერად... ცივმა ჟრუანტელმა თხემით ტერფებამდე დაუარა. გაქვავდა. მერე ნელ-ნელა დაუბრუნდა ცნობიერება და ამასთან, გარემოს აღქმის უნარიც. ყურადღებით მიაცივდა დევკაცის თითქოს ბრინჯაოსგან ჩამოსხმულ სხეულს. ნამდვილად ქვის ქანდაკებას ჰგავდა იგი, სწორედ

ისეთს, მუზეუმში რომ უნახავს. განიერი მკერდის მოძრაობითღა თუ შეატყობდი, რომ ეს უშველებელი ქვის ძეგლი – სუნთქავდა და, მაშასადამე, ცოცხალი არსება გახლდათ და არა ლოდის ნატეხი. საბერველივით აუდიოდ-ჩაუდიოდა მძლავრი, შიშველი გულ-მკერდი.

– მე... მე მეკითხებით? – ბოლოს ამოიღო ხმა და ასე მოეჩვენა, სადღაც კატის კნუტმა დაიკნავლაო. ჩუმად ჩაახველა. ყელი ჩაიწმინდა.

– ხომ არ დაიღალე ძალიან?

– მე... მეკითხები, ჩემო ბატონო?

– ჰო, შენ. განა სხვა ვინმე არის კიდევ აქ? ან ეგება არ გესმის ჩემი სიტყვები?

– როგორ არა... მესმის, ჩემო ბატონო...

– დაიღალე-მეთქი... ხომ არ გაგიჭირდა ამოსვლა?

– ო, არა, არა. სულ არ გამჭირვებია... პირიქით, თითქოს ფრთები გამომესხა...

– კარგია, კარგია. ეგრეც ვიცოდი.

გოლიათი გაჩუმდა. კარგა ხანს გაგრძელდა დუმილი. ამასობაში რემამ შესძლო თავს დაუფლებოდა, დაეოკებინა ერთბაშად მოვარდნილი მღელვარება. არც ხელები და მუხლები უკანკალებდა უწინდებურად. ცნობისმოყვარე, ფრთხილი მზერა მიმოატარა ირგვლივ.

თვალშეუდგამი, ლურჯ-მოიისფრო მთები ნახევარრკალად შემორტყმოდა კლდეში გამოკვეთილ ვეება გამოქვაბულს. ჩახრამული ფლატეები, ცადაწვდილი ქარაფოვანი კლდეები, უშველებელი ლოდების ხორგები. ღარტაფები. მთის ორწოხებში ჩაღვრილი რძისფერი ბურუსი. პიტალო კლდეთა უფსკრულისკენ დაქანებული ზეთავები. თოვლის საბურავით შეჭაღარავებული თხემები. მოკრიალებული, ღაღანა, ღიღილოსფერი ცარგვალი – ეს ღვთაებრივი სილამაზე და დიდებულება ენით აუწერელი იყო, ამის განცდა თუ შეიძლებოდა მხოლოდ.

ღმერთის საუფლოში ვარ? – გაუელვა თავში წამიერად და ამ ზესთაზენურ გარინდებაში, არაამქვეყნიურ მდუმარებაში საკუთარი გულის ცემაღა ესმოდა გარკვევით. მერმე მზერა გოლიათზე გადაიტანა. იგი კვლავ შეურხევლად იჯდა და მდუმარებდა. მხრებზე ჩამოღვრილი თავთუხისფერი თმების ტევრს ნიავი ურხევდა ოდნავ.

– მე... ცოტა სხვანაირი მეგონე, ამირან ბატონო! – აღმოხდა თავისდაუნებურად და თვითონაც ეოცა თავისი სითამამე. პატარა ბავშვივით აილეწა. მზერა ძირს დაიღო.

– ჰოო?.. რანაირი მაინც?

– რა ვიცი... უფრო სხვა... – ენა დაება, გაჩუმდა, თუმცა შინაგანად გაბედულება მომატებოდა. გრძნობდა ამას და ვერ აეხსნა მიზეზი. ეგება

კეთილგანწყობის თუ რაღაცნაირი სითბოს კილოს რომ იჭერდა გოლიათის ოდნავ ჩახლეჩილ, ბოხ ხმაში, ეს ჰმატებდა სიმხნევეს? ეგეც არ იყოს, რაკი ეკითხებოდა, მაშასადამე, საუბარს უბამდა, მაშასადამე, თავს უყადრებდა...

– რაო, რა გეგონა, რემა ჩემო? ასე გეძახიან, ხომ იქ, ქვემოთ?.. არწივი გულ-ღვიძლს მიკორტნიდა, ხოლო გოშია ჯაჭვს მილოკავდა, არა?

– დიახ. მასე მეგონა სწორედ, ამირან ბატონო!

– ჰე, ჰე... – ჩაიცინა მოულოდნელად გოლიათმა, თითქოს გაბზარულდანჯღრეულმა ზარმა გაიჟღრიალაო ახლოს. მერმე დუმილი ჩამოდგა ისევ, მძიმე, ხანგრძლივი. რემაც გალურსულიყო. ხმა გაეკმინდა. თითქოს ერიდებოდა, ხელი არ შეეშალა გოლიათის ფიქრთა დინებისთვის. ბოლოს ამირანი გატოკდა, ერთი ღრმად ამოიხვნეშა და:

– რასა იქმთ, იქ, ქვემოთ, რემა ბატონო? როგორ სუფევთ?

– ვართ... ვცოცხლობთ, ჩემო ბატონო, ვჯახირობთ, ვცოდვილობთ რაღაცას...

– მაშ, ცოცხლობთ... ჯახირობთ... ჰე, ჰე... – დაიჟღრიალა ისევ გაბზარულმა ზარმა.

– დიახ, ჩემო ბატონო. გვიდგია სული ღვთით... ჯერჯერობით!

– მაშ, გიდგიათ სული, ჰე, ჰე... – გოლიათმა სიცილი შეწყვიტა და უეცრივ ხელები შემართა: – ამ ჯაჭვს თუ ხედავ, რემა ჩემო? – ჰკითხა კვლავ პირმოუბრუნებლად.

– როგორ არა. ვხედავ, ამირან ბატონო!

– უყურებ ხომ, რა სისქეა?

– ძალიან სქელია, ამირან ბატონო! ძალიან სქელი.

– რა გგონია, რაა ეს, რემა ბატონო? რადა მაქვს დადებული ორსავე ხელზე ეს ჯაჭვის ბორკილი, თუ იცი?

– მე... მე ასე ვუწყი, ამირან ბატონო, რომა...

– ჰო, თქვი, თქვი. რატომ შეყოვნდი?

– სასჯელია იგი ღვთისგან...

– ჰე, ჰე.. – აჟღრიალდა ისევ ჟანგიანი ზარი, თითქოს ქვესკნელიდან დაიბუყბუყა საზარელმა ხმამო.

„ო, ღმერთო დიდებულო! ზეციურო მამავ! ღვთისმშობელო ქალწულო! წმინდა გიორგი! რა შეგცოდეთ ამისთანა?“

– მოიწიე ახლოს, რემა ბატონო. ჩემს ფეხებთან დადექი. მასე. ნუ გეშინია, კაცო! გული გაიმაგრე და... გადაიხედე ძირს. რას ხედავ იქ, ქვემოთ?

ქვემოთ უსაზღვრო, უნაპირო სივრცე იშლებოდა – ლივლივა, მოცისფრო ნისლით ამოვსებული. სული შეუგუბდა ერთბაშად. ჭირის ოფლმა

დაასხა შუბლზე. თვალთ აუჭრელდა.

– ფართოდ გააღე თვალი, რემა. ნუ ფრთხები. დააკვირდი კარგად: რას ხედავ ახლა?

სუნთქვაშეკრული, გაოგნებული იდგა რემა ერთხანს და თვალებდაჭყეტილს, გული ამოვარდნაზე ჰქონდა. ტანზე ბეწვი აშლოდა.

– ნუ ღელავ. დამშვიდდი, რემა. მე შენს გვერდით ვარ. ნურაფრის გეშინია. დააკვირდი და მაუწყე, რას უმზერ იქ, ქვემოთ?

– ქვემოთ... ოჰ, ღმერთო ჩემო! წმინდა გიორგი! შენ შემეწიე, ჯეგე მისარონო! – პირჯვარი გადაისახა სასწრაფოდ რამდენჯერმე.

– აბა, ჰე! მომახსენე ახლა, თუ არჩევ რამეს?

– ღმერთო... ღმერთო... რა სასწაულია...

– გეგეს ყმავ![1] აბა, თამამად, უშიშრად!

– ჩემს ქვევით... მთელი დედამიწაა, ბატონო, მრგვალი... უზარმაზარი ბურთი! დია, ღმერთო!

– არც ისე უზარმაზარია ეს ბურთი, რემა ჩემო! აბა, ჰე, განაგრძე: ხმელეთს თუ არჩევ? წყლებს?

– ო, დიახ, დიახ, ბატონო... ზღვები... ოკეანეები... მთები... მატერიკები... კუნძულები... ოჰ, რა დიდებული სანახაობაა... ღმერთო ჩემო! რა დიდებული!..

– დააკვირდი აბა, კარგად! ნუ აჩქარდები... მოძებნე ამ ბურთზე შენი ქვეყანა!

– ჩემი ქვეყანა? ოხმე! ჩემი ქვეყანა?

– ჰო, შენი ქვეყანა, რემა, შენი ქვეყანა. და თითით მაჩვენე!

– ჩემი ქვეყანა? ჩემი პაწაწკინტელა ქვეყანა ამ უშველებელ ბურთზე? ღმერთო ჩემო!

– არც ისე დიდია-მეთქი ეს ბურთი. აბა, ჰე, მოძებნე!

– ეს... ეს ევროპაა, მგონია, ბატონო! ეს – აზიაა! – თითქოს უფრო ახლოს მოსწია რაღაცა ძალამ ბურთი, რომ მისი თვალთახედვის არეში ადვილად მოქცეულიყო ყველაფერი, რაც მასზე იყო მონიშნული.

– ნუ დაიბენი, რემა. მოძებნე ყველაზე მაღალი მთები ორ ზღვას შუა.

– აგერ! აგერ ვნახე, ბატონო! ვნახე აზიასა და ევროპას შუა გამყოფი ზოლი... მთები ორ ზღვას შუა!.. ოჰ, რა სილამაზეა!.. აგერ, აგერ, ჩემი ხელისგულა ქვეყანაც... ამ უმშვენიერესი მთების ფერდობებზე შეფენილი.

– დაადე თითი, რემა!

რემამ თითი გაბზიკა შიშნეული სიხარულით:

– აგერ, აგერაა, ბატონო, ჩემი პატარა საქართველო!

– კეთილი, რემა! კეთილი. – წამით იყუჩა გოლიათმა და მერმე ისევ

[1] გეგეშ-ჭყორი, ანუ გეგეჭკორი ნიშნავს წმ. გიორგის ყმას მეგრ.

დაიბუხუნა: – მაშ, შენ იძახი, პატარაააო, არა, შენი ქვეყანა?

– ჰო, ჩემო ბატონო! მაღალი მთებია, მწვერვალებია გასაშტერებლად ლამაზი და ცად აზიდული. მიწის ციდა მტკაველი – ზურმუხტისფერია... ჰოი, ეს ვეება ბასტიონები იდრიკებიან თითქოს, ირწევიან, ქანაობენ, ისევ იზნიქებიან წელში, მერმე... იმართებიან კვლავ და ცის ლაჟვარდისკენ მიიწევენ – თავად ცისფერები და ლაჟვარდოვანები!.. გუგუნი მესმის, მძლავრი, დიდებული... „მრავალჟამიერს“ გუგუნებენ თითქოს მთები, „მრავალჟამიერის“ ჰანგები ეფინება ირგვლივეთს. საოცრებაა! საკვირველია!.. მაგრამ, ჰოი, უცებ დამეხშო ყურთა სმენა... ვეღარაფერს ვისმენ, ვერც ვერაფერს ვხედავ...

ოჰ, ღმერთო ჩემო! თითქოს ყველაფერი აირია ერთმანეთში, აითქვიფა, აიზილა, აიჭრა... დავკარგე, დავკარგე ჩემი ლურჯი მთები, ჩემი მიწის ნაგლეჯი, ზურმუხტისფერი, ვეღარ ვხედავ. ვერაფერს ვეღარ ვხედავ!..

– აბა, ახლა დააკვირდი. კარგად შეხედე და მითხარ, რაა ეს?

– ჰოი, საკვირველებავ! უზარმაზარი, უშველებელი კუნძულია გადაჭიმული, კუნძული კი არა, მთელი კონტინენტია ამერიკასა და ევროპას შუა, ოკეანეში... მაგრამ... ასეთი კუნძული არ არსებობს რუკაზე. საიდან გაჩნდა იგი აქ?

– გეგეს ყმავ! სული ნუ გისწრებს. მოითმინე. ცოტა ახლოს მოვწიოთ იგი. ახლოდან შეხედე. უფრო ახლოს. ჰო, მასე. კარგია. ახლა, მეზრახე, რას ხედავ?

– ჩემო ბატონო!.. წარმტაცი წალკოტია ირგვლივ. ბაღნარი ედემის. ოჰ, რა ხეები იზრდება გარშემო! არასოდეს მინახავს მათი მსგავსი... რა საუცხოო ყვავილნარებია, რა ხატაურა ფრინველები... ჩვენს ხოხბებს წააგავენ ცოტათი...

– მერე? მერე?

– ოჰ, დია, ღმერთო!.. რა ბრწყინვალე სასახლეებია: თეთრი, ვარდისფერი, ცისფერი, მწვანე მარმარილოსაგან ნაგები ტაძრები... ოჰ, ნუთუ არსებობდა ოდესმე ეგეთი ქვეყანა?

– ნუ ჩქარობ, რემა! დააკვირდი ყურადღებით. ადამიანებს თუ არჩევ?

– ოჰ, როგორ არა. აგერ ადამიანებიც!.. ვხედავ, კარგად ვხედავ მათ!

– ამიწერე... ნუ ჩქარობ ოღონდ. სული მოითქვი. დაწყნარდი. გონება მოიკრიფე...

– აგერ ბატონო... ვხედავ ყოველისფერს. მაღლები არიან. ორმეტრიანები. რა ლამაზი სახეები აქვთ, ღმერთო ჩემო!.. ყირმიზა, თეთრი... — წაბლისფერი, ქერა, ხორბლისფერი თმები... ცისფერი, ლურჯი, მწვანე, თაფლისფერი თვალები... სწორი ნაკვთები. მოგრძო-მომრგვალო სახეები, აღნაგობა – სხარტი, მოქნილი მიხრა-მოხრა... ოჰ! ღვთის შვილები

არიან უთუოდ!

– კი. მზის შვილები გახლავან ისინი. მზის თესლიდან აღმოცენებული უფლის მიერ!

– ოჰ, რა სილამაზეა!.. რა ლაღად, მოხდენილად მიარხევენ სხეულს... ისე, ვით ბუნების ჭეშმარიტ შვილებს შეეფერებათ!

– ამ კუნძულს უძველეს დროში აიაია ერქვა, ღვთაება კირკეს წილხვედრი ქვეყანა იყო იგი. მისი საგამგებლო. შემდეგ... მას სხვა სახელს ეძახოდნენ სწავლულები...

– აიაია? კირკე?.. ნუთუ?..

– მოთმინება იქონიე, რემა! დამშვიდდი. დაწყნარდი და – უყურე!.. ბედნიერი ხალხი ჩანს. არა, რემა? თითქოს მხოლოდ სიყვარულისა და სიკეთისთვის გაჩენილნი ამ სამზეოში, და სწორედ სიყვარულისა და ღმერთების დიდი დედის – ცის დიასახლისის, ანუ უზენაეს დედოფალ ნანას ეთაყვანებოდნენ ესენი უწინარესად. შემდეგ მზეს და სხვა მნათობებს...

უმზირე! თითქოს ერთი ერია, მზის თესლის ნაყოფია სუყველა მათგანი და მაინც... ვით განსხვავდებიან ერთურთისგან... სხვადასხვანაირად აცვიათ, სხვადასხვანაირად მღერიან, ცეკვავენ!.. და მაინც... ერთნი არიან. ერთი მოდგმის, ერთი ჯილაგის და ჯიშის.

ამათ არ უწყოდნენ, რა იყო სნეულება, სიდუხჭირე, ხელმოკლეობა. ხედავ, ბევრი მათგანი სამოსს თითქმის არ ატარებს. ფეხშიშველანი დადიან. განა არა აქვთ და იმიტომ!.. ასე მიაჩნიათ საჭიროდ. მიწას ღვთაებრივად მიაგებენ პატივს, მიწის ძალა და სურნელი უნდათ უკეთ შეიგრძნონ ამ შიშველი ფეხებით.

ბუნების წიაღში ბუნების განუყოფელ ნაწილად მიაჩნიათ თავიანთი თავი, რამეთუ ბუნების ყოველი სულდგმული თუ უსულო სხეული ღვთაებრივი და სათაყვანო იყო ამათთვის... წეღან გითხარი, აიაიელებმა არ უწყოდნენ-მეთქი სნება და ვაება. დილა-საღამოს, შინ თუ გარეთ მღეროდნენ და გალობდნენ ღვთაებათა სადიდებელს, იღვწოდნენ და მუშაკობდნენ ძალდაუტანებლად, ნება-ნება, ისე, ვითარცა ეხალისებოდათ, ვითარცა სიამოვნებდათ ეს, რამეთუ უხვი ბუნების წყალობით და აგრეთვე ბრძენი ქურუმების მეცადინეობით, თავზე საყრელად ჰქონდათ ყველაფერი, რასაც ისურვებდნენ.

და ყველამ იცოდა თავ-თავისი ადგილი და მოწოდება – დედაკაცმაც და მამაკაცმაც, დიდმაც და პატარამაც, ცხოვრობდნენ ცალკეულ სახლეულებად და... წარმოდგენა არ ჰქონდათ სახელმწიფოზე, ანუ ძალადობაზე, ჯარზე, ომზე, სისხლისღვრაზე. გესმის ჩემი სიტყვები, რემა? ხმადაბლა ხომ არ ვუბნობ?

– არა, ბატონო, ყველაფერი კარგად მესმის. ძალიან კარგად.

– კეთილი. ჰოდა, იმას გეზრახებოდი, საერთო საქმეს წყვეტდნენ საერთო თავყრილობებზე, ერის მიერ არჩეული უხუცესთა წინამძღოლობით. უხუცესები გამგებლობდნენ გარკვეული ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი იცვლებოდნენ სხვებით. ჰყავდათ ტაძრების ბრძენი მსახურნი.

ქურუმი შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ის, ვინც გაივლიდა განსწავლის საფეხურებს წლების განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ იღებდა ხელდასხმას. ქურუმი სულიერად სპეტაკი, ზნემაღალი, გონიერი უნდა ყოფილიყო. ტაძრის მსახურნი წვდებოდნენ ზენაარს. ისინი ნათელმხილველნი იყვნენ და ღვთიურ ძალთა მფლობელნი... კირბისის ანუ სიბრძნის წიგნის წყალობით.

გოლიათი გაჩუმდა. რემა რეტდასხმული, სულთქმაშეკრული, გაბრუებულ-განცვიფრებული უსმენდა მას და თან მზერა ვერ მოეცილებინა იმ საოცარი სურათებისთვის, მის თვალწინ ელვის უსწრაფესად რომ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს.

– ღმერთო! რა ბედნიერი ქვეყანა და ერია!.. სად, სად გაქრნენ, ბატონო, ისინი? სად დაიკარგნენ? – აღმოხდა ბოლოს რემას და ოხვრას თითქოს გულიც ამოაყოლაო.

გოლიათი დუმდა – ჩაძირული თავის ფიქრებში. ამასობაში რემა უჭვრეტდა კუნძულელთა ყოველდღიური ცხოვრების ფრაგმენტებს. აგერ, მოსიყვარულე ქალ-ვაჟი ყვავილნარში სხედან. ვაჟი უკრავს უჩვეულო ჩანგზე და მღერის. გოგონა მზერადახრილი უსმენს, მოწყვეტილ ყვავილს დროდადრო ყნოსავს და მომხიბლავი ღიმილი უტოკებს ბაგეს... აგერ, გაჭენებული ცხენების რემა! მოხდენილი, ნახევრადშიშველი მხედრების ყიჟინა. მობურთავე ბავშვების ჟრიამული. მოცეკვავე გოგობიჭები ფერხულში ჩაბმულნი – მღერიან. მხიარულობენ. სიცილ-ტკარცალი, თამაში და ჭიდაობა...

აგერ, უცნაური, ბრინჯაოსფერი მფრინავი ხალიჩები თუ რაღაც მანქანები.

ხოდაბუნები. ზვრები. მოშრიალე ყანები. უცხო მცენარეები – ნაყოფით დახუნძლულნი.

ზღვის მოლივლივე ტალღებზე მოქანავე კოხტა, აფრებიანი ორჩხომელები, ნუშები, ოლეჭკანდერები, გემები, დრომონები – დიდი და მცირე. დარბაისელი, გრძელ, თეთრსამოსიანი მოხუცები, საჩრდილობელში დამსხდარნი თუ მარმარილოს ღია თაღედის ქვეშ მომუსაიფენი...

თვალის დახამხამებაში ცვლიან ერთმანეთს სხვადასხვანაირი სურათები. რემა ძლივს ასწრებს მათ აღქმას, გონების დაფაზე ცდილობს,

მათ აღბეჭდვას. უნდა არაფერი გამორჩეს მხედველობიდან, ყველაფრის შეცნობასა და გათავისებას მიელტვის თითქოს და... ვეღარ ასწრებს, ვეღარ მისდევს კვალდაკვალ თითოეულ ჩვენებას.

– რამ, რამ გადააშენა ეს დიდებული ერი და ქვეყანა? – კვლავ ამოთქვა კვნესასავით, თუ ხმამაღლა გაიფიქრა აზრშერყეულმა რემამ.

გოლიათმა ამოიგმინა. ეს იყო ის „ხმა“, იქ, ქვემოთ, მიწაზე რომ ჩაესმოდა რემას ჟამით-ჟამამდე“, გულშემძვრელი ოხვრა-კვნესა!

რემამ მსწრაფლ მოხედა გოლიათს. დაბლიდან მაღლა შეაცქერდა წამით. დარდით და ვარამით დასერილ სახეზე მართლაც საცრისოდენა თვალები – ლაჟვარდში ამოვლებული, – თითქოს გაჰყინვოდა. ისინი ხანდახან რკინის ცივ მბზინვარებას გამოაფრქვევდნენ და მერმე ისევ გაშტერებით იმზირებოდნენ, ერთ ადგილზე მიჯაჭვულნი.

– დიდებული ერი იყოო, იძახი შენ რემა და... მართალი ხარ! – ამომარცვლა გოლიათმა სვენებ-სვენებით: – დიდებული იყო, მაგრამ... კაცი მაინც კაცია – გულნამცეცა, ხარბი, სულმოკლე... ათასწლეულები ცხოვრობდნენ სვებედნიერად, მაგრამ... ვეღარ გაუძლეს ჟამის გამოცდას... ნამეტანი გალაღებულ-გაზულუქებულებმა თავისუფლებით და კაი ცხოვრებით, თანდათან იწყეს ღვთაებათა აუგად ხსენება, ანუ გაამპარტავნდნენ, თავის გატოლება მოინდომეს უზენაესთან: აკი ჩვენც ყველაფერი და ყოველივე ხელგვეწიფება, ძალგვიძს ყოველივეო... თითოეულმა მათგანმა მოიწადინა ქურუმობა და ზიარებულთა გუნდში შეღწევა – იყო თუ არა ამის ღირსი და ფლობდა თუ არა სიბრძნეს კირბისისეულს.

თავად ქურუმებშიც შეიპარა ხრწნის ჭია და ჩუმ-ჩუმად იწყეს კუნძულიდან გაპარვა და კაციჭამია, ველურ ტომებში იმ ცოდნის გაბნევა, რისთვისაც ჯერაც უმწიფარი იყო მათი გონება. იფქლის ნაცვლად ღვარძლი და ლენცოფა ამოდიოდა მათ ყამირ გონებასა თუ გულში... ერთხელაც, შურით და სიხარბით აღბორგებულნი, მიეტივნენ ისინი კუნძულს და თუმც მრავალჯერ სასტიკად დამარცხდნენ და იწვნიეს თავიანთი უგუნურობის ნაყოფი. მაინც აღარ იშლიდნენ თავდასხმებს. ეგ კიდევ არაფერი: თავად კუნძულელებს შეუჩნდათ ქედმაღლობის, გულზვიადობის და ურთიერთმეტოქეობის და ქიშპის გრძნობა, თითოეული მათგანი ჩემულობდა პირველობას...

ზოგმა მოინდომა არაგონებისმიერი, არამედ ძალისმიერი უპირატესობის დამკვიდრება ერთიმეორეზე, მოიწადინეს ძალადობით აღზევებულიყვნენ დანარჩენებზე, და ბოლოს, გათავხედებულნი და გაკადნიერებულნი ეგზომ, ერთიმეორეს დაერივნენ და... დატრიალდა ცოდვის კითხვა კუნძულელთა თავზე. განრისხდა არსთა გამრიგე ფრიად. აღარ

გასჭრა დიდი დედოფლის, ნანას ხვეწნა-მუდარამ, შეიწყალე უგუნურნიო. წარღვნა მოუვლინა კუნძულს, რათა სამუდამოდ აღხოცილიყო ამ უდიერთა და ღვთის ურჩთა სამყოფელი და წაშლილიყო სამუდამოდ კაცთა ხსოვნაში მათი სახსენებელი. უმზირე!..

– ოჰ-ოჰ, ახავაი, ახავაი! – თვალებზე ხელები აიფარა რემამ – შეძრწუნებულმა.

– უმზირე-მეთქი! შეხედე კარგად და მეზრახე, – რას ხედავ?

– ქარ-ბორია ამოვარდა... მდინარეები ადიდნენ უზომოდ. ოკეანემ მოიმატა და მოასკდა ნაპირს გამძვინვარებული. ამთაგორებული ტალღების ზათქი და ბორგვა... წყალმა დაფარა დიდებული სასახლეები, ტაძრები, ვეება ხეები მოთხარა და ზვირთებზე მოიგდო აყირავებულნი... ოჰ, ოჰ, ახლა ცეცხლის წვიმა წამოვიდა საზარელი. უკვე იავარქმნილ, ნაოხარ კუნძულს ცეცხლის დელგმამ გადაუარა...

– მერმე? რა მოხდა მერმე?

– კუნძული... კვერცხივით გასკდა შუაზე, ბატონო, და ჩაძირვა იწყო... ოხმე, რა საშინელებაა! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

– შემდეგ? რა მოხდა შემდეგ?

– ჩაიძირა კუნძული, ბატონო, ოკეანეში, მაგრამ... აგერ, ნავებს ვხედავ, კუნძულის მოშორებით... შიგ ადამიანები სხედან. გამწარებით უსვამენ ნიჩბებს, გარბიან იმ ადგილიდან, სადაც... კუნძული იყო აქამდე – სულ რამდენიმე წამის წინ!

– ეგენი კუნძულის მცხოვრებთა მცირე ნაწილია, ისინი, ვისიც გადარჩენა ინება უფალმა. შემდეგ, რას ხედავ შემდეგ, რემა?

– გზებს... უამრავ გზებს ვხედავ, ჩემო ბატონო, მიიკლაკნებიან ეს გზები უდაბნოებსა და ტრამალებზე, ხევ-ხუვებსა თუ ტყე-ღრეებში და ამ გზებზე მოაბიჯებენ ისინი... გადარჩენილი კუნძულელები – ამაყი, ქედმოუხრელი იერით.

– შემდეგ?

– უდაბნოში თითქოს მწვანე ნაკადები შეიჭრაო, განტოტებული ნაკადები, დანაწევრებულნი!.. თითქოს წვიმამოწყურებულ, დამსკდარ დედამიწას წყლის არხები მოეფინო ერთბაშად...

– გაადევნე თვალი, რემა, ამ ნაკადების მდინარებას... რა ადგილებია ისინი, რემა?

– ორ უზარმაზარ მდინარეს ვხედავ, ბატონო... მგონი, ევფრატი და ტიგროსია ისინი.

– ეგრეა. შემდეგ?

– დაიძრნენ ისევ დანარჩენები... აი, ნაწილი შეჩერდა მცირე აზიაში... სხვებმა განაგრძეს სვლა... გადალახეს სრუტე... თითქოს უკანვე

ბრუნდებიანო, საიდანაც წამოვიდნენ უხსოვარ დროს... უცნაურია... აი, ჩრდილო აფრიკა, ხმელთაშუა ზღვის აუზი... ბალკანეთის, აპენინის ნახევარკუნძულები, პირინეები... ევროპის სამხრეთ კიდურებს იკავებენ თანდათანობით... ერთი ტოტი ბრიტანეთის კუნძულებისკენ მიემართება... ო, ო, ამერიკის კონტინენტსაც უწია ნაწილმა. სასწაულია, პირდაპირ სასწაული!

– კმარა!.. ახლა ისევ მცირე აზიას დავუბრუნდეთ, რემა!

– აქედან თვალნათლივ ჩანს... კავკასიის ქედებისკენ მიედინებიან ჯგუფ-ჯგუფად... ნაწილ-ნაწილ... გზადაგზა ჩერდებიან... იშლებიან... იფანტებიან... ერევიან დამხვდურებს.

– განკაცების გზა... განკაცების გზა... – ჩაიდუდუნა თავისთვის გოლიათმა. მერმე ხმამაღლა წარმოთქვა: – შემდეგ, რა ხდება რემა, შემდეგ?

– წინა აზიაში შეჩერებულთ, თავს ესხმიან ველურნი – იგერიებენ. მერმე... მოიწევენ ჩრდილოეთისკენ ბრძოლით, წვალებით... ეცემიან... დგებიან ისევ.

– აქ, ამ დიდ მთებს კავკასიონისას შეეხიზნა მცირე ნაწილი მათი, ანუ თავიანთ პირვანდელ საცხოვრისს დაუბრუნდნენ... ოდესღაც, უხსოვარ დროში სხვადასხვა მხარეს განფენილები! აქედან წასულები!.. დიახ, – მე მოვუძღოდი მათ აქეთკენ, თავინთ პირვანდელ სამშობლოში და ამ ძნელ გზა-სავალზე, მე ვიყავი მათი მეთაური და მეგზური ერთდროულად, მოვუძღვებოდი ოდინდელი სამყოფლისკენ-მეთქი – მზის ქვეყნის შვილებს, რომელთაც, დიდი ნანას ლოცვა-კურთხევასთან ერთად, მოჰყვებოდათ ღვთის წყევლა-კრულვაც, თავს რისხვად რომ დაატყდათ თავიანთი ცოდვებისთვის. შიში და საშინელების გრძნობა ერეკებოდა მათ თავდაპირველად მიუვალ ხევ-ხუვებისკენ, მღვიმეებისკენ...

და თან მოჰქონდათ მიწის სიყვარული, ცის და მზის სიყვარული და მცირეოდენი ნატეხი – კუნძულელთა და ძველ წინაპართა იმ უზარმაზარი ცოდნისა, რაც კირბისში იყო ჩაწერილი და რაც საუბედუროდ, ჩაძირულიყო დავიწყების უკუნეთში! – შეისვენა წამით გოლიათმა და განაგრძო მერმე თავისი დანჯღრეულ-დაგუდული ხმით: – ჰოდა, დაემკვიდრნენ აქ და შეუდგნენ ხვნა-თესვას, პურის მოყვანას, ვაზის მოვლას, ტაძრების მშენებლობას...

გადიოდა დრო. საუკუნეები ცვლიდნენ საუკუნეებს. ნელ-ნელა წელში იმართებოდა თავის უძველეს სამშობლოში აიაელთა მოდგმა, რომელთაც ხან იაფეტელთა, ხან თუბალ-კაინის, ქალდეველების ანუ მოსოხების თუ კოლხ-იბერთა სახელით იცნობდა დანარჩენი კაცობრიობა. თანდათანობით, ნელ-ნელაობით უშუშდებოდათ წარსულში თავს გადახდენილი უბედურებათა ჭრილობები.

და აი, მოაწია კვლავაც ჟამმა და ინება არსთა გამრიგემ, ებოძებინა წყალობის წიგნი ტომთა და ერთა წინამძღოლთათვის – მათი დამსახურებისამებრ.

ჰოდა, შევიკრიბენით ღვთის მოციქულის ბრძანებით ყველა ტომის მეთაურნი და ქურუმთუხუცესნი. ზოგს ებოძა წიგნი იგი, ზოგს – არა. ჩემი ჯერი რომ დადგა, წავდექი მოციქულის წინაშე და მოვითხოვე წყალობის წიგნი.

– შენ, ამირან?! პრომეთეოს?! – ფრიად გაიკვირვა ღვთის მოციქულმა, – შენ, ვინც ესოდენ ეურჩე უფლის ნებას და ამით თავსა და შენს ერს დაატეხე ღვთის რისხვა? წყალობას ითხოვ?

– დიახ. მე ვითხოვ ჩემი შერისხული და დასჯილი ერისთვის ღვთის წყალობის წიგნს, თუმცა, როგორც შენ ბრძანე, ოდესღაც ეგზომ გავკადნიერდი, რომ წინ აღვუდექი უფლის ნება-სურვილს და აკრძალული სიბრძნის – კირბისის წიგნი მოვპარე მამა-ზეციერს, რათა... გამენათლებინა ჩემი ერი.

– დიახაც, რომ ეგრე იყო! ახლა რა საფუძვლით, რა სარჩულით ითხოვ წყალობის წიგნს?

– მიბოძეთ წიგნი და თუ ჩემი ერი აღარ იქნება ღირსი და ამჯერადაც ვეღარ გაამართლებს ნდობას უფლისას, მე ვიღებ ყველა მის ცოდვა-ბრალს და მზად ვარ ნებისმიერი სასჯელისთვის-მეთქი – მოვახსენე მოციქულს ღმრთისას, ხოლო რაც შეეხება „საფუძველს და სარჩულს“...

ღვთის მოციქულის ნებართვით დავიწყე თხრობა:

„ერთ სოფელში, სადაც ახალგაზრდა, ხელმოკლე ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, გამოჩნდა დაჭრილი, სამოსშემოძარცული, დევნილი უცხოტომელი. მან თავშესაფარი სთხოვა ახალშეუღლებულთ. ცოლ-ქმარმა თავის ჯარგვალში უყოყმანოდ დააბინავა გადამთიელი. რადგან... მისი მოდგმა ყოველთვის მზად იყო გაჭირვებულთა, დევნილთა დასახმარებლად. ახლაც ასე მოიქცნენ: მოუარეს. მოარჩინეს. ფეხზე დააყენეს. მოძმესავით შეითვისეს უცხოტომეული.

ერთ დღეს ახალგაზრდა კაცი სანადიროდ წავიდა მახლობელ ტყეში, მაგრამ შუაგზიდან მობრუნდა უცებ, რამეთუ გადავიწყებოდა ცოლისთვის დაებარებინა საჩქარო საქმე. იმ დროს შევიდა ქოხში, როს შემოხიზნული ძალით ცდილობდა დაემორჩილებინა დიასახლისი, ქალი თავგანწირულ წინააღმდეგობას უწევდა მოძალადეს.

ქმრის დანახვაზე დევნილი ქალს შეეშვა და გაშმაგებული იქვე, კედელზე ჩამოკიდებულ საომარ ცულს მივარდა, ჩამოგლიჯა და მასპინძლისკენ გამოქანდა დასარტყმელად, მაგრამ ქმარმა დაასწრო და ხელიდან გააგდებინა ცული. ხიზანი ახლა კბილებით ჩააფრინდა მასპინძელს,

რათა ყელი გამოეგლიჯა მისთვის. შეშლილი, ჭკუიდან გადასული კაცი არ ეპუებოდა არაფერს, მაგრამ როს მიხვდა, ვეღარ ერეოდა მასპინძელს, მყისვე მის ფეხებთან მიწას განერთხო და საპასუხო დარტყმის მოლოდინში, თავზე ხელები დაიფარა.

მასპინძელმა ააყენა შემოხიზნული მოძალადე, გამოიყვანა გარეთ უხმოდ, უსიტყვოდ. ასევე უხმოდ გადაატარა ეზო-ყურე, გაუღო ჭიშკარი და ხელით უჩვენა – გამეცალეო. თავჩაქინდრული, თავლაფდასხმული ხიზანი ლასლასით გაუყვა იმ გზას, რომლითაც მოვიდა ამ სოფელში, სადაც შეიფარეს სასიკვდილოდ დაჭრილი და განწირული უცხოტომელი, სადაც მოარჩინეს და ახლობლად მიიჩნიეს შევიწროებული“.

შემდეგ: „ცხოვრობდა ერთ სოფელში სახელგანთქმული, ახალგაზრდა ოქრომჭედელი – თავის საქმის ოსტატი, რომლის ნახელავს აღტაცებაში მოჰყავდა ხალხი. ხელობა მისთვის თავისი გულისწადილის ასრულების საშუალება იყო მხოლოდ, ვინაიდან შრომის საზღაურს არავისგან იღებდა და თუ აიღებდა, იქვე, თავის თანასოფლელებში ხარჯავდა ქეიფებში. თავისთვის არაფერს იტოვებდა.

ერთ დღეს ოქრომჭედელმა გადაწყვიტა მოენახულებინა სხვა ქვეყნები, რათა ენახა, როგორ ცხოვრობდა იქ ხალხი და თუ შემთხვევა მიეცემოდა, გასჯიბრებოდა კიდეც იქაურ დიდოსტატებს. იარა. იარა. მრავალი ქვეყანა მოიარა და ამ ხეტიალ-ხეტიალში დასავლეთის ერთ სახელმწიფოს მიადგა. ოდესღაც ძლიერი და ღონიერი ეს ქვეყანა ახლა უცხოელებს დაეპყროთ და გაევერანებინათ. ამ ქვეყნის ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ასული ჰყოლია, რომელსაც უარი უთქვამს მტრის უფლისწულის ცოლობაზე. ქალი ტყვედ წაუყვანიათ და ცხრაკლიტულში დაუმწყვდევიათ. დაპყრობილ ქვეყანას ყოველწლიურად თავისი რჩეული გოგო-ბიჭები უნდა ეძლია ხარკის სახით მომხვდურთათვის. ერი დრტვინავდა, მაგრამ იძულებული იყო, შეესრულებინა მტრის ნება-სურვილი, რამეთუ თავს ზევით ძალა არ იყო.

მოძალადეები კი დღითიდღე თავს გადიოდნენ და ახალ-ახალ გადასახადებს უწესებდნენ გატანჯულ და გასაცოდავებულ ხალხს. ხელოსანმა ამ ერის უბედურების ამბავი პირველსავე დუქანში შეიტყო.

რას შვრება თქვენი ხელმწიფე, რად არ შეებრძოლება უცხოელებსო, იკითხა. რა ქნას, რამდენჯერაც შეება, იმდენჯერ დამარცხდა და ახლა ეშინია, სულმთლად არ ამოგვჟუჟონ, მით უმეტეს, მისი ასული მძევლად ჰყავთ წაყვანილიო. ამ უმწეო, საცოდავი ხალხის გაჭირვებამ გული მოუწვა ოქრომჭედელს. აღშფოთდა მოძალადეებზე და გადაწყვიტა, დახმარებოდა ამ ბედკრულებს. ადგა და პირდაპირ უცხოელების ბანაკში მივიდა, ორთაბრძოლაში გამოიწვია მათი რჩეული ვაჟკაცი. უცხოელებმა

თავიანთ თვალებს არ დაუჯერეს, ვით ბედავს ვიღაცა გადამთიელი ასეთ თავხედობას, ანდა ვით ესარჩლება ამ ბეჩავ და დედალ ხალხსო.

ჯერ სასაცილოდ აიგდეს. მერმე შეპყრობა განიზრახეს და სამაგალითოდ დასჯა. ის იყო მისცვივდნენ კიდეც, რომ გაეკოჭათ, მაგრამ ანაზდად ოქრომჭედელმა დააძრო თავისი სატევარი და დაერია უცხოელებს. ოქრომჭედლის სატევარი ჩვეულებრივი არ გახლდათ – ის უცნაური თვისების იყო: ცეცხლის ნაპერწკლებს აფრქვევდა ყოველ მოქნევაზე და საკმარისი იყო, თუნდაც ერთი ნაპერწკალი მოხვედროდა ვინმეს, მყისვე ეკიდებოდა ცეცხლი და მერე აღარაფერი შველოდა – ცოცხლად უნდა დამწვარიყო – აბრიალებული.

ამ საშინელ სანახაობაზე უცხოელები ისე დაფრთხნენ, რომ მათი ბელადები პირქვე დაემხნენ ოქრომჭედლის წინაშე და ვითარცა ღვთაებას, პატიება და შენდობა სთხოვეს.

ოქრომჭედელმა უბრძანა მათ დამწყვდეული ხელმწიფის ასული გაეთავისუფლებინათ და თავად სასწრაფოდ გასცლოდნენ ამ ქვეყანას.

მეტი რა ჩარა იყო, შეასრულეს მისი მოთხოვნა. გახარებულმა ხელმწიფემ თავისი მზეთუნახავი ასული მიათხოვა ოქრომჭედელს და სულ მალე თავისი ტახტიც გადაულოცა.

ასე და ამგვარად, უბრალო ხელოსანი გახდა დიდი, მრავალრიცხოვანი ხალხის და ქვეყნის მეფე და ისე მართავდა სახელმწიფოს, თითქოს დედის მუცლიდან გამოჰყოლოდა გამგებლობის უნარი. სამართლიანი და კეთილი გამოდგა ახალი ხელმწიფე და ამიტომ ერთნაირად შეიყვარა იგი უბრალო ხალხმაც და წარჩინებულებმაც. მზეთუნახავმა დედოფალმა ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟი უშვა თავის მეუღლეს და ასე ბედნიერად და სიამტკბილობაში გადიოდა დრო. ოქრომჭედელს გადაავიწყდა თანდათანობით თავისი ქვეყანა, თავისი დედ-მამა, და-ძმანი და სახლ-კარი.

ერთხელ ესიზმრა, რომ თავის მშობლიურ სოფელში იყო, თავის ეზო-ყურეში და... ბროწეულს შეექცეოდა.

გამოღვიძებისთანავე მოითხოვა, მიერთმიათ მისთვის ბროწეული. იმ ქვეყანაში ბროწეული არ ხარობდა, მაგრამ საყვარელი ხელმწიფისთვის, აბა, ვით დაიზარებდნენ და დაუყოვნებლივ აფრინეს ხალხი სამხრეთის ქვეყნებში და ჩამოუტანეს ბროწეულის ნაყოფი. შეჭამა ერთი. მეორე, მესამე. მაგრამ არც ერთის გემო არ მოეწონა. ეს ის არ არისო, დაიჩივლა ხელმწიფემ ნაღვლიანად, სიზმარში რომ ვჭამდი, იმას სულ სხვა გემო ჰქონდაო... საშინლად დაღონდა. შეწუხდნენ სახლეულებიც: ცოლი, შვილები, მაგრამ, აბა, რას უშველიდნენ?.. ის დღე იყო და ის...

დარდის ჭია შეუჩნდა გულში და მახრასავით დაუწყო ღრღნა ნელ-ნელა.

რაც დრო გადიოდა, ნაღველი უსივდებოდა. გული ეხურებოდა. ფერხორციც დაკარგა. აღარაფერი სიამოვნებდა უკვე. არც მზეთუნახავი ცოლი ახალისებდა და არც თვალმახარა ბავშვები. არადა, რასაც მოიწადინებდა, ყველაფერი მის ხელთ იყო, ოღონდ მშობლიური სოფლის ბროწეულივით გემრიელი და ტკბილი აღარაფერი აღმოჩნდა. რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო სტანჯავდა და აწამებდა სურვილი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვიტა, დაბრუნებოდა თავის ქვეყანას, სადაც ხარობდა მთელს ქვეყნიერებაზე ყველაზე გემრიელი და საამო ბროწეულები. გამოემშვიდობა სასახლეს, ხალხს, თავის ვრცელ სამფლობელოს... დედოფალმა თქვა, საცა ჩემი მეუღლე იქნება, მეც იქ უნდა ვიყოო, მოხვია ხელი შვილებს და უკან გამოუდგა ქმარს. ბევრი წვალებისა და ტანჯვის შემდეგ, ცოლშვილიანად ჩააღწია თავის ქვეყანაში, მაგრამ იქ საშინელი ამბავი დახვდა: მტერს აეკლო მისი სამშობლო, მისი სოფელი გადაებუგა და არავინ უწყოდა, გადარჩა თუ არა ვინმე მისიანი.

თავზარდაცემული დაეცა მიწაზე და: აქვითინდა. მაშინ, როდესაც ის სხვა ქვეყანას და ხალხს შველოდა, მისი მამულ-დედული თურმე მტერს აეოხრებინა, მშობელი ხალხი ამოეწყვიტა!

პატიება სთხოვა თავის ღმერთებს და ღმერთების დიდ დედას, ღვთაება ნანას და აღუთქვა, ამიერიდან მარტო იმისთვის იცოცხლებდა, რომ თავის ხალხისთვის შვება მოეტანა და სამაგიერო მიეზღო მისი მტარვალებისთვის.

ქვეყნის მეფეს თავი შეეფარებინა მაღალ მთებში. ხელმწიფეს მცირეოდენი ჯარი მოეგროვებინა და მტერს შებმას უპირებდა. ოქრომჭედელი იმ დროს ეახლა მეფეს მთაში, ლხინ-შექცევა რომ ჰქონდათ. საშინლად გაუკვირდა: რა ემღერებათ და ეცეკვებათ, როცა თავზე ჭერი ენგრევათო – გაიფიქრა, მაგრამ მერმე მიხვდა, რომ მის ერს არ შეეძლო უსიმღეროდ და უცეკვოდ გაძლება, რა გაჭირვებაშიც არ უნდა ჩავარდნილიყო. იგი თითქოს მოლხენისთვის გაჩენილიყო ამქვეყნად და მხოლოდ გარემოება აიძულებდა, იარაღი აეღო ხელში თავდასაცავად და არა სხვათა დასახოცად. მაგრამ... ამისდა მიუხედავად, მომხვდურებს ყოველთვის მამაცურად ებრძოდა და ხშირად კუდით ქვას ასროლინებდა კიდეც მათ. ჰოდა, ამ გაუთავებელ ომიანობაში თურმე სიმღერა შველოდათ ძალიან და მღეროდნენ კიდეც ბრძოლის დაწყების წინ თუ დამთავრების შემდეგ. მღეროდნენ მაშინაც, როცა არ ემღერებოდათ. და ამით ერთნაირად აოცებდნენ... მტერსაც და მოყვარესაც.

ოქრომჭედელმა თავისი დახმარება შესთავაზა მეფეს. მტერი განდევნეს და ეს გამარჯვება ოქრომჭედელის დიდი დამსახურება იყო, ვინაიდან მისი სასწაულთმოქმედი იარაღი შიშის ზარს სცემდა მომხვდურებს და მუსრავდა მათ ერთიანად.

ბრძოლას რომ მორჩნენ, ოქრომჭედელმა თავისი სატევარი ჩააბარა მეფეს და თვითონ სოფელში დაბრუნდა, რათა მიეხედა ნაპარტახალი სახლ-კარისათვის და მოეძებნა გადარჩენილი დედმამისშვილები.

...შემოდგომა იყო. ეზოში ბროწეულის ტოტები იზნიქებოდნენ დამსკდარი ნაყოფისაგან. ოქრომჭედელმა დაიჩოქა, ემთხვია ჯერ მიწას, სადაც ეს ხეები იზრდებოდა. მერმე ნაყოფს ეამბორა და შეჰფიცა ღვთაებას, რომ ამის იქით ამ ნაყოფს მიართმევდა ყოველ წელს... საკურთხეველზე, როგორც საღმრთოს, ვინაიდან ამ ნაყოფმა მოაგონა მას მიტოვებულ-მივიწყებული თავისი ქვეყანა, ვინაიდან ამ ნაყოფმა გაუღვიძა მას ისევ მინავლებული სიყვარულის გრძნობა თავის კუთხისადმი.

ეს ამბავი თქმულებასავით დარჩა ხალხში და ამადაც არის, ჩვენებურები სხვა ქვეყანაში ძნელად თუ ძლებენ ხოლმე. მათ თავიანთი ქვეყნის ბროწეულები უხმობენ თითქოს უკან, მამულისაკენ“.

და კიდევ ერთ მაგალითს მოვიტან და ამით დავამთავრებ-მეთქი, მოვახსენე ღვთის მოციქულს და გავაგრძელე თხრობა: „ერთი წარჩინებული ქვრივი დედაკაცი, ქმარი მტერთან ბრძოლაში რომ დაღუპვოდა, ერთადერთ შვილს ზრდიდა მარტოდ დარჩენილი. ქვრივს ამ ბავშვზე ამოსდიოდა მზე და მთვარე. ეს ბიჭი იყო მისთვის სიცოცხლის წყარო, თვალისჩინი, მისი არსებობის უმთავრესი მიზანი. ამ ქვრივს ბავშვობისდროინდელი მეგობარი ქალი ჰყავდა ერთი, რომელიც აგრეთვე ქვრივი იყო და მასაც ერთადერთი ვაჟი ებადა მხოლოდ ამქვეყნად. ქალებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი და შეძლებისდაგვარად, ეხმარებოდნენ კიდეც ერთიმეორეს. და აი, უეცრად მეგობარი ქალი მძიმედ ავად გახდა. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, დაიბარა თავისი ყრმობისდროინდელი დობილი და უთხრა, ვიცი, მალე მოვკვდები, ის აქლემი, ვატყობ ჩემს კართან სულ მალე დაიჩოქებსო. ჰოდა, ჩემს ბიჭს შენ გიტოვებ და აბა, შენ იცი, როგორ მიმიხედავო. ქვრივმა პირობა მისცა, შენს ბავშვს ნამდვილ დედობას გავუწევ, ჩემს საკუთარ შვილში არ გამოვარჩევო. და მართლაც, მეგობარი ქალის სიკვდილის შემდეგ წამოიყვანა თავისთან პატარა ბიჭუნა და ღვიძლი შვილივით უვლიდა და პატრონობდა.

ქვეყანას კვლავ შემოესია მტერი, ააოხრა, ააწიოკა მოსახლეობა, მიწასთან გაასწორა ყველაფერი და ამავე დროს მძიმე ხარკი დაადო. ხალხს. ამასაც აღარ დასჯერდა და მოითხოვა – ყოველი წარჩინებული სახლეულიდან თითო-თითო ყმაწვილი მძევლებად. რა უნდა ექნა დამარცხებულ მეფეს? იკისრა ეს მძიმე ხარკი და მძევლებიც აღუთქვა მტერს. და აი, მეფის მიერ გამოგზავნილი შიკრიკები ეახლნენ ქვრივსაც. მას ბევრი არ უფიქრია, თავისი საკუთარი შვილი გაატანა მეფის გამოგზავნილებს,

თუმცა, არავინ უწყოდა, რა ბედი ეწეოდა მძევლებს უცხოეთში.

ქვრივმა გარდაცვლილი მეგობრისთვის მიცემული სიტყვა არ გატეხა და ბოლომდე უერთგულა მას. აი, ასეთია ჩემი ერი, ასეთი ზნე-ჩვეულება აქვს მას და ამიტომ ვუდგები თავდებად-მეთქი“.

გოლიათი გაჩუმდა. რემას ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, უშველებელმა დარდმა თითქოს ბეჭებში მოხარა დევკაცი — დადუმებულს, გაუნძრევლად მყოფს, მკერდიღა აუდიოდ-ჩაუდიოდა ძალუმად.

რემაც შეეპყრო უჩვეულო, ჯერარგანცდილ, საოცარ გრძნობას. მერმე კვლავ ფრთხილად, თითქოს ქურდულად მიმოავლო ირგვლივ მზერა. გარშემო ხრამებს, ღარტაფებსა და უფსკრულებს დაებჩინათ ხახა. ბივრილისფერი ცის გუმბათი თავზე დამხობოდათ და ისე ახლოს ჩანდა ცის თავანი, რომ საკმარისი იყო ხელი გაეშვირა და... მიწვდებოდა კიდეც მის მოსარკულ ზედაპირს – აქა-იქ იალკიალით დაფარულს. ოღონდ ეს კია: მნათობები არსად ჩანდნენ და ვეღარ გაერკვია: საღამოს ბინდბუნდი იყო, რიბირაბო თუ... უმზეო დღე!

ჰაერი ისეთი მსუბუქი და გამჭვირვალე გახლდათ, გაჯერებული რაღაც ენით უთქმელი და აუხსნელი სურნელით, ისე თავისუფლად, ღრმად და შვებით სუნთქავდა – თითქოს უხორცო, უწონო არსებად ქცეულიყო, რომელმაც საკმარისია ხელები გაშალოს, რომ ცისიერში გაფრინდეს.

თავი გოლიათისკენ შეაბრუნა. იგი კვლავ გახევებულ-გარნინდებული – მდუმარედ იჯდა. ამ გაშეშებულმა ფიგურამ შეახსენა წამით ატაცებულ-აფოფინებულ რემას, რომ უჩვეულო, საოცარ, თითქოს სიზმრისეულ ზმანებებსა თუ ხილვაში იმყოფებოდა. ან ეგება...

– ეჰ, ცოდო-ბრალმა გადაწონა მაინც სასწორი – ცოდო-ბრალმა!

შეკრთა რემა. შებარბაცდა. ასე ეგონა, გოლიათი ღრმა ძილსა თუ საგონებელში იყო ჩაყვინთული და აღარც ახსოვდა რემას არსებობა. მისმა ხელახლა ამეტყველებამ გონს მოიყვანა, გამოაფხიზლა რემა – თუ ფხიზლობა ეთქმოდა მის ამჟამინდელ მდგომარეობას. ტვინი დაეძაბა, გონება მსწრაფლ ამუშავდა და ელვის სისწრაფით იწყო ყოველივეს აღნუსხვა და აღქმა, თითქოს ელექტრონათურები ინთებოდნენ და ხანაც ქრებოდნენ წამდაუწუმ მის თავში.

– ვხვდები რაღაცას, ამირან ბატონო, და ვერც ვხვდები... ნუთუ ისევ განმეორდა კუნძულელთა ამბავი?

– ახლოს მოიწი, ჩემო! ყური მომიგდე კარგად. ღვთის მოციქულის მიერ ნაბოძები წყალობის ანუ სიბრძნის წიგნი გადავეცი მაშინ ჩვენს ტომებს შორის ყველაზე უფრო დაწინაურებულ კოლხთა – იგივე იბერთა სამეფო სახლის ძე-თურებს. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა...

კოლხ-იბერთა სამეფო სახლის დიდი დინო[1] კეთილად და გონივრულად უძღვებოდა ქვეყანას და ერს წყალობის წიგნის და წინაპართა მიერ გადმოცემული წმინდა კირბისის, აიაიას კუნძულიდან წამოღებული ეტრატების მეშვეობით, სადაც სხვა მრავალთა შორის უწმინდესი ანბანი იყო აღბეჭდილი – ის ასო-ნიშნები, რითაც ზიარებულთ შეეძლოთ კოჭიმელს მისწვდენოდნენ, მეოთხე ცის სიმაღლიდან დაენახათ ბორ-ჩხალა მზე... ეს ეტრატები ინახებოდა ვითარცა წმიდათაწმიდა განძი, კოლხთა ყველაზე დიდ და სათაყვანო ტაძარში, ქალღვთაება ნანას სამლოცველოში, რომელსაც უვლიდნენ ზანკოჩები – საგანგებო მცველნი სამლოცველოსი.

დრო მიდიოდა. კოლხეთი სულ უფრო და უფრო წინაურდებოდა. სოფლები და დაბები ხვავით და ბარაქით ივსებოდა. ერი კმაყოფილი იყო და ბედნიერი. მართლაც რომ ჰყვაოდა ცხოვრება. ამ საყოველთაო კეთილდღეობას უმადლიდნენ ღვთის წიგნს და კირბისებში თავმოყრილ სიბრძნეს, თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა უზენაესი ღვთაებისგან ზიარებული და ხელდასხმული ქურუმების წყალობით. და აი, ერთხელაც...

– ნუთუ კვლავ უკუღმა დატრიალდა ჩვენი ბედის ჩარხი? – შეჰბედა აწრიალებულ-აფორიაქებულმა, უკვე საქმეში ჩამხვდარმა რემამ წამიერად დადუმებულ გოლიათს.

– ოღონდაც... ოღონდაც... ჩვენვე დავატრიალეთ ეშმას მეცადინეობით და ხელშეწყობით!

– ვაი, ჩვენი ცოდვა, ვაი!

– უყურე, რემა! კარგად შეხედე ყველაფერს!

...იმ რაღაც უხილავმა ძალამ ისევ მოსწია, ახლოს მოუტანა მზერის არეში ის დაფა დროის ბრუნვისა, რომელზეც აღბეჭდილი იყო გარდასულ ამბავთა მდინარება, ვითარცა პალიმფსესტებშია ეს.

...წალკოტ ბაღნარში, ბექობზე დგას მარმარილოს ჰაეროვანი თაღედებით დამშვენებული ტაძარი – თუთარჩელას სხივებში თეთრ-მოვერცხლისფრად აელვარებული. ტაძრისკენ ამავალ ბილიკს შესდგომიან თეთრსამოსიანი მახვამური ქალები და კაცები. მათ წინ მიუძღვით მთავარი ქურუმთ-ქურუმი, დიდი დია უფლისაგან ხელდასხული, გრძნეული მენცარი და ბრძენი მესიაკონი, ნათელმხილველი და ზიარებულთა შორის უპირველესი და გამორჩეული ასული აიეტისა.

რემას ჩუმი დვრინი – საამო გალობის ხმა ჩაესმა მლოცველთა. და აი, ერთბაშად, მოულოდნელი ანაზდეულობით გაიხსნა თითქოს ზეცის კარიბჭე და... უბოლოო, უსასრულო სილურჯე გადმოიღვარა

[1] საგვარეულო

ჩქერალებად ცის გუმბათიდან. ამ ქათქათა ნათლის სხივებში იძირებოდა და ცურავდა ირგვლივ ყოველივე: ცაც და ხმელიც, მთაც და ზღვაც, თითოეული სულდგმული თუ უსულო სხეული და საგანი. თითქოს სამყაროს დიდმა დედამ იისფერი ფართო კალთა გადმოაფარა თავის ნაშიერთ: ურიცხვ ვარსკვლავთ, ოქროსფერ, ცხრათვალება მზეს და თეთროსან მთვარეს, ყოველ ციურ თუ მიწიერ არსებათ.

– უყურე, რემა! როგორ უგალობს აიაიას მოდგმა ცის მეუფეს და მის ნაშობთ: დილა-ოდილას, დილის ციაგს-შავდილას, დილა ვორგილს და ჰარირას, ჰარალეს და რაშოვდას, რაევოს და ორერას, ლილეს და ჩხანა ბარჩხალას, ბარბალს და ბადრ მთვარეს და თუთარჩელას. შეხედე: ფაზისის შესასვლელ კარიბჭესთან დგას ქალ-ღვთაება ფასიანეს ქანდაკება. მის ფეხებთან წვანან ლომი და ვეფხვი. მას წინწილა უჭირავს ხელში. იგი მიწის და ნაყოფიერების ღვთაებაა – დიდი გეა!..

ქალღვთაება მზე კი უშურველად აფრქვევს თავის სხივებს ქი-ანნას (ცას და მიწას), თავის მხურვალებით ანაყოფიერებს, სიცოცხლეს ანიჭებს სამზეოს ბინადართ. ბორჯღალა მზეა ამოტვიფრული კოლხ-იბერთა სალოცავებზე. ცის ასონიშნებით იწყება ანბანი მათი: ანი – ცაა, დონი – მზე.., ორიონი – მზის ამოსვლაა და მისი შუქის მოახლოებაა – ერისიონი – ცისფერი, მთის თავს ზეითია, ციაგი, ცის-მშვილდი – ცის-არტყელაა, მზის ცა – კოჭიმელია, ღვთის კარი – ცის კარია, რიჟურაჟუა, რიბი-რაბოა, აისია, განთიადია, ალიონი – იალონია...

მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემიო – შეჰღაღადებენ, ხვიჩა-ხვიჩა ვარსკვალვები და-ძმანია ჩემიო. დიდება მზესა და იმის მიმყოლ ანგელოზებსო! დიდება მზის ყველა ანგელოზსაო! – ილოცება დიდი და პატარა.

ბარჩხალა მზის ამოსვლას ერთად ეგებებიან მახვამურები – განწმენდილ-განსპეტაკებულნი მარხვითა და ლოცვა-ვედრებით. ბჟალარა-ბარბალი დაამწყალობებს თავის ძე-თურებს: კოლხ-იბერთა ნაშიერებს. გაუნათებს და გაუსინათლებს ცხოვრების გზა-სავალს.

– ღმერთო!.. რა თვალისმომჭრელი სილამაზეა! – გაბურსალებული ბუტბუტებს თვისთვის რემა. ან ეგება თავის ნაჩუმათევ თუ ნაოცნებარ ფიქრებს თუ ზმანებას ეხმიანება უნებურად. ქუთუთოებზე ხელს იფარებს. ვეღარ უძლებს ამ საოცარ სანახაობას მისი თვალები.

– შეხედე, რემა!.. რა დღესასწაულია!.. რამოდენა კათას მოუყრია თავი ზეიმზე!.. რა მხიარულებაა, რა ცეკვა-თამაშია, რა სიმღერა-გალობაა!.. შეხე – რა სახეებია – ბედნიერი, ლაღი, კმაყოფილი!.. ნეტარების ღიმილით გაცისკროვნებული!..

ამ მზეთამზე ასულსაც შეხედე! კარგად უმზირე!.. თითქოს თავად ბჟალარა განსხეულებულა, კოლხთა მეფის მშვენიერ, ნორჩ სხეულში!..

ვაგლახ! უმზირე-მეთქი. ნახე, როგორ ჩუმად, მალულად, მიპარვით გამოაქვს წმინდა წიგნი ტაძრიდან, რომლის ქურუმთ-ქურუმი და მესიაკონი, თვითონ არის!..

...ლაქარდიანი ენით მოხიბლული და გაჩხიბული, საკუთარი ხელით აბარებს უწმინდეს განძს, თუმც ოდესღაც თვისტომელს – აიაიას ერთ-ერთი შტოის შთამომავალს, მაგრამ აწ უკვე გაბერძნებულ პელაზგს, რომელიც კორინთოში, აიეტიანთა სამფლობელოში, ჰელიოსის მოდგმის სამკვიდროში ეპატიჟება მეფის ასულს, რათა მან – მისი დახმარებით, – დაიბრუნოს დაკარგული ტახტი და ამ გზით ისევ აღადგინოს პელაზგთა ღირსება და დიდება.

ნუ ფრთხის მედეა, ნუ შიშობს. იგი ხომ თავის მამაპაპეულ სამფლობელოში ბრუნდება, თვისტომთა მისაშველებლად, რამეთუ უწყის მეფის ბრძენმა და მესიაკონმა ასულმა, რომ იაზონის ძარღვებშიც მოედინება სისხლი ჰელიოსის მემკვიდრეთა. დიახ. ასე უნდა ირწმუნოს აიეტის ასულმა.

ასე უფრო ადვილია გაამართლო ღალატი მამულისადმი, დედ-მამის და და-ძმისადმი. ჰოი, სიყვარულის სახელით ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილო ბოროტებავ!.. რამდენგზის აუხვევ თვალებს და აუბნევ გზა-კვალს მოდგმას კაცთა! ჰოი, მენცარო და მაზაკვალო! შენი წყალობით მთელმა ერმა უნდა იწვნიოს ნაყოფი გადამთიელთა ვერაგობისა და ცბიერებისა!

– ვაი, ჩვენი ცოდვა, ვაი!

– აიაიას მოდგმის ნაშიერში აღბორგდა სისხლი მაყივნებელი, ბილწი და მრუში, რამაც ძირს დასცა კოლხთა დიდება და ძლიერება... განადგურების პირამდე მიიყვანა დედა უფლისგან ნაკურთხი სამეფო სახლი და თვით ერიც... მერმე, ვითომ სცადა მოღორებულმა — თვისი დანაშაულის გამოსყიდვა, მაგრამ... გვიანღა იყო აწ სუყველაფერი, გვიანღა იყო თითზე კბენანი. წამხდარ საქმეს აღარა ეშველა რა! ეს თქვენც იცით უკვე... იცით თქმულებიდან...

– დიახ, ჩემო ბატონო. ეს ამბავი ისევ ბერძნებმა შემოინახეს...

– ჰო, ეგრეა!.. ოღონდ ესაა: განძი ანუ საიდუმლო სიბრძნის წიგნი. კირბისი – დაკარგა კოლხ-იბერთა მოდგმამ – ჯერჯერობით!

გარნა... ეგეც განგებისმიერია, ჩემო!.. აგრეც უნდა მომხდარიყო... კოლხთა მეფის ასული აირჩია განგებამ თავის ბედისწერისეულ განჩინებაში – ყველაზე ბრძენი, გრძნეული და ნათელმხილველი, რჩეული რჩეულთა შორის, დიდი ნანას ხელდასხმული!.. დიახ, კოლხ-იბერთა ანუ გეორგიანელთა სიბრძნე, უფლისგან ბოძებული – იგი უნდა განფენილიყო-მეთქი სხვადასხვა ტომთა შორის... განკაცების გზა უნდა გამოევლოთ

სხვათაც... სიბრძნე უფლისეული უნდა აეთვისებინა იმას, ვინც სხვებზე უკეთ შეიძლებდა მიწიერ ყოფიერებაში აღზევებას, სხვათა ბალავრობას და... უფლის საღვთო სიტყვის უკეთ გაღვივებას – მერმისში!..

ხოლო ეს ყოველივე უნდა მომხდარიყო-მეთქი კოლხ-იბერთა დაცემის ხარჯზე... ოღონდ... ის მთავარი, დიდი წიგნი არ დაკარგულა!.. იმაზე თვით მედეასაც არ მიუწვდებოდა ხელი!.. იგი ჩვენი მთების ერთ-ერთ საიდუმლო გამოქვაბულში ინახება დღემდე!.. და თავის ჟამს ელოდება. მე კი...

...მე ამოველ აქ, ჩემის ნებით, პირობის თანახმად. ვიტვირთე ცოდვა-ბრალი ჩემი ერისა – დედაჩემის სამკვიდრო ქვეყნისა, რამეთუ... უკვდავთა სწორის, ღვთაება დალის პირმშოს, ღვთისგან ხელდებულს და თავადაც უკვდავს, ერის უხილავ და თანამდევ სულს, პასუხი უნდა მეგო უზენაესისთვის ცოდვების გამო, რაც მზის საუფლისწულოში დაატრიალა თავისიანების მიმართ იმ გრძნეულმა ქალმა! და ... ბევრმა სხვამაც!

– ვაი, ჩვენი ცოდვა! – დაიგმინა ისევ რემამ და შუბლზე შემოირტყა ხელი.

– მისმინე, რემა!.. ყური მომაპყარ... რაც დრო გადიოდა, სქელდებოდა და სქელდებოდა ეს ჯაჭვი, რამეთუ მატულობდა ცოდვა იქ, ქვემოთ, დედამიწაზე, ჩემს ერში... მძიმდებოდა ცოდვა-ბრალი-მეთქი სულ უფრო და უფრო. და არა მარტოოდენ ჩემი ერის!.. თითქოს მთელი კაცობრიობა შედგა ყალყზე. ქვეყნები, ხალხები, ტომები ეომებოდნენ ერთიმეორეს სამწუხაროდ და სავალალოდ, ეომებიან დღესაც ერთმანეთს –გაუთავებლად, დაუსრულებლად!.. აღარ იყო მშვიდობა დედამიწაზე და კაცთა გულებში!.. მღვიმეებსა და გამოქვაბულებს მიაშურეს ბრძენთა-ბრძენებმა და წმინდანებმა.

მაღალი მთები იფარავდნენ და იცავდნენ მათ ველურთა და მომხვდურთაგან. უზენაესისგან ადრე მოვლენილმა წარღვნამ ჭკუა ვერ ასწავლა, ვეღარ დააშოშმინა კაცთა მოდგმა...

დადგა სისხლის წვიმების დრო. სისხლის ზღვაში ცურავდნენ მთელი ხალხები, ქვეყნები. ილეწებოდა ხმალ-აბჯრები, შუბები, ფარები... იღვრებოდა უსაზმნოდ სისხლი ბრალეულთა თუ უბრალოთა, ცოდვილთა თუ უცოდველთა, მართალთა თუ უსამართლოთა... აღარსად იყო შეწყალება და მიტევება... ბოროტს დაესადგურებინა კიდით კიდემდე!

მცირე ხანს თითქოს კეთილი იმარჯვებდა ბოროტებაზე, მაგრამ ერთობ უდღეური და უსუსური იყო ჟამი ესე და მაინც... რამდენი კეთილი საქმის შემომქმედი, დვრიტის დამდები, ბალავრის ჩამყრელი აღმოჩნდა ეს მცირე ჟამი მშვიდობისა. კაცობრიობისათვის! რამდენი ხუროთმოძღვარი, მელექსე და აღმაშენებელი იშვა ამ მოკლე ხანში.

გარნა... არ ცხრებოდა კვლავაც ბოროტების თესლი, ჩაბუდებული კაცთა გულებში, ახალ-ახალ ძალებს იკრებდა იგი შეტევისთვის და ჯიქურად ეტოტებოდა ყოველივე მშვენიერს, ამაღლებულს, ნათელს და დიადს. არ ცხრებოდა-მეთქი ბოროტი ეშმა, რათა თავისი უკეთური ნება და სურვილი თავს მოეხვია სხვადასხვა ტომისთვის: წაეკიდებინა, გადაემტერებინა ისინი ერთიმეორისთვის და თავად ეზეიმა გამარჯვება დამონებულთა ზედა!

სისხლის ნაკადულმა უწია ზესკნელს და... ისმინა უზენაესმა ვედრება და მუდარა ბრძენთა-ბრძენებისა, წმინდანთა და უცოდველთა და... სასოება და იმედი მოუვლინა ცოდვილ, სისხლში ჩამხრჩვალ კაცობრიობას, მოუვლინა გადამრჩენელი – მაცხოვარი – ძეი უფლისა და სიტყვა ღვთისა!

მოვიდა უფალი დიდი და იტვირთა კაცთა მოდგმის ცოდვები და თავისი წმინდა სისხლით გამოისყიდა შეცოდებანი ადამის ძეთა! და ცოდვით დამძიმებულ კაცობრიობას ამგვარი გზით მიეცა საშუალება ხსნისა და გადარჩენისა! – გოლიათმა თითქოს შეგუბებული სული ღრმად მოითქვა და თავისთვის ჩაიბუტბუტა მოგუდული ხმით – ო, მოდგმავ კაცთა, უღირსო და უმადურო! ვერ შეიფერებ შენ ხსნის და შველის გზას! კვლავაც ეშმაკს გაუხსნი სულის ბჭეებს!

გოლიათმა ზეცას ახედა მჭმუნვარე სახით. წამით თითქოს კრიჭაშეკრული, კრინტს არ ძრავდა. მერმე რაღაც სინათლის შუქმა გადაურბინა სახეზე და პირველად შეუტოკა ღიმილმა მკაცრად მოკუმული ბაგე-პირი:

– ჩემს ცოდვილ და მაინც სულით მაღალ, განაწამებ ერსაც ერგო გზა ხსნისა, რამეთუ მან თავად აირჩია მაცხოვრის გზა, ანუ ბოროტების სიკეთით ძლევის გზა; მასაც ამიერიდან უნდა მოჰფენოდა ღვთიური ნათელი იესო ქრისტესი!

და, აი... გამოჩნდა ის... განმანათლებელი, კაპადოკიელი ანუ ჩვენი-ჭან-მესხთა მოდგმის ასული! დიახ, სწორედ ჩვენი გვარ-ტომის! შეხედე: დედამ უფლისამ უბოძა მას ჯვარი ვაზისა, რამეთუ წმინდა ქალწულმა იტვირთა ცოდვანი კოლხ-იბერთა შთამომავლობისა, უწინარესად, თავისი შორეული წინაპარი ქალის – შეცოდებათა გამოსასყიდად. დედაკაცს ერგო წილად ყოფილიყო ერის განმანათლებელი, სწორედ დედაკაცს უნდა ეზიარებინა მთელი ერი – ნათელისთვის!

ჩვენი ქვეყანა ერთადერთია მთელს მსოფლიოში რემა, ქალწულმა თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით რომ მოაქცია ერი, რამეთუ... საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრია!

„არა არს რჩევაი მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“, „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვი-

თარცა საკუთარი თავიო“.

დიდი ნანას და შემდგომ... მზის მოთაყვანე კოლხ-იბერიელთათვის თანხმიერად აჟღერდა ესე მოძღვრება, რამეთუ ჩვენი მოდგმის სულისმიერ სწრაფვას გამოხატავდა იგი ზეაღსავლისკენ...

ანდრია მოციქულის მატათას, და სვიმონ კანანელის მიერ ჩაყრილი კეთილ მარცვლებს ჟამი დაუდგა აღმოცენების.

„წახვედ სიმხნით და უშიშრად უქადაგე ჭეშმარიტება... ამით ნიშთა სძლო ყოველთა მანქანებითა ეშმაკისათა და წარგემართოს ქადაგება შენი და თანაშემწე გეყო და არა დაგიტეო შენ“.

ჰოი, ღვთისმშობელო, შენი ძალი და მადლი იფარავს ამ ნორჩ კაპადოკიელ ქართველ ქალწულს, უშიშრად რომ მიემართება ჩრდილოეთით, თავის მონათესაე ტომელებთან, სადაც ეგულება კვართი უფლისა, სადაც ელოდება მას სული უკვდავი, მარადიული და ...ბარძიმი უფლისა!

შეხედე: მოდის თითქოს უსუსური, უძლური ქალწული მარტოდმარტო, ტყესა და ღრეში, ასპიტთა და იქედნეთა შორის, თოვლსა და წვიმაში და ფარად მარტო მზის ანუ ვაზის ჯვარი აქვს და მხურვალე სიყვარული ქრისტესადმი.

ეს ხატება სათნო ქალწულისა ვაზის ჯვრით ხელში, სამუდამოდ, სამუდამოდ ჩაიკირება ქართველი ერის მეხსიერებაში-მეთქი. იგი იქცევა წმინდათაწმინდა სიმბოლოდ თავად ქართველობისა, მისი არსებობის ნიშანსვეტად. ამიერიდან ეს ღვთაებრივი ხატება წარუძღვება წინ ერის ზესწრაფვას ამაღლებულისკენ, სინათლისკენ, ზეციური ციაგისკენ, ცათა სასუფევლისკენ, რამეთუ იგი, ეს ხატება გადაეჭდობა უბრწყინვალეს ხატებას ღვთისმშობლისას, რომლის სათნო სახე, უმანკო თვალების ქართული მზერა გახდება ზეშთაგონების უშრეტ, ულეველ წყაროდ და სათავედ. და თუმც დიდი განსაცდელი ელის მას, ამ ხატებას მომავალში, თუმც... მაგრამ ამაზე შემდეგ...

მოდიოდა უშიში, ვითარცა ლომი, დედალი ორბი, ისწრაფოდა იქითკენ, სადაც ეგულებოდა-მეთქი კვართი უფლისა და... ბარძიმი წმიდა, და... მცხეთის საუფლო – წმიდა ალაგი მომავალ საკვირველებათა, ხსნისა და გადარჩენის სამკვიდრებელი!..

გარნა ...არ ეძინა კვლავაც ეშმას, ძილფხიზლობდა სატანა. ჟამიდან ჟამით ეძგერებოდა იგი გაათკეცებული ძალით სიკეთეს, მშვენიერებას და... ამსხვრევდა და ლეწავდა ირგვლივ ყოველივეს.

ხანდახან... დგებოდა ჟამი, როს ჯაჭვი ესე ჩემი წვრილდებოდა, მისი გაწყვეტა ადვილად შემეძლო კიდეც, მაგრამ... მოვალედ ვრაცხდი ჩემს თავს, კვლავაც ბოლომდე მეტვირთა ჩემი ერის ყოველი ცოდვა-ბრალი. სანამ არსებობდა თუნდაც ერთი უკეთური ერისკაცი, მანამდე მე ვერ

ვიგრძნობდი შვებას, ვერ მივეცემოდი ნეტარებას, სულიერ განცხრომას და სიამეს ზესკნელში, უზენაესის ზეშთა საუფლოში.

დრო მიდიოდა. საუკუნეებს ცვლიდა საუკუნეები. ჟამით ჟამამდე გული ვეღარ ითმენდა და... ღვთის ნებართვით, ავიწყვეტდი ხოლმე ზოგჯერ თავს და...

მაშინ ჩასახლდებოდა ჩემი სული ერის ზნესრულ, მამაც და უშიშარ პიროვნებაში. და მე მათთვის ვიყავ ხან ფარნაოზი და ქუჯი ერისმთავარი, ხანაც ვახტანგ მეფე და გუმბაზი, დავით კურაპალატი და ბაგრატი. ხან წმინდა გიორგი და წმინდა გობრონი, ხან წმინდა ილარიონი და ძმები – დავით და კონსტანტინე, გრიგოლ ხანძთელი, გიორგი, ექვთიმე მთაწმინდელები, მიქელ მოდრეკილი და გიორგი მერჩულე, დავითი, თამარი, დიმიტრი, ცოტნე, გიორგი ბრწყინვალე, ქეთევანი... ხანაც სულმნათი რუსთაველი.

...სამწუხაროდ, კაცთა მოდგმას სწყურია სისხლი – ჟამით ჟამამდე! სწყურია ძალადობა და მსხვერპლი. სწყურია სიავე – სიკეთის წილ, სიბნელე – სინათლის წილ, ზვიადობა და ამპარტავნობა – სიმდაბლისა და კრძალულობის წილ, ზვაობა და სისასტიკე – სათნოებისა და სიმშვიდის წილ.

და... კვლავაც აღარ იყო მშვიდობა ქვეყანასა ზედა და კაცთა შორის სათნოება!

მე ჩემი ერის გამო, ვითარცა იერემიას, მოთქმა-გოდება მარგუნა არსთა გამრიგემ. შეხე! აიაიას ნაშიერთ – რა მიუზღო ბედისწერამ! ვით დაილია და დაიშრიტა საცხოვრისი მისი! შეხედე!

რემა, როგორც ჯადოქმნილი, უდრტვინველად, მორჩილად ასრულებდა გოლიათის ნება-სურვილს.

ახლაც თვინიერად გადაიხედა.

– უმზირე კარგად!.. სისხლიან ნაჯახს თუ ხედავ?

– კი, ბატონო! ვხედავ!.. უზარმაზარი ნაჯახია!.. ოჰ, ღმერთო ჩემო...

– უყურე-მეთქი, გეგეს ყმავ! ნუ იფარებ თვალებზე ხელს. ხედავ? ის ნაჯახიანი ხელი ნაკუწ-ნაკუწ როგორ გლეჯს და აჭრის ქვეყანას მის ნაწილებს, ქვეყანას, ოდესღაც დიდი საქართველო რომ ერქვა – კოლხიბერთა სამკვიდროს!.. ხედავ? ერთი ციცქნაღა დარჩა. ჩამოათალა სამხრეთი, ჩამოათალა აღმოსავლეთი. დასავლეთი. მოურღვია გარშემო ბჭენი! ვით ყასაბი საქონელს, ისე ათლის ნაჭრებს. ხედავ? ერთი ციცქნაღა დარჩა. ერთი ფიორი. ერთი ქინცა...

– ვხედავ, ჩემო ბატონო, ვხედავ და ნეტამც აღარ ვხედავდე, აღარ უყურებდეს ყოველივე ამას ჩემი დასავსები თვალები! ვაი, ჩვენს მოსწრებას! ახავაი, ჩვენი ბრალი!.. ძლივსღა ფეთქავს დახლეჩილ-დაფლეთი-

ლი... წითლად შეღებილი... ძლივსღა! ნუთუ... ნუთუ აღარ არის ხსნა და საშველი?

– რემა! საშინელი ხვედრი ელოდება კვლავ ამ გულისხელა მიწის ნაფლეთს...

– კიდევ, ბატონო? ნუთუ კიდევ?.. აღარ გვეყო, საკმარისი არ არის, განა?

– ჯერ სადა ხარ, რემა!.. არნახული, არგაგონილი უბედურებანი დაატყდება თავს ამ სვეგამწარებულ ხალხს, ბედდამწვარ ქვეყანას!

– რატომ, ბატონო?.. რა დავაშავეთ ამისთანა?.. ნუთუ არ კმარა, რაც ვიწვნიეთ ათასგვარ მომხვდურთა და ურჯულოთა გამოისობით?

– რემა! უყურე დაკვირვებით. ვინ არის ეს კაცი? ხომ არ გეცნობა?

– ეტლიდან წამოიმართა: ილია ვარო!.. ოჰ, ოჰ, აღარ გაბედოთ!.. თქვე ნაძირალებო, გარეწრებო! არ ისროლოთ! გესმით, თქვე ნადირებო!..

ვაი... ისროლეს მაინც! ...იგრიალეს თოფებმა! ვაი, ჩვენს დღეს უბედურს – შუბლიდან სისხლი თქრიალით გადმოსდის, ახავაი!.. ჩვენი სათაყვანებელი ღმერთკაცი... ოჰ! მკვდარსაც არ ინდობენ – ძარცვავენ ეს სალახანები... ქალს... მანდილოსანსაც არ ეპუებიან, კონდახით სცემენ... ვაგლახ! ვაი ჩვენს თავს!

– გეცნო, რემა? ეგება... არ არიან ჩვენებურები?

– ვაგლახ. ჩვენებურებია ეს ღვთის გარეგანნი! ეს წყეულები... შეჩვენებულები!

– შეხედე, რემა, ამას ყოველივეს და... დაიხსომე ეს სახეები! — ...მიპარვით, ქურდულად რომ ჰკლავენ ღვთის შვილებს! კარგად დაიხსომე!.. ახლა ამათ ხომ ღვთის კაცი მოჰკლეს – ამათ მეც მესროლეს. ამათ ჩემი სიკვდილი სწადიათ!.. დაიხსომე ეს სახეები, რემა! შეხვდები შენ კიდევ იმათ!

– ვაგლახ! ნუთუ...

– ღალატის და სულმდაბლობის ფესვი არ ამოძირკვულა ჩვენში, ჩემო! პირიქით. უფრო ღვივდება და იზრდება ეს შხამიანი თესლი, ღვივდება და ეძებს... სადინარს. და იპოვის კიდეც. გაუგონარი ამბები დატრიალდება იქ, ქვემოთ, ამ ცის ქვეშ, ჩემო რემა! შეემზადე!.. ჩვენი სისხლი და ჯილაგიც დაიდებს წილს ამ არგაგონილ, არსმენილ ბოროტებაში.

– ღმერთო დიდებულო, მამა ზეციერო! რა უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც მოხდა?

– გაჩვენებდი, მაგრამ... არ მინდა წინასწარ დაგიკოდო გული. ისედაც ბევრი რამ ნახე, და განიცადე, შე საბრალოვ! გარნა... უნდა იცოდე: ეს შენი, ბედისწერაა! მომისმინე. ახლა უნდა გაჩვენო ის, თუ ვინ იყო შენი წინაპარი ათასწლეულების წინ.

– ჩემი?

– ჰო, შენი. აი, შეხედე!..

უხილავი დაფა სადღაც შორეთიდან კვლავ დაიძრა და ნელ-ნელა მოცურდა მისი თვალთახედვის არეში. გრაგნილივით, ერთიმეორის მიყოლებით ისევ ისე გადაიშალა მისი გაფართოებული მზერის წინაშე უცნაური, საოცარი სურათები...

– შეხედე, გეგეს ყმავ! ეს – იათნანაა. დღევანდელი-კვიპროსი! იყო ოდესღაც ასეთი ქვეყანა ეგეოსის ზღვის კუნძულზე. შეხედე მშვენიერ ამორძალებს – ამ საუცხოო ქვეყნის მკვიდრთ – რა უმოწყალოდ, რა მხეცურად უსწორდებიან შემოსეული მტრები! ხედავ, როგორ ულმობელნი, სასტიკნი არიან მომხვდურები! დაჭრილთაც კი აღარ ინდობენ – ნაკუწ-ნაკუწ ფლეთენ, კეპავენ მათ სხეულთ გააფთრებულნი, სისხლმოწყურებულნი! კაციჭამიათა გეში გაღვიძებულა იმათში, ვინც თავიანთ თავს სხვებზე, „ბარბაროსებზე“ მაღლა მდგომად მიიჩნევენ... ამ ჯაგარაშლილ ნადირთა ხროვაში თუ ამჩნევ ერთ ყმაწვილ კაცს, ხორბლისფერკულულებიანს, პირთეთრას – უნდილად, უწადინოდ რომ იქნევს ხმალს? ნახე, როგორ თვალთმაქცობს, რა ეშმაკურად არიდებს თავს ამ უღვთო ჩეხვა-კუწვას? ჰე, ჰე, ჰე... აი, დაჭრილი – ბორძიკობს, ეცემა... და ვეღარ დგება ვითომ... ეგ შენი შორეული პელაზგი წინაპარია-მეთქი!...

აი, ისიც – მომხვდურთა მსხვერპლი – ნორჩი ამორძალი, საკუთარი სატევრით რომ იგმირავს გულს, ოღონდ მტერს ცოცხალი არ დანებდეს, და რომელსაც დასდგომია – ჭირისუფლად შენი წინაპარი – თავზარდაცემული! აი, იჩოქებს ანაზდეულად და შუბლზე ეამბორება თვალცრემლიანი ამ უბედურ გოგონას...

ჰო, ამგვარი ცრემლი მიწყივ ამშვენებდა ხოლმე ვაჟკაცს. ამგვარი ცრემლი წმინდა გულის ნაჟურია. იგი კამკამაა, წყაროს წყალივით, გარსმომდგარ შმორიან ჭაობში ნაპკური წვეთებია ნაკურთხი წყლის! ხედავ: აპოლოს დიდებულ, თეთრ ტაძარს და თეთრსამოსიან ჭაბუკ ქურუმს, საყდრის თაღებქვეშ ლოცვად ხელაპყრობილს?.. იმ ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, იათნანაზე რომ მოხდა, იმ სასაკლაოს შემდეგ ატროვებულმა ხვადაგებმა რომ გამართეს, იგი გაეცალა მათ და სინათლის ღვთაებას შეუდგა... თუმცა, ვხედავ. ენა ჩაგვარდნია, სარგადაყლაპულივით გაშეშებულხარ – გაოგნებული! მესმის. მესმის შენი. რაღა თქმა უნდა, დაუჯერებლად, ზღაპრულად გესახება ყოველივე ის, რასაც შენ ახლა უყურებ. გარნა... ასე იყო, ჩემო! ყოველივე ეგრე გახლდათ... და უპოვარის მოქომაგე, სინათლისა და მშვენიერების მეტრფე და მოთაყვანე – გაცოცხლდა წმ. გიორგის მსახურთა მემკვიდრეში.

ის ქურუმი კი, დროთა ვითარებაში, დაიმკვიდრებს ბრძენთა-ბრძენის

სახელს არა მარტო თვის თანატომელთა შორის, არამედ შორს, საზღვრებს მიღმა, სხვადასხვა ქვეყნებში განითქმება სახელი მისი. მრავალ ქვეყანას მოივლის იგი და თანაბრად ძვირფასი და პატივდებული იქნება მისთვის სხვადასხვა გვარტომის სიბრძნის საუნჯე, რამეთუ თავადაც დაიუნჯებს ყოველივე იმ სიკეთეს, რაიც მაშრიყით მაღრიბამდე, ჩრდილოეთით სამხრეთამდე, ხმელზე მოფენილ ტაძრებსა თუ სამლოცველოებში დავანებულიყო და რასაც ზიარებულთა და ხელდასხმულთა რჩეული საძმო ფლობდა მითაჟამიდან. ზეციურ სფეროებს მისწვდება გონების მზერა მისი, გარნა რჩეულთა ხვედრს ვერც ის გაექცევა...

დასაბამიდან მოაქჟამამდე ნიადაგ ზეცისკენ, მაღლა ახედებდნენ მიწის შვილთ, ნიადაგ კაცთა მოდგმის ერთობის და მშვიდობისკენ მოუწოდებდნენ, გარნა... ამაოდ. ამაოდ რეკს დღესაქამომდე ზეციური ზარი სულიერი მშვიდობისა. ყრუა და ჩლუნგი ცოდვის შვილთა ყურთასმენა მის აღსაქმელად.

რამეთუ შურს, სიძულვილს, მტრობას, სიხარბეს, ბოროტებას დაუსადგურებია კაცთა მოდგმაში.

შეხედე: სისხლმოწყურებულმა, ანუ გავეშებულმა ბრბომ, ჯვარს აცვა ის, ძე ღვთისა, ვისთვისაც ეგზომ მახლობელი გახლდათ ყოველი სულდგმული, გარეშენი თუ შინაურნი, ნათლით მოსილნი და უნათლონი, განკაცებულნი და ჯერაც ტყიურნი, ღატაკნი და მდიდარნი, უჩინონი და ჩინებულნი, ვისთვისაც დიაცი და მამაცი – ერთ ტვიფარს ატარებდა ზესთაზენურს – სიყვარულს — დაუსაბამოს, უსაზღვროს, უბოლოოს — კაცთა მოდგმის მიმართ!

აჰა, დამთავრდა ესე სახილველიც! ისევ ისე დაიგრაგნა ეტრატი ათასწლეული, რამეთუ ბედისწერის ბორბალი კოსმიურ ციურ ციკლში ტრიალდება და ზეცაში არის ტვიფარდადებული.

ამსოფლიური ცხოვრების მდინარება უწყვეტია, ერთს ენაცვლება მეორე, მეორეს მესამე და ასე შემდეგ, სანამ კვლავ არ დაუბრუნდება თავდაპირველ კოსმიურ საზრისს სამყაროს უსასრულობაში, არ დაუბრუნდება პირვანდელ საწყისს ამ მიწიერი არსებობისა, ანუ რინასი, ვინაიდან წარუვალია, მარადიულია მხოლოდ შინაგანი არსი მისი ანუ სიყვარული , გარნა ის, რაიც ძველ ზიარებულთა და ხელდასხმულთათვის ესოდენ ნაცნობი და სისხლხორცეული იყო იმთავითვე – მიუწვდომელი, გაუგებარი და შეუმეცნებელი რჩება გონებით მწირთა და დუხჭირთა, გულით და თვალით ბრმათათვის მიწყივ — დასაბამიდან დღემდე!

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ისევ ამეტყველდა გოლიათი:

– მისმინე, რემა ჩემო! ამჯერად სიტყვიერადღა გამცნობ ზოგ რამეს, რაც უნდა მოხდეს ახლო მომავალში, რაის თვითმხილველი და თანდამსწრე იქნები შენ თავად. სულ მოკლე ხანში ჩვენი ქვეყნის სვეუბედური არსებანი მიწასთან მოასწორებენ მამა-პაპათა სალოცავებს, საფლავებიდან ამოთხრიან წმინდანთა ნეშტებს და ძაღლებს გადაუგდებენ საჯიჯგნად. მოკლავენ თვის სულიერ მამას — კათალიკოს-პატრიარქს, დახოცავენ მღვდლებს! დაანგრევენ და დაამხობენ ღვთის სახლებს, ცეცხლსა და წყალს მისცემენ საღვთო წიგნებს, ხატებს ტყვიებით დაცხრილავენ, მოწამეთა ნაწილებს ძაღლებს გადაუგდებენ, სისხლიან კალოს გაუმართავენ საკუთარი ერის შვილებს... დამკვეთთა და დამპყრობთა გულის გასახარად! საშინელი, საზარელი ჟამი დაუდგება მცხოვრებთ ამ პატარა მიწის მტკაველზე, მიწისა, ოდესღაც კოლხ-იბერთა სამკვიდრებელი რომ იყო. ოდესღაც საქართველო რომ ერქვა და არა მარტო მათ დაატყდებათ თავზე უბედურებანი...

– ნუთუ... ჩემი ხალხი ჩაიდენს ამ ბოროტებათ? ნუთუ აღარ იკმარებს უზარმაზარ ცოდვას – ილიას დაქცეულ, წმინდა სისხლს? ნუთუ... თავად იქნება თავისი თავის მტარვალი?

– თავად იქნება. გახდება. გახდიან: ზოგს ნებსით, ზოგს იძულებით, ხელის უფლების ანუ ძალის უფლების მეშვეობით! აიძულებენ, შეაფურთხონ და შეაგინონ სიწმინდეები, ყელი გამოსჭრან საკუთარ დედას, ღვიძლ შვილებს... ზოგი ნებაყოფლობით იკისრებს-მეთქი ჯალათობას, ზოგიც სიმხადლით და „გარემოებათა გამოისობით“ დაიდებს წილს თავის ქვეყნის დაქცევასა და გაუბედურებაში. ზოგი უმეცრებით და სიბნელით, ზოგი შურით – მოდგმითი მოდგმით გადმოცემული ამ ქვენა გრძნობით – ანგარიშს გაუსწორებს თანამოძმეს თვისას, რამეთუ შური არს სათავე ყოველგვარი ბოროტებისა. შურის გამო მოიკლა ის დიდი კაციც... განადგურება სულიერად და სხეულითაც ქვეყანა ესე, საქართველოდ სახელდებული. და არა მხოლოდ საქართველო – მსოფლიოს ხალხები იცურავებენ სისხლში!..

– ვაიმე, რათა? რისთვის? – დაიგმინა რემამ და სასოწარკვეთილი ჩაიკეცა მიწაზე.

ამირანი: – შეხედე, რემა ჩემო, წარსულის ამ დაფას, ახლოს მოტანილს უსასრულო სივრცის თვალჩაუწვდენი სიღრმეებიდან. შეხედე: თუ ცნობ ამ სახეს?

რემა: ვერა, ვერ ვიგონებ, თუმცა... როგორ არა, მომაგონდა. ჩემი თანასოფლელია მგონი. ვიცნობ, სალმით ვიცნობ.

ამირანი: ჰოდა, ამ კაცმა გააქეზა ე.წ. წითელრაზმელები, რომ გადაეწვათ შენი კარ-მიდამო. შეეშალათ და შეცდომით გადაბუგეს შენი მეზობლის და მოგვარის, ნიკო გეგეჭკორის სახლი.

რემა: რისთვის, ჩემო ბატონო, რა დამიშავებია ამ კაცისთვის?..

ამირანი: არაფერი, ჩემო რემა, არაფერი დაგიშავებია. გარნა შურმა აღძრა იგი ბოროტების საქნელად.

რემა: შურმა?.. საიდან, სადაო? ამ შორეულ კაცს რა უნდა შეშურებოდა ჩემი? რა მქონდა საზიარო?

ამირანი: არც რა. მაგრამ შურმა არ იცის ახლობლობა თუ შორებლობა, არც მანძილი და საზღვარ-მიჯნა... ამას შენი სახელი შურდა, შურდა შენი სიმღერა და წარმოიდგინე, შენი გარეგნობაც! შურდა, შენი განსწავლულობა და რაც მთავარია, შენი კაცობა, რაიც ყოველი სულით მდაბიოსთვის, და არაკაცისთვის დიდი წუხილის მიზეზია ხოლმე.

რემა: საიდან ამდენი სიგლახე და სიავე იმ ერის შვილებში, შენ რომ თავდებად დაუდექი, ჩემო ბატონო?

ამირანი: ო, ო, დასაბამიერია კაცთა მოდგმის ცოდვები-მეთქი, ეს შენც კარგად უწყი, რემა ჩემო, ხოლო... ჩვენი თვისტომისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია წარსულ საუკუნეთა სისხლიან სრბოლას... უძლურების სიმწარემ, ნეკა თითის განუწყვეტელმა კბენამ, ვერ მორევის ბოღმამ, ამდენმა წაჭრილმა თავებმა, დაქცეულმა ზღვა სისხლმა უმანკოთა და უდანაშაულოთა, მტარვალთა გაუთავებელმა ბოროტებამ, ხმლის ამდენმა ქნევამ – თავისი ბნელი საქმე ქმნა, რემა ჩემო! ერის სულში დაილექა სისასტიკე, ძარღვებში ჩაგუბდა და ჩაჭაობდა თხრამლი და ბალღამი, ერთმანეთში აირია, აითქვიფა და გასასვლელს ძებნა დაუწყო და... ო, დიდი ცოდვის კითხვა დატრიალდება, დიდი ცოდვის!.. და არა მარტო ჩვენში-მეთქი – საყოველთაოდ იზეიმებს ბოროტი სული, ბელზებელი, სატანა... და არა მარტოოდენ აქ-მეთქი! ბევრგან ქვეყნიერების კიდით-კიდემდე — დაიღვრება კოკებით სისხლი ადამიანთა და განა ერთგზის!.. სისხლის ნიაღვარი, სისხლის მერეხი წალეკავს ქვეყნებს, ხალხებს. ჩვენი ჯიშიც და ჯილაგიც დაიდებს-მეთქი წილს, სამწუხაროდ, ამ სისხლისღვრაში! ეგებ... უნებურადაც! იქნება მცირე... ხანმოკლე გამონათებაც... ნიჭიერებისა! — ..... ჩვენი მოდგმისათვის!

მდუღარე ცრემლი გადმოსკდა რემას თვალთაგან. კვლავ მიწაზე დაემხო გულამომჯდარი.

ამირანი: ახლა ხომ ხვდები, გეგეს ყმავ, ჩემი გმინვისა და წუხილის მიზეზს?.. აი, რამ ამოგიყვანა შენც აქ, ამ მწვერვალზე. აი, რა გეწეოდა შენ აქეთკენ! გარნა... ამით არ მთავრდება შენი გზა-სავალი...

რემა: არ მინდა, ჩემო ბატონო, ასეთი სიცოცხლე... ნამდვილად არ მსურს ვიცოცხლო. მინდა აქვე მოვკვდე, აქ დავლიო სული და აღარ ვიხილო ჩემი ქვეყნის უარესი გავერანება.

ამირანი: არ ეგების ეგრე, რემა ჩემო! ეგრე არ უწირავს შენთვის – განგებას. შენ იქ, ქვემოთ მოგიწევს ყოფნა დიდხანს. შენ შენი თვალით იხილავ ყოველივეს, გარნა... უფლის ნებით თმის ბეწვი არ ჩამოგვარდება თავიდან. თავად უჩინარი და უხილავი, აღნუსხავ შენი გონების დაფაზე ყველაფერ იმას, რასაც იხილავს შენი მზერა და მოისმენს შენი ყური.

რემა: რისთვის, ვისთვისაა საჭირო ყოველივე ეს, ჩემო ბატონო?

ამირანი: შენ ახლა გაგიჭირდება ჩაწვდე განგების ნებას-მეთქი, რემა ჩემო, გარნა... ჟამი მოვალს და მაშინ...

რემა: ჟამი მოვალს?

ამირანი: ჟამი მოვალს-მეთქი, რემა ჩემო, ჟამი რისხვისა და წყალობისა, ჟამი დაცემისა და აღდგინებისა, ჟამი ღირსთა და უღირსთა განკითხვისა, ჟამი განწმენდისა და აღორძინებისა, ჟამი მიღმიერი და ამქვეყნიური თანაწყობისა, ჟამი სამყაროსეული, კოსმიური წონასწორობისა, ჟამი თავგანწირვისა და თავდადებისა! ჟამი მაცხოვრის მეორედ მოსვლისა!

ჟამი...

ჟამი ირეკს!

იფხიზლენითო, განიწმინდენითო. განუმზადენითო სული თქვენი და გული თქვენი უფალს. წრფელი და წმინდა ზრახვით იყვენით და შეიყვარენითო ურთიერთი და ისე შეეგებენითო უფლის მობრძანებას. უწყოდეთ, რამეთუ ღმერთი – სიყვარულ არსო! ამიტომაც შეიყვარენით ერთმანეთი და... გადარჩებითო!

ჩვენი ქვეყანაც ანუ საუფლისწულო ღვთისმშობლისა – გადარჩებაო, უფლის მადლით გაბრწყინდებაო! რამეთუ... ამა ენასა შინა დამარხულ არსო საიდუმლოებაი ქვეყნიერებისო, რამეთუ... ლაზარე უნდა აღსდგესო!

... დუმილი ჩამოვარდა. სამარისებური დუმილი. აღარ ქუხდა გოლიათის ჟღრიალა ხმა. აღარ სცვიოდა გრდემლს ნაჭედი სიტყვის ნატეხები. აღარ რეკდა ზარი სამრეკლოისა.

რამდენ ხანს გასტანა სიჩუმემ, აღარ ახსოვს რემას. გონს რომ მოეგო, იგივე ცარგვალი დამხობოდა თავზე – უვარსკვლავებო, კაშკაშა, ნათელი. ვეღარ გაარკვევდი ოღონდ: საღამოს ბინდბუნდი იყო, რიბირაბო თუ... უმზეო დღე!

თავადაც ისევ ისე იმ ალაგას იდგა მთის მწვერვალზე, ოღონდაც... არც გოლიათი ჩანდა სადმე და არც გამოქვაბული. იისფერი ნისლით თუ ღრუბელთა ფიფქინა ქულებით ამოვსებულიყო უსასრულო, უნაპირო სივრცე, გარს რომ შემორტყმოდა იდუმალი, ჩუმი და მთრთოლვარე გარინდებით.

დუმდა ლოდინით დამუხტული უსაზღვრო ირგვლივეთი.

დუმდა და...

ელოდა – ნანატრ ჟამს!

P.S. ნუთუ... ეზმანა ეს ყოველივე რემას? ნუთუ მოლანდება იყო – გულის უშორეს კუნჭულებში გადამალული? და რომელმაც, მისდაუნებურადვე, თავი აიწყვიტა და... გამომზეურდა?

ვინ იცის...

1998 წ.



„რამეთუ ძლიერ არს ვითარცა სიკვდილი სიყვარული,
ფრთე მისი ფრთე ცეცხლისა.“
შუმერული „ქებათა-ქება“

მოქმედი პირნი:

წამყვანი ქალი
ცისია – იგივე პენთესილეა – ამორძალთა დედოფალი
მზეონა – ცისიას გამზრდელი დეიდა
კასანდრა – ტროას მეფის, პრიამოსის ასული
პარისი – ტროას უფლისწული
ელენე – მისი მეუღლე
აქილევსი – მირმიდონელთა უფლისწული
ბრისევსი – აქილევსის საყვარელი
ავთომედონტი, მერინოე, ალკინევსი, ოთომესი – აქილევსის მეგობრები
ოდისევსი
აიანტი
ამორძალთა ასისთავები
თერსიტე

წამყვანი ქალი: – აგერ უკვე ათი წელია ოქრომრავალი, სახელგანთქმული ილიონი თავს მედგრად იცავს დანაელთა შემოტევისგან. ურიცხვი ჯარი გარს შემორტყმია ციხე-ქალაქს, ათი წელია უკვე მძვინვარებს ეს არნახული, სასტიკი ომი, ბევრი ვაჟკაცის სიცოცხლე რომ შეიწირა ორივე მხრიდან. დაუნდობელი ომის საბაბად ქცეულა სპარტის მეფის მენელაოსის ცოლის, მშვენიერი ელენეს მოტაცება ტროის უფლისწულის – პარისის მიერ! დიახ, საბაბად იქცა-მეთქი, რადგან მძლავრს და დიდად მზვაობარს სხვათა ქვეყნის დასაპყრობად მიზეზ-საბაბი არ დაელევა! ათი წელია ტროას ერი, რიცხვით მცირე, უმკლავდება ჯარს არგიველთა, ასიათასზე მეტს რომ მოითვლის. პატარა ტროა ქედს არ იხრის, თუმცა ნელ-ნელა იშრიტება და იფიტება მისი ძალები. შიმშილის ზღვარზე მისულნი და ქანცგაწყვეტილნი, მაინც გმირულად იბრძვიან და არ ნებდებიან თავგასულ მომხვდურთ, სიმართლისათვის მებრძოლთა ნიღაბს რომ ატარებენ ურცხვად, უტიფრად:

რაკიღა ძალით ვერ ერევა, მტერი ცდილობს მზაკვრობით, ხერხით, გადაიბიროს ილიონელი წარჩინებულნი, ჩამოაგდოს უნდობლობა ციხე-ქალაქის დამცველთა შორის და ამით ურჩი ერის მტკიცე ნება დაასუსტოს, რომ ბოლოს მაინც აისრულოს გულისწადილი – გაანადგუროს სახელოვანი ილიონი, მოსპოს ამაყი ტროელების სახსენებელი, რამეთუ ტროა ზღვისპირეთის უძლიერესი კარიბჭეა, მისი კლიტეა. ამდენად მისი დაუფლება გზას უხსნის ბერძენთა ტომებს მცირე აზიის, პონტოს ქვეყნებისა და კოლხეთის დასაპყრობად! მათი ურიცხვი განძის ხელში ჩაგდება კი ახალ-ახალი დიდი ომების საწინდარია.

უწყის ყველამ, მშვენივრად უწყის, ბედისწერის განჩინებას ვერვინ წაუვა, ვერვინ დაიხსნის თავს მსჯავრისაგან წერა-მწერალის: განწირული – გაიწირება, გადასარჩენი – გადარჩება და მაინც... არც ერთი მხარე არ ყრის იარაღს: ბრძოლა ბოლომდე, გამარჯვებამდე – ასეთია მათი სურვილი და მოწოდება.

აი, ციხე-ქალაქი ილიონიც-სარბიელი ვნებათა ღელვის, სათამაშო თეატრონი მსახიობელთა, კაცთა მოდგმას რომ ეძახიან: მოვლენ და წავლენ საუკუნენი, მარადისობის მდინარე კი ისევ ისე მიედინება, ხოლო ამაო მიზნებს და ზრახვებს მიწისშვილთა – ბოლო არ უჩანს.

მაშ, მოდით კაცნო, მივუგდოთ ყური გულისცემას გარდასულ დროთა! ხსოვნის ფსკერიდან, ათასწლეულთა მიღმიეთიდან გამოვიხმოთ უტყვნი აჩრდილნი ჟამთა სრბოლისა, მოვუხმოთ ლანდებს წარმავალ ხანის-ეგზომ მშფოთვარეთ და აღბორგებულთ! და შენც ჩამოჰკარ, მეისტორიევ, ზარი ხმიანი, ჩაჰბერე სული ფერფლადქცეულ უხანო სხეულთ, ოდესღაც მძლავრად, ძალუმად მფეთქავ და აღტკინებულთ უზომო ნდომით და წყურვილითა.

ვიწყოთ თამაში, როკვა და მღერა, ვითარცა შვენის ეს კაცთა მოდგმის მსახიობელთ, ბედისწერისგან დაღდასმულთ და დრო-ჟამის მსახურთ.

ჩამოჰკარ ზარი, მემატიანევ, აღმწერელო ჟამთა სიავის თუ ბედკეთილობის, სიყვარულის თუ სიძულვილის აღმნუსხველო, მოუსყიდველო თვალო ფხიზელო!

ჩამოჰკარ ზარი!

მოქმედება I

სცენა პირველი

(კარავში თავს იყრიან ამორძალთა ასისთავები. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დგანან და საუბრობენ ერთმანეთში)

– ნუთუ ცისია დედოფალმა გადაიფიქრა? უკან გვაბრუნებს?

– არა მგონია. აკი გადაწყდა აქ დარჩენა? ბრძოლა ბოლომდე!

– დებო, ეგების მართლაც ფუჭია და უსარგებლო ჩვენი აქ ყოფნა? ეგების მართლა დამარცხება უწერია ბედკრულ ტროას? და თავგანწირვა ჩვენი ამაოა?

– ეჰ, რა დროს დაიღუპა გმირი ჰექტორი!...

– აი, დასტურ — ვის ეწვოდა გული თავის ერისთვის! დანარჩენები – შარახვეტია უფლისწულები იბრძვიან მხოლოდ ტახტისათვის!

– საკუთარ მამას მის ზურგს უკან საფლავს უთხრიან... ზოგი პარისის მხარეს იჭერს, ზოგიც – მისი ძმის – ჰელენიოსის...

– მთელი ტროა ბანაკებად დაიყო აკი!

– მერედა, ამის დროა ახლა? როცა გარშემო ურიცხვი მტერი მოჯარულა და წალეკით იმუქრებიან!

– ეჰ, რას გაიგებ, ჩემო დაია! – სასახლეში ვინ რა ქსელს ხლართავს! ჩვენი ვალია – პირნათელი ვიყოთ დიდი ნანას წინაშე. მედგრად ვეომოთ პელაზგთა მოდგმის მოძულე მომხვდურთ. სხვა დანარჩენი – თვითონ იციან!

– ოჰ, ის წყეული აქილევსი! ის რომ არა, აქამდე კუდით ვასროლინებდით ქვას მაგ ბაქია დანაელებს!

– რად, რად არ გაუწყალდა იგი მუცელში ქალღმერთ თეტიდას! ჩვენდა

– თუმც ქალღმერთის ნაშიერია, – უფრო ნადირს ჰგავს, სისხლმწყურვალეს – გულბოროტობით, სისასტიკით ტოლი რომ არ ჰყავს!

– არც მთლად ასე უნდა იყოს, როგორც შენ ამბობ, ჩემო დაია! აკი ხელმწიფე პრიამოსი შეიწყალა, გამოატანა გვამი ჰექტორის! რაც უნდა იყოს, ბრძენი ქიტონის გამოზრდილია!

– გულჩვილობა ზოგჯერ მხეცსაც სჩვევია ხოლმე!

– ვინ იცის, იქნებ პელაზგურმა სისხლმაც უყივლა — პატივი სცა მოხუც ხელმწიფეს!

– კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! აქილევსი რა პელაზგია! დანაელებს მოკავშირედ დასდგომია და ლამის არის, მათი გულისთვის, ამოჟუჟოს მთელი ტროა დედაწულიან!

– იცით, ამბობენ, მეტისმეტად მიმზიდველი ვაჟკაციაო – საუცხოო, თვალტანადი. ქალები თურმე ჭკუას კარგავენ, ისე მოსწონთ მირმიდონელთა უფლისწული, თავადაც დიაცთ მოყვარული ბრძანდება თურმე ის ვაჟბატონი!

– ეგ ჩვეულია მონა-ქალების გულის დაპყრობას, მათთან ღლაბუცს და დროსტარებას, ხოლო გულს ეგრე ადვილად ვერ მოიგებს თუნდ ამორძალის!

– ჰო, მართლა, ჩვენი კიკნა რომ არა ჩანს, სად დაიკარგა?

– მისი ამბავი მოგეხსენებათ... უსათუოდ ხიფათს რასმეს გადაეყარა...

– აი, ისიც!

(შემოდის კიკნა) – ბჭობა ხომ არ დაწყებულა, გოგოებო?

– ჯერ არა. დედოფლები სასახლეში ბრძანდებიან. ველოდებით. ესესაა უნდა გამოჩნდნენ. ასე რატომ დაიგვიანე?

– აქეთკენ რომ მოვდიოდი, ილიონელი მეციხოვნე აგრენტია გადამეღობა...

– რაო, რაო, რა მინდაო მაგ ბედოვლათმა? რა კოშკები აგიშენა?

– რას მეტყოდა? ერთს და იმავეს იმეორებს შერეკილივით. ჩემმა გულმა მხოლოდ შენღა ამოგირჩია და უშენოდ ვეღარ გავძლებ, ცოლად უნდა გამომყვეო.

– მერე? მერე? (ამორძალები გარს შემოეხვივნენ კიკნას. კიკნა იცინის)

– რა მერე?.. ვეუბნები, ვით ვერ გაიგე, ამორძალები თავად ვირჩევთ მამაკაცებს-თქო, როცა ჟამი დაგვიდგება! ხოლო ტროაში ცოლქმრობანას სათამაშოდ არ ჩამოვსულვართ, არც დროის სატარებლად... მომხვდურებს ვებრძვით, ვით შეგვიძლია. სიყვარულისთვის არ გვცალიანთქო.

– მერე რაო? დაგიჯერა? ჩამოგეცალა?

– თქვენც არ მომიკვდეთ! უფრო და უფრო ქადაგად იქცა... გაილესა ენა ფხიანი! რომ ვერ შევასმინე ვერაფერი და თანაც ხელიც რომ წამატანა...

– რატომ გაჩუმდი? დაამთავრე...

– არაფერი. ჩვენებური კვანტი გამოვსდე ერთი ისეთი... მგონი, ჯერაც ვეღარ ამდგარა... (ამორძალები ტკარცალებენ).

– უფ, ჩემო კიკნა, შენ გენაცვალე!.. მაშ რა ეგონა?.. როგორ გაბედა?

– ნეტავი, ამათ ვინ ვგონივართ?.. რით ვერ შეიგნეს, ამორძალები ჩვეულებრივი დიაცები რომ არა ვართ? რომ ჩვენი ნება თუ არ იქნა, ხელს ვერავინ ვერ დაგვაკარებს, ვინც უნდა იყოს, თუნდ ღვთისშვილი ბრძანდებოდეს! ხოლო ჩვენი შეშინება და მით უმეტეს მორევა აბა, ვის ძალუძს ძე-ხორციელს დედამიწაზე! ჩვენ ხომ ისეთ ფანდებსა და ხრიკებს ვფლობთ დაბადებითვე, ამ მკვეხარა, ყოყლოჩინა მამლაყინწებს სიზმრადაც რომ არ მოელანდებათ, თუმც პელაზგთა მოდგმისანი ბრძანდებიან!

– ისე, გული ხომ არ დაგწყდა, ჩემო კიკნა? ჰა? გამოტყდი!.. აკი ბაიაც ამგვარადვე ჭიკჭიკებდა, ბაქიბუქობდა თავდაპირველად, მაგრამ ბოლოს მაინც გვიგანა, იმ ვირგლაზე გაგვცვალა და დაგვემშვიდობა!

– ჩუმად! დედოფლები მობრძანდებიან!

(კარავში შემოდიან ცისია და მზეონა, დამხვდურები და მოსულები თავდახრით ესალმებიან ერთმანეთს).

დედოფალი ცისია: – მგონი ყველანი აქა ბრძანდებით. მაშ, ნუღარ ვყოვნით. დასხედით, დებო. ბჭობას შევუდგეთ იმ საქმის გამო, რისთვისაც მოგიწვიეთ ასე სასწრაფოდ! (ყველანი სხდებიან მათთვის განკუთვნილ სავარძლებში).

დედოფალი ცისია: – ჩემო მამაცო ამორძალებო, ჩემო დობილნო! თქვენ ყველამ უწყით, დეიდაჩემი, დედოფალი, ჩემს შესაცვლელად რომ ჩამობრძანდა იათნანიდან. თან ჩამოჰყვა მეომრები. სურვილისამებრ, ასისთავებიც უნდა წასულიყვნენ, მაგრამ... ვითარცა მე, ასევე თქვენც, არ ინდომეთ შინ დაბრუნება, ფოთოლას გარდა, დედა მძიმე ავად რომ გახდომია.

დედოფალი მზეონა: – ჩემო ძვირფასნო და საყვარელნო, ჩემო შვილებო, იმედი კიდევ არ დამიკარგავს, გადაიფიქროს ეგებ ჩემმა დისწულმა და იათნანაში დაბრუნება მოისურვოს, სადაც იგი საჭიროა, ვითარცა ქვეყნის გამგებელი, სადაც დედოფალს მოელიან მოუთმენლად. ვგონებ, კმარა ის ორი წელი, შემწედ, ქომაგად რომ დაუდგა ილიონელებს.

დედოფალი ცისია: – ჩემო დეიდავ, საყვარელო ჩემო გამზრდელო! მე მგონი, უკვე გადავწყვიტეთ ეს საქმე გუშინ და დღეს შევყრილვართ სხვა რამ მიზეზით, სულ სხვა რამე გვაქვს საბაასო და საბჭობელი. ამიტომაც სუყველას გთხოვთ ყურადღებას, რომ გულისყურით მოისმინოთ, რასაც გაუწყებთ! (ყველანი კვერს უკრავენ, მზადა ვართ მოგისმინოთო).

დედოფალი ცისია: – მოგეხსენებათ, ჩემო კეთილნო თანამებრძოლნო, რომ უდიდესი საფრთხის წინაშე დგას ილიონი, ბანაკებად დაშლილი და დაქსაქსული! ჩემი მეგობრის და ძმობილის ჰექტორის წასვლამ ამა ქვეყნიდან, ჩანს, თავგზა აუბნია ილიონელებს და ლამის ციხე შიგნიდან გატყდეს. წყალში გვეყრება ამოდენა შრომა და ღვაწლი, ტყუილ-უბრალოდ დანთხეულა სისხლი მოძმეთა და თავად ჩვენიც! დიახ, ცუდის ნიშანია ყოველივე, რაც ილიონში ხდება ამჟამად (შეისვენებს) განსაცდელის ჟამს ორი რამ არის მოსალოდნელი: ღმერთების ნებით უფრო მჭიდროდ იკვრება ერი და მაშინ იგი უძლეველია. ანდა ღვთის რისხვა ატყდება თავზე გზადაბნეულებს და მაშინ... უკეთური, ბილწი, ბოროტი – აღზევდება და ყოველივე ქვენა გრძნობა ზემოთ უნდა ამოტივტივდეს, ისე, ვით იცის დიდმა მდინარემ ჭუჭყისა და სიბინძურის მოგდება თავის ზედაპირზე, დიდროობის ჟამს. თუმცა... დროთა ვითარებაში ამღვრეული წყალი კვლავ იწმინდება. ხომ ასეა, დეიდავ ჩემო?

დედოფალი მზეონა: – ასეა, შვილო! ოღონდ... დრო მართლაც უნდა ამას: დრო-ჟამი კი ხშირად დია-უფლის განჩინებით, შესაძლოა, უკუღმართად შემოტრიალდეს და მაშინ, ვაი იმას, ვინც მოჰყვება ამ მორევში!

დედოფალი ცისია: – მაგრამ ისიც ხომ ნათქვამია, წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!

დედოფალი მზეონა: – ესეც სწორია, შვილო ჩემო, მაგრამ... ვაი, თუ ქვიშიანად წალეკოს ირგვლივ ყველაფერი ღვართქაფმა-უცებ მოვარდნილმა ან ცბიერებამ, ვერაგობამ გაუხსნას ბჭენი ილიონისა სასტიკ მომხვდურებს! რამეთუ... წრფელად რომ გითხრათ ამ ორიოდე წლის წინ, აქ რომ ჩამოველ, სულ სხვანაირი განწყობა და სულისკვეთება იყო ტროაში, ერთსულოვნება და სიყვარული სუფევდა მაშინ! დღეს კი... ო, დია-ნანავ! რა სიძულვილი და მტრობაა ერთმანეთისა!... სასწაულია ესოდენი ფერისცვალება!

პატარა წყენას არ პატიობენ, დია, ერთმანეთს და სივდება და იბერება გული შხამით, ბალღამით და ბოღმიანობით და მცირედი ბიძგიც კმარა ალბათ იმისთვის, რომ გადმოსკდეს და გადმოპირქვავდეს ეს სიძულვილი!.. არა, აწინდელი ტროელები არ ჰგვანან ძველებს. მე ვეღარა ვცნობ ამ დიაცებს, – შეშლილსახიანთ და ყოყოჩა მამაკაცებს, თითქოს სხვა ტომის ნაშიერნი დამიხვდნენ აქა, – ორი წლის შემდეგ!

დედოფალი ცისია: – დიახმ ეს მართლაც ასე გახლავთ... სიძულვილი სათავეა ყოველგვარი ბოროტებისა. იგი ღვთისაგან განდგომას ნიშნავს ამავდროულად, მით უმეტეს სიძულვილი თანამოძმისა — საძრახისია და დასაგმობი!... რაიც აქა ვარ, ბევრი რამე უკეთ შევიცან და აღვიქვი, ბევრ რამეს სხვანაირი თვალით შევხედე და მაინც... როცა შენ სახლში გივარდებიან, მოძალადე უნდა გძულდეს და იბრძოლო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. დეიდა ჩემო, შენ რას იტყვი? სხვა გამოსავალს ხედავ რასმეს?

დედოფალი მზეონა: – მე ასე ვაზრობ, მხოლოდ ერთობით მოაღწია ტროამ აქამდე, ამას იქით... კი – სიმართლე რომ ვთქვა, აღარ ვიცი, რა მოხდება! ვით გადურჩება ილიონი გარეშე და შინაურ მტრობას!

დედოფალი ცისია: – სწორედ ამადაც, ამ საფრთხის გამო, შევიყარენით აქ სუყველანი. ჩემო ერთგულნო და მამაცნო თანამებრძოლნო! მოგიწვიეთ, რომ გაუწყოთ ჩემი განზრახვა... ვერ დავიჯერებ, რომ უკვდავმა ღვთაებებმა ხელი ააღეს ილიონს და მის მამაც შვილებს, რომ ერთმანეთის მტრობა გონს დაუბნელებს ამ ღვთივკურთხეულ ქვეყნის წულებს, აიაიას და მზის ნაშიერთ! რამეთუ: ზეცის ბინადრებმა უკეთ იციან, რისთვის და რატომ გააჩაღეს დანაელებმა ეს უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა! ღმერთებმა ისიც უკეთ უწყიან, რომ რითაც ძალგვიძს – ვეშველებით ტომით ნათესავთ, რომ გადარჩნენ და მიწის პირისგან არ აღიგავონ. მძლავრთა მიერ პატარა ქვეყნის დაჩაგვრა და განადგურება – არ ეგების, თუნდაც ტროელები ნათესავი არ იყოს ჩვენი! აი, მეც დედოფალს იათნანისა, დამიგდია ჩემი პატარა ქვეყანა და მხარში ვუდგევარ

თანამოძმეებს. მეფე პრიამოსმა და ჰეკუბა დედოფალმა არა ერთგზის შემომთავაზეს, გადავსულიყავ საცხოვრებლად მათ დიდებულ სრა-სასახლეში. მე-თქვენთან, ერთგულ მეგობრებთან. მოვისურვე: მოზიარე ვყოფილიყავ მათი ჭირის თუ ლხინის. უწყის, ჩვენმა ღია-უფალმა და თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ მე – ჩემი რიგით მებრძოლთა დარად ვიკვებები – არც მეტით და არც ნაკლებით, ვცხოვრობ ისევე, ვით დანარჩენნი!..

მაგრამ... უკვე მოვიდა ჟამი, როცა უნდა მოვიქცე ისე, მხოლოდ დედოფალს რომ შეშვენის! უნდა გადავდგა ის ნაბიჯი, მხოლოდ მე რომ უნდა გადავდგა და სხვამ – არავინ! ის ნაბიჯი, რაც მიმაჩნია ილიონის სასიკეთოდ! ეს ამავე დროს, ნაცვალგება იქნება ჩემი ძმობილის გამო (გაჩუმდება წამით).

– მაშ ასე, ჩემო თანამებრძოლნო. ჩემო ძვირფასო დობილებო და შენ ჩემო საყვარელო დეიდავ, გამზრდელო ჩემო, უდედურს დედის მაგიერობა რომ გამიწიე – უნდა გაუწყოთ სურვილი ჩემი: მე – იათნანის დედოფალი – ორთაბრძოლაში ვიწვევ აქილევს — ჩემი ძმობილის, ჰექტორის მკვლელს და ილიონელთა მტერს მოსისხლეს, აქილევსს, მირმიდონელთა უფლისწულს და დანაელთა მოკავშირეს! დე, იარაღმა გადაწყვიტოს ჩვენი ბედი თუ უბედობა ამ ცისქვეშეთში! (ყველანი წამოცვივდებიან):

– აქილევსსო!? აქილევს უნდა შეებრძოლო, დედოფალო?

დედოფალი მზეონა: – (შეძრწუნებული) – ყურმა ხომ არ მომატყუა, შვილო ცისია! ხომ არ მომესმა? ვის ვიწვევო, შემოგევლე? რა ბრძანე, დია?

დედოფალი ცისია: – (მშვიდად) – აქილევს ვიწვევ ორთაბრძოლაში“-მეთქი! –გასაგებად ვთქვი, მე მგონია. (სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდება, სახეზე ყველას გაოგნება ახატია. დედოფალი მზეონა თავზარდაცემული დგას. ამ დროს კარვის კალთას შემოგლეჯს კასანდრა და კივილით მივარდება ცისიას):

კასანდრა: – არ გაბედო, არ გაბედო, არ გაბედო, დედოფალო!

დედოფალი ცისია: – კასანდრავ? მეფის ასულო?

კასანდრა: – არ გაბედო-მეთქი, ცისია! (ტირილით ჩაეხვევა) – გესმის? შენ ხელი უნდა აიღო ამ განზრახულზე! გულშიც კი აღარ უნდა გაივლო მსგავსი რაიმე!.. შენ ხომ გჯერა, შენ ხომ მაინც გჯერა ჩემი? (გულამოსკვნით ქვითინებს და ეხვევა ცისიას. ცისიას წამიერი დაბნეულობა გაუვლის):

დედოფალი ცისია: – დაწყნარდი, გთხოვ, დამშვიდდე, ჩემო კასანდრავ!.. მოართვით ჩქარა სავარძელი მეფის ასულს... წყალიც. ცოტა მოსვი, გეთაყვანე. დაშოშმინდი, გთხოვ ძალიან.

კასანდრა: – არ დავწყნარდები, სანამ კარგად არ მომისმენ... ეს იცოდე, მე ვუწყი ყველაფერი, რაც განგიზრახავს. ვაიმე, ნეტამც არ ვიცოდე!

დედოფალი ცისია: – მეფის ასულო, რას მეზრახები?!

კასანდრა: – იცი შენ, რასაც გეზრახები!.. აქილევსთან შენი შებმა არამც და არამც არ ეგების. ეგ სიშლეგეა, გეუბნები, სიშლეგე მხოლოდ!

დედოფალი ცისია: (განცვიფრებით) – შენ... ვით გაიგე ჩემი განზრახვა? მე ესაა ახლა, ამ წუთას გავაცხადე ჩემი სურვილი. ჩემს მეტმა არვინ არაფერი იცოდა-მეთქი. ნუთუ... შენ?

კასანდრა: – დიახ, ჩემო დედოფალო!.. ამოვიცანი შენი გულისთქმა, ჯერ კიდევ... წუხელ! წინასწარ ვხედავ ყველაფერს-მეთქი, თუმცა მაინც ჩემი მისნობის არავის სჯერა! მე კი ვიცი უნდობლობის მიზეზ-სათავე, მაგრამ ამისათვის არ მოვსულვარ შენთან ამჟამად. შენთან პირისპირ მსურს საუბარი (ასისთავები წამოიშლებიან, გასასვლელისკენ გასწევენ).

დედოფალი ცისია: – დეიდა ჩემო, შენ აქ დარჩი! (კასანდრას) – დეიდაჩემთან მე არაფერი მაქვს დაფარული. (ცისია, მზეონა და კასანდრა მარტო რჩებიან).

კასანდრა: – მე ვიცი-მეთქი, წინასწარ ვცანი შენი განზრახვა. მოვედი, რათა დაგიშალო ეს საქციელი.

დედოფალი მზეონა: – სწორედ ახლა, შენს მოსვლამდე, კასანდრა შვილო, მეც პირველად მოვისმინე მისი სურვილი. თავზარი დაგვცა ამ ამბავმა. გევედრები, გემუდარები... ეგების მხოლოდ შენ დაგიჯეროს, ეგების ხელი ააღებინო ამ უგუნურ, შლეგურ სურვილზე (მზეონას ტირილი აუვარდება).

კასანდრა: – ვის გინდა შეებრძოლო, დედოფალო? ნუთუ... ამაზე არ გიფიქრია? ვის?! სისხლით უძღებ, ულმობელ ნადირს? ვის წინაშე ძრწოდა თვით ჩემი ღვთაებრივი მამაცი ძმაი? ნუთუ არ უწყი, რომ წინასწარ განწირულია ეს ორთაბრძოლა? რომ ვეღარა ძლევ მაგ შმაგ უფლისწულს მირმიდონელთა?! მე... ღმერთების ჩაგონებით, დედა-ღვთაება ნანას სურვილით, გიკრძალავ ამ შერკინებას!

დედოფალი ცისია: (ფიქრიანად) – მაშ, დია-ღმერთის ნება გახლავს, არ შევებრძოლო ლომგულ აქილევსს?

კასანდრა: – ჰო-მეთქი, ჰო, დედოფალო! უაზრობაა ეს ცისიავ, თვითმკლვლელობაა ეს! ღმერთები, დიდი ნანა-უზენაესი ჩვენი ღვათება, გიკრძალავენ ამ ნაბიჯის გადადგმას-მეთქი!

დედოფალი ცისია: – შენც ამას მირჩევ?.. მაშ, ვით მოვიქცე?

კასანდრა: – უნდა საჩქაროდ გაეცალო აქაურობას, წაიყვანე შენი მხედრებიც და დაბრუნდი იათნანაზე. დიდხანს იცოცხლებ, სვებედნი-

ერად. ოჰ, ცისია, დამიჯერე, გემუდარები!

დედოფალი მზეონა: – შვილო ცისიავ, ჩვენმა ქურუმთუხუცესმა შოუმაც აკი ეს დამაბარა, იათნანიდან რომ მოვდიოდი? დაბრუნდესო დაუყოვნებლივ იათნანაში! ოჰ, დია-ღმერთო!

დედოფალი ცისია: (კასანდრას მიმართავს, თითქოს არ გაუგონიაო დეიდის სიტყვები), ეგების მართლა ასე სჯობდეს... მაგრამ... ისიც ხომ შეიძლება, ღვთაების ნებით, ვძლიო აქილევსს? შური ვიძიო ჩემი ძვირფასი მეგობრის გამო?

კასანდრა: (ლამის კივის) – ჰექტორი მოკვდა! ჰექტორს ვერაფერს ვეღარ უშველი. ვეღარც ტროას ეშველება შენი სიკვდილით! ტყვილა-უბრალოდ ნუ გაწირავ შენ თავს, ცისია! გეხვეწები, გევედრები — გონს მოხვიდე!

დედოფალი მზეონა: – შვილო ცისია, ერთი წამითაც ვით გაივლე გონებაში, რომ მოერევი იმ ნადირს? მართალს გეუბნება... აქილევსთან პირისპირ შებმას გაურბიან თვით რჩეული ვაჟკაცები!.. აზრსმოკლებული შენი სიკვდილი არ შეიძლება სწადდეს ღმერთებს! კასანდრას პირით გაფრთხილებენ... მეც გევედრები შენი გამზრდელი: ნუ დაიობლებ შენიანებს. ნუ ჩაიდენ, მაპატიე, უგნურ საქციელს. ჩემო შვილო, შემოგევლე, მასხრად აგიგდებს დიდი და მცირე, შენიანი თუ გარეშენი – ეს სულელი ვინ ყოფილაო, აქილევს როგორ შეეტოქაო.

კასანდრა: – ჩემთვის ყური რომ დაეგდო ჩემს საყვარელ ძმას...

დედოფალი ცისია: – რაო, მერე? რა მოხდებოდა? აიცდენდა კი აქილევისის ხელისგან სიკვდილს?

კასანდრა: – დიახაც! გავაფრთხილე: არ სდიო-მეთქი დანაელებს გემებამდე. ნურც შეებმები აქილევსის მეგობარს, თვარა, შესაძლოა სძლიო პატროკლეს, მაგრამ ამით დანაელებზე განრისხებულ აქილევს ისევ შეარიგებ ჩვენს მტრებთან-მეთქი და აქილევსიც არ გაპატიებს მეგობრის მოკვლას არც შენ, არც არვის-მეთქი!

დედოფალი მზეონა: – მერე? რაო? არ გისმინა ეს ბრძნული რჩევა სვეუბედურმა?

კასანდრა: – არ მისმინა, არა-მეთქი! უფრო სწორად... გადაავიწყდა ალბათ ჩემი ნათქვამი ომის ჟინით გახელებულს. ან არადა, გათამამდა ისე ძლიერ დროებითი წარმატებით, გონივრული რჩევა და აზრი მისნობისა არრად ჩააგდო, თავბრუდახვეულს ალბათ შლეგურმა ჟინმა დარია ხელი, გზა აუბნია... ან არადა, ისე იმძლავრა მასში გრძნობამ ამპარტავნობის და სურვილმა მოურეველმა — დიდი სახელის მოხვეჭისა, რომ... (ჩუმდება)

დედოფალი მზეონა: – ამპარტავნობა — ეს საცთური ეშმაკისეულიკაცთა მოდგმის რჩეულ შვილებსაც კი გონებას ურევს ხოლმე, უხშობს გულისყურს და თვალებს უხვევს!

კასანდრა: (გულდაწყვეტით) – ჰოდა, მაცილმაც არ დააყოვნა, ჩასაფრებულმა ბოროტმა სულმა გზა უყელა და გააწბილა! შენც პირველობის ეს საცთური თუ გიღიტინებს, ჩემო ცისია, იცოდე, მწარედ მოსტყუვდები...

დედოფალი ცისია: – არ მესმის, რაზე მეზრახები, რა სახელიო? რა პირველობაო?

კასანდრა: – შენ ხომ იცი, გულით მიყვარხარ, გამორჩეულად პატივსა გცემ... ნუ გადუდგები ღმერთების ნება-სურვილს!

დედოფალი ცისია: – მადლობელი ვარ ამ კეთილი რჩევისათვის. მეც რომ მიყვარხარ, იცი ეს შენ, გამორჩეულად, მაგრამ... ერთი რამ ვერ გავიგე და გამარკვიე... თუკი ჰექტორს აქილევსის ხელიდან მოელოდა სიკვდილი მწარე, განგების ნებით და ღმერთების ნება-სურვილით, რა აზრი ჰქონდა მაშინ გონივრულად მოიქცეოდა ჰექტორი თუ უგუნურად? ბოლო ხომ მაინც ერთი იყო? ასევე მეც: თუ სიკვდილი მიწერია აქილევსისგან, რა აზრი აქვს, გავეცლები თუ შევეყრები?

კასანდრა: – აქვს, აქვს-მეთქი. თუ მოშორდები აქაურობას, უეჭველ სიკვდილს გადაურჩები.

დედოფალი ცისია: – ჰოო... შესაძლოა ასეც იყოს! და მაინც... რომ არ ძალმიძს განზრახვაზე ხელის აღება?

დედოფალი მზეონა: – რათა, შვილო? რა მიზეზია?

დედოფალი ცისია: – ჩემო ძვირფასნო! მე კაი ხანს ვფიქრობდი ამას და გადავწყვიტე: მე და ის მხეცი აქილევსი უნდა შევხვდეთ-თქო ერთი მეორეს. გთხოვ ძალიან, მშვენიერო ჩემო კასანდრავ, და შენც, ჩემო საყვარელო, სათნო დეიდავ, ნუღარ ვიუბნებთ ამაზე ახლა, სხვა რამეზე ვისაუბროთ...

დედოფალი მზეონა: – შენი ამგვარი სიჯიუტე რას ნიშნავს, შვილო? რის მაქნისია ეგ უაზრო თვითშეწირვა?

დედოფალი ცისია: – დეიდავ ჩემო, საყვარელო, თვითშეწირვა უაზრობა არასდროს გახლავს, მას სჩადიან გულის კარნახით და არა სხვათა ბრძანებით თუ ძალდატანებით. და მერე: აზრი ყოყველთვის აქვს სიმართლის დაცვას! აქ პირველობა რა შუაშია? ან სახელის მაძიებლობა?

დედოფალი მზეონა: – მერედა, ვისთანა ცდილობ სიმართლის დაცვას? იმ ურჩხულთან?

დედოფალი ცისია: – მე ჩუმი უნდა ვქნა-დანარჩენი უწყიან ღმერთთა! მათ განსაჯონ!

დედოფალი მზეონა: – თუკი სწორედ ეურჩები ცის ბინადართა ნება-

სურვილს? ნუთუ ძვაბრამ დაგიბნელა გონება ისე, რომ ვეღარ არჩევ-რა სჯობია პირადად შენთვის, შენი ქვეყნისთვის, ბოლოს და ბოლოს?

დედოფალი ცისია: – ეგების ეს გამოწვევა აღარც მიიღოს მირმიდონელმა? წინასწარ რისთვის ვტეხავთ განგაშს?

კასანდრა: – დედოფალო! უწყიან ღმერთთა, თუ როგორ მიყვარს მე ილიონი, ჩემი თვისტომნი, ჩემი ძმები, დები, მშობლები... მიყვარს ტროას უბრალო ქვაც კი... ეს სიყვარული ზღვარდაუდები, უბოლოო – მათევინებს გრძელ ღამეებს. გული მიკვნესის, სული შფოთავს, რამეთუ არ მსურს მიწის პირისგან აღიგავოს ჩემი ტროა, ასე გმირულად რომ უმკლავდება უთვალავ ურდოს. მიყვარს ამაყი, ჭირთამთმენი, სტუმართმოყვარე ჩემი ერი, მოლხინარი, მოცინარი, გულმოწყალე, შრომისმოყვარე... (ჩუმდება გულაჩუყებული).

დედოფალი ცისია: – მე კარგად მესმის შენი, კასანდრავ, მეც სიყვარულმა ჩამომიყვანა აქ, ილიონში!

კასანდრა: – არ ვიცი განა, ჩემო მშვენიერო დედოფალი, რომ შენც გიყვარს ტკივილებამდე აქაურობა, შენი ბავშვობა ხომ ილიონში გაატარე? შენთვისაც ვიცი, აქ ყოველივე მშობლიურია, მაგრამ.... ყოველი ჩვენგანი მამა-პაპათა ცოდო-ბრალს ვზიდავთ ჩვენი ზურგით, მერე ვუმატებთ საკუთრივ ჩვენსას და აგრერიგად დამძიმებულნი, შევჩივით მერე ცას და ქვეყანას, გვიკვირს და დიდად გაგკვირვებია ღმერთების რისხვა! აკი სიხარბემ და სისასტიკემ პაპიჩემისამ თურმე ტროელთა ბევრი სიცოცხლე შეიწირა. ახლა ჩემი ძმის პარისის უგულობა, ქარაფშუტობა გამხდარა დიდი ომის საბაბი, რამაც უამრავ რჩეულ ვაჟკაცს მზე დაუბნელა, ხოლო თავად ხომ ჩალად უღირს სხვათა სიცოცხლე, ოღონდაც თვითონ გაიხაროს და იპირველოს მთელს ილიონში, რადგან მაგ ბედშავს ასე ჰგონია, ჰექტორის შემდეგ ძალაუფლება მას უნდა დარჩეს. ჰელენოსიც ხომ სწორედ ამიტომ გადაბარგდა მტრის ბუნაგში და მშობლიური ქალაქის სამტროდ თავს არ ზოგავს ის ხანდამწვარი ჩემი ძამია.

დედოფალი მზეონა: – ამ უბადრუკებს ნუთუ აღარ მოეხსენებათ, რომ დანაელნი ტროელებს არ გაახარებენ? გამარჯვებულ მოძალადეს არა სჩვევია დამარცხებულის დანდობა და შეწყალება. დანაელთა მიზანი ხომ ილიონის მოსპობაა!

კასანდრა: – ვერა, ვერა, ეს ვერ შეუგნიათ, საშინელია წარმოდგენაც კი იმისა, რომ ჩვენ ხშირად ჩვენსავე მტერს ვეშველებით, რომ მტერი ჩვენი – ჩვენივე ხელით ბოლოს გვიღებს! შორს რად მივდივართ? აგერ ჩემი ორივე ძმა ხომ ცოცხალი მაგალითია ზემოთ თქმულისა! დედაჩემი კი, დედოფალი ჰეკუბა მაინც გადაფოფვრია კრუხივით პარისს, ხოლო მე კი-სიმართლის თქმისთვის – ამომიძულეს, გამრიყეს და ვეღარ მიტანენ, დამცინიან, ჩემს მისნობას მასხრად იგდებენ, შტერს და ჩურჩუტს მეძახიან. სრულ ჭკუაზე რომ იყოსო, ვით დაინუნა მისიმიელი უფლისწულიო, აპოლონის შესადარი სიბრძნით, გონებით, გარეგნულადო:

დედოფალი ცისია: – ჰო, დეიდავ, შენ ალბათ აღარ უწყი, რომ კასანდრამ უარი თქვა ცოლობაზე მისიმიელთა დიდებული უფლისწულისა!

დედოფალი მზეონა: – ჩემო კარგო, თქვენებური უფლისწულები ხომ ცოლს არ ირთავენ, არც თხოვდებიან — სიყვარულით.

კასანდრა: – დიახ, დიახ, განა არ ვიცი გარემოების და ვითარების მიხედვით რომ ქორწინდებიან მეფის წულები-აკი ერთობ ძვირად დაუჯდათ ილიონელებს პარისის ტრფობა წრესგადასული! ჰოდა, რაკიღა ანგარიში არ გავუწიე ამ მოსაზრებებს, მოღალატედ ჩამთვალონ ლამის. ის კი აღარ უწყიან, რომ მე აღარ ძალმიძს განშორება ჩემს ტროასთან, რომ ილიონი ძვირფასია და საყვარელი ჩემი სულისთვის, რომ ძვირფასია ჩვენი ენა, სიმღერები, ცეკვა-თამაში, ჩვენი წესი და ჩვეულება, – თუნდაც სხვათათვის მიმზიდველი არ იყოს იგი!

მე მსურს აქ დავრჩე სიკვდილამდე, ჩემიანებთან, მაგრამ... შენგან ჩემო ცისია, ამოდენა მსხვერპლის გაღება?.. არა, არ ძალმიძს ამის ატანა... თუმც ვაგლახ მე, ჩემო დღეო! ამას რას ვხედავ... (კასანდრა ტრანსში ვარდება... მერე გულწასული ეცემა ძირს. მზეონა და ცისია მისცვივდებიან, წყალს ასხურებენ, მოასულიერებენ. კასანდრა ყლუპ-ყლუპით სვამს წყალს და თან ბუტბუტებს: – მხოლოდ მცირე... მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩება, ვაიმე! – დუმილი ჩამოვარდება ერთ ხანს. კასანდრა თავს ასწევს, ვედრებით შეხედავს ცისიას)

კასანდრა: – ჩემო მშვენიერო დედოფალო! ღმერთების რისხვა გარდუვალია, ცოდვათა გამო ჩვენთა! (ყრუდ ქვითინებს, ცისია და მზეონა ეფერებიან, აწყნარებენ, შემდეგ დედოფალი ცისია ტაშს შემოჰკრავს. შემოდის მოახლე.

დედოფალი ცისია: – ნაია! მიხმე ახლავ მოკონას!

(კასანდრა ტირილს შეწყვეტს, შეშფოთებით და მოლოდინით შეაცქერდება დედოფალს, ხანაც სახეგაქვავებულ მზეონაზე გადააქვს მზერა. მზეონა დაძაბული მოლოდინით უყურებს დისწულს, შემოდის აბჯარასხმული ამორძალი),

მოკონა: – მე მიხმე, დედოფალო?

ცისია: – ჰო, მე დაგიძახე!.. დაუყოვნებლივ გაეშურე მირმიდონელთა ბანაკისაკენ, ეახელი მათ ბელადს და გადაეცი, რომ მე – ამორძალთა დედოფალი-პენთესილეა, დანაელნი თურმე ასე მეძახიან ჩემი შავი სამოსის გამო-ვიწვევ აქილევსს ორთაბრძოლაში ხვალ, გამთენიის ჟამს, დიდ მუხასთან. თუ არ ინება მობრძანება, ჩავთვლი, რომ იგი ლაჩარია.

გასწი, გეთაყვა! არ დაახანო! (კასანდრა და მზეონა გაქვავდებიან, სახეზე უზომო შიში აღებეჭდებათ).

დედოფალი ცისია: (ორივეს მიმართავს) – ჩემო კეთილნო, ნუ დამძრახავთ, ნურც შეშფოთდებით! მე მოვალე ვარ ასე მოვიქცე! ასე მკარნახობს ჩემი გული, გრძნობა, გონება. და იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, აქილევსი ჩემი ხელით გაიგმირება! ასეც არ მოხდეს-სულერთია, ბედისწერის განაჩენი ვერ შემაკრთობს, სიკვდილის შიშით ხელს ვერ ავიღებ ჩემს განზრახულზე, რამეთუ გრძნობა სიყვარულისა, ღირსების და მოვალეობის-არყოფნაზე უფრო მაღლა დგას! იგი უფრო ფასეულია, სიცოცხლეზე მეტად მიღირს და... მეძვირფასება!

მოქმედება II

სცენა II

(აქილევსის კარავი. ტაბლებს უსხედან: აქილევსი, ალკინოესი, ავტომედონტი, მერინოე, ოთომეოსი. სუფრას ემსახურებიან ქალები ბრისეისი და დიომედა. იქვე, შუაცეცხლზე ალკინოე ორკაპზე შამფურს ატრიალებს და დრო და დრო მწვადებს უმატებს სუფრას).

აქილევსი: – მოდით, მოყმენო, კიდევ ერთხელ მოვიხსენიოთ ჩვენგან უდროოდ წასულები, თესალიის მამაცნი შვილნი, ჩემი ძვირფასი პატროკლეს სული. არდავიწყება იყოს მათი. სანამ ჩვენ ვცოცხლობთ, ცოცხალია მათი სახელიც (თასს ცლის).

ყველანი ერთხმად: – ეგრე იყოს! (სვამენ),

აქილევსი: – ჩემო პატროკლევ, მეგობარო და ძმობილო, საიქიოში რომ განისვენებ საუკუნოდ: გწამდეს, რომ მარად გვემახსოვრები და შენს მტრებსაც არ გავახარებთ! (პაუზის შემდეგ), მოყმენო, ხომ ყველამ ვუწყით, ჩვენი მუდმივი სამკვიდრო რომ იქავეთია. ჩვენ, სააქაოს სტუმრები ვართ, წამიერად მოვლენილნი ღმერთების მიერ ამ სამზეოში. ამადაც ვართ ასე ალბათ დახარბებულნი მზეს და სინათლეს, სიყვარულს და სიამტკბილობას – ცვალებადს და განქარვებადს, ვითარცა გახლავთ სიცოცხლე ჩვენი და მაინც: მოდით დავლიოთ ჩვენი წამიერი, მაგრამ საამო საცხოვრისის სადღეგრძელო!

მეგობრები: – ეგრე იყოს!

– მზეს და სიცოცხლეს გაუმარჯოს!

– დღეგრძელი და მზეგრძელი ვიყოთ!

– ამ წუთისოფელს-მართლაც წამიერს, დე გაუმარჯოს!

ავთომედონტი: – მოყმენო, ჩვენო ძვირფასო უფლისწულო, სწორუ-

პოვარო გმირო აქილევსს! ნება მომეცით, შევსვა ფთიის სადღეგრძელო, საყვარელი ჩვენი ქალაქის, სადღეგრძელო თესალიისა, სახელოვანი ოდესღაც მხარის, აწ დამცრობილის, დაკნინებულის-მძლავრთა მიერ!

მეგობრები:

– ფთიას მშვიდობა და გამარჯვება!

– დიდება და გამარჯვება ჩვენს თესალიას!

– შინ მალე დაბრუნების იყოს აგრეთვე!

– პელაზგიას გაუმარჯოს, თავისუფლების

სულს დაუმცხრალს!

მერინოე: – გადამთიელნი მუდამ ცდილობდნენ წაეგლიჯათ ჩვენთვის მამული. დღესაც ამასვე იზრახვიან! რით ვერ ძღებიან ეს პირძაღლები! უკვე რამდენი მიწა-წყალი დაისაკუთრეს სხვათა და სხვათა!

ავთომედონტი: – საქმე ის არის, არ სჯერდებიან მიტაცებას სხვათა მამულის, სახელიც უნდათ მიითვისონ და ბევრი სხვა რამ! და თანაც როგორ დიდგულობენ!

ალკინოესი: – რატომ გიკვირს? გამარჯვებულს განა ქადილი არ სჩვევია? ეს ხომ ძველი წესი გახლავთ, არ ახალია!

ოთომესი: – შენ მართალს ამბობ, ხომ ხედავთ: უკვე პელაზგურად საუბარსაც ვერიდებით ურთიერთშორის – თურმე დანაელთ არ ეამებათ!

ავტომედონტი: – ჩემო ოთო, ირგვლივ ყველა ეგენია, რა უნდა ქნა? მათ ენაზე ჭიკჭიკს უნდა მიეჩვიო, სხვა გზა არ არის.

მერინოე: – დამარცხებულის თვისებაა ეგ, სამარცხვინო!

აქილევსი: – კმარა წუწუნი, ბოღმიანი გულის ვიშ-ვიში!.. ნოე, ძვირფასო, იმღერე რამე, გაგვახალისე შენებურად!

მერინოე: – მე ვიმღერო, როს აქილევსი ღვთაებრივი ტაბლას უზის?

აქილევსი: (დაიჭყანება) – რად გინდა ნოე, ეგეთური მიეთ-მოეთი!.. ხომ იცი, შენი სიმღერა რომ გულს ეფონება, თუმცა ურიგოდ არც მე ვმღერი!.. შენ სხვანაირად ახუჭუჭებ, სულის სიმებს მირხევს ხოლმე შენი ღუღუნი. დაიწყე, გთხოვ.. აკა ბანს მოგცემს, დონთო, მე და ოთო შეგეშველებით!

მერინოე: – რაკი ასე გსურთ, კი ბატონო! თუმც შესაძლოა, სევდაც მოგგვაროთ ჩემმა სიმღერამ – სიამის ნაცვლად!

აქილევსი: – იმღერე ისე, ვით გემღერება. აი, კითარაც (აწვდის თავის კითარას... მერინოე იწყებს სიმღერას, დანარჩენები უერთდებიან-გაბმული ბანის ფონზე. სიმღერა სევდიანია).

მერინოე: – ო, პელაზგიავ, პელაზგიავ, მამულო ჩემო!
იავარქმნილო, ხელყოფილო მტერთა ჩვენთაგან...
სისხლით და ცრემლით დაბანილო ჩვენო მთა-ბარო,

ყორანთა მიერ დაგლეჯილო ნაწილ-ნაწილად,
ო, პელაზგიავ, პელაზგიავ, მამულო ჩემო!
ო, პელაზგიავ, ჩემო სევდავ და სიხარულო,
მტრისგან ძლეულო, სულით მაინც გაუტეხელო,
შენს ამაყ შვილებს, პირმშვენიერთ, მამაცთ და ზვიადთ,
ძალუძთ ისევე აღადგინონ შენი დიდება.
ო, პელაზგიავ, პელაზგიავ, მამულო ჩემო!

(სიჩუმე ჩამოვარდება. მერე აქილევსი დგება, მიდის მერინოესთან და შუბლზე ჰკოცნის).

აქილევსი: – დიდებული სიმღერა იყო! თვალიდან ცრემლიც კი დამედინა... ჩვენი ქალები სადღა არიან?.. ახლა, მგონი, მათი ჯერია... როკვით, ნარნარით დაგვატკბონ და განგვიქარვონ ჭმუნვა და სევდა.

(ბრისეისი და დიომედა ცეკვავენ კითარის ხმაზე. აქილევსი და მისი მეგობრები, მერინოეს გარდა, ხალიჩაზე წამოწოლილნი, უყურებენ ქალების ცეკვას. უცებ ალკინოესი წამოიჭრება, ანიშნებს მერინოეს, ისიც ჰანგს ცვლის... ალკინოესი ჯერ ქალებს ეცეკვება ცერებზე შემდგარი, მერე ცალკე თავად იწყებს სოლო-ცეკვას, მას უერთდება ოთომესი, ორივენი თავდავიწყებით ცეკვავენ. უმთავრესია – ფეხების რიტმული მოძრაობა, ქართული ცეკვების დარად).

აქილევსი: (აღტაცებით) – აკა, ოთო! თქვენ გენაცვალეთ. მიდით, ბიჭებო, მიდით, ჭირიმე თქვენი. აი, ეს მესმის, ცეკვა ეს არის! (დაღლილ-დაქანცულნი ალკინოესი და ოთომესი ღიმილით უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს).

აქილევსი: – ჩვენს სიმღერებს და ცეკვებს განა შეედრება ამ ქვეყნად რამე?... დავლიოთ, ძმებო, სადღეგრძელო ამ ცეკვების და სიმღერების შემქმნელ ერისა!.. ყველაფრის წაგვრა შეუძლიათ ჩვენს მტერ-მოყვარეთ-ოღონდ ამ ცეკვებს და სიმღერებს ვერ წაგვართმევენ! ხომ ასეა, ჩემო მოყმენო? ჰოდა, რაკი მართალი ვარ, ბოლომდე უნდა დაილიოს ჩვენი თასები! (სვამენ), ესეც ასე! ასე მტერი დაგვეცალოს, აკა ძვირფასო! ახლა მოდი, შენებურად გამოაჯავრე იმ ძაღლთაპირებს. თუ ლხინია, მოდით ბარემ გულიანად მოვილხინოთ!

ალკინოესი: – ნება შენია!.. (დგება და იწყებს მონოლოგს, შეცვლილი ბოხი ხმითა და თვალების ბრიალით აგამემნონს აჯავრებს): –„ყველაზე მეტად შენ მძულხარ, აქილევსო, ბელადთა შორის, შენ მხოლოდ სისხლისღვრა გატკბობს, თუმც ძალა გამკობს, ეგეც ღვთისგან მოგნიჭებია, შენი გემებით გამეცალე. მხედრობას შენსას – მირმიდონელთა ტომს უმეფე. არად მიღირხარ, რა ბედენაა რისხვა შენი!“ (აქილევსი და მისი მეგობრები იცინიან).

აქილევსი: – მზის მადლმა, ზუსტი აგამემნონია ხმით და სახითაც. აბა, კიდევ, შენებურად გამოაჯავრე!...

ალკინოესი: – „ო, პოტევსის ძევ! ღვთაებრივი მეფის მემკვიდრევ, შენც ოდისევს, ვერაგული ნიჭითა და ხრიკით სავსეო, ნეტავ ვიცოდე, რას ელით და რას იმალებით! უპირველესად თქვენ შეგფერით გაიზიაროთ მეწინავეთა ხვედრი-ფიცხელ ბრძოლაში ჩაბმა, თქვენ კი – პირველნი მობრძანდებით ხოლმე ნადიმზე, რომ არგიველთა უხუცესთა წვეულებაზე გეამებათ ხოლმე შებრაწული ხორცის ნაჭერი, ღვინით შექცევა, – გულს რამდენიც გაუხარდება, აქ კი – უყურებთ სეირს ყველა, თუნდა დანაელთ ათი ფალანგი თქვენზე ადრე მტერს შეერკინოს“ (ყველანი იცინიან).

ავთომედონტი: – შეხედეთ ერთი! ეგ პურაძვირა აგამემნონი შებრაწული ხორცის ნაჭერს და ღვინოსაც რომ ამადლის სტუმრებს!

ალკინოესი: – „ო, აგამემნონ, ეგ რა სიტყვა დაცდა შენს ბაგეს? რა ულმობელი? სჯობს ჯაბანთა ჯარს თავკაცობდე, ვიდრე შენ გვყავდე მეთაურად... ვინ ფლობს კვერთხს, ვის ჰყავს ჯარი ამდენი, აურაცხელი, რამდენიც შენ, თემისთაო არგიველთ ტომის? შენს აზრს ვუარყოფ და იმ სიტყვას, რასაც შენ ამბობ!“ (ყველანი იცინიან კვლავ, განსაკუთრებით ხმამაღლა – აქილევსი).

აქილევსი: – დია-ღმერთო! თვალს თუ დახუჭავ-ის გაქნილი მელაკუდა ოდისევსი წარმოგიდგება იმ წუთშივე! ალი-კვალია აკა მისი — სხეულის რხევით, სახის იერით. ხმას ხომ-ნუ იტყვი!..

ავთომედონტი: – აგამემნონი? (იგუდება სიცილით), აგამემნონი ნაკლებია?

აქილევსი: – აგამენონი ხომ არის და არის! ოჰ, როგორ მძულს ეგ ძაღლთაპირი, მაგრამ უფრო საძულველია ის ვითომ ბრძენი ოდისევსი, ჭკუაულევი ითაკელი, თავის გულში ერთს რომ მალავს, ხოლო ბაგითმეორეს ამბობს.

ავთომედონტი: – ცბიერებით და ვერაგობით განთქმულია მათი ჯილაგი!

ალკინოესი: – სიხარბით და ქვაწვიობითაც. წარმოდგენილი ხომ გაქვთ, გული როგორ ეკუმშებოდა აგამემნოს და ხელები უკანკალებდა, როს მოსაკითხს უგზავნიდა ჩვენს აქილევს, რისხვით ანთებულს.

ოთომესი: – იძულებული გახდა, თორემ რა შვილია, ეგ საჩუქრებს მიართმევს ვინმეს.

მერინოე: – იცით, ძმებო, რა მაკვირვებს? როგორა სძულთ ერთმანეთი, ვით ვერ იტანენ ერთი მეორეს და მაინც... ერთად რომ არიან!

ავთომედონტი: – საქმეც ეგაა! მიზნისთვის ერთად დგომა რომ შეუძლიათ, განსხვავებით ჩვენ თვისტომთაგან!

მერინოე: – ჩვენს მოდგმას, როგორც გამიგია, ეს სენი მოსდგამს მითაჟამიდან!.. პელაზგია ხომ ხშირად მისი შვილების შურს და მტრობას დაუქცევია... ერთი პირი რომ გვქონოდაო-ვერც ვერავინ გვავნებდა რასმეს, ვერც ვერავინ მოგვერეოდაო. მოსისხლეობამ ერთმანეთისა, შუღლმა და ქიშპმა მოგვიყვანაო ამ ყოფამდე – ასე იტყვიან ჩვენი ძველები. და მეც ასე მიმაჩნია!

ალკინოესი: – ასეც არის. ლარი და ხაზი არ უნდა ამას! და ამიტომაც ვისჯებით თურმე უზენაესი ღვთაებისაგან – დიდი ნანასგან! (შემოდის აქილევსის მეაბჯრე).

აქილევსის მეაბჯრე: – უფლისწულო, ღვთის სადარო აქილევსო! სახელოვანო ჩვენო მოყმენო, მაცნე გეახლათ ილიონიდან, შენთან შეხვედრას ითხოვს მორბედი ამორძალთა დედოფალისა! (აქილევსი წელში გასწორდება) –

აქილევსი: –ამორძალთა დედოფალიო? პენთესილეას მორბედია?

ავთომედონტი: – საკვირველია. შაოსან დიაცს, ასე რომ გლოვობს თავის ნათესავს, რა გულისთქმამ უკარნახა აქილევსთან გამოგზავნა მოციქულისა?

მერინოე: – ამბობენ, მზეს ამომავალს ედრებაო პენთესილეა, – ამორძალთა დედოფალი! მშვენიერებით თურმე ტოლს არ უდებს თვით ელენესაც, მაგ რჯულწაწყმედილს!

ალკინოესი: – ამასთან, იგი გულადიც გახლავთ მეტისმეტად, ვით საზოგადოდ ამორძალები!

ოთომესი: – დიაცი მაინც დიაცია, ამორძალიც რომ იყოს იგი!

აქილევსი: – უთხარი მორბედს, შემობრძანდეს. დედოფლის მაცნეს ხამს პატივით შევეგებოთ (შემოდის ამორძალი მოკონა. ოდნავი თავის დახრით ესალმება ფეხზე წამომდგარ მოყმეებს).

მოკონა: – უპირველესად შენ მოგიკითხავ, ლომგულო გმირო აქილევსო, ჩემი დედოფლის, ამორძალთა სახელოვანი წინამძღოლის – ცისიას ნებით. შემდეგ დანარჩენთ! (აქილევსი და მისი მეგობრები ასევე თავდახრით ესალმებიან მორბედს) – ხოლო შემდგომ უნდა გაუწყო ჩემი დედოფლის დანაბარები...

აქილევსი: – (ღიმილით შეაწყვეტინებს) – თუ შენი დედოფალი შენნაირი მშვენიერია...

მოკონა: (მკაცრი ხმით) – სწორუპოვარო აქილევსო, ჩვენი ღვთისდარი დედოფალი ბრძოლაში გიწვევს ხვალ-უთენია, სისხამ დილით, მუხის ძირას, სკაიას ბჭესთან!

ყველანი ერთხმად:–ე-ახ!(ერთმანეთსგანცვიფრებითგადახედავენ).

ავთომედონტი: – რა ორთაბრძოლაშიო? თავი ხომ არ მოსძულებია

შენს დედოფალს, ამორძალო?

ალკინოესი: – ქალის რკინება აქილევსთან-თუნდაც ამორძალი იყოს იგი, თუნდ დედოფალი? დია-ნანავ! რას არ გაიგებს კაცის ყური!

მოკონა: – ამორძალებთან ბრძოლა ჰერაკლეს, არც არგიველთა უძლეველ გმირს თეზევს უთაკილია! ჰოდა, ალბათ აქილევსიც უარს არ ჰყოფს ამ შეტოქებას. და თუ... მაინც უარზე დადგა, მაშინ...

აქილევსი: – რაო მაშინ? რა მოხდებაო?

მოკონა: – თუ უარს იტყვის, მაშინ ორთავ მხარეს გაუჩნდება ეჭვი, უთუოდ... ნუთუ მართლა ეგოდენი უძლეველია მირმიდონელთა წინამძღოლიო? როგორც ამბობენ... მავანნიო!

ყველანი: – როგორ ბედავს?
– რა თავხედი ვინმე ყოფილა! ხედავ?
– ამ უმწიფარ ღლაპს დამიხედეთ!
– სინდისისაგან გარეცხილი ურცხვი დიაცი!

აქილევსი: – გთხოვთ დაწყნარდეთ, ჩემო მოყმენო! ნუ გულფიცხობთ! (შემდეგ მიუბრუნდება მორბედს და შემპარავი ხმით) – მე საქმესა ვიქმ იმისთანას, რომ გადასწვდეს შთამომავლობას სახელი ჩემი, როგორც მახსოვს, სწორედ ამგვარად ბაქიბუქობდა ღვთაებრივი თქვენი ჰექტორი, ჩემს მოკვდინებას რომ გულისხმობდა უეჭველად. რაც მიიღო გმირმა ჰექტორმა – უწყის სუყველამ1 ამორძალთა დედოფალსაც ხომ არ გაუჩნდა გულში ჭია განდიდებისა? ხომ არ სურს მასაც გაიზიაროს ხვედრი თავის ნათესავისა?

მოკონა: – ვერაფერს გეტყვით, სახელოვანო უფლისწულო, ამის შესახებ!

ალკინოესი: – მე ასე ვაზრობ, უფლისწულო! არასდიდებით არ მართებს თავი გაუყადროს აქილევსმა სულელ დედოფალს, ჯერაც რძე რომ არ შეშრობია ბაგე-პირზე!

ავთომედონტი: – ამორძალთაგან საკვირველი არ უნდა იყოს არაფერი! ეგენი ხომ კაცთა მიმართ სიძულვილით განირჩევიან ყველასაგან!

აქილევსი: – (ავთომედონტს ბეჭზე ხელს დაარტყამს) – ჩვენზე უფრო?.. დაიოკე გულისწყრომა, ჩემო დონთო, თქვენც მეგობრებო! (მაცნეს მიუბრუნდება ხაზგასმული თავაზიანობით) – მშვენიერო ამორძალო... უკაცრავად, სახელი შენი?

მოკონა: – მოკონა მქვია მე, უფლისწულო!

აქილევსი: – მოკონა? (წამით ჩაფიქრდება) – ჰოო, მოკონა, მშვენიერო ამორძალო! გადაეცი შენს დედოფალს, რომ მე მზადა ვარ ხვალვე, დილით, სკიას ბჭესთან გამოვცხადდე... დანარჩენი... მერე ვნახოთ!

მოქმედება III

სცენა IV

ორთაბრძოლა

(სხვადასხვა მხრიდან სცენაზე შემოდიან დედოფალი ცისია და აქილევსი. დიალოგის დროს ისინი გარშემო უვლიან ერთმანეთს და თან კენწლაობენ დრო და დრო).

აქილევსი: – სალამს მოგიძღვნი, დედოფალო!.. რაკიღა მიხმე, მეც გეახელი! თუმცა რომ ვთქვა გულახდილად, დიდი სურვილი არ მქონია აქ მოსვლისა... (შეჩერდება).

დედოფალი ცისია: – მადლობელი ვარ, რომ მობრძანდი! და მაინც... ველარ ვიკავებ თავს კითხვისაგან: რა მიზეზია შენი ეგზომ უსურვილობის? ის ხომ არა, თუმც ამორძალი, მაგრამ მაინც დიაცი რომ გიწვევს ჩხუბში?

აქილევსი: – არც უმისობაა, დედოფალო! მაგრამ მთავარი მაინც სხვაა...

დედოფალი ცისია: – გაუმხელელი საიდუმლოა?

აქილევსი: – ო, არა, დედოფალო! მთავარი შენი სილამაზეა, ეგზომ ქებული. თუმც სამწუხაროდ, ზუჩი ფარავს სახის მშვენებას...

დედოფალი ცისია: – მე კი მგონია, უკადრისობ ჩემთან შეხვედრას, ვით მეომართან. ან ეგების...

აქილევსი: – ამ დავა-პაექრობას ეგების მართლა სჯობდეს ზუჩი აიწიო... აკი წეღან მოგახსენე, დიდად აქებენ არა მხოლოდ შენს სიმამაცეს, მზის დარიაო ღვთაება მზის შთამომავალი, — იათნანელი დედოფალი! მინდა ამაში თავად დავრწმუნდე! – ხომ ნათქვამია ძველების მიერ – ნახვა სჯობია ქებასაო.

დედოფალი ცისია: – სახელოვანო, ლომგულო მოყმევ! ჩემი რჩევა იქნებოდა – დაივიწყო შენს წინ ვინა დგას – მამრი თუ მდედრი, ლამაზი თუ უსახური. რადგან ბრძოლის დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვის წარმოადგენ. ჩვენი, ძველი პელაზგური წეს-ჩვეულებით, ეს ასე გახლავს!

აქილევსი: (იღიმება) – მომიტევე დედოფალო, თუმც მამრულად აღჭურვილხარ და სამოსიც მეომრის გშვენის, ისიც ვიცი, რომ გულადი მებრძოლები ხართ ამორძალნი, და მაინც უნდა გამოგიტყდე, აღარ ძალმიძს დავივიწყო, რომ... დიაცი ბრძანდები, დიაცი კი – პელაზგური ჩვეულებითაც – ალერსისათვის, მამრის სარეცლის მოზიარედ და

შვილების გასაჩენად მოუვლენია ამ სამზეოში არსთა გამრიგეს. ჰოდა, ვფიქრობ, ეგების მართლა ღირდა ეს შეხვედრა! შენ რას იტყვი, მშვენიერო დედოფალო, ამის შესახებ?

დედოფალი ცისია: – უფლისწულო, თუმც დიაცთა გულთამპყრობელის სახელი გაქვს გავარდნილი მთელს ცისქვეშეთში, უნდა გულწრფელად მოგახსენო – ვერ დაიკვეხნი თურმე დიდი გონიერებით, გამჭრიახობით – რაკიღა ყველას ერთნაირი საზომით ზომავ.

აქილევსი: – (ისევ იცინის) – მადლობელი ვარ გულწრფელობისთვის, ტყუილებსა და ცბიერებაში გაწაფული ქალებისათვის მართლაც დიდი ღირსება გახლავთ გულწრფელობა. მეც გულახდილად რომ მოგახსენო, უფრო იმისთვის გეახელი, რომ შენთვის, ამორძალთა დედოფლისათვის მერჩია, ბარემ ჩვენს მხარეს გადმოსულიყავ!.. აკი ზოგი ტროელი უფლისწულიც არ თაკილობს ამგვარ საქციელს. შენ მით უფრო, არ დაგაბრკოლებს ტროელობა. ჰოდა, მერე ეგებ კავშირიც კი შეგვეკრა საქორწინო? ხომ ხედავ, ზუჩის გარეშე რომ გეახელი, რათა კარგად ამწონ-დამწონო. ვინ იცის, ეგებ თვალში მოუვიდე-მეთქი.

დედოფალი ცისია: (გაგულისებით) – ყველაფრის გარდა, შენ თავხედიც ბრძანებულხარ, მირმიდონელო! დედოფალთან ლაზღანდარობას მწარედ ინანებ! (შუბს ესვრის, აქილევსი ასწრებს ფარის დახვედრას).

აქილევსი: – ვერაფრს იტყვი... ერთობ მარჯვედ ნასროლი იყო, დედოფალო!

დედოფალი ცისია: – მესროლე შენც, თუ ვაჟაკცი ხარ!

აქილევსი: – სახელოვანი ამორძალი თუმცა ბრძანდები და თანაც დედოფალი – აკი წეღანაც მოგახსენე – მე დიაცთან არ ვაპირებ შერკინებას-თქო. ჩემი პირობა შემოგთავაზე – შენ უტიფრობად და უზრდელობად ჩამითვალე. მზად ვარ შენიც მოვისმინო – ვიდრე მესროდე ხელმეორედ!

დედოფალი ცისია: – კეთილი და პატიოსანი. მაშ, მომისმინე, ლომგულო გმირო, მირმიდონელთა უფლისწულო: ეგების კმარა ამოდენა ხოცვა-ჟლეტა? იკმარო იქნებ უებრო გმირის, მამულისათვის თავდადებული ჰექტორის მოკვლაც? დაიცხრო იქნებ შურისძიება და გაბრუნდე ილიონის კედლებიდან და შენს სამშობლოს მიაშურო? ეგებ თავად დანაელებმა შესძლონ პელაზგთა დამარცხება — პელაზგთა მოდგმის დაუხმარებლად? ხოლო სახელის მოსახვეჭად ეგებ სხვაგან მოიძიო სარბიელი? ეგების ისიც გაიხსენო, რომ შენს წინაპართ მიუძღვით წვლილი ტროის კედლების აშენებაში? მის დაქცევაში მაინცდამაინც ნუ დაიდებ წილს!

აქილევსი: – მე დანაელთა მოკავშირე ვარ! მირმიდონელთ კი არ

სჩვევიათ სიტყვის გატეხა!

დედოფალი ცისია: (თავისთვის) – „საცა სამართალია, შენ ტროელთა მხარეს უნდა იყო და არა ტროის დამპყრობელთა“!..

ეგზომ ძლიერ ნუ გამოიდებ თავს, უფლისწულო, იმათთვის, ამ მონდომების დაფასება რომ აღარ ძალუძთ, თუმც უშენოდ აღარ ვარგანან! სიკვდილის შემდეგ მაინც გათრევენ, ლაფში გაგსვრიან... ხოლო შენც რომ მოკვდავი ხარ, ეგ თავად იცი, თუმც ღმერთქალის შვილად გრაცხავენ!.. რა დღეს, რა ხვალე სათითაოდ გავუდგებით გზას მიმავალს სასულეთისკენ! ჰოდა, ეგების სჯობდეს მოვკვდეთ ღირსეულად, ვიდრე ვემონოთ გადამთიელებს!

აქილევსი: – როგორც ვატყობ, ენაც გიჭრის, დედოფალო, თანაც შენგან მოძულებულ დანაელთა ენას ხმარობ ეგზომ ფხიანად.

დედოფალი ცისია: – შენ კი... როგორც ჩანს, პელაზგთა ენას აღარ კადრულობ!.. თუ... დაგავიწყეს?

აქილევსი: – შენ დარდი ნუ გაქვს. არავის ძალუძს ძე-ხორციელს, გადამავიწყოს მშობლიური ჩემი ენა. ხოლო დიაცს, თუნდ ბრძოლებში გაკაჟებულს, თუნდაც დედოფალს მართებს — მამრთან მეტი კრძალვა და მორიდება!

დედოფალი ცისია: – ნუთუ მართლა?!. სიმართლე და ჭეშმარიტება ყველასათვის ერთი გახლავთ, მამრი იყოს, თუ გინდ მდედრი! მით უმეტეს, პელაზგთა მოდგმას, დიდი ნანას მსასოებელთ, არ სჩვევია გონებრივი განსხვავება სქესის მიხედვით. როცა მამრებმა დაარღვიეს დიდი ნანას წეს-განჩინება-თანასწორობა ორივე სქესის, როცა ინდომეს დაჩაგვრა და დამონება დიაცებისა – თავისუფლების და ღირსების შელახვისათვის იათნანიდან გააძევეს ყველა მამრი. მას მერე კი ეს კუნძული ქალებს ეკუთვნით და აქამომდე იცავენ კიდეც სამართალს და ნებას – ღვთისას!

აქილევსი: – დავა არ მსურს, დედოფალო!... თუმც... სამართალი როგორ ეთქმის მხოლოდ დიაცთა ბატონობას?.. ან ღვთაების განჩინება მხოლოდ ცალმხრივად ვით აღიქმების? საყოველთაოდ მიღებული ზნე-ჩვეულების ხომ დარღვევაა ცალუღელად დარჩენილთა – სამართალი?.. ესეც არ იყოს, ძალიან თავს კი ნუ გამოიდებ შენი ქალობით! განა დიაცმა, კოლხმა მედეამ არ გაწირა თვისიანები? და თუმც ერთი წარმოშობის, მაინც უცხოელთ ხომ შეეკრა? განა დიაცმა არიადნემ, კოლხი მედეას მამიდაშვილმა, არ გაუწოდა ხელი კრეტის მტერს და მოძულეს, ლაბირინთიდან თავი როგორმე რომ დაეღწია? ეს საქციელი აკი შემდგომ ძვირად დაუჯდათ კრეტელ პელაზგებს?

დედოფალი ცისია: – ორივეს ხვედრი შესაფერისი მიუზღო კიდეც

უზენაესმა ჩვენმა ღვთაებამ. არვის შერჩება – თუნდ უნებლიე – საკუთარი ქვეყნის ღალატი! ხოლო სიავეს მამრთა მიერ ჩადენილებს თუ ჩამოვთვლით, თვეები და წელიწადიც აღარ გვეყოფა! შორს სად მივდივართ? ერთი მათგანი აგერა დგას ჩემს პირისპირ და... მელიზღება!..

აქილევსი: – მე საწყენად არ მითქვამს შენთვის...

დედოფალი ცისია: – მნიშვნელობა აქვს განა პირად ჩემს წყენინებას?.. ჩემთვის მთავარი ტროა გახლავს – მისი ყოფნა თუ არ ყოფნა! ეს შავი სამოსელიც არ ჩამიცვამს მხოლოდ გმირი ჰექტორის გამო! თითოეული დაღუპული ილიონელი ჩემთვის მეტად ძვირფასია, რამეთუ ტროას თავისუფლებას ეწირება!

აქილევსი: – ჩემგანაც ხომ არ ელოდები, დედოფალო, ამგვარ გლოვას და ცრემლთა დენას?

დედოფალი ცისია: – ცრემლთა დენისთვის, როგორც შენ ბრძანებ, საჭიროა მოწყალე გული!

აქილევსი: – რაიც მე აღარ გამაჩნია. ხომ ასეა, პეთესილეავ?

დედოფალი ცისია: – თუმც შენზე ითქვა, იგლოვაო დიდად თვისი მეგობარი, – მე არა მჯერა კაცს უგულოს — სიყვარული შეეძლოს სხვისი, თუნდ მეგობრის. ალბათ იგლოვე, რათა ეთქვათ...

აქილევსი: – რისთვის გაჩუმდი, დედოფალო?.. რათა ეთქვათ, ნახეთ, უყურეთ, რა ერთგულება შესძლებია ამ ქვისგულა აქილევსაცო. შესაძლოა ასეც იყოს! ალბათ ასევე მოსაჩვენებლად გავატანე ჰექტორის გვამი მოხუც პრიამოსს!

მე მგონი, ჩვენ ამ კამათით ტყვილა დროს ვკარგავთ. ჩემი ღრმა რწმენით, რაკიღა ტროას ვეღარ უშველი და არც არიან ისინი ღირსნი შენი შველისა და თანადგომისა, ეგების ღირდეს, რომ დაფიქრდე იმ პირობაზე, რაიც წეღან შემოგთავაზე?

დედოფალი ცისია: - ტროელთა ეგზომ აგდებულად მოხსენიება არა ხამს შენგან, გმირო აქილევსს. შენ თავად ხედავ, აგერ უკვე რა ხანია უმკლავდებიან ტროელები ურიცხვ ძალებს გადამთიელთა. იხოცებიან, მაგრამ აღარ ნებდებიან, ფარ-ხმალს არ ჰყრიან და არც მომხვდურებს ტოლს არ უდებენ არაფერში – თითო-ოროლა მოღალატეს თუ არ ჩავთვლით! ეს საშინელი ომი აკი წამოიწყეს დანაელებმა, შენც კარგად უწყი, არა ნამუსის მოსაწმენდელად ელენესათვის, ანდა მენელაოსისათვის – ზღვისპირეთის ამ მძლავრი ბურჯის და ჩამკეტის ხელში ჩაგდებით – მათ გზა ეხსნებათ მთელ ამ მხარეში - კავკასიონის ქედებამდე, სადაც მრავალი ჩვენი ტომი განსახლებულა – მდიდარი და ოქრომრავალი კოლხეთის ჩათვლით! და ამასთან, თუ მივუმატებთ ილიონელთა ურიცხვ განძეულს... ეს ხომ ომია ნადავლისთვის... და მიწისათვის!

აქილევსი: – უეჭველია, ყველა ომს აქვს მიზეზ-საბაბი. ეს ასე იყო დასაბამიდან, ასეა ახლაც და იქნება ალბათ ასე მომავალშიაც!

დედოფალი ცისია: – ო, რა თქმა უნდა, ეს ასეა! მართალს ბრძანებ!... პელაზგთ ნაშიერთ რომ შესძლებოდათ პირის შეკვრა დანაელთაებრ... მაგრამ ვაგლახ! მუხის არ იყოს, მისი წამქცევი ისევ მისი ჯიშის ცულია!

აქილევსი: – ეგებ სჯობია, ასე დამოძღვრო ილიონელთა უფლისწულნი? განსაკუთრებით სწორუპოვარი, „ბრძენი“ პარისი, ვის გამოც ტროა იღუპება.

დედოფალი ცისია: – რა ხვითოც არის სვეუბედური უფლისწული – პარისი უწყის სუყველამ! მაგრამ შენ აბა, სათქმელი რა გაქვს? აი, გიყურებ წარმოსადეგს, ბრგეს და ახოვანს: გათამამებულს წარმატებით, და თვითდაჯერებულს ესოდენ დიდად! გიყურებ და... მიკვდება გული. ვინა ხარ შენ სინამდვილეში? არც პელაზგი ხარ, არც დანაელი! არც კაცი თითქოს, აღარც ნადირი! სახელოვანი აქილევსი! ჰმ! მერედა, რით მოიხვეჭე სახელი დიდი? კაცთა ჟლეტით, დაბა-ქალაქთა აოხრებით, იმით, რომ ხოცავ განუკითხავად დიდს თუ პატარას, გაურკვეველად – ბრალეულის თუ უბრალოსი!.. ან ეგების თავი მოგაქვს უკვდავ ღმერთებთან ნათესაობით? სინამდვილეში, რითი სჯობიხარ იმ ბედოვლათ, შარახვეტია ტროელ პარისს? ან სხვა ვინმეს, „გამორჩეულს“ თავის სახელით?.. შენც ხომ ერთი პაწაწინა ქაფი ხარ მხოლოდ ზღვის ტალღისა, მსწრაფლ მსხვრევადის? უფრო სწორად, სვავი ბრძანდები. სვავს კი როდი ეკითხებიან, სვავი რათ ხარო. სისხლი სწყურია და იმადაც არის სვავი დაუნდობელი!

აქილევსი: - დედოფალო!

დედოფალი ცისია: – დიახ, გახლავარ დედოფალი და მრცხვენის დიდად, რომ მეც ვეკუთვნი სისხლმოწყურებულ ჯიშსა და ჯილაგს-კაცთა მოდგმას რომ ეძახიან! ეგების კმარა! ეგების გვეყოს ხოცვა-ჟლეტა ურთიერთისა: – ეს უჯიშობა – მხეცთა სადარი! თუმცა, ვთხოვ პატიებას ტყის ბინადართ – შეურაცყოფისთვის!

აქილევსი: – არ მიკადრებია მე შენთვის, დედოფალო...

დედოფალი ცისია: (აწყვეტინებს) – რა, რა უნდა მკადრო იმაზე მეტი, რასაც სჩადიხარ? არ მითხრა ახლა — დანაელთა სიყვარულით გული გეწვოდეს! ლაჩარი ხარ, სხვა არაფერი! გეშინია არგიველების და ამადაც იბრძვი ასე თავგამოდებით. გეშინია, არ შეგატყონ სიმხდალე და სულმოკლეობა!

აქილევსი: – დიაცო! ენა დაიმოკლე, ერთობ გრძელი და შხამიანი რომ აღმოგაჩნდა! საზღვარი აქვს ჩემს მოთმინებას!

დედოფალი ცისია: – ნუღარ ითმენ! რათ ითმენ ნეტა? სიმართლე, ჩანს, გემწვავა და კუდი მოგეწვა! აი, ბურთი და სარბიელი!.. შენ არ იყავი, კუნძულ სკიროსზე რომ დაიმალე, დიაცურად გადაცმული?

აქილევსი: – ეგ სიცრუეა!

დედოფალი ცისია: – ჰო, რა თქმა უნდა! დანაელებმა მოგიგონეს, შენთვის სახელის გასატეხად!.. ერთობ კარგად მოირგოო ქალის სამოსი, მოხდენილადო! რას გეძახოდნენ სკიროსელები? ყელკისერაო, განა არა?

აქილევსი: – ეგ სიცრუეა-მეთქი, დედაკაცო, მონაჭორია!

დედოფალი ცისია: – თუმც ყელმოღერებით დარონინებდი, ქალის ტალავარს არ შეუშლია თურმე ხელი, რომ შეგეცდინა დიადემა — ასული შენი მასპინძლისა და გაგეჩინა მასთან ბუში, რომელიც ალბათ გააგრძელებს შენს გზას სისხლიანს! ნუთუ არ გახსოვს, კისერზე ლამის თოკშებმული წამოგიყვანეს დანაელებმა, ხრიკებსა და ვერაგობაში ტოლი რომ არ ჰყავთ – შენ, დიაცებთან დროს ტარებით, ღვინის სმითა და არხეინობით-სახელგანთქმულო, მამაცო მამრო! და რაკიღა არგიველებთან ვერაფერს გახდი, ახლა უბრალო ტროელებზე იყრი გულის ჯავრს! ფუჰ, შენს კაცობას!

აქილევსი: – ეს უკვე მართლაც მეტისმეტია! ამის ატანა აღარ ძალმიძს! (იწყება ორთაბრძოლა. ქონგურებზე გადმომდგარი არიან ტროელები და ამორძალები. მათ შორისაა წამყვანი ქალი).

წამყვანი ქალი: – ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმიან შვილნი მზე-ღვთებისა, აიას მოდგმის – რჩეული მდედრი და რჩეული მამაკაცი. აი, უზუჩო, უმუზარადო, მარტო ფარით აფარებული იბრძვის ვაჟკაცი გაცეცხლებული, ო, ეს ფარი! სახელგანთქმული, საოცრება, თვალისმომჭრელი! დედამისმა თეტიდამ ხომ საგანგებოდ მიუძღვნა იგი თავის პირმშოს, ჰეფესტოს მიერ ნაჭედი და ნაჩუქურთმევი – სწორუპოვარ გმირს რომ ამშვენებს ეგრერიგად! ფარი, რა ფარი1 ჯადოსნური, ფარი ზღაპარი! მაგრამ ნახეთ, როგორ მარჯვედ, როგორ სხარტად იგერიებს ამორძალთა დედოფალი მამრის შეტევას!.. რა შეედრება ამ მოქნილობას, ავაზასნაირს, ნიამორის სისწრაფეს და ქედფიცხელობას ვეფხვისებურს1 ამორძალთა დედოფალო, რჩეულო მდედრო დიაცთა შორის! ო, რა სიმკვირცხლით და ხელოვნებით უმკლავდები ამ საარაკო გმირს, გახელებულს! (ამორძალები ხმამაღალი შეძახილებით აქეზებენ თავიანთ დედოფალს, ამხნევებენ და ტაშს უკრავენ ყოველ მის მარჯვე ილეთს)

– მიდი, მიდი, დედოფალო, შენ გენაცვალე! –

– შეუტიე! ნუღარ დაინდობ მაგ სისხლისმსმელს! აი, მასე!

– დაჰკარ კიდევ! მიდი, მიდი – არ შედრკე, ჩვენო დედოფალო! – დიდი ნანა, უზენაესი ღვთაება ჩვენი – დაგიცავს და დაგიფარავს!

– ო, რა კისკასით უვლის დავლურს!

– რა სიმკვირცხლით აიცდინა სატევარი მოქნეული ამ ვირგლისაგან!

– მიდი, მზისდარო, მზის ასულო, დედოფალო ჩვენო! არ შეუშინდე ამ თავგასულ, გაყოყოჩებულ მირმიდონელს! უფ! კარგია, შენ შემოგევლე!

– ნახოს ერთი ამ წყეულმა, სახელკრულმა, რა შეუძლია ძალღონით სუსტს, ფაქიზს და ნაზ დედაკაცს, ამორძალად დაბადებულს!

წამყვანი ქალი: – ბედისწერისგან გაქეზებულნო! ნაცვლად იმისა, რომ შეერთდეს ორივეს ნება, მამრის და მდედრის და ერთი მოდგმის – დანასისხლად წაკიდებულნი, დაუნდობელად, უმოწყალოდ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ჩეხენ ურთიერთს!

ო, ვით ახელებს მამრს დიაცის ეს სიმარჯვე, თავგამოდება, თავისუფლად დაბადებულის ურყევი რწმენა და მტკიცე ნება, შეუპოვრობა, უშიშრობა! და რაც უფრო მარჯვედ იცდენს ქალი სატევარს აქილევსისგან მოქნეულს, მით უფრო დიდად შმაგდება იგი – წონასწორობა დაკარგული! აბა, როგორ! შელახულია მამრის სახელი, მისი ღირსება! შელახულია თავმოყვარეობა ვაჟკაცისა, უკვდავის სწორის! დროა ჭკუა ისწავლოს მდედრმა, ამ თავხედმა ამორძალმაო! რაფერ ბედავს წინ აღუდგეს ძლიერებას მამაკაცისას! მერე რა, რომ უზენაესი ღვთაება ნანა და ცის მნათობი, თანაბრად წყალობს ქალსა და კაცსაც, ღვთით გაჩენილს-თუმც მართალია, რომ მზის მოდგმა თანასწორია მის წინაშე, მაგრამ ახალ, ღვთაებათა მიმდევარნი არ დაუშვებენ ძლიერი მამრის დამარცხებას უძლურ დიაცთან!.. ო, უცხო ტომთა ღვთაებანი უთუოდ სძლევენ გულმოწყალე, სათნო ნანას თაყვანისმცემელთ, ცის დედოფალი დაიჩაგრება ერკემლისაგან!

დედოფალი ცისია: – ხომ ხედავ, დიდი ვერაფერიშვილია შენი ვეება ფარი ჩემს პაწია ფართან შეხლისას., შენ ვერ დასრთგუნავ, ვერ მოერევი შენი სხეულის სიძლიერით ნებას ჩემსას – სუსტი დიაცის!

აქილევსი: – ვერაფერს იტყვი! განთქმულია ამორძალთა ხერხი, ხრიკები და მოქნილობა, აღარ გაკლიათ სიფიცხე და ჟინი ბრძოლისა, არც გულადობა და სიცქვიტე, გამჭრიახობა გონისა და მართვა სხეულის. მარჯვედ ისვრი ისარსაც და სატევარსაც მარჯვედ ხმარობ. და მაინც გირჩევ-გონს მოხვიდე! მეტისმეტად ნუ გაფიცხდები. უკანასკნელად გეუბნები: – იარაღი დაჰყარო ნებით! ვფიცავ ჩემს ღმერთებს, დიაუფალს, პელაზგთა მფარველს – არ მოგაკვდინო! პირიქით, დიდი პატივით და თაყვანებით წაგაბრძანებ ჩემს სამყოფელში, ვით შეჰფერის ეს დედოფალს იათნანისა!

დედოფალი ცისია: – შენი მხევლების დარად, არა? მონათა შორის რომ ვიპირველო!

აქილევსი: – მე დედოფლობას შემოგთავაზებ ჩემი გულისა! ვფიცავ, ღვთაებას, ცის ბინადარს!

დედოფალი ცისია: – ვერ ეღირსები მაგ სიამეს, მირმიდონელთა უფლისწულო! თუ ვაჟკაცი ხარ, უნდა ბოლომდე შემერკინო, მაგრამ ვატყობ, აღარ გერჩის ძველებურად მკლავი ძლიერი! მუხლებშიც ძალა გამოგლევია, შიშით ცახცახებ, ვაი თუ მძლიოს ამორძალმაო, ვაი თუ თავი მომეჭრასო ამ ცისქვეშეთში, ფერ-ფური მიგდის, გული გიკრთის, გიკანკალებს, ჰოი, შე საბრალოვ, საცოდავო!

აქილევსი: – მაშ, აღარ იშლი მაინც შენსას? კვლავ იგესლები? ენამწარობ? ბედავ, ისევ შეურაცმყო, როგორც სხვიმის? მაშ, რაც მოგივა, შენს თავს მოჰკითხე, دააბრალე შენს უტვინობას, უტიფრობას, გონის სისუსტეს! (მძლავრად მოუქნევს სატევარს, სატევარი ფარს გაგლეჯს და ქალის მხრის თავზე ჩაერჭობა. ცისია ეცემა. აქილევსი უცებ მოდის გონს. მივარდება).

აქილევსი: – ღმერთო ჩემო! ეს რა ვქენი? რა ჩავიდინე? (დაიჩოქებს, თავს წამოუწევს)

აქილევსი: – დედოფალო! ღვთის გულისათვის, მაპატიე! შემინდევ!.. (ცისია ცდილობს ზუჩის ახდას, აქილევსი მიეშველება, ზუჩს მოხდის თუ არა. განცვიფრებით აღმოხდება)

აქილევსი: – დია-უფალო! ვაგლახ მე ბედ-კრულს! მართლაც მზისდარი, მზეთუნახავი გამიწირავს! (დაემხობა კვლავ მუხლებზე და ცდილობს წამოუწიოს თავი, ხელები სისხლში ესვრება).

დედოფალი ცისია: – სიკვდილი შენი ხელით მწადდა! მიზანს ვეწიე... აღარ ვნანობ აღარაფერს...

აქილევსი: – ო, მშვენიერო მზის ასულო, პენთესილეავ! გევედრები, გემუდარები, არ დამტოვო!.. აღარ მოკვდე! შემიბრალე დედოფალო!.. ნუღარ გამწირავ!... (მოიგლეჯს ქიტონს და ჭრილობას შეუხვევს. მერე ხელში აიყვანს,.)

აქილევსი: – შენ არ მოკვდები, მზის ასულო!.. შენ კვლავ უნდა იდედოფლო!.. ნუ გეშინია!... ჩემი მალამო უებარია-მსწრაფლ მოგარჩენს. აქილევსი, ვითარც ნამდვილი პელაზგი, ჯადო წამალთა მცოდნეცაა!

(აქილევსს ხელში ატატებული მიჰყავს დედოფალი, ერთ ხანს თავზარდაცემული, ქონგურებზე გადმომდგარი ამორძალები საოცარ კივილ-წივილს ასტეხენ. პირს იხოკენ, თმებს იგლეჯენ. ისმის ზარის ზუზუნი, ქვითინი. წამყვანი ქალი ხელს გაიშვერს წინ: – აღსრულდა ბედის განჩინება!... მაგრამ აქილევსს, შენც გეწევა იგი ჩქარა!

აქილევსის კარავთან შეკრებილი მეგობრები მდუმარედ ეგებებიან აქილევსს. აქილევსი ცისიას ფრთხილად დაასვენებს კარვის შესასვ-

ლელთან: –

– მეტენდორს მიხმეთ! ჩქარა მოვიდეს! დაჭრილია, მხოლოდ დაჭ-რილი! – (აქილევსი სასწრაფოდ შედის კარავში. ავტომედონტი გარბის მკურნალის მოსაყვანად. დანარჩენები დედოფალს გარს შემოეხვევიან და გაოგნებული სახეებით დასცქერიან. ერთ-ერთ მათგანს აღმოხდება განცვიფრებით და სინანულით: – მზეთუნახავი ყოფილა მართლაც, ეს საცოდავი!

– ვინა თქვა, თითქოს ცოცხალიაო?.. რომ აღარ სუნთქავს?...

– ჰო, მართლა, მგონი იგი მკვდარია!

– მშვენიერ სხეულს სული გასცლია!

– მაშ, აქილევსს რათ მოეჩვენა, ცოცხალიაო?

– ალბათ აღარ დაიჯერა.. არ უნდოდა, რომ დაიჯეროს!... (უცებ საიდ-ანღაც მოვარდება დანაელი თერსიტე, გონჯი ქონდრისკაცი. გაარღვევს რკალს და დედოფალის ცხედარს მიეჭრება).

თერსიტე: – მაშ, ჩაძაღლდა ჩვენი მოძულე და მოსისხლე კახპა დია-ცი, კახპათა ლაშქრის წინამძღოლი! – (სატევარს იძრობს და ღრიალით დაუწყებს ჩეხვას დედოფლის სხეულს. ეს ისე სწრაფად ხდება, რომ მირ-მიდონელები მოულოდნელობისაგან განძრევასაც ვერ ახერხებენ)

თერსიტე: – მადლობა ღმერთებს და მადლობა აქილევსის მკლავს, მოურეველს და უძლეველს, რომ ეს ურცხვი ამორძალი საიქიოს გზას გაუყენა მეტად დროულად!

(ამ დროს კარვიდან გამოდის აქილევსი მალამოს ქოთნით და ძვირ-ფასი მოსასხამით ხელში. იგი შორიდანვე თვალს მოჰკრავს ამ სურათს და გავეშებული მივარდება თერსიტეს, რომელიც სისხლიან სატევარს გამარჯვებულის ყიჟინით ატრიალებს ხელში).

აქილევსი: – ეს რა ჰქენი, შე ძაღლის გაგდებულო! მსტოვარო! გვე-ლო! ნაბიჭვარო! (წამსვე მახვილით განგმირავს თერსიტეს და შემდეგ დედოფლის სხეულს დაემხობა ყრუ ქვითინით): – ერთხელ სიკვდილი აღარ გაკმარეთ, დედოფალო!... დაგისახიჩრეთ მშვენიერი შენი სხე-ულიც!

მოქმედება IV

სცენა IV

(აქილევსის კარავი, კარვის შესასვლელში დგას შუბოსანი დარაჯი – აქილევსის მეაბჯრე. შემოდიან მერინოე, ავთომედონტი, ალკინოესი).

ავთომეტონდი: – ისევ ისეა?

დარაჯი: – დიახ, ისევ ისე გახლავთ. (კარვიდან გამოდის ატირებული ბრისეისი)

ბრისეისი: – ოჰ, დონთო! ნოე! აკა! აქა ხართ?

ავთომედონტი: – რაო, კვლავ უგონოა?

ბრისეისი: – სამი დღე და ღამეა უკვე, თქვენც კარგად იცით, თვა-ლახმული, მისჩერებია ჭერს გაუნძრევლად გაშტერებული. წვეთი წყალი, ლუკმა-პური არ ჩასვლია ჯერაც პირში. არავის დანახვა არ სწადია. მეც გამომაგდო. ოჰ, რა თვალები ჰქონდა, დია-ღმერთო! ასე პატროკლეს სიკვდილი არ უგლოვია, ოჰ, ჩემო დღეო! განა რა მოხდა უსაშველო? ერთი უცხო დიაცის სიკვდილი ნუთუ ეგზომ დიდი ჭრილობაა აქილევ-სისთვის?.. ასე რატომ იტანჯება? აღარაფერი აღარ მესმის... აღარაფერი გამეგება (ტირის).

ავთომედონტი: – მეც ვერაფერი გამიგია, მაგრამ... აქ რაღაც სხვა ამბავია! (მეაბჯრეს) – გაგვატარე, ჩვენო კეთილო მეგობარო! უნდა ვნ-ახოთ უსათუოდ უფლისწული!

დარაჯი: (ყოყმანით) – ნაბრძანები მაქვს... თავის გამზრდელიც არ მიიღო... ხომ ხედავთ თავად ბრისეისიც გამოისტუმრა...

ავთომედონტი: – მე-დონთო ვარ! ეს ნოეა და ეს კი-აკა გახლავს – შენც კარგად უწყი, უახლოესი მეგობრები ვართ აქილევსის! აქამდე აკი დავიცადეთ. ახლა – კმარა! შენ რაო, ჩემო ძმაო, სიკვდილი ხომ არ გწა-დია შენი პატრონის? სამარცხვინო სიკვდილი თანაც – უჭმელობისგან, უსმელობისგან?

ალკინოესი: – ასე ხომ შესაძლოა, სულიც გაძვრეს?

მერინოე: - რას ვუცდიდით აქამომდე? რად დავუჯერეთ?

დარაჯი: – რასა ბრძანებთ! მზადა ვარ ჩემი პატრონისთვის დაუყ-ოვნებლივ თავი გავწირო, მარა...

ავთომეტონდი: – თუ მასეა... ნუღარ აყოვნებ! განზე გადექ! მიგვიშ-ვი მასთან! (დარაჯი კვლავ ყოყმანობს. მერე გაიწევს. აქილევსის მეგო-ბრები კარავში შედიან, ნახევრადშიშველი აქილევსი პირაღმა წევს გაშ-ოტილი და გაუნძრევლად მისჩერებია ჭერს, წვერ-ულვაშმოშვებული. მეგობრები ჯერ უხმოდ დგანან შესასვლელში, მერე ავთომედონტი და-იძვრება, მივა აქილევსთან ნელი ნაბიჯით, დაიხრება).

ავთომედონტი: – აქილევსს!.. შენი რაშები ჭიხვინებენ!.. შენი რაშები გიხმობენ, ჩვენო უფლისწულო!

(აქილევსი ზანტად შეირხევა, თვალებს მიუშტერებს ავთომედონტს. კარგა ხანს მდუმარებს ასე. ავთომედონტი და დანარჩენებიც შეურხევ-ლად დგანან და დასჩერებიან დაბალ სარეცელზე გართხმულ ვეება სხ-ეულს. ბოლოს აქილევსი ნელა წამოიმართება. დამცინავი ღიმილით დაე-

გრიხება ტუჩ-პირი).

აქილევსი: – რაო, რა თქვი, დონთო? რა ჭიხვინებსო?

ავთომედონტი: – (უფრო თამამად) – შენი ცხენები პატრონს უხმობენ, უფლისწულო! აგერ უკვე მესამე დღეა ჭიხვინებენ გაუთავებლად.

აქილევსი: – აჰა, მაშ, ჭიხვინებენ ჩემი რაშები! (აქილევსი წამოზრდილ თმებზე ორივე ხელს გადაისვამს, მერე ხელს დაავლებს დოქს, მოიყუდებს და ხარბად დალევს წყალს, მერე წვერ-ულვაშებზე ჩამოისვამს ხელის გულს).

აქილევსი: – რაო, დონთო, რა გვინდაო? რაზე არიან გამწარებულნი?

ავთომედონტი: – როგორც ყოველთვის, ბრძოლისაკენ მოუწოდებენ ლომგულ აქილევსს! (აქილევსი ხმამაღლა გაიცინებს ანაზდად. მერე ისევ უცებ შეწყვეტს სიცილს, წამოიმართება და კარავში ბოლთის ცემას მოჰყვება, თან თავისთვის დუდუნებს: – ჩემი რაშები მიხმობენ თურმე!...

აქილევსი: (ხმამაღლა) – რაო, დონთო, ცოტა სისხლი დაღვარაო ჩვენმა პატრონმა? უფრო მეტია საჭირო განა? წელამდე სისხლში ყოფნას ერჩივნოსო ყელამდე დგომა? ან ეგებ... სისხლში ჩახრჩობა უფრო მეტად სასურველია კაი მოყმისთვის?

ავთომედონტი: (დაბნევით) – მამრის საზომი ვაჟკაცობისა მტრის გვამების სიმრავლე იყო მითაჟამიდან! ეს შენ ჩვენზე უკეთ იცი, უფლისწულო...

ალკინოესი: – აკი ამისთვის გავჩნდით ამ ქვეყნად, რომ ვიყოთ მარად გულფიცხელი მეომრები. ჩვენს ძარღვებში ხომ ჩვენი უშიში წინაპრების სისხლი დუღს და მოედინება!

აქილევსი: – მერედა, ვინ გაგვაჩინა მეომრებად, როგორც შენ ამბობ, ჩემო აკა, თან ძალგულოვან მეომრებად? ვინ-მეთქი? (მეგობრები ერთმანეთს გადახედავენ).

ავთომედონტი: – როგორ თუ ვინ?... ჩვენმა ღმერთებმა, ჩვენმა მშობლებმა...

აქილევსი: – ჩვენმა ღმერთებმა? ჰო, მაგრამ უზენაესი ღვთაება ჩვენი-დიდი ნანა გულმოწყალე და სათნო ღმერთია. ის ხომ ჩვენგან არ მოითხოვს უმიზნო ზვარაკს... სისხლიანი ზორვა აკი უცხო იყო ჩვენი წინაპრებისთვის!... გადამთიელთა შემოიტანეს იგი ჩვენში და... ჩვენც ხალისით ავითვისეთ. გადავაჭარბეთ მგონი, კიდეც ჩვენს მასწავლებლებს!

ავთომედონტი: (მხრებს იჩეჩავს) – ვერაფერი გამიგია... როგორც ვუწყი, ქსლის მბეჭველად ქალი არის გაჩენილი დასაბამიდან, მამრი-მეომრად. ხოლო მტრის მტრულად დახვედრა კი – მოყმეთ წესი ყოფილა მიწყივ დასაბამიდან. ნუთუ... შენ... შენ ასე აღარ აზრობ, უფლისწულო?

აქილევსი: – მერედა, მტერი ვინაა ჩვენი? ვინ მოგვიხტა ნეტა კარზე?

ვინ დაგვიპირა აწიოკება, ხოცვა და ჟლეტა? ნუთუ ტროელნი სჩადიან ამას?

მერინოე: – ნამუსის და ღირსების გრძნობის დასაცავად შევიყარენით ჩვენ, მე მგონი... ასე ვფიქრობდი მე აქამომდე...

აქილევსი: – ვისი ნამუსის, ჩემო ნოე?.. მენელაოსის სვინდის-ნამუსის მოსაწმენდად მოვკალი განა მისიმიელთა ლომგული მეფე და დავამხე ქალაქი თებე?.. ამოვხოცე მეფის ძენი – ღვიძლი ძმები ანდრომაქესი?.. რაღას ვერჩოდი მეფე ტენესს? რისთვის მოვსპე პლაკიის თებე? რისთვის დავხოცე უამრავი გმირი – ერთგული თავის მამულისა!, რისთვის ვქენი ეს ყოველივე?

ალკინოესი: – ეს ხომ... ჩვენი ვალი არის... მოკავშირეთა ვალდებულება!.. დანაელთ მტერი, გვინდა არ გვინდა, ჩვენი მტერიც არ არის განა?.. მტერს კი უნდა ისე მოექცე, როგორც ეკუთვნის! (აქილევსი კვლავ სიცილს ატეხავს. მერე უცებვე შეწყვეტს).

აქილევსი: – მოკავშირე... მოკავშირე, ჰმ!... პატროკლეს შემდეგ თქვენ ჩემი უახლოესი მეგობრები ხართ, მაგრამ ნუთუ... ნუთუ თქვენც გჯერათ, რომ ჩვენ მართლაც მოკავშირენი ვართ დანაელთა? განა მართლა მოვედით იმისთვის, რომ შუბის მტყორცნელ ტროელებს შევერკინოთ? ჩვენ მათგან გვახსოვს განა რამე ზიანი? ცხენთა რემა და ჯოგი ხომ არ გაუტაცნიათ უხვნაყოფიან და ხალხმრავალ ჩვენი ფთიიდან?

ჩვენი ჯეჯილი უთელიათ ოდესმე განა? გვაშორიშორებს ჩვენ ერთმანეთისგან მთა-გრეხილები და მოგუგუნე ზღვა. აკი ვუთხარი კიდეც პირდაპირ იმ პირძაღლ აგამემნონს, ჭირივით რომ ვეჯავრები: შენდა შემხიდედ შევიკრიბეთ, მენელაოსის ნამუსისთვის ვიბრძვით ესოდენ შეუპოვრად თქვა და ხომ იცით, რა მიპასუხა მაგ ფუყეთავამ, გაბღენძილმა არარაობამ? თავიდან მომწყდი, გაიქეცი, თუ გული გერჩისო. არ გეგონოს დიდად დავღონდე, ყველაზე მეტად შენა მძულხარ ბელადთა შორის. შენი გემებით გამეცალე, მხედრიონს შენსას – მირმიდონელთა ტომს უმეფე. არად მიღირხარ. რა ბედენაა რისხვა შენიო...

ეს რა თქმა უნდა, გულის გარეთ იყო ნათქვამი. მან კარგად უწყის, რის გამო და რისთვის ვახლავარ აქ და რისთვის იღვრება სისხლი მირმიდონელთა. სხვა საშველი აღარ იყო! ნათქვამია, ძალა აღმართსა ხნავსო. (დუმილი) მაგრამ მთავარი ჩემთვის ახლა ის გახლავთ, ძმებო, რომ... (გაჩუმდება)

ავთომედონტი: – სიმართლე რომ ვთქვა... აღარ ვიცი, რა გიპასუხო.

ალკინოესი: – არც მე ვიცი!

მერინოე: – მეც დავიბენი...

აქილევსი: – მაშ, მომისმინეთ: ჩვენ ვითარებამ გვაიძულა კავში-

რი ესე! და ჩაყოლა ვამჯობინეთ, ძალით ჩათრევას: მამაჩემმა – მეფე პელევსმა ასე ინება! თუმც პატროკლეც ვერ ხვდებოდა, მგონი, ამას... ვერ ხვდებოდა ზოგ რამეებს, თქვენც ასე მოგდით... (იყურებს) – ჩემთვის ახლა სულ ერთია, ვინ რას იფიქრებს, ან რას იტყვის!.. დამალვას უკვე აზრი არა აქვს და აღარც მსურს დავფარო რამე!... (ისევ გაივლ-გამოივლის კარავში) – ამ ხელებმა გაიმეტეს სასიკვდილოდ კეთილშობილი დედოფალი იათნანისა!.. შორეული კუნძულიდან თავის სურვილით რომ ჩამოვიდა პატარა ქვეყნის მისაშველებლად. თუკი გმირობა არსებობს მართლა ამ ცისქვეშეთში – აი, ეს გახლავთ გმირობა სწორედ: გმირობა ზნემაღალი არსებისა, გულის კარნახით ჩადენილი, ხოლო მე... ნაცვლად იმისა, რომ მუხლმოყრილს პატიება მეთხოვა მისთვის ავკაცობისთვის, შუბი ვაძგერე! (ზურგს შეაქცევს მეგობრებს, მხრები უთახთახებს).

ავთომედონტი: (დაბნეული) – სწორუპოვარო უფლისწულო, ვეღარა გცნობთ... (აქილევსი შემოტრიალდება ისევ).

აქილევსი: – მართალს ბრძანებ, ჩემო დონთო! თქვენ, ჩემმა მეგობრებმაც არ უწყით-მეთქი, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ახლა აქ, ჩემს გულში... დიახ, მე მართლა აღარა ვარ ის აქილევსი, გუშინ რომ ვიყავ!.. მივხვდი, რომ მართლაც ხვადაგი და სვავი ვყოფილვარ თურმე, რამეთუ ჩვენ, „გონიერ“ ორფეხთ ძალგვიძს ხოლმე ასე უწყალოდ, ასე უღვთოდ ვხოცოთ ერთურთი!..

აბა, შეხედეთ ერთი ამ ხროვას, ჯარს რომ ვეძახით? სისხლით უძღებმა მათმა ბოტებმა საკუთარი ალაფისათვის და სახელისთვის — არ წამოლალეს ისინი განა – ზოგი ძალით, ზოგიც მუქარით, ზოგიც ნებით!.. აბა, ერთი დღე სალაფავი არ ჩაახეთქე ამ საცოდავებს, რა სასტიკად დაერევიან ერთი მეორეს და მეც-მეფეთა შთამომავალი, ღვთით შემოსილი აქილევსი, არაფრით, გესმით, არაფრით აღარა ვარ ამ ნახირზე უკეთესი, ვითარცა ბრძანა დედოფალმა! უფრო მეტიც: მაგათზე ბევრად ავი და გულქვა გამოვედი, რამეთუ ბიწიერი გონის კარნახით, გააზრებულად, მოფიქრებულად ჩავდიოდი ბოროტებას!.. მარტო თორმეტი უწვერულვაშო ყმაწვილი რად ღირს, ასე ულმობლად რომ დავაკალი ცხედარს მეგობრის!.. თორმეტი ნორჩი სიცოცხლე მოვსპე, ერთი ხელის მოსმით!

ავთომედონტი: – კი მარა... შურისგება ხომ წესია საყოველთაო? ასე იქცევა ყველა ოდითგან, მითაჟამიდან!

ალკინოესი: – მართლაც ხომ ასე იყო ეს ჩვენამდე და ჩვენს შემდეგაც ასე იქნება ალბათ! შენ ხომ წესი აღასრულე, შურისძიების ოდინდელი წესი!

მერინოე: – დიახაც რომ არ ეგების მტრების დანდობა: წესი-წესია!

აქილევსი: – წესი? მერედა, ვინ დააწესა ეს უღვთო წესი?.. მაგრამ

რადგანაც განვუდექით ჩვენს ღვთაებებს, ჩვენ თვითონვე დავაწესეთ, დიახ, დავაკანონეთ უკეთური წეს-ჩვეულება!.. შურისძიებას მართებს იყოს პიროვნული, სამართლიანი! ჰექტორმა მოკლა ჩემი ძვირფასი ძმობილი და მეგობარი არა მიპარვით — პირისპირ მოკლა იგი ორთაბრძოლაში, ვითარცა მოყმეს შეეფერება. შურისძიება თუკი იყო, შური ჰექტორზე უნდა მეძია. იმ თორმეტმა უცოდველმა ყმაწვილებმა რა დამიშავეს? რას ვერჩოდი? მხოლოდ ის, რომ ტროელებად დაიბადნენ! მხოლოდ ამიტომ დაიკლნენ ასე უმოწყალოდ! ასე უღვთოდ! ზვარაკად შეწირულნი, ისინი სულს პატროკლესას დაამძიმებენ საიქიოში!

ავთომედონტი: – აქილევსო, უშიშარო აქილევსო, იმ ძაღლთაპირ ტროელებზე ნუთუ დარდობ ასრერიგად? (აქილევსს რისხვით აენთება თვალები, მერე მზერას დახრის).

აქილევსი: – (ჩუმად) – ვერა. ამას ვერც თქვენ, ჩემი ახლობლები, ვეღარ გაიგებთ... თუმცა, მეც აკი ასეთი ვიყავ, ჯერ კიდევ – გუშინ! დიახ, მეც გუშინ თქვენსავით ვკლავდი დაუნდობლად ჩემს მსგავს არსებებს!

ავთომედონტი: – ნება მომეცი, შეგედავო... ჯერ ერთი, შენნაირი ვერ იქნებიან ვერას დიდებით, ვისაც შენ ხოცავ! შენ ერთადერთი, გამორჩეული ბელადი ხარ არა მარტო დანაელთ შორის! შენნაირ ზეკაცთ საგანგებოდ მოუვლენენ ხოლმე ღმერთები მიწისშვილებს. შენ ტიტანების მოდგმა ხარ და პრომეთეოსის შთამომავალი! შენ წინამძღოლად გაუჩენიხარ არსთა გამრიგეს. ამიტომაც გეპატიება ყოველივე ის, რასაც ჩვეულებრივ მიწისშვილებს არ შეგვინდობენ! ჩვენ მართლა ჭია-ღუები ვართ, შენ კი – ღვთისშვილად დაბადებულხარ ამ ცისქვეშეთში!

აქილევსი: – ჰო, მართალი ხარ, ჩემო დონთო! ზეკაცთ ყველაფრის ნებართვა აქვთ! აკი ხალხთა დიდი ხელმწიფე აგამემნონი და მისი მსგავსნი ამასვე ფიქრობენ, ასე აზრობენ და ამიტომაც, თვალში ნაცრის შესაყრელად, სინამდვილეში – მხოლოდ ოქროს და მიწის გულისთვის, — სხვადასხვაგვარი საბაბით, საითაც უნდათ, იმ მხარისკენ პირს უზამენ მორეკილ ნახირს ეს რჩეულები.

მაშ, ქება ვუძღვნათ სისხლის ნიაღვრებს! ქება დაქცეულ სისხლის გუბეებს, მდინარეებს, ზღვებს, ოკეანებს! ო, რა საამო საცქერალია კაცთა დაღვრილი ცხელი სისხლი, ქაფქაფა და მოხასხასე! ქებათა-ქება სისხლში მოთხვრილ, სისხლში ნაბან ძლიერ ხელებს! ოჰ, როგორ მეჯავრება ჩემი თავი, ეს ხელები – კაცთა კვლაში ეგზომ მარჯვენი! ამორძალთა დედოფლის თქმით, მრცხვენია ფრიად, რომ ვეკუთვნი ვითომ კაცთა მოდგმის ჯიშსა და ჯილაგს... მრცხვენის ფრიად, რომ მაქვს თვალები და ვუყურებ! მაქვს ყურები და გაუგონარ რამეებს ვისმენ! მძულს, მეზიზღება მთელი ჩემი არსება-მეთქი, მატლი მიწისა, წამიერად მოვლენილი

ამ სამზეოში და გასაქრობად გამზადებული დღესა თუ ხვალე და მაინც... ეგზომ უძღები და ფუჭი დიდების მოტრფიალე, ამპარტავანი.

ავთომედონტი: – აღარ ვიცი, რა ვიფიქრო, რა გიპასუხო...

აქილევსი: – ჰო, მართალი ხარ, დონთო ჩემო, ჯერ კიდევ გუშინ მეც არ ვუწყოდი ბევრი რამე, დღეს კი... დღეს საკუთარი არარაობის შეგრძნება მზარავს, ჩემო ძმებო, სულს მიხუთავს! იყავი თუნდაც უძლეველი გმირთა-გმირი, სახელმორჭმული აქილევსი, რაო მერე? წამი-წამში მოჭრილ ხესავით დაენარცხები დედამიწას, ფერფლად იქცევი. ცეცხლს შეგინთებენ ახლობლები, რომ ეს ტანი, ეს მკლავები, მარდი ფეხები, მთელი სხეული-ამით რომ თავი დიდად მოგქონდა – ნახშირის გროვად გადაიქცეს! (ჩუმდება, ყველანი ხმაგაკმენდილნი შესცქერიან).

აქილევსი: (ხმადაბლა, ჩუმად აგრძელებს) – დედოფალი რომ მომყავდა დაჭრილი, პირველად თითქოს მაშინ შევიგრძენ ცხადად, აშკარად, რომ ხელში მეჭირა დასანაცრებლად გამზადებული ყვავილის ნორჩი ტოტი, ცოტა ხნის წინ რომ სულიერი, გონიერი არსება იყო, ახლა კი... დაჭრილს, ჩემი ხელისგან უსულოდქცეულს – დანახშირება მოელოდა! (უცებ ქვითინი აუვარდება, ორივე ხელს აიფარებს სახეზე. ყველანი გაოგნებულნი შეჰყურებენ)

აქილევსი: – (გონს მოეგება, ყრუ ხმით) – გიკვირთ არა, გულჩვილობა აქილევსისა? ასეა ძმებო, თურმე ტირილიც შემძლებია უამრავი სიცოცხლის მომსპობს. სიყვარულიც, სიბრალულიც შესძლებია მხეცს და ნადირს... აი, ესაა ჭკუიდან რომ მშლის, გონებას მიმღვრევს!.. უკვე ოთხი დღეა და ღამეა შხამი წვეთ-წვეთად მიწამლავს დურდოს, იმ მთხლეს, ოდესღაც სისხლი რომ ერქვა.

(ხმადაბლა) – და მინდა, დადგეს ღამე უკუნი, რომ შევერიო წყვდიადს, სიბნელეს... და მოვისვენო სამარადჟამოდ!

ავთომედონტო: – ნუთუ... შენ მართლა აღარ ხარ ის აქილევსი, ჩვენ რომ ასე გულით გვიყვარდა და თაყვანს ვცემდით! გმირთა-გმირი აქილევსი, შიშის ზარს რომ სცემს ირგვლივ ყველას და ყოველივეს?

აქილევსი: – მოდით, შევწყვიტოთ ახლა ეს საუბარი, ჩემო ძმებო!.. ერთ რამესა გთხოვთ, მომგვარეთ აქა ბრისეისი, მასთან პირისპირ საუბარი მსურს!

(ავთომედონტი გადის. ცოტა ხნის შემდეგ შემოჰყავს ნამტირალევი ბრისეისი. აქილევსი ხელს ჩაჰკიდებს და კარვის მეორე ნაწილში გაიყვანს).

აქილევსი: – ჩემო ბრისეა, მინდა შენთან ვილაპარაკო გულახდილად, დაუფარავად... მსურს იცოდე, რომ ამორძალთა დედოფლის მიმართ ჩემი გრძნობა უბოლოა, უსასრულოა და ჩემს სიკვდილსღა თუ შეუძლია

მისი სახის წაშლა ჩემი გონებიდან. ვიცი, გულს გატკენს ეგ აღსარება, მაგრამ არ ძალმიძს ტყუილი ვთქვა, გეპირფერო, გელაქუცო!...

პენთესილეა ჩემი ნამდვილი ტრფობის საგანი გახდა, დანახვისთანავე... იგი ჩემი სულის და ხორცის მეწყვილედ ვცანი, თანასწორი აზრით, გონებით, მოვლენილი დია-უფლისგან და მისგანვე წაყვანილი ჩემ დასასჯელად!.. მის შემდეგ აღარ ძალმიძს სხვა შევიყვარო, სხვას მოვეფერო. მორჩა! გათავდა! შენ კი... მართლა მებრალვი გულით. უწყის უფალმა, აღარ მინდა, როგორც ნადავლი, ჩემს შემდეგ ხელიდან ხელში გადახვიდე, არადა, ვიცი, შემდგომ ჩემი სიკვდილისა, ამ ხვედრს ვეღარ აიცილებ!

ბრისეისი: – შენი სიკვდილი? ღმერთო ჩემო...

აქილევსი: – არავინ უწყის, ჩემო კარგო, რა მომელის დღესა თუ ხვალე. ომი-ომია! მისანთა თუ ნათელმხილველთა კეთილგანწყობაც ვეღარ გიშველის, თუკი ღვთაებამ ხელი აგაღო. ჰოდა, მე მინდა დაგიბრუნო თავისუფლება, დაუბრუნდე შენს კერიას. შენ ერთობ მშვენიერი გოგონა ხარ, – გულკეთილი, ნაზი, მოსიყვარულე. შესაძლოა, მომავალში ღირსეულმა კაცმა გითხოვოს და ოჯახი შექმნა კიდეც. ალბათ, შვილებიც გეყოლება, გაზრდი იმათაც, ვით შეჰფერის შენს ქალობას, სახლისშვილობას.

ბრისეისი: – შენთან სიკვდილი მირჩევნია სხვასთან თუნდაც მორჭმით ყოფნას. ნუ გამაგდებ, გევედრები, გემუდარები. წასასვლელი არსად რომ არ მაქვს, ეს შენც იცი, აღარავინ დარჩა ცოცხალი ჩემი სახლეულიდან.

აქილევსი: – დიახ, ვიცი, სამწუხაროა ეს ყოველივე და მაინც გეტყვი – გადარჩენილ შენიანებთან დუხჭირი ყოფნა უნდა გერჩიოს სხვა ქვეყანაში დედოფლობას, მით უმეტეს – მონად ყოფნას უცხო თესლისას. დამიჯერე, ასე აჯობებს შენთვის, შენი მომავლისათვის, იგივე მინდა დიომედასთვის!

ბრისეისი: – მე არაფერს გთხოვ, უფლისწულო! შენს ახლოს ვიყო ოღონდ სადმე, თუნდ-შიმუნავრად. ქალის ხვედრს, აკი შინ თუ გარეთ მამრი განაგებს! ხოლო თუ მამრი ბოროტია და სასტიკი, თავადაც უწყირა მოელის ბეჩავ დედაკაცს.

აქილევსი: – ჰოდა, სწორედ ამიტომაც მსურს გადაურჩე ამ უმძიმეს ხვედრს შენ და დიომედა. ჩემი სურვილი გახლავს სწორედ — შენ იყო თავად გამგებელი შენი ბედისა. სხვა დანარჩენზე – მე ვიზრუნებ! ოქრო ბევრი მაქვს ნაალაფევი. ნუ სტირი, ჩემო მშვენიერო, თორემ მეც გული ამიჩვილდება. ცრემლები შეიმშრალე. იქნებ დაგჭირდეს ახლო ხანებში აქილევსის დასატირებლად... ჰო, კარგი, ნუღარ დაფეთდები!... ბედის-

წერას, შენც კარგად იცი, ვეღარავინ ვეღარ წაუვა. (ნაზად ჰკოცნის თავზე) – აკი გთხოვე, სხვიმისთვის-თქო შემოინახე ამ ლამაზი თვალის ნაჟური!.. ახლა წადი, გენაცვალე!..

მე კიდევ გნახავ, მერწმუნე, ბედის ანაბარად აღარ დაგტოვებ, რაც უნდა მოხდეს. (ბრისეისი ტირილით გადის, აქილევსი თავისთვის – საკმარისია, შე საბრალოვ, რაც იწვნიე მამაკაცთა ხვადაგობისგან!... (შემოდის მეაბჯრე):

მეაბჯრე: – უძლეველო გმირთა-გმირო, მომიტევე, მაგრამ ლეონტიასისთავი გელოდება ტყვეებითურთ, რა ხანია, შენს ბრძანებას ელოდება!

აქილევსი: – ტყვეებიო? ვინ ტყვეებია?.. შემოვიდნენ!

(შემოდიან ასისთავი ლეონტი და თან შემოჰყავს სამი გაბაწრული ტყვე).

ლეონტი: – უძლეველო აქილევსსო, სახელოვანო უფლისწულო!.. ესენი, ძაღლის გაგდებულნი, ორი დღეა ტყვედ ჩავიგდეთ. ჩვენს ბანაკში აპირებდნენ შემოპარვას. უშენოდ ვეღარ გადავწყვიტეთ მათი დახოცვა... ეგებ თავად მოისურვოს-თქო ამათი ნახვა და დაკითხვა! (აქილევსი ჯერ ჩუმად ათვალიერებს ტყვეებს. მერე ერთ მათგანთან მიდის და ეკითხება) –

აქილევსი: – მაშ, ტროელნი ხართ?

პირველი ტყვე: – დიახ, გახლავართ ტროელები1

აქილევსი: – მაშ, დასაზვერად ჩვენს ბანაკში შემოიპარეთ?.. მაგრამ განა აღარ უწყოდით, რომ ჩვენს მცველებს მეტად ფხიზლად უჭირავთ თავი? რამდენჯერაც სცადეთ უწინ, იმდენჯერვე აკი ჩაფლავდით? (ტყვეები დუმან) – რისი იმედი გქონდათ-მეთქი? (ტყვეები კვლავ დუმან. აქილევსი ბოლთის ცემას მოჰყვება. შემდეგ ისევ ახლოს მიდის ტყვეებთან) – ხმას აღარ იღებთ?.. დუმილს არჩევთ?.. გასაგებია.. ან რა უნდა თქვათ? რა უნდა გქონდეთ სალაპარაკო? (ერთ ხანს ჩუმად უყურებს ტყვეებს) – თქვენი სიკვდილი რო უეჭვოა, ეს ალბათ უწყით?... მაგრამ... მაგრამ... მე გადავწყვიტე, არჩევანი შემოგთავაზოთ (ისევ ჩუმდება, მერე აგრძელებს) – თუკი გადმოხვალთ ჩვენს მხარეზე და იბრძოლებთ ილიონის წინააღმდეგ – სიკვდილს აიცდენთ!

(ყველანი გაქვავდებიან მოულოდნელობისაგან. ბოლოს ავთომედონტი გამოდის გაოგნებისაგან).

ავთომედონტი: – ამათი ნდობა ვით შეიძლება, უფლისწულო? ესენი ხომ უნდა გაწყვიტო სათითაოდ... ყურმოჭრილ მონად რომც გადაიქცნენ მოსაჩვენებლად, გულის სიღრმეში ტროელებად რჩებიან მუდამ, ანუ მოსისხლე მტრებად!

აქილევსი: – მე მივმართავ ამ ტყვე-ტროელებს და ამიტომ ყველასა გთხოვთ, მეგობრებო, დამაცადოთ!.. ჯერ – ერთი, შეუხსენით ხელები ამათ! (მეაბჯრე ზოზინით შეხსნის ბაწრებს).

აქილევსი: – კარგია. ახლა მე მინდა ისევ შენ გკითხო, ამ ორ ყმაწვილზე უფროსი ჩანხარ... შენი სახელი?

პირველი ტყვე: – სახელს რად მკითხავ? რისთვის გჭირდება?

აქილევსი: – ჰო, კარგი, რაკი აღარ გსურს... მაშ, გიმეორებ: კარგად დაუფიქრდი – სიკვდილს ირჩევ თუ... მირმიდონელთა მხარეზე ყოფნას? არა მონობას – დაუკვირდი: ნებაყოფლობით ჩვენს მხარეზე დგომას!

პირველი ტყვე: – სიკვდილს ვირჩევ, უძლეველო აქილვესო, ვიდრე ყოფნას თქვენს მხარეზე!

აქილევსი: – რა მიზეზით? სიკვდილი განა სასურველია სიცოცხლეზე?

პირველი ტყვე: – სიცოცხლეს გააჩნია, გმირო აქილევსს! მე აღარა მსურს ღალატის ფასად ჩემი სიცოცხლე!

აქილევსი: – აი, თურმე რა! ღალატის ფასად! ჰმ! (გაჩუმდება, თავისთვის ჩაილაპარაკებს: – თუმცა ზოგ-ზოგი ტროელი უფლისწული არ თაკილობს ჩვენთან ყოფნას! – გაჩუმდება, მერე ხმამაღლა მიმართავს ტყვეს)

აქილევსი: – კეთილი! რაკი ასე გადაწყვიტე, ნება შენია! მაგრამ ეს... ორი დანარჩენი? ესენი რომელს აირჩევენ? სიკვდილს თუ... ბრძოლას ჩვენს მხარეზე?

პირველი ტყვე: – ამ ორს-დანაელთა ენა არ ესმის.

აქილევსი: – მაშ, შენ უთარგმნე. გააცანი ჩემი პირობა.

პირველი ტყვე: – კი ბატონო!

აქილევსი: – სიტყვა-სიტყვით მიუთარგმნე! (პირველი ტყვე თავს უქნევს და მერე ხმადაბლა დაუწყებს ლაპარაკს ორ დანარჩენ ტყვეს. ერთი მათგანი ასევე ხმადაბლა ეპასუხება პირველს, მესამე – მეტწილად ჩუმად არის)

პირველი ტყვე: – ეს ერთი უარზეა, ჩემო ბატონო, მეორე კი – თანახმა გახლავთ თქვენს პირობაზე. იგი მზადაა ყურმოჭრილი მონად დაგიდგეთ მირმიდონელებს, ოღონდ სიცოცხლე შეინარჩუნოს.

აქილევსი: – ეს მეორე – მარტო უარს აღარ სჯერდება, როგორც ვატყობ!

პირველი ტყვე: – (შემკრთალი, ყოყმანით) – მე ასე მითხრა, უარზე ვარო...

აქილევსი: – ეგ სწორია, უარზეა, მაგრამ... თან მაგინა უშვერი სიტყვით.. ხომ მართალია?...

პირველი ტყვე: – (განცვიფრებით) – ნუთუ...

აქილევსი: – დიახ. პელაზგური მეც კარგად მესმის, თუმცა ახლა ნუღარ ვიდავებთ. მთავარია, აღარა გსურთ შენ და ამ ყმაწვილს ჩვენთან დარჩენა – არც თავისუფალ მოლაშქრედ და არც მით უფრო – მონად ყოფნა. რა გაეწყობა? ეგრე იყოს! – არჩევანი-არჩევანია! (გაივლ-გამოივლის, მერე მეაბჯრეს მიუბრუნდება) – ამ ორს ახლავე მიაცილებთ ჩვენი ბანაკის საზღვრებამდე. დაე, დარჩნენ კვლავ ტროელებად, რაკი ასე სურთ ანუ დარჩნენ ძლეული ერის ბეჩავ შვილებად, ეს მესამე კი, ყურმოჭრილ მონად დაიტოვეთ – რაკი სურს თავად!

(ტყვეები გაჰყავთ. აქილევსის მეგობრები გაოგნებული სახეებით უყურებენ ხან აქილევსს, ხან ერთი – მეორეს, აქილევსი ისევ გაივლ-გამოივლის, მერე კვლავ დოქს მოიყუდებს პირთან).

ავთომედონტი: – აქილევსს, უფლისწულო!

აქილევსი: – ძალიან გთხოვ, ნურაფერს მკითხავ!

ავთომედონტი: – არა... შენთვის მინდოდა მეთქვა, ეგებ ცოტა წაგვეხემსა-თქო, ცოტა ღვინო დაგველია (აქილევსი შეჩერდება).

აქილევსი: – რატომ არა? თუკი ასე გსურთ... დავლიო, ძმებო!

(აქილევსის მეგობრები დატრიალდებიან. შეუდგებაინ ტაბლის გაწყობას).

აქილევსი: (წინ წამოიწევს) – აგერ მოვიდა, ისევ მოვიდა! უკანასკნელად გამომეცხადე სიკვდილის წინ პატროკლესი!.. რაო, დედავ, ჩემო ძვირფასო, რას მიბრძანებ? რა გსურს, რა გინდა? რად მიყურებ ასე უხმოდ, თვალცრემლიანი? ისევ ისევ იმასვე მთხოვ – შინ დაბრუნებას? ან ეგების შენც გეუცხოვე? გინდა კარგად შემომხედო-შენი შვილი ვარ თუ არა?..

მისმინე, დედი. ახლა გეტყვი იმ საიდუმლოს, რაც აქამდე არავისთვის გამიმხელია... დიახ, მსურდა აქაურობას გავშორებოდი. დიახ, რისხვა ჩემი მოგონილი უფრო გახლდა და ბრისეისიც საბაბი იყო, რომ არგიველებს წავჩხუბებოდი. მაგრამ ვაგლახ, ბოლომდე ვერ შევიძელი გამოყენება ამ საბაბის, ბოლომდე ვეღარ გავუმჟღავნე გულისნადები ჩემს უახლოეს მეგობრებსაც. პატროკლესაც ასე ეგონა, ვითომცდა ქალის გამო ვიყავ შეურაცყოფილი, პატროკლემაც ვერ იაზრა, თუ რატომ ავუკრძალე არ ედევნა მტერი ტროის კედლებამდე, რომ აღარ უნდა შებრძოლებოდა მამაც ჰექტორს, რომ მხოლოდ ჩვენი ხომალდების გადასარჩენად გაერეკა ტროელები. ვეღარ გამიგო. მეც ვიდედლე. ამიტომაც დავისაჯე განგების მიერ-ჩამეფუშა განზრახული-თესალიაში დაბრუნება! უძვირფასესი მეგობარიც დავკარგე და... სიყვარულიც ამორძალისა, ჭეშმარიტი, ერთადერთი სიყვარული, რაიც მეწვია უდროო დროს, ამ გაგანია

ომის ქარცეცხლში, უნუგეშო სიყვარული, სიყვარული სიკვდილის შემდეგ – ასე მწარედ და უსაშველოდ გულს რომ მიკორტნის.

აწი ვეღარ დავბრუნდები, ჩემო დედილო, ჩემს სამშობლოში! აქ უნდა დავრჩე, ვეღარ აიცდენს ქალაქი ჩემი ილიონის ბედს! მოაოხრებენ თესალიას და სანატრელი გაუხდება ჩემს თვისტომელებს ტროელთა ხვედრი! და შემდეგ, რაიც უფრო მთავარია: აღარა ვარ უწინდელი აქილევსი, თუმც დღევანდელ დღეს, შესაძლოა, უფრო სჭირდება ძველებური აქილევსი, ვიდრე ახალი! მაგრამ საქმე სწორედ ის გახლავს, ფერისცვალება ანუ ჩემი განკაცება – ვეღარაფერს ვეღარ შეცვლის ჩემს გარშემო: ჩემს ძველ კვალში სხვა ჩადგება – ეგებ ძველ აქილევსზე უარესი, უფრო სასტიკი. ტროელთ ალბათ დანაელნი დააქცევენ, დანაელთ – სხვები. მერმე იმ სხვათა ჯერიც დადგება, მერმე იმ სხვათა დამჯაბნელნიც გამოჩნდებიან და ასე იქნება... დაუსრულებლივ!..

დადგება კი ოდესმე ჟამი ნეტარი, ზეციური? მიმსგავსებული ნეტარ კუნძულის მაცხოვრებელთა დღეკეთილობას, თურმე ოდესღაც რომ სუფევდა? თუმც, ვგონებ, ჟამი სანეტარო დედამიწაზე — აღარასოდეს აღარ იქნება!..

აკი შენც, ჩემო საყვარელო, ვეღარ გაუძელ მიწიერ ყოფას, უსამართლობას მიწისშვილთა, ქედმორჩილებას მეუღლისა უცხოთ წინაშე და... მიიმალე, გაუჩინარდი! მე ახლა მესმის ყოველივე, ვხვდები, თუ რატომ მიგვატოვე... დიახ, სამძიმოა ცხოვრება კაცთა მოდგმაში — ღვთიურ შვილთათვის, თუმცა, როგორც ჩანს, ამას გვიანღა მივხვდი და მაინც... გადავწყვიტე აქ დარჩენა, უნდა ბედი გავიზიარო თანამოძმეთა! თუმცა ,პირადად ჩემი სიცოცხლე აწი არაფრად მიღირს, ხომ გესმის, დედა?... მაშ, ნუღარ სტირი, ჩემო ძვირფასო, ნუღარა მთხოვ შინ დაბრუნებას, სანამ თავისკენ არ მიმიხმობს იქავეთი, მე აქა ვრჩები! (შემოდის მეაბჯრე, აჩრდილი ქრება).

მეაბჯრე: – გმირთა გმირო აქილევსო! ხალხთა მეფის აგამემნონის წარმოგზავნილნი გეახლნენ და ნახვის ნებართვას ითხოვენ შენგან!

(აქილევსი გამოფხიზლდება ბურანიდან),

აქილევსი: – დასწყევლოს ღმერთმა!... ეგენი მაკლდნენ ახლა სწორედ! (მეაბჯრეს) – სთხოვე, მობრძანდნენ! (აქილევსი მრავალმნიშვნელოვანი მზერით გადახედავს თავის მეგობრებს, ისინიც გამგებიანი ღიმილით თავს უქნევენ. შემოდიან ოდისევსი და აიანტი)

ოდისევსი: – მოგესალმებით სახელოვანო გმირო აქილევსს, სიამაყევ მირმიდონელთა – ხალხთა დიადი, უძლეველი მეფის სახელით და აგრეთვე პირადად ჩვენი სახელითაც! (თავის დაკვრით ესალმებიან ერთმანეთს, შემდეგ აქილევსის უხმო მოწვევით სავარძლებში სხდებიან მო-

სულნი და დამხვდურნი).

ოდისევსი: – სწორუპოვარო გმირო აქილევსს! შევიტყვეთ შენი შეუძლოთ ყოფნა. თურმე აღარვის აღარ იღებ და ჩვენც ამიტომ, ამდენი ხანი, შევიკავეთ თავი ნახვისგან. თორემ ხომ ვუწყით, შენი არყოფნა ბრძოლის ველზედ, რაოდენი საზიანოა ჩვენი ჯარისთვის! იმედია, თავს უკეთა გრძნობ...

აქილევსი: – მადლობელი ვარ ყურადღებისთვის, თუმც კარგად ვიცი, აგამემნონს გულზე დიდად არ ვახატივარ. დიახ, მეოთხე დღეა, არვის ნახვა აღარ ძალმიძდა. დღეს კი მართლაც უკეთ ვარ მგონი და აი, ჩემი მეგობრებიც მოვიდნენ ჩემთან სანახავად. თქვენც მობრძანდით, არ დაახანეთ!

აიანტი: – თავგასულობას ილიონელთა საზღვარი არ აქვს! რაც ჰექტორი მოაკვდინე, ამის შემდეგაც რაფერ ბედავენ შენთან პირისპირ შებრძოლებას? ვინ ბედავს ამას? ამორძალთა დედოფალი! ქალი! დიაცი!

ოდისევსი: – და თუმცა შენი გულმოწყალება და სიქველე ცნობილია საყოველთაოდ, აკი დაინდე და გაატანე მოხუც პრიამოს შვილის ცხედარი შენ თურმე მსგავსი პატივი ეცი თვით ამორძალსაც, ორთაბრძოლაში უტიფრად რომ გამოგიწვია.

აიანტი: – სიმართლე რომ ვთქვა-მე, არ მიყვარს მიკიბ-მოკიბვა – ჩემთვის, ასევე ბევრი სხვისთვისაც – საკვირველი იყო, თუ ვით დათანხმდი ამ ორთაბრძოლას! და მერე... ეგზომ პატივისცემით ვით მოექეცი მაგ უსირცხვილო გომბიოს ცხედარს? საოცარია, საკვირველია მეტისმეტად!

ოდისევსი: - თერსიტე თუმცა საძულველი იყო ყველა დანაელისთვის-ყიამყრალობით, მაბეზღარობით და სიგონჯითაც, და მაინც ყველა განაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ამორძალის გულისათვის აქილევსმა ვით გაიმეტა დანაელიო! ხომ იცი, ჩემო აქილევს, მიწისშვილებს პირს ვერ აუკრავ, მით უმეტეს, როცა რჩეულ პიროვნებებს ეხება საქმე! მავანთ და მავანთ ეჩხირებათ ხოლმე თვალში სახელოვნება რჩეულისა, რაიმე ლაქას უსათუოდ მოუძებნიან და ამასთან, ჰელიოსსაც დაიმოწმებენ, რომ არ შეატყონ უკეთური შური და ბოღმა.

აქილევსი: (პირქუშად) – არას დაგიდევ, ოდისევს ჩემო და შენც ჩემო აიანტო, ყიამყრალთა მოშურნეობას. იფხანონ გული ქეციანი, რამდენიცა სურთ. ხოლო თახსირმა, სულით და ხორცით მახინჯმა და გაიძვერამ, თერისტემ მიიღო ის, რაც დაიმსახურა!

ოდისევსი: – ამორძალი ჩვენი მტერი რაკიღა იყო, თერსიტესაც ეგონა ალბათ, რომ მტრის მოკვლით ანდა მოკლულის გვამის დასახიჩრებით ლომგულ აქილევსს აამებდა. მაგრამ, ჩანს აქილევსის რისხვის მიზეზი

სხვა რამ გახლავთ (ჭოჭმანით) – ბანაკში ჭორად დაირხა ხმა, აქილევსი დაატყვევაო ახალგაზრდა დედოფალმა, მშვენიერმა პენთესილეამ... ამიტომაც აღარ დაინდოო, თუმც უღირსი, მაგრამ მაინც დანაელის სიცოცხლე და... ანაცვალაო იგი ამორძალთა პირმშვენიერ დედოფალსა. ესეც აღარ იკმარაო, მოკლულის ნეშტს გამორჩეული პატივით და რიდით მოეპყრო, თითქმის ისევე, ვით მეგობრის-პატროკლეს ცხედარს. ჭორად ამბობენ, სახელოვან გმირს სიკვდილის შემდეგ შეუყვარდაო მზეთუნახავი დედოფალი!

აიანტი: – ნეტავ ვიცოდე; ცოცხალი რაა და მკვდარი რაღა უნდა იყოს მდედრი, დიაცი? მე არა მჯერა, სიმართლე რომ ვთქვა, ეს ზღაპარი.

ოდისევსი: – ჩემო ძვირფასო აიანტო! ნუ გეწყინება, შენ თუმც გულადი, უშიშარი მეომარი ხარ, მაგრამ დიაცთა მოყვარულებს ვეღარ გაუგებ! შენთვის დიაცი მხოლოდ და მხოლოდ ნადავლია, მხოლოდ ჟინის მოსაკლავად გაჩენილი ღმერთებისგან, თუმცა ჩვენ, აგერ — გონიერი კაცები დიაცის გამო, რა ხანია ილიონის კედლებს ვასკდებით და არვინ უწყის, ღმერთების გარდა, როდის ექნება ამ ხოცვა-ჟლეტას დასასრული!

აიანტი: – მაგრამ ელენე მაინც ცოცხალი ქმნილება გახლავთ, ჩემო ოდისევს, თუმცა კი სჯობდა, საერთოდ აღარ გაჩენილიყო, იმდენი მამრის შეიწირა მან სიცოცხლე!.. მაგრამ... მკვდარი დიაცის ტრფობა? არა მგონია, სახელმორჭმული აქილევსის ვნების საგნად ქცეულიყო უსულო გვამი. ეს ჭორი აქილევსის მოძულეთა მიერ უნდა იყოს დაყრილი!

ოდისევსი: – გეთანხმები, ჩემო აიანტ, რომ დიაცი იმად არ ღირს, თუნდაც ერთი მამრის სიცოცხლე რომ შეიწიროს, ჩვენს შემთხვევაში – შურისძიებამ გაიმარჯვა საღ გონებაზე, მე ასე ვფიქრობ! ამორძალთ – კი რაც შეეხება... მომაკვდავ ქალსაც ჰქონია ალბათ ისეთი ხიბლი, რომ დიაცებში ესოდენ დიდად გალაღებული გმირის გული მოინადირა! აი, ესაა გამოცანა – ქალურ თილისმის!.. თუმცა... ვცდები ეგება კიდეც და აიანტის თქმის არ იყოს, ამ ჭორებს ყრიან შენი მტრები, აქილევს ჩემო? ან ეგებ.. სულ სხვა მიზეზია და ამიტომაც დუმხარ რა ხანია? (იღიმება ეშმაკურად).

აქილევსი: (თავისთვის) – ო, ეს ცბიერი ითაკელი! (ხმამაღლა) – არ ცდები, ჭკუაულევო და გულთმისანო ოდისევსო – ეგ შაოსანი ამორძალი – იათნანელთა დედოფალი – ჩემი ნამდვილი სიყვარულია – პირველი და უკანასკნელი!

ოდისევსი: – ნუთუ?!.. მაშ, მართალია, რასაც ამბობენ?

აქილევსი: – სიმართლე გახლავს!

ოდისევსი: (ფიქრიანად) – მაშ, პირველი და... უკანასკნელი?

აქილევსი: – დიახ, პირველი და... უკანასკნელი!

ოდისევსი: – მაპატიე, თავს ვერ ვიკავებ კითხვებისგან... მაშ, დეიდამია? დიომედა? ბრისეისი? – ვისი გულისთვის მგონი დღემდე აღარ ჩამცხრალა შენი რისხვა დანაელთა მეფის აგამნემნოსის მიმართ?... და... სხვანი და სხვანი? ვინღა მოითვლის მათ – ზოგს ცნობილს და ზოგსაც უცნობს? (იცინის) – შენნაირი მოყვარული აღარ გახლავარ დიაცთა სქესის, და მაინც ვეჭვობ, ასე ადვილად მომაღორო! (ისევ იცინის).

აქილევსი: – ვუწყი მეც, ენამჭევრო, ჭკუაულევო ოდისევსო, რომ ადვილად არ მოსტყუვდები! მაგრამ რაკიღა ცნობისწადილის ჭია ეგზომ შემოგჩენია, რაკიღა ეგზომ შეუპყრიხარ ჩემი გულის კუნჭულებში ჩახედვის სურვილს, მეც პირდაპირ და გულღიად გეტყვი: დიახ, შემძრა და შემარყია ამორძალთა დედოფალმა მთელი არსებით, ხოლო... ამ ხელით მისი დაჭრა, მერე სიკვდილი – იქცა ჩემთვის უზომო ტანჯვად, ამქვეყნიური სიცოცხლის ბოლოდ. ისე უაზროდ, ისე უმიზნოდ მეჩვენება მის გარეშე არსებობა ამ სამზეოში, რომ მინდა... (გაჩუმდება ანაზდად).

ოდისევსი: (ფიქრიანად) – მგონი მართალნი იყვნენ, როცა ამბობდნენ, პელაზგთა მოდგმის ჯადოქარმა გაჩხიბაო თავისი ჯიშისა და ჯილაგის ლომგული გმირი, თორემ... სხვაფრივ ვითღა შეეძლო სწორუპოვარი აქილევსის გულსი დაპყრობა ეგრერიგადდო!

აქილევსი: (ჩაიდუდუნებს თავისთვის) ვიცოდე ნეტა, როდის იყო ჯადოქარი თავად კვდებოდა თავის ჯადოსგან? (ხმამაღლა) – ნეტავი მართლა გავეჩხიბე და... მომკვდარიყავ, ოღონდაც კი – მას ეცოცხლა!

ოდისევსი: – როგორცა ვხედავ, ჩემო აქილევსს, შეგყვარებია მართლაც ის ქალი, დედოფალი იათნანელთა – ჭეშმარიტი სიყვარულით, რაკი მზად იყავ შეგეწირა მისთვის სიცოცხლე, რაკიღა სიკვდილს ასე ნატრობ მის მაგიერად! მაშ, ბრისეისი... შენი რისხვა... მოგონილი რამ ყოფილა?.. ასე გამოდის!

აიანტი: – (შეაწყვეტინებს აღშფოთებული) – შენგან მიკვირს, ოდისევსო! შელახული მამაკაცის ღირსებამ და სიამაყემ განარისხა მაშინ აქილევსი, უსამართლო შეურაცყოფა ვერ აიტანა. და სწორიც იყო! აგამემნონი ვერ მოიქცა მაშინ ისე, ვით შეჰფერის ეს ხელმწიფეს, მხედარმთავარს და მამრს ვაჟკაცურს! წაჰგვარა ქალი – ომის ნადავლი! ვით აიტანდა ამგვარ საქციელს აქილევსი! და არა მხოლოდ აქილევსი! მე სიმართლის თქმა მიყვარს სწორედ – მიუკიბავ-მოუკიბავად!

ოდისევსი: (ისევ ფიქრიანად) – უნდა გამოვტყდე, შენმა სიტყვებმა მეც ფიქრები ამიშალა, ჩემო აქილევსს!... მოგონებები მომეძალა.

სიმართლე რომ ვთქვა, უკვე ყელში ამომივიდა ის ყველაფერი, რაც აქა ხდება!... ეს უბოლოო, უსასრულო ხოცვა-ჟლეტა მეც გულს

მიღონებს... უკვე სული კბილით მიჭირავს... როდის ექნება დასასრული ამ ვაებას, ცოდვის-ტრიალს?.. ჩემი ითაკა მომენატრა, ჩემი მშობლები, ჩემი ცოლ-შვილი... აგერ უკვე მერამდენე წელი სრულდება, რაც მოვშორდი ჩემს კერიას, მეუღლეს ჩემსას – სათნოებით, ღირსებით სავსე პენელოპას, ჩემი პაწია უკვე დიდი ბიჭი იქნება ალბათ – მონატრული მამის სითბოს და სიყვარულს...

ასე ამბობენ, სიყვარული გამოიცდება განშორებითო. ჩემი მეუღლე კი ვინ იცის, ახლა რას ფიქრობს, რა აღონებს, რას დასტირის... ჩვენ, მამაკაცებს გვეჩოთირება ხოლმე ამგვარ რამეზე ხმამაღალი ლაპარაკი. თითქოს გვრცხვენია გრძნობის გამხელა... შენმა წრფელმა აღსარებამ მეც ამაღელვა... სიყვარულს მართლაც ვერ გაუგებ ვერაფერს! ვერც გაექცევი, სადაც არ უნდა დაემალო. აღარც ის იცი, როდის გეწვევა, ან როდის წავა... აი, ესაა საოცარი გამოცანა, ამოუხსნელი, თავსატეხი წუთისოფლისა!

აქილევსი: (ლმობიერი ხმით) – ჩემო ოდისევს, მე კარგად მესმის, რისი თქმაც გინდა: ძე-ხორციელმა არავინ იცის, სიყვარულის და სიკვდილის მოსვლის დრო-ჟამი. სად არის იგი ჩასაფრებული, სად გიყელებს, როდის დაგჭრის კაკალ-გულში? და... ივლი მერე მთელი ცხოვრება მოურჩენელი ჭრილობით და სევდით სავსე. ანდა... შეიძლება სულაც აღარ მოგინდეს იტრიალო იმ ცოდო-ბრალში, ცხოვრებას რომ ეძახიან...

(მეაბჯრე შემოვა).

მეაბჯრე: – მაცნე გეახლათ ილიონიდან, გმირთა-გმირო უფლისწულო!

აქილევსი: – მაცნე ილიონიდან? (თავისთვის) ნეტავ, კიდევ რა უნდა მოხდეს? (ხმამაღლა): – შემოვიდეს! (შემოდის მაცნე. ყველას მიესალმება თავდახრით და გულზე ხელისმიდებით და შემდეგ აქილევს მიმართავს)

მაცნე ილიონოდან: – სწორუპოვარო გმირთა-გმირო, მირმიდონელთა უფლისწულო! უფლისწული ალექსანდროსის მიერ გახლავართ გამოგზავნილი.

(აქილევსი და დანარჩენი ერთხმად) – ალექსანდროსის?

ოდისევსი: – რა უნდა ნეტავ, იმ ბედოვლათ ქალაჩუნას?

აქილევსი: – რაო, რას მითვლის უებრო მოყმე ილიონელთა?

მაცნე: – ორთაბრძოლაში გიწვევს პარისი უძლეველ გმირს მირმიდონელთა! ამ შერკინებამ გადაწყვიტოსო ტროის ბედი-დაბრუნება მშვენიერი ელენესი თუ... აღარ დაბრუნება (ავთომედონტი თავის მეგობრებს ხმადაბლა; – ამ ვირეშმაკას დამიხედეთ, როგორი დრო შეარჩია!

ალკინოესი: (ასევე ჩუმად) – ვინ ჩააგონა ამ ღვთის გარეგანს ამგვარი აზრი? ღმერთებმა თუ... დაიმონმა?

მერინოე: (ჩუმად) – აბა, ვინ უწყის, ვინ გაიგებს ბედისწერის საიდ-უმლოს?

ოდისევსი: - რაკი სიკვდილი მონატრებია მაგ ჯილაგამოსაწყვეტს, მიიღებს ალბათ, რასაც ნატრობს!

აქილევსი: (თავისთვის) – მართლაც რომ სწყალობს ბედი ამ მასხ-არას, ქარაქუცას! თუმცა... ვინ იცის... ეგებ სულაც უპრიანია ღმერთები-სთვის, რაც უნდა მოხდეს!

აიანტი: – პირდაპირ ვიტყვი, მიუკიბავ-მოუკიბავად: ამ ქალაჩუნამ, ჩანს, ღმერთების ჩაგონებით, განაჩენი გამოუტანა საკუთარსავე თავს!

ოდისევსი: – ასემც უქნია, ქვა უხლია თავის თავისთვის და მუცელში სამართებელი! სიკვდილის ღირსი უნდა ჩაძაღლდეს!

აქილევსი: (მიმართავს თავის მეგობრებს) – მაშ, მოყმენო, ჩემი რაშე-ბი ჭიხვინებენ მოუთმენელად? მხედარს უხმობენ ბრძოლის ველზე? (მაცნეს) – გადაეცი უშიშარ პარისს, გამოწვევა მიიღო-თქო აქილევსმა! (თავის მეგობრებს გადახედავს მრავალმნიშვნელოვანი ღიმილით): – სიკვდილი უხმობს, მაშ, ერთ-ერთ ჩვენგანს. ერთი ჩვენგანის მზე დაბ-ნელდება ხვალ სისხამ-დილით! მაგრამ... სიკვდილს უეჭველად ის დანებ-დება, ვისაც სიცოცხლე არაფრად უღირს!

მოქმედება V

სცენა IV

(ტროა. ილიონი. პარისის სასახლე. დარბაზი, სადაც მოახლე ფუს-ფუსებს, სამთიობოდან შემოდის ელენე).

ელენე: – (მოახლეს) – მაცნე ხომ არ მობრუნებულა?

მოახლე: – არა, ჯერ არ ჩანს, დედოფალო!

ელენე: – ლამის მზემ შუბის ტარზე აიწიოს. რად იგვიანებს ასე ნეტა-ვი?... პარისიც არ ჩანს. დილა ადრიან გაეშურა სასახლისკენ, მშობლებს უნდა ვეთათბიროო! (ელენე ბოლთის ცემას იწყებს დარბაზში, ხან სარკ-მელთან ჩერდება გარინდებული, ხანაც ნიშთან მიდის, საკურთხეველთ-ანდა ჩუმად ბუტბუტებს ლოცვას).

ელენე: – (თავისთვის) – ვეღარ ვისვენებ... სამთიობოშიც ვეღარ გავჩერდი... ო, ღმერთებო! რომ არც არავინ მოდის სტუმრად, რომ გა-ვერთო, გადავაყოლო გული საუბარს... აქილევსი რა შვილია უარს იტყ-ვის ორთაბრძოლაზე – ოღონდაც კი პარისს სული გააცხობინოს!.. აქამდე ხომ სულ გაურბოდა მეუღლე ჩემი ამ უძლეველ გმირთან შებმას! ახლა ნეტაი, ვისი ან რისი იმედი აქვს? კი, აქამომდე თითქოს წყალობდნენ ღვ-

თაებანი, მაგრამ კოკა ხომ ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს?.. როგორ არ ვთხოვე, არ ვეხვეწე! რა არ ვუთხარი! ვერაფრით ვეღარ დავიყოლიე, ვერ შევაგონე, თუმცა აქამდე სულ ჩემი რჩევით დადიოდა!... ასე იმ ცრუმის-ან კასანდრასი როგორ ირწმუნა?.. ხომ აშკარაა, სასიკვდილოდ იმეტებს პარისს, თავის ძმას რათა... ყველაფერს გარდა, შური იძიოს სწორედ ჩემზე!.. დიახ, უწინარესად, ჩემზე! – ამ ხოცვა-ჟლეტის მთავარ მიზეზად ხომ მე მივაჩნივარ ყოველ ამათგანს! იცის კარგად, უპარისოდ ბედის ანაბრად რომ დავრჩები, გარიყული ილიონში სუყველასაგან, თუმც პირ-ში კი მეფერება ბევრი მათგანი! მაგრამ ხომ ვხედავ, ჭირის დღესავით ვეზარები ამ ბარბაროსებს. ო, კასანდრა კი, ეს მედიდური მეფის ასული — არა თუ მწყალობს, ზედ არ მიყურებს და აღარც მალავს, რომ ვეზიზ-ღები და ვეჯავრები, ვით უღირსი დედაკაცი – იმთავითვე ლამის ხასად და მონად მრაცხს და ვერცხვინები მე – სპარტის დედოფალი (ხმადაბ-ლა)... თუმცა... ყოფილი!

(შემოდის კასანდრა)

ელენე: (განცვიფრებით) – ო, კასანდრა!... მეფის ასულო!... თვალები ხომ არ მატყუებს?... ნუთუ, შენა ხარ?

კასანდრა: – გიკვირს არა ჩემი სტუმრობა?

ელენე: (დაბნევით) – იცი, სიმართლე რომ ვთქვა... შენ ხომ ფეხი ამოიკვეთე ძმის სასახლიდან.. დიდი ხანია!

კასანდრა: – ნახვა მინდა ჩემი ძმისა. შინ ხომ ბრძანდება?

ელენე: - პარისი მეფე-დედოფალთან გაემართა დილა-ადრიან!... ალ-ბათ გზად აცდით ერთი-მეორეს!

კასანდრა: – მე სასახლიდან როდი მოვდივარ... ამორძალთა ბანაკში გახლდი, წუხელ ღამე იქ გავათიე...

ელენე: – რა საშინელი უბედურება დატრიალდა... ოჰ, საცოდავი დედოფალი!... ძლიერ მეწყინა და განვიცადე ცისიას უდროო აღსას-რული, მაგრამ... სიმართლე რომ ვთქვა, უფრო გამაკვირვა აქილევსის საქციელმა! რა პატივით და ღორსებით დაუკრძალავს თურმე ცისია!

კასანდრა: – ეს მერამდენე მსხვერპლია უკვე! და ვაი, რომ უარესი წინ ელოდება ბედკრულ ტროას!

ელენე: – სიკვდილს ხომ არ გულისხმობ ალბათ მეფის ასულო?... მისი შებმა აქილევსთან ხომ ისეთივე საბედისწერო აღმოჩნდება, ვით სვეუ-ბედური ცისიასათვის!.. თუმცა... პარისის სიკვდილს აკი ბევრი ნატრობს რა ხანია. ახლობლებიც კი.

კასანდრა: – დიახ, ჩემს ძმას მე ვურჩიე ეს ორთაბრძოლა. კი არ ვურ-ჩიე – მოვითხოვე დაბეჯითებით, რამეთუ სულაც არ იქნება ეს ორთაბრ-ძოლა საბედისწერო პარისისათვის. პირიქით კია-აქილევსი დაიღუპება

უსათუოდ, უეჭველად.

ელენე: -ო, მაპატიე, მეფის ასულო, მაგრამ... შენი მისნობის აკი ბევრს აღარ სჯერა. არ დაგიმალავ, მეც მეეჭვება შენი ნათქვამი!

კასანდრა: – ვიცი, ჩემი მისნობის მაშინღა სწამთ, როცა იგი ახდება ხოლმე!

ელენე: – შესაძლოა, ასე იყოს და მაინც... აქილევსზე გამარჯვებისა, პარისის გარდა, არავის სჯერა!..

კასანდრა: – ნუ შიშობ აგრე. გამარჯვებული დაგიბრუნდება შენი ძვირფასი თანამეცხედრე. აქილევსი განწირულია.

ელენე: – ნუთუ ღმერთებმა გაწირეს იგი, უბადლო გმირი ცისქვეშეთისა? ვით დავიჯერო? მე ძლიერ ვღელავ!... შეტოქება აქილევსთან – დანაელთა ბურჯად რომ იქცა?! თუმცა, გულზე არ ახატიათ იგი, დანაელთ, როგორც ვატყობ, მაინცდამაინც! არადა, უმისოდ რომ ვეღარ ძლებენ? ო, ღმერთებო, დიდო ზევეს!..

კასანდრა: – ნუ შიშობ-მეთქი. აკი გითხარი, პარისს საფრთხე არ ემუქრება... – ჯერჯერობით! ასე რომ იყოს, განა იგი დათანხმდებოდა? ჰექტორივით ანდა თუნდაც ცისიასავით, გულუშიშარი, მგონი, არ გახლავს! მაგრამ... თუნდაც უმტყუნოს ბედმა, შენ ასე ძლიერ რისთვის სწუხარ? მარტო ყოფნა ასე გაშინებს?

ელენე: (დაბნევით) – როგორ თუ რატომ ვწუხვარ? რა შეკითხვაა, – ვეღარ გავიგე!.. პარისი ხომ ქმარია ჩემი, თუმცა... მგონი, ზოგ-ზოგს ეჭვი ეპარება, რომ ეს –ასეა!.

კასანდრა: – მშვენიერო ჩემო ელენევ! დაილუპება თუ გადარჩება ჩემი ძამიკო, შენთვის ეგ დიდად სადარდებელი აღარ იქნება. შენ ახალი – უფრო სწორად-ძველი ისევ დაგიბრუნდება. ამიტომაც ჯავრი ნუ გაქვს. შენნაირები უნუგეშოდ როდი რჩებიან. ნუღარ შფოთავ, დამიჯერე!...

ელენე: – ვიცი, რომ ბევრი ვეღარ მიტანს... სილამაზე ნეტარ ღმერთთა ნაბოძებია და სიყვარულსაც ღმერთი გვანიჭებს... მე უბრალო ვარ... ასე ინებეს ცის ბინადართა!

კასანდრა: – ეს მართალია. შენ ბედისწერის სათამაშო ტიკინად იქეც! (თავისთვის) მარტო შენ არა! – მაგრამ ბევრი აღარ ნებდება განჩინებას წერა-მწერლისა, თუმც ესეც კია – ყველას ვერ მოთხოვ შეუპოვრობას. ცისიამ დანაელებს, ეგების დროებითად, მაგრამ მაინც ხომ დიდი საყრდენი გამოაცალა ფეხქვეშიდან – ოღონდ რის ფასად! ღმერთო ჩემო! (თავისთვის) –ო, ზვარაკად შეწირულო, სულო დიადო!

ელენე: - აქილევსი ცოცხალია! ხომ არ მომკვდარა?... მაშ, ცისიას თავგანწირვას რა აზრი ჰქონდა?

კასანდრა: (ბანზე აუგდებს სიტყვას) – იცი, რას გეტყვი, მშვენიერო

ქალბატონო? ჩვენ, მოკვდავებსაც ხანდახან ძალგვიძს უკვდავ ღმერთთა მსჯავრის განჭვრეტა, ცის ბინადრებმა უკეთ უწყიან, ვინ ან როდის მოაკვდინონ, ვის ან როდის მიაგებონ ხვედრი ზეცისა... შენ ხომ გძულდა, მშვენიერო ასულო ლედის, მენელაოსი-სპარტის მეფე, მეუღლე შენი, სჯულიერი, კანონიერი?!.. გაიხსენე, ჩუმად დაღვრილი ცრემლების ზღვა შენს სარეცელზე, თეზევსის გამო-ვინც გიყვარდა, თავს გერჩია!.. ნუ გაიკვირვებ, გეთაყვანე, ნუ შეიცხადებ!.. მე ყველაფერს ვხედავ-მეთქი – აკი გითხარი, იქნებ ჩემდა საუბედუროდ!.. ნეტამც ეს ნიჭი ნათელხილვისა არსთა გამრიგეს ჩემთვის აღარ ებოძებინა, ბევრად უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, უეჭველია!

ვხედავ და მტანჯავს ყოველივე ის, რასაც ვუმზერ თვალხილულად... შენ გძულდა-მეთქი მენელაოსი, სიტლანქის გამო, უხეშობისთვის! იგი ხომ ხშირად შეგახსენებდა შენს ძველ ცოდვებს, შენგან ჩადენილს, უნებლიეთ თუ.. გნებავს-ნებსით! შენ, ჩემო კარგო, უსიყვარულოდ გაყევი სპარტელს, უფრო სწორად გაგათხოვეს ძალით მშობლებმა, ძმებმა, ისე, ვით წესად არის მიღებული თქვენს მოდგმაში. ჰოდა, როცა ხელსაყრელი ჟამი დაგიდგა, დაუფიქრებლად, უყოყმანოდ მიატოვე, გამოექეცი შენს მეუღლეს... ცხრა მთას იქით გადაკარგვა არჩიე, თითქმის უცნობ უცხოელთან, იმის იმედით, რომ სამუდამოდ დაშორებოდი საძულველ ქმარს და სასახლეს მისას. ეს ყოველივე, შენი ნებით მოიმოქმედე, შენი სურვილით! და არა მხოლოდ ღმერთთა ჩარევით. — ხომ მართალია? მაგრამ, როგორც ჩანს, ბედისწერას ვერ გაექცევი. იგი ფეხდაფეხ მისდევს ყველას, უკლებლივ ყველას, და უსათუოდ დაეწევა, რა დღეს, რა ხვალე!..

ასე რომ, შენი ფორიაქიც საქმეს არ შველის! ბედის ჩარხი თუ შეტრიალდა, გინდა არ გინდა, შენს ძველ კერიას დაუბრუნდები, ვითარცა მეფე მენელაოსის, ღირსეული თანამეცხედრე! და სიზმარივით განქარდება ყოველივე, რაც აქ გინახავს, სიზმარივით მოიგონებ საყვარელ პარისს, ბედკრულ ტროას, სისხლს აქ დაღვრილს რჩეულ ვაჟკაცთა, ომის მძვინვარე ღმერთს შეწირულთა. დაივიწყებ: ჰექტორს, ცისიას და მრავალ სხვათა... (თავისთვის) – ო, შე საბრალოვ, რა ბედი გელის – იქ, სპარტაში, დაბრუნებისას!).

ელენე: – ღვთის გულისათვის, მეფის ასულო, სხვათა ცოდვასაც მე ნუ ამკიდებ... ჩემიც მეყოფა!

კასანდრა: – შენი, აბა, რა ბრალია, ალყაშემორტყმულ დედაქალაქში თითქმის ყველა უფლისწული – ხარჭისა თუ დედოფლისგან მოვლენილი ამ სამზეოში – პირველობას არავის რომ აღარ უთმობს! და არა მხოლოდ უფლისწულები! ოღონდ როგორმე ძალაფუფლება ხელში ჩაიგდონ, ოღონდ განძეულობა და სიმდიდრე როგორმე დაისაკუთრონ! აი,

სწრაფვა, აი, მიზანი!

გალავანს იქეთ-თავს სწირავენ, იხოცებიან დარჩეული ყმაწვილკაცები, გალავანს აქეთ სასახლეებში ღრეობენ და ურცხვად მრუშობენ, დროს ატარებენ!

ო, დიდო ნანავ! დროს... ატარებენ! მათ შორისაა შენი მეუღლე, ძმაი ჩემი, „ბედის წყალობით“, ღირსეული მეტოქე რომ გამოეცალა ჰექტორის სახით (თავისთვის) – მაგრამ ო, დიდო დია-უფალო! რა ამაოა ეს ყოველივე! რა ფუჭია ეს სიხარბე, გაუძღომლობა მიწის ამ მღილთა! სუყველაფერი ხომ მალე ნაცრად გადაიქცევა, განიავდება, გაცამტვერდება! ეს დიდებული სასახლეები, განძი ურიცხვი — გაიძარცვება, ოხრათ დარჩებათ ყველაფერი და თავადაც ვერ აცდებიან მიწის მატლთა უბედურ სვე-ბედს!.. მაგრამ ვაი, რომ ჭკუას მაინც არ სწვალობენ, ეს წამიერი ცოდვის შვილები! კვლავ ახალ-ახალ სიამეებს მიელტვიან სულმოუთქმელად – ვერ მხედველნი გარდუვალობის – სიზმრის შვილები, ჩრდილად ქცეულნი – დახარბებულნი ამქვეყნიურ განცხრომას და სიამტკბილობას ზღვარდაუდებელს! ზეციურ მადლს და უკვდავებას – ამ წუთიერ დროსტარებას ანაცვალებენ! (შემოდის პარისი).

პარისი: – ო, შენ აქა ხარ თურმე, დაია? სულ არ გელოდი ჩემს სასახლეში! აქ ხომ შენ ფეხი არ შემოგიდგამს, რაც დავქორწინდი ელენეზე.

კასანდრა: – მოველ, გამეგო, ხომ არ დაბრუნდა შენი მაცნე-თქო. ის კი — აღარ ჩანს!

ელენე: – მეც ამას ვჩივი! ასე რისთვის შეაგვიანდა?

პარისი: – ალბათ მალე გამოჩნდება. ნუღარ ღელავთ... შენ რატომ ჩქარობ, ჩემო დაია? რაკიღა მოხველ, აღარ გაგიშვებ! დარჩი ჩვენთან პატარა ხანს. ელენესაც გაუხარდება, თუკი არ წახვალ... ხომ ასეა, ჩემო სიცოცხლევ?

ელენე: – ო, რა თქმა უნდა!

კასანდრა: – მადლობელი ვარ, მაგრამ მართლაც მეჩქარება. მეორე დღეა ანდრომაქე და ასტიოსი აღარ მინახავს...

პარისი: – ვიცი, ვიცი,რომ ანდრომაქე ძლიერ გიყვარს. ჰექტორიც ხომ ყველას გერჩია.

კასანდრა: – მართალია. ჰექტორისთვის მზად ვიყავი თავი დამედო, რადგან... იგი მარტოოდენ ძმა როდი იყო! ჰექტორი ჩვენი სახელოვანი წინაპრების ხატება გახლდათ, კეთილშობილი, დიდებული, უებრო გმირი! ტროას სინდისი, პატიოსნება! ვაგლახ, რომ აღარ არის, დავკარგეთ გმირი ჭეშმარიტი! ჩვენი ცისიაც – მანდილოსანთა მშვენება – აღარა გვყავს!

პარისი: – ჰო, ვიცი, ვიცი, ყოველივე ეს მშვენივრად მომეხსენება და

გამეგება. ვიცი, ვით გეწვის გული ჰექტორის ცოლისთვისაც. უცილობლად, მას ახლა მეტი ყურადღება სჭირდება ჩვენგან, ისიც ვიცი, გული შეგტკივა... ჩემს ნაცოლარზე...

კასანდრა: – მე იგი მებრალება უმიზეზო შეურაცხოფისთვის. მაგრამ... კაცები მოიმკიან იმას, რაც დათესეს (თავისთვის) – ეჰ, შენც მწარედ იკბენ თითზე, ჩემო ძამია, როცა დრო მოვა! მაგრამ უკვე გვიან იქნება, სამწუხაროდ! (ხმამაღლა) – უსამართლობა ჯერ არავის შერჩენია ბოლომდე!.. ასე იყო, ასე იქნება მომავალშიც!

პარისი: – ჰო, კარგი, კარგი... რაკი ფეხი შემოგიცდა ჩვენს სამყოფელში, აღარ გაგიშვებ (მოახლეს) – აბა, შიტა, დატრიალდი შენებურად. მოართვი მეფის ასულს ტკბილი სასმელი, ხილიც და ყველაფერი, რაც გაგვაჩნია! (მოახლე ტაბლას აწყობს).

პარისი: – შეხუთული ჰაერია, ალბათ იწვიმებს... მართლაც, რატომ იგვიანებს ჩემი მაცნე?

კასანდრა: – გატყობ, რომ ღელავ... გული ხომ არ გეთანაღრება? ხომ არ ნანობ, რომ დამიჯერე?.. ეგების... ფრთხები?

პარისი: – რომ გითხრა, გული მამაცურად მიცემს-მეთქი, ტყუილია. ხომ ყველამ უწყის, აქილევსთან პირისპირ შეყრა როგორია!.. თუმცაღა რაკი ნება-სურვილი ნეტარ ღმერთთა ასეთია, როგორც შენ ბრძანებ...

კასანდრა: – დანაელთ ლაშქარს აქილევსის მოშორებით ბალავარი მოერღვევა. ამის შემდეგ კი შესაძლოა ტროას ეშველოს, ჩარხი წაღმა შემოტრიალდეს. აკი გითხარი ეს ყოველივე!

პარისი: - მეც ამისი იმედი მაქვს, ჩემო დაია! ხოლო ამის შემდეგ გამგებელი ჩვენი ქვეყნისა – მე უნდა ვიყო და სხვა – არავინ!

ჩემზე უფრო შესაფერისი, ჰექტორის მერე, აბა მითხარ, ვინ გეგულება?... მოხუცმა დროა, ტახტი დამითმოს, დიდი ხანია ძალი არ შესწევს იყოს ტროას საჭეთმპყრობელი. ამ დილით კიდეც მოვახსენე ეს ყველაფერი. დედაჩემი – ჩემს მხარეზეა!

კასანდრა: – როგორც ყოველთვის!.. შენ მუდამ იყავ ნებიერი, გამორჩეული დედაჩვენისთვის!

პარისი: – ჰო, მასეა!.. ბერიკაცი კი ჯერაც ისევ ჭოჭმანშია... ვერ გამიგია, ფეხს რატომ ითრევს?.. მაგრამ, როგორც ჩანს, სულმთლიანად გამოჩურჩუტდა... გონს ვეღარ არის, ვეღარ აზრობს, ვეღარცა გრძნობს, რომ დრო-ჟამი, შეიცვალა!..

კასანდრა: – ჰექტორის სიკვდილს ვერ შეეგუა ის საცოდავი!.. დარდმა გასტეხა, თორემ ჯანი არ აკლია, არც გონება!

პარისი: – (მაღალი ხმით, გაღიზიანებული) – მაგრამ ჰექტორი ხომ მკვდარია!.. ნუთუ ეს ვეღარ უნდა გაიგოს?.. ხოლო ცოცხლებმა ხომ

უნდა იცოცხლონ, ბოლოს და ბოლოს!.. წინ გადადგომას ნეტა ვიცოდე, ვინ გამიბედავს? გამიბედავს და შავ დღეს დავაყრი, გაჩენის დღეს დავაწყევლინებ. გავანადგურებ. აღარავის აღარ დავინდობ! ტყვილა ვგონივარ ზოგ ვინმეებს უნიათო, ძალასუსტი! ტროას მეფე მე უნდა ვიყო და სხვა – არავინ! ამას წყალი არ გაუვა!

კასანდრა: – (თავისთვის) – ჩანს, ეგ სურვილი ძალაუფლების ელენემაც გაუღვივა, ასე ხომ უფრო კარგად იგრძნობს თავს ყოფილი დედოფალი! დაქცეული ილიონის დედოფლობა! – ოჰ, საცოდავო კაცთა მოდგმავ! საცოდავო ჩემო ძამია! (ხმამაღლა) – მთავარია, ერთი პირი ჰქონდეს ტროელებს, რომ როგორმე გადავურჩეთ ამ მეხთატეხას. ილიონი ხომ ისევ ისე ალყაშია, საშიშროება ციხე-სიმაგრის დაცემისა – კვლავაც დიდია. ნუთუ არ გვახსოვს ეს ყოველივე?

პარისი: - ერთი პირიო? რასა ბრძანებ, ჩემო დაია! განა არ იცი... აკი წუხელის ის ნაბიჭვარი ანტიფო და რაზმი მისი — გაპარულან ილიონიდან და თან დიდძალი განძეული გაუტაცნიათ!

კასანდრა: – ო, დია-ღმერთო!.. მერამდენედ ხდება ესე – მომხვდურთა გულის გასახარად! ოჰ, ბედდამწვარო ილიონო! როგორღა უძლებ ამდენ ღალატს, ამდენ სიავეს? ისევ შენი შვილებისგან ვით იწირები ასე უღვთოდ?! თან განძიც მიაქვთ... ოქრო-ვერცხლს და... რკინა-სპილენძს ვერ შელევიან! ოჰ, სულმდაბლობავ, საზღვარი რომ აღარა გაქვს!.. რით ვერ ძღებიან ეს უბადრუკნი! ნუთუ ვერ გრძნობენ, დროებითია ეს თავის შველა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად — ქვეყანას მტრობენ!.. ხოლო ისინი, ვინც აქ რჩებიან, ჯგუფ-ჯგუფებად დაყოფილნი, ლამის ყელში წვდნენ ერთი მეორეს! ანდა ჩუმ-ჩუმად საფლავს უთხრიან თანამოძმეებს განძისათვის, პირველობისთვის! ვაი, სირცხვილო!

ელენე: – ჩემო კეთილო! ვიშ-ვიში და მოთქმა-გოდება, არც შეგონება, მომიტევე, ჩალად არა ღირს, დიდი საცთურის-ოქრო-ვერცხლის ბრჭყვიალებასთან! ასეთი არის კაცთა ბუნება და რას იზამ?.. ეგებ ისინი მართალნიც იყვნენ?.. და რაკი თურმე მხოლოდ დროებით მოვევლინეთ ამ წუთისოფელს, მაშინ ეგების თუნდაც წამიერი ხსნა და საშველი სჯობდეს არყოფნას, არაფრობას? ეგების სჯობდეს ისე მოვიქცეთ, ვით მოითხოვს ვითარება, გარემოება? თუკი შვებას გვაძლევს წამი იგი მცირედი – მივეცეთ შვებას და ნეტარებას, რომ წუთიერი ესე ყოფა გავილამაზოთ და ვინუგეშოთ თავი იმითი, რომ აღსასრული არ აგვცდება – გინდ ასე იყოს, გინდა ისე!

ხომ ცხადზე უფრო უცხადესია, დღეს თუ ხვალე საიქიოში დავიდებთ ბინას სამუდამოდ – უკლებლივ ყველა! ამიტომაც, მაპატიე, შენ კასანდრავ და შენც, ჩემო თანამეცხედრევ – თუკი ამაოა ეს შერკინება უძლეველ გმირთან! ეგების სჯობდეს, თუნდაც მხოლოდ წამიერი ჩვენი ნება-სურვილით ვიცხოვროთ, თუკი ღმერთებს ასე სწადიათ – ეგების სწორედ, დღეს უნდა მოვილხინოთ, დღეს ვისიამოვნოთ! დარდით და ფიქრით, საზრუნავით, ჭაპან-წყვეტით-ხომ ვიმოკლებთ სიცოცხლეს ჩვენსას და ვინ იცის, ხვალე იქნებ აღარც გათენდეს?

პარისი: – ფათერაკების ძებნას-სიმშვიდე, უდარდელობა, რაღა თქმა უნდა, ბევრად სჯობია, ჩემი აზრითაც!

კასანდრა: – ისე გამოდის, რომ ამ ქვეყნად საკუთარი სიამისათვის მოვსულვართ მხოლოდ.

პარისი: – რატომაც არა!

ელენე: - საკუთარი გულის ჭიის გახარებას, აბა, რაღა სჯობს? ყველა სულდგმულს ხო ესე სწადია? ამასა იქმენ სუყველანი – რაც კი არსებობს ქვეყნიერება! აბა, მითხარი, საკუთარი ბედნიერება, კეთილდღეობა ვის აღარა სურს?

კასანდრა: – მაგრამ... რის ფასად?.. ესეც აღარ ვიკითხოთ განა?..

თუმცა... ზედმეტი დავიდარაბა მართლაც რა საჭიროა?.. უმჯობესია, თავდავიწყებით განცხრომას მივეცეთ ლხენას, განცხრომას — თუნდაც რომ ჭერი გვენგრეოდეს თავზე რიხინით! სულ ერთი არის ისიც, თუ რა გვახურავს თავზე. ამასთანავე ის სჯობს, დავივიწყოთ ღვთაებანი ჩვენი და სხვის კერპებს ვეთაყვანოთ ქედწახრილებმა! რომ ორფეხა პირუტყვებად გადავიქცეთ, სტომაქისათვის რომ იღწვის მხოლოდ!

პარისი: – მე რომ მკითხონ, ჩემო კასანდრავ, შენ სულ ტყუილად ჰკარი ხელი უცხო უფლისწულს, რადგან ქალი თუ მამაკაცი, მდედრი თუ მამრი-მდედრად და მამრად დარჩებიან, სპარტაში იყვნენ, გინდ ილიონში, გინდ ქვეყნის კიდეს (იცინის, ხელს გადახვევს ელენეს) – ასე არ არის განა, ჩემო მშვენიერო თანამეცხედრევ? (ელენე თავს მორცხვად დახრის, გაღიმებული პირით).

კასანდრა: – მაშ, სამშობლო არაფერს ნიშნავს? არც დედ-მამა, არც და, არც ძმა, არც ნათესავი, ახლობელი, მეგობარი? სახლი, კერია? არც ქალაქი მშობლიური, არც დედაენა, არც ქვეყანა საკუთარი, შენი მოდგმა, შენი ჯიში, შენი ჯილაგი? მაშ, სულ ერთია მონა ვიქნები, ან ქვეშევრდომი უცხო ტომელთა? სულ ერთია-ვარ თუ ვიქნები თავისუფალი მოქალაქე ჩემი ქვეყნისა?

პარისი: – ნუღარ ამუქებ და ამწვავებ კაცთა მოდგმის ყოფიერებას, ჩემო კასანდრავ! ზეციურ ძალთა ნებითაა აკი ყოველი? ღვთის ნებითაა რაც გარს გვარტყია, სულიერი თუ უსულო და თავადაც ჩვენც ხომ უზენაესი ნებითა ვართ გაჩენილი? მაშასადამე, ქვეყნიერების ყველა კუნჭული ჩემი სახლია უსათუოდ, რაკიღა დიდი ნანას წინაშე სუყველანი

თანასწორნი ვართ: ქალიც და კაციც დანაელნიც, ტროელნიც, და სხვანი და სხვანიც...

კასანდრა: – (აწყვეტინებს) – მაშ, მოძალადეს, კერიაში რომ მივარდება, დავუთმო სახლი, კარი გავუღო, რაკი მისიც ყოფილა თურმე ეს საცხოვრისი! თან მივეფერო, მიველაქუცი, თავი დავუდო ჩემის ნებით, რომ ყელ-კისერი უკეთ გამომჭრას? ჩვენს შორეულ პელაზგთა წინაპართ, აიაიაზე რომ უცხოვრიათ, – არავისათვის არაფერი წაურთმევიათ, მაგრამ მომხდურნი არ ასვენებდნენ დასაბამიდან, იმთავითვე. რა უნდა ექნათ, შენის აზრით, ეგებ ამიხსნა!

პარისი: – აკი იბრძოდნენ...

კასანდრა: – ჰოდა, ახლა აქ მეცილება გადამთიელი ჩემს მიწა-წყალს! უცხო ქვეყნებიდან აყრილ მომხვდურებს სწადიათ ჩვენი განადგურება, უნდათ წაგვართვან სამშობლო ჩვენი, პირიდან ენა ამოგვლიჯონ. ყველა ტროელი: დიდი, პატარა, მორჩილ მონებად გადააქციონ, ან სულაც დედა-ბუდიანად ამოწყვიტონ, ხოლო თავად დაისაკუთრონ ყოველივე, რაც ჩვენს წინაპრებს შრომით, ღვაწლით შეუძენიათ!

მაშ, რაღას ვუცდით?.. გავხსნათ ბჭენი ილიონისა და შემოუძღვეთ მგლების ხროვას, თურმე ჩვენდა სამოყვროდ და სამეზობლოდ რომ აყრილან შორეული ქვეყნებიდან! ხოლო ჩვენ კი – ნიშნად დიდი სიყვარულისა, ვარდ-ყვავილები დავუფინოთ შარა-გზებზე!

ვინ ჰექტორი? ან ვინ ცისია? რისი სისხლი? რა შურისგება, მოვალეობა – ვის წინაშე? ანდა რისთვის? მთავარია, მხოლოდ თურმე ჩემი სიამოვნება, ჩემი გულისთქმა, ჟინი, წადილი!

ო, სულებო დაღუპულთა! ვაგლახ, დიდებავ ძველი ტროასი! უძღებ, უმადურ შვილებისგან გაყიდულო, ქალაქო ჩემო! (კასანდრა განრისხებული დგება)

პარისი: – კასანდრავ, დაო! მეც ტროელი ვარ! დანაელად რატომ შემრაცხე?.. ღმერთმანი, ასე არ მიფიქრია...

კასანდრა: – უკვე გადათქვი? ასე გჩვევია აზრის შეცვლა წამის წამში!.. მერე რა?... ხან ასე გიჯობს, ხანაც ისე — გარემოების შესაფერისად!...

პარისი: - ძალიან გთხოვ, ნუ მიბრაზდები... და ნუ დამტოვებ! შენი აქ ყოფნა ახლა ჩემთვის წამალზე უფრო უმთავრესია. განა შენ არ გამაგულისე? აქილევსთან შერკინებას ვით გავბედავდი, შენ რომ არ გეთქვა?...

აი, მაცნეც! როგორც იქნა, გამოგვეცხადა!.. რას გვაუწყებ, ჩემო მამანტი? ასე რატომ დაიგვიანე?

მაცნე: – ჩვენებურებმა შემაფერხეს, მარა მაინც გამოვაღწიე...

კასანდრა: – ჩვენებურებმა? ეგ რაღას ნიშნავს?

მაცნე: – მეფის ასულო, მტრის ბანაკს ბევრი ჩვენებური შეფარებია, მათ შორისაა მეფისწულებიც, მოგეხსენებათ! ნამეტანი თვალფხიზლობენ, კუდის რიკამდე ჩაგყვებიან... მაცნეც რომ იყო, არ დაგინდობენ, ოღონდ მტრების გული მოიგონ!..

საოცარი და სავალალო უფრო ისაა, რომ სიხარულით ელოდებიან იმ წამს, როცა... ილიონი დაინგრევა!.. ხელებს იფშვნეტენ მოლოდინში! რას არ თხზავენ, არ იგონებენ, ოღონდ როგორმე დაამცირონ ციხე-სიმაგრის დამცველები არგიველთ თვალში!

კასანდრა: – ალბათ მასეა! საკუთარი ქვეყნის ღალატი და ორგულობა ხომ უნდა გაამართლონ რამენაირად! ეს სულმდაბალთა, ქვეგამხედვართა წესია მითაჟამიდან!

პარისი: – (მაცნეს) – აქილევსი ნახე თუ არა?

მაცნე: – მზად არის, უფლისწულო, მირმიდონელთა წინამძღოლი შენთან საჩხუბრად! ხვალ უთენია გელოდბა სკაიას ბჭესთან, დიდ მუხასთან!

პარისი: – მაშ გადაწყდა!... ხვალე უნდა შევხვდეთ ერთმანეთს!.. (ერთხანს ჩუმად არის), – თქვენ რას იტყვით? შენ ჩემო მშვენიერო თანამეცხედრევ და შენ, კასანდრავ, დაო ჩემო?

ელენე: – რაკი არ იშლი... თუმც უწყიან ნეტარ ღმერთებმა, რომ მე არ მსურს შენი შებმა იმ მძლეთამძლესთან არც ხვალ, არც როდის!

კასანდრა: – მოსახდენი უნდა მოხდეს! უნდა შეება! (თავისთვის) განგების ნებით, პელაზგთა მოდგმის ნაშიერებმა უნდა ერთხელაც შეუტიონ ერთი მეორეს! (ხმამაღლა) – მით უფრო, როცა გამარჯვებას შენ გარგუნებს არსთა გამრიგე!

პარისი: – მაშ, ხვალე უნდა შევებრძოლოთ ერთიმეორეს! (მაცნეს) – შენ შეგიძლია ახლა წახვიდე!.. თუ დამჭირდები, ისევ გიხმობ! (მაცნე გადის. პარისი აქეთ-იქით იწყებს სიარულს დარბაზში)

პარისი: – იქნება სჯობდეს გადადება ამ შეხვედრის?.. კიდევ უნდა მოვიფიქრო!..

კასანდრა: – რაო, რა ბრძანე, ჩემო ძამია? რის გადადება, რა გადადება? აკი უკვე გამოიწვიე აქილევსი? ჟამმა დარეკა. უნდა იმარჯვო – ამჯერად მაინც! ვინძლო შენი ბედოვლათობის, ქარაფშუტობის, უსულგულობის აზრი გაქარწყლდეს ამ გამარჯვებით!

პარისი: – სხვა რას იტყვის, ან იფიქრებს – სულ ფეხებზე მკიდია ეგა, ჩემო დაია! სხვისი აზრი სულ არ მადარდებს!

კასანდრა: – ღმერთების ნებით სძლევ მეტოქეს იმას, ვინც აწ უსურვილო, უწადინო სხეულს დაატარებს მხოლოდ, თვით სასჯელის ნიშნად! აქილევსი ლეშია უკვე – ღმერთების ნებით! დამიჯერე! ასე იქნება!

პარისი: (აფეთქდება) – ღმერთების ნებით.. ღმერთების ნებით რომ დაიჩემე, ეგებ გიმტყუნოს წინათგრძნობამ? მაშინ რაღა ვქნა?.. თუმცა შენ, აბა, რა გენაღვლება!.. ჩემს ადგილზე შენ რომ იყო, მაშინ ვნახავდი, რანაირად იჭიკჭიკებდი! სხვა სხვის ომში ბრძენიაო, ნათქვამია.

კასანდრა: – მაშ, უკან იხევ? კვლავ თავს იჭრი?

პარისი: – შენ თუ გესმის, ვისთან მიწევს შებრძოლება? უძლეველ გმირთან, ქალღვთაების ნაშიერთან, ქირონის – ამ უბრძენესი ცხენ-კაცის მოწაფესთან! რომელიც... თითქმის უკვდავია! (კვლავ გამალებული ბოლთასა სცემს, მერე უცებ შეჩერდება და კასანდრას მიმართავს:).

პარისი: – ჩემს მაგივრად შენ რომ შეხვდე? ჰა, რას უტყვი? ან სხვა რომ შეებრძოლოს – თუნდ რომელიმე ჩემი ძამია – ტახტის ფლობა ხომ ყველას უნდა? ჰოდა, იკადრონ, შეხვდენ აქილევსს! მე რატომ უნდა ავიკიდო ეს მძიმე ტვირთი მაინცდამაინც?

კასანდრა: – შენს მაგივრად ისეც ბევრი შეეწირა ამ დაწყევლილ ომს. გონს მოეგე! რაებს როშავ? უკვე გულს მირევს შენი სიმხდალე!.. ადრე ხომ უფრო მამაცი იყავი, სილამაზით გამორჩეულო! ახლა ასე რამ წაგახდინა?.. რა დაგემართა?

პარისი: - რა ვქნა, კასანდრავ, დაო ჩემო! შენი თითქოს უკვე არ მჯერა!... აქილევსი რომ მომერიოს?.. ჰა? მაშინ რა ვქნა?

კასანდრა: – თუ მასე შიშობ, მაშ, მაცნე რისთვის გააგზავნე აქილევსთან?

პარისი: – გაიგე, გოგო, გუშინ უფრო დიდ გულზე ვიყავ! ახლა კი... ისევ შემეპარა ეჭვის ჭია... სიკვდილი სწორედ აღარ მწადია! გაიგე ქალო!.. ესეც არ იყოს, მე რომ მოვკვდე, ტროას ვინღა უპატრონებს?.. ანდა ელენეს რა ეშველება?.. არა, ბატონო, სასწორზე თავი რისთვის დავდო? მე ხომ ტახტის მემკვიდრე ვარ და არა უბრალო მოკვდავი ვინმე! დაე, სხვებმა თავი გაწირონ ჩემი გულისთვის, ილიონისთვის! მე კი – ცოცხალი უნდა დავრჩე, თუნდაც სხვა ყველა გაიჟლიტოს: ყველა ტროელი ბოლოსდაბოლოს პარისს უნდა ეთაყვანოს, როგორც ტროას მომავალ მეფეს!

კასანდრა: – თუკი ტროა აღარ იქნება, შენ ვისი მეფე უნდა იყო, შე საბრალოვ?

პარისი: - მე და ელენე ხომ გადავრჩებით? ჰოდა, ესეც საკმარისია! ტროას, იცოდე, ესეც ეყოფა!

სხვა დანარჩენი წყალს წაუღია, თუნდაც მეწყერს! აღარ დავეძებ!..

არ შემედავო ტყვილა – უბრალოდ, თუ ღმერთი გწამს!

მე უკვე გადავწყვიტე და ამჯერად აღარ გადავთქვამ! მორჩა, გათავდა! (თითქმის სირბილით დადის დარბაზში, ხაფანგში გამომწყვდეული

ნადირივით).. თუმცა... იცი რა? მოდი, აქილევსს შენ... შეერკინე! ხო, შენ, კასანდრავ!..

თუმც გარეგნულად იას ჰგავხარ, სათუთს, მშვენიერს, მაგრამ ხომ ვიცი, გულით როგორი მამაცი ხარ, შეუდრეკელი!

ჰოდა, ჩაიცვი ჩემი სამოსი, აქილევსი ვეღარ გიცნობს – ზუჩიანი თუკი იქნები!

ჰა, რას იტყვი? ხომ კარგი აზრი მომივიდა მოულოდნელად? ტახტის მემკვიდრის გადარჩენა – ამაზე დიდი საქმე განა რა უნდა იყოს? თუმცა... ტახტზე თვალი უჭირავთ სხვა უფლისწულთაც, მაგრამ ჩემზე ღირსეული ბოლოს და ბოლოს, რომელი გახლავს?..

ჰოდა, თუკი შენ ამას იზამ, ხალხის თვალში ხომ ამაღლდები? დამარცხდები თუ გაიმარჯვებ – სულ ერთია! გმირად შეგრაცხენ ტროელები, უეჭველია! სხვა ტომებიც! საუკუნეებს გადაწვდება შენი სახელი. რას იტყვი-მეთქი? გამოსავალი ხომ ვიპოვნე?

კასანდრა: – ხვალ უთენია გალავანზე გავიჭრები, ბუკ-ნაღარას დავაკვრევინებ და საჯაროდ განვაცხადებ მთელს ილიონში და მის გარეთაც – რომ ლაჩარი ხარ! მთხლე! ქალაჩუნა!

პარისი: – რამდენიც გინდა დაუკარი ბუკ-ნაღარა. სხვისი აზრი, ხომ გითხარი, აღარ მაწუხებს. სიცოცხლე უფრო მეძვირფასება სირცხვილნამუსზე!

კასანდრა: – მაშ კარგი! ახლავე გავალ ამორძალებთან და ვუბრძანებ, დაუყოვნებლივ შემოარტყან ალყა სასახლეს! აქედან ნაბიჯს ვერ გადადგამ ხვალ დილამდე! დილით მე თვითონ წაგიძღვები ორთაბრძოლაში! თუ არადა, ამას ხომ ხედავ? (უცებ დანას დააძრობს) – ამის წერა გახდები ხვალე! იცოდე, ჩემი ხელით მოკვდები! ჩვენი დინოს ამდენ შერცხვენას არ გაპატიებ!.. ახლა მივდივარ, ამორძალებს უნდა ვუხმო! (კასანდრა გადის).

პარისი: – ხომ ხედავ, როგორ დამემუქრა? თანაც დანა რომ დამიძრო? ეს რაები იკისრა, კაცო?.. მაგრამ ეს კიდევ არაფერი – ამორძალებით რომ მაშინებს თავაშვებული ჩემი დაია? ერთი უყურეთ, რა დღეშია! ეს ალქაჯი! მისგან ყველაფერს უნდა ელოდე! მაგრამ... რაზმი განა მეც არა მყავს? ახლავე ვუხმობ ჩემს ერთგულ მცველებს!

ელენე: – ჩემო ძვირფასო, აღარ გინდა!.. გთხოვ, დაწყნარდე!

პარისი: – ნუთუ შენც? შენც მოისურვე ჩემი დაღუპვა? აკი წეღან სხვას ამბობდი? თუმცა... დიაცს როდის იყო, ერთი პირი რომ ჰქონდა? ან ერთგულებას ვითღა მოთხოვ?.. მიჩვეულია თავისი დღე და მოსწრება – ნადავლი იყოს გამარჯვებულის!... არც მოძალადეს გაექცევა, ძველი იქნება იგი თუ ახალი, - ეგ სულ ერთია! მხოლოდ ერთი წამის სიტკბოე-

ბით ცხოვრობს ამ ქვეყნად!

ელენე: - მე აღარ მინდა გეკამათო! შეგედავო! შეურაცყოფას ვითომ არც ვისმენ. მე მოგახსენე, რასაც ვფიქრობდი. სხვა – არაფერი.

პარისი: - მაშ, თავგასული კასანდრას ნებას უნდა დავყვე? დავემორჩილო? მე ხომ არ მინდა... უფრო სწორად... გადავიფიქრე, ნუთუ ამის ნება არა მაქვს?

ელენე: – მაგაზე მაშინ უნდა გეფიქრა, როს აქილევსთან მაცნესა გზავნიდი! მე ხომ მაშინ... დაგიშალე? სხვა დროს ყოველთვის მიჯერებდი... მაშინ ვერაფრით დაგარწმუნე. ახლა რას იზამ? უკვე გვიანაა!.. ხალხი რას იტყვის?

პარისი: – გვიანიაო? რასა ბრძანებ?.. ან რას დაგიდევ, ვინ რას იტყვის?

ელენე: – შენ ამორძალებს, როგორც ვატყობ, მართლა არ იცნობ! შენი დაიას მოწოდებით, პატარა ხანში აქ გაჩნდებიან და მთელ სასახლეს გადათქერავენ! ჯერ შენ მოგკლავენ, მერე ბოლოს მეც მომიღებენ ხომ იცი ორივე ძლიერ ვეჯავრებით მაგ მაწანწალებს! რაც ჯავრი აქვთ ცისიას გამო, – ჩვენზე იყრიან! ეჭვი აღარ შეგეპაროს! რაკი კასანდრაც უყვართ ძალიან, მის მოწოდებას ერთსულოვნად შეხვდებიან!

პარისი: – მაგრამ მე ხომ უფლისწული ვარ? ალექსანდროსი? ტახტის მემკვიდრე? ვით გაბედავენ?

ელენე: – გაბედავენ, დამერწმუნე, გაბედავენ, ჩემო სიცოცხლევ! მათ წინ ვერავინ ვერ დაუდგებათ, თანაც ახლა, ცისიას გამო ისე არიან გამწარებულნი! ეგენი ხომ შენ და ჩემზე კბილებს ილესენ, რა ხანია!

პარისი: – თუკი მასეა... უნდა გავიდე ხვალ უთენია სკაიას ბჭესთან! სხვა რა გზა მაქვს!

პარისის და აქილევსის ორთაბრძოლა

აქილევსი: – აი, მე და შენ შევხვდით ერთმანეთს – შენ ბედის ნებიერი ალექსანდროსი, მე აქილევსი, მირმიდონელთა უფლისწული! შენ, ვინც აქამდე გამირბოდი ყოველნაირად, ჩანს ღმერთებმა შთაგაგონეს ეს შერკინება და ირწმუნე, რომ სწორედ ახლა შეძლებ აქილევსის დამარცხებას! ასეა არა?

პარისი: – დიახ. აქამდე გაგირბოდი! მაგრამ ამ დილით, ღმერთების ნებით, უნდა დაბნელდეს მზე აქილევსის!

აქილევსი: - მე კი მეგონა... შენგან სიტყვას ველოდებოდი მონანიების! თურმე... მოვტყუვდი!

პარისი: – მონანიება?! ვის წინაშე?! რისი გულისთვის? სანანებელი რა უნდა მქონდეს?

აქილევსი: – თუნდაც ის, რომ შენს პირადულ სიამტკბილობას

ეწირება ამდენი ხალხი! და მათ შორის შენიანები, შენი სისხლის და შენი ხორცის!

პარისი: – მე ძალით არვინ გამიტაცია, ქალი წამომყვა თავის ნებით, რადგან მარჩია თავის მეუღლეს, ყოველნაირად! მიზეზი ომის სხვა რამ გახლავთ, ეს შენ კარგად მოგეხსენება. ესეც არ იყოს, საკუთარი კეთილდღეობა ამოძრავებს მიწისშვილთა უმეტესობას. თუმც, შეიძლება ენით არ თქვან ეს ყოველივე, მაგრამ გულში ასე ფიქრობენ. მეც მათ შორის მეგულვის თავი! ოღონდ მე ამას ვამბობ ხმამაღლა, დანარჩენები – გულში მალავენ, არ ამხელენ.

არა მგონია იმ სიშორიდან წამოხვედი ტყუილ-უბრალოდ, რომ სახელისა და ნადავლისთვის არ ზრუნავდე დღე-ნიადაგ! კარგად ვხედავ, სიმართლისათვის თავი არ სტკივა არც ერთ მხარეს!

აქილევსი: – შენ ერთ რამეში მართალი ხარ: სიმართლისათვის თავს არ იკლავს ბევრი ჩვენგანი!.. თუმცა, ახლა აღარ ღირს ამის გარჩევა, საამისო დრო არ არის. მაშ, მოდი ნუღარ დავყოვნდებით. საქმეს შევუდგეთ, რაკი არ იშლი და გწადია ჩემი მორევა-სცადე ბედი! თუმც გირჩევდი, შენი პირადი თაოსნობით შეგეწყვიტა ეს ხოცვა-ჟლეტა და ელენეც დაბრუნებოდა თავის პირველ ქმარს. მაშინ საბაბიც გაქრებოდა და ადვილად ვერ შეუტევდნენ დანაელები ტროას დამცველებს!

პარისი: – ვიშ, რა ჭკუაზე მობრძანებულხარ ამ სისხამ-დილით!... მე მირჩევნია გაწყდეს სუყველა, თუნდაც ერთ დღეს, ვიდრე რაიმე პირადული დავთმო ოდესმე! ვინც უნდა იყოს ტროელი თუ არგიველი – ჩემთვის ერთია! ილიონში მბრძანებელი მე უნდა ვიყო და ჩემმა ცოლმაც სიბერემდე იდედოფლოს უნდა ტროაში! მე ასე მსურს და ასე იქნება ღმერთების ნებით!

აქილევსი: – დავიწყოთ, აბა1 დაე, ღმერთებმა გადაწყვიტონ – ვინ ვის სჯობია – ძალით თუ ხერხით. და ვის ძალუძს მზე დაუბნელოს მოკვდავ მიწისშვილს!

პარისი: – დავიწყოთ! მზად ვარ! უზენაეს ღვთაებას შევთხოვ, შუბის სროლა თუ ხმლის მოქნევა უკანასკნელი იყოს შენთვის! რომ ვერც საქვეყნოდ სახელგანთქმულმა შენმა ფარმა დაგიცვას და დაგიფაროს, რომ გულმკერდი შეგინგრიოს ჩემმა შუბმა, მარჯვედ ნასროლმა!

აქილევსი: (გულმოწყალედ იღიმება) – აბა შენ იცი, უშიშარო, ნუღარ ყოვნი! შენ პირველმა მესროლე შუბი! (იწყება ორთაბრძოლა ჯერ შუბებით, მერე გადადიან სატევრებზე. აქილევსი გააგდებინებს ანაზდად პარისს იარაღს, უსატევროდ დარჩენილი, გაწბილებული პარისი სასოწარკვეთით ემხობა მუხლებზე, თავზე ხელებს აიფარებს) –ო, კასანდრავ, ღვიძლო დაო, რატომ გამწირე!

აქილევსი: – მაშ, კასანდრას მიერ ბრძანდები თურმე ასე გაქეზებული? მაშ, გამარჯვების იმედი მოგცა შენმა მისანმა, ბრძენმა დაიკომ?.. მაგრამ ხომ ხედავ, ღმერთებისგან რომ გაიწირე? ჩემს ხელთაა შენი სიცოცხლე!..

აქილევსის სატევრის ერთი მოქნევა კმარა, რომ თავი შენი გაგორდება აქ, ამ მიწაზე.

ხომ არ გგონია, როგორც სხვა დროს, ცის ღვთაება მოგეშველება?.. მაგრამ... არა მსურს შენი სიკვდილი! აი, გიბრუნებ უკან იარაღს! წა, გამეცალე! შენ ხომ უწინაც არა ერთხელ გაქცეულხარ ბრძოლის ველიდან! ახლაც ხომ ვხედავ, როგორ ცახცახებ! სიცოცხლე როგორ გეძვირფასება! მაშ გაიქეცი! თავს უშველე, ვიდრე აზრი არ შემიცვლია!.. ვინ იცის, ეგებ შემდგომში მაინც გაგიღიმოს ბედმა ტიალმა და გამოადგე შენს ქვეყანას, ვით მეომარი! ვინ იცის, ღმერთებს რა უდევთ გულში!

კეთილშობილი კასანდრაც კი ვერ მიუხვდეს ეგებ ნებას განგებისა! ჩქარა წადი! მოკურცხლე-მეთქი! ამჯერადაც შვება-ლხენა შენი მეუღლის გულმკერდზე ჰპოვე! (პარისი თანდათანობით უკან იხევს, მერე გარბის თავქუდმოგლეჯით. აქილევსს მწარე სიცილი აუტყდება).

აქილევსი: – ერთი შეხედეთ, როგორ გარბის ეს კურდღელი! უკან არც კი იხედება! აი, თურმე რა ძვირფასია სიცოცხლე მისთვის, სხვებისას კი – არას დაგიდევს! არა, მზის მადლმა, თუმც სიცოცხლე ცისიას შემდეგ, ჩალად არ მიჩანს, ამ ლაჩრის ხელით აღარ ღირდა გამოთხოვება წუთისოფელთან! თუ სიკვდილია – ღირსეულ სიკვდილს ვირჩევ-მეთქი ბრძოლის ველზე, – ვაჟკაცებთან შერკინებული! თუნდაც იმისთვის, რომ ამნაირ მხდალ კაცუნებს, ვითომც ღვთისშვილებს, სატრაბახოდ არ მივცე თავი!..

თუმცა... შესაძლოა, ერთობ ბევრმა ვეღარც გაიგოს საქციელი აქილევსისა. და მაინც... ჩემსას არ დავიშლი! მოსწონთ თუ არა ეს ცის ღვთაებათ, თუ მიწისშვილებს!

მაშ, ასე! მტრის ჯინაზე ფარ-ხმალს არ დავყრი! ვიცოცხლო უნდა ალბათ მანამდე, სანამ სული არ გაეცლება ჩემს მოკვდავ სხეულს, სანამ ჯერ კიდევ მზეს ვფიცულობ სიყვარულის სადიდებელად!

ჩუ! ეს ნაზი ფერიები საიდან გაჩნდნენ? რამ მოიყვანა ამ კარიბჭესთან, მუხის ჩეროში? (თეთრსამოსიანი ფერიები, თავზე ყვავილების გვირგვინებით, ხელიხელჩაკიდებულნი, გარს შემოერტყმიან აქილევსს:).

ფერია: – ჩვენ გარადსულთა სულები ვართ, გმირო აქილევსს! ჩვენ დღემოკლე პეპლების სახით ვევლინებით ხოლმე მიწისშვილებს, რომ შევახსენოთ, ორასი წელიც რომ იცოცხლონ – წამისწამია წუთისოფელი და ჩვენსავით განქარდებიან! ამჟამად შენთან ფერიებად გარდავისახეთ... ამას თუ იცნობ, ქველო აქილევს!

აქილევსი: – ნუთუ?! ცისია გამოეცხადა უღირს მამაკაცს, ვინც თვისი ხელი გაისვარა წმინდა სისხლში? – ღმერთებო!.. დიდო ნანავ!..

ცისიას აჩრდილი: – ო, აქილევს, ძვირფასო ჩემო, მე ვიცი ვით განიცდი, ვით გულწრფელად ინანიებ შენს საქციელს... და ისიც ვიცი, როგორ გიყვარვარ!

აქილევსი: – ნუთუ მართლა?! ნუთუ ჩემი გულის ნადები მართლა შეიცან?

ცისიას აჩრდილი: – ო, სულეთიდან უკეთა ჩანს გულის ზრახვანი — ცოცხალთა! დაიჯერე, რომ ეს ასეა.

აქილევსი: – ნუთუ ირწმუნე? ირწმუნე განა, რომ მიყვარხარ თავდავიწყებით, უბოლოოდ, უსასრულოდ?

ცისიას აჩრდილი: – აკი გითხარი, რომ იქავეთში არაფერი დაიმალება! ხელის გულზეა გადაშლილი ყველას გულისთქმა!

აქილევსი: – თუკი მასეა, მაშინ ვფიცავ ყველა საფიცარს, რომ მზად ვარ ახლავ, დაუყოვნებლივ სიცოცხლე დავთმო, გამოველსამო წუთისოფელს, ოღონდაც შენ კვლავ იცოცხლო და გაიხარო!

ცისიას აჩრდილი: – მე უშენოდ სამზეოში ვერ გავიხარებ, ჩემო აქილევს, რადგან შენსავით, მეც პირველი ნახვისთანავე, შეგიყვარე!

აქილევსი: – ო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ყური არ მატყუებს?! თუ მასეა, მერედა, რისთვის...

ცისიას აჩრდილი: – შენ გინდა მითხრა, მაშ, რიღასთვის შეგაკალ თავი? ჩემო ძვირფასო, ახლა ყველაფერს ვეღარ გეტყვი... აქ, როცა მოხვალ, მხოლოდ მაშინ საცნაური შეიქნება შენთვის ბევრი რამ, რაც დაფარულია მიწისშვილთათვის!

სამწუხაროდ, სამწუხაროდ დედამიწაზე დიდი ხნის ყოფნა არ გიწერია – ჩემი არ იყოს! სამაგიეროდ, ჩემთან მოგიყვანს დიდი გრძნობა... სასულეთში სიყვარულით პოულობენ მხოლოდ ერთმანეთს! სიძულვილი, მტრობა, შუღლი – საიქიოში ვერ ბოგინობს, ვეღარ ძლებს და გარბის იქიდან!.. იქ სულთა მხოლოდ ზეაღსვლაა – სიყვარულით ნაკვებ-ნაზარდი! იქ პოხიერი ნიადაგია მხოლოდ სიყვარულისთვის!

აქილევსი: – ღმერთო ჩემო! ახლავ, ამ წუთას მოვეშურები, რომ ერთად ვიყოთ სამარადისოდ! ეს არის ახლა ჩემი ნატვრა, ჩემი ოცნება!

ცისიას აჩრდილი: – ო, არა. ჯერ არ დამდგარა ჟამი, ჩემო ძვირფასო! სამზეოში მიწისშვილნი თუმც ეცდებიან, რომ ამოგსვარონ ლაფში, ტალახში... გაუძლო უნდა! აიტანო! სიყვარული გაგაძლებინებს! ვაჟკაცთ წესია ჭირთა თმენა! მაშ, შეხვედრამდე! დაგელოდები, რომ შენი გრძნობის მოზიარედ გადავიქცე მიღმიეთში!

აქილევსი: – ო, დაიცადე!.. ჯერ ნუ წახვალ!.. შენი ნახვა ისე მომწყ-

ურდა... ისე ძალუმად მენატრებოდი, ისე მწადდა მემზირა შენთვის,.. აქ, უშენობას ვეღარ შევძლებ! გევედრები, აღარ დამტოვო! კიდევ ცოტა ხანს მესაუბრე... მინდა დავტკბე შენი ხმის ჟღერით... მინდა ცოტა ხანს ასე გიყურო, თუნდაც... შორიდან!

ცისიას აჩრდილი: – ო, არა. უნდა აქ დარჩე, სამზეოში და... გიყვარდე! ეგ სიყვარული კელაპტარივით აგაბრიალებს, დაგწვავს, დაგფერფლავს და... სხვებსაც ამ სიყვარულით გზას გაუნათებ!

ნახვამდის, ჩემო! უნდა დავშორდეთ ერთი მეორეს... დროებით! ეს გვირილები საჩუქრად ჩემგან!.. გელი, მშვიდობით! (ფერიები ქრებიან. გაოგნებული აქილევსის ფერხთით გვირილები ყრია. ერთს დაწვდება).

აქილევსი: – მაშ, ვიდრე სამზეოში ვიმყოფებით, უნდა ვიცოცხლო, ვიბრძოლო კიდეც! დე, ასე იყოს, ჩემო ფერიავ – სანამ იქავეთს არ ვესტუმრები შენს სანახავად, რომ მუხლმოდრეკით თაყვანი გცე, ვით ღვთაებას, ვით სიყვარულის უშრეტ წყაროს!

არა, მისანნო, თუმც დაკოდილი გულით დავდივარ, თუმც ჩემს სატრფოსთან ყოფნის სურვილი არ მასვენებს დღისით, ღამითაც, — ბედისწერის განჩინებას ქედს არ მოვუხრი! პრომეთეოსის მოდგმის რაკი გახლავართ, უნდა კიდევაც ყოველნაირ ტანჯვას გავუძლო, სანამ ჯერი არ მოსულა ჩემი სულთხდომის!..

ჩემო დედილო, შენც ამაოდ ნუღარ ღვრი ცრემლებს. შენი შვილი ბედნიერია, რამეთუ აღარ მოუწია ამ საწუთროში უსიყვარულოდ ყოფნა-გაძლება – თუნდაც მცირე ხანს! რა თავში ვიხლი გრძელ სიცოცხლეს! რა ბედენაა უსიყვარულოდ ამ ქვეყნად ყოფნა!

მაშ, გაემზადე, ჩემო აქილევს, შორი გზისათვის – სიყვარულის საგზლით და რწმენით – სიყვარულთან შესახვედრად!..

– ეჰეი, პარისს, „გულადო“ პარისს! როგორც ჩანს, მაინც მოგვიწევს შევხვდეთ ერთი მეორეს!

* * *

აქილევსი: მე ისევ მოველ ამ ადგილას... სადაც პირველად გნახე, ჩემო ფერიავ. ისევ ისე იმ გვირილებს დავეძებ ახლა, აქ რომ დაყარეს ჩემს ფერხთქვეშ მშვენიერმა ფერიებმა! ო, იმ ნეტარ წამს ისევ ისე ვიგონებ, და კვლავ ვესათუთები, ცისიავ, შენს აჩრდილს და... მოგონებას!

(გრძნობამორეული აქილევსი წამოწვება მუხის ჩეროში, ფეხს ფეხზე გადაიდებს და გაყუჩდება. ქონგურის ქიმს ჩასაფრებული პარისი უეცრად ისარს გამოსტყორცნის და მოახვედრებს მისი სხეულის ყველაზე დაუცველ ნაწილს – ქუსლს.

აქილევსი კვდება.

სარჩევი

იათნანელი ამორძალები 3

ჟამი მოვალს! 257

სიყვარული სიკვდილის შემდეგ ანუ „შენი რაშები ჭიხვინებენ, აქილევს!“ 417

კომპ. უზრუნველყოფა თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №45
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

მწერალი, პუბლიცისტი ცვიალა არდაშელია დაიბადა საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უძველეს კუთხეში – აფხაზეთში, ქ. გალში. (სამურზაყანო, ყოფილი საბედიანო). დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სხვადასხვა დროს მუშათბდა ჟურნალ „ცისკარში“ (17 წელი), ალმანახ „რიწაში“ (სოხუმი), მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში, ჟურნალ „დროშაში“.

ავტორია რამდენიმე მხატვრული და პუბლიცისტური წიგნის, მათ შორის ორი მითოსური რომანის – „იათნანელი ამორძალები“ და „ჟამი მოვალს“, პიესის – სიყვარული სიკვდილის შემდეგ („შენი რაშები ჭიხვინებენ, აქილევს!“), პუბლიცისტური წერილებისა და ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებულებისა: „უძლური ჭირისუფალი“, „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“, „საუნჯე სათნოებისა“, „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით“, „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი“, „მოდი-ნახეს“ მეცხიხოვნენი“, „საყრდენი“.

იყო ერთვნული მოძრაობის აქტიური წევრი. საქართველოში პირველი არაფორმალური, ი. ჭავჭავაძის სახ. ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი.

არის რევაზ ინანიშვილისა და დავით აღმაშენებლის სახ. პრემიების ლაურეატი. დაჯილდოებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის მიერ – „ოქროს ფრთით“.